

780
1992/2

ISSN 0134-9848

საქართველო

1992/2 მარტი — აპრილი

ქართული
ბიბლიოთეკა



საუნაქო

1994/2
მარტი
მკობნული
პერიოდი
ბიზ-საქონება

(104)



შინაარსი

პროზა და პოეზია

ხუან რულფო. კედრო პარამო. რომანი. თარგმნა მედია ზუბადალაშვილმა	3
იუგოსლავიელი პოეტები. ლექსები. თარგმნა გულო პირველმა	87
მარინა ცვეტაევა. და მინც როგორც ცოცხალზე... თარგმნა რუსუდან ქეხულაძემ	97
უნგრული ხალხური ბალადა. ლექსები. თარგმნა ნოდარ შამანაძემ	147
ჯოზეფ კონკადი. ლორდი ჯიმი. რომანი. დახაწეს ინი. ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ	149

წერილები

ბაბუკან შრი რაჯნეში. ტანტრა. თარგმნა მერაბ ბერგიაშვილმა	246
თომას ვანი. ვნიბანი და სილიაღო რიპარდ ვაზნერისა. გერმანიულიდან თარგმნა რუსუდან ღვინეფაძემ	272
გოტფრიდ ვანი. თანამედროვე ლირიკის პრობლემები. გერმანიულიდან თარგმნა ლამარა წართუშვილმა	304
პარმან ვისე. ნოვალისი. გერმანიულიდან თარგმნა რუსუდან ბევაშვილმა	318

საბავშვო-საზოგადოებრივი განათლების მინისტრის განკარგულებაში
საქართველოს საბავშვო-საზოგადოებრივი განათლების მინისტრის განკარგულებაში

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке



1992 № 2
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

საქართველოს
წიგნიერების
და პრესის
კავშირების
კავშირების
კავშირების

მოთხოვნი რედაქტორი:

შრომა ნიშნისნიძე

ბიჭი ბენდიანი (მთ. რედაქტორი)

ნანა მარტოვი (მთ. რედაქტორი)

სამხედრო კოლეგია:

შაველე აბიშვილი

შრომა ბაბიაძე

ბაგატიანი ბრძანაძე

ბურაკი ბრძანაძე

ნორდარ ბურაკი

მამულა მინაშვილი

ნორდარ ბაბიაძე

კახი კახიანი

ბიჭიანი ნიშნისნიძე

მანუშაძე

ნიკო მინაშვილი

დავით შარვაშიანი

გაზეთის მისამართი: თბილისი, ნაკრძალის რაიონის სოფ. ბაგრატიონის
უბლი, 1801.

მოთხოვნი ა. ვაჩიანი. ტელეფონი: 25-73-41.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მოთხოვნი რედაქტორის
93-38-10, რედაქციის — 99-73-41.

გად. წარმ. 4.03.92 წ. ხელმოწ. დასაბუჯდად 7.07.92 წ. ქაღალდის ზომა 70X108¹/₁₆
სააღრ. თ. 25,51 სასტ. თ. 28 საღებავის გატ. 28,7 ტონა 7000, შეკვ. № 262.

შანსი 16 მან.

საქართველოს ფინანს-საბიუჯეტო განყოფილება „საქსიზის“ ხტანა,
480009, თბილისი, ქ. კახაბერის 14.

ხუან რულფო

პედრო პარამო



რომანი

თარგმნა მიღვა ზუბადალაშვილმა

შექსიკელი მწერალი ხუან რულფო (დ. 1916 წ.) ავტორია ერთადერთი წიგნისა; რომელიც მოიცავს რომანს „პედრო პარამო“ და მოთხრობებს.

მიუხედავად ამისა, ხუან რულფო ლათინურ ამერიკაში ახალი რომანის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება. გამოჩენილმა შექსიკელმა მწერალმა კარლოს ჟუენტესმა მის შესახებ თქვა: „ეს არის ადამიანი, რომელიც გამოაგნებელი სიღრმით ჩაწვდა შექსიკის სინამდვილეს“.

განსაკუთრებით გამოირჩევა ხუან რულფოს რომანი „პედრო პარამო“ (1955 წ.). იგი უცნაურად იწვებს: რომანის გმირი ხუან პრესიადო, რომელიც თავად მყვება ამბავს, დედის სიკვდილის შემდეგ მადის უცნობი მამის — პედრო პარამოს საძებნელად. მაგრამ დედის მშობლიურ სოფელ კომალაში ცოცხალი აღარაინ ხვდება; მისი შეგზური აბუნდიოც და სოფელი ქალებიც, მასპინძლობას რომ უწყევნენ, დიდი ხნის მკვდრები არიან. ერთი სიტყვით, სოფელი დასახლებულია აქ ოდესღაც მცხოვრებ ადამიანთა აჩრდილებით; სოფელში მოხვედრილ ხუან პრესიადოსაც სწორედ ამ აჩრდილების საუბარი ესმის, ეჩვენება მათი ცხოვრების სურათები; და ამგვარად ცოცხლდება სოფელი თავისი ჭარ-ვარამით, თავისი ყოველდღიურობით, ტრაგიკული წინააღმდეგობებით.

კლუშხიელმა მწერალმა გაბრიელ გარსია მარკესმა ერთ-ერთი შექსიკური ჟურნალის კორესპონდენტთან საუბრისას ლათინური ამერიკის მწერლებიდან განსაკუთრებით გამოპოო ხუან რულფო და მისი ეს რომანი, ბოლოს კი თქვა: „პედრო პარამო“ რომ დაშეწერა, აღარაფერზე ვიფარდებდი, არც არაფრის დაწერას აღარ ვეცდებოდიო.

მარკესის შეფასება ძველ გადაჭარბებული მოგვეჩვენოს, მაგრამ იგი აშკარად მიგვანიშნებს ხუან რულფოს უდიდეს ავტორიტეტსა და პოპულარობაზე. მწერლის პოპულარობას ისიც ადასტურებს, რომ მისი წიგნი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი.

კომალაში მაშინ გავემგზავრე, როცა შევიტყვე, რომ იქ ცხოვრობდა მამაჩემი, ვინმე პედრო პარამო. ეს ამბავი სიკვდილის წინ დედამ გამანდო. მეც აღვუთქვი, სადაც არ უნდა ყოფილიყო, დაუყოვნებლივ წავსულიყავი და მომენახა. მიცემული სიტყვისთვის მეტი სიმტკიცე რომ მიმეცა, მომაკვდავს ხელზე მაგრად ვუჭერდი ხელს. დედა კვდებოდა და მზად ვიყავ ყველაფერს შევბირებოდი. „იცოდე, აუცილებელივ ნახე, — მარიგებდა დედა, — კარგად დაიმახსოვრე, სახელად პედრო ჰქვია, გვარად პარამოა. მჭერა გაუხარდება შენი ნახვა“, მეც გაგუმეორე, რომ ყველაფერს გავაკეთებდი, რასაც მიბრძანებდა. განა შემეძლო იმ წუთში სხვაგვარად მოვქცეულიყავ? ისევ და ისევ ვარწმუნებდი, შევასრულებ-მეთქი შენს საბოლოო სურვილს. ამას მაშინაც კი ვიმეორებდი, როცა ძალისძალად ვინთავისუფლებდი თითებს მისი გათოშილი ხელიდან.

— კი არ სთხოვო, მოსთხოვე, — დამიბარა სიკვდილის წინ, — მოსთხოვე ის, რაც კანონით გეკუთვნის. დაე, შენ მაინც დაგიბრუნოს, რაც მე მერგებოდა, მაგრამ არ მაღირსა... მთელი სიცოცხლე არც მე და არც შენ ერთხელაც არ გაგვიხსენა და აბა შენ იცი, შვილო, რა ძვირადაც დაუსვამ.

— როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი, დედა.

ეს ცარიელი სიტყვები იყო, შესრულებაზე მაშინ არც მიფიქრია. მაგრამ დედის სიკვდილის შერე, თავადაც არ ვიცი რატომ, ანაზღად უნდა აბრებმა შემიპყრეს; ათასგვარი რამ წარმოვიდგინე, ვოცნებობდი, ვცხოვრობდი რაღაც გამოგონილ სამყაროში, ეს სამყარო იმედმა წარმოშვა, იმედით ვიყავი და ბარამო — დედაჩემის ქმარი მესახებოდა, აი, მაშინ კი გავეშვივებულა პარამოში.

ავვისტოს თავარა დღეები იდგა, ცხელ ქარს საპნის ხის მყრალი სუნი მოჰქონდა.

გზა ხან აღმა მიჰყევებოდა, ხან — დაღმა. „იქიდან გზა მთისკენ მიდის, შერე მთას უვლის ძირში, შინიდან გასულს — აღმართს უნდა აუყვე, შინისკენ მიმავალი — ველზე დაეშვები“.

— რაო, როგორა თქვით, რა ჰქვია იმ სოფელს? აგერ იქ, ველზე რომ მოჩანს?

— კომალა, სენიორ.

— არ გეშლებათ? ნუთუ მართლა კომალაა უკვე?

— დიახ, კომალაა, სენიორ.

— რატომ ჩანს ეგრე გავერანებულივით?

— ცუდი დრო დაგვიდგა, სენიორ.

ეს ადგილები სულ სხვაგვარად წარმომედგინა — იგი ხომ უკვე შენახა დედის მოგონებებში თუ მისი ნაღვლიანი მზერის მიღმა, გულიდან აღმომხდარ ოხვრასთან ერთად. მთელი სიცოცხლე დედა კომალაზე დარდობდა, ოცნებობდა იქ დაბრუნებაზე, მაგრამ ვერ აისრულა საწადელი. მის მაგივრად ახლა მე ვბრუნდები. აქაურობას დედის თვალებით ვუყურებ, ვინაიდან მან მიბოძა საკუთარი თვალები და მიბრძანა, მისი თვალებით შემზირა. „კოლიმოტესის ხიდის გაღმა იწყება შემოსული სიმინდის ყანის შეყვითლებული ზოლებით დასერილი თვალუწვდენელი მწვანე ველი, საოცრად ლამაზი მოშორებით კი ამ სიმწვანესა და სიყვითლეს შორის თეთრად მოჩანს კომალა, ღამ-ღამობით, სინათლეზე აკიაფებული ლივლივს უმატებს“, — მეუბნებოდა დედა, და ამ სიტყვებს ისეთი ჩურჩულით ამბობდა, თითქოს თავის თავს ესაუბრებოდა. დედა.

— მაპატიეთ ცნობისმოყვარეობა და თქვენ რაო, კომალაში საქმე გაქვთ რამე? — მომესმა ჩემი მისამართით ნათქვამი შეკითხვა.

მამის სანახავად მივდივარ-მეთქი, ვუპასუხე.

— აა! — სიტყვა გაწელა ჩემმა თანამგზავრმა.

ისევ გავჩუმდით.

ფერდობზე ჩავდიოდით, სახედრები ფრთხებოდნენ, ჩლიქებს ქვებზე კახკუხი გაუდიოდა, ავვისტოს სიცხისგან დამძიმებული ქუთუთოები მებლირტებოდა.

— იცოცხლე, გაიხარებს ალბათ მამათქვენი, — ისევ მომესმა მხარდამხარ მომავალი კაცის ხმა. — ქეიფს გადაიხდის თქვენ პატივისაცემად. ისე კი, რამდენი წელია აქ ყველას ფეხი აქვს ამოკვეთილი, რომც არ იყოთ მისი ვაყიშვილი, მაინც ნასიამოვნებში დარჩება, — დაუმატა ჩემმა თანამგზავრმა მცირე დაყოვნების შემდეგ.

ქვემოთ ხეატით გათანგული ველი ქათქათა საბურველშემოხვეული გამკვირვალე ტბასავით გაწოლილიყო; გამქრქალეებულ ნისლში ჩამუქებულყო კო-

რიზონტის ხაზი. პორიზონტს ზემოთ, ჰაერში ლივლივებდა მთაგრეხილის არათანაბარი კონტურები, მთაგრეხილს იქით კი ციალებდა უსასრულობაში განფენილი შორეთი.

— რა კაცია, რას წარმოადგენს მამათქვენი, საიდუმლო თუ არ არის?

— რა გითხრათ, არასოდეს მინახავს, მარტო ის ვიცი, რომ პედრო პარამო

ჰქვია.

— აა! ჰოო! გასაგებია.

— ასე მითხრეს, პედრო პარამო ჰქვიაო.

— ა-ა! — გაურკვეველად გააგრძელა მეჭორემ.

ამ კაცს ლოს-ენკუენტროს გზაჯვარედინზე შევხვდი, სადაც კომალასაკენ მიმავალ თანამგზავრს ვუცდიდი.

— საით გაგიწევიათ? — ვკითხე მეჭორეს.

— ველისკენ, სენიორ.

— კომალა თუ გაგიგონიათ?

— სწორედ იქით მივდივარ.

მეც უკან ავედევნე. მივყვებოდი უკან და ვცდილობდი როგორმე არ ჩამოვრჩენოდი. მაგრამ ისე მიაღაჯებდა, ვერ ვეწეოდი. მერე თითქოს შემამჩნია, სირბილით რომ მივდევდი და ნაბიჯი შეანელა, გვერდიგვერდ მივდიოდით, ფეხაწყობილები. ლამის მხარდამხარ.

— მეც პედრო პარამოს შვილი ვარ, — მაუწყა მან.

ჩვენს თავს ზემოთ, უდაბურ ცაზე ჩხავილით გადაიფრინა ყვავების გუნდმა. გადავლახეთ მთაგრეხილი და ველისკენ დავეშვით. ცხელი ჰაერი ზევით, ზურგს უკან მოვიტოვეთ. ჩვენ კი სულ მალე ისეთ შუაგულ სიციხეში აღმოვჩნდით, ჰაერიც არ იძვროდა. პაპანაქებით გათანგული არემარე თითქოს რალაცას ელოდა.

— ძალიან ცხელა თქვენთან, — ვთქვი მე.

— ეს რა სიციხეა, — არ დამეთანხმა ჩემი მეგზური, — ჯერ სადა ხართ, ჩავალთ კომალაში და ნახავთ, აი, იქ ცხელა თუ ცხელა, დედამიწას სიციხის ბული ასდის. სიკვდილის მერე კომალადან ვინმე ჯოჯოხეთში რომ მოხვდეს, გეუბნები, უკან საბნისთვის მოირბენს, ისეთი გრილი მოეჩვენება იქაურობა.

— ეტყობა, უნდა იცნობდეთ პედრო პარამოს, ხომ? — ვკითხე მე.


ასეთ შეკითხვას ვერ გაუბედავდი, თანამგზავრის თვალეებში რალაც თანაგრძნობის ნაპერწკალი რომ არ შემემჩნია.

— რა კაცია? — დავუზუსტე შეკითხვა.

— ცოფიან ძალღზე უარესი, — მიპასუხა და სრულიად უსაფუძვლოდ გადაუჭირა მათრახი ჩვენ წინ თავქვეზე ისედაც სირბილით მიმავალ ვირებს.

უცებ ვიგრძენი; ცხელმა ტალღამ როგორ გადამიარა გულზე იმ ადგილას, სადაც ხალათის ჯიბეში დედის სურათი მედო — თითქოსდა ამ აუტანელი სიციხისგან ისიც ჩემსავით ოფლად იღვრებოდა. ფოტოსურათი ძველი, კუთხეებმომტვრეული და კიდევდაძენძილი იყო. მაგრამ დედაჩემის სხვა სურათი არ დამრჩენია, ესეც სამზარეულოს კარადის უჯრაში ვიპოვე, ხმელ სუნელებთან — პიტნის კონებთან, აკაციის ყვავილებსა და რუდას ფოთლებთან იდო, მას აქეთ თან დამაქვს, აკი ვთქვი, მარტო ეს სურათი დამრჩა-მეთქი. დედას არ უყვარდა სურათის გადაღება, ამბობდა, სურათით ყველა ადამიანის მოჯადოება შეიძლება, კარგისაც და ცუდისაცო, მართლაც მთელი სურათი ნასვრეტე-

20/21



საქართველოს
მემორიალი

ბად იყო ქცეული, თითქოს ნემსით დაეჩხვლიტა ვილაყას, მკერდთან, გულის ადგილას კი ყველაზე დიდ ნახვრეტს ისე დაელო პირი, შუა თითი გაეტეოდა.

ეს სურათი მამაჩემისთვის წამოვიღე საჩვენებლად, ჩემი ქვეყნის, ვფიქრობდი, ამით შეიძლება უფრო მცნოს შვილად-მეთქი.

— გაიხედეთ, აი იმ ბორცვს ხედავთ? — მითხრა მეჯორემ და ნაბიჯი შეანელა, — იმის იქით იწყება მედია-ლუნას მიწები. ახლა მტრის მტრისადმი, აი, იქ, კომწამოშვერილი გორაკი რომაა, ხედავთ? ახლა აქეთ, აგერ, უფრო შორს — აქედან იქნებ ვერც კი გაარჩიოთ. — კიდევ ერთი გორაკი მოჩანს. მთელი ეს მიწები, რასაც კი თვალი გაუწვდება, მედია-ლუნას მამულებია და პედრო პარამოს ეკუთვნის, ჩვენ კი, მართალია, მისი შვილები ვართ, ცხოვრება მაინც გერებივით მოგვექცა. დედებმაც ქოხებში, ნამჯის ქილოფებზე დაგვაჩინეს, ყველაზე სასაცილო მაინც ისაა, რომ იგი ჩვენი ნათლიაც იყო. გეტყობათ, თქვენც არ გახსოვთ მისგან ხეირი.

- მე აბა რა მემახსოვრება?
- ჰოო? ჯანდაბას შენი თავი.
- რა ბრძანეთ?
- ადგილზე ჩქარა მივალთ-მეთქი
- ჰო, ეტყობა. ეს რაღა არის?
- მარებელ ჩიტს ვეძახით, სენიორ, რა თქმა უნდა, აქაურები.
- მაგას არ გეტუბნები. მე სოფელზე მოგახსენებთ. შეხეთ, ისეა დაცარიელებული, თითქოს ხალხი ამოწყვეტილიაო. ეტყობა, იქ აღარავინ ცხოვრობს.
- „ეტყობა“ კი არა, ნამდვილად არავინ ცხოვრობს.
- პედრო პარამო რაღა იქნა?
- პედრო პარამო რახანია მოკვდა.

სალამო ხანი იდგა, სწორედ ის დრო, როცა სოფლელი ბავშვები ქუჩებში გამოეფინებინან და ქრიამულით იკლებენ არემარეს; ბინდდაფენილი კლდეები კი ჩამავალი მზის სხივთა ნარინჯით იფარება.

ყოველ შემთხვევაში, ასე იყო გუშინ სალამოთი საიულაში. საიულაშივე ვნახე მტრედებიც, ისინი ჩემ ზემოთ ისე მიმოქროდნენ ფრთების ფართქუნით, თითქოს მიმავალ დღეს იბერტყავენო, ჯერ ჰაერში აიჭრებოდნენ, მერე ქვებივით წამოვიდოდნენ სახურავებისკენ, და ბავშვთა ვნისიც მათ კვალდაკვალ დაჰქროდა ცის სილაყვარდეში.

ამ სოფელში კი, სადაც ახლა ვიმყოფებოდი, სიჩუმე იდგა, ჩემი ფეხის ხმა მკაფიოდ ისმოდა ქვაფენილზე, ჩამავალი მზის სხივებისგან განათებული კედლები ყრუ ექოსავით იმეორებდნენ ჩემს ხმაურიან ნაბიჯებს.

დაბის მთავარ ქუჩაზე მივდიოდი. საითაც უნდა გაგებოდა, თვალში გეცემოდა უკაცრიელი, კარებჩამოხსნილი სახლები, ბალახმოდებული ზღურბლები. რა ჰქვია, რა ბალახია ეს? ჰო, თანამგზავრმა ამიხსნა, მრბევბალახია. აქ ასე ვეძახითო. ჩასაფრებულებივითაა ეს უკეთური, დაცარიელებული თუ არა სახლი, ღრიტოებში იწყებს ცოცვას. კომალაში შენი თვალით ნახავ, მთელ სახლებში ეგაა მოდებულიო.

გზაჯვარედინზე რომ გავიარე, მოშორებით შავ შალწამოსხმულ ქალს მოვკარი თვალი, მაგრამ ქალი უმალ გაქრა, თითქოს ჰაერში გალღვაო, ერთ წამს შეეჩერდი. მერე ისევ განვაგრძე გზა. მივდიოდი ქუჩაში და თვალს არ ვაცილებდი პირდაღებულ კარებს. ანაზღეულდად შალწამოსხმულ ქალს პირდაპირ შევევჩახე.

— სალამო მშვიდობისა, სენიორ! — მომესალმა და გვერდით ჩამიარა. მე მივტრიალდი და მივაძახე:

— სად ცხოვრობს დონია ედუვიხესი?

— იქ, — გაიშვირა ხელი, — ხიდის მახლობლად.

რაიმე უჩვეულო ქალისთვის არ შემიმჩნევია. ჰქონდა ჩვეულებრივი დამიანური ხმა, პირში — კბილები, კბილებს შიგნით კი — სწრაფი სუნამოების სურათი, როგორ უმოძრავებდა ენა ლაპარაკისას. თვალებიც ისეთივე ჰქონდა, როგორც ამქვეყნად ყველა ადამიანს.

ბინდი ჩამოწვა.

წასვლისას ქალმა მშვიდობის ღამე მისურვა. და თუმცა კვლავინდებურად არსად ჩანდნენ არც თამაშში გართული ბავშვები, არც მტრედები და არც ლურჯი სახურავები, ანაზღად ვიგრძენი, რომ სოფელში სიცოცხლე ჩქვფდა. და თუ გარემო უკაცრიელი მეჩვენებოდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიყავე შეჩვეული უკაცრიელობას. შესაძლოა იმიტომაც, რომ ყურებში ათასნაირი გნისი და ხმები მედგა.

ღიახ, ადამიანთა ხმები. აქ, სადაც თითქმის არ იყო ჰაერი და არ შეიძლებოდა სუნთქვა, ეს ხმები გაცილებით აშკარად ისმოდა. ამ ხმებს მე თავად ვატარებდი საკუთარ არსებაში და ისინი ქვებივით მამძიმებდნენ. გამახსენდა დედის სიტყვები: „იქ შენ კვლავ მოგესმება ჩემი ხმა და მაშინ უკეთ გამოიგებ. მე შენ გვერდით ვიქნები, ჩემი მოგონებების ხმები შემოაღწევენ შენს არსებაში და განდევნის ჩემი სიკვდილის ხმას, თუკი სიკვდილსაც აქვს თავისი ხმა“. დედა... ისევ ცოცხალია.

და მომინდა გამენდო მისთვის: „დედა, შენ არ მომეცი ზუსტი მისამართი. შეცდი და სწორ გზაზე ვერ დამაყენე. მითხარ „წადი აქა და აქაო“, მეც გზას დავადექი, დავუწყე ძებნა ქვეყნის დასალიერში მიკარგულ სოფელს და ადამიანს, რომელიც თურმე კარგა ხანია ცოცხლებში აღარ ყოფილა“.

მივყევი მდინარის ხმაურს და ხიდის მახლობლად სახლი დავინახე. ხელი გავიწოდე კარის გასაღებად, მაგრამ ხელი სიცარიელეს შეერიო; თითქოს ამ სიცარიელემ გამიღო კარი, ზღურბლთან ქალი იდგა.

— შემოდით, — წარმოთქვა მან.

მეც შევედი.

მე კომალაში დავრჩი. ჩემმა მეგზურმა კი თავისი ვირებით გზა განაგრძო.

— იქით მივდივარ, აი იმ, მაღალი მთებისაკენ, იქა მაქვს სახლი, — მითხრა დამშვიდობებისას, — თუ გინდათ, თქვენც წამოდით, მესტუმრეთ, თუ არადა, დარჩით. დაათვალიერეთ სოფელი, რაკი ასე გაინტერესებთ, იქნებ შემთხვევით ვინმე ცოცხალს გადააწყდეთ.

მეც დავრჩი. აკი ამიტომაც ვიყავი წამოსული.

— სად შეიძლება აქ ღამის გათევა? — დავაწიე კითხვა გზად მიმავალს.

— მონახეთ დონია ედუვიხესი, თუკი ისევ ცოცხალია. ჩემი სახელით მიდით.

— თქვენ რა გქვიათ?

— აბუნდიო, — გამომძახა შორიდან. გვარი კი ვეღარ გავიგონე.

— მე ვარ ედუვიხეს დიიდა. შემობრძანდით. — თითქოს მელოდებოდა. გზადაგზა მიხსნიდა, რომ ყველაფერი უკვე მზად ჰქონდა. გამატარა ბნელი და,

როგორც მომეჩვენა, სრულიად ცარიელი ოთახების გრძელი ანტილადა. თუმცა არა, როცა თვალი სიბნელეს შეეჩვია, სადღაც ზურგს უკან წვრილ-წვრილ ზოლებად დაცემულ სინათლის შუქზე, აქეთ-იქით შავი ჩრდილები შევამჩნიე: მივდიოდი ვიწრო გასასვლელში, მის გასწვრივ ჩარიგებულ რაღაც საგნებს შორის.

— რეებია ესენი? — დავინტერესდი.

— ათასნაირი ხარახურაა, მთელი სახლი ავეჯითა მაქვს გაჭედული, ხალხი წავიდა, ბარგი-ბარხანა კი ჩემთან მოზიდეს შესანახად. ოღონდ წასაღებად აღარავინ დაბრუნებულა. თქვენ შიგნითა ოთახი მოგიმზადეთ, იქ სხვისას არაფერს ვინახავ — ვინიცობაა ვინმე მოვიდეს. მაშ, იმისი ვაყიშვილი ხართ?

— ვისი ვაყიშვილი? ვისი გგონივართ? — ვკითხე მე.

— დოლორიტასის.

— დიახ, როგორ მიხვდით?

— თვითონ გამაფრთხილა, რომ დღეისათვის დაგლოდებოდით, აუცილებლად დღეს უნდა მოსულიყავით.

— ვინ გაგაფრთხილათ? დედაჩემმა?

— რა თქმა უნდა, აბა სხვა ვინ?

აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა. მაგრამ ფიქრს ვინ მაცლიდა.

— შემოდით, — ჩაილაპარაკა ქალმა.

ოთახს მხოლოდ ერთი კარი ჰქონდა. ის, საიდანაც შევედით. დიასახლისმა სანთელი აანთო, ვხედავ, ოთახში არავითარი ავეჯი არა დგას.

— აქ საწოლი რომ არ არის? — გავიკვირვე.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. გზამ ალბათ დაგღალათ, დალილისთვის კი ყველა დოშაქზე უკეთესი ძილია, საწოლს ხვალისთვის მოგიმზადებთ, ნაუცხადევად ქვეყანაზე არაფერი გაკეთებულა, ადრე შეგეტყობინებინათ, უკეთ დაგიხვდებოდით, მაგრამ დედათქვენმა მხოლოდ უკანასკნელ წუთებში გამაფრთხილა.

— დედამ? — გავშეშდი ლამის. — დედა ხომ მოკვდა?

— კოო? ალბათ მაგიტომაც ჰქონდა ისეთი სუსტი ხმა, ძლივძლივობით მესმოდა საიდანღაც. ახლა კი მივხვდი. დიდი ხანია გარდაიცვალა?

— შვიდი დღე იქნება.

— აჰ, რა სამწუხაროა, სიკვდილის წინ ალბათ ფიქრობდა, ყველამ დამივიწყა, მარტო ვკვდებო. ჩვენ — მე და დედათქვენი — ერთმანეთს შევპირდით, რომ ერთად დავხოცილიყავით. ერთად სიკვდილი უფრო იოლია, ისე საშინელი აღარ გეჩვენება ამ წუთისოფელთან განშორება. ეს ისე, ჩვენთვის გადავწყვიტეთ: ცხოვრებაში რაღაც არ ხდება, შეუძლოდ იგრძნობ თავს, და... ჩვენ კი მეგობრები ვიყავით, თანაც განუყრელი, ნუთუ არასოდეს უამბნია ჩემზე?

— არა, არასოდეს.

— უცნაურია. რას იზამ, მაშინ სულ პატარა გოგოები ვიყავით. დედაშენი ის-ის იყო გათხოვდა, ერთმანეთი მაინც მეტრისმეტად გვიყვარდა, დედა ძალიან კარგი იყო, ყვაველივით ნაზი, თანაც გულითადი. შეხედავდი და, უცებ მიგივარდებოდა გული, მართალს გეუბნები. თვალს ვერ აშორებდნენ... მაშ გამასწრო? არა უშავს, დავეწევი. აი, ნახავ თუ არა. ზეცამდე გზა მოკლე არ არის, ცაში კი რამდენი გზა მიდის, ეს მარტო მე ვიცი, ვიცი, შორიდან მოუვლელად, პირდაპირ როგორ უნდა მოვხვდე იქა, დღეთის წყალობით, სიკვდილი.

უწინარესად, უფლის ნებით კი არა, საკუთარი მიხვედრილობით გვჭირდება. წუთისოფელს ნაადრევად მოშორება თუ დაგჭირდა, უნდა შეგეძლოს აიძულო ღმერთი, ვადაძლე გიხმოს. ხედავ, „შენობით“ დაგიწყე ლაპარაკი. მაშინვე მოხუცს. ჩემთვის შენ ღვიძლი შვილივით ხარ. ჰო, ჰო, რამდენჯერ მოთქვამს საკუთარი თავისთვის: „სადაც სამართალია, დოლორესის შვილი ჩემი უნდა ყოფილიყო-მეთქი“. კეთილი, ამაზე სხვა დროს მოგიყვები. შენ კი მინდა დაშენს მარტო არ მივატოვებ — გრძელი გზა არის სასუფევლამდე, მაგრამ მაინც დავეწევი.

პირველად გუნებაში გავივლე, დიასახლისი ვერ არის-მეთქი ჰკუაზე, მერე უკვე თავში აღარავითარი აზრი არ მომდიოდა. ერთ რამესღა ვგრძნობდი, — თითქოსდა რაღაც სხვა განზომილების სამყაროში მოვხვდი. ღუზას მოწყვეტილი ნავივით მივწვებოდი დინებას. სხეული მომიდუნდა, დამყოლი გახდა, რა ფორმასაც გინდა, იმ ფორმას მისცემდი, ნაჭრის ბურთივით შეგეძლო მიგესროლ-მოგესროლა.

— კარგი იყო, დამესვენა, — ვთქვი მე.

— წავიდეთ, ნამგზავრმა ჯერ უნდა წაიხემსო. ცოტა რაღაცა მაინც შექამე.

— მერე იყოს, მერე მოვალ.

„წკაპ“, „წკუპ“, — წკაპაწყუპით დიოდა სახურავიდან წვიმის წვეთები. წვიმისგან ეზოში, ლაფაროს ქვეშ გრძელი თხრილი გაჩენილიყო ქვიშაში. „წკაპ, წკუპ“, — ისმოდა წამდაუწუმ და წვეთები თავგამეტებული წკაპუნით ეცემოდნენ აგურებშუა ამოზრდილ დაფნის ფოთოლს ზედ შუაგულში. ფოთოლი იდრიკებოდა და ხტოდა. ქექა-ქუხილმა გადაიარა, დროდადრო უბერავდა ქარი და ბროწეულის ხეს დატაკებული მბრწყინავ წვეთთა ჩქერებს ბერტყავდა ტოტებიდან. მიწაზე დაცემული წვეთები უკვალოდ ქრებოდნენ. სანამ ქექა-ქუხილი იდგა, ქათმები აფხორილები ისხდნენ, თითქოს სძინავთო. მერე უცებ გამოცოცხლდნენ, ფრთების ფართქუნით ეზოში გამოცვივდნენ და ნაწვიმარზე მიწიდან სამზეოზე გამოსულ მატლებს ხარბად და გამალებით დაუწყეს აკენკვა. ღრუბლებგადაყრილი, ქვებზე აბუღვრიალებული მზის სხივები ირგვლივ ცისარტყელის ფერებად იღვრებოდა, ჰაერში კრთოდა, ფოთლებზე ეცემოდა, ფეხდაფეხ ასდევნებოდა ქარს და მხურვალე ტუჩებით ხარბად იწოვდა წყალს დედამიწიდან.

— სანამ უნდა იჯდე, შვილო, მაგ საპირფარეშოში?

— ახლავე, დედა.

— დიდხანს რომ იჯდე, გველი გამოძვრება და გიკბენს.

— ვიცი.

„მე შენზე ვფიქრობდი, სუსანა. გახსოვს, მწვანედ მობიბინე მთის თხემები? ქარი რომ ამოვარდებოდა, იქიდან ფრანებს ვუშვებდით. დგახარ მთის თხემებზე, ქარს ფრანი სულ უფრო მაღლა და მაღლა და შორს მიაქვს, თან ქერელის ბაწარს სჭიმავს, ბაწრის გორგალიც იშლება, იშლება შენს ხელებში, შენც თვითონ თითქოს მაღლა ლივლივებ შენს ფრანთან ერთად. და უკვე გაურკვეველ ეჭოდ გესმის სოფლის ხმაური. „მომეხმარე, სუსანა!“ ჩემს ხელზე შემოჭდობილი შენი ფაფუკი ხელები ბაწარს უჭერს. „გამოუშვი“.

„ქარისგან სუნთქვაშეკრულები ვიცინოდით. ქარი გვახალისებდა, გვაიძულებდა, გვეცქირა ერთი და იმავე წერტილისთვის, ის აერთებდა ჩვენს მზერას.

ბაწარი კი თითებს შუა თანდათანობით გვისხლტებოდა გაფრენილი ფრანის კვალდაკვალ, სანამ სიმივთ დაჭიმული არ გაწყდებოდა — ისე მსუბუქად გაიტაცუნებდა, თითქოს ფრინველმა ანაზდეულად ზედ ფრთა გაჰკრაო. მალლა ცაში. ჰაერის ტალღებზე, მოლივლივე ჩვენი ქალაღის ჩიტო თანდათანობით გვშორდებოდა, მეორე წუთში ისევ გაიელვებდა საღლაც შორს, ქვემოთ მოფარფატე ნექის კუდით. მერე ქრებოდა ისევ და იძირებოდა დედაძიწის მწვანე უსასრულობაში“.

„ტუჩები ისეთი სველი გქონდა, თითქოს ნამიან განთიადს ეკოცნა“.

— ამ წუთში გამოდი საპირფარეშოდან! რა გითხარი?

— მოვდივარ, დედა, მოვდივარ.

„შენ გიხსენებდი იდექი და შემომცქეროდი, თვალეში ზღვის სილაყვარღის ფერი გედგა“.

ბიჭმა თავი მალლა ისწია და დედა დაინახა, კარს იქით უცდიდა.

— მთელი საათი მანდ რა გინდა, რას აკეთებ?

— ვფიქრობ.

— ფიქრი სხვაგანაც შეიძლება, საპირფარეშოში დიდხანს ჯდომა მავნებელია. მეტი საქმე თუ არა გაქვს, წადი ბებიასთან და სიმინღის ჩირჩენაში მივხმარე.

— წავალ, დედა, ახლავე წავალ.

— მოსახმარებლად მოვედი, ბები, სიმინღი დავჩირჩნოთ.

— დასაჩირჩნი აღარაფერია, ჯობია კაკაო დავფქვათ, სად დაიქარგე ამისთანა კეჭა-ქუხილში? შენს ძებნაში არაქათი გამოძელია.

— იქით ეზოში ვიყავი.

— რას, შერებოდი? ლოცულობდი?

— არა, ბები, წვიმას ვუყურებდი.

ბებიამ ყურადღებით აათვალიერა, თვალეში კი განსაკუთრებული ჰქონდა: ნაცრისფერი, წითლად დაწინწკლული — ერთი ახედ-დახედვით ხედებოდა, რა გედო გულში.

— კეთილი, წადი, გაწმინდე საფქვაავი.

„სუსანა, შენ იქ ხარ, მალლა, სულ მალლა, ყველა ღრუბელზე უფრო მალლა, ამქვეყნად ყველაზე მალლა არსებუღის კიდევ უფრო მალლა... შენ მიულწვეელი ღვთაება ხარ ჩემთვის, ჩემი მზერისთვის დაფარული ხარ, განგების ნებით, იქა ხარ, საღაც ვერ აღწევენ ჩემი სიტყვები“.

— ბები, საფქვაავს ხრაახნი გასტეხია.

— ეტყობა, ისევ სიმინღი დაფქვა მიქაელამ, ვერა და ვერ მოვაშლევიინე, რას იზამ!

— ჩვენც ახალი საფქვაავი ვიყიდოთ, ეს მაინც აღარაფრად ვარგა, რაღაში უნდა გამოვიყენოთ?

— მართალია, აღარ ვარგა, მაგრამ ჰაპაშენის დამარხვაზე რამდენი დაგვეხარჯა, დაგავიწყდა? ეკლესიის საღესეტინო გამოსაღებიც გადავიხადეთ, ლამის უგროშოდ დავჩრით... მაგრამ წელეებზე ფეხიც რომ დავიდგათ, ახალი საფქვაავი მაინც უნდა ვიყიდოთ, დონია ინესა ვიღიალბანღოსთან გაიქეცი, ოქტომბრამდე ვსესხე ფული, მოსავალს ავიღებთ თუ არა, გადავუხდით ვალს.

— კარგი, ბები.

— ცალ-ცალკე სათხოვნელად რომ არ მივიდეთ, ბარემ უთხარი, საცერი

და სასხლავი დანაც გვათხოვე-თქო, ღობე ერთიანად გაიბარჯლა. კვლავინდებურად ჩემს დიდ სახლში რომ მეცხოვრა, არაფერი მექნებოდა სადარდებელი. ისეთი ტყრუშული ღობე გვერტყა, ჩიტი ვერ გადმოფრინდებოდა! ჩაბმენის ბრალია, ქარს გაატანა ყველაფერი და აქ გადმოსახლდა. ეტყობა, ღმერთმა მოგვისაჯა, თქვენს ნება-სურვილზე არ იცხოვროთო. დონია ინესას უთხარა, მოსავალს როგორც კი ავიღებთ, ვალს მაშინვე მოგიშორებთ-თქო.

— კარგი, ბები.

ბიჭმა ჰაერში მონავარდე კოლიბრები დაინახა. სწორედ ამ დროს იცოდნენ მოფრენა. ყური მიუგდო აყვავებულ ლეილალის ბუჩქებს, საიდანაც ფრთების მსუბუქი ფართქუნი ისმოდა.

ბიჭმა ოთახში შეირბინა და კონსოლიდან, რომელზედაც წმინდა გულის გამოსახულება ეკიდა, ოცდაოთხი სენტავო აიღო. ოცი სენტავო მოაკლო და ოთხი უკანვე დადო.

კარებში დედის ხმა წამოეწია.

— სად მიდიხარ?

— დონია ვილიალპანდოსთან, ახალი საფქვაავი უნდა ვიყიდო, ძველი გაგვტეხია.

— დონია ინესას უთხარი, ერთი მეტრი შავი თავთაც გამოგატანოს, აი, ამნაირი, — და ხელში პატარა ნიმუში ჩაუდო, — ჩვენს ანგარიშს მიუმატე-თქო.

— კარგი, დედა, ვეტყვი.

— უკან მიბრუნებისას ასპირინიანი კოფეინის აბები მიყიდე. დაწულ ხელსახოცზე რომ ვაზა დგას, ფული იმაშია...

ვაზაში ერთი პესო აღმოჩნდა. ბიჭმა პესო აიღო, თავისი ოცი სენტავო ისევ კონსოლს უკან შეინახა.

„ასეთი კაპიტალით ცხოვრება შეიძლება!“ — გაიფიქრა და სულ ხტუნვა-ხტუნვით გაუდგა გზას.

— პედრო! — გაისმა მის ზურგს უკან, — პედრო!

მაგრამ ბიჭი უკვალოდ გაქრა.

საღამოთი ისევ მოვარდა თავსხმა. პედრო დიდხანს იწვა, უსმენდა ხმაურსა და წყლის შხაპუნს, მაგრამ, ეტყობა, შეუმჩნევლად ჩაეძინა, რადგან გაღვიძებისას სახურავიდან ოდნავლა ესმოდა წვიმის შრიალი. ფანჯარა დაორთქლილიყო, გარედან მინაზე ერთმანეთს უებთდებოდნენ წვეთები და ზოლ-ზოლად, როგორც ლოყაზე ცრემლები, ისე ჩამოედინებოდნენ. „ელვის შუქზე ვუმზერდი წვიმის წვეთებს და შენ გეკუთვნოდა ჩემი ყოველი ამოოხვრა, ჩემი ფიქრებიც მარტოოდენ შენ დაგტრიალებდა, სუსანა“.

ქარმა გადარეკა საავდრო ღრუბლები. ბიჭის სმენას მისწვდა როზარის ბოლო სიტყვები: „ცოდვათა მიტევება და ხორცის აღდგომა. ამინ“. სადღაც შიგნით ოთახებში ქალები ლოცულობდნენ. მერე მოესმა, როგორ წამოდგნენ, როგორ მიხურეს საქათმის კარი, როგორ ჩაკეტეს სახლი მძიმე ურდულით, სანთელი ჩააქრეს და დაწვინენ.

ახლა ოთახში მხოლოდ ღამის შუქი, წვიმის შრიალი და კრიკინობელათა ძლივს გასაგონი კრიკინი აღწევდა.

1. როზარი — კათოლიკური ლოცვა, როდესაც გარკვეული რიგით ჩამდენჯერმე მეორდება ლოცვები: „მამო ჩვენო“, „ღვთისმშობელო“ და აგრეთვე „მწამს“.

— რატომ არ მოხვედი როზარის წასაკითხად? ცხრადლიანი სულის მოსახსენიებელი ლოცვა გულმოდგინედ უნდა სრულდებოდეს, პაპის სიკვდილიდან კი ჭერ ცხრა დღე არ გასულა.

კარის ზღურბლზე სანთლით ხელში დედა იდგა. მისი ტირილი მთელ კედელს ასდევდა, კუთხიდან ჭერს ეფინებოდა, მაგრამ კოჭებს ტირილიც დაემტვრია, თითქოს ძვლები გადაეტეხა.

— ისედაც არაფერი მეხალისება, — უპასუხა ბიჭმა.

დედა მაშინვე შეტრიალდა. სანთელი ჩააქრო, კარი მიიხურა და ბიჭმა გაიგონა, როგორ ატირდა. ტიროდა დიდხანს, მისი ტირილი წვიმის შრიალს უერთდებოდა.

ეკლესიის სამრეკლოზე ზარებს რეკდნენ, რეკდნენ შეუწყვეტლივ, გაბმულად.

— ჰო, ჰო, კინალამ მე გავხდი დედაშენი, ნუთუ დედას არასოდეს უამბია შენთვის?

— არა, ის მარტო კარგ ამბებს იხსენებდა. თქვენ შესახებ კი პირველად მეჭორისაგან შევიტყვე. ვისთან ერთადაც მოვედი აქამდე, აბუნდიო ჰქვია სახელად.

— აი, ყოჩაღ, ყოჩაღ! არ დავეციყებივარ, კაცმა რომ თქვას, უმადური რაზე უნდა იყოს, თუკი ვინმე გამოუგზავნია, ყველა მდგმურისთვის ვუხდიდი საფასურს. ორივესათვის ხელსაყრელი იყო. ახლა უკვე ცუდი დრო დაგვიდგა. მას შემდეგ, რაც ასე გავპარტახდით, ჩვენკენ აღარაფერი იხედება. ეტყობა, იმან გირჩიათ, ჩემთან მოსულიყავით, ხომ?

— დიახ, ისიც მასწავლა, როგორ უნდა მომენახეთ.

— მადლობელი ვარ, მადლობის მეტი აბა რა მეტქმის. კარგი ადამიანი იყო. ერთგული. სანამ ჯანი მოსდევდა, წლიდან წლამდე ფოსტა ჩვენთან მაგას მოჰქონდა. გუშინდელ დღესავით მახსოვს ის დათარსული დღე, ეგ უბედურება რომ დაემართა. ყველას ეცოდებოდა, რადგან უყვარდათ. მოვიდოდა, წერილებს დაგვირიგებდა, ჩვენს წერილებს უკან წაიღებდა, თან გვიყვებოდა, რა ხდებოდა ცხრამთას იქით, ქვეყნიერებაზე. იქაურებს ალბათ ჩვენს ამბებს უყვებოდა. ხალხს ოღონდ ახალი ამბები ასმენინე და საჭმელ-სასმელსაც აღარ მოგთხოვს. რო დაყრუვდა, კაცი თითქოს გამოცვალესო. უენო გახდა. „აბა, იმაზე რა უნდა მოგიტხოვროთ, რაც ჩემი ყურით არ მომისმენიაო, არც სურვილი მაქვს საამისო და არც ხალისი, ხმა თუ არ მესმის, სიტყვის მადლი თუ ვერ ვიგრძენი, ეს იმას ნიშნავს, ჩემთვის არ ლაპარაკობო“. ყველაფრის საბაბად კი ერთი უბრალო შემთხვევა ექცა. გველებს პეტარდებით ვაფრთხოვდით, მაგას მაშინ ზედ თავზემით გაუსკდა ტკაცუნა. იმ დღიდან თითქოს დამუნჯდა, თუმცა ლაპარაკი შეეძლო და ხალხსაც ძველებურად უყვარდა.

— თქვენთან გზა ვინც მომასწავლა. ის ყრუ არ იყო.

— მაშინ ეს სხვა ყოფილა. ჰო, თანაც ის აბუნდიო მოკვდა. ნამდვილად მოკვდა. თვითონ განსაჯეთ, ის აბა როგორღა მოგაცილებდათ.

— მართალია. რა თქმა უნდა, ვერ მომაცილებდა.

— ყველაფერი მინდა მოგიტხოვრო დედაშენზე... ის ყმაწვილი, ვისზედაც გიყვები, მედია-ლუნაში მუშაობდა, ცხენების მხედნავი იყო. სახელად ინოსენსიო ოსორიო ერქვა. მაგრამ ყველა „კალიას“ ეძახდა, ისე ემარჯვებოდა ხტობა. ნათლია პედრო იტყოდა ხოლმე, მაგნაირი ფეხების პატრონები მხედნავებად

იბადებიანო. კიდევ ერთი რამ ეხერხებოდა — მისნობა, ადამიანის მოჯადოება შეეძლო. ყველაფერი, ჭეშმარიტად, ღმერთისგან ჰქონდა ნაბოძები. თუ მოისურვებდა, ირთი შეიმოხედვით ჭკუას დაგაკარგვინებდა. ბევრს აფრიალებდა. მათ შორის დედაშენსაც. მეც კარგად დამიბნია დავთრები. ერთხელ ავად გავხდდი. მოდიხ და შეუბნება „ახლავე დაგზელავ და განიკურნებიო“. დაზღვევა კი ასეთი იყო: გტაცებდა ხელს და თითებიდან დაგიწყებდა ზელვას. მერე თან დათან ზევით და ზევით მიიწეგდა. ჯერ იდაყვამდე, მერე მხრებამდე, მერე საბანს გადაგაძრობდა — შენც იწევი საბანგადახდელი. ცივა, გაკანკალებს. ის კი ახლა კანჭებს მიადგება, გრძნობ, უკვე მთელ სხეულში სითბო გივლის, მხურვალეზამ ლამის დაგწვას, ის კი განაგრძობს ხელების სმას, თანაც გიყვება, ცხოვრებაში რა მოგელის, ლაპარაკობს და ლაპარაკობს ენაგაკრეფილი, თვალებს ატრიალებს, ფიცულობს, უწმინაურად იგინება, დორბლებს გაყრის, მოკლედ, არც მეტი და არც ნაკლები, როგორც ჩამდვილი ბაზრის ბოშა. ხანდახან ისეა გამოწყობილი, მთელ ტანისამოსს შემოიხევეს და დედიშობილა რჩება. სურვილებს ვზა უნდა მისცეო. უყურებ და გარჩენს. რამდენჯერ მომხდარა ასე. ხელს ყველგან გიფათურებს. გისინჯავს იმ ადგილსაც, სადაც ავადმყოფობაა ჩაბუდეებული. და აი, ერთხელ დედაშენიც მივიდა მასთან. ის კი ეუბნება: „ამალამ კაცთან არ დაწვე, თორემ მთვარე გაგირისხდებაო“.

დოლორესი ჩემთან მოვიდა. „რა ვქნაო, ტირილით ლამის თავს იკლავდა, ჩემთვის ამალამ არ შეიძლებაო“. ამით ის მითხრა, რომ იმ ლამეს პედრო პარამოსთან დაწოლა არ შეეძლო. ეს კი მისთვის ქორწინების პირველი ლამე იყო. მე დავამშვიდე, „ნეტა რა ყურს უგდებ ოსოროს, არ დაუჭერო, თაღლითი და მატყუარა-მეთქი“.

„არ შემიძლია წასვლა, მოდი შენ წადი ჩემ მაგივრად, პედრო ვერაფერს ვერ მიხვდებაო“.

მაშინ სულ ბავშვი ვიყავი. არც სახე მქონია, ახლა რომ მაქვს, ამისთანა გაშავტყავებულს, მოკლედ, სიბნელეში ყველა კატა რუხია.

„როგორ შეიძლება, დოლორეს, შენ თვითონ უნდა წახვიდე-მეთქი“.

„ოღონდ ახლა მიხსენ, ვალში არ დავრჩებიო“.

უებროდ თვინიერი თვალეები ჰქონდა მაშინ დედაშენს. მთელი მისი მშვენება თვალეები იყო. ერთი რომ შემოგბედავდა, უარს ველარაფერზე ვერ ეტყოდი.

„წადიო, მეხვეწებოდა, წადიო ჩემ მაგივრად“.

მეც ავდექი და წავიდი.

სიბნელეშიც გამაბედვინა, და კიდევ იმან, რაზედაც დედაშენი ვერც იეკვებდა — პედრო პარამო მეც მომწონდა.

დავწევი მასთან. დავწევი ჩემი ნებით, თანაც სიხარულით. მაშინ იმას ლამის ყველა ზედ ეწებებოდა. იმას კი აინუნშიც არ ჩავუგდივარ, იწვა წინა დღის ქეიფით ხელმოთავეებული და მთელი ლამე უგონოდ ხვრინავდა. მარტო ფეხები ჩამიხლართა ფეხებშუა, ეგ იყო და ეგ, მაგით დამთავრდა ყველაფერი.

ჯერ არც ერიყრათა, წამოვბტი და დოლორესთან გამოვიქეცი.

„ახლა შენ წადი, შენთვის უკვე შეიძლება-მეთქი“.

„მოხდა თქვენ შორის რამეო“, — მეკითხება.

„აბა რა ვიცი, ვერ გავიგე-მეთქი“.

მეორე წელს შენ გაჩნდი, მაგრამ მე კი არა, დედაშენს გაუჩნდი, თუმცა ჩამდვილად შემთხვევით პრალია, მე რომ არ გავხდი დედაშენი.

ალბათ შერცხვა დედაშენს შენთვის ამ ამბის მოყოლა.

„...უყურებ მწვანე ველს. ხედავ, პორიზონტის სუნთქვა როგორ აპყლია ქარისაგან აღელვებულ ყანის რიტმულ რწევას, როგორ ჩამოსდის წვეთის გამკვირვალე კულულები სახეზე საღამოს. ისუნთქავ მიწის ფერებს, იონებისა და ახლად გამოშვებარი პურიისა და ქუჩაბანდებში განფენილ მოტკბილო — თითქოსდა დაღვრილი თაფლის სურნელს“.

დედაშენს არასოდეს არ ჰყვარებია პედრო პარამო. „დოლორიტას! მაღირსებენ დღეს საუზმეს თუ არა“? — და დედაშენს უთქვინდებოდა. ცეცხლს დილით ბუხარში თვითონ ანთებდა. აცხობდა ტორტილიას, ხალავდა კაკოსა და ყავას, კვამლის სუნზე კატები იღვიძებდნენ. დოლორესი საქმიანობდა, კატებიც ჭგროდ დაჰყვებოდნენ. საითაც წავიდოდა, ყველგან თან დასდევდნენ.

„დონია დოლორიტას!“

დღეში რამდენჯერ სმენია დედაშენს ეს ძახილი! „დონია დოლორიტას! შემწვარი ხორცი სულ გაყინულა, პირში აღარ ჩაიშვება!“ რამდენჯერ სმენია! და თუმცა უკვე შეჩვეული იყო ასეთ მიმართვას. უწყინარი თვალები მაინც პირქუში გაუხდა.

„...რბილ შავასთან ერთად ისუნთქავ აყვავებული ფორთოხლის სურნელებას, რომელსაც დაუჩაბნავს სხვა ყველა სურნელი“.

„რაზე დარდობ, ასე რად ოხრავ, დოლორიტას?!“

იმ საღამოს მეც მათთან ვსვირნობდი, დავდიოდით მინდორში და ვუყურებდით გუნდ-გუნდად როგორ დაფრინავდნენ შაშვები, ჩვენ თავს ზემოთ კი ქორი არტყამდა ირავს.

„რაზე ოხრავ, დოლორიტას?“

„იმ ქორივით ფრთები რომ მომცა, ჩემს დასთან გავფრინდებოდი“.

„ფრენა რად გინდა, დონია დოლორიტას, გზის ფულს დაგამადლით? გზას დღესვე დაადექით, ნულარ გადადებთ! წავიდეთ შინ. ბრძანებას გავცემ, ჩემოდანი ჩაგილაგონ! გავფრინდებოდიო! ეგ რამ მოგაფიქრა?“

და წავიდა დედაშენი,

„მშვიდობით, დონ პედრო“.

„კეთილი მგზავრობა, დოლორიტას!“

დედაშენი აღარ დაბრუნებულა მედია-ლუნაში. რამდენიმე თვის შემდეგ პედრო პარამოს ვკითხე, როგორ არის-მეთქი დოლორიტასი.

„თავის და ერჩივნა, ეტყობა, თაფლი აცხია მე კი ბოლო ხანებში ნერვებსლა მიშლიდა. არხეინად იყავი, უკან გამოკიდებას არ ვაპირებ“.

„სარჩო ხომ უნდათ, რამ უნდა აცხოვროთ?“

„ღმერთი მოწყალეა, კაცს როგორც გააჩენს, ისე დაარჩენს“.

„...მთელი სიცოცხლე არც მე და არც შენ ერთხელაც არ გავხსენებიათ, და აბა შენ იცი, შვილო, როგორ ძვირადაც დაუხვამ“.

იმ დღიდან გუშინდლამდე აღარაფერი გვსმენია დედაშენზე. გუშინ კი გამაფრთხილა, რომ სტუმრად მეწვეოდი.

— პო. ბევრი რამ გადავიტანეთ, — ამოვღერლე მეც, — კოლიმერში დეიდა პერტრუდასთან დავსახლდით, ის კი სულ გვაყვებოდა. კისერზე მაზიხართო. „აღარ დაბრუნდები იმ შენს ქმართან?!“ — უყვიროდა დედას.

„როდის გამომიგზავნა მოციქული, სად წავიდე? სანამ არ მიხმობს, არსად წამსვლელი მე არა ვარ, ჩემი ღვიძლი ხარ, მომსურვილდი, მიყვარდი, და ამიტომ ჩამოვედი“.

„ძალიან კარგი, მაგრამ მთელი სიცოცხლე სტუმრობა არ ვამიგია, ნამუსიც კარგი საქონელიაო“.

„ჩემზე რომ იყოს“

მეგონა, ქალი მისმენდა, ის კი იჯდა, თავი გვერდზე გადაეგდო და თითქოს რაღაც შორეულ ხმას აყურადებდა.

— არ დავიძინოთ? — შეითბა პოლოს.

„იმ დღეს შემდეგ, რაც წახვედი, სუსანა, მიეხვდი, ველარასოდეს ველარ განახვდი, მიდიოდი მკრთალი ცის სისხლით განბანილი ჩამავეალი მზის სხივებით გარემოსილი და აღიმებოდი, სტოვებდი სოფელს, რომელზედაც ხშირად გითქვამს: „ესეც შენ გამო მიყვარს; მეჯავრება სხვა ყველაფრისთვის, იმისთვისაც კი, რომ აქ დავიბადეო“. ვავიფიქრე, აღარ დაბრუნდება-მეთქი, და გულში ჩემთვის, ვინ იცის, მერამდენედ ვიმეორებდი: „აღარასოდეს დაბრუნდება სუსანა, აღარასოდეს“.

— ამ დროს აქ რა გინდა? სამუშაოზე რატომ არა ხარ?

— სამუშაოზე ვარ, მაგრამ როხელით მიბრძანა, ბავშვს მიხედო, მეც სასეირნოდ გამოვიყვანე. როხელით თვითონ საბილიარდში ლუდს შეეჭყევა, მე კი ლამის წელში გავწყდე ამ ბავშვსა და ტელეგრაფს შუა, თანაც გროში რა არის, გროშსაც არ მიხდის.

— შენ მაგასთან ხელფასისათვის ხომ არ დამდგარხარ? ჯერ მოწაფე ხარ, როცა ისწავლი, ფული შეიძლება მერე მოსთხოვო, მოწაფეს არ ეთქმის ნამდვილი მუშა, არა უშავს, სამაგიეროდ, ვინ იცის, მერე უფროსობასაც გამოკრა ხელი, მოთმინება ამისთვის საქირო, მთავარია — გულმოდგინება გამოიჩინო, ბავშვთან გაგგზავნიან? სიტყვაშეუბრუნებლად უნდა წახვიდე, რას იზამ, ღმერთი თავდაც ითმენდა და ჩვენც მორჩილება გვიბრძანა.

— ვისაც უნდა, მოითმინოს, მე კი, ბები, მორჩილებას, იცოდე, არ ვაპირებ.

— ახირებულნი და გაქირი ხარ, ეპ, გული მიგრძნობს, ცხოვრება თავზე ხელს არ გადაგისვამს, პედრო პარამო.

— რას უსმენთ, დონია ედუვიხეს?

ქალმა თავი ისე შეატრია, თითქოს ძილიდან გამოფხიზლდაო.

— ეს მიგელ პარამოს ცხენია, მედია-ლუნას გზებზე მოქრის.

— ხალხი ისევ ცხოვრობს მედია-ლუნაში?

— არა, იქ აღარავინ არა ცხოვრობს.

— აბა რა ცხენია?

— ცხენი? ისე, თავისთავად, მისი ჭენება ხშირად ისმის, ხან აღმა მიჭიხვინებს, ხან — დაღმა, ცხენი და მხედარი ლამის განუყრელნი იყვნენ. ჰოდა, ახლა ცხენიც სულ ეძებს თავის პატრონს, მთელ მხარეს დაირბენს, ამ დროს კი უეჭველად ბრუნდება ხოლმე, ეტყობა, ნამუსი აწუხებს და ადგილს ვერ პოულობს, თუ ბრალი მიუძღვის, საქონელიც გრძნობს თავის დანაშაულს.

— ვერ მიეხვდი, რაზე ლაპარაკობთ? მე არავითარი ფლოქვების თქარუნი არ გამიგონია.

— არც ახლა გესმით?

— არა.

— ეტყობა, მე მაქვს მეექვსე გრძნობა, ღმერთმა მიწყალობა ასეთი უნარი, თუმცა წყალობა კი არა, შეიძლება ღვთის რისხვიც იყოს, ქვეყანაზე არავინ იცის, ამის გამო რამდენი ტანჯვა გამოვიარე.

იგი დადუმდა.

— ყველაფერი ჩემი ნათლულიდან, მიგელ პარამოდან დაწყებულ. — ალა-პარაკდა ხელახლა, — ერთადერთმა მარტო მე ვიცი, რა გადახდა იმ ღამეს. წუთისოფელს რომ გამოესალმა, უკვე დასაძინებლად დაწვეტი. უცბად მესმის. პარამოს კვიცი თქარათქურით მოჭენდა მედია-ლუნაში, ექსპერტული არ იყო, უცნაურად მომეჩვენა: მიგელი ამ დროს არასოდეს მხუწუნებდა პარიყრაყი იდგა. კონტლში ერთ ქალიშვილთან დადიოდა, არის ჩვენთან ეგეთი ქალაქი. გზა იქამდე არცთუ მოკლეა. აღრიანად გადიოდა, გვიან ბრუნდებოდა, მთელ ღამეს ფანჯარასთან ქალს შორიდან ესიყვარულებოდა, მაგრამ იმჯერად აღარ დაბრუნდა, ახლაც არ გეყურებათ? ფლოქვეების ხმა აშკარად ისმის, უკვე ბრუნდება.

— არა, არ მესმის.

— ხმა, ეტყობა, მარტო ჩემამდე აღწევს. იმ ღამეს ეგონათ, არ დაბრუნებულაო; ხალხს ეგონა, თორემ სინამდვილეში აი, როგორ იყო: ცხენის ფლოქვეების თქარათქური რომ მიწყდა, ვგრძნობ, ვილაც ფანჯარაზე მიკაკუნებს, რაცნაირად, ძლივსგასაგონად. ჯერ ვიფიქრე, მომელანდა-მეთქი, მაგრამ ანაზღად ვილაცამ თითქოს ხელი მკრაო: ავდექი, ვატებ ფანჯარას, „ვინ არის-მეთქი“. ვხედავ, — მიგელ პარამოა. არ გამკვირვებია, აღრე ჩემთან ხშირად დაიარებოდა. ხანდახან, სანამ ის გოგო გადარეგდა, ღამესაც ათევდა.

„რა იყო-მეთქი, საბოლოოდ ვითბრა უარი?“

„არა, ვუყვარვარ, მაგრამ დღეს იქამდე ველარ მივალწიე, ქალაქს ვერაფრით ვერ მივაგენი. გზაზე ნისლი იწვა, იქნებ კვამლიც იყო, ქალაქი ღამის აღარა ჩანდა, გზის გაგრძელება გადავწყვიტე. მივდივარ — მაინც არა ჩანს არაფერი, უკაცრიელი მინდორია, მეც ავდექი და ამბის სათქმელად შენთან მოვბრუნდი. შენ მაინც დამიჯერებ, თორემ ამაზე კომალაში სიტყვა რომ დამცდეს, იტყვიან, სულ მთლად შერეკილაო. ვიცი, უამისოდაც ქარიხვეტიას მეძახიან“.

„შერეკილაო? არა, მიგელ, არა, გეტყობა, მოშორებხარ წუთისოფელს, ხომ გეუბნებოდნენ: „მოეშვი მაგ კვიცს, ოჩანი და თავნებაა, სიცოცხლეს საფრთხეში ნუ იგდებო. გახსოვს, მიგელ? ან იქნებ, ცხენი არაფერ შუაშია? იქნებ შენი ბრალი იყო, შენ თვითონ გადაეკიდე რაიმე ხიფათს?“

„არაფერ ხიფათსაც არ გადაეკიდებივარ, ქვის ლობეს გადავახტი, აი, იმას ახლახან მამაჩემის ბრძანებით რომ ააგეს, შორი გზიდან მოვლა დამეზარა. ჭაბლას მათრახი გადავუჭირე, კედელს გადავევლე და გავაჭენე; მაგრამ, გეუბნები, გარშემო სიბნელე ჩამოწვა, თვალები კვამლით ამოშვესო. ირგვლივ მხოლოდ კვამლილა იდგა“.

„დილით მამაშენი შენს ამბავს რომ გაიგებს, მწუხარებისგან გაგიყდება. მებრალეობა საცოდავი, ახლა წადი, მშვიდად განისვენე, მადლობელი ვარ, რომ არ დამივიწყე და გამოსამშვიდობებლად მოხვედი-მეთქი“, — ვუთხარი და ფანჯარა მივხურე.

დილით კი მედია-ლუნადან მოჯამაგირე მოვარდა.

„თვითონ ბატონმა გამომგზავნა, ჩვენი ბატონიშვილი მიგელი სასიკვდილოდაა დამტვრეული, დონ პედრომ გთხოვათ, ჩქარა მოდიეთ“.

„მე უკვე ყველაფერი ვიცი-მეთქი.“ — ვეუბნები, თან ვეკითხები:

„შენ რაღა გატირებს? გაბრძანეს თუ რა?“

„პო, მაშ, დონ ფულგორმა დამარიაა: თან მოყევი, თან იტირეო“.

20121

„კარგი, უთხარ დონ პედროს, ამ წუთში მანდ გავჩნდები-თქო, დიდი ხანია მოიყვანეს?“

„ნახევარი საათიც არ იქნება. ადრე რომ ეპოვათ, იქნებ რაიმე შევლუბოდა. თუმცა ექიმი ამბობს, ვერ გადარჩებოდაო. გულდაგულ გასინჯა, თქვა: კარგა ხანია გათავებულაო. ლამის სულ გაფირჩხებულაო. ვერაფერს ვხედავდით, წაბლა უკან რომ არ მოვარდნილიყო. ფრუტუნებდა, მიწას ფლოტკეებით თხრიდა, ყველა დაგვაღვიძა. ხომ გახსოვს, ის და წაბლა უერთმანეთოდ ვერა ძლებდნენ. პოდა, მგონია, ცხენი ახლა დონ პედროზე უფრო მეტად წუხს. აღარც ბაგისკენ იყურება, არც სარწყულებელს აკარებს პირს, თავლაში ველარ გაჩერებულა, ხან იქით ეცემა, ხან — აქეთ, თითქოს შიგნეულობას გახურებული შანთით უდაღვდნენ. ანდა საწამლავი უღრღნიდეს გულ-გვამს“.

„გასვლისას კარის მიხურვა არ დაგავიწყდეს“.

მოჯამაგირე წავიდა.

— როდისმე თუ მოგისმენია მომაკვდავის კვნესა? — მკითხა დონია ეღუვიხესმა.

— არა, არასოდეს.

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ.

წყალსადენი ქვაბის ონკანიდან წვეთ-წვეთად ჩამოდის წყალი. წვეთები ატანს ქვიან წიაღს და გესმის, კამკამა, წკრიალა წვეთები როგორ ეცემიან ზედიზედ ცემენტის ნავში. აყურადებ წყლის წვეთების ხმაურს, აშკარად რომ არჩევ ირგვლივ მობორიალე ხმებს შორის: აი, ვილაც მოდის ფეხების ფრატუნით, ეს კი ვილაცის მტკიცე, თანაბარი ნაბიჯებია, ნაბიჯები, ნაბიჯები. ისინი ახლოვდებიან, ხან სადღაც შორს იკარგებიან. წყალი შეუჩერებლივ წვეთავს. გადმოდის ნავის ნაპირებიდან, იღვრება ძირს და ასველებს მიწას.

„გაიღვიძე!“ — ბრძანებლობს ვილაცის ხმა.

ნაცნობი ხმა. ვინ არის? ვერა, ვერ გაურკვევია. სხეული ძილისგან მოთენთია, რულმოკიდებულს საძრაობა წართმევია და იძულებული ხდება, ისევ ბალიშზე მიდოს თავი და ძილბურაანს მინებდეს. ხელები თავისთავად სწვდება საბნის კიდეს და თავზე იფარებს — ლოგინში მშვიდად ჩათბუნება ყველაფერს ურჩევნია.

„გაიღვიძე!“ ისევ ჩაესმის ყურის ძირში.


ხმა მხრებში სწვდება და აიძულებს წამოჯდეს ლოგინში. თვალებს ახელს, ესმის, წვეთები როგორ ეცემიან ონკანიდან ცემენტის ნავში. ისევ ნაბიჯები, მძიმე, ფრატუნა ნაბიჯები, და ტირილი. ახალა გაარკვია ტირილი, ტირილმაღა გამოაფხიზლა, მშვიდმა, გულისგამგმირავმა ტირილმა, ისეთმა გულისგამგმირავმა, რომ შეაღწია ძილის ლაბირინთში და გზა მისცა მის კუნჭულებში ჩაბუდებულ შიშს.

ბიჭი საწოლიდან მძიმედ წამოდგა და ლამის ბინდით შესუდრული ქალის ფიგურა დაინახა. ქალი იდგა, კარის წირთხლისთვის მიეყრდნო თავი და სლუკუნებდა.

„რა გატირებს, დედა? — ფეხზე წამომდგარმაღა იცნო, რომ დედამისი იყო.“

„მამაშენი... მოკლეს“, — წარმოთქვა მან.

უწყარი ელდისგან იატაკზე დაცემული და გონდაკარგული ქალი ბორგა-



მერე, როდესაც კვლავ მრისხანებით აღევსო გული, მიგელ პარამოს კუბო ხალხს ეკლესიიდან უკვე გაჰქონდა.

პედრო პარამომ მღვდლის გვერდით დაიჩოქა.

— ვიცი, პადრე, გაძულდათ იგი, მიზეზიც გქონდათ: ხალხში დარჩეული ხმა თქვენი ძმის სიკვდილს ჩემს შეილს აბრალებს, თქვენს ძმისწულს იხმარეს, და გჯერათ, ნამუსი მიგელმა შეუბღალა, უპატივცემულად გეუყრობოდათ, ხანდახან კიდევ შეურაცხყოფდათ. თქვენი გრძნობები გასაგებია, მაგრამ დავივიწყოთ, პადრე, ყველაფერი, ეცით პატივის მიცვალებულს და მიუტევეთ, როგორც თავად უფალი მიუტევებდა.

მან მუხლის მოსაყრელ სკამზე ერთი მუჭა ოქროს მონეტები დააწყო და წამოდგა.

— მიიღეთ ჩემი წვლილი თქვენი ტაძრის საჭიროებისთვის.

ეკლესიაში აღარავინ იყო, ორი კაციღა იცდიდა კარიბჭესთან. პედრო პარამოც მათ შეუერთდა და გავიდნენ გარეთ, სადაც მედია-ლუნას ოთხი უფროსი მოჯამაგირე მხრებზე კუბოშედგმული იცდიდა. პროცესია სასაფლაოსკენ გაემართა.

პადრე ჩენტერიაშვილს სკამიდან სათითაოდ აკრიფა ოქროს მონეტები და საკურთხეველს მიუახლოვდა.

— ეს შენ გეკუთვნის, — წარმოთქვა მან, — იგი ფლობს იმას, რითაც ძალუძს სულის ხსნის ყიდვა, და მხოლოდ შენ უწყვი, არის თუ არა ფული საკმარისი საამისოდ. მე კი, უფალო, შენს ფეხთით დავარდნილი, გვედრები, დასაჯო იგი, თუნდაც არ იყოს ეს მუდარა სამართლიანი, რაკი ყველაფრის ვედრება გვაქვს ნაბოძები, გემუდარები, დასაჯო იგი.

და გამოკეტა საკურთხეველი.

სამოსელსაცავში შევიდა კუთხეში სკამზე დაეცა და გულამოსკვნილი აქვითინდა. ტიროდა მანამდე, სანამ ცრემლები არ გაუშრა.

— კეთილი, უარს ვამბობ, უფალო, ჩემს სიტყვებზე, — თქვა ბოლოს და ცრემლები მოიწმინდა.

სალამოთი, როგორც ყოველთვის, ვახშობისას ერთი ჭიქა შოკოლადი დალია თუ არა, სიმშვიდე დაუბრუნდა.

— ანიტა, იცი, დღეს ვინ დაასაფლავეს?

— არა, ძია, აბა რა ვიცი.

— მიგელ პარამო გახსოვს?

— კი, მახსოვს.

— ჰოდა, სწორედ ის.

ქალმა თავი ჩაქინდრა.

— ხომ ხარ დარწმუნებული, რომ ნამდვილად ის იყო? ხომ კი?

— არა, ძია, დარწმუნებული? არა, მისი სახე არ დამინახავს, ის ხომ ღამით, სიბნელეში დამეცა ოავზე.

— აბა რატომ თქვი, ის იყო?

— თვითონვე მითხრა: „ნუ გეშინია, ანა, მიგელ პარამო ვარო“. სწორედ ეგრე მითხრა.

— შენ ხომ იცოდი, რომ მამაშენის მკვლეელი იყო?

— ჰო, ძია.

— მერე, რა იღონე, რომ ვაგეგლო?

— არაფერი.

წუთით დუმილი ჩამოდგა. ისმოდა, თბილი ნიავი როგორ ამრელებდა მურ-ტის ფოთლებს.

— თავისი მოსვლის მიზეზი ასე ამიხსნა — დანაშაულის აღიარებისა და ცოდვათა მისატევებლად მოვედიო. მე საწოლიდან არ ამოვსდებოდი ვუთხარ, ფანჯარა ღიაა-მეთქი. ისიც გადმოხტა. მოვიდა. მომეხებებოდა, მთავრად, ეს პატიების თხოვნა იყო. გავუცინე. გამახსენდა, როგორ მასწავლიდი: ნურავის სიძულვილს გულში ნუ ჩაიდებო. პოდა, ვიფიქრე, ეს მის მიმართაც გაღიბებით გამომეხატა, მახსოვს, იმ აზრმაც გამივლვა, ასეთ სიბნელეში მაინც ვერაფერს დაინახავს, აკი მეც ვერაფერს ვხედავ-მეთქი. მაგრამ უცებ ზედ მთელი სიმძიმით დამეცა და ვიგრძენი, რალაც ცუდს მიპირებდა — დახრჩობას თუ მოკვლას. სხვა არაფერი აზრად არ მომსვლია. და იმისათვის, რათა უფრო ადრე მომკვდარიყავ, სანამ სიცოცხლეს გამომასალმებდა, ფიქრი შევწყვიტე. მაგრამ, ეტყობა, მოკვლა მაინც ვერ გამიბედა.

გონს გათენებისასლა მოვედი. ფანჯარა ყურთამდე ღია იყო. მივხვდი, ცოცხალი ვიყავი. არ ვიცი, მას შემდეგ რა დრო გავიდა, რაც მომეჩვენა, რომ აღარ ვარსებობდი.

— მაგრამ რატომ გგონია მაინცდამაინც, რომ ის იყო? თუნდაც, ავიღოთ ხმა, ჰგავდა ხმაში?

— რა ვიცი, მე ხომ მანამდე არასოდეს შემხვედრია, არც იმის შემდეგ აღარ მინახავს, აბა როგორ უნდა მეცნო? მართო ის ვიცოდი, რომ მამაჩემი მოკლა.

— ის ხომ გაგეგონა, რა კაცი იყო?

— ჰო, ისიც ვიცოდი, რომ ყველაფერს იკადრებდა, მაგრამ თუკი ნამდვილად ის იყო, მჯერა, მისი სული ჯოჯოხეთის ჯურღმულში მოხვდება. მე ყველა წმინდანს ამას ვავედრებ, მათ კი შეუძლებელია არ შეიწყნარონ ჩემი გულმხურვალე მუდარა.

— არა ვარ დარწმუნებული, შვილო ჩემო, რომ შესმენილი იქნება შენი ლოცვა. ვინ იცის, დღეს მისთვის რამდენი კაცი ლოცულობდა! შენი ღალადისი სულ მართოდმართო დგას, მართოდმართო ათასის წინააღმდეგ. და იმ ათასიდან არის ვედრება მამისა, რომელიც მთლად გადასწონის ყოველნაირ შენს მუდარას.

ღამის წამოსცდა: „გარდა მაგისა, ცოდვები მე თვითონ შევუნდეო“. მაგრამ ამაზე მართო გაიფიქრა, ხმამაღლა არაფერი უთქვამს. სისასტიკე იქნებოდა, გაბზარულა ნორჩი გულისთვის ახალი ჭრილობა მიემატებინა.

მან ძმისშვილს ხელი გაუყარა და უთხრა:

— მადლობა შევწიროთ უფალს, რომ დედამიწას მოაშორა ცოდვილი, რომელმაც ამდენი ბოროტება ჩაიდინა. მადლობა შევწიროთ, თუნდაც ზეცად იყოს.

ცხენმა თავაწყვეტილი ჭენებით ჩაიჭროლა გზაჯვარედინი და კონტლისკენ გავარდა. იგი არავის შეუმჩნევია. მართო ფანჯარასთან ვილაცის მომლოდინე ქალი ჰყვებოდა, თითქოს ჰაერში ამოტრიალებული ცხენი დაენახოს; ოთხივე ფეხი მოკეცილი ჰქონდა და შეშინებული ველოდი, მუცლით როგორ დაასკდებოდა მიწას. ვიცანი მიველ პარამოს საყვარელი კვიცი და გავიფიქრე: „ცხენი დაიღუბება-მეთქი“, მაგრამ ცხენმა უმაღლესი თავაწყვეტილი ჭენება განაგრძო.

თუმცა თავს წამდაუწუმ ისე აბრუნებდა, თითქოს უკან საშინელება რამ დარჩენოდა.

მედია-ლუნას მოსახლეობამდე ამ ამბავმა დაკრძალვის საღამოს მიაღწია. სასაფლაოს გრძელ გზაზე წასვლა-წამოსვლით დაღლილი მოჯამაგირეები ისვენებდნენ.

როგორც ყოველთვის, დინჯი საუბარი გაებათ ძილის წინ.

— გახსენებაც კი მზარავს დღევანდელი დასაფლავებისა, — ამოიხვნეშა ტერენსიო ლუბიანესმა, — ქვასავით მძიმე კუბო იყო, მხრები ლამის ჩამინგროია.

— მხრები მეც გადამიტყავა, — დაიჩივლა მისმა ძმამ უბილიადომ, — ფეხებზეც კოჭრები დამასხდა. ხედავ, ბატონს მოესურვა, მაინცდამაინც წალებში გამოვწყობილიყავით, თითქოსდა დღესასწაული ყოფილიყოს, ტყუილს ვამბობ, ტორიბიო?

— თან თითქოს დღესასწაულია, თან არცაა დღესასწაული, მაგრამ იმას კი ვიტყვი, სწორედაც რომ დროულად მოშორდა წუთისოფელს.

კონტლიდან ახალი ამბავი მოიტანეს. ამბის მომტანი იმ დღეს ბოლო გზობად მოსული მეფურგონე იყო.

— ამბობენ, მისი სული ქუჩებში დაეხეტებო, ხალხს დაუნახავს, თურმე ვიღაც ქალს ფანჯარაზე უკაკუნებდა, ალიკვალი ის იყო. იმისი სცმია კრაგებიცა და ტანსაცმელიც.

— ამბობენ, ამბობენ... შენ თუ გგონია, რომ დონ პედროსნაირი კაცი მოუწონებს შვილს საიქიოში ქალების დევნას. ეგ საძაგლობა რომ შეუტყოს, თვითონ იცის, როგორც მოუვლის, ეტყვის, „იცი რა, შენ თუ მოკვდი, იწექი კიდევ ემაგ სამარეში, აქ უშენოდაც იოლას წავაღთო“. რომ დაინახოს, სანადლეოს ვღებ, უმაღვე უკან, სასაფლაოზე მიაბრძანებს.

— მართალი ხარ, ისაია, სულსწრაფად იცის მოხუცმა დასჯა, საქმეს არც ახლა გააჩანჯლებს.

— როგორც მომყიდეს, ისე ვასაღებ, — იწყინა მეფურგონემ და გზა განაგრძო.

იდგა ვარსკვლავცვენა. იტყოდით, ციდან ცეცხლის წვიმა წამოუღლო.

— უყურე ერთი, თითქოს სამოთხეში ფეიერვერკი გაუმართავთ, — გაუკვირდა ტერენსიოს.

— სიხარულისგან. მიგელიტოს მისვლას ზეიმობენ. — გესლიანად ჩაილაპარაკა ხესუსმა.

— იქნებ ეს რაღაცის ნიშანია? რაიმე ცუდის მომასწავებელი?

— ცუდის მომასწავებელიო? ვისთვის ვითომ, როგორა გგონია?

— თუნდაც შენი დისთვის, უმიგელოდ დარდს გადაჰყვება.

— ვის ეუბნები მაგას, მე?

— შენ, აბა ვისა?

— წავიდეთ, ბიჭებო, ძილის დროა, დღეს არაქათი გამოგვეცალა, ხვალ კი უთენია უნდა ავდგეთ.

და სიბნელეში აჩრდილებივით გაუჩინარდნენ.

— შენს დას გადაეცი, დარდით თავს ნუ მოიკლავს, ნამეტანს თუ იზამს, შემძლია მე ვანუგეშო! — როყიოდ დაიძახა ვიღაცამ წასვლისას.

— ჯობია ეგ ჩემგან შენს დას გადასცე, — გაისმა პასუხად.

იდგა ვარსკვლავცვენა. კომალაში სინათლეები ჩაქრა, ღამეზე ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა მეუფებდა.

პადრე რენტერია ლოგინში წარამარა იცვლიდა გვერდს, ძილი არ ეკარებოდა.

„რაც მოხდა, ყველაფერი ჩემი ბრალია — ასაყვედურებდა თავს, — სულ იმას ვშიშობ, არაფერი ეწყინოთ-მეთქი იმათ, პურს ვისივსებენ, სტუმართლეთუ გინდა, ესაა. ღარიბ კაცს მარტო ლოცვა ვერ გააძლებს. ასე იყო მუდამ. და აი, სადამდე მიგვიყვანა ამან. მე ვარ დამნაშავე. მე თვითონ ვულაღა იმათ, ვინც სიყვარულითა და რწმენით მოდიოდა ჩემთან და მთხოვდა ღმერთის წინაშე მოსარჩლეობას. რას მიაღწიეს მათ თავიანთი რწმენით? საუკუნო ნეტარება დაიმკვიდრეს? ან ეგებ განახლდნენ სულიერად? მაგრამ რას არგიათ ეს სულიერი განახლება, თუკი ბოლოს, უკანასკნელ წამს... დღემდე არ დამავიწყდება, რა თვალებით შემომცქეროდა თავისი დის ედუვიხესის სულის ცხოვნების სათხოვნელად მოსული დიდადა.“

„ახლობლებისთვის არაფერს იშურებდა, პადრე, უკანასკნელს გაიხდიდა და სხვას ჩააცმევდა. განურჩევლად უყვარდა ყველა. საერთო ვაჟიშვილიც კი გაუჩინა მათ. მერე ბიჭი სათითაოდ ყველას აჩვენა, იქნებ ვინმეს ეცნო თავისად, მაგრამ არც ერთმა არ მოისურვა მისი ცნობა — არც ერთმა. მაშინ ჩემმა დამ ასე უთხრა მათ: „რას იზამ, მამობასაც მე გავუწევ, თუმცა სრულიად შემთხვევით გავხდი მისი დედაო“. კაცები ბოროტად იყენებდნენ ჩემი დის სტუმართმოყვარეობას, რადგან იცოდნენ მისი კეთილი გულის ამბავი, იცოდნენ, არავის აწყენინებდა, თავის დღეში ისიც კი არ გაუმჟღავნებია, ვილაც რომ უფრო მეტად უყვარდა. ვილაცა — ნაკლებად“.

„მაგრამ მან თავი მოიკლა და ამით წინ აღუდგა უფლის ნებას“.

„აბა მეტი რა დარჩენოდა? ამ ცოდვამდე აკი სიკეთემ მიიყვანა?“

„მთელი ცხოვრება ითმინა, ბოლოს კი, ბოლო წუთებში უმტყუნა ნებისყოფამ. სულის საცხოვნებლად ამდენი სიკეთე ჩაიდინა, მერე ერთბაშად თავისი საუნჯე არარად აქცია“.

„არა, პადრე, არარად სულაც არ უქცევია, მან ისეთი ტანჯვა-წამებით დალია სული. ტანჯვა კი... თქვენ თვითონ არ ამბობდით ქადაგებაზე, ტანჯვა-წამებო... ვერა, ველარ გამიხსენებია, რაო? ის კი არ იტანჯებოდა? ტკივილით აღმოხდა სული. საცოდავი სისხლმა დააბრჩო, სულ დაიკრუნჩხა, სახე ერთიანად დაებრიცა, შეხედვაც კი შესაზარი იყო. სიცოცხლეში ჭერ არ მინახავს უფრო უბედური, გაწამებული სახე“.

„არ ვიცი, ეგების გულმოდგინე ლოცვა-კურთხევით...“

„ჩვენ ისედაც ვლოცულობთ, პადრე“.

„არა, მარტო თქვენი ლოცვა არა კმარა. პარაკლისი უნდა გადავუხადოთ, ორგანითა და მგალობლებით. თანაც რამდენჯერმე, აქ მარტო მე ვერას გავაწყობ, სხვა მღვდლებიც უნდა ვსწრებოდნენ, მათ მოსაყვანად კი უამრავი ფულია საჭირო“.

არასოდეს დამავიწყდება მისი მზერა, ახლაც თვალწინ მიდგას მარია დიდადა, უღარიბესზე უღარიბესი მრავალშვილიანი დედა.

„ფული არა მაქვს, თქვენ ხომ იცით, პადრე“.

„მაშინ ყველაფერი ისევე დავტოვოთ, უფალი ღმერთის იმედზე ვიყვნეთ“.

„ჰო, პადრე“.

წარმოთქვა თვინიერად, მაგრამ თვალეებში სიჭიუტე ჩასდგომოდა. რად

უღირდა მიეტევებინა ქალისთვის ცოდვები? რაღაც ორი-სამი სიტყვა უნდა წარმოეთქვა — განა ეს ძნელია? გინდაც ასი სიტყვა იყოს. საქმე ხომ სულის ხსნას ეხება, რა იცის მან ჯოჯობეთსა და სამოთხეზე? — არა, არა! მართლაც, ერთი მიყრუებული სოფლის ყველასათვის უცნობი მღვდელია, მაგრამ იმათი ვინაობა, სამოთხის ნეტარება ვინც დაიმსახურა, ძალიან კარგად ეცნობოდა. არსებობს საეკლესიო კალენდარი. და გონებაში მოჰყვა კათოლიკეების წმინდანების ჩამოთვლას, იმათგან მოკიდებული, იმ დღეს ვისი მოსახსენიებელი დღეც იყო: „წმინდა ნუნილონა, ქალწული და დიდი მოწამე; ეპისკოპოსი ანერცი; წმინდანები: ქვრივი სალომეა, ქალწულები ალოდია, ეპისდია და ნულინა; კორდულა და დონატი“. იგი ბუტბუტით ითვლიდა ახალ და ახალ სახელებს. რული მოერია, მაგრამ თავს გაუძალიანდა და საწოლზე ჩამოჯდა: „ისე ვითვლი წმინდანებს, როგორც თხრილზე იძულებით გადახტუნებულ თხებს“.

სახლიდან გამოვიდა. კვლავ გრძელდებოდა ვარსკვლავცვენა. ამან თითქოს გული დასწყვიტა. მშვიდი ცის დანახვა ერჩივნა. მამლებმა იყივლეს. ღამის სუდარაში გახვეულიყო მთვლემარე დედამიწა. დედამიწა — „ამა სოფლის ამოცხება“.

— ბედი გქონია, შვილო, ბედი გქონია, — წარმოთქვა ედუვიხეს დიიადამ. გვიანი ღამე იყო. ოთახის კუთხეში ლამპის შუქი ძლივს ბუტბუტავდა, ბოლოს აპარბალდა და ჩაქრა.

მე გავიგონე, როგორ წამოდგა სახლის პატრონი და ვიფიქრე, მეორე ღამის მოსატანად გავიდა-მეთქი. ნაბიჯების ხმა თანდათან მიწყდა. მე კი ვიჯექი და ველოდებოდი.

კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, რაკი ქალი აღარ მობრუნდა, წამოვჯექი და ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ხელების ფათურით გავიკვლიე გზა სიბნელეში. როგორღაც მივალწიე ჩემს ოთახამდე, იატაკზე დავწექი და ვეცადე დამეძინა. დროდადრო რული შეკიდებოდა.

ანაზღეულად ყვირილი გაისმა. გაისმა იმ წუთში, როცა მეღვიძა. ეს იყო გაბმული, გულსაკლავი ყვირილი — ასე მთვრალეები ბლავიან ხოლმე. „ო, სამგზის წყეულო ცხოვრებაე, მეზიზღები!“ ფეხზე წამოვხტი, ზედ ჩემს ყურისძირთან ყვიროდნენ თითქოს. თუმც, სინამდვილეში, უეჭველია, ქუჩაში ყვიროდნენ. არა, არა, ყვიროდნენ ოთახში, ყვირილს ოთახის კედლები გამოსცემდნენ. როდესაც უკვე გონზე მოვედი, ირგვლივ მკვდრული სიჩუმე იდგა, ოღონდ ეგ იყო, ამ ხმაურიან მდუმარებაში იატაკზე ეცემოდნენ ფანჯრის მინაზე მინარცხებული ღამის ფარვანები.

რა სიტყვებით უნდა გამოვხატო ყვირილის შემდეგ დასადგურებული ეს ღრმა მდუმარება! სიჩუმე იდგა. ისეთი სიჩუმე, რომ თითქოს უეცრად დედამიწაზე ჰაერიც კი სადღაც გამქრალიყო. ბგერები ჩამკვდარიყო. აღარც ჩამიჩუმი, აღარც სუნთქვა, საკუთარი გულისცემაც კი აღარ მესმოდა; აზრთა მდინარება თითქოს შეწყვეტილიყო. მაგრამ ოდნავ დავმშვიდდი თუ არა, სიჩუმე ხელახლა გაჰკვეთა ხანგრძლივმა, გულის გამგმირავმა ყვირილმა: „მომხსენით თოკები! რომელ კანონში წერია, კაცი ჩამოახრჩო, თანაც ფეხები შეუკრა. ფეხები მაინც გამიხსენით!“

კარი გაიღო.

— თქვენა ხართ, დონია ედუვიხეს? რა ხდება? თქვენც შეგაშინათ ამ ყვირილმა?

— მე არ ვარ დონია ედუვიხესი. დამიანა ვარ, გავიგე, აქა უოფილხარ, და მოვედი. ჩვენთან მინდა მიგიბატეო. ღამე ჩვენთან დარჩი კარგი ოთახი გვაქვს.

— დამიანა სისნეროსი ხარ? თქვენც მედია-ლუნაში ცხოვრობდით?

— მე ახლაც იქა ვცხოვრობ. მაგიტომაც ვერ მოვედი მალე.

— დედა მიყვებოდა დამიანაზე, პატარაობისას გივლიდაო, ის დამიანა ხართ?

— ჰო, ისა ვარ. მე შენ სულ თოთო მახსოვხარ.

— მაღლობთ. წამოვალ თქვენთან. აქ ყვირილი არ მასვენებს, რა ხდება ნეტავ? მგონი, ვილაცას კლავდნენ, თქვენც გაიგონეთ, როგორ ყვიროდნენ?

— აქ, ეტყობა, კედელში ექოა ჩარჩენილი, ამოქოლილი, შენს ოთახში ოდესღაც ტორიბიო აღდრეტე ჩამოახრჩვეს, თუმცა მას შემდეგ კარგა დრო გავიდა. კარი დაჭედეს, სანამ მთლიანად არ გაიხრწნებოდა, რათა მის ძვლებსაც დაკარგოდა მოსვენება... ვერ გამიგია, აქ როგორ მოხვდი, ამ კარს ვერ აღებს ვერც ერთი გასაღები.

— კარი დონია ედუვიხესმა გამიღო, მითხრა, გარდა ამ ოთახისა თავისუფალი სხვა არა მაქვსო.

— ედუვიხეს დიიადამ?

— დიახ, იმან.

— საბრალო ედუვიხესი! ჩანს, ღამლამობით მისი სული კვლავ მოუსვენრად დაეხეტება.

„მე ფულგორ სედანო (სქესი — მამრობითი, წლოვანება — ორმოცდათოთხმეტის; უცოლო; საქმიანობა — მოურავი, ჰპეცილობა—ნაფიცო მსაჯული). ხელისუფლების მიერ მინიჭებული ძალის და ჩემდამი რწმუნებულ უფლებათა შესაბამისად, აღვირავ სარჩელს და ვაცხადებ ქვემოთ მოხსენიებულს...“

მან ამ სიტყვებით დაიწყო აქტი ტორიბიო აღდრეტეს დანაშაულის შესახებ, და ბოლოს ასე დაამთავრა: „ამით მე ვადანაშაულებ ზემოხსენებულ ტორიბიო აღდრეტეს სხვისი ქონების მისაკუთრებისათვის“.

— მაგაში ეჭვი არავის ეპარება, დონ ფულგორ, მამრობითი სქესისა რომ ბრძანდებით, მამაკაცური საქმისთვისაც ჯერ ვარგიხართ. თავად ვარგიხართ, რადგან ხელისუფლება მაგნაირ რამეებში ვერავითარ ძალას ვერ შეგმატებთ.


იხსენიებდა: ეს აღდრეტეს პირველი სიტყვები იყო მას შემდეგ, რაც ერთად დალიეს; ორნი სვამდნენ; თითქოსდა იმიტომ, რომ შედგენილი აქტი დაესველებინათ.

— ახლა, დონ ფულგორ, ჩვენ ამ ქალაქს ერთ ადგილას ამოვისვამთ და ამით დამთავრდება ყველაფერი. აღარავის არაფრად არგია, თქვენი საქმე, ნაბრძანები რაც გქონდათ, შეასრულეთ და მეც ხათაბალას გადამარჩინეთ, თორემ ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი. ასე რომ, თქვენც კმაყოფილი ხართ და მეც, ახლა ყველაფერს ვხვდები, მეციინება, ერთი სიტყვით, „სხვისი ქონებაო“! როგორ არ რცხვენია თქვენს ბატონს, ვითომც არ იცის, ვისი ქონებაცაა!

იხსენიებდა. ედუვიხესის ტავერნაში იხდნენ.

— ეი, ვიხეს! კუთხის ოთახში ვერ წავგიყვან? — ჰკითხა ქალს.

— სადაც მოისურვებთ, დონ ფულგორ! ეს ხალხიც თქვენთან გაათევს ღამეს?

— არა, მარტო ერთი. შენ ჩვენი ჯავრი ნუ გექნება. დაწეჭი, ოლონდ  ხის გასაღები დატოვე.

— გეუბნები, დონ ფულგორ, — განაგრძო ტორიბიო აღდრეტედილი ვაეკაცი ხართ, მაგას ვერავენ წაგართმევთ, თქვენს ძალღმადგენს კი არა ჰგაეხართ. მყრალი ლაწირაკი, რას წარმოადგენს? ფურთხის ღირსია.

ახსენდებოდა, ეს ტორიბიოს უკანასკნელი სიტყვები იყო. სანამ საკუთარ თავს ეკუთვნოდა. მერე დედაკაცივით იქცეოდა. მოჰყვა ყვირილს: „ძალა რა მექნა, რამ დამიკარგა? მაჯობეს! ო, ღმერთო!“

მან შოლტის ტარით დააკაკუნა პედრო პარამოს სახლის კარზე. გაახსენდა, როგორ აკაკუნებდა ამავე კარზე ორი კვირის წინათ. მაშინაც კარგა ხანს აცდევინეს. ახლაც ისევე კარზე მიმაგრებული სამგლოვიარო ბანტს შეავლო თვალი. მაგრამ აღარ გაკვირვებია მაშინდელივით: „დახე! ჩამოუკიდებიათ! პირველი უკვე გახუნდა, ამას კი ისე გაუღის პრიალი, აბრეშუმისა გეგონება, ვერც დაიჭერებ, რომ ძონძია შეღებილი“.

იმ პირველ მოსვლაზე კართან კარგა ხანს ალოდინეს: შეეჭვდა კიდეც, იქნებ სახლში არავენ არისო. წასვლას აპირებდა, როცა ზღურბლზე პედრო პარამო გამოჩნდა.

— გამარჯობა, ფულგორ.

კაცმა რომ თქვას, ეს მათი მეორე შეხვედრა იყო. პირველად ფულგორმა პედრო პარამო მაშინ ინახულა, როცა პედრო ის-ის იყო მოევლინა ამ ქვეყანას. დღეს კი, დღეს მესამე შეხვედრაა. თუმცა პირველად, სინამდვილეში, ორი კვირის წინათ შეხვდა. ჰოდა, მაინც პედრო ისე ელაპარაკებოდა, როგორც თანასწორი თანასწორს. ჰო, აბა! ფულგორი ფართო ნაბიჯებით მიჰყვებოდა უკან; თან შოლტის ტარით წაღებიდან მტვერს იბერტყავდა. „არა უშავს, უმალ მიხვდება, ვისთან აქვს საქმე, იმასაც შეიტყობს, რაზე მოვედი“.

პედრომ იგი ბაკში შეიყვანა.

— დაწეჭი, — თვითონ, ბაგის კიდეზე ჩამომჯდარმა, სტუმარს მომლოდინე მზერა მიაბყრო, — რატომ არ ჯდები, ფულგორ?

— დგომა მირჩევნია, პედრო.

— როგორც გენებოს, ოლონდ ნუ დაგავიწყდება, გეთაყვა, რომ მე დონ პედროს მეძახიან.

ვინ არის ეს ხამი, ვგრე რომ ეპასუხება, მაგნაირი კილოთი მამამისი ლუკას პარამოც ვერ უბედავდა ლაპარაკს. მედია-ლუნაში ჯერ მაგისტვის თვალის არ დაუკრავს, მეურნეობისა ინჩიბინჩი არ გაეგება, ისე კი ყოყოჩობს, თითქოს მისი მოჯამაგირე იყოს. დიდი გაქნილი ვინმეა! ვნახოთ! ვნახოთ!

— როგორ მიღის საქმეები?

ახლა კი მისი ჯერი დადგა: „დამაცადე, ჭირიმე, მალე მოგივლი“.

— ცუდად ყველაფერი პირწმინდად წაიღეს. უკანასკნელი პირუტყვი დაგვიყიდეს.

ქალაღები მოიმარჯვა, ბარემ საკუთარი თვალით ნახოს, კიდეც რამდენი ვალი დარჩაო, და ის იყო უნდა დაეწყო „ვალის საერთო თანხა ამდენს და ამდენს შეადგენსო“, რომ უცებ მოესმა:

— ვისი ვალი გაქვს? მთავარი არ არის, ვალი რამდენია, მთავარია, ვისი გვმართებს.

ფულგორმა მოვალეების სია გაუწოდა. — ძნელი ისაა, — დაყოლა მან. — რომ ვერსად იშოვი ფულს ჩასასესხებლად.

— ვერსად? ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენმა ოჯახმა ნდობა დაკარგა მარკვენი იყავით მარკვენი — გელოთ და გელოთ ვალები, იქით აღარასოდეს იძლეოდით, ამას ძვირად დაგისვამენ, მე ერთთავად იმას ვჩიოდი, „თუ ასე გაგრძელდა, ცარიელზე დარჩებით-მეთქი“. აკი ავიხდათ ჩემი სიტყვა. თქვენი მიწის მსყიდველები, უექველია, გამოჩნდებიან. არიან კიდევ, სარფიან ფასსაც იძლევიან, ყველა თამასუქს გამოისყიდით, ცოტათუნთ თანხაც დაგრჩებათ, ბევრი არა, მაგრამ მაინც დარჩება.

— მსურველებიო? შენ ხომ არა?

— აბა ეგ ჩემზე როგორ იფიქრეთ?

— მე წმინდანების არა მჯერა, ხვალვე შევუდგეთ ამ საქმის მოგვარებას. პირველ რიგში დები პრესიადოებიდან დავიწყოთ, შენ ამბობ, რომ ყველაზე მეტი იმათი გვმართებს? ხომ?

— დიახ, თანაც მაგათ მუდამ ყველაზე ცოტას უხდიდით, მამაშენი მაგათ ვალებს სულ „შემდეგისათვის“ სდებდა ხოლმე, როგორც ყური მოვკარ, პერტრუდა ახლა ქალაქში უნდა ცხოვრობდეს, არ ვიცი, გვადალახარასა თუ კოლიმაში; ასე რომ, მამულს ახლა ლოლა, არა, უკაცრავად ვარ, დონია დოლორესი განაგებს, ალბათ, გაგებულნი გექნებათ ენმედოს რანჩო, ეტყობა, იმასთან, დონია დოლორესთან მოგიწევთ საქმის გარიგება.

— ხვალვე წახვალ და ხელსა სთხოვ.

— ხუმრობას ნებულობთ? ჩემნაირ მოხუცს ზედაც არ შეხედავს.

— მე ჩემთვის გეუბნები, კაი სანდომიანი გოგოა, ეტყვი, რომ უგონოდა ვარ შეყვარებული და თუ თანახმა არ გახდება და ასე შემდეგ... გზაზე პადრე რენტერიასთან შეიარე, უთხარ, ყველაფერი მოამზადოს ქორწინებისთვის, გაქვს რამე ფული?

— არც ერთი სენტავო, დონ პედრო.

— შეპირდი, როგორც კი ხელში ფულს მოიგდებს, გადაგიხდის-თქო, არა მგონია, გაჯიუტდეს, ხვალ დილითვე შეუდექი საქმეს.

— აღდრეტეზეც მინდოდა მეკითხა.

— ვინ აღდრეტეა? შენ დებ პრესიადოებზე, ფრეგოსოებსა და გუსმანებზე მელაპარაკებოდი, ეგ აღდრეტე ვინაა?

— მიჯნის დადებაზეა ლაპარაკი, მან თავისი მიწა შემოლობა და მოითხოვა, ჩვენ კიდევ ჩვენს მიჯნაზე გაგავლოთ ლობე, უნდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაიდოს მიჯნა.

— ეგ საქმე მოითმენს, ლობე ნუ განაღვლებს, ლობე რა საჭიროა? მიწა ერთია, დაყოფას ვერ იტანს, ამაზე, იცოდე, არცა ღირს ლაპარაკი, ფულგორ, შენ ლოლას მიმიხედე, ეგ საქმე რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვაგვაროთ, ახლა მაინც არ დაჯდები?

— დავჯდები, დონ პედრო, როგორ არ დავჯდები, პატიოსნებას გეფიცები, ძალზე მეამა თქვენთან ბაასი.

— ლოლასთან საუბარში სიტყვას ნუ დაზოგავ, რაც მთავარია, ჩემი სიყვარული გააზვიადე, ეგენი ამაზე გიყდებიან, მე კი, სედანო, მგონი, ის ქალი მარ-

თლა შემოიყვარდა. გინახავს, რა თვალები აქვს? ასე რომ, ზვალვე, დილაუთენია შეუდგეი საქმეს. მეურნეობისგან განთავისუფლებ, მედია-ლუნა ჭერჭერობით დაივიწყე.



„ნახე ერთი, რა ფხა გამოიტანა, ეშმაკის ფეხია! — ფიქრობდა ფულგორი მიბრუნებული ფულგორ სედანო, — მაგისგან ნამდვილად არ მსურს.“ „უნდლილია“, — სულ ამას ამბობდა ცხონებული ლუკასი, სხვას ანკი აბა რას დაარქმევო“. შენც აბა როგორ არ დაეთანხმებოდი. „ჩემი სიკვდილის შემდეგ სხვაგან მოგიწევს ადგილის ძებნა, ფულგორ“. „ჰო, ეგრე ჩანს, დონ ლუკას“. „გჭერა, ფულგორ? სემინარიაში შეყვანასაც კი ვუპირებდი, რაც არ უნდა იყოს, ჩემი სიკვდილის შემდეგ მაგასაც და დედამისსაც უყვედრებელი ლუკა მა ვეჩნებოდათ. არ წავიდა. ვერ გაბედა“. „ჰო, დონ ლუკას, უკეთესი შვილის ღირსი იყავით“. „არა მაქვს მაგისი იმედი, ეგ მე სიბერეში არ გამომადგება. რა გაეწყობა, ფულგორ, უხეირო შვილი გამომივიდა“. „საწყენია, დონ ლუკას, ძალიან საწყენია“.

ჰოდა, ასე რომ არ ყოფილიყო შეჩვეული ფულგორი მედია-ლუნას, პედროსთან მისვლას არც იფიქრებდა. ისე მოუბრუნებდა ქუდს და მიატოვებდა მეურნეობას, არც გააგებინებდა არაფერს. მაგრამ ეძვირფასებოდა ფულგორს მიწა. ეს ტრიალი გადახნული მინდორ-ველი, დამყოლი გუთანი და ბარაქით სავსე გორაკები... საყვარელი მედია-ლუნა. ახლა მეზობელი მიწებილია „მოდო, მოდო ჩემთან, ენმედოს მიწავ!“ აჰა, აკი გამორბის კიდევ მის შესახვედრად. ლამის ზედ ეკვრის მედია-ლუნას მინდვრებს. ბოლოს და ბოლოს ქალიც შეიძლება თურმე რამეში გამოდგეს. „თანაც როგორ!“ — ჩაილაპარაკა, მათრაბი ფეხებზე მიიტყაპუნა და მამულის ფართო ჭიშკარში გავიდა.

დოლორესის მახეში გაბმა იოლი გამოდგა. თვალები უბრწყინავდა, დაბნეული სახე უვარვარებდა.

— აჰ, დონ ფულგორ, როგორ გამაწითლეთ. რა მაფიქრებინებდა, რომ დონ პედრო ჩემკენ გამოიხედავდა.

— მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე ფიქრობს. ლამის სულ დაქარგა ძილი და მოსვენება.

— მაგას უკეთესი ცოლი ეკუთვნის. კომალაში იმდენი კარგი ქალიშვილია, გაიგებენ და გული მოუვათ დონ პედროზე.

— ის კი მარტო თქვენზე ფიქრობს, დოლორეს, სხვა არავინ არ აგონდება.

— რას ლაპარაკობთ, დონ ფულგორ, რატომ მაწითლებთ, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი.

— დონ პედროს არ უყვარს გრძნობების გამოხატვა. დონ ლუკასი, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, იმასაც კი ეუბნებოდა, თითქოს მისთვის შეუფერებელი ყოფილიყავით. პედროს მისთვის სიტყვა არ შეუბრუნებია, მაგრამ ახლა, დონ ლუკასის სიკვდილის მერე, დაბრკოლებას ველარა ხედავს. ჰოდა, იმანაც მაშინვე დამაგალა თქვენთან წამოსვლა. მე კი ვერა და ვერ მოგიცალე, მოგეხსენებათ, მეურნეობა, ესაო, ისაო. ქორწილი ზეგისთვის რომ დავნიშნოთ, გეჩნებათ რამე საწინააღმდეგო?

— მეტისმეტად აჩქარება ხომ არ გამოვა? ჭერ მზად არა ვარ. საქორწინო კაბა ხომ უნდა შევუკვეთო? ყველაფერი წესით და რიგით უნდა მოხდეს, დას უნდა მივწერო, თუმცა არა, იმასთან, ჯობია, შიკრიკს გავგზავნი. როგორადაც

უნდა ვიჩქარო, რვა აპრილამდე ვერ მოვასწრებ, დღეს პირველია. ჰო, რვაზე ადრე არ მოხერხდება, გადაეცით დონ პედროს, რომ ერთი კვირა კიდევ მაცალოს.

— რას ამბობთ? ერთი კვირაო! რომ შეიძლებოდეს, ქორწილზე დღესაც არ იტყვის უარს. საქორწინო მორთულობა საქმეს არ დააბრუნებდა, ჩვენ თვითონ გამოგიგზავნით ყველაფერს რაც საჭიროა, დონ პედროს მომავალი საპატარძლოს მთელი თავისი საქორწინო ტუალეტი უანდერძა, ასეთი საგვარეულო ჩვეულება ჰქონიათ.

— სულერთია, ამ კვირას მაინც არ შემიძლია. იცით... საქმე ისაა, ქალები უჭეიფოდ რომ არიან... აჰ, დონ ფულგორ, ეს რა მიყავით, რეებს ვლამპარაკობ... ის დღეები მიახლოვდება, ვაი სირცხვილო! ვაი სირცხვილო!

— რა უჭირს მერე? ადამიანები რომ ქორწინდებიან, სულ არ დაგიდევენ, რა დღეები უახლოვდებათ. რა არის მათთვის მთავარი? ერთმანეთის სიყვარული, როცა სიყვარულია, საშიშიც არაფერია.

— თქვენ ვერ გამიგეთ, დონ ფულგორ.

— მშვენივრად გაგიგეთ. ქორწილი ზეგისთვის იქნება...

ფულგორი გამოვიდა, ქალი კი იდგა ხელებგაწვდილი და ითხოვდა ერთი კვირით ვადის გადიდებას, მხოლოდ და მხოლოდ ერთი კვირით.

მთავარია, არ დამავიწყდეს, დონ პედროს ვუთხრა, — დახე, დონ პედროს! რა მარჯვე გამოდგა, — აღტაცებას ვერა ფარავდა ფულგორი, — უეჭველად უნდა ვუთხრა, რომ ნოტარიუსი არ დაივიწყოს. საქორწინო კონტრაქტში მითითებული უნდა იყოს ცოლ-ქმრის ერთნაირი უფლება მთელ ქონებაზე.

დოლორესი სულ სხვა ფიქრს გაეტაცა. ტაშტს ხელი დაავლო და სამზარეულოში შევარდა. „ცხელი წყალი უშველის, დღეს სალამოსვე რომ დაეწყოს. აჰ, არა, სრული სამი დღე მაინც დასჭირდება, ეტყობა, ამას ვერსაით გაექცევა. ბედნიერია, თუ, როგორი ბედნიერი, უფალო, გმადლობ, დონ პედროს გამოგზავნისთვის“.

„ჯანდაბას, თუნდაც მერე მოვბეზრდე“, — დაუმატა მან.

— თქვენი დავალება შევასრულე, დონ პედრო. ქალი თანახმაა, მაგრამ საქმე მღვდელია. რაკი ქორწინება წინასწარ არ გაგიცხადებიათ, სამოც პესოს ითხოვს. ვუთხარ, თანდათანობით, როგორც წესია, გადავიხდით-მეთქი. მაგრამ წუწუნნი დაიწყო, ეკლესიაში საკურთხეველი ძალზე ღარიბული გეაქვს, შინ კი სასადილო მაგიდა ლამის წამექცესო. მეც ავდექი და ახალი მაგიდის გაგზავნას შევპირდი, მაშინ თქვენზე მოჰყვა ჩივილს, ეკლესიაში არ დაიარებაო. აღფრთქვი — ამის შემდეგ მესსებზე წესიერად ივლის-მეთქი. ის მაინც თავისას არ იშლის — ბებოის სიკვდილის მერე სადესეტინოს გამოსაღებაც არ იხდისო. ამაზეც ვუთხარ: ჯავრი ნუ გაქვთ, ყველაფერს გადავიხდით-მეთქი, როგორც იქნა, ბოლოს მოლბა.

— დოლორესისთვის ფული წინასწარ ხომ არ გითხოვია?

— არა, არ მითხოვია, ველარ გავუბედე. მეტისმეტად ბედნიერი იყო და შემეშინდა, ცივი წყალი არ გადამესხა.

— მიამიტი ხარ, ფულგორ.

„დახე, მე ვარ მიამიტი, ორმოცდათხუთმეტი წლის კაცი? მაგას პირზე რძე არ შეშრობია, მე კი ცალი ფეხი სამარეში მიდგას“.

- ვიფიქრე, სიხარულს ჩავუმწარებ-მეთქი.
- ჰოდა, მეც გეუბნები, მიამიტი ხარ.
- მეცოდინება, ბატონო, ამის მერე.
- იმ კვირას აღდრეტესთან წახვალ, ეტყვი, რომ ლობე დაარღვიოს. ჩვენი ნაკვეთიც ლობის შიგნით მოუტანებია.
- არა, ბატონო, მიჯნა სწორადაა დადებული, მე ვარ ამის მფლობელი.
- შენ მაინც ეტყვი, რომ შეშლია. გაზომვაში შემცდარხარ-თქო. წინააღმდეგობა თუ გაგიწია — ლობის მოშლა ბრძანე.
- კანონილა?
- რის კანონი, ფულგორ? დღეის შემდეგ აქ კანონს მე და შენ დავადგენთ. მედია-ლუნას მოჯამაგირეებში ორიოდე ჩხუბისთავს ვერ გამონახავ?
- არც უმაჯისობაა.
- წახვალ აღდრეტესთან, იმათაც თან წაიყვან მისაშველებლად. შეადგენ აქტს, რომ აღდრეტე სხვის ქონებას ეპატრონება, სხვა რამეც გამოიგონე. თან ისიც შეახსენე, რომ ლუკას პარამო ცოცხალი აღარ არის, ჩემთან კი სულ სხვანაირი ანგარიშები ექნება.



ფულგორმა კარზე ისევ დააკაკუნა მათრახის ტარით, დააკაკუნა ისე, წესისა და რიგისთვის, თორემ იცოდა: პედრო პარამოს ნება თუ არ იქნებოდა, კარს არ გაუღებდნენ. „რაც უნდა იყოს, შავი ლენტი ცუდი გამოგონება არ არის, თავისი ლაზათი აქვს“. ჩაიბუტბუტა ლენტის დანახვაზე.

- კარი გაიღო და იმანაც ზღურბლს გადააბიჯა.
- მოდი, ფულგორ, როგორ მორიგდი ტორიბიო აღდრეტესთან?
- გზას გავუყენე.
- ახლა ფრეგოსოს რიგია. მაგრამ ცოტა ხანს მოვეშვათ, ჯერ მაგისტვის არა მცალია, ყურებამდე ვარ ჩაფლული „თაფლობის თვეში“.

— ჩვენთან, სადაც უნდა მოხვდე, ყველგან ექოა. მთელ კომალაში გადაძახილ-გადმოძახილია. ნეტა ასე დიდხანს ცარიელ კედლებს შორის ძლებს თუ ქვებშუაა მოტანებული? მიდიხარ ქუჩაში და თითქოს ვიღაც წამოგეწიას, ხან რაღაც კრიალი მოგესმება, ხან — ტკაცანი. ხან ვიღაცის სიცილი. ოღონდ დიდი ხნის წინანდელი სიცილი — რაღაცნაირი ძალაგამოლეული, შორეული. ხმაც ზუსტად ისეთია, თითქოს წლობით გახარჯულაო. მაინც ისმის ყოველი ბგერა, ყოველი ფაჩუნნი. მაგრამ, მე მგონი, დადგება დრო, და ყველაფერი მიწყნარდება.

ასე ამბობდა კომალას ქუჩებში ჩემ გვერდით მიმავალი დამიანა სისნეროსი.

— ერთხელ, ზედიზედ რამდენიმე დღე, სულ დღესასწაულის ხმა მესმოდა. ვიფიქრე, მოდი გავალ, ვნახავ ერთი, რა მზიარულებაა, ამისთანა რა ღრიანცვლია, რომ აქ, მედია-ლუნაში მესმის-მეთქი. მივედი ახლოს — ქუჩაში კაცის ქაჭანება არ ჩანდა, ცარიელი იყო იქაურობა, როგორც ახლაა. ის იყო და ის მერე აღარც გამიგონია იმ დღესასწაულის ხმები. არც არის საკვირველი, ადამიანი მზიარულებისაგანაც იღლება. აკი დასრულდა კიდევ.

— ჰო, იმას გეუბნებოდი, — ხელახლა წამოიწყო დამიანა სისნეროსმა, — ჩვენთან ექო ყველგან ხმაურობს, სადღა არ გაიგონებ გამოძახილს. ახლა უკვე აღარ მეშინია. აყმუვლდებიან ძაღლები? — იყმუვლონ, რამდენიც უნდათ.

მე ხომ ვიცი, ამ არემარეში ძაღლის ჭაჭანება აღარ არის. ანდა, გაიხედავ და — ამოვარდნილი ქარი ჩამოცვენილ ფოთლებს ერთი ადგილიდან მეორეზე ხვეტავს. ჩამოცვენილი ფოთლები საიდან უნდა ჩნდებოდეს, როცა მშვენიერად ხედავ, ირგვლივ ერთი ხეც არა დგას. ადრე, როგორ ~~რა~~ ^{რა} ხეები, იყო, რომ არ ყოფილიყო, ამ ფოთლებს აბა რა გამოისხამდა?

ყველაზე უარესი ისაა, როცა ლაპარაკი ისმის. ხმა მტრისმტრუობით, მაგრამ გარკვევით ისმის. მაშინვე მიხვდები, ვინც ლაპარაკობს. ახლაც, შენთან რომ მოვდიოდი, ვხედავ, პროცესია მოდის ჩემკენ. მეც შევჩერდი, ჩუმიად წარმოვთქვი „მამაო ჩვენო“. ვილაც ქალი დანარჩენებს გამოეყო, მომიახლოვდა და მეუბნება:

„დამიანა! შემავედრე უფალს, დამიანა!“

შალი მოიხსნა და, დიდება შენდა ღმერთო! ეს ხომ სიქსტინაა! ჩემი და.

„აქ რამ მოგიყვანა-მეთქი?“ — ვეკითხები.

ვთქვი ეს თუ არა, გამშორდა და ქალებში მიიმალა.

ჩემი და სიქსტინა კი, შენ აბა საიდან გეცოდინება, ცამეტი წლისა რომ ვიყავი, მაშინ მოკვდა. ჩვენში ყველაზე უფროსი იყო, ჩვენ კი თექვსმეტი დამა ვიყავით, ახლა იანგარიშე, რამდენი წელი იქნება გასული მისი სიკვდილიდან. ეგრე ჩანს, ისევ ამქვეყნად დაეხეტება? ჰოდა, წინასწარ გაფრთხილებ, ხუან პრესიადო, არ შეგეშინდეს, შენ ახლომახლო რაიმე ხმაური თუ გაიგონო.

— ჩემი აქ ჩამოსვლა თქვენც დედაჩემმა შეგატყობინათ?

— არა, ჩემთვის არავის არაფერი შეუტყობინებია, ჰო, მართლა, როგორ არის დედაშენი?

— დედაჩემი მოკვდა.

— მოკვდა? რამ მოკლა ასეთი ახალგაზრდა?

— რა ვიცი, ალბათ დარდმა. სულ ერთთავად ოხრავდა რალაცაზე.

— ეს ცუდია, ყოველ ამოთხვრას თან სიცოცხლის ნაწილი მიაქვს. მაშ მოკვდა?

— დიახ, მე მეგონა, იცოდით.

— საიდან მეცოდინებოდა, უკვე რამდენი წელია აღარაფერი მსმენია.

— აბა როგორ შეიტყვეთ რომ აქ ვიყავი?

— ...

— ცოცხალი ხართ, დამიანა? დამიანა, მიპასუხეთ.

უცებ ვხედავ, მარტოდმარტო ვდგავარ უკაცრიელ ქუჩაში. ფანჯრის ღრიკებიდან სინათლისაკენ ისწრაფვიან გარეულ მცენარეთა მსხვილი ღეროები, თიხით შელესილ ჩამონგრეული გალავნის ძირას დაშლილ-გადარეცხილი ალიზები ჩანს.

— დამიანა! — დავიყვირე ხმამალლა. — დამიანა სისნეროს!

„... ანა ...ნეროს! — გამომეხმაურა ექო, — ...ანა ...ნეროს!“

უცებ, თითქოს ჩემს ყვირილს გამოელვინებინოს, აყუფდნენ ძაღლები. ქუჩაში მოხეტიალე კაციც დავინახე.

— ეი, შენ! — გავძახე ხმამალლა.

— ეი, შენ! — მიპასუხა ჩემივე ხმით.

ჩემს სმენას სწვდებოდა ქალების ბაასი. მეჩვენებოდა, რომ იქვე, მოსაზვევში ჩურჩულებდნენ.

— უყურე, უყურე, ვილაც მოდის. ნეტა ფილოტეო არეჩეგა ხომ არ არის?

— ის არის, თავი ისე დაიჭირე, თითქოს ვერ იცანი.

— წავიდეთ, ჩქარა. რაკი აგვეტორლია, ეტყობა, რომელიღაცა თვალში მოუვდით. ნახე, როგორ მოქაქანებს, რომელს მოგვდევეს ნეტა ასე გამწარებით, მე თუ შენ?

— შენ, რასაკვირველია.

— მე კი მეჩვენება, რომ შენ.

— მოიცა. ნულა მირბიხარ. ჩამოგვრჩა. კუთხეში გაჩეხდა.

— ჩანს, ჩვენ არ მოგვდევედა. არც შენ და არც მე.

— რომ დაგვდევენებოდა, მაშინ? მაშინ რაღას იტყოდი?

— ძალიანაც არ ვეპიტნავეებით!

— მე კი გეუბნები, გაცლა ჯობდა. არ იცი, მაგაზე რეებს ჰყვებიან? მითხრეს, დონ პედროსთვის გოგოებს იტყუებსო, ასე რომ, იცოდე, იოლად გადავრჩით.

— მართალი ხარ, მაგისტანა ბებრუხუნასი შეხედვაც კი საზიზღრობაა.

— წავიდეთ. ცოდვაში არ გავერიოთ.

ლამეა, უკუნეთი ლამე, ისევ გაისმა ხმები.

... — ხომ გითხარი, სიმინდის მოსავალს ავიღებ თუ არა, ყველა ვალს ერთად გადაგიხდი-მეთქი, ვერ ავიღებ და — თუ ძმა ხარ, მაცაღე, ჩემი ვალი არც გაგამდიდრებს, არც გაგაღარიბებს.

— მე ვალს როდი გთხოვ. კარგად იცი, სიტყვის გატეხვა არ მჩვევია; მაგრამ მიწა შენი აღარ ყოფილა. სხვისი ნაკვეთი მოგიხნავს და რითი მიპირებ ვალის გასტუმრებას?

— ეგ ვინღა მოიგონა, რომ მიწა ჩემი არ არის?

— ხმები დაყარეს, პედრო პარამოს მიჰყიდაო.

— იმ შენი პედრო პარამოსთვის თვალიც არ დამიკრავს. ეს მიწა კი ოდითგან ჩემი იყო.

— ამას შენ ამბობ, ხალხი კი ლაპარაკობს, — პედრო პარამოსიო.

— აბა მაგის თქმა მე გამიბედონ!

— ყური დამიგდე, გალილეო, კარგად იცი, რომ პატივსა გცემ. რაც არ უნდა იყოს, ჩემი დის ქმარი ხარ. ჩემს დას ცივ ნიავს არ აქარებ, ამას ყველა ხედავს, მაგრამ არ უნდა მატყუებდე. მიწა გაყიდე და ახლა თავის დაძვრენა გინდა.

— მე კი გეუბნები, არ გამიყიდია-მეთქი.

— გაგიყიდია თუ არ გაგიყიდია, ეს მიწა პედრო პარამოსია. ეტყობა, ასე ინება. შენთან დონ ფულგორს არ შემოუვლია?

— არა.

— მაშასადამე, ხვალ მოვა, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც.

— მოვიდეს, ბევრ რამესაც წაიღებს, თუკი არ დამასწრო; აქვე ავუგებ წესს.

— კეთილი, სიძვე ბატონო, რაკი გეეჭვება, მოვიცადოთ, აღდგომა და ხვალეო.

— კარგი, კიდევ შევხვდებით, დარდი ნუ გექნება, ჩემო ცოლისძმავე, დედაჩემს ტყუილად არ შევუჩვევივარ ცემა-ტყუებას. მოთრიმლული მაქვს ტყავი, გავუძლებ.

— მაშინ ხვალამდე. ჩემს დას გადაეცი, დღეს თქვენთან ვერ ვივახშმებ, არ მინდა სალაპარაკოდ იქცეს: „უკანასკნელი საღამო ერთად გავატარეთ.“



— კეთილი, თუ გადაიფიქრებ და დაბრუნდები. შენი წილი კერძი შენახული იქნება.

თანდათანობით მიწყდა ფეხის ხმა, დეზების წკარუნნი.

— ხვალ ალიონზე შენთან ვიქნები, გესმის, ჩონა! სახედრებიც უკვე მზად მყვანან.

— მამაჩემი დარდით მოკვდება. სიბერე მოერია... მთელს სისუსტეს ვერ მოვისვენებ, მაგას ჩემ გამო რამე რომ დაემართოს! დედამიწის ზურგზე მე ვყავარ მარტო, უჩემოდ რა ეშველება? ვინ მიხედავს? ვის ჩავაბარო? რას აიჩემე წაგიყვან და წაგიყვანო. ცოტაც მოითმინე, საბრალოს დიდი დღე არ უწერია.

— შარშანაც ვგრე მეუბნებოდი, მერე ისევ მე დამიწყე საყვედურები, საქმე საქმეზე რომ მიდგება, გამბედაობა გაკლიაო, თითქოს შენ თვითონ ყველაფერი მოგბეზრდა და მზადა ხარ ახლავე გამომყვე. მოკლედ, სახედრები ვიშოვე, გამზადებულები მიცდიან, წამოხვალ?

— მაცალე, მოვიფიქრებ.

— რომ იცოდე, ჩონა, როგორ მომწონხარ! მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! თუ წამოხვალ, კარგი, არ წამოხვალ და... ძალით წაგიყვან!

— მაცალე, მოვიფიქრებ. რანაირად მივატოვო, თვითონ დაფიქრდი. დავაცადოთ სიკვდილი, ხომ გეუბნები, დიდი დღე აღარ უწერია-მეთქი. მაშინ ჩუმად წამოსვლაც აღარ დამჭირდება, ავდგები და აშკარად გამოგყვები.

— შარშანაც ამას მეუბნებოდი.

— მერე რა?

— ისა, რომ, სახედრები ვიჭირავე და გვიცდიან, გაიგე? ახლა მარტო შენზეა საქმე. მოხუცი კი უშენოდაც იოლას წავა, არაფერი დაუშავდება. შენ ახალგაზრდა და ლამაზი ხარ. ქვეყანაზე გულკეთილი მეზობლის ქალები რამ გამოლია, მაგასაც გამოუჩნდება ვინმე მომვლელი.

— არ შემიძლია.

— შეგიძლია.

— არ შემიძლია-მეთქი. მებრალება, გესმის? ვილაც გადამთიელი ხომ არაა, მამაა ჩემი.

— რაკი ასეა, აღარაფერა. მაქვს სათქმელი, ხულიანასთან წავალ, ჩემი სიყვარულისგან ლამისაა ჩამოხმეს.

— წადი, სულაც არ გიჭერ.

— ხვალ აღარ მოვიდე?

— არა, ნულარასოდეს ნულარ მოხვალ.

ისმის ფაჩუნი, ვილაცის ლაპარაკი. გაურკვეველი ხმაური, შორეული სიმღერა.

გოგონამ ცხვირსახოცი მარტვა.

არშინა ცრემლითაა ნაქარგი...

ხმამალა, ფალცეტით მღერიან მელიოდის მამაკაცთა ხმები. რომ არ იცოდე, ვინაა, იტყვი, ქალები მღერიანო.

გამოჩნდნენ ფურგონები. ნელა მოიზღაზნებიან შიგ შებმული ხარები. თვლებს ღრჭიალი გაუდით ქვებზე. მეფურგონეები უკან ისე მისჩანჩალებენ, თითქოს ზეზეურად სძინავთო.

...დამლაშობით, განთიადის წინ, ყოველი მხრიდან სოფლისკენ დაძრული

ფურგონების რაზრახისაგან სახლები ირუევა. ფურგონები გვარჯილით, სიმინდის ტარით და მოთიბული ბალახითაა თავმოხმული. ფანჯრის მინებს ზრიალი გაუდით. თვლების ჭრილისაგან იღვიძებენ ძილისგუდები. ამ დროისათვის დიასახლისებს, ჩვეულებრივ, კერაზე უკვე გაჩაღებული აქვთ ცეცხლი და ბაერში ახლად გამომცხვარი პურის სუნი ტრიალებს: ხანდახან კი ხდებენ ხტუნვები, ანაზღეულად გადაივლის ჭექა-ჭუხილი და აშრიალდება წვიმა. ხდება, განსაკუთრებული მოხულა უკვე. ბევრი რამ ხდება იმ მხარეში, შვილო, „ანაზღეულად“, ამას შენც ჩქარა მიეჩვევი.

მიდამოს მკვდრულ მყუდროებას ცარიელი ფურგონების რაზრახი ფლეთავს. წუთის შემდეგ კი უკუნეთ ღამეში ინთქმება ხმაური. კვლავ დგება წყვლიანი. წყვლიანის ხმა.

გადავწყვიტე, დროა უკან დავბრუნდე-მეთქი. გუმანმა მაპოვნინა აღმა მიმავალი ბილიკი, რომელმაც აქამდე მომიყვანა. ბილიკი ჭრილობასავით აჩნდა ბნელით მოცულ მთებს.

უეცრად მხარზე ვილაცის ხელი ვიგრძენი.
 — აქ რას აკეთებ?...
 — შინდოდა მენახა... — კინალამ წამომცდა სახელი, მაგრამ ენა დამება, — მენახა მამაჩემი.
 — შინ რატომ არ შემოხვალთ?

შევედი. ნახევარ დერეფანს სახურავი გადახდოდა. ნიენიეები ჩამოსცვივნოდა, ძირს დამსხვრეული კრამიტი ეყარა. სახლის გადარჩენილ ნახევარში კაცი და ქალი დავინახე.

— თქვენ მკვდრები ხართ თუ ცოცხლები? — ვიკითხე მე.
 ქალმა გაიციხა. კაცმა შემომიბღვირა.
 — მთვრალია, — თქვა კაცმა.
 — არა, ეტყობა. შიშმა აიტანა, — დაასკვნა ქალმა.

მაგიდაზე ნავთის ლამპა ენათო. იგი ანათებდა ბამბუკის — ოტატეს,¹ — საწოლსა და მოწნულ სკამს, რომელზედაც ქალის ტანსაცმელი ეწყო. თვითონ ქალი დედისობილა იდგა ჩემ წინ, ეგრევე კაციც.

— გვესმის, ვილაცა კვნესის, მერე კარს თავით დაუწყო რახუნი. ვხედავთ — შენა ხარ, რა იყო, შეგემთხვა რამე?
 — იმდენი რამე შემემთხვა, რომ ახლა მირჩევნია დავიძინო.
 — ჰოო, ჩვენც უკვე გვეძინა.
 — მაშინ დავწვეთ და დავიძინოთ.
 ღამემ მიმინავლა მოგონებები.

დროდადრო ჩემამდე აღწევდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები. უცნაურია, ეს სულ არა ჰგავდა იმას, რაც მანამდე მომესმინა. იმიტომ, რომ ადრე ადამიანთა ხმები ჩემამდე უხმოდ აღწევდნენ, მღუმარენი იყვნენ ეს ხმები: ლაპარაკს, მართალია, აღვიქვამდი, მაგრამ ხშიანობით იგი არ ხშიანობდა — ასეთი რამ სიზმარში თუ ხდება ხოლმე.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა ქალმა.
 — რას გაიგებ, — უპასუხა კაცმა.
 — აქ როგორ მოხვდა?
 — ვინ იცის!

1. ოტატე — ლერწმის სახეობა.

- მგონი, მამის ამბავს ჰყვებოდა.
- მართალია, მამა ახსენა.
- ეგებ გზა დაებნა? არ გახსოვს, ერთხელ ჩვენთან სხვებიც მოეხეტნენ: გზა დაგვებნა და იქნებ გვასწავლოთ, „ქვეყნის დასალიერს“ როგორ წავიღეთო გახსოვს? შენ უბასუხე, ასეთი ადგილი არ მსმენიაო.
- მახსოვს, მახსოვს, დამაძინე, გათენებამდე ჯერ დიდი დროა.
- არა, სადაცაა ირიქრატებს, მე ყასიდად გაგიბი ლაპარაკი, მინდა გამოგაფხიზლო, ხომ მითხარი, დილაბნელზე გამალვიძეო; მეც გალვიძები ადექი!
- რა ეშმაკად უნდა ავღგე?
- აბა რა ვიცი? გუშინ საღამოს გამაფრთხილე, ადრე გამალვიძეო, რატომაო, ეგ აღარ გითქვამს.
- რაკი აღარ გახსოვს, დამაძინე, ხომ გაიგონე, ამ კაცმა რა გვთხოვა? „დამაძინეთო“. მეტიც თქმის თავი აღარა ჰქონდა, დაე, ეძინოს.
- ხმები მიწყდა, მიწყდა ანაზღად, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ჩამთვლიძა, მაგრამ ისევ ხელახლა გაისმა:
- ხედავ, შეტოკდა ნამდვილად გამოიღვიძებს, დაგვინახავს, როგორა ვწევართ, და დაგვიწყებს გამოკითხვას.
- რის გამოკითხვას?
- ლაპარაკი თუ უნდა, საბაბს რა დალევს?
- დაეხსენი, ვერა ხედავ, დაქანცულია.
- დაქანცვისა ვითომ რა ეტყობა?
- გაჩუმდები თუ არა, დედაკაცო?!
- უყურე, ისევ იცვალა გვერდი, ნახე, როგორ ტრიალებს შამფურივით.
- მახსოვს, მეც ეგრე შემართებოდა.
- რა გემართებოდა?
- რაღა, რაც მაგას.
- რას როშავ?
- არ გამხსენებოდა, არც წამოვროშავდი, ვუყურებ, წამდაუწუმ როგორ იცვლის გვერდს, და მეც გამახსენდა, შენთან პირველად რომ ვიყავი, მაგასავით მეც ველარ ვპოულობდი მოსვენებას, ვწუხდი; თან, რაც შემეძლო, თავს ვილანძლავდი.
- თავს რაზე ილანძლავდი?
- იმაზე, რომ დაგნებდი, მაშინვე მიეხვდი, ცუდად რომ მოვიქცეით, თუ მცა შენ განგებ არ ჩაგიდენია.
- ევა! იშოვა გასახსენებელი, არც შენ იძინებ და არც მე მაძინებ.
- შენ თვითონ მითხარი, გამალვიძეო, მეც გალვიძებ, ღმერთია მოწამე, იმას ვასრულებ, რაც მიბრძანე, ადექი, მუქთახორა, ადგომის დროა!
- დამაძინე-მეთქი.
- კაცს ეტყობა, ჩაეძინა, ქალი კი კარგა ხანს დუდლუნებდა:
- თითქოს შეცისკრდა, ნათელი ჩამოდგა, რაკი საწოლიდანაც ვამჩნევ ამას, ეტყობა, თენდება, სიბნელე რომ იყოს, რას გავარჩევდი, ჩქარა მზე ამოვა, არ უნდა ლაპარაკი, ავაზაკია, სხვა ვინ იქნება, ჩვენ კი შინ შემოვუშვით, რა უჭირს ვითომ, ერთი ღამით! იტყვიან, დამალესო, უბრიკავს სახრიკავად ვიხდით, დახე, როგორ ტრიალებს, ვერ ისვენებს, ზედვე ეტყობა, მოუსვენრობის საბაბი ექნება, ცხადია, მაგას სინდისი აწუხებს, ნათქვამია, ბოროტ სულს მოუსვენრობა აქვს შეყრილიო.

დღე და ღამე გაიყარა... ირრრრრრრრ. განთიადმა სიბნელე გაფანტა... სამი ადამიანის აგზნებული ძილისგან ოთახში ჰაერი დაიხუთა, დაცხა. მოჭუტული თვალის კუთხიდან ვხედავდი აისის მომძლავრებულ ნათელს.

— ხედავ, რა წარამარა იცვლის გვერდს? იტყვი, ეშმაკები ჯოჯობხეთის ცეცხლზე წვავენო, — მომესმა ხელახლა, — სიფათი კი ავაზაკზე ავაზაკისა აქვს. ადექი, დონის! შეხედე, როგორ მოკრუნჩხულა, იატაკზე აგდებულა იდან ღუფი სდის. მაგას ნამდვილად ერთი და ორი სული არ ეყოლება და-ღუპული. აიჰ, შე დოყლაბძა, კაცი ღამე შინ შემოუშვი და ისიც არ იცი, ვინ არის.

— ვინ არის! ვინ არის! ვინა და, ერთი გაჭირვებული, ბეჩავი კაცია, აღარ გელირსოს დაშოშმინება! დაიძინე და ჩვენც მოგვასვენე.

— დაიძინე კარგია, თუ არ მეძინება?
 — მაშინ ადექი და აქედან დამეკარგე, შენი ხმა აღარ გავიგონო.
 — ჰო, ავდგები, ცეცხლს დავანთებ. ამას კი ვეტყვი, რომ ჩემ მაგივრად ეგ დაწვეს შენთან.

— უთხარი,
 — არა, ვერ ვეტყვი, მეშინია.
 — წადი, მიხედე შენს საქმეს, მოგვასვენე.
 — მოიცა, ახლავე.
 — დიდხანს იზოზინებ?
 — ჰო, მივდივარ.

გავიგონე, როგორ ადგა ქალი საწოლიდან, ფეხშიშველამ როგორ გაატყაპუნა იატაკზე და თავზე გადამალაჯა. თვალები გაგახილე, ისევ დავხუჭე.

რომ გავიღვიძე, ოთახი შუადღის მზით იყო სავსე. ჩემ გვერდით ჭიქით ყავა იდგა. ვეცადე დამეღია, მაგრამ ორი ყლუბის მეტი ვერ მოვსვი.

— გვაპატიეთ, მეტი ვერაფრით გაგიმასპინძლდებით, სულს იქით არაფერი გვაბადია... ლამის შიმშილით დავიხოცნეთ.

ქალის ხმა იყო.
 — ნუ შეწუხდებით-მეთქი, — ვუბასუხე, — ჩემზე ნუ იღარდებთ. შეჩვეული ვარ, ოღონდ მითხარით, აქედან როგორ უნდა გავალწიო?

— გააჩნია, საით ეშურებით?
 — ჩემთვის სულერთია.

— აქედან ოთხივე მხარეს შეიძლება წასვლა. გზა კონტლშიც მიდის და იმის საპირისპირო მხარესაც. ეს გზა პირდაპირ მთებისკენ წაგიყვანთ, აი, ეს კი, თვითონაც არ ვიცი, საით მიდის, — თქვა ქალმა და თითი პირდაღებული, ჩამომტვრეული სახურავისკენ აიშვირა — თუ აქეთ წახვალთ, მედია-ლუნაში აღმოჩნდებით. არის კიდევ ერთი გზა, ის გზა ყველაზე შორია, თანაც დანარჩენ გზებსა ჰკვეთავს.

— მე მგონი, აქ მაგ გზით მოვედი.
 — ეს გზა საითღა მიდის?
 — საიულაში,

— აჰა! აი, თურმე სადა ყოფილა საიულა... მე კი მეგონა, საიულა ეგერ არის, ე, სულ ასე მეგონა. მართალია, რომ ამბობენ, საიულაში უამრავი ხალხი ცხოვრობსო?

— როგორც ყველგან.
 — უყურე ერთი, ჩვენ კი აქ ლამის ხმის გამცემი გვენატრება. ხანდახან

ჯავრი შემოგვაწვება, ამბავი მაინც გაგვაგებინა, ქვეყანა, ხალხი როგორ ცხოვრობსო.

— თქვენი ქმარი სადღა წავიდა?

— ქმარი კი არა, ჩემი ძმა არის. მაგრამ არ უნდა გაამხილოს და ვინმემ შეიტყოს. სად წავიდა? სადა და, სადღაც, ამ არემარეში გასუქებული მოზვერი დაეხეტება. იმის საქმენელად წავიდოდა. რა ვიცი აბა, ^{მეტიერს ვსწავი} დამიბარა და...

— დიდი ხანია აქა ცხოვრობთ?

— ოდითგან აქა ვართ, აქ დავიბადენით.

— მაშინ ალბათ გეცოდინებათ დოლორეს პრესიადო.

— დონისი შეიძლება იცნობს, მე ხალხს იშვიათად ვხვდები. შინიდან გარეთ არ გავდივარ. ოთხ კედელშუა გავატარე წუთისოფელი... სქნებ მთელი წუთისოფელი არა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამან ცოლად შემირთო. იმ დღიდან მოკიდებული ვზივარ ასე გამოკეტილი, მეშინია ხალხს დავენახო. დონისი არ მიჭერებს, მაგრამ აბა შემომხედეთ. ხომ საშინელი ვარ? — ქალმა ბნელი კუთხიდან სინათლისაკენ გამოაბიჯა. — სახეზე შემომხედეთ.

ჩვეულებრივი სახე ჰქონდა, როგორც ყველას.

— მე სახეზე ვერაფერს ვატყობთ.

— ცოდვას, ცოდვას ნუთუ ვერ მატყობთ? გვამის ლაქები არ მამჩნევია? მთელი სხეული, თავით-ფეხებამდე, ლაქებითა მიქვს დაფარული. ეს გარედან, შიგნით კი სიბინძურით და სისაძაგლით ვარ გავსებული.

— ვინღა ხალხისა გეშინიათ, თუკი აქ არავინ არა ცხოვრობს? მთელი კომალა შემოვიარე და კაცის ჭაჭანება არა ჩანს.

— თქვენ მოგეჩვენათ ასე, თორემ ხალხი აქ მუდამ ცხოვრობს. ფილომენო ცხოვრობს? ცხოვრობს. დოროთეა, მელკიადესი, მოხუცი პრუდენსიო, სოსტენესი ან დანარჩენები, თქვენა გგონიათ, აქ არა ცხოვრობენ? ცხოვრობენ. გამოჩენით კი იმიტომ არა ჩნდებიან, რომ ყველა თავის სახლშია ჩაკეტილი. დღისით რას აკეთებენ, ამას ვერ ვეტყვით, ხოლო ღამ-ღამობით რომ ჩაკეტილები არიან, ეს ნამდვილად ვიცი. ღამ-ღამობით აქ შიშის კანკალში ვართ. როგორც კი მზე ჩავსვენება, უმაღ ქუჩაში მოჩვენებები გამოეფინებიან ხოლმე. ჭგრო-ჭგროდ დადიან. აბა მითხარით, ვის რაში ეპიტნაება მოჩვენებებს გადაეყაროს? თანაც აქ მოჩვენებების ღამის მთელი ღამეა არის. ჩვენ კი — თითო-ოროლანიღა დაერჩით, მათთვის ეს წამება რომ დამთავრებულიყო, ჩვენ უნდა გველოცა, მაგრამ ლოცვა შევწყვიტეთ; აბა რომელ ერთს გავწვდებოდით? თითოეულს ორიოდ სიტყვა თუ შეხვდებოდა „მამაო ჩვენოდან“. ამით რა უნდა გვეშველა მათთვის? ანდა, რა იცი, მისავალი კი იქნებოდა ჩვენი ლოცვა? ცოცხლებს შორის არავინ მეგულება, უფალი ღმერთის მიტევება რომ ღირსებოდა, ნიადაგ მიწას ჩავჩერებდით, თვალი ვერა და ვერ მოგვიწყვეტია, ავიხედავთ და სირცხვილისაგან ნათელი ბნელით იფარება; მართო სირცხვილით კი ვერა ცხონდები, ეს ეპისკოპოსმა განმიმარტა. ერთხელ ჩვენთან ჩამოიარა კონფირმაციაზე. დავუდექ წინ და ყველაფერი ვაღიარე.

ის კი შეუბნება: „მიუტევებელია ცოდვანი შენნი“.

„სირცხვილმა ღამის გამათავოს-მეთქი. — ვეუბნები“.

„სირცხვილში ხსნას ვერა ჰპოვებო“.

„დაგვწერეთ ჯვარი, თქვენო ყოვლადსამღვდელოებავ“.

„განვედი ჩემგან“.

მინდოდა შეთქვა, ჩვენი ბრალი არ არის, თვითონ ცხოვრებამ დაგვაკავშირა-მეთქი, ჩაგვკეტა ორნი ერთ კუთხეში და უნებურად ერთიმეორეს მხვავსება. მარტოდმარტონი ვიყავით, ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ იყო. ჩვენ კი ხალხს კვლავ მოვამრავლებთ. „სხვა დროსაც ჩამობრძანდით, იქნებ სხვაც იყოს ვინმე საკონფირმაციო-მეთქი“. ის კი თავისას იმეორებდა: „გაშორდით ერთმანეთს, სხვა რამის რჩევა არ შემიძლია“.

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

მინდოდა შეთქვა
მინდოდა შეთქვა

„როგორღა ვიცხოვრებთ?“

„როგორც სხვები ცხოვრობენო“.

გაუჩავრდა თავის ჯორსა და წავიდა; შეუბრალებელი სახე გაქვავებოდა; უკან აღარ მოუხედავს; თითქოს ადამიანები კი არა, ხორცშესხმული, მოკვდავი ცოდვანი ვყოფილიყავით. მას შემდეგ აღარ გამოჩენილა. იმიტომაც დაეხეტებოდა ღამ-ღამობით ცოდვამიუტევებელი სულები. ისინი კი, ეს ბედშავნი, აქ აუარებელნი არიან, ვინც ცოდვების შეუნდობლად აღესრულა. წვალობენ საბრალონი, მაცხოვრისაგან ცოდვების მიტევების რაიმე ნუგეში კი არა და არა ჩანს. და აბა ჩვენ, უღირსნი, მათ ცოდვებს როგორ გამოვისყიდით? აი, ისიც უკვე ბრუნდება. გესმის?

— მესმის.

— იმის ფეხის ხმაა.

კარი გაიღო.

— რა ქენი, დაიჭირე? — ჰკითხა ქალმა.

— არა, დღეს ვერსად გადავეყარე. კვალს კი მივაგენი. ახლა ნაღდად ვიცი, სადაც იმალება. ღამით უსიკვდილოდ დავიჭერ.

— მერე, ღამე მე მარტო დამტოვებ?

— შეიძლება დაგტოვო.

— მარტო როგორ დავრჩე? არ შემიძლია უშენოდ, მთელი ღამე მოსვენება მაქვს დაკარგული, შვებას მარტო ღამე, შენ გვერდით ვბოულობ.

— მოზვერი უსიკვდილოდ უნდა დავიჭირო.

— ახლავა შევიტყვე საუბარში, რომ და-ძმა ყოფილხართ.

— ახლავა შევიტყვეთ? — ჩამეკითხა კაცი, — მე კი კარგა ხანია ვიცი, მაგრამ ხმას არ ვიღებ. ასე რომ, გირჩევნია ამ საქმეში ცხვირს ნუ ჩაყოფთ. არ გვიყვარს, როცა ჩვენზე ენას აჭარტალებენ.

— მე ეგ მხოლოდ იმიტომაც ვთქვი, რომ ჩემთვის გასაგებია.

— რა არის გასაგები?

ქალი კაცს გვერდით დაუდგა და ხელი გადახვია.

— რა არის გასაგები? — გაიმეორა ქალმაც.

— არაფერი, — ვუბასუხე მე, — ახლა მართლაც ველარაფერი გამიგია.

— მერე იქვე დავაყოლე: — მინდა ქალაქში დავბრუნდე, საიდანაც მოვედი, წავალ ბარემ, სანამ დაბინდდება.

— სად გეჩქარებათ? — შემაჩერა კაცმა, — ხვალამდე მოიცადეთ, სადაცაა მოსალამოვდება, გზა კი სულ ჯაგნარითაა დაფარული, უღრან ტყეში, კლდეებს შორის დაბნევის რა უნდა! დილით თვითონ გაგაცილებთ.

— გმადლობთ.

ფარლალა სახურავს იქით გამოჩნდა შაშვების გუნდი — ამ ფრინველებმა გვიან საღამომდე იციან ფრენა, სანამ სიბნელე მთლად არ გადაკეტავს ზეცი-

ურ გზებს, მერე ცას ღამის მაუწყებელმა, ქარისგან დაწეწილმა ღრუბლებმა გადაუარეს. ზეცაზე ვარსკვლავები აენთნენ. მალე მთვარეც გამოჩნდა.

ალარც ქალი და ალარც კაცი ოთახში ალარ იყვნენ, ისინი შიგნით ეზოსკენ გამავალი კარით გავიდნენ, უკან რომ მობრუნდნენ, საკმაოდ ბნელოდა და, ცხადია, რაც მათი იქ ყოფნისას მოხდა, არ შეუტყვევებულან.

მოხდა კი აი რა:

ქუჩიდან კარი გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა ქალი: ბენძლი, ჩონჩხივით გამოფხავებული დედაბერი, შემოვიდა, იქაურობას თვალი მოავლო, უეჭველია. შემამჩნია, მაგრამ ისიც უეჭველია, იფიქრა, სძინავსო. კარიდან პირდაპირ კუთხისკენ გაემართა, სადაც საწოლი იდგა, ქვეშიდან ტყავგადაკრული ზანდუკი გამოალო, შიგ ხელების ფათური დაიწყო, ილღიაში ორი თუ სამი ზეწარი ამოიჩარა და ფეხაკრეფით გავიდა, თითქოს ჩემი გაღვიძებისა ეშინოდა.

მე სუნთქვაშეკრული ვიწეჭი და ვცდილობდი განზე გამეხედა. მერე თავი ფრთხილად მოვატრიალე და ზევით დავიწყე ყურება, მწუხრის ვარსკვლავები ახლა მთვარის გვერდით ბრწყინავდნენ.

— აიღეთ, დალიეთ, — მომესმა ქალის ხმა.

მე ვერ გავბედე მისთვის შემეხედა.

— დალიეთ, უცბად მოხვალთ გუნებაზე, ფორთოხლის ყვავილის ნახარში მოგიმზადეთ. შიშისგან დაგემართათ ეგრე, ნახეთ, როგორ გაცახცახებთ, დალიეთ, შიში მალე გაგივლით.

ქალის ხელები ვიცანი, თვალი ავაყოლე და სახეზეც ვიცანი, კაცი ზურგს უკან ედგა.

— ავად გახდით? — მკითხა კაცმა.

— თვითონაც არ ვიცი, ადამიანები მელანდებიან, ათასი სხვა რამაც, თქვენ ალბათ ამეებს ვერა ხედავთ, ახლახან აქ ვილაც დედაბერი იყო, არ შეგხვედრიათ შემოსვლისას?

— მოეშვი, — თქვა კაცმა, — წავიდეთ, მაგას, ეტყობა, სულ ღვთაებრივი რალაც ელანდება.

— მოდი, საწოლზე დავაწვინოთ, ვერა ხედავ, როგორ კანკალებს, ეტყობა, სიცხეც აქვს, ნახე, რა ემართება.

— შენ ნამეტანს ნუ გადაჰყვები, მაგისთანებს თავის მოკატუნება უყვართ, ცდილობენ ყურადღება მიიქციონ, მედია-ლუნაშიც იყო ერთი კაცი, ტრაბახობდა, ბედის გამოცნობა შემიძლიაო, იმას კი ველარ მიხვდა, ბატონი თუ ოინს გაუგებდა და საიქიოს გაისტუმრებდა. ამასაც, ეტყობა, იმისთანა ღვთის კაცია. ვიცნობ მაგ მუქთახორებს, დადიან წლიდან წლამდე სოფლიდან სოფელში, არცა თესავენ, არცა მკიან და მაინც მაძღრისად არიან. თუმცა ჩვენ აბა რით გავაძლობთ, ნამცეცი ბური არ გვეშოვება, ნახე, ნახე, კანკალი შეწყვიტა; ალბათ ყურს გვიგდებს.

დრო თითქოს უკან დაბრუნდაო, კვლავ თვალი ვკიდე მთვარის გვერდით მწუხრის ვარსკვლავებს. თხელი, გამკვირვალე ღრუბლები აქეთ-იქით მიმოიფანტა. გადაიქროლა შაშვების გუნდმა. ჩემს თავს ზემოთ ისევ გაბრწყინდა ჩაუქრობელი მწუხრის ზეცა.

სახლის კედლებზე თამაშობდა დღის ანარეკლი. ქვაფენილზე მკვეთრად ისმოდა ჩემი ფეხის ხმა. „იპოვეთ დონია ეღუვიხესი, თუკი ცოცხალია“, — დამარიგა მეჭორემ.

შემდეგ — უეცრად ჩამობნელდა. ვწევარ ოთახში. ჩემ გვერდით ლოგინში

ქალი ხვრინავს: არათანაბრად სუნთქავს. იტყვი, ეს-ესაა ჩათვლილათ, ანდა თავს იკატუნებს, განგებ ხვრინავსო. საწოლი ბამბუკისაა, დატკეპნილი ლეიბები შარდის სუნით ყარს, თითქოს არასდროს გაუმწეურებიათო. ბალიშის/მაგიერად ძენძით თუ მატყლით გატენილი უხეში სარჯის ტომარა მიდევს. იგი ისეა დაკურტნული და ოფლით გაქდენილი, შეშის ნაბობი გეგონება.

ქალის შიშველი ფეხები მუხლებზე მეხება, სახეზე მის სუნთქვის სუნთქვები აგურივით მაგარ ბალიშს დავეყრდენი და საწოლზე წამოვკეჭებო.

— არა გძინავს? — მეკითხება ქალი.

— მთელი ღამე მეძინა, აღარ მეძინება. თქვენი ძმა სადღაა?

— საქმეზე წავიდა. ხომ გაიგონე, სადაც აპირებდა წასვლას. ამაღამ არა მგონია დაბრუნდეს.

— მაინც წავიდა? აკი სთხოვეთ, არ წასულიყო.

— წავიდა. შეიძლება სამუდამოდაც. ყველანი ეგრე მიდიოდნენ. აქ უნდა წავიდეთ, იქ უნდა წავიდეთო, იტყვიან, წავიდეთო და მერე ქირი მოგჭამა... ეტყობა, მეტიმეტად შორს მიდიან. ესეც კარგა ხანია აპირებდა წასვლას. მოხვედით თუ არა, გადაწყვიტა, რომ მაგისი დროც დადგა. ჰო, ნამდვილად ასეა. მოტყუებით შემოგაჩეჩათ ჩემი თავი. ამიერიდან ჩემზე თქვენ უნდა იზრუნოთ. შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა. მოხვეერი ყასიდად, თვალის ასახვევად მოიგონა. დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა — აღარ დაბრუნდება.

მინდა ვუთხრა, გულს მაზიდებს და სუფთა ჰაერზე გაფალ-მეთქი, ამის ნაცვლად რატომღაც ვეუბნები:

— ნუ ღელავ, დაბრუნდება.

ზეზე წამოვდექი.

— მე კი საქმელი მოგიმზადეთ. სამზარეულოში კერიაზე დგას. ცოტაა, მაგრამ შიშვილს მოგიკლავთ.

მართლაც სამზარეულოში თბილ კერიაზე შაშხის რამდენიმე ნაჭერი და სამიოდე ტორტილია დამხვდა.

— მეტი ვერაფერი ვიშოვე, — მომესმა ოთახიდან ქალის ხმა, — ესეც ჩემს დას ზეწრებში გავუცვალე, ზეწრები დედაჩემის მოცემული იყო, სულ ახალთახლები. ჩემი დაც მაგის წასაღებად მოვიდა. არ მინდოდა დონისისთვის მეთქვა, რომ თქვენი შემშინებელი ის დედაბერი ჩემი და იყო.

ჩაბნელებული ზეცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი მთვარის გვერდით ბრწყინავს.

— არ გესმის ჩემი ხმა? — ვკითხულობ ჩურჩულით.

— სადა ხარ? — მომესმა პასუხი.

— აქა ვარ, შენს სამშობლოში, იმ ხალხს შორის, ახალგაზრდობა ვისთანაც გაატარე. მხედავ?

— ვერა, შეილო, ვერა გხედავ.

ღედის ხმა მთელ დედამიწას შემოევლო და სამყაროს უსასრულობაში დაიკარგა.

ოთახში შევბრუნდი, სადაც ქალს ეძინა.

— იატაკზე დავწვები, სადაც გუშინ ვიწექ, თქვენი საწოლი ამაზე რბილი მაინც არ არის. თუ რამე დაგჭირდეთ, დამიძახეთ, — ვუთხარი მე.

— დონისი აღარ დაბრუნდება, თვალეებზეც ეტყობოდა, — შემეხშიანა

ქალი, — ის სულ ვიღაცის გამოჩენას ელოდებოდა, რომ წასულიყო. დღეის ამას იქით ჩემზე შენ იზრუნებ, თუ შენ არ გეპრიანება ჩემზე ზრუნვა? მოდი, დაწევი ჩემთან.

— მე აქაც კარგად ვარ.

— საწოლზე გერჩინოს. იატაკზე ტარაკნები დაგქამენ.

მეც წამოვდექ და ქალთან დავწევი.



შუალამისას აუტანელმა სიცხემ გამაღვიძა, ერთიანად ოფლში ვცურავდი. ქალის სხეული — ფუფხით დაფარული მიწიერი გვამი — ლამის ჭუჭყის გუბედ ქცეულიყო. მე მის ოფლში ვცურავდი და სულს ძლივს ვიბრუნებდი, სუნთქვა მეკვროდა, ჰაერი აღარ მყოფნიდა, თავს ძალა დავატანე და, როგორც იქნა, საწოლიდან წამოვდექი, ქალს ეძინა. ყელში ისე ხრიალებდა, თითქოს აგონიაშიაო.

ქუჩაში გამოვედი, რათა ლამის სიგრილეზე სული მომეთქვა. მაგრამ აუტანელი სიცხის შეგრძნება არ მცილდებოდა.

ველარ ვსუნთქავდი: ჰაერის ნატამალი არსად იყო, — იდგა მხოლოდ ხვატი და მცხუნვარე ძილით დამძიმებული, გათანგული აგვისტოს ღამე.

სუნთქვა უფრო და უფრო მიჭირდა, ვყლაპავდი ლამის იმავე წუთს ამონასუნთქ ჰაერს, რომელსაც, რომ არ გამფანტვოდა, პირთან მიტანილ მუჭებში ვიმწყვდევედი. ამონასუნთქი ხელისგულებზე მძლიტინებდა, ჰაერი ყოველ ამონასუნთქვაზე მიცოტავდებოდა, ბოლოს უნიათო ნაკადი თითებშუა გამებარა და სადღაც გაქრა.

გაქრა სამუდამოდ.

მახსოვს ჩემ ზემოთ ღრუბლები დაიგრაგნენ, დამარეტიანეს, ნისლი შემომავლეს და რძისფერ ბურუსში გამხვიეს, ეს იყო უკანასკნელი, რაც დავინახე.

— შენ ამბობ, რომ სულის ხუთვამ მოგკლა, ხუან პრესიადო? ჩვენ კი დონისის სახლიდან კარგა შორს გიბოგეთ, თვითონ დონისი ჩემ გვერდით იდგა და მიმტკიცებდა, მკვდარი არ არის, თავს იკატუნებსო. მერე ორივემ აგწიეთ და გაღერებაში შეგიტანეთ. უკვე გაშეშებული იყავ, სხეული მოგკრუნჩხოდა, სახე დაგბრეცოდა — ასე შიშისგან მკვდრებს ემართებათ. ამბობ, იმ ღამეს, ჰაერი არ მყოფნიდაო, მაშინ ძალ-ღონე ჩვენც არ გვეყოფოდა შენ სათრევად, მით უფრო — დასამარხად, ჩვენ კი, ხომ ხედავ, დავასაფლავეთ.

— მართალი ხარ, დოროთეო, ხომ თქვი, დოროთეო მქვიაო?

— რა მნიშვნელობა აქვს, უფრო სწორად დოროთეას მეძახიან, თუმცა სულერთია.

— მართალი ხარ, დოროთეა, ჩურჩულმა მომკლა, იდუმალი ხმების ჩურჩულმა.

„...იქ ყველაფერს ნახავ, რაც მიყვარდა, რაც ცხოვრებაში მეძვირფასებოდა. ნახავ ჩემს მშობლებს კუთხეს, როგორი სიზმრები მესიზმრებოდა, გულს რა ოცნებები მივსებდა ხევდით! ჩვენი სოფელი ველს იქით აღმართულ გორაკზე არის შეფენილი. სულ მწვანეშია ჩაფლული და მისი ბადების ფოთოლთა ვერცხლისებური წკრიალი თავისთან გნხმობს შენი ყველაზე სანუკვარი მოგონებების შემომნახველი ყულაბახავით. მიხვალ იქა და იტყვი აი, იდგილი, სადაც სამუდამოდ დამკვიდრებას ვინატრებდიო. როდისღა არ არის იქ ყოფნა კარგი. იქ დღესაც ისეთივე განთიადი იცის, როგორიც გუშინ იყო, გუშინდე-

ლივითაა დილაც, შუადღეცა და საღამოც. ოღონდ ხხვადასხვანაირად სუნთქავ ხოლმე, რადგან იცვლება ჭაერი, ჭაერთან ერთად კი იცვლება ხაგანთა ფერიც. ცხოვრების ჩარხის ტრიალი იქ თავის ამბებს გეჩურჩულება, შენც უფრო უგდებ, უგდებ უფროსა და ხხვა აღარაფერი გეხმის გარდა ცხოვრების ამ გაბმული ძველთაძველი ჩურჩულისა...”

— ჰო, დოროთეა, ჩურჩულმა მომკლა, მაგრამ თავდაპირველად შენც უფრო უგდებ ამიტანა; ვგრძნობდი, მჯაბნიდა ეს შიში, მაგრამ გასამკლავებლად ძალა არ მყოფნიდა. მერე დაიწყო ჩურჩული და ველარ გავუძელი.

— შენ მართალი თქვი, მოედნისაკენ მოვდიოდი. მივყვებოდი ბრბოს ყაყანს. მეჩვენებოდა, რომ სადღაც წინ ხალხი ხმაურობდა. გარშემო თითქოს ჭანლი მეკრა. მახსოვს, რომ არ დავცემულიყავ, სახლს კედელ-კედელ მივუყვებოდი. მეგონა, ხელებით მივდიოდი. კედლები კი ერთთავად რალაცას ჩამჩურჩულებდნენ, ჩურჩულს აფრქვევდნენ. ჩურჩული ჟონავდა ყველა ღრიტოდან, ბათქაშებად ცვიოდა ყველა ბზარიდან — ეს აღამიანთა ხმები იყო. თავს ძალას ვატანდი, როგორმე გამერჩია, რაზე ჩურჩულებდნენ, მაგრამ ხმები ძალზე ჩუმად, ბუნდოვნად ისმოდა — ასე აღწევს შენამდე ვილაცის სასხვათაშორისოდ მოგდებულ სიტყვა. ხანდახან მეგონა, მე თვითონ მედგა ყურებში ხმაური. შევწყვიტე კედელ-კედელ სიარული და შუა ქუჩაში გავედი, ხმები კი არა და არ მეშვებოდნენ, ხმები მესმოდა იქვე გვერდიდან, ზურგს უკანიდან და სადღაც წინიდანაც, აღარ მცხელოდა, პირიქით, შემაცია. გამოვედი თუ არა ამ ქალის სახლიდან, სარეცელი რომ გამიყო, — უკვე გითხარი, ქალმა ჩემს თვალწინ დაიწყო-მეთქი ოფლისა და ჭუჭყის გუბედ გადაქცევა, — გამოვედი თუ არა, სიცივემ ამიტანა და რაც უფრო შორს მივდიოდი, სიცივე უარესად მიჭერდა ჭანგებს, მთელი სხეული სიცივისაგან ამებურძგლა, ლამის გავიფიჩხე და უკან მიბრუნება დავაპირე, სიდაც სულ ახლახან ასე მცხელოდა: მეგონა, იქ უცებ გავთბებოდი. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი კიდევ რომ გადავდგი, მივხვდი, სიცივის წყარო თვითონ ჩემს არსებაში იყო — ის მიყინავდა ძარღვებში სისხლს. იმასაც მივხვდი, რომ ეს შიშისგან შემართებოდა. ხალხის გნიასმა მოედანზე უფრო იმატა. გულში იმედის ნაპერწკალმა გამიელვა, რომ ხალხის დანახვაზე შიში გამივლიდა. აი, რატომ მიბოვეთ მოედანზე. მაშ, დონისი მაინც დაბრუნდა? ქალს კი ეგონა, ველარასოდეს ვერ ნახავდა...

— ჩვენ დილით წაგაწყდით. დონისი იქ საიდან გაჩნდა, არ ვიცი, არ მიკითხავს.

— მოედანზე საგაჭროების გაღერეასთან გამოვედი და სვეტს მივეყრდენი. ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ იყო, ისეთი ყაყანი კი იდგა, თითქოს მოედანი ხალხით ყოფილიყოს გაჭედილი, როგორც ბაზარზეა. ცალკეულ ხმებსა და სიტყვებს ვერ ვარჩევდი, ყველა ხმა ერთიან დრტვინვად შეკრულიყო, ასეთი ხმა ისმის, როცა ღამეა ჭარი ხეთა ფოთლებში დაშლივინობს: არადა, არც ტოტები და არც თვით ხეები არსად ჩანდნენ, მარტომმარტო ხმაური ისმოდა. იქვე დავრჩი. მოედანზე ყაყანი ანაზღეულად თითქოს შენივთდა, მომიახლოვდა და ყურებში ფუტკრის გუნდის ზუზუნად ამიხმაურდა. რამდენიმე გარკვეულწილად წარმოთქმული სიტყვაც კი მომესმა: „შეავედრე თავი ჩვენი უფალს“, სიტყვები ჩემ მომართ იყო ნათქვამი... საშინელებისაგან სუნთქვა შემეკრა, აი, რატომ მიბოვეთ მკვდარი.

— ტყუილად ჩამოხვედი აქ, ჭობდა შინ მჯდარიყავ.

— აქი გითხარი, პედრო პარამოს ნახვა მინდოდა-მეთქი. ასეა თუ ისე, მაინც მაშაა ჩემი, ამოთ ოცნებამ მაცდუნა. ჯადოქრობაა, მაშ რაა!

— სწორედაც რომ ჯადოქრობაა! ოღონდ ეს მეტიმეტად ძვირად გვიჩდება. აქი მე თვითონაც ძვირად დამიჯდა: ქვეყნად იმაზე მეტხანს ვიცოცხლე, ვიდრე წესით უნდა იცხოვრო. ჩემი ვალი გადავიხადე, ბავშვი ვიყოლიე. მერე კი ისე გამოვიდა, თითქოს ბავშვი არა მყოლოდეს ჯადოქრობა და ოცნება იყო. აბა რა იყო? არა, არა მყოლია არავითარი შვილი. ახლა სიკვდილის შემდეგ საკმაო დროა და ყველაფერზე დაფიქრება. ყველაფრის გაგება შეიძლება. მე ხომ სიცოცხლეში უფალმა ღმერთმა ჭერიც არ მალირსა ბავშვი რომ გამეზარდა. მარტო ერთი რამ არ დაიშურა: გრძელი წუთისოფელი. ისეთი გრძელი, რომ აღარ ვიცოდი, როდის დასრულდებოდა, ცხოვრებამ ისევე მიუსაფარად მატარა, როგორც ქარმა ხმელი ფოთოლი. ბედნავსი თვალებიც სულ აცაბაცა ყურები-საგან ლამის დამაწყდა: მელანდებოდა, თითქოს შვილი ხალხმა მომპარა და დამიშალა. ყველაფერი კი ჩემი წყეული მიწიერი სიზმრის ბრალი იყო. ორი სიზმარი მესიზმრებოდა. ერთი — მიწიერი, მეორე — ზეციური. ჯერ მესიზმრა, თითქოს ბავშვი მყავდა და ვზრდიდი. მთელი საწუთრო ისე გავატარე. გულით მჯეროდა, რომ ნამდვილად ასე იყო. მე ხომ იგი ხელში მეჭირა, როგორც ცხადში, სულ თვალწინ მედგა მისი თბილი ფუმფულა ტანი, პუტკუნა ხელები, ვარდის ფურცელთა დარი ტუჩები და თვალები მერე რამდენ წელს მელანდებოდა — რომ თითებით ვეხებოდი მის მძინარ წამწამებს, პაწია გული ჩემი ხელისგულის ქვეშ უფეთქავდა — და როგორ არ მერწმუნა, რომ ეს ყველაფერი ცხადი იყო. მე ხომ ჩემს შვილს ერთი წამითაც არ ვიცოცხლებდი, სადაც წავიდოდი, თან დავატარებდი. გამოვახვევდი შალში და მიმყავდა, მერე ანაზდად სადღაც გაქრა. ზეცაში მითხრეს, შეცდომა მომხდარა: გული დედისა მოგმადლებია, წიაღი კი — უნაყოფო. შეშლიათო. ეს იყო ჩემი მეორე სიზმარი. მოვედი ზეცად და აქაც შვილს დავეძებ, იქნებ ანგელოზებთან იყოს და ვიცხო-მეთქი. თვალები დამაწყდა, მაინც ვერ ვიპოვე. ანგელოზები ერთიმეორეს ისე ჰგვანან, რას გაარჩევ! მაშინ დავიწყე გამოკითხვა. ამ დროს მომიახლოვდა ღვთის სათნომყოფელი და უსიტყვოდ სასულეში ჩამიყო ხელი; და აი, სასწაული! — ხელი არც მიგრძენია — თითქოს გამდნარ ცვილში ჩაეყოს. ხელი უკან რომ ამოიღო, მიჩვენა — ვერ გავარჩიე რა ეჭირა, რაღაც კაკლის ლენჯოსა ჰგავდა. „ესაო, მითხრა, შენი არსის მოწმობააო“

იქ, ზეცაში უცნაურად ლაპარაკობენ; მაგრამ არა უჭირს, გაგება მაინც შეიძლება. ის-ის იყო პირი გავადე, რათა ამეხსნა, კუჭი შიმშილისაგან გამხმარი მაქვს, რადგან მაძღრისად სიცოცხლეში ერთხელაც არ მიჭამია-მეთქი. რომ უცებ მეორე ღვთის სათნომყოფელი მხრებში მწვდა და კარში მიკრა თავი: „წადი, შვილო ჩემო, ჯერ მიწიერი ნეტარებით დატკბი კიდევ, თანაც ეცადე ისე იცხოვრო, როგორც უფალმა ღმერთმა გიბრძანა, და განსაწმენდელს უფრო ჩქარა გაივლიო“

ჩემი ზეციური სიზმარიც ეს იყო. აქედან ჩემთვის ერთადერთი რამ გახდა ნათელი, სინამდვილეში არ მყავდა ვაჟიშვილი — ძალიან გვიან კი შევიტყვე, უკვე მიხრწნილმა, როცა ცხვირი ლამის მიწას დავაბჯინე და ფეხებს ძლივს დავათრევედი. ნათქვამია, უბედურება მარტო არ დადისო; ჩვენი კუთხე დაცარიელდა, ხალხი უცხო მხარეს წავიდ-წამოვიდა: ხალხი აღარსად იყო და აღარც სადმე ჩემი გამკითხავი ჩანდა — მე ხომ მარტო მოწყალეებით ვირჩენდი თავს. დავჯექ და სიკვდილს დავუწყე ლოდინი, შენ რომ გაბოვეთ, მეც მოსასვენებ-

ლად ძელები აქ დავყარე. ვიფიქრე, აქ მე ვერავინ შემამჩნევს, ვის რას დავუ-
შავებ-მეთქი. ხომ ხედავ, მიწაც არ დამჭირვებოა, შენთან ჩამომაყოლეს სამა-
რეში, ზედმეტი ერთი გოჯიც არ დამიკავებია. თავი ისე მივდე შენს გულზე
დაკრეფილ ხელებშუა, თითქოს სადმე კუთხეში მივწოლილიყავ, როდღ,
შენ კი არა, ხელში მე უნდა მეჭირო. სუ! დედამიწაზე თითქოს წვიმის შხაბუ-
ნი ისმის, არ გეყურება?

ბიზლიქოთქა

— მე კი მეგონა, ჩვენ ზემოთ ვიღაცა დადის.

— ნუ გეშინია. ახლა ვიღასი უნდა გეშინოდეს? ეცადე, სასიამოვნო რა-
მეზე იფიქრო. ამ სამარეში წოლა კარგა ხანს მოგვიწევს.

გამთენიისას მიწას პირველი მსხვილი წვეთები დაეცა. იგი ხმაურით აჩნდე-
ბოდა ხნულის ფაშარ, გამომშრალ კვლებს. დაბლა-დაბლა მფრინავი კაჭკაჭი,
ფრთებით ლამის მიწას რომ ეხებოდა, აკვნის ბალღივით ატირდა, მერე ცაში
აფრენილი ისეთ კვნესას მოჰყვა, იტყოდით, დაღლილმა კაცმა წელი გამართაო,
და რიერაყშებარებული ცის კიდისკენ გაჭრილმა ერთი იკივლა, გადაიხარხარა
და გამოსალმებისას კვლავ დაიკვნესა.

ფულგორ სედანომ სველი მიწის სუნი იგრძნო: გამოვიდა, რათა ენახა
ხნულს როგორ აყიებდა ბარაქისა და სიუხვის მაუწყებელი წვიმა. თვალები სი-
ამოვნებისაგან გაუბრწყინდა. ნეტარებით რამდენჯერმე შეისუნთქა სასურველი
სუნი, თან გაიღრიჭა.

„ნახე! ეს წელიწადიც გვარიანი გამოდგება. — ერთხანს გაჩუმდა, მერე
დაუმატა: — დაუშვი და დააყარე! უყაუუნე, სანამ მოგბეზრდება! მერე იქითაც
გაუბვიე, ნახე ერთი, რა მიწები დავხანით, შენთვის ვირჯებოდით, ხომ უნდა
სადმე გაგენაევარდა, გეუაუუნებინა!“

თან გაიცინა.

კაჭკაჭმა ამასობაში თვალუწვდენელ მინდორს შემოუფრინა, თავის სამ-
ყოფელს მოაშურა და ფულგორის ახლოს გულსაკლავი კივილით ჩაიჭროლა.

კოკისპირულად წვიმდა. ის-ის იყო განათებული ჰორიზონტი ისევ მოიქუ-
ფრა, აშიღების ნაცვლად უარესად ჩამოწვა ბინდი.

ღრჭიალით გაიღო ავდრისაგან დასველებული მედია-ლუნას რკინის ვეება
ჭიშკარი. ეზოდან წყვილ-წყვილად გამოდიოდნენ ცხენოსნები. ორასამდე კაცი
იქნებოდა. ჭიშკარს რომ გასცდნენ, სხვადასხვა მხრისკენ აიღეს გეზი.

— ენმედიოდან ფარები ესტაგუას ყოფილ საძოვრებზე გადარეკეთ. ესტა-
გუაში მობალაზე ნახირი კი ვილმაიოს გორაზე წაასხით, — უბრძანა მიმავლებს
ფულგორმა. — აბა, იჩქარეთ. თავსხმა წვიმა თქვენ არ მოგიცდით.

ბოლოს ერთი და იმავეს გამეორებით ისე დაიღალა, რომ კუდში მიმავალ
მხედრებს ესლა ესმოდათ: „აქედან იქ, იქიდან გორებზეო“. თითოეულ ცხენო-
სანს უმაღლ სომბრეროსაკენ მიჰქონდა ხელი იმის ნიშნად, რომ ბრძანებას გე-
ბულობდნენ.

ჭიშკრიდან უკანასკნელი მოჯამაგირე ჯერ არ გასულიყო, რომ ეზოში მი-
გელ პარამომ ოთხამოდებით შემოაჭენა ცხენი. ცხენიდან გადმომხტარმა ფულ-
გორს ლამის ფეხები მოამტვრია — „მიუშვი აჯილღა ნებას, ისწავლის ბაგის
მიგნებას“.

— ასე ადრიახად საიდან გაჩნდი?

— უშობელის მოსაწველად ვიყავი.

— რა უშობელის?

— აბა თუ გამოიციან?
— გამოსაცნობი რა არის? დოროთეასთან იქნებოდრი, სხვა აბა ვისთან? ჭე-
ვლებს ძალიან მოსწონთ.

— აი, შე ჩერჩეტო. თუმცა რა შენი ბრალია შენი სიჩერჩეტო?
შეტრიალდა და დეზების მოხსნა არც უფიქრია, ისე შევიდა სამზარეულო-
ში.

ბიზნისი
ბიზნისი

ქურასთან დამიანა სისნეროსი ფუსფუსებდა.
— ასე დილაუთენია საიდან გაჩნდი? — ფულგორივით იმანაც ესა ჰკით-
ხა.

— საიდანა და, ჭორიკანა ქალებთან ენას ვიჭავებდი.
— არ გეწყინოს, საწყენად არ მითქვამს. მიგელ. მაპატიე. ერბოკვერცხს
შეკამ?

— ერბოკვერცხი იქნება თუ თოხლოდ მოხარშული, სულერთია.
— მე ხომ კეთილი გულით გეუბნები. მიგელ.
— კარგი, დამიანა, ისე გითხარი, არ გავბრაზებულვარ. ოღონდ ეს მით-
ხარ, დოროთეას თუ იცნობ, აი, იმას, „ყმაწვილთა გულის დარდს“ რომ ეძა-
ხიან?

— ვიცნობ. გინდა დაელაპარაკო? კარს უკან ზის, ეზოში, ყოველდღე
უთენებლივ მოდის და საჭმელს გავუკითხავ ხოლმე. ახირებული ვინმეა, ძონ-
ძებისაგან კუკი გაუკეთებია, შალში გაუხვევია და სულ თან დაატარებს, ნანას
უმღერის, ვითომც შვილია. ეტყობა, უბედურება რამ გადახდა, თუმც სინამდ-
ვილეს ვერაფერს გეტყვი. თვითონ კრინტს არა ძრავს, სხვამ კი მაგისი არაფე-
რი იცის, თავი მათხოვრობით გააქვს.

— წყვეული ბეხრეკი, დამაცადე, მოგივლი, ისეთი საქმე დაგმართო, თავ-
ბედი გაწყვევლინო.

მიგელი შეყოვნდა, იფიქრა, ეგებ ეს მათხოვარი რამეში გამომადგესო,
მერე, ეტყობა, რაღაც გადაწყვიტა და სამზარეულოს შავი კარი გამოაღო.

— მოდი აქ, რაღაც საქმე მაქვს, — ხელი დაუჭნია დოროთეას.
არაფინ იცის, რა „საქმეზე“ ესაუბრა ქალს მიგელი. ეგ კი იყო, რომ სამზა-
რეულოში შემობრუნებული კმაყოფილებით იფშვნეტდა ხელებს.

— მოიტა შენი ერბოკვერცხი! — გასძახა დამიანას და იქვე დააყოლა, —
დღეის ამას იქით დოროთეასაც იმასვე აქმევ, რასაც მე. არა უშავს, ამით არ
გავღარიბდებით.

ფულგორ სედანო კი უვლიდა ბელლებს და ამოწმებდა, რამდენიდა დარ-
ჩათ სიმინდი, ახალი მოსავლის აღებამდე კარგა დრო იყო, უფრო სწორად, თე-
სვა სულ ახლაბან დაემთავრებინათ. „შარშანდელი მარაგი გვეყოფა?“ —
შფოთავდა ფულგორი. მერე უნებურად მიგელი გაახსენდა: „უბედურებაა ეს
ყმაწვილი, პირწავარდნილი. მაშაა, ან ვის უნახავს ცხვრის ლეკვი და მგლის ბატ-
კანი? რაღაც ძალიან ცუდადაა ატეხილი. ეგეთი კუნტრუშით კისერს მოიტებს.
ეტყობა, მართლა ვიღაცა შემოაკვდა. გუშინ ხალხი მოგვადგა, მაგას აბრალებენ,
როგორ დამავიწყდა შეთქვა, ასე თუ გააგრძელა...“

ერთი ამოიოხრა და ის-ის იყო სცადა წარმოედგინა, სად იქნებოდნენ ახ-
ლა ჯოგში გაგზავნილი ცხენოსნები, რომ მიგელის წაბლა აჯილდა ეცა თვალში.
ცხენი ფრთხილად უნახუნებდა თავს ეკალგადავლებულ აყალოს ღობეს. „უნა-
ვირიც კი არ მოუხდია, არც მოხდის, — გაკიცხა გუნებაში მიგელი. — დონ
ბედრომ იმის დაფასება მაინც იცის, ვინცა სჭირდება; ხანდახან, თუ გუნებაზეა,

შეიძლება სასიკეთო ხუშტურებმაც წამოუაროს. ტყუილად მიუშვა მიგელი ნე-
ბაზე. ტყუილად, გუშინ ვუთხარი, რაც მოიმოქმედა მაგისმა შეილმა, ის კი მე-
უბნება: „ივარაუდე, ფულგორ, რომ ეს საქმე მე ჩავიღინე. კაცის მრავალს.
ჩემო ძმაო, ძალა უნდა, აბა სადა აქვს ბიჭს მაგის ღონე. ეგეც არ იყოს, მაგრამ
ში გულის მაგივრად კაეი უნდა გედოს, თანაც კარგა მოზრდილი ეგეც უნდა
და ხელები გაშალა, თითქოს ვეება კაჭარის შემოხვევა სწადიან უნდა უნდა
რაიმე ცოდვა ედება, იმის მაგივრად მე მომკითხე“.

— გაგაწვალეთ ეგ ბიჭი, დონ პედრო, შარიანია, შარსა და ჩხუბშუა კი
ერთი ნაბიჯია.

— არა უშავს, იონავროს. ახალგაზრდაა, სისხლი უდუღს. რამდენის გახდა?
ჩვიდმეტისა? ასეა ხომ, ფულგორ?

— დიახ, ასეა... თითქოს გუშინ იყო, ახლადშობილი რომ მოგიყვანეს
ცუღს ვერაფერს იტყვი, მაგრამ მეტიმეტად თავნებაა, ცხოვრებას ისე ჩქა-
რობს, თითქოს დროს ეჭიბრება, როგორმე გაასწროს, ვშიშობ, არ წააგოს ეს
მარულა. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა.

— კარგი ერთი, ფულგორ, ბავშვია, რა ჭკუა მოეკითხება.

— თქვენი ნებაა, დონ პედრო, მაგრამ გენახათ ერთი, როგორ ტიროდა ის
ქალი, მიგელს რომ ადებს ხელს, ქმარი მომიკლავ. ეგეთი სასოწარკვეთილი
არაფრის წინაშე უკან არ დაიხეგს. სასწარკვეთილი კაცი, დონ პედრო, ფინდი-
ზივითაა, ეს ქალიც, გეუბნებით, დინამიტით დატენილ ბომბსა ჰგავს, მიეკარები
და აფეთქდება, მოსარიგებლად ორმოცდაათი პექტოლიტრი სიმინდი ვაძლიე.
სიტყვა ახლოს არ გაიკარა. ვუთხარ, — მაშინ დანაკარგს სხვაგვარად აგინაზ-
ლაურებთ-მეთქი, მაგრამ ამის გაგონებაც არ ისურვა.

— ვინ იყო მაგ ქალის ქმარი?

— არ ვიცი, უცხო ხალხია.

— მაშინ ვგრე ივარაუდე, ვითომც არც არსებობენ. თავიდან ამოიგდე ეგ
ამბავი.

ფულგორმა ბედელი დაათვალიერა; შიგ სიმინდის სასიამოვნო სუნი ტრი-
ალებდა. მოურავმა ხელი ამოუჩია კრიალა, ჭიამიუკარებელ მარცვალს, თვა-
ლით აწონ-დაწონა სარჩო და დამშვიდდა. „გვეყოფა, ბალახი ახლა ჩქარა მოვა,
საქონელს სიმინდი აღარ დასჭირდება. დაგვრჩება კიდევ“.

წასვლისას საავდრო ღრუბლებით ჩამობნელებულ ცას ახედა. „ახლა სულ
ვაბმით იწვიმებს“, ამ აზრმა დაჩრდილა სხვა საფიქრალი.

— ეტყობა, მიწაზე ამინდი შეიცვალა. დედა მიყვებოდა, საკმარისია აქ.
თქვენთანაც წვიმამ დაასხას, რომ ირგვლივ ყველაფერი აელვარდეს. ჰაერში
აფეთქებული კვირტების სუნი დატრიალდეს... ყომრალი ღრუბლები ტალღე-
ბივით აგორდებიან. დაიგრაგნებიან და წვიმა ღვარცოფად მოვარდება. მერე ცა
გადაიკარებს თუ არა, დედამიწა ხელახლა შობილს ემსგავსებაო... დედა... იმან
ხომ ბავშვობაცა და ცხოვრების საუკეთესო წლებიც აქ გაატარა. მაგრამ სიკვ-
დილის წინ აღარ ეღირსა მშობლიურ კუთხეში დაბრუნება. მე ამიტომაც გამო-
მგზავნა. მე კი, დოროთეა, — საკვირველი არ არის განა, — აქაური ცისტვის
ერთხელაც არ შემიხედავს, აფსუს! ის ხომ ალბათ ისეთივეა, როგორიც დედა-
ჩემის დროს იყო.

— არ ვიცი, ხუან პრესიადო. იმდენი წელია მიწისთვის თვალი არ მომი-
შორებია, რომ ლამის დამავიწყდა, ცა რა ფერისაა. რომც ამეხედა, ვითომც რა

ხერი იქნებოდა. ზეცა მაღალია, მე კი თვლები ისე მჭონდა დასუსტებული. იმაზეც მაღლობელი ვიყავ, რომ დედამიწას მაინც ვხედავდი. პადრე რენტერიამ სიმართლე მოთხრა, ზეციური ნეტარება არ გვლორსებაო. ღმერთის საუფლოს შორიდანაც არ შეგახედებენო. რაკი აგრეა-მეთქი, ვფიქრობდი, რაღა აზრი აქვს ზეცისკენ ყურებას. მართალია, დიდი ცოდვა მჭონდა, მაგრამ ყველაფერი არ უნდა მეთქვა მღვდლისათვის. მთელი ცხოვრებაც გახირობ. მარტო ერთადერთ იმედს ებლაუქები, იქნებ იმქვეყნად მახს მღვდლისოს სხვაგვარი ცხოვრება. და იმ მეორე ცხოვრების კარსაც ცხვირწინ გიხურავენ, შენ წინ ერთადერთი კარი რჩება ღია — კარი ჯოჯობეთისა. არა, ჯობია, არ გაჩნდე ქვეყანაზე... ჩემთვის, პრესიადო, იქამ ზეციური ნეტარება, სადაც ახლა ჩემი ძვლები განისვენებენ.

— სულს რაღა დაემართა? როგორ გგონია, სული სადღაა?

— სადმე დედამიწაზე დაეხეტება, ცოტა როდია მაგასავით მოუსვენარი. დადის ახლა ალბათ და ცოცხლებში დაედებს წინმეს. რათა მისი ცოდვები გამოისყიდოს, მე კი ალბათ ვეჭავრები, ასე ცუდად რომ მოვექეცი... თუმცა ჩემთვის სულერთია, სულზე აღარ ვდარდობ. გამაწამ: სინდისის ქენჩნით, ახლა დავმშვიდდი, დავისვენე წამებისაგან. შავი დღით საზრდოს ემოულობდი და შხამად მარგებდა, ღამლამობით არ მაძინებდა, მაშინებდა, ბნელ აზრებს მასეგდა, ცოდვილებს მალანდებდა. — როგორ იწვოდნენ ცეცხლზე გამუდმებით. სულ ამ დღეში ვყავდი, რომ დავჯექ და სიკვდილს დავუწვე ლოდინი. ხვეწნამუდარით მავსებდა, ადექი. შეები ისევ ცხოვრების ტაპანწყვეტასო, თითქოს კიდევ იმედი მჭონდა, რომ, რაღაც სასწაულით, განმწმენდა ცოდვებისგან. მე აღვილიდან ფეხი არ მოვიცვალე. „ჩემი გზა გავლევ, მეტოც თხალა აღარა მაქვს-მეთქი“. თან პირი დავალე, რომ გაფრენილიყო, მსოც გაფრინდა. ამას იმითაც მივხვდი, რომ ხელებზე დამედინა სისხლის ძაფი — გულზე რითაც მყავდა მიბმული.

კარზე დააკაკუნეს, მაგრამ არ გამოპასუხებია. კარგად ესმოდა, რომ მარტო მას კი არა, ყველას უკაკუნებდნენ, ხალხს აღვიძებდნენ. კიშკრისკენ გაქცეული ფულგორი — იგი ფეხსაცმლის ბრაახუნზე იცნო — უცებ შეჩერდა: ალბათ უკან მობრუნება და კარზე ხელახლა დააკაკუნება ეწადა. მაგრამ გადაიფიქრა და ისევ გაიქცა.

გაისმა მოგუდული ხმები, მძიმე და ფრთხილი ხაბიჭები: თითქოს რაღაც მძიმეს მოათრევდნენ. ამას ერთვოდა გაურკვეველი წამოძახილები.

უცებ მამის სიკვდილი გაახსენდა, მაშინაც დილაბნელი იდგა, ოღონდ კარი ყურთამდე იყო ღია. ასევე ერთვოდა სევდიანი, გაცრეცილი რაყრაყი. კარის წირთხლთან ქალი ატუზულიყო.

ეს დედამისი იყო. ვისაც ათასში ერთხელ თუ გაიხსენებდა, ფიქრით კი მასზე არასოდეს უფიქრია. „მამა მოკლეს“. — თქვა ქალმა ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ქვითინშერეული ხმით.

არ უყვარდა ამ ამბის მოგონება, რადგან, რომც არ სდომებოდა, ამასთან სხვა ათასი ამბავიც ახსენდებოდა — თუ წინდას ერთი წვერი აეშვა, ბოლომდე ირღვევა. მამის მკვლელობას ახალ-ახალი მკვლელობები მოჰყვა. მას კი ყოველ მოკლულში ის პირველი, მამის მკვლელობა ელანდებოდა: კაცი ისე დაესახიჩრებინათ, ვეღარ იცნობდით — ერთი თვალი ამოეთხარათ, მეორეში კი შურისძიების ბოღმა მჭონდა ჩაგუბებული, მკვლელობას მკვლელობა მოსდევ-

და, სანამ შამის სიკვდილის ხსოვნა საბოლოოდ არ წარეხოცა — ცოცხალთა შორის აღარავინ დარჩა, ვინც იმ სიკვდილს გაახსენებდა.

— აქ დააწვინეთ! ასე არა, არა, თავი იქით, ეი, შენ, რას გაშტერებულხარ?

დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ.

— ჩუმად იყავით. ბატონს სძინავს. არ გააღვიძოთ.

ახოვანი, ბრვე ბატონი კი უკვე ქარში იდგა და უყურებდა, როგორ დაფუსფუსებდნენ, საწოლზე როგორ სდებდნენ სუდარის მაგვარ ძველ ტომარაში რაღაც გრძლად შეკრულს.

— ვინ არის? — იკითხა მან.

— მიგელია.

— ვინ რა დამართა? — შეჰყვირა მრისხანედ, იგი ფიქრობდა, ეტყოდნენ, „მოპკლესო“, და რისხვის მომასწავებლად ყვრიმალეები აუთამაშდა, მაგრამ ფულგორის კილომ განაცვიფრა:

— მიგელისთვის არავის არაფერი არ დაუშავებია, თვითონ დაიმტვრა, — მშვიდად წარმოთქვა მოურავმა.

ნავთის ჭრაქის მოციმციმე ენები სიბნელეს კვეთდა.

...ცხენმა გადმოაგდო, — გაბედა ვიღაცამ სიტყვის ამოღება.

საწოლიდან ლეიბი აიღეს და მიგელი ცარიელ ფიცრებზე დააწვინეს. შინ მოსატანად თოკებით შეკრული მიცვალებული გახსნეს და ხელები გულზე დაუკრიფეს. სახეზე შავი ნაჭერი დააფარეს.

„ცოცხალი თითქოს ამხელა არ იყო“. ჩაიბურტყუნა ფულგორმა.

პედრო პარამო უაზროდ იყურებოდა, სახე უგრძნობი გახდომოდა, რაღაც ერთმანეთთან დაუკავშირებელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, აბურღულ-დაბურღული ფიქრები დასეოდა.

— აჰა, დაიწყო სამაგიეროს ზღვევინება, — ჩაილაპარაკა მან, — რას იზამ, რაც უფრო ჩქარა მოგვეკითხება, მით უფრო მალე გადაუხდი სამაგიეროს.

მწუხარება არ ემჩნეოდა.

და ეზოში თავმოყრილ შინამოსამსახურეებს სამძიმარზე მადლობას რომ ეუბნებოდა, მისი მტკიცე, რიხიანი ხმა იოლად ფარავდა მოტირალ ქალთა ქვითინს. არც ხმის მოთოკვას ცდილობდა, არც ჩვეულ უკმეხ ლაპარაკს იშლიდა. მერე ჩამოდგა სიჩუმე და განთიადისწინა ბინდბუნდში გაისმა, მიწას როგორ ურტყამდა ფლოქვებს მიგელის წაბლა კვიცი.

— დილისთვის თადარიგი დაიჭი, რომ ცხენი მოკლან. — უბრძანა ფულგორს, — რაზე უნდა იწვალოს ტყუილად.

— მესმის, დონ პედრო, მებრალეობა. დარდობს საცოდავი, გრძნობს თავის დანაშაულს.

— მეც მებრალეობა, ფულგორ, უთხარ ერთი იმ დედაკაცებს, შეწყვიტონ ღრიალი. ჩემს შვილზე რაღაც ნამეტანი იღვრებიან ცრემლად, თავიანთი რომ ყოფილიყო, ალბათ ასე სიამოვნებით არ იქვითინებდნენ.

იმ უძილო ღამეს პადრე რენტერია, უეჭველია, შემდეგ ხშირად იხსენებდა. იგი დიდხანს ტრიალებდა თავის ხმელ საწოლზე და თვალზე რული არ ეკა-

რებოდა. ბოლოს განაწამები ადგა და გარეთ გამოვიდა. ეს მიგელ პარამოს დალუპვის ღამეს მოხდა.

ის მიუყვებოდა კომალას უკაცრიელ ქუჩებს, ნაყარწყარს მისეული ძაღლები მის ფეხის ხმაზე ფრთხებოდნენ. მდინარის პირას გახულო საბიჯი შეაჩერა და მდინარის ყურის მშვიდ სარკეში ვარსკვლავცვენას მიჰსურდა. საათი საათს მიჰყვებოდა, ის მაინც ცდილობდა ეჯობნა შემოსულებს, მჭკნებისათვის და მდინარის შავ წყალში დაენთქა.

„ყველაფერი იმის ბრალია, რომ პედრო პარამო არარაობიდან დიდ ვინმედ აქცა, — ფიქრობდა იგი — მაშინ გაუჩნდა სწორედ სულში ღვარძლი. მაგრამ უფრო საძაგლობა მაინც ის არის, რომ ყველაფერში მე ვუწყობდი ხელს. „ვინანიებ, პადრე, პედრო პარამოსგან ბავშვი მეყოლა“. „ვინანიებ, პადრე, პედრო პარამოს მე თვითონ მივგვარე ქალიშვილი“ მე კი სულ ვუცდიდი და ვუცდიდი, თვითონ როდისღა მოვიდოდა და მეტყოდა: „ვინანიებ, პადრე“. მაგრამ არ მოვიდა. ახლა კი, შვილის წყალობით, მისმა სისაძაგლემ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რატომ სცნო შვილად ეს ერთადერთი სხვა თავისი ნაშიერებიდან. უტყუვრად მარტო ის ვიცი, რომ ბორტების იარაღი ხელში მე თვითონ ჩავუგდე“.

პადრეს კარგად ახსოვდა ის დღე, როცა ახლადშობილი მიუყვანა მედიალუნას პატრონს.

— დონ პედრო, ამ ბავშვის დედა მუცელს გადაჰყვა, — უთხრა მაშინ, — აღსარებაში გამანდო, რომ თქვენი ვაჟიშვილია. დამიტოვეთ ბავშვი.

დონ პედროს მიცვალებულის სიტყვებში დაეჭვება არც უფიქრია, მარტო ეს იკითხა:

— თქვენ თვითონ რატომ არ იტოვებთ, პადრე, მღღელს გამოიყვანდით.

— ვიცი, ძარღვებში რა სისხლიც უდგას, და არ მინდა ვიკისრო პასუხისმგებლობა.

— თქვენ რა, სერიოზულად ფიქრობთ, რომ ასეთი ცუდი სისხლი მაქვს?

— დიახ, დონ პედრო, ასე ვფიქრობ.

— მე კი დაგიმტკიცებთ, რომ სცდებით. დამიტოვეთ, მაგის გამზრდელიც მოინახება.

— მეც სწორედ მაგას ვამბობ. ასეა თუ ისე, აქ თავშესაფარი მაინც ექნება.

ბავშვი გველხოკერასავით იკრუნჩხებოდა, იხლაცნებოდა.

— დამიანა, მიმიხედე, ჩემი შვილია.

მერე ბოთლი გახსნა.

— მიცვალებულის შესანდობარი და თქვენი სადღეგრძელო იყოს.

— ბავშვს არ ადღეგრძელებთ?

— რატომაც არა, ეგეც შეიძლება.

მეორე ჭიქაც შეავსო და ერთად დალიეს ახლადშობილის ბედნიერი მომავლის სადღეგრძელო.

ასე იყო ეს ამბავი. მედიალუნასკენ პირველმა მეფურგუნეებმა ჩაიარეს იგი ვზის გაყოლებით აღმართული ქვების ყორეს გადაახტა. „ნეტა ვის ემალები?“ — ჰკითხა თავის თავს.

— კარგად იყავით, პადრე! — მოესმა ვილაციის ხმა.

პადრე რენტერია წელში გაიმართა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, კეთილი მგზავრობა.

სოფელში სინათლეები ჩააქრეს. მდინარე ცეცხლის აღისგან ათასწორად ლივლივებდა.

— რაო, პადრე, უკვე დაირეკა ცისკრის ზარები? — დაინტერესდა მეფურგონე.

— რაღა დროს ცისკრის ზარებია, — უბასუხა და მეფურგონეთა საპირისპირო მხარეს წავიდა, გადაწყვიტა, შუა გზიდან არ მიბრუნებულყო.

— ასე აღრიანად საით ეშურებით, პადრე? ეტყობა, კონტლში მკვდარი გელოდებათ? ჰო, პადრე?

მას სურდა ეყვირა: „მკვდარი თვითონ ვარ, მე ვარ მკვდარი!“ მაგრამ მხოლოდ ჩაეცინა.

სოფლიდან გასულმა ნაბიჯს აუჩქარა.

შინ დილით დაბრუნდა.

— სად იყავ, ძია? — ჰკითხა ძმისწულმა ანამ, — მთელი დილა ქალები გკითხულობდნენ, სააღსარებოდ მოვიდნენ, ხვალ ზომ პირველი პარასკევია.

— საღამოთი მივიღებ აღსარებას.

იგი მოწყვეტით დაეშვა ეზოში მღვარ ტაბურეტზე. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა.

— თითქოს აგრილდა, არა, ანა?

— პირიქით, დღეს დაცხა, ძია.

— მე კი მცივა.

არა, არც ფიქრი უნდა, არც გახსენება, როგორ მიდიოდა გამთენიისას კონტლში, რათა აღსარება ეთქვა იქაური მღვდლისთვის. იმან კი არაფრით არ შეისმინა არც მისი ხვეწნა-მუდარა, არც თავის მართლება, და შენდობა არ მისცა.

— იმ კაცმა, ვისი სახელის ხსენებასაც ერიდები, შეაგინა შენდამი მონდობილი ღვთის ტაძარი, შენ კი ნება მიეცი, რათა შეებღალა იგი, რა სიკეთეს უნდა ელოდეს კაცი შენგან, მამაო? რისთვის გამოიყენე ქრისტეს ძალა და ნება? დაუსაბამოა სიკეთე ბოროტებასა ზედა. იმისათვის, რათა აღმოფხვრა ბოროტება, საჭიროა მტკიცე და შეუდრეკელი სული. მინდა მწამდეს, რომ შენს მრევლს რწმენა არ დაუკარგავს. მაგრამ შენ იმათ რწმენას ვერ განუმტკიცებ: ისინი ღმერთზე ლოცულობენ შიშისა და ცრურწმენის გამო. მე მსურდა შენთან ერთად გამეყო შენი სიღარიბის ტვირთი, შემემსუბუქებინა შენზე დაკისრებული ყოველდღიური საზრუნავი და მოვალეობა, რადგან კარგად ვუწყვი, რაოდენ უჭირს მღვდელს ჩვენს ლატაკ მხარეში თავისი მოვალეობის შესრულება. სწორედ ეს მაძლევს უფლებას გითხრა, — ხელში არ უნდა ჩაუგდო ეკლესია იმათ, ვინც საცოდავი ქრთამით ცდილობს ჩვენი სინდისის მოსყიდვას. შენს სულს იმათ თუ ჩაუგდებ ხელში, როგორღა შეძლებ სამწყსოსათვის სათნოებად ქცევას? სამწყსო, ჭეშმარიტად, შენზე უსათნოესი აღმოჩნდება. არა, მამაო: გულისთქმა ჩემი ვერ არის ისე წმინდა, რომ შენდობა მოგცე. სხვა მოძღვარი მონახე.


— თქვენ გსურთ მითხრათ, თქვენო მაღალღირსებავ, რომ ეპისკოპოსთან უნდა წავიდე?

— ასე გმართებს, აბა როგორ აპირებ შეუნდო სხვას, როცა თავად ცოდვებით სავსე ხარ?

— მრევლი რომ წამართვან?

— რას იზამ, ეს დამსახურებული სსსჯელი იქნება, მაგრამ ამ საკითხს მე და შენ ვერ გავარჩევთ.

— მაინც ეგების თქვენ გეკისრათ... თუნდაც დროებით... მე ხომ აღსარებებს ვღებულობ... მომაკვდავებს ვაზიარებ... რომდენი ხელსუფლება ჩვენს მხარეში, თქვენო მალაღლირსებავ...



— მომაკვდავს, მამაო, უფალი განსჯის.

— მაშასადამე, არ მომცემთ შენდობას?

კონტლის სამწყსოს მღვდელმა უბასუხა, რომ არ შეეძლო ამის ჩადენა.

შემდეგ ერთად გაისეირნეს ეკლესიის ეზოს ივლით მოჩრდილულ გალერეაში, მასპინძელმა სტუმარი თალარქვეშ მიიწვია, მათ მალა ყურძნის მწიფე მტევნები ეკიდა.

— ყურძენი მყავება, მამაო, — პასუხი დაასწრო პადრე რენტეროს კითხვას მასპინძელმა. — ჩვენს მხარეს, ღმერთის წყალობით, ყველაფერი ხარობს, მაგრამ ყველას მყავე ნაყოფი აქვს. ეტყობა, ესეც განგების ნებაა.

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, თქვენო მალაღლირსებავ. მე ვცადე ჩვენთან კომალაში ვაზი შეხარებინა, მაგრამ ამაოდ, ვერ შეეგუა იქაურობას. ფორთოხალი და მურტი კი, მართალია, ხარობს, მაგრამ ნაყოფი ერთსაც და მეორესაც მწარე აქვს. სიტკბოს გემო დამავიწყდა, გახსოვთ, სემინარიაში რა მშვენივრად მწიფდებოდა გუაიბი? როგორი ატამი იცოდა, როგორი მანდარინი! წვნიანი და დამტკბარი, აქ რომ მოვდიოდე, პატარა თოფრაკით თესლე წამოვიღე. მერე სულ ვნანობდი, უკეთესი იყო, არ წამომელო, იქ ხეებს გაახარებდნენ, მე კი აქ ტყუილად დამსალუბავად ჩამოვიტანე.

— მაინც სულ იმას ლაპარაკობენ, მამაო, რომ კომალაში ბარაქიანი მიწები იყო, დასანანი კია, რომ ერთი კაცის ხელშია მიწები, იქ ბატონი კვლავ პედრო პარამოა?

— ღმერთმა ასე ინება.

— მე ვფიქრობ, ამჯერად ღმერთის ნება არაფერ შუაშია, შენ კი, მამაო, შენ ასე არ ფიქრობ?

— ეჭვი ხანდახან მეც მაშფოთებდა, მაგრამ კომალას ხალხი სიტყვაშეუბრუნებლად აღიარებს მის ძალაუფლებას.

— შენც მათთან ერთად?

— მე ერთი თვინიერი, ღარიბი კაცი, მიჩვეული ვარ დავემორჩილო იმას, უფალმა ღმერთმა ვინც ჩემზე მალა დააყენა.

ისინი ერთმანეთს დაემშვიდობნენ, პადრე რენტერია დაიხარა და ხელები დაუკოცნა თავის მოძღვარს. ასე იყო ეს, და მაინც ახლა სახლში, სადაც კვლავ გაუჩნდა ჩვეული საქმე და საზრუნავი, აღარა სურდა კონტლში თავისი დილანდელი მგზავრობის გახსენება.

იგი წამოდგა და ჭიშკრისკენ გაემართა.

— სად მიდიხარ, ძია?

ანა, მისი ძმისწული, ნიადაგ სადმე, მის ახლომახლო ტრიალებდა, თითქოს სჯეროდა, რომ ბიძის სიახლოვეც კი დაიფარავდა ცხოვრებისაგან.

— გავალ, გავივლი სადმე, ანა, ეგებ მომეშვას გულზე.

— თავს ცუდადა გრძნობ?

— არა, ანა, თავს ცუდად არა ვგრძნობ. მე იმას ვგრძნობ, რომ ცუდად ვიქცევი, ცუდი აღამიანი ვარ.

იგი მედია-ლუნასკენ წავიდა. სამძიმარი უთხრა პედრო პარამოს. მას კვლავ მოუხდა გასასამართლებელი სიტყვების მოსმენა — მამა ცდილობდა ხალხში მის შვილზე გავრცელებული ბრალდებების გაბათილებას. პადრე რენტერიას სიტყვა არ გაუწყვეტინებია. ბოლოს და ბოლოს განა სულერთი არ იყო? მაგრამ როცა პედრო პარამომ სადილზე მიიპატაჟა, პადრე რენტერიამ თავი შორს დაიჭირა.

— სამწუხაროდ, არ შემიძლია, დონ პედრო, ეკლესიაში შემეჩქარება, სააღსარებოში მრევლი მელოდება, სხვა დროს იყოს.

უკანაც ფეხით წამოვიდა. კომალაში რომ შედიოდა, მზე უკვე დასავლეთისკენ იყო გადაწვერილი. მტვრიანი, დაღლილი და არაქათგამოცლილი პირდაპირ ეკლესიისკენ გაეშურა. სააღსარებოში შევიდა, სკამზე მოწყვეტით დაეშვა და შეუდგა მოძღვრის მოვალეობის აღსრულებას.

გისოსებს პირველი მოხუცი დორეთეა მიუახლოვდა; ეკლესიის გასაღებად რომ მიდიოდა, ქალი ნიადაგ კარიბჭესთან უცდიდა ხოლმე.

დღეს მოხუც ღვთისმლოცველს ღვინის სუნი ამოსდიოდა.

— შენ რაო, რის შემდეგ დაიწყე ლოთობა?

— მიგელიტოს ქელებზე ვიყავი, პადრე, და ცოტა ზედმეტი მომივიდა. მომაწოდეს ერთი, მეორე და ისე დავთვერი, სულ გამოვსულელდი.

— ადრე არა ყოფილხარ სულელი, დოროთეა?

— უცოდველი ვიყავი, პადრე. ახლა კი ცოდვებით დამძიმებული მოვედი. ცოდვებმა დამრიეს ხელი.

რამდენჯერ უთქვამს: „აღსარებაზე ნულარ დადიხარ, დოროთეა, ტყუილად დროს ნულა მაკარგეინებ, ძალიანაც რომ მოინდომო, ამის შემდეგ ცოდვას ვერ ჩაიდენ. ეგ სხვას დააცადე“.

— დღეს სიმართლეს გეუბნები, პადრე. ნამდვილი ცოდვები მაქვს.

— მომიყევი.

— ახლა შემიძლია ყველაფერი გაგანდოთ, რადგან დღეის შემდეგ ვნებას ვეღარავის მივაყენებ. მე განსვენებული მიგელ პარამოსთვის გოგოებს ვშოულობდი.

ფიქრში წასული პადრე რენტერია ისე შეკრთა, თითქოს ნამძინარევს ხელი ჰკრესო.

— დიდი ხანია ამას სჩადიხარ? — აღსარების ჩვეული კითხვა თითქმის უნებურად მოადგა ენაზე.

— რაც კაცობაში ფეხი შედგა და ავხორცობა მოეძალა.

— გაიმეორე, რა თქვი, დოროთეა.

— ისა, რომ ყმაწვილი მიგელიტოსათვის გოგოებს ვარჩევდი. ვმაქანკლობდი.

— გოგოები იმასთან მიგყავდა?

— ხან იმასთან მიმყავდა, ხან რჩევა-დარიგებას ვაძლევდი, ან გამოვეკითხავდი, ვინ როდის რჩებოდა მარტო, რომ შეუფერხებლად სწეოდა საწაღელს.

— შერედა, ეს ბევრჯერ მოხდა?

ამის თქმა არ უნდოდა. მაგრამ კითხვა თავისით მოსწყდა ბაგეს.

— ბევრჯერ, პადრე, ბევრჯერ, ლამის სათვალავიც კი ამერია.

— რა უნდა გიყოს ახლა, დოროთეა? შენ თვითონა თქვი, რა სასჯელის ღირსი ხარ? საკუთარ სინდისს დაეკითხე; განა შეგიძლია თავს აპატიო?

— მე არა, პადრე, მაგრამ თქვენ, თქვენ ხომ შეგიძლიათ? ამიტომაც მოვედი.

— რამდენჯერ მოსულხარ და გითხოვია, რათა სიკვდილის წინ გზა დამელოცა ზეციური საუფლოსაქენ? იმედი გქონდა სამოთხეში შვილს წახავდი. ახლა? დღეიდან შენთვის დახშული იქნება გზა წმინდასულითა და მამოცილებისკენ ღმერთმა შეგინდოს...

გინგლიჩიძე

— გმადლობ პადრე.

— მე ვერ მოგიტევებ ღმერთის სახელით. შეგიძლია წახვიდე.

— არავითარ ეპიტიმის არ დამინიშნავთ?

— ეგ ვერ გიშველის, დოროთეა.

— გმადლობთ, პადრე.

— ღმერთი იყოს შენი შემწე.

პადრე რენტერიაშვილს სააღმსარებლოს ფანჯარაზე მიაკაკუნა და მრევლის შემდგომი წევრი იხმო, ჩურჩული მოესმა: „ცოდვილი ვარ“, და კაცს თავი მკერდზე ისე ჩამოუვარდა, თითქოს შემაგრების უნარი წართმეოდა, პადრეს უცებ თვალთ დაუბნელდა, ირგვლივ ყველაფერი აირია, საგნები თითქოს წყალში დაცურავდნენ, ადგილს სწყდებოდნენ და სანთელთა ცეცხლის გრიგაღად ტრიალებდნენ, ნაკუწ-ნაკუწად ქცეული დღის სინათლე ნამსხვრევებით ცვიოდა ირგვლივ. პირში სისხლის გემო იგრძნო, ყურებში განგაშის ხმა ედგა, „ცოდვილი ვარ“, — იმეორებდა ეს ხმა და ბოლოს ქუხილად მთავრდებოდა: „უკუნითი უკუნისამდე, ამინ“, „უკუნითი უკუნისამდე, ამინ...“ „უკუნითი უკუნისამდე...“

— კმარა! — ძლივძლიობით წარმოთქვა მან, — დიდი ხანია არ გითქვამს აღსარება?

— ორი დღეა, პადრე.

ხსნა არსად ჩანდა, ამ უსაზომო მწუხარებას და სასოწარკვეთას ბოლო არ უჩანდა: „შენ რილას მაქნისი ხარ? — გაიფიქრა თავისთვის, — დაილაღე, უნდა დაისვენო, წადი, დაწეკი“.

წამოდგა, სააღმსარებლოდან გავიდა და სამოსელთსაცავს მიაშურა.

— ცოდვები ვისაც არა გაქვთ, შეგიძლიათ ხვალ პირდაპირ საზიარებლად მოხვიდეთ, — წარმოთქვა ისე, რომ მომლოდინე ხალხისკენ არც შებრუნებულა. მის ზურგს უკან გაკვირვებული ჩურჩული გაისმა.

...მე იმავე საწოლზე ვწევარ, რომელზედაც დიდი ხნის წინათ დედაჩემი გარდაიცვალა. ვწევარ იმავე ლეიბზე, მახურავს შავი შალის იგივე საბანი, რომელიც მე და დედას გვეხურა ბოლმე, როცა დედაჩემის ფერდთან ვიყავ ჩამყუდროებულ-ჩათბუნებულნი.

მგონი, ახლაც მიდგას ყურებში მისი თანაბარი სუთქვა, მისი გულისცემა და ოხვრა — ტკბილ ნანინასავით რომ მესმოდა...

მგონია, დედის სიკვდილის გამო მწუხარება დღესაც არ გამწვანდება.

მაგრამ ყველაფერი ტყუილია.

გულაღმა ვწევარ აქ და იმ დღეებზე იმიტომ ვფიქრობ, რათა დამავიწყდეს ჩემი მარტოობა. დასასვენებლად არ წამოეწოლილვარ, დედის საწოლზე კი არა, გრძელ შავ ყუთში ვწევარ. ზუსტად ისეთში, მიცვალებულებს რომ ასაფლავებენ, ეს იმიტომ, რომ მოგვედო.

როგორმე გაისტუმრო-მეთქი, რაო? სულის მოსახსენიებელი წირვის ფულიო? უთხარი, გროშიც არ დატოვა-თქო. სალხინებლიდან ვერ გამოვყ, სანამ პარაკლისს არ გადაუხდით? ვინ არიან, ხუსტინა, მიცვალებულს განჯას, რომ ბედავენ? შევიშალო? ძალიანაც კარგი.

ამოდ იყო სკამები ედღე და გასწყ... ჩაუკრივებუ... მოვად-
ნენ დაქირავებული. ყველაფრის მიმართ უსულგულო აღსმოჩნება და მათთვის განურჩეველი ტვირთის სიმძიმით ოფლში გაღვარულებმა, კუბო სასაფლაომდე მიიტანეს. თავიანთი ბელობის წესსა და რიგზე, აუჩქარებლად, ნელ-ნელა ჩაუ-
შვეს კუბო სამარეში და ზედ სველი ქვიშა მიაცარეს. ცივი ნიაგი სცემდათ გა-
ხურებულ სახეებში, უგრძნობლად და გულგრილად იყურებოდნენ, მერე გვი-
თხრეს: „თქვენგან გვერგება...“ შენც გადაუხადე, როგორც ბაზარში უხდებოდა ხოლმე რაიმის საფასურს. დაკრძალვის ფული ცრემლით დალტობილ ცხვირსა-
ხოცში გქონდა გამოკრული, ცხვირსახოცი გამოხსენი და მესაფლავეს ფული მიეცი...

მესაფლავეები რომ წავიდნენ, მუხლებზე დაეცი და დედის სამარეს კოცნა დაუწყებ. კოტაც და, საფლავის მიწას ხელით ამოთხრიდი, მაგრამ გითხარ: „წავიდეთ, ხუსტინა, დედაჩემი ახლა შორსაა, აქ მხოლოდ მისი უგრძნობი ნეშტია“

- ამეებს შენი ჰყვებოდდი, დოროთეა?
- მე? არა, მე კოტა ჩამთვლიმა, გეტყობა, ხმები შენ კიდევ გაშინებს!
- მომესმა, ვიღაც ლაპარაკობდა. ვიღაც ქალი ჰყვებოდა თავის ამბავს. პოდა, მეგონა, შენ იყავი.
- ქალი? ის არის ალბათ, თავის თავთან რომ ლაპარაკობს, ჩვენ გვერ-
დით მარხია, აკლდამაში, დონია სუსანიტა არის, ჩანს, ნესტმა მაგასთანაც შეაღ-
წია და ძილში წრიალებს.
- პედრო პარამოს უკანასკნელი ცოლი არის, მაგაზე ამბობდნენ, შეშლი-
ლიაო, ზოგიერთი კი იცავდა — შეშლილობისა არაფერი სჭირსო, მაგრამ, რაც
მართალია, მართალია, სიცოცხლეშივე სჩვეოდა საკუთარ თავთან ლაპარაკი.
- ეტყობა, დიდი ხნის წინათ არის გარდაცვლილი.
- ჰო, კარგა ხანი გავიდა, რაო, რაზე ლაპარაკობდი?
- დედამისზე ჰყვებოდა რაღაცას.
- მაგას დედა არა ჰყოლია...
- ეგეც სწორედ მაგას ჩიოდა.
- ან იქნებ ჰყავდა კიდევ, მაგრამ თან არ მოუყვანია, მოიცა, მოიცა, გა-
მახსენდა: ეგრეა, აქ დაიბადა, მაგრამ აქ ძალიან კოტა ხანს იცხოვრეს, მერე
წავიდნენ, კი, კი, დედამისი ჭლეჭით მოკვდა კარგი ქალი იყო საწყალი, მაგრამ
ერთთავად ავადმყოფობდა, სტუმრად არავისთან არ დადიოდა.
- ესეც მაგას ჰყვებოდა სწორედ, დედა რომ მომიკვდა, კაციშვილი არ
მოვიდამო.
- ხედავ, რა დრო გაუხსენებია? ცხადია, ჭლეჭიანთან აბა ვინ მივიდოდა,
ვის ჰქონდა ორი თავი, ეტყობა, საბრალო ამაზე ჩიოდა, არა?
- ალბათ მაგაზე.
- თუ კვლავაც გაიგონე მაგ ქალის ხმა, მაშინვე მითხარი, მაინტერესებს,
რას იტყვის კიდევ.
- აი, მეგონი, ისევე ალაპარაკდა, ჩურჩული მომესმა.
- არა, ეგ ის არ არის ეს უფრო შორიდან, მეორე მხრიდან ისმის, თა-

ნაც კაცის ხმაა. საცოდაობაა. როგორც კი სინესტეს იგრძნობენ ხოლმე, ძველი მკვდრები წრიალს იწყებენ და ელვიძებათ.

„დაუსაბამოა ღმერთის წყალობა, იმ ღამით, ჭეშმარიტად, ღმერთი მომკვლინა, თორემ არავინ იცის, რით დამთავრდებოდა ყველაფერი. გონს რომ მოვებე, უკვე ბნელოდა...“

— გეყურება? ახლა გარკვევით ისმის ყველაფერი.
— ჰო.

ქვემოთ პარამო

„სისხლში ვცურავდი. წამოვიწიე. ქვას დავეყრდენი. ვხედავ, თითებიდან სისხლი დამდის, სულ გაბასრული ვარ. თან სისხლი ჩემია. ღამის სისხლისგან დავიცავდი. არადა, ვატყობ, მაინც ცოცხალი ვარ. ვფიქრობ, ჰო, ეტყობა, დონ პედროს ჩემი მოკვლა კი არა, დაშინება უნდოდა-მეთქი. ალბათ ცდილობდა როგორმე შეეტყო იმ ღამეს, ორი თვის წინათ, წმინდა ქრისტეფორეს დღეს, ვილიმაიოზე ქორწილში თუ ვიყავ. „მე არც ქორწილი ვიცი და არც თქვენი წმინდა ქრისტეფორე-მეთქი“. სისხლში ვცურავ და მაინც კიდევ იმას ვუმტკიცებ, „რის ქორწილი, რა ქორწილი? არა ვყოფილვარ, დონ პედრო! მე არსადაც არა ვყოფილვარ. შემთხვევით გავიარე, შორიდან მოვკარი თვალი“. რის მოკვლა? ჩემი მოკვლა რაში სჭირდებოდა? ისე, ცოდვა გატეხილი ჯობია, რა დასამალია, და იმ დღიდან დავეკოჭლდი, ხელებიც მას შემდეგ წამერთვა. მოკვლით კი არ მოვეუკვლივარ. ახლა იმასაც კი ამბობენ, თითქოს ამდენი უბედურების ნახვისა და გადატანის მერე მფრთხალი გავხდი. მე კი ვიტყვოდი, პირიქით, გამბედაობა მომემატა-მეთქი. ახლა არაფრის აღარ მეშინია. დაუსაბამოა ღმერთის წყალობა. ჭეშმარიტად“.

— ვინ ლაპარაკობს?

— რას გაიგებ! გგონია, ცოტანი არიან? მამა რომ მოუკლეს, პედრო პარამომ უამრავი ხალხი ამოხოცა... ვინც კი ქორწილში ყოფილა, ცოცხალი თურმე არავინ გაუშვა. ლუკას პარამო ჯვარის მამად მიუწვევიათ. ამბობენ, ვითომც, სიძისთვის ესროლოთ, მაგრამ ტყვია ლუკას პარამოს მოხვედროდეს. ვინ ისროლა, ვერ შეიტყვეს. პედრო პარამომაც ქორწილის ხალხი ყველა პირწმინდად ამოყუტა. ეს ვილიმაიოს მთაზე მოხდა. მაშინ იქ ხუტორი იყო. იმ ამბის შემდეგ იჭაურობა გაუკაცრიელდა. გესმის? ისევე დაიწყო ლაპარაკი. ეს კი აშკარად ისევე ის ქალია. მახვილი სმენა გაქვს, დაუგდე ყური და მითხარ, რას ამბობს.

— ველარაფერი გამირჩევია. კი არ ლაპარაკობს, კენესის, მგონი.

— ნეტა, რაზე კენესის?

— აბა რა ვიცი.

— რაკი კენესის, საბაბიც ექნება. ჩუმად, მოუსმინე.

— კენესის. სიტყვები არ ისმის. შეიძლება პედრო პარამოზეა ნაწყენი!

— აბა რას ამბობს პედრო პარამოს ძალიან უყვარდა. მეტსაც გეტყვი, არც ერთი ქალი მაგასავით არ ჰყვარებია. აქ ჩამოსვლამდე მაგ საცოდავს ბევრი მწუხარება გადაუტანია. ამბობენ, ბოლოს გაგიყვებულაო. პედრო პარამოს კი ისე უყვარდა, სიცოცხლის ბოლო წლებში იჯდა ჭიშკართან მოწინულ სავარძელში და მართო მაგ ქალის საბოლოო გზას გაპყურებდა — რა გზითაც სასაფლაოზე წაასვენეს. ყველაფერზე გული აიყარა, მიწა უპატრონოდ მიაგდო. რაც ქონება ჰქონდა, ერთიანად ცეცხლს მისცა. ზოგი ამბობდა, ცხოვრებისაგან დაიღალაო, ზოგი კი — ცოლმა ამოიძულაო. ასე თუ ისე, თავისი ხალხი სულ შემოიფრთხინა, თვითონ კი მოკალათდა სავარძელში და გზას მიაჩერდა.

იმ დღიდან მოკიდებული მედია-ლუნას მინდვრები გავერანდა. ხნულს შამბმა და ჭაგნარმა გადაუარა, ამის შემხედვარეს გული მოგიკვდებოდა. ხალხიც აიყარა. ყველა ცდილობდა, სადმე გადახვეწილიყო. ნათქვამია: თევზს ღრმა წყლები ურჩევნია, კაცს — სადაც უკეთ ეცხოვრებაო. საქმე იქამდე მივიდა, კომალაში მარტო „მშვიდობით“ და „კეთილად მენახეთლა“ ისმოდა. პირველ ხანებში კიდევ გვიხაროდა. ხალხი რომ მიდიოდა. სამუდამოდ რომ არ მიდიან, ისევე უკან შობრუნდებიანო, — ასე ვფიქრობდით, თავიანთ ბარგი-ბარხანას ჩვენ გვიტოვებდნენ. ზოგ-ზოგი კი — ჯალაბობასაც. ჯალაბობის წისაყვანად მერე ვიღაც-ვიღაცებს აგზავნიდნენ, ბარგი-ბარხანისთვის კი უკან აღარავინ ბრუნდებოდა. ბოლოს, ეტყობა, მშობლიური კუთხეც დაივიწყეს, აქ დარჩენილებიც და წვითა და დაგვით ნაშოენი თავიანთი ხარახურაც. მეც აქ დავრჩი. ანკი საით წამესვლებოდა. ჩემ გარდა კიდევ იყვნენ თითო-ოროლანი, ყველა პედრო პარამოს სიკვდილს ელოდა. ხმები დაირხა, პედრო პარამო ანდერძით თავის ქონებას ხალხს უნაწილებსო. ჰოდა, ჩვენც, ამის მოიმედენი, აღარსად წავედით. მაგრამ ვხედავთ, დღე დღეს მიჰყვება, წელიწადი — წელიწადს, პედრო პარამო კი მშვენივრად გრძნობს თავს, არაფერიც არ ემართება, ცხოვრობს და დარაჯობს საფრთხობელასავით მედია-ლუნას მიწებს.

მისი სიკვდილის წინ ქრისტეროსების¹ ბუნტი ატყდა, მეომრებმა, ჩვენი სოფელი რომ გაიარეს, ცოცხალი თუკი ვინმე ნახეს, ყველა ამოწყვიტეს. მე შიმშილმა დამრია ხელი და ბოლოც მომიღო.

ეს ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ პედრო პარამოს, ეტყობა, ტვინი გადაუბრუნდა, სინდის-ნამუსს აღარ დაგიღევდა. ეს კი მას შემდეგ დაემართა, რაც ცოლი მოუკვდა, სწორედ ეს სუსანიტა. ჰოდა, ახლა თვითონვე განსაჯე, უყვარდა ეს ქალი თუ არა.

იმათი ჩამოსვლა ფულგორ სედანომ მოახსენა:

— იცით, დონ პედრო, ვინ ჩამოვიდა?

— ვინა?

— ბართლომე სან-ხუანი.

— რა მინდაო?

— მეც მაგას ვკითხულობ, ნეტავ რა უნდა?

— მერედა, ვერ შეიტყვე?

— ვერა, გასაკვირი კი ის არის, რომ პირდაპირ თქვენს ძველ სახლს მოადგა კომალაში. ბარგიც გადმოზიდა, თითქოსდა ბინას ადრევე ყოფილიყავით შეპირებული. ერთი სიტყვით, ისეთი კაცის იერი ჰქონდა, ვისაც გაეგება, რასაც აკეთებს.

— ფულგორ, შენ სადღა ეშმაკებისკენ იყურებოდი! რატომ არაფერი ჰკითხე, არ ჩაეძიე?

— ხომ გეუბნებით, ისეთი თავდაჯერებული ჩანდა, დავიბენი, რაკი მიბრძანეთ, ხვალვე შევიტყობ ყველაფერს.

— ხვალ მაგ საქმეს მე თვითონ მივხედავ. ორნი ჩამოვიდნენ?

— დიახ, ორნი, თვითონ და ცოლი. თქვენ ვინ გითხრათ?

— ცოლი? იქნებ ქალიშვილია?

1. ქრისტეროსების აჯანყება (1927 წ.), რომელმაც წამოაყენა სოციალური რეფორმის მოთხოვნები, სისტემატად იქნა ჩამშობილი მთავრობის მიერ. ამასთან, სამხედრო ხელისუფლება მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ გაუგონარ თვითნებობას სჩადიოდა.

- ისე ეპყრობა, მგონი, უფრო ცოლი უნდა იყოს.
- წადი, შეიტყვე, ფულგორ.
- ბატონი ბრძანდებით.



„ოცდაათი წელიწადი ვიცდიდი, როდის დაბრუნდებოდი, სუსანა, ველო/ დი იმ საათს, როცა ყველაფერს შივილებდი, რაც შეიძლება კაცმა მოეხერხებოდა რაც შეიძლება მიიღოს კიდევ. ველოდი იმ წუთს, როცა ჩვენ არ გვექნებოდა სხვა სურვილი, გარდა შენი და ჩემი სურვილებისა, სუსანა, ჩემი სურვილი კი შენა ხარ.“

რამდენჯერ მოვიწვიე მამაშენი, დაბრუნებულიყო კომალაში და აქ ეცხოვრა. ვუმტკიცებდი, მჭირდები-მეთქი. მოურავის ადგილიც შევთავაზე. იმასაც კი ვეცადე, მოტყუებით ჩამომეყვანა. ყველაფერს ვკისრულობდი, ოღონდაც კვლავ ერთად ვყოფილიყავით. მაგრამ რა? შიკრიკი სულ ერთსა და იმავეს მეუბნებოდა: „პასუხი არ იქნება. თქვენი წერილი დონ ბართლომეს გადავეცი, მაგრამ წინა წერილებით ისიც დაზია“.

გავიდა ხანი, იმავე შიკრიკისაგან შევიტყვე, რომ გათხოვილიყავ, მერე ისიც მითხრა, დაქვრივებულა და მამასთან დაბრუნდაო.

სად არ დაგეძებდათ ჩემი შიკრიკი, მაგრამ უკან დაბრუნებული ერთსა და იმავეს მეუბნებოდა:

„ძველ ადგილზე აღარ დამხვდნენ, დონ პედრო, მითხრეს, მაკოტადან წავიდნენო. ზოგი ამბობს იქაო, ზოგი — აქაო“.

„მოძებნე სადმე, თუნდაც ქვესკნელიდან ამოიყვანე, დანახარჯს ნუ მოეჩივები“, — დაჟინებით ვუმეორებდი ერთსა და იმავეს.

ბოლოს, ერთხელ მოდის და მეუბნება:

„მთელი მთები დავიარე, სადღა არ ვიწაწალე, უნახავი არაფერი დამიტოვებია. ბოლოს მაინც მივაგენი. ერთი მყუდრო ადგილია. მიგდებულნი მალა-რო „ანდრომედა“ ხომ გაგიგონიათ? სწორედ იქ ვნახე. მთებშუა, ხევში პაწაწინა ძელური ხუხულა დგას. აი, იქაა თქვენი დონ ბართლომე სანხუანი.“

სწორედ იმ დღეებში უცნაური ხმები დაირხა: ჰყვებოდნენ, მეამბოხეთა შეიარაღებული ბანდა გამოჩნდია. ამ ამბავმა ჩვენამდეც მოაღწია. მეამბოხეებზე დაყრილმა ხმებმა აიძულა მამაშენი, მიეტოვებინა იქაურობა და ჩვენთან ჩამოსულიყო. წერილსა მწერდა, რომ თავის თავზე არა ფიქრობდა, მარტო შენი ბედი აწუხებდა და სურდა კომალაში ჩამოეყვანე, რათა შიშიანობის დროს მიყრუებულ ტყეში კი არა, ადამიანთა შორის გეცხოვრა.

სიხარულისგან ფეხქვეშ მიწას ველარა ვგრძნობდი, მინდოდა ცხენს მოვხტობოდი და შენს შესახვედრად გამოვფრენილიყავ. ყველაფერი მელონა, ოღონდაც კი გამემხიარულებინე, ოღონდაც კი ბედნიერად გეგრძნო თავი. მზად ვიყავ ბედნიერებისაგან მეტირა; ვიტირე კიდევ, სუსანა, როცა გავიგე, რომ ბოლოს და ბოლოს ბრუნდებოდი“.

— ბევრი სოფელი ადამიანს სევდასა ჰგვრის. ასეთ სოფელს უმაღ გამოიცნობ, ჩაისუნთქავ თუ არა მის აშმორებულ ჰაერს, სიბერის, სიღარიბისა და დაძაბუნების მომყავო სუნს. ჩვენც სწორედ ერთ-ერთ ამისთანა სოფელში მივდივართ, სუსანა.

იქ, სადაც ჩვენ აღრე ვცხოვრობდით, შეგვეძლო ღრუბლებით, ფრინველებით და ხავსით მაინც დამტკბარიყავი, შეგვეძლო გენახა, როგორ იბადებოდა შენ ირგვლივ სიცოცხლე. გახსოვს? ახლა კი მჭმუნვარე და სევდისმომგვრე-

ლი ერთფეროვნება გელის, რადგან უსასოო მწუხარებაა დამკვიდრებული მთელ სოფელში. ირგვლივ ყველაფერს, თითქმის ყველაფერს მწუხარების გემო ახლავს.

მან მოგვიწვია, დაებრუნებულყავით, საკუთარი სახლიც დაგვრთმო. თუ რამ გვკირდებოდა, ხელი გაგვიმართა. მაგრამ მადლობა მნიშვნელოვან გვეთქმის. იძულებულნი რომ ვავხდით, აქ ვიცხოვროთ, ეს უბედურებაა ჩვენი, და გული მიგრძნობს საფრთხის მოლოდინში აქ ხსნის იმედი არ უნდა გვქონდეს.

იცი რა საზღაური მომთხოვია პედრო პარამომ? ვეჭვობდი, რასაკვირველია, რომ ეგ არ იყო უანგარო სიკეთის ჩამდენი.

მაგრამ ვფიქრობდი, მუშაობით გამოვუბრი-მეთქი, — ასეა თუ ისე, ანგარიშის გასწორება მაინც საჭიროა. „ანდრომედას“ შესახებ მოვუყვები, დარწმუნება დავუწყე, საქმეს თუ გონივრულად მოვკიდებთ ხელს, შრომამ შეიძლება გაგვიმართლოს და მაღარო გამოგვადგეს-მეთქი. და იცი, ამაზე რა მიპასუხა? „თქვენი მაღარო, ბართლომე სან-ხუან, სულ არ მაინტერესებს. თქვენი ყველაზე საუკეთესო ნამუშევარი თქვენი ქალიშვილია და არავითარ სხვა სამუშაოს არა გთხოვთ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ქალიშვილი“.

ასე რომ, შენზეა საუბარი, სუსანა, მას შენ უნდიხარ, მიმტკიცებს, კარგა ხანია ვიცნობ, ბავშვობაში ერთად ვთამაშობდით, მდინარეზე საბანაოდაც ერთად დავდიოდითო. მე კი არაფერი არ ვიცოდი, მაშინ რომ გამეგო, ქაშრით ისე აგიჭრებდით გვერდებს, სიკვდილის პირას მიგიყვანდი.

— ეჭვიც არ მეპარება.

• — რაო?! რა თქვი?!

— ეჭვი სულაც არ მეპარება-მეთქი.

— ხედავ? მაშ მზადა ხარ ლოგინში ჩაუწვე?

— დიახ, ბართლომე.

— შენ რა, არ გაგიგია, რომ ცოლიანია და ამ არემარეში დედაკაცი არ გაუშვია?

— როგორ არა, ვიცი, ბართლომე.

— ნუ მეძახი ბართლომეს, მამა ვარ შენი!

კაცს უკვე ელანდებოდა რალაც ხმები: „ბართლომე სან-ხუანი? აა! ეს იცით, ისაა, ანდრომედას მაღაროში რომ დაიღუპა, სუსანა სან-ხუანი? იმ გარდაცვლილი მაღაროელის ქალიშვილია“. იგი მიხვდა, დაბრუნდებოდა თუ არა მთებში, იქ მოუსწრებდა აღსასრული.

— მე ვუთხარ, — თქვა მცირე პაუზის შემდეგ, — რომ მართალია, ქვრივი ხარ, მაგრამ ქმარს არ განშორებიხარ, ყოველ შემთხვევაში, ესე გიჭირავს თავი, თუნდაც ქმარი ცოცხალი გყოლოდეს, მინდა გადავათქმევი, მაგრამ დავაპირებ თუ არა სიტყვის ამოღებას, მრისხანედ მიბღვერს, შენი სახელის ხსენებაზე კი თვალებს ლულავს, რამდენადაც ვიცი, ეს ის კაცია, ვინც არაფრის წინაშე არ იხევს უკან. პედრო პარამო ბოროტების განსახიერებაა.

— მე რილას განსახიერება ვარ?

— შენ ჩემი ქალიშვილი ხარ, ჩემი, გესმის? ბართლომე სან-ხუანის ქალიშვილი.

სუსანა სან-ხუანის გონებაში ფიქრები ზანტად სცვლიდნენ ერთმანეთს. მერე სულ გაქრნენ, მაგრამ ანაზღეულად ისეთი სისწრაფით დაიწყეს შეცვლა, თითქოს ცდილობდნენ დაესწროთ ერთიმეორისათვის.

— ტყუილია, ტყუილი, — მართო ამის თქმისა მოახერხა.

— ამ ცოდვილ წუთისოფელში ნადირობისას დაფეთებულ, ყოველი მხრიდან გარშემორტყმულ მხეცებსა ვგავართ, ცხოვრება ცდილობს ყოველნაირად გაგვაწამოს. უკან მოტოვებულ გზაზე მიწა ჩვენივე სისხლითაა მორწყობილი და ჩვენივე წარმავალი მტვრითაა დაფარული. რა ჩავიდინეთ ასეთი? კია რა ტომ გვიღრღნის სულს? დედაშენი იტყოდა ხოლმე, რაც უნდა მოხდეს, ეჭვივე გქმნი თის წყალობისა არ უნდა მოვიშალოთო. მაგრამ შენ არ გწამს უფროს-წინააღმდეგარა ტომ არ მეძახი მამას? შეიშალე თუ რა?

- რამდენი ხანია, აქამდე არ იცოდი?
- ოღონდაც, რომ შენს ჰკუთხე აღარა ხარ.
- რასაკვირველია, ბართლომე, ახლა გაიგე?

— იცი თუ არა, ფულგორ, იგი უმშვენიერესი ქალია, ვისაც კი ოდესმე ამქვეყნად უცხოვრია. მეგონა, ჩემთვის სამუდამოდ დაკარგული იყო. ახლა კი არა მსურს ხელმეორედ დავკარგო. გესმის, ფულგორ? გადაეცი მამამისს, რომ წავიდეს უკან, მალაროში. იქ კი... იმ უდაბურ ტყეში მაგის თავიდან მოშორება ძნელი არ იქნება. რას იტყვი?

- ალბათ...
- „ალბათ“ კი არა, უეჭველად. ქალი დაობლდება, ჩვენ მოვალენი ვიქნებით ვიზრუნოთ ობლად და მიუსაფრად დარჩენილზე, ხომ მართალია?
- ეს საქმე შეიძლება ხელად მოგვარდეს.
- თუ ასეა, შეუდექი საქმეს, ფულგორ, შეუდექი საქმეს.
- ქალმა რომ შეიტყოს?
- ვინ ეტყვის? ვინ გაუბედავს ამის თქმას, პა? ვინ, კაცმა რომ თქვას?
- ვფიქრობ, არავინ.
- „ვფიქრობ“ შენთვის შეინახე, შეინახე და ნულარ გაიხსენებ. დაიხსოვო! — „არავინ!“ ყველაფერი ლარივით აეწყობა. „ანდრეომედაზე“ მაგის ძებნაში განა დიდი ჰაპანწყვეტა არ დაგვჭირდა? მაგრამ ხომ მოვნახეთ? შენ მართოდ აარწმუნე, რომ მთაში უნდა დაბრუნდეს, მალაროს მართლაც ბედის ანაბარა ხომ არ მიატოვებს? სამუშაო იქ ექნება, სახლი კი — აქ; დროდადრო აქაც ჩამოვა. თუნდაც აქეთ-იქით იაროს, ოღონდ ქალიშვილის თან წაყვანა გულშიც არ გაივლოს. დაამშვიდე, უთხარ, ქალიშვილზე ჩვენ ვიზრუნებთ-თქო, აუხსენი, ფულგორ, გააგებინე.
- ძალიან მწონს, ბატონო, კვლავინდებურ ფხას რომ იჩენთ, ახალგაზრდული მგზნებარება დაგიბრუნდათ.

კომალას მინდვრებზე ეჩინელავს. წვრილადა ცრის. აქაურობისთვის ეს იშვიათია, რადგან აქ მუდამ კოკისპირული წვიმები იცის.

დღეს კვირაა. დაბაში აბანგიდან ინდიელები ჩამოსულან. ჩამოსულან და თან ჩამოუტანიათ სურნელოვანი ცეფალოფორის ასხმები, როზმარინის თაიგულეები და დაიღლიაგებულნი ღვთისმშობლის ბალახი. დღეს მათგან ფიჭვის კვარსვერ იყიდით: ოკოტე¹ წვიმისგან გაქლენთილა. არც ანტილიური მუხის ფესვები უჩანთ სადმე, ალბათ ზედმეტმა სინოტივემ გააფუჭა. ინდიელები დახლებზე აწყობენ თავიანთ სურნელოვან საქონელს და იცდიან.

წვიმა გუბეებიდან აქეთ-იქით პაწაწინა ჰავლებად იღვრება.

1. ოკოტე — პირამიდული ფიჭვი.

ახლად აღმოცენებულ სიმინდის კვლებს შორის წყლის ნაკადი გარბის. ხალხს თითქოს დავიწყებია, დღეს რომ ბაზრობაა, ჭგუფ-ჭგუფად სამი-ოთხი კაცი ერთ კვალში დადის, დაგუბებულ წყალს აქა-იქ ურუებენ და სველ გორახებს თოხებით შლიან; წყალი ნება-ნება უნდა მიურთო, თორემ შეიძლება ერთბაშად მოვარდნილმა წვიმის წყალმა მოგლიჯოს ახლად აღმოცენებული მცენარე და თან წაიღოს. გლეხები წამდაუწყუმ იხრებიან, ხელთ მხრუნველად უყრიან მიწას ნორჩ აღმონაცენს და ამაგრებენ.

ინდიელები კი იცდიან, უკვე გრძნობენ: დღევანდელი დღე დაეთარსათ. ამიტომაც აქრეოლებთ იღბათ თავიანთ ნოტიო ხალის „საწვიმრებში“. კანკალებენ არა იმდენად სიცივისაგან, უფრო ცუდი წინათგრძობისაგან, და შეპყრებენ, როგორც ცრის წვიმა, როგორ შესევნიან ცას რუხი ღრუბლები.

მყიდველი არა ჩანს, დაბა თითქოს გაუკაცრიელებულა. ვიღაც ქალი მოდის და ავალებთ: შემდეგ ჩამოსვლაზე პიტა², ცოტაოდენი შაქრის ლურწამი და, თუ იშოვება, ატოლეს³ ფაფის გასახებად საცერი ჩამოიტანეთო. შუადღე რაც უფრო ახლოვდება, მით უფრო მეტად უყვივდებათ ხალის „საწვიმრები“. ცეფალოფორის ბურთისებურ თავებზე ცვარი ბრწყინავს. ინდიელები საუბრობენ; ერთმანეთს ლაპარაკში იყოლიებენ, იცინიან, სინანულს გამოთქვამენ, პრეფერანსის სათამაშოდ თალია მაინც წამოგველო. „გულს გადავაცოლებდით, ახლა კი სად რას იშოვი. რას იზამ, ეშმაკის არც მოცემული გვინდა და არც წართმეულიო“.

მედია-ლუნადან მომავალი გზის შესაყარ ქუჩაზე გამოჩნდა ხუსტინა დიასი, იგი გულმოდგინედ არიდებს ფეხს ტროტუარზე მოვარდნილ წყალს. გაშლილი ქოლგა უჭირავს. მოედანზე მდგარი ეკლესიის წინ ჩავლისას, ღია კართან პირჯვარს იწერს და გადახურული დაბლებისაკენ ეშურება. ინდიელები ერთბაშად შემოტრიალდებიან და ლამის თვალებით კამენ, ქალი განაპირა მდგომ გამყიდველთან მიდის, ათ სენტავოდ ყიდულობს როზმარინის თაიგულს, ჩქარი ნაბიჯით შორდება იქაურობას და ზურგს უკან გრძნობს ინდიელთა მიშტერებულ მზერას.

„როგორ გაძვირდა ყველაფერი, როზმარინის თაიგული ათი სენტავო? — ფიქრობს უკან, მედია-ლუნასკენ მიმავალი ხუსტინა, — არც ისეთი სათვალიოა, თანაც მაგისი სურნელება მთელ ოთახს ვერც გაავსებს“.

ბინდი როგორც კი დგება, ინდიელები უკან, ტომრებში ალაგებენ მწვანე ნილეულობის ვეება კონებს, იკიდებენ ზურგზე და წვიმაში მიუყვებიან გზას. მაგრამ სანამ უკან, აპანგოში მიმავალ გზას დაადგებოდნენ, ჯერ ეკლესიაში შედიან, ლოცულობენ და თითოეული ღვთისმშობლის ფეხით მოწიწებით დებს ღვთისმშობლის ბალახის კონას, „არა უშავს, კვირა დღე ერთი კვირის შემდეგაც მოვა“, — ინუგეშებენ თავს, შინისკენ მიმავალნი ერთმანეთს თავშესაქცევ ამბებს უყვებიან და უღარდელად იცინიან.

ხუსტინა დიასი სუსანა სან-ხუანის საძინებელ ოთახში შევიდა და როზმარინის თაიგული ლამის მაგილაზე დაუდგა. ფანჯრებზე ფარდებჩამოფარებულ ოთახში ხუსტინა ანდებზე დაფათურობდა, სიბნელეში ძლიერდებოდათ არჩევდა

2. პიტა — მაგიის ბოჭკოს ძაფი.

3. ატოლე — სასმელი, დაზიდებული გაბეხილი სიმინდისაგან.

საგნებს. მოეჩვენა, რომ სუსანას ეძინა. ბოლო ხანებში სულ იმის ცდაში იყო, სუსანას როგორმე მეტხანს სძინებოდა. ახლაც გაუხარდა, მძინარე რომ დახვდა. უცებ ოთახის ბნელი კუთხიდან ოხვრა მოესმა.

— ხუსტინა! — გაიგონა თავისი სახელი.

ქალი შეტრიალდა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია. ვილაცამ მხარზე დაეკრძა და აღო, ყურისძირში ვილაცის სუნთქვა იგრძნო და ჩურჩულიც მოესმოდა. აქედან, ხუსტინა, აიკარი ბარგი-ბარხანა და შენს გზას ეწიე. აღარ გვკვირდება“.

— მე ამას ვკვირდება. ავად არის და უჩემოდ ვერ გაძლებს, — უპასუხა ხუსტინამ და მოსაუბრეს მხრით უკან შიაწვა.

— შეიძლება, ხუსტინა, მაგრამ ახლა მე ვარ აქ და მაგაზე მე ვიზრუნებ.

— თქვენა ხართ, დონ ბარტლომე? — იკითხა ქალმა, მაგრამ პასუხისათვის არ დაუცდია, ისე შეპყვირა; ამ ყვირილის გაგონებაზე მინდვრიდან მობრუნებული ქალი თუ კაცი პყვირობდა: „ეტყობა, ადამიანმა დაიყვირა, მაგრამ ნუ-თუ შეუძლია ადამიანს ეგეთი ყვირილიო?“.

წვიმა ხმებს ახშობს. მისი თანაბარი შრიალი მაშინაც კი არ ყუჩდება, როცა ყველაფერს დუმილი მოიცავს. წვიმის წვეთები მიწას ეცემა და იკინძება მარდიული ცხოვრების ძაფზე.

— რა მოხდა, ხუსტინა? რატომ ყვირიხარ? — იკითხა სუსანამ.

— არ დამიყვირია. ეტყობა, დაგესიზმრა.

— რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, სიზმრებს ველარა ვნახულობ-მეთქი. მაგრამ შენ ყურს როდი მიგდებ. არ მეძინება. გუშინ სალამოს კატის გაგდება დაგვიწყებია, მაგის გულისთვის მთელი ღამე თვალზე რული არ მომეკიდა.

— რა კატა? კატა ხომ ჩემს ოთახში იყო. ფეხთით დამიწვა, ნებივრობდა, მეც შემეცოდა, აღარ გაეაგდე. იწვა ისიც წყნარად და უხმაუროდ.

— მე კი გეუბნები, გამაბრაზა-მეთქი, მთელი ღამე ცირკი გამიმართა: დამაჯდება ფეხებზე, მერე ისკუპებს, სახეზე დამახტება თან ჩუმად ხმადაბლა ისე შემომკნავის, თითქოს საჭმელს მთხოვდეს.

— სუსანა, სალამოთი კარგად ვაჭამე, მთელი ღამე კი ჩემთან იყო, შენ ისევ რაღაც უთავბოლო სიზმარი გინახავს.

— მე კი გეუბნები, თავისი ხტუნაობით მთელი ღამე მოსვენება დამაკარგინა. ჰოდა, წყნარია თუ არ არის წყნარი; ძალიან გთხოვ, სანამ მე მძინავს, მაგის ჭაჭანება არა ვნახო აქ.

— მოგეჩვენა, სუსანა. კეთილი, მოვა თუ არა პედრო პარამო, რაც უნდა ისა ქმნას, მე კი აღარ შემიძლია შენთან ყოფნა. პირში გეუბნები, სხვა ვინმე მონახე, მიჯობს წავიდე. ქვეყანაზე კეთილ ხალხს რა დალევს, მეც მოვნახავ სადმე ადგილს. შენ სულ იმას ცდილობ, ვინმე გაამწირო. ყველა შენსავით გადაარეული ხომ არაა. ხვალიდან წავალ, კატასაც თან წავიყვან, და აღარაფერი შეგაწუხებს.

— ო, რა უემური და ანჩხლი მყავხარ, ხუსტინა! არსად, არასადაც არ წავალ, იმიტომ, რომ ჩემსავით არავინ შეგიყვარებს.

— არ წავალ, სუსანა, არ წავალ. კარგად იცი, მთელი ჩემი ცხოვრება შენა ხარ, ხანდახან თუ გაგიბრაზდები და დაგტუქსავ, ყურს ნუ დამიგდებ, არასოდეს არ მიგატოვებ.

იგი გაჩენის დღიდან უვლიდა სუსანას. ხელით დაჰყავდა, სიარული მან ასწავლა, ფეხი მან აადგმევინა, და ახლა ეგონა, რომ სუსანას მთელი ცხოვრება — ბაღლობის დროს გადადგმული და უსასრულოდ ქცეული ის პირველი

ნაბიჯი იყო, ხუსტინას ახსოვს, როგორ იქცა სუსანას პაწია პირი ქალიშვილის ლამაზ ბაგედ — „ო, ჩემო ბაგეთაფლიანო“; სანთლებივით როგორ აენთო და დაუმშვენდა თვალები. „ო, ჩემო თვალებბრიალა, ტკბილო თაფლის კერო, ჩემო ველის ყვავილო და ეზოს ბილილაე, ჩემო ცის ლაყვარლო და ოქროს ბურთო“.

— მოაფლებდა პირს პაწია ფეხებზე და კბენდა და კოცნიდა კუთხულებში რძე არ ედგა, მაგრამ მაინც აწოვებდა, ისე, გასართობად. „აჰა, ეჭმე მსუქანი კუგურ-გურებდა ტკბილად, — ეთამაშა შენს სათამაშო ძუძუკანებს“. მისი ნება რომ ყოფილიყო, მთელი დღე თამაშით სულში ჩაიკლავდა თოთო სხეულს.

წვიმა კი უჩუქუნებდა ბანანების ვეება ფოთლებს და ისმოდა, ციდან მომსკდარი თქეშისაგან როგორ ხმიანობდა წვიმის გუბეები.

ზეწრები სიცივესა და სინესტეს გაეუღინთა, ორი დღე-ღამის განმავლობაში ზანტად მობუყბუყე წვიმის ღარიდან შეუსვენებლივ მოთქრიალებდა ქაფ-მოდებული წყალი, წვიმდა და წვიმდა შეუწყვეტლივ, მიწას ნიაღვრისგან სუნ-თქვა ეკვროდა.

შუადღე იდგა; წვიმის შხაპუნი კვლავინდებურად ახშობდა ოთახის მიღმა ყოველგვარ ხმაურს...

სუსანა სან-ხუანი ლოგინში ნელ-ნელა წამოჯდა, ფეხები ძირს გადმოყო, წამოდგა და საწოლს მოშორდა.

წუთის წინ მას კვლავ დაუბრუნდა გუშინდელი შეგრძნება — თითქოს რაღაც მძიმე აწვებოდა ფეხებზე. ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა, სახის ძებნაში, ხელებს ფეხებზე უფათურებდა.

— შენა ხარ, ბართლომე? — ჰკითხა მან და მოეჩვენა, რომ კარმა გაიჭრიალა: ვიღაც შემოვიდა ან გავიდა, მერე კვლავ გაისმა გულის გამაწყალებელი, ხან დაჟინებული, ხან შენელებული წვიმის ხმაური, ბანანის ფოთლებზე დელ-გმის შხაპუნი და არემარის გამაყრუებელი ზათქი და ზრიალი.

მალე დაეძინა და გამთენიისასლა გაეღვიძა, როცა მომდევნო დღის ცრიატი სინათლე ვერცხლისფრად დაცვარული წითელი აგურის კედლებს მივლამუნა.

— ხუსტინა! — დაიძახა მან, ხუსტინა იმწამსვე იქ გაჩნდა, თითქოს კარს უკან იდგა შილწამოსხმული და დაძახებასლა ელოდა.

— რა იყო, სუსანა?
— კატა ისევ შემოიძარა.
— ო, ჩემო საბრალო.

ხუსტინა მკერდზე დაეკონა და ხელები მოჰხვია.

— რა გატირებს? — გაიკვირვა სუსანაჲ. თავი აუწია და ნამტირალევ თვალებში ჩახედა. — შენმა კატამ რომ შემაშინა? ნუ გეშინია, პედრო პარამო ვერაფერს გაიგებს. ვეტყვი, რომ შენი კმაყოფილი ვარ, ნუ ტირიხარ.

— მამაშენი მოკვდა, სუსანა, გუშინ ღამით მომკვდარა, დღეს იქიდან ხალხი მოვიდა, ამბობენ, უკვე დავმარხეთო, მე და შენ დაკრძალვას ვერ ჩავუსწრებდით, აქამდე კი შორი გზაა და ვერ ჩამოასვენეს, ახლა სულ მარტოდმარტო დარჩი, სუსანა.

— ჰოო, მაშ ის ყოფილა, — თქვა და ჩაიციხა, — გამოსამშვიდობებლად მოხვედნი აღბათ, — თქვა და კვლავ ჩაიციხა.

წლების წინათ, როდესაც სუსანა ჯერ კიდევ პატარა გოგონა იყო, მამამ უთხრა:

— ჩახვალ ქვევით და მეტყვი, რასაც იქ ნახავ.

იგი წელზე საბელშემოჭერილი ეკიდა; საბელი უჭერდა, ხელებიც ისე გადაეტყავებინა, ლამის სისხლი სდიოდა, მაგრამ მაინც გამწარებით ემდგინებოდა, რადგან ერთადერთი დამაკავშირებელი ის იყო იქ, ზევით დაქრუნსხალ სამყაროსთან. შიშის ზარს სცემდა თანდათანობით ძირს ჩაშვება.

— ვერაფერს ვხედავ, მამა.

— კარგად მოათვალიერე, სუსანა, მანდ აუცილებლივ უნდა ნახო რამე.

— მამა ლამპას უნათებდა.

— ვერაფერს ვერა ვხედავ, მამა.

— უფრო ქვემოთ ჩაგიშვებ, ფეხქვეშ მიწას რომ იგრძნობ, შითხარი. გოგონა გაძვრა ფიცრებშუა დარჩენილ ღრიტოში, ჩაათავა დამპალი, ნახევრად ჩაქცეული, სველი თიხისგან გასლიბული საფეხურები.

— უფრო ქვემოთ ჩადი, სუსანა, აუცილებლივ ნახავ, რასაც გეუბნები.

ისიც ეშვებოდა და ეშვებოდა ქვემოთ, თითქოსდა გიგანტის საქანელათი უფსკრულის პირას ქანობდა, ფეხებს აცეცებდა და ნიადაგს ეძებდა.

— ფეხის დასადგმელი არსად არის!

— უფრო ქვემოთ, სუსანა! ჰა, ხედავ რამეს?

გოგონამ, როგორც იქნა, ფეხებქვეშ მიწა იგრძნო და იქვე გაშეშდა, სიტყვა ვეღარ დაძრა, შიშისგან ლამის ენა ჩაუვარდა. ლამპის სინათლე მის ირგვლივ წრიულად ანათებდა. ზემოდან მამის ხმა გაისმა:

— რაც ნახო, ამომაწოდე, სუსანა.

გოგონა შეკრთა, მაგრამ ბრძანებას დაემორჩილა და ორივე ხელით აიღო თავის ქალა; სწორედ ამ წუთში ზემოდან სინათლის სხივი დაეცა და ხელები შეუშვა.

— თავის ქალაა! — აღმოხდა უნებურად.

— მანდვე, გვერდით კიდევ უნდა იყოს რაღაც, რასაც იპოვი, ყველაფერი ამომაწოდე.

როგორც კი ჩონჩხს შეეხო, ძვლები იქვე ჩაიბნა, ქვედა ყბა ისე მოსძვრა, თითქოსდა სულის მოსახსენიებლად შექრისაგან გაკეთებული თავის ქალა ყოფილიყოს. გოგონამ ერთმანეთის მიყოლებით ააწოდა ძვლები, სანამ ტერფის ფალანგებს არ მიაღწა. თავის ქალა, ძვლის მრგვალი ბურთი, ლამის ხელებში რომ ჩაეშალა, ზევით ყველაზე პირველად აგზავნა.

— ეცადე კიდევ იპოვო რამე, სუსანა, მანდ ფულიც უნდა იყოს. ოქროს ყულაბა, მოძებნე, მოძებნე, სუსანა.

შემდეგ რა მოხდა, აღარ ახსოვს. გრძნობაზე რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა და პირველი, რაც დაინახა, მასზე მიშტერებული მამის გაყინული მზერა იყო.

აი, რატომ იცინოდა ახლა.

— მივხვდი, რომ ეს შენ იყავ, ბართლომე.

სუსანას მკერდზე ატირებულმა ხუსტინამ უცებ განზე გაიწია, როცა ეს სიცილი მოესმა. სიცილი ანაზღად ისტერიულ ხარხარად იქცა.

გარეთ კი კვლავ წვიმდა, მაგრამ ინდიელები ბაზარში აღარ ვაჭრობდნენ, ისინი სახლებში გუშინვე წავიდ-წამოვიდნენ. ორშაბათი დღე იდგა. კომალას ველი სულს ძლივს იბრუნებდა მოვარდნილი ღვართქაფისაგან.

მთელი ის დღეები ქარი ბობოქრობდა, ქარი, რომელსაც თან წვიმა მოსდევს, მაგრამ წვიმამ გადაიღო, ქარი კი მაინც არა და არ ცხრებოდა, მწვანედ მობიბინე სიმინდის ყანა რა ხანია შეშრა და ახლა დამლუბვედნ ქარისხლისაგან წაქცეული კვლებში გართხმულიყო. დღისით ქარი თითქოს მოშინდებოდა, მაგრამ მერე ისევ ძალე მოპყვებოდა კრამიტის სახურავზე კბილთა ღრუკენას და ფანჯრის მინებზე სუროს რტოთა ტლაშუნს. დამლამობით კი სახლის ირგვლივ გამუდმებით იდგა კვნესა და ღმუილი. ქარი ცაზე სწრაფად ერეკებოდა ჩუბეჩამოშვებულ, ლამის მიწამდე დასულ ღრუბელთა ნახირს.

სუსანა წევს, ხელები თავქვეშ ამოუწყვია და ისმენს, როგორ გაუდის კაკუნი დაკატილ ფანჯარას. ცდილობს ჩაწვდეს ლამის ენას და ფიქრს მისცემია. ქარის შფოთიანი ქროლვისაგან გაწამებული ღამე კი ხან ბორგავს და დარდს ეძლევა, ხან დალილილობისგან ქანცგაწყვეტილი გაირინდება.

ანაზღეულად ქარი იღება, ოთახში შემოჭრილი ქარი ლამპას აქრობს. სიბნელე სუსანას ფიქრს აღარ ანებებს, მოესმის რაღაც ფრთხილი ფაჩუნი. ხმაურით, არათანაბრად უცემს გული, ნახევრად დახუჭულ წამწამებს შუა კრთის რაღაც სინათლე.

თვალებს არ ახელს, სულერთია, სახეზე დაფენილი თმიდან მაინც ვერაფერს დაინახავს. ზედა ტუჩი ოფლით ეცვარება.

— შენა ხარ, მამა? — კითხულობს იგი.

— დიახ, შეილო ჩემო, მამა ვარ, შენი ქრისტესმიერი მამა.

იგი თვალებს ახელს და თმებს შორის გაღწეული მისი მზერა ხან ქერის სიბნელეს ებჯინება, ხან მის თავთან დახრილ ვილაცის სახეს, წამწამთა ჯარს შუა, როგორც ბურუსიდან, ისე იკვეთება ბნელით მოსილი ადამიანის ფიგურა. მაგრამ ეს სიბნელე სინათლეს ასხივებს, რაღაც ბუნდოვან, მოცახცახე სინათლეს, იგი მოედინება სადღაც შიგნიდან, სადაც გულია, და თვითონ ეს სინათლის შუქიც — ჩამწვარი სინათლის მოცახცახე შუქი, გულსა ჰგავს გარეგნულად. „გული შენი კვდება მწუხარებისგან, — ფიქრობდა იგი, — ვიცი, იმის სათქმელად მოხვედი, რომ ფლორენსიო ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ეგ უკვე ვიცი, სხვისმა უბედურებამ ეგრე არ უნდა დაგამწუხროს; ჩემზე ნუ დარდობ, ჩემი მწუხარება ცრაკლიტულში ჩავკეტე, გულის კარი შენც დაირაზე, გული რომ არ ჩაგიქრეს“.

იგი საწოლიდან წამოდგა და რაღაცნაირად მილოღდა პადრე რენტერიამდე.

— ნება მომეცი, უნუგეშომ ნუგეში გცე, — წარმოთქვა ქალმა და სანთლის შუქს ხელები მოაფარა.

პადრე რენტერია არაფერს უშლიდა; უცქერდა, როგორი სიფრთხილით აფარებდა იგი სანთელს აქეთ-იქიდან ხელისგულებს, როგორ უახლოვებდა სახეს მის ალს. ბრუკის სუნი დატრიალდა, პადრე რენტერიამ სუსანას სწრაფად პკრა ხელი და სანთელი ჩააქრო.

მოულოდნელი სიბნელით შეშინებული სუსანა ლოგინს ეცა და თავზე ზეწარი წაიფარა.

— მოვედი, რათა სულიერი სიმტკიცე მოგანიჭო, შეილო ჩემო, — წარმოთქვა პადრე რენტერიამ.

— მართლა? მაშინ წადი და ნუღარასოდეს დაბრუნდები, სულაც არ მჭირდება.

ქალს შემოესმა მიმავალის ნაბიჯები, ნაბიჯები, რომლის ხმაც მთელი სა-
ცოცხლის მანძილზე შიშის კანკალს ჰგვრიდა.

— რატომ მოდიხარ, შენ ხომ მკვდარი ხარ?

პაღრე რენტერიაშ კარი გაიხურა და ღამის სიგრილე ჩაისუნთქა.
ველზე კვლავ ქარი დაბობოქრობდა.



ქართული
საბჭოთაო

მოჯამაგირემ, მეტსახელად „ბლუკუნას“ რომ ეძახდნენ, მედია-ლუნაში
ცხენი ჭენებით შეაგელვა და პედრო პარამოს ნახვა ითხოვა.

— რა გინდა?

— სა-საქმე მაქვს.

— ბატონი შინ არ არის.

— გა-გადაეცი, როცა დაბრუნდება, რომ დო-დონ ფულგორმა გამომაგ-
ზავნა.

— კარგი, მოვძებნი, თუ ვიპოვე. მაგრამ ორიოდ საათით მოცდა დაგჭირ-
დება.

— უთხარ, რომ სა-საქმე არ იცდის-თქო.

— კარგი. ვეტყვი.

ბლუკუნა ცხენიდან არ ჩამომხტარა, ასე ცხენზე ამხედრებული უცდიდა
პედრო პარამოს გამოჩენას, რომელიც თავის სიცოცხლეში ჯერ არ ენახა.

— რა გინდა, რა საქმე გაქვს?

— შინდა თი-თითონ ბატონი ვნახო.

— მე ვარ ბატონი, რა ამბავია?

— ა-არაფერი, ო-ოლონდ დო-დონ ფულგორ სე-სენადო მოკლეს. წყალი
სულ ა-ალარ მო-მოდიოდა და წყალსადინარის სა-სანახავად მეც თან მივყავდი.
ჩვენ ო-ორნი წავედით. უ-უცებ სა-საიდანღაც ცხენოსნები გა-გაჩნდნენ. ბე-ბევ-
რნი იყვნენ. ახლოს მო-მოვიდნენ, ვილაკამ და-დაიყვირა:

„მე ამას ვი-ვიცნობ. ეს მე-მედია-ლუნას მოურავიაო.“

მე ხელი არ მა-მახლეს; არც კი შემომხედეს. დო-დონ ფულგორს კი უბრძა-
ნეს, ცხენიდან ჩა-ჩამოხტო. ეგრე თქვეს: „რე-რევიოლუციის ხალხი ვართო“.
მიწის წა-წასართმევად მოვდივართო. გა-გაიქეციო. — უთხრეს ფულგორს, —
ბა-ბატონს გადაეცი, რომ ჩქარა სტუმრად ვე-ვეწვევითო“. იმან კი შიშისგან
ჩა-ჩაისველა. მერე მოკურცხლა, თუმცა ვერც ისე მაინცდამაინც, კაცი დარბა-
ისელი იყო და... მაინც მირბის... მაგრამ იმათ სად გაექცეოდა, მა-მაშინვე ე-ეს-
როლეს. წევს მკვდარი, ერთი ფეხი ზევით აუფშეკია, მგორე — მიწაზე გა-გარ-
თბმია.

მე გა-გატრუნული ვიყავ. და-დავიცადე, სანამ დაბნელდებოდა, ჰოდა, მე-
რე წა-წამოვედი, რომ მე-მეთქვა, საქმე რ-როგორც იყო.

— რაღას უღვახარ, ცოცხლად, გავარდი უკან და გადაეცი, ბატონი გიც-
დით, მზად არის, რითაც შეუძლია, გემსახურებათ-თქო. თუ სტუმრად ეწვევით,
მორიგდებით-თქო, ოლონდ მანამდე კონსაგრასონის რანჩოში შეიარე, შორი
გზით შემოვლა არ დაგჭირდება. ტილკუატეს¹ იცნობ? ახლა იქ იქნება, უთხარ,
რომ საჩქარო საქმე მაქვს, ესენი კი სტუმრად დაპატივე, როგორც კი დროს
მოიხელთებენ, მოვიდნენ, ველოდები, რა რევიოლუცია აუტყდათ, თუ იცი?

1. ტილკუატე — შავი გველი (ინდიელთა ენაზე).

- ღმერთმა უწყის იმათი თავი „რევოლუცია, რევოლუციაო“, გა-გაპყ-ვირიან, მიდი და გა-გაიგე.
- ტილკუატეს უთხარ, სასწრაფოდ აქ გაჩნდეს, აუცილებლად მჭირდება.
- ყველაფერს ისე ვე-ვეტყვი, როგორც მიბრძანებთ, ბა-ბატონო.

უჩინებელი

პედრო პარამო ისევ ჩაიკეტა კაბინეტში, თავი უცებ დაუძლიერებულ ბე-რიკადად წარმოიდგინა. მაგრამ მოურავის სიკვდილმა როდი დააღონა. იმას, კაცმა რომ თქვას, ცალი ფეხი მაინც სამარეში ედგა. ფულგორი, როგორც კი შეეძლო, ყველანაირად გამოიყენა, ისე, სიძარბოე უნდა ითქვას, კეთილსინდი-სიერად ემსახურა. „არა უშავს, ტილკუატე მაგათ ისეთ საქმეს დამართებს, ხე-ირს არ დააყრიო“, — დაამთავრა პედრო პარამომ თავის საფიქრალი.

იმას უფრო სუსანას ბედი აწუხებდა. სუსანა კვლავინდებურად იწვა ოთა-ხიდან გამოუსვლელად და ერთთავად ეძინა, ან არადა, იწვა ჩუმად, გონმიხდი-ლივით. მთელ წინა ღამეს პედრო პარამო კედელთან იდგა ატუხული და ღამის ნათურით განათებულ საწოლზე სუსანას ბორჯნულ ძილს სდარაჯობდა. ქალს სახეზე ოფლის ღვარი გადასდიოდა, ხელებს ზეწარზე აფათურებდა, ბლუჩავ-და ბალიშს, ქანცგამოღეული, როგორც იქნა, გამთენიისასღა დამშვიდდა.

იმის შემდეგ, რაც პედრო პარამომ ქალი თავის სახლში გადმოიყვანა, სხვა-გვარი ღამე არც ახსოვს, გარდა ამ შფოთიანი, გაუთავებელი ტანჯვით და წა-მებით სავსე ღამეებისა, და იგი ხშირად ეკითხებოდა საკუთარ თავს, როდის მოეღებოდა ამას ბოლო.

თუმცა იმედს მაინც არ კარგავდა. ასეთი დღეც დადგება, მუდამ ასე არ გაგრძელდება, რა მწარე მოგონებებიც არ უნდა ჰქონდეს, როდისღაც მაინც გაუნელდებაო.

იცოდეს მაინც, რა უშფოთებს სულს! მთელი ღამე რატომ წრიალებს უძი-ლობისაგან ძალ-ღონე მიხდილი? რა შავი ფიქრები დასევია? რა სევდა-კაეშანს გაუნაპირებია ცხოვრებისაგან? ეს ქალი მისთვის ყველაფრით ახლობელი და მშობლიური იყო, მაგრამ თუნდაც გაუცხოვდეს, განა არ ეყოფა იმის რწმენა, რომ სუსანა ამქვეყნად მისთვის ყველაზე ძვირფასია? თუნდაც იმაზე არაფერი ითქვას, რომ სუსანა მას სჭირდება — და ეს მთავარია — სჭირდება, რათა შე-უმსუბუქოს სიცოცხლესთან განშორება, რათა არყოფნის გზაზე თავისი მანა-თობელი შუქით გაუფანტოს წარსულის ჩრდილი. მაგრამ იმ სამყაროში, სადაც სუსანას სული იმყოფებოდა, პედრო პარამოს არასოდეს ეწერა შეღწევა.

„პლაეის გახურებული სილა სასიამოვნოდ მითბობდა სხეულს, ვიწვეჭი თვლებდახუჭული, ხელ-ფეხ გაფარჩხული და მარილიანი ჰაერი კანზე მელა-ბუნებოდა, ჩემ წინ კი ხმაურობდა უსასრულოდ გაშლილი ზღვა, და ტალღე-ბი ქაფმოდებული ენით ქუსლებს მილოკავდა...“

— გესმის? ის ქალი ისევ ალაპარაკდა, ხუან პრესიადო, იცოდე, არ გამო-გრჩეს, ყველაფერი მითხარი, რასაც გაიგონებ.

„ეს ამბავი განთიადის წინ მოხდა, ზღვა დაუცხრომლად ეხლებოდა ნაპირს და ხმაურიან ზვირთებად იქოჩრებოდა, მეორე უკან დახეული ნაპირზე ქაფსა სტოვებდა, თან კი მოთვინიერებული, სუფთა და მაცოცხლებელი წყალი მი-ქონდა.“

„მე დედამოხილა ვბანაობ ხოლმე“ — ეუთხარც მას და პირველ ღამეს იმა-ნაც მომბაძა, გაიჩნდა ტანისწმოსი და, ბანაობის შემდეგ სანაპიროზე რომ გა-

მოვიდა, ფოსფორიანი წყლისაგან კანი ერთიანად უბრწყინავდა. თოლიებს ისევ ეძინათ — ჩვენ მალლა დაფრინავდნენ დიდ უშნონისკარტებიანი ფრინველები, ხმაც ისეთი უსიამოვნო ჰქონდათ, თითქოს ადამიანი ხროტინებსო. მზე ამოიწვერა თუ არა, ფრინველები გაქრნენ.

პირველ ღამეს ისიც გამომყვა, მაგრამ ზღვასთან რატომღაც თავი მარტო იგრძნო, თუმცა მეც გვერდით ვყავდი.

„ასე მგონია, შენც ღამეული ფრინველი ხარ; ერთ-ერთი რომელიმე იმათი გუნდიდან. მე შენთან ერთად ლოგინში წოლა მიჩვევია, როცა სიბნელეში ერთ ბალიშზე გვიდევს თავი, ერთი ზეწრის ქვეშ ვწევართ ხოლმეო“, და იგი წავიდა.

მე კი მეორე დღესაც მივედი. მარტო მივედი, რომ შემძლებოდა, იქ მთელი ჩემი სიცოცხლე ყოველ ღამეს ვიბანავებდი. აი, ზღვა ფეხისგულებს მისველებს, კოჭებამდე მომწვდა, ბარძაყებზე მომელამუნა, წელზე მსუბუქად შემომეჭლო, მკერდამდე ამომალწია, კისერზე ამბორით მომილიტინა და მხრებზე ალერსით მომეხვია. მეც დავნებდი. მთლიანად მივნებდი მის შემბოჭველ, მბრძანებლურსა და სათუთ რიტმს.

„ბედნიერი ვარ, როცა ზღვაში ვბანაობ“, — ვეუბნები მას.

იმან კი ვერ გამიგო.

ღამღამობით შემდეგაც მივდიოდი ზღვის ნაპირას, ვნებდებოდი ტალღებს, და ამ ტალღებით განვიწმინდებოდი.

ცხენოსნები დღის ბოლოს გამოჩნდნენ. კარაბინებით შეიარაღებულებს წელზე პატრონტაშები ერტყათ, ოცნი იქნებოდნენ.

პედრო პარამომ სტუმრები ვახშამზე მიიპატიეა, ისინიც ქუდმოუხდელად შემოუსხდნენ მაგიდას და უსიტყვოდ დაუწყეს ლოდინი, როდის მოუტანდნენ საჭმელს. ჭამითაც ხმაამოუღებელივ ჭამდნენ. ფინჯნებით შოკოლადი რომ შემოუტანეს, ირგვლივ მარტო ხრაპახრუპის ხმა იდგა, ლობიოსა და ტორტილიას ჭამისას კი წკლაპაწკლუბილა ისმოდა.

პედრო პარამო დაშტერებით უყურებდა მათ, მაგრამ ვერც ერთი ვერ შეეცნო. მის ზურგს უკან ბნელ კუთხეში, სტუმრების შეუმჩნეველად, იცდიდა ტილკუატი.

— რით შემიძლია, მეგობრებო, კიდევ გემსახუროთ? — ჰკითხა პედრო პარამომ სტუმრებს, როცა ჭამა-სმას მორჩნენ.

— აქ ალბათ თქვენა ხართ ყველაფრის ბატონ-პატრონი, ხომ? — იკითხა ერთ-ერთმა მეამბოხემ და იქაურობაზე ანიშნა.

— ხმა ჩაიკმინდე, — შეაწყვეტინა მეორე სტუმარმა, — აქ კითხვებს მე ვსვამ.

— კეთილი, გნებავთ რაზე?

— ხედავთ? შეიარაღებულები ვართ.

— მერე რა?

— მერე ისა, რომ სულ ეგ არის, ეგ რა, ცოტაა?

— კაცმა რომ თქვას, რამ გაიძულათ?

— სხვებზე ნაკლებნი რითი ვართ? სხვები აჭანყდნენ, ჩვენც მხარი ავუბით, რაო? თქვენ ჯერ არაფერი გსმენიათ? ცოტაც დაგვატადეთ, სულ მალე ქალაქს გამოგიგზავნიან და როგორც საჭიროა, მაშინ აგიხსნიან, რა, როგორ ან რისთვის არის. ჯერჯერობით კი ისე, სხვათა შორის, შემოგიარეთ, დაგხედეთ...

— მე კი უქალღოდაც მოგახსენებ რა, როგორ და რისთვის არის, — ჩაერია საუბარში მეორე სტუმარი, — ჩვენ ავუჯანყდით მთავრობას და აი, სწორედ თქვენნაირ ხალხს. გეყოთ ჩვენს კისერზე სხდომა, მთავრობას პასუხი თავის უნამუსობისათვის მოეთხოვება, თქვენ — იმიტომ, რომ კისერზე გვისხედხართ და სისხლსა გვწოვთ; ჩვენი სისხლით ხართ გასიებულები; მძორცველები და ბანდიტები ხართ, მთავრობაზე ბევრ ლაილის არ მარტყვებო, უნდა ტყვიების ერთ ველაპარაკებით.

— რამდენი გჭირდებათ ფული თქვენი რევოლუციისათვის, იქნებ შევძლო დახმარება, — დაინტერესდა პედრო პარამო.

— კეთილი, ეგეთი სიტყვა მოსასმენადაც სასიამოვნოა, ხომ მართალია, პერსევერანსიო? ბევრს ნუ არაკუნებ, მდიდარი კაცი რალაცაში გამოგვადგება, ჩაგვაცმევს, დაგვხურავს, აღჭურვილობას გვაშოვნინებს, ამ მხრივ, ამ ბატონზე უკეთესს ვერც ინატრებ. აბა, კასილდო, თქვი, რამდენი გჭირდება ფული?

— იმდენი, რამდენსაც ბატონი ინებებს.

— ინებებსო? არ იცი, ყვავს კაკალს რომ ვერ გააგდებინებ? სანამ აქა ვართ, ყველაფერი ახლავე უნდა წავართვათ, ცარიელზე უნდა დავსვათ ეს პარაზიტი.

— იყურე, პერსევერანსიო, იყურე, აჩქარებითა სოფელიო, ხომ გაგიგონია? ჯობია, ეგ საქმე სიამტკბილობით მოაგვაროთ, გისმენთ, კასილდო.

— მაშ ასე, მე ვიანგარიშე, რომ ჯერჯერობით სულ ცოტა, ოციათასი მაინც დაგვჭირდება, ხომ მართალს ვამბობ? ჩვენს ბატონს ცოტა თუ მოეჩვენება, რაც, კაცმა რომ თქვას, სავსებით მოსალოდნელია. რადგან გულუხვობა თვითონ გამოიჩინა და დახმარებაც თვითონვე აღგვითქვა, მაშინ ჩვენ ორმოცდაათზეც არ ვიტყვისთ უარს, მაშასადამე, თრმოცდაათი ათასი, რას იტყვი?

— მე ასსაც არსაით გავეჭვებო, — თავი გამოიღო პედრო პარამომ, — სულ რამდენნი ხართ?

— სამასი კაცი.

— კეთილი, სამასკაციან მაშველ რაზმს მეც მოგცემთ, ასეთი არმიით არ დაიკარგებით, ერთი კვირის შემდეგ ხალხსაც გამოგიგზავნით და ფულსაც, ფულსა გჩუქნით, ხალხით კი დროებით მოგიმართავთ ხელს, — როცა აღარ დაგჭირდებათ, უკან დააბრუნებთ, გაძლევთ ხელს?

— რალა თქმა უნდა.

— მაშ, ერთი კვირის შემდეგ, ბატონებო, მოხარული ვარ, რომ გავიცანით.

— კეთილი, — მოუბრუნდა კარში სულ ბოლოს გამავალი, — კარგად დაიმახსოვრე, თუ მოგიტყუებთ, თავს კიდევ შეგახსენებ — პერსევერანსიოს მეძახიან.

პედრო პარამომ ხელი მაგრად ჩამოართვა და დაემშვიდობა.

— როგორ ფიქრობ, რომელი იყო მეთაური, — ჰკითხა პედრო პარამომ ტილკუატეს, როცა ყველა წავიდა.

— მე მომეჩვენა, რომ ის ლიპიანი იყო, შუაში რომ იჭდა, თავი ჩაეჭინდრა და არსაით არ იყურებოდა, თუნდაც სინაძლეს დავდებ, ის იყო... ჩემს თავს არაფერი გამოეპარება, დონ პედრო.

— არა, დამსიო, მეთაური შენ უნდა შეცვალო, რაო, არ გინდა მეამბობებში გაერიო?

— როგორ არა, თუნდაც ახლავე, სიამოვნებით, კი დიდი თრომტრიალია, იქ თუ არა, უკეთეს დროს სად გავატარებ.

— მაშინ მომისმინე, რა როგორაა — შენი თვალთ უკვე ნახე ასე რომ, ჩემი რჩევა-დარიგება არ დაგჭირდება. შეაგროვე სამასიოდე სანდო ბიჭი და იმათთან შესაერთებლად გასწიე, ეტყვი, შეპირებული ხალხი მოგიყვანე-თქო მერე ისე მოიქეცი, როგორც გამჭრიახობა გიკარნახებს.

— ფულის საქმე როგორ იქნება? ფულსაც მე გამატანთ?

— სულზე ათ პესოს მოგცემ, ეს ჯერჯერობით, სახელდახელოდ, დანარჩენი, ასე ეტყვი, პედრო პარამომ თვითონ შეინახა-თქო, როგორც კი დაგჭირდებათ, მაშინვე გადმოგცემთ, ამდენ ფულს ამ შიშინაობის დროს თან როგორ წამოვიღებდი-თქო. პო, მართლა, ხუტორი პუერტა-დე-პიედრა როგორ მოგდის თვალში? კეთილი, დღეიდან შენი იქნება, გამომართვი ეს წერილი, კომალაში ნოტარიუსს ხერარდო ტრუხილიოს მიუტანე და მამულს შენს სახელზე გადმოწერს. პა, რას იტყვი, დამასიო?

— რა შეთქმის, ბატონო, მაგ საქმეს უხუტოროდაც მოვაკვარახჭინებდი, თუნდაც გულის გადასაყოლებლად. ვითომც არ მიცნობდეთ... ისე, რა თქმა უნდა, დიდ მადლობას მოგახსენებთ, სანამ მე ბანდიტებთან ხეტიალს მოვუნდები, ჩემს ბებრუცუნას საქმე გაუჩნდება.

— ერთსაც გეტყვი, ტყუილად ნუ აპყვებ-დაპყვები მაგათ, თვალ-ყური გეჭიროს, სადმე ძროხები თუ ნახო — გამორეკე, ხუტორში უნახიროდ მოწყენილობაა, სიცოცხლეა ჩამკვდარი.

— ზებუ თუ ივარგებს?

— როგორც ჭკუაში დაგიჯდება, შენი საქმე გამორეკვია, ხუტორში უკვე ცოლი მოუვლის, პო, აი, კიდევ რას გავალებ, ჩემი მიწებიდან ძალიან შორს ნუ დაიკარგები. შეიძლება ახლა სხვები მოეხეტნენ, ასე რომ, წინასწარ იცოდე, აქაურობის ბატონ-პატრონი შენა ხარ. ხშირ-ხშირად გამოჩნდი, თუ რაიმე ახალი ამბავი შეიტყვე, ანდა ისე, ყოველი შემთხვევისათვის.

— ყველაფერი ისე იქნება, როგორც ბატონი იწებებს.

— რაო, ხუან პრესიადო, რას ლაპარაკობს ეგ ქალი?

— რასა და, ფეხებს მის ფეხებში ვმალავდი, გათოშილი, ყინულივით ცივი ტერფები ისე მითბებოდა, თითქოს ღუმელში შემეწყოს, სადაც პური ოქროსფრად იბრაწებო. ის კი სიყვარულით მკბენდა ფეხებზე და თან მარწმუნებდა, შენი ფეხები ახლად გამომცხვარ, დაბრაწულ პურზე უფრო ტკბილიაო, მეც ვიძინებდი მასთან ჩახუტებული, მასში შთანთქმული და ვფიქრობდი, როგორ ვუერთდებოდი არყოფნას, რადგან ხორცი ჩემი თითქოს განიხვნებოდა გავარვარებული რკინით, მაგრამ ის ცუცხლი კი არ მწვავდა, არამედ საამო სითბოდ მეღვრებოდა მოთენთილ სხეულში, თანდათან უფრო ღრმად აღწევდა ჩემში და ლამის მეკივლა. მაგრამ მისმა სიკვდილმა კიდევ უფრო ღრმა მწუხარება მომაყენაო.

— „ის“ ვინლა არის? ვისზე ლაპარაკობს?

— რა ვიცი, ვინც, ეტყობა, მაგაზე ადრე მოკვდა.

— ნეტა ვინ უნდა იყოს?

— ეგ აღარ უთქვამს, ამბობს, ერთ საღამოს დიდხანს ვუცდიდი, მაგრამ არა და არ გამოჩნდაო, შუალამისას უცებ ვიგრძენი, რომ „ის“ მოვიდა, ამას იმით მივხვდი, რომ მარტოობისა და სიცივისაგან გათოშილი ფეხები უცებ ისე

გამათბა, თითქოს ვინმეს საბანი ამოეგოს. დილით რომ გაღვიძებია, ფეხებზე გაზეთი ჰქონია შემოხვეული, რომელსაც თურმე წინა სალამოს „მის“ მოლოდინში კითხულობდა და რულმორეულს ძირს დავარდნია. გაკვირვებას ვერ მოუსწვროა, რა და როგორ მოხდა, რომ ოთახში შემოსულან და შეუტყობინებიათ, იგი მოკვდაო.

- ეტყობა, მაგ ქალის კუბო დაიშალა, გაიგონე ფეხებზე სუტყებანე?
- ჰო, მეც ვგრე მომეჩვენა.

ისევ და ისევ დაუსრულებელი სიზმრები, რაში მჭირდება ნეტა ცხადზე უცხადესი მოგონებათა ეს ნიაღვარი, ნუთუ უცხოდ ჰქცევია წარსულს ნუგეშისცემის პანგი და კილო. ანაზღეული სიკვდილი ჯობდა!

— სენიორა, ფლორენსიო დაიღუპა!

რამსიმაღლე, რა აყლაყუდა კაცია! თანაც რა მკაცრი და ყინულივით ხმა ჰქონია, ირგვლივ თითქოს ნისლი ახვევია, თუ ნისლი მერეღა გაჩნდა? სახე უცებ ისეთი გაუხდა, იტყვი, წვიმის საბურველი ჩამოაფარესო. რაო, რას ამბობს? ფლორენსიოო? ვინ ფლორენსიო? ჩემი? მაშ, რატომ უმაღ არ ავტკვითინდი. ტირილი რატომ არ ამივარდა? დარდსა და ვარამს ცრემლებში მაინც ჩავახრჩობდი. არა, ღმერთი არა ყოფილა! როგორ გეხვეწებოდდი, უფალო; დაიცავი და დაიფარე-მეთქი, მარტო ამას გემუდარებოდდი. მაგრამ შენ ოღონდ ჩვენი სულები შეიწირო. მე კი მისი სული კი არა, სხეული მსურდა — შიშველი, სიყვარულით ავზნებული და სურვილმოძალებული, მსურდა მხრებსა და აცახცახებულ მკერდზე დაკონებული მისი ძლიერი სხეული, მსურდა მაგნიტით მიზიდული უწონადო ნემსივით ჰაერში გაკიდება, მისი მოქანავე სხეულის მჭვირვალე ნავად გადაქცევა, მის ძალასა და ნებას დამორჩილება. რა ვუყო ახლა ჩემს ტუჩებს, თუ აღარ არსებობენ ბაგეები, კოცნით რომ ამომივსონ? რა მოვუხერხო ამ ჩემს უსიცოცხლო ტუჩებს?

სუსანა საწოლზე ბორგავდა, კარის წირთხლს აკრული პედრო პარამო კი იცდიდა, როდის დასრულდებოდა ეს საშინელება, დროის სელას ველარა გრძნობდა. ლამპაში ნავთი ამოკურულიყო, სინათლე ბეჭუტავდა, პატრუქს ჩასაქრობად სული ელეოდა.

ფიზიკური ტკივილები რომ ყოფილიყო, რამეს მოუხერხებდა, რითიმე დაამშვიდებდა, მაგრამ ეს კოშმარები, იგი უძლური იყო ამ დაუსრულებელი, საშინელი სიზმრების წინააღმდეგ, ქალს უკანასკნელ ძალას რომ ართმევდა. პედრო პარამო თვალმოუწყვეტლივ მისჩერებოდა სუსანას ყოველ მოძრაობას, რა მეშველება, მისი სიცოცხლე ამ მბუტავ სინათლესთან ერთად რომ ჩაქრესო.

მერე ოთახიდან გავიდა, ჩუმად მიიხურა კარი და ლამეულმა სუფთა პაერმა წუთით დაავიწყა სუსანა სან-ხუანის სახე.

ქალს განთიადისას გაეღვიძა.

მძიმე საბანი ძირს, იატაკზე გადმოაგდო. ლოგინს ცხელი ზეწარი მოაძრო და შიშველი გაიშხლართა, რიყრაყისწინა სიომ სასიამოვნოდ გააგრილა: ერთი ამოიოხრა და ისევ ძილს მისცა თავი.

ასე გაშიშველებული და მძინარე ნახა იგი რამდენიმე საათის მერე პადრე რენტერიამ.

- გაიგეთ, დონ პედრო, ტილუატეს რაზმი რომ გაუნადგურებიათ?

— არა, ხერარდო, მე მარტო ის ვიცი, რომ გუშინ სალამოს რაღაც შეტყუება მომხდარა. ბრძოლის ხმამ ლამის აქამდეც მოაღწია, მაგრამ დაწვრილებით არაფერი ვიცი. შენ ვინ გითხრა?

— კომალაში დაჭრილები მოიყვანეს. ჩემმა დედაკაცმა შესახვევად რაღაც ძველმანები გამოუტანათ. ჰოდა, იმათ თქვეს, დამასიოს რაზმში ვაჭრები და ბევრი დაიხოცნენო, ეტყობა, ვიღაც გადამთიელები არიან, თავი დაიხრან ლისტამებს“ ეძახიან.

— ცუდადაა საქმე, ხერარდო. ეტყობა, რაღაცა საძაგელი დრო ღვება. შენ რას შვრები? როგორ აპირებ ცხოვრებას?

— წასვლა გადავწყვიტე, დონ პედრო, საიულაში მინდა წავიდე. იქ დაესახლდები.

— ნოტარიუსებსა და ადვოკატებს რა გიჭირთ, თუ რამე მოხდება, აიკრავთ გულა-ნაბადსა და გზას ეწევით. ჩვენებური კი უნდა იჯდეს და ელოდოს, როდის მოუგრებენ კისერს.

— მთლად ეგრე არ არის, დონ პედრო, მთლად ეგრე არ არის: ძალიან დელიკატური საჩუშაო გვაქვს. ერთიც ვნახოთ და, ხათაბალას გადავეკიდეთ, თანაც ისეთი კლიენტის დაკარგვა, როგორიც, მაგალითად, თქვენ ბრძანდებით, დასანანია ძალიან. გარდა მაგისა, რეპუტაციით მონიჭებული ყველა უპირატესობაც გუკარგვებათ, ადგილის გამოცვლა უფრო ტყავის გადარჩენასა ჰგავს. ისე რომ მკითხოთ, ეს იმასა ჰგავს, მოჭრა ის ტოტი, რაზედაც ზიხარ, ქალაქდები სად დაგიტოვოთ, როგორ მიბრძანებთ?

— ნურსადაც ნუ დამიტოვებ, თან წაიდე, ხომ შეიძლება საიულაშიც ჩემს რწმუნებულად დარჩე?

— გმადლობთ, დონ პედრო. გულითად მადლობას მოგახსენებთ ნდობისთვის, მაგრამ იძულებული ვარ ვალიარო, რომ თქვენი საქმეების მართვა აღარ შემიძლია. რამდენიმე შემთხვევაში არსებული დებულებების დარღვევის გამო... ამა თუ იმ გარემოების დამადასტურებელ ზოგიერთ საბუთზე თქვენ გარდა ხელი არავის არ უნდა მიუწვდებოდეს, თორემ სხვის ხელში მოხვედრილი ეს ქალაქდები შეიძლება შანტაჟის საბაზად გადაიქცეს. ასეთი საბუთები ყველაზე უსაფრთხოდ თქვენთან შეიძლება ინახებოდეს.

— მართალი ხარ, ხერარდო, დამიტოვე, დავწავა. იყო ქალაქდები და აღარ არის. ვინ გამიბედავს შემოდავებას საკუთრების უფლებაზე?

— უეჭველია, ვერავინ, დონ პედრო. ვერავინ. ნება მიბოძეთ, გამოგეთხოვოთ.

— მშვიდობით, ხერარდო.

— რა ბრძანეთ?

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს-მეთქი.

ნოტარიუსი წელი ნაბიჯით წავიდა კარისკენ. მოხუცი იყო უკვე, მაგრამ ისეთი არა, რომ სიარულის თავი აღარ ჰქონოდა. კაცმა რომ თქვას, ფეხი უკან სხვა რამის გულისთვის რჩებოდა: დასაჩუქრებას მოელოდა. ის ხომ ჯერ კიდევ დონ პედროს მამას, განსვენებულ ლუკასს ემსახურებოდა, მერე, კარგა ხნის მანძილზე დღემდე — თვითონ დონ პედროს, თანაც უკანასკნელ ხანებში დონ პედროს ვაჟიშვილის, მიგელის საქმეებიც იმას ევალა. და, სიმართლე რომ ითქვას, ეგონა, ამისთვის უხვად, უშურველად დაასაჩუქრებდნენ.

— დონ პედროსთან გამოსამშვიდობებლად მივდივარ, — უთხრა დღეს ცოლს, — ვიცი, გაწეულ შრომას გვარიანად დამიფასებს. მგონი, ეს ფული სა-

იულაში დასასახლებლადაც გვეყოს და იმისთვისაც რომ დარჩენილი წუთისოფელი არხეინად გავატაროთ.

საკვირველია, ვინ მისცა ამ დედაკაცებს ეს ალლო? უცებ ისე მოჰყვებიან ყოყმანსა და ორჭოფობას, ლამის იფიქრო, ზეციდან რაღაც საიდუმლო ნიშნებს ღებულობენ, არა, ცოლს არ სჯეროდა, რომ მას რაიმეთი დასსაჩუქრებდნენ.

— მაგის იმედი ნუ გექნება, საიულაშიც ისევ შენი ჯაფითა და გარჯით მოგიწევს ლუკმა-პურის შოვნა. ეგ შენ გროშსაც არ გაღირსებს.

— შენ საიდან იცი?

— საიდან და იქიდან.

მიდიოდა ახლა კარისკენ და ეგონა, სადაცაა დამიძახებსო: „მოიცა, ხერარდო, საქმეებმა თავგზა ისე ამიბნიეს, ყურადღება ვერ მოგაქციე. მე შენი სიკეთე არ დამვიწყებია, სიკეთე, რასაც ვერავითარი ფულით ვერა ზღავ, მიიღე ჩემგან ეს მცირე საჩუქარი“.

მაგრამ მისთვის არ დაუძახნიათ. ზღურბლს გადააბიჯა, ცხენი აუშვა, შეჯდა, ადგილიდან წელა დაიძრა, რათა ხმა გაეგონა, თუ დაუძახებდნენ. კომალსაკენ გასწია, ისე რომ, არსაით გაუხვევია, მედია-ლუნა თვალს რომ მიეფარა, გაიფიქრა: „შემეძლო ვალი მომეთხოვა, მაგრამ ეს თავის ზედმეტი დამცილება გამომივიდოდა“.

— მე ალბათ არც ისე სწორად მოვიქეცი, დონ პედრო, ამიტომ გადავწყვიტე დავბრუნებულყავ. შემდგომშიაც სიამოვნებით ვაწარმოებ თქვენს საქმეებს.

ამას რომ ეუბნებოდა, იგი ისევ პედრო პარამოს კაბინეტში იჯდა. აქედან წასვლის შემდეგ კი ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული.

— კარგი, ხერარდო. ქალღმერთი იქვეა, სადაც დააწყვე.

— იმის თქმაც მინდოდა... იქნებ, ჰონორარის ანგარიშით... ასე ვთქვათ, საგანგებო მდგომარეობის გამო, თუკი, ცხადია, შესაძლებლად მოგეჩვენებათ.

— ხუთასი?

— ცოტა მეტი. თუნდაც, მაგალითად... რა ვიცი...

— ათასი გეყოფა?

— ხუთი ათასამდე დამჭირდება.

— რას ამბობ, ხუთი ათასი პესო? სადა მაქვს მაგდენი? შენც კარგად იცი. მთელი ფული მამულში მაქვს დაბანდებული. მიწა, საქონელი — აი, ჩემი კონება, ათასს, კი ბატონო, მოგცემ. ამაზე მეტი ან რად გინდა?

მას არაფერი უპასუხნია: იჯდა თავჩაქინდრული და, სანამ პედრო პარამო საწერ მაგიდაზე წკრილით ითვლიდა მონეტებს, თავისთვის ფიქრობდა, რომ დონ ლუკასს არ გადაუხდია მისთვის ჰონორარი, მერე ახალგაზრდა დონ პედრომ განუცხადა: ახალი ანგარიში უნდა გავხსნათ. მიგელის გამო რამდენი დავიდარაბალა ვადახდა! სულ რომ ცოტა, ხუთმეტჯერ მაინც გადაარჩინა ბიჭი ციხეს. მარტო ის მკვლელობა რად ღირდა! რა ერქვა იმ კაცს? ჰო, გაახსენდა, რენტერია. ვილაც რენტერია ნახეს მკვდარი, ხელში რევოლვერი ეჭირა. მერე ყველაფერი ჩაფარცხეს, და მიგელიტოც თავს იგდებდა, სიცილით კვდებოდა. ისე კი, მაშინ კარგა გვარიანად დაფრთხა, მარტო ეს საქმე რამდენი დაუჯდებოდა, ძიებამდე, მით უფრო, სასამართლომდე რომ მისულიყო? გაუპატიურებებილა? ერთხელ და ორჯერ როდი გადაუხდია ფული საკუთარი ჯიბიდან და-

ზარალებულთა გასაჩუქებლად. „აი, შე სულელი, კიდევ უნდა გიხაროდეს, თეთრკანიანი რომ გაგიჩნდება“, — ამწვილებდა იგი მორიგ მსხვერპლს.

— აჰა, ზერარდო, და კარგად გაუფრთხილდი, იცოდე, ეგვანი შთამომავლობას არ ამრავლებენ.

— დიახ, მაგრამ არც მოკლულები ამრავლებენ შთამომავლებს, — ამწვილებდა იგი მორიგ მსხვერპლს. — აჰა, ზერარდო, და კარგად გაუფრთხილდი, იცოდე, ეგვანი შთამომავლობას არ ამრავლებენ.

განთიადამდე კარგა დრო იყო დარჩენილი. ღამის კუნაპეტ სიბნელეში თითქოსდა საბალახოდ გამოსულიყვნენ დაბერილი ვარსკვლავები, მთვარე ამოვიდა, ერთი გამოანათა და ისევ ჩავიდა: სევდა მოერია, მის საცქერლად რომ არავის ეცალა. მხოლოდ ერთი საათით გამოჩნდა ცაზე, გამოჩნდა უსიცოცხლო და გადასხვაფერებული — არც სინათლეს აფრქვევდა, არც — სიხარულს; ამოსვლისთანავე მთებს მიეფარა.

სადღაც შორს, სიბნელეში ბლადნენ ხარები, რომლებიც მედია-ლუნას საძოვრებზე იზრდებოდნენ არენისათვის.

— ძილი არასგზით არ ეკარებათ მაგ ველურებს, — ბუტბუტებდა დამიანა სისნეროსი, — დღისით არ იძინებენ და ღამით, ეშმაკის ჭილაგისანი არიან. ეშმაკიც მაგათ ჰგავს, თვალს არ მოხუჭავს, სულ ერთთავად იმის ცდაშია, ვინმეს სული დაითრიოს საკირისათვის.

ქალმა გვერდი იცვალა და კედლისკენ გადაბრუნდა.

იმავე წამს კაკუნი გაისმა.

მან სუნთქვა შეიკრა. თვალები ფართოდ გაეხილა. კაკუნი — სამჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტი დარტყმა — კვლავ განშეორდა. კედელს თითქოს ვიღაც მოლუნულ თითს უკაკუნებდა. არა, თვითონ სადაც იწვა, იქ კი არა, იმავე კედელზე, ოღონდ უფრო მოშორებით.

„ჯვარი აქაურობას! სამგზის კაკუნი! წმინდა პასკუალ ბაილონი! აღსასრულს ხომ არ ამცნობს თავის რომელიმე თაყვანისმცემელს?“

თუმცა ამის წარმოდგენას მაინცდამაინც არ შეუწუხებია დამიანა სისნეროსი — იგი წმინდა პასკუალეს თაყვანისმცემელთა რიცხვს არც ეკუთვნოდა, რადგან, ძვალ-სახსრების ტკივილისაგან გაწამებულს კარგა ხანია ეკლესიაში არც შეეხებდა, მაგრამ მაინც შიშმა აიტანა, თან კიდევ აინტერესებდა.

ქალი ჩუმად ადგა თავის უხვიროდ შეკოწიწებული საწოლიდან და ფრთხილად გამოალო ფანჯარა.

უკუნეთი ღამე იდგა, მაგრამ დამიანამ მაინც შეძლო დაეღანდა, რისი დანახვაც ეწადა: ქალი მშვენივრად სცნობდა პედროს პარამოს ახოვან გარეგნობას, იგი კედელთან დახრილიყო და ყმაწვილი ქალის — მარგარიტას ფანჯარას უკაკუნებდა.

— ოჰ, არგასაშვეები ეს პედრო პარამო, — ამოიოხრა დამიანამ. — კაცი გაქალაჩავდა და უზნეობას მაინც არ იშლის. ვერ გამიგია, ასე უჩუმრისპირით რატომ მოდის. ჩემთვის სიტყვაც რომ გადაეკრა, ასე და ასეო, ხომ მაშინვე ვეტყვოდი მარგარიტას, ამ ღამეს ბატონს უნდა ეახლო, შენთან რაღაც საქმე

1. პასკუალ ბაილონი (1540-1592) — ფრანკისკანელი ბერი, 1690 წელს წმინდიანად შერაცხული, კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელიც ყოველწლიურად უწევდა პოპულარიზაციას მის კულტს, XIX საუკუნის ბოლოს იგი ზიარების რელიგიური კონგრეგაციის „ზეციურ“ მფარველად გამოაცხადა.

აქვს-მეთქი. მაშინ დონ პედროს თავის შეწყუბება და აღგომაც აღარ დასჭირდებოდა.

ხარები ისევ აბლავდნენ და დამიანა სისნეროსმა ფანჯარა მიხურა ლოგინში ჩაწვა, საბანი თავზე წაიხურა და წარმოიდგინა, რა დღეში უნდა ყოფილიყო ახლა პატარა მარგარიტა.

უცებ საბანი გადაიძრო და პერანგი გაიხადა. — ბიჭებო, გაუსადლისად დასცხათ...

— დამიანა! — მოესმა თავის სახელი.

მაშინ ისიც ახალგაზრდა გოგო იყო.

— გააღე კარი, დამიანა!

გული ჩიტოვით აუფართხალდა. თითქოს საგულიდან ამოხტომას ლამობდა.

— რა გნებავთ, ბატონო?

— კარი გააღე, დამიანა!

— უკვე მძინავს, ბატონო.

იგი შეტრიალდა და წავიდა, მის ფეხსაცმელს ვრძელი გალერეის ქვაფენილზე ბრახაბრუხი გაუდიოდა, აშკარად გაბრაზებული ჩანდა.

ქალს შეეშინდა ბატონის მრისხანებისა და მეორე ღამეს კარი ღია დატოვა, თვითონ კი ლოგინში შიშველი ჩაწვა, ღმერთმა ნუ ქნას, ბატონი რაიმეთი უკმაყოფილო დარჩეს.

მაგრამ პედრო პარამოს მის კარზე მეტი აღარ დაუკაცუნებია.

თუმცა დამიანამ მაშინ მოახერხა ასე მოქცეულიყო, თუმცა ახლა მედიკალუნას ყველა მოახლე გოგოს თვითონ უფროსობს და თანაც უკვე მოხუცდა, მაინც აგონდება ის შორეული ღამე, როცა ბატონის ხმა შემოესმა: „გააღე კარი, დამიანა!“

ძილ-ღვიძილში მყოფ ქალს თავში მაინც ერთი ფიქრი უტრიალებდა, რა ბედნიერია ალბათ ახლა პატარა მარგარიტათ.

ცოტა ხანში ისევ გაელვია, მაგრამ უკვე კაცუნისაგან კი არა, ბრახუნისაგან. მამულის ვეება ჭიშკარს ვიღაცები ბრახაბრუხით იკლებდნენ, ეტყობა, კონდახებით ამირებდნენ ჭიშკრის შემომტვრევას.

ქალმა ფანჯარა ისევ გამოაღო და კუნაბეტ ღამეს მიაჩერდა, მაგრამ ვერაფერი გაარჩია, თუმცა მოეჩვენა, რომ კარმიდამოს ირგვლივ მთელი მიწა ისე ფუთფუთებდა, როგორც ნაწვიმარზე იცის ხოლმე, როცა მიწას ჭია-ლუა ეფინება, მას ისიც კი მოეჩვენა, რომ ერთად თავმოყრილი უამრავი ხალხის თბილი სუნთქვა ეცა სახეში, ბაყაყებს ხმამაღლა გაემათ ყიყინი, ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობელები, იდგა უქარო, წყნარი ღამე — სწორედ ისეთი, დაყინებული წვიმებისას რომ სჩვევია.

ჭიშკარს ისევ აუტეხეს ბრახაბრუხი.

ფარნის შუქმა ღამის სიბნელეში რამდენიმე კაცის ლანდი გამოაჩინა და ისევ ჩაქრა.

— „რაც არ არის ჩემი საქმე, არ არის“, — თქვა დამიანა სისნეროსმა და ფანჯარა მიხურა.

— დამასიო, ამბობენ, დამარცხებულხარ, ვგ როგორ დაგემართა?

— ტყუილი უთქვამთ, ბატონო, — მეც გადავრჩი და ჩემი ხალხიც. შეიდასი კაცი თან მოვიყვანე, ერთი სამასიოდე აქა-იქ მოიკრიფება, ის ჭორები კი

აი, რატომ გაავრცელეს, ჩემს „ძველ“ ბიჭებს თავი გააბეზრა უქმად ყოფნამ, სწორედ ამ დროს უცებ „უნიფორმების“ რაზმს გადავაწყდით. იმათ ძალზე ცოტა ხალხი ჰყავდათ, ჩვენც ავუტეხეთ სროლა, მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ მთელი არმია ჰყავდათ თურმე ჩასაფრებული. „ვილისტები“ ხომ გაგიგონიათ?

უნიფორმები
ვილისტები

— სადაურები არიან?

— ჩრდილოელები, ფეხს სადაც დააკარებენ, ქვას ქვაზე არა ტოვებენ. და როგორც ეტყობა, მიზნად აქვთ დასახული: ყველგან მივიდნენ, არც ერთი ქალაქი უნახავი არ გაუშვან, ხალხი ჰყავთ აუარებელი, თანაც, რომ იტყვიან, რკინის მკვნიტელები, ამას ნამდვილად ვერ წაართმევ.

— აი, იმათ რომ მიკედლებოდნენ! ხომ გითხარი, სასწორი საითაც გადაიხრება, იმათ მხარეზე გადადი-მეთქი.

— კიდევაც გადავდი.

— აბა რაღაზე დაბრუნდი?

— ფულია, ბატონო, საკირო. მოგვბეზრდა ხორციტ მუცლების ამოყორვა, ხორცის დანახვა აღარ შეგვიძლია. ნისიად კი სურსათს ვერ იშოვი. ავდექით და ჩვენც თქვენთან მოვედით. საარსებოდ ფული უნდა მოგვეცე. თუ არადა, მაშინ ხალხის აწიოკება მრგვიხდება. აქედან სადმე შორს რომ ვიყვნეთ, მაგაზე ჩვენც არ ვიტყოდით უარს — მივუცვივდებოდით და ბელლებს დავუტარიელებდით, მაგრამ ეგეთი რამეები აქ უხერხულია — ყველას ირგვლივ ნათესაობა ჰყავს, შენიანის ძარცვას კი, ასეა თუ ისე, მაინც ერიდები, აი, ამგვარად აეწყოს საქმე. ფული გვჭირდება, სიმინდის ფქვილსა და წიწყას მაინც ვიყიდით, თორემ ხორცი დასანახად შეგვეჭავრა.

— ხედავ, დამასიო, როგორ დამიწყე ლაპარაკი?

— არაფერი ისეთი არ მიკადრებია, ბატონო, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ ბიჭებზე მაინც ხომ უნდა ვიფიქრო?

— ეგ მართალია, კარგია, როცა შენიანზე ზრუნავ. ოღონდ ფული ჩემთან კი არა, სადმე სხვაგან უნდა ეძებო. მე ველარაფერს ველარ დამცანცლავ. ჩემი წილი უკვე მოგეცი. შენი რჩევა-დარიგება, მაგას არ უნდა დასტური, ჩემი საქმე სულაც არ არის, რომელი მრჩეველი მე ვარ, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ვითომც რატომ არ უნდა აიღოთ კონტლი შენ და შენმა რაზმელებმა? რაო? აზრადაც არ მოგსვლია? მაშინ რევოლუციას რაღას ეხმარებოდნენ? მოწყალების თხოვნას თუ მოპყვევი, კარგი დახლი დაგიდგება! უმჯობესი იყო შენ მჭდარიყავ, დედაკაცის კალთას გამობმოდნი და, წიწილები გეჩეკა. რაო? ცოტაა ქალაქები? ადექი და ხელთ იგდე რომელიმე. ყოველდღე სიცოცხლეს საფრთხეში იგდებ და რა ღეთის წყრომია, არ შეიძლება სხვებმაც გაიღონ რამე მსხვერპლი? კონტლში იმდენი მდიდარია, ჯობი რომ მოიქნიო, მდიდარს მოხვდებო, ჰოდა, ნება იბოძონ და შეგეწიონ რაიმეთი, თუ ჰგონიათ, რომ ძიძად დაუდგები და მთელი სიცოცხლე იმათ ფერებასა და ჯიბის გაფრთხილებაში იქნები. არა, დამასიო, თავი უნდა აცნობო ყველას, აგრძნობინო, რომ საჩხირ-კედელაოდ და სალაზლიანდარაოდ სულაც არ გცალია. ნურავისაც ნუ ეფერები, ერთი კარგად დაუცავხანე და ნახავ, რა წვიმისავით წამოვიდეს მონეტები.

— კეთილი, ცდას არ დავაკლებ. რჩევა-დარიგებისთვის კი გმადლობთ. თქვენგან კაცი მუდამ რაღაც ჰკვიანურს გაიგონებს.

— წარმატებას გისურვებ.

პედრო პარამო კარგა ხანს უყურებდა, ჩორთით მიმავალმა ცხენოსნებმა

თქარათქურით როგორ ჩიარეს სიბნელეში. სახეში ცხენების ოფლისა და მტვრის სუნი სცემდა. ციციანათელების შუქი ჰაერში ხან ჯვარედინად ენთებოდა, ხანაც ქრებოდა — რაზმი ჰენებით მიდიოდა, იდგა მარტოდმარტო პედრო პარამო — ბრგე, ძლიერ, შეურყეველ. მაგრამ გულისგულში ლპობა შეპარებულ მუხასავით.

იგი სუსანა სან-ხუანზე ფიქრობდა, ფიქრობდა იმ ზღვარზე, ვისგანაც ის ის იყო გამოვიდა, ხეირიანად ეინის მოკვლა ვერც კი მოასწრო, გოგოს ლამის ბავშვური ტანი უცახცახებდა, გული ისე უფართხალებდა, თითქოს სიგულიდან უნდა ამოუხტესო. „ჯერ ხორცი ხეირიანად არც მოვისხამს“, უთხრა გოგოს და ქვეშ მოიყოლა, თან ცდილობდა ეს სუსტი სხეული სუსანა სან-ხუანის სასურველ სხეულად ექცია, ექცია იმ ქალად, ვინც, ეტყობა, ამ ცოდვით სავსე ქვეყნისთვის არ იყო გაჩენილი.

გარიერაჟისაგან შფოთშემდგარი დღე იღვიძებს; ზანტად იზმორება, წვალებით ახელს თვალს. ბებერი დედამიწა ნამძინარევი ამთქნარებს და ბოლქვბოლქვებად ამოაქვს ღრუბლის ქულები, კრთის ალიონის სიცივისაგან და ბოლოს და ბოლოს, მხრებიდან იბერტყავს ლამის სიბნელეს.

— ლამე ყოველგვარი ბიწიერების ბუდეა, არა, ხუსტინა?

— ჰო, სუსანა.

— ნამდვილად ასეა?

— ნამდვილად ასეა, სუსანა.

— მაშინ ცხოვრებაც ცოდვა ყოფილა, ხომ მართალია, ხუსტინა? ყური დაუგდე, გეყურება, დედამიწა როგორ აღრქიალებს კბილებს?

— არა, სუსანა, არაფერიც არ შეყურება, მე ხომ შენსავით ბედის რჩეული არა ვარ.

— გაოგნდებოდი, გაკვირვებისგან გონს ვერ მოხვიდოდი, ყველაფერი რომ გეყურებოდეს, რასაც მე ვისმუნ.

ხუსტინა ოთახს აღაგებდა, სველი ტილოთი გულმოდგინედ გაწმინდა იატაკი, ღარნავში ჩარჩენილი წყალი გადაღვარა, ძირს დაცვენილი ყვავილები მოკრიფა; მინის ნამსხვრევები ვედროში ჩაყარა.

— შენს სიცოცხლეში რამდენი ჩიტი გეყოლება მოკლული, ხუსტინა?

— ბევრი, სუსანა.

— შერედა, არ გეცოდებოდა?

— როგორ არა, სუსანა.

— სასიკვდილო ხარ და რაღას უცდი?

— რასა და სიკვდილს, სუსანა.

— ნუ გეშინია, ბევრს არ ვალოდინებს.

სუსანა აფუებულ ბალიშზე იყო მისვენებული. შეშფოთებული მზერა წამდაუწუმ ერთი საგნიდან მეორეზე გადაჰქონდა. ხელები მუცელზე ისე დაეკრიფა, თითქოს რაღაცისაგან იცავს ან უფრთხილდებაო. ეჩვენებოდა, რომ ჰაერში მის თავს ზემოთ ვიღაცის უჩინარი, მსუბუქი ფრთები ფართქუნობდა და სივსივი გაჰქონდა. სადღაც ჰეს ჩარხს კრიალი გაუდიოდა, ისმოდა გაღვიძებული დღის სხვა, ჩვეულებრივი ხმებიც.

— ჯოჯობეთი გწამს, ხუსტინა?

— ჰო, სუსანა, ჯოჯობეთიც მწამს და სამოთხეც.

— მე მარტო ჯოჯობეთი მწამს. — თქვა და თვალები დახუჭა.

ხუსტინა ოთახიდან რომ გამოდიოდა, სუსანას ისევ ეძინა, პოლიზონტს იქ-ით ზეცას ცეცხლი წაჰკიდებოდა, მზე ამოდიოდა, კარში ხუსტინა პედრო პარამოს შეეჯახა.

— როგორ არის ქალბატონი?

— ცუდი, — თავი ჩაქინდრა ხუსტინამ.

— რას უჩივის?

— აღარაფერს აღარ უჩივის, ხომ გაგიგონიათ, მკვდრები აღარაფერზე არ ჩივიანო, ამიერიდან სანუგეშოს აღარაფერს უნდა ველოდეთ.

— პადრე რენტერია არ მოსულა?

— გუშინ საღამოს იყო, აღსარება ათქმევინა, დღეს ზიარება უნდა მიეღებინებინა, მაგრამ, ეტყობა, აღარ ეღიროსება, შეპირდა, როგორც კი ირიყრეებს, ზიარებით გეახლებიო, მაგრამ მზეც ამოვიდა, ის კი არა ჩანს, მაშასადამე, აღარ ეღიროსება.

— რა არ ეღიროსება?

— რაღა, ღვთის მადლი, სხვა რა?

— სისულელეს ნუ რომაევ, ხუსტინა.

— როგორც გენებოთ.

პედრო პარამომ კარი გამოაღო და ზღურბლზე შეჩერდა. სუსანას მზის სხივი სახეზე დაეცა — თვალები ისე მაგრად მოეხუჭა, თითქოს აუტანელ შინაგან ტკივილს იკავებდნო, სველი ტუჩები ნახევრად გაეღო, ცნობამიხდილს ზეწარი ჩაებლუჯა და შიშველ სხეულს იჩენდა, ზედ დროდადრო კრუნჩხვა გადაუვლიდა ხოლმე.

პედრო პარამო ოთახში შევიდა, საწოლს მიუახლოვდა და მძინარეს საბანო დააფარა. მომეტებული კრუნჩხვისგან ქალი გველივით იხლაკნებოდა. პედრო პარამო დაიხარა და მომაკვდავს ყურში რამდენჯერმე ჭიუტად ჩასძახა: „სუსანა, სუსანა“.

კარი გაიღო. შემოვიდა პადრე რენტერია, იგი უსიტყვოდ მიუახლოვდა საწოლს.

— მოვედი, რათა გაზიარო წმინდა საიდუმლოს, შვილო ჩემო, — ძლივს გასაგონად წარმოთქვა მან.

მერე შეიცადა, სანამ პედრო პარამო ქალს ასწევდა, ბალიშს გაუსწორებდა და ზედ მიასვენებდა. ნახევრად მძინარე სუსანამ ენა გამოყო და სეფისკვარის ნამცეცი გადაყლაპა. „შენთან ყოფნა ყველაფერს მერჩივნა, ფლორენსიო“, — ჩურჩულით თქვა და ისევ თავისი ზეწრის აკლდამაში გაეხვია.

— იმ ფანჯარას ხედავ, დონია ფაუსტა? აი, იმას, მედია-ლუნაში ყოველ ღამე შუქი რომ ანთია?

— ვერა, ანხელეს, რა ფანჯარას უნდა ვხედავდე?

— პოო, ახლა ბნელა: რაღას დაინახავ, სინათლე ჩაქრა, ნეტა რამე უბედურება ხომ არ მოხდა? სამი წელია, რაც მედია-ლუნაში განათებულია ეგ ფანჯარა; მოსაღამოვდება თუ არა, მაშინვე შუქს ანთებენ. ვინც იქ ყოფილა, ყველა იმას ამბობს, ეგ პედრო პარამოს ცოლის ოთახიაო. მგონი, ჭკუაზე ვედარ უნდა იყოს ეგ სათნო ქალი და სიბნელია ემინია. ახლა კი, ნახე, ფანჯარაში შუქი სულ ჩაქრა, ეს კარგს არაფერს მოასწავებს.

— ხომ არ მოკვდა? მძიმე ავადმყოფი იყო. ბოლო დღეებში კი თურმე ვედარაფის სცნობდა, მარტო თავის თავს ელაპარაკებოდა, ბედი არ ჰქონია პედ-

რო პარამოს. გაწამდება ამისთანა კოლის ხელში. საცოდავი პედრო პარამო!

— არა, ფაუსტა, სულაც არ არის საცოდავი. ახია მაგაზე, ეგ უარესის ღირსი იყო.

— ნახე, ნახე, ფანჯარა სულ ჩაბნელდა.

— ჯანდაბას ფანჯარა, წავიდეთ დავიძინოთ. დროულ ხელს ვიპოვებამდე ქუჩა-ქუჩა ბორიალი აღარ შეგვეფერის.

ეკლესიიდან ის-ისაა გამოსულ ქალთა ლანდები ბაზრის ბაზრის მხარეს, თერთმეტი საათი იქნებოდა, სიბნელიდან კაცის ლანდი რომ გამოჩნდა და მოედნის გადასაჭრელად გაემართა. კაცმა მედია-ლუნასკენ აიღო გეზი.

— დონია ფაუსტა! დონია ფაუსტა! მგონი, ეს ეჭიმი ვალენსიაა? ვერ იცანით?

— ჰო, იმას ჰგავს, ან შეიძლება ის არც არის. თვალები მტკივა, წესიერად ვეღარც კი ვხედავ.

— გაიხსენეთ, სულ თეთრი შარვალი არ აცვია? ჩანთა კი შავი უჭირავს ხოლმე. სანამღლოს ვდებ, მედია-ლუნას უბედურება დაატყდა. ნახე, როგორ მიიჩქარის, გეგონება, შოლტით მისდევენო, სირბილს ცოტაღა უკლია.

— ოჰ, მართლა უბედურება არაფერი მოხდეს! ისევე ეკლესიაში ხომ არ მიებრუნდეთ, ვუთხრათ პადრე რენტეროსს, წავიდეს მედია-ლუნაში, თორემ ცოდოა, საბრალო, უზიარებლად რომ გამოეხალმოს წუთისოფელს.

— ღმერთმა დაიფაროს! რამ გათქმევიანათ, ანხელეს! ისედაც ამდენს ეწამა და აღარ ეყოფა? გზის დაულოცველად სიკვდილი როგორ უნდა უსურვო საბრალოს, იმ ქვეყანაში ხომ დაიტანჯა! თუმცა გაგებულ ხალხი ამბობს, გიყებისათვის აღსარება არაფერს ნიშნავსო; იმათ ცუდიც რომ ჩაიდინონ, უცოდველებად ითვლებიანო. სინამდვილეში ასეა თუ არა, ერთმა ალბათ მარტო ღმერთმა იცის, შეხედე, სინათლე ისევე აინთო ფანჯარაში. უფალმა კეთილი თვალით თუ არ გადმოგვხედა, მთელი წვალება წყალში ჩაგვეყრება; რამდენი ვიჯახირეთ, საშობაოდ მოვრთეთ ტაძარი, მუხლჩაუკრეფავად ვიმუშავეთ, ეკლესია სათამაშოსავით მოვკაზმეთ და ახლა მამულში ვინმე რომ მოკვდეს, დონ პედრო დღესასწაულს ჩაგვაშწარებს, არ იცი მაგის ამბავი...

— სულ რა ყვავივით დაგვჩხავით, დონია ფაუსტა, ერთი ბეწოთი მაინც რომ მბაძავდეთ, თქვენც ღვთის განგების იმედით იქნებოდით, შევევდრეთ ღვთისმშობელს, რამდენჯერმე წაიკითხეთ „გიხაროდენ ღვთისმშობელო“, და ნახავთ, ამალამინდელი ღამე სულ თუ არ დაგავიწყდით. მაშინ არც ღმერთის ნაბოძვარზე იტყვით ასე — საბრალო ქალს სიცოცხლე ალბათ თვითონაც მობეზრებული ჰქონდაო.

— მადლობთ, ანხელეს, თქვენ მუდამ მამშვიდებით და მამხნევებთ ხოლმე, თქვენს რჩევა-დარიგებას გულში ჩავიყოლებ და ისე დავიძინებ. ამბობენ, სიზმარში რაიმე რომ ინატრო, შენი ნატვრა პირდაპირ უფლის საბრძანებლისკენ მიფრინავსო. კარგი იქნება, ჩემმა სურვილებმაც თუ შიალწია ზეცამდე, ღამე მშვიდობისა, ხვალ ისევე შევხვდებით.

მოხუცები ერთმანეთს დაემშვიდობნენ და თავიანთ სახლებისკენ გასწიეს. ორივე იქვე, მეზობლად ცხოვრობდა, ირგვლივ კვლავ გამეფდა ღამის მღუპარება.

— პირი ჩემი სავსეა მიწით.

— დიახ, პადრე.

— „ღიახ, პადრე“ კი არა, ჩემთან ერთად გაიმეორე ის, რასაც მე ვიტყვი.
 — ეს რაღაა, ბელახლა უნდა მათქმევინოთ აღსარება? რატომ?
 — ეს აღსარება არ არის, სუსანა, მოვედი, რათა გესაუბრო, სივედილის-
 თვის შეგამზადო.

ქართული
 ბიბლიოთეკა

— ვკვდები უკვე?
 — ღიახ, შეილო ჩემო.

— მაშინ რაღას მაწვალებთ? დამტოვეთ, რათა მშვიდად აღვესრულო.
 თქვენ აღბათ განგებ გამოგგზავნეს, არ დააძინოთ, იმდენს მელაპარაკებით,
 სანამ ძილი სულ არ გამოფრთხება, ძილი თუ გამოფრთხა, უკან როგორღა მოვი-
 ტყუო, როგორღა დავიძინო? ტყუილუბრალოდ რატომ მაწვალებთ?

— წავალ, სუსანა, და მეტს აღარ შეგაწუხებ. გაიმეორე ჩემთან ერთად,
 რასაც ვიტყვი და დაგეძინება, ისე დაგეძინება, როგორც იავნანაზე ეძინებათ,
 შენს თავს შენ თვითონ დაიძინებ. დაიძინებ და ველარავინ ვერ გაგაღვიძებს...
 აღარასოდეს არ გაგელვიძება.

— კარგი, პადრე, თქვით და გავიმეორებ.

პადრე რენტერია საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ხელი სუსანა სან-ხუანს მხრე-
 ბზე დაადო, ბაგეები ყურთან მიუტანა, რათა გარკვევით გაეგონებინა ყოველი
 სიტყვა და ჩურჩულით დაიწყო:

„პირი ჩემი სავსეა მიწით“. პადრე წუთით შეჩერდა, სურდა დარწმუნე-
 ბულიყო, რომ ქალიც იმეორებდა მის ნათქვამს სიტყვებს. სუსანა ტუჩებს
 მართლაც ამოძრავებდა, მაგრამ ამოძრავებდა უხმოდ.

„ჩემი ტუჩ-ბაგე შენი ბაგე-ტუჩით არის სავსე. ბაგენი შენი ჩემს ბაგეებს
 დაჰკონებია, მკერივზე მკერივი შენი ტუჩები ლამისაა ზედ დამაკვდეს...“

ქალი გაჩუმდა და პადრე რენტერიას შეხედა, სახე ისე გათეთრებოდა —
 თითქოს დაბურული შინის მიღმიდან ჩანსო. ქალის ყურის ძირთან კვლავ გაის-
 მა პადრეს სიტყვები:

— მე ვყლაპავ ჩემსავე ქაფადქცეულ ნერწყვს, ვახრამუნებ ჭია-ლუით
 სავსე მიწას, ხახაში მიფუტფუტებენ მატლები და ზედ სასაზე ჩამფრენიან...
 ყოველივე, ერთმანეთზე საზარელი და გონჯი, მისახიჩრებს სახეს, პირი ჩამქცე-
 ვია ჩემივე კბილებით შეჭმული და გაფატრული, ცხვირი მომრღვევია, თვალის
 კაკლებიდან მწიკვლი მდის, თმები გამხრწნია, თითქოსდა ცეცხლის ენებს აე-
 ლოკოს...

პადრე სუსანას სიმშვიდემ განაცვიფრა. ნეტა რაზე ფიქრობს ახლა? ებრ-
 ძვის თუ არა იმას, რასაც ჩავაგონებ, ცდილობს თუ არა განდევნოს შიშისმომ-
 გვრელი სახეები, რომელთა ჩასახლებასაც ვცდილობო ქალის სულში? სახეში
 შეხედა სუსანას, ქალმაც მის მზერას მზერა შეაგება, ისიც კი მოეჩვენა, რომ
 ქალს ბაგეზე ღიმილი გაუქრთა.

მაგრამ არსებობს კიდევ უფრო საშინელი წამება; იხილო პირადად მეუფე
 ჩვენი მთელი თავისი დიდებულებით, იყო ზეციური ნათელით შემოსილი, გეს-
 მოდეს სერაფიმთა და ქერუბინთა გალობა, სწრაფწარმავალ ერთადერთ წამში
 იგემო გამოუთქმელი ნეტარება ყოვლისმპყრობელის შემოხედვაში, მერე კი
 სამარადისო წამებისათვის ჩავარდე ჯოჯოხეთში. თუმცა სულ ეს როდია, რამეთუ
 წამი იგი განუყოფელია მიწიური ტკივილისაგან: ტვინი ჩვენი ძვლებისა — მო-
 ვიხვიზე ცეცხლად იქცევა, ხოლო ვენების სისხლი — ხანძრის აღად, მამაზე-
 ცივრის მრისხანებით აღძრულნი ებორგავთ მძაფრი, ნაცარმტვრადმქცეველი,
 სულისწამლები, გაუქარვებელი ტკივილისაგან.

„გულში რომ მიკრავდა, ეს იყო ჩემი სავანეცა და თავშესაფარიც, იგი მჩუქნიდა სითბოს და სიყვარულს“.

პადრე რენტერიამ თვალი მთავლო იქ დამსწრეთ; პედრო პარამო კარის წირთხლს აკვროდა გულბელდაკრეფილი; მის გვერდით ექიმი ვალესია იდგა, ოდნავ მოშორებით — ვილაც კაცები, ოთახის მეორე მხარეს კუთხეში ქალები მიყუჟულიყვნენ და ელოდნენ, როდის ანიშნებდნენ ბრძოლის ლოცვის დაწყებას.

პადრეს ანაზღად მოუხდა წამომდგარიყო, მომაკვდავი ეზიარებინა და ეთქვა: „მე დავამთავრე“. მაგრამ, არა, მას ჯერ არ დაემთავრებინა. შეეძლო განა მიტვევა ცოდვილისათვის, თუკი არ ეცოდინებოდა, ინანიებდა თუ არა ქალი თავის ცოდვებს.

ექვი არა და არ ეშვებოდა, იქნება მოსანანიებელი არაფერი აქვს? ცოდვები თუ არ ჩაუდენია, რისგან უნდა განიწმინდოს? პადრე რენტერია კვლავ დაიხარა და ქალს ფრთხილად შეეხო მხარზე.

— შენ მალე წარსდგები უზენაესის წინაშე, — უთხრა ხმადაბლა. — უფალმა კი არ იცის ცოდვილთა შეწყალება. — მან ისევ მიუტანა ტუჩები ყურთან, მაგრამ ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— წადი, პადრე, ჩემ გამო ნუ წუხარ. — ახლა კარგად ვარ, და ძალიან მინდა დავიძინო.

ოთახის ბნელ კუთხეში მდგომი ქალებიდან ვილაცამ დაისლუკუნა.

— ხუსტინა! — წარმოთქვა სუსანამ და საწოლზე წამოიწია, — ტირილი თუ გინდა კეთილი ინებე და სადმე სხვაგან გადი.

იმავ წუთს უცებ მოეჩვენა, რომ თავის საკუთარ მუცელში ჩაყო თავი და ვერასდიდებით ვეღარ დაეღწია. ცდილობდა მუცელი გვერდით გაეწია, ის კი უფრო და უფრო მძიმედ აწვებოდა თვალებზე, ნესტოებზე, პირი ამოუვსო და სუნთქვა შეუკრა, ქალმა სასოწარკვეთით გაიბრძოლა, რადგან გრძნობდა, გულ-აღმა ვარდებოდა და ღამის წყვდიადში მიფრინავდა.

— დიახ, მე ვნახე, როგორ კვდებოდა დონია სუსანა.

— რა თქვი, დოროთეა?

— რაღა, რაც გაიგონე.

კომალას მაცხოვრებლები ალიონზე ზარების რეკვამ გამოადვიდა.

რვა დეკემბრის კრიატი დილა თენდებოდა. არა ციოდა, თუმცა დღე ძალზე მოღრუბლული იყო, ჯერ დიდმა ზარმა დაიწყო რეკვა, მას დანარჩენებმაც მისცეს ბანი. ასე სადღესასწაულო მესაზე რეკენ ხოლმე, აქა-იქ იღებოდა კარები და გაკვირვებული ხალხი ქუჩაში იყურებოდა. თუმცა ჯერჯერობით ცნობისმოყვარენი ცოტანი ჩანდნენ. ყველას როდი ეხალისება ცისკრის ზარებზე წამოხტომა. ზარები კი არა და არ ჩერდებოდნენ. ჯერ „ქრისტეს სისხლის“ ეკლესიის სამრეკლომ დაიწყო რეკვა, მას ცხოველყოფელი ჯვრის ეკლესიამაც მისცა ბანი; ეტყობა, შორეული სასაფლაოდანაც ეხმიანებოდნენ. შუადღე წამოვიდა, სპილენძის გუგუნე კი განუწყვეტლივ ისმოდა, დაღამდა, ზარები არ ცხრებოდნენ. ყველა ერთად აღრინდელზე უფრო გამაყრუებლად და გამოგნებლად რეკდა; ცალკეულ ხმას უკვე ვეღარ გამოარჩევდით, ყველა ერთ გულსაკლავ გუგუნად შენივთულიყო. ხალხი ერთმანეთს რაც შეიძლება ხმამაღლა უყვიროდა; „რაო, რა მოხდა?“ — კითხულობდნენ გაოცებულნი.

მესამე დღეს ყველა სმენადარბული დადიოდა. ზარების გაუთავებელ რეკვაში ადამიანის ხმის გარჩევა შეუძლებელი გამხდარიყო. ზარები მძვინვარებდნენ, მაგრამ მათ მჭუხარე ხმებში უკვე იკვეთებოდა ფუყე. გაბზარული ხმები, თითქოს სპილენძის ზარებს კი არ არისხებდნენ, თიხის დოქებს აჩხარუნებდნენ.

ეროვნული
გინგული

- დონია სუსანა მომკვდარა.
- ვინა? ვინა?
- ქალბატონი.
- ვისი? შენი?
- არა! პედრო პარამოს ცოლი.

ზარების რეკვაზე კომალაში ხალხის დენა დაიწყო, მოდიოდნენ მეზობელი სოფლებიდან თუ ქალაქებიდან. კონტლიდან ხალხი ისე მოაწყდა, თითქოს სალოცავად ეშურებოდნენ, მოედინებოდნენ ყველაზე შორეული კუთხეებიდანაც. ვინ იცის, საიდან ჩამოვიდა ცირკის ბალაგანი თავის მუშაითებითა და ეშმაკის ბორბლებით, სასეიროდ მოეხეტნენ მუსიკოსები. თავდაპირველად ალაღბებდნენ, გაუბედავად მღეროდნენ, მერე გათამამდნენ და ღამე უკვე სერენადები ისმოდა ქუჩებში. გლოვის ზარების გუგუნთან ერთად კომალაში იფეთქა მხიარულებამ. ხალხი სეირნობის გუნებაზე დადგა: უკრავდნენ, ცეკვავდნენ, ხარხარებდნენ.

მოედანზე იმდენ ხალხს მოეყარა თავი, ნემსი არ ჩავარდებოდა.

ზარები დადუმდნენ, მაგრამ შექვიფიანებული სოფელი ვერ დაშოშმინდა. შეუძლებელი გამხდარიყო ხალხისთვის ჩაგონება, რომ ზარებს სამგლოვიაროდ, მიცვალებულის გამო რეკდნენ. დაუპატიებელი სტუმრებიც ველარ დაეყოლებინათ თავთავიანთ სახლებში წასასვლელად, პირიქით, იქაურობას მხიარულების ახალი და ახალი მსურველები ემატებოდნენ.

იდგა მედია-ლუნა ყველასაგან მივიწყებული, მიყრუებული, მოჭამაგირეები და შინაყმები ფეხშიშველები დადიოდნენ; ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. სუსანა სან-ხუანი დაკრძალეს. მაგრამ დასაფლავებაზე კომალადან თითქმის არავინ დასწრებია. იქ საბაზრო თრომტრიალი იდგა. გუგუნებდა მუსიკა, ეშხში შესულიყო მამლების ბრძოლა, ღრიალებდნენ ღვინით გამობრუყულები. ლატარიის მფლობელნი რიხიანად მოუხმობდნენ ხალხს ბილეთის საყიდლად. ღამ-ღამობით მედია-ლუნადან მოჩანდა კომალას სადღესასწაულო შუქით განათებული ტყვიისფერი ცა. მაგრამ მედია-ლუნასთვის დღეც ისეთივე ბნელი და მქმუნვარე იყო, როგორც მისი მოჭურუშებული ღამე. ბატონის ხმა აღარავის გაუგონია, დონ პედრო თავის ოთახიდან აღარ გამოდიოდა, მან ფიცი დადო, ჭავრი ეყარა კომალაზე.

- ვიჯდები ასე გულხელდაკრეფილი; დაე, შიმშილით ამოხდეთ სული.
- და მან თავისი სიტყვა ირ გატეხა.
- დროდადრო გამოჩნდებოდა ტილაუატე.
- ახლა კარანსისტები! ვართ. — იტყოდა იგი.
- ძალიან კარგი.
- ჩვენი მეთაურია გენერალი ობრეგონი.

1. კარანსისტები — მექსიკის პრეზიდენტის გენსუნტიანო კარანსას (1914-1920) მომხრეები. კონსტიტუციონელთა კონსერვატიული ნაწილის მხარდაჭერით კარანსამ გაანადგურა გლებთა პატრიოტული რაზმების უმეტესობა, რომელიც მექსიკის რევოლუციის წლებში შეიქმნა.

- ძალიან კარგი.
- დედაქალაქში ზავი გამოაცხადეს. ჩვენ კი ყველა შინ გამოგვიშვეს.
- ნუ იჩქარებ, შენიანებს უბრძანე. იარაღი არ ჩააბარონ. ედევ გამოგადგებათ ზავი დიდხანს არ გაგრძელდება.
- შევითქვე, ახალი შეამბოხე გამოჩენილა — პედრო პარამო, რაზმი შეუკრებია. მივეხმაროთ თუ წინააღმდეგობა გავუწიოთ?
- მაგას რად უნდა ლარი და ხაზი. ხელისუფლებას უნდა დაუჭირო მხარი.
- ჩვენ რეგულარული არმია კი არა, პარტიზანები ვართ. ვაითუ შეამბოხებოდ გამოგვაცხადონ.
- თუ ეგრეა, მიატოვე ყველაფერი.
- ახლა მოვატოვო? ახლა? ამდენი რამის შემდეგ?
- მაშინ შენი ნებაა, როგორც გიჯობდეს.
- ავდგები და ჩვენს მოხუცს მივემხრობი. იმათმა ყიყინამ სულიან-ხორციანად შემძრას ლამის. თანაც მღვდელს რომ გავყვები. სულის ცხონებაზე ზრუნვა აღარ დამჭირდება.
- როგორც გიჯობდეს.

პედრო პარამო მედია-ლუნას ვეება კიშკართან თავის ძველ დაწულ სავარძელში იჯდა. მტრედისფრად თენდებოდა. იფანტებოდა ლამის სიბნელე. სამი საათი იყო, რაც კიშკართან იჯდა... მაგრამ ძილი არ ეკარებოდა. დიდი ხანია დავიწყებოდა დროცა და ძილიც: „ჩვენ, მოხუცებულებს ან ცოტა გვძინავს, ან სულ არ გვძინავს, ეგ არის, მარტო თვალს ვატყუებთ ხოლმე, მაგრამ მაშინაც ვფიქრობთ; სხვა რა დაგვრჩენია ფიქრის მეტი“, ერთხანს იყუჩა, მერე ხმამაღლა დაატანა: „ახლა მაღე, ახლა სულ მაღე“.

ფიქრი კი ფიქრს მისდევდა: „დიდი ხანია, რაც ეს ქვეყანა მიატოვე, სუსანა. სწორედ ასეთი ალიონი იდგა. ოღონდ უფრო მკრთალად მოჩანდა ცისკრის ზოლი, და მისა მკრთალი შუქი დღევანდელივით. დილის ბინდბუნდში ძლივს აღწევდა. ჰო, სწორედ ეს დრო იყო. მეც ასევე ვიჩქე კიშკართან და მივშტერებოდი დაფიონს. მოგჩერებოდი, როგორ მიდიოდი ჩემგან, ნათელი, ზეციური გზით. იქ უეცრად განხმულ, გასხივოსნებულ შორეთში. მიდიოდი სამუდამოდ და დედამიწის ჩრდილი გფარავდა. მაშინ დაგინახე უკანასკნელად.“

შენ იქვე ჩაიარე, და შენი უნებური მიკარებისგან გზაზე აშრიალდნენ ნეტართა სავანეში აყვავებული ხეთა ვარჯები, და შენს სუნთქვასთან ერთად ქარს მიმოჰქონდა იმ ხეების ყვავილთა ფურცლები — უკანასკნელი მოგონება სამოთხეზე. შენ გაუჩინარდი. მე კი მაინც გეძახდი: „დაბრუნდი, სუსანა“.

პედრო პარამომ ტუჩები ააცმაცუნა, რაღაცას ჩურჩულებდა. მერე ბაგე მოკუმა, თვალეები გაახილა და მის გუგებში რიყრაყის შუქი აირეკლა.

ინათა.

იმავე ღამეს გამალიელ ვილიალბანდოს დედა დონია ინესა თავიანთ ღუქნის წინ ეზოს ჰგვიდა. ანაზღად საიდანღაც გაჩნდა აბუნდიო მარტინესი და ღიად დარჩენილ კარში შევარდა. გამალიელი დახლთან იწვა. ბუზებს რომ არ შეეწუხებინა, სახეზე ფართოფარფლებიანი სომბრერო დაემხო და უშფოთველი ძილით ეძინა. აბუნდიომ კარგა ხანს უცადა გამალიელის გაღვიძებას. უცა-

და მანამ, სანამ დონია ინესამ ეზოს დაგვა არ დაამთავრა და დუქანში შემოსულმა შვილს ცოცხის ტარი ფერდში არ გაჰკრა:

— ადექი, მუშტარი მოგივიდა! — ყვიროდა იგი. გამალიელი ბუზლუნ-ბუზლუნით წამოჭდა, თანაც ყველას და ყველაფერს ჯანდაბამდე ულოცავდა გზას. ძლივძლივობით გაახილა უძილობისგან და ბევრი სმისგან ჩაწითლებული თვალები — იგი არავის აწბილებდა, თითო ჭიქას ყველას უღევდა, ჩამდენიმე წუთი და წყველა-კრულვას უთვლიდა დედამისს, საყურადღებო და ძალღუმადურ ცხოვრებასაც; მერე გვერდი იცვალა, მოიბლუნდა და კვლავ მიეძინა.

— წყვეული ლოთები, — ძილში განაგრძობდა ლანძღვა-გინებას, — სულ იმას ფიქრობენ, დილაუთენია როგორ წამომავდონ, მაგათ გამო გული მე უნდა ვიხეთქო.

— აპატიე, შვილო აბუნდიო, გუშინ ამვლელ-ჩამვლელებმა სიცოცხლე გაუმწარეს, შუადღემდე ისხდნენ და ხეთქავდნენ. ასე აღრიანად მართლაც რამ მოგიყვანა? — ყვირილს უმატა ქალმა, რადგან ყურთ აკლდა აბუნდიოს.

— ისე, არაფერმა. ერთი ნახევარლიტრიანი მინდოდა, ეგ არის და ეგ.

— მართლა, ისეც ავად გახდა შენი რეფუხიო?

— მომიკვდა ჩემი რეფუხიო, დედილო ვილია. გუშინ მომიკვდა. ღამის თერთმეტი იქნებოდა. მე კი რანაირად არ ვეცადე. ჯორები გავყიდე, გავყიდე, არაფერს არ მოვერიდე, ოღონდაც კი ძველებურ ჯანზე დამეყენებინა.

— რაო, რა თქვი? რალაც ვერ გავიგე. თუ შენ არ გითქვამს არაფერი?

— ისა ვთქვი, რომ მთელი ღამე მიცვალებულს — ჩემს რეფუხიოს ვუთიე, გუშინ ღამე გარდაიცვალა.

— განა არა?! გული მიგრძნობდა, ვამბობდი, გვამის სუნი ტრიალებს-მეთქი, უყურეთ ერთი! — გაიკვირვა დონია ინესამ, — გამალიელსაც კი ვუთხარი: „ჩვენთან, კომალაში ნამდვილად ვილაც მოკვდა, ისეთი სუნი მცემს-მეთქი“. იმან კი ყურიც არ მათხოვა. თუმცა მაგისი დრო სადა ჰქონდა. არაქათი გამოაცალეს ამვლელ-ჩამვლელებმა, ესეც გარს ურბენდა, ეფერებოდა, პოდა, ამასობაში ზედმეტი მოუვიდა. ხომ იცი, როცა დაღევს, თითიც რომ დაანახო, სიცილით კვდება, ამ დროს სახლი რომ ეწვოდეს, ზედ არ მიხედავს. ეს რა უბედურება მომხდარა. არავინ მოუყვანე, ლოცვები მაინც რომ წაეკითხათ, როგორც წესი და რიგია?

— არავინაც არ მომიყვანია, დედილო ვილია, მაგიტომაც მინდა ნახევარ-ჩარექიანი, მაგით მაინც გავიქარვებ ბოღმას.

— გაზაფხებული გინდა თუ...?

— გაუზაფხებელი, დედილო ვილია. გონებას უფრო მალე წამართმევს. ცოტა ჩქარა, დრო აღარ ითმენს.

— კეთილი, აჰა, სუფთა სპირტია, მაგრამ არყის ფასს გადაგახდევინებ. ამას მარტო შენთვის ჩავდივარ, მიცვალებულს კი გადაეცი, რომ მუდამ კეთილი მინდოდა მისთვის და საიჭიოს არ დამივიწყოს.

— გადავცემ, დედილო ვილია.

— ოღონდ ახლაც უთხარ ყველაფერი, სანამ სული სხეულს გაჰყრია...

— ვეტყვი. თანაც ვიცი, იმასაც დიდი იმედი აქვს, რომ ილოცვით მისი სულისათვის. როგორ წუხდა ის უბედური, სიკვდილის წინ ცოდვები რომ არავინ შეუწდო.

— პაღრე რენტერიასთან რატომ არ გაიქეცი?

- გავიქეცი, როგორ არ გავიქეცი, მიტხრეს, არ არის, მთებში წავიდაო.
- სად? რა მთებშიო?
- ღმერთმა იცის იმისი თავი, ალბათ ჩვენს მთებში, მთაწერობის წინააღმდეგ გამოსულა, მარტო კი არა, რაზმთან ერთად.
- დახე! ისიც იქ წავიდა? ბედკრულნი ვართ, აბუნდიო მტყუნეები!
- მე კი მგონია, დედილო ვილია, ჩვენი საშველს წაწიკება. დედილო ვილია, მაინც ხო ჩუმად მიმასპინძლდებით. გამალიელს სძინავს და, ერთი ორასი კიდევ დამისხით.
- დაგისხამ, ოლონდ არ დაგავიწყდეს, რეფუხიოს სთხოვე, მაცხოვართან სიტყვა შემაწიოს ჩემი მძიმე ცოდვების გამო.
- იმედიაანად იყავით, მივალ თუ არა, მაშინვე ვეტყვი, ეჭვი რომ არ გეპარებოდეთ, გული არ გეთანაღრებოდეთ, თუ გინდა სიტყვასაც ჩამოვართმევ.
- პო, ეგ თვითონაც მინდოდა მეთხოვნა, თორემ ხომ იცო ქალის გონების ამბავი, ქალს დოგა-დოგა თუ არ დაადექი და მაშინვე არ მოსთხოვე, მერე ვერაფერს ვერ გახდები.
- ერთი ორასი კიდევ დამისხით, — თქვა აბუნდიო მარტინესმა და დახლზე ოცი სენტავო დადო, — თუ მუქთად გამიმასპინძლდებით, არც მაგაზე ვიტყვი უარს, მასპინძლის გულუხვობაზე მადლობის მეტი აბა რა გვეთქმის. ამას კი, პირობას ვდებ, შინ წავიღებ და იქ, ჩემს ძვირფას მიცვალებულთან დავლევ.
- კარგსაც იზამ, წადი ახლა, აბუნდიო, თორემ სადაცაა ჩემი შვილი გაიღვიძებს და ნაბახუსევი ნამეტანი ავია, გაიქეცი შინ, აბუნდიო, ოლონდ იცოდე, ცოლისთვის დანაბარების გადაცემა არ დაგავიწყდეს.
- აბუნდიო ღუქნიდან ხველებ-ხველებით გამოვიდა, აი, სპირტი ამას ჰქვია! ნამდვილი ცეცხლია! უთხრეს, მაგით უფრო მალე დათვრებით და ისიც წარამარა იყუდებდა ბოთლს, მერე კი დაღებულ ხახას პერანგის კალთით იგრილებდა... ბოთლი რომ გამოცალა, შინისკენ უნდა წასულიყო, სადაც მკვდარი რეფუხიო ეგულებოდა, მაგრამ ანაზდად მხარი იცვალა და ზევით ქუჩისკენ გაუხვია, ბოლო სახლი უკან რომ მოიტოვა, სოფლიდან გამავალ გზას დაადგა.
- დამიანა, მოდი აქ, — თავისთან უხმო ქალს პედრო პარამომ, — გზაზე ვილაც კაცი გამოჩნდა, ჰკითხე ერთი, რა უნდა.
- აბუნდიო ტორტმანითა და თავის კანტურით, ოთხზე დამდგარი, უახლოვდებოდა მათ. მიწა ფეხქვეშ საქანელასავით უქანავებდა, ოჩანი ცხენივით გან-განზე იწევდა, ისიც მისდევდა უკან, უნდოდა დასწევნოდა, მაგრამ ჩაეჭიდებოდა თუ არა, მიწა ყირავდებოდა და თვითონაც სადღაც ვარდებოდა. ანაზდად ვილაცის მაღალ ჭიშკარს მიადგა და მოწულს სავარძელში მჭდომარე დიდი ბატონის პირისპირ აღმოჩნდა. აბუნდიო შეჩერდა.
- ღვთის გულისათვის, მოიღეთ მოწყალება, რამდენსაც ინებებთ, ცოლის დასამარხი ფული არა მაქვს, — წარმოთქვა მან.
- გვიხსენ, უფალო, ეშმაკეულისაგან“, — ლოცულობდა დამიანა სისწეროსი და ჯვარსა სახავდა აბუნდიოს წინგაწვდილ ხელს.
- რამ შეაშინა ეს ქალი? ან პირჯვარს რატომ მსახავს? აბუნდიოს ცივმა ერყოლამ დაუარა, იქნებ სატანა აედევნა და გზა-კვალი აუბნია? აბუნდიომ უკან მიიხედა, იქნებ ვინმეს შეჩვენებული სიფათი დაეინახო, მაგრამ უკან არავინ ედგა და ხელახლა დაიწყო.

— უარს ნუ მეტყვი, გამოიჩინეთ გულმოწყალება: ცოტა რამით მაინც შემეწიეთ, ცოლი ვერ დამიშარხავს.

მის ზურგს უკან მზე ამოდიოდა. მზე... ჯერ ისევ ცივი, მიწიდან აღებული ბურუსით ნირშეცვლილი.

პედრო პარამომ თავი მხრებში ჩაიკოხდა, თითქოსდა ლაბადის ქსოვიდან დაეხრებოდა მზის სხივებისგან დაცვა სწადიაო.

ირგვლივ კი დამიანას შემზარავი კივილი ისმოდა:

„ჰელავენ, დონ პედროს ჰელავენ!“

ქალის ყვირილმა აბუნდო მარტინესს თავგზა აუბნია. აღარ იცოდა, როგორ გაეჩუმებინა ეს ქალი, აზრებისთვის თავი ვეღარ მოეყარა. ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა. მარტო იმასლა ფიქრობდა — კივილი ალბათ მთელ კომალას სწვდება და შეიძლება მკვდარ რეფუხიოსაც ესმისო. თვითონ ყრუ არის, მაგრამ მაინც ზარივით უდგას ყურებში ქალის კივილი. ნეტა რა აღრიალებს? ცოლის გახსენებაზე წარმოუდგა, როგორ იწვა ახლა საწოლზე გაქიმული, მარტოდმარტო შუა ეზოში — საწოლი ეზოში განგებ გამოათრია, გვამი ჰაერზე გაცივდება და სუნი დიდხანს არ მიეკარებაო. წევს ახლა საყვარელი გაუნძრევლად. გუშინ ამ დროს კი ცოცხალი იყო. მასთან ერთად იწვა საწოლში, ეფერებოდა, ფაშატი ცხენივით ცხვირს ცხვირზე უსვამდა და ტუჩებს უკბენდა, ოი, საყვარელი, მან ხომ ვაყიშვილი აჩუქა, თლონდ შვილი მაშინვე მოუკვდა, ერთი დღეც ვერ გაძლო, ექიმმა უთხრა, ბავშვის მუცლით ტარების თავი არა ჰქონიაო. საყვარელი, რაღა არ დაემართა: ეს გაცივებო, ციებ-ცხელებო, გათვალვისაგან ხომ იტანჯებოდა და იტანჯებოდა. ბოლოს, როცა ექიმი მოუყვანა, ექიმმა რაღა ავადმყოფობა არ აღმოუჩინა, გასამრჯელოდ კი ცეცხლის ფასი მოითხოვა, ესეც ადგა და ვარები გაყიდა — აბა, ექიმი ტყუილად კი არ გამოჰყვებოდა! ფულიაიღო, მაგრამ ვერაფერიც ვერ უშველა. და წევს ახლა, წევს სასურველი, დილის სიგრილეზე თანდათან ცივდება, თვალები სამუდამოდ აქვს დახუჭული, დღეის ამას იქით ვეღარ იხილავს ვეღარც განთიადს, ვეღარც ამომავალსა და ვეღარც დაღლილ მზეს.

— დაეხმარეთ, ხელი გაუმართეთ ღარიბ-ღატაკს, — გაიმეორა ბელახლა.

მაგრამ მის სიტყვებს ქალის კივილი ფარავდა. კომალას გზაზე იალაც შავი წერტილები გამოჩნდა. წერტილები სულ მალე ხალხად გადაიქცა. რამდენიმე წუთში ეს ხალხი უკვე მის გვერდით იდგა.

დამიანა სისწეროსმა ყვირილი შეწყვიტა, გულზე დაკრეფილი ხელები ჩამოუშვა, მიწაზე დაეცა და პირს ისე ალებდა, თითქოს ამტქნარებდესო.

ხალხმა იგი ხელიხელ სახლში შეიყვანა.

— რამე ცუდი ხომ არ უკადრებია, ბატონო? — ჰკითხა ხალხმა პედრო პარამოს.

პედრო პარამომ ლაბადაში ჩარგული თავი დაიქნია.

ხალხმა აბუნდიოს სისხლით მოსვრილი ნაჭახი წაართვა.

— გამომყევი, — მოესმა აბუნდიოს ვილიცის ხმა, — დავიდარაბას გადაჰკიდებინარ.

ისიც ხალხს მორჩილად გაჰყვა უკან.

კომალას პირველ სახლს რომ მიადწიეს, ითხოვა, ცოტა ხანს საჭიროებისათვის გამიშვითო, გზაზე გადავიდა თუ არა, ღებინება დააწყებინა, ალებინა და ალებინა. მთელი ნაღველი ლამის მალლა ამოუვიდა. ისე არწყევდა, თითქოს მთელი კასრი წყალი დაედიოს, თავი უბურდა.

— ძალიან დავთვერი, — ბუტბუტებდა და ენას ძლივს აგებდა.

რის ვაივაგლახით მიალწია მცველებამდე და მხრებზე დაეკრდათ. იმათაც თრევა-თრევით გაუყენეს გზას და მტვრიან შარაზე ფეხსაცმელს ცხვირით გაველებულ ორ ოკრობოკრო კვალსა ტოვებდნენ.

პედრო პარამო კი იჭდა თავის მოწულ სავარძელში და გამყურებდა კომალასაკენ ჯგუფ-ჯგუფად მიმავალ ხალხს. უნდოდა მარცხენა ხელით მაგრამ რატომღაც არ დაემორჩილა და მოკვეთილივით დაეცა მუხლებზე. ამას არ შეუშინებია: ყოველდღე კვდებოდა მისი არსების რაღაც ნაწილი. ცვიოდა ნეტართა ბაღში ყვავილები. „ყველა ერთი გზით მიდის, ყველა“ და იგი შეწყვეტილ აზრს მიუბრუნდა.

— სუსანა, — წარმოთქვა მან და თვალები მილულა. — სულ გვედრებოდი, დაბრუნებულიყავ...

...— სავსე მთვარე თავს დაგვცქეროდა — იგი სამყაროს ცენტრი იყო. ჩემი თვალები კი შენ გარდა ვერაფერს ხედავდა. მთვარის ნათელი სახეზე გეფინა, მეც თვალმოუწყვეტლივ მოგჩერებოდი ჩემთვის სასწაულად მოვლენილს. ვუმზერდი მთვარის შუქით აელვარებულ შენი კანის მქრქალ ბზინვარებას; მოციმციმე ვარსკვლავთა ნაირფერი შუქით განბანილ შენს სავსე ბაგეს; ლამეულ წყალში მოქათქათე შენს სხეულს. სუსანა, სუსანა სან-ხუან.

მან კვლავ სცადა ხელის აწევა, რათა გაეფანტა ნისლი. ძვირფას სახეს რომ ბურავდა, მაგრამ ხელი ქვასავით დაეცა მუხლებზე. მაშინ მეორე ხელის აწევა მოინდომა, ხელი ნელ-ნელა მოსცილდა მის სხეულს და იქვე გვერდით, თითქოსდა მოკვეთილი მხარის საბიჯად, ყვარჯენივით ჩაერჭო მიწაში.

„ესეც სიკვდილი“, — გაიფიქრა მან.

მზე მინდორს დილის სხივებს აღვრიდა, ყველა არსებას უბრუნებდა ფერსა და ფორმას. პედრო პარამო მისჩერებოდა უპატრონოდ მიგდებულ თავის სახნავ-სათესს, მის თვალწინ გადაჭიმულ გატყუარებულ, გავერანებულ მიწას. მზემ თითქოს გაათბო, მისი მზერა ოდნავ შესამჩნევად იცვლიდა გეზს თვალწინ ჩაქროლებულ იმ მოგონებათა კვალდაკვალ, სინამდვილეს რომ აფარებოდა.

გულისცემა უწყდებოდა და უჩერდებოდა, გულთან ერთად თითქოს დროც ჩერდებოდა. ჩერდებოდა ცხოვრების სუნთქვა.

„ნეტავი ეს არ იქნებოდეს ახალი ღამის, მარადიული ღამის დასაწყისი“, — ფიქრობდა იგი.

ღამისა ეშინოდა, რადგან ღამეს თან სიბნელე და მოჩვენებები მოჰქონდა. მოჩვენებებთან პირისპირ დარჩენა კი ჰზარავდა. ჰო, ეშინოდა ღამის.

„გავა ცოტათოდენი დროც და როცა ჩამობნელდება, ვიცი, ისევე გამომეცხადება აბუნდიო და გასისხლიანებული ხელებით კვლავ დამიწყებს მოწყალების თხოვნას, რაზედაც უარი ვუთხარი. ხელები მე თვითონაც აღარ მაქვს და თვალებზე ვერ ავიფარებ, რათა აღარ დავიინახო იგი, და უნებურად გარეუჩამდე უნდა ვუსმინო მის თხოვნას, განთიადისასლა დაწყნარდება და წავა“.

ვიღაცა ფრთხილად შეეხო მხრებზე. მან დაჭიმა უხელებო სხეული და წამოიწია.

— მე ვარ, დონ პედრო, საკმელს ინებებთ? — მოესმა დამიანას ხმა.

— მე მივდივარ, მივდივარ... იქ... — უპასუხა პედრო პარამომ.

დამიანა სისწეროსმა ხელები შემოჰხვია, ისიც წამოიძარა, ნაბიჯი წადგა წინ, შეტორტმანდა და დაეცა. მთელი მისი არსება აკივლდა, შველას ივედრებოდა, მაგრამ ხმამაღლა სიტყვაც არ დასცდენია. მისი სხეული ნაწილ-ნაწილად დამიშალა, მიწაზე ყრუდ მოადინა ბრაგვანი და დარჩა ასე — ლემის ვრთვად.



თარგმანი ბულო პირველად

გამოტყუებლობა „შერანი“ ახლო მომავლისთვის გამოსაცემად ამზადებს იუგოსლავიელი მო-
სტების ანთოლოგიას.

გაიკვირებით რამდენიმე ლექსის თარგმანს.

ლაზა კოსტიჩი

სანტა მარია დელა სალუტა

დედა მარია, მაპატიე ცოდვილს ცოდვები,
ცოდვის მორევში ჩათრეული ველარ ვცხონდები,
ჩამომარეცხე ყოველივე ბილწი, ბორბოტი,
ფრთები შეასხი მომნანიე კაცის მოლოდინს.
მომფინე შუქი, შენებური მადლით მაკურთხე,
სანტა მარია დელა სალუტა.

მიჭობს, შევეუდგე შენს სასახლეს
თაღებქვეშ ბურჯად.

და ვერ შევხედო მოკამკამეს მე მალლა ლურჯ ცას,
ვიდრე მდულარე, მოთუხთუხე ქვესკნელს ჩაფინთქა,
სული და ხორციც ჩავაბარო ეშმას და კინკას.
მომფინე შუქი, შენებური მადლით მაკურთხე,
სანტა მარია დელა სალუტა.

ჭერაც კრავივით უმანკოს და
სულ მთლად პატარას,
კეთილს ბორბოტად მისახავდნენ,
ღმერთს კი — სატანად.
მუხანათურად, წვეთწვეთობით
მავსებდნენ შხამით.
თავს მიჭედავდნენ
მონაჭორით და მონაჩმახით.

ბაინც არავის არც ვწვევლი და
არც ბრალს ვდებ ვინმეს.

ყოველგვარ ცოდვას ახლა მხოლოდ
ჩემს თავზე ვიღებ.
მომფინე შუქი, უმსუბუქეს მადლით მაკურთხე,
სანტა მარია დელა სალუტე.



ვერ შევიშნოვე
მოვლენილი შენით რიყრაყად,
ციდან მოსული
უტურფესი ქალი — მირაყი.
მან განმიკურნა
უმძიმესი ყველა იარა.
მწარე ტკივილმა მე იმ დღიდან მთლად გამიარა.
მაგრამ დაანთო ეჭვმა
დიდი ცოცონი მწველი
და ჩავლილ დღეებს ახლა უკვე ამაღამ ველი.
შემივრდომე და მაგ უქნობი მადლით მაკურთხე.
სანტა მარია დელა სალუტე.

დიდხანს გაგრძელდა
გულისა და გონის ჭიდილი,
იჭაჭებოდა მიმალული ეშმა სიცილით.
სუყველა შეცდა, ვინც მიახლო ტრფობა გონებას,
გული და გრძნობა გაიხადა ორთავ მონებად.

დავრჩი მარტოკა უბადრუკი და დანავსული,
ნაწამებ ქალის მიიბარა უფალმა სული.
მომიტევე და უნეტარეს მადლით მაკურთხე,
სანტა მარია დელა სალუტე.

ზოგჯერ იმედად მეცხადება მისი სახება,
ციტმოვლენილი ღმერთქალივით
კრძალვით დამხედავს.
ქცუას მარიგებს და მიყვება სამოთხის ამბებს,
ირგვლივ სინათლის და სიკეთის
შუქს უხვად აბნევს.

დღისით კვლავ მელის
სინანული და სიმართოვე,
როს მისი სული
ცოდვილ კაცთა საუფლოს ტოვებს.

შემივრდომე და უნეტარეს მადლით მაკურთხე,
სანტა მარია დელა სალუტე.

ერთ მშვენიერ დღეს აცხადდება ჩემი ზმანება,
საიქროში მიმაცილებს უამი თავნება;

იქ ნათლით მოსილ საყვარელ კალს ვიხილავ ცხადად.
უგალობებენ წმინდანები ჩვენს კვლავაც ნახვას.

მისი შეხება ჩემს ყოველგვარ სნებას განკურნავს,
სამოთხის ბავშვი მივუმატებ იქ მყოფთ საზრუნავს.
შემინდე ცოდვა, უმსუბუქეს მადლით მაკურთხე,
სანტა მარია დელა სალუტე.



კვლავ გაიღვიძებს მინავლული ყველა სურვილი,
გადმოიღვრება სულთა შუქი ოქროცურვილი,
უხმო ციაგით თვით მნათობებს აურევს გზა-კვალს.
მისი სხივები უბნელესსაც მისწვდება საკანს,
რომ ყოველივე მისი ბრწყინვის მადლით აკურთხოს
და სიყვარულით გაანათოს ბნელი საწუთრო.
მომფინე შუქი, უნეტარეს მადლით მაკურთხე,
სანტა მარია დელა სალუტე.

ალექსა ზანტიანი

კერიის აურა

ცარიელდება ნევესინის¹ კრელი ველები,
ლომთა აკვანი, სერბიული ერის სანერგე;
მშობლიურ კერას რად აობლებთ და რად ელევით,
რისთვის დაუთმეთ სანახები მტრებს და ნარ-ეკლებს?!

გვჭეროდა მისი მომავლისა, ვით წმიდა ხატის,
ვით მარადიულ სიცოცხლის და სამოთხის ბჭეთა;
რწმენა ჩანავლდა და ცომივით გაფუვედა დარდი,
ვაი, რომ ჩვენს ბედს ჩვენვე ბრმად და უგულოდ
ვჭედავთ.

სძინავს მომავალს, ზეცას ხევდის ნისლი აბურავს,
ტირის ხატის წინ გულამოსკენით ნეკერჩხლის გუსლე²,
უნდა როგორმე დავალწიოთ თავი ამ ბურანს
და საიმედო მომავალმა მოგვისწროს სულზე.

ნუთუ არ გტკივათ უპატრონო მინდვრები, ზვრები,
სად ჩვენი ჭიშის, ჩვენი მოდგმის სისხლი ჩანთქმულა,
ციხე-ბურჯები ნაშენები წინაპართ ძვლებით,
უისტორიო, უწარსულო ხალხი სად თქმულა?!

1. ნევესინი — დასავლეთ იუგოსლავიის მხარე
2. გუსლე — ნაციონალური სიმეზიანი საკრავი

აღარ ბიბინებს ვერიაზე ცეცხლი ჩამქრალი.
ჩვენს მოებს უსაზღვრო სევდისაგან ბზარი გაუჩნდათ.
აქი სულები დაფრინავენ ირგვლივ ხარხარით.
ნასახლარები მარტოობის დარღმა გარუჯა.



ქართული

არ გებრალდებათ დარჩენილი თითო-ოროდ ბიბინების
ძმები, რომლებმაც ვერ გასწირეს წინაპართ მიწა.
მათი შემყურე აღარ გალობს ლაღად ტოროლა.
სინათლის ჩაცვლად კვლავ წუხილი მოყონავს ციღან.

ეი, სერბებო, გონს მოეგეთ: ლალატმა ვუკის³
არ იმრავლოს და არ შებღალოს თქვენი სახელი,
დაძველდრებით და არ დატოვებთ სამშობლოს, თუკი.
მძინარ მომავალს ისევ ვნახავთ თვალებახელილს.

ახლა სამშობლოს ობილიჩი⁴ სჭირდება ბევრი,
სჭირდება მეტი თავგანწირვა, მეტი ატანა.
მხოლოდ ასეთი შემართებით აღდგება ერი,
ვერ გაიხარებს ჩვენზე მტერი და ვერც სატანა.

სამშობლომ, სადა ხარ?!

ეს რა ხანია, აღარ მიკარებ.
თანდათანობით ნისლით ივსები
და უკუნეთში მიაქვთ ცივ ქარებს
მზით ამოვსილი შენი სიზმრები.

ნათლით მოსილი სად გაქრა. ნეტავ,
საგაზაფხულო შენი ფერები?
მე მომავალში ოცნებით ვხედავ,
თავს შუქი გადგას ბედნიერების.

ახლა კი ყირავს, მეფობს სიცივე
შენი ტანჯული სული ხსნას ითხოვს
და ეს ზამთარი ისე ციმციმებს,
არ ჩაედინოს ჯერ ცოდვა თითქოს...

მე კი წყაროს წყალს დავლევდი
ხარბად.
მაგრამ, ვაი, რომ ყინვად ქცეულა!
შენ ნამდვილ სახეს დავეძებ ახლაც
და ამ ლამეში დავალ ვულად.

აწევს მიდამოს ბურუსი მრუმე,
ძებორციელი არსად ჭაჭანებს,
დაუფლებია ზამთრის სიჩუმე
თოვლით შემოსილ ამ მოებს, ამ
ჭალებს...

ეს რა ხანია, აღარ მიკარებ.
თანდათანობით ნისლით ივსები
და უკუნეთში მიაქვთ ცივ ქარებს
მზით ამოვსილი შენი სიზმრები.

3. ვუკი — ვუკი ბრანკოვიჩი — ერთ-ერთი სერბი დიდგვაროვანი, რომელმაც კოსოვის
ბრძოლაში თანამებრძოლებს უღალატა.

4. ობილიჩი — მ-ლოშ ობილიჩი — ლეგენდარული გმირი, რომელმაც ამავე ბრძოლაში თა-
ვი ვამოიჩინა, მოკლა აჟრქეთას სულთანა.

ალექსა შანტიჩი

დღესასწაულის შემოლოცვა



ირგვლივ სანთელის იღვრება შუქი,
ჩემს მარტოობას ეს თუ ამშვიდებს,
ძველი საათის ტიქტიკი ჩუმი
ასე ძალიან მოგავს მაშინდელს.

გარეთ ყოველი სუსხით ირთვება,
მე კი ლულუნა ლუმელით ვთბები,
დღესასწაულის წინა ფიქრებმა
მოგონებების შეისხეს ფრთები;

ოდესღაც ისე, როგორც ამ ღამით,
ხატის წინ ახლოს, იქვე სარკმელთან
იწვოდა, თრთოდა სანთელი კრძალვით,
ირგვლივ საკმეველის სურნელს აკმევედა.

გაფარვარებულ ლუმელის ტკაცანს
ემატებოდა ბავშვთა ეივილი,
იზმორებოდა ცუგრია ზანტად,
ეზოს იკლებდა ქარი კივილით.

ტახტის მახლობლად დედა მშობელი,
ჩვენთვის შებმული ათას განსაცდელს,
უკვე მომდგარი კარზე შობისთვის
ჩვენ გვიკერავდა ახალ ტანსაცმელს.

და მარჩენალი წვრილ-შვილის
ოფლით,
ჩვენი მამიკო კეთილი, გამრჯე,
ოჯახისათვის ღმერთების ტოლი,
მოძალებულ ძილს იფრთხობდა
მარჯვედ.

უკრავდა გუსლეს, მის ხმაზე ქარი
ჩვენთან შემოჭრას ურცხვად ლამობდა,
ბებო კი, ხატთან მოდრეკით მდგარი,
ღმერთს ავედრებდა შთამომავლობას.

ეხლაც ისევე იწვის სანთელი
და შემოლოცვის უამიც დამდგარა,

შემოპარული ქარი სარკმელით
ამაოდ დაქრის მტვრიან
საკრავთან.

და ელის ხატი ლოცვას აღვლენილს,
მაგრამ არა ჩანს არსად მლოცველი,
გაფოთლილია გულში ნალველი,
ვეძახი სულელებს დროით მოცელილს.

უსაზღვროდ მტკივა მე სიმარტოვე,
ქარის კივილიც, მგონი, მაშინებს,
და თუ ეს შიში არ მიმატოვებს,
მე მოჩვენებებს ვნახავ საშინელს.

სიზმარია თუ არის სიცხადე,
შროალს იწყებენ ძველი წიგნები,
გარეთ ბურუსი წვება მიწაზე,
გაკვირვებული სმენად ვიქცევი.

თითქოს ათასი ჩიტი აფრინდა,
შეიფრთხილეს ერთად წიგნებმა.
ამის მნახველი ღამეც ფანჯრიდან
სულ მთლად ჰკუიდან შეცდეს იქნება.

გაბრწყინებული ათასფერ შუქით,
დანაეარდობენ წიგნები წყებად.
არ მეჩვენება დაბნეულს თუკი,
ერთი მათგანი კანდელთან წვება.

აქლარუნდება სუყველა ერთხმად,
გაოგნებული ვერ ვარჩევ სიტყვებს,
ხმას გაიკმენდენ წიგნები ერთხანს,
მერე იმათგან ერთ-ერთი იწყებს:

რისთვის ნალვლობ და რისთვის
ფითრდები,
ან რა ნალველი გაწევს მუდამყამს,
გადაიყარე ბნელი ფიქრები,
გულს ჩაიბეჭდე ჩვენი მუდარა.

ჩვენ მართოსულთა ვართ მეგობრები და ღამთაღობით მოგვაქვს შორიდან
 და ანთებულ სანთლები წმინდა წაქნობი სუნითვე გარდაცვლილების.
 აღარ მოვაწყენთ, ვინც მოგვივოსება,
 ხელში აგვიღებს და წაგვიკითხავს. მთლად დაიფრთღა ხატისა სანთელი,
 და შემოღოცვი, ეხმი გავიდა,
 მომავალს, წარსულს და აწმყოს შორის ჩუგაშცემული სუნითვე
 მაერთებელი ჩვენ ვართ სიმები. ახლა სიციცხლეს იწყებს თავიდან.

შეზოგროვა

სიციცხლეს ჩვენსას იღუშალო ბინდი ებურვის.
 საგაზაფხულო სიყვარულსაც მოელო ბოლო,
 შენი თვალები არ ბრწყინავენ უწინდებურად,
 მათში ჩაღველი აღანდება მხოლოდ და მხოლოდ.

როდის აძგერებს ყვლივ ჩვენს გულებს ტრფობა ფარული,
 შენი შეხება აღარა მგავს უკვე აღჩინდელს.
 ნეტა სად გაქრა ძველი ცეცხლი და სიყვარული,
 ფრთებჩამოყრილი ოცნებებით სადღა გავფრინდეთ?

შორით ვიხსენებ ჩველი აღერის, მწველს და ვნებიანს,
 ხანი გაგვეჯღა ერთმანეთზე ჩუმი საუბრით,
 ახლა, ძვირფასო, ჩანს, ჩვენც სიბრძნე მოგვმატებოა,
 საკუთარ თავზე ღაპარავს რომ ასე გავფრბით.

ჩვენი სიციცხლის გაზაფხული უკვე დასრულდა.
 მწვანე ველ-მინდვრებს დასდგომია ეამი მოცეღვის,
 მზე სიყვარულის ჩაფრთხილი და გარდასულა
 და ახლოს მოჩანს სასაფლაოს შავი ბორცვები.

გოგია

ადრიატიკის პატარძალი, ღამთობოქავ,
 გაუმხელელი სიყვარულე შენდამი მბორკავს.
 მალლა ცისფერი აბრეშუმში გადაგფენია,
 მშვენიერებით დაგაზავრავს ყველა ფარია.

ნეტამც შეხი ზღვის დაუღვარ ტაღლად მატკია,
 სულ რომ გეფარო, დაფრთხილ ვართა პაჭოა,
 მერე ლოყენზე? გადმოდგება თანად უფალი
 რომ შენი თავი შეგაფრთოთ თანაფრთა.

მისკენ გაფრენილ არწივების სულთა სანაცვლოდ
 იქნება ღმერთმა ბორკილები შემოგაცალოს.
 მაშინ კი ნახე, სიხარულით რომ ავმალდეებით,
 თავისუფლების ჰიმნს გამღერებთ შენი ტალღები.



ჩვენ კარგად ვიცით...

ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა მოგველის,
 სიკვდილი ჩვენზე ხელს ვერ აღმართავს.
 ეს ხარებს მისცა ღმერთმა უღელი,
 თავისუფლება — კაცს და სამართალს.

და ვით მდინარე გადარეული
 დიდი მიზნისკენ იმგვარად მიექრით,
 წინ მიგვიძღვება ხალხის რჩეული
 კვლავ ჩვენზე დარდით და ჩვენზე
 ფიქრით.

ვერ შეგვაჩერებს სიკვდილის შიში,
 ან მონობაში ყოფნა რას გვარგებს.
 ჩვენ ყველა სიკვდილ-სიცოცხლით
 ვიშვით,
 სიკვდილ-სიცოცხლეს ღმერთი განაგებს.

და მერე, როცა შმაგი სიცოცხლე
 აფეთქებული ბოლოს ჩაქრება,
 საიქიოდან ისევ ვიბრძოლებთ
 თავისუფლების გადასარჩენად!

ნუ დაუჭერებ...

ნუ დაუჭერებ ჩემს ფიცით ნათქვამს
 და ნაირ-ნაირ ლექსებს საჭებარს,
 დრო ყოველივეს წაიღებს, ჩანთქავს,
 უმაქნის სიტყვებს ეამრ გაქვლავს.

მთვარის ნიშანზე ჩემთან მოფრინდი,
 გულისფანცვლით მოგელი ისევ,
 და დადილული გული ლოდინით,
 გაიგებ, როგორ თრთის და გიზგიზებს.

ნუ დაუჭერებ, ოღონდაც ღამით,
 როს მთვარე სხივებს იხმარს ფუნჯებად,
 დაგელოდები შეხვედრის განცდით
 იების სუნთქვით გამთბარ ბუჩქებთან.

და სიყვარული, მაშინ მიხვდები,
 აღარ დაგიღვეს ლექსს და საუბარს,
 მას გულებს შორის მტკიცე ხიდები
 დუმილითა და დაგვიტ გაუბამს.

დანიცა მარკოვიჩი

კანტონე

დასალიერით მზე ჩამავალი
 ავარაყებდა მთათა წვეროებს,
 მინდვრის გადაღმა აშოლტილ ალღებს
 სიო და მწუხრი ერთად სწვეოდნენ.

აცანცახებდა ოთახს დაისით
 ნაკარნახევი მუსიკა სულის,
 საღამოს ხანის სევდით დაისრულთ
 ეპარებოდა ყვავილებს რული.

ნაბიჯების ხმას შენსას ფარდაგზე
 ეს უნაზესი ჰანგიც ფარავდა,
 აღარ ჩქარობდა წასვლას თავად მხუცს,
 გატრუნულიყო დაღლილ საკრავთან.



ეროვნული
 ბიბლიოთეკა

მომიახლოვდი, ცხელი ცრემლები
 მწვავდა და ხმამაც წაიბოროძიკა,
 — „გიყვარვარ ისევ?“ — მკითხვე
 ვედრებით
 და უჩვეულოდ ასე მორჩილად.

უწინდებურად ბრწყინავდი ახლაც,
 მეტ ეშხს გაძლევდა ღელვა ფარული,
 შავ თმათა ბზინვას სურნელი ახლდა
 მინდვრის ყვავილთა ანდამატური.

მიყვარდი, მაგრამ შენი მშვენიება
 როდი გამოდგა გულთა კავშირად,
 ვერ მომაგებე სული მშველელად,
 რწმენის კოშკებიც უკვე ჩაშლილა.

და სულს, რომელიც გალობდა ლაღად,
 ძლივს შერჩენია სევდის ღიღინიც,
 დედის ლამაზი სურათი მაღლა
 ძველი სითბოთი აღარ მიღიმის.

„მხოლოდ წარსული მიყვარს, არ
 ვმაღავ“.

გიპასუხე და მაინც მაკოცე,
 ამოიკვნესა საკრავმა შმაგად,
 ბოლო აკორდი იყო კანცონეს.

ველარავისთან გამოვძებნე რამე საერთო,
 და მეც ეული აღარავინ არ მომინდომა,
 ტანჯული სული ამა სოფლად ველარ გაერთო,
 აწყვეტილ ქარებს თან მოჰქონდა სევდა მინდოროთა.

მოგონებები გამოვიხმე წარსული გზებით,
 ძველ ბილიკებზე ხეტიალი გულით ვისურვე,
 ჩავლილმა ქამმა კვლავ აღმანთო ძველებურ გზნებით
 და შევიგრძენი გარდასულის მთელი სისრულე.

მწარე ფიქრებში გავიარე სახლის გზა გრძელი,
შენი სურათი, შეფიცული დად სიმარტოვეს,
მშვიდად მიცქერდა მტვერში მოსვრილს და მე

ვიგრძენი



ქართული

ბიბლიოთეკა

ჩემი წარსულიც, მომავალიც შენ ხარ მარტოდენ.
ღალატს ვით შევძლებ, სიყვარულის ფიცით შეკრული,
ერთხელ ნათქვამი კეშმარიტი სიტყვა არ კვდება.
ღვთის ყვავილივით ჩემი სული არის ერთგული,
ხატთან დადებულს სურნელება რომ არ აკლდება.

იოან ღუბინი

მზესუმზირები

წუხილად გაწევთ ცა ნისლიანი,
თვალეებში სევდად გიკრთით სამყარო,
ამ უკულმართმა დროის ტრიალმა
ამდენი ურვა უნდა გაკმაროთ.

და მეფეები ძალით უღვევით,
რომელთ წინაშე ქედს ხრიდა ყველა,
ღღეს კი, დრო-ყამით განწირულები,
თავად ტირილით ითხოვენ შველას.

აშრიალდებით სიბნელის შიშით
და იწყებთ მერე სინათლის ქებას:
„ის, რაც ანათებს, არის ღვთის შვილი,
შუქზე სიცოცხლე აროდეს ქრება“.

მზესუმზირების მზერას ელვიანს
არ გამორჩება ამბავი ერთიც,
მზის ამოხდომას ჩუმად ელიან
და მათი ფიქრი სივრცეებს ერთვის.

ვინც აღარ ელტვის სიმაღლეს, ბნელში,
უკუნ ქვესკნელში იკეთებს ბინას,
ის შეწყალებას ტყუილად ელის,
მისი ცოდვისგან ეშმაკიც გმინავს.

ჯერ ცხრა მთას იქით ისვენებს მზე და
სიკვდილის შიშით იღვევით უხმოდ,
ნუ შეშინდებით, მზის შვილებს ზეცა
სიკვდილის მერეც თავისკენ უხმობს.

მილეტა იაკობიძე

მარიას პირბადე

ღრუბლებს მოლურჯო ფრთების
ფარფატი

მიჰყავთ მალლა და მიუხარიათ,
ნიშნად შიწასთან გამოთხოვების
თითქოს პირბადეს გვიქნევს მარია.

ოთხივე მხრის კარი ამოვარდება,
უნდათ დაჯაბნონ სუყველა გლოვით,
დაპატრონების მწვანე ჭიდილში
ნაკუწ-ნაკუწად ატყევენ ქსოვილს.



ზამთრის პირზე კი, როცა უსაქმოდ
მზე გასართობად სტუმრობს გორაკებს,
დრო კი ყველაფრის ბატონ-პატრონი
ტყე-ველს სიჩუმის სამოსს მოარგებს.

ჰაერში ნელა დაქანაობენ,
იდუმალემა იპყრობს მნახველებს...
ოღონდ ათასში ერთი შეამჩნევს
მისი პირბადის ფერმკრთალ ნახევებს.

ლა80

საიდან მოხვალ, იდუმალო,
უკუნო ღამევე?

სად იმალები ზაფხულის დღის
სიმხურვალეში?

იქნებ ზღვის ფსკერზე
ჩაიღვენთე და ჩაიშლაამე,

ან იქნებ გათბობს წყალთა ნიმფის
ჩუმი ალერსი.

მერე მოდიხარ და ლოდინით
გათანგულ წყვილებს

შენი დუმულის და სიბნელის
სხივს უნაწილებ.

ავგაროზად კი სატრფო ყელზე
მარჯნებსა გვიღებს

და მოციბავე მარგალიტებს მოგიძღვნის და ბოროტ დოესთან კვლავ მომელის
კიდევ. მწარე გამოცდა.

შენ ტანს ნესტის და ზღვის ბალახის
სურნელი ასდის,

სიყვარულისგან დალოცვილი
მალღებები ცამდის,

ნუ აჩქარდები, ნუ ისურვებ
ზღვაში ჩაძირვას.

თორემ მიჯნურებს სიყვარული ისევ
გაგვეწირავს.

უკვე თენდება ახლოსაა
დილის რიყრაყი.

დღე მობრძანობა მზის დაირით
ხელი, გიუმაყი,

ვერ მოვასწარა სიყვარულის
თასის გამოცდა



1. ბოცა — ჩერხოგორის ერთ-ერთი უღამაზესი ადგილი ზღვის პირზე.

2. ლოგჩენი — მაღალი მთა იქვე.

თარგმანი რუსულიდან თეატრალაგმა.



(კოლოზინი)

მ ერთმეტ აგვისტოს — კოქტებელში — ნაშუადღევს თორმეტ საათზე მიიწვალა პოეტი მაქსიმილიან ვოლოზინი.

ამ სტრიქონების წაკითხვისას ჩემი პირველი გრძნობა — თუმცაღა მისმა სიკვდილმა თავზარი დამცა — იყო კმაყოფილება: მიიწვალა ნაშუადღევს, თავის ქამსა და საათს.

ვითომ სიცოცხლის ქამსა და საათს? არ ვიცი და ვერაფერს ვიტყვი. მუდამ დროული და თან არადროული გახლავთ პოეტისათვის იმქვეყნად წასვლა. ასაკის წლებთან უფრო ნაკლები აქვს მას კავშირი, ვინემ წელიწადის დროებთან და საათებთან, მაგრამ როგორაც არ უნდა იყოს, მოკვდა იგი დღის და ბუნების თავის საათზე, ნაშუადღევს ხანს, როცა მზე ზენიტშია, ანუ თხემზეა მოქცეული, როცა ჩრდილი ძლეულია სხეულის მიერ, სხეული კი ქვეყნიერების სხეულშია განზავებული — თავის ქამსა და საათს, ვოლოზინისეულ ქამსა და საათს.

და უეჭველად ბუნების თავის საყვარელ ქამსა და საათს, რამეთუ 11 აგვისტო (ახლით, ანუ ძველით ივლისის ბოლო), — აშკარად გახლავთ წლის ნაშუადღევი, სწორედ ზაფხულის გულისგული.

და უეჭველად კოქტებლის მისეულ ქამსა და საათს, თავის უთვალავ იერთაგან იმ მზის იერთით რომ გვებეჭდება, ვინც განუწყვეტლივ ჩამოგვცქერის ღმერთის დარად და ვისი ცქერაც შენ თავად არ შეგიძლია.

კოქტებლის ნაშუადღევს მზის ეს ნიშანი ყველას შუბლზეა აღბეჭდილი, ვისაც ოდესმე მისთვის შუბლი მიუშვერია. ესდენ ძლიერი მზისა, რომ მის რუჯს ვერა მოსკოვის ზამთარი და ვერა მარწყვის საპონი ვერ ამორებდა, და ესოდენ კეთილისა, ორმოცდაათი გრადუსის მიუხედავად — პირველიდან სულ ბოლო დღემდე — ათეულ წლობით ანიჭებდა პოეტს ამ ორკეც სიმბოლოს: ყოვლისგან ზენარ თავისუფლებას და ზენარ პატივს; თავშიშვლად ყოფნას, როგორც ტაძარში.

ვწერ და ვხედავ: ზევსის თავს, დადგმულს ღონიერ მხრებზე, ხოლო გრუზა. წარმოუდგენლად ჩახუჭუჭებულ თმის ხვეულებზე უცილობელ აბზინდის წვრილ წნულს. უჭკუონი სტილიზებად რომ მიიჩნევდნენ, ისევე როგორც მის თეთრ ბალახონს, დიდხანს რომ იყო გაცხარებული დავის საგანი (მეტადრე ქალთა შორის), ეცვა თუ არა მის ქვეშ შარვალი.

ტილო, აბზინდა, სანდლები — ამაზე სუფთა და მუდმივი რა უნდა იყოს, ან კი რად უნდა ეკრძალებოდეს ადამიანს ამჯობინოს სუფთა და მარადიული სამოსელი (ტილოსავით რომ ირეცხება), კიდევ ახალ-ახალი სანდლები და აბზინდის წნული (ქალაქურ) და შემთხვევით (მოდურ) სამოსს? ან ქალაქურზე და მოდურზე საშინელი რა უნდა იყოს ზღვის ნაპირზე, მეტადრე ასეთ ზღვასა და ასეთ ნაპირზე! ჩემი ფორმულა სამოსელისა ასეთი გახლავთ: ის, რაც

ქარში უშნოდ მოჩანს, სიმახინჯეა. ვოლოშინის ბალახონი და აბზინდის წვრილი გვირგვინი ქარის დროს იყო — დიდებული.

მაშასადამე, მიიცვალა თავის ქაშსა და საათს — ნაშუადღევს ამ სიტყვას, ანუ სიტყვა ნაშუადღევს თვითაც სიამოვნებით უყვარდა სიტყვის არქაულობა და წონადობა, მაშასადამე კოქტებლის თავის ქაშსა და საათს. რჩება მეოთხე და ხოლო ნაშუადღევი დღის ყოველი საათიდან არის ყველაზე სხეულისმიერი, ნივთიერი, უჩრდილო და უსიზმროდ მძინარ სხეულებით, ხოლო თუკი სიზმრებით, — ერთი მთლიანი მიწიურ სიზმრით. და იმავე დროს ყველაზე მაგიური, მითიური და მისტიკური ქაში დღისა, ისეთივე მაგიურ-მისტიკური, როგორც ნაშუადღევის ქაში დიადი პანის, Demon de Midi-ის და ჩვენი უბრალო რუსულ ნაშუადღევის ჭინკისა, რომელზეც ჩემს ბავშვობაში, კალუგის გუბერნიაში, თავად გამიგონია: „ლიონკა, წამოდი საბანაოდ!“ — „არ წამოვალ: ნაშუადღევის ჭინკა ჩამითრევს“. მაგია, მითიკა და მისტიკა თვით მიწისა, ყველაზე მიწიური შემადგენლობის!

ასეთივეა ვოლოშინის შემოქმედებაც, სადაც, პოეტესა ადელაიდა გერციკის ქალურ-გენიალურ-უშუალო თქმისა არ იყოს, ხმელეთზე ნაკლები ზღვასა და მდინარეებზე მეტი ნაპირები, ვოლოშინის შემოქმედება — გახლავთ მკვრივი, წონადი, ლამის თვით მატერიის შემოქმედება, ვისი ძალაც ზეგარდმო კი არ ბოძებულა, ქვემოდან მოდის, იმავე ძირის-ძირობამდე გამობარ კი არა, ლამის დახრუკულ, კაეიფით მაგარ მიწისაგან, რომელზეც ამდენა უვლია მას და რომლის ქვეშ ახლა განისვენებს, რამეთუ ეს ზორზობა, თითქმის სარაკოდ ზორზობა კაცი („შვიდი ფუთი ვაჟკაცური სილამაზისა“, როგორც თვითონ გაუწყებდა მოკრძალებულად) სიარულის გასაოცარი, დაუღალავი და გაუმძაღარი ტრფიალი გახლდათ, და მის დაძარღვულ სანდლებიან ფეხებს ისევე მჩატედ დაჰყავდათ და იმ სიმაღლეზე აჰყავდათ ხოლმე, როგორც თხებს — მათი ფეხები. პოი, რამდენდენჯერ მე და იგი — სიცხისგან აწკრიალებულ ბილიკებით თუ სულაც უბილიკებოდ, პაპანება ნაშუადღევის ხანს თავშიშველნი, ჯოხის, ხელების მოუშველებლად, პირში კენჭებით (ამბობდნენ, წყურვილს ჰკლავსო, თუმცა ქაქანის წყურვილს ის ვერ გვიკლავდა), მაშასადამე, კენჭებით პირში, თუმცა მიუხედავად კენჭებისა და მიუხედავად სულ ერთად ყოფნის — როგორც ეს წუთია შეყრილი მეგობრები — შეუწყვეტელ საუბრისას და სიარულისას — საათობით — და წლიდან წლობით ზაფხულობით, სულ მადლა და მადლა მივისწრაფოდით. ოფლი გვდიოდა და ზედ გვაშრებოდა, თუმცაღა მხოლოდ გვაშრებოდა, ჩამოდენას ვეღარ ასწრებდა, საუბარი კი არ შრებოდა — იგი ისევე დაუღალავი მოსაუბრე იყო, როგორც მოსიარულე ახრთა და სიტყვათა გზების შინა. დაბადებული მოსიარულე, და ისეთივე მთებზე მძრომელი.

თუმცა ასეთად არ მჩვენებია ტრიოხპრუდნიზე ჩვენი მოსკოვეური სახლის დარბაზის კართან, ო, ასეთად სულაც არა! ზარმა დარეკა, კარი გავალე, ზღურბლზე ცილინდრია. ცილინდრიდან კი გამომყურებს უსაზომო სიფართოს სახე არცთუ გრძელი ხუჭუჭა წვერის ჩარჩოში.

შემპარავი ხმა: „მარინა ცვეტაევას ნახვა თუ შეიძლება?“ — „მე გახლა“

1. ნაშუადღევის დემონი (ფრანგ.).

ამჯერად, ვიდრე ხელს ასწევდა, მე დაეასწარო:

— ოღონდ გაფრთხილებთ. უსათვალოდ ვერაფერს ვხედავ, იგი დინჯად;

— თქვენ დანახვა არც ვჭირდებათ. ეს მე უნდა დაეხსნათ ერთი ნაბიჯით უკან იხვეს და მიცქერდება:

— საოცრად ჰგავხართ რომის სემინარიელს. ალბათ ხსენებდებიან?

— არასოდეს, იმიტომ რომ გადახოტრილი არც არავის ვუნახავარ.

— აბა რატომ იხოტრავთ?

— იმად, რომ ჩაჩი დავიხურო.

— და მუდამაც გადაიხოტრავთ?

— დიახ, მუდამ.

ალშფოთებული:

— ნუთუ არავის მონდომებია იმის გაგება, თავის მოყვანილობა როგორი

გაქვთ? პოეტისათვის თავი ხომ — უმთავრესია!.. ახლა კი მოდიეთ ვისაუბროთ.

პოდა, ვსაუბრობთ იმაზე, თუ რას ვწერ, როგორ ვწერ, ან რა მიყვარს და როგორ მიყვარს — მთელი გულგახსნა ბეორის მიმართ, წვედომა, ჩაწვედომა, ბეორის სახისა და სულისათვის თვალუმორებელი — თანაც როგორ თვალუმორების, ლამის თეთრების, ტკივილამდე გამჭრიახების (ასე ხოლმე ცრემლი გადგება, როცა ძლიერ შექს უცქერ, ოღონდ აქ შექი თვითონ გიცქერის), თვალუმორების კი არა, ბურღებისა, მართლაც გამჭვრეტელების, ხოლო რაკი არცთუ დიდრონი თვალუმორებია, ოღონდ უფრო დიდის დამნახველნი — მიტომაც უფრო დასანახნია, გარეგნულად კი: ზღვის წყლის ორი წვეთი, შიგ რომ გუგები ამოუწვიათ, გუგებს იქით კი რა — ანთია? არაფერი, ასეთი შხეფები რჩება ხოლმე ხელებზე, როცა ვალოშინის ლამყულ ბალში ყვირილით გარბი-გამორბიხარ: ჩქარა! ჩქარა! ზღვა ანათებს! ზღვის წყლის არა ორი შხეფი, არამედ ზღვის ცოცხალი ფოსფორის ორი ნაბერწკალი, ცოცხალი წყლის ორი წვეთი.

ამ შხეფრავი თვალუმორების გამო მე, ისედაც ფრიად ველური, კიდევ უფრო ველური ვხდები, კი არ ვხუმლები, ენად ვეკრიფები: სულ პირადზე, სულ—ხედმეტებზე, ნაპოლეონზე, სიყრმიდან ჩემს სიყვარულზე, ნაპოლეონ II-ზე, როსტანის „Aiglon“-ზე, სარა ბერნარზე, ეისთანაც პარიზში გიყვით გავესწრაფე, მაგრამ ვინც შინ არ დამიხვდა და ვის გარდაც მაინც ვერაფერს ვერ ვხედავდი— იმ პარიზზე, მოაგრული N რომ ასწერია თუ შენობათა შუბლზე თუ ხვედგან — მის პარიზზე, ჩემს პარიზზე.

ტუჩები მიღიმიან, თვალნი — ბურღები მიცქერიან, მისმენს და, როცა სულის მოსათქმელად წამით ეჩერდება, მყის ჩააქერებს:

— ბოდღერი არასოდეს გყვარებიათ? არტურ, რემბოს იცნობთ თუ არა?

— ვიცნობ, არ მიყვარს, არც არასოდეს შემიყვარდება. მიყვარს მხოლოდ როსტანი და ნაპოლეონ I და ნაპოლეონ II — ჩარიგ ვწუხვარ. მამაკაცი რომ არა ვარ და იმ დროს არ ვცხოვრობდი, პირველს წმ. ელენეზე, მეორეს კი შენბრუნში გავყოლოდი.

დაბოლოს, როცა სუნთქვა მთლად შემეკრა

— თქვენ აქ ცხოვრობთ?

— დიახ, ანუ აქ არა, ცხადია, არამედ

1. „მაროვე“ (ფრანგ.)

— გესმის: შენბრუნში. და წმ. ელენეზე, მაგრამ მე იმას გვეკითხებით: ეს თქვენი ოთახია?

— ეს საბავშვო ოთახია, ყოფილი, ცხადია, ახლა კი ჩემი დინ ასობისა.

— მე მინდოდა თქვენი მენახა.



მივყვები, კაიუტასავით ოთახია, წითელ მინდორზე ოქროსფერ მარტოვანი: (შპალერი მე ავარჩიე: მინდოდა ნაპოლეონის ფუტკრებით, მაგრამ რაკი მოსკოვში ასეთი არ აღმოჩნდა, ვარსკვლავებს დავყაბულდი) — საბედნიეროდ, ამ ვარსკვლავებს თითქმის მთლიანად ფარავს ჟერარის, დავიდის, გროს, ლავრენსია, მეისონეს, ვერეშჩაგინის მამისა და ძის პორტრეტები — თითქმის სახატემდე, სადაც ღვთისმშობლის ადგილზე ნაპოლეონის სურათია, ცეცხლმოკიდებულ მოსკოვს რომ გაჰყურებს. ვიწრო დივანთან საწერი მაგიდა დგას — სხვა არაფერი.

— რა სივიწროვეა! — თუმცა შესვლა არც უცდია.

ბარემ აქვე ვიტყვი არაკად ქცეულ მის სიმსუქნეზე. ჭონის სიჭარბედ მე ის არასდროს აღმიქვია, მუდამ სიცოცხლის სიჭარბედ ვთვლიდი. ასედაც იყო. რამეთუ მჩატედ დაატარებდა (მინდა ვთქვა, სწორედ ეს სიმსუქნე დაატარებდა) და ეს მისი შვიდი ფუთი სიცილს არასდროს არ იწვევდა, მუდამ დინჯ გრძნობებს, ქალებში — სიყვარულს, მამაკაცებში — მეგობრობის გრძნობას ბადებდა. იმათსა და ამათში კი რაღაც წმინდა თრთოლვას, რაიც ნებას არასოდეს არ გაძლევდა საბოლოოდ, მთელი არსებით დაახლოებოდი და რაიც მუდამ დიდ ბარიერს წარმოადგენდა ღვთაებრივი პატივისცემის ანუ მისი ღვთაებრივი წარმოშობისა, ფიზიკურადაც რომ მინიჭებოდა ხვადი კატის საოცარი ღიბის სახით.

— რა ვიწრო ოთახია!

მართლაც არათუ მთელი სივრცე, არარსებული, არამედ მთელი ჰაერი გამოდევნა მისმა ზევსისებრ მოვლინებამ, მარტო მისი თავი კმაროდა, სხვა არაფერი დატეულიყო. რაკი დაჯდომა ან გაძრომა მას არ შეეძლო, საუბარს ზეზე განვაგრძობდით.

შემპარავი ხმა:

— ფრანს ეამი არ წაგიკითხავთ? ან კლოდელი...

მე ისევ ჩემსაზე ვდგავარ, ანუ ვამტკიცებ ჩემს სიყვარულს არა ფრანს ეამსა და კლოდელისადმი, არამედ — როსტანის, როსტანისა და როსტანისადმი.

ახლა შენმა ბრწყინვალეებამ თვალი უნდა დახუკოს...

— გესმით Ton (სიყვარული) — და მაინც Altessel!

სული, ვისთვისაც სიკვდილი მხოლოდ ხსნა იყო...

— ვისთვის — არ არის?

დე განისვენოს თვისი ორმაგი ციხის,

თვისი ბრინჯაოს კუბოსა და მუნდირის შინა.

— გესმით, რომის ხელმწიფე ავსტრიელისაში დაასაფლავეს.

მისმენს გაფაციცებით, თუმცა ვხედავ, როსტანს კი არა, მე უფრო მისმენს, ჩემს ჩვიდმეტ წელს მთელი მისი სიწმინდით — არ მედავება — ოლონდ შიგადაშიგ — გაუბედავად:

— ანრი დე რენიე არ წაგიკითხავთ — „ორგზის ხასა“? ან სტეფან მალარმე... — და უეცრად — ნაპოლეონ მეორესადმი ვიქტორ ჰიუგოს ოდის შუა — არა შემპარავად, არამედ ჰაიპარად:

— არ შეიძლება სადმე სხვაგან წავიდეთ?
 — რაღა თქმა უნდა, მაშინ ქვემოთ, მაგრამ იქ შვიდი გრადუსია, სითბო მეტზე არ აღის.

უკვე ხმაჩაწყვეტით:

— მე კი ასეთმა მაქვს, და ვერც დაბალ ქერს ვიტან — სულს მებუთება.
 ფრთხილად ჩამყავს მეზონინის ვიწრო კიბეზე, სულს ვართყვანავ და გაყინულ დარბაზში, სადაც მთელი სულითა და სხეულით ამოისუნთქა და ტკბილი ღიმილით, უნაზესი ხმით:

— მგონი, თვალები იმიკრელეს — იმ ვარსკვლავებმა.

მამაჩემის კაბინეტში ვართ, მალლა, კარადაზე ზევსის ბიუსტი დგას.

ის დივანზე ზის, მე დივნის მუთაქაზე (ანუ — უფრო მალლა), ვმკითხაობთ, ანუ ის ჩემს ხელისგულს დაჰყურებს, მე მის კოსროს, ზედ კოსროს მორევს: ანუ თმის მორევს, მკითხაობიდან, რომ არ მოვიტყუო, მხოლოდ ეს მახსოვს:

— თუ ვინმე გიყვართ, მუდამ გწადიათ მისი წასვლა, მასზე რომ იოცნებოთ. რაც მეტ მანძილზე წავა, მეტი დრო გრჩებათ საოცნებოდ. ჰო, მართლა, უნდა წავიდე, ნახვამდის, დიდად გმადლობთ.

— როგორ? უკვე?

— თუ იცით, რამდენ ხანს ვისაუბრეთ? ხუთი საათი, ორზე მოვედი, ახლა შვიდია, მალე ისევ მოვალ.

ცარიელი დერეფანი, სადარბაზო კარის კრიალი, ნაბიჯების ქვეშ ხეფენილის კრაჭუნის გარეთ, კიშკარი და...

თუ ვინმე გიყვართ, მუდამ გწადიათ მისი წასვლა, მასზე რომ იოცნებოთ.

— ჩვენი სტუმარი, პატარა ქალბატონო, განა წავიდა?

— ეს წუთია გავაცილე.

— კი მაგრამ, არა გრცხვენიათ თავხოტორა რომ ეჩვენეთ — ასეთ ფაშა ფაშა ბატონს, ასეთ თმახუჭუჭას? ცილინდრითაც რომ გეახლათ — სასიძო ხომ არ იყო?

— არა, მწერალია. ჩაჩის მოხსნა კი თვითონ მთხოვა.

— ჰოო, თუ მწერალია — მან უკეთ იცის, ძაან მომეწონა, როცა ჩაი მოგართვით: ფაშაფაშა, თეთრყირმიზა, დარბაისელი, ღიმილიანი, წვერიანიც, არ გეწყინოთ კი, პატარა ქალბატონო, მაგრამ, ერთობა — უჰ! ძაან მომეწონეთ: ისე გიცქერდათ, ისე გიცქერდათ: ლამის პირში ჩაგიძვრათ! ან როდისმე იქნებ ცოლადაც გაჰყვეთ? ოღონდაც ნაწნავი მალე გაგეზარდოთ!

ერთი დღის შემდეგ წერილია, გავხსენი: ლექსი იყო:

სული ეადენ ლხენით თქვენკენ ისწრაფვის!

ჰოი, რა მადლი ქრის

თქვენი საღამოს ალბომიდან!

(რატომ ალბომი, არა რვეული?)

რად მალავს შავი, თალხი ჩაჩი

შუბლის სიწმინდეს, თვალებს

რისთვის უნდათ სათვალე?

მე შევამჩნიე მხოლოდ მორჩილი მზერა

და ოვალის ლოყის ბავშვური

დღეს ვწევარ — ნევრალგია მაქვს,

ტკივილი ჩემი ვიოლენჩელოს ედერის დარია...

თქვენი სიტყვების ამო შეხება.

და ლექსები, ფრთაშესხმული საქანელანი,
ტკივილს მიუყრებს: ჩვენ ამქვეყნად მიუსაფარნი,
იმადღა ვცოცხლობთ, რომ ნაღველის
თრთოლვა ვიგემოთ...

ვისი გრილი თითები ამ სიბნელეში
საფეთქლებზე მითათუნებენ?
თქვენი წიგნი — იმ ქვეყნის ხმაა,
დილის ცისკრის ნეტარი ხმა.
მე სასწიულის რა ხანია აღარ მჭერა,
და რა ტკბილი მოსასმენია — რომ მაინც არის!



აღტაცებისაგან ლამისაა გავიფხრიწო (მთელ სიცოცხლეში პირველი კარგი ლექსი, სხვებსაც ბევრი უძღვნიათ, ოღონდ უხეირონი), თავს ძალას ვატან, ღიმილს სულში ვიბრუნებ — შინაურებთან, რა თქმა უნდა, კრინტს არა ვძრავ! — და დღის ბოლოს ჩემს ერთადერთ, ჩემზე ოცი წლით უფროს მეგობარ ქალთან მივდივარ, ვისთვისაც უკვე ნაამბობი მაქვს მასთან პირველი შეხვედრა, და დერეფანშივე უხმოდ ვაწვდი ლექსს.

იგი კითხულობს:

— „სული თქვენკენ ლხენით ისწრაფვის — პოი, რა მადლი ქრის — თქვენი საღამოს ალბომიდან — რატომ ალბომი, არა რვეული?“

წყვეტს კითხვას, და:

— რატომ — ალბომი? ასე უთხარით, რომ რვეულში გიმნაზიაში წერთ, შინ კი — ალბომში. ჩვენ სმონიში ლექსებისთვის ყველას ალბომი გვქონდა.

რად მალავს შავი, თალხი ჩაჩი
შუბლის სიწმინდეს, თვალებს
რისთვის უნდათ სათვალე?

აი, ხედავთ, იმანაც შეამჩნია, მართლაც უცნაურია: ყმაწვილი გოგო და უცბად — ჩაჩი (თუმცა ხოტორა თავი უარესია) და კიდევ ეს საშინელი სათვალე! იგი მუდამ გეუბნებოდით... „მე შევამჩნიე მხოლოდ მორჩილი მზერა და ოვალი ლოყის ბავშვური“. — ეს კი დიდებულია! ბავშვურიო ანუ საოცრებამდე ბავშვური! „ვწევარ — ნევრალგია მაქვს — ტკივილი ჩემი ვიოლენჩელოს ქღერის დარია — თქვენი სიტყვების ამო შეხება — და ლექსები, ფრთაშესხმული საქანელანი — ტკივილს მიუყრებს. ჩვენ, ამქვეყნად მიუსაფარნი, იმითღა ვცოცხლობთ, რომ ნაღველის თრთოლვა ვიგემოთ...“ ჰოო! სწორედ ნაღველის თრთოლვა! (და უცბად შემდეგ და შემდეგ სიტყვების მერე სახე ექუშება, უკანასკნელზე კი საავდრო ღრუბლად ექცევა).

ვისი გრილი თითები ამ სიბნელეში
საფეთქლებზე მითათუნებენ?

აი, ხედავთ — თითებიო... ფუი, რა საძაგლობაა! იცით, რას გეტყვით: უბრალოდ, სარგებლობს, მამათქვენი სახლში რომ არაა... მუდამ ასე იწყება: თითებიო... ჩემო კარგო, დაუბრუნეთ ეს წერილი ხაზგასმული სტრიქონებით და მიაწერეთ: „მე, წესიერი ოჯახიდან ვარ და საერთოდ...“ მაინც უნდა იცოდეს, რომ მამათქვენის შვილი ხართ... აი რას ნიშნავს უდედოდ გაზრდა! ან იქნებ (წამით ყოვნდება) მართლაც მოზღვავებულ გრძნობებისგან საფეთქლებზე... მოუთათუნეთ? გაფრთხილებთ, ეგენი ამას ვერ გაიგებენ, სულაც ასე ვერ გიოგებენ.

— ჯერ ერთი, არ მომიტათუნებია, მეორეც — ასეც რომ ყოფილიყო — ის ხომ პოეტია!

— მით უარესი, მეც მეტრფოდა ერთი პოეტი — პოდა, იქნებ სერგეევს მოუხდა ბოლოს მისი კიბიდან ჩაგორება.

წამოვედი და თან გამომყვა მოძავლის უსიამო სურათი; ჩვენი მეზობლის ვიწრო კიბიდან ჩვენივე დარბაზში დაგორებული ვეება მესამედილიანი ველოშინი.

შემდეგ — კიდევ უარესი. ანუ კიდევ ერთი დღის შემდეგ: ბანდეროლი. გაგხსენი: Henri de Regnier, „Les rencontres de Monsieur de Bréot“.¹

მეთვრამეტე საუკუნე. ყოვლად ზრდილი ვაჟბატონი, რომელიც დროდადრო ფაენად იქცევა. ნადიმი მის კოშკში, ორი მანდილოსანი, ცხადია, მარკიზები — ხალხმრავალ ბაღში დასეირნობენ განმარტოების საძებნელად. გამოქვაბული. აქ კი ნათელი ხდება, რომ მარკიზები განმარტოებას სულისთვის როდი დაეძებენ, თურმე დილიდან განუწყვეტლივ ლიმონათს სვამდნენ და... მაშასადამე, განმარტოვდნენ, ხოლო როცა ზე აიხედეს, შესასვლელთან უზარმაზარი ფაენი დალანდეს, მზესა და შესასვლელს რომ ფარავდა, ანუ ის Monsieur de Bréot.

აღშფოთებით დავხურე წიგნი. ეს — საძაგლობა, ეს უხამსობა მე? წიგნით ხელში, თან საოცარი ზიზლის გრძნობით იმ ხელებისადმი, ეს სისაძაგლე რომ უკაეიათ, მივდივარ ჩემს მეგობარ ქალთან და პირდაპირ გამოქვაბულში შემყავს. წამოიჭრა, უფრო სწორედ, დამდულრულივით გამოიჭრა.

— ჩემო კარგო, ეს უბრალოდ — პორნოგრაფიაა! (პაუზა:) ამის გამო სინამდვილეში ციმბირში უნდა გაასახლო. ეს... პოეტი კი ზღურბლზე აღარ შემოუშვათ! (პაუზა:) კარგი ამბავია — მარკიზებო! აი, ხომ ხედავთ, რა მართალი ვიყავი! ჩემო კარგო, გადაადგეთ ეგ საშინელი წიგნი, თავად კი (ზიზლით) იმ თავისი ცივი საფეთქლებით... კიბეზე დააგორეთ! როგორც დედა გეუბნებით. ამასვე გეტყოდათ მამათქვენიც — რომ იცოდეს... საწყალი იგან ვლადიმიროვიჩი!

ახლავე დაჯექით და დაწერეთ: „მოწყალეო ხელმწიფევ“, — თუმცა არა, სადაური ხელმწიფეა! — არ გინდათ მიმართვა. მოსკოვი, რიცხვი... — რაც ჩვენ შორის მოხდა, მას შემდეგ — არა, არ გინდათ ჩვენ შორის, თორემ მერე დაიტრაბახებს — მაშინ ასე: „გაცნობებთ, ფრანგული რომანის გამოგზავნით სამუდამოდ გეკრძალებათ ჩემი სახლის ზღურბლზე გადმობიჭება. ხელმოწერა“. მორჩა.

— მე მგონი, მეტისმეტად საზეიმო კილო გამოდის, გაეცინება, და არც ის მინდა, ჩემთან აღარასდროს აღარ მოვიდეს.

— როგორც გენებოთ, მე კი გაფრთხილებთ, რომ: ის ლექსები, ეს წიგნი — მესამეც იქნება ალბათ... ერთი სიტყვით, იმ Monsieur-ივით მოიქცევა — რა ჰქვია? — აი, იმ... კარგი ამბავია! — გამოქვაბულშიო.

ჩემი წერილი უფრო უბრალო, მაგრამ არანაკლებად მკაცრი იყო. „დიახაც არ მესმის, როგორ გამომიგზავნეთ ასეთი საძაგლობა, როცა იცით, თუ რა წიგნები მიყვარს. მადლობის გარეშე გიგზავნით უკან“.

მეორე დღეს — თვით მობრძანდა, ილლიაში დიდი პაკეტით.

— ძალზე ბრაზობთ ჩემზე?

1. ანრი დე რენიე, „ბატონ დე ბრეოს შეხვედრანი“ (ფრანგ.).

— დიახ. ძალზე.

— არ ვიცოდი, თუ არ მოგეწონებოდათ, უკეთ, არ ვიცოდი, თუ მოგეწონებოდათ, უკეთ, ასედაც ვიცოდი, რომ არ მოგეწონებოდათ — ახლა კი ვიცი, რა მოგეწონებოდათ. — და ერთსადაც ერთზე მიყოლებით ამოაღა ბალზამო დიუმას ხუთივე წიგნი, მე რომ, აქვე დავსძენ, დღემდე მთავრდება მხოლოდ გასულ ხანთარს გადავიკითხე, ერთი გვერდი არ გამომიტყვეს ამჯერად მაქსმა იცოდა, თუ რა მომეწონებოდა.

(მეხუთე ტომის ამოღებისას:

— მარინა ივანოვნა! რა კარგია, იმათსავით რომ არა წერთ, ვინაც გიყვართ!

— მაქსიმილიან ალექსანდროვიჩი! რა კარგია, იმ წიგნების გმირებით რომ არ იქცევით, თქვენ რომ გიყვართ!

რომ ერთი ბეწო ჩრდილი არ დარჩეს ამდენი ქალის უმწიკვლო სულიერ მეგობარსა და უანგარო მკვრეტელზე, დროდადრო კი ამდენი ბედის მომწყობსა და მომგვარებელზე, ერთი ბეწო ლაქა არ ეცხოს იმ მზეს, როგორც იყო და არის ჩემთვის მაქს ვოლოშინი, ვამტკიცებ, რომ ჩემზე მზრუნველი და პოეტებში გამოცდილი ჩემი მეგობარი ქალის შიშის პირუკუ — აქ ნასახიც არ იყო „მცირეწლოვანთა გაზრწნის“ ცდისა — მიზეზი უბრალო და წმინდა გახლდათ. მაქსი მუდამ რომელიმე მწერალზე იყო ხოლმე სიგიჟემდე შეყვარებული, ვინაც უკვე მაშინ წამით არ იცილებდა, გახდ ცოცხალს და გინდ მკვდარს, და ვისზეც ყველას ჩააგონებდა. მისი ცხოვრების ამ წუთს ეს ცოცხალი თუ მკვდარი მწერალი გახლდათ ანრი დე რენიე, პირველ ნახვისთანავე რომ მაჩუქა — როგორც ყველაზე, რიგით ყველაზე ძვირფასი წიგნი. არ გამოვიდა, თითქმის პირიქით — გამოვიდა. არათუ ანრი დე რენიეს რომანები, კლოდელის დრამები, ფრანს ვამის ლექსები არ გავიკარე, მას, ჩემზე ოცი წლით უფროსს, ბევრის მნახველსა და გამომცდელს, მოუხდა ჩემთან ერთად ვიქტორ ჰიუგოს ოდების უკვდავ, ჩემს კი მოკვდავ სიყრმეში ჩადირვა და ხელიხელჩაკიდებული ხეტიალი ბალზამოს ხუთი, მიზეზაბლის ექვსი ტომისა და კიდევ უკიდურესად სანდის კონსუელასა და გრაფინია რუდოლფტატდის ექვსი ტომის საუფლოში უშრეტი მოთმინებითა და გამძლეობით. და მხოლოდ დროდადრო მძიმედ ხვნიშოდა, როგორც მარტო ძაღლებსა და ძაღზე მსუქან ადამიანებს სჩვევიან, ხვნიშო — მთელი გულითა და მთელი სხეულით. პირველი გაუგებრობა უკანასკნელი აღმოჩნდა, რამეთუ კაზანოვას პირველივე ტომი პირველივე ფურცლის გადაშლისთანავე ყოველგვარი წყენის გარეშე უკანვე დავუბრუნე ამ სიტყვებით:

— გმადლობთ: გამოქვაბულები, შენი მარკიზის მსგავსად, თუ შეიძლება, უკან წაიღე, — რაზედაც მხარი დამიჭირა მაქსიმილიანის დედამ ელენა ოტობალდოვნამ.

„ჩვიდმეტი წლისას — კაზანოვას მემუარები? მაქს, შენ უბრალოდ გამოსულელი!“ — „კი მაგრამ, დედა, ეპოქა იგივეა, რაც ბალზამოსა და კონსუელაში, ასე რომ მოსწონს... მეგონა...“ — „ეს შენ გეგონა, მაგას კი არ ეგონა. არც ერთ წესიერ გოგოს, ჩვიდმეტი წლისას, კაზანოვას მემუარები არ შეიძლება ეგონოს!“ — „მაგრამ თვითონ კაზანოვა. დედა, ყველა ჩვიდმეტი წლის გოგოს მოსწონდა!“ — „სულელებს, მარინა კი ჰკვიანია, იტალიელებს, მარინა კი — რუსია, ახლა კი, მაქს, მორჩი ლაპარაკს“.

ყოველი შეხვედრა მოსინჯვით იწყება ხოლმე, ბრმად გზის გაგნებით. ჩემი აზრით, სიყვარულსა, მეგობრობასა თუ ქორწინებაში არ არსებობს იმაზე უა-

რესი დრო, როგორც ყველასთვის ცნობილი თავლობის თვეა, არა უარესი, არამედ უფრო ძნელი, უფრო ბუნდოვანი და გაურკვეველი.

მაქსის შემდეგი საჩუქარი კონსუელას, ეოზეფ ბალზამოსა და მიხერაბლის გარდა — არ დამავიწყდეს ქალის შესანიშნავი ნაწარმოები „ტრაგიკული სამხეცე“ და დიდებული აქსიოლი — გახლდათ ცოცხალი გმირი და ცოცხალი პოეტი ქალი, საკუთარი პოემის გმირი: პოეტესა ჩერუბინა ვიცი, ეს სახელი ბევრ კაცს სმენია, ხოლო ვისაც არ სმენია, მათთვის ორიოდ სიტყვით: იყო და არა იყო, იყო ყმაწვილი ქალი, სკოლის უბრალო მასწავლებელი ელიზავეტა ივანოვნა დიმიტრიევა, პატარა ფიზიკური ნაკლით — რომდენადაც მახსოვს, მგონი, კოჭლობდა. მისი სამასწავლებლო ცხოვრებიდან მხოლოდ ერთი შემთხვევა ვიცი, სახელდობრ, ოლქის მზრუნველის შეკითხვა მოწაფეებისადმი:

- ყველაზე მეტად რუს მეფეებში რომელი გიყვართ, ბავშვებო?
- გრიშკა ოტრებიევი.

იმ ყმაწვილ მასწავლებელ კოჭლ ქალში კი არამორიდებული, არასასკოლო სასტიკი ნიჭი ბუდობდა, რომელიც არათუ კოჭლობდა, არამედ პეგასის დარად მიწა რა იყო, არ იცოდა, ბუდობდა მისი არსების სიღრმეში, ბუდობდა მარტოდმარტო, ნიჭი, რომელიც ხრავდა და წვავდა. მაქსიმილიან ვოლოშინმა ამ ნიჭს მიწა ანუ ასპარეზი მისცა, უსახელო ქალს — სახელი, უბედოს — ბედი, ვით მოახერხა? უპირველესად, მიხვდა, რომ სკოლის მასწავლებელი ასეთი და ასეთი და მისი ლექსები — ტაიჭები, ლაბადები, დაშნები — ერთმანეთს არ თანხვდებიან და თანხვდომნი არც არასდროს იქნებიან, რომ, მისცეს რა ღმერთებმა მას მისი არსი, მისცეს ამ არსს სულ საპირისპირო — გარეგნობა: თუ სახისა და თუ ცხოვრების, რომ აქ, მის წინ — მარად ტრაგიკული, ამ შემთხვევაში კი სულის და სხეულის კატასტროფული კავშირია. კავშირი კი არა, უფსკრული, უფსკრული, რომელიც არ შეიძლება არ შეიგრძნოს და რამაც არ შეიძლება არ დატანჯოს, როგორც ტანჯავდა ეს: ჯორჯ ელიოტს, შარლოტა ბრონტეს, ჟიული დე ლესპინასს, მერი ვებსა და სხვათა და სხვათა, ღმერთების ულამაზო რჩეულთ, სახისა და ცხოვრების ულამაზობამ არ შეიძლება ხელი არ შეუშალოს მის ნიჭს, თავისუფლად გადახსნას სული, ერთმანეთს დაპირისპირებული ორი სარკე: რვეული, სადაც მისი სული ჩანს, და სარკე, სადაც მისი სახე და მისი ყოფის სახეა. რვეული, სადაც ასე ჰგავს თავის თავს, და სარკე, სადაც ასე არა ჰგავს, გონების მკაცრი თვითგანაჩენი, ორ გახელილ თვალზე რომ დადის, მე ჩემი ასეთი მე არ შემიძლია შევიყვარო, მე ჩემს ასეთ მესთან არ შემიძლია — ვიცხოვრო. ეს — მე არა ვარ.

ეს ელიზავეტა დიმიტრიევაა ორ სარკეს შუა: მაგიდისა და კედლის სარკის შუა. ელიზავეტა დიმიტრიევა სულის სიღრმემდე განაწყენებული იქნებოდა უკაცრიელ კუნძულებზედაც კი, სადაც იგი თავის თავთან მარტო, ადამიანის გარეშე აღმოჩნდებოდა.

მაგრამ არის კიდევ ერთი ელიზავეტა დიმიტრიევა—ადამიანთა გარემოცვაში, მაქსიმილიან ვოლოშინი კარგად იცნობდა ადამიანებს, ანუ იცოდა მათი დაუნდობლობა, მათი — მეტადრე მამაკაცების — ყოვლად გაუმართლებელი მოთხოვნა და უსასტიკესი უსამართლობა, რომელიც ლამაზ ქალში სულს არ დაეძებს, ხოლო ჭკვიან ქალს უთუოდ სილამაზეს თხოვს, — ჭკვიანები თუ უჭკუოები, ახალგაზრდები თუ ბებრები, ლამაზები თუ მახინჯები ქალებს სილამაზის გარდა არაფერს თხოვენ, ყველანი მხოლოდ ლამაზს ეტრფიან, ულამაზოს

არავინ ეტრფის, ეს კანონი მეფობს სამოედების სულ განაპირა იურტაში, რომლის იქით მხოლოდ პოლუსია, და ეს კანონი მეფობს პეტერბურგის „აპოლონის“ მისაღებშიაც. აბა გულზე ხელდადებით ვთქვათ — შეუძლია კი სკოლას უბრალო, კოჭლ მასწავლებელს, ე. დ.-ს თავისი ლექსების საფასური გადაიხადოს? შეუძლია კი ე. დ.-ს სიყვარულს იმედი ჰქონდეს, მისი სული და ნიჭი რომ იმსახურებს? შეიყვარებენ კი ასეთს, როცა ისეთი უყვართ? ამაზე უნდა ვთქვათ: დიახ, შეიყვარებენ. შეიყვარებენ ქალები და დიდი პოეტები, დიდზე დიდი პოეტები, თუმცა დიდ პოეტებს რაც შეეხება — პუშკინმა აკი შეიყვარა უსულო გონჩაროვა, მაშასადამე, დარჩნენ მხოლოდ ქალები. მაგრამ ფიქრად აქვს კია ყმაწვილ ქალს ქალთან მეგობრობა, როცა მისი ფიქრი მხოლოდ სიყვარულის ირგვლივ ტრიალებს, ან ფიქრობს კია ყმაწვილი ქალი სიყვარულის გარდა სხვა რაიმეზე? ასეთი ყმაწვილი ქალი, ასეთი ლექსების მთხზველი...

მაშასადამე, სიყვარულის იმედი ამ სხეულის პატრონმა არ შეიძლება იქონიოს, მეტსაც ვიტყვი: მისი ეს ფიზიკური ნაკლი სიყვარულის სრულ უიმედობას უტოლდება, ხვალ ე. დ.-მ თავისი ლექსები რომ დაბეჭდოს, ანუ მთელმა „აპოლონმა“ ხვალ ისინი ანუ იგი შეიყვაროს — ხვალ რომ მივიდეს იგი „აპოლონის“ რედაქციაში ისეთი — როგორიც არის, კოჭლობ-კოჭლობით, პატარა ქუდითა და მუფთით — მთელი „აპოლონი“ თავს გაქურდულად ჩათვლის და არათუ გადაიყვარებს, ჭირის დღესავეთ შეიძულებს. შეურაცხმყოფელი სიტყვები: „შე კი მეგონა...“ — თუ შეწყნარებით ნათქვამი: „აფსუს, რომ...“ არც ეს „მეგონა“, არც ეს „აფსუს“ ე. დ.-ს არ უნდა მოესმინა.

მაშ რა გზა იყო? უპირველესად და უმთავრესად მიეც საშუალება თავის წინაშე იყოს ისეთი, როგორიც არის, მთლიანად იყოს. გაანთავისუფლო ფიზიკური თუ ყოფისეული სხეულისაგან — მიეც სხვა სხეული: მისი სხეული, იყოს თავისი თავი! ისეთი, როგორიც ლექსებშია, მიეც სულს სხვა სხეული, ამ სულის სხეული მიეც. როგორი სხეული უნდა ჰქონდეს ამ სულს? ვინ, როგორმა ქალმა უნდა წეროს ის ლექსები, სინამდვილეში ამ ლექსებს რომ წერს?

ცხადია, არარუსმა, ცხადია, ტურფაზე ტურფამ, ცხადია, კათოლიკემ, ცხადია, მდიდარმა, აურაცხელად მდიდარმა (ბაირონმა ქალის სახით, ოლონდ იმანაც არაკოჭლმა), ანუ გარეგნულად ბედნიერმა, რათა სრულიად უანგაროდ იყოს თავისებურად უბედური. ფუფუნებაა სილამაზის, სიმდიდრის, ნიჭის პირუკუ პირწმინდა პოეტური უბედურების განცდა. მიუხედავად ყველაფრისა და პირუკუ ყველაფრისა, თავად პოეტის სუბსტანციის გამარჯვებაა არა მიზეზის გამო იყო უბედური. თავიდათავი კი, რაც დამავიწყდა, ის გახლავთ, ვიხსნას „აპოლონის“ მისაღების სარკესა და მისი რედაქტორების თვალში შენი ანარქელის შიშისაგან.

სახელად რა უნდა ერქვას? ჩერუბინა კოქტებელში დაიბადა, სადაც მაშინ ე. დ.-ა სტუმრობდა. ერთხელ, ერთი წლის შემდეგ მაქსთან ყოფნისას კოშკში ხელში მეჭირა რაღაც გაქვავებული ფესვი, მოქცევისგან მოტანილი, მიქცევისგან დატოვებული.

„ე გ, შენ რომ გიჭირავს — გაბრიაკია. ჩერუბინამ იგი სილიდან, პირდაპირ ტალლიდან აიტაცა, და მყისვე მივხვდით, რომ ეს — გაბრიაკია“. — „გაბრიაკი კი რაა?“ — „აი, ეგ ფესვი, შენ რომ გიჭირავს“, — „ჩერუბინა კი საიდან?“ — „ჩერუბინიდან, ანუ ქერუბიმ ქალიდან, ოლონდაც ქანი „ჩ“-თი შევცვალეთ, მთლად ქერუბიმი არ გამოსულიყო“. მეც იმავე ტონით: „მესმის, შავი ქერუბიმიდან“.

მაშასადამე, ჩერუბინა დე გაბრიაკი, ფრანგი ქალი იტალიური სახელით, თუ იტალიელი ფრანგული გვარით, ერთდერთი ასული მკაცრი კათოლიკური ოჯახისა, სადაც ასულები მარტონი არ იარებიან და არც ლექსებს წერენ, ხოლო თუ წერენ — რა თქმა უნდა, არ აქვეყნებენ, ჰონორარს არ საჭიროებენ, არც „აპოლონი“ მივა როდისმე, ნურც ეცდებიან კვალს შეგნებეს. ვერასოდეს ვერ მიაგნებენ, ხოლო თუკი მიაგნეს — ვაი მას დაგვითქმევს ერთდერთი, რაც უტყუარია: კვირაობით კოსტიოლში დადის, მაგრამ ვერ დაინახავ, რამეთუ ქოროში მღერის. სხვა არაფერი.

ოღონდაც ეს ყველაფერი როგორ გინდა შთააგონო — „აპოლონი“ ანუ ადამიანებს, ანუ მთელ გარე სამყაროს? როგორც ხოლმე შთააგონებენ: თივად იწამო, მაგრამ ასეთმა თავისი თავი როგორ იწამოს? აიძულოს სხვებმა იწამონ, წრე შეიკრა, და ამ წრეში, ამჯერად საკეთილოდ, ე. დ.-ა ნელინელ გადაიქცა ჩერუბინა დე გაბრიაკად. მისწერა — ახალი ხელწერის უკვე ასოებმა თვით დააჯერა — ასოებისა და სიტყვების აზრმა დააჯერა ადრესატიც — ადრესატის პასუხი კი, ანუ მრავალსახოვანი ადრესატის, მრავალთა საერთო რწმენა — დაიჯერა ე. დ.-მაც და რომელიღაც წამს ელიზავეტა დიმიტრიევა ჩერუბინა დე გაბრიაკად იქცა.

— დავიწყოთ, ელიზავეტა ივანოვნა?

— დავიწყოთ, მაქსიმილიან ალექსანდროვიჩ!

„აპოლონის“ რედაქციაში წერილი მივიდა. დაქანებული, შვეული ასოები, ლექსები, ლექსები ქალის. ფურცელში ჩადებულია არა ყვავილი, არამედ სურნელოვანი ფურცელი, ქაღალდის ფურცელში — ხის ფურცელი, მისამართი: „მოკითხვამდე, ჩ. დე გ.“

„აპოლონის“ რედაქციაში რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ მივიდა სხვა წერილი — ისევ ლექსებით. ასე მიყოლებით მიდიოდა წერილები ხან ზეთისხილის, ხან თაფლინდის ფოთლებიანი, ხოლო „აპოლონის“ რედაქტორები და თანამშრომლები — როგორც პირველად, კვლავ შემოიღობივით დადიოდნენ იმ უცნობი ქალის ნიჭში, ხელწერაში, სახელში შეყვარებულნი, თავის ვინაობას ვინც მალავდა.

სადაც პეტერგურგში, გვარის, სიმდიდრის, კათოლიკოსობის, უბიწოების, გენიოსობის თხრილით შემოღობილ, ციხე-კოშკივით მოუდგომელ ცალკე სახლში დასტურ ცხოვრობს ვინმე ასული, ეს ასული ლექსებს გზავნის, მას ყვავილებით პასუხობენ, იგი კვირაობით კოსტიოლში გალობს — მას უსმენენ, მისი ნახვა არ შეიძლება, მაგრამ არნახვაც სიკვდილს უდრის.

და ქა, დავიწყო ჩერუბინა დე გაბრიაკის ხანა, ეპოქა.

მთელი „აპოლონი“ მიჯნურად იქცა — სახელებს აღარ ჩამოვთვლი, რამეთუ ზოგის პატრონი ამქვეყნიად უკვე აღარ არის — ჩავთვალოთ „აპოლონი“ ერთ პიროვნებად, სინამდვილეში ხომ ასეც იყო — მთელმა „აპოლონმა“ ძილი დაკარგა, წერილიდან წერილამდეღა სულდგმულელებდა, მთელი „აპოლონი“ მისი ხილვის მოსურნე გახდა. ისინი ბევრნი იყვნენ, იგი — ერთი, ისინი მის ნახვას ესწრაფოდნენ, იგი მათგან — დამალვას, და მაინც ნახეს — ანუ კვალს მიაგნეს, ანუ ამჩილეს, როგორც მთვარეულს — დაუძახეს და ამ ძახილით მის საკუთარ, ჩერუბინისეულ კოშკიდან მისი ძველი ყოფის ფილაქანზე ჩამოაგდეს და დაამსხვრიეს.

— ელიზავეტა დიმიტრიევა თქვენ ბრძანდებით?

— დიახ, მე

დავასახელებ მხოლოდ ერთს — სერგეი მაკოვსკის, ვინც მ. ვოლოშინის თქმით, უზადო რაინდივით მოიქცა და არათუ გაიოცა, ასეთად რომ იბილა, ვიდრეაც დაარწმუნა, რომ თავიდანვე ყველაფერს მიხვდა, ხოლო თუ არა, თავნება, მხოლოდ იმიტომ, ე. დ.-სთვის დაეცლა ჩერუბინაში ბოლომდე. თავისი თავი, ამ სისხლში გამჯდარ კეთილშობილბუნებისათვის — სერგეი მაკოვსკის დიდი მადლობა.



სერგეი მაკოვსკი
გინგლოშინის

ეს იყო ჩერუბინას დასასრული. მეტად აღარ დაუწერია, ან იქნებ წეოდა. მაგრამ მისი აღარავის აღარაფერი წაუკითხავს, მისი აღარავის სმენია. ის კი ვიცი, მ. ვოლოშინთან მის მეგობრობას დასასრული არა ჰქონია. მისი ლექსებიდან ოცი წლის მანძილზე სიცოცხლისა და მენსიერების — მხოლოდ ეს სტროფები დამამახსოვრდა:

ცაში ფრიალებს წითელი პლაშჩი, —
ოღონდ სახე კი ვერ გავარჩიე!

ან კიდევ:

ვერ გამოქარვა ნაღველი ჩემი
სონეტებში თვით რომსარისა,
ზეპირად ვიცი დიდი ხანია
ყველა ნათქვამი პოეტებისა!

და პასუხი რომელიღაც თარგულზე:

წარჩინებულა ბაღის სახეზე
მძულს არქიდუის ურცხვი აერი!

იერსახე ახმატოვასი, ჩემი — ხაზგასმა. ლექსები, ახმატოვამდე თუ ჩემამდე დაწერილი — ამართლებს ჩემს მტკიცებას, რომ ყველა ლექსი, ადრე, ამჟამ თუ მომავალში დაწერილი, დაწერილია ერთი ქალის — უსახელო ქალის მიერ. და უკანასკნელი, რომელიც მახსოვს:

მიწერია კი, რომ განვიცადო
ტრფობა და კვდომა ცაბეტი წლისამ!

ასე ჯადოსნურად და ბუნებრივად ჩემსას რომ ეხმიანება:

შენ მომანიჭე ზღაპარი სიყრმე,
პოდა, სიკვდილიც მომანიჭე — ჩვიდმეტ
წლისას!

იმ განსხვავებით, რომ მას „მიწერია“ (სიკვდილი) აქვს, მე — „მომანიჭე“. ასევე საოცარი და თან ბუნებრივი გახლდათ, როცა ჩერუბინას, მისი ბუნდით და ლექსებით ვულდალახერულმა, ჩემი ლექსები გავუგზავნე. თავის საპასუხის წერილში სწორედ ამ ორ სტროფს გაუხვია ხაზი. მახსოვს ვიწრო, გრძელი კონვერტი შვეული ასოებით და სუფამოს მძაფრი სუნით. ჩერუბინას კონვერტში და ხელწერამ მე, უბრალოებათანდაყოლილი, არ მიმიზიდა, განმიზიდა. რამეთუ მე სამგზის: როგორც ქალი, როგორც პოეტი და როგორც არაესთეტიკური ფიქროდი არა ზვიად, უცხოელ ქალს, ქორალს შინა თუ ცხოვრების ქორალს ზედა მოქცეულს, არამედ სწორედ სკოლის მასწავლებელ დამიტოვებს — ჩე-

რუბინას სულის მქონეს. მაგრამ ჩერუბინას ჩემი სიყვარული განა რაში არგებდა.

ჩერუბინა დე გაბრიელი, ორი წლის წინათ გარდაიცვალა, ვერ გეტყვით, მაქსმა იცოდა თუ არა ეს ამბავი.



ასე დიდხანს რატომ გავჩერდი ამ შემთხვევაზე? ჩერუბინა მაქსის ცხოვრებაში იყო მოვლენა და არა შემთხვევა. ანუ თვითონ დიდხანს, სამუდამოდაც შეიჩერა თავი ამ მოვლენაზე. მეორეც, რათა მაქსი წარმომედგინა მის ჭეშმარიტ, ქალებისა და პოეტების სულთა და ბედთა გარემოცვაში. მაქსი ქალებისა და პოეტების ცხოვრებაში გახლდათ providentiel ხოლო როცა ეს ყოველივე, როგორც ჩერუბინას, გერციკის და ჩემს ამბავში, ერთმანეთს დაემთხვეოდა, როცა ქალი პოეტი აღმოჩნდებოდა, ან უფრო სწორად, პოეტი — ქალად, მის მეგობრობას, სინაზეს, ყურადღებას, თაყვანისცემასა და თანაშემოქმედებას ზღვარი არ ჰქონდა. იგი უპირველესად გახლდათ კაცი თანა-ყოფადი, როგორც მისი სული — უპირველესად იყო თანაარსობა. რასაც ზერელე მხილველნი მოზაიკად ნათლავდნენ ხოლმე, სამეცნიერო ტერმინთა მოყვარულნი კი — ეკლექტიზმად.

ის ერთიანობა, რაიც ყველაფრის დამტვევი იყო, და ის ყველაფერი, რაიც ერთიანობა იყო.

კიდევ ორიოდ სიტყვა ჩერუბინაზე, უკანასკნელი, ხშირად მესმოდა მისი სახელის ხსენებისას:

„სინამდვილეში ხომ თვითონ არ წერდა, ვოლოშინი უწერდა ხოლმე, ანუ უსწორებდა“.

სხვებზე: „ნუთუ ამ მისტიფიკაციისა მართლა გჯერათ? ეს ხომ ვოლოშინის ნაწერებია, ქალის და, უნდა ითქვას, ფრიად უხეირო ფსევდონიმის ქვეში“ და რამდენიც არ უნდა მეკამათა, ავბილბილებულიყავ, კბილები მელრჭიალა — „არა, არა, პოეტესა ჩერუბინა, როგორც ასეთი, არ არსებობს, არის მაქსიმლიან ვოლოშინი — და ეს მისი ფსევდონიმია“.

არადა, იმაზე უფრო საპირისპიროს, როგორც ვოლოშინისა და ჩერუბინას ლექსებია, კაცი ვერ ნახავს, რამეთუ მაქსი, ესდენ ქალური ცხოვრებაში, თავის პოეზიაში მთელი არსებით იყო ვაჟკაცი, ანუ იყო გონება და ხუთი გრძნობა, რომელთაგან უძლიერესი ხედვა გახლდათ. პოეტი — ფერმწერი და მოქანდაკე, პოეტი — მსოფლმჭვრეტელი, სულის წყობით — არა ლირიკოსი, იგი ასევე ვერ დაწერდა ჩერუბინას ლექსებს, როგორც ჩერუბინა — მისას. მაგრამ ის ამბავი, რომ ერთმანეთის ნაცნობნი იყვნენ, რომ ერთი მათგანი დიდი ხანია წერდა და იბეჭდებოდა, მეორე კი — არასოდეს არ დაბეჭდილა, რომ ერთი იყო მამაკაცი, მეორე ქალი, ლექსში ერთი და იმავე აბზინდის ხსენებაც კი — უცოლობლად აიძულებდა ხალხს ემტკიცებინა იმაზე მეტად შეუძლებელი, ვინემ პოეტის პოეტთან თანარსებობაა, ცნობილის არსებობილთან თანასწორობა, ქალურის თუ მამაკაცურის არა არსებითობა პოეტურ სიძლიერეში, ბუნებრიობა ერთსა და იმავე აბზინდის ხსენებისას ერთსა და იმავე აბზინდის საუფლოში — კოქტებელში ყოფნისას, ყველას უფლება ერთ აბზინდაზე, თუკი ეს აბზინდა ერთმანეთს არ ემსგავსებოდა, დაბოლოს ღვთიით მოძადლებული დამოუკიდებელი ნიჭის არსებობა, რომელსაც, გარდა საკუთარი გამოცდილებისა, არა სწორებანი

1. განგებად, წინასწარმჭვრეტელად მოვლენილი (ფრანგ.).

არა სწორდება. „ძალიან მინდა ჩერუბინასავით ვწერო, მაგრამ არ მეხერხება“, — თუ ზუსტად მ. ვ.-ის სიტყვები მის ვითომდა ავტობიოგრაფიაზე.

მაქსმა უფრო მეტი მოიმოქმედა, ვინემ ჩერუბინას მაგივრად ლექსებს დაწერდა, მან შექმნა ცოცხალი ჩერუბინა, შიტი თვით ჩერუბინასი. არა მისტიფიკაცია, არამედ მითომთხზველობა, არა ფსევდონიმი, არამედ დედოფანობის მითების მთხზველი ხალხისა, ძაქსი, ჩერუბინას შემოქმედი, თვით ჩერუბინა და რჩა. სიდიდანაც ხელჩაკიდებული გამოყავს ახლა დღის სინათლეზე ჩემი სიყვარულისა და მადლიერების აღსანიშნავად — ჩერუბინასი, ჩემი, ყველა იმათი მადლიერების აღსანიშნავად, ვისაც არ ვიცნობ.

ხოლო ფოთლები, ჩერუბინა რომ ლექსებში დებდა — ზეთისხილის, თაფლინდისა თუ აბზინდისა — დასტურ ვოლოშინს ეკუთვნოდა, რამეთუ იყო მოწყვეტილი კოქტებელში.

მ. ვ.-ს ამ გატაცებამ მითომთხზველობით ლამის ჩემზედაც გადმოინაცვლა.

— მარინა! შენს თავს თვითვე ვნებ ხოლმე შენივე სიჭარბით. ათი პოეტის ძალა გაქვს და ყველა — შესანიშნავის!.. არ გინდა ვითომ (შემპარავად) რუსეთზე შენი ლექსები, მაგალითად, ვისიმე, თუნდაც პეტუხოვის სახელით გამოაქვეყნო? აბა ნახე (თინდათან ეშხში შესული), ათი დღის შემდეგ ისინი მთელ მოსკოვს და მთელ პეტერბურგს ზეპირად თუ არ ეცოდინება. ბრიუსოვი წერაილს დაწერს. დაწერს იაბლონოვსკიც. მე წინასიტყვაობას გავაშანშალებ, შენ კი (თითოს მაღლა სწევს, თვალებს შემაშინებლად მიბრიალებს) თავის დღეში კრინტს არ დაძრავ, რომ ეს შენა ხარ (მუდარის ხმაზე). შენ არ გესმის, რა შესანიშნავი რამ იქნება! შენ — მაგალითად, ბრიუსოვი, — პეტუხოვის ლექსებით დაგაწყებს კენწვლას: „იმის მაგივრად, ქ-მა ცვეტაევამ საკუთარ მწვანე თვალებს უმღეროს, მშობლიურ მწვანე ველებს უმღერის ბ-ნ პეტუხოვის მსგავსად, ვინც მასავით ჩვიდმეტი წლისა გახლავთ...“ პეტუხოვი შენს *bête noire*-ად გადაიქცევა, მარინა, მისით შეგქამენ, შენ კი — გესმის? ველარასოდეს ველარ დაწერ შენი სახელით რუსეთზე რამეს, მასზე მხოლოდ პეტუხოვი დაწერს ლექსებს! დაბოლოს კი პეტუხოვს ჭირვით შეიძულე! მერე (ლამის სულშეხუთულა), თუმცა მერე რატომ, მაშინვე პეტუხოვთან ერთად, იმავდროულად კიდევ ერთ პოეტს შევექმნით. — პოეტს თუ პოეტესას? კი, პოეტსაც და პოეტესასაც, ისინი ტყუბები იქნებიან, პოეტური ტყუბები, ვთქვათ, და-ძმა კრიუკოვები. ჩვენ შევექმნით იმას, რაც ჯერ არასდროს არ არსებულა, ანუ გენიალურ ტყუბებს! ისინი შენს რომანტიკულ ლექსებს დაწერენ!

— მე რაღა მრჩება, მაქს?

— შენ? ყველაფერი, რაიც შემდეგ იქნები.

როგორ მეხვეწებოდა! როგორ მაცდუნებდა! რა მაცდურად მიხატავდა ასეთი დიდების ანონიმატს, ასეთი ანონიმატის დიდებას!

— შენ იმ ხელმწიფესავით იქნები, ვის საბრძანებელშიც მზე არასოდეს ჩადიოდა. შენ გარდა რუსულ პოეზიაში კაცი აღარ დარჩება. შენი პეტუხოვებით ყველას გამოაძვევებ, მარინა, ახმატოვსაც, გუმილიოვსაც, კუზმინსაც...

— და შენც, მაქს!

— ცხადია, მეც. ჩვენგან ბუნდლა აღარ დარჩება. შენ იქნები — ყველა-

ფერი, ყველაფერი, და (თვალეზგამოთეთრებული, ჩურჩულით) აღარც თვითონ დარჩები, შენ — ისინი იქნები.

მაგრამ მაქსის მითომთხველობა საბედისწეროდ ჩემი გერბანული პროტესტანტული პატიოსნების კლდეს შეენარცხა, ჩემს დამღუბველ სიამაყეს, რასაც ვწერდი, ყველაფერზე ხელი მომეწერა. არადა, რა კარგი იქნებოდა პეტუხოვი პოეტის იმ პოეტურ ტყუილებს კი დღემდე მივტოვებოდა.

პოეტის პოეტთან თანაარსებობა — ეს ცნობილის უცნობთან ტოლობა გახლავთ. მე თავადვე ვარ ამის ცოცხალი მაგალითი. ვინაიდან და რადგან ესოდენ მოწიწებული სიფრთხილით შემდგომ არაფერს მოჰკიდებია ჩემი, ასე ვთქვათ, მოწიფულობის ლექსებს, როგორც ოცდათექვსმეტი წლისამ, ვ.ი. ჩემი ჩვიდმეტი წლისეულისას. ასე ეკიდებიან ადამიანები მხოლოდ პატენტირებულს, მათთვის — დიდების ხმათა უმრავლესობის მეოხებით — ცხადს და უეჭველს, არსად, არასდროს უგრძნობიერია ჩემთვის მ. ვ.-ს თვისი გამოცდილების უპირატესობა, სახელზე რომ არაფერი ვთქვა, ვუყვარდი ჩემი შეცდომებითაც, როგორც ყველა, ვინც კი რამეს წარმოადგენდა, არაფერი მეტრისა (არადა, ხანა სუფევდა მეტრებისა!), ყველაფერი თანამგზავრისა. შემიძლია ვთქვა, რომ მას ლექსები ისე უყვარდა, როგორც მე, ანუ ისე, თითქოს თავად არასოდეს დაუწერია, უიმედო სიყვარულის მთელი ძალით მისთვის მიუწვდომელი ძალისადმი, და ამავ დროს ყოველ კარგ ლექსს ისე უსმენდა, როგორც თავისას. ყოველი კარგი სტრიქონი მისთვის პირადი ძღვენი იყო, როგორც ბუნების მოტრფიალესათვის მზის სხივი არის. („იყო, იყო“, — არადა, ეს ნამყო ხომ შეუდარებლად მეტი არის — აწმყოზე! როგორც სიტყვა ყოფნა — მუდამ არსებობს! და როგორც წარსული აღარ არსებობს! მახსოვს მისი ერთი, ერთადერთი შესწორება, შესწორების ცდა — მთელი იმ სქელი „საღამოს ალბომიდან“ ნაცნობობის დასაწყისშივე

და შავ თათებში ოხერა-ვაებით
დავწვავთ ხომალდებს გულმილეულნი...

— ხომ არ გგონიათ, მარინა (პაუზა, მომლოდინე მზერა)... ივანოვნა, რომ ცოტა არ იყოს ძნელი და რთული იქნება ხომალდების დაწვა თათებში? რომ საამისოდ თითქოსდა ცოტა ადგილია ამ თათებში? თანაც, ცხადია, დათვის თათებში, ანუ ძალზე ძლიერ თათებში, ძალზე ძლიერად რომ უჭერენ. ხომალდებს ხომ თითქოს ზღვაზე სწვავენ — აქ კი დათვის თათებია — ანუ, ცხადია, ტყე, უღრანი ტყე, მე მგონი, ძნელი წარმოსადგენია, რომ დათვი თქვენთან ერთად ზღვის ნაპირზე იყოს მოკალათებული, იქ, სადაც თქვენი ხომალდები იწვის.

ასედაც დამრჩა მეხსიერებაში: კოქტებლის უკაცური ნაპირი, ზედ დათვი, ანუ მაქსი ჩემთან ერთად, და იქვე, ნაპირზე — უფრო მოხერხებული რომ იყოს — ცეცხლმოდებული ხომალდების მთელი ფლოტილია.

უნდა ვთქვა, ნახევრად ხუმრობით, ოღონდ ხუმრობით ფრჩხილებში უნდა ჩაისვას, მე მაქსზე დიხხაც ისე ვყვები, როგორც მაქსი იმ ხალხზე, ვინც მას უყვარდა, მაქსზე დღეს სავსებით ისე, როგორც გუშინ, ანუ ცოცხალი სიყვარულით, ღიმილი რომ არ აშინებს, ხშირად იქით ეძიებს — ვით განმარდსა და განმუხტავ რასმე.

მაშ ასე, მისი ერთ-ერთი სტუმრობის ზეპირი ლექსებიდან ყველაზე მეტად, გულის ჩაწყვეტამდე, მომეწონა ეს 'ორი სტროფი':

აღრიან შემოდგომაზე ერთად ჩავიჭვრეტთ
ტბაში.

მით: ელ ორი თავიდან აირეკლება — სამი.



— მაქსიმილიან ალექსანდროვიჩ, რატომ ოთხი არა, თითოეული ხომ თავისას იგონებს!

— ოთხი — ეს ორი წყვილი იქნებოდა, ორი წყვილი პირუტყვის თავი, და არც ლექსები გამოვიდოდა, — ზრდილად, მაგრამ თავშეკავებით მითხრა მაქსიმა.

ამ საბუთით, უფრო მეტად კი ვერსალის ტბის სიღრმეში არეკლილი ოთხი რქიანი თავის წარმოდგენით დამარცხებულმა, ჩასწორებაზე ხელი ავიღე. შემდგომ სტუმრობისას, პირველ მოსვლაზე რომ მაჩუქა, იმ წიგნს ვაწვდი:

— ჩამიწერეთ, თუ შეიძლება, ის საოცარი ჩემი საყვარელი სტროფები: „აღრიან შემოდგომაზე ჩავეხეტებით ტბაში...“

იგი, აღშფოთებით:

— როგორ თუ — ჩავეხეტებით? (დარწმუნებით) ჩავედავთ-მეთქი! — და უცებ, — ანუ, ცხადია, ჩავიჭვრეტთ, სულ ამირიეთ ტვინი! (ღუმილი, და მერე ჩაფიქრებით) იცით, არაა ურიგო: ჩავეხეტებითო. ასე თითქოს სჯობია კიდევ...

— პო, როგორც ორი ძროხა, ჯერ რომ ჩააშტერდებიან და მერე დაეწაფებიან წყალს (და ანაზღად გაბრწყინებულმა). — მაქსიმილიან ალექსანდროვიჩ! ეს ხომ სწორედ ისინია! ორი წყვილი პირუტყვის რქიანი თავი!

მახსოვს კიდევ ის სტროფები, მაშინვე რომ შემეყვარდა:

ახლა მკვდარი ვარ, ფურცლად ვიქეცი,

და შევიძლია, რომ გადამფურცლო...

მეც მორჩილად და დაკვირვებით ვფურცლავ და უცებ — რალაც სწორებას ვაწყდები:

(ღემონი)

მე ხომ შენსავით დავძიმდი და ჩავშავდი ახლა,
და შენსავით ვარ მეც ახლა უფხო...

უფხოზე კი მეღნით კარგა მსხვილი რთ წერია, ანუ უფრთო, ამ შეცდომით იგი მუდამაც ტრაბახობდა.

მაქსის ლექსების წიგნი. ახლაც თვალწინ მიდგას, მაშინვე წითელ ყდაში ჩასასმელად გაქანებული, ერთ ტომად ერთ ოჯახში — ადელაიდა გერციკის ლექსით.

მე არა ვარ მეფისწული,
და არც მისი მსგავსი —
შენ ხომ იცი, გამვლელი ვარ,
მახლობელი ყველასათვის, უცხო ყოველისთვის.

ერთმანეთს არ დაევიწყებთ,
და მიწის მტვრის ამბორყვით
ჩაღვს წვეულებ ამბავს ზოამრის
მეფის ასულ ტანახისა



ამ ლექსის სმენა ორმაგ ტკივილს მგერიდა: ტკივილს მატოვებულის, ტკივილს მიმტოვებლისა და კიდევ მესამე ტკივილს: განზეგუნდულის: ჩემდამი არაა მეფის ასული ტანახი კი მალე ჩემი თვლით ვიხილე მაქსის კოქტებლის სახელოსნოში: უშველებელი მოღიმარე სახე ეგვიპტელი ქვის დიაციისა, ვის სახსოვრადაც დაერქვა სახელი ჩემთვის უცნობ, საყვარელ და მიტოვებულ მიწიერ ასულს.

მაგრამ აქ უნდა მოვიყვანო მაქსის დედის ნაამბობი:

— ის იყო მაქსმა ცოლი ითხოვა და მარგარიტა კოქტებელში ჩამოიყვანა. ჩვენთან მაშინ ერთი ქალი სტუმრობდა თავის პატარა გოგოსთან ერთად. ესხედვართ სადილად. გოგო უჭვრეტს და უჭვრეტს ახალ ცოლ-ქმარს, ხან მაქსს, ხან მარგარიტას, ხან ისევ მაქსს, ისევ მარგარიტას და ხმამაღალი ჩურჩულით დედას: „დედა! რატომ მითხოვდა მეფის ასული ამ მეუზოვეს?“ მარგარიტა კი მართლა ჭგავდა მეფის ასულს. ფლორენციის ქუჩებში — ანგელოზოთ, ყველანი მისძახოდნენ.

— და არვის არა სწყენია?

— არა, მარგარიტა იცინოდა, მაქსი იბადრებოდა.

ჩემი მხრივ დავსძენ, რომ მეუზოვე სამი წლის გოგოსთვის მითიური არსებაა და სამი წლის გოგოს პირში მისტიკური სიტყვა. მეუზოვე შეშას ჩებავს უზარმაზარი ნაჯახით და ამ ნაჯახის შეხედვაც კი შიშის ზარს დაგვიძვს. მეუზოვეს ზურგიით მოაქვს მთელი ტყე, მეუზოვე უზარმაზარი რკინის ჯობით ეთამაშება ცეცხლს, ეს რკინის ჯობი კი ბაბა იაგაა. მეუზოვე ყელამდე ეთოვლებს დედას და არ იყინება, მეუზოვის ნიჩაბი ათჯერ დიდია, მეუზოვის ჩუქმ, გოგონა უფრო მაღალი, მეუზოვეს ვერც ცეცხლი სწყავს და ვერც წყალი სძირავს. მეუზოვეს ძალუძს ის გააკეთოს, რაზეც შეიძლება ისრიალო და ისიც, ხაიდახაც ისრიალო, ანუ ციგა და გორა, მეუზოვე ვაჟკაცურობის ერთადერთი ნიმუშია გოგონას თვალში. მამის არიფერი შეუძლია, მეუზოვეს ყველაფერი მაშისადამე, მეუზოვე გოლიათია, ხოლო თუ გაჯავრდა, იქნებ — კაცობიაც ასე, ერთმა სამი წლის ბიჭმა, ჩვენთან სტუმრად მოსულმა, არამც და არამც არ მოისურვა ქვემოთ თახებში თამაში: „მოაშორე ის თეთრი კაცობი!“ — „კი მაგრამ, რომელი?“ — „წვერებიანი! კარადიდან მომჩერებია! თეთრი თვალებით! მოაცოლე ის სამინელი მეუზოვე!“

სამინელი მეუზოვე კი — ზევსი გახლდათ.

როგორც ვთქვი, მაქსისა და ა. გერციკის ლექსები ერთ ყდაში ჩავსვი. ამ ქალზე თქმა — ჩემი ვალია, ჩემი მეორე ცოცხალი ვალი. ვინაიდან იგი ჩემს ცხოვრებაში ისეთივე მოვლენა იყო, როგორც მაქსი, მე კი მის ცხოვრებაში იმაზე მეტრ, ვიდრე მაქსისაში, ჯერჯერობით კი.

მაქსის ერთ-ერთი მოწოდება მის ცხოვრებაში ადამიანების შეყრა იყო, შეხვედრათა და ბედ-იღბალთა შეთხზვა და შექმნა. შეყრა უანგაროდ, რამეთუ ბევრგზის ყოფილა, მის მიერვე შეყრილი ორი ადამიანი მცირე ხნის შემდეგ და კარგა ხნითაც მას ივიწყებდნენ, საკუთარი თავის მისივე განსახლებრის, ვარ

იღებინა მგროვებელიო, მე დავუმატებდი, მეგობართა მგროვებელიც-თქო. ჩემი ცხოვრების მთელ გაყოლებაზე ახლა უკვე დარწმუნებულმა, რაზომ ხარბობენ ადამიანები მეგობრებზე (როგორც ფულზე, მე არ დამაკლდეს! ნაკლები არ დამირჩეს!), ყველა და ყველაფერი რაოდენ მარტო თავისთვის უნდათ, სხვისთვის არაფერს იმეტებენ, რაოდენ მეტობს კაცთა შორის დაკარგვის შიშით ვაქცემ-გალებს სიხარულზე, არ შემოძლია მაქსის ეს თვისება კიდევ და ვინაა ვინაა და ვინაა: მისი გულუხვი ბუნება მისთვის ყველაზე ძვირფასის გალებაზე, ეჭვიანობის მკვეთრად საპირისპირო. ვითარც პლიუშკინი დაჯანგულ ლურსმანს, კაცნი თავის უუბადრუკეს ნაცნობსაც კი სხვებს უმაღლავენ — ვინ იცის, როდის გამოგვიდგესო? დიახ, ეჭვიანობის ნატამალიც მას არ ებადა — არასოდეს, გარდა მარადი ლტოლვისა მოყვასის გამდიდრებისკენ. ოგი ისევე იძლეოდა, როგორც სხვები იღებენ ხოლმე, მთელი სიხარბით. თავის კოქტებლის სახლსაც კი, ესდენ სიმწრით ნაშოვარს, ესდენ დამსახურებულს, ესდენ მისეულს, სისხლხორცეულს, მისი თაბაშირის ტვიფარზე რაც რომ უფრო ჰგავდა, — თავისად, ფიზიკურად თავისად ვერ შეიგრძნობდა. ოთახებს (სასაცილომდე იაფად) ელენა ოტობალოვანა აჭირავებდა, მაქსს ფიზიკურად არ შეეძლო მეგობრებისთვის ოტობალოვანა აჭირავებდა, მაქსს ფიზიკურად არ შეეძლო მეგობრებისთვის მათი მიჭირავება, კიდევ უფრო ნაკლებ უცხოებისთვის, კაცი, ვისაც თავის წუთისოფელში უხერხულობა არვის წინაშე არ განუცდია, ადამიანებთან ურთიერთობაში ესდენ ლალი, შენ წინ პატარა ბიჭივით ან რქებდაშვებულ ხარივით იდგა.

— მარინა! მართლა არ შემოძლია, აუტანელი რაღაცაა. დედას უთხარი...

— და სანდლების ტყაპატყუბით ჩარბოდა უკვე სახლის კიბეზე.

სამაგიეროდ, ზღვა, ტრამალი, მთები — კოქტებლის ეს სამი სტიქია და კიდევ მეოთხე — სივრცე-იმზომ თავისად უჩნდა, ვერც ერთი ილამარელი რაკიდევ მეოთხე — სივრცე-იმზომ თავისად უჩნდა, ვერც ერთი ილამარელი რაკიდევ თავის „პავილიონს“ ასე თავისად არ მიიჩნევდა, აბზინდას ისე იტყოდა, როგორც ჩემია-ს იტყვის კაცი. ხოლო ყარადაღს (მთის სახელია) როგორც მე-ს. ერთადერთი ფიზიკური საკუთრება, ანუ ფიზიკურად აღქმული საკუთრება მისთვის წიგნები იყო. აქ დანდობა მან არ იცოდა, აქ და მხოლოდ აქ — ჟინს იჩენდა, გაძლევდა იმას, რაც თავად სურდა, და არა იმას, რაც შენ გინდოდა.

„მაქს, შეიძლება?..“ — „ოღონდ შენ არ მოგეწონება... გირჩევნია ეს წაილო...“ — „არ მომეწონება კი არადა. გეშინია, მეტისმეტადაც არ მომეწონოს, რომ დავამთავრებ, ხელმეორედ არ გადავიკითხო და ასე ზაფხულის მიწურულამდე“. — „მარინა, გარწმუნებ, რომ...“ — „ან გეშინია, ბლით არ დაგვთხვარო, მე კი ძალზე ფრთხილი ვინმე ვარ“. „ვიცი, მაგრამ საქმე ისაა, რომ კაპიტან ფრასის უფრო მოგეწონება“. — „მე არ მინდა ფრასისი, მინდა ჟანლისი, ჩემო კარგო მაქს, ჩემო ძვირფასო, პლიუშკინ-მაქს, შენ ხომ იმას ახლა არ კითხულობი?“ — „მომცემ პირობას, რომ ხელიდან ხელში არავის მისცემ დასაკავებლად? რომ ერთი კვირის შემდეგ აქ დამიბრუნებ ხელიდან ხელში და ისეთივეს...“ — „არა, სამი წამით აღრე და სამი ფურცლითაც გასუქებულს! მაქს, მე მას უფრო გრძელს გავხდი!“

მაძლევდა კია, მაგრამ ისეთი ოხვრით, კიბის ბოლო საფეხურიდანაც კი მესმოდა. აძლევდა — ყველას, აძლევდა — ყველაფერს. მაგრამ რამდენი წიგნიც არ ჰქონდა გაცემული — ეს იმდენი დათრგუნვა და დაძლევა იყო იმ თავისი ერთადერთი ვნება-სიყვარულისა, ჩემთვის წმიდათაწმიდის: საკუთარი წიგნის ვნება-სიყვარულისა. წმიდათაწმიდა სიხარბისა.

დაეუბრუნდეთ ადელაიდა გერციკს, ჩვენი დაახლოების პირველ ხანებში მაქსი ცხელ გულზე მას ასე ამიწერდა: ყრუ და უშნო, არც ახალგაზრდა, და ნაინც ბიბლით სავსე, უყვარს თურმე ჩემი ლექსები, თავისთან მკრთ. მიველ და ენახე — ქალი მართლა ბიბლით აღსავსე. მყის მთელი გზებით დავმეგობრდით, პო, კიდევ ერთი ნაბეჭდი შეცდომის თაობაზე (მაინც რა ჩემი პტონდა მაქსს ამ შეცდომებზე!) ჩემზე დაწერილ წერილში, ჩემს წინამორბედ მკრთებზე იგი ასე ამბობდა: „ადელაიდა გერციკის ოდინდელი საკერებლები...“ — „კი მაგრამ, მ. ა. ვერ გამიგია, ამ პოეტ ქალთან საკერებლები რა შუაშია?“ მაქსი, სახეგაბადრული: „საკერებლები კი არა, სატორებლები, არის ასეთი ქალების ხალხური სიმღერები, ტირილისაგან წარმომსდგარი“. შემდგომ კი ა. გერციკმა განმამარტა: „ჩემო კარგო, შეცდომებში ზოგჯერ დიდი სიბრძნეა: სინამდვილეში ყოველი ლექსი ცხოვრების ნახევებზე დადებული საკერებელია. მეტადრე ჩემი. მაღლი უფალს, რომ ოდინდელია! ახალ საკერებელზე სავალალო არაფერია!“

და აი ჩემი და ა. გ.-ს შეყრიდან ერთი წლის შემდეგ მაქსმა მითხრა: „მარინა! (ჩვენ უკვე შენობით ვლაპარაკობდით), იცი თუ არა, შენი თავი ადელიდა კაზიმიროვნას რომ ვაჩუქე?“ — „როგორ აჩუქე?“ — „არ იცოდი (დიდზე დიდი სიდინჯით), ადამიანების ვაჩუქება რომ შეიძლება — მათდა დაუკითხავად? და ის, ვინც ვაჩუქე, უსათუოდ იმის სულიერი საკუთრება ხდება, ვისაც აჩუქე, მაგრამ მე შენი თავი კარგ პატრონს ვაჩუქე“ — „მაქს, შემთხვევით ხომ არ — გამყიდე?“ მან, ძალზე დინჯად: „არა, შემეძლო კია, ვინაიდან ა. გ.-ი, ადამიანთა სულზე ფრიად ხარბი, მთელი საღამო შენს თავს მეზვეწებოდა. სამაგიეროდ ბევრის თავი შემომთავაზა: ბულგაკოვის, ბერდიაევის, პოლონურიდან მთარგმნელი ვილაც დიაცის, თლონდაც მე ისინი, ჯერ ერთი, არაფერში არ მკრრდებოდა, მეორეც, მე შეგობრებს მხოლოდ მეგობართ ვაჩუქნი ხოლმე... ისე რომ, ბოლოს და ბოლოს შენი თავი დაისაკუთრა კმაყოფილი ხარ?“

დუმილი, მან, პირფერულად: „მე ხომ ვიცოდი, ვისაც ვაჩუქნიდი, როგორც ქიშიან ლევს — კარგ პატრონს ვაჩუქნიან ხოლმე.“ — „მაქს, გული არ გწყდება?“ — „არა, გული არასდროს გწყდება და არც მაკლდება, (დუმილი.) შენ კი, მარინა, გული გწყდება?“ — „მაქს, მე ახლა სხვისა ძალღი ვარ — სხვა შებადისა!“

არადა, გული მატიკინა, შემეკუმშა — ასეთმა თავისუფლებამ, მისგან ჩემმა თავისუფლებამ, ჩემგან — მისმა, მისმა — ყველასგან, თუმცა ამასთან სიხარულმაც ამიგსო გული, რომ ა. გ.-ი, რომელიც ასე მომწონდა, მთელი საღამო თურმე ჩემს თავს ეზვეწებოდა. შემეკუმშა და თან ამეკსო — გული ხომ სწორედ ამის წყალობით ცოცხლობს.

ადელაიდა კაზიმიროვნასთან პირველ შეხვედრისთანავე: „ახლა კი ვიცი, განსაკუთრებით რატომ გიყვარვართ! არა, არა, ლექსების, გერმანიის, ხასიათების მსგავსების გამო არა — ცხადია, ამისთვისაც — მაგრამ განსაკუთრებით რომ გიყვარვართ...“ — „აბა მითხარით!“ — „იმიტომ, რომ მაქსმა ჩემი თავი ვაჩუქათ, ასე მიამიტი თვალებით, თუ შეიძლება, ნუ მიყურებთ! თავად მიაძბო“ — „მარინა! (სული მოითქვა), მარინა! მაქს ალექსანდროვიჩმა კი არ ვაჩუქა, თქვენი თავი ჩემთან წააგო“ — „რაო?“ — „პო, ჩემო კარგო, როცა თქვენს წიგნი მომიტანა, მყისვე აღმოვაჩინე, ლიტერატურული გავლენა არავისი არ გიტყობოდათ, მ. ა.-ი კი იჩემებდა, ვერ აღმოაჩინე რა მბრტყლო მთელი საღამო ვიდავეთ და ბოლოს ნაძლავი დავედეთ: თუ მ. ა.-ი ამ ერთ თვეში ამ გავლენას ვერ აღმოაჩენს, თქვენს თავს ჩემთან წააგებს, როგორც თავის საყვარელ საგანს.“

იმიტომ, რომ ძალზე უყვარდით, ახლაც უყვარხართ, ოღონდაც ასე და რამდენადაც მე წებას დავრთავ. ვერა გავლენა, ნაპოლეონის გარდა, მან ვერ აღმოაჩინა, ვინაიდან მაშინვე მივხვდი, არავითარი ლიტერატურული გავლენა არ ყოფილა — ისე რომ, ერთი თვის შემდეგ, ზუსტად იმავე დღეს და იმავე საღამოს თქვენა თავი ვიჩუქნე, არადა, როგორ უნდოდა თქვენი თავი მას დარჩენოდა, ანუ თქვენი სულიერი მამა აღმოეჩინა, იმასაც კი შეეცადა, ნაპოლეონის მსგავსად წარმოედგინა, საბუთად მისი მიმართვაც კი მოიყვანა ჯარისკაცთაღმძი: „ჯარისკაცებო, ამ პირამიდებიდან ორმოცი საუკუნე გადმოგყურებთ თქვენ...“ მაგრამ მყისვე ეამხილე და გავაჩუქე, ასე გახდით, გეთაყვა, ჩემს საკუთრებად. (გულწრფელი აღშფოთებით:) ახლა კი დადის და დატრახახობს, მე ვაჩუქეო... ეს არცთუ ისე ლამაზი საქციელია“.

მაქსი თავისას იყინებდა, ადელაიდა კაზიმიროვნა თავისას, ხოლო ორივესთვის ერთად კითხვა ვერ გამებედა. იქნებ იმიტომ, გულში ვშიშობდი — დიდსულოვნებით ატაცებულთ — ჩემი თავი ერთმანეთისთვის ხელახლა არ გადაეჩუქნათ, ანუ ორივეს ჩემზე უარი არ ეთქვა და უბატრონოდ არ დავრჩენილიყავ, ან კიბლინგის ზღაპრის კატად არ ვქცეულიყავ, თავის ნებაზე რომ დასეირნობს. ასე რომ, სიმართლე ვერ დავადგინე, გარდა იმ ერთადერთი სიმართლისა, რომ ორივე მიყვარს და ორივესი მადლიერი ვარ(...)

ასევე დარჩა მაქს ვოლოშინი და ადელაიდა გერციკი — როგორც მაშინ ერთ წიგნად (ჩემი სიყმაწვილის წიგნად) გადაწულნი, ახლაც სამუდამოდ ჩემი სიყვარულით და მადლიერებით ერთად ჩაწულნი.

კოქტებლის

1911 წლის ხუთ მაისს, მას შემდეგ, რაც ერთი თვე გურზუფის გენუური კოშკის ნანგრევებზე დიდებულ მარტოობაში გავატარე, ხუთტომიან კალიოსტროსა და ექვსტომიან კონსუელას ფრიად წონად საზოგადოებაში, აღმოსავლეთ ყირიმის ტევრებში მთელი დღე მოჭრიალე ურმით მგზავრობის მერმე პირველად დავადგი ფეხი კოქტებლის მიწას, ზედ მაქსის სახლს წინ. იქიდ კი თეთრ გარე კიბეებზე ვეებერთელა ნაბიჯებით მოჭროდა უკვე ჩემთვის ძნელად საცნობი, სულ ახალი მაქსი, მაქსი ლეგენდის, უფრო ხშირად ჭორების (ბოროტი ჭორების!), მაქსი, ბრჭყალებში, „ქიტონის“ ანუ უბრალოდ ტილოს გრძელი პერანგით, მაქსი სანდლებით, იმ სანდლებით, ობივატელები რომ რატომღაც მარტოოდენ კარაგმად ხმარობენ ხოლმე: „მისი სანდლების შეხსნის ღირსიც არააო“, და ვაცმა არ იცის, ცხოვრებაში ასე მტკიცედ რად უარყოფენ — თუმცა მიწა იგივე იყო და ცხოვრებაც თითქმის ისეთივე, უპირველესად ბუნებასვე ნაკარნახევი. — მაქსი აბზინდის წნულით თავზე და ჭრელი სარტყლით, მაქსი მასპინძლის ღიმილით გადაბადრული, მაქსი — კოქტებლის.

— ახლა კი დედას გაგაცნობთ, ელენა ოტობალდოვნა — მარინა ივანოვნა ცვატაშვილი.

დედა უკან გადაეარცხნილი ჰალარა ომა, არწივის პროფილი ცისფერი თვალით, ვერცხლით ნაკერი თეთრი ხიფთანი, კოჭებამდე ლურჯი შარვალი, ყაზანური ჩუქმები, აბოლებული პაპიროსი მარჯვნიდან მარცხნივ გადაიტანა და — „გამარჯობათ!“

ე. ო. ვოლოშინა, დაბადებული — ახლა არ მახსოვს. მაგრამ აშკარად გერმანული გვარისაა, გარეგნობითაც აშკარად გერმანელი, გარეგნობა ზიგფრიდისა,

სიბერემდე რომ მოყრილიყო, ის გარეგნობა. რომელიღაც ლექსში რომ მაქვს ნათქვამი:

— გრძელთმიახი და სწორცხვირთაანი მე, გერმანელი, ღმერთთ ვადიდებდი.



ქართული
ბმტ...
...
...


(რაც ქალისათვის მოკლე თმაა — ის გრძელი თმაა გერმანელისთვის.) ანდა უფრო მიახლოებით, ბერი გოეთეს სახე, აშკარად გერმანული და აშკარად ღვთაებრივი. პირველი შთაბეჭდილება — მისი მეფური მიმოხვრა და თავდაჭერა. შენკენ წამოვა, ასე გგონია, ფულს გიწყალობებს, ერთი მოწყალე მზერა ამალლების გრძნობას გიბადებს, მეორეს, პირველიდან გამომდინარეს — შიშის გრძნობას, ასეთი არ გაბატონებს, რას? რას და არაფერს, დიდებულება — მიუხედავად პატარა ტანის, დიდებულება — დაბლიდან, ჩვენი თაყვანისცემა — მაღლიდან, თუმც იყო უკვე ერთი ასეთი შემთხვევა — ნაპოლეონი.

დიღზე დიდი სისადავე, სამოსი, მისთვის ზედგამოჭრილი, სხვაში ვერც წარმოიდგენ და ალბათ ვერც იცნობ: ასეც აღმოჩნდა ორი წლის შემდეგ ჩემი გოგონას ნათლობაზე: ე. ო. -მ მეორე ნათლის — მამაჩემის პატივსაცემად და ადამიანთა ზნე-ჩვევების შესაწყნარებლად ქვედა კაბა ჩაიცვა, თუმცა ვერც ქვედა კაბამ უშველა, არასოდეს დამაეიწყდება, თვალს როგორ ბრეცდა ზამოს-კვარცხელი მღვდელი ამ ნათლისკენ, ბალიშზე გადაწვენილი ჩვილი რეგალიების ზარდახშივით რომ ეკავა და ემბაზის ირგვლივ ლამის ცერემონიული მარშით დააბიჯებდა, მაგრამ დავბრუნდეთ უკან, დასაწყისისკენ, ყველაფერი — ზელით ნახვევი პაპიროსი, მთლიანი სარდიონის ასანთის კოლოფი, ხიფთნის ვერცხლით ნაქერი ყოშები, ფეხზე ზღაპრული ყაზახური წაღები, ქარის შიერ უკან გადატყორცნილი ვერცხლისფერი თმა — იყო მთლიანობა და ერთიანობა, იყო სხეული სწორედ მისი სულისა.

არ ვიცი, რატომ — თუმც ვიცი, რატომ — ეს ლაბრუკული მიწა, ველური თუ შინაური ძაღლების ბროვა, ზედ სახლის წინ გადაშლილი ლილისფერი ზღვა, შემწვარი ცხვრის სურნელი, — ასეთი მაქსიმ, ასეთი დედა — ისეთ გრძნობას მიძრავდა, თითქოს ოდისეაში შევაბიჯე.

ელენა ოტობალდოვნა, პატარაობაში საყვარელი გოგო შამილისა, კალუგაში რომ ატარებდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებს, „შენ პირველი ლამაზმანი იქნებოდი ჩვენთან, კავკასიაში, შეთვალა რომ ყოფილიყავი“ (უკვე ვთქვი, რომ ცისფერთვალა იყო.) აგონებდა მის საყვარელ უმცროს ვაჟიშვილს და იძულებით კალუგას მშობლიურ კავკასიად უბრუნდა, დამარცხებული შამილის მუხლებზე გატარებულ პატარაობას როგორ არ უნდა გაეზადა კავალერ ნადეჟდა დუროვად ან ყოველ შემთხვევაში პოეტის დედად! დიან, იყო შამილი, მაგრამ შემდგომი ნაბიჯი ცხოვრებაში იყო — ინსტიტუტი, ამ ლამაზ გოგოს მთელი ინსტიტუტი ეთაყვანება, „მაკოცე რა!“ — „თუ მესამეს დამითმობ სადიღზე, კი“. (კოცნაობა არასოდეს არ ჰყვარებია.) სადილის შემდეგ ამ ანგარებთან ლამაზმანის წინ ათი ცალი ნამცხვარი იყო ჩამწკრივებული, ანუ ათი შეყვარებული გული, ხუთს რომ შეჭამდა, დანარჩენს მეფური გულუხვობით დაარიგებდა, ოღონდ არა იმათ, ვინაც მისცა, არამედ იმათ, ვინაც არ მისცა, არდადეგებზე შინ კაცის, ბიჭის სამოსი ეცვა — იმხანად (სამოცი წლის წინათ) პიესა არ არსებობდა, ხოლო პიჯაკისთვის, ასეთ უშნო და კუდრუცუნასათვის, მეტიხმეტად ნორჩი იყო.

მაშინდელ მის სილამაზეზე. ზღვაში მობანავე რომ დაინახა, ოდესის ქე-
ბირიდან ვიღაც მეზღვაურმა გადმოსძახა: „მაინც სად ვიბადებით ასეთი ლამა-
ზეები?!“ — ყველაზე სრულყოფილი ხარკი მშვენიერებისადმი, რაც ცხოვრუ-
ბაში გამიგია, მეთევზის ოდინდელი, ლამის სასოწარკვეთილი ამოძახილი ადგილი
დიტეს ზილვაზე. — რაიე ჩემში ეხმიანება მინდვრიდ მიმავალ პროტესტულ
პოეტ პიოტრ ორეშინის ამას წინ წაკითხულ ლექსს:



შეიძლება კი ამ მშვენიერების წინ
კაცმა რომ ქუდი არ მოიხადო?

საოცარია და, ე. ო.-ს მშობლებზე სიტყვა არ მახსოვს, თითქოსდა ისინი
არცა ჰყოლია, ისიც არ ვიცი, მსმენია კი მათზე რაიმე: დედას და მამას შამი-
ლის არწივის ფრთა ფარავს ჩემგან, მისი ვაჟი და არა მათი ასული.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, თექვსმეტი წლისა გათხოვდა. რატომ
ასე მალე და რატომ სწორედ იმ კაცზე, მასზე ორჯერ ხნიერი და შეუფერებელი
რომ იყო? იქნებ პირველად აქ მტკიცდება, დედ-მამა მართლა რომ არსებობდა?
ასე იყო თუ ისე, ცოლი ხდება და გათხოვების შემდეგაც ლერწამივით წერწე-
ტი — ბიჭურ სამოსში რჩება, მეზობლების გასაკვირად და გასართობად. ეს კი-
ევში იყო, მის უსაზომო ბაღების სამყაროში.

აი მისი მონაყოლიც:

— დარბაზში კიბეზე ვიდექ და ჭერს ვათეთრებ. — ძალზე მიყვარდა შე-
თეთრება — რომ არ დავთხოვრილიყავ, ყველაზე ცუდი შარვალი მეცვა და ყვე-
ლაზე ცუდი ხალათი. ზარმა დარეკა. ვიღაც შემოიყვანეს. თავს არ ვაბრუნებ,
ისევ შეთეთრებას ვაგრძელებ. მაქსის მამასთან ბლომს ხალხი მოდიოდა, ყვე-
ლას ხომ არ შეხედავ.

„ყმაწვილო!“ — თავს მაინც არ ვაბრუნებ. — „ყმაწვილო, პა?“ მოვბრუ-
ნდი, ვიღაც დარბაისელი კაცია, ასაკოვანი. კიბიდან დავყურებ, ვუცდი, კიდევ
რას იტყვის. „თუ შეიძლება, მამათქვენს გადაეცით... ესა და ეს...“ — „სიამოვ-
ნებით“. თურმე ცოლი კი არა, ვაჟი ვეგონე. შერე რომ ვუთამბე მაქსის მამას, მისი
კარგი ნაცნობი აღმოჩნდა. „რა ცქვიტი ვაჟი გყოლიათ, კარგად გადმოუციო ჩე-
მი საქმე. ჩინებულად სცოდნია შეთეთრება.“ მაქსის მამას არა უთქვამს რა.
უთქვამს მხოლოდ, „პო, კარგი ბიჭია“. (ქმარიო, არასოდეს იტყოდა ხოლმე,
მუდამ მაქსის მამად იხსენიებდა. თითქოს ამით მიანიშნებდა მის პირდაპირ მნი-
შვნელობასა და დანიშნულებას ცხოვრებაში.) გავიდა ხანი — საზეიმო სადი-
ლი გვქონდა, პირველად, რაც გავთხოვდი, მხოლოდ მაქსის მამის თანამშრომ-
ლები იყვნენ. მე, ცხადია, შარვალი აღარ მეცვა, დიასახლისის შესაფერისად
გამოვეწყვე: რუშებიო, ბუფებიო, უკან ტურნირიც კი მეკეთა. — როგორც წე-
სი და რიგი იყო. ერთიმეორეზე მოდიოდნენ ხელზე საამბოროდ. მაქსის მამამ
ვიღაც ბატონი მომიყვანა: „იცანი კი?“ ცხადია, ვიცანი — სწორედ ის იყო,
ლამის ჭერთან ერთად რომ შევათეთრე, იმან კი: „ნება მიბოძეთ, წარმოგიდ-
გეთ“. „რას ამბობ, ხომ უკვე გაიცანი“, — უთხრა მაქსის მამამ. „პატივი თავის
დღეში არა მქონია“. — „გახსოვს ჩემი ბიჭი, კიბეზე რომ ჭერს ათეთრებდა?
ისაა სწორედ“. იმან პირი დაალო, სუნთქვა შეეკრა, ლამის არ გაიგუდა. „დიახ,
დიახ, სწორედ ის გახლავთ, ო, მაპატიეთ, ქალბატონო, ღვთის გულისათვის,
თვალეში სად მქონდა ნეტა?“ — „არა უშავს რა, — მე ვუთხარა, — თავის აღ-
გილზე გქონდათ“. მთელი საღამო ვერ იქნა და ველარ მოსულიერდა!

ამ ამბით ვასკვნი, რომ მისტიფიკაციების ეს თანდაყოლილი სიყვარული

მაქსისთვის მშობლებს გადმოვლოცა. ენის ნიჭი კი — აშკარად დედას. მახსოვს კოქტებლის იმ პირველ ზაფხულს მაქსის დედის აღშფოთებულ ხმა ვერანდებზე:

— რა საშინლად ლაპარაკობენ ახლა! თუნდაც ლილია და ვერა აიღე — მთელი მათი სიტყვარი ორასზე მეტი სიტყვისაგან არ შეგუფნებულა სიტყვებსაც როგორ ხმარობენ! ამას წინათ ლილია ჰყვებოდა ბავშვებს, ვიღაც გადასახლებულზე: „რა დიდრონი, სევდიანი, ინტელიგენტური თვალები აქვს...“ სად გაგონილა, თვალები ინტელიგენტური იყოს? ყველაფერს ინტელიგენტურს ეძახიან, ჩვილსაც ინტელიგენტური მზერა აქვს, ძალსაც ინტელიგენტური დრუნჩი, ჟანდარმერიის პოლკოვნიკსაც არაინტელიგენტური უღვაში... ერთი სიტყვა ყველაფერზე, თანაც არასრული და არათუ არასრული, არაფრის მთქმელიც, ფრანგულად intelligent აკი — ჰკუთხს ნიშნავს. მარინა, იცით, ეს რა არის?

— სათვალის ფუტლიარი,

— სულ არაა ფუტლიარი! რად გინდათ დამახინჯებული გერმანული Fut-teral, როცა რუსულში შესანიშნავი სიტყვა სასათვალე გვაქვს. ლექსებს მაინც არ სწერდეთ! ნეტა რა ენაზე?

მაგრამ დაფუბრუნდეთ ისევ ყმაწვილ ე. ო.-ს, როცა სათაყვანებელი, მისი საკუთარი პირმშო, მასაგით გოგო-ბიჭა ოთხი წლის ნადია დაელუპა, ვისზე დარდი თმის გაქაღარავება-გათეთრებამდე ვერა და ვერ მოიხელა. ე. ო.-მ დატოვა კმრის ოჯახი და ორი წლის მაქსთან ერთად, მგონი, კიშინიოვში გადასახლდა. იქ ტელეგრაფში დაიწყო მუშაობა, მაქსი ბებიასთან, მის დედასთან რჩებოდა. კოქტებელში, ე. ო.-ს ოთახში მახსოვს გამოსაჩენ ადგილზე დაკიდებული მაქსის სურათი: ძველი დროის ბიჭი თუ ძალზე ახალგაზრდა ქალი ქვეყნიერებას წარუდგენს მაგიდაზე მდგომ პატარა ჰერკულესსა თუ ზევსს — როგორც გენებოთ, ოღონდაც სულმთლად შიშველსა და ძალზე თმახუჭუჭას.

ორი შემთხვევა მაქსის ბავშვობიდან. (ყველა ვაჟის დედა, გინდაც მისი ვაჟი ლექსებს არ წერდეს, სადღაც მაინც გოეთეს დედაა, ანუ მთელი მისი ცხოვრება შედგება ვაჟის ამბების ტომეულისა და მოთხრობებიდან. და ყოველი ყმაწვილი ქალი, თუნდაც იგი მის გოეთეს არ ეტრფოდეს, მისთვის მაინც — პატარა სკამზე მჯდარი ბეტინაა.)

ცხოვრობდნენ ღარიბად, სათამაშოებიც არ ჰქონდათ, გარდა ბაზარში ნაყიდი სხვადასხვა რამერუმეებისა, ცხოვრობდნენ მათხოვრულად. ირგვლივ კი, ანუ ქალაქის ბაღში, სადაც ბებია ასეირნებდა, — მდიდარი, ბედნიერი ბავშვები, სათამაშო თოფები, ცხენები, ეტლები, ბურთები, მათრახები, პურის გულის სხვადასხვა ნაკეთობანი.

— სხვა ბიჭებს რატომა აქვთ, დედა, ცხენები, ზანზალაკებიანი ალვირები, მე კი არა?

ამ კითხვაზე მუდამ ერთი პასუხი იყო:

— იმიტომ, რომ მათ მამა ჰყავთ, შენ კი არა.

ჰოდა, ერთი ასეთი პასუხის შემდეგ მამაზე, რომელიც არ ჰყავს, — კარგა ხნის დუმილი და მერე სრულიად მკაფიოდ:

— მაშინ ითხოვე

მეორე შემთხვევა: მწვანე ეზო, ეზოში სამი წლის მაქსი და დედა.

— თუ შეიძლება, დედა, კუთხეში ცხვირით დადექით და არ მოიხედოთ.

— რატომ?

— სიურპრიზს მიიღებთ. როცა ვიტყვი, შეიძლება-თქო, მაშინ მობრუნდით.
არწივისცხვირა დედა მორჩილად დგება პირით ქვის კედლისკენ. იცდის.
იცდის.



შეიძლება /
გადაწყვეტილი
გინგლირთქვა

— მაქს, ჩქარა იტყვი? თორემ მომბეზრდა!
— ახლავე, დედა! კიდევ ერთი, ორი წუთი. — და ბოლოს, —
დედა მობრუნდა. მისკენ მომავალი სამი წლის ბიჭის აღტაცებით

რული ფუნჩულა დრუნჩი:
— სიურპრიზი რა უყავი?
— მე, — აღტაცებისგან სუნთქვაშეკრული, ბოლომდე რომ ასევე შერ-
ჩა, — ჭასთან მივედი — დიდხანს ჩავყურე — ვერაფერი ვერ დავინახე.
— შე საძაგელო და გაუგონარო! მე რე სიურპრიზი?
— ის, რომ არ ჩავვარდი.

ჭა, როგორც ხშირად სამხრეთშია, ოთხკუთხა იყო, შეუღობავი, ჩასავარ-
დნი კვადრატი—ასეთ ჭაში, როგორც იმ ჩვენს საერთო მორევში, მართლა შე-
იძლება ჩ ა ე ხ ე ტ ო. კიდევ ერთი შემთხვევა. ხუთი წლის მაქსთან დედა გრძელ
ლექსს კითხულობს, მგონი, მაიკოვსკს. ვინმე ასული ჩამოთვლით ამბობს,
თუ რას არ ეტყვის თავის სატრფოს: „არ გეტყვი იმას, როგორ მიყვარხარ, არ
გეტყვი იმას, ვარსკვლავნი როგორ დამნათიან ცრემლით მორწყულ სახეზე, არ
გეტყვი იმას, სული როგორ მეპარებოდა ნაბიჯების გაგონებაზე — თუმცა არც
ერთხელ შენ არ იყავი, არ გეტყვი იმას, თუ თავზე როგორ დამათენდა“ — და
ა. შ. და ა. შ. დაბოლოს — ბოლოც, ხუთი წლის მაქსმა კი ღრმა ამოთხვრით:

— რანაირი ვინმე ყოფილა! აღუთქვა, არ ვიტყვიო, და თვითონვე ყვე-
ლაფერი ბოლომდე უთხრა!
ბოლო ამბავი ბოლომდე უნდა მოეყვე. დილაა: ბიჭი რომ კარგა ხანს აღარ
და აღარ შემოვიდა, გაკვირვებული დედა საბავშვო ოთახში შედის. მის ბიჭს
ფანჯრის რაფაზე სძინავს.

— ეს რას ნიშნავს, მაქს?
მაქსი ქვითინით და მოქნარებით:
— მე, მე არ მეძინა! მე — ვიცდიდი! ის კი არ მოფრინდა.

— ეინ?
— ფასკუნჯი! დაგავიწყდათ, რომ შემპირდით, თუ კარგი ბიჭი იქნებიო...
— ჰო, ჰო, მაქს, ზვალ უთუოდ მოფრინდება, ახლა კი წამო ჩაი დავლიოთ.
მეორე დილას — არა, დილა ვიდრე გათენდებოდა, აღრიანი თუ ნავიანე-
ვი გამვლელი კიშინიოვის ერთ-ერთი სახლის ფანჯარაში დაინახავდა თითქოს
კვარცხლობეკზე შემდგარ, შუბლით განთიადს მიბჯენილ, საბანშემოხვეულ ნორჩ
ზევსს და მის ფეხებთან მეორე ხუჭუჭა თავს. და გამვლელი გაიგონებდა —
თუმცა ასეთ ხანს, მწერლის სიტყვებით, აქ გამვლელი კაცი არაა: „ვისმე, აქ რომ
ჩაველო... ოღონდაც აქ არავინ ჩაივლის ხოლმე...“

ჰოდა, გამვლელი გაიგონებდა:
— დედა! ეს რაა?
— შენი ფასკუნჯი, მაქს — მზე!

მკითხველს ალბათ ყურში მოხვდა, მაქსი რომ დედას ძველებურად „თქვე-
ნობით“ მიმართავდა. ეს მან დედისგან შეითვისა — მაქსის დედაც ხომ თავის
დედას ასე მიმართავდა. დედა-შვილმა უკვე ჩემთან დალია ბრუდერშაფტი:
ორმოცდათექვსმეტი წლის დედამ და ოცდათექვსმეტი წლის შვილმა — ახლაც
თვალწინ ნიღვას, კიჩები როგორ მიატახუნეს კოქტებლის სიტროთი ანუ ლი-

მონათღო, ე. ო.-მ ამასთან თავისი ერთადერთი სიმღერა — უნგრული მარში იმღერა. მთლიანად თანხმოვნებისგან შემდგარი.

ვეგონებ, ეს მკითხველები, მაქსსა და ე. ო.-ს რომ იცნობენ, ჩემგან ელიან ამ ქალის კიდევ ერთ სახელს, რომელსაც ახლა წარმოუთქვამ

პრა — პრაბებიიდან წარმომსდგარი, ოღონდ პრაბებია არა ასაკით — მაშინ ორმოცდათექვსმეტის იყო მხოლოდ — არამედ ერთი გრანდიოზული მისტიფიკაციის გამო. სადაც იგი ჩვენი საერთო დიდი ბებნის როლს ასრულებდა — კავალერ ქალის კირიენკოსი (მისი და მაქსის გვარის პირველი ნაწილი), ამ მისტიფიკაციაზე, როგორც ჩემი კოქტებლის პირველი ზაფხულის მთელ სამყაროზე, როდესმე ცალკე, დაწვრილებით და მთელი გატაცებით უნდა გაიმბოთ.

მაგრამ სიტყვა პრას სხვა წარმომავლობაც ჰქონდა, სულაც სახუმარო რომ არ გახლდათ — პრადედა ანუ აქაურობის დედაქალი, მისი გამრჯე ხელებით შექმნილისა, ანუ მოთავე ჩვენი სიყმაწვილის წლებს, გვარის პრადედა ასევე განუხორციელებელი რომ დაურჩა — მატრიარქატი — პრა.

რა დამავიწყებს, ჩემს ჯვრისწერაზე დიდ საეკლესიო დაეთარში, მოწმის გრაფაში მოულოდნელად, ხელის ერთი მოსმით მთელ გვერდზე რომ გააშანშალა:

„უნუგეშო ქვრივი კირიენკო-ვოლოშინისა“

ამ ქალში მუდამ ჩქეფდა, რასაც გერმანელები Einfall-ს ეძახიან (უცბად მოგუხნებებას), და ამით დიახაც გავდა გოეთეს დედას, რომელთან ერთად მაქსს სიყვარულით შეეძლო ეთქვა:

დედისგან დამყვა სიხალისე.

და სიყვარული — შემთხვევლობისა.

პოი, კიდევ რამდენი დამრჩა საამბობელი! შეიძლებოდა მთელი წიგნის დაწერა, რამეთუ თავად იყო მთელი წიგნი — დასურათებული წიგნი ბავშვებისა და პროეტებისთვის. მაგრამ მისი ადამიანური თუ ყველანაირი გამორჩეულობა რომც არა, — ყოველი ქალი, ვაჟის მარტო გამზრდელი. იმსახურებს, მასზე რომ მოპყენენ, მიუხედავად იმისა, დამარცხდა თუ არ დამარცხდა აღზრდის ამბავში, მთავარაა საერთო ჯამი ძალისხმევათა ანუ მარტო კაცის მარტოეული დეაწლი — ყველას გარეშე, მაშასადამე — ყველას პირუკუდ, ხოლო თუ ეს მარტოეული დედა ამასთან პროეტის დედაც აღმოჩნდა, ანუ ბერობის შემდეგ ყველაზე დიდის, თითქმის განდევილისა და მუდამ მოწამის, არა ქებათა-ქებასაკმარისი არ იქნება, გინდაც ჩემი მხრივ.

რადაც სახსრებით, არ ვიცი კი რა სახსრებით, ყოველ შემთხვევაში მათხოვრულით, სწორედ გროშებით შეისყიდა ე. ო.-მ კოქტებელში მიწის, მიწის კი არა, ზღვის პირის ერთი ბეწო ნაგლეჯი. მაქსი ველოსიპედით დადიოდა ფეოდოსიის გიმნაზიაში, თვრამეტი ვერსი იქით და აქვთ, კოქტებელი უკაცრიელი ადგილია. ნაპირზე მხოლოდ ერთი სახლი დგას — ვოლოშინების, თვით კოქტებელი ანუ ამ სახელის მქონე ბულგარულ-თათრული სოფელი ორი ვერსის მოშორებითაა შარაგზასთან. ე. ო.-ი სამოვარს უჩალებს გამვლელ-გამომვლელთ, ხოლო საღამოობით უკაცრიელ ნაპირზე გადის და იქ მარტოობისგან ყმუის. მაქსი უკვე იბეჭდება ფეოდოსიის გაზეთში, მას უკვე პროეტს ეძახიან და ფეოდოსიელი გოგოების გუნდი დასდევს.

— პროეტო, ლექსი გვითხარი!

ე. ო.-ი მეორედ არ გათხოვილა, ეს არ ნიშნავს, თითქოს არაფერ არ უყ-

ვარდა, ეს ნიშნავს, რომ მაქსი ძალზე უყვარდა, სხვაზე და თავის თავზედაც მეტად. შეილს რომ მამა დაუკარგა — და მის მაგივრად მამინაცვალის მოყვანა, შვილი გერად ექცია, თანაც ასეთი შვილი, რომელსაც ბრტყალები არ ვაძინია და თან ლექსებსა წერს... იყო ვიღაც წერწერა, მაღალი ცხენოსანი, მოპყვებო და და. უნდა ვიფიქროთ, ფრიად მაღლაც ცხენით მთებში. იყო უკანასკნელი შეხვედრაც ალბათ: „პო!“ — „არა!“ — რის შემდეგაც მაღალი მხედარი მოსწავლე ხვევს მიეფარა და სამუდამოდ გაუჩინარდა. ეს მე მიაჩნებოდა ფეოდალის ძველმა მკვიდრებმა და ვიღაც უცხოელის გვარიც დამისახელეს, რომ წაეყვანა თავის ქვეყანაში, ვინ იცის, იქნებ ბედნიერიც ყოფილიყო... მაგრამ მაქსიმის ალექსანდროვიჩი იმ მხედარს ვერ იტანდა, ასე ამბობდა ის ძველი მაცხოვრებელი, ვისგანაც ეს ყველაფერი მოვისმინე — ყველა უყვარდა, ყველასთან თავაზიანი იყო, იმ ვაჟბატონს კი იმთავითვე ვერ შეეგუა. არც იმ ვაჟბატონს უყვარდა თურმე, ის კი არადა, ამრეზითაც უყურებდა, რაკი ვაჟკაცი მაქსს ცოტა მოსდგამდა: ღვინოს არ სვამდა, ცხენს არ დააგელვებდა, ესაა მხოლოდ ველოსიპედს დაატარებდა... ლექსებისადმი კი ეს ვაჟბატონი გულგრილი გახლდათ, რუსულადაც უხეიროდ ლაპარაკობდა, გერმანელი თუ ჩეხი იყო. სამაგიეროდ ძალზე ლამაზი ბრძანდებოდა! ასე დარჩნენ მ. ა.-ი და დედამისი უგერმანელოდ, სამაგიეროდ სიაბტკილად და უსიამოვნების გარეშე.

ეს გახლდათ განუყრელი და მეგობრული წყვილი. მთელი ვაჟკაციური სული, ვაჟკაციობა, ორივეზე განსაზღვრული, დედას ერგო, მთელი ქალურობა — ვაჟს, რამეთუ ვაჟკაციობის ნასახი მაქსს არც ჰქონია, როგორც ე. ო.-ს ქალურობისა. თუ მაქსს გულადობისა და თავგანწირვის სასწაულები ჩაუდენია, ამას აღამიანი და პოეტი სჩადიოდა და არა ვაჟკაცი (მეომარი). ჩაუდენია მარტოოდენ მშვიდობის (მორიგების) ჩამოსაგდებად და არა ომისა. ერთადერთი გამონაკლისი მისი დუელი იყო, გამოსარჩლების დუელი გუმბილით თან. ჩერუბინა დე გაბრიაკის გამო, მის არსებაში მეომარს არც არასდროს გაუქაჭანებია, რაიც განსაკუთრებით სწყინდა ხოლმე სულით და ხორციით მეომარ ე. ო.-ს.

— სერიოზულს შეხედე, მაქს, — აი ნაღდი ვაჟკაცი, მამაკაცი. ომია და — ომობს კაცი, შენ კი? შენ რას აკეთებ?

— დედა, ხომ არ შეიძლება გიმნასტურა ჩამოვიკვებო და ცოცხალ აღამიანებს ტყვია ვესროლო მხოლოდ იმიტომ, რომ მათი აზრით მე სხვათაირად ვფიქრობ, ვიღრე ისინი.

— ვფიქრობო. ზოგჯერ ისეთი დრო დგება, მაქს, როცა კი არ უნდა იფიქრო, საქმე უნდა აკეთო კაცმა.

— ეს დრო, დედა, მხეცებს აქვთ მუდამ — ამას ცხოველური ინსტიქტი ჰქვია.

იმზომ არამეომარი სული მოსდგამდა, სხვას სხვის გამო არასოდეს წასჩხუბებია. მასზე შეიძლება კაცმა თქვას, თავის მეგობართა ჩხუბში არასოდეს ჩარეულათ.

ჩემი სიახლოვის დასაწყისში არაერთხელ შევტაკებულვართ მის ამ შეუვალ სირბილის გამო. უკვე ღიბილის გარეშე და, როგორც ყოველთვის, აღელვებისას, თითის აწევით, თითის დაქნევით იტყოდა ხოლმე:

— არა, არ გესმის, მარინა. იგი სულ სხვა ყაიდისაა, მას საზომი სხვა გააჩნია და მისთვის საზომი სხვა უნდა იყოს. მისებურად იგი ისევე მართალია, როგორც შენ შენებურად.

ეს „მისებურად მართალია“ იყო მის ცხოვრებაში ადამიანებთან მიმართების უპირველესი საფუძველი და ძირისძირი. ეს არ იყო მატერიალური, არც სულის სიპატარავე და არც სულის სიგრილე. დიას, არც სულის სიპატარავე, ვინაიდან ყველაფერი რაც მოსდგამდა, ბევრი მოსდგამდა ან — არ მოსდგამდა, და არც სულის სიგრილე იყო, ვინაიდან ასეთი შეწყობის, ასეთი შეწყობის წამს მისი სული ორ მთელ სულად იყოფოდა, იგი ერთდროულად შენც იყავი და შენი პეტოქეც, და კიდევ თავისე თავიც, და ეს მთელი სულით და გულით, გატაცებით, ეს იყო არა ორპირობა, არამედ ორსულოვნება, არა სულის სიგრილე, არამედ რაღაც ტოლქმედება, მთელი არსების ნაშუადღევის ას მზე, ყველაფერს სხვა თვალთ და სწორად რომ ხედავს.

ანგარიშზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, ვინც არც ერთ და არც მეორე მხარეს არ ღვება, რაც იგივეა, რომ ორივე მხარეზე ღვება, იგი ხშირად ორივე მხრიდან გაკაცებულია, რადგან ის საბუთი: „იგი ისევე მართალია, როგორც შენ“, — ჩვენ, როგორც არ უნდა ვიყოთ, გვესმის მხოლოდ და მხოლოდ ასე ის მართალია, უფრო მეტიც: მართალი ის არისო, რამეთუ, როცა ჩვენს თავზეა ლაპარაკი, ტოლობა სიმართლეში არ არსებობს, როს არ ღვებოდა არც ჩემს და არც ჩემი შეურაცხყოფლის მხარეზე, იგი, უბრალოდ, რჩებოდა თავის მხარეზე, რომელიც იყო გარეშე (მოქმედების არისა და ჩვენი შეხედულების) — იყო მის შიგნით და შეტაკების ზედა.

კაციშვილს ჯერ არ გაუკიცხავს მზე იმის გამო, რომ იგი სწვასაც უნათებს, იესო ნავინმა როცა მზე გააჩერა, იგი მტრისთვისაც გააჩერა, ადამიანი და მისი მტერი მაქსისთვის ერთ მთლიანს შეადგენდა: ჩემი მტერი მისთვის ჩემი არსების ნაწილიც იყო, მტრობას ის კავშირად შეიგრძნობდა. ამ თვალთ უყურებდა იგი გერმანიასთან ომსაც, სამოქალაქოსაც და ჩემსასაც ჩემს განურინებელ მტერთან — ანუ ყველასთან ერთად, ასე შეიძლება მხოლოდ ზემოდან დაინახო და არა გვერდიდან, არა შუაგულიდან, ასე ხედავდა იგი არამართო სხვების მტრობას, არამედ თავის თავს და იმსაც, ვისაც თავი მის მტრად მიაჩნდა, ის კი თავის მტრად, მტრობა მეგობრობასავით თანხმობას ითხოვს (სანაცვლოგებას), მაქსი მტრობაზე თავის თანხმობას არ იძლეოდა და ამით ფარ-ხმალს გაყრევინებდა, მას შეეძლო მხოლოდ ადამიანთან პირდაპირდგომა, მხოლოდ წინადგომით შეეძლო პირისპირდგომა: მისკენ წამოსულ ბოროტებასთან.

მე მგონი, მაქსს, უბრალოდ, არ სწამდა ბოროტებისა, არ ენდობოდა მის ვითომდა უბრალოებასა და დამაჯერებლობას: „არც ისე მარტივადაა საქმე, ჩემო პორაციო...“ ბოროტება მისთვის სიბნელე, უბედურება, უზარმაზარი გაუგებრობა — ავად გაგებული სიკეთე იყო — ვიღაცის ოდინდელი და ჩვენი ყოველწამიერი წინდაუხედაობა, ხშირად მხოლოდ სიბრძნევე (რისიც ეჭვოა) — პირველ ყოვლისა და ბოლო ყოვლისა კი — სიბრძნევე, მაგრამ არამც და არამც — ბოროტება, ამ გაგებით იგი გახლდათ ქრეშაროტი განმანათლებელი და გუნიალური ოკულისტი, ბოროტება — მხოლოდ ლიბრია, რომლის ქვეშ — სიკეთე სუფევს.

ყოველ დასარტყმელად აღმართულ ხელს მისი განცვიფრება ძირს ხრიდა და ხშირად ჩამოსართმევად გამოწყვდილ ხელად აქცევდა. ისე თვალის დახამბებაში გაანიარაღა მან ბერი რეპინი, რომელიც ამ სიტყვებით გახმოვდა მას: „ასეთ განათლებულ და საამო კაცს, მიკვირს, ჩემი ივანე მრისხანე არ მოეწონება“ და თუნდაც ეს რეპინის მაქსზე გალაშქრება ყოფილიყო, რაც არ შესდგა, ის ჩემი მთელი ტერასის სიგრძეზე ნაწრადლი ჭიქა ამ კვლავიერ მსახიობის მიმართ.

ლებით, ვინაც გაბედა და სარა ბერნარს ბებური მანჭია უწოდა (...) მაქსი მუდამ გარე ამისა იდგა: თითოეულის მხარეზე და არავის წინააღმდეგ. მას შეეძლო მეგობრობა ადამიანთან და მის მტერთან. თან არც არავინ თვლიდა მას თავის მოღალატედ, თავის თავს ნაღალატედად, და ყოველი (ერთად თუ ცალკე) მუდამგზის გრძნობდა მის, მ. ა-ის განსაკუთრებულ ერთგულებას. მეთუ ასედაც იყო.

მ. ვ.-ის მშვიდობის მთხვეელობა მისი მითომთხვეელობის ნაწილი გახლდათ: მითისა დიდბუნებოვან, ბრძენ და კეთილ ადამიანზე.

თუკი ყოველი კაცი პლასტიკურად შეიძლება გამოისახოს, მაქსი ბურთი ანუ სფერო იყო, სფეროს სრულყოფილი სახეობა: უნვერსუუმის სფერო, მარადიულობის, ნაშუადღევის, პლანეტის სფერო, ბურთის სფერო, რითაც დედამიწას წყდებოდა ხოლმე (თავისი სიარულით) და მოსაუბრესაც, რათა მალე ისევ ხელთ ჩაეარდნოდა, სფერო მუცლის სფეროსი. და კიდევ ელვაც, განრისხებისას მის თვალთაგან ნაკვესები, საკუთარი თვალით მინახავს, იყო სფერული ელვა.

დაენარცხო სფეროს, იგივეა, წაეჩხუბო მაქსს.

ღიახ, მიწის სფერო, რომელზედაც, როგორც ვიცით, მთებია და თანაც მაღალი მთები, უფსკრულები და თანაც ღრმა უფსკრულები და რომელიც მაინც სფეროა. და ტრიალებდა იგი, ცხადია, რომელიდაც მზის გარშემო, ვისგანაც იღებდა და თავადაც ასხივებდა შუქს. და კიდევ ერთიც. მისი თანამგზავრობა. ამ გრძელი, გაბმული სიტყვით მთელი მაქსია მოცემული ადამიანების მიმართებით — და მათ გარეშე. თანამგზავრი ყოველი შემხვედრისა და ჩვენთვის უცნობი, ყველაზე ახლოს მყოფი მნათობის, შორეულობა და გარუნიებლობა თანამგზავრისა. ის რაღაც, რაიც მუდამ მის უახლოეს მეგობარსა და მის შორის იდგა და რასაც ჩვენ მუდამ თითქმის ფიზიკურ ზღუდედ შევიგრძნობდით, იყო მხოლოდ მნათობსა და თანამგზავრს შორის არსებული სივრცე, ხან შემცირებული და ხან გადიდებული. მაგრამ შემცირებული თუ გადიდებული, მუდამ არც ერთი ცილით ახლოს, არც ერთი ცილით შორს, საერთო ჯამში სულ ერთნაირი. ის ტოლობა მიზიდულობისა და განზიდულობის, ორ ციურ სხეულს რომ ერთმანეთს უსჯის და ასე გარდაუვლად და ასე დიდებულად მათ ანცალკეეებს.

ახლა რაც მის პლანეტარობას შეეხება. მახსოვს, ჩვენი შეხვედრის დასაწყისში იყო ხოლმე ურთიერთაცდენა და აცილება. მე რომ შევატყობინე ჩემი და სერიოზო ეფრონის ქორწინება, მაქსმა ნაცვლად მოწონებისა თუ, ყოველ შემთხვევაში, გამხნეებისა პარიზიდან პირწმინდა სამძიმარი გამომიგზავნა, რახან ჩვენ ორივეს ერთად ცხოვრების, ქორწინების დარ ყალბი ფორმისთვის მეტი-მეტ წესიერ ხალხად გვთვლიდა, მე, ახალმოქცეული ცოლი, ძალზე განვრისხდი: ან მიმიღე ყველაფერ იმით, როგორც ვარ, რასაც ვაკეთებ ან გავაკეთებ (კაცმა არ იცის, შემდეგ კიდევ რას გავაკეთებ!) — ან... და პასუხი მშვიდი, მოყვარული, უალრესად განდგომილი, დარწმუნებულზე დარწმუნებული, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ისე რომ ნახვამდის შემდგომ გზაგასაყარამდე!“ — ანუ როცა ხელახლა მოვხვდებოდი მისი გავლენის სფეროში, რასაც, ჩემი აზრით, უკვე გავცილდი, ანუ როგორც მნათობი თანამგზავრს ეტყვის, თანაც — გასათვარი მიაბიტობა! — წრფელი გულით სჯეროდა მუდამ, რომ ადამიანთა სიცოცხლის თანამგზავრი თავად ბრძანდება, ნათქვამი, ვფიქრობ, საკმა-

რისია, რომ აღარ ავხსნა, რატომ არასდროს არ გახდა იგი არც იქაურთა და არც აქაურთა თანამგზავრი.

ვინემ ადამიანურს, მაქსი უფრო სხვა კანონს განეკუთვნოდა და ჩვენც, მის ორბიტაში მოხვედრილები, ამ კანონის წრეში ვხვდებოდით. მაქსი თავად იყო პლანეტა. ჩვენც, მის ირგვლივ რაღაც სხვა დიდ წრეში ვხვდებოდით. ჩვენთვის უცნობი მნათობის ირგვლივ ვბრუნავდით!

მაქსმა იცოდა, მაქსს ჰქონდა საიდუმლო, რაზეც არასდროს ლაპარაკობდა. ამის შესახებ ყველამ ვიცოდით, თვით საიდუმლო კი — კაცმა არა. ეს საიდუმლო იკითხებოდა მის უღიმილო თეთრ თვალებში, თუმცა ბაგეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა. ეს საიდუმლო მასში ბუდობდა, მასში ცოცხლობდა. როგორც მისთვის თანაგვარი, ხოლო ჩვენთვის უცხო — სხეული, არ ვიცო, შეძლებდა კი თვითაც მისთვის სახელი დაერქმია. მისი ზე აწვდილი საჩვენებელი თითი: ეს ასე არააო! ისეთი ძალით ამკარას ხდიდა, ეს ასეაო! კაციშვილი არ დაეჭვებულა, თუმცა არავინ არ იცოდა, ეს ასეა რას გულისხმობდა. ამ საიდუმლოს ახსნა ანტროპოსოფიით თუ მაგიის ცდებთან დაკავშირებით — ღრმა არ იქნება. მე ვიცნობდი შტეინერის ბევრ მიმდევარს და რამდენიმე მისტიკოსსაც, და შთაბეჭდილება მუდამ ასეთი მქონდა: ცალკეა კაცი და ცალკე ის. რაიც მან იცის. აქ კი იყო ერთიანობა, მაქსი თვით იყო ეს საიდუმლო, ვით შტეინერი საკუთრივ თვისი საიდუმლო (საკუთარი ძალის საიდუმლო), რაც შტეინერის არც ნაწერებში და არც მოწაფეებში არ დარჩენილა, როგორც არ დარჩენილა იგი მ. ვ.-ის ლექსებსა და მეგობრებში — საიდუმლო. ორივემ რომ მიწაში თან ჩაიტანა.

— არის, მარინა, სული ცეცხლისა, სული წყლისა, სული ჰაერის და არის კიდევ სული მიწისა.

მივაბიჯებთ უკაცრიელი კლდის კიდეზე ამ გაგანია ნაშუადღევის ხანს და ზუსტად ისეთი გრძნობა მიტანს, რომ მივაბიჯებ — ასეთ მიწის სულთან ერთად, ვინაიდან თუ არ ასეთი (სული, ოღონდ სული მიწისა) ან გარდა ასეთის, ვინ უნდა იყოს სული მიწისა!

მაქსი იყო ქეშმარიტი ძე და ნაშიერი ამა მიწისა, განიხვნა პირი მიწისა და იშვა: უზარმაზარი ქონდრისკაცი, ოდინდელი გოლიათი, რაღაცით ხარი, რაღაცით ღმერთი, კეგლებივით სხმულ, ფოლადივით დრეკად, ბოძებივით მყარ ჩაფსკვნილ ფეხებზე მდგარი, თვალების ნაცვლად აქვამარინებით, თმის ნაცვლად უსიერი ტყით, სისხლში ზღვისა და მიწის ყველანაირი მარილებით („იცი, მარინა, ჩვენი სისხლი რომ ძველთაძველი ზღვაა...“), ყველაფერ იმით, რაც მიწის შიგნით დუღდა — გაცივდა, დუღდა — არ გაცივდა. მაქსის წიაღ-შიგანი, იგრძნობოდა, მიწის წიაღ-შიგანი იყო.

მაქსი დიახაც მიწის ნაშობი გახლდათ და მთელი მისი ცისკენ მიზიდულობა იყო ციურ სხეულის მიზიდულობა. მაქსში ბუდობდა მეოთხე, ყველას მიერ დავიწყებული სტიქია — მიწა, სტიქია კონტინენტისა — ხმელეთი, მაქსში ბუდობდა მასა, და ეს ერთპიროვნული მოვლენა იყო ალბათ სწორედ მიწიური მასის მოვლენა, მისი სისქის მოვლენა. მასზე, როგორც მთებზე, შეიძლებოდა მასივი გეთქვა, მისი ფიზიკური მასაც კი მასივი იყო, რომ ვერ გატეხდი და ვერ განაცალკავებდი. ხომ არის ციური აეროლითი. მაქსი იყო — მიწიერი მონოლითი, მოზაიკის საპირისპირო, არა ნაკუწ-ნაკუწად შედგენილი, არამედ ასეთივე დაბადებიდან, მაქსზე ლაპარაკი შეეძლო მხოლოდ გეოლოგს. მისი თავის ქალაც კი, ამ მიწინვარე, ამ უღვგი მცენარეულით, კაცი თმასაც რომ ვერ და-

არქმედი, ფიზიკურად მიწის ზედაპირად შეიგრძნობოდა და ალბათ თმაც მის თავზე იმიტომაც ზღვად მომსკდარიყო, ასე აშკარად არასოდეს გამოვლენილა, თმა რომ მცენარეთა სამყაროს მიეკუთვნება. ბალახებიდან ამ თმასავით აზრდება მხოლოდ პიტნა, აბზინდა, გვირილა, ის ყველაფერი, რაც ნშირია, გადაბარღული, ზამბარისებრი, თმა კი არასდროს. ეზრდებათ ასე მხოლოდ მთელ ხალხებს და არა ინდივიდუუმებს, არა ჩვენი საშუალო სარტყლის ჭინჭაროვანებზე, ღვინო და არასდროს — ქერა (ქერა მხოლოდ ღმერთებს ეზრდებათ.) ის აბზინდის წნულიც თავზე, რაზეც უკვე ვთქვი, ამ თმის მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი გაგრძელება, მისი ბუნებრივი დასასრული და საზღვარი იყო.

— იგრავნება მხოლოდ სამი რამ, მარინა: თმა, წყალი და ფოთლები. მეოთხე, მარინა, ცეცხლია.

ცეცხლზე უნდა მოვეყვე ერთი ამბავი. მაქსის ერთმა თავდავიწყებით მოთაყვანემ, მაქსთან ჩემი ნაცნობობის პირველ წელს ასე მიამბო ლამის ჩურჩულით:

...როცა ძალზეა ხოლმე ჩაფიქრებული, მისგან ხანდახან — თითებისა და თმის ბოლოთაგან — ცეცხლი იყრება, ნამდვილი მწველი ცეცხლი. ერთხელ, როცა იჯდა და წერდა, მის ზურგს უკან ფარდა ააღდა.

იქნებ ასედაც იყო, ეკატერინე მეორეს თმას რომ ვარცხნიდნენ, ნაპერწკლები ბლუჯალ ცვიოდა. მაქსის თმასთან კი ეკატერინესი სად მოვიდოდა! მე პირადად ეს ცეცხლი არასოდეს არ მინახავს, ამიტომაც ვერ დავიყინებ. გარდა ამისა, ცეცხლი, რისგანაც ფარდა იწვის, ჩემს თვალში არცთუ დიდად ფასობს. ცეცხლი, რომელსაც მე ვაფასებ, ის ცეცხლია, ფარდის ნაცვლად და ფარდასთან ერთად რვეულის დაწვაც რომ შეუძლია. მაგრამ არც ცეცხლზე, არც მაქსის ცეცხლმჭრქვევლობაზე არ ვიყინებ, თუმცა ლეგენდას არ ვაქარწყლებ. ვინაიდან ყველა არაკი — თუნდა ჩვენზე გამოთქმული — არაკი გახლავთ სწორედ ჩვენზე და არა ჩვენს მეზობლებზე. (მდაბალი სიცრუე — თვით ცრუკაცის პორტრეტი.)

იყრებოდა თუ არ იყრებოდა მაქსისგან ცეცხლი, ის მასში ისევე გიზგიზებდა, ვით მიწის გულში გიზგიზებს ცეცხლი. ეს იყო სითბოს, ფიზიკური სითბოს ეგება კერა, ისეთივე ჭეშმარიტი სითბოს კერა, როგორც ღუმლისა და კიდევ მზისა გახლავთ, მისგან მუდამგზის მხურვალეობა მოდიოდა — ვით კოცონიდან, და მისი თმის ღერთა ბოლოებიც ისევე ტკაცანებდნენ, როგორც ცეცხლში ტკაცანებს ხავსი. ალბათ მიტომაც იხვეოდნენ ასე რიგად, მე არ ძალმიძს ვადმოგცეთ მთელი ზიბლი ამ ფიზიკისა, რაიც მისი ფსიქიკის ნახევარს შეადგენდა, და კიდევ ამ ფიზიკის მიერ შთანერგული ის ნდობის გრძნობა, რაც ზიბლზე მეტს ნიშნავს ხოლმე, თუმც ცხოვრებაში ზიბლის პირუკუა.

იგი მუდამ სურვილს ბადებდა მიხახუნებოდი, ხელი გადაგესვა, როგორც ზვადი კატისა თუ დათვისათვის, ისეთივე ოდნავი შიშის გრძნობით, და ეს სურვილი იმზომ ძლიერი იყო, ჩემი ჩვიდმეტი წლის მორიდებისა და ველურობის მოუხედავად, ერთხელ მაინც ვერ მოვიტმინე: — "მ, ა., ძალიან მინდა ერთი რაღაც..." — "რა?" — "თქვენთვის თავზე ხელის გადასმა..." სიტყვის დამთავრება ვერ მოვასწარი, ეს ვეება თავი მეის ჩემი ხელისგულის ქვეშ გაჩნდა. ჯერ ერთი ხელი გადავუსვი ერთხელ, მეორედ, მერე ორივე ერთად — ქვემოდან კი გადაბადრული სახე მიუყრებს: "რა, მოგეწონათ?" "ღიან, ძალიან". და ფრიად ზრდალად და გულიანად: "არც მკითხოთ ხოლმე, გეთაყვა, როცა კი მოგესურვებთ, მუდამ მზადა ვარ. ვიცი, ბევრს სიამოვნებს", — თქვა ისე მიუკერ-

ძებლად, როგორც სხვაზე იტყვიან ხოლმე, მე კი ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ხელისგული მთას, მთის შუბლს გადავუსვი.

მთის შუბლსო, ვწერ და ვხედავ: მარჯვნივ ქვის პროფილია, კოქტებლის უბეს რომ ზღუდავს და ზღვისკენ ეშვება. მაქსის პროფილი ასედაც შეარქვა ხალხმა. თუმც უცხო მოაგარაკენი შეეცადნენ ეს პროფილი პუშკინისთვის მიეწერათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ იმ ფართოზე, სადა პუშკინის გამო, ზღვისკენ რომ იყო დაშვებული, გარდა ამისა პუშკინს პატარა თავი ჰქონდა. ეს თავი კი აშკარად ჩამალული ვეებერთელა ტანისა იყო, შავ ზღვაში მძინარე ბუმბერაზის თუ ღვთაების თავი. მარადიული მოცურავისა, ზღვაში რომ ჩაძვრა და აღარც ამოძვრა. თუმც რომ ამომძვრალიყო, ისეთ ტალღებს მოყრიდა, მთელ სანაპიროს წალეკავდა. ჯობს, იქ რომ იწვეს, ასედაც დარჩა იმ პროფილს მაქსის სახელი.

ხელის ამბავი

როცა დავწერე, როგორ გადავუსვი მაქსს თავზე ხელი, უნებლიეთ ჩემს ხელს დავხედე და გამახსენდა, რა მითხრა მაქსმა ჩვენი პირველი დამშვიდობების ეამს:

— ხელს ასე რატომ მაძლევთ? თითქოს მკვდარშობილს მაჩეჩებდეთ?

მე, აღშფოთებით:

— ანუ?

მან, დინჯად:

— დიახ, დიახ, სწორედ მკვდარშობილს — ხელი არ მომიჭირეთ, თითქოს უცხო საგანი იყოს. კაცს ხელი გაშლილად უნდა ჩამოართვათ, ხელისგული ხელისგულს მიატყუპოთ. სხვა რა აზრი აქვს ხელის ჩამორთმევას, ხელისგული ხომ სიცოცხლეა, გვერდულად კი არ მიაჩეჩო, თითქოს რაღაც საზიზღრობას აჩეჩებდეთ, თქვენთვისაც და სხვისთვისაც უსარგებლოს. თქვენს ხელის ჩამორთმევას ნდობა აკლია, კაცს შეიძლება კიდევ აწყენინოთ. აბა მომეცით ხელი, როგორც საჭიროა! ხელი მომეცით და არა...

ხელი მივეცი.

— ასე?

მან, დარწმუნებით:

— ასე!

მაქსს უნდა ვუმადლოდე, ხელის გაშლილი, მაგრად ჩამორთმევა რომ ვიცი ახლა, და იმ ნდობასაც, ადამიანებისადმი რომ გამიჩნდა ამის შემდგომ. თორემ ვიქნებოდი ადრინდელივით და არც ნდობა მექნებოდა. იქნებ უკეთესიც კი ყოფილიყო — ოღონდ ჩემთვის არა. და ბარემ ხელზე რომ მოვრჩე, მაქსის ერთ წამოძახილსაც ვიტყვი, რაიც ჩვენი ურთიერთობის მთელ ელფერს გამოხატავდა:

— მარინა! რატომ ჰგავს ასე საოცრად შენი ხელი ცალთვალას! უკანა კანკს?!

მაქსს მითთან აკავშირებდა კოქტებლის მიწა — კიმერია, ამაზონ ქალთა საუფლო, ტყუილად ხომ არ ოცნებობდა გამუდმებულად მატრიარქატზე, 1920 წელს, ყირიმის შემუსვრის წინ, აი რა მომიყვა ერთმა დამსწრემ: „მ. ა.“ — ეკითხება ფეოდოსიის მკვიდრი! — თქვენ ყველფერი იცით, რით დასრულდება ეს

1. კოქტებლის ძაღლი

ამბავი? — მაქსი დინჯად: „მატრიარქატი“. ფეოდოსიელი შიშით: „როგორ?“ — მაქსი აუღელვებლად: „სულ უბრალოდ. პატრიარქატს შეცვლის მატრიარქატი“. რა თქმა უნდა, ხუმრობა იყო, აბა სხვა რა უნდა უპასუხო, მარტოელივით რომ გეკითხებიან. მაგრამ როგორც ის ლეგენდა ააღებელი ფარდის შესახებ, ესეც არ გახლდათ შემთხვევითი. ქალთა ბატონობაზე ჯერ *მარტოელი* წელს მსმენია მაქსისაგან (...).

კიმერია, მიწა, სადაც ორფეოსი ჩავიდა აედში, როცა მაქსი ნაშუადღევს სეირნობისას იმ მიწის ამბებს მიყვებოდა, რომელზედაც მივაბიჭებდით, ასე მეგონა, ჰეროდოტე მომყვება გვერდით, თუმცა არა, ჰეროდოტე მოსმენილ ამბებს ჰყვებოდა, ჩემ გვერდით მომავალი კაცი კი ისე მიამბობდა, როგორც საკუთარ მიწის ამბებს მოჰყვება კაცი.

იღუმალზედვა პოეტისა უბირველესად მოწმის და დამსწრის ხედვა გახლავთ შინაგან თვალთ — ყველა დროსა და ყველა ხანაში. მოწმე ყველა დროსა ამასთან იღუმალზედველიცაა. და აქ არავითარი იღუმალეობა არ იმალება.

საპოლიციო თუ ლიტერატურულ პასპორტების მიხედვით ეს ოცდათექვსმეტი წლის რუსული პოეზიის ფრანგი მოდერნისტი სინამდვილეში ათასი წლისა იყო, მრავალი ათასი წლის უკან დაბადებული, რამეთუ, როს შეჰქმნა ადამიანი და ცხენი, ქალი და თევზი, ბუნებას ჯერ ვერ გადაეწყვიტა. სად იქნებოდა ადამიანის, სად ცხენის, სად ქალისა და სად თევზის სასრული — ზღვარი თავის ქმნილებათათვის ჯერ ვერ დაედო. მაქსი სულით თუ ხორციით მითს უფრო ეკუთვნოდა, ვინემ ლექსებით, რომლებიც უფრო მეტად მისი გონების კარნახი გახლდათ. მაქსი თავადვე მითი იყო.

ვართ მე და მაქსი. თურქი კონტრაბანდისტები ნიჩბებს უსხედან. ნავი წამახულია და სწრაფი—ვით ხერხათევზი. კოქტებელი კარგა ბლომა მილს იქით დარჩა. ერთი საათია, რაც მივცურავთ. მარჯვნივ (პოი, ბედნიერებავ, მაქსის გამოთქმა არ დამავიწყდა) კლდეთა რეიმსის და შარტრის ტაძრებია, მათ მწვერვალთა დასანახავად კეფა ლამის ზღვას უნდა ურტყა ანუ ნავი გადააბრუნო — რაც დასტურ მოხდებოდა, მაქსი რომ არა: ის ცხვირზე ზის, მე კიჩოზე. ათსაყენიანი მღვიმე კლდის უბეშია ღრმად შეჭრილი.

— ეს, მარინა, აედის კარიბჭეა. ვერდიკეს აქ მოაკითხა ორფეოსმა. — ჩვენც იქ შევდივართ. მაშინდელივით ახლაც ისევე ბნელა. მარტო ზღვის წყლის ნაპერწკლებია, ჩვენი ნიჩბები რომ აყრის და აყრის ჭიქურ მოწოლილ და მაინც გზის დამთმობ კარიბჭის ბაზალტის კედლებს. აღარ მახსოვს მღვიმის ბოლო ანუ შესასვლის ბოლო. აღარ მახსოვს, შუაგულ გადავჭერით კლდე ანუ შესასვლელი ჭიშკარი, თუ რომელიღაც ზღვის ტბაზე ჩვენი ხერხათევზი მოვატრიალეთ და ისევე უკან გამოვყევით ჩვენს უკვე წაშლილ ნაკვალევს. მახსოვს მხოლოდ: ეს იყო აედის შესასვლელი.

ორფეოსზე პირველად სულის და არა გონების სასმენელით გავიგონე იმ კაცისაგან, რომელიც — როგორც მეგონა — ჩემი პირველი სიყვარული იყო, რამეთუ პირველი უნდა დაადგინოს, რომ მერე იძულებული არ გახდეს კაცი აღიაროს, ბუდამ უყვარდა თუ არც არასდროს არ ჰყვარებია. ეს გახლდათ ორფეოსის და ჰერაკლიტეს ჰიმნთა მთარგმნელი, სწორედ მის გამო წავედი მაშინ კოქტებელში, ის რომ არ მყვარებოდა და არა იმიტომ, „სხვა შემყვარებოდა“. და როცა უკვე ის მოვინელე, უცებ აედის იმ კარიბჭესთან აღმოვჩნდი სხვისთან და არა მასთან ერთად!

და ჩემი დუმბილის პასუხად მასზე — ისე შორიდან — თითქოს ნავიდან კი არა. ზღვის მეორე კიდიდან იყო:

— აედში, მარინა, მარტო უნდა შეხვიდე და შენც მარტო შეხვედი. ამ თურქებივით მეც სათვალავში ნუ ჩამაგდებ. ნიჩბების დარად მხოლოდლა სა-
შუალება ვარ...

დამავიწყდა თუ არ დამავიწყდა ორფეოსის ჰიმნის მთავარი მუსიკა. თავად არ ვიცი. ოლონდაც მაქსს, ვინაც აედში შემოყვანა, ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. და ყოველთვის, საკუთარ ლექსებში თუ გლიუკის „ორფეოსის“ სმენისას ან უბრალოდ სიტყვა ორფეოსის გაგონებაზე — მყის თვალწინ მიდგას კლდის ათსაქენიანი ხვრელი, კლდეზე ზღვის წყლის ვერცხლი. თურქების ხითხით ნიჩბის ყოველ მარჯვე მოქნევაზე — ისეთივე მკლერი და ხშიანი, როგორც შნა-პუნი...

რამდენ ვისმე ვუტარებოვარ ცხოვრების შავ სავალებზე, ვუტარებოვარ და მივუგდივარ, გამოაღწიე, როგორც გინდათ. ან კი რა მიხახავს ცხოვრებაში შავ სავალთა და კაცთა შავზე შავი სვლების მეტი?

კი. მიხახავს: აედის კარობჭე ანუ შესასვლელი!

კიდევ ერთი მოგონება კოქტებლიდან. დიდი გასეირნება, ამჯერად ხალხ-მრავალი. საუბრებისა და ბილიკთა კლანილებმა, კიდევ ყოველი რუსული ერთ-თავსების თუ შეთავსების კანონმა დაგვექსაქსა და მიგვეფანტ-მოგვეფანტა. ისე რომ, მე და მაქსი მრავალ და მრავალ საათის შემდეგ უკვე მთაზე ვართ, ოლონდ არ ვიცი, ზღვის დონიდან რა სიმაღლეზე, თუმცა ცის დონეს კი გავუსწორდით, საიდანაც გვასხამს და გვასხამს თავზე ცერა წვიმა. ვდგავართ თეთრი ქოხის ზღურბლზე, პირველი რომაა ასეთივე თეთრ ქოხთა რიგში.

— შეიძლება, ვინემ გადაიდარებს?

— შეიძლება. მაშ.

— ოლონდ გაწუწულები ვართ მთლიანად.

— კერიაზე გაიშროს უნდა.

გახდა არ გვეჭირდება? მაქსს ბალახონი აცვია, მე — შარვალი. ასევე გა-
ლუმპულები ჩავსხედით კიდევ შუა ცეცხლში და ველით, როდის ჩავაქრობთ. მაგრამ თეთრჩაჩიანმა დედაბერმა წივა ისევ შეყარა. ცეცხლს კვამლი ასდის, ჩვენ — ოხშივარი.

— ვაი, როგორ ჰგავს ბარიშნა თავის მამა! (ბერიკაცმა თქვა).

მაქსი, მოკრძალებული ავტორივით:

— ყველანი ასე ამბობენ!

— მამაც (დედაბერი) ძალიან ჰგავს თავის მამა! ბევრი გოგოა?

მაქსი, ყოყმანით:

— ეს უფროსია.

— მამა და გოგო ძალიან ჰგავს თავის მეფე!

ვაყოლებთ თითს თვალს და ცეცხლის კვამლსა და ტანსაცმლის ოხშივარ-ში ცისფერ-ვარდისფერ ალექსანდრე მესამეს ვხედავთ მთელი კედლის გაყო-
ლებაზე.

მაქსი:

— ეს მეფეც მამა არის: მამა ახლანდელის და პაპა მომავლისა.

ბერიკაცი:

— რა კარგად თქვამ: პაპა მომავალიმო! ღმერთმა ჯანი მისცე მეფემ, მამამ და გოგოებიმ!

დედაბერი მიყურებს და:

— გოგომ შარვალი სცმია!

მაქსი:

— მთაზე ასასვლელად ასე უფრო მარჯვეა.

ბერიკაცი უმზერს და:

— მამა კამზოლი სცმია!

მაქსი შარვალზე შეკითხვას აღარ აცლის:

— დიდი ხანია აქ ცხოვრობთ?

ორივე მოხუცი (ერთად):

— დიდი ხანი, ასი და ოცი წელი.

ეკატერინეს დროინდელი კოლონისტები ყოფილან თურმე.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ნაშუადღევის გასეირნებანი უფრო ხშირი იყო, ვინემ ნაშუალამევის. ნაშუალამევის ჩვენთან გამოსეირნებანი დღე მუშაობის შემდეგ ხდებოდა, მეტწილად ყარადაღსა თუ სხვა მთაზე ასვლის მერმე, ეს იყო სტუმრად მოსვლა მთელ ბაღში მიმოფანტულ მეგობრებთან. მე ბაღის სიღრმეში მქონდა ბინა. აქ კი გვერდს ვერაფრით ვერ ავუვლი კოქტებლის ძაღლებს. რომ ჩამოვედი, უამრავი რიცხვი დამიხვდა, ხოლო ჩემი იქ ცხოვრების ხანს კიდევ უფრო გამრავლდნენ — ხროვებად იქცნენ, სახელებითაც მახსოვს: თათშუბლა, ცალთვალა და შოკოლადა. თათშუბლა ორმაგ ორთოგრაფიიდან მოდის: თათი და შუბლი, ოლონდაც მარტო ამ უკანასკნელს ამართლებდა, რამეთუ შენკენ შუბლით მოდიოდა, თათს კი არ გაძლევდა. იყო მთლიანად: აბა დამიხვდით! ეს იყო ყირიმული მეცხვარე ძაღლი, ანუ იგივე მგელი, ჯიში, რომლის ცხვრების ყარაულად დაყენება მასხრად აგდება იყო, სხვა არაფერი. ღვთის მადლით, ცხვრები არ იყო, იყო მხოლოდ უზარმაზარი ლამაზი მგელი, რომელიც არავის და არაფერს ყარაულობდა და შიშის ზარს ცხვრებს კი არა, ადამიანებს სცემდა. ოლონდ შე არა. როგორც კი ჩემკენ შუბლით დაიძრა, მყისვე ღრენისგან ამოძრავებულ ყბებში ჩავაგლე ხელები და შუბლზე ვაკოცე ისეთი გრძნობით, თითქოს ეტნას ვკოცნიდე. ზაფხულის ბოლოს ხელები ჩაჭიდებაც არ მჭირდებოდა და პასუხად მისგან თათსაც ვიღებდი. მაგრამ ყოველ ახალ ჩასვლაზე აზანზარებული დრუნჩი მხვდებოდა, თათშუბლა ზამთრის მანძილზე პირწმინდად მივიწყებდა, ისე რომ, მეგობრობის მეცნიერება მისთვის ხელახლა კოცნით უნდა ჩამეჭედა. აი ასეთი ვინმე გახლდათ თათშუბლა. მეორე, გაცილებით ნაკლებ სახიერი, ცალთვალა იყო, ქეცისგან მთლიანად ვარდისფერი და შიშის გარდა, რაც ფიზიკური თვისება გახლავთ, სხვა სულიერი თვისება არ გააჩნდა. მესამე ცალთვალას ვაგი იყო (მდედრი რომ აღმოჩნდა) — შოკოლადა, პატარაობაში ზღაპარი ლეკვი, შემდეგ კი — უმახინჯესი. სხვებს სახელები არ ჰქონდათ, რადგან მხოლოდ ღამით მოდიოდნენ და რიყრაცთან ერთად ქრებოდნენ, ასეთები გუნდ-გუნდად იყვნენ. მაგრამ სახელის მქონენი თუ არმქონენი — ყველანი ჩემს სამყოფელთან ბინადრობდნენ, ლამის პარმალთან, პოდა, ერთ დიღას, დიდ ტერასაზე, ბაცი ჩაის სმისას ბუბლიკით თუ უბუბლიკოდ (ჭამა-სმა კოქტებელში მაინცდამაინც კარგი ვერ იყო, ისევე მწირი და ისევე სწრაფი, როგორც ძილი), მაქსმა მითხრა: „მარინა, იცი, წუხელ შენთან მოვდიოდი (წუხელ კოქტებლის ენაზე ნაშუალამევის სამი საათი გახლდათ), —

„როგორ მოდიოდით?“ — „პო, მოვდიოდი და ველარ მოვედი, იმდენი ძალი მოვიმრავლებია. მთელი გზა ცოცხალ ანუ რაღაც უსულო სხეულებზე მოვაბიჯებდა, ავად და პილწად რომ მიღრენდნენ. ხოლო როცა გამოვალწე და შენს პარმალზე ამოსვლა დავაპირე, მთელი ხროვა ზე წამოიჭრა და უბნოდ დამიკრიჭა ყველამ კბილები. ალბათ გაიგებ, რომ ამის შემდეგ...“

რა დამავიწყებს, როცა ღამის კუპრ სიბნელეში გაშლბრტყარტყტზე მთელი ტანით გაეწეჭა. თურმე საგარძლის ნაცვლად ვეებერთელა ძალს დავწოლილვარ, რომელმაც მყისვე გადმომისროლა თავის ზურგიდან და შეზლოგინდანაც.

ვერ ვიტყვი, მაქსს ძაღლები უყვარდა-მეთქი. მაგრამ ის კი მჭერა, თუ ირგვლივ ხალხი არ იქნებოდა. იმავე თათშებლას ზუსტად ისევე გაესაუბრებოდა, როგორც მე, სიტყვებით და არა ინტონაციებით, თან ერთ სიტყვაააც არ გამოტოვებდა. მაგალითად, პლანტაჟიდან ცალთვალას გამოგდებისას: „ცალთვალავი გირჩევ, აქაურობას გაეცალო, ვინემ დედამ არ დაგიანახა“, — და ისევე ასწევდა თითს, ისევე არ აუმაღლებდა ხმას და ისევე ცივი კილოთი ეტყოდა, როგორც ბიჭს პლანტაჟიდან გამოგდებისას. ცალთვალაც ისევე უჭერებდა, როგორც ბიჭი. განა მაქსის დედის, თვით მაქსის რაღაც ღვთიური შიშით, მაქსისთვის ძალი ადამიანი იყო, თვით მაქსი კი მათთვის უფრო მეტი, ვინემ ადამიანი. ცალთვალაც მაქსს ისე უჭერებდა, როგორც უცხო ღმერთს და არა საკუთარს, არ მახსოვს, მაქსს ძაღლისთვის ხელი გადაესვა, მოფერებოდა, მისთვის ეს ისეთივე საპასუხისმგებლო რაღაცა იყო, როგორც კაცისთვის ხელის გადასმა. შით უმეტეს უცხო კაცისთვის! თათშებლა, ყველაზე მედიდური და უცმური ძალი, რამეთუ მგელი იყო, უნდილად, ერთ ვერსზე მოშორებით, მაგრამ მაინც მისდევდა მაქსს, მაღლა მთებში გაგარეულზეული ქოფაკები ცხოვრობდნენ, ლუკმა-ლუკმა რომ გლეჯდნენ ველოსიპედისტსა და მის ველოსიპედს. როცა მაქსი უფრო ტანწვრილი და უფრო ახალგაზრდა იყო, ისიც ველოსიპედიანი ველოსიპედისტი გახლდათ პოდა. ერთხელაც თავს დაესხა ქოფაკთა ხროვა ველოსიპედისტიან ველოსიპედისტს. მწყემსი კი ამ დროს სადღაც მესამე გორაზე იდგა, პროფილით აქეთ, და იმ ლურჯ სიცარიელეში თხის ქანდაკებას ჰგავდა, ცხვრები — არსად არ ჩანდნენ...“ „მერე როგორ მოიგერიე, მაქს?“ — „მართლა ხომ არ შევებმებოდი ძაღლებს! მე მათ ველაპარაკე, შევაგონე“ (...)

შეგონება კი, ვგონებ, ასეთი იყო:

განზე გაიყვანა ალბათ ყველაზე ანჩხლი და:

— შენ, როგორც ყველაზე ჭკვიანმა და ძლიერმა, უნდა უთხრა მათ, რომ ჯერ ერთი, ველოსიპედი უცემურია. მეორეც, ჩემთვის ის საჭიროა. მათთვის კი არა. კიდევ უთხარი, რომ ვერაფერი წესიერი საქციელია უიარაღოსა და მარტო მყოფს დაესხა თავს. და ისიც შეახსენე, რომ ეგენი მეცხვაროს ძაღლებია, ანუ ცხვრები უნდა მწყემსონ, და არა მგლები, ადამიანებს დაეძგერონ. ახლა ნება მომეცე ეგ კეფილშობილი თათი ჩამოგართვა და მადლობა გითხრა თანაგრძნობისთვის (რასაც ძაღლების ბელადი მხოლოდ ღრენით გამოხატავდა).

არა მგონია, მაქსი ესდენ იყო დარწმუნებული ძაღლის ადამიანურობაში, ეს კია, ძაღლებს ამაში არწმუნებდა.

ბარემ მოვრჩები ძაღლების ამბავს. ორი წლის შემდეგ — მე იმ ზამთარს ფეოდოსიაში ვისვენებდი — მაქსი მესტუმრა, რაიც ჩემთვის იშვიათი ზეიმი იყო. ეცვა ტიროლური სამოსი, და ჰგავდა პირწმინდა მეწისქვილესა თუ მის ვაჟს, ან კიდევ ჩექმებიან კარს!

— მარინა! სტუმრები გაახელი! აბა გამოიციან, ვინ? ძალზე ღელავენ.

გარეთ გავვარდი. მაქსის ზურგს უკან — პარმადიდან კიშკრამდე, სამ საგუშაგოდ, უფროსობისა და სილამაზის მიხედვით, თათშუბლა. ცალთუბლა და შოკოლადა იყენენ ჩამწკრივებულნი.



— მარინა! ძალიან გაგიხარდა? ხომ ძალიან მოგენატრა ჩემი უნდა გცოდნოდა, რაზომ გაუგებარი იყო მაქსისთვის ეს ჩემი უნდა თან რაოდენ მახინჯები იყენენ ცალთვალა და შოკოლადა, რათა ღირსეულად შეგეფასებინა მაქსის ჩემთან სტუმრობა.

რევოლუციის ხანს შიმშილობისას ჩემი ყველა ძალღი მოწამლეს, რათა ბულგარელებს და თათრებს არ შეეჭამათ, ისინი ხომ უარესსაც კამდნენ. თათშუბლას ეს ბედი ასცდა, იგი მთებში წავიდა — რათა თავისით მომკვდარიყო. ეს ამბავი მაქსმა მაცნობა თავის უკანასკნელ წერილში, მე რომ კრემლში მივიტანე, როცა ლუნაჩარსკიმ გამომიძახა ყირიმის მშვივრად დარჩენილი მწერლების ამბის მოსახსენებლად.

ერთადერთი საახალწლო შეხვედრა მე და მაქსს მთელი ჩვენი მეგობრობის მანძილზე იმ ზამთარს გვქონდა, როცა ძაღლები კარს მომაყენა. სერიოზა ეფრონი, მე და ასია იმ ქარბუქში გავემგზავრეთ. ასეთ ნორდ-ოსტში ვინ წაგვიყვანდა, ხოლო ფეხით თვრამეტი ვერსის გავლაზე ფიქრიც ზედმეტი იყო — ბუქი კი არა, ბუქწამქცევი უფრო ეთქმოდა. მაქსთან ვერც ჩავიდოდით, მეეტლე ადამი რომ არა, ვინც მაქსს მაშინ იცნობდა და მაშინ დაატარებდა, როცა მაქსი უწვევრო იყო და წონითაც ნახევარს იწონიდა. მას აქეთ მაქსი ორჯერ მეტი წონისა გახდა და ფეოდოსიის ბაზარში ფასებმაც ორჯერ უფრო იმატა. მაგრამ ადამს ფასი არ გაუზრდია და, შეიძლება ითქვას, მუქთად და დიდი ხალისითაც დაატარებდა. ავობლდით რბილ, გადაშლილ რედვანში, ადამმა, რაც მოიძია, გადაგვაფარა, და გზას გავუდექით. მაგრამ მყისვე შევდევით. ცხენებს ფეხები უსრიალებდათ ახალ თოვლზე, ბორბლები არ სრიალებდნენ, თუმცა რას არ დაძლევა ადამის ოდინდელი სახელი, წყვილი ბეხრეკი ცხენი და სამი გულფიცხი მგზავრი, სამივე ერთად რომ დიდი-დიდი ორმოცდათობხმეტისა თუ იქნებოდა. ასე იყო თუ ისე, საყარაულომდე მივალწიეთ. აი, აქედან დაიწყო ის თვრამეტვერსიანი სივრცე — ჩვენსა და კოშკს, ჩვენსა და 1914 წელს შუა რომ დარჩენილიყო, ბუქი მძვინვარებდა, თვალებს გვივსებდა და არამართო საფარქვეშ. საკუთარ კანის ქვეშაც გვიძვრებოდა, ტყავის საფარსაც რომ ვერ გრძნობდა. მკერდში დაძვრებული ნორდ-ოსტი ბეჭებშუა გამოდიოდა, ვერ გრძნობდი ვერც სხეულს, ვერც გზას და ვერც ვერაფრის უტყუარობას, მხოლოდ ნორდ-ოსტი დათარეშობდა. თუმცა ერთი კი იყო უტყუარი: ადამის ზურგი და მისი შავთეთრი წვერი: „ჰა, ცოცხლები ხართ, ბატონიშვილნო?“

არ ციოდა, არა იყო რა შესაციებელი. არ იყო არაფერი, იყო მხოლოდ შიშველი და მხიარული სულები, რომლებსაც გადმოყირავებისა არ ეშინოდათ. რომლებსაც არ შეიძლება მოსვლოდათ რამე. „ასია!“ — „ჰო, მარინა, სიკვდილის შემდეგ ალბათ ასე ვიმგზავრებთ!“ თუმცა კიდევ იყო ერთი მძიმე კალითი, რომელსაც შეიძლება მართლა ყველაფერი მოსვლოდა და რომელსაც გადმოსაყირავებელი მართლა გააჩნდა. თუ რომ ჩვენ ყველა — ცხენები, ეტლი და ადამი მაშინ ცაში არ შევცვივდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენთან ერთად მაქსის საყვარელი რისლინგის ღვინოც მგზავრობდა, ადგილზე რომ უნდა ჩავგეტანა.

ან რა სიცილი გვექონდა! როგორც ბუქი — ყველაფერს ხვეტდა, ჩვენც სიცილი — აქეთ-იქით გვაწყვეტდა, როგორც ნორდ-ოსტი ჩვენკენ — მოქროდა. ასე მიქროდა ჩვენგან — სიცილი. ეს იყო ბუქი წინამძღოლის „კარტანის ქალიშვილიდან“, ადამსაც წვერი მისებრი ჰქონდა!

არ გადმოგვეყარა ნორდ-ოსტმა, არ გვიღალატა ადამმა. *გვერდის მხარე, ცეცხლიც, მაქსიც.*

— სერიოზა! მარინა! ასია! ეს — შეუძლებელი, ეს — დაუჯერებელი რაღაცაა.

— მაქს, განა დაგაფიწყდა!

მე სასწაულის რა ხანია აღარ მეჭერა.

და რა ტყბილი მოსასმენია — რომ იგი არის!



სამკვეც სასწაულად, ანუ სამ გალუმბულ სასწაულად გამოვძვერით ეტლსა. ბუქსა, კალათსა და აღვირებს შორის და ვდგავართ მაქსის გახურებულ სახელოსნოში. ჩვენ ირგვლივ ტბორები და გუბეებია. ადამს ისევე უხვად ვარწყულვებთ რისლინგით, როგორც იგი ამ საღამოს ცხენებს დაარწყულვებდა.

მაქსი მარტოა, ე. ო. მოსკოვს გახლავთ. სახლი ცივი, გაყინული და უკაცურია — იმაზე კუშტი და უყმური ხომ არაფერია, როგორც ზამთარში საზაფხულო ადგილები, ყინვაში თეთრი კედლები, ზაფხულში ესდენ ლურჯი და გრილი? ზღვა უფრო ახლოს მოსულა, კოშკის ძირას მხეცივით ბდღვინავს და ბრუნავს. ჩვენ კოშკში ვართ, კოშკ-შუქურაში. მაგრამ ამაზეც უნდა ვთქვა რაღაც, ეს იყო დიდი ოთახი, რომელზეც მაქსმა კიდევ ერთი დააშენა, ჰერი კი ახსნა — ორი სართულის სიმაღლისა და ორწყება ფანჯრებითანად აქცია. ქვემოთ სახელოსნოა, საიდანაც კიბე ადის გალერეა-ბიბლიოთეკაში. იქაა მისი საძინებელიც, თაფლისა და ლომისფერი საწოლი. კოშკურას მოაჯირიან ფართო ბაქანზე, მოაგარაკეთა შურიანი თქმით, დღისით „მზეს თაყვანს სცემენ“, ანუ უბრალოდ საცურაო სამოსში ვწევართ ცალკე ქალები, ცალკე კაცები, საღამომობით კი, იმავე მოაგარაკეთა გადმოცემით, „მთვარეს ვეთაყვანებით“. ანუ ვსაუბრობთ და ლექსებს ვკითხულობთ.

სახელოსნო ცარიელია, ქვემოთ მარტო მოლბერტი და ტილოებია. ზემოთ ეგვიპტელი დიაცის ტანახის თაფი და კიდევ წიგნები, მრავალი ათასი წიგნი. კიდევ მოგზაურობიდან ჩამოტანილი სასწაულები — უბრალო სასწაულები იმ ქვეყნებისა, სადაც მაქსი ყოფილა: ბასკური დანა, ბრეტონული ჰიქა, სამარყანდული კრიალოსნები, სევილიური კასტანეტები — სხვისი ყოფის, შენს ქვეყანაში კი სასწაულად ქცეული საგნები — თუმცა მარტი ყოფისა არა, კიდევ ზღვისა, ტყისა, მთებისა — თეთრი მარჯნების ბუჩქი, გაქვავებული ზღვის ცხოველები, ხოხბის ფრთები, მთის ბროლის გროვა.

კოშკში ცხელა. მაქსი, ვეება მაქსი ზემოთ-ქვემოთ დაქრის ფინჯნებითა და უტარო დანებით.

— დედა რომ წავიდა, ყველაფერი ჩაკეტა, არ დაიტაცონო, თუმცა ვინ უნდა დაიტაცოს? ძაღლები ხომ ჩანგლით არ ჰამენ.

— მაქსი, ისინი სად...

— ყველანი იუნგას აგარაკზე გაიხვეტნენ, ხომ იცი, ნასუფრალიც არა მჩხება (თვალებს გვიქაჩავს), ორი კვირა იყვნენ ჩემთან და რა ნახეს, შეიძლება

შიშვლით დაბოცილიყვნენ, იუნგასთან გადაბარგდნენ. გამელვიძა და — ერთიც აღარ იყო.

წითლად ბაბანებს, ღმუის თუჯის ღუმელის ყელი, თუმცა ამ ღუმელის ამბავიც მოსაყოლია. ვოლოშინების ჩემს გაცნობამდე ე. ო.-სა და მაქსს ხაფხულობით, სტუმრების მოზღვაეებისას თათარი ცოლ-ქმარი ექვთიშვილებს, ცოლის თათრული სახელი მაქსმა კუდიანად თარგმნა. ეს იყო ბებრეკის მთავარი და მათხოჯი ვინმე: ქმარმა გადაწყვიტა ახალგაზრდა ქალი შეერთო კიდევ ცოლად. მაქსის მაშინდელმა სტუმრებმა, ანტროპოსოფიელმა ასულებმა თათარს შეგონება დაუწყეს: „არა გრცხვენია! შენი როგორი ერთგული იყო, მთელი სიცოცხლე ერთად იცხოვრეთ, ახლა კი ახალგაზრდა გინდა შეერთო, განა მთავარი ახალგაზრდობაა? ან სილამაზე? მთავარი ხომ სულია, სული, რომელიც მუდამ სავსეა და ახალგაზრდა!“ თათარმა უსმინა, უსმინა და მხოლოდ ის დასკვნა გამოიტანა, რომ ქალიშვილები ეუბნებიან, სასძლოსათვის ურვათის თანხა არ გეყოფათ: „კი, მართალია, საწყალ კაცს მეტი რა გზა აქვს, უნდა არ უნდა, ისევ სულთან უნდა იცხოვროს“.

ეს სული, ვისთანაც საწყალმა კაცმა, უნდა არ უნდა იცხოვროს, უბედური ქურდი იყო, მეცნიერები კლექტომანს, ხოლო ხალხი — მარტია ჩხიკვს რომ ეძახის, მაქსმა ღუმელის დადგმა გადაწყვიტა. თვითონ იყიდა, თვითონ მოიტანა და თვითონვე გააწყო. დაანთო, მთელი სახლი ავამლით გაივსო. მერე რა, პირველი ცდაა, გასწორდება მეორე და მესამე დღეს — ორთქლმავალივით კვამლს ამოლებს! იფიქრა, იფიქრა მაქსმა, თავიდათავი, ყნოსა, მერე მილები გასინჯა — ვერაფერს მიხვდა. და უცებ თავში დაკრა: კუდიანი! შევარდა მარქენალ ხარეით მის სენაკში, შეძვრა საწოლქვეშ — სულ სიღრმეში — და იქიდან პაწაწკინტელა მოხრილი მილი გამოათრია, ყველაზე მთავარი რამ. „რატომ წაიღე, კუდიანო? — ქალი ღუმდა. — რაში გჭიროდა? — ისევ ღუმელი, — იცი თუ არა, შენი წყალობით რომ გავიგუდებოდი?“ ქალი უხმოდ ატრიალებდა ყვითელ სახეზე მძივებივით შავ თვალებს. ამბობენ, წყენისაგან მაქსმა — იტირაო.

ჩავეყურებთ ღუმლის წითელ ყელს, მაქსის მრავალჯერ გადაკითხულ ბიბლიაზე ახალ 1914 წელს ვუთქვამთ. სამკუთხა ფანჯრის მიღმა — ნორდ-ოსტია. ზღვა ბობოქრობს და ღმუის ჩვენ კუნძულზე ვართ. კოშკ-შუქურაზე. ტანახის უზარმაზარი თავის ქვეშ მაქსის პაწაწა, ერთგული საათია. რა დროც არ უნდა აჩვენოს — მაინც სწორია, რადგან სხვა საათი არ არსებობს. კიდევ ოცი წუთი დარჩა, თხუთმეტი. „მოდით ჩავუთქვათ, ადამი ჩავიდა თუ არა შინ“. გაჭირვებითა და ქარავმულად გამოდის, რომ ჩავიდა. კიდევ ათი წუთია დარჩენილი. ხუთი. ვავსებთ სამ ქიქას და ერთ ფინჯანს და ახალი წლის სადღეგრძელოს ვსვამთ. მაშინ არ ვიცოდით, თუ რა წლის — როგორი წლების — პირველი წელი იყო. ასიო: „მაქს, უცნაური სუნი არა გცემს?“ — „ნორდ-ოსტის დროს მუდამ ასეთი სუნია ხოლმე“. ვკითხულობთ ლექსებს. მე და მაქსი, როგორც ყოველთვის, ლექსები კარგა ბევრია. მეტადრე ჩემი.

ეს რა არის? ღუმლიდან ერთ არშინზე კვამლი ამოდის. ჯერ ვიფიქრეთ, ღუმლიდან გამოდის-თქო. არა, კვამლი იატაკიდან ამოდის, რალაც უცნაურად, ბუშტ-ბუშტად სკდება. თითქოსდა ვიღაც ზის იატაკის ქვეშ და იქიდან უშვებს კვამლის ბუშტუკებს. ვაკვირდებით, ერთმანეთს ვუყურებთ. უცებ სერიოზა ფეხზე წამოხტა:

— მაქს, ხანძარია! კოშკი იწვის!

რა დამავიწყებს ამის პასუხად მაქსის განდგომილ სახეს, ღიმილის ყოველგვარი შესაძლებლობა რომ ჩამოერეცხა. მისი მიუხვედრელ-მიხვედრილ მზერას, გაფართოებულ თვალებს.



— ქვემოთ ვედროა? ერთი ვედრო?

— ხომ არ გგონია, სერიოზა, ვედროებით რომ ჩაქრავ?

მივკრივართ ქვემოთ — სერიოზა, მე და ასია. რკინისა და ფეხქვეშ დაგორებული ქვების გრილით ზღვისკენ ჩავრბივართ ორი ვედროთი და ერთი ღოჭით, იქიდან ავრბივართ კიბეზე წყლის წუწვა-წუწვით, და ისევ ზღვისკენ, ისევ კოშკისკენ...

კვამლი სულ უფრო და უფრო იბოლქვება, უკვე ორგან, სამგან ამოდის, მაქსი კვლავ ისევ ზის, ფეხს არ იცვლის, დაკვირვებით დაცქერის ცეცხლს, მთელი სულითა და მთელი სხეულით. ეს ცეცხლი ყველაფრის დასასრულია. ორ ამორბენას შუა რომელიღაც ჩვენგანის ხმაა:

— ნუთუ არ გესმის, რომ არ დაიწვება?

პასუხად კი — ზიცოცხლის ნაპერწკალი თვალებში. გონს მოვიდა! ფხიზლდება უკვე.

— ჩვენ წყლით, შენ კი... აბა მიდი!

და ისევ ქვემოთ მივკრივართ, ნორდ-ოსტში, გრილითა და ბორძიკ-ბორძიკით. რაკი ჩვენ მხოლოდ წყლით შეგვიძლია, ეს წყალი უნდა მოვიტანოთ.

ამჯერზე რომ ავირბინეთ — წამით მაქსს ვკარით თვალი; ფეხზე ამდგარი და ხელეზაპყრობილი, უხმოდ, დამარცვლით ცეცხლს რაღაცას ეუბნებოდა.

ხანძარი — ჩაქრა, როგორც მოვიდა, კვამლი ისე წავიდა. ორი ვედროთი და ერთი ღოჭით ცეცხლს, ცხადია, ვერ ჩავაქრობდით. აქი ცეცხლი მთელ იატაკქვეშეთს ეკიდა! და ეკიდა ალბათ კარგა დიდი ხანია, რამეთუ სუნია, ასიამ რომ იგრძნო, ჩვენც ხომ ვიგრძენით კარგა ხანია. ოღონდაც ჩასვლისა და ახალი წლის სიხარულში გაცნობიერება ვერ მოვასწარით.

დაწვით არაფერი არ დაიწვა: არც ბოგაევის საყვარელი სურათები, არც ქვეყნიერების სასწაულები, არც ეგვიპტელი ტანახის თავი, აღს არ დაუგრაგნია ათასტომიანი ბიბლიოთეკის არც ერთი წიგნის გვერდი. სამყარო, ერთი კაცის ნებით და სიყვარულით აშენებული, ცეცხლს გადაურჩა. აქაურობის ბატონ-პატრონმა — ვინც არ ინდომა ერთის გადარჩენა მეორის ხარჯზე, მაქსიმილიან ვოლოშინმა, აქაც რომ არ ისურვა არჩევანი და ერთის უპირატესობა მეორეზე. იმზომ თვით იყო ეს ყველაფერი და აქ მყოფი ყველა საგანი — ყველაფერი შეინარჩუნა.

ჩვენი ვედროები კი? ჩვენი ვედროები კი მხოლოდ კეთილი ნება გახლდათ იმ ხალხისა, ვინც იცოდა, რომ ცეცხლს ხელის აწევით ვერ შეაჩერებ, რომ მას ხელები მარტოდენ ვედროების მისათრევად მისცემია. იყო მხოლოდ ხარჯვა-ენერჯისა: როცა რაღაც იწვის, გულზე ხელები არ დაიკრიფო.

ცეცხლი შეაჩერა მხოლოდ სიტყვამ.

ყველაზე საოცარი ამ საოცარი ახალწლის ღამეს ის იყო, მე და ასიამ უკვე არასაქირო ვედროები რომ მოვათრიეთ, ორივე უეცრად საღათას ძილმა შეგვიპყრო. სადაც ვიდევით, იმ ადგილზე, და ნელ-ნელა ძირს ჩავცურდით. და ისე წავგვართვა ძილმა თავი, მაქსის ყურებამდე გაღიმებული სახე რომ დავინახეთ — იმ წუთს სახე ღიმილის ხელს იყო და ღიმილი სახის ხელს — უნებლიეთ თვალები ისე დავხუჭეთ, თითქოს ნაშუადღევს მზემ თვალი მოგვჭრა.

მაქსი და ზლაპარი

რაც უფრო ღრმად ვიყურები მეხსიერების უძირო ჭაში, უფრო და უფრო მკვეთრად მიდგება თვალწინ მაქსის ორი — ბერძნული მითის და გერმანული ზლაპრის იერი. გრიმის ზლაპრისა, გულკეთილი კაციჭამია, მოშინაურებული დათვი, ოჯახის ქონდრისკაცი და, თუ უფრო განვრცობით ვიტყვებ, უსიყვარულო ტყე, სადაც მოშინაურებული დათვი მიაბიჯებს გოგონას წამოსაყვანად — მაქსისა და მარტო მოქმედი პირი, არამედ გრიმის ზლაპრის მოქმედების ადგილიც იყო. დათვი მაქსი როზასა და ბელინდას წამოსაყვანად საკუთარი ხუჭუჭა თმის ბარდებში მიდის.

მახსოვს სურათი, ბავშვობაში ჩემს საწოლთან დაკიდებული: ტყეში, რომელიც მძინარის სიდიდესთან შედარებით წვრილ, დახვეულ ხავსად მოჩანს, მთის კალთაზე, ვით საკუთარზე, გოლიათს სძინავს. როცა ცხრა წლის შემდეგ მაქსს შევეყარე, ეს გოლიათიც და ეს ტყეც მყისვე შევიცან. ტყე — მაქსი იყო და გოლიათიც — მაქსი იყო. ისე რომ, საწოლთან დაკიდებულმა შემთხვევითმა სურათმა იდუმალად აღადგინა ჩემში მაქსის იდუმალი კუთვნილება გერმანული სამყაროსადმი, და ის ამბავიც, რომ მასში შევიცან გრიმი — ამას კიდევ ამტკიცებს. მაქსს რომ გერმანული სისხლი ჰქონდა, მთელი ჩვენი მეგობრობის ხანს არც მიფიქრია, ახლა კი, მისი პრასამშობლოსა და ჩემი ბავშვობის სათავეებთან დაბრუნებისას, ვიცი და კიდევ ვამტკიცებ, რომ მას ეს სისხლი ჰქონდა.

მის ფიზიკაში რუსული არა იყო რა. ხუჭუჭა თმას (ბოლოს და ბოლოს ჩვენში ყველა ზლაპრის ვაჟკაცი თუ მეეტლე ხუჭუჭთმიანი არის ხოლმე) მეეტლესად ვერ ჩაუთვლიდი. (რუსული ქერა თმა რბილი და დამყოლია, ლამის ყველაფრისგან ხუჭუჭდება, მაქსისას — ვერ მოდრეკავდი.) არც მისთანა ცივი, მომწვანო-მოციფრო თვალები უცონციმებდათ ზლაპრის ვაჟკაცებს ხავერდით წარბების ქვეშ, არც არავის მოსვლია თავში მისთვის „დევგმირი“ ეწოდებინა. დევგმირში პირველ ყოვლისა სიმძიმე იგულისხმება (როგორც გოლიათში — სიჩქარე). სიმძიმე სულიერი და არა ფიზიკური. ფსიქიკად ქცეული ფიზიკა. გოლიათი — ნაბიჯია, დევგმირი — წონა. დევგმირი მიწაზე ფეხსაც ვერ აბიჯებს, მაშინვე მიწა ჩაიტანს, ამიტომ ან ცხენზე უნდა იჯდეს ან კუთად ეყუდოს (ერთი საკუთარმა ძალამ ანუ სიმძიმემ მიწაში ჩაიტანა, ჯერ მუხლამდე და მერე წელამდე, მერე კი სულ მთლიანად.) ძალა ინერციაა ანუ სიმძიმე. მაქსი არც კუტი იყო და არც დევგმირი, არც სიმძიმე ჰქონდა. ის — ცხენი იყო! მახსოვს, ჭიშკრის წინ სკამზე ვიჯექი, ის ჩემ წინ იდგა — თავის ლექსებს მიკითხავდა, ბერძნული კუნძულების სახელებით რომ მთავრდებოდა. და უცებ თავში გამკრა. ნ ა ქ ს ო ს ი — ხომ ნახტომია, დ ე ლ ო ს ი ც — ნახტომი, და მ ი კ ე ნ ი ც ა მ დ ე — ნახტომი!

მისი საკმაო წონის სხეული ისევე არ ამძიმებდა მიწას, როგორც მისი მეგობრობა — მეგობართა სულთ. კლდეებზეც ისე დაძვრებოდა, როგორც აშარი თხა. მის განიერ, სანდლებით მოსილ ფეხისგულებს კლდის შევრილზე მხოლოდ ნდობა აკავებდა ამ კლდისადმი, ამ კლდესთან ერთიანობა, კიდევ ერთი თვისება ჩვენი ზლაპრების: მყუდროების სრული არქონა. მაქსი კი ყოფაში იყო მყუდროზე მყუდრო. გრძობაც, რომელსაც ის იწვევდა განრისხების ყამს, იყო ღიმილიანი შიში, იმის შეგრძნება, რომ ყველაფერი კარგად დაბოლოვდება, რასაც მუდამ გვიძრავს გრიმის ზლაპრების ყველა გოლიათი და არასოდეს კამჩეი თუ ჩვენი სხვა ურჩხულები, რამეთუ მაქსის განრისხება — ღვთაების და ბაღლის განრისხებას ჰგავდა, ანაზღეული სიცილით რომ შეიძლება დამთავრ-

დეს — ცისარტყელას სარტყლით! დევგმირის რისხვა კი უთუოდ თავში ჩართვით ან სიკვდილით მთავრდება ხოლმე. მაქსი ბედნიერად დამთავრებული ზღაპარი იყო. მაქსზე, როგორც ჩემს ვაჟზე — ბავშვობაში ძაღლის ჰგავდნენ ერთმანეთს — შემოძლია ვთქვა:

„სლავურ მოწყენის ნატამალიც კი არ მოსცხებია შენს სიღამაზეს!“

ქართულში
გინგულიცოცხა

გვიანსლავურის ანუ ინტელიგენტურის.

მაქსის ფიზიკა ფართო კარიბჭე იყო მისი არსების, ფიზიკური სიფართოვე — მარტოდენ შესავალი სულიერი სიფართოვისა, ფიზიკური მხურვალეობა მისი ფაშფაშა სხეულის — მხოლოდ გამოსხივება იმ სინათლის და სითბოს კერისა, რომელიც ყველას ათბობდა, რომლისგანაც ყველა იწვოდა. მთელი მისი ფიზიკური ზღაპრულობა — მხოლოდ შესვლა და შეყვანა იყო იმ შიშში, რაიც მისი განსახიერება იყო და რისი განსახიერებაც თავად იყო.

მაგრამ ამით მაქსსა და ზღაპარს ვერ ამოვწურავ. ზღაპრის ეს მოქმედი გმირი და მოქმედების ადგილი ამასთან მეზღაპრეც იყო და მითომთხველიც. ო, მეზღაპრე პირველ ყოვლისა, არა ზღაპრის მბობელი, არამედ მთხველი. ადამიანებთან მისი დამოკიდებულება იყო წმინდაწყლის მითომთხველობა, ანუ ადამიანში მისი ძირისძირის გამოვლენა და სააშკარაოზე გამოტანა. ანუ ძირისძირის გაძლიერება „პირობების“, განწირულების — შემთხვევითობის, ხოლო ბედისწერის — სიცოცხლის ხარჯზე. ჰომეროსის გმირებს იმიტომ ვხედავთ, რომ ისინი ჰომეროსეულია, მითომთხველობა არის ის, რაც შეიძლება ყოფილიყო და უნდა ყოფილიყო და რაც ჩეხოვშიჩინას სულ საპირისპირო გახლავთ: ანუ რაც არის, თუმცა ჩემი აზრით სულაც არ არის. მაშასადამე, ადამიანის ძირეულ თვისებათა იმზომ გაძლიერება, რომ ისინი საჩინონი და ხილულნი გახდნენ მაქსისათვის და ჩვენც მხოლოდ ისინი დაგინახოთ, სხვა დანარჩენი, წვრილმანი, შემთხვევითი, ყურად არ იღებოდა. ანუ მეხსიერების ისეთივე შემოქმედებითი პროცესი, რაზედაც ისევ და ისევ მაქსისაგან მსმენია: „მეხსიერებას კარგი გემოვნება აქვს“, ანუ არა არსებითს, ანუ ოთხმოცდაათ პროცენტს ივიწყებს.

მაქსი ამბებზე და შემთხვევებზე ისე ჰყვებოდა, როგორც ხალხზე, ხოლო ცალკეულ ადამიანებზე, როგორც ხალხებზე. მისი აღწერის სიზუსტეში ეჭვი არასდროს შემპარვია, როგორც ყოველი ებოსია ეჭვმიუტანელი. აქილევსი არ შეიძლება ასეთი არ იყოს, თორემ აქილევსიც არ იქნებოდა. ყოველ ჩვენგანში სიმართლის ღვთაებრივი საზომი ბუდობს, მხოლოდ მის წინაშე შეცოდება ხდის ადამიანს მატყუარად და ცრუპენტელად. მისტიფიკატრობა ზოგიერთთა პირში უკვე სიმართლის საწყისია, ხოლო როცა ის მითომთხველობას აღწევს, — სრული სიმართლე. ასე იყო მაქსთანაც ჩერუბინას შემთხვევაში. რაც არაარსებითია — ის ზედმეტია. ასე იქმნებოდა ღმერთები და გმირები. მხოლოდ მაქსის ნაამბობში ჰგავდნენ ადამიანები უფრო მეტად თავის თავს, ვინემ ცხოვრებაში, სადაც ისინი არც ისეთნი არიან და არც იქ გვხვდებიან, სადაც უნდა შეგვხვდნენ. მახსოვს მაქსის ნაამბობი ერთ გოგოზე. (გოგო პირველად იყო სამხეცეში და მამას სწერს:)

— ვნახე ლომი — ლომს სულ არ ჰგავდა.

მაქსის ლომი მუდამ და ყოველთვის ჰგავდა. ჰო, რომ არ დამავიწყდეს: აქ, კლამარში, მაგიდაზე, რომელზეც ვწერ, სამელნის ჰვეშ, რომელშიც ვაწვებ,

თეფში მიდევს. იცვლებიან მაგიდები და სამელნეები, თეფში არა. იგი 1913 წელს წამოვიღე ფეოდოსიიდან და მას აქეთ ჩემთანაა, უკვე ოცი წლით დაბერებული. თეფში ძალზე მძიმეა, ქაშანურისა, ძველებური, ინგლისური, კედლებზე თეთრ-ყავისფერი არშია დასდევს, ბერძენი გმირებითა და ინგლისელი სარდლებით მოხატული. შუაში ლომის სახეა. სინამდვილეში ლომი მთლიანადაა, მაგრამ თავი ისე დიდი აქვს, ტანი აღარც ჩანს. ფაფარი წვერში ვადადის, თაფრიდან კი პატარა, ბურღივით თვალები იცქირებიან. მაქსის სურათებიდან ყველაზე მეტად ეს ლომი ჰგავს მაქსს. ეს ლომი — მაქსია, მთლიანად მაქსი, უფრო მეტად მაქსი, ვინემ მაქსი. ამჯერად თვით ცხოვრე ბამ მისდია მითომთხზველობას.

ერთი ცოცხალი მაგალითი ჩემზე — ცოცხალზე: კოქტებელში ჩასვლის პირველსავე დღეს მაქსს შევეკითხე: „მ. ა., როგორ გგონიათ, გამოიცნობთ კი ჩემს უსაყვარლეს ქვას სანაპიროზე?“ — ხოლო ერთი საათის შემდეგ მესმის: „დედა! იცი, რა მითხრა მ. ი.-ამ? მომიძებნე და მომიტანე ჩემი ყველაზე საყვარელი ქვა სანაპიროზე!“ ასე ხომ უფრო სჯობია, ასე ხომ მე უფრო ვჩანვარ? მე ვიყავ ის შავი ხელნაწერი, მაქსმა ხელდახელ რომ შეასწორა.

მაქსის მახვილი თვალი ადამიანებზე კრებითი შუშა იყო — მაშასადამე, აალებადი. ის, რაც ადამიანს თავისი ანუ შემოქმედებითი მოსდგამდა, მაქსის წყალობით ან კოცონივით გიზგიზს იწყებდა ან ბალივით გადიშლებოდა იმ ადამიანის შესაძლებლობის საზღვრებში. ცოდნით, გამოცდილებით, ნიჭით — მაქსს კაციშვილი არ დაუთრგუნავს. სინამდვილეზე მისი უძლები სული ადამიანს აიძულებდა ისეთი ყოფილიყო, როგორიც იყო. „როცა ჩემი თავი მჭირდება, მე მივდივარ, როცა შენთან მოვდივარ, მაშასადამე, შენ მჭირდები“. უძლების ნაცვლად ერთი პირობა მინდოდა „უტყუარი-თქო“, დამეწერა, მაგრამ მაშინვე არათუ გამახსენდა, ლამის ყურში ჩამესმა: „მარინა! არასოდეს არ თქვა „უტყუარი“, — „რატომ? იმიტომ რომ ტყუილს გაგონებს?“ — „დიახაც ტყუილი არის, უტყუარი კი არადა, უტყუარო სიმართლე, როცა ჭალათი თავის მსხვერპლს ზურგზე ტყავს აძრობს ცრუ ჩვენების მისაღებად. ეს სიმართლე — დილეგის სიმართლე გახლავს.“

ის, რაც მაქსმა მასწავლა, სამარადისოდ დავიმახსოვრე.

მაშასადამე, მაქსი სინამდვილეზე თავის უძლები სულით ადამიანს აიძულებდა თავისი თავი ყოფილიყო. ვიცი, ახალგაზრდა პოეტებისთვის, რომელთაც ეს თავისი ჰქონდათ, მაქსს ვერაფერ ვერ შეცვლიდა, როგორც იმ ახალგაზრდა პოეტებისთვის, ვისაც ეს თავისი არ გააჩნდა. მახსოვს, ჩვენი ნაცნობობის დასაწყისში ალექსვი ტოლსტოის ლიტერატურული საღამო ჰქონდა. ვილაც ტიტულოვანი გვარდიელი ლექსებს კითხულობდა: მთვარეო, ნავიო, რასამანიო, ასულებიო... პასუხად ამ ზოგად რამეებზე მძიმე ღუმილი ჩამოვარდა, მაქსი შემპარავად, თითქოს მისი ხმა გახურებულ რასმეზე მიაბიჭებსო: „რა საოცრად საამური ბარიტონი გაქვთ. მღერით?“ — „არა, ბატონო!“ — „უნდა იმღეროთ, უთუოდ უნდა იმღეროთ“. გეფიცებით, მის სიტყვებში დაცინვის ნატამალი არ იგრძნობოდა. ბარიტონმა მართლაც უნდა იმღეროს.

კიდევ მისი ერთი მონათბრობი პოეტესა მარია პაპერზე.

— მ. ი., მარია პაპერი ჯერ თქვენთან არ მოსულა?

— არა.

— მაშ მოვა. ყველა პოეტთან დადის: ხოდასევიჩთან, ბორის ნიკოლაევიჩთან, ბრიუსოვთან.

— ვინ არის მაინც?

— ერთი პოეტესაა, ყველაზე დამახასიათებელი: წლის ყველა დროში აცვია უშველებელი კალოშები, კაცის კალოშები, კალოშებიდან კი მოჩანს ასანთივით წვრილი კისერი და დიდრონი შავი თვალები, ბაყაყივით თითქოს ძაფზე დაკიდებულნი. მუდამ უკანა კიბით შემოდის, უთენია, პირდაპირ სამზარეულოს მიაშურებს. „რა გნებავთ, ქალბატონო?“ — „ბატონთან, გნებავთ?“ — „ბატონს ვერ სძინავს“. — „მაშინ მოვიცი“. ხდება შეიდი საათი, რვა საათი, ცხრა. მოგეხსენებათ, პოეტები გვიან ღვებიან. მზარეულ ქალს ზოგჯერ შეეცოდება: „აქნებ ბატონი გავადვიძეო? თუკი ასეთი საჩქარო საქმე გაქვთ, თორემ ჩვენი ბატონი ზოგჯერ პირველ საათზე გამოდის ხოლმე, ზოგჯერ არც ღვება“. — „არა, არა, მე აქ ისედაც არა მიშავს“, ბოლოს მზარეული ველარ ითმენს და ბატონს აღვიძებს: „ერთმა ბარიშმა ქალმა მოგაკითხათ, გიმნაზიელ თუ კურსისტია. შეიდი საათიდან სამზარეულოში ზის და გელოდებათ“. — „მერე, შესულელო, სასტუმროში ვერ შეიყვანე?“ — „მინდოდა, მაგრამ არა ქნა: მეო აქაც არა მიშავსო. ჩაი დავალევინე — მეც დავლიე და მაგასაც დავუსხი, არ ითაკილა“.

ბოლოს შეხვდნენ ერთმანეთს „ბატონიცა“ და „ბარიშმა ქალიც“. ხოდასევიჩი — მარია პაპერს, მარია პაპერი — ხოდასევიჩს. „ვის მაქვს პატივი შეეხვდე?“ — თავის წრიპინა ხმა, რატომღაც ე-ს რომ აჭიანურებს. „მე მარია პაპერი ვარ“. — „რით შემიძლია გემსახუროთ?“ — „მე ლე-ქსება ვწე-ერ...“

კაცმა არ იცის, უცბად საიდან გაჩნდა ვეებერთელა პორტფელი. დეპარტამენტისეული, ხოდასევიჩი მაგიდასთან ჯდება, მარია პაპერი დივანზე. ხდება ათი საათი, თერთმეტი, თორმეტი. მარია პაპერი ისევ კითხულობს, ხოდასევიჩი უსმენს და უსმენს მონუსხულივით! სადაც — საყლაპავისა თუ სულის სიღრმეში, სადაც ვერ მოიფხან, ქავილსა გრძნობს. ქავილი უფრო და უფრო ძლიერდება, მარია პაპერი კი ისევ და ისევ კითხულობს. ანაზღად ბატონი ნერვიულად ამოქნარებს, უკანასკნელი ძალისხმევის მოშველიებით წამოიჭრება და საათს დასტაცებს ხელს: „მაპატიეთ — ძალიან მეჩქარება, გამომცემელი მულოდება. მე თავად მეგობარს ველი“. „მაშ მე წავალ და კიდევ მოვალ“.

სულმოთქმული ხოდასევიჩი მყისვე დატკბება:

— რა თქმა უნდა, ნიჭი გაქვთ, ოღონდ ლექსს უფრო მეტი მუშაობა უნდა...

— მე ისედაც სულ ვწე-ერ...

— სულ კი არა, სხვანაირად უნდა წერა...

— სხვანაირადაც შემიძლია... მაქვს...

ხოდასევიჩი ხვდება, რაც ელის:

— თუმცა ვერ ახალგაზრდა ხართ და კიდევ მოასწრებთ... არა, მანდელ არა, თუ შეიძლება, მე ვაგაცილებით სადარბაზოდე...

სადარბაზოს კარი იკეტება. მასპინძელი ნეტარებით იფშენეტს ხელისა და ფეხის სახსრებს, და უცბად — ქარაშოტივით — ზეაპრობილი კალოშებიანი ხელებით — სამზარეულოდან დერეფანში მზარეული ქალი გამორბის:

— ბა-რი-შნა! ბა-რი-შნა! რა მოგსვლიათ! კალოშები დაგრჩენიათ!

...იციო, მ. ი., ყოველთვის ასე მშვიდობიანად როდი მთავრდება, ხანდახან კალოშებს ზურგშიც მიაყულებენ... ზოგჯერ, მეტადრე ზემო სართულიდან, თავ-ზეც ეცემა, თავზე ან ფეხებზე, ხოდასევიჩს და მეც მოგსვლია, ერთი სიტყვით

— ზის პოეტი თავისთვის, სონეტსა წერს... „ბატონო? ჰა, ბატონო?“ — „რა იყო?“ — „იქ ერთი ბარონა ქალი გეწვიათ, შვიდი საათიდან გელით... ჩაი უკვე ორჯერ დავლიეთ... მთელი თავისი ამბები უკვე მიაბზო... (დაღუბნის) მწერალი გახლივთ“.



ქართული
ბიბლიოთეკა

ასე აქცევდა ქიბერად მაქსი ზოგ ადამიანს.
მაქსმა კიდევ მომიტანა იმ პოეტესას წიგნი. მახსოვს ეს ლექსი:

ჩემში დულს და ბობოქრობს ტალღა
სემიტელის მხურვალე სისხლის,
კანკალი მიტანს და თან ვივსები
ესთეტიკური იდუნალებით.
ზე ავდივარ თუ თაგქვე ვეშვები,
ნაირ-ნაირი სიმღერა მესმის, ---
ფოცხვერი არის ჩემი დია,
უძირო ტბაა ჩემი ძამია.

და კიდევ ეს ოთხი სტროფი:

მე დიადსა და ანაზდეულს,
შეუძლებელსა რაბზე მოვიტოვებ,
და მარადიულ მარმარილოზე
მარტოდენ სატრფოს ნაკადს ვახეგრებ

ყოველ მოვლენასა და შემთხვევაზე მაქსს ზღაპარი მუდამ მზად ჰქონდა. ყოველ კითხვაზე ზღაპრით ვაგვიძედა ხოლმე პასუხს, აი მისი ერთი ზღაპარი ჩემს რომელიღაც შეკითხვაზე:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ყრმა მეფისწული. ჰყავდა აღმზრდელი, რომელსაც სწამდა, რომ ქვეყნად ყველანაირი ბოროტება ქალიდან მოდის. ამიტომ გადაწყვიტა მომწიფებამდე ყრმისთვის ქალი არ ეჩვენებინა. („შენ აღბათ იცი, მარინა, რომ ათონზე ცხოველებში მდებარი არაა, ყველა მამრია“.) ჰოდა, როცა მეფისწული თექვსმეტი წლისა შესრულდა, აღმზრდელმა ხელი ჩააკიდა და სასახლის დარბაზები ჩამოატარა, სადაც მთელი ქვეყნიერების სასწაულები იყო შეგროვილი. ერთ დარბაზში სულ ძვირფასი ქსოვილები, მეორეში — სულ იარაღი, მესამეში — მუსიკალური საკრავები, მეოთხეში — ისევ ძვირფასი ქსოვილები, მეხუთეში, მეექვსეში (გესლიანად) — მხოლოდ ბრძენთა გამონათქვამები ეტრატის გრაგნალებზე, ოცდამეთერთმეტეში — იშვიათი მცენარეები და ბოლოს, რომელიღაც მეთხუთმეტეში — იქდა ქალი, „ეს რა არის?“ — იკითხა მეფისწულმა. „ეს, — მიუგო აღმზრდელმა, — ბოროტი დემონია, ადამიანთა დამლუპველი“.

მთელი სასახლე და მისი სასწაულები რომ დაათვალიერებინა, აღმზრდელმა მეშვიდე დღის ბოლოს ჰკითხა ყრმას: „აბა, შვილო ჩემო, ნანახიდან ყველაზე მეტად რა მოგეწონა?“

— ცხადია, ბოროტი დემონი, ადამიანთა დამლუპველი.

— მარინა! მარინა! მისმინე!

როცა ჰაკონი წამოიზარდა,
 ღმერთმა სამეფო მისცა,
 მაგრამ ვერა და ვერ დაივიწყა
 ჰაკონის ის სიმღერა:
 — აბა ჰე, ჩემო ბიჭუნი,
 შენს რაშს ბიანკა ჰქვია.



ახლა სულ ვიგონებ: რა იყო? საიდან იყო? აშკარად ნორვეგიული უნდა ყოფილიყო — რაკი ჰაკონი ერქვა, აშკარად იავენანაა თუ მხედრული, რაკი „ჰა. მიდი, ჩემო ბიჭუნი“-ა — დედა, კვრივი ბიანკა დაჩაგრულ ჰაკონს უმღერის. თუმცა ტახტი ბიჭუნამ მაინც ჩაიგდო, სიმღერის თავი დაიკარგა, ალბათ მტრებზე იქნებოდა, ტახტი და მამის ცხენი რომ წაართვეს ბიჭს და დედის მუხლების გარდა არაფერი არ დაუტოვეს, მისთვის ტახტიც და ცხენიც რომ იყო ერთად. თარგმნა მაქსმა, ახლაც თვალწინ მიდგას მისი გაბრწყინებული სახე. ასე უბრწყინავთ ხოლმე სახე თარგმანის ყოველ სასწაულზე.

კიდევ ერთი სიმღერა კნებელის საბავშვო წიგნიდან:

ბებერ ყინვას ახელი ჰყავს,
 სახელად ჰქვია თოღია.
 ბიჭი იურა, იურა ბიჭი
 თოღია სიყვარულია...

- მოგწონს მარინა?
- ძალიან.
- სამწუხაროდ, ჩემი არაა.

და კიდევ ერთი, მთლად გულის ამაჩუყებელი; მე რომ მიმღერდა:

ნანა-ნანა, ნანინა,
 დათვის შვილიკობო,
 ბაჭა-ბაჭა, ბაჭბაჭა,
 ბანჯგელით გაბანჯგელულებო...

რაც მაშინ შეიძლება მომწონებოდა, მაქსს ნადავლივით მოჰქონდა ჩემთვის, როგორც დათვის მიაქვს ხოლმე კბილებით თავის ბელისთვის, ყველა ასაკს მყისვე ხასიათს უწყობდა იგი, ყველა ასაკისთვის იერს იცვლიდა. მაშინ, ჩემს თითქმის ბავშვურ ასაკისთვის ის მომევიღინა როგორც ჯადოქარი და როგორც დათვი; ხოლო ახლანდელი — სიმწიფისა, თუ როგორც ეძახიან. იმ ასაკისთვის — ვით მითომთხვეელი, მშვიდობისა და მირონის მთხვეელი. მაქსი არაფერს იშურებდა მეგობრებისთვის, გარდა მათთან განუწყვეტლად ყოფნისა. ვინაიდან ესდენ ურიცხვი მეგობრების მყოფს ეს ყველგან ყოფნა გამოუვიდოდა, რასაც ფიზიკურად ვერ შეძლებდა. რამდენადაც მახსოვს, მაქსი ზღაპრებიდან ყველაზე მეტად ცხოველებზე ზღაპრებს არჩევდა, თდინდელ ზღაპრებს, იგავ-არაკებს. მაგრამ ზღაპრების სიყვარულზე განცალკევებით მაშინ შეიძლება ილაპარაკო, როცა არსებობს არა-ზღაპარი. მაქსისთვის არა-ზღაპარი არ არსებობდა. მელიის რომელიმე ისტორიიდან იგი ისევე იოლად გადადიოდა თავის ცხოვრების ცალკე ამბავზე, როგორც იგივე მელია ტყიდან თავის სორთში შეძვრებოდა.

მაგრამ ერთი კი იყო: ზღაპრებს არ წერდა, მისი ზღაპრულობა თუ მისი მეზღაპრეობა მის შემოქმედებას არ წასცხებია. ამ მხრივ თავისი თავი, თავისი ეს

ორი სახე საკუთარ შემოქმედებაში — ასე დიდი რომ იყო მოცულობით — არ აუსახავს. რომ აესახა, მის ზღაპრულობას არც ისე დავიყენებდი. იგი თავად იყო კაცი ზღაპრიდან, თავად იყო კაცი — ზღაპარი, თავად ზღაპარი, და მასზე რომ ვწერ, იგივეს ვიქმ, რასაც ზღაპრების შემგროვებელნი, იმ განსხვავებით, რომ შემგროვებელნი მოსმენილს წერენ, მე კი თავალით დანახულს ვწერ. ვერთად: ნაცხოვრებს: *vecue*¹.

სიზღაპრურობა

ამ ფრანგულ, ღიახაც შეუცვლელ და არარსებულ სიტყვაზე მინდა შევჩერდე (*vie vecue* — ნაცხოვრებ ცხოვრებას ნიშნავს, თუმცა ჩვენ ასე არ ვხმარობთ, განვლილი კი — უკვე დამთავრებული წარსული — ამას მთლიანად ვერ გადმოსცემს), რომ მაქსა და საფრანგეთზე ვილაპარაკო.

აშკარა წყარო მისი შემოქმედების ჩვენი შეხვედრის პირველ წლებში — ეს ომამდე უკანასკნელი წლები იყო — გახლდათ საფრანგეთი. თუნდაც იმ წიგნების მიხედვით, მეგობრებს რომ აძლევდა და მეც მათ შორის — ანუ კახანოვა და კლოდელი, აქსიოლი და კონსუელა — არც ერთი წიგნი, გერმანული თუ რუსული, მთელი ის წლები მისი ხელიდან არავის არ მიუღია. არც ერთა ამბავი, თუ არ ფრანგების ცხოვრებიდან — გინდ მწერლებისა და გინდ ისტორიული პირებისა — მისი პირიდან არავის არ სმენია. იგი ნიადაგ საფრანგეთს იმორწმებდა, თავს ნიადაგ საფრანგეთისკენ აბრუნებდა. ასეც ცხოვრობდა, პარიზისკენ თავით მიბრუნებული.

პარიზი XIII საუკუნისა თუ ამჟამინდელი, პარიზი ქუჩებისა და პარიზი ქამთა ვითარებისა — მას ერთიანად ჰქონდა შემოვლილი, ყოველი პარიზი მისთვის სახლი იყო და პარიზის გარდა, თვისი ცხოვრების იმ საათსა და თვისი არსების იმ ნაწილით, არსად თავს სახლში იგი არ გრძნობდა. (რომ არა ვთქვარა მარადიულ კოქტებელზე, საიდანაც ამოიზარდა — ყველაფერი და ყოველივე.) მისი მოსკოვსა და პეტერბურგში ქროლვა, მისი ყველგან დასწრება და ყველგან ყოფნა, სადაც ლექსები იკითხებოდა და სადაც ჰკვიანი ხალხი იკრიბებოდა, მხოლოდ და მხოლოდ პარიზის ხელახლა აღდგენა იყო. როგორც ყველა ჩვენგანი, ყოველ შემთხვევაში, რუსი ძიძები მაინც, Arc de Triumphe²-ს ტრიუმფალურ თუ სულაც ტრუმბალნის კარიბჭედ აქცევენ, პასის კი — არბატად, ასევე მაქსიც არბატს პასიდ და მდინარე მოსკოვს სენად აქცევდა იმ ხანებში. პარიზი წარსულის, პარიზი იმჟამინდელი, პარიზი მწერლების, პარიზი მაწანწალების, პარიზი მუზეუმების, პარიზი ბაზრების, პარიზი პარიზელების, პარიზი — კალუგელების (ასეთი პარიზიც იყო მაშინ) პარიზი პირველი მასზე დაწერილი სტრიქონებისა და პარიზი მისტენგეტის უკანასკნელი სიმღერისა — მთელი პარიზი მთელი თავისი შიგთავსით მასში იყო მოთავსებული (თუმცა მრთავსდებოდა კია თვით მაქსი ამ პარიზში?)

ოღონდაც მაქსმა პარიზის ყველაფერი ვერ შეითავსა. ახლავე ნახავთ, თუ რა. „მ. ა., ყველაზე მეტად პარიზში რა მოგეწონათ?“ მაქსი ელვის სისწრაფით: „ეიფელის კოშკი!“ — „მართლა?“ — „ჰო, ვინაიდან მარტო იქიდან არ მოჩანს იგი“. მაქსს ეიფელის კოშკი ისე სძულდა და ეჯავრებოდა, როგორც არასდროს ცოცხალი კაცი არ სძულებია. — „იცი, მარინა, რა ერთმეება, ეიფელს? — და რომ არ დამესწრო: — ტეიფელი!“ (ანუ ეშმაკი).

მე არ მაქვს მისი პირველი წიგნი, მახსოვს კია, სადაც არ უნდა გადაგეშა-

1. განვლილი ცხოვრება (ფრანგ.).

2. ტრიუმფალური თაღი (ფრანგ.).

ლა, ყველგან პარიზს დაინახავდი, გვერდი არ იყო, პარიზის სურნელი არ მოგ-
ფრქვეოდა, თუ პირდაპირ არა, ქარაგმით მაინც. მისი პირველი წიგნი, ნა-
ხევარზე მეტი, უცხოური წიგნი გახლდათ, აქ იგი ენათესავებოდა ომამდელ
პოეტებს: ბალმონტს — ზღვის მიღმიერზე რომ სწერდა, ბრიუსელს — ყველა
ქვეყნის ისტორიაზე რუსეთის გარდა, ადრეულ ბლოკს — უცნობ ქალს, დასავ-
ლეთს რომ უმღერდა, ბელის ოქრო ლაყვარდშიც ხომ გობრუნიძის პარტიკაა.
მოგვიანებით: გუმბილიოვი — აფრიკა იყო, კუზმინი — მანფრანსკისა, პირველი
ახმატოვაც კი, ახმატოვას პირველი წიგნიც, თუკი ახსენებს რუსეთს, ახსენებს
მხოლოდ როგორც სტუმარი — სიყვარულის ქვეყნიდან მობრძანებული, რაიც
რუსეთში ასევე ეგზოტიკაა. ოღონდაც მაქსის უცხოელობა (ახმატოვას „ეგზო-
ტიკის“ გარდა), უფრო მოკრძალებული და გულისხმიერი იყო.

მაგრამ ერთი კი უნდა დავამატო: ის ყველაფერი, რაიც აქამდე მოგახსენ-
ეთ: მაქსა და სამყაროზე, მაქსა და ადამიანებზე, მაქსა და მითზე. — უტ-
ყუარია და ულაპარაკო, თითქოს მის მიერ ხელმოწერილი და თუნდაც დაწე-
რილი. შემდგომ კი მხოლოდ ჩემი ვარაუდია, მარტოდენ ჩემთვის უდავო და
უცილობელი. შემოწმება არავისთან არ შემიძლია, ჩემს თავზე მეტად მხოლოდ
მას დავუჭერებდი.

მე ვთქვი: მისი შემოქმედების აშკარა წყარო-მეთქი, მაგრამ ხომ არის კი-
დეგ ფარული წყაროებიც. მიწის ქვეშ დიდხანს მიმდინარენი, გზაში ყველაფ-
რის მსაზრდოებელნი და თავის ჟამსა და საათს ამოხეტქილნი. ასეთი ფარული
წყარო მაქსს ორი ჰქონდა: გერმანია, აშკარა არასდროს რომ არ გამხდარა, და
რუსეთი, სწორედ თავის დროსა და ჟამს რომ აშკარა გახდა. მაქსის ფიზიკური
ნათესაობის თაობაზე გერმანიასთან, ანუ გერმანული სისხლის არსებობაზე მე
უკვე ვთქვი. მაგრამ, ჩემი აზრით, იყო სულიერი ნათესაობაც, ფრიად ღრმა და
სიღრმისეული, რაიც — აქ კი იწყება სახიფათო და დიახაც საპასუხისმგებლო
ნაწილი ჩემი მტკიცებისა — საფრანგეთთან მას არ ჰქონდა. დაე შემინდოს
მაქსმა, თუკი ვცდები, მაგრამ რომ არ ვთქვა, არ შემიძლია.

ვიტყვი უფრო განვრცობილადაც: ჩვენ საფრანგეთთან ნათესაობა არასო-
დეს არა გვქონია, ჩვენ სხვადასხვანი ვართ. საფრანგეთთან გვაკავშირებდა და
გვაკავშირებს სიყვარული. გვაკავშირებდა და გვაკავშირებს თუ ამ წუთს არა,
მერე მაინც — მისადმი ტრფობა. ჩვენ საფრანგეთით მოხიბლულნი ვართ, თუმცა
მისი არა გვესმის რა, და არა მარტო ჩვენ — მისი, არამედ მათ — ჩვენი, ვინა-
იდან სხვას რომ გაუგო, ეს ნიშნავს, თუნდაც ერთი საათით მაინც იმად იქცე-
ჩვენ კი ერთი საათითაც არ ძალგვიძს ფრანგებად ქცევა, ხიბლის მთელი ძალა,
მისი წყარო — უცხოობა.

კიდევ უფრო რომ განვაგრძოთ და მივუდგეთ ზეპირადულად, საფრან-
გეთისგან ჩვენ ბევრითა ვართ დავალებულნი — დავალებული იყო მაქსიც,
ჩვენ ამას არც უარვყოფთ — არ უარვყოფთ მაქსის მაგივრადაც, ისტორიის რა-
ღაც ნაწილით ჩვენ თანვხვდებით, მეტსაც ვიტყვი: საფრანგეთის ისტორიის რა-
ღაც ნაწილს ჩვენად შევიგრძნობთ. და უფრო მეტად, ვინემ ჩვენსას.

ავიღოთ თუნდაც ეს ბოლო ას-ნახევარი წელიწადი: საფრანგეთის რევო-
ლუცია მთელი თავისი სიგრძე-სიგანით (დაწყებული ტერორით და ტამპლით
დამთავრებული, ვინ ტერორის მომხრე, ვინ ტამპლისა, მაგრამ ყოველი რუსი
საფრანგეთის რევოლუციაში თავის ტრფიალს ჰპოვებს), მთელი ნაპოლეონი-
ადა, 48 წელი, რუსი რუდინით ბარიკადაზე, კომუნის მსხვერპლნი, 70 წლის
კატასტროფაც კი.

თქვენ მიითვისეთ ელზასი და ლოტარინგია.
მაგრამ ჩვენს გულებს ვერასოდეს ვერ
მიითვისებთ...



ეს ყველაფერი ჩვენი მშობლიური ისტორიაა, დედის რძესთან ერთად შე-
თვისებული. პიუგო, დიუმა, ბალზაკი, ყორე ზანდი და სხვანი და მსხვერპლები
ნი მშობლიური მწერლები — არანაკლებ, ვინმე მათი თანამედროვე მწერლები.
ეს ყველაფერი მე ვიცი, ამ ყველაფერზე ხელსაც მოვაწერ — ოღონდ
ეს ყველაფერი გარკვეულ სიღრმემდე, ანუ მაინც ზედაპირულად, ამის
ქვემოთ კი იწყება ჩვენი არსი, უცხო საფრანგეთისთვის.

როგორც კანის ზედაპირის ქვეშ სისხლი მიედინება.

დავუბრუნდეთ მაქსს. ლიტონი მტკიცება მისი გერმანული წარმოშობისა
და თუნდაც ისეთი ძლიერი საბუთის მოშველიება, როგორც სისხლი გახლავთ,
არც ჩემთვისაა საკმარისი. ერთი ვიცი: მას გერმანული მართლა მოსდგამდა.
ოღონდ რაში? ცხოვრებაში? ერთი შეხედვით თითქოს არა. არც სიმკვირცხლე,
არც მხატვრობა, არც მხატვრული ბუნება, არც მისი, მრავ-
ლის ტრფილის ყაიდაზე რომ ვთქვათ — მრავლის მეგობრობა,
არც ადამიანებთან სწრაფი დაახლოება, არც მისი გარეგნული ტემ-
პი გერმანული არ იყო, გახლდათ უფრო ბურგუნდიელი, ვინემ გერმანელი.
(პო, მაქსი ახალწლის გარდა ღვინოს არ სვამდა: არ სჭირდებოდა).

ოღონდ — დავიწყოთ თუნდაც სულ უბრალო ყოფითი ამბით — მისი აკუ-
რატობა, პედანტიზმიც კი, „ეს მე აქ მიდგას, ეს იქ, და მუდამ აქ იდგება“, კი-
დეც დილით მუშაობისადმი მისი ტრფილი: დილით მუშაობის ფუნქცია
წიგნის კულტურა, წიგნის საკუთრების კულტი, მზის სიყვარული და ლტოლვა,
ზიზლი ზედმეტი სამოსისა (ჰაერის, მზის აბაზანები); ფეხით სიარულის ყინი და
უკვე დიდის ზღურბლს მივადევით — მისი მარტობა; წელიწადში რვა თვე კოქ-
ტებულში მისი ეულად ყოფნა — აღრიალებული ზღვისა და საკუთარ ფიქრთა ამარა
— ბუნებისადმი აქტიური სიყვარული, რომლის გარეშე კაცი ლამის იბრჩობოდა,
სამუშაო მაგიდასთან გულმოდგინება და მუყაითობა (თავისი ავიაკუმი, მისივე
თქმით, თურმე შვიდჯერ გადაუდნია) და მთებში მედგარი სიარული — მაქსის
რუსთა დარად შარაგზაზე როდი ცხოვრობდა, არ იყო მაწანწალა, არც ხალხურ
გაგებით ყარობი ვინმე, არც პრომენიორი, იგი იყო Wanderer¹, კაცი, ვინც ში-
ნიდან გარკვეული მიზნით გამოდის: ავიდეს მთაზე და დღის ანუ ზაფხულის
ბოლოს, გამდიდრებული, განწმენდილი, სახლს დაუბრუნდეს. კიდევ — მისი
მეგობრობის სიმტკიცე და უცვლელობა, მისი მეგობრობის მუდმივობა. მისი
უდიდესი ადამიანური ერთგულება, სხვის სულში ღრმა ჩაწვდომა — აშკარად
გერმანული იყო. ის გახლდათ მეგობარი მეგობრობის ქვეყნიდან ანუ გერმანი-
იდან, რომ უფრო ცხადი იყოს: აშკარა ფრანგულ თანაზიარობასთან ერთად
— აშკარა გერმანული ურთიერთობა ფრანგულ რაოდენობრივობასთან ერთად
— მეგობრობის გერმანული თვისობრიობა, ანუ ბურგუნდიელი ერთბაშად
დამეგობრობა, მაგრამ გერმანელი ერთხელ და სამუდამოდ. აქ მართებულ
იქნება ხსენება უტყუარი და ლეგენდარული deutsche Treue²-ისა, ერთგულე-
ბისა, რომელსაც გერმანელების გარდა ვერა ერთ ვერ წარუძმძვარებს კუთვნი-
ლებით ზედსართავს.

1. მგზავრი (გერმ.).

2. გერმანული ერთგულება (გერმ.).

ეს. რაიცი აშკარა იყო ყოფით ცხოვრებასა და ადამიანებთან მიმართებაში. მაგრამ რაიცი ადამიანებთან მიმართებაზე უფრო საყურადღებო და მიუკვლეველი გახლავთ. ესაა კაცის ცხოვრება კაცთა გარეშე — თავის თავთან, ღმერთთან, სამყაროსთან, ანუ მისი შინაგანი საუფლო, აქ მე თამბაქო კვამლები მაქსის გერმანელობას ყოვლად ღვთაებრიობა, ყოვლად ღმერთობა, ყველგან ღმერთობა — მისგან ეგზომი ძალით ასხივებდა, რომ თვით მაქსის წინაშეც, მას ახლოს მყოფთ, თუნდაც პატარა ღმერთების კრებულად გვეჩვენებდა, მისი ღრმა, თანდაყოლილი პანთეიზმი იყო აშკარად გერმანული — პრაგერმანული და გოეთესეული. იცოდა თუ არ იცოდა მაქსმა, იგი გახლდათ გოეთელი, და ეს შეიძლება ხიდად ჩავთვალოთ მისი შტეინერობისთვის, რაიცი მისი ყველაზე იდუმალი მხარე იყო და რაზედაც არა ვიცი რა, გარდა იმისა, რომ ეს მასში იყო და დიახაც ძლიერად იყო.

ის გახლდათ — ფარული მისტიკოსი, ანუ წმინდაწყლის მისტიკოსი, იდუმალი შეგირდი იდუმალი მოძღვრებისა იდუმალის თაობაზე. მისტიკოსი არამარტო ფარული — ღრმად ჩამარბულიც, არასდროს სიტყვა არ დასცდენია მის გრძნობათ სიჭარბისაგან მუდამ ლაღად მოლაპარაკე ბაგეთ. ეს მისი არსი მართლაც მასთან ერთადაა დასამარებული, და ეგებ როდესმე იქ, კოჭტებლის მთაზე, სადაც იგი წეგს, კიდევ აღმოჩნდეს — ვილაც უცნობის მიერ მიტანილი — როზენკრეიციერთა მანტია.

ვიცი, მისი გერმანელობა ვერ დაეამტკიცე, მაგრამ ისიც ვიცი, რად და რატომ, გერმანული, სული იყო მასში წყარო მისი სისხლისა და წყარო მისი მისტიკის, ფარულზე ფარული და იდუმალზე იდუმალი წყარონი.

კულტურით ფრანგი, სულით და სიტყვით რუსი, სულიერებითა და სისხლით გერმანელი.

ასე, მგონი, არავის არ გავანაწყენებ.

ეს კია, თავის მეორე სახლს, რუსეთს, მაქსი აშკარად დაუბრუნდა. ეს ფრანგი, ეს არარუსი პოეტი თავში — გახდა და დარჩება კიდევ რუს პოეტად და ეს რუსული რევოლუციის წყალობით მოხდა.

ეგონათ, რომ ერთ ჩვენ მათხოვრები
და არაფერი არ გვაბადია...

ჩვენი შეხვედრა გრძელდებოდა ექვსი წელი: 1911 წლიდან 1917 წლამდე(...)



თარგმან ნოდარ შამანაძემ

თორმეტი ოსტატი გზას ერთად გაუდგა,
დევასის მძლე ციხეს რომ ფუძე ჩაუდგან.
შეუდგნენ შენებას, ქვის ქვაზე დადებას,
მაგრამ ეს არის, ვაიმე, რა ხდება:
სულ ღამით ინგრევა, რაც დღისით შენდება,
რა არის მიზეზი, ვერაფერ ვერ ხვდება.
თქვი, ღმერთო მაღალო, თქვი საქმე რაშია.
რომ ციხე გვენგრევა, მხრები ვერ გაშლია!
— ნაქებნო ოსტატნო, მე მოგცემთ ამ რჩევას,
აქ რომლის შეუღლეც პარველად გაჩნდება,
აღიზი აზღეთ იმ ქალის სისხლითა,
ეგ ციხე იდგმება ღამითაც, დღისითაც, —
ოსტატმა კლემენზმა იხილა სიზმარი,
რომ მისი შეუღლე მოდის და იჩქარის,
კლემენზის შეუღლეც სიზმარმა არია:
— ნანგრევეში მოჰყვა და კლემენზი მკვდარია!
— უფალო მაღალო, შექმენი ტყე ხშირი,
შექმენი ტყე ხშირი, აწვიმე თქეშივით!
ძვირფასმა შეუღლემ ვერ შესძლოს აქ მოსვლა,
ძვირფასმა შეუღლემ ვერ შესძლოს აქ მოსვლა!
ტყე გაჩნდა, იწვიმა, თითქოს ცა დაიქცა...
და მისი შეუღლე მოვიდა მაინცა.
— რად მოხველ, რად მოხველ, აქ მალე მოკვდები,
დაგფარავს დუღაბი, დაგმარხავს ლოდები! —
მუხლამდე ჩაკირეს... მიმართა ქმარს ასე:
— თქვი, სულზე უტკბესო, ხუმრობთ და მამასხრებთ?
— არ ვხუმრობთ, ძვირფასო და თვალთა სინათლეც,
ეს უნდა აღსრულდეს, ეს არის სიმართლე —
ყელამდე ჩაკირეს... მიმართა ქმარს ასე:
— თქვი, სულზე უტკბესო, ხუმრობთ და მამასხრებთ?
— არ ვხუმრობთ, ძვირფასო და თვალთა სინათლეც,
ეს უნდა აღსრულდეს, ეს არის სიმართლე! —
— და თუკი არ ხუმრობ, ქვიტკირის ოსტატო,
აქ ჩემი სახელი ამოსჭერ მაინცა
და ფერფლი, და ფერფლი მიბარდს შავ მიწას, —

ცივ ქვაზე ამოსჭრა სახელი მეუღლის
და შინ წალასლასდა გულგადაღებული.
წინ ხვდება და ჰკითხავს ბიჭუნა სამი წლის:
— თქვე, მამავ, დედოკო სად არის, სად იცდის?
— ის მოვა სალამოს... იყუჩე, პატარავ! —
დედოკო არა ჩანს, სალამო დამდგარა:
— სად არის დედოკო, თქვი, მამავ, ნამდვილი!
— იყუჩე, პატარავ, მოგივა ხვალ დილით. —
ის დილაც წავიდა. მზე შუქს ღერის მალლიდან.
დედოკო არა ჩანს... მთელი დღე გავიდა.
კვლავ ჰკითხავს, კვლავ ჰკითხავს ბიჭუნა სამი წლის:
— თქვი, მამავ, დედოკო სად არის, სად იცდის?!
— ეჰ, შვილო, ამაოდ მოელი დედაშენს,
იგია დუღაბის და ქვების თენაში.
— მაშინ მეც კუბო მსურს, მამილო, გაჩარხე,
კაკლისგან გაჩარხე, იგი სჯობს სხვაგვარ ხეს...
დამმარხე დედასთან, დედასთან დამმარხე!



დედის გული

ქაბუკი გოგონას ტრფობაში გაება.
ის იყო ლამაზი, ოღონდაც თავნება.
ბიჭს უთხრა: „თუ გინდა, ეს გული გელირსოს,
წახვალ და მომიტან გულს მშობელ დედისას!“
ქაბუკი გაიქცა, განგმირა მშობელი
და ახლა იჩქარის ოფლმეურობელი.
ძლივს სუნთქავს დაღლილი, გამორბის მაინცა,
ქვას ფეხი წამოჰკრა. უეცრად წაიქცა.
საბრალო დედის გულს აღმოხდა: „ეაიძე!
ეახ, შვილო, იქნება გეტყინა რაიმე?!“

ზან, ღვიძლო ძმავო!

ბრძოლის ველზე ვარ, ტყვია წივის ყველგან მიმწვდენი,
ალბათ მომკლავენ, საცოდავად სადმე მივწვები.
მერე საფლავეიც წაიშლება, გადამიწდება,
ცოლს გაგოყებით რომ ვუყვარვარ, —
დავაფიწყდება.
ბალახბუღახი გადამფარავს დამახშობელი
და დამივიწყებს საყვარელი მამა-მშობელიც.
მხოლოდღა შენ ერთს, გულში დაჭრილს ჩემი იარით.
გემახსოვრები, ღვიძლო ძმავო, ბედით ტიალი.
ვერ შეგაშინებს ხმლის ელვარი, ბოლი დეჩთისა,
მტრის მონობისგან გამომიხსნის ძველდრს შავეთისას.



რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ზაურ კილაძემ

ბ-ნ. და ქ-ნ. გ. ფ. ვ. მოუპებს — ჩემს დიდი ხნის მეგობრებს, მადლიერების გრძნობით

ავტორის წინათქმა

ცალკე წიგნად რომ გამოვიდა ეს რომანი, ასე თქვეს, მეტისმეტად გაუტაცნიაო ჩანაფიქრს მწერალი. ზოგიერთი კრიტიკოსი ამასაც კი ამბობდა, ნოველის დაწერა უნდოდაო, მაგრამ სათქმელი დაუსხლტა ავტორის ნებას, ერთმა თუ ორმა რაღაც შინაგან კანონზომიერებას მიაკვლია და თითქოსდა გაიხარეს ამით. ისინი ასე აღნიშნავდნენ, თბრობასაც აქვსო საზღვარი. საბუთად ეს მოაქონდათ. არ შეიძლება სულ ერთმა ილიაბარაგო და სხვებმა გაუთავებელი უგდონ ყური. ამას ვერ დავიჯერებთო სწორედ.

თექვსმეტი წელიწადი ვფიქრობდი ამის თაობაზე და არა მგონია, მთლად ასე იყოს. ტროპიკებსა და ზომიერი კლიმატის განედებშიც ადამიანები თითქმის გათენებამდე სხედან და „რას არ უამბობენ“ ერთმანეთს. მხოლოდ ერთი მონათბრობა უნდა გაეიხსენო, სვენებ-სვენებით მოყოლილი. მსმენელთა გამძლეობას თუ იკითხავთ. ერთი საცხადო გარემოება გამოგვადგება ამოსავლად: საინტერესო იყო ის ამბავი. ეს აუცილებელი წინამძღვარი გახლავთ. დარწმუნებული ვიყავი. მართლაც საინტერესო იყო ეს ამბავი, თორემ არც არასდროს დავიწყებდი წერას. ფიზიკურად ადამიანიშვილს ძალუძს, როგორც ვიცით, სამი კი არა, ექვსათიანი სიტყვის მოსმენაც პარლამენტში, ხოლო ამ წიგნში მარლოუს ნაამბობი შეიძლება ჩემი აზრით, სამ საათზე უფრო მალე წაიკითხოს მკითხველმა. ამასთან ერთად — მე ყოველთვის ეტოვებ უმნიშვნელო დეტალებს — ჩვენ მთელი დამე გვექონდა საამური სასმელები, მინერალური წყალიც, რაც მთხრობელებს უადვილებდა საქმეს.

მართალი თუ გნებავთ, პირველად მე ნოველის დაწერა მქონდა განზრახული, მლოცველთა ხომალდით მგზავრობის ამბავი და მეტი არაფერი. მთავარი ეს უნდა ყოფილიყო. მაგრამ ორიოდ გვერდი დავეწერე თუ არა, რაღაც უკმაყოფილება ვიგრძენი და შევჩერდი რამდენიმე ხანს. მანამ არ გამომიღია უჯრიდან ეს ბელნაწერი, სანამ იმ განსვენებულმა უილიამ ბლეკვუდმა არ მითხრა, კიდევ ხომ არ მოგვეცემო რამეს ჩვენი ჟურნალისთვის.

მხოლოდ მაშინ მივხვდი, მლოცველთა ხომალდის ამბავი შეიძლება დიდი და მნიშვნელოვანი მოთხრობის საფუძველი შექმნილიყო. ამ შემთხვევას, აგრეთვე, შესაძლოა „ყოფიერების გრძნობისათვის“ მიენიჭებინა უბრალოება და შთამბეჭდაობა. ჩემი მაშინდელი გუნება-განწყობილება და მღელვარება ახლაც ამდენი ხნის შემდეგაც ბურუსითაა მოცული.

იმ რამდენიმე შენახულ ფურცელს უთუოდ მოუხდენია ზეგავლენა თემის შერჩევაზე. მაგრამ თავიდან კი დავწერე სრულიად შეგნებულად. წერას რომ შევეუდგე, უკვე ვიცოდი, დიდი წიგნი უნდა გამოსულიყო, თუმცა ის კი ვეღარ განვჭვრიტე, რომ „მეგეს“ ცამეტი ნომერი მოუხდებოდა იმის გამოკვეყნებას.

* ჟურნალი „ბლეკვუდს მეგეზინ“, რომლის გამომცემელი გახლდათ ზემოთ ხსენებული უილიამ ბლეკვუდი.

ზოგიერთები შეკითხებოდნენ, ყველაზე უფრო ეს წიგნი ხომ არ გიყვართო. მე დიდი მტე-
რი ვარ ფაქტობრივად საზოგადოებრივად და პირად ცხოვრებაშიც. მაშინაც, როდესაც ავტორსა
და მის თხზულებებს გულსხმობენ, პრინციპის ამბავია, მე არა მარტო ვეჭვობ, მაგრამ
ზოგ-ზოგებს ჩემი ღირსი ჯიშის გამორჩეულად მოსწონთ და ვერ ვიტყვი, ეს რაღაცაა მწყობს და
გულს მოკლავს-მეტე. ვერც იმას ვიტყვი, „მე არ მესმის...“ რა! მაგრამ ერთხელ/ჯერ და შეე-
ცბი, საბჭად დაერჩი.

ქართული

ჩემი ერთი მეგობარი იტალიიდან დაბრუნებულიყო, ვილაც ქალბატონი იყო. ის ვი-
საც არ მოსწონდა ეს წიგნი გული დამწყდა, რაღა თქმა უნდა. მაგრამ დიხბაც გამოცე ამ ათ-
მოწონების საფუძველზე, „თუ იცით, — უთქვამს ამ ქალს, — რა ავადმყოფური ამბავია“.

მთელი ერთი საათი მღელვარე ფიქრები მომგვიარა ამ განაჩენმა და ბოლოს ასეთი დასკვნა
გამოვიტანე: ჩვეულებრივი გრძნობიერების უცხოელ ქალს უნდა გასჩენოდა ეს აზრი, ის არ უნდა
ყოფილიყო იტალიელი, მგონია, ის არც ევროპის მკვიდრი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, ლა-
თინთა მოდგმის ადამიანი ავადმყოფობას ვერ დაარქმევდა ღირსების დაკარგვის მძაფრ განცდას.
მცდარი ან მართალი, შეიძლება სულაც ნელოვნურობის დალით იყოს აღბეჭდილი ეს აზრი, ან
იქნებ ესოდენ იშვიათი გმირი იყო ჩემი ჯიში. მაგრამ მე მიზნად მტკიცედ განვუცხადო ჩემს შე-
თხველებს, ის არ გახლავთ შედეგი ცივი, გაუკუღმართებული განსჯისა ის არც ჩრდილოეთის
ნისლის პირმშოა. მზიანი დილა იყო. ჩვეულებისამებრ აღმოსავლეთში გასამგზავრებლად ვემზა-
დებოდით, გვერდით ჩამიარა, ღრუბლის ჩრდილმა დაკრა იმის სახეს, საბრალოს, მრავლისმეტ-
ყველას, სწორედ ასეთიც უნდა იყოს. ისღა დამრჩენოდა, რამდენადაც კი შემიძლო, თანაღმობის
გრძნობით განვწყობილიყავი მისადმი და სიტყვებიც მეპოვა ამის გამოსახატავად. ის „ერთ-
ერთი ჩვენთაგანი“ იყო.

ჯ 4

1917. ივნისი

თავი 1

მ რ დუიმ ნაკლებ ექვსი ფუტის სიმაღლისა უნდა ყოფილიყო.
ტანმკვრივი, მცირეოდნავ მხრებში მოხრილი, თავდალუნული
პირდაპირ თქვენკენ გამოემართებოდა ჯიქურად მოცქერალი და საბრძოლოდ
შომავალი ხარი გეგონებოდათ. ხმა ძალუმი და მაღალი ჰქონდა, თვითდამკვიდ-
რების რაღაც ჟინიანობას გვამცნობდა მისი სახე და ამაში არც არაფერი იყო
მტრული. აითქოსდა ეს გარკვეული აუცილებლობით იყო განპირობებული და
შიმართული როგორც საკუთარი თავისადმი, ასევე სხვებისადმი მშვენივრად
იცვამდა, თავიდან ფეხამდე სულ თეთრ სამოსში იყო გამოწყობილი, აღმოსავ-
ლეთის ნავსადგურებში საზღვაო მოხელედ მსახურობდა და საყოველთაოდ
ცნობილი პიროვნება გახლდათ.

საზღვაო მოხელეს ამ მზისქვეშეთში გამოცდის ჩაბარებას ვინ მოთხოვს.
მაგრამ მისი სიმარჯვე, რასაკვირველია, ექვს არ უნდა იწვევდეს და კიდევაც უნ-
და გამოიჩინოს თავი. მისი სამუშაო კი ეს არის, იალქნიანი, ნიჩბიანი, გინდა
ორთქლის კარაპით სხვა საზღვაო მოხელეებს უნდა მოასწროს და პირველი
უნდა მოვიდეს იმ ხომალდთან, რომელმაც ეს-ესაა ღუზა ჩაუშვა, თავაზი-
ანი სალაში უნდა უთხრას კაპიტანს, ნუსხა შესთავაზოს, საპორტო მო-
მმარაგებლის ნუსხა, და ის კაცი სანაპიროზე პირველი გადმოსვლის-
თანავე მტკიცედ, უბაქიბუქოდ წამოიყვანოს ფართო გვირაბის მსგავსი
დუქნისკენ, სადაც რა სასმელსა და საკმელს არ ნახავთ მეზღვაურებისათვის;
ასევე ყველაფერს, რაც შეიძლება ხომალდს გამოადგეს და დიდებული სანახავი
გახადოს, საზღვაო ჭანგიდან დაწყებული, დამთავრებული კიჩოს მოსავარაყებე-
ლი ოქროს ფურცლებით, აქვე დახვდება იმ დუქნის პატრონი და ძმასავით მი-
ეგებება საზღვაო მოხელის მოყვანილ კაცს, ვინც აქამდე არც არისდროს უნა-

ხავს. აქვეა გრილი დასასვენებელი ოთახი, კარგი სავარძლები, ბოთლები, სიგარები, საწერი მოწყობილობა, ნავსადგურის წესების წიგნაკი; ისე სასიამოვნოდ შეხვდებიან მას, რომ შეიძლება გალხვეს სამი თვის მოგზაურობის ხანს მის გულში დაგროვილი მარული. ასე იწყება ეს ნაცნობობა და საზღვაო მოხელის ყოველდღიური მეცადინეობით მანამ გრძელდება, სანამ ხომალდი ნავსადგურშია. კაპიტანისთვის ის არის თავდადებული მეგობარი და გულისხმობის გარეშე შეილი, აღჭურვილი იობის მოთმინებით, ქალის თავდაუზოგავი ერთგულებითა და თანამეინახის გულისხმიერებით. შემდეგ კი ანგარიშს გაუგზავნის მას. დიდებული და მართლაც დადამიანური საქმიანობაა. ამიტომაც იშვიათად ნახავთ კარგ საზღვაო მოხელეს, თუკი საზღვაო მოხელე უნარს გამოიჩენს და ზღვასთანაც მწყრალად არ არის, დიდ გასამრჯელოს აძლევენ და ცოტათი ანებივრებენ კიდევაც. ჯიშს ყოველთვის კარგი ჯამაგირი ჰქონდა და ისე ანებივრებდნენ, რომ ამით ეშმაკსაც კი აცდუნებდნენ. მაგრამ მთლად უმადურად სამუშაოს მიატოვებდა და უეცრად წავიდოდა ხოლმე. რაიმე გონივრულ მიზეზს ვერ ეუბნებოდა თავის დამჭირავებლებს. ხოდა, მიტრიალდებოდა თუ არა, ჩაილაპარაკებდნენ, რა სულელი ყოფილაო ეს ოხერი! იმისი მეტისმეტი გრძნობიერება ასე აღინიშნებოდა.

სანაპიროზე მცხოვრები თეთრი ხალხისთვის და კაპიტანებისთვის ის იყო მხოლოდ ჯიში და მეტი არაფერი. გვარიც ჰქონდა, რალა თქმა უნდა, მაგრამ არ უყვარდა იმისი გაგონება. მისი ინკოგნიტო ისევე არ იყო დაცული, როგორც საცურში წყალი, თუმცა უფრო ფაქტის დამალვა სურდა, ვიდრე თავისი პიროვნებისა. როდესაც ეს ფაქტი საცნაურდებოდა და გარე შეიმუსრებოდა მისი ინკოგნიტო, ის უმალვე დატოვებდა იმ ნავსადგურს, სადაც იმყოფებოდა და სხვაგან გასწევდა, უფრო იქით, აღმოსავლეთით. ნავსადგურებს ვერ სცოდნებოდა, რადგან ზღვისგან დევნილ მეზღვაურს მხოლოდ საზღვაო მოხელეობა ხელეწიფებოდა. გულდინჯად იხევდა უკან და მზის აღმოსავლის მხარეს მიიწევდა, ის ამბავი თან სდევდა და შემთხვევით, მაგრამ უსათუოდ ხდებოდა ცნობილი. წლები გადიოდა და თანდათანობით გებულობდნენ იმის შესახებ — ბომბეიში, კალკუტაში, რანგუნში, პინენში, ბატავიაში, და ყველგან, სადაც კი შეჩერდებოდა, ის იყო ჯიში, საზღვაო მოხელე. მომხდარს ვერ შეეგუა და ამის შემდეგ ამ გულმოკლულმა კაცმა დააგდო ნავსადგურები და თეთრი ხალხი, უღრან ტყეს მისცა თავი, ჩავიდა მალაის ჯუნგლის რომელიღაც სოფელში, სადაც ჩაიჩუმქრა მისი შესაბრალისი ნიჭიერება და სადაც იმისი ერთმნიშვნელოვანი ინკოგნიტოსთვის ერთი სიტყვა დაუმატებიათ: ტუანს*** ეძახოდნენ მას, ანუ ლორდ ჯიშს.

სოფლელი მღვდლის ოჯახში იყო დაბადებული. სავაჭრო ხომალდების მრავალ დიდებულ კაპიტანს აუდგამს ფეხი ამ ღვთისმოსაობისა და მშვიდობიანობის საუფლოში. შეუცნობლის გარკვეული ცოდნა ჰქონდა ჯიშის მამას, ასეთი ადამიანები კი წმინდანებივით ცხოვრობენ თავ-თავიანთ კოტეჯებში და აღარ აღაშფოთებენ უცოდველი განგების მიერ ბოძებული სასახლეების მფლობელებს. პატარა ეკლესია მოჩანდა ფოთლების ტევრში გახუნებული ხავსით შეფენილ გორაკზე. საუკუნეები იდგა აქ, მაგრამ ირგვლივ აზიდულ ხეებს ალბათ ახ-

* ქალაქი ამავე სახელწოდების კუნძულზე მალაკის სრუტეში.

** ახლანდელი ჯაკარტა.

*** მალაიურ ენაზე — ბატონი.

სოვთ პირველი ქვის ჩადება საძირკველში. ქვემოთ კი საამური შუქი დაჰკრავდა. მწვანედ აბიბინებული მინდვრის, აყვავებული ბუჩქისა და ნაძვნარის შუაგულში მდებარე სახლი, იმის უკან კი იყო ხეხილის ბაღი, ხელმარცხნივ — საქონლის მოკირწყლული ბაგი. აგურის კედლებზე კი შუშებიანი სათბური მიეშენებინათ. ამ ოჯახის უკვე მერამდენე თაობა ცხოვრობდა აქ. ჯიმი იყო ერთი იმ ხუთ ვაჟიშვილთაგან, რომელიც ჯერ სათავგადასავალი წიგნებს დაეწაფა და მერე ზღვისკენ გასწია, იქ მაშინვე გაამწესეს „სავაჭრო ფლოტის“ ოფიცრების სასწავლო ხომალდზე.

ცოტა ტრიგონომეტრია ისწავლა და ანძაზე ძროხა. ყველას უყვარდა. მესამე აღგილი დაიჭირა ნავიგაციაში და პირველი კარაპის მეწინავე ნიჩბოსანი გახდა. თავბრუსხვევა მან არ იცოდა, ჯანმავარი იყო და ანძებზე მკვირცხლად დაძვრებოდა. მეორე ანძის სამეთვალყურეო ბაქანზე მიუჩინეს აღგილი და ისიც, საგმირო საქმეებისთვის მოწოდებული, საშიშროების წიაღში მდგომარე კაცივით ჩამოსცქეროდა აუარება მშვიდობიან სახურავს მღვრიე წყლის გაღმაგამოღმა, გარეუბანში აშენებული ქარხნების მილებს, აშვერილთ კუჭყიანი ცისკენ. ფანქრებივით წვრილი მოჩანდა ეს მილები და ვულკანებივით ბოლაგდნენ. ხედავდა ნავსადგურიდან გამომავალ ბუმბერაზ გემებს, სულ მუდამ მოძრავ ფართო ბორნებს და პაწაწინა ნავებს, იქით, შორს ნისლის არილი გადასდიოდა ზღვას და დავანებულიყო იმედი დაუდგრომელი, თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრებისა.

ქვედა ბაქანზე ჩასულს ორასიოდე ადამიანის ხმაურში აღარაფერი ახსოვდა გარდა თავისი მომავალი საზღვაო ცხოვრებისა, იმ წიგნებიდან ამოკითხული ამბები ედგა თვალწინ. სადავეს მოუშვებდა ხოლმე ფიქრებს: აი, ხომალდი იძირება და ის კი იბრძვის ხალხის გადასარჩენად; ქარიშხალმა ანძები გადაამტვრია; თოკშებმული ტალღებს მიაპობს; მარტოდმარტო მოხვედრილა სადღაც, ფეხშიშველი და ნახევრად ტიტველია, მეჩეჩზე დარჩენილი შიმშილით რომ არ მოკვდეს, ხამანწყებს დაეძებს; ზღვის ბობოქრობის ეამს დაწყებული ბუნტის დაწყნარებას ცდილობს; შუაგულ ოკეანეში პატარა ნავში მყოფი ხალხს ამხნევეებს — თავიდათავია მისთვის მოვალეობის მოხდა, სწორედ ასე იქცეოდნენ იმ წიგნების გმირები.

— რაღაც მოხდა, ყველანი აქ მოდით!

ზე წამოიჭრა. ბიჭები კიბეზე არბიან, ფეხების ბრახაბრუხი და ყვირილი ისმის ზემოდან, ლუკიდან ამომძვრალი გაქვავდება გაოგნებული.

ზამთრის დღის მწუხრი დამდგარიყო. შუადღის მერე ქარმა იმძალვრა და მდინარეზე მოძრაობა შეჩერდა, გრიგალი იწყებოდა, გრგვინვა-გრიალი მოისმოდა, თითქოსდა ვეება ზარბაზნები გრუხუნებსო ოკეანის ზედაპირზე, ცერად წამოსული წვიმა ტყლაშუნობს და ზოგჯერ ჯიმი თვალს მოჰკრავს შემზარავად ახევებულ ტალღებს, სანაპიროს გასწვრივ მისხლტება და მიექანება პატარა ხომალდი, შენობებილა მოჩანს უძრავი ამ აწეწილ-დაწეწილ ნისლში, მძიმედ იძვრის ლუზაჩაგდებული ფართო ბორნები, ზღვის მორევეტრიალში დანთქმული ვრცელი ნავთსაყუდელი ხან მალლა აიწევა და ხან ჩაიკარგება. ქარმა კიდევ გაიწივლა და თითქოსდა აღგავა სუყველაფერი. პაერი და წყალი ერთად შეკრულა, გრიგალით ავარდნილი ზათქი ზეცას სწვდება და შემამძრწუნებელი გრიალით, ბრმად და დაუნდობლად ენარცხება დაბლა გამძვინვარებული სტიქიონი თითქოს მას დამუქრებია, სუნთქვა შეუკვრია შიშის ზარისგან, ხელ-ფეხი წართმევი და ასე ჰგონია, ქარაშოტს გავუტაცნიავართ.

ვილაც დაეჭაბა. „ნიჩბოსნები ნავში“ ბიჭებმა ჩაურბინეს. რომელიღაც სა-
 კაბოტაჟო ხომალდი შხუნას დატაკებია და ეს ამბავი გემის ერთ ინსტრუქტორს
 უხილავს საკუთარი თვალით. ბიჭები მოაჯირს მისცვივდნენ, კარტაპის კოშკში
 მოეხვივნენ. „შეეჭახნენ. სწორედ ჩვენ წინ. ბ-ნ საიმონსს დაუნახავს“
 ანძასთან მიავდეს, თოკს ჩაეჭიდა. ზანზარებდა ლუზით დამაგრებულ
 სასწავლო ხომალდი. ქარი ცხვირს აბრევიებდა იმას და იმისი
 მოგუდული ხმით ამღერებულყო სიყმაწვილეში ზღვაზე გატარებულ დღეებ-
 ზე. „ნავი ჩაუშვით!“ დაინახა, მეზღვაურებიანი ნავი მალიად ჩაუშვეს წყალში.
 იმანაც იქ მიირბინა, ტყლაშუნი გაისმა. „თოკები შეხსენით!“ გადაიხარა. მღვრი-
 ქაფი მოსდებოდა წყალს. ბინდში ნავი მოჩანდა, თითქოსდა მოქაღობული ზვი-
 რთცემითა და ქარით ერთხანს ხომალდის გვერდს მიეკრა. ძლივსაღა გაიგონა ვილაცის
 ყვირილი: „მაგრად მოუსვით, ღლაპებო! თუ გინდათ ვინმე გადარჩეს, მაგ-
 რად მოუსვით-მეთქი!“ ნავმა უეცრად ზეაწია თავისი ცხვირი, ნიჩბები ამოიშარ-
 თა იქიდან და კიდევაც დაუსხლტა მომაჯადოებელ ზვირთცემასა და ქარს.

ჯიმმა იგრძნო, ვილაც მაგრად ჩასჭიდებოდა მხრებზე. „გვიანლაა, ყმაწვი-
 ლო!“ — ხომალდის კაპიტანს ხელი წაეველო ბიჭისთვის, ვინც თითქოსდა წყალ-
 ში უნდა გადამხტარიყო. ჯიმმა გულისტკივილით ანება მას, უკვე მიმხვდარიყო
 თავის მარცხს. თანაგრძნობით გაუღიმა კაპიტანმა: „სხვა დროს უფრო ყოჩაღად
 იქნები და მარდადაც მოიქცევი“.

სიხარულის შეძახილებით შეხვდნენ ნავს. სანახევროდ წყალავსებული მო-
 ირწეოდა ტალღებზე, შიგ კი ორი არაქათგამოცლილი კაცი ჩაესვათ. ზათქი და
 ღრიალი გამძვინვარებული ზღვისა რა დიდი ამბავი ყოფილათ, ფიქრობდა ახლა
 ჯიმი და სულ უფრო სწყინდა, შიშმა რომ მოიცვა იმის უილაქო მძვინვარების
 ხილვისას. კი იცის უკვე, რაც არის. არც უნდა ჰქონდეს ქარიშხლის დარდი. უფ-
 რო დიდ განსაცდელსაც შეუძლია გაუძლოს, ყველაზე უკეთავე. სრულიად წარ-
 ხოცილიყო შიშის ზარი. იმ საღამოს დაღვრემილიყო და ხმას არ იღებდა, ამ დროს
 კი იმ ნავის მეწინავე ნიჩბოსანი, ნაცრისფერთვალემა და გოგოს მსგავსი სახი-
 სა, ქვედა გემბანის გმირი შექმნილიყო. ის ყვებოდა: „წყლის ზემოთ იმისი თავი
 დავინახე და კაუჭი ვესროლე, გამოედო იმის შარვალს და კინალამ გადამიყო-
 ლა ნაეიდან. ესღა გავიფიქრე, ვვარდები-მეთქი და იმ ბერიკაცმა, საიმონსმა, რუმ-
 პელს ხელი გაუშვა და ფეხებში ჩამჭიდა, ცოტაც და ნავი გადატრიალდებოდა.
 დიდებული კაცია ეს მოხუცი საიმონსი. მერედა რა მოხდა, რომ გვებუზღუნება.
 მტაცა ფეხზე ხელი და სულ მლინძდა, რადგან შიშობდა, ვაითუ ის კაუჭი გა-
 ავდოსო. გული ყელში სჩრია იმ ბერიკაც საიმონსს, ხომ ისეა? არა... ის ქერა-
 თმიანი კაცი კი არა... მეორე, უფრო ტანსრული და წვეროსანი, ამოვათრიე, ერ-
 თი დაიკვნესა, ფეხი, ფეხიო! და თვალები გადაატრიალა. გაგიგონიათ, გული
 წაუვიდა ამ ვეება ყმაწვილს. გული თუ წაგსვლიათ როდისმე? არც მე წამსვ-
 ლია. სულ მცირეოდნავ ჩარტობოდა კაუჭი ფეხში“. ხოდა, უჩვენა იმათ ის კაუჭი,
 ხალხის გასაოცებლად რომ ამოეტანა და გაუოცებია კიდევაც. „რა სისულელეა,
 ბორცი კაუჭს რას დაიჭერდა, შარვალმა გაუძლო. მართალია, სისხლი კი ბევ-
 რი დაღვარა“.

ჯიმმა გაიფიქრა, პატივმოყვარეობის რა უბადრუკი გამოვლინებააო ეს.
 ქარიშხალმა შვა ეს ცრუ გმირობა, როგორც თავად მისი საშინელება იყო სი-
 ცრუე, ბრაზობდა, ცისა და დედამიწის ეს გააფთრება მოუღიანებლად დას-
 ტყდომოდა თავს და შეემუსრა მისი კეთილშობილური მზადყოფნა მხნედ და-
 ხვედროდა გასაჭირს, თუმცა ერთი მხრივ უხაროდა კიდევაც, იმ ნავში რომ არ

ჩაბტა, იქ წასული წაგებული დარჩებოდა, ცოდნა იქ წასულებზე უფრო მეტი შეიძინა, და თუკი სხვებს შიში მოიცავდა, იმას — ასე იყო დარწმუნებული — ის მაინც ეცოდინებოდა, რა მოჩვენებითია ქარისა და ზღვის მძვირვარება, ახლა კი იცის, რაც არის, საღი თვალით თუ შეხედავს, არც არაფერია, სულაც აღარ ღელავდა და საბოლოო შედეგი ამ შემოდრწუნებელი შემთხვევითი იყო, რომ ჩუმად გაეცალა ბიჭების ხმაურიან ბრბოს, სიხარულით სავსე სხატულიყო, რადგან ისევ გრძობდა თავგადასავლების წყურვილსა და უსაზღვრო ვაჟაკურ ღონეს.

თავი 2

გავიდა ორი წელიწადი, სწავლა დაასრულა და ხომალდზე გამწესდა, და თურმე ის, რაც ასე ცხოვლად ჰქონდა წარმოდგენილი, საოცრად იყო მოკლებული თავგადასავლებს, ბევრი იმოგზაურა, შეიცნო ერთფეროვანი არსებობის მომჩადოებლობა ცასა და წყალს შუა, ბევრი გაკიცხვა მოუსმენია, მრავალი გასაკვირი უნახავს ზღვაზე, ყოველგვარი მძიმე შრომა უხდებოდა ლუკმა-პურისთვის და ჯილდოდ მხოლოდ ეს იყო — დიდი სიყვარული თავისი საქმისა, ეს ჯილდო კი დაუსხლტა მას, უკან დაბრუნება აღარ შეეძლო, რადგან არც არაფერია ზღვაზე უფრო მეტი მაცდუნებელი, იმედის გამცრუებელი, დამმონებელი, ამავე დროს, მომავალი კარგი ჩანდა, ზრდილი, თავდაჭერილი, დამჭერი იყო, მშვენიერად იცოდა თავისი საქმე და ჯერ კიდევ სულ ყმაწვილი უფროს თანაშემწედ დანიშნეს დიდებულ ხომალდზე ისე, რომ არც კი გაუვლია საზღვაო გამოცდები, როდესაც გამომზეურდება შიდა სამყარო კაცისა, მისი ბუნება-ხასიათი, მისი მეობა, მაშინ ჩახვდებიან სხვანი და თავადაც, თუ რამდენად შეუძლია დაიურვოს თავისი სულის ქეშმარიტი, დიდებული მოძრაობანი.

მხოლოდ ერთხელ ამ ხნის მანძილზე მან კვლავ თვალი მოჰკრა ზღვის ბობოქრობას. მართალი თუ გნებავთ, ეს არც ისე ხშირად ხდება, როგორც ხალხი ფიქრობს. მრავალფეროვანია საშიშროება ამ მოვლენისა — ქარიშხლის, მხოლოდ ზოგჯერ თუ გადაეყრება კაცი პირისპირ იმის ბოროტ ზრახვათა მძვირვარე გამოვლინებას და სწორედ მაშინ მის სულსა და გულში ბუნდად ჩაიბუდებს აზრი, რომ მოვლენათა გორგალი ანუ მრისხანების მოწევნა შედეგია ავი ჩანაფიქრისა, რასაც მოსდევს დაუთრგუნავი სისასტიკე, დაბოლოს ამისდა კვალად ადამიანს შიში დარევს ხელს, მოიცავს უიმედობა, საშინელი დაღლილობა და მოსვენების სურვილი; დაინგრევა, განადგურდება, გაცამტვერდება იმის ცხოვრებაში ნანახი, გაგონილი, საგანი მისი სიყვარულის, სიამოვნებისა ან სიძულვილის, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო — მზის ბრწყინვალეობა, მეხსიერება, მომავალი — აღიგვება ყოველივე ძვირფასი ამქვეყნად და სრულიად უბრალოდ წარიბოცება ადამიანის სიცოცხლე.

ჯიშს რანგოუტის ბოლო მოხვდა, ეს იყო დასაწყისში იმ კვირისა, რომლის შესახებაც ასე ამბობდა მეორე მისი შოტლანდიელი კაპიტანი: „კაცო, სასწაული იყო სწორედ ჩვენი გადარჩენა მაშინ“, მრავალი დღე იწვა ის ზურგზე გამოტოლი, დამსხვრეული, სასოწარკვეთილი და გაწამებული, თითქოსდა სადღაც, საშინელ უფსკრულოვანში გადაშვებულიყო თავით, იმის დარდი აღარ ჰქონდა, თუ როგორ მოეღებოდა ბოლო, და გამორკვევის ხანს თავს იტყუებდა, რა გულგრილი ვყოფილვარო თურმე. ფიქრით ბუნდად თუ ჩახვდება კაცი საშიშროებას, შიში ქრება და წარმოსახვა, მტერი ადამიანისა, მშობელი ყოველი შემზარათ-

ბისა, განიღვება მოსვენების უამს, როცა გრძნობები დაჩლუნგებულია. ზღვის მღელვარებას აერ-დაერიო ჯიბის კაიუტა, რომლის მეტსაც ვერაფერს ხედავდა. ყუთში ჩაჭედლილი იწვა ამ ორომტრიალის შუაგულში და გულში უხაროდა, რომ გემბანზე ვერ ავიდოდა. მაგრამ ხანდახან გაუსაძლისი ტკივილი გულ-გვამში დაუვლიდა და საბნის ქვეშ იწრებ-იგრიხებოდა, ამ დროს ბრმა პერსუტყველი ლტოლვა დარევდა ხელს და მოიცავდა სასოწარკვეთილებას, დაულოკინებელი სურვილი გადარჩენილიყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა. დაბოლოს გამოიდარა და ისიც უკვე აღარ ფიქრობდა ამაზე.

მაგრამ ჭერ კიდევ მაინც კოჭლობდა და როდესაც ხომალდი აღმოსავლეთის ერთ-ერთ ნავსადგურში შევიდა, მას ჰოსპიტალში დაწოლა მოუხდა. მალე ვერ მორჩა და ის იქ დარჩა.

იბის გარდა კიდევ ორნი იყვნენ თეთრკანიანთა პალატაში: სამხედრო კატარლის ხაზინადარი, ვინც ლუკში ჩავარდნილიყო და ფეხი მოეტეხა; მეორე კი სარკინიგზო მომმარაგებელი უნდა ყოფილიყო მეზობელი პროვინციიდან, რადაც უცნობი ტროპიკული დაავადება სჭირდა, ექიმს ვირს ეძახდა და წამდაუწუმ რომელიღაც პატენტირებულ წამალს სვამდა, იბის ერთგულ და დაუღლეულ მსახურს რომ შემოჰქონდა კონტრაბანდით. თავიანთი ცხოვრების ამბებს მოუთხრობდნენ ერთმანეთს ან ცოტათი კარტს წაითამაშებდნენ, ან მთელი დღე პიჯამა-ჩაცმულები ისხდნენ სავარძლებში სიტყვის უთქმელად და ამტყნარებდნენ. გორაკზე იდგა ჰოსპიტალი და ნიავი ქროდა სულ მუდამ ფართოდ გაღებული ფანჯრებიდან, ამ მოშიშვლებულ კედლებიან ოთახში შემოჰქონდა ზეცის სურნელება, მიწის დამათრობელი სითბო, აღმოსავლეთის ზღვის მომაჯადოებელი სუნთქვა, ბუნების ამ საოცრად შეზავებულ პაერში ადამიანი თითქოსდა მისცემოდა მარადიულ განცხრომასა და გაუთავებელ ზმანებას. ჯიბი ყოველდღე უმზერდა დაბურულ ბაღებს, ქალაქის შენობათა სახურავებს, სანაპიროს პალმების ტევრს, იქვე კი აღმოსავლეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზა იყო გადაჭიმული, შეფენილი მზის სხივებდაფრქვეული პატარ-პატარა კუნძულებით. სათამაშოს მოჰგავდა თითქოსდა სადღესასწაულოდ მორთული მოუღლევი ხომალდები, და იმათ ზემოთ დღენიადაგ გადაწმენდილი იყო აღმოსავლეთის ზეცა, საამურად მომლიმარე მშვიდობიანი ზღვა კი ჰორიზონტს შერთვოდა.

შეძლო თუ არა უჯობოდ სიარული, ქალაქს ჩავიდა, იქნებ რითიმე სახლში დაავბრუნდო. მაშინ ვერაფერი ნახა და დაცდა მოუხდა, ცხადია, ამ დროს დაუახლოვდა თავისივე პროფესიის ხალხს ნავთსაყუდელში. ორნაირი იყვნენ ისინი, ერთნი ცოტანი და იშვიათადაც ჩანდნენ, იღუმალებით იყო მოსილი მათი ცხოვრება, სახე იმათი გვამცნობდა ძალმოსილებასა და მეკობრის მგზნებარებას, თვალები ჰქონდათ მეოცნებისა. თითქოსდა ერთთავად განდგომოდნენ ცივილიზაციას, ჩაკარგულიყვნენ სადღაც ზღვის კიბში და გაბმულიყვნენ გეგმების, იმედების, საშიშროების, საქმიანობის შლეგურ ხვანჯებში; მხოლოდ სიკვდილი შექმნილიყო იმათ ფანტასტიკურ არსებობაში ერთადერთი გარკვეული, საცხადო მოვლენა. ჯიბით აქ უმეტესობა შემთხვევით მოხვედრილიყო და გემებზე დაეწყოთ სამსახური. ზოდა, გახსენებაც კი არ უნდოდათ, რომ იქ, სამშობლოში იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ სასტიკ წესრიგს, საგულდაგულოდ მოეხადათ მოვალეობა, ოკეანეების მძვინვარებისას კი სასწორზე შეეგდოთ სიცოცხლე. შეეჩვივნენ აღმოსავლეთის მარად მშვიდობიან ზეცას და ზღვას. შეიყვარეს ზანმოკლე რეისები, გემბანის კარგი სავარძლები. თითქმის სუყველა მეზღვაური ადგილობრივი მკვიდრი იყო და იმათ შორის თეთრკანიანები მშვენივრად

გრძნობდნენ თავს. მძიმე შრომის გახსენებაზე კანკალი უტყდებოდათ. იოლ სამუშაოს თუ მოკიდებდნენ ხელს. ხოდა, ცხოვრობდნენ ასე და ყოველ წუთს შეედლოთ გამოეცვალათ სამუშაო. მსახურობდნენ ჩინელებთან. არსებითად, შერეული სისხლის ხალხთან და ოღონდ თავი არ შეეწუხებინათ. თავად კმმასთანაც დაიწყებდნენ სამსახურს, სუყველას ბუდი უკერა პირზე; მსახურს მსახურსა ჩინეთის სანაპიროს ხომალდზე უფროსობა მიიღო და თითონ განმორეკავს არ სჭირდებაო; ერთს კი იაპონიაში დაუწყია სამსახური და არც იმას სჭირდებაო თითის განძრევა; ერთი კი სიამის ფლოტშია და დიდებულად გრძნობსო თავს იმათი ყოველი საქმე, აზრი, საქციელი აღბეჭდილიყო ლაბობის ხიშნით და იმ რწმენით, რომ უღარდელად უნდა გაეღიათ ეს წუთისოფელი.

ჯიმი პირველად ამ ენად გაკრეფილ მეზღვაურების ბრბოს უფრო უსხეულო აჩრდილად აღიქვამდა. მაგრამ მერე კი მოაჯადოვა ამ ხალხმა, რომლებსაც თითქოსდა არც არაფრის დარდი ჰქონდათ, საშიშროება ბევრი არ ენახათ და არც დიდი ჯაფით შეეწუხებინათ თავი. გამოხდა ხანი და ის თავდაპირველი ზიზღი თანდათანობით სხვა გრძნობად გარდაისახა, უცებ სახლში დაბრუნებაზე უარი თქვა და „პატნაზე“ დაიწყო სამსახური კაპიტნის თანამემშვედ.

„პატნა“ აჭაური სანაპიროს ორთქლის გემი იყო და ისე მობერებულყო, როგორც ეს გორაკები, მწვევარივით გაღეულიყო და ისე შეჭმულიყო ჯანგით, ვითარცა უვარგისი ტაშტი. გემის პატრონი გახლდათ ჩინელი, დამჭირავებელი — არაბი, ხოლო კაპიტანი ვიღაც რენეგატი გერმანელი ახალ სამხრეთ უელსიდან, ვინც საჯაროდ ლანძღავდა თავის სამშობლოს და, როგორც ჩანს, ბისმარკის შემტევი პოლიტიკის წაბაძვით თავიდაც მზად იყო ჩაეწიხლა ყოველი, ვისიც არ ეშინოდა, „ქვისა და რკინის“ სიმტკიცე აღბეჭდოდა სახეზე ამ ცხვირაწითლებულსა და მწითურულვაშებიან კაცს. მას შემდეგ, რაც გემი გადაღებეს და შიგნიდანაც შეათეთრეს, რვაასიოდე მლოცველი მორეკეს მასთან, უკვე ორთქლის ფრქვევით რომ იდგა ხის ნავთსაყუდელთან.

სამი კიბით ამოდიოდნენ ისინი, მოცულნი რწმენითა და სამოთხეში მოხვედრის იმედით, აღიოდნენ ხვნეშა-ხვნეშით და შიშველი ფეხების ფრატუნით, სიტყვის უთქმელად, უხმოდ და უკან მოუხედავად: გემბანის ყოველ კუთხე-კუნძულს მოედგნენ, მიატანეს გემის ცხვირსა და კახოს, ჩაეშვნენ ხახადაღებულ ლუკებში, მთლად აავსეს სტომაქი ხომალდისა, ისე, ვითარცა წყალი ავსებს ცისტერნებს ან ხვრელებსა და ნაპრალებში შეღწეული ჩუმად მოადგება ტურტლის პირს, რვაასი კაცი და ქალი, აღვსილნი რწმენითა და იმედით, თავ-თავიანთი გრძნობებითა და მოგონებებით მოსულიყვნენ აქ ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, აღმოსავლეთის შორეული მხარეებიდან, ჯუნგლების ბილიკები გამოეცდით, გამოყოლოდნენ მდინარეებს, ნაპირ-ნაპირ მოცურადდნენ პრაუტებოჯ, კაწმინა კანობით გადადიოდნენ კუნძულიდან კუნძულზე, უცხო არემილამოში მკბვედარილმა რა ტანჯვა გადაიტანეს, რა შიში ჰამეს და მხოლოდ რწმენა იყო მათი მეგზური, ისინი მოვიდნენ მივარდნილი ადგილებიდან, ეული ქობმახებიდან, ხელბმრავალი დაბებიდან, ზღვისპირა სოფლებიდან, რაღაც იდეით მოჭადილებულუბმა დააგდეს თავიანთი ტყე-ველი, მზრუნველი თავაკაცები, სარჩო-საბადებელი ხილატაკე, ბავშვობის მეგობრები, მამა-იამათა საძღვე, მოვიდნენ მტკრანებში, თფლით გახვითქულები, ქუჭვიანები, შემოდონძილები — ძლიერი მამაკაცები თავიანთი ოჯახითურთ, გაძვალტყავებულნი მოხუცი კაცები, რომლებსაც არც მკრანად უკან დაბრუნების იმედი, უშიშროდ და ცნობისმადეაროდ მალტრანდობის იმედი.

გრძელ ან აწეწილთმიანი შეშინებული გოგოები, საბურველში გახვეული
 მატყნი ქალები, რომლებსაც გაზინზლული ბოლოები თავზე წამოეფარე-
 ბინათ მკერდში ჩაკრული ბალებისათვის, შეუვალი რწმენის ამ უგუნურ მლო-
 ცველებისათვის.

— ერთი ამ პირუტყვებს შეხედეთ, — უთხრა იმ გერმანელმა <sup>შეიპერმა თა-
 ვის ახალ თანაშემწეს.</sup>

სულ ბოლოს ამოვიდა ის არაბი, ამ ღვთისმადიებელი მოგზაურების მეთაუ-
 რი. ნელ-ნელა ამოვლო კიბე ამ დიდებულმა, გულდინჯმა, თეთრ სამოსლიანმა
 და ვეებერთელა ჩალმიანმა კაცმა. აუარება მსახური მოყვებოდა იმის და მოპ-
 ჟონდათ იმისი ბარგიბარხანა. „პატნამ“ ზურგი იბრუნა და მოცილდა ნავთსა-
 ყუდელს.

ორ პატარა კუნძულს შორის გასხლტა ის, ცერად გადაჰრა იალქნიანი ხო-
 მალდების სადგომი, შუაზე გადაკვეთა მომრგვალებული ჩრდილი გორაკისა,
 და მერე დუქმორეული მეჩეჩების მწკრივს დაუახლოვდა. კიჩოზე დამდგა-
 რიყო არაბი და ხმამაღლა ავედრებდა მოგზაურთა ბედს ზესთა მეუფეს, ადამი-
 ანთა გარჯისა და გულში მთვლემარე იმედების კურთხევას სთხოვდა. ამ ბინდ-
 ბუნდში ორთქლის გემმა იავარპყო უბის შეუშფოთებელი წყალი. ხოლო იქით,
 შორს, მლოცველთა ხომალდის კიჩოს მიღმა შუქურა კიაფობდა ურჯულოთა ხე-
 ლით აღმართული და თითქოსდა თავის ცეცხლოვან თვალს უბაჭუნებდა და ასე
 დასცინოდა ამ თავგადადებულ მორწმუნეებს.

ხომალდი უბედან გამოვიდა, გაიარა სრუტე და გზა „ერთი გრადუსით“
 აღმა განაგრძო. პირდაპირ წითელი ზღვისკენ მიდიოდა ამ ნათელი ცის ქვეშ,
 აღმური გადმოსდიოდა ამ უღრუბლო, მზით გავარვარებულ ზეცას და ადამი-
 ანშივლის ფიქრის უნარს ართმევდა, სულს უხუთავდა, არაქათს აცლიდა, და
 ამ ავის მომასწავებელი დიდებული ზეცის ქვეშ ზღვა იყო ლურჯი და უძირო, გა-
 რინდული, აუღელვებელი, ბლანტი, უძრავი, მკვდარი. „პატნამ“ შიშით გან-
 ვლო ეს ვეება ნათელი და გლუვი პირი ზღვისა, ზეცას მიაფინა შავი ხვეული
 კვამლისა, იმის უკან რჩებოდა თეთრი ქაფოვანი ზოლი, იმწამსვე რომ ქრებოდა,
 ვითარცა ზმანებისდარი კვალი გავლებული ზმანებისდარი ხომალდით უსიცო-
 ცხლო ზღვაზე.

ყოველ დილით გამოანათებდა მზე და თითქოსდა კვალში ჩადგომოდა მლო-
 ცველებს, ჩუმი ბრდღვიალით მოსდევდა კიჩოს და აღარ სცილდებოდა, მხოლოდ
 შუადლით დაადგებოდა ხომალდს და თავისი მხურვალე სხივებით დააცხრებო-
 და ამ ღვთისმადიებლობის გზაზე შემდგარ ხალხს, მერე მიიფრქვეოდა დასავა-
 ლისკენ და იდუმალებით მოცული ყოველ საღამოს ერთსა და იმავე ადგილას
 ჩაინთქმებოდა ხომალდის წინარე. ხუთი თეთრი კაცი გემის შუაწელზე ცხოვ-
 რობდა განცალკევებით მგზავრებისაგან. თეთრი ტენტით იყო გადახურული მთე-
 ლი გემბანი ცხვირიდან კიჩომდე, ჩუმი, სევდიანი ხმებილა ისმოდა აქ და მხო-
 ლოდ ეს თუ მოწმობდა ხალხის ყოფნას აელვარებული ოკეანის ზედაპირზე.
 ასეთი იყო ეს დღეები, მდუმარე, ცხელი, მძიმე და ერთი მეთრის მიყოლებით ისე
 იმზღვლეოდნენ ნამყოს ხახაში, ვითარცა ხომალდის უკან პირაშკმული უფსკრუ-
 ლოვანის წიაღ. და ეს ეული ხომალდი კვამლის ფრქვევით ჭიუტად მიიწევდა
 წინ, თავადაც შავფერი და ბოლითაც გარშემობურული ამ ბრწყინვალე სივრცე-
 ში, თითქოსდა იმ ცეცხლით შერუჯულიყო, უწყალოდ რომ სცემდა ზეციდან.

კურთხევისამებრ ანიჭებდა შვებას ხომალდს ღამეები.

დიდებული სიჩუმე დავინებულიყო ქვეყანაზე, ვარსკვლავებს ერთად შეეკრიბათ თავიანთი სპეტაკი სხივები და ცარგვალზე შეფენილნი თითქოსდა მარადიულ მშვიდობას ჰპირდებოდნენ დედამიწას. დასავლეთეფიქსი დაბნულადგა ახალი მთვარე და ოქროს ზოდისგან ჩამოთლილ მოღუნუფიკფიქსიშტაგავდა, არაბეთის ზღვა კი ყინულგადაკრული თვალისვით მომჩადოებლად მოჩანდა სივრცეში და შორს ასევე მომაჯადოებლად ებჭინებოდა ჩაბნელებულ ჰორიზონტს. გაუთავებლივ ტრიალებდა ხრახნი, თითქოსდა იმისი მოძრაობა ნაწილი იყო მკვდარი სამყაროსი, წყლის ძლიერი ნაკადი ევლებოდა „პატნას“ აქეთ-იქიდან და მრუმე, მოუცილებელ ზოლად მიჰყვებოდა ნათელ, აუძღვრეველ ზედაპირს, იმისი სწორი, აქოჩრილი კიდები იშლებოდნენ, თეთრად ამოიბურცებოდნენ და ჩაიხვეოდნენ ჩუმი ჩქაფუნით, ხომალდის უკან რჩებოდნენ პაწაწინა ტალღები, ქავლები, ზოლები, თრიოდ წამით შეამღვრევენ წყლის ზედაპირნი და განილეოდნენ ნაზი ტლაშუნით, დაბოლოს სიწყნარე გამეფდებოდა ისევ ამ მშვიდობიანი ცის ქვეშა და ზღვის ზემოთ, რომლის შუაგულში შავი, მოძრავი წერტილი, ხომალდი, რჩებოდა სულ მუდამ.

ხიდურზე იდგა ჯიმი, უსაზღვროდ თავდაჯერებული, მშვიდობიანობასა და სათნოებას ამცნობდა იმას დიდებული ბუნება ისე, როგორც სახე დედისა წარმოგვიჩენს ნაზ სიყვარულს თავისი ჩვილისადმი. იმ ტენტის ქვეშ თეთრი ხალახის სიბრძნესა და ვაჟკაცობას, ამ ცეცხლოვანი გემის რკინის გარსს მინდობილ, იმისი მეზღვაურების ურწმუნოების მცოდნე და თავიანთი მტკიცე სარწმუნოებისადმი თავგადადებულ მლოცველებს ეძინათ ჭილოფზე, საბნებზე, შიშველ ფიცრებზე, ყოველი გემბანის ყოველ ბნელ კუთხე-კუნჭულში იყვნენ ისინი ფერად-ფერად, გაზინზლულ ტანსაცმელში, ფუთებზე ედოთ თავი, სახე კი ხელებით დაეფარათ; მამაკაცები, ქალები, ბალები, მოხუცები და ყმაწვილები, დაჩაჩანაკებულნი თუ ძლიერნი — ყველანი ერთად შეეყარა ძილს, ძმას სიკვდილისას.

ხომალდი ჩქარა მიდიოდა და იმის მომადლო ფალშბორტებს შორის მიბუნდვილ სივრცეში პაერის ნაკადი მოქროდა იქვე გაშოტილ სხეულებს ზემოთ; მქრქალად ანათებდნენ ლატნებზე აქა-იქ დაკიდებული მომრგვალებული ფარნები, გემის გაუთავებელი დგანდგარის კვალობაზე იმათი შუქიც ათრთოლებულიყო და წრიულად, უღონოდ ეფინებოდა ზეაწეულ ნიკაპს, დახუჭულ თვალებს, ვერცხლის ბეჭდებიან მუქი ფერის ხელს, გაჩხიკინებულ ფეხს დახეულ საბანში, უკან გადაგდებულ თავს, შიშველ ტერფს, თითქოსდა დანის ქვეშ გამოწვდილ მოტიტვლებულ ყელს. შეძლებულთ თავშესაფარი მოეწყოთ მძიმე ყუთებისაგან და ჭილოფებისაგან თავიანთი ოჯახის წევრებისათვის. ღარიბ-ლატაკნი კი გვერდიგვერდ იწვნენ და რაც კი ებადათ, ფუთაში შეეკრათ და თავქვეშ ამოდოთ; თავიანთ სალოცავ ნოხებზე ოთხად მოკეცილებს ეძინათ მარტოხელა მოხუცებს, ხელები ყურზე დაეფარებინათ და იდაყვები გაეშალათ; ვილაც თვლებდა მხრებაწეული და შუბლით მუხლებზე დაყრდნობილი, ეს მამა უნდა ყოფილიყო და იმის ბიქს კი ზურგზე გართხმულს ეძინა, ხელები მბრძანებლურად გაეწვდინა; გვაშიგით თავიდან ბოლომდე თეთრ ზეწარში გახვეულიყო ქალი, შიშველ-ტიტველი ბალები მოეწვინა აქეთ-იქიდან. იმ არაბის ქონება კიჩოზე დაეხვავებინათ და ზემოდან ჩამოშვებულ ფარანს იმისი მძიმე და უსწორმასწორო ჩრდილი გამოეჩინა, რა არ ეყარა აქ; მუქად აპრიადლებული, მუცელგამო-

ბერილი სპილენძის ქვაბები, სამოგზაურო სავარძელი, შუბების წვეროები, ბალიშების გროვაზე აყუდებული ძველი ხმლის სწორი ქარქაში, თუნუქის ქაფის სახარში. კიჩოს სახელურზე დამაგრებული ლაქწისმული ლაგი დროდადრო მოიღებდა ელრიალს და რწმენის ამ მოციქულებს ყოველ გავლილ მილს ამცნობდა. მძინარეთა ზემოთ ზოგჯერ ჩუმი და დაურევებული ხვნეშა გაისმოდა მშფოთვარე ძილისა; გემის წიალიდან ამოიჭრებოდა წამით ლითონის ღრქიალი, რასაც მოყვებოდა გააფთრებული ჭახუნი ლუშლის კარისა, გამაოგნებლად გაიგრიალებდა რაღაცა, თითქოსდა იქ, დაბლა რაღაც ჭადოქრობას მისცემოდნენ გააფთრებულ-გამძვინვარებული მამაკაცები; ამ დროს კი ლაზათიანი, მალალი, შიშველ ანძებ გარინდებული ტანი გემისა წყნარად მიიწევდა წინ, მიარღვევდა განუღვევლ მყუდროებას ზღვისას ამ უძირო და წმინდა ცის ქვეშ.

ჭიმი წინ და უკან დადიოდა და იმისი ფეხის ხმა მკვეთრად გაისმოდა ამ უკიდვგანო სიჩუმეში, თითქოსდა ექოს უბრუნებდნენ ცაში დადარაჯებული ვარსკვლავები; მისი მზერა პორიზონტის კიდეს მისწვდენოდა და ასე გეგონებოდათ, ხარბად გასცქერისო უსაზღვროებას და ვერც კი ხედავს მოახლოებული მომავლის ჩრდილს. მხოლოდ ერთი ჩრდილი იყო ზღვაზე, ეს იყო ჩრდილი შავი კვამლისა, რომელიც მძიმედ, ხვავრიელ ზოლად ამოედინებოდა საკვამურიდან და იმისი ბოლო ნელინელ ინთქმებოდა ჰაერის წიალში. ორნი მალაელნი, მდუმარენი და თითქმის უმოძრაონი, აქეთ-იქიდან ამოდგომოდნენ საჭეს, რომლის სპილენძის რგოლის ნაწილიდა პრიალეებდა ნაკტოუზიდან* ამოფრქვეულ შუქზე. დროდადრო შავფერ თითებიანი ხელი ჩაეჭიდებოდა საჭის ამ მოტრიალე მანებს და გამოჩნდებოდა ხოლმე სინათლეში. ღარში ღრქიალებდა ჯაჭვი. ჭიმი დახედავდა კომპასს, გახედავდა უსაზღვრო პორიზონტს და მთელი სხეულით, სახსრების ჭახჭახით, ზარმაცად ზმორებოდა. მარადიული კეთილდღეობის გრძნობას მოეცვა იგი, მშვიდობიანობის უჩინარი სული დასტრიალებდა და ვაეკაცობა მიენიჭებინა მისთვის, და რაც უნდა მომხდარიყო, სულ მუდამ ასე იქნებოდა სიცოცხლის დასასრულამდე. ხანდახან საჭის უკან მდგარ დაბალ სამფეხა მაგიდაზე ოთხი ჭიკარტით დამაგრებულ რუკასაც დახედავდა ზანტად. ზღვის სიღრმის მაჩვენებელი ქალაქის ფურცელი მჭრქალად აპრიალეებულებოდა იქვე დაკიდებული ფარნის შუქზე და თავადაც ჰგავდა ზღვის მოციმციმე ზედაპირს. სახაზავი იყო აქ პარალელების გასაველებად და ორი ფარგალი, შუადლით ხომალდის მდებარეობა პატარა შავი ჯვრით აღენიშნათ, ხოლო ფანქრით გავლებული ხაზი პირდაპირ უერთდებოდა პერიმს** და ასე გვამცნობდა ხომალდის საბოლოო მიზანს — სულეების სავალს წმინდა ადგილისაკენ, სადაც ეძით ელოდებათ ხსნა და ჯილდოდ მარადიული სიცოცხლე; სომალის სანაპიროს ებჭინებოდა ის ფანქარი წვერით და მოჰგავდა გარინდებულ შიშველ ანძას დახურული დოკის წყლის ზედაპირზე. „ხომალდი არც კი ირხევა“, ამ მშვიდობიანი ცისქვეშეთისადმი რაღაც მადლიერების გრძნობით ფიქრობდა გაოცებული ჭიმი. საქმენი საგმირონი უტრიალებდა ამ დროს თავში, დღენიადაგ ტკბილ ზმანებებს მისცემოდა და გამარჯვებებს უმღეროდა გულს, სწორედ ეს იყო საუკეთესო წილი სიცოცხლისა, იმისი იღუმალი ჭეშმარიტება და თვალთაგან დაფარული რეალობა. საარაკო ვაეკაცობა, გახვეული მომაჯადოებელ საბურველში, პეროიკული სურათები მოპყვებოდა იმისი ფიქრების გორგალს და აღარც არაფერი აბსოვდა, ამ ღთაებრივ

* კომპასისათვის განკუთვნილი ყუთი საჭესთან.

** უნძული ბაბ-მანდების სრუტეში.

სასმელს გონება წაერთმია მისთვის და აღევსო უსაზღვრო თავდაჯერებულობით. ვერც ვერაფერი დაუდგებოდა წინ. სიამოვნების ღიმი მოჰგვარა ამ აზრმა დარდიმანდულად მაცქერალს, და უკან რომ მიიხედა, თვალი ჰკიდა გემის კიჩოთი ზღვაზე ნახაზ თეთრ, სწორ ზოლს, სწორედ ასეთი პირდაპირი გზის შავი რუკაზე ფანქრით გავლებული ხაზიც.

უკუგონი

საქვაბე ვენტლატორს ეხებოდა ნაცრიანი ვედრო და მისი ამცნობდა, სადაცაა გაასრულებდა ვახტს. სიამოვნებით ამოიხვნეშა, გული დასწყდა თანაც, სადავე მიუშვა თავის ფიქრებს ამ სიმშვიდეში, მალე უნდა გასცლოდა ამ ადგილს. ცოტათი ეძინებოდა კიდევაც და საამურ დაღლილობას გრძნობდა, თითქოსდა სისხლი თბილ რძედ გადაქცეოდა მთელ სხეულში. პიუჟა ჩაცმული, გულგაღებლი კაპიტანი ჩუმად ამოვიდა მალა, სახეწითელი, ნახევრად მძინარე, სანახევროდ დახუჭული მარცხენა თვალით, მარჯვენა კი შუშისდარი ჰქონდა და ბრიყვულად იმზირებოდა, თავისი დიდი თავით რუკისკენ დახრილიყო და ზანტად იფხანდა გვერდს. უხამსობა წარმოჩენილიყო იმის სიშისვლეში, სლიპინა, მოტიტვლებული მკერდი უპრიალებდა, თითქოსდა სიმსუქნე გამოჟონვოდა მძინარეს. რაღაც პროფესიული შენიშვნა ამოიხროტირა და ეს მისი ხმა ფიცარს ჩაჭრილი ხერხის ღრჭილს მოგაგონებდათ. ტომარასებრ ჩამოკიდებოდა ყბაზე ორკეცა ლაბაბი. ჭიმი შეკრთა, კი უპასუხა დიდი პატივისცემით, მაგრამ თითქოსდა პირველად, რაღაც გამოფხიზლების წამს იხილა ეს სახიზლარი ტან-ფეხი და სამარადისოდ ჩაიწნა იმის მეხსიერებაში ვითარცა განსახიერება ბიწიერებისა და სირეგვნის, ყველგან რომაა ჩაჩუმქრული ჩვენს საყვარელ ქვეყანაში: ისაა ჩვენს გულეებში, რომლისთვისაც ჩვენვე მიგვიჩნდვია ხსნა, ჩვენ გარშემო მყოფ ადამიანებში; ყოველივეში, რასაც ჩვენი თვალები ხედავს, რასაც ჩვენი ყური ისმენს და იმ ჰაერშიც, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავთ.

ოქროსფერი ნალევა მთვარე ნელ-ნელა ეშვებოდა, დაბოლოს ჩაიკარგა. ჩაინთქა მრუშე წყალში, თითქოსდა ზეცასთან წილნაყარი მარადიულობა დაახლოვებოდა დედამიწას, ახლა უფრო კაშკაშებდნენ ვარსკვლავები, ზღვის შტრქალ ბრტყელ დასკოს ჩამონათოდა გაბრწყინებული, ნახევრად გაუმჭვირვალე თალი. ხომალდი პირდაპირ მისხლტოდა და იმის მოძრაობას ვერც კი გრძნობდნენ, თითქოსდა ის ყოფილიყო ხალხით გაჭედილი, ბნელით მოცული ეთერის სივრცეში მიმქროლავი პლანეტა, იმის მიღმა კი მრავალი მზე იყო და ეს წყნარი და შემზარავი უდაბურება მომავალი საგმირო საქმეების მოლოდინის სუნთქვით გამოთბარიყო. „დავიწვი მე იქ, დაბლა“, გაისმა ხმა.

ჭიმი კი არც მიტრიალებულა, გაიღიმა, კაპიტანს თავისი ფართო ზურგი იმისკენ მიექცია, ასეთი იყო ამ რენეგატის ჩვეულება, თქვენს არსებობას არც შეიმჩნევდა, მერე კი მოგიბრუნდებოდათ, დაგაცქერდებოდათ სისხლისმსმელი კაცის თვალებით და დუჟმორეული აგავსებდათ გინებით. მაგრამ ახლა რაღაც ჩაიბურტყუნა პირქუშად. მეორე მექანიკოსი ამოვიდა ბიდურზე, გაზინზლული ჩვრით იწმენდდა გაოფლილ ხელისგულებს, წყნარად განაგრძო ჩივილი, მეზღვაურებს აქ რა უჭირთ, რისი მაქნისები არიან, თითსაც კი არ გაანძრევენ, საწყალ მექანიკოსებს კი ჯოჯოხეთური შრომა აქვთ, გემი იმათ მიჰყავთ, სხვა ყველაფერსაც კარგად გააკეთებენ, ჯანდაბას...

— გეყოფა, — გულგრილად დაუღრინა გერმანელმა.

— რაო! გეყოფაო... რაღაც რომ მოხდება, მაშინვე ჩემთან ჩამორბიხართ, ხომ ასეა! — განაგრძო იმან, სანახევროდ შემწვარა იქ კაცი და რაღას უნდა მოელოდეს; თუ რაიმე შესცოდა, არც ამისი ღარდი აქვს, რადგან ეს უკანასკნელი

სამი დღე კარგად შეიცნო ის ადგილი, სადაც ეწამებიან სულწაწყმედილები სიკვდილის შემდეგ. ჯანდაბას, დაყრუვდა კიდევაც იქ, დაბლა, ამ გრიალსა და გრუხუნში. თავიდან ბოლომდე ეღრიალებს, ზანზარებს და დგანდგარებს დასამალი ნავჭურჭელი, ვითარცა ძველი ჯალამბარი გემებზე და უფრო მეტადაც, იმას კი დღე და ღამე თავი სასწორზე აქვს შეგდებული, სულ მალე კვლავ დაიჭრით ბედის ანაბარად დააგდებს ამ ათას ქარიშხალში გამოვლილ ბრძანებას ჩარა აქვს, უქკუო დაბადებულა და ის არის..

— სად დაგიღევია? — ჰკითხა გერმანელმა, გამძვინვარებულიყო, მაგრამ არც კი შერხეულა და ისე იდგა ნაკტოვზის შუქზე, როგორც ქონისგან გამოპრილი უშნო ქანდაკება. ჯიმი კვლავ ილიმებოდა, უმზერდა უკან დახეულ ჰორიზონტს, სიკეთით ავსებოდა გული და თვითკმაყოფილების გრძნობასაც მოეცვა.

— სად დალიეო? — იქედნურად გაიმეორა მექანიკოსმა, მოაჯირისთვის წაეველო ორივე ხელი, მუხლებში მოხრილი აჩრდილივით იდგა. — თქვენი მე არაფერი დამიღევია, კაპიტანო. თქვენ კაპიტანაც ვერ გაგაგდებინებთ, ჯანდაბას თქვენი თავი, წყურვილითაც რომ იხრჩობოდეს კაცი, ერთ წვეთ შნაპსსაც ვერ გამოიმეტებთ, სწორედ ეს უნდა იყოს გერმანული ხელმოძქირნეობა. კკუა გროშისა, თუმნის სირეგვენე. — გრძნობა მოერიია, ათი საათი იქნებოდა, როცა იმისმა უშუალო უფროსმა, იმ კარგმა მოხუცმა კაცმა, ერთი ყლუპი გადააკვრევინა — „ერთი, მხოლოდ ერთი ყლუპი!“ მაგრამ ახლა იმ ბებერ ქოსატყუილას ვინღა წამოსწევს საწოლიდან, თუნდაც ხუთ ტონიანი ამწე მოიყვანოთ. ვერც ვერავინ, ვერც ვერავინ ამალამ. ბალღივით ტკბილად სძინავს. ერთი ბოთლი საუკეთესო ბრენდი უდევს ბალიშის ქვეშ. „პატნას“ კაპიტანს გარუმბებული ყველიდან ღმუილი აღმოხდა, რასაც მაშინვე სიტყვა schwein. ამოჰყვა ფრთხილად ქარისგან გამოტაცებული ბუმბულივით, ის და უფროსი მექანიკოსი კარგა ხნის განუყრელი მეგობრები იყვნენ, ერთადაც მსახურობდნენ გულმხიარულ, გაქნილ ჩინელთან, ვისაც ეკეთა რქის ჩარჩოიანი სათვალე და ჰქონდა წითელი თასმებით შემოჭერილი დიდებული ჭადარა ნაწნავი. იმ სანაპიროზე და „პატნას“ მშობლიურ ნავთსაყუდელში ეს ორნი მაგარ მფლანგველებად იყვნენ ცნობილნი და „კარგად იყვნენ შეხმატკბილებულნი“. გარეგნულად კი სულ არ შეეფერებოდნენ ერთმანეთს. ერთი იყო მღვრიე თვალებიანი, სახემძვინვარე, გაფიქვინებული, შეორე კი იყო ტანწვრილი, ბეხრეკი ცხენივით გაძვალტყავებული და გრძელთავა, ლოყებ და საფეთქლებჩავარდნილი, ასევე ჩავარდნილი უპეებიდან ცივად მომზირალი თვალებით. უფროსი მექანიკოსი აღმოსავლეთის რომელიღაც სანაპიროზე გამოირიყა — შეიძლება ეს იყო კანტონი, შანხაი ან იოკაჰამა, იქნებ თავადაც არ შეუწყუხებია თავი და არ გახსენებია, ზუსტად სად მოხდა ეს ამბავი და რად დაიმსხვრა მისი ხომალდი. შეიძლება იმის სიყმაწვილეს აპატიეს და წყნარად გამოაძევეს ხომალდიდან ოცი ან უფრო მეტი წლის წინათაც, ან შეიძლება მისთვის რაღაც უარესი მომხდარა და აღარც კი უნდოდა ამ ამბის მოგონება. იმხანად ორთქლის გემები მკვიდრდებოდა და პირველ წლებში მისი პროფესიის ხალხი ცოტა იყო, ხოდა, მალე „წაიწია წინ“. ახალჩამოსულს ნახავდა ვინმეს და პირქუშად დაუწყებდა ჩურჩულს, მე დიდი ხანია აქა ვცხოვრობო! ერთს გაივლიდა და ასე გეგონებოდათ, ტანსაცმელში დალაყლაყებსო იმისი ჩონჩხი. ზღაზენით სიარული იცოდა და სამანქანო ლუკის გარშემო რომ დაიზ-

* ლორე (გერმ.).

ლაზნებოდა, ალუბლის ხისგან გამოთლილი ოთხფუტიანი ჩიბუხის თავს დატენიდა თამბაქოთი, და თუმცა წევა არ უყვარდა, მაინც ეწეოდა ბრიყვეული ზარზეებით და ამ დროს იმ მოაზროვნეს ჰგავდა, ვინც მთელ ფილოსოფიურ სისტემას ქმნის ჭეშმარიტების ბუნდი გაელევისდა კვლად. ~~რეკლამები~~ არ უყვარდა საკუთარი დასალევის გამოტანა, მაგრამ ამ დამით კი უღალატა ამ თავის წესს. ხოდა, ის მეორე მექანიკოსი უოპინგელი ტექნიკური სკოლაში ამ მოულოდნელი გამასბინძვების ხანს კარგა მაგრად გამოთვრა და კიდევაც გახდა ბედნიერი, გულმხიარული და მჭევრმეტყველი. ის ახალ სამხრეთ უელსეული გერმანელი ფრიად გამძვინვარებულიყო და ორთქლის ქვაბივით დუღდა, ჯიბი კი ერთობოდა ამ სურათით და ერთი სული ჰქონდა, როდის ჩასხლტებოდა დაბლა: მოშლილი თოფივით მომაბეზრებელი ზღებოდა ვანტის უკანასკნელი ათი წუთი; გნარული თავგადასაცლებების რა ღირსი იყო ეს ხალხი, თუმცა არ იყვნენ ცუდი ბიჭები. თავად ის კაპიტანი კი... მაგრამ ზიზღი მოერია მხილველს ამ გაფუებული ტან-ფეხისას, რომლის წიაღიდან ბაყბაყით იხთხეოდა უშვერი ლანძღვაგინება; ოღონდ ძლიერ საამურ დაღლილობას გრძნობდა და აღარც კი ჰქონდა რამე უარყოფითი განცდის თავი. ვინც უნდა იყვნენ, სულ ერთია, თუმცა იმათთან უზღება ყოფნა, მაგრამ თითსაც ვერ დააკარებენ მას, მართალია, ერთი პაერით სუნთქავენ ისინი, მაგრამ თავად ის სულ სხვაა... თავის მექანიკოსს მივარდება ახლა კაპიტანი?... რა კარგია სიცოცხლე და დიდადაც სჯერა თავისი თავისა — დიდად სჯერა და... სადაცაა განილეოდა ძილ-ღვიძილს შორის გაჭიმული ობობის ქსელზე უწვრილესი ძაფი.

მეორე მექანიკოსის საუბრის თემა ახლა მისი ფინანსები და მისი ვაჟკაცობა შექმნილიყო.

— ვინ დალია? მე? არა, არა, კაპიტანო! როგორ გეკადრებათ. უკვე დროა, თქვენც უნდა იცოდეთ, რომ ჩემი უშუალო უფროსი ბელურას სამყოფ დასალევს თუ გამოიმეტებს, ჯანდაბას... სიცოცხლეში ჯერ არ უწყენია ჩემთვის ღვინოს, ჩემი დამატრობელი სასმელი ჯერ არ გამოუგონიათ. თქვენ თუ გნებავთ, სოდიანი ვისკი დალიეთ, მე კი ცეცხლოვან სითხეს გადავკრავ და მთელი საღამო მაინც ქორფა კიტრივით ვიქნები. ერთ წამითაც რომ გულში გავივლო, დავმთვრალვარ-მეთქი, გემიდან გადავბტებო... და შორჩა, ჯანდაბას... დიახ! ასე ვიზამ სწორედ! ამ ხიდურიდან კი არსად წავალ. რა დიდებული პაერია იქ! იმ ვიგინდარებში მე იქ რა მინდა დაბლა! რას ბრძანებთ! თქვენ მე ფერს ვერ მაცვლევინებთ.

გერმანელი სიტყვის უთქმელად თავს ზემოთ იქნევდა მძიმე მუშტებს.

— რისი უნდა მეშინოდეს, — განაგრძო წამონთებულმა მექანიკოსმა, — მე არც ამ ვანგით შეკმულ რკინაზე მუშაობისა მეშინია, ჯანდაბას! კარგია ხომ ისეთ ხალხთან სამსახური, ვისაც საკუთარი სიცოცხლე არც ადარდებს. უჩვენოდ... აქ, ამ სიფრიფანა ხომალდზე თქვენ რაღას იზამდით, სიფრიფანა ხომალდზე-მეთქი? ყველანი კარგად ბრძანდებით... თქვენ აქ სხედხართ და თავის შეწუხება არც გჭირდებათ, მე კი... მე კი რა? ერთი საცოდავი ის ორმოცდაათი დოლარი მაქვს თვეში და შორჩა. უმორჩილესად გთხოვთ მითხრათ... უმორჩილესად-მეთქი... ამ ბინძურ სამუშაოს ხელს ვინ მოკიდებს? და საბიფათოსაც! მხოლოდ მე ერთს არ მეშინია...

მოაჯირს მოცილდა და ახლა ხელს იქნევდა გაუთავებლივ თავისი ვაჟკაცობისა და შემართების დასტურად. ამ კაცის წრიბინა ხმას ირეკლავდა ზღვა, ფეხის წვერებზე წამოწეულიყო და ისე უნდოდა უკეთ გამოეთქვა თავისი სათქმე-

ლი, და უცებ პირქვე ჩაემხო, თითქოსდა უკანიდან კეტი დაპკრესო. ერთი კი შეპყვირა დაცემისას, დასწყევლოსო! ხმაც ვეღარ ამოიღო მერე. ჯიმი და კაპიტანიც წაბარბაცდნენ, ერთმანეთს ხელი სტაცეს, აღარ წაქცეულან და გაოცებულნი დააქვერდნენ ზღვის ამღვრეულ ზედაპირს. მერე კი ვარსკვლავებს მიხედეს ცაზე.

მოხდა რამე? მხოლოდ მანქანა თუბთუხებდა ყრუდ დაბლა. წამ შეწყვიტა სვლა თავის გზაზე? ვერც ვერაფერს მიხვდნენ, და უეცრად გამოჩნდა თავისი გულის მომკვლელი უძრაობით შემზარავი წყნარი ზღვა და უღრუბლო ზეცა, თითქოსდა შეჩერებული პირაშკმული უფსკრულის კიდეზე. მექანიკოსი წაშოდგა და გაიმართა, მერე კი თავზარდაცემულმა და ოთხად მოკეცილმა ამოთქვა, რა უნდა იყოსო. რაღაცამ გაიხმაურა, თითქოსდა შორეულ, შორეულ ჭექა-ქუხილს მოედწიოს აქამდე. ამ ბუნდმა ხმაურმა, ჰაერის თრთოლვამ გადაიარა და ამის პასუხად ძაგძაგი მოიღო ხომალდმა, თითქოსდა წყლის სიღრმიდან ამოისმოდა ის ჭექა-ქუხილი. თეთრ კაცებს გამოხედა იმ ორმა მალაქლმა, შავფერი ხელები ისევ ჩაეჭიდათ საჭისათვის, წინ გაშვერილი წვერწამახელი ცხვირი ხომალდისა რამდენიმე დუმიტ აიწია და მერე და მერე მთელ სიგრძეზე ამოიზიდა, მოქნილი ღვედვიტ გაიჭიმა და უკანვე დაეშვა, კვლავ ჭრუტად მიარღვევდა გაკრიალებული ზღვის ზედაპირს. შეწყვიტა ძაგძაგი და მიწინვე მიწელდა ის შორეული ჭექა-ქუხილი, თითქოსდა ხომალდს უკვე გადაევილო ათრთოლებული წყლისა და მოგუგუნე ჰაერის ვიწრო ზოლად.

თავი 4

ერთი თვე გავიდა ამის შემდეგ, ჯიმი ახლა კითხვებზე პასუხის გაცემა მოუხდა, ღირსეულად ცდილობდა სიმართლე ეთქვა ამ შემთხვევის გამო. ხომალდის შესახებ მან ასე განაცხადა, გველი რომ გადაივლის ჯოხს, ისე ადვილად გაიარაო ის ადგილი. მშვენიერი შედარება მოიყვანა; ფაქტების გამორკვევა უნდოდათ, აღმოსავლეთის ერთ-ერთი ნავსადგურის საპოლიციო უბანში გამოეძახათ დასაკითხავად. ჩვენების მისაცემად განკუთვნილ მომალლო ადგილას იდგა, ლოყები წამონთებოდა. გრილი და ჭერმაღალი იყო ეს ოთახი, მალა, ჯიმის თავს ზემოთ ჩარჩოში ჩასმული მარაოსებრ მოწყობილი საგრილობელი ტრიალებდა, ქვემოდან კი იმას შრავალი თვალი უმზერდა, ყურადღებით მისჩერებოდნენ შავი, თეთრი, წითელი ფერის სახეები, ვიწროდ გამწკრივებულ სკამებზე ისხდნენ იმის მალაღი ხმით მონუსხულები, შიშის ზარივით რეკდა იმისი ხმა იმისვე ყურში, მთელ სამყაროში ეს იყო ერთადერთი ცხადი ხმა და თითქოსდა ის შემზარავად ნათელი კითხვები, რომელზეც მას უხდებოდა პასუხის გაცემა, გაუსაძლის ტკივილად გარდასახულიყო იმის მკერდში—მტანჯავი შექმნილიყო მსგავსად თავად სინდისის შემადრწუნებელი ძახილისა. გარეთ გავარვარებული მზე იდგა, შიგნით კი ვეებერთელა მარაოსებრ საგრილობლით მოდენილ ნიავს ავკანკალებინა, სირცხვილი სწვავდა, ნემსებივით სჩხვლევტდა დამსწრეთა გაფაციცებული თვალები. სუფთად გაპარსული თავმჯდომარის უგრძობელი სახე მკედრისფრად გაფითრებული ჩანდა იმ ორ ლაქლაქალოყებიან საზღვაო მოხელის თავებს შუა, ჭერის სიახლოვეს ფართო ფანჯრებიდან სინათლე სცემდა მათ თავებსა და მხრებს და მკვეთრად გამოეჩინა ამ ნახევრად ჩაბნელებულ ვეებერთელა დარბაზში, სადაც თითქოსდა თვალეზღაპრულ ჩრდილებს მოეყარა

თავი, იმათ ფაქტები სჭირდებოდათ, ფაქტები! ფაქტებს მოითხოვდნენ იმისგან, ვითომცდა ფაქტებს შეეძლოთ ყველაფრის ახსნა!

— და როცა ასეთი დასკვნა გამოიტანეთ, რაღაცას შევეჩვენო, ვთქვათ, ნახევრად ჩაძირულ გემს, მაშინ კაპიტანმა გიბრძანათ, წინ გადით/ და ნახეთ, რამე ხომ არ დაზიანდაო თქვენ არ იფიქრეთ, სწორედ ასევე უნდაო ასეთი დარტყმის შემდეგ? — ჰკითხა ხელმძღვანელ მკდომარე მსახურს მადალსკი-მალეზიან სახეზე თხელი, ნაღის მოყვანილობის წვერი ჰქონდა, იდაყვებდაყრდნობილი იჯდა, ერთმანეთისთვის გადაეკლო უხეში ხელები და ჯიშს გამოსცქეროდა ფიქრიანი, ცისფერი თვალებით; მეორე კი, ტანსრული, ბირკუშტი კაცი, სკამზე გადაწოლილიყო და მთელსივრცეზე რომ გამოეწვდინა მარცხენა ხელი, ნელინელ ურტყამდა თითებს წიგნაკზე, იმათ შუა კი თავმჯდომარე იჯდა ფართო სავარძელში, მცირეთოდნავ თავგადმოწეული, ჯვარედინად დაეწყო მკერდზე ხელები, იქვე, იმის საბელნესთან იდგა შუშის ვაზა რამდენიმე ყვავილით.

— არა, — უთხრა ჯიშმა. — მე მოთბრეს, ნურავის ნურაფერს ეტყვი, ვაითუ შეშინდნენ და პანიკა ატყდესო, გონიერი ნათქვამი იყო, ჩემი აზრით, სახურავქვეშ ერთი ფარანი ჩამოვხსენი და წინ გამოვედი, რომელიღაც ლუკი გაგხსენი და წყლის ხმაური მომესმა, ფარანი ჩველმევი, რამდენადაც ეს შემაძლებინა თოქმა და დავინახე, წინა მხარე ხომალდასა უკვე სანახევროდ გავსებულიყო წყლით, მივხვდი, დიდი ხერელი უნდა ყოფილიყო წყალხაზს ქვევით, — მან იყუჩა.

— დიახ, — მიუგოთ იმ ვეება ტანის მსაჯულმა, რაღაც საამური ღიმი მოერიო წიგნაკზე თავდაბრილს, ჩვეულებრივ უხმაუროდ ათამაშებდა იმაზე თითებს.

— მაშინ არ მიფიქრია იმ საშიშროებაზე, ცოტა შეშფოთებული კი ვიყავი, მგონია; ყველაფერი ეს მოხდა ისე წყნარად და ისე უეცრად, ვიცოდი, გემზე არ იყო ტიხარი გარდა იმ ერთისა, რომელიც საგანგებო შემთხვევისათვის იყო გათვალისწინებული და ჰყოფდა წინა ნაწილს ტრიუმპიაგან, გამოვბრუნდი, რათა კაპიტანისათვის შეთქვა ეს, მეორე მექანიკოსს გადავაწყდი კიბის ძირას, თითქოს თავსრეტი დასხმოდა, მან მოთხრა, მგონია, მარცხენა ხელი მაქვსო მოტეხილი; დაბლა რომ ეშვებოდა, ჩეღა საფეხურს მოსხლტომოდა, ასე შეჰყვირა იმან: „ღმერთო ჩემო, ის დამბალი ტიხარი დაიმსხვრევა ამწუთასვე და ეს წყელი ჩაგვიტანს ტყვიის ზოდვიით“. მარჯვენა ხელი მკრა და ყვირილით ზევით აგარდა, მარცხენა კი ჩამოკიდებოდა გვერდზე, მივყევი უკან და დავინახე, კაპიტანი ეცა იმას და წააქცია, ცემა არ დაუწყო, დაიხარა და რაღაცას ეუბნებოდა გამძვინვარებული ჩუმი ხმით, მგონია, ეს უთხრა, რა ჯანდაბას დაეთრევი აქ და რად არ მიდიხარ ძრავების გასაჩერებლად, რა აყალმაყალს სტეხავო გემბანზე, მე გავიგონე, ბოლოს ასე უბრძანა: „ადექი და ახლავე ჩადი ჩქარა!“ გინებაც მოაყოლა, მექანიკოსი დაეშვა ხიდურიდან, შემოუარა იმ შეშინულ ლუკს და მარცხნივ, სამანქანო განყოფილებისკენ გავარდა კენესა-კენესით...

აუჩქარებლად ლაპარაკობდა, სწრაფად და ცხოვლად აგონდებოდა ყველაფერი, მსგავსადვე შეეძლო მექანიკოსის კენესის გამეორება, რათა უკეთ გადმოეცა ამბავი ფაქტებს მოწყურებული ხალხისათვის, დარბაზში ის პირველი აღშფოთება გაიღია თუ არა, ირგვლივ მიმოიხედა და მიხვდა, მხოლოდ გამოწვლილვით ნაამბობს შეეძლო წარმოეჩინა ის, შემაძრწუნებელი ჭეშმარიტება, მოვლენათა ზედაპირს მიღმა რომ იყო ჩაჩუმებული, ის ფაქტები, რომლების გაგებაც ხალხს სწავუროდა, საჩინონი, საცხადონი, ნათული იყვნენ და დაეკავებინათ

თავ-თავიანთი აღგილები სივრცესა და დროში, რომელთა არსებობისათვის საჭირო იყო ათას ოთხასი ტონა წყალწყვის გემი და ოცდაშვიდი წუთი, რომელიც ეს კმნიდა ერთიან სურათს თავისი უთვალავი ფერითა, რაც კი თვალს შეიხვეწს და გულს ჩაჰდევნია, და იყო კიდევ რაღაც უჩინარი, ჩვენი თანამდევნი წვევლი-კრულვა, მსგავსი საზიზღარ სხეულში ჩაბუდებული ბოროტი სურათის მსგავსად ამისი გათავისება უნდოდა მას. ჩვეულებრივი ამბავი არ იყო ეს და წიგნელიც უნდა მისხალ-მისხალ გაეხსენებინა, საბედნიეროდ კიდევაც წამოაგონდა ყველაფერი. ქვეშაპრიტების გულისათვის სურდა საუბარი და შესაძლოა სწორედ ეს იყო თავიდათავი. დაფიქრებით წარმოთქვამდა სიტყვებს, მისი გონება მხოლოდ ფაქტებს და მხოლოდ ფაქტებს დასტრიალებდა, თავის მხრივ ისინიც შემოჯაროდნენ მას. გამოეცალკეებინათ აქ მოსული ხალხისაგან, და თავადაც იმ სულდგმულს დამსგავსებოდა. ვინც უზარმაზარ საჩეხეში გამომწყვდეულა და თავგზააბნეული დაძრწის, დაძრწის ღამით, ცდილობს სულ მცირე გამოსასვლელი, რაღაც ხვრელი, რაღაც ნაპრალი ნახოს, საიდანაც შეუძლია დასხლტომა და თავის შველა, გონება საშინლად ჰქონდა დაძაბული და ზოგჯერ ენა ებორკე-ბოდა...

— კაპიტანი ისევ წინ და უკან დადიოდა, თითქოსდა მშვიდი ჩანდა, თუმცა რამდენჯერმე წაიბორძიკა, და როცა გამოველაპარაკე, თითქოსდა მთლად დაბრმავებულიყო, დამეჩახა. ვერც ვერაფერი მითხრა პასუხად. თავისთვის ჩურჩულებდა, სულ რამდენიმე სიტყვადა გავარჩიე: „წყველი ორთქლი“ და „ჯანდაბას ორთქლი“ და კიდევ რაღაც ორთქლზე, მგონია...

საქმის არსს გადაუხვია; კითხვა დაუსვეს და ისიც შეჩერდა, თითქოს ტკივილმა წამოუარა, გაუსაძლისმა ურვამ მოიცივა. უახლოვდებოდა ამას, უახლოვდებოდა ამას... ხოდა, აგრე ბრიყვულად რომ გააწყვეტინეს სიტყვა, უნდა ან პოეტკვა, ან არა. მოკლედ ამოთქვა სიმართლე: „ღიახ“. დიდებული სახის, ტანა-ხოვანი, თვალსევდიანი ყმაწვილკაცი იდგა მხრებგაშლილი იქ, მომალლოდ, გული დათუთქვოდა. კიდევ ერთ, სხვა კითხვას უპასუხა, ამჯერად უმნიშვნელოს და კვლავ დაელოდა. პირი გაშრობოდა მტვერნაყლაპივით, მერე აეწვა და მლა-შე გემო იგრძნო, თითქოსდა ზღვის წყალს დასწაფებოდეს, ოფლით გახვით-ქული შუბლი მოიწმინდა, ენით გადაილოკა გამხმარი ტუჩები. მთელი სხეულით კანკალებდა. თვალები დახარა იმ ტანგაფიქვინებულმა მსაჯულმა, ისევ ისე უბ-მოდ ათამაშებდა თითებს ეს უყურადღებო, სევდიანი კაცი. ამ მეორის თვალე-ბი კი თითქოს აღერსით უმზერდა მზით დამწვარი, თითებგადაქდობილი ხელე-ბის ზემოდან. მცირეოდნავ წინ გადმოხრილიყო თავმჯდომარე, სულ ახლოს მო-ეწია ყვავილებისკენ ზაფრანისფერი სახე. შემდეგ სავარძელზე გადაწვა და ხელ-ზე თავი დააყრდნო. იმ მარათსებრი საგრილობლით აღძრული ნიავი ფრთხი-ლებდა მუქსახეებიან აქაურ მკვიდრთა თავებს ზემოთ, ფართო სამოსლებში რომ იყვნენ გახვეულნი, იქვე გვერდიგვერდ ისხდნენ დასიცხული ევროპელები, სა-მუშაო ტანისამოსი საკუთარი ტყავივით შემოქეროდნათ მთელ სხეულზე, მუ-ხლებზედაეწყით კორპის მრგვალი ჩაჩქნები, კედლის გასწვრივ დასხლტო-დნენ სასამართლოს მცველები, აქაურები იყვნენ ისინი, გრძელი თეთრი ფორმა ეცვათ, სწრაფად მიმოდრიოდნენ აქეთ-იქით, ფეხშიშველები, წითელქაშიანები და წითელჩალშიანები იყვნენ. აჩრდილებივით უბმაურონი და მოქნილები ვი-თარცა მწვერები.

პასუხი რომ დაასრულა ჯიმმა, მიმოიხედა და გარცალკეევებით მჯდომარე,

სახედაღლილი და ჩაფიქრებული კაცი დაინახა. მშვიდად, პირდაპირ მომზირალი ცნობისმოყვარე ნათელი თვალებით, ჯიმმა კიდევ ერთ შეკითხვას უბამა და უნდოდა ეყვირა, რაღა, რაღა საჭიროა, რაღა საჭიროაო! მცირედნაგ ფეხი დაჰკრა, ტუჩებზე იკბინა. მისკენ წამოწეულ თავებს იქით იმ თეთრი კაცის თვალებს წააწვდა, სხვებსავეთ მონუსხული არ-უცქეროდა ის, მაშინვე წებოს გამოხატულება იყო მისი მზერა. ორ შეკითხვას შუა ჯიმს ეჭვქვეშ დაჰყვინდა თავი, რომ დრო მიეცა საფიქრალად. ის კაცი — გაუელვამშლნიანი მსახური — მიცქერის თითქოსდა ვიღაცას თუ რაღაცას ხედავს ჩემი მხრების მიღმაო, ხადლაც შეხვედრია იმ კაცს, შეიძლება ქუჩაში. ოღონდ, ნამდვილად, არც არასდროს უღაპარაკია იმასთან, მრავალი, მრავალი დღე არც არავის დალაპარაკებია, მხოლოდ ჩემი, აბურდული და გაუთავებელი საუბარი გაემართა საკუთარ თავთან, ვითარცა მარტოდმყოფ ტუსაღს საკანში ან ვითარცა უდაბნოში ვზაბნეულს, ახლა კი უმნიშვნელო შეკითხვებზე პასუხობდა, თავადაც დაეჭვებულიყო თუ დავილაპარაკებო როდესმე ცხოვრებაში. საკუთარი მართალი ხმა ამცნობდა მას, სწორედაც აღარ დამჭირდებო აწი მეტყველების უნარი ის კაცი თითქოსდა მიმხედარიყო იმის გაუსაძლის ურვას, ჯიმმა შეხედა, მერე მკვეთრად მიტრიალდა, თითქოს სამუდამოდ სტოვებდა მას.

და კარგა ხნის მერე დედამიწის შორეულ კუთხეებში მარტოე სიამოვნებით იხსენებდა იმას, იხსენებდა დიდხანს, გამთწვლილვითა და ბმამაღლა.

გარინდებული და დაბურული ფოთლებისა და ყვავილების ტევრით მოფარდაგებულ აივანზე სხდებოდნენ ნასადილევის, სიგარები აციმციმდებოდა ირგვლივ დავანებულ ბინდში, ბამბუკის მოგრძო და უშნო სკამებზე მოკალათდებოდნენ მღუმარე მსმენელები. ხანდახან პაწაწინა წითელი ალი გაიელვებდა და წამით გამოაჩენდა ხელის ჩაყვითლებულ თითებს, ნაწილს აუმღვრეველი მშვიდი სახისას ან მეწამულისფრად გაკრთებოდა უხინჯო შუბლით მოჩრდილული ფიქრიანი თვალის წიაღ, და მარლოჟ პირველი სიტყვის წარმოთქმისთანავე მოხერხებულად გასწორდებოდა სივარძელში და აღარ იჩხეოდა ამის მერე, თითქოსდა დრო-ჟამის უფსკრულოვანში დახოქმულიყო სული მისი და თავად წარსული ამეტყველებულიყო მისი ბაგენით.

თავი 5

— მო, დიახ! მე გახლდით სასამართლოზე, — ამბობდა იგი, — და დღემდე გაოცებული ვარ, რად წავედი იქ. მზად ვარ დავიჯერო, ყოველ ჩვენთაგანს ჰყავს მფარველი ანგელოზი, მაგრამ ისიც მართალია, რომ ყოველი ჩვენთაგანი ეშმაკთანაა წილნაყარი, მე მინდა, თქვენც აღიაროთ ეს, და არც მე უნდა ვიყო გამონაკლისი, მე ვიცი, მყავს... ეშმაკი მყავს შეჩენილი-მეთქი, არ მიხატავს, რასაკვირველია, მაგრამ რაღაც-რაღაცები კი არის ცხადი. ის ჩემთან არის და რაკილა ბოროტი სულია, კიდევაც გადამხდა თავს... რა გადაგხდაო? იკითხავთ თქვენ, რა და იმ ჩალისფერი ძაღლის გულისთვის გამოძიებამ ჩემს ზურგზე გადაიარა... ვინ იფიქრებდა, რომ იმ ქეციან, აქაური ველურების ქოფაკს იმ სასამართლოს სახლის ვერანდაზე შემოუშვებდნენ, ვინ იფიქრებდა-მეთქი?... ბოდა, სწორედ ასეთი ოკრობოკრო, მოულოდნელი, მართლაცდა ეშმაკის გზით ვის აღარ გადავეყარე, უილაჯო ადამიანებს, ძლიერებსაც, იმათ, თავიანთ პირს რომ მაღავენ, ღმერთმანი! და დამინახავენ თუ არა, ენის ქავილი აუტყდებოთ და ასე მამცნობენ თავიანთ ჯოჯოხეთურ საიდუმლოთ, თითქოსდა თავად მე არ მქონდეს ჩემი საკუთარი, თითქოსდა — ღმერთო, შენ მიშველე! — არ მქონდეს

რაიმე, რაც შემიძლია ვაღიარო და კიდევაც ვეცვა ანწუხზე მთელი სიცოცხლე. მინდა ვიცოდე, რად მწყალობს ასე ბედი. მე თქვენ გეუბნებით, არც არავისზე ნაკლები სადარდებელი მაქვს, გახსენებაც იმდენი რამის შემიძლია, რამდენიც ამ ველის უბრალო მლოცველს და როგორც ხედავთ, განსაკუთრებით არც ვარ განწყობილი აღსარების მოსასმენად. და რატომღა ვისმენ? ვერ გეტყვით, რატომ ვიხსენებ დრო რომ გავიყვანო ნასადილევს, ჩარლი, ჩემო ძვირფასო, დღემდე ვიხსენებ თქვენი სადილი და ამიტომ სტუმრები ამ წყნარ რობერს ხმაურთან, დამლულ თამაშად მიიჩნევენ. თქვენს კარგ სავარძლებში მოკალათებულან ისინი და ასე ფიქრობენ: „ჩვენ რად უნდა გავისარჯოთ. დაე მარლოუმ გვიამბოს“.

გვიამბოსო! ასე იყოს. და სულაც აღვიღია საუბარი ბატონ ჯიმზე, ამ მშვენიერი სუფრის შემდეგ, ზღვის დონიდან ორასი ფუტის სიმაღლეზე, კარგი სიგარეტის კოლოფიც აქვია, გრილი სალამოცაა ამ მოციმციმე ვარსკვლავებიანი ცისქვეშ, ხოლო, იქნება კიდევაც დაგვაფიწყდეს, რომ მოთმინება გვმართებს და უნდა გავიკვლიოთ გზა ორცეცხლს შუა, გავუფრთხილდეთ ყოველ წუთს და ავწონ-დავწონოთ ყოველი ნაბიჯი, და უნდა გვჯეროდეს, ფონს გავალოთ საბოლოოდ — თუმცა მთლად დარწმუნებულნი არც ვართ — და ცოტა, სულ მცირედი იმედი გვაქვს იმ ხალხის, ვის შუაგულშიაც ჩვენ ვტრიალებთ. რაღა თქმა უნდა, ისეთებსაც ვნახავთ ზოგჯერ, ვისაც მთელი ცხოვრება სადილის მერე განცხრომა ჰგონია სიგარით ხელში — მარტივი, სასიამოვნო, ცარიელი, ბოლოს დააყოლებენ თავშესაქცევ აამბავსაც, რომლის მოსმენაცა და დავრწყებაც ერთიანად ვერ კიდევ მანამ, სანამ იმის დასასრულს გავიგებდეთ, თუკი საერთოდ ექნება რამე დასასრული.

სასამართლოზევე წავაწყდი პირველად იმის მზერას, თქვენ უნდა იცოდეთ, ყველა იქ იყო, ვინც ასე თუ ისე ზღვასთანაა დაკავშირებული, რადგან უკვე კარგა ხანია ატეხილიყო მითქმა-მოთქმა ამ საქმის გამო. საიდუმლო დეპეშა მოსულიყო იდენიდან და ყველა იყყაყანებინა. საიდუმლო-მეთქი, ვამბობ, გარკვეულწილად კია ასე, თუმცა შიშველ ფაქტებს გადმოგვცემდა, ისეთ შიშველსა და საზიზღარს, როგორც შეიძლება ფაქტები იყოს მხოლოდ. ზღვისპირზე ამაზელა ლაპარაკობდნენ. პირველადვე იმ დილას, ჩემს კაიუტაში ტანთ რომ ვიცეამდი, ტიხარს იქიდან ჩემი ფარსელი ღუბაშის* საუბარი გავიგონე, ვისაც სამზარეულოში ჩაის დაღვევის ნება აელო და სტიუარდს ემაასლათებოდა „პატნას“ შესახებ. მიწაზე დავადგი თუ არა ფეხი, ნაცნობებს შევხვდი და ასე მითხრეს, ამისი მსგავსი თუ გავიგონათო რამე? იმის მიხედვით, თუ ვინ იყო შემკითხველი, ზოგი იქედნურად იღიმებოდა, ზოგი სევდიანი სახით და ზოგიც უშვერად ილანძლებოდა. სრულიად უცნობები იმ წამსვე დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს, რათა თავიანთი აზრი გამოეთქვათ ამის შესახებ; წყალწადებული მაწანწალებიც ჩამოსულიყვნენ ქალაქად და გაემართათ სჯა-ბაასი ამ საკითხზე იმ იმედით, იქნებ დაშალეგინონო. თქვენც მოგისმენიათ ამის შესახებ ნავსადგურის სამმართველოში, ყოველი საზღვაო მაკლერისაგან, თქვენი აგენტებისაგან, თეთრებისაგან, აქაურებისაგან, შერეულსისხლიანებისაგან და ნახევრად ტიტველი მენავეებისაგან, ქვის საფეხურზე რომ სხედან ზღვის ნაპირზე... ღმერთო დიდებულო! რას არ ამბობდნენ, მძვინვარებითაც, ხუმრობითაც და ასე იყო გაუთავებელივ, ეს თქვენც იცით. ორი კვირა, შეიძლება უფრო მეტიც გაგრძელებული ასე და საბოლოოდ ასეთი აზრი გამოითქვა, ტრაგედიად გარდაისახაო ამ ამბის იდუმალემა, მერე კი ერთ მშვენიერ დილას, ნავსადგურის სამმართვე-

* ადგილობრივი თარქიმანი.

ლოს კიბესთან რომ ვიდევნი ჩრდილქვეშ, ოთხი კაცი დაეინახე, სანაპიროთი ჩემკენ მომავალნი, საბტად დავრჩი, ვინ არიან და საიდან გამოტყვერნენ-მეთქი, და უეცრად სულის საღრმეში ყვირილი აღმომხდა, ესენი არიან-მეთქი.

სწორედ ისინი იყვნენ, სამი ტანდიდი კაცი, ერთი კი ისე გაფრთხილებულიყო, ხელს ვერ შემოაწვდენდით, აღამიანიშვილს დიახაც არც ეტყის ესე დასუქების უფლება; საზღვარგარეთ მიმავალი ჩრდილოეთის სახაზო გემდარჩენილნი გადმოსულიყვნენ, კარგად იყვნენ ნასაუზმები, ერთი საათი გასულიყო გათენებიდან. არ ვცდებოდლი, მაშინვე ვიცანი შეზარხოშებული „პატნის“ შკიპერი — უტანმსხვილესი კაცი ამ ღვთივკურთხეულ ტრობიკებში, ჩვენს ბებერ, მაღლიან დედამიწას რომ გარშემოვლებია, თანაც ამ ცხრა თვის წინათ მყავდა ნანახი სამარანგში. იმის რეიდზე მდგარ გემს ტვირთავდნენ, თვითონ კი გერმანიის იმპერიის ტირანულ დაწესებულებებს ლანძლავდა, დღე დღეზე გადაბმული იჭდა ჟონგისას, იმის უკანა ოთახში და ლუდს სვამდა, თავად ჟონგი კი ერთ გულდენს ართმევდა ერთ ბოთლში ისე, რომ წარბსაც არ შეიხრიდა. ხოდა, იმ პატარა სახელადარულმა მედუქნემ გვერდზე გამიხმო და საიდუმლოდ მითხრა, ბიზნესი ბიზნესია, კაპიტანო, მაგრამ ის კაცი მე გულს შირვესო, ფუი!

ჩრდილში მდგომარე იმას ვუმზერდი, სხვებისთვის ცოტათი წინ გამოესწრო და მზის სხივებმა ცხადლივ გამოაჩინეს იმის გულშემზარავი სიმსუქნე. გაწვრთნილ ჩვილ სპილოს მომაგონებდა უკანა ფეხებზე მოსიარულეს, ფრიად უცნაურად შემოსილიყო — ეცვა გასვრილ-გაზინზლული პიჟამა, რომელსაც დაჰყვებოდა სალათისფერი და მწვანე-ნარინჯისფერი ზოლები, შიშველი ფეხები შეემოსა დახეულ-დაგლეჯილი ჩალის ქოშებით, ვილაცის გადაგდებული კორპის ქუდი დაეკოსებინა, გათხუპნული და ორი ზომით ნაკლები, ამიტომ იძულებული იყო მანილური თოკით დაემაგრებინა ვეებერთელა თავზე, თქვენ გესმით, ასეთი კაცი სხვისას ვერაფერს ჩაიცვამს, ძალიანაც კარგი, ხოდა, ასე მოქროდა, არც მარცხნივ იყურებოდა და არც მარჯვნივ, სამ ნაბიჯზე ჩამიარა, გულწმინდა კაცის სახით ზათქით აიარა ნავსადგურის გამგებლობის კიბე, რათა ეცნობებინა თუ მოეხსენებინა, რაც ვნებავდეთ, ის დიარქვით ამას.

როგორც ჩანს, სულ პირველად მეზღვაურების დამქირავებელი ინსპექტორისთვის მიუმართავს, სწორედ ახალი შემოსული იყო აქ არჩი რუტველი და, ასე უამბია მას, იმ დღეს შრომითი საქმიანობა ჩემი მოადგილის შეხურებით უნდა დამეწყოს. ზოგიერთი თქვენგანი კი უნდა იცნობდეს იმას — ჩია ტანის, თავაზიან, სანახევროდ პორტუგალიური სისხლის, კისერწაწვრილებულ კაცს, ვინც დღენიადაგ იმის ცდაშია, რომ საჭმელი გამოსტყუოს კაპიტნებს — ლორის ნაკერი, ორცხობილა, ცოტაოდენი კარტოფილი და სხვ. მახსოვს, ერთხელ მოგზაურობიდან რომ დავბრუნდი, ცოცხალი ცხვარი ჩავუყვანე; სახომალდო მარაგიდან დამჩენოდა; ის კი არ მიფიქრია, რამე სამაგიეროს გამოვრჩები-მეთქი — სულით ხორცამდე შემძრა მისმა ბავშვურმა რწმენამ, კიდევ რაღაც შემოსავალი ზომ უნდა მქონდესო, რას იტყვით? იმის რასას... იმ ორი რასის ნარევი კაცს... აქაური პავაც... თუმცა ამაზე ლაპარაკი არა ღირს, იმისთანა ერთგულ მეგობარს მე სად ვნახავ.

ხოდა, იმ რუტველმა თქვა, მკაცრი ლექცია ჩავუტარე მოადგილეს სამსახურებრივი მორალის შესახებ, მე მგონია, და უცებ უკანიდან რაღაც ფართი-ფურთი მომესმა, თავი მივატრიალე და რას ვხედავო, ასე უთქვამს იმას, რაღაც მრგვალი და ბუმბურაზი, მსგავსი ასკილოიანი შიქრის თავისა, ზოლებიან ფლანელში გახვეული იდგა იმისი დიდი ოთახის შუაგულში. საბტად დარჩენილა

რამდენსამე ხანს, ეს ენით აღუწერელი უცნობი არსება რომ დაუნახავს; და რა მანქანებით, რის გულისთვის დაყუდებულა იმისი მაგიდის წინ, მოსაცდელი ოთახიდან შემოსასვლელ თაღქვეშ ყველანი მოგროვილიყვნენ, საგრილობლის დამტრიალებლები, დამლაგებლები, შავტუხა პოლიციელები და ნაუბადგურის ორთქლის კარაპის ბოცმანი თავის მეზღვაურებიანად, ყველას კი ყველას ერთ გამოეწვდინა და სადაცა ერთმანეთს შეახდებოდნენ ზურგზე-გულზე-ქვეშა-სწორებდა, ამ კაცს გამოერღვია ამდენი ხალხი და წინ გამოსულიყო, ის სასწაული ქუდი მოიხადა და მცირეოდნავ თავი დაუკრა რუტველს, ცისაც ამ სანახაობით ქვეა არეოდა და, მართალია, ყურს კი უგდებდა, მაგრამ ამ მოჩვენების ნათქვამიდან ვერაფერი ვერ გაიგო, ხრინწიანი, გულისშემძვრელი ხმით, თუმცა კი წარბშეუხრელი უბნობდა ის და ცოტ-ცოტა მიხვდა არჩი, „პატნას“ ეხებოდა საქმე. მივხვდი თუ არა, ვინც იყო ჩემ წინ, ცუდად გავხდიო, ყვებოდა არჩი. ის ხომ მგრძნობიარე კაცია და სულ ადვილად იბნევა, მაგრამ მაშინ ძალა მოიკრიბა და დაიყვირა: „გაჩუმდი! მე შენ ყურს ვერ დაგიგდებ. კაპიტან ელიოტთან უნდა შეხვიდე, აი იქით, იქით არის“. ზეზე წამოვარდა, შემოუბრინა იმ თავის გრძელ მაგიდას, ხელის კვრა დაუწყო, ის ჭერ გაოცდა და დამორჩილდა, მერე კი ოთახის კართან რაღაც ცხოველურმა ინსტინქტმა შემოატრიალა და შეაყოვნა დარეტიანებული ხარივით. „მოითმინეთ! რა ხდება? თავი დამანებეთ! მოითმინეთ-მეთქი“. არჩის არც დაუკაკუნებია, ისე შეალო კარი. „პატნის“ კაპიტანია, სერ, დაიყვირა იმან, კაპიტანო, შედითო. მოხუცი კაცი რაღაცას წერდა იქ და ხმაურზე თავი ასწია, პენსნე გადმოუვარდა. ის არჩი რუტველი კი უკანვე გამოვარდა, სწრაფად შევიდა თავის ოთახში, იმისი ხელმოწერა სჭირდებოდა მაგიდაზე დაწყობილ ქაღალდებს. მაგრამ ისეთი აყალმაყალი ატყდა, რომ თავზარი დაეცა და ველარ გაიხსენა, თუ როგორ იწერებოდა მისი საკუთარი გვარსახელი. სწორედ ის გახლავთ დედამიწის ორივე ნახევარ სფეროზე ყველაზე უფრო გრძნობიერი ინსპექტორი, ასე განუცხადებია მას, თითქოსდა დამშეული ლომის ხახაში შევაგდეთ ის კაცი. რასაკვირველია, დიდი ხმაური ატყდა. მეც კი მესმოდა ის ღრინაცელი ქვემოთ და დარწმუნებული ვარ, იქითაც გაიგონეს. სადაც ესპლანადა არის მუსიკის დამკვრელებისათვის, იმ ბებერ ბიძია ელიოტს სალანძღავი სიტყვების მარაგს რა გამოუღეგდა, ყვირილიც კარგად შეეძლო — არც იმას დაგიღეგდათ, ვის უყვიროდა. თავად მეფის ნაცვალსაც არ დაინდობდა. ხშირად უთქვამს ჩემთვის: „მეტს მე რაღას მივალწევ, პენსია უზრუნველყოფილი მაქვს. ცოტა სხვა ფულიც მომეპოვება და თუ იმათ არ მოსწონთ ჩემი შეხედულებანი მოვალეობაზე, დავკრავ ფებს და სახლში წავალ. მოხუცი კაცი ვარ მე და რასაც ვფიქრობ, იმას ვლაპარაკობ, ესლა მაღარდებს, ჩემი გოგოები მინდა დავათხოვო, სანამ მოვკვდებოდე“, ცოტათი კი იყო შემლილი ამ ამბავზე, სამი მშვენიერი გოგო ჰყავდა, თუმცა საოცრად კი ჰგავდნენ იმას, და ხანდახან რომ გაიღვიძებდა დილას, სევდა შეიპყრობდა, იმათი გათხოვების იმედს კარგავდა და სამსახურში მისულს კიდევაც ეტყობოდა სახეზე, შიშით აღარ იყვნენ იქ, რადგან ვილაც უთუოდ უნდა მოეთხოვა საუზმეზე შესაჭმელად. თუმცა იმ დილით არ შეუხანხლავს რენეგატი, ოღონდ, თუკი ამ მეტაფორის განვრცობის უფლებას მომცემთ, გეტყვით, ცოტათი გამოღეჭა და, როგორც იტყვიან... გადმოაფურთხა.

რამდენიმე ხნის მერე ის შემადრწუნებელი გოლიათი სწრაფად გამოვიდა გარეთ და კიბეზე შეჩერდა. ჩემთან სულ ახლოს იდგა, საგონებელს მისცემოდა, უთრთოდა ჩაწითლებული, გამობერძილი ლოყები, შუანა თითი დაიჭამა და

რომ შეშინებია, გვერდულად დამაცქერდა გამძვინვარებული, იქვე, შორიანლოს იდგნენ მასთან ერთად გადმომსხდარი ის საძი და ელოდებოდნენ, ზაფრანისფერი, პრიყვული სახისა იყო ერთი, სახვევით დაემაგრებინა ხელი: მგორჯ მალაღ-მა-ღალი, ლურჯი ფლანგლის სამოსლიანი, ხის ნაფოტივით გომომშრალი/ ცოცხის ტარივით მაგარი, ჭალარა, ჭლვაშებჩამოწოლილი, ამხატვრული წვეთქაყოფი-ლებით აქეთ-იქით მომზირალი, მესამე კი იყო ტანახოვანი მჭაჩხჩხ მჭაჩხებიანი ყმაწვილკაცი, ხელები ჯიბეში ჩაეწყო და ზურგით შეტრიალებულიყო ორივეს-კენ, რომლებიც გაცხოველებით საუბრობდნენ რაღაცაზე, იმ ცარიელ ესპლანადას მისჩერებოდა. ერთი მიღრინკული გპარი, * მტვრიანი და ქალუბებიანი, სწორედ ამ ჯგუფის პირდაპირ იდგა. შეეტლეს მარჯვენა ფეხი დაედო მუხლზე და გულდასმით ათვალაერებდა იმის თითებს, გაუნძრევლად იდგა ის ყმაწვილ-კაცი, თავიც კი არ მიუტრიალებია, მზის სხივებდაფრქვეულ იმ ადგილს გაძყურებდა, სწორედ მაშინ ენაზე პირველად ჯიბი, გულგრილი და შეუვალი ჩანდა. თვალტანადი, სუფთად გაპარსული და მტკიცედ მდგომარე, დიდი იმედის მომცემი ბიჭი ამ მზისქვეშეთში; შევეყურებდი მე იმას, და რაკლა ვიცოდი ის ყველაფერი, რაც მან იცოდა და ცოტათი უფრო მეტიც, ბოლმა ვიგრძენი, თითქოსდა ის ცდილობდა რაღაცის დამალვას და ამ ხერხით შელავათის მოპოვებას ჩემგან. სწორედაც არ უნდა მოქცეულიყო ასე, გულში გავიფიქრე, ასეთებიც დაადგებიან ცუდ გზას... გულდათუთქულმა წარმოვიდგინე, თითქოს ქუდი მოვიშვლიბე, დავაგდე და ფეხებით შევდექი ზედ, როგორც იმ იტალიური კარაპის კაპიტანი, რომელმაც დაინახა, მისმა რეგვენმა თანაშემწემ ლუხები აურ-დაურია გემებით სავსე ნავთსაყუდელში ჩამოდგომის ხანს, ვუმზერდი იმას, ფერიც არ შეცვლია, იქნებ სულელია? ან იქნებ უსულგულო? თითქოსდა სადაცაა სტვენასაც დაიწყებდა, ისიც შევამჩნიე, სულაც არ მადარდებდა, რაც უნდა ის გაეკეთებინა იმ ორს, დიახაც შეეფერებოდნენ ისინი ხალხის ნაამბობს, რომელიც კიდევაც შექმნილიყო ოფიციალური გამოძიების საფუძველი, „იმ ბებერმა და შერეკილმა ქოსატყუილამ არამზადა მიწოდა მე“. — თქვა „პატნას“ კაპიტანმა, იმას ვერ გეტყვით, მიცნო-მეთქი... მგონია, კი მიცნო, თუმცა წამითლა შევხედეთ ერთმანეთს, ის თვალებს აბრიალებდა, მე კი ვიღიმებოდი, „არამზადა“ იყო უნაზესი იმ ეპიტეტთაგანი, რომელმაც იმ ღია სარკმლიდან გამოატანა. „რასა ბრძანებთ?“ — ვუთხარი მე, კი იყო უცნაური, ენას კბილი რომ ვერ დავაჭირე, თავი გააქნია, კვლავ იკბინა შუა თითზე, ერთი შეიგინა, შემდეგ თავი ასწია და შემომხედა, პირქუში, შეუნიღბავი თავხედობით: „ჰა! დიდიო წყნარი ოკეანე, ჩემო კარგო, თქვენ კი, წყვეული ინგლისელები, ისე ირჯებით, როგორც მოგესურვებათ, ჩემნაირი კაცი სადაც უნდა იყოს, მე ვიცი, კარგადაც მიმზერენ აპიაში, ჰონოლულუში და...“ — იყუჩა ჩაფიქრებულმა; რაღა მიხვედრა უნდოდა, თუ რა ხალხი „უმზერდა“ კარგად იმას იმ ნავსადგურებში, არ დავმაღაე და გეტყვით, ისეთი ხალხი მეც კარგად „მიმზერდა“ ხოლმე, ხანდახან ასეც ხდება და კაცი იძულებულია თავი მოიკატუნოს, რა სასიამოვნოაო ასეთ საზოგადოებაში ყოფნაო, ვიცი ეს ყველაფერი და აწი აღარც მსურს მუხლშეჭმუნუნულმა ვილაპარაკო, მეტი რა გზა მქონდა-მეთქი, რადგან ამ წყალწალელებული

* მცირე ზომის ეტილი.

ხალხის მორალის... მორალის... რა შეიძლება ამას დავარქვათ?.. თუ საქციელის, ანდა რაღაც სხვა ამდაგვარ მიზეზთა გამო ჰქვას უფრო ვსწავლობთ და ოცნების უფრო მეტად ვერთობით, ვიდრე იმ ჩვეულებრივ რესპექტაბელურ კომერციის ქურდებთან, ვისაც თქვენ მაგიდასთან მობრძანებას სთხოვთ, თუმცა ღიახაც არც არის აუცილებელი... ჩვეულება გაიძულებთ ამას და იმიტომ, ვერ გამეხსენებინა ბალტიის სანაპიროს რომელმა კარგმა პატარა ურჩხულმა რცხვინა სახელი და გახდა ბუდე ამ შესანიშნავი ჟრინველისა. — რა გავვიჩინებთ? პა? რად არ შეუბნებით? სხვა ხალხს არც არაფრით სჯობიხართ, იმ ბებერმა არამზადამ რა დავიღარაბაში გამხვია. — მთელ იმის ჩაგოდრებულ სხეულს კანკალი მოკიდებოდა, ფეხები ორ სვეტს მიუგავდა, თავიდან ფეხებამდე თრთოდა, — ყოველთვის ერთ ამბავს ატეხავთ თქვენ, ინგლისელები, და რის გულისთვის, იმიტომ, რომ მე იმ დაწყევლილ ქვეყანაში არ დავბადებულვარ, წაიღეთ, არ მინდა ეს ჩემი მოწმობა. ჩემნაირ კაცს სულაც არ უნდა ეს წყეული მოწმობა, დამიფურთხებია ზედ. — დააფურთხა. — ამერიკის მოქალაქეობას მივიღებ, — დაიყვირა მან დუქმორეულმა, ფეხების ფხაკაფხუკით, თითქოსდა განთავისუფლებას ეძიებოდა რაღაც იდუმალი და უჩინარი ხუნდებისაგან, რომელსაც ერთ ადგილზე გაეშეშებინა. ისე გაცეცხლებულიყო, რომ სადაცაა ბოლო აუვიდოდა იმის მრგვალ თავს, იდუმალი რაღაც გრძნობა კი არა, სულ ჩვეულებრივი ცნობისმოყვარეობა არ მანებებდა წასვლას, მინდოდა მენახა, როგორ შეიტყობდა ამბავს ის ყმაწვილკაცი, ვინც ჭიბეში ხელებჩაწყობილი ტროტუარისკენ იდგა ზურგშექცეული და მწვანით შეფენილ ესპლანადას ზემოთ უმზერდა სასტუმრო „მალიბარის“ ყვითელ კარიბჭეს; მეგობარს ელოდებიან ასე, მოვა ის და იმ წუთას წავლენ სასიერნოდ. სწორედ ასე იყო და შესაზიზღარი იყო ეს ამბავი, მეგონა, თავზარი დაეცემოდა, შეძრწუნდებოდა, მიწა გაუსკდებოდა, აწიროხდებოდა ლურსმანზე წამოგებულ ხოჭოსავით — და კიდევაც შეშინოდა ამის დანახვისა — მეგონა, მიხვდებით, რისი თქმაც მიხდა, იმაზე უფრო საშინელი რა უნდა იყოს, ვიდრე იმ კაცს უთვალთვალეზღე, ვინც გამოამკარავებულა არა დანაშაულში, არამედ იმაში, რაც დანაშაულზე უფრო უარესია, უღონობაში, ჩვეულებრივი ვაჟკაცობა არ გვანებებს დანაშაულის ჩადენას; ხოდა, ამ უღონობას სულისას, თუნდაც გაუთავისებელსა და მხოლოდ სავარაუდებელს, როგორც დედამიწის ზოგიერთ კუთხეში საშინელი გველის არსებობა სავარაუდებელი ყოველი ბუჩქის ძირას, და ამ უღონობას სულისას, რომელიც შეიძლება იყოს ფარული, შესამჩნევი ან არშესამჩნევი, წინაღუდგები მას თუ ვაეკაცურად შეიზიზღებ, დათრგუნავ თუ სულაც უგულებელყოფ ნაბევარი ცხოვრების მანძილზე, ჩვენთაგან ვერც ვერავინ ვაეკცევა, ჩვენ ჩაგვითრევენ, ვაგვაკეთებინებენ ამას, რის გულისთვისაც წყველა-კრულვით იხსენიებენ ჩვენს სახელს, რის გულისთვისაც ჩამოგვკოდებენ, და მაინც სული ჩვენი შეიძლება გადაურჩეს... გადაურჩეს განაჩენს, გადაურჩეს მარყუჟს ღვთის შეწევნით! და ესეც შეიძლება — სულ უმნიშვნელო რაღაც სრულიად და საბოლოოდ ბოლოს მოუღებს ზოგიერთ ჩვენთაგანს, მე შევცქეროდი იმ ყმაწვილკაცს, მომწონდა მისი გარეგნობა, უცხო არ იყო ეს გარეგნობა ჩემთვის, ჩვენებური, ჩვენთაგანი იყო ის, და იდგა ვითარცა წარმომადგენელი თავისივე მსგავსთა, იმ კაცთა და ქალთა, რომლებიც არ გამოირჩევიან ჰქუითა და ვერც ვერაფრით ვაგვართობენ, მაგრამ სწორედ იმათი არსებობა ესაძირკვლება პატიოსან რწმენასა და ინსტიტუტურ შემართებას, სამხედრო, სამოქალაქო ან კიდევ რაღაც სხვა ამდაგვარ შემართებას კი არ ვგულისხმობ; მე ვგულისხმობ რაღაც თანდაყოლილ

უნარს, როდესაც შეგვიძლია ცთუნებას თვალი გავუსწოროთ, და ამას ესაძირ-
კვლება არა გონება, არამედ უფრო გულის სიღრმეში ჩადებული სიკეთე ან,
თუ გნებავთ, წინააღმდეგობის უბეში, მაგრამ ძვირფასი ძალა — გარეგნისებე-
ლი, კურთხეული სიმტკიცე, რომლის მეშვეობითაც წინ აღვუდგებით გარემო-
ებათა თუ საკუთარი სულის წიაღში შექმნილ შემზარაობას, კედლებზე დაწვრილთა
მომადლორებელ გარყვნილებას; ამის საფუძველია შეუვალი გრძელვადიანი ვერ-
შერყვნის ვერც ყოველის შემძლე ფაქტები, ვერც ცუდი მაგალითები და ვერც
ზეობა იდეებისა. ჟანდაბას იდეები! შარახვეტიები და მაწანწალებია ესენი, გუ-
ლის ფიცარზე რომ გიკაცუნებენ, თქვენი არსების მცირეოდენ ნაწილს მაინც
წარგტაცებენ, წაგგვრიან ნატამალს იმ რწმენისას, რაზედაც პკილია ის თქვენი
რამდენიმე მცნება, ღირსეულად რომ გაცოცხლებთ და შევბას განიჭებთ სიკვ-
დილის ქაშს.

ზემორე ხათქვამს უშუალოდ ხუ დაგუკავშირებთ ჟიმს; თუმცა იმისი გა-
რეგნობა ასე დამახასიათებელი გახლდათ იმ კარგი, თავფქვილა ყმაწვილკაცე-
ბისთვის, ვისთანაც დღეიანად მოგვწონს ყოფნა, ვინც არ მონებს გონების
კორვეულობას და გაუკუღმართებულ ნერვების... თამაშს, შეიძლება ასეც
ვთქვათ, თუნდაც მისი გარეგნობის გულისთვის ასეთ ყმაწვილს ანდობთ მთელ
გემბანს — ხატოვნად და პროფესიონალადაც გეუბნებით ამას, მე გეუბნებით
და ვიცო, არც შეშეშლება. სულ ბავშვებში არ ვტრიალებდი მაშინ, როდესაც
საზღვაოსნო სკოლაში ვმსახურობდი და ზღვის ხრიკებს ვასწავლიდი, იმ ხრი-
კებს, რომლის საიდუმლოს გადმოცემა სულაც ერთი მოკლე წინადადებითაც
კი შეიძლება, მაგრამ ყოველდღე უნდა ჩასჩინებდეთ ბალებს მანამ, სანამ
ძილშიაც და ღვიძილშიაც ჩაქდებული არ ექნებათ თავში და ბოდვას არ დაიწ-
ყებენ ზღვის სიყვარულით! მე კი ზღვა ყოველთვის მწყალობდა, მაგრამ რო-
დესაც ჩემს ხელში გაველილ ბიჭებს ვიხსენებ, ზოგი იმათგანი ახლა გაზრდილა,
ზოგი დამბრჩვალა, ოღონდ ზღვა ყველას უყვარდა და მე ვფიქრობ, იმათთვის ცუ-
დი მე არც არაფერი გამოკეთებია, ზვალ სახლში რომ დავბრუნდე, ნაძღვეს
ჩამოვალ, ორი დღეც არ იქნება გასული, რომ მზით გარუჯული კაპიტნის
თანამემწე დამინახავს დოკის კართან ან სადმე სხვაგან და გავიგონებ მშვენი-
ერი ახალგაზრდის ხმას: „თუ გახსოვართ, სერ? დიახ! მაშინ პატარა, ესა და ეს
ვიყავი, ასეთი და ასეთი იმ გემზე, პირველი მოგზაურობის ხანს“, და მეც ვიხსე-
ნებ, გაოგნებული ყმაწვილი ამ სივარძლის საზურგის სიმაღლისა იქნებოდა, დე-
და ან შეიძლება უფროსი დაი დგას ნავმისადგომში, წყნარადაა, მაგრამ იმდენა-
დაა შეწუხებული, რომ არც შეუძლია ცხვირსახოცი დაუჭნიოს უჩუმრად მი-
მავალ ხომალდს; ან იქნებ შუა ასაკს მიტანებულს სანდომიანი სახის მამაა მო-
სული აქ, ადრიაანად, თავისი ბიჭის გასაცილებლად და აქ დარჩენილა მთელი
დილა, რადგან მისი ყურადღება საქარე ანძას მიუბჟურია, და კარგა ხანს აღარ
მიდის; დაბოლოს, სულ უკანასკნელ წუთს რომ უნდა გადავიდეს ნაპირზე,
დროც კი აღარ რჩება დასამშვიდობებლად, კიჩოზე მდგარი დასვრილ-ვაზინ-
ზღული ლოცმანი გაპყვირის გაბმული ხმით: „წამით შეიცადეთ, ბატონო თა-
ნამემწეც აქ ერთი ჯენტლმენია, ნაპირზე უნდა ჩასვლა... მობრძანდით, სერ,
კინაღამ ტალკაპუანოში არ წაგიყვანეთ, ხომ? ახლა კი გახსოვთ, აქეთ, სულ აღ-
ვილია... კარგად მოძინებოდეთ აბა გავსწიოთ“. ჯოჯოხეთური კვამლით გა-
რწმომობურვილი საბუქსირო გემი მითუხთუხებს და მძვინვარედ აქაფებს ბებერ
მდინარეს; ნაპირზე მდგომი ის ჯენტლმენი მტვერს იშორებს მუხლებიდან —
გულკეთილი სტილარდი ქოლგას გადაუგდებს ჩასულს, კარგად ვასრულდა ყვე-

ლაფერი. თავისი წილი ზღვის სამსხვერპლო გაიღო და ახლა კი შეუძლია საბლ-
ში წასვლა, თითქოსდა აღარც აქვს რაიმე საფიქრალი; ჭერ კიდევ მეორე დილა
არ არის გათენებული და იმის პატარა ხალისიან მსხვერპლს ზღვის დაავადება
დარევს ხელს. თანდათანობით ის შეიცნობს ყოველ იდუმალებას თქვის
ლობისას და ერთ დიდ საიდუმლოსაც გაიგებს, ის მოკვდება ან ზღვის
ისწავლის ცხოვრებას; და იმ კაცს, ვინც მონაწილეობს ამ შლეგუბ
რომელშიც ყოველთვის ზღვაა გამარჯვებული, ყოველთვის გაუხარდება, მძიმე
ახალგაზრდულ ხელს რომ დაპკრავენ ზურგზე და ზღვის ლეკვის დაბოხებულ
ხმას გაიგონებს, თუ გახსოვართ, სერ? მაშინ მე პატარა, ესა და ეს ვიყავიო.

მე თქვენ გეუბნებით, დიდებულია; მე თქვენ გეუბნებით, ცხოვრებაში
ერთხელ მაინც ხომ დაგიფასდათ შრომა. ზურგზე ხელი დამკრეს, შუბლი შემეკ-
მუხნა, რადგან მძიმე იყო ეს ხელი, სამაგიეროდ მთელი დღე ნათელი ჩამდგომო-
და გულში. აღარც მარტოობას ვგრძნობდი ამქვეყნად ამ გულითადი მისალმე-
ბის შემდეგ. თუ გახსოვთ, ესა და ეს ვარო მე! მე თქვენ გეუბნებით, ადამიანის
ცნობა მე არც უნდა მიჭირდეს, მოვკარი თვალი თუ არა იმ ყმაწვილკაცს, მივ-
ხვდი, შემიძლია მთელი გემბანი ვანდო, თავად კი წავიდე და არხეინად დავიძინო
და, ღმერთო დიდებულო! თურმე არ ვყოფილვარ მართალი. თავზარდაცემული
ეფიქრობ ამას. ნათელი გადასდიოდა იმას ახალი სოვერენივით, მაგრამ იქნებ
რალაც შენარევი ანიჭებდა ჯოჯოხეთურ ბრწყინვას ამ ლითონს. მაინც რამდენი
იყო შენარევი? სულ ცოტაოდენი... უცხო და დაწყევლილი იოტისოდენი შენა-
რევი. იოტისოდენი-მეთქი! თუმც დარდიმანდულად მდგომარეს რომ დაინახავ-
დით, ასე გაიფიქრებდით... ბრინჯაოსაგან უნდა იყოსო ჩამოსხმული მთლიანად.

არ მჯეროდა. მე თქვენ გეუბნებით, მინდოდა ოთხად მოკეცილი მენახა ეს
ღირსებაშელაბული ყმაწვილკაცი. იმ ორმა, აღარც კი მახსოვდა ისინი, დაინახეს
თავიანთი კაპიტანი და ნელ-ნელა შეეგებნენ. მისეირნობდნენ და მიმასლაათობ-
დნენ და მე იმათი დარდი არც მქონდა, თითქოსდა ისინი არც კი ჩანდნენ შეუ-
იარაღებელი თვალისთვის, ჩაიცინ-ჩაიხითხითეს. შეიძლება ერთმანეთს გაეხუმ-
რნენ, მე ეს არ ვიცი. ერთს ხელი უნდა ჰქონოდა მოტეხილი, მეორე კი, მაღალ-
მაღალი და ჭალარა უღვაშიანი უფროსი მექანიკოსი — მრავალმხრივ ღირსშე-
სანიშნავი კაცი უნდა ყოფილიყო. ჩემთვის კი ორივე არარაობა იყო. მოუახ-
ლოვდნენ კაპიტანს. ის კი ფეხებში იცქირებოდა უსიცოცხლო თვალებით, თით-
ქოსდა უზომოდ გაფუებულიყო რალაც საშინელი დაავადებისაგან თუ რალაც
უცნობ შხამს აგრე სასწაულებრივად ემოქმედა მასზე. თავი ასწია, დაინახა იმის
წინ მდგომარე ის ორნი, პირი დაალო რალაცის სათქმელად, დამცინავად მოელ-
რიცა გარუმბებული სახე და მგონია, ამ დროს რალაც აზრმა გაუელვა თავში.
ხმის ამოფლებლად მოკუმა მახვილი, ჩალურჯებული ტუჩები, მტკიცე გადაწ-
ვეტილებით გპარისთან მიშლაპუნდა და პირუტყვული ძალით დაუწყო ჯაჭგუ-
რი კარის სახელურს, მეგონა, სადაცაა გადმოაბრუნებდა იმას თავის პონიანად
და სუყველაფრიანად. მეეტლემ თავისი ტერფის თვალღერებას თავი გაანება,
შიშით ენა ჩაუვარდა მუცელში და ორივე ხელით ჩაეჭიდა კოფოს, მოტრიალ-
და და რას ეუდავს. ეს ბუმბერაზი ტან-ფეხის კაცი მის გპარიში ჯდება. გრგვინ-
ვა-გრილით გაგორდა ეს პატარა გპარი და გამოჩნდა ჩაგოდრებული, მეწამუ-
ლისფერი კისერი, დიდრონი და დაძაგრული ბარძაყები, გაზინზლული, მწვანე-
ნარინჯისფერზოლებიანი გოლითური ზურგი. საცოდავად ჩაკუქულიყო თავი-
დან ფეხებამდე დასიებულ-აჭრელებული, მთასავით ახორბლილი სხეული.

ამ სასაცილო და შემამრწუნებელ კაცის ხილვისას თავზარი დაგეცემოდათ.

წავიდა, გაქრა, მე მოველოდი, რომ ორად გაიბობოდა საბურავი იმ პატარა ბორბლებიანი ყუთისა, გადაიხსნებოდა ბამბის მწიფე ბოქოსავეით. მაგრამ ის მხოლოდ დაიწია, ქრიალი მოიღეს ზამბარებმა; უცებ ჩამოვწყვეთ კალუზები, მხრები გამოჩნდა იმისი, ძლივს რომ გამოეტია იმ პატარა ხარკში; თავი გამოეყო გარეთ, უზარმაზარი და საძაერო ბურთოვით მონახავე, ოთლით ვახვითქული, გამძვინვარებული, დორბლმორეული და გააფრთხილებული წყველაკრულვით მოუღერა მოუხარშავი ხორცის ნაჭერივით წითელი და მსხვილი მუშტი მეეტლეს, დაუღრიალა იმას, გასწიო, სად? იქნებ წყნარ ოკეანეში, მეეტლემ შათრაბი გადაუჭირა და პონიმ დაიფრუტუნა, შებტა და გაქანდა, სად? აპიაში? პონოლულუში? იმ კაცს 6 000 მილის ტროპიკული სარტყელი ჰქონდა თავშესაქცევად, მისი ზუსტი მისამართი კი მე არ გამიგია, წამის უმაღესად, ფრუტუნით გადაიყვანა იგი პონიმ „მარადიულობაში“, მეტი აღარ მინახავს და უფრო მეტიც, არც ვიცი, ვინმეს თვალი თუ მოუკრავს მისთვის, მას შემდგომ რაც იმ მილრინკულ, პატარა გპარში ჩაჯდა, მოსახვევში გაუჩინარდა და იმის უკან თეთრი მტვერილა დადგა, წავიდა, გაქრა, გაცემტვერდა, მოწამ ჩაყლაპა, და საოცარი ისაა, რომ თითქოს გპარიც წაიყოლია და მე აღარც მინახავს შერე ის წაბლა, ყურჩამთხეული პონი და ის მიბნედილი სახის ტამილელი მეეტლე, თავის მტკივან ფეხს რომ ათვალისწინებდა, მართლაცდა, დიდია წყნარი ოკეანე; მაგრამ ნახა თუ არა იმ კაცმა თავისი ნიჭის გამოსავლინებელი ადგილი, არ ვიცი. ფაქტი კი რჩება ფაქტად, ისე განქარდა სივრცეში, ვითარცა ცოცხის ტარზე გადამჯდარი კუდიანი, ის ხელჩამოკიდული კაცუნა გამოენტო იმ ეტლს კიკინით: „კაპიტანო! ერთი წუთით, კაპიტანო-მეთქი! მე თქვე-ე-ე-ენი!“ გარბინა რამდენიმე ნაბიჯი, შეჩერდა, თავი ჩაქინდრა, ნელა უკან გამობრუნდა, ბორბლები რომ აგრიალდა, ის ყმაწვილკაცი უცებ შემოტრიალდა იქვე, სიდიც იდგა, შერე ისევ გაირინდა, აღარც განძრეულა, არც არაფერი უთქვამს და იქით იმზირებოდა, სადაც ის გპარი გაქრა.

ყველაფერი უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე მე გიამბობთ, მიზეზი ის არის, რომ მე გიყვებით წამით ნანახს და ასე უფრო კარგად ვადმოგცემთ, სულ ცოტა ხანი გავიდა და შერეული სისხლის მოხელე გამოჩნდა, არჩის გამოეგზავნა, ერთი იმ საწყალ და გაუბედურებულ „პატნელებს“ დახედეო, ხოდა, ისიც თავშიშველი გამოვარდა, აქეთ-იქით იხედებოდა, საგულდაგულოდ უნდოდა ამ დავალების შესრულება, მაგრამ განწირული იყო, მარცხი უნდა მოსელოდა, რადგან უკვე გადაკარგულიყო მთავარი მოქმედი პირი, ხოლო ფაციფუცით რომ მივარდა დანარჩენებს, იმწუთასვე ჩაითრია აყალმაყალში იმ ხელჩამოკიდებულმა კაცმა, თურმე ნუ იტყვიო, ჩხუბი მოსწყურებოდა იმას, ბრძანებები უკვე ყელში მაქვსო ამოსული, „მორჩა, ჯანდაბას“, რამდენი ქოსატყულია დაეთრევა ამ ქვეყანაზე და ეს თავბედი კალმოსანი კი მოციქულად უდგება „ასეთ ხალხს“, სიბრყვეს ის ვერ მოითმენს, თუნდაც მართალს ეუბნებოდნენ. „დიაბ!“ ღრიალი მორთო, ერთი სული მაქვს, ლოგინში როდის ჩავწვებიო, „თქვენ რომ წყვეული პორტუგალიელი არ იყოთ, — გავიგონე მისი ბღვილი, — მიხვდებოდით, საავადმყოფო მჭირდება ახლა მე“, ხოდა, მუშტი დაუტრიალა ცხვირწინ, ბრბო მოგროვდა, თავგზა აერია იმ კაცს, ახსნა-განმარტებას მოჰყვა, კარგი მინდოდაო მე თქვენთვის, აღარ დავუცადე ამ ამბის გასრულებას და წაშოვედი.

მოხდა ისე, რომ იმხანად მე კაცე მეწვა საავადმყოფოში, გამოძიების დაწყების წინააღმდეგ იმის ზანახავად წავედი, თეთრების პაფლატ-ში ამ კაცისას შედე

ხელი, ლოგინზე წრილებდა; ხელზე არტაშანი ჰქონდა გაკეთებული, ვერ იყო თავის ქვედაზე. სახტად დავრჩი, როდესაც ის მეორე, მაღალ-მაღალი, ქალარა, უღვაშჩამოწოლილი კაციც აქ დამხვდა. გამახსენდა, მაშინდელი ჩხუბის დროს გაიპარა, ბორძიკ-ბორძიკით წავიდა, თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცდილობდა შიშის დამალვას. უცხო კაცი არ უნდა ყოფილიყო ამ პორტში, მაგონია, რადგან არ დაიბნა და ბაზრის ახლოს, პირდაპირ მარიანის ფუნდუკში შევიდა. წყალწაღებული მაწანწალა გახლდათ ის მარიანი და იცნობდა კიდევ დევაც ამ კაცს, სადღაც-სადღაც ცუდ საქმეში მოუმართავს იმას ხელი, ხოდა, ახლაც მივლავქუცა, მიეფერა, თავისი ჭუჭყიანი სახლის მეორე სართულზე, ერთ ოთახში შეიყვანა და ბოთლებიც მოართვა. სულის სიღრმეში ამ კაცს, ეტყობა შიში აწვალებდა და დამალვა უნდოდა. კარგა ხნის მერე მარიანამ შითხრა (ჩემს ხომალდზე ამოსულიყო ერთ დღეს, აქაურ სტიუარდს აღარ მოეშვა, სიგარების საფასურს სთხოვდა), უფრო მეტსაც გავუკეთებდი მე იმას, არც არაფერს ვკითხავდიო. ისე, მრავალი წლის წინათ ამ კაცს თურმე რაღაც ბინძური სამსახური გაუწევია მისთვის — როგორც მე გავიგე. ორჯერ დაიკრა მან ყავისფერი მუშტი მკერდზე, დიდრონი შავი თვალეები გადაატრიალა ცრემლმორეულმა: „ანტონიო არასდროს დაივიწყებს ამას... ანტონიო არასდროს დაივიწყებს ამას!“ ზუსტად ვერავისგან ვერ გავიგე ამ უგვანო დახმარების ამბავი, მაგრამ მარიანამ ყველაფერი გაუკეთა რაც შეეძლო, ანუ თავშესაფარი მისცა და იმას ჰქონდა სკამი, მაგიდა და ლეიბიც იმ ოთახის კუთხეში, იქვე ეყარა კედლიდან ჩამოცვენილი ბათქაში და ის თავისი შიშის ზარიც შეეძლო მარიანის სასმელეებით ჩაეხშო. ასე იყო მესამე დღის საღამომდე, როცა შემზარავი ჭყვილით თავს უშველა და ყურბელების ლეგიონს გამოეჭვა, კარი გამოამტვრია, ერთი ნახტომით გადმოვეგლო მიღრინკულ პატარა კიბეს, მარიანის მუცელზე ზღარ-თანხა მოადინა, წამოვარდა და კურდღელივით მოკურცხლა ქუჩაში. ნაგვის გროვაზე დაგორებული უნახავს ის პოლიციას ადრე დილით. პირველად ასე იფიქრა, ჩამოსახრჩობად მივყავართ და ლომივით ეცა იმათ, მაგრამ მაშინ კი, იმის ლოგინზე რომ ჩამოვჯექი, უკვე ორი დღის დაწყნარებული იყო. დიდებული და მშვიდი ჩანდა სასთუმალზე ამ კაცის ხმელ-ხმელი, ბრინჯაოსფერი, ქალარაულვაშიანი სახე, გულჩვილ, ქანცაწყვეტილ მეომარს დამსგავსებოდა, თუმცა რაღაც შემადრწუნებელი განგაში ჩაბუდებულიყო იმის უაზროდ მბრწყინავ თვალეებში, თითქოსდა თავად შიშის ზარი მიკუნჭულიყო მინების მიღმა. მეტისმეტად მშვიდი კი ჩანდა და უცნაური იმედი მომეცა, იქნებ რაღაც მითხრას-მეთქი ამ გახმაურებული ამბის შესახებ. ვერ გეტყვით, ასე გამოწვლილით რად მიხდოდა ამ უბედური შემთხვევის გათავისება, ბოლოს და ბოლოს მე ხომ იმდენად უნდა მცოდნოდა ეს ამბავი, რამდენადაც ეს სჭირდებოდა საზოგადოების წევრს, ამ საზოგადოების წევრობა კი ნიშნავდა ყოველდღიურ ჰაბანწყვეტასა და მორჩილებას ქვეყნის გარკვეული ნორმებისადმი, რომლის ზუსტად ახსნა არც კი შემიძლია. თუ გნებავთ, ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა დაარქვით ამას, მაგრამ ცხადი იყო, რომ მე მსურდა რაღაც მაინც გამეგო ამ ამბავზე. შეიძლება ქვეშეცნეულად ვიმედოვნებდი, რაღაცას მაინც გავიგებ, ენახავ რაღაც ძნელად მისაგვლევ და საბატიო მიზეზს, რაღაც გამართლებას, უდანაშაულობის რაღაც ჩრდილს-მეთქი. ახლა კი კარგად ვხედავ, სულ ამოდღავშვრი, რადგან სათავე ამ ამბისა კაცისავე შექმნილი ჭიუტი, სულისა და გულის გამომჟღავნებელი მოჩვენებაა, რომელიც გაუფალი ნისლივით თავგზას გვიბნევს, იდუმალი მატლივით გვერღნის; დიახაც სიკვდილზე უარესია ვეჭვობდეთ იმ

ძალის მეუფებაზე, რომელსაც ემორჩილება ქვევის მტკიცე ნორმები. საშინე-
ლებაა იმასთან შეყრა, რადგან ეს ხდება საფუძველი გულშემზარავი შიშისა და
გარკვეული უგვახო საქციელისა. მართლაცდა, ჩვენ მაშინ უბედურების ჩრდი-
ლი წამოგვდგომოდა თავს, მჯეროდა მე რამე სასწაულისა? და რად მსურდა მე
ის ასეთი გზებით? საკუთარი თავის ხსნა შინდოდა იქნებ, როდესაც ამ უცხო-
ბი ყმაწვილკაცის ამბავში საპატიო მიზეზის რაღაც ჩრდილს ვხედავდით. ვლო-
მობდი, იმისი გარეგნობა მაიძულებდა მე გარკვეულ ფიქრებს მოვცემოდი მის
პიროვნებაზე, თანაც ხომ ვიცოდი იმისი უილაჯობაც, თვისება ასეთი იდუმალი
და შემზარავი, ყმაწვილკაცთა ცხოვრებაში მომაკვდინებელი ბედისწერის არ-
სებობას რომ მიგვანიშნებს. განა რაღაც ამდაგვარი არ გადაგვხდენია ყოველ
ჩვენთაგანს სიყმაწვილეში. ვაითუ, სწორედ ეს იდუმალი მოტივი მაიძულებდა
თვალთვალს, მართალს გეუბნებით, სასწაულს მოველოდი. დიდ ხანი გავიდა მას
შემდეგ და ახლა კი ვიცი, სასწაული იყო ჩემი უსაზღვრო სიბრყვე, მაშინ კი
მქონდა იმედი, რომ ამ გვეშული და ექვეებით გატანჯული ხეიბრისაგან გავი-
გონებდი შელოცვას და აგრე ვძლევდი სულის მერყეობას, სასოწარკვეთილე-
ბამაც თუ დაძრია ხელი, ხოდა, დრო აღარ დამიკარგავს, უბრალო და მეგობ-
რული მოკითხვის შემდეგ, რაზედაც მან გულგრილი მზადყოფნით მიბასუბა,
„პატნა“ ვუხსენე, ისე, ვითომცდა სულ არაფერი იყო, ჩემთვის სწორედ ასე
სჯობდა. მისი შეშინება მე არ მინდოდა; ამ კაცის დარდი მე არა მქონდა; არც
განრისხებული ვიყავი მასზე და არც შებრალებოდა იგი — მე რა ხელი მქონ-
და იმის განცდებთან, იმის სინანულსაც არ დაგიღვედით, კაცი თაღლითობაში
დაბერდა და უკვე აღარც მისი შეზიზლება შემეძლო და აღარც შებრალება. მან
გაიმეორა, რაო, „პატნაო?“ თითქოსდა გახსენებას ცდილობდა და მერე თქვა:
„მართალს ბრძანებთ აქ დაგებრდი, კაცი მრავალი რამის მომსწრე ვარ; „პატ-
ნას“ ჩაძირვაც საკუთარი თვალით ვნახე.“ გავცეცხლდი ამ ბრყვეული სიცრუის
გავონებისას, მაგრამ მან მაშინვე დასძინა, ქვეწარმავლებით იყოთ სავსე ის ბო-
მალდი.

ვიყუჩე, რას გეუბნება-მეთქი? შეუნიღბავი შიშის ზარი დავიხსენე იმის
შეშინდარ თვალეში, გაოგნებული მომჩერებოდა. „ლოგინიდან წამომაგდეს,
გემის ჩაძირვას მაყურებინეს“, — ასე განაგრძო ჩაფიქრებულმა. შემადრწუნე-
ბელი სიმტკიცე ჩაქდებოდა ხმაში. ვინანე, ასე რამ გამასულელა-მეთქი, მოწყა-
ლების დის ქათქათა ჩაჩიც არსად ჩანდა პალატაში, მხოლოდ რკინის ცარიელი
საწოლები გამწვარივებულიყო. იმ კაცის გარდა კიდევ ერთი იყო აქ ავადმყოფი
— ვიღაც შავგვრემანი, გამხდარი, შუბლზე თეთრ, მოშვეებულ, სახვევიანი კაცი
იჭდა ერთ ლოგინზე; უბედური შემთხვევა მომხდარიყო რეიდზე მდგარ გემ-
ზე და ისიც აქ მოხვედრილიყო. ჩემმა ღირსშესანიშნავმა ხეიბარმა გამოიწვი-
ნა თავისი გაჩხინკული, საცეცის მაგვარი ხელი და მხარში ჩამავლო. „ჩემი თვა-
ლები თუ დაინახავდა იმას, ყველამ იცის ჩემი კარგი მხედველობის ამბავი, ამი-
ტომაც დამიძახეს მე. ყველაზე უფრო ადრე მე დავიხსენე, თუ როგორ იძირე-
ბოდა ის, სანახევროდ იყო ჩაძირული გემი და მხოლოდ მაშინ მიხვდხენ, რა
ხდებოდა, ყველამ იყვირა „აი ასე...“ მეგონა, მგელი აყბუვლდა-მეთქი, თავზა-
რი დამეცა. „პაი, გააჩუმეთ!“ — დასწყვილა უცებ იმ შუბლშებვეულმა კაცმა.
„მგონია, თქვენ არ გჯერათ ჩემი, — თქვა ხეიბარმა ვნით უთქმელი მდიდრე-
რობით, — სპარსეთის ვურავს აქეთ ჩემნაირი მხედველობის კაცს ვერც ნა-
ხავთ. ლოგინის ქვეშ შეიხედეთ“

იმწუთისვე დავიხარე, რაღა თქმა უნდა ვინღა არ იხამდა იმას. „თუ ხე

დავთ რაშეს?" — მან მკითხა. „არაფერს“, — მივუგე მე დიდად შერცხვენილ-
 მა. ზიზლით შემთვალეირა. „დიახ, — თქვა მან, — მე რომ შევიხედო, დაინა-
 ხავ კიდევაც. არავის არა აქვს ჩემნაირი თვალები, მე გეუბნებით“ — კვლავ წა-
 მეტანა. თავი დამაბრევირა, რაღაც ჩუმად უნდა ეთქვა ჩემთვის. „მილიონი ვარ-
 დისფერი გომბეშოა იქ. არავის არა აქვს ჩემნაირი თვალები. მილიონი ვარდის-
 ფერი გომბეშოა-მეთქი. ეს უფრო უარესია, ვიდრე თვალთვალეირება. მილიონი ვარდის-
 მიმავალი გემისა. ჩიბუხის პირიდან გამოუღებლად შემეძლო მთელი დღე მეც-
 კირა გემის ჩაძირვისთვის. ნეტავი რად არ მიბრუნებენ იმ ჩემს ჩიბუხს? მოგ-
 წევდი და თანაც ამ გომბეშოებს ვუთვალთვალეობდი. ის გემი სავსე იყო ამე-
 ვებით. თვალთვალი უნდათ ამათ, ხომ იცით“. ეშმაკურად ჩამიპაჭუნა თვალი.
 ოფლმა დამასხა სახეზე, ზურგზე ამეკრა ტიკის ქურთუკი, საღამოს ნიაფი დაქ-
 როდა იმ ლოგინების თავზე, ფართხუნი გაპქონდა ფარდის ნაკეცებს და ებ-
 ლებოდა სპილენძის რიკულებს, იმ ცარიელ საწოლებზე გადაფარებული ზეწრე-
 ბი ჩამოშლილიყვნენ და უხმაუროდ ფრიალებდნენ მთელ ოთახში, შიშველი ია-
 ტაკის პირზე. ძვალ-რბილში გამიჯდა სუსხი. ტროპიკების ნიაფი დაშტია-
 ლობდა აქ ვითარცა ჩემს სამშობლოში ქარაშოტი ნალიაში. „ნუ აძლევთ ღრი-
 ალის უფლებას, ბატონო“. — შორიდან გამომძახა იმ შუბლშებვეულმა კაცმა
 სასოწარკვეთილების მრისხანებით და თითქოსდა გვირაბშიო, ისე, ნაწყვეტ-
 ნაწყვეტად გაისმა ამ ოთხკედელში მისი ხმა. მარწუხებივით ჩამკიდებოდა ისევ
 იმ ხეობის ხელი მხარში, ეშმაკურად მიმზერდა. „მთელი გემი იმეებით იყო
 სავსე, გესმით, ხოდა გამოვიპარეთ. — ჩქარა-ჩქარა აჩურჩულდა იგი. — ყველა
 ვარდისფერია. ყველა ვარდისფერია-მეთქი... მასტიფივით ვებერთელანი არიან.
 ზედ კონკრეტზე აქვთ ერთი თვალი, საშინელი პირის ირგვლივ კი ტანგები. პოი!
 პოი!“ — კანკალი აუვარდა, თითქოსდა დენმა დაუარაო, საბნის ქვეშ უხტოდ-
 ნენ გაჩხინკული ფეხები, ჩემს მხარს თავი დაანება და ხელები გაასავსაავა, მთე-
 ლი სხეული უცახცახებდა ქნარის მოშვებული სიმბივით, ვუმზერდი მე იმას და
 ამ დროს თითქოს იმისი შუშისდარი თვალების მიღმა ჩაჩუმქრული შიში გა-
 მოიჭრა გარეთ. ბებური ქარისკაცივით სანდომიანი საბე ჩემს თვალწინ შემზა-
 რავად შეეცვალა, ერთდროულად დაეტყო ცბიერება, შიშის ზარი და სასოწარ-
 კვეთილება. ძლივს იკავებდა ყვირილს — „სს! რას შერებიან ისინი დაბლა“,
 იკითხა მან, იატაკისკენ გაეშვირა ხელი, ფრთხილობდა, ხმა უთრთოდა, მაშინვე
 ამ სიფრთხილის მიზეზს და ჩემთვისაც ამაზრუნენი იყო ეს მიხვედრა. „ყველას
 სძინავს“, — მივუგე მე. თვალს არ ვაცილებდი. სწორედაც ეს უნდა მეთქვა.
 სწორედაც ეს უნდა მეთქვა. სწორედ იმის გაგონება უნდოდა იმას, მხოლოდ ამ
 სიტყვებს შეეძლო მისი დამშვიდება. სული მოითქვა. „სს! ჩუმად, ჩუმად-მეთქი.
 დიდი ხანია ვცხოვრობ აქ. კარგადაც ვიცნობ ამ ბილწებს, პირველივეს თავს
 დავუჩეჩქვავ, როგორც კი შეტოკდება. ბევრნი არიან, ათ წუთსაც ვერ გაძლებს
 გემი“. კვლავ ამოიხვნეშა. „ჩქარა. — უეცრად აღრიალდა ის. მალე ტყვილიც
 მოაყოლია: — ყველამ გაიღვიძა... მილიონი არის. შემაცოცდნენ! დაიცადეთ!
 პოი, დაიცადეთ! მიშველეთ! მიშველეთ-ე-ე-ეთ!“ ჩემი მარცხი ამ გაუთავებელმა,
 გაბმულმა ღრიალმა დაავვირგვინა. დაეინახე. იმ შუბლშებვეულმა კაცმა საწ-
 ყალობლად აიფარა ორივე ხელი ყურებზე, პალატის სიღრმეში, თითქოსდა ტე-
 ლესკოპის მეორე ბოლოშიო, ნიკაპამდე წინსაფრიალი ექთანს გამოჩნდა. მივხ-
 ვდი ჩემს სრულ მარცხს, გამოვიძურწე, იმ შემინულ კართაგან ერთ-ერთი გამო-
 ვიარე და აივანზე გამოვედი. შურისგებასავით მომწვდა იმისი ღრიალი. მივად-
 წიე კიბის ცარიელ ბაქანს და უეცრად ყველაფერი დაჩუმდა, დაწყნარდა ჩემ

ირგვლივ. მოტიტვლებული, ნათელი კიბე ჩამოვიარე ამ სიხუმეში, ახლა კი შე-
მედლო გონების მოკრება. დაბლა, საავადმყოფოს ეზოში აქაური ექიმი შემხ-
ვდა და შემაჩერა: „თქვენ იმ კაცის სანახავად მოხვედით. კაპიტანო? მე მგონია,
ხეალვე გამოვუშვებთ იმას. საკუთარი თავის მოვლა არ იციან ამ ბრიყვებმა, გეს-
მით. იმ მლოცველთა გემიდან მოიყვანეს ჩვენთან ეს უფროსი მექანიკოსი.
ფრიად საყურადღებო შემთხვევაა, მძიმე ფორმის D. I. ^{მექანიკოსი} ^{დელუზიული} ^{მექანიკოსი} ამ
სამ დღეში იმ ბერძნის თუ იტალიელის დუქანში, აბა რა გეგონათ, ოთხ-ოთხი
ბოდილი არაყი, გესმით, თუკი დავიჯერებთ, საკვირველია სწორედ, მოკალუელი
აქვთ მთელი შიგანი, მე მგონია. ხოდა, თავი, რასაკვირველია, ამდენს ვერ გაუ-
ძლებდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ გარკვეული თანმიმდევრულობა ჩანდა იმის
ხილვებში. ვცდილობ გავიგო ამისი მიზეზი. საოცარია სწორედ, გარკვეული
ლოგიკაც მედავნიდება მის ბოდივაში. მეტწილად გველები უღანდება ხოლმე,
მაგრამ ამჯერად ასე არ მომხდარა. ძველ ჩვეულებას უღალატა. ჰო! მას... დიახ...
ბაყაყები მოსჩვენებია. ხა! ხა! არა, მართალს გეუბნებით. ასეთი საკვირველი
ლოთი არც არასოდეს მინახავს. ნუთუ თქვენ არ იცით, კი უნდა მომკვდარიყო
ასეთი მხიარული ექსპერიმენტების შემდეგ! ჰო! ჯანმაცარი კაცი ყოფილა, ოც-
დაოთხი წელიწადი დაპყრო ტროპიკებში, ერთი კი უნდა ნახოს ადამიანმა, კარგი
სანახავია ის ბებერი ლოთიფოთი, მართლაცდა, ასეთი დიდებული კაცი მე არ
მინახია... მედიცინის თვალსაზრისით. რაღა თქმა უნდა, რას იტყვიო?

თავაზიანად ვუგდებდი ყურს, მერე წავიჩურჩულე, სამწუხაროდ, დრო არა
მაქვს-მეთქი, ხელი ჩამოვართვი და საწრაფოდ წამოვედი. „მე გეუბნებით, —
მომადახა იმან, — იმას არ შეუძლია სასამართლოზე მოსვლა, თუ აქვს ამას რა-
მე მნიშვნელობა, როგორ ფიქრობთ?“

არა მგონია-მეთქი, გავძახე ჳიშკრიდან.

თავი II

ხელისუფალნიც, როგორც ჩანს, ასეთი აზრისა იყვნენ, სასამართლო გამო-
ძიება არ გადაუდვიათ. მართლმსაჯულება უნდა დაკმაყოფილებულიყო და და-
ნიშნულ დღეს, რაკილა გახმაურებულიყო ეს ამბავი, ბევრმა ხალხმა მოიყარა
თავი. ფაქტების მხრივ საექვო არაფერი არ ყოფილა, უფრო სწორად, არსებითი
ფაქტის მხრივ-მეთქი, თუ როგორ დაიღეწა „პატნა“, შეუძლებელი იყო ამის
მოკვლევა, სასამართლო არც მოითხოვდა ამას და არც არავის სწუხებდა ეს
ამბავი. მაგრამ, როგორც მე ვითხარით, პორტის ყველა მეზღვაური მოსულიყო
აქ, სანაპიროს საქმოსნებიც მრავალნი იყვნენ, შეიძლება თავად არ იცოდნენ,
აქ, სანაპიროს საქმოსნებიც მრავალნი იყვნენ, შეიძლება თავად არ იცოდნენ,
— მოლოდინი ერთი მნიშვნელოვანი გამოაშკარაებებისა, მაშინ გამოჩნდებოდა
ადამიანის გრძნობების ძალა, ძლიერება და შემზარაობა. მაგრამ, რაღა
თქმა უნდა ასეთი რა უნდა გამოაშკარაებულყო, დაკითხვა იმ ერთად-ერთი
კაცისა, რომელსაც შეეძლო რაღაც ეთქვა, კარგად ცნობილი ფაქტის გარშემო
ტრიალებდა და მეტი არაფერი, ხოლო ეს გაუთავებელი გამოკითხვა შეიძლება
ისეთივე ყოფილიყო, როგორც ჩაქუჩის კაუნი რკინის ყუთზე იმის გასაგებად,
თუ რა ინახება შიგ. სხვა რაღა უნდა მოეხდინა ოფიციალურ გამოძიებას. მთა-
ვარი იყო ამ საქმის გამო დაესვათ ასეთი კითხვა, „რატომ“ და არა უმნიშვნე-
ლო — „როგორ“.

*Delirium tremens (ლათ.) — თეთრი ციებცხელება.

იმ ყმაწვილკაცს შეეძლო პასუხი გაეცა ამ კითხვაზე და სწორედ ეს იყო ის კითხვა, რომლის პასუხიც აინტერესებდა ხალხს, მაგრამ აქ იძლეოდნენ ისეთ კითხვებს, რომ მიუკვლეველი რჩებოდა ამ საქმის არსი, რაც, ჩემის აზრით, დიასაც შეიძლება ყოფილიყო ერთადერთი სიმაართლე. თქვენ ხომ არც მოკვლით იმას, რომ ხელისუფალნი შეეცდებიან ადამიანის სულის მოძრაობის მიკვლევას... მისივე ღვიძლის გამოკვლევის მეშვეობით? იმათი საქმე იყო უკმაყოფილოდ ვით ჩაღრმავებოდნენ ყოველ წერილმანს და, მართლაც, მოსამართლესა [ხმამ] ორ საზღვაო მოხელეს მეტი არც არაფერი შეეძლოთ. მე სულაც არ მინდა იმის თქმა, სულელები იყვნენ-მეთქი ისინი. დიდი მოთმინებით გამოირჩეოდა მოსამართლე, იმ მოხელეთაგან ერთი კი გახლდათ იალქნიანი ხომალდის კაპიტანი, მწითურწვერიანი, ღვთისნიერი კაცი. ბრაერლი იყო მეორე. დიდი ბრაერლი, ზოგიერთი თქვენთაგანი კი იცნობდა დიდ ბრაერლის — კაპიტანს „ცისფერი ვარსკვლავის ხაზის“ ცნობილი გემისა. სწორედ ის გახლდათ.

თითქოსდა თავმოებეზრებული ჩანდა ამ პატივით. ცხოვრებაში იმას ერთხელაც არ მოსვლია მარცხი, რამე ცუდი ამბავი, არც ხელი მოცარვია როდისმე, არც არაფერი გადალობებია გზაზე და, როგორც ჩანს, გახლდათ ის სვებედნიერი კაცი, რომელმაც არ იცის ორჭოფობა და, მით უმეტეს, გულგატეხილობა. ოცდათორმეტი წლისა უკვე აღმოსავლეთის სავაჭრო ხაზის ერთ-ერთ საუკეთესო ხომალდს მეთაურობდა და, უფრო მეტიც, თავადაც ასე სჯეროდა, იმ გემზე საუცხოოს ამქვეყნად ვერც ვერაფერს ნახავდით. მე მგონია, პირდაპირ რომ გეკითხათ, იმასაც გეტყოდით, საუკეთესო კაპიტანიც ჰყავსო იმ გემს. სწორედ ღირსეულ კაცს ხვდა წილად კაპიტნობა. დანარჩენი კაცობრიობიდან ყოველი, ვინც არ გაძლოლია თექვსმეტკვანძიან ფოლადის ორთქლის გემს, „ოსას“, კი არის საბრალო არსება სწორედ. ბევრნი გადაურჩენია ზღვაში, ადამიანები, განსაცდელში ჩავარდნილი ხომალდები, ამიტომ მისთვის ოქროს ქრონომეტრი უყიდიათ საჩუქრად, ბინოკლებიც ჰქონდა სათანადო წარწერითურთ უცხო ქვეყნების მთავრობებისაგან მორთმეული იმ ზემოხსენებული დამსახურების აღსანიშნავად. კარგადაც იცოდა იმ თავისი ნაღვაწისა და ჭილდოების ფასი. მომწონდა ის კაცი, მაგრამ ესეც ვიცოდი, რომ ზოგიერთ თავმდაბალ და გულითად ადამიანს არ უყვარდა იგი. ის კაცი მედიდურად რომ მიყურებდა. სულაც არ იყო საკვირველი, თუნდაც აღმოსავლეთის ან დასავლეთის ხელმწიფე ვყოფილიყავი, ჩემს უდიდებულესობას მაინც უგულვებელყოფდა იგი. მაგრამ მე მაინც არ მწყინდა ეს ამბავი. ცხვირაწეული იმიტომ კი არ მიმზერდა, რომ უხეირო ვიყავი ან რამე ნაკლი მქონდა, და რატომ... თუ იცით? სულ უმნიშვნელო გახლდით იმის თვალში, რადგან მე არ ვიყავი უბედნიერესი კაცი დედამიწაზე, არ ვიყავი მონტეგოუ ბრაერლი, „ოსას“ კაპიტანი, ჩემი საკუთრება არ იყო ოქროს ქრონომეტრი წარწერითურთ და ის მოვერცხლილი ბინოკლები, რომლებიც წარმოაჩენდნენ ჩემს მეზღვაურულ ხელოვნებასა და ენით უთქმელ სიმამაცეს. მე არა მქონდა ღირსება ესოდენ დიდად დამსახურებული და დაჭილდოებული კაცისა, იმაზე თუ აღარაფერს ვიტყვით, რომ მე არა მყავდა ყორნისფერი მონადირე ძაღლი, ამ დიდებულ ცხოველს კი ისე უყვარდა თავისი პატრონი, რომ, არა მგონია, ოთხფეხს სადმე ჰყვარებოდეს ვინმე. თქმა არ უნდა, რა ხასიათზე უნდა იყოს ასეთი ძალმოსილების მხილველი, მაგრამ როდესაც ვფიქრობდი, თორმეტი ასეული მილიონი ადამიანი შეილია ჩემს დღეში და მე რაღა უნდა მაღარდებდეს-მეთქი, მაშინ როგორღა უნდა მეთქვა სამდურავი ამ რიდაცით საამურ კაცთან ყოფნის ხანს. ვერ ჩავხვდი, რითი იყო ის საამური, მაგრამ

ხანდახან კი მშურდა მისი. ცხოვრებისეულ უკუღმართობას ვერაფერი დაუკ-
ლია მისი მზვარობარი გულისთვის, ასევე ვერც ქინძისთავი გაქაწრავდა სალი
კლდის პირს, მოდი და არ შემშურებოდა მისი. შევეცქეროდი მე იმას, მჭდომარ-
რეს ზაფრანისფერი სახის სასამართლოს თავმჭდომარის გვერდით და მეც და
მთელ ქვეყნიერებასაც ის კაცი გვეგონა გრანტივით მტყუცუცუფელ მოიკლა
სულ მალე ამის მერე.

შინჯორთხეა

ჯიმის საქმეს, რაღაა აქ საკვირველი, თავი მოებზრებინა მისთვის და რა-
ღაც შიშის მაგვარი გრძნობით რომ ვფიქრობდი, ამ ყმაწვილკაცისადმი რა დი-
დი სიძულვილი უნდა ჰქონდეს-მეთქი, ის შეიძლება ჩუმად საკუთარი საქმის
გამოძიებას შედგომოდა. განაჩენი დაუნდობელი გამოდგა და სამხილის საი-
დუმლოებანი, როგორც ჩანს, თან ჩაიტანა ზღვაში. თუკი მე რამე მესმის ადა-
მიანისა, უთუოდ ძალზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ეს საქმე, წვრილმან-
წვრილმან რაღაცებს ამ კაცისთვის გაუღვიძებია ფიქრი, რომელთანაც გაძნელე-
ბია მას შეგუება და კიდევაც მოისწრაფა სიცოცხლე. მე ასე მგონია, რადგან
ვიცოდი, ფული არ უჭირდა, დალევა არ უყვარდა, არც ვინმე ქალს გადაპყრია,
გემიდან ზღვაში რომ გადახტა, სასამართლოს დამთავრებიდან ერთი კვირა იყო
გასული, ხოლო სამ დღეზე ნაკლები, რაც ნავსადგურიდან გავიდნენ, თითქოსდა
სწორედ იმ ადგილას, შუაგულ წყალში უეცრად დაუნახავს სხვა სამყაროში მი-
მავალი ფართოდ გაღებული კარიბჭე.

უეცრად არ მოსვლია ეს აზრი თავში. კალაროსანი კაცი ვახლდით მისი
თანაშემწე, პირველი კლასის მეზღვაური, სხვებთან ეს დიდებული მოხუცი კი
გამოირჩეოდა თავაზიანობით, მაგრამ თავის კაპიტანთან სულ იბღვირებოდა,
პირველად ვხედავდი ასეთ შემთხვევას, ხოდა, ეს კაცი ცრემლმორეული მიყ-
ვებოდა იმის ამბავს: გემბანზე ამოსულიყო და დაუნახავს, ბრაერლი რაღაცას
წერდა შტურმანის ჟიხურში. „ოთხს ათი წუთი უკლდა, — მიამბო იმან, — შუა
ხანის ვახტა, რაღა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ იყო შეცვლილი. ხიდურზე მეორე
თანაშემწეს გამოველაპარაკე, იმან გაიგონა ჩემი ხმა და დამიძახა, მართალი
უნდა გითხრათ, კაპიტანო მარლოუ, მე არ მიწოდდა იმასთან მისვლა, გულზე არ
მეხატებოდა ის საწყალი კაპიტანი ბრაერლი და იმიტომ. ახლა გეუბნებით ამას
და სარცხვილით ვიწვი, კაცის ცნობა არც არასდროს შეგვიძლია ჩვენ. მე ნუ-
ღარ მიმათვლით და იმას სხვა ბევრსაც გადააბიჭებინეს თავზე და ისე დანიშნეს.
ადამიანის დამცირება მას სულ ადვილად შეეძლო, დასწყევლოს ღმერთმა, თუნ-
დაც დილა მშვიდობისა ეთქვა და მეტი არაფერი, მაინც საწყენი იქნებოდა ეს
თქვენთვის. მხოლოდ საქმეზე თუ მივმართავდი მე იმას, სერ, და მაშინაც ენას
კბილს ვაჭერდი. ძლივს ვიკავებდი თავს (საკუთარი თავი დაინდო აქ, ხშირად
გავოცებულვარ, ამდენს უთმენს იმას ბრაერლი და რად არ გადასვამს-მეთქი
სადმე შუა ვზაზე). ცოლ-შვილი მყავს მე. — განაგრძო იმან, — ათი წელია
რაც ამ კომპანიაში ვმსახურობ და ველოდები მე სულელი, იი ახლა მომცემენ-
მეთქი კაპიტნობას, ხოდა, იმ კაცმა დამიძახა: „შემობრძანდით აქ, ბ-ნო ჯონს“,
თავისებურად, მედიდურად მითხრა, შემობრძანდითო აქ, ბ-ნო ჯონს, შევედი.
„ჩვენი მდგომარეობა აღენიშნოთ ახლა“, თქვა იმან და რუკაზე დაიხარა, ფარ-
გალი ეჭირა ხელში, წესისამებრ ეს თანაშემწემ უნდა გააკეთოს თავისი ვახტის
დასასრულს, მაგრამ არაფერი მითქვამს და ვუყურებდი, პაწაწინა ჯვრით აღ-
ნიშნა ხომალდის მდებარეობა, თარიღი და საათიც მიაწერა. კარგად მახსოვს ის
ღამეზად გამოყვანილი ციფრები, ჩვიდმეტი, რვა, ოთხი და ა. შ, წელიწადი წი-
თელი მეღნით იყო წარწერილი რუკაზე, კაპიტანი ბრაერლი ერთ წელიწადზე

მეტს არ ზმარობდა რუკას. ის რუკა ახლა მე მაქვს. ჩაწერა, წამოდგა, დახედა იმ რუკას, გაიღიმა და შემომხედა. „ოცდათხუთმეტი მილი. ასე იარეთ, — მითხრა მან, — რაღა უნდა მოხდეს, მერე კი სამხრეთისკენ გადაუხვიეთ ოცი გრადუსით“.



— მაშინ ჩვენ ჰექტორ ბენკის ჩრდილოეთით მივცურავდით, და იგი, — დიახ, სერ-მეთქი, მე მივუგე. გამაოცა ამ კაცის ფაცაფაქიანი შეცვლისას მაინც უნდა დამეძახა იმისთვის, რვა ზარი ჩამოჰკრეს ზე გამოვედით და სანამ ჩამოვიდოდით, იმ მეორე თანაშემწემ ჩვეულებისამებრ მოგვახსენა, სამოცდათხუთმეტიათ ლაგის მიხედვით. კაპიტანმა ბრაერლიმ შემდეგ საქვს ოცი გრადუსით შეატრიალებთ. გზა რად უნდა გაიგრძელოთ, ასე არა სჯობია? ასე დიდხანს არც არასდროს ულაპარაკია, და უმიზნოდაც, ჩემის კომპასს დახედა და მერე ირგვლივ მიმოიხედა. მრუმე და გადაწმენდილი იყო ცა, ვარსკვლავები კაშკაშებდნენ ისე, როგორც ციფ, მაღალ განედებში იცის ღამლაშობით. ამოიოხრა იმან უცებ და მითხრა, „თავად გავალ კიჩოზე და ნულზე დავაყენებ ლაგს, შეცდომა რომ არ მოგიფიდეთ. ოცდათორმეტი მილი ასე იარეთ და არც არაფერი მოხდება. ყური მიგდეთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ლაგი ექვსი პროცენტით ტყუის, მაშინ ოცდაათი მილი უნდა იაროთ ასე. მოეკიდა კუდში, არ მითქვამს იმისთვის. კიბეზე ჩავიდა, ხოდა, ის ძალღიჯ გამოეკიდა კუდში, დღე და ღამე არ სცილდებოდა. მესმოდა, ბალიბუკი გაჰქონდა ამ კაცის ქუსლებს გემბანზე, მერე შეჩერდა და ძალს უთხრა — უკან დაბრუნდი! როგერ. ხიდურზე, უკან დაბრუნდიო. შემდეგ იმან გამომძახა სიბნელეში: „ძალღიჯი ჩიხურში ჩაკეტეთ, ბ-ნო ჯონს, ხომ გესმით?“

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო, კაპიტანო მარლოუ. ვინმე სულიერს ის აღარ დალაპარაკებია, სერ, — მოხუცი კაცი ახლა უკვე ლულულულებდა. — ვაითუ ის ძალღიჯი ჩემთან ერთად გადმოხტესო, გესმით? — განაგრძო ხმაკანკალებულმა. — დიახ, კაპიტანო მარლოუ. ლაგი დამიყენა; მერე კი, დამიჭერეთ, დაუხვთავს კიდევაც. ზეთიანი ქურქელი იქვე იდო, ხელმარცხნივ. ხუთის ნახევარი იქნებოდა, როდესაც ბოცმანის თანაშემწემ მილი დაიკავა ხელში და კიჩოზე გავიდა იატაკის მოსარეცხავად. მერე ის მილი მიაგდო ხიდურზე ამოვარდა და მომძახა: კიჩოზე წამობრძანდით, ბ-ნო ჯოუნზ, საოცარი ასბავია, მე იმას ხელს ვერ ვახლებო. კაპიტან ბრაერლის ოქროს ტრონომეტრი იყო ძეწკვით სავსე დაგულოდ დაკიდებული სახელურზე.

დავინახე თუ არა ის, თავში დამკრა და ყველაფერს მივხედი, სერ. მუხლები მომეკვეთა, თითქოსდა ცხადლივ დავინახე, როგორ ხტება ის წყალში. ესეც შემიძლია ვითხრათ, ვიცი, სადაც მოხდა ეს ამბავი, თვრამეტსა და სამ მეოთხედ მილს გვიჩვენებდა ლაგი, მთავარი ანძის გარშემო დამაგრებული ბაგირის დასახვევა რკინის ღეროები ჭიბეში ჩაულაგებია, ალბათ ფიქრობდა, ქვემოთ ჩამქაჩავსო, მაგრამ, ღმერთო დიდებულო, კაპიტან ბრაერლისთანა ძლიერ კაცს რკინის კოხტი ნაჭერზე რას უზამდა. იქნებ ბოლო წუთს შეირყა იმისი თავდაჯერებულობა და მთელ სიცოცხლეში ერთხელ, მაშინდა შეიცვალა ფერი, მე მგონია, მაგრამ თუნდაც დავიფიცებ, რაკილა გადაწყვიტა, მერე არც შეეცდებოდა ხელის გახტრევას. შემთხვევით რომ მოსვლოდა ეს ამბავი, წყალში ჩავარდნილი მთელი დღე გაძლებდა. დიახ, სერ, მეორე ისეთ კაცს ვერ ნახავდით — თავდაც ასე უთქვამს თავის თავზე, მე გამიგონია. თრი წერილი დაუწერია იმ ვახტის დროს. ერთი კომპანიისთვის გადასაგზავნად, მეორე — ჩემთვის, მრავალ რჩევა-დარიგებას მაძლევდა. ასე და ასე უნდა მოიქცეო ამ მგზავრობის

ხანს; მე მაშინ დავცურავდი სავაჭრო გემებზე, როდესაც ის ჭერ კიდევ არც კი იყო დაბადებული, მწერდა, ასე და ასე უნდა მოიქცეო ჩვენებთან შანხაიში, რათა შენ მოგცენო „ოსას“ კაპიტნობა. მაშა თუ მისწერდა ასე თქვენი სავაჭრო ვაჭარს, კაპიტანო მარლოუ, მე კი ზომ ოცრაბუთი წელი იქნებოდა. ვიყავი და მაშინ მიგემნია მარლიანი წყალი, როდესაც ის სულაც უშარგლოდ დარბოდა. მეპატრონეებისადმი გაგზავნილ წერილში — ^{მარლიანი წყალი} — რათა მე მენახა — ის წერდა, რომ ყოველთვის პირნათლად იხდინა თავის მოვალეობას იმათ წინაშე სულ უკანასკნელ წუთებამდეც და ახლაც არ რჩება იმათთან პირშავად და გემს უტოვებს იმ კაცს, ვინც დიდებული მეზღვაურია, უკეთეს ვერც ნახავდნენ. — მე მგულისხმობდა, სერ, მე მგულისხმობდა-მეთქი მერე კი სწერდა, თუ ეს მისი უკანასკნელი ნაბიჯი არ დააკარგვინებს იმათ ნდობას. მაშინ ისინი გაითვალისწინებენ ჩემს ერთგულ სამსახურს და იმის გულთბილ რეკომენდაციებს და ასე გამოსძებნიან შემცვლელს მისი სიკვდილის შემდეგ, კიდევ რაღაც ბევრ ამდაგვარს სწერდა, სერ, თვალებს არ ვუჭერებდი, თავბრუს დამეხვა, — დიდი მღელვარებით განაგრძო იმ კაცმა და მარჯვენა თვალი ამოიწმინდა ნიჩაბივით ფართო ცერით, — თქვენ ფიქრობთ, სერ, ის მხოლოდ იმიტომ გადახტა გემიდან, რომ სხვა იმედდაკარგული კაცისთვის მიეცა საშუალება წინ წაწევისა, ასე უეცრად ეს შემადრწუნებელი არჩევანი რამ გააბედობინა თანაც რომ ვფიქრობდი, ამ გზით უნდა მიმეღწია კაპიტნობისთვის, ჩემს კუთაზე არ ვიყავი მთელი კვირა, მაგრამ ნურას უკაცრავად, „პელიონის“ კაპიტანი გადმოიყვანეს „ოსაზე“, შანხაიში ვიყავით, გემზე ამოვიდა გამოპეწენიკებული კაცუნა, სერ, გამოწყობილი ნაცრისფერ უჭრედებიან კოსტიუმში, შუაზე თმა გაყოფილი. „მე-ე ვარ... მე-ე თქვენი ახალი კაპიტანი, ბატონო... ე-ე... ჯოუნზ“, თითქოს სუნამოში უყურუყურებდა, ისე ყარდა, კაპიტანო მარლოუ, მგონია, ისე შევხედე, რომ ენა დაეხა. რაღაცას ლულულუღებდა: „მე არც მიკვირს თქვენი სასოწარკვეთილება... თქვენ კარგად იცით, ჩემი თანაშემწე იქ დატოვეს, „პელიონზე“, კაპიტნად... რას იზამ, კომპანიის მესვეურებმა იცინა, რასაც შვრებიან... მე კი ვწუხვარ...“ ვეუბნები, სერ, ნუ სწუხართ, ბებერი ჯოუნზი, დასწყევლოს ღმერთმა შეუჩვეველია მეთქი ამას, შევხედე იმას და შევამჩნიე, იმის ნაზ ყურებს არ სიამოვნებდა ჩემი სიტყვები, ზოდა, ჩვენს პირველ საუბრებზე რომ დავსხედით, დაიწყო და აღარ გაათავა მურტლად როშვა, რასა ჰგავს და რა ხდებათ ამ გემზე, პანჩისა და ჭუდის* წარმოდგენაზე თუ გამიგონია ასეთი საზიზღარი ხმა. ტუჩები დავიქამე და სანამ შემეძლო თეფშს ჩავცქეროდი, მერე კი ვუთხარი რაღაც-რაღაცები, წამოვარდა ფეხის წვერებზე, მამლაყინწასავით წამოეშალა ქოჩორი, „კაპიტანი ბრაერლი ნუ კი გგონივართ“, — თავადაც ეხედავთ-მეთქი ამას, მივუგე პირქუშად, თავიც აღარ ამიწვია იმ თეფშიდან. „ბებერი და გაუთლელი ხარო თქვენ, ბ-ნო... ე... ე... ჯოუნზ, ზოდა, ასეთს, ბებერსა და გაუთლელს გიცნობენ თქვენ ჩვენი მეპატრონეები“, — შემომჩივლა იმან, ის წყვეული მსახურები კი დვანან იქვე ყურებამდე პირდაღებული. „მოთმინება შეიძლება დიდი მაჭვს, — ვუთხარი მე, — მაგრამ როგორ ავიტანო, არ ვიცი, თქვენ რომ კაპიტან ბრაერლის სავარძელში გხედავთ“. ვთქვი ეს და კიდევაც დავდევი ჩემი დანა-ჩანგალი. „თქვენ გინდოდით თავად მჭადარიყავით აქ, მუცლის გვრემაც ამიტომ გაქვთ“, — დამიღრინა იმან, გამოვედი იმ კაიუტ-კომპანიიდან, ავიჯარი გულდა-ნაბადი და სანაპიროზე გადმოვედი.

ინგლისური თოქინების თეატრის პერსონაჟები.

მტვირთავებიც არ მოსულნიყვნენ ჯერ კიდევ. დიახ. გადმომაგდეს ნაპირზე... ათი წლის ნამსახურევი კაცი... ხოდა, ექვსი ათასი მილის იქით საწყალი ჩემი ცოლი და ის ოთხი ბაღლი ამ განახევრებული ხელფასის ანაბარადღა დარჩნენ. რაღა უნდა ჭამონ. დიახ, სერ! კაპიტან ბრაერლის შეურაცხყოფას შე ვერ ვა ვუძლებდი, სერ, და წამოვედი. თავისი ბინოკლი მე დამიტოვა... აი ეს ამ ძალე ლის პატრონობაც მე ჩამაბარა, აი ესეც. პეი, როვერ, შე საწყალი... დაჩინებულ სად არის, როვერ? — თავისი სევდიანი ყვეთელი თვალებით ამოგვხედა ძალე- მა, საბრალოდ შეპყეფა ერთი და შეიკუჭნა მაგიდის ქვეშ.

მთელი ეს საუბარი მოხდა ორი წლის მერე, იმ დამსხვრეულ ნავტურკელ- ზე „ფაინ-ქუინზე“, რომლის კაპიტნობაც ჯოუნზს ხვდა წილად და — ეს ამ- ბავი ერთი უცნაური შემთხვევის წყალობით მოხდა — მაშინ მატერსონი წა- სულა, გიყუა მატერსონი, როგორც იმას ეძახდნენ, ის, კაცი, პაიფონში რომ დაეხეტებოდა ოკუპაციამდე, თუ გახსოვთ. მოხუცმა კაცმა განაგრძო დუღლუნი:

— პაი, სერ. აქ კი ემახსოვრებათ კაპიტანი ბრაერლი, მეტი არსად. დაწვ- რილებით მივწერე მამამისს, სიტყვაც არ მოუწერია პასუხად — არც მადლო- ბა, არც თუნდაც, ჭანდაბაში წასულხარო! არც არაფერი! თუ იქნებ იმისი სა- ხელის გაგონებაც არ სურდათ.

ვუყურებდი ამ თვალბაწყლიანბულ ბერიკაცს, ჯოუნზს, ვინც ბამბის წი- თელი ცხვირსახოციოთ იწმენდდა მოტვლებილ თავს, ვუმზერდი საცოდავად მო- წავეწკავე ძალს, ბუზებისაგან გასვრილ პატარა კაიუტას, რომელიც ბრაერლის ერთადერთ მოსაგონარ ადგილად ქცეულიყო და ენით უთქმელი უბადრუკი პი- თოსი მიენიჭებინა იმისა ხსოვნისთვის. საკუთარი ზეობის რწმენა ასულდგმუ- ლებდა იმას სიცოცხლეში და ახლა კი, სიკვდილის მერე, შურისმგებელ ძალად გარდასახულიყო, მთელი ცხოვრება თავისი შემზარათობითვე თითქმის-ჭეკურე- ბინა ამ რწმენას. თითქმის-მეთქი! თუ იქნებ სრულიადაც. თვითმკვლელობის უამს რა ხოტბა შეეხება საკუთარი თავისთვის? ვინ იცის?

— რად მოისწრაფა იმან სიცოცხლე, კაპიტანო მარლოუ, როგორ ფიქ- რობთ? — ხელის გულები ერთმანეთისთვის მიეტყუებებინა ჯოუნზს, — რად მეთქი მე მკლავს ეს კითხვა? რად-მეთქი? — დაბალ და დაღარულ შუბლზე ხელი შემოიკრა, — ლარიბ-ლატაკი, ხელმოცარული რომ ყოფილიყო, ანდა მოხუცი, ვალები რომ ჰქონოდა... იქნებ გაგიყდა. მაგრამ ასეთები რომ არ გიყ- დებიან, არა-მეთქი, დამიჯერეთ. თუკი თანაშემწემ არ იცის თავისი შკიპერის ამ- ბავი, არცა ღირს ამისი ცოდნა. ჯეელი, ჭანმრთელი, შეძლებული, უღარდელი... ვზივარ აქ და ვფიქრობ, ვფიქრობ, სანამ გუგუნე არ ამივარდება თავში. კი უნ- და ყოფილიყო რაღაც მიზეზი.

— ნუ სწუხართ ამაზე, კაპიტანო ჯოუნზ, — მივუგე მე, — ისეთი რამე არც უნდა იმალებოდეს ამაში, ჩვენი, ორივეს, შეშფოთება რომ შეეძლოს, — ვუთხარი ეს და თითქოს რაღაცამ გაუნათა იმას გონება; დაბოლოს, იმ საწყალ- მა ბერიკაცმა, ჯოუნზმა, საოცრად ჰკვიანური სიტყვები თქვა. ცხვირი მოიხოცა, თავი ნალელიანად დამიქნია: „ჰო, ჰო! არც თქვენ და არც მე, სერ, არ ვყოფი- ლვართ ასე დიდი წარმოდგენისა საკუთარ თავზე“.

რაღა თქმა უნდა, ვიგონებ ჩემს უკანასკნელ საუბარს ბრაერლისთან და თვალწინ მიდგას მისი სიკვდილი, სულ მალე რომ მოჰყვა ამ საუბარს. საქმის ძიების დროს ველაპარაკე იმას უკანასკნელად. პირველი შესვენების მერე ქუ- ჩაში გამოვიდა ჩემთან ერთად, აღელვებული ჩანდა და გამიკვირდა, რადგან ვიცოდი, თუკი ის ვინმესთან საუბარს იკადრებდა, გულცხვი იყო და იმის მო-

თმინებას თავშექცევის რაღაც კვალი ეტყობოდა, თითქოსდა თავად მოსაუბრის არსებობაც თავშესაქცევე ამბად მიეთვალა. „ამ საქმის გამოსაძიებლად მეც მომიყვანეს, ხომ ხედავთ, — მითხრა და მერე შემომჩივლა, ყოველდღე მიხდებოდა სასამართლოზე სიარული, — კაცმა არ იცის, რამდენ ხანს გასტანს, სამდღეს მაინც, მე მგონია“. ჩუმად ვუსმენდი, ჩემის აზრით, ეს უნდა იყოს კარგი ხერხი განზე დგომისა. „რა საჭიროა? სისუბილესი მისი არაფერი“, — ცხოვლად დასძინა მან, მე ვუთხარი, რას იზამ-მეთქი, მაშინვე გამაწყვეტინა სიტყვა, გაათრებულიყო: „მეც ვზივარ იქ ბრიყვივით. შეგხედე, მეტიმეტი იყო ეს მისთვის. შეჩერდა, კოსტიუმზე წამეტანა. „რად უნდა ვაწამებდეთ იმ ყმაწვილკაცს?“ — მკითხა. გლოვის ზარით ჩამესმა ეს კითხვა, ჩემს ფიქრებს თანხედომოდა და იმიტომ, თვალწინ წარმომიდგა გაქცეული რენეგატი, მაშინვე მივუგე: „თუნდაც ჩამოქიდონ, არ ვიცი, იმასაც სწორედ ეგ უნდა“. კი გავოცდი, როდესაც იმან იმწამსვე მომიჭრა, ბრაზი მორეოდა, რაღაც იფარებოდა იმის სიტყვებში: „ნუთუ ვერ ხედავ, რად გაიპარა ის არამზადა შკიპერი? რაღას ელოდება? ველარაფერი უშველის იმას. მორჩა და გათავდა“, ხმის ამოუღებლად რამდენიმე ნაბიჯი გავიარეთ. „ამ სიბინძურეს რად უნდა ვვამდეთ?“ — ასე შეჰყვირა, ძლიერი აღმოსავლური გამოთქმა მოიშველია, მგონია, ამაზე მძაფრ გამოთქმას ვერც გაიგებთ ორმოცდამეათე მერიდიანის აღმოსავლეთით. გამიკვირდა, ეს რამ ათქმევინა-მეთქი, მაგრამ ახლა კი, კარგიდ ვიცი, თურმე საკუთარი თავის დარდი ჰქონდა მაშინ იმ საწყალ ბრაერლის, მე მივუგე, ცნობილია, იმ „პატნას“ კაპიტანს თავი ქუდში აქვს და გასაქცევად ფულს სადაც უნდა იქ იშოვნის, ჯიბი კი ვერ იზამდა ამას, ხელისუფლებამ ის მეზღვაურის სახლში მიიყვანა ამ რამდენიმე ხნის წინათ და, როგორც ჩანს, იმას გახვრეტილი შაურიც არა აქვს ჯიბეში, გასაქცევად ცოტა ფული მაინცაა-მეთქი საჭირო. „საჭიროაო? ყოველთვის არა“, მითხრა ბრაერლიმ მწარე სიცოცხლით და კიდევ რაღაც-რაღაცები რომ ავუხსენი, მითხრა: „კარგი, ჩაძვრეს ოცო ფუტით მიწაში და იქ დარჩეს! ღვთის მადლმა! მეც სწორედ ასე ვიზამდი“. არ ვიცი რად, მაგრამ ამ სიტყვებმა გამაღიზიანა, მე მივუგე: „კი არის ვაჟკაცური იმისი საქციელი, იმან ხომ კარგიდ იცის, ოღონდ კი გაიქცეს და არც არავინ გამოეკიდება“. „რა ვაჟკაცობაა ეს, — ჩაიბურტყუნა ბრაერლიმ, — ასეთი ვაჟკაცობით კაცი ფონს ვერ გავა, რა ვუთხარი ასეთ ვაჟკაცობას, მე თუ მკითხავთ, სიმხდალე და სიძაბუნეა. ყური მიგდეთ, ორას რუბიას მოგცემთ, ასიც თქვენ დაუმატეთ და უთხარით იმ გლახას, აქედან მოუსვას ხვალ დილით, ჭენტლმენი ჩანს ის ყმაწვილკაცი და მიხედება... უნდა გაიგოს უნდა წაგოდეს! ხალხის თვალთვალი, ეს ჯოჯობეთია, სწორედ ამაზრზენი ამბავია, როდესაც აქაურები, ეს სერანგები, ლასკარები ზემდეგი-მესაქეები მოდიან აქ და ჩვენებს იძლევიან, თავის მოჭრა მეტი თუ შეიძლება, საშინელებაა. ნუთუ თქვენ ვერა გრძნობთ, მარლოუ, რა საშინელებაა, თქვენ ხომ... თქვენ ხომ მეზღვაური ხართ? გაეცლება აქაურობას და ამით ყველაფერი გათავდება“. — ფრიად აღელვებულმა მითხრა ეს ბრაერლიმ, საფულეს ამოღება უნდოდა ჯიბიდან, შევაჩერე და ცივად განვუცხადე, იმ ოთხი კაცის სიმხდალეს არც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს-მეთქი. „თქვენც იტყვიო მეზღვაური ვარო“. — მითხრა განრისხებულმა, მე მივუგე: ვიტყვი და ვარ კიდევაც-მეთქი, ვუთხარი ეს და ვეუბერთელა ხელი გაიქნია უარყოფის ნიშნად, თითქოსდა ამით ჩემს ინდივიდუალობას უარყოფდა და ბრბოსას უტოლებდა. „ამაზე უარესი რა უნდა იყოს, — თქვა მან, — ღირსების გრძნობა თქვენ არა გაქვთ, ბიჭებო, თქვენს მთავარსაც ცოტა თქვით“.

მთელი ეს ხანი ნელა მივდიოდით და ახლა ნავსადგურის შენობის წინ შევჩერდით. სწორედ აქედან განქარდა პატნას ვეება ტანის კაპიტანი იოთარც-ბუმბული ქარიშხალში. გამეღიმა. ბრავო-იმ განაგრძო: „თავი მოგვეტყუა ჩვენთან ვინ არ მუშაობს, წყალწილებული არამზადაც ბევრია. მგონია, წყევლოს ღმერთმა, პროფესიული ღირსება ხომ უნდა შევინარჩუნოთ, თუ არა და რაღა ჩვენ და რაღა ის შარახვეტია მკალაეები. ჩვენი სჯერათ-მეთქი! სჯერათ-მეთქი! მართალი თუ გნებავთ, მე იმ აზიელ მლოცველთა დარდი არა მაქვს, მაგრამ სულ უკანასკნელი გლაზაჟი არ მოიქცეოდა ასე, თუნდაც მხოლოდ ძველმანებით ყოფილიყო დატვირთული გემი. ჩვენს მარაქაში მოხვედრილი ხალხისთვის პატიოსნებაა თავდათავი. ასეთი საქციელი კი სახელს გვიტეხავს. ვაცმა შეიძლება მთელი ცხოვრება ზღვაზე გაატაროს და არც კი მოუხდეს ვაჟკაცობის მოხმობა. მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ... პო... თუკი-მეთქი...

შეჩერდა, კილო შეიცვალა: „მე თქვენ ორას რუბიას მოგცემთ, მარლოუ, ხოდა, იმ ყმაწვილკაცს დაელაპარაკეთ. დალაზვროს ეშმაკმა! ნეტავი არც არასდროს მოსულიყო აქ. მგონია, ჩემიანები იმის ახლობლებს იცნობენ. იმისი მამა, ის ბერიკაცი მღვდელია და გასულ წელს ვნახე, მაშინ ჩემი ბიძაშვილისას ვიყავი ესექსში. რამდენადაც მახსოვს, მოხუცი სულსაც არ დაიშურებდა ამ თავისი მეზღვაური ვაჟიშვილისთვის. რა საშინელებაა. თავად ვერ მივცემ, მაგრამ თქვენ...“

სწორედ ჭიმის წყალობით იყო, რომ წამით შევიცანი ბრაერლის ჭეშმარიტი ხასიათი სულ რამდენიმე დღით ადრე, სანამ ის თავის თავს ზღვას მისცემდა. თქმა არ უნდა, უარვყავი შუამავლობა. „მაგრამ თქვენო“ ისე იყო ნათქვამი (თავი ვერ შეიკავა საბრალო ბრაერლიმ), რომ იმის თვალში მე მღილი ვიყავი და მეტი არაფერი, შეურაცხყოფილი გახლდით ამ მისი წინადადებით და მიზეზი ეს იყო თუ რაღაც სხვა რამე, არ ვიცი, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რა სასტიკი სასჯელი იყო ჭიმისთვის ეს სასამართლო, ის კი თავისი ნება-სურვილით მოსულა აქ და ცდილობს ზღოს ეს საშინელი დანაშაული. მანამდე არ მეგონა თუ ასე იყო. ნაწყენი წავიდა ბრაერლი. ახლა ასე თუ ისე ვიცი, მაგრამ იმ დროს ვერ მივხვდი იმ კაცის განცლებს.

მეორე დღეს სასამართლოზე გვიან მივედი და მარტო დავჯექი. რაღა თქმა უნდა, არ დამვიწყებია საუბარი ბრაერლისთან, ახლა კი ორივენი ჩემ თვალწინ იყვნენ. პირველი ჩანდა პირჭუში, კადნიერი, მეორეს ზიზღნარევი მოყირჭება, მოწყენილობა აღბეჭდოდა სახეზე, მაგრამ მართალი თუ გნებავთ, ერთ შემთხვევაშიც ნიღაბი იყო ეს და მეორეშიც. სევდიანი კი არა, გამძვინვარებული იყო ბრაერლი, ასევე, ჭიმიც არ უნდა ყოფილიყო გაკადნიერებული. ჩემი თეორიის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო-მეთქი. ჩემის აზრით, მას იმედი ჰქონდა წარბოცილი, სწორედ მაშინ შევხვდეთ ერთმანეთს. ხოდა, ისეთი თვალით შემომხედა, რომ მასთან გასაუბრების ხალისი დამეკარგა. თავხედი იყო ის თუ სასწარკვეთილი, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ვარაუდებს, მაინც ვერაფრით ვერ დავეხმარებოდი. პროცესის მეორე დღე იყო. შევხვდეთ ერთმანეთს და მალე სხდომაც შეწყდა, მეორე დღისთვის გადაიდო. გასასვლელს მიაშურეს თეთრმა კაცებმა. ჭიმს ცოტა ხნით ადრე სთხოვეს იმ ამალღებული ადგილიდან ჩამოსვლა და შეეძლო სულაც პირველი გასულიყო გარეთ. კარის ღიობში გამოჩნდა იმისი განიერი ბეჭები და თავიც. გასასვლელისკენ ნელა რომ მივდიოდით, ვილაც გამომელაპარაკა, შემთხვევით მომმართა იმ უცნობმა — სასამართლოზე ვხედავდი მე იმას, აივნის მოაჯირზე ორივე იდაყვდაყრდნობილი იდ-

გა; კობეზე ჩამომავალი ხალხისკენ ზურგით, ჩურჩულიდა და ფეხების შლაპუნით ისმოდა მხოლოდ.

ვილაც ნაცემი მევახშის საქმე უნდა გარჩეულიყო ამის შემდეგ: ბრალდებული ერთი ღირსეული გლეხი გახლდათ, სწორი და თეთრი წვერი ჰქონდა, კართან, ქილოფზე დამჯდარიყო, თავზე ეხვეოდნენ იმასევე მსუბუქი შვილები, ქალიშვილები, სიძეები, ცოლები და მგონია ნახევარი სთფელის ჩვენი მოსული. მუქკანიანი მხრებ და სანახევროდ ზურგმოტიტვლებული ერთი ქალიც იყო აქ, ცხვირში ოქროსრგოლგაყრილი, უეცრად მან მკივანა ხმით ლაპარაკი დაიწყო. ჩემ გვერდით მომავალმა კაცმა თავისდა უნებურად შეხედა იმ ქალს. სწორედ ახლა გამოვიარეთ კარი და ჯიმის ვეება ზურგის უკან აღმოვჩნდით.

ვილაც გლეხს მოეყვანა ის ჩაღისფერი ძაღლი თუ თავისით მოსულიყო აქ, ვერ გეტყვით. ის აქ იყო და მორჩია, ყველას ფეხებში ედებოდა უხმოდ და უჩუმრად, აქაური ჯიშის ძაღლებმა იციან ასე. ხოდა, ჩემ გვერდით მომავალი კაცი კინალამ არ წააქცია. გამოუსხლტა ლაჯებს შუა და იქით გივირდა, მაშინ იმ კაცმა ჩაიციხა და ასე ჩაილაპარაკა, პაიტ, შე ჯაბანო პირუტყვო; ხალხის ნაკადმა ერთმანეთს დაგვაშორა, კედელთან მივდექი მე, იმან კიბე ჩაირბინა და გაუჩინარდა. ჯიმი მკვეთრად შემოტრიალდა, მომიახლოვდა და გზა გადამიღობა. მარტონი დავრჩით, ჯიქურ დამაცქერდა, თითქოსდა უდაბურ ტყეში მოვხვედრილიყავით. ვერანდა დაცარიელებულიყო, ჩამიჩუმიც არ ისმოდა იმ სასამართლო დარბაზიდან, მდუმარება გამეფებულიყო იმ შენობაში და მხოლოდ სადღაც შორს გაისმოდა აღმოსავლური მოთქმა. იმ ძაღლს ვერ მოეხერხებინა კარებში გასვლა, იქვე ჩაცუცქულიყო და ნადირობა გაემართა მკბენარებზე.

— თქვენ მე მეუბნებით ამას? — ჩუმად მკითხა ჯიმმა, წინ გადმოხრილიყო, ჩემკენ, უფრო სწორად, ზედ წამომდგომოდა, ალბათ ხედებით როგორც იქნებოდა. მაშინვე მივუგე, არა-მეთქი. მუქარასავით ჩამესმა იმ ყმაწვილკაცის წარმოთქმული სიტყვები, შევყურებდი ტყეში შეხვედრას ჰგავდა ჩვენი ამბავი ოღონდ ვერ გეტყოდით, თუ რა იქნებოდა შედეგი, იმას არც ჩემი ფული სჭირდებოდა და არც ჩემი სიცოცხლე, ისეთი არაფერი, რასაც დავთმობდი ან დავიცავდი სუფთა სინდისით. პირქუშად მითხრა, თქვენ კი მეუბნებით, არაო, მე ხომ გავიგონეო, სცდებით-მეთქი, მე მივუგე, დაბნეული ვიყავი, თვალს არ ვაცილებდი. კიდევ უფრო მოვლრუბლა სახე, მოვლუშა, იღუშალი ფერით უკრთოდა, სადაცაა გავარდებოდა მეხი.

— რამდენადაც ვიცი, თქვენს გასაგონად კრინტიც არ დამიძრავს, — ვუთხარი მე, სრული სიმართლე იყო. ცოტათი ვბრაზობდი კიდევაც ამ სულელური შეტაკების გამო. ახლა კი ვხვდები, ჩემს ცხოვრებაში შეიძლება პირველად ნაცემი დავრჩენილიყავი... დიახ, მუშტებით ნაცემი. როგორღაც ბუნდად ვგრძნობდი ამას. ცხადლივ დამმუქრებოდა ის ყმაწვილკაცი-მეთქი, ამას ვერ გეტყვით. პირიქით, საკვერველად პასიური გახლდათ — გესმით? დაღვრემილიყო და თუმცა, გოლიათური აღნაგობისა არისო, ამას ვერ იტყოდით, მაგრამ ახლა კი შეეძლო, მგონია, იმას კედლის შელევწვაც კი, ჩემდა სასიხარულოდ იმისი მძვინვარება გალევაზე იყო, ფიქრს მისცემოდა, მერყეობდა, აგრე გულწრფელმა დახვედრამ გასჭრა-მეთქი. პირისპირ ვიდექით, იმ ცემა-ტყეპის ამბავი ირჩეოდა. სასამართლო დარბაზიდან მომესმა: „ხოდა... კამეჩი... კეტია... თავზარდაცემულიო...“

— მთელი ეს დილა მე მიმზერდით, და რატომ? — მითხრა ბოლოს ჯიმმა. შემომხედა, მერე ისევ დახარა თვალები, როგორ გგონიათ, ვაითუ ამ კაცს რამე

ეწყინოსო და ვერც ვერავინ გავბედავდით-მეთქი თავის აწევას? მკაცრად მო-
 ვუჭერი მე. იმის სულელურ გამოხდომას ველარ მოვითმენდი. ისეც შემომხედა,
 კარგა ხანს არ მოუცილებია თვალი ჩემთვის. არა, მასეც უნდა იყოსო, — წარ-
 მოთქვა მან ისე, თითქოსდა თავისი სულიერი მდგომარეობის გაფასების ცდი-
 ლობდა. „მასეც უნდა იყოს. ყველაფერი მე უნდა ვზღვრავდი აქ მან
 უცებ ამოთქვა, — არც არავის მივცემ უფლებას შეურაცხმეოს სასამართლოს
 გარეთ, თქვენთან ვილაც კაცი იყო. თქვენ იმას ესაუბრებოდით... ჰო, დიახ...
 ვიცი, ეს ყველაფერი კარგია. თქვენ იმას ესაუბრებოდით-მეთქი, მაგრამ ჩემ-
 და გასაგონად...“

ძალიან სცდებით-მეთქი, დავარწმუნე მე, თავადაც არ ვიცი, თუ როგორ
 მოხდა-მეთქი. „თქვენ გგონიათ, მე შემეშინდებოდა წყენის გამოხატვა“, —
 თქვა მან ცოტათი გულმტკივნეულად. გაფაციცებით დავაცქერდი იმ ყმაწვილ-
 კაცს, მინდოდა შემემჩნია ყოველი ცვლილება იმისი სახისა. ვერაფერს ვერ
 მიხვდები. მაგრამ რაღაც კი იყო იმის სიტყვებსა და გამოთქმაში, რითაც ჩემი
 გულისხმიერება დაემსახურებინა იმას. აღარც ვბრაზობდი, შეშლოდა
 შემცდარი იყო და გუმანით ვგრძნობდი, შემადრწუნებელი და სავალა-
 ლო უნდა ყოფილიყო ეს შეცდომა. ერთი სული მქონდა ღირსეულად
 დავცილებოდი იმ ყმაწვილკაცს, სწორედ ასე უნდა ჩქარობდეს კაცი,
 როდესაც მიხვდება, არც არავინ სთხოვდა იმას გულის მომკვლელ აღსა-
 რებას. სასაცილო ის იყო, მიუხედავდ მთელი ამ თავაზიანობისა, გულის
 კანკალით იმასაც ვხვდებოდი, სულ ადვილად შეიძლებოდა — დიახაც — ჩვენი
 შეხვედრა ცემა-ტყუპით გასრულებულიყო, ხოდა ვერ ავხსნიდი ამას და შერ-
 ცხვენილიც დავრჩებოდი საბოლოოდ, არც სამი დღით სახელის მოხვეჭა მსუ-
 რდა როგორც იმ კაცს, რომელსაც, ვთქვათ, თვალი ჩაუღურჯა „პატნას“ კაპი-
 ტნის თანაშემწემ. თავად იმას კი, რა ლარი და ხაზი უნდა, დიდად არ შეაწუ-
 ხებდა ეს ამბავი ან სულაც გამართლებული დარჩებოდა საკუთარ თვალში,
 ბრძენთა ხმობა არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ რატომღაც ძალიან გან-
 რისხებულები და კიდევაც ეტყობოდა მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა და
 გაოგნებისა. მე არც იმას უარვყოფ, რომ სულითა და გულით მსურდა, რაღაც
 არ უნდა დამჯდომოდა, მენუგეშებინა იგი, ოღონდ კი მცოდნოდა როგორ. მა-
 გრამ, ცხადია, არ ვიცოდი და თქვენც ეს კარგად გესმით. სინათლის ერთი
 სხივიც არ ჩანდა ამ ბნელ-უკუენეთში. პირისპირ ვიდექით ჩუმად. თხუთმეტ წამს
 ვასტანა ასე, მერე ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი, მზად ვიყავი იმისი დარტყმის მო-
 საგერიებლად, თუმცა კი არც შევეტოკებულვარ. „ერთი ორად ტანბრგე რომ
 იყოთ და ექვსგზის უფრო ძლიერი, — წარმოთქვა მან ჩუმად, — მაშინ კი გეტ-
 ყოდით, რასაც თქვენზე ვფიქრობ, თქვენ...“ შესდექით-მეთქი, მივაძახე. წამით
 შეჩერდა. „სანამ მეტყოდეთ, რასაც ჩემზე ფიქრობთ, — ვუთხარი მე სწრა-
 ფად, იქნებ ამიხსნათ, რა დაგიშავეთ?“ ხმა აღარ ამოუღია, გამძვინვარებული
 მაკვირდებოდა. მთელი ძალით ვცდილობდი გამეხსენებინა, რა ვთქვი. მაგრამ
 აზრი ვერ მოვიკრიბე, სასამართლო დარბაზიდან აღმოსავლურად უქცევდა ვი-
 ლაც გულგრილად და გაუთავებლივ — არა ვსტყუივარო, მერე კი ერთმაშეთს
 აღარ ვაცლიდით ლაპარაკს. „ვინცა ვარ ახლა დაგიმტკიცებთ“, — მითხრა მან

ისე, რომ მალე უნდა გასრულებულიყო ყველაფერი, რა უნდა დამიმტკიცოთ-მეთქი, სწრაფად მივუგე გაცეცხლებულმა, ზიზღით მიმზერდა. „ახლა კი ხედავთ, რომ არაფრის არ მეშინია, ხოდა, გინდათ თავი დაიდევნოთ. — ერთი ეს მოთხარით, ვინ არის ჯაბანი?“ მაშინ კი მივხვდი.

დაჯინებით მაკვირდებოდა, თითქოსდა ეძებდა, სადაც უნდა დაეკრა მუშტი. არც არვის მივცემ ნებასო... — ჩაიბურტყუნა მუქიანი მკერდი. იმაზრუნე შეცდომა მოსვლოდა და კიდევაც გამოაშკარავეთულიყო ეს ამბავი. ვერ გატყვოთ. ისე ვიყავი შეძრწუნებული, მგონია, ეს სახეზე დამეტყო, ხოდა, იმანაც ცოტათი გამოიცვალა კილო. „ღმერთო ჩემო!“ — ასე ამოვიღულულულე, — თქვენ ფიქრობთ, რომ...“ — „ჩემი ყურით გავიგონე“, — პირველად აუწია მან ხმას ამ სავაგლახო პაექრობში, მერე ზიზღნარევი ხმით დასძინა! „ის თქვენ არ იყავით? ძალიან კარგი, მაშინ მე იმ სხვასაც ვიპოვნი“. რაებს მიჭქარავთ, შეეძახე რისხვით, სულაც არ იყო მასე-მეთქი, ჩემი ყურით გავიგონეო, გაიმეორა მან მტკიცად და პირქუში სიჯიუტით.

შეიძლება ვილაცებს სასაცილოდაც მოეჩვენოს ასეთი ენინანობა, მე კი არა, პოი, არა-მეთქი! არც არასდროს მინახავს კაცი ვისაც ასე უწყალოდ გამოეჩინოს თავისი სულის ბუნებრივი მოძრაობანი. სულ უბრალო ერთმა სიტყვამ გამოაშკარავებინა თავი, გამოაშკარავებინა-მეთქი სწორედ მაშინ, როდესაც აუცილებელი იყო დაფარვა სიშიშველზე უფრო მეტადაც, რაებს მიჭქარავთ-მეთქი გავუმეორე მე, იმ სხვამ ხომ თქვა და თქვენც არ უარყოფთო ამას, წარმოთქვა მან მკაფიოდ და თვალის დაუხამხამებლად დამაცქერდა, არც უარყოფ-მეთქი, მივუგე და თვალი თვალში გავუყარე, დაბოლოს იმან ჩემს თითს გააყოლა მზერა, პირველად ვერც ვერაფერს მიხვდა, მერე ჩაფიქრდა, მერე კი ისე განცვიფრდა, თითქოს იმის წინ ურჩხული იყო და ძალლი სულაც არ ჰყავდა ნანახი. თქვენი შეურაცხყოფა არც არავის უფიქრია-მეთქი, მე ვუთხარი.

ის უყურებდა იმ საბრალო ოთხფეხს, რომელიც გაუნძრევლად იჭდა და ნახატი გეგონებოდათ; ყურებდაცქვეტილს კარისკენ მიებრუნებინა წაწვრილებული ცხვირი და უეცრად მოსამართი სათამაშოსავით მკვეთრად მოატრიალა თავი, ბუზს წაეტანა.

შევხედე იმას. სიწითლე მოერია უეცრად იმის მშვენიერ, მზით შერუჯულ ლოყებს და მთელ სახეზე გადაუვიდა, შუბლსა და ხუჭუტა თმის ძირებამდეც მიიტანა. თავში ისე მოსწოლოდა სისხლი, რომ შეუფერიანდა ყურები და ცისფერი თვალებიც ჩაუშუქდა. ბაგენი აუთრთოლდა, თითქოსდა სადაცაა ცრემლი წასკდებოდა. მივხვდი, სიტყვის დაძვრაც აღარ შეეძლო აგრე, დამკვირებულს თუ იქნებ სასოებადაკარგულსაც — ვინ იცის? შეიძლება ცემა-ტყეპით უნდოდა იმას თავის გამართლება, შვების მოპოვება? შეიძლება ფიქრობდა, ასე მოვიოხებო გულს? იმდენად გულუბრყვილო გახლდათ, რომ ყველაფერს მოელოდა; მაგრამ ამ შემთხვევაში სულ ტყუილუბრალოდ გასცა თავი. ჩემთანაც და საკუთარ თავთანაც იყო გულწრფელი და ამ უცნაური ხერხით სურდა უკუგდება თავისი გასაჭირისა, მაგრამ არა და არ სწყალობდა ბედნიერი ხრილი აღმოხდა ყელიდან მსგავსად იმ კაცისა, ვისაც თავში დაკრავენ და დაარუტინებენ. შემებრალოა.

მხოლოდ კიშკართან წამოგეწიე, სირბილი მომიხდა, ქოშინი ამიყარდა, ხოდა შევაჩერე, ვუსაყვედურე სად გარბიხართ-მეთქი, მან მიპასუხა არსადო! იმწუთასვე მომიტრიალდა, მე ავუხსენო, იმის კი არ გამბობ ზემგან გარბიხართ-მეთქი. „არც არავისგან... ვინც უნდა იყოს, სულ ერთია“, ჩიუტად წარმოთქვა.

მან. თავი შევიკავე და აღარ ვუთხარი, კი უნდა იყოს ერთი საცხადო გამონაკლისი ჩვენთაგან ყველაზე უმახაცესისათვის-მეთქი. ვფიქრობდი, თავადაც სულ მალე გაიგებს ამას-მეთქი. მოთმინებით მიმზერდა, მაგრამ სათქმელი ვეღარ მოვიფიქრე იმ წუთას, ხოდა, მომცილდა, ისევ წამოვეწიე, აღარ მინდოდა იმის გაშვება. ჩქარ-ჩქარა ვეუბნებოდი, არ მინდა წახვიდეთ და ჩემზე, ქვეყნისა და შთაბეჭდილება დაგრჩეთ... ჩემზე-მეთქი... ვლულულულებდი ვმეც-მეც-მეც-მეც-მეც, რაებს ვროშავ-მეთქი და მინდოდა მალე გამესრულებინა სათქმელი, თუმცა სიტყვის ძალმოსილებას არც კი ესაძირკვლება აზრი და ლოგიკური წყობა. მგონია, იმას მოეწონა ჩემი იდიოტური ბურტყუნი. შემაჩერა და ასე მითხრა მშვიდი თავაზიანობით, რაიც იმის დიდ თავმოზღუდულობას და გასაოცარ სულიერებას მოწმობდა — „შეცდომა მხოლოდ მე მომივიდა“. დიდად გამიკვირდა ეს მისი ნათქვამი, თითქოსდა რაღაც სულ უბრალო შემთხვევას გულისხმობდა. ნუთუ ვერ მიმხვდარიყო იმის სამარცხვინო მნიშვნელობას? „უნდა მომიტევოთ, — მითხრა იმან ცოტათი პირქუშად, — ყველანი მე მომჩერებოდნენ იქ, სასამართლოზე, ისე ბრიყვეულად... ხოდა, შეიძლებოდა ისეც ყოფილიყო, როგორც მე მეგონა“.

ჩემდა გასაოცრად, სულ სხვანაირად შევხედე იმას ამ სიტყვების მერე, ცნობისწადილით. შევყურებდი და ისიც მე მიმზერდა აუმღვრევლად და გულცივად. „ამის მოთმინა ძნელია, — მითხრა მან უბრალოდ, — და არცა მსურს. სასამართლოზე — კი, ეს სხვა ამბავია, უნდა მოვითმინო და ვითმენ კიდევაც“.

ვერ გეტყვით, რომ მე მესმოდა იმ ყმაწვილკაცისა. იმისი სიტყვები განუკვრეტელ ნისლში აქა-იქ გამოტანებული ნათლის ჭიატს ჰგავდა და ამის მეშვეობით საცხადო და წარმავალ დეტალებსა ზედავდა, ამისდა კვალად კი არც შეგიძლიათ გაითავისოთ არემიდამოს მთლიანი ხედი. ადამიანის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება კი შეუძლია ამას, მაგრამ უფრო მეტს კი ვეღარ მოითხოვთ და არც გამოგადგებათ გზის მაჩვენებლად. თავგზა აებნია ჩემთვის იმ ყმაწვილკაცს. ამ აზრისა ვიყავი მე საბოლოოდ, როდესაც გვიან საღამოს ჩვენ დავეცილდით ერთმანეთს. სასტუმრო „მალაბარში“ რამდენიმე დღე დავყავი და იმან ჯერ უარი მითხრა, მაგრამ მერე დამთანხმდა მწვეოდა სადილზე.

თავი 7

საზღვარგარეთ მიმავალი საფოსტო ხომალდი შემოსულიყო ნავსადგურში და სასტუმროს ვეებერთელა სასადილო დარბაზში ბევრს მოეყარა თავი, ჯიბეში ჰქონდათ იმათ ასი ფუნტის ღირებულების ქვეყნის გარშემო სამგზავრო ბილეთები. კარგა ხანია ცოლ-ქმრებიც იყვნენ აქ და უკვე ამ მოგზაურობის ხანსაც მოესწროთ ერთმანეთისთვის თავის მობეზრება: დიდ და პატარა ჯგუფებად მოსულიყვნენ, ზოგი სულ მარტო იყო, თუთქოსდა საზეიმოდ მჯდომარენი სადილობდნენ, ზოგიერთებს კი ლხინი გაემართათ, ყველანი გაშინავებოდნენ აქაურობას და ისე მისცემოდნენ ფიქრებს, ისე ხუმრობდნენ და ისე იბღვირებოდნენ, როგორც საკუთარ სახლში, ახლა შთაბეჭდილებებსაც ისე აღიქვამდნენ, როგორც მათივე საკვები ზემოთ. დღეიდან ისინიც თავიანთი ბარგივით აღბეჭდილნი იქნებიან იარლიყებით ნიშნად იმისა, რომ უნახავთ ესა და ეს ქვეყანა. კიდევაც საგოგმანები გაეხადათ ეს ამბავი აწ უკვე რჩეულებს, ხოდა, თავიანთი ჩანთებისათვის აეწებებინათ ბილეთები იმის დასტურად, რომ მოგზაურობა მოუხდენიათ თავიანთი სრულყოფილებისათვის. მუქფერი მსახურები უხმაუროდ დადიოდნენ ამ გაპრიალებულ იატაკზე, ხანდახან გოგოს სიცილ-კისკისი გაის-

მოდა, გულუბრყვილო და ჭკუამიუტანებელი, ზოგჯერ კი ფაიფურინი უფროსად ხმაური რომ მინელდებოდა, მოისმოდა თანამეინახეთა გასართობად მზიარული ხმით მოყოლილი, თავშესაქცევი ამბავი გემზე მომხდარი ჩხუბისა, ორი მოხეტიალე შინაბერაც იყო აქ, დიდებულად მორთულ-მოკაზმულნი, სახეამრეზილნი დასცქეროდნენ მენიუს, დამკნარი ტუჩების ცმაცუნით საუბრობდნენ, სახეგახევებულნი და გათხაპნულნი მოპგავდნენ ყვაეების ამრჩევიანად მდულ საფრთხობელებს. ჯიშს რამდენიმე ყლუპმა ღვინომ გული გადსახსნეს. ამშვენიერ მადაზე იყო, როგორც მე შევნიშნე. მგონია, სულაც ცხრაკლიტულში დაგმანულიყო ახლა ის ეპიზოდი, სათავე ჩვენი ნაცნობობისა, თითქოსდა ყველაფერი ნათელი იყო ამქვეყნად, და მთელი ეს ხანი შევყურებდი იმის ცისფერ, ბიჭურ ჩემკენ მოზიდულ თვალებს, ჭაბუკურ სახეს, ფართო მხრებს, მზით შერუჯულ შუბლს, თეთრი ზოლით შემოსაზღვრულს მშვენიერი ხუჭუჭა თმის ქვემოთ; დიდად მომხიბლა იმისმა გარეგნობამ, გულწრფელმა გამოხედვამ, უზაკველმა ტიმილმა, ყმაწვილკაცურმა სიღინჯემ. გულმართალი გახლდათ, ის ერთი ჩვენთაგანი იყო, გონივრულად, აუჩქარებლად და წრფელად მსჯელობდა და ძამინ ასე ლაპარაკს დიდად თავმოზღუდული ან თავხედი, უსულგულო ან სრულიად უგმამკო, ანდა ტყუილების გულა თუ შეძლებდა. ვინ იცის! ვინმეს ჩვენი საუბარი რომ მოესმინა, ეგონებოდა, ვილაც-ვილაცებზე, ფეხბურთსა და შარშანდელ ამინდზე საუბრობენო ისინი, ვარაუდობის მორევში ვიყავი დანთქმული, როცა დრო ვიხელთე და ფრთხილად ჩავურთე, გამოძიებამ ზომ ძალიან გაგაწვალათ-მეთქი. მაგიდის ზემოდან გადმომწვდა იმწამსვე და ჩემს ხელს წაეტანა იქვე ჩემივე თეფშის სიახლოვეს, მომაჩერდა, ელდა მეცა, კი გაიტანე-მეთქი, ასე ამოვიღულულულე, გრძნობის ასეთმა ჩუმმა გამოხატულებამ თავგზა ამიბნია „ეს... ეს ჯოჯობეთი იყო“ — ამოთქვა მან ბოლოს მოგუდული ხმით.

ამ მოძრაობამ და ამ სიტყვამ შეაშფოთა გვერდით მაგიდასთან მჯდომარე ორი გამოპეწენიკებული მოგზაური, თავიანთ ცივ პუდინგს თავი დაანებეს და გამოგვხედეს. წამოვდექით, აივანზე გამოვედით ყავასა და სიგარებს აქ მოგვიტანდნენ.

შუშის ხუფებქვეშ, რვაკუთხა პატარა მაგიდაზე სანთლები ენთოთ, მკვრივ-ფოთლოვან მცენარეებს მოეჩრდილათ კეთილნახელავი წნული სავარძლები, მაღალი ფანჯრებიდან გამომწეული მოწითალო შუქი სცემდა ორ სვეტს, რომელთა შორის ღამე ჩამოშვებულყო, ვითარცა დიდებულნი ფარდა, მოცემციმე და სევდიანი, დამავალი ვარსკვლავების დარად ბჭუტავდა ზომალდის ნათურები შორეთში, ნავთსაყუდელის მიღმა გორაკები შავად მოქუფრულ საავდრო ღრუბლებს დამგვანებოდა.

— მე გაქცევა არ შემიძლო, დაიწყო ჩიშმა, — კაპიტანმა კი შეძლო, ასე უნდა გაეკეთებინა იმას, კი არ შემეძლო და არც მინდოდა. ყველამ ასე თუ ისე თავს უშველა, მაგრამ მე ვერ ვიზამდი ამას.

დიდი გულისყურით ვუსმენდი, სუნთქვასაც ვერ ვბედავდი იმ ჩემს სავარძელში მჯდომარე; მინდოდა მცოდნოდა და დღესაც არ ვიცი, მხოლოდ ვივარაუდო შემიძლია, მოგენდობოდათ და თავშეკავებითაც იყო ამავე დროს, თითქოსდა სულის სიღრმეში სჯეროდა თავისი უდანაშაულობისა და აღარც უნდოდა ამ რწმენის გაზიარება ვინმესთან. იმთავითვე ეს მითხრა იმ კაცის კილოთი, ვისაც არ შეუძლია ოცი ფუტი სიღრმის კედელზე გადახტომა და კიდევაც აღიარებს ამას, სახლში ველარასოდეს დავბრუნდებო; და ამ მისმა განცხადებამ ბრავლის ნათქვამი წამომავონა. ის ესექსელი მოხუცი მღვდელი ვაჟის გულისთვის ჭკუას კარგავსო.

ვერ გეტყვით, იცოდა თუ არა ჯიმი, რომ მისი გულისთვის „სულსაც“ არ დაიშურებდნენ, მაგრამ კი ამბობდა, „ჩემი მამიკო“ და, როგორც ჩანს, იმას უნდოდა მეც ვყოფილიყავი მოხიბლული იმ მოხუცებული სოფლელი მღვდელი-ვით, ვინც დღენიადაგ ზრუნავდა თავის დიდ ოჯახზე. თუმცა ასე არც უთქვამს, მაგრამ იმისი მღელვარე, გულწრფელი და მიმზიდველი მონათხრობები უნდა დასკვნა უნდა გამოგვეტანა, ისიც დასძინა, ეს ჩემი გულის მომწველი მომწველი იმათაც, იმ შორეულ მხარეში მცხოვრებ ჩემს ახლობლებსაც ეხებაო. „სახლში უკვე ყველაფერს გაიგებდნენ გაზეთების მეშვეობით, — თქვა ჯიმი, — ველარ ვნახავ იმ ჩემს საწყალ ბერიკაცს“. თავის აწევასაც ველარ ვბედავდი, სანამ იმან არ დაასრულა: ვერც ვერაფერს ავუხსნი, ის მაინც ვერ გაიგებსო, მერე კი შევხედე. ჩაფიქრებული ეწეოდა ერთხანს, გონება მოიკრიბა და თბრობა განაგრძო. სურვილი გამოამჟღავნა, იმ გემზე სხვებიც იყვნენ და იმათ ნუ შემადარებთო, ვთქვათ... დანაშაულის მხრივ. ის არ გახლავთ ერთი მათთაგანი, სხვანაირი კაცი იყო. არაფერი მითქვამს. სულაც არ მინდოდა იმ რაღაც უსუსური ქეშმარიტების გულისთვის ჩამექრო იმის გულში მბუხტავი იმედის ნაპერწკალი. ვერ გეტყვით, თავიდაც თუ სჯეროდა ამის, ვერც იმას გეტყვით, რა თამაშს მიმართავდა, თუკი მიმართავდა რამე თამაშს... მგონია, ვერც თვითონ გეტყოდით, რადგან კარგად ვიცი, არც არავის ძალუძს ჩახვდეს იმ თავის ბრიკებს, რომლებიც მოუშველებია, რათა გაექცეს თვითშემეცნების თავს წამომდგარ პირქუშ აჩრდილს. სიტყვაც არ დამიძრავს მთელი ეს ხანი, როდესაც მოქყვა მსჯელობას, რა სჯობს, რა ვქნა, როცა გათავდება ეს სულიერი გამოძიებაო.

როგორც ჩანს, იმას გაეზიარებინა ბრაერლის სიძულვილი კანონით გათვალისწინებული ძიების თაობაზე. სად წავიდე, არ ვიციო, თქვა, თუმცა არა ჩემს გასაგონად, ხმამაღლა ფიქრობდა. მოწმობას წაართმევენ, მისი კარიერა გათავებულია, წასასვლელი ფულიც აღარ აქვს, სამუშაოსაც არავინ პირდებო. სამშობლოში კი მოახერხებს რამეს, თუკი თავისიანებს სთხოვს, მაგრამ ამას ვერ იზამს. გემზე ახლა იმის შესაფერისს ვერც ვერაფერს გამოუნახავენ. შეიძლება უფროს შესაჭედ... „შეძლებთ კი ამას?“ — ვკითხე მე დაუნდობლად. წამოვარდა, ქვის მოაჯირთან მივიდა და ღამეს გახედა. მალევე მობრუნდა უკან, თავს წამოადგა, ტყვიის მოელრიცა იმისთვის სახე, თავს სძლია. იმან კარგად იცოდა, მე არც დავეჭვებულვარ, ხომალდს ვერ წაიყვანს-მეთქი. აკანკალებული ხმით მკითხა, რად მეუბნებით ასე? თქვენ ხომ „ასე კეთილი“ იყავითო ჩემ მიმართ. თქვენ არც კი გაგიციინიათ მაშინ... ლულულდი დაიწყო — „იმ ჩემს ბრიყვულ შეცდომებზე“. ცოცხლად მივუგე იმ წამსვე, სულაც არ იყო სასაცილოთ ეს შეცდომა-მეთქი. დაჯდა და ჩაფიქრებულმა ის ერთი პატარა ჭიქა ყავა ბოლომდე დალია. „სულაც არა ვარ იმისი ღირსი, რაც მე მიწოდეს მეგონა“, — წარმოთქვა მან ნათლად. თქვენ ასე ფიქრობთ-მეთქი? — ვუთხარი მე. „ასე ვფიქრობ, — დამიდრატურა მან გულდინჯად, — და იცით, თქვენ რას იზამდით? თქვენ? თქვენ ხომ არ ფიქრობთ... — ნერწყვი ჩაყლაპა, — თქვენ ხომ არ ფიქრობთ... მე... მე ჯაბანი ვარ“.

და აქ იმან — პატიოსნებას გეფიცებით! — გამომცდელი თვალით შემომბედა. *Bona-fide** კითხვა უნდა ყოფილიყო. მაგრამ არ მოელოდა რამე პასუხს, სანამ გონს მოვეგებოდი, ისევ განაგრძო პირდაპირ მაკჭერალმა, თითქოსდა რაღაც ამოეკითხა ღამის პირზე. „თავიდათავია, კაცი იყოს მზად. მე კი არ ვიყავი,

* სრულიად გულწრფელი (ლათ.).

არა... არა-მეთქი, მაშინ. მე თავის მართლება არ მინდა. მაგრამ ახსნა კი მსურს. ვილაყამ ხომ უნდა გაიგოს... ვილაყამ-მეთქი... თუნდაც ერთმა, ბოლოს და ბოლოს! თქვენ! ეს თქვენ იქნებით?

საზეიმოდ ეღერდა ეს სიტყვები და ცოტა სასაცილოდაც. აქვე სოველთვის, როდესაც ადამიანიშვილი ლამობს თავის გულში დანახვას, მაგრამ არჩინოს საკუთარი მორალური სახე, აგრე გაშინავებებულს და შეირფასი, ცნობილი სხვებისთვისაც. ცხოვრებისეული თამაშის ერთი ხერხთაგანია ეს და მეტი არც არაფერი, მაგრამ ამავე დროს ამას ენიჭება შემადრწუნებელი და დიდი ძალამოსილება ბუნებრივ ინსტიქტებზე და საშინლად ისჯება ხელმოცარული. საკმაოდ წყნარად დაიწყო მან თავისი ამბავი. „დეილი ლაინის“ ორთქლის გემმა გადაარჩინა ეს ოთხნი, დამავალი მზის სხივებით შეფერილ ზღვაზე დაუნახავთ იმათი ნავი, ხოდა, პირველი დღიდანვე ექვით დაადგეს იმას თვალი. იმ ჩასუქებულმა კაპიტანმა რაღაც ამბავი მოყვა, სხვები კი ჩუმად იყვნენ, იმ კაცის მონათხრობისა. დაიჭერეს თავდაპირველად, ჯვარედინ დაკითხვას ხომ არ მოუწყობდნენ საცოდაეებს, რომლებაც საშინელ სიკვდილს თუ არა, საშინელ ტანჯვას გადაურჩნენ. მერე კი ჰქონდათ საფიქრალი დრო და „ევონდეილის“ ხელმძღვანელობამ „სხვაგვარად შეხედა“ ამ საქმეს, მაგრამ რაღა თქმა უნდა, ექვი არც არავისთვის გაუმელავნებია. ორთქლის გემი „კატნა“ ჩაიძირა, ხოლო იმათ იხსნეს კაპიტანი, მისი თანაშემწე და ორი მექანიკოსი. მეტი რაღა შეეძლოთ, მე აღარ მიკითხავს ჯიშისთვის, ათი დღის მანძილზე იმ გემზე რასა გრძნობდით-მეთქი. იმისი მონათხრობის კვალობაზე სულ ადვილად მივხვდი, თავხარი დასცემოდათ იქ ერთი აღმოჩენით, თავად მას ეხებოდა ეს აღმოჩენა და, თქმა არ უნდა, ცდილობდა ამის შესახებ მოეთხრო იმ ერთადერთი კაცისათვის, ვისაც უნარი შესწევდა შეეფასებინა ამ აღმოჩენის მნიშვნელობა. თქვენ უნდა გაიგოთ, იმას არც კი უცრია ამ მნიშვნელობის დამცრობა. მართლაც, სწორედ აქ იფარებოდა ჯიშის გამორჩეული ხასიათი. ხოლო თუ რას გრძნობდა ის ნაპირზე გადმოსვლისას, როდესაც გაიგო ასეთი მოულოდნელი დასასრული იმ ამბისა, რომელიც ასეთი უბადრუკი ჩანდა, ამის შესახებ არაფერი არ უთქვამს ჩემთვის და კიდევაც ძნელი უნდა ყოფილიყო ამის წარმოდგენა. მიწა უსკდებოდა ფეხქვეშ? თუ რა ხდებოდა? მაგრამ კი იყო ცხადი, მალე მოიკრიბა იმან ძალღონე. მთელი ორი კვირა დაჰყო სანაპიროზე, მეზღვაურის სახლში, ექვსი თუ შვიდი კაცი იყო იმ დროს იქ და რაღაც-რაღაცები იმათაც მიოხრეს. ასეთი დასკვნა გამოეტანათ, არა ჩანს კარგი ბიჭი, თანაც სულ დაღვრემილია. პირუტყვიანო. მთელი ეს ხანი აივანზე იყო თავისთვის, შეზღონგზე წამოწოლილი, საჭმელზე რომ დაუძახებდნენ, მხოლოდ მაშინ დააგდება ამ თავის ამოჩემებულ ადგილს ან გვიან საღამოს ხეტიალს მოჰყვებოდა ნაპირზე მარტოდმარტო. ფიქრიანი, ჩუმი, ვითარცა მიუსაფარი აჩრდილი. „მაშინ მე ერთი სიტყვაც არ მითქვამს ვინმე სულიერისთვის, — ასე თქვა მან და დიხხაც შემებრალი მე ის ყმაწვილკაცი, მაშინვე დასძინა, — წამოროშავდნენ რაშეს და ვერ მოვიტმენდი. ჩხუბი კი არ მინდოდა, არა! არა-მეთქი მაშინ. ხასიათზე ვერ ვიყავი, ვერა... არაფრის თავი არა მქონდა“. „იმ ტიხარმა გაუძლო ხომ“, — ვუთხარი მე ვულთბილად. „ღიას, — ჩაიჩურჩულა მან, — გაუძლო. მაგრამ შემიძლია დავიფიცო, ვგრძნობდი, როგორ გამოიბურცა ის ჩემ ხელქვეშ“. „გასაოცარიც სწორედ, ის ძველი რკინა რა მაგარია ზოგჯერ“, — მივუგე მე, თავის სკამზე გადაწვა. ფეხგამართა, დასტურის ნიშნად რამდენიმეჯერ დამიქნია თავი რა გულისმომკვლელი სანახავი იყო. უეცრად თავი ასწია, გასწორდა, მუხლზე ხელი დაიკრა. „არა

შემთხვევა დაიკარგა! ღმერთო ჩემო! რა შემთხვევა დაიკარგა!" — შეჰყვირა იმან, გულისტკივილით ამოთქვა ეს უკანასკნელი სიტყვა, „დაიკარგაო“.

კვლავ იყუჩა, წამონთებული უმზერდა შორეთს ამ დაკარგულ შემთხვევის მოსაძიებლად, წამით ნესტოები გამოებერა, თითქოსდა ასე უნდოდა შეესწინებოდა აწ უკვე წარხოცილი გადარჩენის იმედის სურნელებს, თქვენ გგონიათ, მე გაოცებული ან თავზარდაცემული ვიყავი, არა ხართ მართალი! „გადაიკარგა“ სახვის უნარი ჰქონდათ იმ გლახას! სად არ ქროდა იმისი გონება, ღამენასვამ სავრცეს მისჩერებოდა და იქ იყო სულითა და გულით, გულდამშვიდებული ცხოვრების ზღაპრულ სამყაროში. დანაკარგი არ აწუხებდა მას, სრულიად მოეცვა იმ სადარდებელს, თუ რა ვერ შეძლო. ყოველ წამს სულ უფრო და უფრო ინთქმებოდა: რომანტიკული თავგადასავლების სიზმარულ საუფლოში, დაბოლოს ამან შეძრა სულით ხორცამდე! საკვირველი ნეტარება დაეტყო სახეზე, თვალეზი უპრიალებდა ჩვენ წირის მდგარი სანთლის შუქზე, ღიმილი მორეოდა! შიგ გულში მოხვდა... შიგ გულში-მეთქი, ყმაწვილკაცის მომაჯადოებელი ღიმილი... მე და თქვენ ასე არ შეგვიძლია, ბიჭებო, უკანვე დავაბრუნე ამ სიტყვებით — „თქვენ ამის თქმა გინდოდათ, გემო რომ არ დამეტოვებინაო!“

ჩემკენ მოტრიალდა, უეცრად გაოცდა, თავგზა აებნა, შეშფოთდა და ტანჯვით მოელრიცა სახე, თითქოსდა ვარსკვლავიდან გადმომზღვლეულიყო, თქვენცა და მეც არავის შეეხედავთ ასეთი თვალებით. თრთოლვა მოეკიდა და ასე იფიქრებდით, ვილაცამ გული გაუსერაო ყინულის თითით. დაბოლოს ამოიოხრა.

სულაც არ ვიყავი განწყობილი საბოდიშოდ. ჩემზე ემოქმედა იმის წინააღმდეგობრივ აღსარებას. სამწუხაროდ, აღრევე უნდა გცოდნოდათ-მეთქი! — ვუთხარი მე უკეთური განზრახვით, თუმცა ზიანი არ მიუყენებია მისთვის ამ მუხანათურად ნასროლ ისარს, იმის ფერხთით რომ დაეცა, და არც კი უფიქრია აღება. თუ იქნებ ვერც დაინახა ხოდა, ასე მიოხრა სავარძელზე გადაწოლილმა: „დასწყველოს ღმერთმა! მე გეუბნებით, გამოიბურცა-მეთქი, ქვემოთ, იქ, სადაც ნაკერია რკინის, ფარანი გავაყოლე და მაშინ ჩემი ხელისგულის ოდენა ეანგი მოსწყდა და ჩამოვარდა ტიხრიდან, — შუბლზე ხელი გადაისვა, — ცოცხალივით რომ ხანზარებდა და დგანდგარებდა, სანამ მე იქ ვიდექი“. მაშინ კი ცუდად გახდით-მეთქი, ჩავურთე მე, „თქვენ როგორ გგონიათ, — მითხრა იმან, — საკუთარ თავზე ვიფიქრებდი იმ დროს, როდესაც ჩემ უკან, გემის ცხვირზე ას სამოც აღამიანს მაგრად ეძინა და უფრო მეტს კიჩოზე; გემბანზეც ბევრნი იყვნენ... მძინარენი... არც არაფერი იცოდნენ... სამჯერ უფრო მეტნი ვიდრე ის ჩვენი მაშველი ნავები დაათრევდნენ; თუკი მოვასწრებდით, მეგონა, ის ჩინის ტიხარი დაილეწებოდა და სწორედ ჩემ თვალწინ, მწოლიარეთა თავზე შემოიჩქრეოდა წყალი, მე კი რაღა უნდა მექნა... რა?“

სულ ადვილად წარმოვიდგინე, დგას ის ყმაწვილკაცი მღვიმესავით ჩაბნელებულ ადგილას და იმისი ფარნის შუქი ეცემა ტიხარს, მთელი ოკეანის დაწოლას რომ უძლებს და სუნთქვა ესმის მძინარე და არც არაფრის მცოდნელი ხალხისა. ხოდა, ის უმზერს ამ რკინას და ეანგის ცვენას, გარდუვალი სიკვდილის მოახლოების ნიშანს. ეს უნდა მომხდარიყო, მე მეგონია, მაშინ, როდესაც შვიპერმა ხელმეორედ გამოაგზავნა აქ; როგორც ჩანს, იმას არ უნდოდა ის ყმაწვილკაცი ხიდურზე ჰყოლოდა. იმან მითხრა, პირველად ესღა უნდოდა, ეყვირა და წამოეყარა ხალხი, რათა ძილიდან შემადრწუნებელ ღვიძილში ჩაჭრილიყვნენ, მაგრამ იმდენად თავზარდაცემული იყო იმ თავისი უილაჯობით, რომ ხმა ვეღარ ამოელო, ამას ეძახის ხალხი მუცელში ენის ჩავარდნას. პირი გამიშრაო, ასე აღწერა იმან

მაშინდელი თავისი მდგომარეობა. ხმის ამოუღებლად ამოფოფბდა გემბანზე პირველი ლუკიდან. უინდსეილი ჩამოცურებულყო დაბლა და მუხვდროდა, კარგად ახსოვს, იალქნიან ნაჭრის ამ მცირეოდნავმა შეხებამაც კინაღამ/კიბიდან არ გადმოაგდო.

ასე მოამბობდა, მუხლები მოკვეთოდა ფორდევზე გამსწქქქქქქქქქქქ მძინარე ბრბო დაუნახავს. მანქანები უკვე გაეჩერებიხათ და ახლა რომელი უშვებდნენ. კონტრაბასის სიძივით ეხმიანებოდა ლამე მოგუდულ შიშინს, გემი თრთოდა ამის კვალობაზე.

ხედავს, ვილაც-ვილაცებს თავები წამოეწიათ ფარდაგებიდან, ერთი კი წამომჭდარიყო და ბუნდად გამოკვეთილიყო მისი ტანი, ნამძინარევი უსმენდა ამ ხმაურს, მერე კი ისევ ჩაწვა იმ ახორხლილი ყუთების, ორთქლის მიღების და ვენტრლატორების შუაგულში. იცოდა, ეს ხალხი ვერ მიხვდებოდა უცნაური ხმაურის მიზეზს. რკინის ხომალდი, თეთრი სახის ადამიანები. ყველაფერი, რასაც კი ხედავდნენ და ესმოდათ, ყველაფერი ეს ამ ბრიყვი და მორწმუნე ხალხისთვის იყო უცნაური და იმდენად მისანდობი, რამდენადაც გაუგებარი ასე გაუელვა თავში, ბედნიერებააო ამის არცოდნა, ეს აზრი მართლაც შემოძრწუნებელი იყო.

თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ იმის ადგილას ყოველი ასე იფიქრებდა. გემი ახლა ჩაიძირებათ. ხოდა, ისიც ასე ფიქრობდა, ის გამობურცული, ე-ჩგით შეჭმული ტიხარი, თქვანეს რომ აჟავებდა, ისე შეიძურებოდა, როგორც დახალმული ჯებირი და უცებ წალეკავდა მორვეტრიალი. გაუნძრევლად იდგა და უშხერდა ამ გაშხვართულ სხეულებს ეს სვეგამწარებული ყმაწვილკაცი, რომელმაც ცხადლივ ახილა თავისი ბედისწერა და მდუმარე თავმეყრილობა მკვდრებისა. მკვდრები იყვნენ ისინი, ველარც ვერაფერი დაიხსნიდათ იმათ! იმათ ნახევარსაც ვერ დაიტევდა ნავეები, დროც აღარ იყო. დროც აღარ იყო! დროც აღარ იყო! ყოველივე ამით იყო, პირის გაღება, ხელისა ან ფეხის გაქნევა. ჭერ კიდევ მანამ, სანამ სამ სიტყვასაც ამოთქვამდეს, სამ ნაბიჯსაც გადადგამდეს, ადამიანი-შვილთა სასოწარკვეთილი ფართხალით აქაფებულ და საშველად მომხმობელთა განწირული ყვირილით გაყრუებულ ზღვაში ამოჰყოფს თავს. ხსნა კი არ იქნება, ყველაფერი ეს ცხოვლად წარმოიდგინა და განიცადა იმ ლუკთან გაუნძრევლად მდგომარემ ფარნით ხელში, ყველაფერი ეს წარმოიდგინა, სულ უქანსკენელ მტანჯავ წვრილმანამდე. მგონია, ეს მაშინაც წარმოიდგინა, როდესაც მე მომიტხრობდა იმას, რისი მოთხრობაც არ შეეძლო სასამართლოზე.

— ცხადლივ ვხედავდი, ისე, როგორც ახლა თქვენ გხედავთ, აღარაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა. თითქოსდა უკვე სული გამყროდა. რაღა უნდა მექნა. უნდა ვმღგარბიყავი იქ სადაც ვიდექი და მელოდა. ძრავალ წამს ვასტანსმეთქი, ამას არ ვფიქრობდი...

უეცრად ორთქლის ფრქვევა შემწყდარა, ასე მითხრა იმან, ეს ხმაური კი იყო გამოგნებელი, მაგრამ სიჩუმე უფრო გაუსაძლისი, თავხარდამცემი გამოდგაო.

— მეგონა, ჭერ კიდევ ჩაძირვამდე გავიგუდებოდი, — თქვა მან.

ასე განაცხადა, საკუთარი თავის ხსნაზე არ ვფიქრობდიო. მხოლოდ ერთი ნათელი აზრი ქრებოდა და ისევ ჩნდებოდა იმის თავში: რვაასი ადამიანი და შვიდი ნავეი, რვაასი ადამიანი და შვიდი ნავეი...

* იალქნიან ნაჭრისგან გაკეთებული გემის სავენტილაციო ნახელო.

— თითქოსდა ვილაც მიძახოდა ყურში, — თქვა ცოტათი აღელვებულმა, — რვაასი ადამიანი და შვიდი ნავი... დროც აღარ იყო, გესმით, — ის იმ პატარა მაგიდის ზემოდან ჩემკენ გადმოხრილიყო და ვცდილობდი, არ შემეხებოდა ამისთვის. — თქვენა გგონიათ, მე სიკვდილისა მეშინოდა? — მკითხა მან ხმაოდობრა, მძვინვარედ, ხელისგული დაჰკრა მაგიდას, შეიძრნენ ყავის ქიქები, — შემძილია შემოგფიცოთ, რომ არა... არა-მეთქი... ღვთის წინაშე, არა... არა... გავსწორდა, ხელები მკერდზე დაიწყო, თავი დახარა.

ჭურჭლის წკარაწკარუ შოისმოდა იმ მაღალი სარკმლებიდან, ხმამაღალი საუბრით რამდენიმე გამხიარულებული კაცი გამოვიდა აივანზე, ხუმრობით იგონებდნენ სახედრებით გასეირნებას კაიროში. ფერმკრთალი, მშფოთვარე სახის ტაბუკი, რბილად რომ მოაბიჯებდა თავისი მაღალი ფეხებით, ვილაც ლოყებლაყდა: თანამგზავრის დაცინვის საგანი გამხდარიყო, ეს რამ გაყიდინაო ბაზარში. „არა, მართლაცდა... ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ დავცემულვარ სულით? — მღელვარებითა და ჩაყიებით მკითხა ჯიმმა. გვერდით ჩაგვიარა ამ ორმა კაცმა, მოშორებით დასხდნენ სავარძლებში, ასანთს გაჰკრავდნენ და წამით გამოჩნდებოდა იმათი არაფრისმთქმელი სახეები, თეთრი საყელოები, გაცხოველებული საუბარი მესმოდა და ჩემთვის გაუგებარი და შორეული იყო იმათი მხიარულება.

— სწორედ იქვე, ჩემ გვერდით, პირველი ლუკის თავზე ეძინა რამდენიმე მეზღვაურს, — განაგრძო ჯიმმა.

თქვენ უნდა იცოდეთ, ვახტზე მხოლოდ მორიგეები იყვნენ, ხოლო დანარჩენებს ეძინათ მთელი ღამე, მხოლოდ მესაჭე-ზემდეგები და მეთვალყურეები უნდა ყოფილიყვნენ ფხიზლად. მას ერთი სული ჰქონდა იმ უახლოესი ინდოელი მეზღვაურისთვის ეტაცნა მხარში ხელი და შეენჯღრია. მაგრამ ვერ ჰქნა, თითქოსდა ვილაცამ შეაკავა და არ დაანება. შიში არ ჰქონდა... ოჰ, არა! ვერ შეძლო ამის გაკეთება... მორჩა და გათავდა. შეიძლება იმას არც ჰქონდა სიკვდილის შიში, მაგრამ, მგონია, კი ეშინოდა თავზარდაცემული ხალხის დანახვისა. შემადრწუნებელ სურათებს უხატავდა იმას მისივე განსაცვიფრებელი წარმოდგენა — პანიკური ჯგლეთა. გულშემზარავი კივილი, წყლით გავსებული ნაგები, ზღვის ის საშინელებანი, რაც კი ოდესმე გაუგონია. სიკვდილს არ გაექცეოდა, ოღონდ, მე მგონია, იმას უნდოდა სიკვდილი არა შემზარავი, არამედ წყნარი, აუშლვრველობის ბურანში მყოფს რომ მოეახლებოდა. ხშირად გარკვეული მზადყოფნით შეხვდება ადამიანიშვილი მომაკვდინებელ განსაცდელს, მაგრამ იშვიათია, რომ იმის სული აღჭურვილი იყოს სიმტკიცის შეუმუსრავი საქურვლით და აწუქვე განწირულმა ბოლომდე იბრძოლოს, იმედის გაღვევისდა კვალად სულ უფრო მძლავრობს სიმშვიდის მოპოვების წყურვილი და სიცოცხლის წყურვილსაც სძლევს საბოლოოდ ჩვენთაგან ყოველმა იცის ეს ამბავი, ანუ თავადაც განუცდია რაღაც ამდაგვარი — გრძნობების დაჩლუნგება, ქანცის გაღვევა, ბრძოლის ამოება, სიმშვიდის ნატვრა. სტიქიონის მძვინვარებას ვინც გადაჰყრია, იმან კარგად უწყის ეს ამბავი — მაშველ ნავს შეფარებულმა, უდაბნოში გზა-აბნეულმა, ბუნების ბრმა ძალას შეჭიდებულმა ან გააფთრებული ბრბოს პირისპირ დარჩენილმა.

თავი 8

ვერ გეტყვით, რამდენ ხანს იდგა ის ასე გაშეშებული იმ ლუკთან, ყოველ წამს ელოდებოდა, სადაცაა უნდა ფეხქვეშ გამოსცლოდა გემი, მერე

წყლის შორევი დაეტყვებოდა ზურგზე და ვითარცა ნაფოტს, ისე გააქანებდა. დადხანს არა და შეიძლება ორი წუთი ყოფილიყო ასე გაჩერებული. ორმა კაცმა, კარგად ვერ გააჩინა ისინი, ლაპარაკი დაიწყეს ნამძინარევი ხმით, ვიღაც მოფრატუნებდა საიდანდაც და იმისი ფეხის ხმა უცნაურად მოისმოდა, იმ ორთა ჩურბული შემზარავ, კატასტროფის წინამორბედის სიტყვის წინაშე დანთქმულიყო და ეს იყო გულის მომკვლელი შემზარავი მომენტები, რომლის შემდეგაც შეიმუსრება ყველაფერი; მაშინ კი მას ასე გაუელვა თავში; იქნებ მოასწროს და სანავე ბავირები გადაჰკრას, ხოდა, გემი რომ ჩაიძირება, ნავები "ტფეტყვებს წყლის ზედაპირზე.

„მატნაზე“ ერთი კრძელი ხადურა იყო და ყველა ნავი სწორედ იმის სიახლოვეს დაემაგრებინათ, თბი ერთ მხარეზე, სამი კი მეორეზე, ყველაზე პატარები გემის მარცხენა მთაჯირთან ეკრდა საქის გვერდით. მითხრა ჯიმმა ეს და ცხადლივ დაეტყო შეშფოთება, ვაითუ არ დამიჯეროსო, რომ ყველაზე უფრო ნავების მზადყოფნა მადარდებდა მაშინ. თავისი მოვალეობა ჯიმმა იცოდა გულებებით, კარგი თანაშემწე გახლდათ. „მე ასე მესმის, კაცი უოველოვას ცუდს უნდა მოელოდეს“. — ამიხსნა მან, შფოთიანად მომჩერებოდა დასტურის ნიშნად თავი დაგუქნიე და გვერდზე გავიხედე, რათა ამეცილებინა იმისი მრავლისმეტყველი მხერა.

თავპირისმეტყველით გაქცეულა, მწოლარეთა ხელ-ფეხს შუა, ცდილობდა თავზე არ დაეხევიან ვინმესთვის. ვიღაცა უეცრად წაეტანა ქურთუკზე, ტანჯულ ხმა ამოესმა ქვევიდან, მარჯვენა ხელში გადაიტანა ფარანი და ხედავს, მუტკანიანი საიე ამოსჩერებია. საკმარისად შეჩვეულიყო იმათ მეტყველებას და მიხვდა, წყალს სთხოვდა ის კაცი, რამდენიმეჯერ გაუმეორა ეს სიტყვა, დაჟინებით, ვედრებით, ლამის სასოწარკვეთილებით. გაიწია, უნდოდა მოეცილებინა, მაგრამ ახლა ის ფეხზე ჩაეჭიდა.

— თითქოსდა წყალს მაქონდაო, ხელს აღარ მიშვებდა საცოდავი. — გრძნობით თქვა მან, — წყალი, წყალიო, რა წყალს გულისხმობდა? ხომ არ იცოდა რამე? რაც კი შეშუძლო წყნარად ეუთხარი, ხელი გამიშვი-მეთქი, ის თავს არ მანებებდა, დრო კი აღარ იყო, სხვებმაც შეიღვიძეს; მე კი დრო მჭირდებოდა... დრო იმ ნავების მოსახსნელად. მალე ხელზე წამეტანა კიდევაც და სადაცაა უნდა აყვირებულყო, თავში გამიელვა, იყვირებს და პანიკაც ატყდება-მეთქი, გავუქანე ის ჩემი თავისუფალი ხელი და ფარანი ჩავთხლიშე სახეში. კინალამ დაიმტვრა შინა, სინათლე ჩაქრა, მაშინ კი დამანება თავი, გამოვიქეცი, ნავებთან უნდა მივსულიყავი-მეთქი. უკანიდან შემომახტა ის კაცი, მივეტრიალდი, ვეღარ გავაჩუმებდი მე იმას, ახლა კი იყვირებდა. კინალამ არ დავაბრჩვე, სანამ მივხვდი, თუ რა უნდოდა. სიტყვა წყალი... დასალავი წყალი. თქვენც იცით, ბევრი წყალი არ აქვთ ასეთ მგზავრებს, იმას კი ბიჭი ახლდა თან, რამდენიმეჯერ მინახავს მე ის ბავშვი, ახლა ავად იყო და წყურვილი ელავდა, ვეღარ მოვიშორე, ერთი, ერთი ყლუბი მაინც მომეცითო. მეტი არც არაფერი უნდოდა იმას, ხიდურის ქვეშ, სიბნელეში ვიყავით ჩვენ, მაჯაზე წაველოთ იმას ჩემთვის ხელი და თავიდან ვეღარ მოვიცილე. ჩემს საწოლთან მივირბინე, ხელი ვტაცე წყლიან ბოთლს და იმ კაცს მივეცი, გაქრა, მაშინვე წყურვილი ვიგრძენი მეც, — იდაყვზე დაეყრდნო და ხელი აიფარა თავალზე.

ტანში ერთუანტელმა დამიარა, კი იყო ამ ამბავში რაღაც უჩვეულო, უთ-

რთოდა თვალზე აფარებული თითები, ცოტა ხანს იყო ასე გაყუჩებული, მერე განაგრძო:

— კაცს ერთხელ თუ მოუვა ასე ცხოვრებაში... ჰო! დიას... რაღაც იქ-
ნა ავედი ხიდურაზე და ვხედავ, ის არამზადები უკვე იმ ნავს... და ერთს
ხსნიან, ერთ ნავს-მეთქი! კიბეზე რომ ავრბოდი, რალაც მხარე... მაგ-
რად, ცოტაც და თავშიაც მომხვდებოდა, მაგრამ მე არ შევჩერებულვარ ხო-
და, იმ უფროსმა მექანიკოსმა — უკვე მოესწროთ მისი ლოგინიდან წამო-
ყენება — კვლავ მომიქნია ის რკინის კეტი. მაშინ ისეთ ჭკუაზე ვიყავი, რომ
არც გამკვირვებია. ყველაფერი ასე ბუნებრივი ჩანდა... და შემადრწუნებე-
ლი... შემადრწუნებელი. დაეუსხლტი იმ საბრალო მანიაკს, ხელი ვტაცე და
გემბანს მოვწყვიტე, გასაქანი რომ ვერ ნახა, ჩამიჩურჩულა: „ნუ! ნუ! ერთი
იმ შევტუხათაგანი მეგონეთ“, მოვისროლე, ხიდურაზე გაგორდა, დაეტაკა და
წააქცია ის კაცუნა, მეორე მექანიკოსი. კაპიტანმა იმ ნავთან ჯახირს თავი
დააანება, მოიხედა, თავი დალუნა და ჩემკენ წამოვიდა მხეცივით ღრენა-ღრე-
ნით, მაგრად დავდექი, ქვასავით, აი ამასავით მკვიდრად, — თავისი სავარძ-
ლის უკან კედელს მოღუნული თითი დაჰკრა მსუბუქად, — ყველაფერი თით-
ქოს აღრევე ოცგზის მქონდა გაგონილი, ნანახი, განცდილი. მე იმათი არ
მეშინოდა. მუშტი შევმართე, ბურტყუნით შეჩერდა: ოჰ! ეს თქვენა ხართ,
მომეხმარეთ, ჩქარაო. მხოლოდ ესა თქვა. ჩქარაო! თითქოსდა სიჩქარე დაგ-
ვიხსნიდა, რა უნდა ვქნათ-მეთქი, ჩავეკითხე მე. რა და აქაურობას უნდა
გავეცალოთო, უკვე მიტრიალებულმა დამიღრინა იმან.

მგონია, მაშინ მე ვერ მივხვდი, თუ რას მეუბნებოდა. ის ორნიც უკვე
წამომდგარიყვნენ ფეხზე და ნავს მიცვივდნენ. ფეხებს აბატუნებდნენ, ხენე-
შოდნენ, ხელს იკვრევიანებდნენ, წყევლიდნენ ყველასა და ყველაფერს,
ნავს, გემს, მეც. არც შევტოკებულვარ, სიტყვა არ მითქვამს. ვხედავდი, გვე-
რდზე იზრებოდა გემი. თითქოსდა ის მშრალ დოკში, ძელებზე გაეტანათ,
აი ასე, — ქვევით თითებდახრილი ხელი მალლა ასწია.

პორტიზონტის ხაზს ვხედავდი ჩემ წინ ისე ნათლად, როგორც ანძის წვე-
როს; ვხედავდი მრუმედ აციმციმებულ წყლის უყიდევანო სივრცეს,
წყნარს... წყნარს, ვითარცა ტბორს, მომაკვდინებლად წყნარს, არც არას-
დროს ყოფილა ასეთი წყნარი. გინახავთ თქვენ ცხვირით წინ დახრილი გე-
მი, რომელიც არ იძირება, ძველისძველი რკინა შველის და ისე ეანგიანი,
რომ საყრდენსაც ვერ დაუყენებთ, თუ გინახავთ-მეთქი? რის საყრდენი, რა
საყრდენი. ვფიქრობდი მე ამის შესახებ... ვფიქრობდი-მეთქი რალაც საშველ-
სახიდებელზე, შეძლებს კი კაცი საყრდენის მოშველიებას ხუთ წუთში...
თუნდაც, ორმოცდაათშიც? ვინ ჩამომყვებოდა დაბლა დასახმარებლად? ძე-
ლები... ძელები კი სადლა იყო? ერთი ის ტიხარი გენახათ და გაბედავდით კი
ჩაქუჩის მირტყმას? ნუ იტყვით, კი ვიზამდიო ამას, თქვენ ხომ ის არ გინა-
ხავთ, ვერც ვერავინ იზამდა ამას, დასწყევლოს ღმერთმა... და თუკი იზამ-
დით ამას, სრულ ჭკუაზე არ უნდა ყოფილიყავით და სულ ცოტა, ათასში ერ-
თი გამართლების იმედი მაინც უნდა გქონოდათ, ხოდა, ვერც თქვენ დაი-
ჯერებდით. ვერც ვერავინ დაიჯერებდა. თქვენ ფიქრობთ, რომ მე ვარ ჯაბა-
ნი? მაგრამ თქვენ კი იზამდით რამეს? რას? ვერ მეტყვიით... ვერც ვერავინ
მეტყვის, დრო უნდა გქონოდათ უკან მოსახედავად. რა უნდა მექნა მე, თქვე-
ნის აზრით? შიშით ჭკუაზე გადავიდოდა ის ხალხი და მეტი არაფერი, მარ-
ტოდმარტო მე იმათ რას ვუშველიდი... შეიძლებოდა კი იმათი შველა? ყური

მიგდეთ! ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორც მე ახლა თქვენ წინა ვარ, ამ სავარძელში...

ხვწმას ამოაყოლებდა ყოველ სიტყვას და მალ-მალე შეპრობებდავდა, თითქოსდა უნდოდა გაეგო შედეგი ამ თავისი დიდი გულისტკივლით ნაამბობისა. მე არ მესაუბრებოდა ის ყმაწვილკაცო; ის მხოლოდ ჩემი თანდასწრებით საუბრობდა, ეპაექრებოდა ვიღაც უხილავ მუწუნდღღღებსა განუშორებელ ნაწილს მისი არსებისას, ორეულს თავისი სულისას. გამოძიება იყო ეს, ოღონდ სასამართლო მიკვლევების მოუშველიებლად, დაბვეწილი და მნიშვნელოვანი გაბაასება სიცოცხლის ჭეშმარიტი არსის შესახებ, ხოლო მოსამართლე ამას არ სჭირდებოდა, მწე, მშველელი, თანამოზიარე სჭირდებოდა იმ ყმაწვილკაცს. ვიგრძენი, შეიძლება მოშორებული, დაბრმავებული, მახეში გაბმული, მიმძლავრებული დავრჩენილიყავი, რადგან ვაითუ ისეთ საუბარში ჩავრეულიყავ, რომელიც ვერაფერს გადაწყვეტდა, თუკი გვინდოდა სამართლიანი ვყოფილიყავით ყველა აჩრდილის წინაშე — იმის წინაშე, ვინც ღირსეულია და იმსახურებს ამას და იმის წინაშეც, ვინც უღირსია, მაგრამ სამართლიანობას მოითხოვს მაინც. მე არ შემიძლია აგიხსნათ, თქვენ ხომ ის არ გინახავთ. მხოლოდ მესამე პირით ისმენთ იმის ნაუბარს, მე არ შემიძლია გადმოგცეთ ჩემი მღელვარება, მგონია, მე მაიძულებდნენ რაღაც გაუთავისებელის გათავისებას... ვერც ვერაფერს შევეუდარებ იმ ჩემს მაშინდელ უსიამოვნო გრძნობებს. უნდა გამეზიარებინა ძნელად მისაკვლევ სიმართლის პირობითობა და გულწრფელობის სამოსელში გახვეული ყველანაირი სიცრუე. ორი მხრისკენ მიემართა იმას მზერა: დღის ნათელი ადგას ერთს ყოველთვის, ხოლო მეორე მარადიულ სიბნელეს მოუცავს და მოჰგავს მთვარეს, რომლის კიდე მხოლოდ ზოგჯერ თუ შეიფერება შემადრწუნებელი ზაფრანისფერი სინათლით. ხოდა, მერყეობა დავიწყე. ვაღიარებ მე ამას, სულითა და გულით ვაღიარებ. ბუნდოვანი იყო ეს შემთხვევა, შეიძლება სულ უმნიშვნელოც დავარქვათ იმას: განწირული ჭაბუკი, მილიონთაგან ერთი... მაგრამ ის ერთი ჩვენთაგანი იყო; ჭიანჭველების ბუდეში წყალი რომ შევარდება, სწორედ ისეთი უმნიშვნელო ჩანდა ეს შემთხვევა, და მაინც ამ ყმაწვილკაცის საქციელის იდუმალეობამ მომაჯადოვა, თითქოსდა ის იმყოფებოდა სიცოცხლის მეწინავე ხაზზე და ისეთი მნიშვნელოვანი იყო იმისი ბუნდი ჭეშმარიტება, რომ იმის მიხედვით თავად კაცობრიობა შეძლებდა თავის შეცნობას...

მარლოუ შეჩერდა, ისევ მოუკიდა ჩამქრალ სიგარას, თითქოსდა სულაც დავიწყებოდა თავისი მონათხრობი. უეცრად ისევ დაიწყო საუბარი.

— ჩემი ბრალია, რაღა თქმა უნდა. იმის ამბავთან მე რა ხელი მქონდა, ვინა მკითხავდა. ეს იყო ჩემი სისუსტე, იმისი კი სულ სხვანაირი. ჩემი სისუსტე ისაა, რომ ვერ გამირჩევია შემთხვევითი, ზედაპირული... ერთმანეთისგან ვერ გამირჩევია შეძველმანის ფუთა და დიდებული საცვლები პირველივე შემხვედრისა. პირველივე შემხვედრისა-მეთქი, მე კი იმდენი ადამიანი მინახავს, — სევდიანად დასძინა მან, — იმდენი მინახავს-მეთქი, ვილაც ვილაცებს... გარკვეულწილად... შეიძლება, ვთქვათ, გადავყრივარ კიდევაც, როგორც იმ ყმაწვილკაცს, ისე. ჩემთვის მთავარი იყო ადამიანი. რაღაც წყვეული დემოკრატიული აღქმის უნარი მაქვს მომადლებული, შეიძლება კი სჯობდეს ეს სრულ სიბრმავეს, მაგრამ მე ამით რა დახლი დამიდგება, დამიჯერეთ ასეა. ადამიანიშვილი ყოველთვის ფიქრობს, სხვებისთვისაც უნდა ჰქონდესო მნიშვნელობა ამ ჩემს საცვლებს. მაგრამ ასეთი აზრი არც არას-

დროს მომწონებია. პოი! შეცდომაა ეს, შეცდომა-მეთქი, და მერე, ერთ საამ-
ბურ საღამოს, სიზარმაცე რომ გვძლევს და ვისტის თამაშს აღარ მოვისურა-
ვებთ, მაშინ კი ეს ამბავი...

კვლავ იყუჩა, მარლოუ შეიძლება გამაძხნევებელ სიტყვას მოყოლოდა,
მაგრამ ყველანი ჩუმად იყვნენ, მხოლოდ მასპინძელმა ჩაიჩურჩულა მოვა-
ლეობის მოსახდელად:

— თქვენ ასეთი სათუთი კაცი ბრძანდებით, მარლოუ.

— ვინ, მე? — ჩუმად წარმოთქვა მარლოუმ, — თქ, არა! ის ყმაწვილი
კაცი კი გახლდათ ასეთი. კი ვცდილობ კარგად მოყოლას, მაგრამ ვიცი, გა-
მომრჩება საყურადღებო გარემოებანი... ღირსშესანიშნავი და რთული გად-
მოსაცემნი ხატოვანი სიტყვით. თანაც იმიტომ გაუცუდდა ცხოვრება, რომ
ისეთი უბრალო, ძლიერ უბრალო იყო ის საბრალო!.. ღმერთმანის გასათვარი
ყმაწვილკაცი გახლდათ. ისე მეუბნებოდა: არც არავისი შემშინებიაო, ისეთი-
ვე ჭეშმარიტებაა ეს, როგორც ახლა თქვენ წინ ვზივარ და გიმზერთო... და
კიდევაც სჯეროდა ამის. გასაოცრად გულუბრყვილო გახლდათ, გასაოცარი,
გასაოცარი! ჩუმ-ჩუმად ვუთვალთვალედი, თითქოსდა უკვე შეეძვებოდა,
რომ იმას მართლაც ჩემი გახელება სურდა. დარწმუნებული იყო, „ღირსებას
რაც შეეხება... ღირსებას რაც შეეხება!“ ამ მხრივ წინ ვერაფერი, და-
უდგებოდა. ის ყოველთვის „მალლა იდგა“... „პატარაობიდანვე“, მზად იყო
მხნედ დაბვედროდა ყოველნაირ გასაჭირს, ხმელზეც, წყალზეც. მედიდურად
მეუბნებოდა თავისი წინდახედულობის შესახებ, გამოწვლილვით გაეთვალის-
წინებინა მოსალოდნელი საშიშროებანი და სიძნელეები, მხნედ უნდა დახ-
ვედროდა ყოველგვარ განსაცდელს. მგონია, თავის ზეობას შეჭფოფინებდა
სულ მუდამ, გესმით? თავგადასავლები, დიდება, სულ გამარჯვებით წინსვლა!
და ყოველდღე იმის ფიქრების გვირგვინი იყო აზრი საკუთარი შორსმჭვრე-
ტელობის შესახებ. მეტი აღარაფერი ახსოვდა, თვალეგაბრწყინებული მე-
ლაპარაკებოდა და იმის ყოველ სიტყვას უგუნურების არილი გადასდიოდა,
აუღს მიკლავდა. რაღა გამაცინებდა, მაგრამ რომ არ გამლიმებოდა, სახეგა-
შეშებული ვიჯექი, სულ უფრო და უფრო ეტყობოდა მღელვარება.

— ხიფათი ყოველთვისაა მოსალოდნელი, — კუთხარი მე დაყვავებით.
ჩემმა სიბრიყვემ ზიზლით ამოათქმევინა, „პოი“, მგონია, ის იმას გულისხმობ-
და, მოსალოდნელი რა სახსენებელიაო. მხოლოდ რაღაც შეუცნობელი თუ
შემუსრავდა იმის მზადყოფნას. განსაცდელი უეცრად დაატყდა თავს და ჩურ-
ჩულით წვევლა-კრულვას უთვლიდა ზღვასა და ზეცას, გემსა და ადამიანებს.
ყველაფერმა უღალატა მას! ერთგვარი მედიდური მორჩილება დაუფლებოდა
და თითის გაქანებაც აღარ შეეძლო, ამ დროს კი ის სამნი სასოწარკვეთილებით
მიმხვდარაყვნენ ამ წუთების მნიშვნელობას და ნავს დასტრიალებდნენ. სულ
ბოლო წუთს რაღაც მოხდა, როგორც ჩანს, ამ სიჩქარეში ნავის ერთი ხრახ-
ნისთვის ისე მაგრად დაეკრათ, რომ გაეფუჭებინათ, ხოდა, შიშით კინაღამ გუ-
ლი გაუსკდათ. დიდებული სანახავნი კი იქნებოდნენ ამ დროს, გააფთრებუ-
ლი ჩაჯგურობდნენ ის გარეწრები ამ გარინდებულ ზომალდზე, მძინარე, და-
დუმებული სამყაროს წიაღში, ნავის განთავისუფლება უნდოდათ, ოთხზე და-
ფოფხავდნენ. უცებ ზეწამოიჭრებოდნენ სასოებაწართმეულები, ერთმანეთ-
ზე გაიწევდნენ, ილანძლებოდნენ, იგინებოდნენ. შეეძლოთ კიდევაც ყელში
სცემოდნენ, ამოეხოცათ ერთმანეთი, საღაცაა აქვითინდებოდნენ, მაგრამ უკვე
სიკვდილი წამოდგომოდათ უჩუმრად და თითქოსდა გრძნობდნენ იმის უწყა-
ლო და ცივ მზერას. პოდა, დიახ! კი იქნებოდნენ მშვენიერი სანახავნი. ყვე-

ლაფერს ხედავდა ის ყმაწვილკაცი და შეეძლო მოეყოლა ეს ამბავი ზიზღითა და გულისტკივილით, ყველაფერი გამოწვლილვით გაეთავისებინა რაღაც მუქვსე გრძობით. მე ასე ვიფიქრე, რადგან მეფიცებოდა, რომ ამ დროს ის არ უყურებდა არც იმათ და არც ნავს, ერთხელაც არ გამიხედდით იქით, და მე მჯერა მისი, მგონია, მთელი გულსყური მიეპყრო ასე, შემძვრულვით გადახრილი გემისთვის, საფრთხე მოსდგომოდა კარს სწორედ იქვე, რომ დესაც არც არაფერი ჩანდა საშიში... კიდევაც მონუსხულა იმ მახვილით, რომელიც უკვე ბეწვზე ეკიდა იმისი წამოგზნებული თავის ზემოთ.

მთელი სამყარო გარინდებულიყო იმის თვალწინ და სულ ადვილად შეეძლო წარმოედგინა, უეცრად ამოტრიალდება ბნელით მოცული თვალსაწიერი, უეცრად ამოიბართება უკიდევანო პირი ზღვისა, მალიად აღიბართება, მერე მხეცური ნახტომი და უფსკრულოვანის მარწუხები, ამო გაბრძოლება და თავზე გადმომხობილი ვარსკვლავიანი ზეცა, ვითარცა თალი საძვლისა... ის კი ჯანლონით სავსე ყმაწვილკაცია... და ბნელ-უკუენეთში უნდა დაინთქას, კი შეეძლო ამის წარმოდგენა, ღმერთმანის ვისლა არ შეეძლო? და უნდა გახსოვდეთ, დასრულებული ხელოვანი გახლდათ ამ მხრივ და განგებას მისთვის მიემადლებინა ბედითი უნარი ცხოვლად და სწრაფად დაეხატა სურათები ახლო მომავლისა. ხოდა, მისი ასეთი ხედვა ცივ დოლაბად გარდასახულიყო და შეებორკა მისთვის ფეხები, კისერზე ჩამოკიდებოდა, ფიქრების გორგალი ავბურდა და ასე აბურდული აცეკვებულიყვნენ ეს ფიქრები, კოჭლაუხები, ბრმები, მუნჯები — გულშემზარავი ხეიბრებისა იყო ეს ცეკვა-თამაში. გესმით, აღსარებას მეუბნებოდა ის ყმაწვილკაცი, თითქოსდა მე მქონდა უფლება შეებორკვის და განთავისუფლებისა, ღრმად, ღრმად მოძვრებოდა ჩემს სულში იმ იმედით, რათა მიეღო ჩემგან მიტევება, მაგრამ სასიკეთო არ უნდა ყოფილიყო ეს მისთვის. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი იმ შემთხვევათაგანი, როდესაც ხაცხადო სიცრუეს არ შეეძლო შვების მოტანა, არც არავინ იყო მისი მწე და მშველელი, თავად შემოქმედი ბედის ანაბარადღა აგდებს ცოდვილს.

ხიდურას მარჯვენა მოაჯირთან მიმდგარიყო, გარინდებოდა იმ დავიდარებას ნავის გულსთვის, მლეგისამებრ დატაკებოდნენ ერთმანეთს ადამიანები, ოლონდ ჩუმად, შეთქმულებივით, ის ორი მალაელი კი ამ დროს ისევ ისე ჩასჭიდებოდა საჭეს, დიდებული წარმოდგენა გამართულიყო, მადლობა ღმერთს! შესანიშნავი ეპიზოდი გათამაშებულიყო ზღვაზე; ის ოთხნი გაათრებულიყვნენ, ჰკუთ დაეკარგათ სულის საცხადო თუ იდუმალ მოძრაობათა კვალობაზე, ის სამნი კი გარინდებულნი უმზერდნენ იმათ, ხიდურებზე იდგნენ ისინი, მათ ქვემოთ კი, ტენტის ქვეშ ჩაჩუმქრულიყო სრული უმეცრება ასეულობით ადამიანიშვილისა, დაღლილ-დაქანცულები რომ ეყარნენ, ხედავდნენ სიზმრებს, ჰქონდათ იმედები და ახლა ვიღაცის უჩინარ ხელს შეეჩერებინა სიკვდილის პირას, სწორედ ასე იქნებოდა, ექვი არც შეპარება, გემის მდგომარეობას თუ გაეთვალისწინებთ, მართლაცდა მობაკვდინებელი საფრთხე შექმნილიყო. ხოდა, იმ გარეწრებს ნავთან სული კოჭებში გაპარვოდათ, მართალი თუ გნებავთ, მე რომ იქ ვყოფილიყავი, გროშ-კაპიჯზეც ვერ დავენაძლევებოდი ვინმეს, ეს გემი კიდევ ერთ წაშლაც გაძლებს-მეთქი წყლის ზედაპირზე, და მაინც, ის არ იჭირებოდა ამ მძინარე მლოცველებს ბედად ეწერათ სხვაგვარი სიმწარე ეგემნათ და ასე დაესრულებინათ ეს ღვთისმადიებელი მოგზაურობა, თითქოსდა ზესთა შეუფეს, რომლის მოწყალების იმედით ჰქონდათ, კიდევ ერთხანს სჭირდებოდა მათი მორჩილი არსებობის განხანგრძლივება ამქვეყნად, გადმოებედა დაბლა და ებრძანებინა: „ნუ იქმ ამას!“

გასაოცარი და იღუმალებით მოცული შემთხვევა იქნებოდა ეს ხსნა ჩემთვის, რომ არ მოკლნოდა, შეიძლება მაგარი იყოს ის ძველი რკინა — ისე მაგარი, როგორცაა გული ზოგიერთი კაცისა, რომელსაც ჩვენ შევხვდებით ხანდახან, აჩრდილივით განლელს. მაგრამ სიცოცხლის ბურჯს, ნაკლებად გასაოცარი იმ ოციოდე წუთში არც იმ ორი მესაჭის საქციელია. სხვა ადგილობრივი მკვიდრთან ერთად ჩამოიყვანეს ადენიდან ჩვენების მოსაცემად. მეტად მოკვდავნი იყო ერთი იმათთაგანი, მეტად ახალგაზრდაც, და კიდევ უფრო ახალგაზრდა იერს აძლევდა პრიალა სახის კანი და მზიარული გამოხედვა. კარგად მახსოვს, ბრაერლიმ ჰკითხა იმას თარჯიმნის მეშვეობით, რას ფიქრობდითო იმ დროს. თარჯიმანი გამოელაპარაკა, მერე მიუბრუნდა სასამართლოს და მტკიცედ განაცხადა:


— ის ამბობს, არც არაფერსო.

შეორე იყო კაცი მოთმინე, ყოველ წამს თვალებს ახამხამებდა, ჭალარა, აბურძგნილ თმაზე შემოეხვია ბევრი რეცხვისაგან გახუნებული ლურჯი ფერის საბურველი. გაძვალტყავებულ შავ პირქუშ სახეს კიდევ უფრო უმუქებდა აუარება ნაოჭი. იმან ასე თქვა, გულშიაც არ გამივლია, ცუდი ამბავი თუ სჭირდა იმ ზომალდს, არც არაფერი უბრძანებიათო ჩემთვის; არ ახსოვს რამე ბრძანება, საჭე რალატომ უნდა მიეტოვებინა? შემდეგ შეკითხვაზე რომ უპასუხა, გაჩხინკული მხრები აიჩეჩა და ასე განაცხადა, რას ვიფიქრებდი, სიკვდილისა ეშინოდათ თეთრ კაცებს და უნდა გასცლოდნენ იმ გემს, ახლაც არა მჯერათ. შეიძლება ამას რალაც უცნობი მიზეზები ჰქონდა საფუძვლად, თავი გაიქნია ბევრის მნახველი კაცივით. ჰო! უცნობი მიზეზები. მრავალნაცადი კაცი გახლავთ და სურს, რომ ამ თეთრმა ტუანმა იცოდეს — ბრაერლისკენ მიტრიალდა, იმას არც კი აუწყებია თავი — დიდი გამოცდილება და ცოდნა შეუძენია ამ ხნის მანძილზე, ბევრ თეთრ კაცთან უმსახურია ზღვაზე... და უცებ... მღელვარებისაგან აკანკალებულმა ჩამოგვითვალა ჩვენ, მოჯადოებულ მსმენელებს, მრავლის უმრავლესი უცნაურად გამოთქმული სახელი, სახელები კარგა ხნის იმქვეყნად წასული კაპიტნებისა, სახელები აწ უკვე დავიწყებული ადგილობრივი ხაზის ზომალდებისა, სახელები ოდესღაც ცნობილი და ახლა ასე დამახინჯებულად წარმოთქმული, თითქოსდა ხელი აწ დამუნჯებული დროებისა უკვე რამდენიმე საუკუნეა აყრიდა იმათ მტევრს. დაბოლოს შეაჩერეს. მდუმარება ჩამოწვა დარბაზში, სულ ცოტა წუთით მაინც გაგრძელდა ეს მდუმარება და მერე ჩურჩულიდა გაისმა. გამოძიების მეორე დღის სენსაცია იყო ეს ეპიზოდი, სუყველაზე იმოქმედა ამ ამბავმა, ყველაზე იმოქმედა გარდა ჯიშისა, ვინც დაღვრემილი იჯდა პირველი რიგის კიდეში და არც კი შეუხედავს ამ არაჩვეულებრივი და ბედითი მოწმისთვის, თითქოსდა რომ ფლობდა დაცვის რალაც იღუმალ თეორიას.

ხოდა, ის ორი მეზღვაური არ მოცილებია საჭეს, თუმცა ზომალდი უკვე აღარსად მიდიოდა და სწორედ აქ უნდა გადაყროდნენ სიკვდილს, განწირულნი რომ ყოფილიყვნენ საბოლოოდ. თეთრებს ერთხელაც არ გამოუხედავთ აქეთ და, როგორც ჩანს, სულაც დავიწყებოდათ იმათი არსებობა. ჯიშსაც არ გახსენებია ისინი, არც არაფრის გახსენება შეეძლო, არც არაფრისა, ახლა ის მართოდ იყო, ვერც ვერაფერს იზამდა, მხოლოდ გემთან ერთად უნდა დაღუპულიყო. სადავიდარაბო რალა უნდა ყოფილიყო. ასე არ იყო? ხმის ამოუღებლად წელში გამართული ელოდებოდა მოსახდენს და საგმიროდ მომართული გონება იყო მისი მწე და მშველელი. უფროსმა მექანიკოსმა ფრთხილად გადმოიბრძინა ხიდურა და სახელოზე წაეტანა.

— მოგვეხმარე! ღვთის გულისთვის, მოგვეხმარე!

ფეხის წვერებზე უკანვე გაიქცა ნავისკენ. მაგრამ მობრუნდა და ისევ წაეტანა სახელოზე ვედრებითა და გინებითაც.

— მგონია, ხელებსაც დაძიკოცნიდა, — ბრაზით თქვა  — სულ მალე კი დორბლმორეულმა ჩამისისინა ყურში, ახლა რა მაგისუფრუნად მდგომარეობს გაგიჩეხავდიო, ხელი ვიკარი, უცებ ყელში მეცა, დასწყევლებს — ღმერთსა და ვარტყი, ისე დავარტყი, რომ არც შემინებდავს. საკუთარი თავი მაინც არ გეცოდება, ჯანდაბას, შე მშიშარავო, ქვითინით მითხრა იმან. მშიშარაო! იმან მე მითხრა, ჯანდაბას, მშიშარაო! ხა! ხა! ხა! ხა! იმან მე... ხა! ხა! ხა!..

ყმაწვილი სავარძელზე გადაწოლილიყო და ხარხარებდა. ჩემს ცხოვრებაში არ გამიგონია ასეთი მწარე სიცილი. ყველაფერი შეირყვნა იგრვლივის მხიარული გაბაასება სახედრებზე, პირამიდებსა და ბაზარზე, აღარაფერი ისმოდა მეტი. ხალხი გაყურდა იმ ბუნდ და გრძელ დერეფანში, ბინდით მოჩრდილული სახეები ერთდროულად შემოტრიალდა ჩვენკენ და სრული ძღუემარება ჩამოწვა, ვერანდის მოზაიკურ იატაკზე დაცემული ჩაის კოვზის წკრიალი გამჭოლ ვერცხლისფერ შეკვივლებად გაისმა.

— გაგიგონია, ამდენ ხალხში ასეთი სიცილი, — ვუსაყვედურე მე. — აბა, ვის ესია მოვინება, გესმის.

ჯერ მეგონა, ჩემი ნათქვამი არც გაუგონია-მეთქი, მაგრამ აქეთ გამოიხედა, მე არც კი მიყურებდა, ისე, თითქოსდა რაღაც საშინელი მოჩვენებისთვის გაესწორებინა მზერა და ასე ჩაიჩურჩულა გულგრილად, ოპ, მთვრალი ვეგონებით მე იმათ.

და ასე მეგონა, აწი სიტყვასაც აღარ დასძრავს-მეთქი. მაგრამ ნურას უკაცრავად! იმას უკვე აღარ შეეძლო თბრობის შეწყვეტა, ისევე როგორც არ შეეძლო სიცოცხლის შეწყვეტა მხოლოდ ნებისყოფის მოშველიებით.

თავი 9

— გულში ვიძახოდი, წყალმა ჩაგყლაპოს-მეთქი! — ამ სიტყვებით განაგრძო იმან თბრობა. უნდოდა ყველაფერი გათავებულყო. მარტოდმარტო დარჩენილიყო და წყევლა კრულვას უთვლიდა გემს, მაგრამ ამავე დროს იმას ბუდი გაღიმებოდა, მე მგონია, ფრიად თავშესაქცევი სურათის, მდარე კომედიის ხილვით, იმათ ვერაფერი ვერ მოეხერხებინათ იმ ქანჭიკისთვის. კაპიტანმა ბრძანა, ქვეშ შეძვერით, იქნება წამოსწიოთო, რაღა თქმა უნდა, სხვებმა იუარეს. თქვენც იცით, ნავის ქვეშ გაშხვართული წოლა ვერ არის კარგი ამბავი, გემი ხომ წამისწამ უნდა ჩაძირულიყო, თქვენ მოდიოთ... თქვენ ყველაზე ღონიერი ხართო, შესტირა იმ ჩია ტანის მექანიკოსმა ღმერთმა დასწყევლოს! მე რას შევეტევიო, ჩაიბურტყუნა სასოწარკვეთილმა კაპიტანმა. თავად ანგელოზებსაც აატირებდა ეს დიდებული სანახაობა. თავგზაარეულები იღბენ რამდენიმე წამს და უცებ უფროსი მექანიკოსი ისევ ჯიშს მივარდა.

— მოდი, მოგვეშველე, კაცო! გიყი ხარ თუ ვინა ხარ? მოდი, მოგვეშველე, კაცო! მოდი-მეთქი! იქით გაიხედე... იქით!

დაბოლოს ჯიშმა გაიხედა იქით, სადაც უთითებდა ის მანიაკური დაჟინებით. დაინახა შავად მოქუფრული საავდრო ღრუბელი, რომელსაც ზეცის ერთი შესამედი შეეხანხლა. თქვენ იცით, რა ქარიშხალიც შეიძლება ამოვარდეს წლის ამ დროს. პირველად დაინახავთ, გადაშავდება მთელი ჰორიზონტი, ეს

არის და ეს, შემდეგ კედელივით მთლად განუჭვრეტელი ღრუბელი წამო-
იშართება. სამხრეთ-დასავლეთიდან მოიწევს თეთრად შეფერილკიდიანი ღრუ-
ბელი, ერთი მეორის მიყოლებით გადაყლაპავს ვარსკვლავების გუნდს, რმისი
ჩრდილი დაეცემა წყალსა და ზეცას, წყვდიადის უფსკრულოვნად გარდასა-
ხება მთელი არემიდამო. არც მეხი გავარდება, არც ჰაერი იძვრის, არც ელვა
გასერავს ცარგვალს. შემდეგ მოშავბნელებულ სივრცეში გამოჩნდება წალს-
ფერი თალი. თითქოსდა ტალღა გადაივლის წყლის ზედაპირს, თითქოსდა თავად
წყვდიადი მოიმაღლებს, უეცრად დაჰქროლავს ქარი და წამოვა თქეში უდი-
დესი მძვინვარებით. თითქოსდა რალაც ჭებირი დანგრეულიყოს, ისეთი ზათქი
გაისმის. სწორედ ასეთი ღრუბელი წამოდგომოდათ იმათ თავს, მაგრამ მაშინვე
არ დაუნახავთ, ახლალა შეამჩნიეს და კარგადაც მიხვდნენ, სრულ სიწყნარეში
თუ იყო რალაც იმედი გემის წყალზე გაჩერებისა, რამდენიმე წუთით მაინც,
ზღვის სულ მცირეოდენი შეშფოთების ხანს კი იმწამსვე დაიღუბებიან. ქა-
რიშნლის შაუწყებელი პირველივე ტალღის მოახლოება დასასრული იქნებო-
და და გემი დაყვინთავდა, ანუ, როგორც ამბობენ, დაეშვებოდა დაბლა, სულ
დაბლა, ფსკერზე. იმათ კი ამ გაბრძოლებით, ამ ტუნვა-თამაშით გამოეაშკა-
რავებინათ საშინელი სიძულვილი სიკვდილისადმი.

— ყველაფერი გაშავებულყო, გაშავებულყო, — განაგრძო ჯიმმა პირ-
ქეში დაჟინებით, — განსაცდელი უკანიდან წამოგვპარვოდა ჩუმაღ. დასწ-
ყველოს ღმერთმა! თუმცა მგონია, ჩემს გულში რალაც იმედის ნატამალი
მაინც ღვიოდა. არ ვიცი. ყველაფერი უნდა გათავებულყო. მახეში ვიყავი
გაბმული და ეს მაცოფებდა ჯავრით აღარ ვიყავი. მახეში ვიყავი გაბმული!
ცხელი ღამე იყო. მახსოვს, სუნთქვაც აღარ შეიძლებოდა.

კარგად ახსოვდა ეს ყველაფერი, სავარძელში ჩემ წინ მჯდომარეს ოფლი
ასხამდა და სული ეხუთებოდა. თქმა არ უნდა, გამძვინვარებულყო, ეს ხომ
მისთვის ახალი დარტყმა იყო, ასე ჩანდა იმის სიტყვებიდან, მაგრამ ამან ის
მნიშვნელოვანი საქმე გაახსენა, რისთვისაც აქ, ხიდურაზე ამოვარდნილიყო და
მაშინვე გადავიწყებოდა. მას ხომ მაშველი ნავების მოხსნა უნდოდა გემიდან.
დანა დაადრო და საქმეს შეუდგა, თითქოსდა ველარც ვერაფერს ხედავდა, არც
არაფერი ესმოდა და არ იცოდა, თუ რა ხდებოდა გემზე. იმათ ასე უფიქრიათ,
მთლად დაუკარგავსო ჭკუა, გავიყებულა, მაგრამ ხმამალა ვერ უთხრეს რამე
დროის ამ ფუჭი ხარჯვის გამო. ჰქნა ეს და ისევ იმ ძველ ადგილზე დაბრუნ-
და, უფროსი მექანიკოსიც იქვე იყო და უნდოდა ყელში სცემოდა, სისინით
მიუახლოვდა, მივიდა იმასთან სულ ახლოს, გაათვრებულყო, თითქოსდა სა-
დაცაა ყურს მოაჭამდა.

— შე სულელსო ხომ არა გგონია, ცოცხალი გადარჩები, როდესაც ყველა
ეს პირუტყვი წყალში გადაიჭრება? თავს გაგიბობენ და ნავებთან არ მიგიშ-
ვებენ.

ხელებს ასავსავებდა, მაგრამ ჯიმი ფერც კი ამჩნევდა მას. კაპიტანი თავით
ფეხამდე კანკალებდა და ბურტყუნებდა, ჩაქუჩი! ჩაქუჩი! Mein Gott* ჩა-
ქუჩი მოიტანეთო.

ეს ჩია ტანის მექანიკოსი ბავშვივით ზღუქუნებდა და თუმცა იმას ხელი
მოეტეხა, სხვებზე უფრო ადრე მოსულიყო გონს, ძალა მოიკრიბა და სამან-
ქანო განყოფილებაში ჩაირბინა. დიდი გაბედვა კი იყო. ჯიმმა მითხრა, მახეში
გაბმული კაცის სასოწარკვეთილებით, გმინვა-გმინვით გავარდა იქითო. მაშინ-

* ღმერთო ჩემო (გერმ.).

ვე დაბრუნდა ჩაქუჩით ხელში და აღარ დაუხანებია, იმ ხრახნთან მიიჭრა. სხვები მაშინვე მოცილდნენ ჯიშს და მოხაზბარებლად მიაშურეს, ჩაქუჩის კაკუნი მოესმა, ხრახნი მოამსხვრის, ნავი თავისუფალი იყო. მხოლოდ მაშინ გაიხედა იქით, მხოლოდ მაშინ. მაგრამ ფეხი არ მოუცვლია, ფეხი არ მოუცვლია. დაყინებით მეუბნებოდა, ფეხი არ მომიცვლიაო, უკუქნაფერი მქონდაო მე საერთო იმ ხალხთან, რომლებსაც ჩაქუჩი გულმარცხებდა. არც არაფერიო. უფრო მეტიც, იმას და იმათ შორის იყო სივრცე, რომლის გადავლაც არ შეიძლებოდა, ზღუდე გადაულახავი, უფსკრული თვალუწვდენელი. იმათგან რაც შეიძლებოდა შორს იყო, თითქმის გემის მეორე ბოლოში.

ფეხებშიჩაქვულივით იდგა მოშორებით, თვალს აღარ აცილებდა იმ ბინდში შეჭვრულებულს, შიშის ზარით მოცულები, დაბრილები რომ ირწეოდნენ აქეთ-იქით. ხელის ნათურა დაეკადებინათ იქ, იმ პატარა მაგიდის ზემოთ — „პატნაზე“ კაპიტნის ჯიხური არ იყო შუაგულში — იმისი შუქი ეფინებოდა დაძაგრულ მხრებს, იმათ ამოძრავებულ ზურგებს. ნავს აწვებოდნენ, უნდობლად გადაეთრიათ, ღამეში გადაეთრიათ და აღარც იყურებოდნენ უკან. იმისკენ. იმათ მოსცილებოდა ის, თითქოსდა მართლაც ძალიან შორს ყოფილიყო, უიმედოდ დაცილებული იმათგან, სიტყვის, ყურადღების, რაიმე ნიშნის შიშის ღირსადაც არ თვლიდნენ. იმათ არც აღარდებდათ იმის თავშეკავებულობა, არც სურდათ ხილვა იმისი პასიური გმირობისა — ნავი მძიმე იყო, იმის ცხვირს აწვებოდნენ, გამამხნეველი სიტყვა არც სჭირდებოდათ, შიშს შეემუსრა იმათი ვაყვაცობა, ვითარცა ქარს ძეწნა. იმათი სასოწარკვეთილი ბრძოლა შესაბრალის თამაშად გარდასახულიყო და, შეიძლება ითქვას, სულაც მასხარების ხტუნვასა და მალაყებს მოჰგავდა. აწვებოდნენ ხელებით, თავებით, აწვებოდნენ რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, მთელი სხეულით; სული ტკბილია, ხოდა, ძლივს რომ მოაცილეს ნავი დასამაგრებელ ღარს, მაშინვე თავპირისმტვრევით, ერთად დაიწყეს იმაზე აბობლება, ნავი ვადმოექანა, ისინი მოსხლტნენ, უკან ვადმოცვივდნენ და ერთმანეთს მიეხეთქნენ უსასოონი და უილაჯონი. შედგნენ თავზარდაჯვამულები, გამძვინვარებულები, ჩურჩულებდნენ, წყველა-კრულვას უთვლიდნენ ყველასა და ყველაფერს, მერე ისევ ნავს მიცვივდნენ. სამჯერ განმეორდა ასე. კუშტად მიამბობდა ამას, ყველაფერი გამოწვლილვით მომიყვა ამ კომიკურ ამბავზე. „წყველიდი მე იმათ, შემზიზღებოდა მე ისინი, ყველაფრისთვის მე უნდა მეცქირა, — მეუბნებოდა ის წყნარად, მიმზერდა დაღვრემილი, თვალს არ მაცილებდა. — ვინმე თუ გაწამებულა ასე!“.

წამით თავზე იტაცა ხელები, იმ სასოწარკვეთილ კაცს დამსგავსებოდა. ვისთვისაც ენით უთქმელი შეურაცხყოფა მიეყენებინათ, რილაც იყო, რასაც ვერ აუხსნიდა სასამართლოს... ვერც მე, მაგრამ მე არც ვიქნებოდი ღირსი იმისი აღსარების მოსმენისა, რომ არ შემძლებოდა ზოგჯერ ჩავხვედრილიყავი პაუზებს იმის სიტყვებს შორის. მისი ვაყვაცობის ასეთ გამოცდას ბედის დაცინვას, ბოროტებას, მუხთალ შურისძიებას თუ დაარქმევდით. კი იყო რაღაც კომიკური იმის უმძიმეს განსაცდელში, დამამცირებელი დაცინვა ამ მოუხელთებელი სიკვდილის ან პატივის აყრის წინარე.

ის მამცნობდა ფაქტებს, რომლებიც არ დავიწყებოდა, მაგრამ მას შემდეგ ამდენი ხანი გავიდა და ზუსტად ვერ ვიხსენებ იმის სიტყვებს; მხოლოდ ის მახსოვს, რომ საოცრად შეეძლო გამოეხატა თავისი ნაღვლიანი განწყობილება შეუვალი ფაქტების ვადმოცემისას. ორგზისო, მიამბობდა ის, ორგზის დაუხუჭე თვალი, მეგონა, უკვე მომხდარიყო მოსახდენი და ორგზისვე ვავახილ...

ისევ უოველ წამს ამჩნევდა, ბნელით მოცული მღუმარება გამყვებულყო. ირგვლივ, ზედ ზენიტზე გარინდებული, მოშავებნელებული ღრუბლის ჩრდილი განრთხმული - იმრ' თავზე და თითქოსდა სიცოცხლის მაუწყებელი თვალის ხმა მოეშთო. ჩამიჩუმი აღარ ესმოდა იმ საბურავქვეშიდან. თვალისა და ყელის ნათლად ვხედავდი სახეებს სიკვდილის პირას მისულ აუარება აღმირანიშვილისა, თვალს გავახელდი და ბუნდად დავინახავდი გააფთრებულ თვალთხი კაცისას გაჭიუტებულ ნავთანო. ჩამოვარდებოდნენ ზოგჯერ, ლახმღვა-გინებით წამოვარდებოდნენ ზეზე და ისევ მიცვივდებოდნენ ნავს... იმათ შემხედვარეს სიცილით სული გაგძვრებოდათ და ის იქნებოდათ, ასე თქვა მან თვალედახრილმა, მერე კი სევდიანი ღიმილით შემომხედა: გახარებული ცხოვრება კი მომელის, ღმერთმანი! სულ თვალწინ მექნებათ ეს თავშესაქცევი სურათი სიკვდილამდე, ისევ დახარა თვალეები. თვალწინ მექნება და ყურიდან არ მომშორდებათ მათი ხმა, კარგა ხნის მერე ისევ გაიმეორა ეს სიტყვები სივრცეს უაზროდ მიჩერებულმა.

— ვიფიქრე, თვალს აღარ გავახელ-მეთქი, — თქვა მან, — და ვერ შევძელი. ვერ შევძელი-მეთქი, ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს ეს ამბავი ამისი დარდი არა მაქვს. სანამ ვინმე იტყოდეს რამეს, დაე თავად ნახოს ასეთი განსაცდელი. ნახოს და ნეტავი რას იზამს. წამის შემდეგ გავახილე თვალი და პირიც დავადე. მოძრაობა დატყობოდა გემს. მცირეოდნავ გადაიხარა და ნელა აიწია ზევით. მცირეოდნავ, მცირეოდნავ-მეთქი, სულ ცოტათი. ღრუბელმა გადაგვიარა და, მგონია, მაშინ აამღვრია ტალღამ ტყვიისფრად შეფერილი ზღვა. სიცოცხლის ნიშანი არ იყო ეს მოძრაობა. თავში რაღაცამ დამკრა. თქვენ კი რას იზამდით? თქვენი თავის იმედი რომ გაქვთ. თქვენ-მეთქი? თქვენ კი რას იზამდით, ამ წუთას ეს სახლი რომ ამოდრავდეს, მცირეოდნავ რომ შეინძრეს იატაკი თქვენი საფარძლის ქვეშ. წამოვარდებოდით! ღმერთმანი! თქვენ წამოიჭრებოდით იქიდან. სადაც ზიხართ და გადახტებოდით იქ ქვემოთ, ბუჩქებში.

იმ ქვის მოაჯირს იქით გაიწვდინა ხელი. გარინდებული ვიყავი. დაყინებით, მკაცრად დამაცქერდა. შეცდომა არ უნდა მომსვლოდა, ჩემი შეშინება უნდოდა ახლა და არ უნდა დამტყობოდა. ერთი სიტყვაც არ უნდა წამომცდენოდა, ვაითუ საბედისწერო შექმნილიყო ჩემი აზრი, რადგან შეიძლებოდა ეს მის შემთხვევას მისადაგებოდა. სულიც არ მინდოდა ასეთ საფრთხეში ჩავვარდნილიყავი. უნდა გახსოვდეთ, ის ჩემ წინ იჯდა და დიაბაც იყო ჩვენი მსგავსი, საშიში რომ არ ყოფილიყო, მაგრამ თუ გნებავთ იცოდეთ, უნდა გითხრათ, რომ სწრაფად გადავაველე თვალი და გავბომე მანძილი იმ ბნელ ადგილამდე ბალახოვანის შუაგულში ვერანდის წინ. ის იჭარბებდა. მე ვერ შევძლებდი იქამდის გადახტომას... ესღა იყო, რისიც გარკვეულად მჯეროდა.

უკანასკნელი წუთი დადგაო, ის ფიქრობდა, მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა. მისი ფეხები კვლავ გემბანზე იყო მიჯაჭვული და ფიქრებით მოცულმა სწორედ ამ წუთას დაინახა ერთი იმათგანი, რომლებიც იმ ნავთან ტრიალებდნენ, უეცრად ის გადმოექანა, ხელებით ბერს წაეპოტინა, ბარბაცი დაიწყო და დაეცა. მართალი თუ გნებავთ, კი არ დაცემულა, ნელ-ნელა დაეშვა, ჩაჭდა, მოიხარა და მხრებით მიეყრდნო სამანქანო განყოფილების კარს. „ცეცხლფარეში იყო ის კაცი. გამბდარი, ზაფრანისფერი ყმაწვილი, გაფიხხულულვაშიანი. მესამე მექანიკოსის მავიკრობას სწევდა“. ამიხსნა მან.

— მოკვდა, — ვთქვი მე. სასამართლოზე მქონდა გაგონილი ეს ამბავი.
— ასე ამბობენ, — წარმოთქვა ჯიმმა პირქუში გულგრილობათ. რაღა

თქმა უნდა, მე ვიცოდი, გული არ უვარგოდა, სულ სტკიოდა ის დღეები. მღელვარება. მეტისმეტი დაძაბულობა. ეშმაკმა იცის. ხა! ხა! ხა! ძნელი არ არის მიხვედრა, არც იმას უნდოდა სიკვდილი. ხომ სასაცილოა? გინდ მოქალაქით მაგრამ ასეა, ნამდვილად თავი გაასულელებინა იმათ და დაიღუპა კიდევაც! გაასულელებინა-მეთქი... არც მეტი და არც ნაკლები, გაასულელებინა-მეთქი. ღმერთმანის პოი ნეტავი წყნარად ყოფილიყო, ნეტავი ბიჭო იმართების, ჯანდაბამდისაც გზა გქონიათო, მაშინ, როდესაც მიცვივდნენ და ლოგინიდან წამოაგდეს. გემი იძირებაო! იმას ჯიბეში უნდა ჩაეწყოს ხელები და ერთი შეკურობებინა!

წამოდგა, მუშტი აღმართა, შემომხედა, ისევ დაჯდა.

— რად არ იცინით? — თქვა მან, — ჯოჯობეთშილა თუ მოიგონებდნენ ასეთ ხუმრობას, სუსტი გულიო!... ზოგჯერ კი მინდა მეც ასეთი გული მქონდეს.

ბოლმა მომაწვა ყელში. თქვენ-მეთქი? მივაძახე მე იქედნურად. რაო! ნუთუ თქვენ არ გესმითო? შეპყვირა იმან. რად გინდათ იმაზე მეტი. რაცა გაქვთ-მეთქი, ბრაზით მიეუგე მე. გაკვირვებულმა შემომხედა, ვერც ვერაფერი გაიგო იმან. ნიშანს ასცდენოდა ეს ჩემი ნასროლი ისარი და ის კი არ იყო ისეთი კაცი, ვისაც უქმად ნასროლი ისრის დარდი გაპყოლოდა. მართალს გეუბნებით, მეტად გულუბრყვილო გახლდათ, სხვანიირად უნდა მოვქცეულიყავი. კიდევაც მიხაროდა, რომ მიზანს ავაცილე და იმას არც კი გაუგონია მშვილდის გაწივლება.

თქმა არ უნდა, იმ დროს მან არ იცოდა იმ კაცის სიკვდილის ამბავი. შემდეგი წუთი — უკანასკნელი იმ გემზე — აღსავეს იყო მოვლენებითა და განცდებით და ისე დასტაკებოდნენ მას, ვითარცა ტალღები კლდეს. ასეთი შედარება იმიტომ მომყავს, რომ მჯერა, ჯიბს მართლაც უნდა ჰქონოდა პასიურობის რაღაც ილუზია, თითქოსდა ის არც კი ყოფილა მონაწილე ამ ამბისა და მხოლოდ მინებებელიყო რაღაც ჯოჯობეთურ ძალას, რომელსაც სწორედ ის აერჩია თავისი ხუმრობის მსხვერპლად. პირველი, რაც მას გაუგონია, ეს იყო ნავების დასამაგრებელი ძელების შემადრწუნებელი ხმაური. როგორც იქნა შეძლეს იმათი შემოტრიალება, თითქოსდა გემბანს გამოპყოლოდა ეს ღრჭიალი, მთელ გულ-გვამში დაუარა. ქარიშხალი მოახლოებულიყო და ახლა უფრო ვეებერთელა ზვირთებმა შემზარავად შეაქანა ხომალდის მორჩილი ტანი. სუნთქვა შეეკრა ჯიბს და სულთ ხორცამდე შეძრა განწირულმა ყვირილმა: „ჩაუშვით! ღვთის გულისათვის, ჩაუშვით! ჩაუშვით! ვიძირებით!“ მალე ბაგირები ჩამოცურდნენ იმ ძელებს და იმ სახურავის ქვეშიდან შეშინებული ხმები მოისმა. „საცოდავებმა ერთი ამბავი ატებეს, მკვდარსაც კი გაელევიძებოდა“, — თქვა ჯიბმა. შემდეგ კი როდესაც ნავი დგაფუნით დაეშვა წყალზე, ვილაცები კისრისტებით გადაცვივდნენ და თავზარდაცემულები გაპყვიროდნენ: „მოაცილეთ! მოაცილეთ! მოხსენით! მოაცილეთ! მოხსენით, თუ სიცოცხლე გინდათ. ქარიშხალი ამოვარდება ახლა...? თავზემთ ქარის გამტრიალება გაისმა, ფეხქვეშიდან კი გულის შემძვრელი ყვირილი. ვილაცა ბორტთან მივარდნილიყო და წყველა-კრულვას უთვლიდა სამაგრ კაუჭს. ხომალდის კიჩოსა და ცხვირზე, თითქოსდა შემუსრულ სკაშიო, ბზუილი ატყდა. ჯიბი წყნარად მიამბობდა ყველაფერს, წყნარად იყო. სახეც, ხმაც ასეთივე ჰქონდა... ჰოდა, ჯიქურ განაცხადა: იმის ფეხს წამოვყარო ფეხი.

პირველად ახლა გავიგონე, რომ თურმე ადგილს მოსწყდა, გაცეების დამალვა ვერ შევძელი. ბოლოს და ბოლოს მოსწყდა იმ ადგილს, მაგრამ თუ

რა მომხდარა იმ წუთას, მან იმდენივე იცოდა, რამდენიც იმ ხემ, ქარი რომ მოგლეჯს და მიწაზე დაანარცხებს. ყველაფერი ერთბაშად მოწეულიყო იმის თავს, ხმაური, კვნესა-ვაება, იმ მკვდარი კაცის ფეხი... ღმერთო დიდებულო! მთელ ამ ჯოჯობეთურ ხუმრობაში ეშმაკის ხელი ერია და... ყური მივღეთ... ეჭრა და ვერ იტყოდა, რომ ასე თუ ისე გათავისებული ჰქონდა იმისი მზაკვრული ხელის ნამოქმედარი. კი არის საკვირველი, როგორ შეძრავდა მოსაუბრეს მისი სულიერი მდგომარეობა. მე ყურს ვუგდებდი იმას, თითქოსდა ეს ყოფილიყო გვამთან დაყუდებული ჯადოქრის მონაყოლი.

— გვერდზე გადატრიალდა ის კაცი, ნელინელ, სწორედ ეს იყო, რაც მე დავინახე უკანასკნელად იმ ხომალდზე, — განაგრძო მან, — ჩემთვის უკვე სულ ერთი იყო, რაც უნდა მოსვლოდა იმას. თითქოსდა წამოდგომა უნდოდა, მგონია, იმას წამოდგომა უნდოდა-მეთქი, ხოდა, მე მოველოდი, სწრაფად ჩამირბენდა, მოაჩირთან მიიჭრებოდა და სხვებთან ერთად ჩაბტებოდა ნავში. გავიგონე, ბრაგაბრუგი გაჰქონდათ იქ ქვემოთ და თითქოს შახტის სიღრმიდან მოისმა ხმა: „ჯორჯ!“ შემდეგ სამივემ ატეხა ყვირილი. ცალკე ცალკე ჩამესმა კიკინი, ქვივილი, ყბუილი. პოი!

შეერთა და დავინახე, ნელ-ნელა წამოდგა, თითქოსდა ვილაცამ ძალუმი ხელი ჩაავლო თმაში და სავარძლიდან წამოსწია. წამოდგა, ნელ-ნელა, და მაშინ, როდესაც სრულიად გაიმართა მუხლებში, თითქოსდა ხელი გაუშვეს, დარეცრეცდა. შემადრწუნებელი სიმშვიდე დაკრავდა იმის სახეს, იმის მოძრაობასა და იმის ხმასაც, ასე ამოთქვა, ისინი ყვიროდნენო. ჩემდა უნებურად დავცქვიტე ყურები, თითქოსდა მინდოდა გამეგონა იმ მოჩვენებით სიჩუმეში რა სიზმარეული ყვირილი.

— რვაასი ადამიანი იყო იმ გემზე, — თქვა მან და მიმაჯაჭვა ჩემი სავარძლის ზურგზე თავისი შემზარავი, უაზრო მზერით. — რვაასი ძეხორციელი იყო იქ, ისინი კი მხოლოდ ერთ მკვდარ კაცს შეჰყმუოდნენ, მოდი და გადარჩიო. „ჩამოხტი, ჯორჯ, ჩამოხტი! პოი, ჩამოხტი!“ ვიდექი მე და ხელი სანავე კოჭზე ჩამომედო. სრული სიწყნარე იყო. ბნელ-უკუნეთი ჩამოწვა. არც ცა ჩანდა და არც ზღვა. ესლა მესმოდა, როგორ ეხეთქებოდა, ეხეთქებოდა ნავი ხომალდს. მაგრამ გემის წიალიდან კი აღწევდა ხმები. უეცრად კაპიტანმა დაიყმუელა: „Mein Gott! ქარიშხალი! ქარიშხალი! მოვცილდეთ!“: გაისმა წვიმის პირველი თქაფუნი და ქარის პირველი კვეთება. ისინი ატყვივლდნენ: „ჩამოხტი, ჯორჯ! ჩვენ დაგიქერთ! ჩამოხტი!“ ხომალდმა დაიწყო ნელ-ნელა დაშვება, წვიმა წამოვიდა, ქუდი გადამძვრა, სული ყელში მომეხჭინა. თითქოსდა კოჭზე მჯდომარეს შორიდან მომესმა კიდევ ერთი ამაზრზენი ღრიალი: „ჯო-ო-ო-რჯ! პოი, ჩამოხტი!“ გემი კი ეშვებოდა დაბლა, დაბლა, ცხვირით წინ...

ჩაფიქრებულმა ხელი ასწია და სახეზე გადაისვა თითები, თითქოსდა აბლაბუდის მოცილება უნდოდა, შემდეგ წამის უმაღლესად დახედა თავის ხელისგულს და უცებ მითხრა:

— გადავხტი... — შეცბა. გვერდზე გაიხედა, ასე დასძინა, — მგონია.

საწყალობლად მიმზერდა თავისი ცისფერი თვალებით. ვუყურებდი ჩემ წინ მჯდომარეს, გაოგნებულსა და მკვუნვარეს, და გული მიკვდებოდა ბრძნულ მორჩილებას, მოხუცი კაცის სიბეჩავესა და ბავშვურ ტანჯვა-ვაებას ვხედავდი ერთდროულად.

— კი, ასე უნდა იყოს, — ჩავიჩურჩულე მე.

— მე არ ვიცოდი არაფერი, სანამ ზემოთ არ ავიხეთი — სწრაფად ამი-

ხსნა მან, ყურს უგდებდი და განსაცდელში ჩავარდნილი პატარა ბიჭი გეგონებოდა. მოსახდენი მომხდარიყო. ვილაცას გადააწყდა და მერე სკამზე დაეცა. მარცხენა მხარეს თითქოს ყველა ნეკნი ჩაღწოდა. შემდეგ მოტრიალდა და ის გემი დაინახა, ბუნდად თავს წამომდგარი, დებერტირი გახლდათ. წითლად ბრღვიანობდა გემის სინათლეები წვიმაში, ვითარცა კლდის ქვეშ ჩხვლით დანთქმულ გორაკზე. „კლდეზე უფრო მაღალი ჩანდა ეს გემი. კლდესავით წამომართულიყო ნავზე... მე სიკვდილი მინდოდა, — შეპყვირა იმან, — უკან დაბრუნება აღარ შეიძლებოდა, თითქოსდა ქაში... თვალუწვდენელ უფსკრულში ვიყავი გადაშვებული“.

თავი 10

თითები გადააქდო ერთმანეთს და ისევ გააცალკევა. დიახაც, თვალუწვდენელ უფსკრულში გადაშვებულიყო, გადმომტარიყო იმ სიმაღლიდან, რომელზეც ველარ ავიდოდა. ნავმა ჩაუარა გემის ქიშს და წინ წავიდა. ჩამობნელებულიყო და ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, წვიმაც თვალში სცემდათ და აბრმავებდათ, თითქოსდა რალაც დინება მიგვაქანებდათ მღვიმეში, მიამბობდა ის. ზურგი შეაქციეს ქარს. კაპიტანს, როგორც ჩანს, ნავის უკან ჩაეყო ნიჩაბი, რათა არ გადაბრუნებულიყვნენ. ორი თუ სამი წუთი გასულიყო და სადაცაა ქვეყნიერების აღსასრული მოვიდოდა, ბნელ-უკუნეთი ჩამოწვა. ზღვა თუბთუბებდა „ვითარცა ოცი ათასი ჩაიდანია“. ჩემი არ არის, იმისი შედარებაა. მგონია, ქარი ჩაწყნარდა იმ პირველი კვეთების მერე, თავად მას განუცხადებია ასე გამოძიებაზე, იმ ღამით ზღვა მეტი აღარ გამძვინვარებულა. ნავის ცხვირთან მიიკუნჭა და მალულად უკან გამოიხედა. ყვითელ შუქს მოკრა თვალი მომაღლოდ, ანძის წვეროზე, ციმციმებდა უკანასკნელი, დამავალი ვარსკვლავით. თავზარი დამეცა, ჯერ კიდევ იქ იყო. თქვა მან. სწორედ ასე მითხრა. გემი ჯერ კიდევ არ ჩამირულაო. ეს გაიფიქრა და თავზარი დაეცა. ეჭვი არაა, სურდა რაც შეიძლება მალე გათავებულიყო ეს შემზარავი ტრაგედია. ნავზე სიტყვაც არ დაუძრავს არავის. ამ სიბნელეში გეგონებოდათ, ჩქარა მიდიხსო, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, იმას არ შეეძლო სწრაფად გაცურებულიყო. თქეშმა გადაიარა და გაილია ზათქი, გრუხუნი, შხრიალი, იქით, შორს ჩაკვდა ბმაური. აღარც არაფერი ისმოდა გარდა მცირედი ტლაშუნისა ნავის მიღმა. შემადრწუნებლად უკაწყაწებდა ვილაცას კბილები, სუსტი ხმა მოესმა, თქვენც აქა ხართო? მეორე ხმაც ჩაესმა, აკანკალებული, გემი ჩაიძირაო! ყველანი წამოიჭრნენ, იქით იცქირებოდნენ. ის შუქი აღარ ჩანდა. წყვდიადი გამეფებულიყო ირგვლივ. წვიმის წვრილი, ცივი წვეთები სცემდა სახეში. ცოტათი გადაიხარა ნავი, კიდევ უფრო სწრაფად უკაწყაწებდა იმ ვილაცას კბილები. რამდენიმეჯერ სცადა თავის მოთოკვა და მერე ასე ამოთქვა, სწო-ო-რედ დრო-ო-ზეო, ბრრრრ. შემდეგ უფროსი მექანიკოსის ხმა იცნო, კუშტად დასძინა იმან: „მე ვნახე, როგორ ჩაიძირა. შემთხვევით უკან მივატრიალე თავი და მაშინ“. ქარი თითქმის ჩამდგარიყო.

სიბნელეში იმზირებოდნენ ისინი, კიჩოსკენ მიეტრიალებინათ თავები და თითქოსდა მოელოდნენ, ყვირილს გავიგონებთო, თავდაპირველად ჭიმი მადლობელი იყო. რომ ღამემ შთანთქა შემზარავი სანახაობა. მერე კი სიბნელე უბედურებად წარმოუდგა ის აზრი, რომ ველარ დაინახავდა ამ ამბის გასრულებას. „უცნაურია არა?“ ჩაიბურტყუნა მან, როდესაც თავისი აბურღული თხრობა შეწყვიტა.

მე კი ასე არ ვფიქრობდი, უცნაურია-მეთქი. როგორც ჩანს, მას ქვეშევ-
 ნეულად სჯეროდა, რომ რეალობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო ესოდენ შემზა-
 რავი. ესოდენ გულს მომკვლელი, ესოდენ შურისმგებელი, როგორც ამას უნა-
 ტავდა მისივე წარმოდგინა. მე მჯეროდა, რომ იმ წუთას ამისი გული გასერს
 ყოვლის ტანჯვა-ვაებას, იმის სულს გაეთავისებინა ყოვლის შიშისუ-
 ლის შეძრწუნება, ყოვლის სასოწარკვეთილება, იმ რვაას ძებნა-
 ყოვლის, რომელსაც ის ღამით თავს წამოდგომოდა ასეთი უეცარი და ასეთი
 საშინელი სიკვდილი, თუ არადა, მაშინ რატომ მითხრა, მინდოდა გადავმტა-
 რიყავი იმ წყეული ნავიდან და გამეცურა უკან ამის სანახავად — ნახევარი
 მილი, შეიძლება უფრო მეტიც — იმ ადგილამდეო. სულის ამ ძაბილის ახსნა
 როგორ შეიძლება? თუ შეგიძლიათ ჩახვდეთ ამის მნიშვნელობას? რატომ უნ-
 და დაბრუნებულიყო უკან, იმ ადგილისკენ? რატომ არ უნდა გადავარდნილი-
 ყო იქვე, წყალში, თუკი წყალში გადავარდნა უნდოდა? რატომ უნდა დაბრუნე-
 ბულიყო უკან, იმ ადგილისკენ, რათა ენახა... თითქოს სიმშვიდეს მაშინდა მოი-
 პოვებდა, როდესაც საკუთარი თვალით ნახავდა იმათ აღსასრულს; არა მგონია,
 თქვენთაგან რომელიმემ ამას სხვაგვარი ახსნა მოუძებნოს. სწორედ ეს უნდა
 ყოფილიყო ნისლში ნათლის ის ერთი გაელვება, რომელიც გვალელებს და
 გვაოცებს. მეტად გულახდილი იყო, თითქოსდა სულ ჩვეულებრივ ამბავს ყვე-
 ბოდა. მან ჩაახშო სულის ეს ძაბილი და მთელი გულისყური მიაპყრო ირგვე-
 ლივ გამეფებულ სიჩუმეს. ასე მიაშბო, ზღვის, ცის სიჩუმე შერთოდა სივრ-
 ცის უკიდურესო სიჩუმეს და სიკვდილივით მოვლებოდაო თავს ამ ნავზე შე-
 ფარებულ რამდენიმე სიცოცხლეს.

— ნემსის დავარდნას გაიგონებდით ნავში. — თქვა მან ტუჩების კანკა-
 ლით. მსგავსად იმ კაცისა, ვინც რაიმე ღირსშესანიშნავი ამბის გადმოცემისას
 ცდილობს თავისი გრძნობების მოთოკვას. სიჩუმე! ღმერთმა უწყის, თუ რას
 ფიქრობდა მაშინ თავის გულში. — არა მგონია, სადმე დედამიწაზე იყოს ასეთი
 სიწყნარე. — თქვა მან. — ზღვასა და ცას ვერ გაარჩევდით, ვერც ვერაფერს
 დაინახავდით და ვერც ვერაფერს გაიგონებდით. არც ნათლის გაელვება, არც
 რამე ჩრდილი, არც ჩამიჩუმი. თითქოსდა მთელი ხმელეთი ფსკერზე დაშვე-
 ბულიყო და ყოველი ადამიანიშვილი დამხრჩვალყო ჩემ და იმ არამზადე-
 ბის გარდა. — მაგიდისკენ დაიხარა, უღონოდ დაუვარდა ხელი ყავის, ლიქიო-
 რის ჭიქებსა და სიგარების ნამწვს შორის. — მგონია, მე მჯეროდა ამის, ყვე-
 ლაფერი გათავებულიყო... დასრულებულიყო... — ღრმად ამოიოხრა იმან, —
 ჩემთვის-მეთქი.

მარლოუ უეცრად გასწორდა და სიგარა მოისროლა. სათამაშო რაეტა-
 სავით გაავლო იმან ცეცხლის ზოლი და გასერა მცოცავი მცენარეების ფარდაგი.
 არავინ არ შეტოკებულა.

— თქვენ კი რას იტყვით? — შეჰყვირა მან უეცრად გამოცოცხლებულ-
 მა, — განა ის არ იყო თავის თავთან მართალი? სიცოცხლე კი გადაირჩინა,
 მაგრამ მიწა ფეხქვეშ უსკდებოდა და არავის დანახვა არ უნდოდა, აღარც
 არაფრის გაგონება. განადგურებული გახლდათ... დიახ! და მთელი ეს ხანი
 მხოლოდ მოღრუბლული ზეცა იყო, აუზღვრეველი ზღვა, გარინდებული ჰაერი
 და მეტი არაფერი. მხოლოდ ღამე, მხოლოდ სიჩუმე.

რამდენსამე ხანს გასტანა ასე. მერე კი უეცრად და ერთად ატებეს ხმაუ-
 რი, რა კარგად გადავრჩენილვართო. „თავიდანვე ვიცოდე, ჩაიძირებოდა“; „წუ-
 თიც და გათავდებოდა ყველაფერი“; „დაყვირებასაც ვერ მოვასწრებდით, ჯან-

მიამბობდა ჯიმი, — მე კი რაღა უნდა მეთქვა იმათთვის? — წამით შეყოვნდა და მერე ღონე მოიჭრიბა, განაგრძო: — რას არ მიძახოდნენ ისინი, — იმისი ხმა ჩურჩულში გადადიოდა ზოგჯერ, მაგრამ ახლა, უეცრად, რაღათა ზიზლი მორეოდა, კიდევ უფრო მტკიცედ ლაპარაკობდა, თითქოს იმას უნდოდა სააშკარაოზე გამოეტანა ეს თავისი გრძობა. — ჩემთვის სულ ერთად [რცხ, უკაც] უნდა ის დაეძახათ, — თქვა მან პირქუშად, — სიძულვილს ვგრძნობდი ჩემს ხმაში. კარგი ამბავი კი მოსვლოდათ, მე იმათთან ვიყავი ნავში და ამ ამბავს ვერც შეგუებოდნენ, ვერც მოენულებინათ. შეიშლებოდნენ კიდევაც, — ჩაიციხა, — მაგრამ ამან შემაკავა მე... გესმით! გულხელდაკრეფილი ვიჭექი მე ნავის ძვიდეზე! — მკვირცხლად წამოჯდა მაგილაზე, ისევ ისე დაიწყო ხელები, — აი, ასე, ხომ ხედავთ. სულ მცირეოდნავ გადავქანდებოდი უკან და მივეწეოდი... იმათ, სულ მცირეოდნავ-მეთქი... სულ პატარაზე... სულ პატარაზე-მეთქი. — მოიღუშა, შუანა თითი შუბლზე დაიკრა: — სულ ასე ვფიქრობდი, — თქვა მან გრძობით, — სულ-მეთქი... ასე მინდოდა, წვიმდა... ცივი მსხვილი წვეთები მეცემოდა გამდნარი თოვლივით... ცივზე ცივი... იმ ჩემს ბამბის თხელ სამოსელზე... მერე ასე არასდროს არ შემცივებია ჩემს ცხოვრებაში, გესმით. ცა სულ მოშავბნელებულიყო... შავზე უშავესი შექმნილიყო. არც ვარსკვლავი ჩანდა სადმე, არც რამე სინათლე. ველარაფერს ვხედავდი ამ გზაბნეული ნავის იქით, შიგნით კი იმ ორს აღვიქვამდი ლანდებად, გოშიებივით რომ მიყუფდნენ, თითქოსდა ხეზე ამძვრალი ქურდი ვყოფილიყავი... ამ! ამ! შენ აქ რა გინდაო? ეს ეინა ყოფილაო! შენისთანა ჯენტლმენები ჩვენ არ გვჭირდებაო, ვინ გეპატიებოდაო? სად მოძვრებოდიო? სად? ამ! ამ! სიცოცხლე მოგწყურებია! ამ! ამ! ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ ყუფა-ღრენაში ის ორნი. ერთი კი, კიჩოზე ძლივს ჩანდა ამ წვიმაში... რას შვრებოდა იქ... უშვერი გინებალა მესმოდა მისი. ამ! ამ! ავ-ავ-ავ-ავ-ავ! ამ! ამ! მსიამოვნებდა იმათი მოსმენა. აღფრთოვანებული ვიყავი, მე გეუბნებით. ცოცხალი რომ ვარ, ამას უნდა ვუმაღლოდე. ისინი კი აღარ ჩუმდებოდნენ, თითქოსდა ყვირილით უნდოდათ ჩემი წყალში გადაგდებან!.. მიკვირს, როგორ გაბედეთ ნავში ჩახტომა. ჩვენთან შენ რა გინდაო... რომ მცოდნოდა, აქ ბრძანდებოდი, ზღვაში გადაგისროდიო, შე არამზადავ, იმ მექანიკოსს რა უყავიო? აქ როგორ ჩამოხტო... შე მშიშარავ? რად ვითმენთ და რად არ გადავისვრითო სამივენი ამ ნავიდან?.. სუნთქვა შეკვროდათ. წვიმა გადასულიყო ზღვის იქით. არც არაფერი, არც არაფერი ჩანდა ნავიდან, ჩქამიყ აღარ ისმოდა. ჩემი გადაგდება უნდოდათ იმათ? გეფიცებით! კიდევაც აისრულდნენ ამ სურვილს, ოღონდ ჩუმად უნდა მსხდარიყვნენ, ჩემი მოსროლა უნდოდათ იმ ნავიდან! შეძლებდნენ კი? აბა სცადეთ-მეთქი, მე ვუთხარი. „გროშადაც არ გვიღირხარ!“ „შენზე ხელს არ გავისვრით!“ — ასე დამჩხაოდნენ თავზე. ჩამობნელებულიყო და მაშინლა ვხედავდი იმათ, როცა შეირხეოდნენ. დიახ, ვხედავდი. ღმერთო! ნეტავი კი ეცადათ ჩემი გადაგდება.

ჩემდა უნებურად შევეყვირე, რა უჩვეულო ამბავია-მეთქი!

— დიდებული... ხომ? — ამოთქვა მან ერთგვარად შეცბუნებულმა. — მგონია, ფიქრობდნენ, რომ იმ ცეცხლფარეშს მე მოვუღე ბოლო რატომღაც. რად? ეშმაკმა იცის! ნავში კი ამოვყავი თავი, ნავში-მეთქი... მე... — ტუჩები დაეჭიმა და მოელრიცა ნიღაბაფარებული სახე, საიდანაც წამით გამოკრთა რაღაც სასტიკი, სწორედ ასე გამოჩნდება ხოლმე ღრუბლის იდუმალი ხვეულები, როცა ელვა გაიკლაკნება. — მე ჩავხტი, ნათელი იყო, რომ იმათ შორის ვიყავი... საშინელებაა ხომ, კაცო იზამს ამას... და კიდევაც დაეკისრება მთელი

პასუხისმგებლობა! იმ ჯორჯის შესახებ მე რა ვიცოდი, ასეთი ყმული რას ატეხეს. ესლა მახსოვდა, გემბანზე მოკუნტული ეგდო ის კაცი. შე მშიშარა მკვლელის! მიყვიროდა უფროსი მექანიკოსი. მგონია, ამას ეს სიტყვებზე ახსოვდა, მეტი არაფერი. ჩუმად იყავი-მეთქი, ვუთხარი მე. მაშინ ღონე მოეკრიბა და სასოწარკვეთილმა მომიძახა, შენ მოკალი, შენ მოკალიო არა-მეთქი, დაუყვირე, მაგრამ შენ კი მოგვლავ ახლა-მეთქი. წამოვეარდი, მსჯელობას გადააწყდა და დაეცა საშინელი ხმაურით, არ ვიცი, როგორ მოხდა. მაშინ მსჯელობდა. მგონია, უკან დაიხია და იმიტომ წაიქცა. ზურგით კიჩოსკენ ვიდექი. ზღუტუნნი აუტყდა იმ ჩია ტანას მექანიკოსს, ხელმოტეხილ კაცს ხომ არ დაჰკრაო... მაშინ შენ ჯენტლმენი არ იქნებო. ის მეორე პირუტყვი ჩემკენ წამოვიდა, თან ნიჩაბს ურტყამდა კიჩოზე. ვხედავდი იმას, ვეებას, ვეებას, ასეთს ნისლსა და სიზმარში თუ ნახავთ. მოდი-მეთქი, დაუყვირე, ძონძების ტომარასავით მოვისროდი მე იმას ნავიდან. შეჩერდა, ბურტყუნ-ბურტყუნით გაბრუნდა. იქნება ქარის ხმა გაიგონა. არ ვიცი. ქარიშხლის უკანასკნელი კვეთება იყო ეს. უკან გაბრუნდა იმ თავის ნიჩბიანად. მეწყინა. ნეტავი ეცადა და... და..

ხელი მომუტა და ისევ გახსნა, აღგზნებულიყო, ბოლმით უკანკალებდა ხელები. დაწყნარდი, დაწყნარდი-მეთქი, ჩავიჩურჩულე.

— პა, რაო? მე არც ვღელავ, — განშიცხადა იმან საშინლად ნაწყენმა, შემთხვევით იდაყვი გაჰკრა და კონიაკის ბოთლი წააქცია. წამოვეარდი, საგარძელი იქით მივწიე. თავადაც იმწამსვე მოცილდა მაგიდას, თითქოს ყუმბარა გასკდომოდეს ზურგს უკან და სანამ მიტრიალდებოდა, დაეინახე იმისი შიშნეული თვალები და გადაფითრებული სახე. „დიდი ბოდიში, ეს როგორ მომივიდა!“ — ჩაიბურტყუნა მეტად შეწუხებულმა დაქცეული ალკოჰოლის სულის შემხუთავი სუნი დაღვა და უეცრად ბნელი ღამის სუფთა, გრილი ჰაერი ფუნდუკისას დაემსგავსა და ჩაიხუთა. შუქი ჩააქრეს დიდ დარბაზში, მხოლოდ სანთელი ციმციმებდა ამ გაგრძელებულ აივანზე და ის სვეტნარი შავად შეიფერა თავიდან ბოლომდე, ნათლად გამოჩნდა ესპლანადის მიღმა ნავსადგურის სამმართველოს შენობა, რომელსაც ვარსკვლავებით გაკაშკაშებული ცარგვალი დაჰყურებდა. ეს სვედის მომგვრელი ნაგებობა თითქოსდა სულ ახლოს მოწეულიყო ჩვენს სანახავად და მოსისმენად.

გულგრილი იერი მიიღო ჯიმმა.

— მგონია, ახლა არ ვარ ისე მშვიდი, როგორც მაშინ. ყველაფრისთვის მზად ვიყავი, რაღა უნდა მექნა...

— კარგი დრო კი გაგიტარებიათ იმ ნავზე, — შევნიშნე მე.

— მზად ვიყავი-მეთქი, — გაიმეორა იმან, — მას მერე, რაც ხომალდის შუქი გაქრა, ნავზე ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო... ყველაფერი — რაც კი შეიძლება მოხდეს ამ ქვეყანაზე და ვერც ვერაფერს გაიგებდა ეს ქვეყანა. მე ვგრძნობდი ამას და კმაყოფილი ვიყავი, კარგა მაგრადაც ბნელოდა. თითქოსდა საძვლეში ჩავვიშვეს სასწრაფოდ. მიწაზე რა ხდებოდა, ამისი დარდი არ გექონდა. არც არავის მქონდა რამე სათქმელ-საქმნელი, — ხრინწიანი ხმით მოვიხილა. უკვე შესამედ ამ ჩვენი საუბრის დროს, მაგრამ აქ არც არავინ იყო, რომ დაეკმაყოფილებოდა. ეს კაცი მთვრალიაო, — აღარც შიში, აღარც კანონი, აღარც უცხო თვალი... აღარც ჩვენი, მგონია, სანამ... სანამ არ გათენდებოდა მანამდე.

ამ სიტყვების უგვანო ჭეშმარიტებამ განმაცვიფრა. რაღაც უჩვეულო ამბავი ხდებოდა იმ პატარა, ზღვის უკიდევანო სივრცეში ჩაკარგულ ნავზე. სიკვდილის

აჩრდილს კი დასხლტომოდა სიცოცხლე, მაგრამ სამაგიეროდ ახლა სიგიჟის აჩრ-
დილი წამოდგომოდა თავს. ხომალდი თუ გაგწირავთ, მაშინ მთელი სამყარო
გაგწირავთ, ის სამყარო, რომელმაც თქვენ შეგქმნათ, გაგითავისათ, გამოგზორ-
დათ. თითქოსდა ადამიანი შეიღობა სულელები დაჭკრიან უფსკრულოვანის თავზე,
კიდევაც არიან თავისუფალნი უსაზღვროებასთან წილნაყარნი ფეხქვეშა
ჩაიდინონ გამირობა, აზრმოკლებული ან შესაზიზღებელი. რაღა თქმა უნდა, თუ
კი ვიგულისხმებთ რწმენას, ფიქრებს, სიყვარულს, სიძულვილს ან თუნდაც
ჩვეულებრივ მატერიალურ კეთილდღეობას, მაშინ ხომალდებთან ერთად კი
მოსვლიათ მარცხი ადამიანებს. მაგრამ ეს გახლდათ იმ უბედურ შემთხვევათა-
განი, როდესაც ისინი სრულიად მარტონი იყვნენ და უგვანო გარემოებათა კვა-
ლობაზე კიდევაც მოწყვეტილან დანარჩენ კაცობრიობას, რომლის იდეალი
არც არასდროს გამხდარა ასეთი ეშმაკეული და შემაძრწუნებელი ძალის სათა-
მაშოდ. ცოფებს ყრიდნენ ისინი, რაკილა, მათი აზრით, ამ გულდელალ არამზა-
დასთან უხდებოდათ ყოფნა, იმას კი იმათი ბოღმა აზრით, ჰკლავდა შურიზ-
ძიების წყურვილი, რადგან სწორედ ისინი გახდნენ მიზეზი საზიზღარი ცდუნე-
ბისა მისი ცხოვრების გზაზე. იმ ნავს მინდობილნი შუაგულ წყალში, მიჰყვე-
ბოდნენ უგუნურების დინებას, ხოლო სადღაც ფსკერზე იყო ჩაჩუმქრული იმა-
თი ფიქრები, გრძობები, განცდები, ერთი მეორისკენ არ გაუწევიათ და ეს
გახდა კიდევ ერთი გამოვლინება კომიკური სულმდაბლობისა, რომლითაც გა-
ჭერებულნი იყო ეს უბედური შემთხვევა ზღვაში. იყო მუქარა, უგვანო თავის
მოკატუნება, უთავბოლო ბრალდება, შეთითხნილი ბნელი ძალების შემზარავი
ზიზღით. იმათი ბოგინი და ზეობა გაუთავებელივ გაგრძელდებოდა, ადამიანის
სიმტკიცის წყალობით რომ არ იმუსრებოდეს ხშირად. ცოტა ხანს შევიცადე
და მერე ვკითხე, მაინც რაღა უნდა მომხდარიყო-მეთქი. უადგილო შეკითხვა
იყო. შე უკვე ძალიან ბევრი ვიცოდი და აღარ უნდა მქონოდა იმედი, კიდევ
რაღაცას გავიგებ-მეთქი ამოღლებული ეესტითა და რაღაც სიგიჟისა და შიშის
ზარის გამოვლინების წყალობით. „არც არაფერი, — მომიგო იმან, — ხმაური
ატეხეს. ეგ იყო და ეგ. არც არაფერი მომხდარა“.

ამომავალ მზეს იქ შეხვდა, სადაც დამხტარა პირველადვე, ნავის ცხვირზე.
სრული მზადყოფნით გახლდათ, მთელი ღამე ხელში ეჭირა რუმბელი. საჭე წყა-
ლში ჩავარდნოდან იმათ, როცა იმისი დამაგრება უნდოდან, ხოლო ის რუმბე-
ლი, მე მგონია, წინა მხარეს დავარდნოდან იმ სიჩქარესა და ფაცაფუცში, —
მაშინ როგორმე სასწრაფოდ უნდა მოცილებოდნენ გემს, ეს იყო გრძელი და
მძიმე ძელის გადანაჭერი, ექვსი საათი იქნებოდა, რაც ხელიდან არ გაუშვია, მო-
დი და მზადყოფნას ნუ დაარქმევ ამას! წარმოგიდგენიათ, ჩუმად, მთელი ნა-
ხევარი ღამე ფეხზე იდგა, წვიმა პირდაპირ სახეში სცემდა, ის კი მისჩერებოდა
იმათ ბუნდ ფიგურებს, იმათი სულ მცირე მოძრაობაც არ უნდა გამოპარვოდა.
იმათი იშვიათი გადაჩურჩულება უნდა გაეგონა კიჩოზე! თქვენ რას იტყვით?
იმის გამძლეობასაც ვერ უარყოფთ. ექვსი საათი, შეიძლება ცოტა მეტი
ან ნაკლები მზად იყო თავდაცვისთვის, ექვსი საათი იდგა დაძაბული, უმოძ-
რაოდ, ნავი ამ დროს თავისთვის მიცურავდა, მინდობილი ქარის კირვეულო-
ბას, სანამ ზღვა არ დაწყნარდა და ძილს არ მიეცა ბოლოს. მხოლოდ ღრუბლე-
ბი თუ გადაივლიდნენ იმის თავზე. თვალუწვდენელი იყო ზეცა, ნათელმიხ-
დილი, მოშავბნელებული. გამოხდა ხანი და ის მოიზღუდა, ბუნდად შეფენილ
თაღად გარდაისახა, ციმციმს უმატეს ვარსკვლავებმა, მუქად შეიფერა აღმო-
სავლეთი და ჩაღისფერი შეფერია ცარგვალს; კიჩოზე მჯდომარეთა ჩრდილები

ფარავდა დაბლა დაკიდებულ ვარსკვლავებს და ნელინელ გამოიკვეთა იმათი მხრები, თავები, სახეები, პირქუშად იმზირებოდნენ თმააბურძგნილი, თვალეზ-ჩაწითლებული მამაკაცები. „ისე გამოიყურებოდნენ, თითქოსდა მთელი კვირა მთვრალეები ტალახში ეყარნენ“. — ჯიმმა მკაფიოდ აღმიწერა ისინი, მერე კი ჩაიბურტყუნა, მზე ამოდოდა, იმ დღეს კარგი დარი იყო მოსალოდნელი. თქვენ იცით, მეზღვაურებს სჩვევიათ ამინდის წამდაუწყებელ მსწინებელ ჩემთვის კი ჩურჩულით წარმოთქმული ეს ორიოდე სიტყვა საკმარისი... ჩემთვის მე-ხილა, ჰორიზონტიდან ამობურცული ცეცხლოვანი მზის კიდე, ზღვა ალივლივ-და, ისე ათრთოლდა, თითქოსდა წყლის ამ უკიდევანო სივრცემ შუაო სინათლის ვეებერთელა ბურთი. ქარის უკანასკნელი, შვების მომგვრელი სუნთქვა ჰაერში გაირინდა.

— კიჩოზე ისხდნენ ისინი, გვერდიგვერდ, კაპიტანი შუაში ჩამჯდარიყო, ჭუჭყიანი კოტებივით საშივენი მე მომჩერებოდნენ, — წარმოთქვა მან დიდი სიძულვილით, რომელიც ისე იყო გაძრული ამ ჩვეულებრივ სიტყვებში, როგორც ძლიერი მხამი ტიქა წყალში; მაგრამ ჩემი ფიქრები მზის ამოსვლას უტრიალებდა. ცხადლივ წარმომიდგა გამკვირვალე ზეცა და ოთხნი, სასრულის-უქონელი ზღვის ტყვეობაში მოქცეულნი, ეული მზე გულგრილად ჩამოსცქერის ამ ცოცხალ წერტილებს, ზემოთ მიჰყვება ცის თავანს, თითქოსდა ამ თვალ-უწვდენელი სიმაღლიდან უნდა დატკბეს ჩაწყნარებულ ოკეანეში არეკლილი თავისი დიდებულებით... — კიჩოდან გამომძახეს, — თქვა ჯიმმა, — თითქოს განუყრელი მეგობრები იყვნენ ჩემი, გავიგონე რომ მეძახდნენ, მთხოვდნენ, ჭკუაზე მოვსულიყავი, გადამეგდო ეს „წყვეული“ კეტი. ასე რად იქცევით? შენთვის ჩვენ არაფერი დაგვიშავებია, ხომ? არაფერი არ დაგვიშავებიაო... არც არაფერი დაგვიშავებიაო.

მთლად წამოწითლდა, თითქოსდა სუნთქვა შეეკვრა.

— არაფერი დაგვიშავებიაო! — იყვირა იმან, — აბა თქვენ მითხარით. თქვენ კი მიხვდებით. ხომ ასეა? თქვენ ხომ ხედავთ? არაფერი არ დაგვიშავებიაო? ღმერთო დიდებულო! მეტი რაღა უნდა დაეშავებინათ? ჰო, დიახ, მე ძალიან კარგად ვიცი. მე გადმოვხტი, ნამდვილად გადმოვხტი-მეთქი. მე გეუბნებით, გადმოვხტი-მეთქი, მაგრამ მე თქვენ გეუბნებით, ვინ არ იზამდა ამას. ის იმათი ნამოქმედარი იყო, გინდაც ჭანგი მოედოთ ჩემთვის და გემიდან გადმოვეთრიე. ნუთუ ეს თქვენ არ გესმით? თქვენ უნდა გაიგოთ! თუ არადა, მოდი და პირდაპირ მითხარით.

თვალეზდაფეთებული მომაჩერდა, მეკითხებოდა, მეაჭებოდა, მოითხოვდა, მეხვეწებოდა მეპასუხა, მომკალით და მაინც წამომცდა ჩურჩულით. ძალიან დიდი განსაცდელი გადაგიტანიათ-მეთქი, „ბედი არ გინდა, — სწრაფად მომიგო მან, — რაღა იმედი უნდა მქონოდა... იმ გარეწრებთან დარჩენილს. თუმცა ახლა ჩემთან მეგობრულად იყვნენ... ჰო, ძალზე მეგობრულად! ძმაბიჭები, მეგობრები ერთი გემიდან. ახლა კი სუყველანი ერთ ნაევში ვისხედით. უკეთესს რას ინატრებდი, იმათ ჩემთვის ცუდი არ უნდოდათ, აღარც იმ ჯორჯის დარდი ჰქონდათ. ჯორჯს უკან, თავის ლოგინთან მიუბრუნეთა, რაღაცის წამოღება უნდოდა სულ უკანასკნელ წუთს და ვეღარც მობრუნებულა, ნამდვილი რეგენი იყო ის კაცი. სამწუხარო კი არის, რაღა თქმა უნდა... ისინი მე მიმზერდნენ, ბაგეები უკანკალებდათ, თავს მიქნევდნენ ნავის მეორე ბოლოდან, საშივენი, მე მიხმობდნენ... მე-მეთქი. რატომაც არა? მეც ხომ გადმოვხტი. აღარაფერი ვუთხარი. სიტყვები არ მყოფნიდა იმის სათქმელად, რაც უნდა მეთქვა. და თუკი პირს

გავაღებდი, მაშინ ყბუილი აღმოჩნდებოდა ნადირივით. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, როდის უნდა გაიღვიძო-მეთქი. ხმაძალა მეძახდნენ ისინი, კიჩოზე მივსულიყავი და მომესმინა, კაპიტანს რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის, დაერწმუნებული ვიყავით, ჭერ კიდევ დაღამებამდე გადაგვარჩენდნენ... სრუტედან გამოსულ გემებს სწორედ აქ უნდა გამოვევლოთ, შვირეოდენი კვამლები ჩვენს მხარეში ჩრდილო-დასავლეთით.

თავზარი დამეცა კიდევაც, როცა დავინახე სულ განლეული, განლეული, გრძლად გახაზული ყავისფერი ბოლი იქ, სადაც ერთმანეთს უერთდებოდა ზღვა და ზეცა. აქედანაც ძალიან კარგად შემიძლია თქვენი მოსმენა-მეთქი, გავძახე მე იმათ. კაპიტანი გინებას მოჰყვა, ყვავივით დაიწყო ყრანტალი, შენი გულისთვის შუაზე ხომ არ გავსკდებიო ყვირილით. ნაპირზე გაიგონებენ შენს ხმას და ამისი თუ გეშინია-მეთქი, მივუგე მე. გაათრებულმა შემომხედა, იმას ჩემი ასო-ასო აქნა უნდოდა, მგონია. უფროსმა მექანიკოსმა ურჩია, თავი გაანებე, თავის ჭკუაზე ვერ არისო. მაშინ კაპიტანი კიჩოზე დადგა ხორცის ვეებერთელა სვეტივით და აღარ დაამთავრა, აღარ დაამთავრა...

ჩიმი ჩაფიქრდა, შეჩერდა. მერე-მეთქი? ვკითხე.

— არც არაფრის დარდი მქონდა, რაც უნდა ის შეეთხზათ, — შეპყვირა იმან მტკიცედ. — შეეძლოთ ისე მოეთხროთ, როგორც მოესურვებოდათ, ვინ რას დაუშლიდა. მე კი ზუსტად ვიცოდი ეს ამბავი, გინდა ასე დაერწმუნებინათ ხალხი, გინდ ისე, სულ ერთი იყო ჩემთვის. ხოდა, ყვებოდა და ამტკიცებდა... ყვებოდა, ამტკიცებდა, აღარ გაათავა. ბოლოს ის კეტი მოვისროლე, ზურგიით იმათკენ მიტრიალებული წინა სკამზე დავჯექი. კმარა-მეთქი. თუ გაიგეო, მეკითხებოდნენ ისინი, ხომ დასაჯერებელიაო ეს ამბავი. მართალიც იყვნენ, ღმერთმანისი კი იყო დასაჯერებელი იმათი მონათხრობი. მე არც მიმიტრიალებია თავი. გავიგონე, ერთმანეთთან გააბეს საუბარი. სათქმელი რაღა აქვსო ამ ბრიყვ ვირს. ჰო, კარგად ვერ გაიგოო, მგონია. თავი გაანებეთ, ჭერ თავის ჭკუაზე ვერ არისო. რაღა შეუძლიაო, მართლაცდა რაღა შემეძლო. განა ერთ ნავში არ ვისხედით სუყველანი. წაყრუებას ვცდილობდი, ჩრდილოეთის მხარეს გამქრალიყო ის კვამლი. ზღვა არ იძვროდა. კასრიდან წყალი დალიეს და მეც დავლიე. შემდეგ კარგა ხანს იჯახირეს და იალქანი აღმართეს პლანშირის ზემოთ. მეთვალყურეობას თუ იკისრებო. მითხრეს, მერე საყუდარში შეძვრნენ და ველარ ეხედავდი იმათ, მადლობა ღმერთს! ქანცგალეული, ქანცგალეული ვიყავი, თითქოსდა ერთი საათიც არ მიძინია დაბადების დღიდანვე. მზის სხივებით ისე აელვარებულყო ზღვა, რომ თვალს ველარ ვუსწორებდი. ხანდახან ერთ-ერთი იმათგანი გამოძვრებოდა და მიმოიხედავდა ირგვლივ, მერე ისევ თავის ადგილას დაბრუნდებოდა. საყუდრიდან ხვრინვა-ხრიალი მესმოდა, ვიღაცას ძილი შეეძლო. ყველას თუ არა, ერთს მაინც. მე კი არ შემეძლო! მთელ ამ არემიდამოს ნათელი, ნათელი გადასდიოდა და თითქოსდა ნავიც დანთქმულიყო სინათლის ქაველებში. ხანდახან იყო და მთლად გაოცებულს მახსენდებოდა, აქ ვარ და ამ სკამზე ვზივარ-მეთქი...

ჩიმი გამოზომილი ნაბიჯებით სიარულს მოჰყვა ჩემი სავარძლის წინ, ცალი ხელი ჭიბეში ჩაეყო, თავი ჩაექინდრა ჩაფიქრებულს, მეორე, მარჯვენა ხელს აწევდა ხოლმე თითქოსდა ვიღაც უჩინარი მომხდურის მოსაგერიებლად.

— თქვენ გგონიათ, მე მაშინ გიჟი ვიყავი, — თქვა ნირშეცვლილმა, — და მართალიც იქნებით. თუ გახსოვთ, ქუდი მქონდა დაკარგული. მთელი ეს გზა მზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიცოცავდა და მე კი თავშიშველი ვი-

ყავი, მაგრამ იმ დღეს აღარაფერი დამიშავდებოდა, მგონია, მზე მე ვერ გამა-
გოყებდა, — მარჯვენა ხელი გაიჭნია, ეს რამ მათქმევინაო. — ვერც მომკლავდა...
— კვლავ მოიცილა იმისმა ხელმა რაღაც აჩრდილი, — თვითონ მე მჭირდა რაღაც.
რას ამბობთ-მეთქი, ვუთხარი მე, დიდად ვიყავი გაოცებული ამ მისი სიტ-
ყვებით, ხოდა, ჩემკენ, ქუსლებზე რომ შემოტრიალდა, თითქოსდა ახლა სულ
სხვა სახეს ვხედავდი.

— ტვინის ანთება მე არ დამმართნია და არც მკვლარი დავცემულვარ, —
განაგრძო იმან, — მზეს არ შევუწუხებია, ჩრდილში მჯდომარე კაცივით
გულმშვიდად მივცემოდი ფიქრებს, იმ გაფიქვინებულ კაპიტანს თავისი ვეებერ-
თელა მოკლედშეჭრილობიანი თავი გამოეყო და თევზის თვალებით მიმზერ-
და. „ეშმაკმა დაგლახვროს, მოკვდები!“ — დამიბღვირა იმან და კუსავით უკან
შეცოცდა. მე იმას ვხედავდი, მესმოდა იმისი ნათქვამი, ხელი არ შეუშლია ჩემ-
თვის, სწორედ მაშინ აღარ მინდოდა სიკვდილი.

ჩემს ფიქრებს უნდოდა მიხვედრილიყო, ბოლოს სცემდა და ყურადღებით
მაკვირდებოდა. „თქვენ იმისი თქმა გინდათ, რომ სიკვდილ-სიცოცხლის არჩე-
ვანი გაგეკეთებინათ?“ — ვკითხე მე, მღელვარების დამალვას ვცდილობდი.
თავი დამიჭნია, არც კი შეჩერებულა, ისე. „ღიახ, სწორედ ასე იყო მაშინ, სა-
ნამ იქ მარტოდ ვიჯექი“, — მითხრა მან. რამდენიმე ნაბიჯი ვადადგა კიდევ,
თითქოს საკნის ბოლო წერტილამდე მისულიყო, მერე შემოტრიალდა, ორივე
ჩიბეში ღრმად ჩაიწყო ხელები, ჩემი სავარძლის წინ შეჩერდა და ზემოდან და-
მაცქერდა. „თქვენ ამისი გჯერათ?“ — მკითხა მან დიდი ცნობისმოყვარეობით.
ზარზეიმით განვუცხადე, ყველაფერს დავიჯერებ, რასაც კი თქვენ მეტყვით-
მეთქი.

თავი 11

თავდახრილმა მომისმინა და კვლავაც ვიხილე ნათლის ჭიატი იმ ნისლოვა-
ნედში, რომელშიაც მას უხდებოდა მოძრაობა და ყოფნა. შიშინი გაქონდა
სანთელს მინის ხუფის ქვეშ და ამ ბუნდ სინათლეზე ვხედავდი მე იმ ყმაწვილ-
კაცს, დამისეული წყვილი და მოკიაფე ვარსკვლავები მოჩანდა იმის უკან,
იმათი შორი ნათება განუტყვრეტელი და უკიდვანო უკუნეთისკენ იზიდავდა
შხერას, და უცებ, თითქოს რაღაც იღუმალი სხივები დაადგათ იმის ბიჭურ
თავს, ბრდღვიანი მოიღო მისმა სიყმაწვილემ და ჩაქრა, „თქვენ ისეთი კეთილი
ხართ, მე რომ მისმენთ, — მითხრა მან, — შევბას ვგრძნობ, თქვენ არც კი იცით,
რამდენს ნიშნავს ეს ჩემთვის, თქვენ არც კი...“ სიტყვებს ველარ პოულობდა.
მგონია, ნათელი იყო, ჩემ წინ იჯდა ისეთი ყმაწვილკაცი, ვინც სულ თქვენს
გვერდით გინდათ გყავდეთ. რადგან სწორედ ასე წარმოგიდგებათ თქვენი სი-
ჭაბუკე, ასეთი გარეგნობის ყმაწვილკაცის ხილვისას წამოგაგონდებათ ყველა-
ფერი, რაც დავიწყებული, გარდასული, წარხოცილი გგონიათ, მაგრამ მინი
ახალგაზრდული ცეცხლოვანება გამოგიცოცხლებთ იმ მივიწყებულ გრძნობებს
და სულის სიღრმეში, სულის სიღრმეში აფრთხილდება წარსული დღეების
შუქი და მოაღწევს კიდევ თქვენამდე იმ ხანის მცხუნვარებას... ღიახ, სულ
ორიოდე წამით... და არც საბოლოო იქნება... „თქვენ არც კი იცით, რა სასი-
ამოვნოა ჩემისთანა კაცისთვის, როდესაც დავიჯერებენ... გულს რომ გადაუშ-
ლი უფროს ადამიანს, ძნელზე ძნელია... რა უბედურებაა... თქვენსას რომ ვერ
გებულობენ“

ნისლით დაიბურა ისევ ყველაფერი, არ ვიცი, რამდენად ხანდაზმული ვჩანდი იმის თვალში, რამდენად ბრძენია რაღა თქმა უნდა, ის, ვისაც ზღვაზე ცურვა გაუხდია თავის ხელობად და სიცოცხლე სასწორზე აქვს შეგდებული, გულაჩუყებით გაიზიარებს განსაცდელში ჩავარდნილი ყმაწვილკაცის სადარდებელს. რომელიც ფართოდ გახელილი, ანთებული თვალებით ვასცქერის წყლისპირს, იმის ცეცხლოვან მზერას რომ ირეკლავს. შეუცნობელის ბრწყინვალე მზერას მოჭადლოებული ჩვენთაგან ყოველი, ვისაც გადაუწყვეტია ზღვაზე სამსახური, ნათლით მოსილი გაურკვეველობით მოხიბლულებს თავგადასავლების დაუოკებელი წყურვილი გვკლავს და სწორედ ეს არის ჩვენი ერთადერთი ჯილდო. ხოდა, რასაც ჩვენ მოვიპოვებთ... კარგი, ამაზე ნულარაფერს ვიტყვით; განა ეს ღიმილის მომგვრელი არ არის? ზღვაზე ყოფნის ხანს რეალობა და ილუზია ისე დაცილებული ერთმანეთს, როგორც არსად... ილუზია აქ მალე გაცამტვერდება, სრულიად წარიხოცება. განა ჩვენ ყველანი არ ვიწყებდით ერთი და იგივე სურვილით და არ ვიღწვოდით ერთი და იგივე ცოდნით, ხოდა, მთელ ჩვენს სევდის მომგვრელსა და სვეგამწარებულ დღეებში გამოგვიტარებია ერთი და იგივე მომჭადლოებლობის სანდომ-საამური ხსოვნა. განა საოცარი არ არის, რომ ზღვების უკულმა ტრილის ქამს ჩვენ ვგრძნობთ შემაკავშირებელ ხუნდებს; ზღვაზე მეგობრობის გარდა კიდევ უფრო ძალუმი გრძნობა გვაკავშირებს, გრძნობა, რომლითაც კაცი შეჭფოფინებს ბაღს. ის ჩემ წინ იყო, სჯეროდა, რომ ასაკა და სიბრძნეს შეუძლია განკურნოს რეალობით მოგვრელი სატკივარი, იმან გადამიხსნა თავისი სულის ხვეულები, თავისი ყმაწვილკაცური სული, იმან, ვინც მოხვედრილა დავიდარაბაში, რომლის შესახებაც ქალარა წვეროსანი მოხუცები ისმენენ საზეიმო თავის ქიციინითა და ნამალავი ღიმილით. ის კი სიკვდილზე ფიქრობდა დღენიდაგ. ფიქრობდა იმიტომ, რომ ამ აზრს გაეწვალებინა, მართალია, საკუთარი სიცოცხლე კი იხსნა, მაგრამ მთელი მისი ძალი მომჭადლოები გაქრა იმ ხომალდთან ერთად იმ ღამით. საკვირველი რაღა უნდა იყოს! თანაღმობის სიტყვები საკმაოდ ტრაგიკულად და საკმაოდ სასაცილოდაც გამოჩნდებოდნენ ამ დროს, და მე სხვებზე უკეთესი რით ვიქნებოდი, რომ არ შემბრალებოდა იგი? ნისლი ჩამოწვა, იმას რომ შევყურებდი, უცებ ამისი ხმა გავიგონე:

— მე ისე დაბნეული ვიყავი, გესმით, ფრიად მოულოდნელი ამბავი დაგვატყდა თავს. ბრძოლას არ ჰგავდა, მაგალითად.

არა-მეთქი, დავუდასტურე მე. ცვლილება დაეტყო სახეზე, თითქოსდა უცრად დაკაცდამო.

— დანამდვილებით ვერც იტყოდა კაცი, რა მოხდა, — ჩაიჩურჩულა იმან.

— ჰო! დანამდვილებით ვერც იტყოდით, — ვუთხარი მე, ოხვრა აღმომახდა, თითქოს ეუღმა ფრინველმა ჩაიქროლა ჩვენ შუა, გულს მომეფონა.

ღიან, ვერ ვიტყვოდით, ვაქცაცურად განმიცხადა იმან. სწორედ იმათი დაწვევლილი მონათხრობის მსგავსად მოხდა ყველაფერი, სიცრუე არ იყო, მაგრამ ამავე დროს არც სინამდვილე იყო, რაღაც იყო... საცხადო სიცრუეს მაშინვე მიხედება კაცი, ქალადის თხელი ფურცელივით ზღვარიც არ იყოთ ამ საქმეში სიმართლესა და სიცრუეს შორის.

სხვას რაღას მოელოდით-მეთქი? ჩავეკითხე მე, მაგრამ, მათნია, იმას არ გაუგონია ეს ჩემი ნათქვამი, თავის მხრივ ასე დაასაბუთა, მთელი სიცოცხლე ბეწვის ხიდზე სიარულით, საღად მსჯელობდა.

— ვთქვან და... ვთქვან და გემზე დავრჩენილიყავი? კარგი, რამდენ ხანს? შეიძლება წუთს... ნახევარი წუთი. გესმით. ოცდაათი წამი და მეც ბორტის

მიღმა ამოვყოფდი თავს, სინამდვილე მაშინ ეს იყო და როგორ გგონიათ, არ მოვიშველიებდა ყველაფერს, რაც ხელში მომხვდებოდა — ნიჩაბი იქნებოდა მაშველი რგოლი თუ ვასოსები, თქვენ კი რას იზამდით?

— რათა გადავრჩენილიყავი? — ჩავუბრუნე მე.

— ალბათ გადარჩენას ვფიქრობდი. — შეტყვირა მან, — ვფიქრობდი კი არა, უფრო მეტიც, — კანკალი მოგვიდა, თითქოს რაღაც უფრო მაშველი უნდა დაელოდა. — გადავხტი, — ძლივს ამოთქვა იმან და გეგონებია, მას გადავხდებოდა პაუზით იმისი შეფოთიანობა, შეგვწრიალდი, ქვეშ-ქვეშ მიმხვრდა და დაბუღლად. — „თქვენ ჩემი არა გჯერათ? — შეტყვირა იმან. — გეფიცებით... ეს მაკმა დასწყევლოს! თქვენ მე საქ მომიყვანეთ საამბობლად... თქვენ უნდა... თქვენ ხომ შითხარით, მჭერაო“. რაღა თქმა უნდა-მეთქი, დავეფიქრებოდა და დაშვიდდა. „მაბატით, — შითხრა მან, — რასაკვირველია, მე არ ვიამბობდით ამას, ჭენტლმენი რომ არ იყოთ. მე უნდა ვიცოდეთ, მეო, მეცო, ჭენტლმენი განლაგარ...“ დიახ, დიახ-მეთქი, მაშინვე ვუთხარი მე ყურადღებით შემომხედა და ნელა შიატრიალა თავი, „თქვენ ახლა უკვე მიმხვდარი იქნებით, ამის შერე... თავი რად არ მოვიკალა. იმ ჩემი საქციელის გამო ასეთი შიში თუ დამრევდა ხელს, რა ვიცოდია, და ხომაა ცხადი, გემზე დარჩენილი ყოველ ღონეს ვიზმარდი თავის გადასარჩენად, კაცს შეუძლია საათები დაჰყოს შუა ზღვაში, ბევრი გადარჩენილა სალსალამათი, მე კი უფრო მეტი შემიძლია. ჩემი მაგარი გულსთვის ეს არც არაფერია“, — მარჯვენა ჯიბიდან ხელი ამოიღო და მტუშტი მკერდზე დაიჭრა, თოფის ყრუ გასროლასავით გაისმა ეს ხმა იმ ღამეში.

არაფერია-მეთქი, ვუთხარი მე. ჩაფიქრდა, მიტყუებულ ფეხები მკვირვოდნავ გაშალა, თავი ჩაქინდრა. — ბეწვისოდენა, — ჩაიჩურჩულა იმან. — ბეწვისოდენა მანძილი არაა ტყუილსა და მართალს შორის. მაგრამ ამავე დროს...

— შუალამით ბეწვის გარჩევა ძნელია, — ჩავუბრუნე მე, მგონია, ცოტათი გაღიზიანებულმაც. თქვენ გესმით, ალბათ მე ერთი ხელობის ხალხის სოლიდარობას ვგულისხმობ, თითქოსდა მე მოვეტყუებინებ იმას... მე-მეთქი!.. თითქოსდა იმას წაეგვარა ჩემთვის ჩემი სიყმაწვილის ილუზია, თითქოსდა ჩვენი საერთო სიცოცხლისთვის მოვეცილებინა მომჯადოებლობის უკანასკნელი სხივი. — ხოდა, თქვენ ვაეცალეთ გემს. მაშინვე!

— გადმოვხტი, — უხეშად მომიჭრა იმან, — გადმოვხტი-მეთქი, ნამდვილად! — გაოგნებული ვიყავი, რადგან ბოლომდე არ იყო ნათელი ჩემთვის იმისი სიტყვები. — დიახ, ბატონო! შეიძლება მაშინ ვერა ვხედავდი. მაგრამ იმ ნავზე მქონდა აუარება დრო და ბევრი სინათლეც, და ფიქრიც შემეძლო, არც არავის ეცოდინებოდა რამე, რასაკვირველია, მაგრამ რა შელავათი უნდა ყოფილიყო ეს ჩემთვის, თქვენ ესეც უნდა დამიჯეროთ. ამ ამბის მოყოლა არც მინდოდა... არა... დიახ... ვერ მოგატყუებთ... კი მინდოდა, მხოლოდ ეს თუ მინდოდა... და შორჩა, ხომ არ გგონიათ, თქვენ ან თუნდაც სხვა მათქმევინებდა რამეს, თუკი მე... მე-მეთქი... შიში არ მაქვს, ხომ გიყვებით. არც ამაზე ფიქრის მეშინია. პირისპირ შევხედე სიშარტლეს, არსადაც არ გავიქცეოდი, პირველად, დამით, ისინი რომ არა, იქნებ... არა! ღმერთმანი! არსადაც არ წავიდოდი იმით გასახარებლად. რაც კი შეეძლოთ, მოახერხეს, შეთხზეს ეს ამბავი და თავდაც დაიჭერეს ყველაფერი, მე მგონია, მაგრამ მე ხომ ვიცი სიშარტლე და კიდევაც უნდა ვიცოცხლო იმასთან ერთად, მარტოდ მარტომ ასეთ უწყალო უსამართლობას მე ვერ შევეგუები, რა მჭირს? ჩემს კეუაზე აღარ ვიყავი, სიცოცხლე მომძულებოდა, მართალი თუ ვნებავთ, მაგრამ ამ ვნით თავის დაღწევას რა...

რა... რა საკადრისია? ეს არ იქნებოდა სწორი. მე მგონია... მე მგონია, რომ... ამით არც დასრულდებოდა... არაფრის დიდებით.

წინ და უკან დადიოდა, მაგრამ უკანასკნელ სიტყვაზე მე მომიტრიალდა.

— თქვენ კი რას იტყვოდით? — მგზნებარედ ჩამეკითხა ის, რამდენსამე ხანს იყუჩა, და უცებ ვიგრძენი, ძვალი და რბილი სულ ძირს ჩამომდგნულ ლობისაგან, თითქოსდა იმის ხმამ ძილქუშიდან გამომარკვია და მგზნებარე ხეტიალი უკიდევანო უდაბნოში, რამაც ანწუბზე შაცვა და არაქათი გამომაცია.

... — არც დასრულდებოდა, — ჯიუტად ჩაიჩურჩულა იმან ცოტა ხნის მერე. — არა! დაცდა არის საჭირო... მარტოკამ უნდა ვზიდო... სანამ სხვა შემთხვევა... კი გამოჩნდება რამე...

თავი 12

ჩქამიკ აღარ ისმოდა, ყველაფერი დადუმებულიყო ირგვლივ. თითქოსდა შფოთიანობა დაუფლებოდა ამ ბრძოლით მისი გრძნობების ნისლოვანედს, რომელიც ჩვენ შორის იძვროდა. ამ არამატერიალური ფარდის იქით ცხადლივ ვხედავდი იმის ჩუმი მოლოდინით შეფერილ სახეს, ვითარცა რაღაც სიმბოლურ ფიგურას სურათზე. ღამის სუსხი მაწვებოდა მთელ სხეულზე მძიმე მარმარილოს ფილასავით.

გასაგებია-მეთქი, ჩავიჩურჩულე მე, უფრო იმიტომ, დამემტკიცებინა საკუთარი თავისთვის, თუკი მოვინდომებდი, შევძლებდი დაღლილობის მოცილებას.

— სწორედ მზის ჩასვლამდე აგვიყვანა „ევონდეილმა“, — პირქუშად თქვა მან, — პირდაპირ ჩვენკენ მოდიოდა. ჩვენ მხოლოდ უნდა ვმჯდარიყავით და დავლოდებოდით.

რამდენიმე ხნის მერე კი ასე მითხრა, ისინი თავიანთ ამბავს მოყვნენო. და კვლავ ჩამოწვა გულის მომკვლელი მღუმარება, მხოლოდ მაშინ მივხვდი, სადამდის ვიყავიო მისული, დასძინა იმან.

— თქვენ არაფერი გითქვამთ, — ჩავჩურჩულე მე.

— რაღა უნდა მეთქვა? — ისეთივე დაბალი ხმით მკითხა იმან... — პატარა ბიძგი. გემი გააჩერეს. მიხვდნენ, დაზიანებული იყო. ნავები ჩაუშვეს თუ არა, ქარიშხალი ამოვარდა. ტყვთასავით წავიდა... ცხადი არ არის... — თავი ჩაქინდრა... — და შემზარავიც? — ტურები უკანკალებდა, როდესაც პირდაპირ თვალებში შემომცქეროდა. — მე გადმოვხტი, ხომ? — იკითხა მან სევდიანად, — და კიდევაც გადავჩი ცოცხალი. იმ ამბავს უკვე არც ჰქონდა რამე მნიშვნელობა... — წამით ხელი ხელს შეატყუპა, აქეთ-იქით გაიხედა იმ სიბნელეში, — თითქოსდა მკვდრებს ატყუებდნენ, — წარმოთქვა მან ენის ბორძიკით.

— მკვდრები კი არ იყვნენ, — მე ვუთხარი.

ვთქვი ეს და მომცილდა, მხოლოდ ასე შემიძლია ამის აღწერა. იმავე წამს მოაჩირთან დავინახე. ცოტა ხანს იქ იდგა, თითქოსდა აღფრთოვანებულიყო ღამის სიწმინდითა და სიმშვიდით. ქვემოთ ბაღში ბუჩქები აყვავილებულიყვნენ და იმათი სურნელება გასჯდომოდა ნესტიან ჰაერს. სწრაფი ნაბიჯებით ჩემთან მობრუნდა.

— და არც ამას ჰქონდა რამე მნიშვნელობა, — თქვა მან მტკიცედ.

— შეიძლება ასეც იყოს, — დავუდასტურე. ეს უკვე მეტიმეტი იყო ჩემთვის. განა მე ბევრი ვიცოდი იმ ყმაწვილკაცის შესახებ.

— მეკვდრები იყვნენ თუ არა, მე მაინც ჩემი დამემართა. — თქვა მან —
მე უნდა მეცოცხლა, ხომ ასეა.

— დიახ... მეტი რა გზა იყო, — ასე ამოვიღულულულე.

— მიხაროდა, რაღა თქმა უნდა, — განაცხადა იმან უდარდელიდ, რაღაც
სხვას კი ფიქრობდა მგონია. — ნათელი გახდა — ნელა ამოთქვა მან, თავი ას-
წია. — იცით თუ არა თქვენ, რა გავიფიქრე მაშინ, როდესაც გეგონებოდა? არა?
დიახ, მე გავიგონე. საშველად უხმობდნენ... წვიმის წვეთებმა მოკვებოდა იმა-
თი ყვირილი, მეჩვენებოდა, მგონია, და მაინც ძლივს... რა სისულელეა...
სხვებს არ გაუგონიათ, მერე მე ვეკითხებოდი იმათ, ყველამ მითხრა არაო, არაო?
მე კი მაშინაც მესმოდა ეს ხმები! კი უხდა ბეკონოდა... მაგრამ ფიქრის თავი არ
მქონდა... მხოლოდ ყურს ვუგდებდი, მოგუდული ყვირილი... ყოველდღე. შემ-
დეგ ის ჩია ტანის ნარვესისხლიანი კაცი მოვიდა და განმიცხადა: „მატნა“ ფრან-
გების სამხედრო ხომალდმა... ბაგირით მიათრია ადენში... გამოძიება დაიწყო...
საზღვაო სამმართველო... მეზღვაურთა სახლი... თქვენ იქ უნდა გაჩერდეთ რამ-
დენსამე ხანს! გავყევი, მსიამოვნებდა სიჩუმე. ყვირილი აღარ ისმოდა, ის ხმე-
ბი მეჩვენებოდა, მაგრამ მაშინ მჯეროდა. მეტად აღარ გამიგონია, ნეტავი რამდენ
ხანს გავუძლებდი ამ ხმებს. სულ უფრო და უფრო მიჭირდა... იმის თქმა მინ-
და, სულ უფრო და უფრო ხმამალა ისმოდა-მეთქი.

ჩაფიქრდა.

— ხმები არ მესმოდა! კარგი, ასე იყო, მაგრამ სინათლეები ხომ აღარ ჩან-
და! ჩვენ ვეღარ ვხედავდით სინათლეებს, აღარსად იყო-მეთქი. რომ ყოფილი-
ყო, უკან დავბრუნდებოდი და ყვირილს დავიწყებდი... შევეხვეწებოდი იმათ,
გემზე ამიშვით-მეთქი... თქვენ რა იცით, მაშინ მე რას ვგრძნობდი?.. თქვენ
ეჭვობთ, მაგრამ ამის უფლება კი გაქვთ?.. მე მაინც ასე ვიზამდი, გესმით? —
— ხმა ჩაუწყდა. — სინათლის ერთი სხივიც აღარსად იყო... სინათლის ერთი
სხივიც-მეთქი! — გულმკვდარი მეუბნებოდა ასე, — ნუთუ თქვენ არ გესმით,
ერთი კი ყოფილიყო და მაშინ აქ ვეღარ მნახავდით. თქვენ მე მიყურებთ... და
ეჭვი გეპარებათ.

თავი გავაქნიე უარყოფის ნიშნად. საკამათო იყო იმ გაუჩინარებულ სი-
ნათლის ამბავი, მაშინ ნავი მეოთხედი მილით თუ იქნებოდა დაცილებული ხო-
მალდს. ჭიმი ამბობდა, პირველად რომ გადაიღო წვიმამ, არაფერი ჩანდაო, სხვე-
ბიც ასე უმტკიცებდნენ „ევონდეილის“ ხელმძღვანელობას, რაღა თქმა უნ-
და, მსმენელები თავს იქნევდნენ და იღიმებოდნენ. სასამართლოზე ჩემ გვერდით
ერთი ბებერი კაპიტანი იჯდა, შიგ ყურში მილიტინებდა თავისი ჭაღარა წვერით
და ასე მეუბნებოდა, რაღა თქმა უნდა, ცრუობენო, უეჭველი კი იყო, არაფინაც
არ ცრუობდა, ის უფროსი მექანიკოსიც კი, ვისაც უთქვამს, სინათლე ანძის წვე-
როს ანთებული ასანთის ღერივით მოსწყდაო. ამაში უბრალონი იყვნენ-მეთქი.
ღვიძლის ტკივილით გატანჯული უეცრად უკან მიტრიალებული კაცი მართლაც
მოკრავდა თვალს ნაპერწკლების გაელვებას. ცოტა ხნის მერე სინათლე ვეღარ
დაუნახავთ იმათ, თუმცა კი იქვე იმყოფებოდნენ, ცხადი შექმნილიყო. გემი
ჩაიძირა. ნათელი იყო ეს ამბავი და დამამშვიდებელიც. გემის დაღუპვა განჭ-
ვრიტეს და, რაკილა მოსახდენი მომხდარიყო, იმათი სიჩქარეც გამართლებული
ჩანდა, რაღა გასაკვირი იყო, რომ ისინი სხვაგვარ ახსნას აღარც ეძიებდნენ. სი-
ნამდვილეში ყველაფერი უბრალოდ მომხდარა და როგორც კი ბრავერილიმ ასე-
თი ვარაუდი გამოთქვა, სასამართლომ შეწყვიტა ამ საკითხის ძიება, თუ გახ-
სოვთ, გემი აღარ იძროდა და იმ ღამეში ცხვირი იქით მიემართა. საითაც მადი-

ოდა, კიჩო კი მალლა იყო წამოწეული, რადგან იმისი წინა მხარე უკვე მუდომ
 გავსებულიყო. წინა ნაწილი ხომალდისა მეოთხედზე მეტით იყო და
 და ამიტომ კიჩოს მხრიდან მოვარდნილმა ქარიშხალმა მკვეთრად შეაღწია
 ქარის მიმართულებით, თითქოსდა ის ლუზაზე ყოფილიყო დამაგრებული
 რიალებისთანავე იმისი სინათლეები თვალს მიეფარა საქარე მხარე
 ნაეისთვის. ის სინათლეები რომ არ გამქრალიყო, შეიძლება ჩემი ვედრების
 მსგავსად მოახლოებოდა იმათ... ნათლის ციმციმი ამ ბნელ-უკუენეთში იდუმალ-
 ლებით მოსილ ძე-ხორციელის მზერას წამოაგონებდათ და გულს მონანიებთან
 და სიბრალულით აღუვსებდათ, თითქოსდა ეს იქნებოდა ძახილი: „მე აქ ვარ...
 ჯერ კიდევ აქ ვარ...“ ამაზე მეტი რა უნდა თქვას მთლიად გაუბედურებული
 კაცის მზერამ? მაგრამ ხომალდმა იმათ ზურგი აქცია, თითქოსდა ზიზლით აღვსი-
 ლიყო იმათი ბედისადმი, მიტრიალებულიყო, სანახევროდ ჩამოტე-
 ლი პირდაპირ დახვედროდა ღია ზღვაში ჩანუშქრულ სამიშორე-
 ბას, რომელსაც ასე გასაოცრად დააღწია თავი, რათა თავისი უღუპე
 დაესრულებინა უვარგისი გემების სადგომში, თითქოს ბედად ეწერა დაღუპე
 უამრავი ჩაქუჩის ხათქახუთქში, ხოლო თუ როგორ უნდა გაესრულებინათ სი-
 ცოცხლე იმ მლოცველებს, ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი კი იყო იმათი ახლო
 მომავალი: დაახლოებით მეორე დღის ცხრა საათისთვის ისინი წაასხა რე-
 უნიუნიდან გამოსულმა სამხედრო ხომალდმა. მისი კაპიტნის განცხადება ცნო-
 ბილი გახდა საზოგადოებისათვის. მცირეოდნავ გადაეხვიათ იმათ თავიანთი
 გეზიდან, რათა გაეგოთ, რა მოსვლოდა წყნარ და ნისლით შეფენილ წყალში
 აგრე საშიშრად ცხვირჩაყოფილ ორთქლის გემს. ზედა ძელზე უკუღმა გადმო-
 ეფინათ დროშა (სერანგს მოეფიქრებინა — დღისით გამოჩნდებოდა უბედუ-
 რების ეს ნიშანი); მზარეულები კი ჩვეულებისამებრ ფუსფუსებდნენ თავიანთ
 მაგიდებთან წინა მხარეს. ცხვრის ბაგასავით იყო გავსებული გემბანება. სად
 არ მოკალათებულიყო ხალხი, შემომსხდარიყვნენ მოაჩირებზე, ხიდურებზე და
 ასეული თვალი მისჩერებოდა სამხედრო ხომალდს, ხმას არ იღებდნენ, თით-
 ქოსდა ჯადოს შეეკრა იმათი ბაგეები.

ფრანგმა კაპიტანმა გასძახა იმათ, მაგრამ პასუხი რომ ვერ გაიგონა,
 დურბინით დაათვალიერა გემბანი და როცა დარწმუნდა, ქამიანები არ უნდა
 ყოფილიყვნენ ისინი, ნავეები გაგზავნა, იმისი ორი თანამემშვე ავიდა გემზე, სე-
 რანგს მოუსმინეს, სცადეს არაბი გამოეკითხათ, მაგრამ იმან ნაამბობს თავი ვერ
 მოაბა. თუმცა ისედაც იყო ნათელი, თუ რა მარცხი მოსვლოდათ, თავზარი და-
 ეცათ, როდესაც ნახეს მკვდარი თეთრი კაცი ხიდურზე მწოლარე. „Fort Intri-
 gues per ce cadavre“, ასე განმიცხადა მრავალი წლის შემდეგ ერთმა ბანშიშე-
 სულმა ფრანგმა ლეიტენანტმა, რომელსაც ერთხელ, შეაღწივით შევხვდი სიდნეის
 ერთ-ერთ კაფეში, იმ კაცს კარგად ახსოვდა ეს ამბავი, სხვათა შორის, ამ ამ-
 ბავს უნარი შესწევს წინ აღუდგეს ხალხის გულმაფიწყობასა და უამთა სვლას,
 ღრმადაა ჩაქდებული ადამიანთა გულებში და ცოცხალია რაღაც ბედითი სიცხო-
 ველით, ველარც ენის წვერზე იმაგრებენ, ვერ გიტყვი, დადად მსოამოვნებდა
 მეთქი, მაგრამ ეს ამბავი ხშირად მესმოდა მრავალი წლის შემდეგაც, ცხრა მთას
 იჭითაც, შემთხვევით ჩამოვარდებოდა ხოლმე ამაზე საუბარი, ხანდახან კი სი-
 ტყვა მოიტანდა. ამ საღამოსაც ხომ ვლაპარაკობთ ამაზე? მეზღვაური კი აქ მხო-
 ლოდ მე ვარ. მხოლოდ მე მახსოვს ეს ამბავი და არ შემიძლია არ ვაბ-

* დიდად გაეოცებინა ისინი ამ გვამს (ფრანგ.).

ბოთ! მაგრამ აი პირველად შეხვდება ერთმანეთს ვიღაც ორი უცხოელი სად-
 ლაც, ქვეყნის დასალიერში და თუკი გაგონილი აქვთ ეს ამბავი, უთუოდ და-
 იწყებენ ამაზე საუბარს. მანამდე არც არასდროს მინახავს ის ფრანგი და ერთი
 საათის შემდეგ სამუდამოდ დავცილდი კიდეც იმას, არც ჩანდა მანცადამინც
 ენაწყლიანი, ის იყო დინჯი, ტანბრგე კაცი, დაჭმუჭნული ფორმის სამოსელი
 ეცვა, მთვლემარესავით იჯდა და რაღაც მუქი ფერის სასმელს წარუბოძდა. მცირე-
 ოდნავ გახუნებოდა სამხრეები, სუფთად გაბარსული, დიდრონი ლოყები ჩა-
 ყვითლებოდა, ბურნუთის მწვეველ კაცს დამსგავსებოდა. სწორედ ასე იყო-მე-
 თქი, ვერ გეტყვით, მაგრამ კი ჰგავდა, ეს ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „პოუმ-
 ნიუზის“ ნომერი გამომიწოდა მარმარილოს მაგიდის ზემოდან. რომელიც არ
 მჭირდებოდა. თუმცა კი ვუთხარი, merci-მეთქი, ერთი თუ ორი სიტყვის შემ-
 დგ უცებ, მე ვერც კი მივხვდი, როგორ დავიწყეთ ამ ამბავზე ლაპარაკი, ასე
 მითხრა, „დიდად გაგვაოცა იმ გვამმაო“. იმ ორ თანაშემწეთაგან ერთ-ერთი
 ის ყოფილა.

იმ სასადილოში, სადაც ჩვენ ვისხედით, მრავალი უცხოური სასმელი მო-
 ეპოვებოდათ საზღვაო ოფიცრებისათვის. იგი მუქი ფერის რაღაც წამლის მსგა-
 ვს სასმელს სვამდა, შეიძლება ეს იყო ჩვეულებრივი cassis à l'eau.* ხოდა,
 ჭიქაში მაცქერალმა თავი მცირეოდნავ გადააქნია: „Impossible de comprendre
 — vous concevez“,** — თქვა უღარდელად და ჩაფქრებითაც. ამას რა ლარ
 და ხაზი უნდოდა, მართლაცდა კი იყო ძნელი მისახვედრი. იმ სამხედრო ხო-
 მალდზე არ იცოდნენ იმდენი ინგლისური, რომ სერანგის მონათხრობი გაეგოთ.
 ამ ორი ოფიცრის გარშემო ღრიანცელი იყო ატეხილი, „შემოგვეხვივნენ, წრე
 დაერტყათ იმ მკვდარი კაცისთვის, — მიამბობდა იგი, — დრო აღარ იყო, ის ხა-
 ლხი კი ძლიერ შეფოთავდა... Parbleu!*** ასეთი ბრბო, არა მგონია, ნანახი გყა-
 ვდეთ“, — დასძინა მან აუმღვრევლად. იმ ტიხარისთვის ხელი არ უნდა ეხლოთ,
 ასე ურჩია მან თავის კაპიტანს, ეს სახიფათო ჩანდა. ორი ბაგირი მიიბეს კიჩო-
 ზე სასწრაფოდ და „პატნა“ ბუქსირზე აიყვანეს. ჰკვიანური იყო ეს აზრი, რად-
 გან გემის უკანა მხარე ისე წამოწეულიყო, რომ საჭე აღარც გამოდგებოდა სა-
 მართავად, ამავე დროს, ტიხარს იმდენი წყალი აღარ დააწვებოდა, დიდი სიფრ-
 თხილე მართებდათ ამ მხრივ. მგონია, რომ ჩემს ახალ ნაცნობს დიდი ზეგავ-
 ლენა ჰქონდა თავის კაპიტანზე, საზრიანი კაცი ჩანდა, ნამდვილი მეზღვაურიო,
 ასე იტყოდით, მაგრამ კოტათი მოუქნელი კი გახლდათ, თავისი კოტიტა თი-
 თები მუცელზე დაეწყო და ჩემ წინ იჯდა, გულდინჯ, ბურნუთის მწვეველ სოფ-
 ლელ მღვდელს დამსგავსებოდა. ვინც გლეხების ცოდვებს, ტანჯვა-ვაებასა და
 მონანიებას ისმენს, თავად კი უშფოთველად, იღუმალების ბურუსით ფარავს
 გულმტკივნეულთა სასოწარკვეთილ სიტყვებს. იმას უფრო ნიკაპამდე შეკრუ-
 ლი, გაცრეცილი ანაფორა მოუხდებოდა, ვიდრე სამხრეებიანი და ბრინჯაოს
 ფოლაქებიანი ფორმის სამოსელი. ზომიერად აუღ-ჩაუდიოდა ვეება მკერდი,
 როდესაც მიამბობდა იმ ჯოჯობეთურ სამუშაოზე, რასაც, რაღა თქმა უნდა, მე,
 მეზღვაური კაცი კარგადაც გავიგებდი, დაბოლოს, ჩემკენ გადმოიხარა და უულ-
 ვაშო ტუჩების ბერვით, მსტვინავი ხმით განაგრძო: „საბედნიეროდ, ზღვა ამ
 მაგიდასავით სწორი იყო და არც ქარი უბერავდა უფრო ძლიერ, ვიდრე აქ
 არის...“ მართლაცდა სულის შემხუთავი ჰაერი იდგა და ძალიან ცხელოდა; სახე

* მოცხარის ვაენი (ფრანგ.).
 ** რაა გაიგებ, გესმით (ფრანგ.).
 *** ჩანდაბას (ფრანგ.).

წამონთებული მქონდა, თითქოსდა ყმაწვილკაცი ეყოფილიყავი და შემეძლო შეჩქვიფება და გაწითლება. იმან დასძინა, გეზი შევეცვალეთ და უახლოესი ინგლისური პორტისკენ გავწიეთ, „naturellement“,* სადაც პასუხისმგებლობა მოვიხსენით, „Dieu merci“...** მცირეოდნავ გამოებერა ბრტყელი ლოყები: „ხოდა, ცხადია, სანამ იმ გემს მივათრევდით, კიბოზე ნაჯახმომარჯვემჭერქმნტქმ მგზღვაური იდგა და იმ წუთასვე გადაჭრიდნენ ბაგირს, თუკი გემი. ჰმზწქსქსქსქსქს ბი დახარა და დასძინა, — რას იზამ! სხვა გზა არ იყო, — და წამით მოახერხა თავის დიდ, უმოძრაო სახეზე რაღაც მორჩილების მსგავსი რამ გამოეხატა: — ორი მგზღვაური... ოცდაათი საათი... სულ იქ იყვნენ, ორნი-მეთქი!“ — გაიმეორა იმან, ცოტათი წამოსწია ორთითგამართული მარჯვენა ხელი, ზემთან ყოფნის ხანს მხოლოდ ეს იყო პირველი მოძრაობა. სწორედ მაშინ შევნიშნე იმის ხელის ზურგზე ნაიარევი — თოფის ნატყვიარი; და თითქოსდა ამის მერე უფრო მახვილი გამიზღამებრა, ძველი ნატყვიარევიც დავინახე, საფეთქლის ცოტა ქვემოთ რომ იწყებოდა და იმალებოდა კეფასთან, მოკლედ შეკრეჭილ თმაში — შუბის ან ხმლის ნაკვალევი უნდა ყოფილიყო. ისევ დაიწყო მუცელზე ხელები. „მე დავყავი იმ გემზე... იმ... აღარ მახსოვს. Ah! Patt-na, C'est bien ca. Patt-na Merci.“** გაგიგონია, როგორ დამავიწყდა. ოცდაათი საათი ვიყავი იქ...“

თქვენ-მეთქი, შევძახე მე, ის თავის ხელებს დააცქერდა, ცოტათი გამოებრა ტუჩები, მაგრამ ამჯერად სტვენა არ აღმოხდენია. „ასე გადაწყვიტეს, — მითხრა მან მშვიდად, წარბების აწვეით, — ერთი ოფიცერი იქ უნდა ყოფილიყო სამეთვალყურეოდ, — შიძმედ ამოიხენეშა, — სიგნალებით უნდა მენიშნებინა საბუქნირო ხომალდისთვის... გესმით?.. და ა. შ. ჩემი აზრიც ასეთი იყო. ნაგები მომზადებული გექონდა ჩასაშვებად... იმ გემზე მეც მზად ვიყავი... ერთი სიტყვით, ყველაფერი გავაკეთეთ, რაც კი შეიძლებოდა. სიფრთხილე გვმართებდა. ოცდაათი საათი, ცოტა საჭმელიც გამიკეთეს, ხოლო ღვინო... წვეთიც არ ჰქონდათ — როგორღაც უცნაურად წარმოთქვა სახემშვიდმა გულისგარეთ, და მაინც მოახერხა თავისი დიდი აღშფოთების გამოხატვა, — მე კი, გესმით... ლუკმა არ გადამდის ყელში უღვინოდ, კაცად აღარ ვარგივარ“.

აქ კი შევშინდი, ვაითუ ამ უსიამოვნო ამბავზე გააბას-მეთქი ლაპარაკი, რადგან, თუმცა ერთი ძარღვიც არ შეტოკებია სახეზე, ცხადი იყო, ამ მოგონებამ გააღიზიანა. მაგრამ თითქოსდა იმწამსვე დაავიწყდა ეს ამბავი, გემი „პორტის ხელმძღვანელობას“ ჩააბარეს, როგორც მან განმიცხადა. ის ფრიად გაოცებულა, ისე მშვიდად შეხვედრიან ამას. „შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ასეთ საოცარ ნაპოვნს ყოველდღე ნახულობენ, მოდი და ნუ გაგიკვირდება... იმათი ამბავი“, შენიშნა იმან და ზურგით კედელს მიეყრდნო, რაღა ის და რაღა ფქვილის ტომარა გრძნობათა ღელვის გამოხატვის მხრივ. მოხდა ისე, რომ მაშინ იმ ყურეში შემოსულიყო ერთი სამხედრო ხომალდი და ერთიც ინდოეთის ორთქლის გემი, ველარ დამალა იმან თავისი აღფრთოვანება, ისე სწრაფად შეძლეს ამ ორი ხომალდის ნაგებმა „პატნელი“ მგზავრების გადმოსხმა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კაცს ჰქონდა გულცივი გამომეტყველება, დაქილდოებული გახლდათ იდუმალი, თითქმის სასწაულებრივი უნარით გამოეხატა თავისი სულის იდუმალი მოძრაობანი, და შეიძლება სწორედ ეს იყოს უმაღლესი ხელოვნება

* ბუნებრივი (ფრანგ.)
 ** მადლობა ღმერთს (ფრანგ.)
 *** იმ! პატნა, ასეა, პატნა, გამოდლობთ (ფრანგ.)

ნების უკანასკნელი მონაპოვარი. „ოცდახუთი წუთი... მაჯის საათს დავყურებ-
 დი... ოცდახუთი წუთი იქნებოდა, მეტი არა... — მან მუცელზე დაწყობილი ხე-
 ლების თითები გაშალა და ისევ შეკრა. და ეს მოძრაობა უფრო რეაქტური ჩა-
 ნდა, ვიდრე ზეცისკენ აწვდილი ხელები გაოცების ხანს... ყველაზე გადმოს-
 ხეს ნაპირზე... თავის ბარგიანად... არც არავინ დარჩენილა გარდა სახლვით ფე-
 ხოსნებისა და იმ საკვირველი გვამისა. ოცდახუთი წუთი ^{გარდასული} ~~გარდასული~~ ^{თვალები} ~~თვალები~~
 დახარა, თავი გვერდზე მიაბრუნა, დიდად სიამოვნებდა იმათი ასეთი მოხერხე-
 ბულობის აღნიშვნა. მეტი არც არაფერი უთქვამს. ეტყობოდა, რომ იმისი ქება
 მნიშვნელოვანი იყო თავისთავად, ისევ ისე გაირინდა და მერე მამცნო. ბრძანე-
 ბა მაქვს, მალე ტულონში ვიქნებით, ორი-სამი საათის მერე გავდივართ. „ასე
 რომ, ჩემი ცხოვრების ამ ეპიზოდში ბევრი რამ ბუნდოვანი დარჩა“.

თავი 18

ამ სიტყვების მერე, ისევ ისე მჯდომარე, იგი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ,
 პასიურად გადავიდა მდუმარებაში. თანამეინახეობა გავუწიე მე იმას; და უცებ,
 მკვეთრად, თითქოსდა მისი გამოღვიძების ეამი დამდგარიყო, შეკავებული, ხრი-
 ნწიანი ხმით წარმოთქვა: „Mon Dieu!“ რა დრო გასულა!“ სულ ჩვეულებრივი
 იყო ეს შენიშვნა, მაგრამ სწორედ იმ წუთას ამეხილა თვალი: კი არის გასაო-
 ცარი, ცხოვრება გადის და ჩვენ კი, ნახევრად თვალდახუჭულები. სმენა და
 ფიქრდახშულები ვართ, შეიძლება ასეც ჯობდეს, იქნებ სწორედ ხსენებული
 დახშულობა უმეტესობისათვის სანდომ-საამურს ხდის ცხოვრებას. ჩვენთაგან
 თითო-ორილას თუ განუცდია ის იშვიათი წუთები, როდესაც გამორკვეუ-
 ლები ვხედავთ, გვესმის, ვგებულობთ ბევრ რამეს... ყველაფერს... რალაც უე-
 ცარი გაელვების ხანს. მერე კი ისევ მივეცემით სასიამოვნო მთვლემარებას.
 იმან რალაც თქვა და მე თვალები ავწიე, თითქოს პირველად ვხედავდი. მკერდ-
 ზე ნიკაბჩამოყრდნობილი დაჯდა; მოუხეშავ სამოსიანი, ხელებგადაქდობილი,
 უმოძრაო, რაც დიდებულად მეტყველებდა იმაზე, რომ აქ იგი დავიწყებოდათ
 სულაც. მართლაცდა გასულიყო დრო, მისთვის, გაესწრო და წინ გაქრილიყო,
 ჩამოეტოვებინა და იმედწარხთცილი დაეგდო, მხოლოდ რამდენიმე მწირი სა-
 ჩუქარი დავტოვებინა — ვერცხლისფრად შეფერილი ^{ქაღალდი}, მსხვილნაკვთებიანი,
 დაღლილი და შერუჭული სახე, ორი ნაიარევი და ერთი წყვილი ფერგადასული
 სამხრე. ის იყო ერთ-ერთი იმ გულმტკიცე, მისანდობ-გამტან კაცთაგანი, ვი-
 საც სულს იჭით არც რა აბადია და სიცოცხლესაც უდაფნაღაროდ გალევს, რაც
 ბოლოს განსაცვიფრებელი გამარჯვების საძირკველი ხდება. „კაპიტნის მესამე
 თანამემწე ვარ ახლა „ვიქტორიესზე (საფლაგმანო გემი გახლდათ წყნარი
 ოკეანის ფრანგული ესკადრისა“) — თქვა მან, თან ოდნავ მოაცილა კედელს
 მხრები და ასე გამაცნო თავი, მაგიდასთან მჯდომარემ თავი დავუკარი და ვუთ-
 ხარი, სავაჭრო გემის კაპიტანი ვარ, ის ახლა რეშეკეტერის ყურეში, ღუზაზე
 დგას-მეთქი. უკვე „შემჩნეული ქკონდა“ იმას — მშვენიერი გემიასო, თავაზია-
 ნად და აუღელვებლად პითხრა. მგონია, თავი დამიქნია კიდევაც ამ ქათინაურის
 წარმოთქმისას: კო, დიახ, პატარა, შავად შეღებილი გემი, მშვენიერი... მშვე-
 ნიერი... — ცოტა ხნის მერე მთელი ტანით შეტრიალდა და ხელმარჯვნივ შემო-
 ნულ კარს მიაბყრო მხერა. — რა სეკდოს მომგვრელი ქალქია. — შენიშნა იმან
 ქუჩაში მაცქერაღმა, ნათელი დღე იყო, სამხრეთის კარი ჰქროდა და გამვლელ

* დმერლი გემი (ფრანგ).

კაცებსა და ქალებს ვხედავდით, ქარს რომ შებრძოლებოდნენ ტროტუარზე, მოპირდაპირე მხარეს მზით გაჩირალდნებული სახლები მტერის კორიანტელში დანთქმულიყო. „ნაპირზე გადმოვედი, — თქვა მან, — ცოტათი ფეხს გავმბრთავ-მეთქი... — აღარ დაუმთავრებია და ისევ გაირინდა. — თუ შეიძლება შიშხარით, — დაიწყო იმან გამორკვეულმა, — რა უნდა იმალებოდეს ამ ამბავში? კი არის საოცარი, იმ კაცის გვამი, მაგალითად, და ა. შ.“

— იქ ცოცხლებიც იყვნენ, — ვუთხარი მე, — ეს უფრო უნდა იყოს საკვირველი...

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, — ძლივს გასაგონად დამეთანხმა იგი, ერთხანს იყუჩა, მერე კი ჩაიჩურჩულა: — ცხადია!

მაშინვე ვუთხარი, თუ რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ამ ამბავში. მგონია, იმას კი ჰქონდა უფლება სცოდნოდა, განა ოცდაათი საათი არ დაპყრო „პატნაზე“ და, შეიძლება ასეც ვთქვათ, ყველაფერი არ იღონა, „რაც კი შეეძლო“. ყურს მიგდებდა, ახლა კიდევ უფრო დამსგავსებოდა მღვდელს, ხოდა, — თვალები რომ ჰქონდა დახრილი, შეიძლება ამიტომაც — ღვთისმადიებელ ფიქრებს მისცემოდა. ერთხელ თუ ორჯერ წარბები ასწია (ქუთუთოები — არა), სხვა შეჰყვირებდა, ჯანდაბასო! იმან კი მხოლოდ ერთხელ ამოთქვა წყნარად! „Ah, bah“, და როდესაც ვიყუჩე, დინჯად გამობერა ტუჩები და სევდიანად დაუსტვინა.

სხვაზე ამ დროს შეიძლება გეთქვათ, მოწყენილი ან სულაც გულცივი კაციო, მაგრამ იმას რაღაც მანქანებით მოეხერხებინა და, თავისი უმოძრაობის მიუხედავად, ღრმად ჩაფიქრებული, სანუკვარი ფიქრებით მოცული ჩანდა, ვითარცა კვერცხის გული გარსში. ორიოდე სიტყვადა ამოთქვა იმან, ძალიან საინტერესოაო, თავაზიანად წარმოთქვა, თითქმის ჩურჩულით. იმედგაცრუებულ ვიყავი, როცა იმან დასძინა, აი თურმე რა ყოფილა, აი თურმე რა ყოფილაო. თითქოსდა ნიკაპი კიდევ უფრო დაშვებოდა მკერდზე, ხოლო იმისი სხეული დადაცაა ჩაგლეჯდა სავარძელს: უნდა მეკითხა, ამით რისი თქმა გინდათ-მეთქი, რომ სიტყვის სათქმელად მომზადებული შეიჩხა, ვითარცა დამდგარი წყალი ქარის ამოვარდნამდე. „და ის საწყალი ყმაწვილკაცი გაიქცა სხვებთან ერთად“, გულდინჯად წარმოთქვა მან ბოლოს.

არ ვიცი რატომ, მაგრამ გამელიმა, რამდენადაც მახსოვს, მხოლოდ ეს ერთხელ გამელიმა გულლიად ჯიბის საქმესთან დაკავშირებით. ეს ჩვეულებრივი სიტყვები რაღაც სასაცილოდ ქდერდა ფრანგულად... „S'est enfui avec les autres“, ასე თქვა ლეიტენანტმა და უცებ აღვფრთოვანდი ამ კაცის გამჭრიახობით. წამსვე ჩახვდა საქმის არსს, იმას მიაქცია ყურადღება, რაც მე მაღარდებდა. თითქოსდა თავად პროფესიონალს ვუსმენდი ამ ამბის თაობაზე. კარგა გამოცდილი ექსპერტის აუმღვრევლობით გაეთავისებინა ეს ფაქტები, მისთვის ყოველგვარი დილემა ბავშვური თამაში იყო და მეტი არაფერი. „ჰოი! სიყმაწვილე, სიყმაწვილე, — დაყვავებით წარმოთქვა მან, — რაც უნდა იყოს, ამას კაცი არ მოუკლავს ჯერ“. რას-მეთქი, სწრაფად შევეკითხე. შიშსო, თქვა იმან და ისევ თავის სასმელს მიუბრუნდა.

შევნიშნე, რომ ხელის სამი თითი გაშეშებული ჰქონდა და მხოლოდ ერთად თუ შეეძლო იმათი ამოძრავება, ხოდა, მოუქნელად ასწია ის თავისი ჭიქა. „ყოველთვის აქვთ შიში. კი ამბობენ, არაო, მაგრამ... — ძლივს დადგა ჭიქა... — შიში, შიში... გესმით... ყოველთვის აქვთ“. მკერდს შეეხო ბრინჯაოს დილის ახლოს, სწორედ იმ ადგილას, სადაც ჯიშმა ხელი დაიპრა, და თქვა, მე მაგარი

გული მაქვსო. მგონია, იმან შეამჩნია, რომ არ ვეთანხმებოდი, და ჯიუტად გაიმეორა: „ღიახ! ღიახ! ცარიელა ლაპარაკია, ლაპარაკი. დიდებულია, მაგრამ ბოლოს კი უნდა აღიაროს ადამიანმა, რომ არც სხვაზე ჭკვიანია... და არც გამბედავი. გამბედავიც-მეთქი! ამას უნდა მიხვდე. სად არ ვყოფილვარ, — თქვა მან, აუზღვრევლად მოიშველია ვულგარული გამოთქმა, — რომელი ქვეყანა არ მომივლია, რომ იცოდეთ, როგორ ვაქცავებს შევხვედრივარ, სანუ ვაგანთქმულეებს! — უღარდელად მოსვა... — სიმამაცე... გესმით... ამ ჩვენი სამსახურში... აუცილებელი რამაა, ხომ ასეა? — დასძინა მან ჩაფიქრებით, — Eh bien!“ ყოველი ჩვენთაგანი... ყოველი ჩვენთაგანი-მეთქი, თუკი პატიოსნება მოსდგამს, აღიარებს, რომ ხანდახან... ხანდახან... ჩვენთაგან საუკეთესოსაც კი უკანდახევა უხდება. და უნდა იცხოვროთ ამ სიმართლესთან ერთად... გესმით? გარკვეულ გარემოებათა კვალობაზე, შიში უსათუოდ დაგრევთ ხელს. შემადრწუნებელი შიშის ზარი, და ისიც კი, ვისაც არ სჯერა ამ ჭეშმარიტებისა, მაინც განიცდის შიშს... შიშს საკუთარი თავის წინაშე, სრული სიმართლეა, დამიჯერეთ. ღიახ. ღიახ... ჩემი ასაკის კაცმა იცის, რასაც ლაპარაკობს... que diable!..* — ყველაფერი ეს აუზღვრევლად წარმოთქვა, თითქოსდა თავად აბსტრაქტულ სიბრძნეს გვამცნობდა მისი ბაგენი, მიუკერძოებელი ჩანდა და ამგვარ შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ ცერა თითებს ატრიალებდა ნელ-ნელა. „ეს ცხადია... parbleu!*** — განაგრძო იმან, — რადგან, რაც უნდა გულმტკიცე იყოთ, საკმარისია უბრალო თავის ტკივილი ან კუჭის აშლილობა და... აი მე, მაგალითად, იმდენი განსაცდელი მქონია. Eh bien! მეთქი, ვინც ახლა თქვენ გესაუბრებათ, ერთხელ...“

ქიქა გამოსცალა და ხელში შეატრიალა. „არა, არა, ამ ამბავს კაცი არ მოუკლავს — დასძინა მან ბოლოს, და როდესაც მივხვდი, საკუთარ თავგადასავალს არ მიამბობდა, დიდად გამიცრუვდა იმედი, მით უმეტეს იმიტომაც, რომ ვერ დავაძალებდი. ვიყუჩე, იმანაც იყუჩა თითქოსდა უცებ გააბო ბაგენი: „კი, ასეა, — დაასვენა იმან მშვიდად, — მხდალი იბადება კაცი. თავიდათავი ესა... parbleu! არადა, რა ადვილი იქნებოდა ცხოვრება, მაგრამ ჩვეულება... ჩვეულება... აუცილებლობა... გესმით?... სხვათა თვალი... ეს გვშველის. სხვათა მაგალითებიც, ვინც არ არიან შენზე გაბედულები და კარგად კი უჭირავთ თავი...“

იყუჩა.

— იმ ყმაწვილკაცს... კი დამეთანხმებით, მგონია... ამდაგვარი წამქეზებელი არ გამოსჩენია... იმ წუთას მაინც, — შევნიშნე მე.

ლმობიერად ასწია წარბები.

— ვერ გეტყვით, ვერ გეტყვით. შეიძლება ის ყმაწვილკაცი დიდებული ბუნებისაა... დიდებული ბუნებისაა, — გაიმეორა იმან ხვნეშით.

— მოხარული ვარ, რომ ასეთი გულმოწყალე ხართ იმის მიმართ, — ვუთხარი მე, — თავდასც კი... ჭქონდა დიდი იმედი და...

მაგიდის ქვევიდან იმისი ფეხების ფხაკუნნი გავიგონე და შევჩერდი. ქუთუთოები მძიმედ ასწია. მძიმედ ასწია-მეთქი, გეუბნებით — ამ სიტყვაზე უკვე ვერაფერი გამოხატავდა მის სიღინჯესა და აუჩქარებლობას — გარემოებამ სრულიად ჩამახვედრა იმის ბუნება-ხასიათს. პირდაპირ მიმზერდა მე ახლა ორი წვრილი ნაცრისფერი თვალით, რომელიც ორი პატარა ფოლადის რგოლი გე-

* კარგი (ფრანგ.).

** ეშმაკმა დალაზვროს! (ფრანგ.).

*** ღმერთმანი (ფრანგ.).

გონებოდან, შავზე უშავეს გუგებზე შემოვლებული. ამ ჩასუქებული კაცის ეკლიანმა გამოხედვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, თითქოს საპარტებელივით აღესილ ცულისპირს ვუშვებდი. უკაცრავადო, აუმღვრევლად მითთქვა მან. მარჯვენა ხელი ასწია და მცირეოდნავ გადმოიხარა: „ნება მიბოძეთ... გუბნებით, ადამიანმა კარგად იცის, რომ ვაუკაცობა თავისთავად არ მოდის, სადავიდარაბო აქ რა უნდა იყოს, კიდევ ერთმა ჭეშმარიტებამ შეუძლებელი არ უნდა გახადოს ცხოვრება... მაგრამ ღირსება... ღირსება-მეთქი monsieur... ღირსება... რეალური აი რა არის! სიცოცხლე რაღად ღირს, თუკი... — მოუქნელად და სწრაფად წამოიძარტა, ვითარცა შეშინებული ბუდა ბალახიდან... — თუკი ღირსება დაკარგულია... მე არ შემიძლია გამოვთქვა ჩემი აზრი. მე არ შემიძლია გამოვთქვა ჩემი აზრი... იმიტომ, რომ... monsieur... არც არაფერი ვიცი ამაზე.

მეც წამოვდექი და რამდენადაც შეგვეძლო თავაზიანად და ჩუმად პირისპირ დავდექით, როგორც ორი ფაიფურის ძაღლი ბუხრის თავზე. ჯანდაბას ის ყმაწვილკაცი! იმან სახელი გაიტება! საუბარი ხშირად ამათების ხაფანგში ებმება და ჩვენც სწორედ ასე მოგვივიდა, ცარიელა ხმაური იყო ჩვენი სიტყვები და მეტი არაფერი. „კარგი, — ვუთხარი მე შეჩქვიფებული ღიმილით, — იქნებ ყველაფერი თავის დახსნაზე დაიყვანება?“ თითქოსდა მზად ჰქონდა იმას პასუხი, მაგრამ განზრახვა შეიცვალა და ასე თქვა: monsieur, ეს ჩემთვის მეტი სმეტი უნდა იყოს... ამდენს რას მივხვდები... არც ვფიქრობო ამაზე. ის მძიმედ დაიხარა ქუდთანად, რომელიც წინაფრით ეჭირა ნაიარევ ხელში შუანა და საჩვენებელი თითით. თავი დაუფუკარით ერთმანეთს, ზარზევით გავსწორდით და იმ გაზინზულულმა ლაქიამ მუშტრის თვალით გამოგვხედა, თითქოსდა ფული უნდა გადაეხადა ამ სანახაობისთვის. „Serviteur“,* — მითხრა ფრანგმა. კიდევ ერთხელ დავემშვიდობეთ ერთმანეთს, Monsieur...“ — „Monsieur...“ შეშინებული კარი იმისი ვეება ზურგის უკან დაიხურა. დავინახე, როგორ გააქანა ის სამხრეთის ქარმა, თავზე ხელი იტაცა, მხრებში მოიხარა, ფორმის კალთები მძიმედ სცემდა ფეხებზე.

მარტო დავრჩი გაოგნებული... გაოგნებული იმ ჯიბის გამო. თუ თქვენ გაგიკვირდებათ, სამ წელიწადზე მეტი იყო გასული და მაინც იმაზე ვფიქრობდი, უნდა იცოდეთ, ის სულ ცოტა ხნის წინათ მყავდა ნანახი. სულ ახლახან ვიყავი დაბრუნებული სამარანგიდან, საიდანაც სიდნეიში ტვირთი მომქონდა. ფრიად მოსაბეზრებელი იყო ეს საქმე — სწორედ ასე უწოდებდა ამ სარფიან გარიგებას ჩარლიც. ხოდა, სამარანგში ვნახე ჯიბი. დე ჯონგთან მუშაობდა იმხანად ჩემი რეკომენდაციით, საზღვაო მოხელედ. „ჩემი წარმომადგენელი ზღვაზე“, ასე ეძახდა მას დე ჯონგი. სასიხარულო რა უნდა ყოფილიყო ამ საქმიანობაში, კიდევაც გახლდათ ყოველგვარ მომჯადოებლობას მოკლებული და სადაზღვევო აგენტის სამსახურს თუ შეედრებოდა. პატარა ბობ სტენტონმა — ჩარლი კარგად იცნობდა იმას — საკუთარ თავზე იწვნია ამ ხელობის სიკეთე. ეს ის ბობ სტენტონი გახლდათ, ვინც შემდეგ ზღვაზე დაიღუპა, როდესაც მოსამსახურე გოგოს გადარჩენა უნდოდა „სეფორას“ მარცხისას. ნისლიან დილას ესპანეთის სანაპიროსთან მოხდა ეს ამბავი, თუ გახსოვთ. ყველა მგზავრი წესისა და რიგისამებრ გადასხეს ნავეებზე და კიდევ მოცილდნენ გემს. იამინ იყო, რომ ბობი ისევ მიცურდა გემთან და ზედ აბობლდა იმ გოგოს წამოსაყვანად. ის გოგო რატომ დატოვეს იქ, არ ვიცი, მგონია, მთლად შეიშალა და სახელურს

* თქვენს მონა-მორჩილი (ფრანგ.).

ვერა და ვერ მოაშორეს, ნაგებიდან ხედავდნენ, როგორ შეემა იმას. მაგრამ ის საწყალი ბობი ყველაზე უფრო ხია ტანის კაცი იყო საეპიტო ფლოტში, ის დიაცი კი ხუთი ფუტისა და ათი დუიმის სიმაღლის გახლდათ, თანაც ცხენით მძლავრი, როგორც მითხრეს, ხოდა, ისე იბრძოდნენ, კინაღამ ხელები დააგლიჯეს ერთმანეთს, ქალი გაუთავებლად კოდა, ბობი კი უთრიალებდა, ხან კი აქეთ გადმოსძახებდა იმათ, ნავი გემს მოაცილეთო, ერთმანეთს უბრუნებდა ცდილობდა ღიმილი დაემალი ამ მოგონების ხანს, -- გეფიცებით, ასე მეგონა, გაჩუბებული შვილი შესკიდებოდა თავის დედასო, მერე კი დასძინა: „დაბოლოს დავინახეთ, ბ-ნმა სტენტონმა თავი გაანება იმას, იქვე დადგა და გაფაციცებით დაუწყო მზერა. მერე კი ჩვენ ასე ვიფიქრეთ, ალბათ ეგონა, ტალღა მოაცილებდა სახელურს და მაშინ შეძლებდა მის გადარჩენას. ჩვენ კი ველარვბედავდით იმ გემთან მიახლოებას, ცოტა ხანიც და ძველი ხომალდი გვერდზე გადაიხარა, ზღვამ მაშინვე ყლაპი უყო. უეცრად დაიხთქა. აღარც ცოცხალი გვინახავს ვინმე და აღარც მკვდარი“. მგონია, სიყვარულში მოცარვია ხელი საწყალ ბობს და სულ ცოტა ხანი დაუყვია ნაპირზე. კი ჰქონდა იმედი, სამუდამოდ დავტოვე ზღვა და ყოველგვარ სიკეთეს მოვიხვეჭო ხმელეთზე, მაგრამ ბოლოს დაზღვევის აგენტობა შერჩა ხელში. ერთმა ლივერპულელმა ნათესავმა მოაწყო ამ სამუშაოზე, ხშირად გვიყვებოდა ის თავის თავგადასავალს, ვიცინოდით და ვხარხარებდით და იმას სიამოვნებდა კიდევაც ჩვენი გართობა, ეს გაღებული და წვეროსანი ქონდრისკაცი დადიოდა ფეხის წვერებზე და ასე გვეუბნებოდა: „თქვენ კი გეცინებათ, მაგრამ ამ სამუშაოზე რომ მოვეწყვე, ჩემი უკვდავი სული ერთ კვირაში ანწუბზე ეცვა“. ხოლო თუ როგორ შეეგუა ამ სამუშაოს და ახალ ცხოვრებას ჯიმი, ვერ გეტყვით — ოღონდ კი რაღაც სამსახური მეშოვნა მისთვის და ულუკმაპუროდ არ დარჩენილიყო, სხვა აღარაფერი მადარდებდა, თუმცა კი ვიცი, იმას სულაც არ განულებია თავგადასავლის წყურვილი და საშინლად იტანჯებოდა, ნამდვილად ვერაფერი სულიერი საზრდო იყო იმისთვის ეს ახალი სამუშაო, ვუყურებდი მე იმას და მებრალებოდა, თუმცა გულდაგულ კი მოკიდებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას. ამ ყმაწვილკაცის საცოდავი არსებობა, მგონია, რაღაც საზღაური უნდა ყოფილიყო მისი საკვირველი სწრაფვისა გმირობისკენ -- მონანიება დიდებისმომხვევკელობისთვის, რომლის მომაჯადოებელ ძალას ველარ გაუძლო, თავი დოღის ბედაურ ცხენად წარმოედგინა და ახლა კი ჩვეულებრივი შრომის ჭაპანი უნდა ეზიდა ქუჩის გამყიდველის სახედარივით. კარგადაც ართმევდა ამას თავს, მართოსული გახდა, თავჩაქინდრული დადიოდა სიტყვის უთქმელად. კარგადაც ართმევდა თავს, კარგადაც-მეთქი, მაგრამ თუკი იმ წყეული „პატნის“ საქმეს შეახსენებდნენ, ჯავრით აღარ იყო ხოლმე, სამწუხაროდ, აღმოსავლეთის ზღვების ამ სადავიდარაბო საქმეს ვერ ივიწყებდნენ, და ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ სულ მუდამ მახსოვდა ჯიმი.

ის ფრანგი ლეიტენანტი წავიდა და ისევ ჯიმიზე ვფიქრობდი. უკანასკნელად დე ჯონგისას შევხვდი, დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც იმის გრილ და სევდის მომგვრელ კანტორაში სწრაფად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. ისევ ისეთი იყო, როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ, სასტუმრო „მალაბარის“ გრძელ აივანზე სადაც ღამის სუსხსა და სიბნელებში სანთელი ბეუთავდა, სამშობლოს მართლმსაჯულების მახვილი დამუქრებოდა იმის თავს, ხელო... ან იქნებ დღესაც? (შუალამე უკვე გადაცილებული იყო) ის საბუგაქვავებული სასამართლოს თავმჯდომარე გაასრულებს იმ ცემა-ტყეპის საქმეს, ცი-

ხის მოსჯინა და ჯარიმის დადგენის შემდეგ აღმართავს საშინელ იარაღს და დაპ-
კრავს დახრილ კისერს. ჩვენი ის მაშინდელი საუბარი მოგაგონებდათ უკანასკ-
ნელ ლამისთევას დასასჯელ კაცთან. დამნაშავე გახლდათ. დამნაშავე ვახლდით-
მეთქი. გულში ვიმეორებდი, დამნაშავეცა და განწირულიც; და მაინც არ დი-
და ამ ფორმალური სასჯელის დეტალებისგან მისი გარიდება. *მეტიკეტიკეტი*
ვერ გეტყვით, შევძლებ-მეთქი ამ სურვილის მიზეზის მიკვლევას *მეტიკეტიკეტი*
შევძლო; მაგრამ თუ თქვენ ამდენი ხნის მანძილზე მცირეოდენი წარმოდგენაც
არ შეგეტქმნათ ამ ამბავზე, მაშინ რაღა მეთქმის, ალბათ ვერ გიყვებით ისე, რო-
გორც საჭიროა ან ძილი მოგრვევით და ვერ გებულობთ ჩემს სიტყვებს. ჩემი
ზნეობრიობის დაცვა მე არ მჭირდება. რა ზნეობრიობა უნდა ვეძიოთ იმ იმპულ-
სში, რამაც მაიძულა იმისთვის ბრალის გეგმა შემეთავაზებინა, უნდა გაიქ-
ცეთ-მეთქი... გეგმას ვუწოდებ, თუმცა მარტივი და უეშმაკო წინადადება იყო.
რუპიებიც... ჯიბეში მქონდა, გამზადებული იმის საშველად. ჰო! სესხად, სესხად,
რაღა თქმა უნდა... და სარეკომენდაციო წერილიც რომ მიმეწერა ერთი კაცის-
თვის (რანგუნში), ვისაც შეეძლო იმისთვის შესაფერისი სამუშაო მიეცა... დი-
ახ! დიდი სიამოვნებითაც. საწერი ქალაქი და კალამი იქ მქონდა, მეორე სარ-
თულზე, ჩემს ოთახში, ჯიბს რომ ველაპარაკებოდი, ერთი სული მქონდა დამე-
წერა ის ბარათი: დღე, თვე, წელიწადი, ლამის სამის ნახევარი... ჩვენს მეგობ-
რობას შეგახსენებთ და გთხოვთ მისცეთ შესაფერისი სამუშაო ბ-ნ ჯეიმსს ამა-
სა და ამას და ა. შ. ...სწორედ ასეც მინდოდა დამეწერა იმის შესახებ. მან არა
მარტო ჩემი თანაგრძნობა დაიმსახურა, უფრო მეტიც მოახერხა — ჩემი გრძნო-
ბების სათავეს მისწვდა, ჩემი მგრძნობიარობის იდუმალ მიზეზს შეეხო. მე თქვენ
არაფერს არ გიმალავთ, რადგან მაშინ ხომ იტყოდით, რაებს მიედ-მოედებოთ
ეს კაცი და, ამასთან ერთად, ხვალვე დაგავიწყდებოდათ ჩემი გულწრფელი ნა-
ამბობი ისევე, როგორც წარსულის სხვა გაკვეთილებიც. ამ საქმეს რომ ვაგვა-
რებდი, უხეშად და ზუსტად რომ ვთქვავთ, უნაკლო გახლდით, მაგრამ ჩემი ცბი-
ერი, ამორალური განზრახვანი შემუსრა დამნაშავეს მორალურმა უბრალოებამ.
თქმა არ უნდა, თავკერძა იყო, მაგრამ ეს მისი თვისება ზეციური შარავანდით
იყო მოსილი და ამიტომაც ამაღლებული რამ მქონდა მიზნადაც. მივხვდი, რაც
უნდა მეთქვა, სულ ერთია, ის მაინც არ გაექცეოდა სასჯელს. ვიყუჩე, რადგან
ვგრძნობდი, იმის სიყმაწვილეს უნდა შეეჭიდებოდი სამკვდრო-სასიცოცხლო
ბრძოლაში, იმას სჯეროდა, ხოლო მე უკვე აღარ ვმერყეობდი. კი იყო რაღაც
დიდებული მის ამ ენით უთქმელ და მჭრქალ იმედში. გავიქცეო! ეს როგორ
იფიქრეთ, მითხრა მან თავის ქნევით. მე გთავაზობთ ამას და არცა გთხოვთ,
არც მოველი მადლობას. ფულს მაშინ დამიბრუნებთ, როცა კი შეძლებთ-მეთ-
ქი, მივუგე. თქვენ ძალიან კეთილი ხართო, ჩაიჩურჩულა იმან თავის აუწევლად.
ყურადღებით დავაკვირდი, — ბუნდად თუ მქონდა წარმოდგენილი თავისი მო-
მავალი, მაგრამ ყოყმანი არ ეტყობოდა, თითქოსდა მართლაც მქონდა მრთელი
გული. გავბრაზდი — ეს პირველად არ იყო ამ ლამით. „ეს უბედური შემთხვე-
ვა, — ვუთხარი მე, — კი იქნება, მგონია, ცუდი ამბავი თქვენისთანა ყმაწვილ-
კაცისთვის“. დიახ, დიახო, ჩაიჩურჩულა იმან, თავდახრილმა. კი იყო გულის-
შემძვრელი. ვხედავდი სინათლის შექით შეფერილ იმის ლოყებს, ბავშვურად
წამონთებულ პირტიტველა სახეს. გინდ დაიჭრეთ და გინდ არა, ნამდვილად
გულისშემძვრელი იყო ეს ამბავი. ჯავრით აღარ ვიყავი. „დიახ, — მე ვუთხარი,
— ნება მიბოძეთ ვალიარო, სულაც ვერ მივმხვდარვარ, რა შელავათია თქვენ-
თვის ამ კუჭყში გორაობა“, შელავათით! ჩაიჩურჩულა იმან. ეშმაკმა დასწყევ-

ლოს-მეთქი, შევძახე გაცოფებულმა. „კი ვცადე თქვენთვის ამეხსნა, თუ რაცაა, — წყნარად წარმოთქვა იმან, თითქოსდა იმაზე ჩაფიქრებულმა, რასაც პასუხი ვერ გაეცემოდა. — მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჩემი სადარდებელი ეს ამბავი“. პირი გავაღე შესაკამათებლად და უცებ მივხვდი, საკუთარი თავის ოწყენას ვკარგავდი, თითქოსდა იმანაც უარყო, ჩაიბურტყუნა, თითქოს ვეფხვის მსჯელობდა „მოკურცხლეს, მოკურცხლეს პოსპიტალში... პურის ბოროტკერტი არ დამდგარა... ისინი... — ზიზლით ხელი ჩაიქნია, — მაგრამ მე უნდა გავძლო, არ უნდა დავიხიო უკან... არ უნდა დავიხიო-მეთქი“. — იყუჩა. მონუსხულივით იყურებოდა სადღაც. მის სახეზე არეკლბლიყო სიძულვილი, სასოწარკვეთილება, სიმტკიცე — თითქოსდა ჯადოსნურ სარავეშიო, ისე დასთამაშებდა არამიწიერ ზმანებათა ლაციცი. მაცდუნებელი მოჩვენებებით, დაუნდობელი აჩრდილებით გარშემოხვეულს უხდებოდა ცხოვრება. რა სისულელეა, ჩემო კარგო-მეთქი, დავიწყე მე მოუთმენლობა დაეტყო. „როგორ არ გესმით, — მკვახედ მითხრა იმან, პირდაპირ შემომხედა, თვალსაც არ ახამხამებდა, — გადახტომით იქნება გადავხტი, მაგრამ არსადაც არ გავიქცევი“. თქვენი წყენინება არ მინდოდა-მეთქი, ასე ვუთხარი და მერე-სულელურად დავსძინე: „თქვენზე უკეთესებსაც უთქვამთ, გაცლა სჯობსო“. მთლად წამოენთო, მე კი ისე შევეცბი, რომ კინაღამ ენა არ ჩამივარდა მუცელში. „შეიძლება ასეც იყოს. — მითხრა მან ბოლოს, — მაგრამ რაცა ვარ, ისა ვარ, ამას ვერ ვიზამ, სანამ სული პირში მიდგას, უნდა ვიბრძოლო... უკვე ვიბრძვი კიდევაც“. წამოვდექი ჩუმა საგარძლიდან, მთელი სხეული გამშეშებოდა გაუხადლის ხლებოდა სიჩუმე და რაღაც უნდა მეთქვა. რა გვიანი ყოფილა-მეთქი, სხვა ველარაფერი მოვიფიქრე, ვითომცდა არაფერიო, ისე ვთქვი... „კმარა, თქვენ დაილაღეთ. — მომიჭრა მან, — მართალი თუ გნებავთ, — აქეთ-იქით იხედებოდა, — მეც დავილაღე“.

დიახ, იმან უარყო ეს ჩემი, როგორც ჩანს, უჩვეულო წინადადება. მოიცილა საშველად გაწვდილი ჩემი ხელი, ხოდა, მზად იყო წასასვლელად. იმ მოახირის მიღმა კი გარინდებული ღამე ჩასაფრებულყო. იმისი ხმა გავიგონე, თბაი ქუდიო, თავისი ქუდი იბოვა, რამდენსამე წამს ჩუმად ვიყავით. ამის მერე თქვენ რას... რას იზამთ-მეთქი, ჩუმად ვკითხე, ჯანდაბაში წავალო, პირქუშად ჩაიბურტყუნა იმან, ცოტათი გონს მოვედი, რაღაც-რაღაცები ხომ უნდა გარკვეულიყო, გახსოვდეთ-მეთქი, ვუთხარი, სანამ წახვიდოდეთ, უნდა გნახოთ, ძალიან გთხოვთ, „არ ვიცი, რამ უნდა შეგიშალოთ ხელი, ის დაწყევლილი ამბავი უჩინარს არ გამხდის, — დიდი გულის ტკივილით მითხრა იმან, — ამისი ბედი მე ვინ მრმცა“, მერე კი წასვლის ხანს ერთი სიცოცხლე გაათავა, ენის ბორძიკი დაიწყო, კანკალი მოევიდა, რა ექნა, არ იცოდა, ღმერთი ამატიებს იმას... და მეც! ფიქრობდა, რომ მე გამიჭირდებოდა იმისთვის ხელის ჩამორთმევა, საშინელება იყო, სიტყვას ველარ ვბოულობდი, მგონია, მე უცებ დავუყვირე იმას, როგორც იმ კაცს, ვინც თქვენ თვალწინ კლდიდან გადავარდნას ლამობს. მახსოვს, მერე კი ორივემ ავუწიეთ ხმას, შესაბრალისი ღიმილი დაეტყო იმას სახეზე, ნერვული სიცილით ხელი მაგრად ჩამომართვა, შიშინით ჩაქრა სანთელი, დაბოლოს გასრულდა ჩვენი შეხვედრა, კვნესა ამომესმა სიბნელიდან, ის წავიდა, ღამემ ჩაყლაპა ეს საშინლად გზაარეული ყმაწვილკაცი, საშინლად-მეთქი, ქვიშის ხრამახრუში მესმოდა იმის ფეხქვეშ. გარბოდა, დიახაც გარბოდა, თუმცა არც არსად ჰქონდა გასაქცევი, ჯერ თცდაოთხი წლისაც არ იყო.

ცოტა ხანი მეძინა, წავისაუზმე, ვიფიქრე, მოდი არ წავალ ჩემს გემზე ამ დილით-შეთქი. ცუდად კი ვიქცეოდი; ის ჩემი თანამემწე, მართალია, მხრივ დიდებული კაცი გახლდათ, მაგრამ თავისივე გულის გამომტყვევებელი დგენების მსხვერპლი შექმნილიყო და თუკი დროზე არ მიიღებდა ცოდვას, წერილს, ჭკუას კარგავდა ეჭვიანობითა და ჯავრით, სამუშაო ავიწყდებოდა, ყველას ეჩხუბებოდა, ხან თავის კაიუტაში ქვითინებდა, ხან კი ისე გააფთრდებოდა, რომ შეეძლო მეზღვაურები აეჯანყებინა. ჩემთვის ყოველთვის გაუგებარი იყო მისი ასეთი საქციელი, ისინი ხომ უკვე ცამეტი წლის დაქორწინებულნი იყვნენ; ერთხელ ნანახიც კი მყავდა ის ქალი და ღმერთმანი, გაოცებული ვიყავი, როგორ შეიძლებოდა კაცი ცოდვაში გახვეულიყო ისეთი შეუხედავი დიაცის გულისთვის. არ ვიცი, ვიყავი თუ არა მართალი, იმ საბრალო სელვინს რომ ვუმაღავდი ამ ჩემს აზრს, იმ კაცს ხომ მთელი თავისი სიცოცხლე ჯოჯოხეთად გადაქცეოდა და მეც ჩემი მემართებოდა იმის შემხდვარეს, მაგრამ რაღაც, თქმა არ უნდა, ყალბი თავაზიანობის გამო აღარაფერს ვეუბნებოდი. მეზღვაურების ცოლქმრობის ამბავი კი არის საინტერესო და შემძლია რამდენიმე მაგალითი გითხრათ... თუმცა ახლა არ არის ამის დრო, ჩვენ ხომ ჯიშის, ამ უცოლო ყმაწვილკაცის თავგადასავალს მოგიტხრობთ. იმისი გრძნობიერი სინდისი თუ სიამაყე, მთელი მისი უცნაური მოჩვენებები და პირქუში ჩრდილები, ბედითი თანამგზავრები იმისი სიყმაწვილისა, უფლებას არ აძლევდნენ გაქცეოდა ჭალათის კუნძს. ხოლო მე, რაღა თქმა უნდა, ასეთი თანამგზავრები არ მყოლია და ველარ მოვისვენე, რომ არ წავსულიყავი და არ მენახა ამისი გაგორებული თავი. სასამართლოს მივაშურე. ძლიერ შთაბეჭდილებას ან რამე შეგონებებს არ მოველოდი, არც იმას, რაიმე დამაინტერესებდა ან შემაკრთობდა და შემაშინებდა... თუმცა მანამ კაცს პირში სული უდგას, შიში შეიქმს მის ხსნას. მაგრამ თუ ასეთ საშინელ ხასიათზე დავდგებოდი, არ მეგონა. სიმწარე მისი სასჯელისა გასჯდომოდა სასამართლოს ნესტიან და ჩახუთულ ჰაერს. დანაშაულის ჭეშმარიტი არსი შემუსრავს იმ რწმენას, რომლითაც ცხოვრობს საზოგადოება და კაცობრიობა და ამ თვალსაზრისით ის არ გახლდათ სულმდაბალი მოღალატე. სასჯელის აღსრულება ხალხის თვალისგან იყო დაფარული. არც მაღალი ეზაფოტი იყო, არც მეწამული ფერის გადასაფარებელი (ასეთი გადასაფარებელი თუ აქვთ ტაუერ ჰილში? კი უნდა ჰქონდეთ), არც ის თავზარდაცემული ბრბო იყო, აღშფოთებული რომ იქნებოდა იმისი დანაშაულით და ცრემლების ფრქვევით დაიტირებდა იმის ბედს — სასჯელს არ ეცხო ქუში შურისძიების არილი. მზეს გაეჩახჩახებინა ქუჩა, მისი თვალისმომკრელი სხივები ვერ იქნებოდა დამამშვიდებელი კაცისთვის, თითქოს გაფუჭებულ კალეიდოსკოპშიო, აუარება ფერი არეულიყო ერთმანეთში, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ქათქათა თეთრი; ჩანდა ყავისფერი მოტიტვლებული მკლავები, წითელჩარდახიანი კამეჩებშებმული ფორანი; ადგილობრივი ჭარის ფეხოსნები, მარშით მომავალნი, მტვრიან, ზონარშეკრულ წაღებს მოაბაკუნებდნენ; აქაური პოლიციელი, მუქი ფერის, ლაქის სარტყლიან, მაგრად შემოჭვდილ ფორმის ტანსაცმელში გამოწყობილი, თავისი აღმოსავლური სევდიანი თვალებით მიმზერდა, თითქოსდა იმისი მარად მოხეტიალე სული გაუსაძლისად გატანჯულიყო გაუთვალისწინებელი... რა ჰქვია ამას?... ავატარ... გარდასახვით. სასამართლოს ეზოში მდგარი ერთადერთი ხის ჩრდილში თავი შეეფარებინათ ჭრელ-ჭრელ სამოსელში გამოწყობილ სოფლე-

ლებს, რომლებიც ჩხუბის თაობაზე მოსულიყვნენ და დამსგავსებოდნენ აღმოსავლურ ბანაკში თავშეყრილ ხალხს, მოგზაურობათა წიგნში ქრონოლოგიკაფიაზე რომ არის აღბეჭდილი, მხოლოდ კვამლის ბოლქვები არ ახვეოდა აქ წინა პლანზე და არც საპალნის პირუტყვი სძოვდა. სასამართლოს სადა, ყვითელი ფერის, მზის სხივებდაფრქვეული კედელი წამომართულიყო ამ ხის მიღმა. სასამართლოს დარბაზში ბინდი იდგა და უფრო ფართო იქნებოდა, მაღლა, მკრთალ შუქზე მარაოსებრ მოწყობილი საგრილობელი ტრიალებდა. თავისუფალ სამოსელში გახვეული ადამიანები მოჩანდნენ აქა-იქ, ამ შიშველ ოთხ კედელსა და თავისუფალ სკამებს შუა, თითქოს ერთთავად ფიქრში იყვნენ დანთქმულნი. ის ნაცემი მომჩივანიც აქ გახლდათ, სანახევროდ მხარმომშვლებული, ჩასუქებული, შოკოლადისფერ კანიანი კაცი, ვისაც შუბლზე ჰქონდა ნათელ-ყვითელი ნიშანი თავისი კასტისა, ზარზემით უძრავად მჯდომარეს ნესტოები გამობეროდა და თვალები უღვარებდა ამ სიბნელეში. ბრაერლი ხგენშით დაეშვა სკამზე, დალილ-დაქანცული ჩანდა, თითქოს მთელი ღამე ურბენიან სარბენ ბილიკზე. იალქნიანი გემის ის ღვთისნიერი კაპიტანი წამონთებულიყო და წრიალებდა, თითქოსდა თავს იკავებდა, რომ არ ამდგარიყო და მგზნებარედ არ მოეწოდებინა ლოცვა-ვედრებისა და მონანიებისაკენ, ფაქიზად თმადავარცხნილი, ზაფრანისფერი სახის თავმჯდომარე დამსგავსებოდა სასიკვდილოდ გადადებულ ავადმყოფს, ვინც დაებანათ, გაეპარსათ და ბალიშებით გარშემოწყობილ ლოგინზე დაესვათ. გვერდზე გასწია იმან ყვავილებიანი ლარნაკი, იმ მეწამულისფერ თაიგულიდან ამოჩრილიყო გრძელღეროიანი ვარდისფერი ყვავილები; რაღაც ცისფერი ქალაღი აიღო ორივე ხელში, თვალი გადაავლო, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო და კითხვა დაიწყო ხმამაღლა მკაფიო, მშვიდი ხმით.

ღმერთმანი! კი მივცემოდი სულელურ ფიქრებს ეშაფოტსა და დაგორებულ თავზე, მაგრამ დამიჯერეთ, იმისი სიტყვის მოსმენა უარესი იყო, ვიდრე თავის მოკვეთა. ვიგრძენი, გაუთავებელი სატანჯველი მელოდა და წარხოცილიყო ის იმედიც, რომ დაშვებულ ნაჯახს მაინც მოჰყვებოდა შვება და დასვენება. ამ მის საქმიანობაში იყო ცივი ნაცვალგება სასიკვდილო განაჩენისა და სისასტიკე განკვეთისა. სწორედ ასეთ ხასიათზე გახლდით იმ დილით და ახლაც კი ვხედავ უეჭველ საფუძველს იმისა, რომ დიახაც ასე უნდა შეეხვედროდი ამ პროცესის მიმდინარეობას, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ მექნებოდა ალესილი გრძნობები იმხანად. შესაძლებელია ის იყო მიზეზი, რომ ვერ შევგუებოდი უცილობელ დასასრულს. ყოველთვის მახსოვდა ის საქმე, გაუთავებელი ვფიქრობდი იმის შესახებ, თითქოსდა ჯერ კიდევ არ იყო შეფასებული ის ყმაწვილკაცი ცალკეული პირებისა და მთელი კაცობრიობის მიერაც! ღმერთმანი! იმ ფრანგის მიერაც, მაგალითად, ხოლო განაჩენი ისე მშვიდად და გარკვეულად გამოაცხადეს, თითქოსდა რაღაც მანქანას წარმოეთქვას ეს სიტყვები. მოსამართლის სახე სანახევროდ დაემალა ქალაღს და შუბლი თაბაშირისფრად მოუჩანდა.

სასამართლოს რამდენიმე კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. უპირველეს ყოვლისა უნდა ეთქვათ, რამდენად იყო გამოსადეგი ის გემი მგზავრების გადასაცვანად. სასამართლოს აზრით არ იყო გამოსადეგი. შემდეგი კითხვა, მახსოვს ასეთი იყო, იმ შემთხვევაში თუ დაცურავდნენ ამ გემით, თუ იყო იგი მოვლილი როგორც წესი და რიგია, ამაზეც თქვეს, დიახო და, ღმერთმა უწყის, რატომ, მერე კი სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობდა დამამტკიცებელი

საბუთი ამ უბედური შემთხვევის დასადგენად, შეიძლება ეს ყოფილიყო მიტოვებული ზომალდი, მახსოვს, სწორედ იმხანად ხეტყით დატვირთული ნორვეგიული კარჭაბი დაკარგულიყო. ხოდა, ქარიშხლის დროს შეიძლება ის ამოტრიალებულიყო და ფსკერით მაღლა ეცურა მთელი თვეები — გემების დაშლის მსხვერველ ზღვის ურჩხულად გარდასახული რომ დაძრწის სიბნელეში ასეთი მოხეტიალე გემები ხშირად შეგხვდებით ჩრდილოეთ ატლანტიკაზე, სადაც ისედაც დათარეშობენ ზღვის საშინელებანი — ნისლის დასები, აისბერგები, სიბოროტისთვის გამზადებული მკვდარი გემები, გაუთავებელი, გაავებული ქარიშხლები, რომლებიც ვამპირებივით მოგდგებიან და აღარ მოგეშვებიან, სანამ არ წაგვერიან ძალას, სიმხნევესა და იმედის ნატამალსაც, დაბოლოს, არარაობა გახდებით. მაგრამ იქ კი, იმ ზღვაში ასეთი შემთხვევები იშვიათობაა და თითქოსდა რაღაც ბედითი გამოვლინება იყო ეს ამბავი, არადა, როგორ შეიძლება ავხსნათ იმ ცეცხლისფარეშის სიკვდილი და მოკვდინებაზე უარესი სატანჯველი, ჯიშს რომ გადახდა თავს, ამ ამბავს ეშმაკის ხელს თუ მიაწერდით მხოლოდ. ამ ფიქრებით მოცულს ჯერ არაფერი არ მესმოდა, მაგრამ ცოტა ხნის მერე ნათლად გავიგონე მოსამართლის სიტყვები... „მოვალეობის უგულვებელყოფაო“. შემდეგ რა თქვა, ვერ გავიგე, მერე კი... „საშიშროების დროს ბედის ანაბარად დააგდეს მგზავრები და ქონება...“ — ამოთქვა იმან და იყუჩა. თავი წამოსწია და იმ ქალადის ზემოდან გამოიხედა, ნაღვლიანი თვალებით იმზირებოდა იმ გაქათქათებული შუბლის ქვემოდან. სწრაფად შევხედე ჯიშს, თითქოსდა იმის გაქრობას მოველოდი იმ წუთსავე. მაგრამ ის იქ იყო, გაუნძრევლად მჯდომარე, ვარდისფერლოყებიანი და ქერა, დიდი ყურადღებით მაცქერალი. „ამიტომაც...“ — მკაფიოდ გაისმა ხმა. ჯიშმა პირი დაალო, ყველაფერი უნდოდა გაეგონა, რასაც კი იტყოდა იმ მაგიდასთან მჯდომი კაცი, სიჩუმეს მხოლოდ იმ საგრილობლის ტრიალი არღვევდა და მოსამართლის ხმა. მე კი მინდოდა დამენახა, თუ როგორ იმოქმედებდა განაჩენი იმ ყმაწვილკაცზე და ნაწყვეტ-ნაწყვეტადლა მესმოდა... „სასამართლო... გუსტავ ამასა და ამას... კაპიტანს... წარმოშობით გერმანელს... ჯეიმს ამას და ამას... თანაშემწეს... საბუთები ჩამოერთვათ“. სიჩუმე ჩამოვარდა, მოსამართლემ ქალადი დადო, დაეყრდნო სავარძლის სახელურებს და მუსაიფი გააბა ბრაერლისთან. ხალხი წამოიშალა, გასასვლელს მიაშურა, მეც კართან მივედი. უკვე გასულს ჯიშმა გვერდით ჩამიარა, ხელი ვტაცე და შევაჩერე. ისე შემომხედა, რომ თავგზა ამიბნია. თითქოსდა მე ვიყავი მიზეზი მისი გასაჭირისა, ბოროტ სულს თუ შეხედავენ ასე. ყველაფერი მორჩა-მეთქი, ჩავილაბარაკე ენის ბორძიკით. „დიახ, — ხრინწიანი ხმით მომიგო იმან, — და ახლა არც არავინ...“ ხელი გამომტაცა და წავიდა. თვალი არ მომიცილებია მიმავლისთვის. ქუჩა გრძელი იყო და კარგა ხანს ვხედავდი მას. ნელა მიდიოდა, ცოტათი ფეხარეული, თითქოსდა სწორზეც უჭირდა სიარული. სანამ თვალს მიეფარებოდა, მგონია, წაბორძიკდა კიდევაც.

— წყალწალღებული, — მომესმა დაბალი ხმა ჩემ უკან. მივტრიალდი, ცოტათი ვიცნობდი იმ კაცს, დასავლეთ ავსტრალიიდან იყო, გვარად ჩესტერი. თურმე ისიც უყურებდა ჯიშს. ის იყო კაცი ფართომკერდიანი, უხეში, სუფთად გაპარსული სახით, წითელი ხის ფერისა, ზედა ტუჩზე მავთულის მსგავსი გაჩინკული უღვაშებით. მარგალიტის მამიებელი იყო, გემის შემკეთებელიც, ვაქარიც და, მგონია, ვეშაპებზე მონადირეც. ერთი სიტყვით, ყველა ხელობა ჰქონდა, რასაც შეიძლება კაცმა ზღვაზე ხელი მოკიდოს, მეკობრეობის გარდა. წყნარი ოკეანის ჩრდილოეთი და სამხრეთი იყო მისი მოღვაწეობის ასპარეზი.

მაგრამ ახლა მიეტოვებინა იქაურობა და რომელიმე გემის ჩაგდება უნდოდა ხელში იაფად. ამ ცოტა ხნის წინათ, როგორც მან მითხრა, გუანოს კუნძული აღმოუჩენია, მაგრამ საშიში იყო იმასთან მიახლოება და არც ლუზის ჩასაშვები ადგილი ჩანდა საიმედო. „გინდაც ოქროს საბადო აღმომეჩინოს, შეპყვირა იმან, — სწორედ იმ უოლპოლის რიფებს შორისაა და, მართალი თუ გნებავთ, ორმოცი საუენის მანძილზე ლუზას ვერსად ჩააგდებთ...“ — მერედა რა მოხდა? ქარიშხლებიც იცის აქ. მაგრამ თავიდათავი საქმესა. გინდაც ოქროს საბადო აღმომეჩინოს... დიახ! მაგრამ ამ სულელთაგან არც ერთს არ უნდა იმისი ნახვა. ვერც კაპიტანი მიპოვნია და ვერც გემთმფლობელი, ვინც წამომყვებოდა. ხოდა, თავად მე უნდა მივხედო ამ დალოცვილ საქმეს...“ — გემი ამისთვის სჭირდებოდა და მე ვიცოდი, რომ დიდი მონღოლებით მიემართა ფარსელების* ერთი ფირმისთვის, რომელიც ჰყიდდა ბრიგივით აღჭურვილ, ძველისძველ, ადამისუამინდელ ოთხმოცდაათ ცხენის ძალიან გემს. ჩვენ რამდენიმეჯერ შევხვედრივართ და გვილაპარაკია ერთმანეთთან, მან მრავალმნიშვნელოვნად გახედავიმს. რა გულჩვილი ყოფილათ, ზიზლით ამოთქვა. ძალიან-მეთქი, ასე მივუგე. „ცუდი ამბავია, — ასე დასძინა, — რა სადარდებელი ეგ არის? თავისი ჩრდილისა ეშინია. კაცი კაცი უნდა იყოს. რაც არის, არის, თუ არადა, რას გახდები, რაღა დახლი დაგიდგება ცხოვრებაში. აბა ერთი მე შემომხედე. წესად მაქვს, გულთან არაფერი არ გავიკარო“. „დიახ, — მე მივუგე, — რაც არის, არის“. „იმ ჩემი ამხანაგის ნახვა მინდა ახლა. — მითხრა მან, — თუ იცნობთ ბებერ რობინსონს? დიახ, იმ რობინსონს-მეთქი. თუ გინახავთ? საქვეყნოდაა ცნობილი ის რობინსონი. ეს ის კაცია, ვისაც უფრო ბევრი ოპიუმში გადაუტანია ჩუმად და უფრო მეტი მწავები მოუნადირებია, ვიდრე რომელიმე ახლანდელ ჯეულს. ამბობენ, რომ მას აბორდაჟზე აუყვანია გემები ალიასკასთან, როდესაც ისეთი ნისლი იყო ჩამოწოლილი, რომ მამაზეციერი, მხოლოდ ის თუ გაარჩევდა ერთ კაცს მეთრისაგან. რკინის მკვნეტელი რობინსონი. აი კაცი, იმ გუანოს ამბავში ის ჩემთანაა. პირველად თავის ცხოვრებაში ხედავს ასეთ სარფიან საქმეს. — ყურში მეჩურჩულება ახლა, — კაციჭამიანო?... სწორედ ასე შეარქვეს მრავალი, მრავალი წლის წინათ. თუ გახსოვთ ის ამბავი? სტიუარტის კუნძულთან გემი დაიღუბა, ხოდა, შვიდნი გადავიდნენ ნაპირზე, როგორც ეტყობა, ვერ ყოფილან კარგად ერთმანეთში. ზოგიერთები კი არიან მიზეზიანები, და გაუკულმართებულადაც აღიქვამენ ყველაფერსაც... გაუკულმართებულად-მეთქი, უმაწვილო! შედეგი კი რაღა იქნება? ნათელია! უსიამოვნება, უსიამოვნება, შეიძლება თავშიც დაჰკრან და ახიც იქნება. ასეთები მკვდრები რომ იყვნენ, კი სჯობია. ასე ამბობენ, მისი უდიდებულესობის გემის, „ვულვერინის“ ნავმა ნახა ის კაცი, დედიშობილა, ლერწმებში მუხლებზე მდგომარე, ფსალმუნს მღეროდა, ამ დროს ცოტათი თოვდა კიდევაც. სულ ახლოს, ერთი ნიჩბის დადებამზე რომ მივიდა ნავი ნაპირთან, კაცმა მოკურცხლა. მთელი საათი სდიეს იმ რიყეზე, მერე კი რომელიღაც მეზღვაურმა ქვა გაუქანა და, კიდევ კარგი, ყურის ძირში მოახვედრა და უგრძობლად დააგდო. მარტო იყო? რაღა თქმა უნდა. მაგრამ ეს ამბავი ისეთივე ბუნდოვანებათ არის მოცული, როგორც იმ მწავებზე მონადირე გემისა. ღმერთმა უწყის, რა არის მართალი და რა ტყუილი ამ ამბავში. ნავზე გამოძიებას არ შედგომიან, საჩქაროდ იალქნის ნაჭერში გაახვიეს და წამოიყვანეს; სადაცაა უნდა დაღამებულიყო, ამინდიც თუჭდებო-

* ზოროსტრიზმის მამდევარი ინდოელები.

და, გემი ყოველ ხუთ წუთში უხმობდა იმათ ზარბაზნის სროლით. სამი კვირა გავიდა ამის შემდეგ და კარგადაც მომჯობინდა. ნაპირზე რომ გადმოვიდნენ, ყვირილი დაიწყეს, მაგრამ წარბიც არ შეტოკებია, რამდენიც გინდათ, იმდენი იყვირეთო. თავისი გასაჭირიც ეყოფოდა იმას, გემი და მთელი სარჩო-საბადე-ბელი დაეკარგა და სულაც აღარ აღარდებდა იმათი ლანძღვა-გინება, სწორედ ასეთი კაცი მჭირდება მე. — ხელი ასწია და რაღაც ანიშნა ქვემოთ, ქვემოთ მიმავალს. — ცოტა ფული კი აქვს და უნდა ავიყვანო ამ სამუშაოზე. დიანაც! ცოდვა იქნებოდა ამ კაცის ხელიდან გაშვება, მე ხომ ჯიბეცარიელი ვარ. ძალიან მიჭირს, მაგრამ რას იზამ, რაც არის, არის და თუკი ვინმეს რამე უნდა ვუწილალო, მე ვფიქრობ, მოდი ეს რობინსონი იყოს-მეთქი, ფუნდუკში დავტოვე ის კაცი საუზმეზე და სასამართლოზე წამოვედი, რადგან ერთი აზრი მომივიდა თავში... პო! დილა მშვიდობისა, კაპიტანო რობინსონ... ჩემო მეგობარო, კაპიტანო რობინსონ“.

ეს ხმელ-ხმელი პატრიარქი თეთრი ტიკის კოსტიუმში იყო გამოწყობილი, სიბერისაგან მოკანტურე თავზე მწვანე არშია შემოვლებული ინდური ჩაჩქანი ეხურა. სწრაფად, თუმცა ფეხების თრევით გადმოსკრა ქუჩა და ჩვენთან მოვიდა, ორივე ხელით ჩაებლუჯა ქოლგის ტარი, წელამდე ჩამოშვებოდა ქარვის ძაფებგაბნეული თეთრი წვერი. თვალებს ახამხამებდა, დაბნეული მომჩერებოდა. როგორ გიკითხოთ? როგორ გიკითხოთ? დაიწრობინა და შეტორტმანდა. ცოტა ყრუაო, ჩამილაპარაკა ჩესტერმა. იმ იაფფასიანი გემით დამში მოვიყვანო საქმეს, ჩემო მეგობარო, რა ჩემი ბრალია, რომ ყველა კაპიტანი და გემთმფლობელი ამ დაწყევლილ ავსტრალიაში ქკუაგამოლეულია? ერთხელ იყო და სამი საათი ველაპარაკე ერთ კაცს ოკლენდში. გემი გაგზავნეთ, ვეუბნებოდი მე, გემი გაგზავნეთ, იმ პირველი ტვირთის ნახევარს მოგცემთ. თქვენი აღარაფერი მინდა, ოღონდ კი კარგი დასაწყისი იყოს-მეთქი. იმან მითხრა, ამას ვერ ვიზამ, თუნდაც მთელ დედამიწაზე სხვა ადგილი არ იყოს გემის გასაგზავნადო. ნამდვილი ვირია, რაღა თქმა უნდა. კლდოვანია, დინებებია, ლუზის ჩასაგდები ადგილიც არაა, იმ ციცაბოსთან მოუხდება გემს დაუმაგრებელი დგომა, რომელი სადაზღვევო კომპანია ამოგვიდგება მხარში, სამი წელიწადიც არ გეყოფათო დასატვირთავად. ეს ვირი! კინალამ მუხლებში არ ჩავუვარდი, მაგრამ ხომ ხედავთ, რა საქმეა, მივუგე მე, ჯანდაბას ის კლდეები და ქარიშხლები. ერთი შეხედეთ, რა არის, იქ ხომ გუანოა, კუინზლენდელი შაქრის პლანტაციის მფლობელები ბრძოლას გამართავენ იმისთვის-მეთქი... ბრძოლას სანაპიროზე-მეთქი... შეაყარე ცერცვი კედელს... რა ხუმრობა გიყვართო, ჩესტერ, ასე მითხრა... ხუმრობაო! სადაცაა ავტირდებოდრი, კაპიტანი რობინსონი გეტყვით... კიდევ ერთი იყო ვილაც, გემთმფლობელი... თეთრუილეტიანი, ჩასუქებული კაცი ლინგტონიდან, ასე ეგონა, რომ იმისი მოტყუება მინდოდა თუ რაღაც ამდაგვარი, არ ვიცი, ვინ სულელს დაეძებთ თქვენ, მითხრა იმან, მე არა მცალია, კარგად ბრძანდებოდეთო. მინდოდა ხელი წამეგლო მისთვის და მისი საკუთარი კანტორის ფანჯრიდან მომესროლა, მაგრამ არა. დიაკვანივით თვინიერი ვიყავი, აბა იფიქრეთ, მე ვუთხარი, იფიქრეთ და ხვალე შემოგივლით-მეთქი. რაღაც ჩაიბურტყუნა, მგონია, „მთელი დღე არ ვიქნებიო“. გამწარებულმა კიბეზე კინალამ თავი არ ვურტყი კედელს. კაპიტანი რობინსონი გეტყვით, ამაზე ფიქრი არ გინდა, რომ მთელი საუნჯე გდია მზეზე... საუნჯე-მეთქი... ცას სწვდება შაქრის ლერწამი... რას აშენდებოდნენ კუინზლენდში! რას აშენდებოდნენ კუინზლენდში! ბრიზბენში კი, სადაც მინდოდა უკანასკნელი ღონე მეხმარა, გიჟი და-

მიძახეს, იდიოტები! ერთი ჭკუათმყოფელი, ვინც მე ვნახე, მეეტლე იყო, ქალაქში დამატარებდა. დიდებული კაცი უნდა ყოფილიყო ერთ დროს, მე მგონია. დიახ! კაპიტანო რობინსონ, თუ გახსოვთ, მე ხომ გიამბოთ იმ ბრიჭბენელი მეეტლის შესახებ... ხომ გახსოვთ-მეთქი? გონებაგახსნილი კაცი გახლდათ, მაშინვე მიხვდა ყველაფერს. რა სასიამოვნო იყო იმასთან საუბარი, ერთხელ სალამო ხანი იყო, მთელი დღე რა ჯოჯოხეთი არ გამოვიარე იმ გვერდებთან, ზოდა, ისე ცუდად ვიყავი, რომ ვუთხარი, მოდი დაელოტე მტერი! სარადა, გავგიჟდები-მეთქი. ბატონი ხარ, მითხრა იმან, წავიდეთო. ის კაცი რომ არ ყოფილიყო, არ ვიცო, რას ვიზამდი, ჰეი, კაპიტანო რობინსონ“.

ხელი გაჰკრა გვერდზე თავის პარტნიორს. „ხი! ხი! ხი! — სიცილი დაიწყო იმ ბერიკაცმა, თან უაზროდ იმზირებოდა ჭვემით, ქუჩაში, მერე კი უნდობლად შემომხედა თავისი სევდიანი, ამღვრეული თვალებით... — ხი! ხი! ხი!“ — მძიმედ დაეყრდნო იმ თავის ქოლგას და დაბლა დაიწყო ცქერა. რაღა საჭიროა იმის თქმა, რომ რამდენიმეჯერ ვცადე წამოსვლა, მაგრამ ჩესტერმა არ დამანება, სულ კოსტიუმზე მეპოტინებოდა და ისე მაჩერებდა, ერთი წუთით, რაღაც უნდა გითხრათო. რაღა უნდა მითხრათ, შევძახე, თქვენს ჭკუაზე მე ვერ გავივლი-მეთქი... არა, არა, ყმაწვილო, ძალიან დაგაგვიანდათ, თუნდაც მოისურვოთ. ჩვენ ახლა გემი გვყავსო, თუ გემის ნასახი-მეთქი, შე მივუგე. დასაწყისისთვის ძალიანაც კარგიაო... ასე არ არისო, კაპიტანო რობინსონ? მძვინვარედ თავი ვააქნია იმ ბერიკაცმა და თავის აუწევლად დაიყვირა, ასეა! ასეაო... „მგონია, თქვენ იცნობთ იმ ყმაწვილკაცს, — თქვა ჩესტერმა და გახედა იმ ქუჩას, რომლითაც ჯიმი წასულიყო ამ რამდენიმე ხნის წინ, — წუხელ უვახშმია თქვენთან ერთად „მალაბარში“, ასე მითხრეს“.

მართალს ბრძანებთ-მეთქი, ვუთხარი. კარგი ცხოვრება შეც მიყვარსო, მომიგო მან, მაგრამ ახლა იძულებული იყო გაფრთხილებოდა ყოველ კაპიტანს. „ფული მხოლოდ საქმეზე უნდა დაიხარჯოს, ხომ ასეა, კაპიტანო რობინსონ?“ — მხრებში გაიმართა და თავის გაფიჩხულ უღვაშებზე ხელი გადაისვა. იმ სახელგანთქმულმა რობინსონმა კი ჩაახველა და კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა ხელი ქოლგას. თითქოსდა სადაცაა ბებრული ძვლების გროვად დახვავდებოდა. „იციო, მთელი ფული ამ ბერიკაცს აქვს, — ნდობით ჩამიჩურჩულა ჩესტერმა, — მე კი რაც მებაღი, ამ საქმეში ჩავყარე და ხახამშრალი დავრჩი. მაგრამ დაიცადეთ, მოვა დრო და... — მგონია, უეცრად გაოცდა კიდევაც მოუთმენლობა რომ შემატყოს და წამოიძახა, — ჰოი, დალაზვროს ეშმაკმა! ამ უმაგალითო და დიდებულ საქმეზე გიამბობთ, თქვენ კი...“ ერთ კაცს უნდა შევხვდე რაღაც საქმეზე-მეთქი, წყნარად მივუგე. მერედა რაო, მითხრა მან გულწრფელად გაკვირვებულმა, დაიცადოსო, კი ბატონო, მე ვუთხარი, სჯობს მითხრათ, რა გნებავთ-მეთქი? რა მინდა და ოცი ასეთი სასტუმროს ყიდვა. ჩაილაპარაკა მან თავისთვის, თავის ძაცხოვრებლებიანად და... კიდევ ოცჯერ უფრო მეტიო, თავი ასწია უეცრად, მე ის ყმაწვილკაცი მჭირდებაო, რა ბრძანებთ-მეთქი? ვუთხარი მე, თუკი გამოგვადგებაო, შევახედ მომიგო ჩესტერმა. ვერ გეტყვით-მეთქი, მოვუჭერი მე. „ახლა არ მითხარიო, სათუთო გულისააო, — მოჰყვა დასაბუთებას ჩესტერი, — მე მგონია, ის ყმაწვილკაცი... რაც უნდა იყოს, ჩვენი მოსაწონი არ იქნება, მაგრამ, თქვენ იციო, მე ახლა კაცი მჭირდება, სამუშაო უნდა მივცე იმ ჩემს კუნძულზე, — დინჯად თავი დამიქნია, — ორმოცი ყული უნდა გავგზავნო იქ მტვირთავებად... თუნდაც იმათი მობრძანება მომიხდეს. ხის ფარდულს დავდგამ, დაღარული რკინით გადავხურავ... ჰობარტში

ერთი კაცი მყავს, ექვსი თვე შეუძლია მადროვოს იმ მასალის ფული. პატიოსნებას გეფიცებით, მასე უნდა ვქნა. წყლის მომარაგებაზეც უნდა ვიზრუნო. მივდგები, მოვდგები, ვილაცხას ვნახავ, ექვსიოდე რკინის ცისტერნას ვიშორებ. ხომ შეიძლება წვიმის წყლით გავავსო? მე მივცემ იმას სამუშაოს! ყულის შედამხედველად გამომადგება, დიდებული აზრია, თქვენ რას იტყვიან? შეიძლება უოლპოლში წელიწადი გავიდეს უწვიმოდ-მეთქი, ვუთხარო ვიღაცას, ვიღაცას გაოცებულმა, რალა გამააციინებდა. ტუჩი ჩაიკვნიტა, შეშფოთებული ჩანდა, პო, კარგი, რალაცას მოვიფიქრებ... სულაც მოვატანიებ წყალს. ღმერთმა დასწყევლოს! რალაცას კი ვიზამთ.

ალარაფერი ვუთხარი, უეცრად თვალწინ წარმომიდგა ჯიმი. მუხლებამდე გუანოში დგას მოტიტვლებულ კლდეზე, თავს დასჩხივიან ზღვის ფრინველები, მზის გავარგარებული ბურთი დანათის... უდაბური ზეცა და უდაბური ოკეანე... გაუსაძლისი ხვატი დგას მთელ ამ უკიდვანო სივრცეში. ჩემს უბოროტეს მტერსაც კი არ ვურჩევდი-მეთქი... დავიწყე მე. „რა მოგივიდათ? — შეჰყვირა ჩესტერმა, — ჯამაგირს კარგს მივცემ... როგორც კი დამში მოვიყვან საქმეს, რალა თქმა უნდა, ჩხირის გადაბრუნებაც არ დასჭირდება. საქმე არაფერი არ ექნება, ორ ექვსტყვიან დამბაჩას დაიკიდებს გვერდზე და მორჩა... იმ თრმოცი ყულის შიში რატომ უნდა ჰქონდეს... ორი ექვსტყვიანი დამბაჩით შეიარაღებულ კაცს! შეიძლება ასე არ ჩანდეს, მაგრამ კი არის დიდებული საქმე, იქნებ დაელაპარაკოთ იმას“. არა-მეთქი, დავუყვირე. იმ ბებერმა რობინსონმა წამით ასწია თავისი ბეჩაგი თვალები, ჩესტერმა დიდი სიძულვილით შემომხედდა. თქვენ იმას არ ურჩევთ? — ჩაილაპარაკა მან. „რალა თქმა უნდა, არ, — ვუთხარი მე აღშფოთებულმა, თითქოსდა კაცის მოკვლა ეთხოვოს იმას ჩემთვის, — ამასთან ერთად, დარწმუნებული ვარ, ის არც იზამს ამას. მართალია, კარგად ვერ არის, მაგრამ რამდენადაც ვიცი, გიჟი არ უნდა იყოს“. მართლაცდა კაპიკია მისი ფასი, — ხმამალა ფიქრს მოჰყვა ჩესტერი, — ჩემთვის კი ზედგამოჭრილი იყო. თუ ავსა რა კარგს არჩევთ ერთმანეთისაგან, მაშინ კიდევაც მიხედებით, სწორედ იმისი შესაფერისია ეს საქმე. და კიდევ... რატომაც არა? დიდებული შემთხვევაა, უნდა სცადოს, — უცებ გაცხარდა, — კაცი მჭირდება მე, გესმით!.. — ფეხი დაჰკრა მიწას და იქედნურად გამიღიმა, — რაც უნდა იყოს, ის კუნძული არ ჩაიძირება, სიტყვას გაძლევთ... იმას კი ამ მხრივ ისედაც ბედი სწყალობს“. კარგად იყავით-მეთქი, მოვუჭერი მე. ისე შემომხედდა ვითარცა რეგვენს... დროა წავიდეთ, კაპიტანო რობინსონ, უცებ ჩასძახა იმან ყურში ბერიკაცს, ხელშეკრულების დასაღებად გველოდებიან ის ყოჩალი ფარსელები. ხელი სტაცა თავის მეგობარს და მიატრიალა, მერე მე შემომხედდა. კარგი მინდოდაო მე მისთვის, ისე მითხრა, რომ წამოვენთე. მადლობას ვერ გეტყვი... იმისი სახელით-მეთქი, მე მივუგე. „ძალიან ჭკვიანი ბრძანდებით, — ასე შემომიღრინა, — რალა თქვენ და რალა სხვანი, ვნახოთ, თქვენ იმას რას მოუხერხებთ“. არ ვიცი, მე იმას რა უნდა მოვუხერხო-მეთქი, ვუთხარი მე. რასა ბრძანებთ, წარმოთქვა გაცოფებულმა, ჭადარა ულვაშები მძვინვარედ წამოეშალა, იმის გვერდით ის სახელგანთქმული რობინსონი იდგა ქოლგაზე დაყრდნობილი, მორჩილი და ჩუმი დროგის ბეხრეკი ცხენივით. გუანოების კუნძული მე არ მიპოვებია-მეთქი. „ვიცი, ვერც იპოვით, თუნდაც ხელი ჩაგვიდონ და ისე მიგვიყვანონ იქამდე“. — ასე განმიცხადა მაშინვე. ჯერ უნდა დაინახო და მერე გამოიყენო, კაცი ჯერ თავად უნდა მიხვდეს რალაცას და სხვებიც უნდა მიახვედრო-მეთქი, ჩავურთე მე და იმ წელში მოხრილ ბერიკაცს გავხედე. ჩესტე-

რი იმწამსვე მეცა: იმას კარგად უჭრის თვალი... თქვენსავით კი არ არის, ღლა-
 პი რუ გგონიათო, ოპ, რაღა თქმა უნდა-მეთქი, მე მივუგე წავიდეთო, კაპიტა-
 ნო რობინსონ! — დაიყვირა იმან და ბრიყვული თავაზიანობით შეხედა იმ ბე-
 რიკაცს. შეწრიალდა იგი, შიშნული უილაჯობით მოცული, გემის / აჩრდილი
 ელოდებოდა იმათ, ბედს შეეყრებოდნენ იმ კუნძულზე, დედებულად წყვილი
 გახლდათ არგონავტებისა, ჩესტერი, ეს წარმოსადგენი ჯგუფი უფრო კაპაშურა
 დარდიმანდულად, გამარჯვებული სახით, მეორე კი, მაღალ-მაღალი, გაძვალ-
 ტყავებული, მხრებში მოხრილი, ხელზე წაეტანა და გაჰყვა ბებრული ფაციფუ-
 ცით.

თავი 15

მაშინვე არ წავსულვარ ჯიშის მოსაძებნად რადგან კაცი მყავდა სანახავი
 და არ შემეძლო, მერე კი, ბედი არ გინდა, ჩვენი წარმომადგენლობის კანტორა-
 ში მაღაგასკარიდან ახლახან დაბრუნებულ ერთ ყმაწვილაცს შეეხვდრ, რაღაც
 გასათყარი საქმე ჰქონდა ჩაფიქრებული. ეს საქმე დაკავშირებული იყო საქო-
 ნელთან, ტყვია-წამალთან და უფლისწულ რავონალოსთან, მაგრამ თავიდათა-
 ვი ვილაც აღმირალის — აღმირალ პიეროს სიბრიყვე გახლდათ, სწორედ ეს ამ-
 ბავი ესაძირკვლებოდა ამ საქმეს და ყმაწვილს თამამად ვერ გამოეხატა თავისი
 თავდაჯერებულობა. თევზისებრ მრგვალ, ცივად მოელვარე თვალებიანს, შუბლ-
 კოპებიანს, უკან გადაეყარცხნა თავისი ხშირი შუაზე გაუყველი თმა, ზარზე-
 მით იმეორებდა თავის საყვარელ გამოთქმას, ჩემი დევიზია საფრთხე მინიმა-
 ლური, მოგება მაქსიმალური, რას იტყვითო? თავი ამატკივა, საუზმე ჩამამწა-
 რა, მაგრამ რაც უნდოდა, ყველაფერი გაიგო და წავიდა თუ არა, მაშინვე სანა-
 პირთზე გავედი, ჯიში დავინახე, მოაჯირზე დაყრდნობილიყო. იმის გვერდით
 სამ ადგილობრივ მენავეს საშინელი აყალმაყალი გაემართა თრიოდე გროშის
 გულისთვის, ჩემი მისვლა არ გაუგონია, მაგრამ შევეხე თუ არა, იმწამსვე მოტ-
 რიალდა, თითქოსდა გამოერკვა კიდევაც, იქით ვიყურებოდით, ჩაიბურტყუნა
 იმან, თუ რა ვუთხარო, აღარ მახსოვს, ბევრი ხვეწნა არ დამჭირვებია, სასტუმ-
 როში გამომყვა.

პატარა ბავშვივით დამყოლი იყო, უარი არ წამოსცდენია, თითქოსდა ელო-
 დებოდა, რომ მოვიდოდი და წავიყვანდი. არც უნდა გამკვირვებოდა მისი ასე-
 თი მორჩილება, მთელ ამ ბურთივით მრგვალ დედამიწაზე, რომელიც ზოგიერ-
 თისთვის დიდი ჩანს, ზოგიერთისთვის კი ფეტვის მარცვალავით პატარა, ის ად-
 გილს ვერ პოულობდა... როგორ გითხრათ... სადაც შეიძლებოდა თავის შეფა-
 რება, დიახ! თავის შეფარება... თავის თავთან დარჩენა, ის მომყვებოდა წყნა-
 რად, აქეთ-იქით იცქირებოდა, ერთხელ კი თავი მიატრიალა და ცეცხლფარეში
 დაინახა მოკლე ქურთუქსა და ყვითელ შარვალში, შავი სახე უპრიალებდა იმას
 ანტრაციტის ზოდვიით, კი ვეჭვობ, ხედავდა, თუ არა ჯიში რამეს ან თუნდაც
 იცოდა თუ არა, რომ მე მივყვებოდი იმას გვერდით, რადგან იძულებული ვი-
 ყავი ხან მარცხნივ მიმებრუნებინა და ხან მარჯვნივ, თუ არადა, ის პირდაპირ
 ივლიდა მანამ, სანამ კედელს ან სხვა რამეს არ გადააწყდებოდა. ჩემს ოთახში
 მივიყვანე და მაშინვე დაჯექი წერილების დასაწერად, მხოლოდ ეს იყო ერ-
 თადერთი ადგილი ქვეყნიერებაზე (იმ უოლბოლის რიფების გარდა, მაგრამ აქე-
 დან შორეულისა), სადაც მას შეეძლო მარტოდ დარჩენა თავის თავთან, გარე-
 სამყაროსაგან მოწყვეტილს, იმ დაწყვეტილ ამბავს — როგორც მან თქვა —

უჩინარი არ გაეხადა ის, მეც სწორედ ასე მინდოდა ყოფილიყო. დაეჭვი თუ არა ჩემს სკამზე, საწერ მაგიდაზე დახრილი, შუა საუკუნეების მწერალივით წერას შევუდექი, მხოლოდ კალმის წრიბინი ისმოდა ქალაქდზე. ვერ გეტყვით. მეშინოდა-მეთქი, მაგრამ გაყუჩებული კი გახლდით, თითქოსდა ამ ოთახში პირველივე შეტოკებისთანავე თავს დამესხმოდნენ. ბევრი ავეჭყრე, ყველა ჩემს თქვენც იცით, როგორია ასეთი სასტუმროები, ოთხ სადგამზე გამაჩნდნენ. ლაც ლოგინი ქინკლების მოსაგერიებელი ბადის ქვეშ, ორი თუ სამი სკამი, საწერი მაგიდაც, რომელთანაც მე ვიჯექი, შიშველი იატაკი. ჯიმი ზედა აივანზე გამავალი მინის კარის წინ დამდგარიყო და იმზირებოდა მტანჯავ ფიქრებში დანთქმული. ბინდმა იძალა, სანთელი ავანთე, ფრთხილად ვმოძრაობდი, თითქოსდა რაღაც აკრძალული საქმე უნდა გამეკეთებინა. თქმა არ უნდა, ძლიერ შექირვებულიყო ისიც და მეც, ჩემდა თავად გულში ჯანდაბამდისაც ან იმ უოლპოლის რიფებზე მაინც ვაგზავნიდი. ერთხელ იყო თუ ორჯერ, თავში გამიელვა, შეიძლება სულაც იმ ჩესტერს კარგად მოეწონა ამ ხელმოცარული ყმაწვილკაცისთვის-მეთქი. ის საკვირველი იდეალისტი მაშინვე გამოუძებნიდა რაღაც სამუშაოს, თავს არ შეიწუხებდა, ისე. ვინ იცის, იქნებ იმას შეეძლო კარგად ჩახვედროდა რეალობას, რომელიც ნაკლები წარმოსახვის უნარის კაცს იდეალებით მოცული ან სულაც უიმედო მოჩვენებოდა. მე კი ვწერდი და ვწერდი; ყველას მივმართავდი, ვისთანაც კი მიმოწერა მქონდა გამართული, იმათაც კი მივწერე, რომლებიც არამც და არამც არ ელოდნენ ჩემს არაფრისმთქმელ, სიტყვამრავალ წერილებს. ხანდახან კი ჩუმად გავხედავდი ჯიმს. მიჯაჭვულივით ერთ ადგილზე იდგა, ვამჩნევდი, კანკალი გადაუვლიდა ხოლმე მხრებსა და ზურგზე. იბრძოდა, იბრძოდა-მეთქი... სულის ხუთვას რომ გამკლავებოდა, მგონია, იმ სანთლის შუქს მხოლოდ ერთ მხარეს წარმოეჩინა ვეება ჩრდილები და თითქოსდა ბუნდი ცნობიერებით დაეჭილდოვებინა. ჩუმად რომ მოვიხედავდი, თითქოსდა იმ გარინდებული ავეჯის იდეალ თრთოლვას მოგკრავდი თვალს. გულდაგულ ვწერდი და ამ დროს ფანტაზია მომიცავდა ხოლმე, შევაჩერებდი თუ არა კალმის სრბოლას, ოთახში სრული მდუმარება და სიწყნარე ჩამოწვებოდა. დიდი შფოთიანობა და შიში დამუფლებოდა, ეს შეიძლება მოუვიდეს გააფთრებული, მძვინვარე ხმაურის, ზღვის გრგვინვა-გრილის მსმენელს, მაგალითად. თქვენგან ზოგიერთი კი გაიგებს, რასაც ვგულისხმობ, ეს იყო ნარევი მღელვარების, სასოწარკვეთილებისა და მერყეობის, ყოველივე ამას ერთად კი შეიძლება შიშის ზარი დავარქვათ. ამის აღიარება ვის სიამოვნებს, თუმცა აღამიანიშვილი კი უძლებს ამის შემოტევას და კიდევაც მოიხვეჭავს ღირსებას. მაგრამ ჯიმის ემოციების გაძლებას სულაც არ ვთვლიდი ღირსებად და დამსახურებად; წერილების წერით შემეძლო შვების მოპოვება, და თუ დამჭირდებოდა, სულ უცხოებსაც მივწერდი. უეცრად ახალი ფურცელი რომ ავიღე, ჩუმი ხმაური გავიგონე, პირველად მას შემდეგ, რაც ჩვენ ამ სევდიანი მდუმარებით მოცულ ოთახში შემოვედით. თავი არ ამიწევია, მაგრამ აღარც ვწერდი. იმას, ვისაც დამე უთენებია ავადმყოფის ლოგინთან, გაიგონებდა ჩუმ კვნესას, ნაიარევე სხეულსა და გვემულ სულს რომ აღმოხდა. ისეთი ძალით ჰკრა მან იმ კარს ხელი, რომ ეღრიალი მოაღებინა მინას, გარეთ გავარდა, გავისუსე, ყურები დავცქვიტე, თუმცა არ ვიცოდი, რას გავიგონებდი. მართლაცდა სათუთი გული ჰქონდა და ვეღარ აეტანა ცარიელი ფორმალობა, რასაც ჩესტერის მკაცრი განჩინებით არ უნდა აელეღვებინა ის კაცი, რომელიც რეალურად აღიქვამს მოვ-

ლენებს. ცარიელი ფორმალობა, ნაჭერი პერგამენტისა. დიახ, დიახ, ხოლო რაც შეეხება იმ მიუწვდომელ გუანოს, ეს სულ სხვა ამბავი გახლდათ. გონიერმა კაცმა კი შეიძლება ამისათვის თავი შეიწუხოს, სუსტი ხმები, ვერცხლფულის და ჭიქების წკარუნა მოისმოდა ქვემოდან, სასადილო დაბაზიდან. ვალდებული კარიდან იმ ჩემი სანთლის შუქი მჭრქალად ეფინებოდა. ჯიმის ზურგს, სხვა ყველაფერი კი ბნელში დანთქმულიყო, იგი იდგა უკიდურესი წყნარების კედელზე, ვითარცა სულით ობოლი ქუშად განრთხმული სასოწარკვეთილეთა ოკეანის სანაპიროზე. თუმცა ხომ იყო უოლპოლის რიფები... დიახ, წერტილი მრუმე სიცარიელეში, ხელმოსაჭიდი ხავსი წყალწალღებულისთვის. ჩემი თანაგრძნობა ამ ფიქრით გამოიხატა, კიდევ კარგი ამ წუთას მისი ახლობლები არ ხედავენ-მეთქი. თავად მეც მიჭირდა მისი მზერა. ზურგი აღარ უთრთოდა, აღარც ხვნეშოდა, ისარივით სწორად იდგა; მდუმარედ და ბუნდად ჩანდა, სულით ხორცამდე შემძრა ამ მდუმარებამ. და ისეთ გუნებაზე დავდექი, რომ გულით ვისურვე, ნეტავ მაგის დაკრძალვის ფულს ვიხდიდე-მეთქი. მართლმსაჯულებამაც უკვე გაასრულა თავისი საქმე. ხოდა, სიკეთე იქნებოდა მისი დამარხვის სწორედ ეს იყო შესაფერისი იმ ცხოვრებისეული სიბრძნისა, რომლის მიხედვითაც დავიწყებას უნდა მიეცეს ჩვენი სიშლეგენი, ჩვენი უილაჯობანი და სიმოკლე ჩვენი წუთისოფლისა; ყველაფერი ის, რაც გვაცლის ძალას, გვაგონებს ხელმოცარვას, შიშს, გვამებს ჩვენი მკვდარი მეგობრებისას. შეიძლება ყველაფერი გულზე ხვდებოდა. და თუ ასეა, მაშინ ჩესტერის წინადადება... გავიფიქრე ეს და ახალი ფურცელი ავიღე, მტკიცედ დავიწყე წერა; მხოლოდ მე ვიდექი იმასა და წყევდიადის ოკეანეს შუა. პასუხისმგებლობას ვგრძნობდი ვიტყობდი რამეს და, ვინ იცის, იქნებ ის გარინდებული და გატანჯულე ყმაწვილკაცი გადამბტარიყო, შერეოდა იმ სიბნელეს... იქნებ ჩასჭიდებოდა, მივხვდი, რომ ხანდახან ხმის ამოღება ძნელზე ძნელია. რა იდუმალი ძალაა წარმოთქმულ სიტყვაში, ეშმაკმაც წაილოს, რატომაც არა? ვწერდი და გაუთავებლივ ვეუბნებოდი ჩემს თავს, და უცებ, იმ სუფთა ქალაქზე, სწორედ კალმის წვერის ქვეშ ორი ფიგურა გამოჩნდა, მთლიანად და ცხადლივ, ჩესტერისა და იმისი ბებერი პარტნიორისა, აცაბაცად შიშვალნი. თავისებური მიხრა-მოხრისანი, თითქოსდა წარმოჩენილები რალაც ობტიკური სათამაშოთი, რამდენსამე ხანს ვუთვალთვალელებდი მე იმათ. არა! მეტად ფანტასმაგორიულნი და საკვირველნი იყვნენ ისინი. არ გამოდგებოდნენ ვინმეს ბედის გამრიგედ. სიტყვას კი შორს, ძალზე შორს შეუძლია წაყვანა, შეუძლია ნგრევა-ნგრევით გააშოს დროება, ვითარცა სივრცე, აღარაფერი ვთქვი, ის კი სინათლისკენ ზურგიით მდგომარე, იყო ჩუმი და გარინდებული, თითქოსდა კაცთა მოდგმის უჩინარმა მტრებმა პირი ატყარეს და შებოჭეს.

თავი 18

დრო დადგებოდა, როდესაც მე უნდა მენახა ის ხალხის თვალში სანდომსაამური, ნდობით აღკურვილი, საყვარელი. იმისი სახელი საქვეყნოდ ცნობილი და საარაკო ხდებოდა, თითქოსდა იმთავითვე გმირობა ეწერა ბედად. მართალს ვეუბნებით... დამიჯერეთ, ეს ისეთივე სიმაართლეა, როგორც ის, რომ ახლა თქვენ წინაზე უქმად დროს ვკარგავ იმ ყმაწვილკაცზე ლაპარაკით. თავის მხრივ, იმას ის უნარი ჰქონდა მომადლებული, რომ შეეძლო საცნაური გაეხადა სახება თავისი სურვილებისა და გაეთავისუბინა ზმანებები, უამისოდ

ამჟვეყნად არ იქნებოდნენ არც საყვარლები და არც თავგასავლების მოყვარულები. იმას მოეხვეჭა ბევრი პატივი და არკადიული ბედნიერება (მე არ ვამბობ, უმწიკვლოება-მეთქი) ტყეებში, და ეს ისეთივე სანუკვარი იყო მისთვის, როგორც პატივი და არკადიული ბედნიერება ქუჩებში სხვათათვის. ნეტარება... როგორ გითხრათ, რომელსაც ოქროს თასით მოგართმევენ ყველანაირად, მისი სურნილება თქვენთანაა... მხოლოდ თქვენთან და ვინაა თქვენთან... ლება დაითროთ კიდევაც, თუკი გნებავთ. ის იმ ჭურის ყმაწვილკაცი გახლდათ, ვისაც სულმოუთქმელად დაღევა შეუძლია, როგორც თქვენ მიხვდით ალბათ. მე რომ შევხვდი იმას, მთვრალი თუ არ იყო, რაღაც ელექსირით მაინც ჰქონდა გასველებული პირი. უცებ არ მოუპოვებია ნეტარება. როგორც თქვენ იცით, გეშების წყვეულ მომარაგებელთა შორის წესადაა გამოცდის ვადა, რომლის განმავლობაშიც ის იტანჯებოდა, მე კი დარდით აღარ ვიყავი იმ... იმ... იმ ჩემს შეგირდზე... თუ შეიძლება ასე ვთქვათ. ვერ გეტყვით, სრულიად დაგკმაყოფილდი-მეთქი ახლა, მთელი იმისი ბრწყინვალეების მხილველი. ასეთი ვნახე მე ის უკანასკნელად: ნათელმოსილი, მზვაობარი, მაგრამ მაინც სრულ პარმონიაში მყოფი გარემოსთან — ადამიანებთანაც და ტყესთანაც. უნდა ვალიარო, კი იყო შთამბეჭდავი, მაგრამ ეს შთაბეჭდილება დიდხანს არ გამყოლია. მართოსულობა შევლოდა, გულჩათხრობილი გახლდათ, ბუნების წიაღში უხდებოდა ყოფნა და თავის მხრივ ეს წიაღი გულს უფონავდა თავის მეტრფეს. ოღონდ გონების თვალით ვერა და ვერ წარმომიდგენია იგი მშვიდად მყოფი. ყოველთვის შემახსოვრება ისე, როგორც ვიხილე ჩემი ოთახის გაღებულ კარში, როდესაც ასე დიდად დაშანთვოდა გული იმ თავისი მარცხის გამო, კი მიხარია, რაღა თქმა უნდა, რომ ასე კარგი... ასე ჩინებული ნაყოფიც კი გამოიღო ჩემმა მონდომებამ, მაგრამ ხანდახან ვფიქრობ, იქნებ კი აჯობებდა ჩემი სულიერი სიმშვიდისთვის. არ ჩავმდგარიყავი იმასა და ჩესტერის იმ ბრწყინვალე წინადადების შუა. ნეტავი რას წარმოუჩენდა იმის მგზნებარე წარმოსახვას ცხოვრება უოლბოლის კუნძულზე — პაწაწინა, მიუსაფარ მიწის ნაგლეჯზე ოკეანეში, თუმცა არა მგონია, რამე გამეგო იმის შესახებ, რადგან უნდა გითხრათ, რომ მას შემდეგ, რაც ჩესტერს ჯერ შეუვლია ავსტრალიის რომელიღაც ნავსადგურში იმ თავისი საზღვაო სასწაულის, დაშლილ-დაღეწილი ხომალდის შესაკეთებლად, ხოლო მერე ოცდაორი კაციტურთ წყნარი ოკეანისთვის მიუტია თავი, მის შესახებ არაფერია ცნობილი გარდა იმისა, რომ საშინელი ქარიშხალი დაშტიალობდა თურმე ერთი თვის შემდეგ უოლბოლის რიფებთან, ერთი სიტყვით, იღუმალეების ბურუსითაა მოცული ამ კაცის ბედ-იღბალი. იმ არგონავტების შესახებ აღარაფერი გაგვიგონია, არც არაფერი ამბავი მოსულა იმ უდაბნოდან. მცხუნვარე ოკეანეთაგან წყნარი ყველაზე უფრო ჩუმჩუმელია. საიდუმლოს შენახვა ყინულივით ცივ ანტარქტიკის ოკეანესაც შეუძლია, თუმცა კი იმისი მღუმარება უფრორე სამარისებურია.

და ეს მღუმარებაც სასურველი დასასრულის მაუწყებელია თითქოს, ჩვენ ასე თუ ისე გულწრფელად გვჯერა ამის და განა გარემოებისდა კვალად არ შეგვიძლია შევეგუოთ სიკვდილს? ბოლოს Finis!* სიტყვა უმძლავრესი, რომელსაც ძალუძს გააძევოს ცოცხალთა სახლიდან სულ იქვე მყოფი აჩრდილი ბედისწერისა. სწორედ ეს არის... მიუხედავად იმისა, რომ სულ თვლაწინ მიდგას ის და სულ მესმის იმისი მგზნებარე სიტყვები, სწორედ ეს მაკლია, როდესაც

* დასასრული (ფრანგ.).

ვიხსენებ ჯიმის წარმატებას. საცა სიციცხლეა, იქ იმედიცაა, კეშმარიტად, მაგრამ შიშიცაა ასევე, მე იმის თქმა არ მინდა, ჩემს საქციელს ვნანობ-მეთქი, მაგრამ ვერა და ვერ ვიცილებ იმ აზრს, რომ იმისთვის თავიდათავე დამცირება იყო, როდესაც თავიდათავი დანაშაული უნდა ყოფილიყო სწორედ ის არ იყო, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ნათელი და გასაგები ჩემთვის, ეს არ იყო ნათელი, და კიდევაც ვეჭვობ, არც მისთვის იყო ნათელი, დიდებული გრძობებიერება, დიდებული განცდები, დიდებული სურვილები... რაღაც ამალღებული, გაიდელღებული ეგოიზმი. ის იყო... თქვენის ნებართვით, მე ასე ვიტყვოდი, დიდებული, დიდებული... და დიდზე დიდი ბედშავი. ცოტა უფრო უხეში ბუნების ყმაწვილკაცი ასე არ გაიტანჯებოდა, საკუთარ თავთან მოახერხებდა გარიგებას და... კიდევაც მოითქვამდა სულს, ბუზღუნ-ბუზღუნით, შეიძლება ხარხართაც, ხოლო კიდევ უფრო უხეში ბუნების კაცი საერთოდ არაფრად მიიჩნევდა ამ ამბავს და არც სხვების ყურადღებას მიიპყრობდა.

მაგრამ თავად დიახაც რომ აქცევდა ყურადღებას და მეტად უბედურიც იყო, ვერც ძაღლებს მიუგდებდი საჯიჯგნად და ვერც ჩესტერს, მაშინ ვიგრძენი ეს, როდესაც იმ წერილს ჩავკირკიტებდი, იმას კი იღუმალი ბრძოლა გაემართა საკუთარ თავთან და საშინლად ეხუთებოდა სული ჩემს ოთახში მყოფს; მაშინ ვიგრძენი ეს, როდესაც ის აივანზე გავარდა, თითქოსდა გადასავარდნად, მაგრამ არ გადავარდნილა; სულ უფრო და უფრო ვგრძნობდი ამას მთელი ის ხანი, სანამ იქ იმყოფებოდა ღამისეულ მიბუნდვილ შუქზე, ვითარცა ზღვის უკაცურსა და სასოების წარმკვეთ სანაპიროზე მდგომარე.

გრუხუნი გაისმა უცებ და თავი ავწიე. გადაიარა ამ გრგვინვა-გრიალმა და მოულოდნელად იელვა, ცხოველი ლაციცი დაიწყეს ღამისეულმა შუქჩრდილებმა, დიდხანს ისერებოდა ზეცა მოელვარე ზოლებით, სულ უფრო მატულობდა გრიალი, მე კი გავყურებდი იმ ყმაწვილკაცის მკვეთრად წარმოჩენილ ტანფებს სინათლის მორევეტრიალით აჭრელებული ზეცის წინარე, კიდევ ერთი მაგრად იელვა და გულშემზარავი ჭახანით წყვდიადი ჩამოწვა, ველარაფერს ვხედავდი თვალეზბაბრმავებულთ, თითქოსდა იგი ატომებად დაშლილიყო, ხმა-მაღალი ხვნეშა გაისმა; თითქოს გამძვინვარებული ხელები გლეჯდა ბუჩქნარს, წვეროებს ახრევიანებდა ხეებს, კარებს ახეთქებდა, ამსხვრევდა მინებს სახლის წინა მხარეს, ჯიმი შემოვიდა და კარი მიხურა, ისევ მაგიდაზე ვიყავი დახრილი, რამეს იტყვის-მეთქი, და ხელი დამრია შიშისმაგვარმა შეშფოთებამ, მოვწევო, თუ შეიძლება, მითხრა, თავის აუწევლად მივუჩოჩე სიგარების კოლოფი, უნდა მოვწიო... მოვწიოო, ჩაიჩურჩულა იმან, გონს მოვედი, გამოვცოცხლდი, ახლავემეთქი, მივუგე თავაზიანად, გაიარ-გამოიარა, აღარ ქუხსო, გავიგონე მე იმისი ნათქვამი, შორეული გრუხუნი მოისმა ზღვიდან, თითქოსდა ზარბაზანი გაისროლესო განგაშის ნიშნად, ადრე დაწყებულაო მუსონები წლეულს, შენიშნა იმან სადღაც, ჩემ უკან მდგარმა, მხნეობა დამიბრუნა ამ მისმა სიტყვებმა და შემოვეტრიალდი, როგორც კი მისამართი წავაწერე უკანასკნელ კონვერტზე. შუაგულ ოთახში იდგა და ხარბად ეწეოდა, თუმცა გაიგონა ჩემი მოძრაობა, მაგრამ ერთხანს ისევ ზურგით იყო ჩემკენ.

— დიახ... კარგად კი გამოვძვერი, — ასე მითხრა უეცრად შემოტრიალებულმა, — რაღაც საზღაური გადავიხადე, ცოტა... ნეტავი აწი რაღა იქნება, — მღელფარება არ ეტყობოდა იმის სახეს, ოღონდ რაღაც ჩრდილმა კი გადაუარა და შესივებულიც გეგონებოდათ, თითქოსდა სული შეხუთვოდა. ნაძალადევად გაიღიმა, მერე კი განაგრძო, ჩუმად ვუსმენდი... „თქვენნი მაღლობელი კი

ვარ... ამ თქვენს ოთახში... მსიამოვნებს... ამ დადარდიანებულ კაცს... — თქრი-
ალი გაჰქონდა ბალში წვიმას, ფანჯრების ქვემოთ ღარი (გახვრეტილი უნდა ყო-
ფილიყო) ცრემლებად იღვრებოდა თითქოს, და მისი „გაუთავებელი, ვაჟის
შემძვრელი ქვითინი მოისმოდა, დროდადრო გაჩუმდებოდა ხოლმე, თითქოსდა
სულის მოსათქმელად... — ეს თავშესაფარი... — ჩაიჩურჩულა იმან და იყუჩა.

მცირეოდნავ გაანათა გარემო შორეულმა ელვამ და ჩაშავებულ ფანჯრებში
შიც შემოატანა, ქუხილი არც კი მოჰყოლია. იმას ვფიქრობდი, როგორ შეთქვა
უკეთ ჩემი სათქმელი (ვაითუ ისევ ვაწყენინო-მეთქი), რომ ჩაეცინა, „მაწანწა-
ლას ახლა რით ვჯობივარ, — სიგარეტი სადაცაა ჩაიწვებოდა იმის თითებში, —
არც არაფრით... არაფრით, — ნელა წარმოთქვა იმან, და მაინც—ერთხანს იყუ-
ჩა, წვიმამ კიდევ უფრო გააფთრებით დასცხო, — ერთ დღესაც იქნება და ადა-
მიანი დაიბრუნებს ყველაფერს, უნდა დაიბრუნოს!“ — მკაფიოდ ჩაიჩურჩულა
იმან, თან ჩემს ფეხსაცმლებს დასცქეროდა.

არც კი ვიცოდი, რისი დაბრუნება ეწადა, რას ისაკლისებდა ასე ძალიან.
ალბათ იმხელა რაღაც იყო, რომ ვერ ამბობდა. ეგ აფრაკი ეგა, ჩესტერისა არ
იყოს... დაკვირვებით შემომხედა. „შეიძლება. თუკი იცოცხლებს დიდხანს, —
რაღაც ბრმა მძვინვარებით კბილებშუა ამოვთქვი მე, — მაინცდამაინც დიდი
იმედი ნუ გექნებათ“.

— ღმერთო! აწი რაღა უნდა მომივიდეს,—პირქუში სიჯიუტით წარმოთქვა
მან,—თუკი ამ საქმემ ვერ მომიღო ბოლო, არც იმისი შიში მაქვს, ველარ მო-
ვასწრებ-მეთქი... თავის დაღწევას, ხოდა... — ზევით აიხედა.

თავში გამიელვა, სწორედ ასეთები ქმნიან-მეთქი დიდ არმიას შეცთომი-
ლებისას და განკიცხულებისას. არმია მწყობრი ნაბიჯით ეშვება დაბლა, სა-
დაც კი კუჭკუიანი ხნარცვებია დედამიწაზე. გავა თუ არა ჩემი ოთახიდან, ამ
„თავშესაფარიდან“, იმათ შორის მოჰყვება ხეტიალს და ჩაიჩებება უძირო ორ-
მოში. ყოველ შემთხვევაში, მე ეჭვიც არ მეპარებოდა ამაში, მაგრამ განა მე
არ ვიყავი, ვისაც იმ რამდენიმე წამის წინ სჯეროდა სიტყვის ძლიერებისა,
ახლა კი ხმის ამოდებასაც ველარ ვბედავდი იმ კაცის დარად, მოლიბულ გზაზე
რომ გარინდებულა დაცემის შიშით. მხოლოდ სხვათა საშველად მომართულნი
ვგებულობთ, თუ რამდენად გაუგებარნი, ცვალებადნი, იდუმალებით მოცულ-
ნი არიან ისინი, ვინც ჩვენთან ურთად უმზერენ ვარსკვლავებს და ეფიცებიან
მზეს, თითქოსდა მარტოსულობა მკაცრი და უცილობელი პირობაა არსებობი-
სა; სისხლისა და ხორცის გარსი, რომლისკენაც ჩვენ მზერას მივმართავთ, მა-
შინვე იწყებს დნობას, როგორც კი წავეპოტინებით და რჩება ჭირვეული, იმედ-
წარხოცილი და უჩინარი სული, რასაც ვერა თვალი ვერ იხილავს, ვერა ხელი
ვერ შეეხება. იმ ყმაწვილკაცის შიშით ხმას ველარ ვიღებდი, რადგან უეცრად
და ბუნდად ვიგრძენი, გასხლტებოდა ის ამ სიბნელეში და ამას ვერასდროს
ვერ ვაპატიებდი თავს.

— დიახ. გმადლობთ კიდევ ერთხელ. თქვენ ისე არაჩვეულებრივი იყავით...
სიტყვაც კი არ მყოფნის... არაჩვეულებრივი-მეთქი! ვერც კი ამიხსნია, მაგრამ
დარწმუნებული ვარ, ასეა, ვშიშობ, ვაითუ ვერც კი შევძლო მადლიერების
გამოხატვა, ამ ამბავმა ისე მომიკლა გული, სულის სიღრმეში კი... თავად
თქვენც კი... — ენა დაება.

შეიძლება-მეთქი, მოვუჭერი მე, მოილუშა.

— რაც უნდა იყოს, პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს კაცი, — ქო-
რივით გამომხედა იმან.

მართალს ბრძანებთ-მეთქი, მივუგე.

— დიახ, ბოლომდე ვიდგები და არც არავის მივცემ უფლებას თითონ დამიქნიოს, მაშინ... მაშინ კი ნახავენ... — მუშტი შეკრა.

— თავად იზამთ ამას, — ღიმილით ვუთხარი მე... ნაღვლიანი ღიმილით, ღმერთმა უწყის, რა მძვინვარედ შემომხედა. ეს მე ვიცოდი, თქვენმა ენით უთქმელი სიმტკიცე აღებეჭდა სახეზე ჯერ, მერე თითქოსდა შემხედდა, ერთმანეთს აყვავდა და გადაუვიდა ძალმოსილების ჩრდილი. წამიც და ჩემ წინ იდგა გასაჭირში მყოფი ის კარგი ბიჭი. სიგარეტი მოისროლა, კარგად იყავითო, მითხრა საჩქაროდ იმ კაცის დარად, ვისაც ერთი წუთითაც მოცლა არა აქვს; მერე კი გარინდებული დადგა ცოტა ხანს, თავსხმა წვიმის გაუთავებელ ხმაურში მოისმოდა საშინელი მძვინვარება და გვამცნობდა აყირავებული ხიდების, ძირფესვიანად მოგლეჯილი ხეების, ჩაპირქვავებული მთების ამბავს, ვერა კაცი ვერ აღუდგებოდა წინ ამ გრგვინვა-გრიალით წამოსულ ნიაღვარს, თითქოსდა იმ ბუნდ მდუმარებაში რომ შემოჭრილიყო, სადაც ჩვენ ვიყავით შეფარებულები, ვითარცა კუნძულზე. ის დახვრეტილი ღარი ბუყბუყებდა, ხრიალებდა, იპურტყებოდა, ამაზრზენად ვალალებდა იმ მცურავივით, რომელიც იბრძვის თავისი სიცოცხლის გადასარჩენად, წვიმა მოდის, და მე-მეთქი... — შევაჩერე იგი, — გინდ წვიმა იყოს და გინდ მზეო, მომიტრა იმან, უცებ შეჩერდა და ფანჯარასთან მივიდა. წარღვნა არისო სწორედ, ჩაიჩურჩულა ცოტა ხნის მერე და მუბლით მინას მიეყრდნო, სიბნელეცააო.

დიახ, ძალიან ბნელა-მეთქი, მე ვუთხარი.

ქუსლებზე შეტრიალდა, ოთახი გადაჭრა, დერეფანში გამავალი კარი გააღო, ვერც კი მოვასწარი სკამიდან წამოდგომა, დაიცადეთ-მეთქი, დავუყვირე, თქვენ უნდა... „თქვენთან მე ველარ ვისადილებ ამ საღამოს“, მომაძახა უკვანძურბლზე შემდგარმა, მე არც კი მიფიქრია თქვენი დაპატიება-მეთქი, ასე მივაძახე. ფეხი უკან გადმოდგა, უნდობლად შეჩერდა კართანვე, აღარ დამიყოვნებია და შევეხვეწე, ნუ სულელობთ-მეთქი, შემოვიდა და კარი მიხურა.

(გაგრძელება იქნება)



თარგმნა მირაბ ხერბიანმა

ტანტრა

მ ი ლ მ ა

საჭირო არ არის მიღება, არც გაცემა; საჭიროა დარჩენა ბუნებრივად — რადგან მაჰამუდრა ყოველგვარ ალებ-მიცემობის მიღმაა, ალღია არაფრის გაუჩენია სამყაროში, ამიტომ შეუძლებელია მისი შებღალვა, მისი შეწინააღმდეგება, როცა რჩება არშობილის სასუფეველში, მთელი ხილვადი დპარმებში ღრება და „ნეს“ ნება და სიამაყე არარაში ინთქმება.

საშუალო გონებას ხურს, რაც შეიძლება მეტი მიღება ცხოვრებიდან, უველაფრიდან, ყოველი მხრიდან და ყოველი ვანჯომილებიდან. საშუალო გონება დიდი მოლაყბეა, მათხოვარია; მათხოვრობის დაკმაყოფილება კი შეუძლებელია — იგი უხანსრულაა, რაც მეტს ღებულაობთ, ხურვილები მით უფრო ბედდებიან; რაც მეტი გაქვთ, მით მეტი გინდათ. ეს სიხარბეში გადაიზრდება, თქვენი არსებობისთვის ეს საჭირო არაა, მაგრამ თქვენ შებურობილები ხართ და ასე იმბატებს თქვენი უბედურება. თქვენი დაკმაყოფილება შეუძლებელია, შეუძლებელია დაკმაყოფილდეს გონება, რომელსაც გამუდმებით ხწყურია, ეს ავადმყოფური ციებ-ცხელებანი „კიდევ“ არანდროს არ მთავრდება.

საშუალო გონება, მეტაფორულად რომ ვთქვათ, ნთქავს არა მართლ საგნებს, არამედ ადვია, რაც მისი შექმნა; მას ხურს მისი ჩაყლაპვა და მონეტება, რათა იგი იქცეს მის ნაწილად, საშუალო გონება — ეს კანიბალია. ცოლისაც ამიანებსაც, ქმარს ხურს ცოლის ფლობა ისე აბხილუტურად და შეუცდილებლად, რომ ეს იგი-

ოგივე უნდა: ქმრის გადაყლაპვა, რათა არაფერი დარჩეს მისგან, ისინი კლავენ ერთმანეთს, ასევე იქცევიან ზეგობრები; ასევე იქცევიან მშობლები შვილების მიმართ და შვილები მშობელთა მიმართ, საშუალო გონების დამოკიდებულება გარემოცვასთან ასეთია. — მას ხურს ირგვლივ ყოველივეს შთანთქმა, ეს არის თავისებური გადამქამელობა.

არსებობს არანვეულებრივი (არასაშუალო, თავისებური) გონება, საშუალო გონების სრულიად საწინააღმდეგო გონება. იგი საშუალო გონების ვამო ჩნდება, მას რელიგიები ქადაგებენ, ისინი მოუწოდებენ: „გაეცით, გაუყავით, შესწირეთ!“ რელიგიები ძირითადად ახწავლიან, რომ არ უნდა აიღოთ, რომ პირიქით, საჭიროა მშრლოდ გაცემა, იქადაგება კველმოქმედება, რაც შეიქმნას არასაშუალო გონება, საშუალო გონება მუდამ იტანჯება, რადგან შეუძლებელია „კიდევ“ ის დაკმაყოფილება. იგი მუდამ დათრგუნული და ბნელია, რელიგია აღზრდის არასაშუალო (არანვეულებრივ) გონებას. ასეთი გონება მუდამ ბედნიერი და მზიარულია, რადგან იგი არ ითხოვს არაფრის; პირიქით, იგი მუდამ იმის ცდაშია, რომ გასცეს, სანამდვილეში, სიღრმეში ეს გონებაც საშუალო გონებაა. ეს ნათელმზიარულია არ მოდის არსობის სიღრმიდან, იგი შედარსებულია. იგი 180 გრადუსით შემობრუნდა და საშუალო (რვეულებრივი) გონების საპირისპირო გახდა, იგი თავზე, სირმასხანაზე დგას, მაგრამ მან მხოლოდ ფორმა იცვალა. ახლა გაჩნდა სხვა ხაზის ხურვილი — გაცემის ხურვილი. ასეთ გონებას ხურს გასცეს და გასცეს, მას ხურს მეტის და მეტის გაცემა და დახანსრული არც ამას უჩანს, ასეთი გონება მზიარული ჩანს, მაგრამ მის სიღრმეში შეხადლებელია ფარული წუხილის აღმოჩენა. ეს წუხილი ახანსიოტებს უშო-

დასასრული. დასაწყისი იხ. საუნჯე № 3—6, 1991 წ. 1, 1992 წ.

ლა რელიგიურ ადამიანს — ისინი მზიარულები არიან იმიტომ, რომ უფროდენ, უნაწილებენ, მაგრამ სწუბან, რადგან არ შეუძლიათ შეტის გაცემა, ისინი უნაწილებენ და ამიტომ მზიარულები არიან, მაგრამ იტანჯებიან, რადგან ეს ცოტაა — საკმარისი არაა.

და ასე არსებობს ორგვარი ტანჯვა: ჩვეულებრივი (საშუალო) გონების ტანჯვა; ამგვარ ტანჯვას თქვენ შეხვდებით ყველგან, ამგვარი ადამიანებით სავსეა მთელი დედამიწა, ისინი ითხოვენ კიდევ და კიდევ და შეუძლებელია მათი დაკმაყოფილება, არსებობს სხვა ხაზის ტანჯვა, რომელიც ხიზარულის მიღმა იმალება, ღვთისმსახურებაში, ბერებში, მონასტრებში და აშრამებში თქვენ ნახავთ ადამიანებს, რომელთა ღვაწლის უკან წუხილი იმალება, თუ უურადღებით დააკვირდებით, ნახავთ, რომ ისინიც უბედურები არიან, რადგან შეუძლებელია უსასრულოდ გაცემა, ყველაფერი იღვწა ან თქვენ არაფერი გაგაჩნიათ.

ყველგან შეხვდებით ადამიანთა ამ ორ სახეობას, რელიგიური ადამიანები აღწარდა ქრისტიანობაში, იუდაიზმში, ისლამში, ინდუიზმში, რა თქმა უნდა, ეს უკეთესია, ვიდრე ჩვეულებრივი გონება, მაგრამ ცნობიერების სფეროში ეს არ არის ბოლო ხატუვა.

კარგია ტანჯვა რელიგიურად, ხჭობია იტანჯათ როგორც იმპერატორმა, ვიდრე იტანჯათ როგორც მათხოვარმა, გლახამ.

ერთმა მდიდარმა მიწიხმო თავის სასიკვდილო სარეცელთან, ხოლო მომენტში მან თავლები გაახილა და თავის შვილს უკვე მრავალჯერ ნათქვამი საბოლოოდ კიდევ ერთხელ გაუმეორა — იგი შეშობდა თავისი შვილის გამო, რომელიც ქონების მოყვარული და მფლანგველი გახლდათ — მისი საბოლოო ხატუვები იყო: „მომისმინე, ფული არ არის ყველაფერი, შეუძლებელია ფულით ყველაფრის ყიდვა, არის რაღაცა, რაც ფულზე მაღლაა, ფული თავისთავად ვერ მოგიტანს ბედნიერებას“, შვილმა მოუხმინა და უპასუხა: „შესაძლებელია შენ მართალი ხარ, მაგრამ ფულის საშუალებით შესაძლებელია ტანჯვის შენს გემოზე ყიდვა, — ფული ვერ იყიდის ბედნიერებას, მაგრამ მისი საშუალებით შესაძლებელია წუხილის, ტანჯვის არჩევა, შესაძლებელია შენი გემოვნებით აირჩიოს უბედურება“.

ღარიბი ვერ აირჩევს თავის უბედურებას; მდიდარს კი შეუძლია თავისი გემოვნებით აირჩიოს ტანჯვა — ესაა ერთადერთი განსხვავება. მდიდარი თვითონვე ირჩევს ტანჯვას, ამაში იგი თავისუფალია.

ღარიბისათვის უბედურება ნიშნავს გარდუვალ ბედს, ბედისწერას, მას არჩევანი არ გააჩნია, რელიგიურმა ადამიანმა თვითონვე აირჩია თავისი უბედურება, ამ რატომ არის იგი რამდენადმე მზიარული, არარელიგიური ადამიანი კი იტანჯება თავისი უბედურებით, რადგან იგი მას არ აუ-

რჩევია. ორივენი ცხოვრობენ „კიდევ“-ის ერთსა და იმავე სამყაროში, მაგრამ რელიგიური ადამიანი ცხოვრობს როგორც იმპერატორი, იგი უფროდს, უნაწილებს, ქველმოქმედებას ეწევა.

ბუდიზმმა, ჯაინიზმმა და დამოშექმნეს მესამე ტიპის გონება, რომელიც არ წარმოადგენს ჩვეულებრივ (საშუალო) გონებას, რომელიც არის გონება, კარგი იქნება, თუ მას დავარქმევთ „არა გონებას“, შეეცადეთ გაიგოთ კლასიფიკაცია, ჩვეულებრივი გონება, მისი საპირისპირო „არა-ჩვეულებრივი გონება“, მაგრამ იმავე „კიდევ“-ის განზომილებიდან და „არა-გონება“, რომელიც ბუდიზმმა, ჯაინიზმმა და დამოშექმნა.

ბუდიზმი და ჯაინიზმი არ ქადაგებენ მოწყალებას, ისინი არ ამბობენ „მიეცი!“ იმიტომ რომ აღება და მიცემა ერთი წრეა, აღებისას თქვენ ღებულობთ ვიღაცისგან და გაცემისას თქვენ აღღვთ ვიღაცას. მაგრამ ეს ერთიდაიგივე ციკლია, ამ დროს განზომილება კი არა, მიმართულებაა იცვლება, ბუდიზმი ქადაგებს განურჩევლობას, გულგრილობას, საკუთრების არ ქონებას (ექცენტი მესაკუთრების არქონაზე და არა გაცემაზე, არ არის საჭირო ნივთების თუ ადამიანების ფლობისაკენ მისწრაფება, უბრალოდ, წადით საკუთრების სამყაროდან, საკითხი ის კი არაა, მიიღოთ თუ გახცეთ, რადგან აღებაც და მიცემაც მხოლოდ საკუთრების სამყაროში შეიძლება, შესაძლებელია გახცეთ მხოლოდ ის, რაც გაგაჩნიათ; არ შეიძლება გახცეთ ის, რაც არ გაგაჩნიათ. შესაძლებელია გახცეთ მხოლოდ ის, რაც ადრე აიღეთ, რაც ადრე მოგცეს — სხვა-ნაირად რა უნდა გახცეთ? თქვენ შიშველ-ტიტველნი მოხვედით ამ სამყაროში, არაფერი თან არ გქონიათ და ასევე წახვალთ ამ სამყაროდან, ამქვეყნად შესაძლებელია რომელიმე მხარეზე ყოფნა: ან იმათ მხარეზე, რომელთაც შეტი და შეტი ხწყურიათ, რომლებიც იღებენ, ნთქავენ, ხუჭდებიან: ან იმათ მხარეზე, რომლებიც მხოლოდ გახცემენ და უნაწილებენ, ბუდა ამბობს, რომ საჭირო არაა რაიმეს ქონა, საჭირო არაა რომელიმე მხარეზე ყოფნა, საჭიროა უბრალოდ უქონელი არსებობა.

ასეთი ადამიანი, მესამე ტიპის ადამიანი, რომელსაც მე ვუწოდებ „არა-გონებას“, არ იქნება ისეთი ბედნიერი და მზიარული, როგორც არასაშუალო ადამიანი, იგი უფრო მდუმარე, უფრო მშვიდი, უფრო ღრმად კმაყოფილი იქნება, იგი არ იქნება მზიარული, მის სახეზე ღიმილს ვერ დაინახავთ, არ არსებობს არც ერთი ბუდას ან მამაგირის მდიდარი ქანდაკება, ისინი არ არიან მზიარულები, ისინი არ არიან ბედნიერები; ისინი, რა თქმა უნდა, არ არიან უბედურები, მაგრამ არც ბედნიერები არიან — ისინი გავიდნენ ბედნიერების და უბედურების სამყაროდან; ისინი უბრალოდ ხიმშივდილნი არიან, გულგრილნი ხა-

ნებისა და საგანთა ხაშყაროს მიმართ, ისინი გა-
 უცხოებულნი და მიუკერძოებელნი არიან, ეს
 არის ანაშაკტი — მიუკერძოებლობა, გულგრი-
 ლობა, ასეთ ადამიანს გულგრილობა არტყია
 გარს, ეს მკვეთრად შესამჩნევია, მაგრამ ტილოპა
 მიდის კიდევ უფრო შორს; ტილოპა აღემატება
 სამთავებს და ძნელია მისი კლასიფიცირება; არა-
 ჩვეულებრივი გონება, რომელიც თხოვლობს
 მეტს და მეტს; არაჩვეულებრივი გონება, რომე-
 ლიც მხოლოდ გასცემს; „არა-გონება“ — გულ-
 გრილი, მიუკერძოებელი, რომელიც არც იღებს,
 არც გასცემს, — მაგრამ რა ვუწოდოთ ტილოპას
 გონებას? ტილოპა მეოთხე ტიპს მიეკუთვნება,
 მეოთხე ტიპი ხალხი და უმადლებია, არაფერი
 არ არის მასზე მაღლა. ეს „არა-გონებაც“ კი
 არაა, რადგან „არა-გონების“ ცნებას ნეგატიუ-
 რად გონება ახლავს თან, მნიშვნელობა ეძლევა
 იმას, რომ საჭიროა გულგრილობა საგანთა და
 საგანთა ხაშყაროს მიმართ, მაგრამ თქვენ კონ-
 ცენტრირებულნი რჩებით საგნებზე — დარჩენა
 მიუკერძოებლად და გულგრილად! თქვენ არაფე-
 რს გაქვთ, მაგრამ საჭიროა სიფრთხილე შესაკუ-
 თრეობის მიმართ, უნდა დარჩეთ მიუკერძოებე-
 ლნი, უნდა იცხოვროთ და აკონტროლოთ, ხომ
 არაფერი შემოგვაპრათ, საჭიროა დაინახოთ, რომ
 აქცენტის საგნებზე რჩება — გულგრილობა მათ
 მიმართ.

ტილოპა ამბობს, რომ საჭიროა უურადღე-
 ბის საკუთარ „შეზე“ გადატანა და არა საგნებზე.
 დაევიანეთ თქვენსავე თავში, გულგრილნიც კი ნუ
 იქნებით წუთისოფლის, ქვეყნიერების მიმართ,
 რადგან ეს გულგრილობა ძალზე გაუაქიზებელი
 ხდება ქვეყნიერებისაკენ, საჭიროა ცხოვრების
 შიგნით შემართვა, ნუ შეგაწუხებთ ნურც წუთი-
 სოფელი (ქვეყანა) და ნურც საგნები, საჭირო
 არაა გულგრილობაც კი მათდამი, თქვენ არაფერს
 არ თხოვლობთ და არაფერს არ გასცემთ, არც
 გულგრილნი ხართ სოფლის მიმართ, ისე, თით-
 ქოს ეს წუთისოფელი გაქრა, თავმოყრილი ხართ,
 სუფივთ თქვენსავე თავში, თქვენი უურადღების
 ცენტრში საპირისპირო მხარეს შემოინაცვლა,

ისე, თითქოს სამყარო სრულიად გაქრა;
 რისი მიღებაა საჭირო, რისი გაცემა?
 რის მიმართ არის საჭირო გულგრილობა?
 მხოლოდ თქვენ ხართ,
 თქვენ ცხოვრობთ თქვენს ცნობიერებაში;
 და ეს თქვენი ერთადერთი სამყაროა,
 არაფერი არ არსებობს სხვა.

ეს მდგომარეობა გონების და „არა-გონების“
 მიღებაა, ეს არის ცნობიერების უმადლები მდგო-
 მარეობა, არაფერი არ არის ამის მიღმა. ჩემი
 რჩევა იქნება ნუ დაშვებულდებით, ხანამ არ მიი-
 ლწევთ ამას, რატომ; იმიტომ რომ საშუალო
 ადამიანი უბედურია, მას მეტი უნდა და არას-

ოდეს არ კმაყოფილდება, იგი მუდმივ ტანჯვა-
 შია და ტანჯვა მუდმივად იწრდება.

არახაშუალო ადამიანი — რეალური პარ-
 დოქტი — მხიარულია, მაგრამ მისი სულის სი-
 ღრმეში წუხილია, მის ნათელს მხარულდებაში
 ფარული ნადველი იმალება, იქნება შთაბეჭ-
 დილება, რომ მას გაღიზიანებდა, მაგრამ დი-
 მილი არ იხახება; თითქოს ფოტოსურათი წინ
 პოზირებდეს, იგი ცდილობს იმ პოზის მიღებას,
 რომელი პოზის მიღებაც შეუძლებელია. ეს
 პირველზე უკეთესია, ყოველ შემთხვევაში
 თქვენ იღიშით, ეს დიმილი ძალზე შედაპირუ-
 ლია, მაგრამ დიმილს შეუძლია გაჩნდეს, ეს არ
 გაგრძელდება დიდხანს, როცა უველაფერს გა-
 სცემთ, დიმილი გაქრება, თქვენ გასურთ მეტის
 გაცემა და თქვენ აღმოჩნდებით იმავე მწუნა-
 რებაში, როგორშიც საშუალო ადამიანი იმყოფე-
 ბა, შესაძლოა ამ მეორეს მეტი დრო დასჭირ-
 დეს, სანამ იგრძნობდეს უბედურებას, მაგრამ
 ტანჯვა მოვა, ის ამაღლებული მდგომარეობა,
 რომელშიც მერეთებში, ტანტრებში და მონახტ-
 რებში შედიხართ, არ არის ღრმა და არ გაგრძე-
 ლდება მუდმივად. იგი არ შეიძლება იყოს მუ-
 დმივი, იგი წავა, თავისი ბუნებით იგი წარმა-
 ვალია, რატომ წარმავალი? იმიტომ, რომ დად-
 გება მომენტის, იგი აუცილებლად დადგება,
 როდესაც გაცემა შეუძლებელი იქნება, რად-
 გან გასაცემი უკვე აღარაფერია, აი რატომ მი-
 დიან ამ ორი ტიპის ადამიანები კომპრომისზე,
 ჩვეულებრივი და უჩვეულო გონება ხარისხობ-
 რივად ერთნაირია: ისინი კომპრომისზე მიდი-
 ან, ეს კომპრომისი შეგზავნათ უველგან.

ადამიანი ჯერ ღებულობს საგნებს და მერე
 გასცემს, ან იგი გამომიშვავებს 100 რუპიას და
 გასცემს 10 რუპიას, რადგან ეს ერთადერთი
 შესაძლებელი გზაა თუ ახივე რუპია გაეცოთ,
 მაშინ თქვენ არაფერი დაგრჩებათ, იმიტომ
 დააგრძელებთ და მერე ნაწილი გაეცით, მუსუ-
 ლმანები თვლიან, რომ უნდა შესწიროთ შე-
 მოსხვლის შესუთელი ნაწილი, რატომ? იმიტომ
 რომ ეს კომპრომისია; სხვანაირად თქვენ არა-
 ფერი დაგრჩებათ გასაცემად, და ასე, ჯერ უნ-
 და დააგრძელოთ და მერე გასცით, დააგრძელოთ,
 რათა შესწიროთ; იყავით მდიდარი, რათა ქველ-
 მოქმედება გახწიოთ; გაუწიეთ ექსპლოატაცია,
 რათა დაეხმაროთ — ეს აბსურდია! მაგრამ ეს
 ერთადერთი შესაძლებელი გზაა, და ეს გზა
 ხილია ჩვეულებრივსა და არაჩვეულებრივს შო-
 რის.

თვით ჩვეულებრივი გონებაც კი უიქრობს
 და მასაც კი ხჭერა, რომ, როდესაც ხლომად
 ექნება, — იგი შესწირავს, დაეხმარება, იგი ას-
 ეც იქცევა, როცა ხლომად აქვს, იგი სწირავს
 კოლეჯს, ან ბიბლიოთეკას, ან საავადმყოფოს,
 ჯერ ექსპლოატაციას ეწევს მერე კი სწირავს;
 ჯერ იგი ვიარცხავთ, მერე კი ვებმარებათ, მათ

შორის, ვინც გეგმარებათ და ვინც გძარცვავთ, არ არის განსხვავება; ეს ერთი და იგივე ხალხია. ისინი გძარცვავენ მარჯვენა ხელით, და მარცხენათი გეგმარებიან, ისინი მიეკუთვნებიან მოღვაწეობის ერთსა და იმავე განზომილებას.

შესამე ტიპის ადამიანი — „არა-გონება“ უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება. მას შეუძლია უფრო დიდი ხნით მოიპოვოს სიმშვიდე და მუხდროება, მაგრამ იგი არ განიცდის ნეტარებას — იგი არ არის უბედური, არ იტანჯება, მაგრამ მისი მდგომარეობა ბუნებით ნეგატიურია. იგი შგავს ადამიანს, რომელიც არ არის ავად, იმით რომ ექიმები ვერ წახულობენ მასში რაიმე ავადმყოფობას, მაგრამ არ არის ქანშირთელი, რადგან არ გრძნობს კეთილდღეობას და ნეტარებას. იგი არც ავად არის, არც ქანშირთელია, სადღაც შუაში იმყოფება, არც ბედნიერი, არც უბედური — ის უბრალოდ გულგრილია. მიუკერძოებლობას შეუძლია მდგომარეობა მოგიტანოს, მაგრამ დუმილი საკმარისი არაა, სიჩუმე კარგია, მშვენიერია, მაგრამ იგი ვერ დაგაკმაყოფილებთ, ადრე თუ გვიან ესეც მოგწყინდებათ. ახე მოგდით, რომლებაც შთებში მიდინხართ: დაიდალეთ ქალაქური ცხოვრებით — ბოშებით, ლონდონით და ნიუ-იორკით, ტრანსპორტის ხმაურით, განუწყვეტელი ღრიალცილით, ხიფიუით, ამიტომ პიმაღლებში გარბიხართ, მაგრამ რამდენიმე დღის შერე იგრძნობთ, რომ უკვე სიჩუმემ დაგლადათ: შთები, შინდვრები, ხეები — არავითარი სტიმული, მხოლოდ დუმილი, მხოლოდ სიჩუმეა სუფევს, მაგრამ თქვენ უკვე ქალაქი მოგწინატრიათ. — ცრომტრიალი, კლუბი, მეგობარი, კინო, სიჩუმე არ არის საკმარისი, რადგან მას არ გააჩნია სიცოცხლის ბუნება, იგი სიკვდილის ბუნებას უფრო ატარებს. სიჩუმე კარგია, როგორც შეებულება, როგორც პიკნიკი; კარგია რამდენიმე დღით გახვლა, ცხოვრების გაზრდილი ხაზრუნავეებისგან გარიდება, ეს სიჩუმე მოგადუნებთ. გაგახალისებთ, მაგრამ ეს არ შეიძლება გაგრძელდეს მუდმივად. ცოტაც და ეს მოგწყინდებათ, იგი უკვე ვერ გაკმაყოფილებთ — ვერ გაძლებთ საკვებს. სიჩუმე დაგიცავთ ტანჯვისა და ბედნიერებისაგან, მდღეღვარებისაგან, მაგრამ სიჩუმე არ არის პოლიტიკური მოვლენა, იგი უარყოფითი მდგომარეობაა.

შეოთხე მდგომარეობა, რომელზეც ლაპარაკობს ტილოპა, რომელსაც ხახელი ვერ შეერქმევა, რომელზეც ცდილობს იგი მოგვიყვებს ნარობას საშუალებით, მისი ერთგულების, სიყვარულის და რწმენის საშუალებით — ეს არის ნეტარებითი მდგომარეობა, სიმშვიდე და ნეტარება — ეს პოლიტიკობაა, ეს არ არის მხოლოდ სიჩუმე, იგი ცხოვრებისადში გულგრილობით უი არ მოვიდა, პირიქით, ეს ხაკუთა-

რი უკუნის ღრმა შეგრძნებამ მოიტანა, ეს არ არის განდგომით ნაიძულები, ეს თავისუფლება და ხუნებრიობამ ააუფრთხლა, ეს ძალზე ფაქიზი განსხვავებებია, მაგრამ თუ ეცდებით და იმედიტირებთ ამ განსხვავებებზე, შთელი ცხოვრების გზა გაგეცხადდება და შეგიშუბუქდებათ, ნუ დაგეცხადდებათ, ხანამ არ მოაღწევთ ამ შეოთხე მდგომარეობას, შესაძლებელია რაღაც ღროის განმავლობაში კმაყოფილება მოვიდეს, მაგრამ ადრე თუ გვიან, აუცილებლად აღიძვრება უკმაყოფილება, ვიდრე არ მოაღწევთ — ხატ-ჩიტ-ანადას — აბსოლუტურ პრემიარტებას, აბსოლუტურ ნეტარებას. მანამდე თქვენ შინ არა ხართ, მანამდე გზაზე დგახართ, რა თქმა უნდა, დასაშვებია ზოგჯერ ხულის მოთქმა და შეხვეწება, მაგრამ ნუ აქცევთ ხულის მოსათქმელ ადგილს ხახლად, ხაჭირთა ადგომა, წახვლა, მგზავრობის გაგრძელება.

გონების ერთი მდგომარეობიდან გადადით, შეორეზე, შეორედან შესამეში და მესამედან წადით მიღმა.

თუ პირველ მდგომარეობაში ხართ, რომელიც კაცობრიობის 99%, მაშინ გიშველით იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი, ისინი გიშველიან გამოსვრეთ ტანჯვის ამ ხაფანგიდან — ძალიან კარგია, მაგრამ თქვენ ისევე გზაში ხართ. ნუ მოტყუვდებით იმით, რახაც უკვე მოაღწერთ, ახლა საჭიროა გამოსვიდეთ ამ სიხარულიდან, რომელიც თავის თავში ნადველს შეიკავს, გამოდით ადებ-შიცეშობიდან, ქველმოქმედებიდან, ვინ ხართ თქვენ, რომ გასცეთ? ან რისა გაყვმა შეგიძლიათ? ვინ ხართ თქვენ, რომ დაეხმაროთ? თქვენ ვერ ეხმარებით საკუთარ თავს და ნუთუ სხვათა დახმარება შეგიძლიათ? არ ანათებს თქვენზე საკუთარი ნათელი, და როგორ გინდათ სხვა ხანთლების ანთება? თქვენ მხოლოდ ჩაქრობა შეგიძლიათ, თქვენში წყვდიადია. თქვენ არ შეგიძლიათ დაეხმაროთ, არ შეგიძლიათ გახცეთ, რადგან არ აფერი გაგაჩნიათ გასაცემად.

ბუდიზმი, დამხიზმი, ლამ-ძი, მამაგრი და სიდჰარტა გაუტამა დაგეხმარებიან გამოხვიდეთ ამ მდგომარეობიდან, მაგრამ ტილოპა გვაფრთხილებს, რომ არ უნდა დავმშვიდდეთ ამ განურჩევლობით, სიჩუმით, მიუკერძოებელი დამოკიდებულებით და გაუცხოებითაც კი, რადგან ეს ქერაც არ არის, ქერ არსებობს ბიდი ცხოვრებას და თქვენ შორის.

ტილოპას შეუძლია დაგეხმაროთ, იგი გადაგიყვანთ ამის მიღმა, მას შეუძლია დაგაბრუნოს თქვენზე არსების სანუკვარ ცენტრში. იგი დაგეხმარებათ ცენტრის მონახვაში, საკუთარ თავში დაფუძნებაში, გულგრილობაში წუთისმოფხვის მიმართ — ეს გულგრილობაც ვი გაქრება თქვენგან.

ყველაფერი გადნა...

თქვენს კრისტალურ სიწმინდეში თქვენლა ხართ...

თქვენლა შერჩით თქვენს აბსოლუტურ უმანკობას —

ესე, თითქოს სამყარო ჭერაც არ შექმნილა; საერთოდ არ არსებულა.

ცნობიერების იმეოთხე მდგომარეობაში თქვენ მიხვედით წერტილში, როდესაც თქვენ ჭერაც არ დაბადებულხართ, ყოფიერების აბსოლუტურ წყაროში; სამყაროში ჭერაც არ გადაგიდგამთ პირველი ნაბიჯი, ან სხვანაირად, თქვენ მიხვედით ხაზოლობთან — ეს თქვენი ბოლო ნაბიჯია. ძენის მიმდევრები ამას საკუთარი კეშმარტი სახის პოვნას უწოდებენ, ძენის მასწავლებლები ეუბნებიან მოწაფეებს: „ეძიეთ და პოვეთ ის ხატი (ხაზე) რომელშიც იმყოფებოდით დაბადებამდე ან პოვეთ ის ხატი, სადაც სიკვდილის შერე მიხვალთ“. სამყაროს დაწყებამდე ან მისი გაქრობის შერე, თქვენ პოვებთ თქვენს კეშმარტ სიწმინდეს. აი რა არის ბუნება.

ახლა ტილოპას გაგება სცადეთ:

საჭირო არ არის მიღება, არც გაცემა, საჭიროა დარჩენა ბუნებრივად, რადგან მამამუდრა ყოველგვარ აღებ-მიცემობის მიღება.

საჭირო არ არის მიღება, არც გაცემა, რადგან, როდესაც გასცემთ, თქვენ გადიხართ თქვენნივე არსების გარეთ; იგივე ხდება, როდესაც ღებულლობთ, ადებაც და მიცემაც არის გამოსვლა, ორივეს გამოხყავხართ სხვათთან, გარეთ; თქვენ შეშფოთებული ხართ, თქვენი ენერჯია იღვრება თქვენ გარეთ, იღებთ თუ გასცემთ, არა აქვს მნიშვნელობა — სხვა შეშოვიდა თქვენს არსებობაში, თქვენი შერე განვიდულია შერეზე. და როცა თვალეხი სხვას უყურებენ, თქვენ ამ დროს ივიწყებთ თქვენს თავს, ეს მოსდის თვითელ ჩვენთაგანს. თქვენ არ გახსოვთ თქვენივე თავი, რადგან თქვენი შერე ფაქტიურად შედეგებულია სხვაზე, ყველაფერი, რასაც თქვენ აკეთებთ, მიმართულია სხვაზე, რაც არ უნდა იყოს, სხვისთვის ხართ, ამ სოფლისაგანაც რომ განდგეთ, თქვენი გონება მაინც აგრძელებს ფიქრს: „ნეტა რას ფიქრობენ დანარჩენები ჩემზე?“ თუნდაც მიმალაებში იყოს, ზიხართ ტყეში და ფიქრობთ: „უველანი აღებათ ფიქრობენ, რომ მე განვდექი ცხოვრებისაგან და დიდი წმინდანი ვარ, შესაძლებელია გაზეთებშიც წერდნენ ჩემზე“. და თქვენ ელოდებით ვინმე მარტოხელა მოხეტიალეს, რათა მისგან შეიტყოს, თუ რას დაპარაკობენ თქვენ შესახებ.

თქვენ არ გაგანიათ საკუთარი ხაზე, თქვენ წარმოადგენთ მხოლოდ სხვათა აზრებს და შეხედულებებს თქვენზე. ვილაცამ თქვენი, რომ თქვენ მშვენიერი ხართ და თქვენს ფიქრობთ, რომ ეს სხვა, ვილაცამ უშნო გიწოდით, ახლა შეურაცხყოფილად გრძნობთ, რადგან ნათქვამმა სიტყვებმა მართლაც ფიქრობთ, ციათ.

თქვენ ხართ სხვათა შეხედულებების გროვა, თქვენ არ იცით, ვინ ხართ, თქვენ იცით მხოლოდ ეს, რასაც სხვები ფიქრობენ თქვენზე, ეს უცნაურია, რადგან ეს სხვები, რომლებიც ფიქრობენ იმაზე — რა ხართ თქვენ, არ იცნობენ თავიანთ თავს; როგორც თქვენ თვითონ, ისინიც მხოლოდ სხვების — თქვენი და სხვების საშუალებით იცნობენ საკუთარ თავს, მშვენიერი თამაშია; მე ვაცნობ ჩემს თავს თქვენი მეოხებით (თქვენგან არეკლილს), თქვენ იცნობთ თქვენს თავს ჩემი საშუალებით. არც მე და არც შენ არ ვუწყობ სინამდვილეში — რა ვართ და ვინ ვართ, სხვა აღამიანები გახდნენ ძალზე მნიშვნელოვანნი. მთელი თქვენი ენერჯია შეპყრობილია სხვებით, ყოველთვის ფიქრობთ სხვებზე, ყოველთვის ან გასცემთ ან ღებულლობთ სხვათაგან.

ტილოპა ამბობს, რომ არ არის საჭირო არც გაცემა, არც მიღება; რას ვუღიანებოხს იგი? ხომ არ მოგვიწოდებს, რომ არავის არაფერი არ უნდა გავუზიაროთ? არა, თუ ახე გაიგეთ, მაშინ არასწორად გაგიგიათ, იგი ამბობს, რომ არ უნდა ავიმღვრეთ არც გაცემით და არც მიღებით. თუ შეგიძლიათ გახცეთ ისე, რომ თქვენი ბუნებრიობა არ შეშფოთდეს — გაეცით, ეს მშვენიერი! მაშინ გონებაში არაფერი არ დარჩება, იგი არ დაშინდება იმით, რომ თქვენ რაღაცა გაეცით, და სწორედ ამაშია განსხვავება გაცემასა და გაჩუქებას შორის.

იმან, ვინც გასცა, კარგად უწყის, რომ გასცა, და მისი სურვილი იქნება, რომ თქვენ აღიაროთ ეს, რომ ქვითარი გამოუწეროთ ამის დასადასტურებლად: „დიახ, შენ მომეცი მე“. თქვენ უნდა ემადლიეროთ, თქვენ დავადებულად უნდა იგრძნოთ თავი, რადგან მან მოგცათ, ეს არაა გაჩუქება; ეს სხვა გარიგებაა, სინამდვილეში მისი სურვილი იქნებოდა, რომ თქვენ რაღაც სამაგიერო მიგეცათ, თუნდაც ეს მხოლოდ მადლობა იყოს — ესეც კარგია, მხოლოდ სამაგიეროდ მიიღოს რაღაცა. ეს გარიგებაა — იგი იძლევა, რათა მიიღოს, ტილოპა არ ამბობს: „ნუ გაუზიარებთ, ნუ გაუყოფთ!“ იგი ამბობს: „ნუ წრუნავთ იმაზე, გახცეთ თუ მიიღოთ“. თუ გაქვთ და თქვენი გაცემის სურვილი ბუნებრივია — გაეცით, მაგრამ ეს უნდა იყოს გაჩუქება, თქვენ მხოლოდ ჩუქნით, ამაშია განსხვავება გაცემასა და გაჩუქებას შორის, საჩუქარი არ არის გარიგება, თქვენ არ-

აფერს არ ელით სამაგიეროდ, აბსოლუტურად არაფერს — არავითარ აღიარებას, არაფერს, თავის დაქვემდებარებას. თქვენ არა გაქვთ არაფერის მოლოდინი, ვერც კი ამჩნევთ ამ მომენტს და მაშინ არ დაქრით ადამიანს, ვინც ხარუქარი მოგიტანათ, ან ვინაც თქვენ თვითონ აჩუქეთ რაღაცა, თუ ეს შენიშნეთ, თუ ამას მნიშვნელობა მიეცით, მაშინ იგი აიღწევა, რადგან იგი არ მოელოდა ამას, პირიქით, თუ ბუნებრივად მიიღეთ, იგი მაღლიერი დარჩება, რადგან თქვენ მიიღეთ მისი ხარუქარი; თქვენ შეგეძლოდა უარი გეთქვათ, გამოერიცხული არც ეს არის, თქვენ შეგეძლოდა გეთქვათ „არა“, მაგრამ რამხელა თავაზიანობაა თქვენგან, რომ არ უთხარიან „არა“, თქვენ მიიღეთ ხარუქარი — ეს საქმარისია, იგი მაღლობზელია თქვენი, გულწრფელი ადამიანი, რომელმაც ხარუქარი შემოგხავეათ, ყოველთვის მაღლობელი იქნება თქვენი, რადგან თქვენ მიიღეთ მისი ხარუქარი, თქვენ შეგეძლოდა უარი გეთქვათ, ეს საქმარისია.


ტილოპა არ ამბობს: „ნუ გასცემ“ და „ნუ მიიღებ“, რადგან ცხოვრება შეუძლებელი გახდება, თუ აღება და გაცემა ამოიღეთ ცხოვრებიდან, თვით ტილოპაც იძულებული იყო, ეთხოვა მოსაკითხი, ტილოპაც მიიღოდა წყაროსთან წყურვილის დასაკმაყოფილებლად, ტილოპას სწყურია — მას წყალი სჭირდება; ტილოპას შია, საჭმელი მასაც სჭირდება, ტილოპასაც ეძინება სუნთქვა დასუთულ ოთახში და იგი გადის ჰაერზე, იგი ღრმად სუნთქავს. სიცოცხლისათვის იგი ყოველწამიერად იღებს რაღაცას, შეუძლებელია აღების გარეშე არსებობა — ადამიანები ეცადნენ, მაგრამ ესენი არაბუნებრივი ადამიანები იყვნენ — ყველაზე დიდი ეგოისტები.

ეგოისტები ყოველთვის ცდილობდნენ დამოუკიდებლობას ყველაფერისგან. ეგოისტები ყოველთვის ცდილობდნენ ცხოვრებას ისე, თითქმის მათ არაფერი სჭირდებოდათ ვინმესაგან, ეს სიბრყველა, აბსურდი შეუძლებელია, ტილოპა ასე არ მოიქცევა, მისი ბუნებრიობა უმაღლესი დონის ბუნებრიობაა, შეუძლებელია შიშისგან მასზე ბუნებრივი ადამიანი.

თუ ბუნება შეიცანით, თქვენ გაოცდებით, აღმოჩენთ რა ძალიან ღრმა, ფუნდამენტურ ფაქტს; და ეს ფაქტი ასეთია: არავინ არაა დამოუკიდებელი, არავინ არაა დამოუკიდებელი — ყველა ურთიერთდამოკიდებულია, არავის შეუძლია დაივიწყოს: „მე დამოუკიდებელი ვარ!“ — ეს სისულელეა! თქვენ არ შეგეძლიათ არსებობა არც ერთი მომენტით თქვენს დამოუკიდებლობაში, და არავინ არ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი.

ეს ორი ურთიერთდაპირისპირება არ არსებობს, ის, ვინც დამოუკიდებელი ჩანს, ამავე

დროს არის დამოუკიდებელიც, და ის, ვინც დამოუკიდებელი ჩანს — არის დამოუკიდებელიც. სიცოცხლე არსებობს ურთიერთდამოკიდებულებაში.



თვით იმპერატორიც დამოუკიდებელია თავის მონებზე; და მონებზეც დამოუკიდებელი არიან იმპერატორებზე. ურთიერთდამოკიდებულებაში, მათ ხელების დაწყომა მაინც შეუძლიათ სხეულზე და ეხეც დამოუკიდებლობის მომენტია.

აბსოლუტები არ არსებობენ ამ ცხოვრებაში. ცხოვრება ფარდობითობაში არსებობს და, რა თქმა უნდა, ტილოპამ იცის ეს, როგორ შეიძლება ტილოპამ ეს არ იცოდეს? მან იცის, რომ ცხოვრება — ეს აღება და მიცემაა. თქვენ უყოფთ, მაგრამ არ უნდა შეგაწუხოთ ამან, არ უნდა იფიქროთ ამაზე — მხოლოდ ნება დართეთ, დაე შეგეშთვათ ეს, თუ ნებას რთავთ ამის მოხდენას — ეს ხვდა, მაშინ თქვენ არ ითხოვთ იმაზე მეტს, რისი მიღებაც შეეძლებოდა, მაშინ საჭირო არაა გაიღოთ იმაზე მეტი, რამდენის გაღებაც შეგიძლიათ — უბრალოდ, გასცემთ იმდენს, რამდენის გაცემაც ბუნებრივია; ღებულობთ იმდენს, რამდენის მიღებაც ბუნებრივია, ახლა თქვენ არ გრძნობთ ვალდებულებას ვინმეს წინაშე და არც სხვას ავალდებულებთ, თქვენ უბრალოდ იცით, რომ ცხოვრება — ეს ურთიერთდამოკიდებულებაა.

ჩვენ ვარსებობთ თანაზიარად — ყველანი ერთმანეთის ელემენტები ვართ.

ცნობიერება უნაპირა ოკეანეა და არავის კუნძულს არ წარმოადგენს.

ჩვენ ვხვდებით და ვღნებით ერთმანეთში, არავითარი საზღვრები — საზღვრები მხოლოდ ილუზიაა.

ტილოპამ იცის ეს და მაშინ რას გვეუბნება იგი?

საჭირო არაა მიღება, არც გაცემა, საჭიროა დარჩენა ბუნებრივად...

იმ მომენტში, როდესაც ფიქრობთ, რომ აიღეთ, თქვენ არაბუნებრივი გახდით, აღება — ეს ბუნებრივია, მაგრამ ამაზე ფიქრია არაბუნებრივი, გაცემა — ეს მშვენიერია, მაგრამ როდესაც ფიქრობთ, რომ გაეცით, თქვენ იქცით სიძულად, არაბუნებრივი გახდით, საჭიროა უბრალოდ გასცეთ, რადგან ეს თქვენზე არაა დამოკიდებული; თქვენ გაქვთ, ამიტომ უნდა გასცეთ და უბრალოდ უნდა მიიღოთ მიღებისას, რადგან არც ეს არის თქვენზე დამოკიდებული; თქვენ მთლიანობის ნაწილს წარმოადგენთ და არავითარი არაბუნებრივი მძღუ არ გაჩენილა არც ბუნებრივი მძღუების და არც ბუნებ-

რევი ბაბამის გამო — აუცილებელია ამის გაგება. თქვენს გონებაში არაფერი არ რჩება, იგი არც უარყოფს რამეს — უბრალოდ, იქცევით და რჩებით ბუნებრივად.

თუ რამეს გიზიარებენ, კარგია — თქვენ ტკბებით ამით, თუ მეტი გაგაჩნიათ, მეტი კი ბორკილია, უზიარებთ, ეს მხოლოდ სიღრმისეული წონასწორობაა, სიღრმეში მუდამ ბუნებრივნი ხართ — არც მოშვირნი, არც უარყოფელნი; არც შკონებელნი, არც უქონელნი. შეხედეთ ცხოველებს და ფრინველებს: არც ალმბა, არც ბაბამა — ისინი მიეშველნენ მთლიანობას. მთელი უნაწილებს ყველას, მთლიანობაში თითოეულს თავისი ნაწილი გააჩნია, ფრინველები, ხეები, ცხოველები — ისინი ცხოვრობენ ბუნებრივად, ადამიანი კი ერთადერთი არაბუნებრივი ცხოველია სამყაროში — ამ რატომ არის რელიგია აუცილებელი.

ცხოველები არ საჭიროებენ არავითარ რელიგიას, არც ფრინველებს სჭირდებათ რელიგია — იმიტომ რომ ისინი ბუნებრივნი არიან. მხოლოდ ადამიანს სჭირდება რელიგია, ამიტომ დაიმაბხვრეთ: როდესაც საზოგადოება ხდება მეტად და მეტად არაბუნებრივი, ტექნოლოგიური, მაშინვე თავს იჩენს რელიგიის საჭიროება, მაშინ რელიგია ხდება აუცილებელი.

ადამიანები მოდიან და შეკითხებიან: „რატომ მიიღო რელიგიის ძიებამ ასეთი ინტენსივობა ამერიკაში? რატომ არის ასეთი უწყესრიგობა ამ ძიებაში?“ იმიტომ რომ ამერიკა ყველაზე არაბუნებრივი ქვეყანაა ამჟამად — ყველაზე ტექნოლოგიური, არსებობდა ტექნიკა შეიქრა — ტექნოკრატია და ყველაფერი გახდა არაბუნებრივი, მთელ თქვენს შინაგან ყოფიერებას სწყურია ტექნოლოგიის, ტექნიკისაგან განთავისუფლება. თქვენს შინაგან არსს ბუნებრიობა სწყურია, მაგრამ მთელი თქვენა საზოგადოება არაბუნებრივი გახდა; უფრო კულტურული, უფრო ცივილიზებული — უფრო არაბუნებრივი! როდესაც საზოგადოება ძალზე კულტურული ხდება, მაშინ რელიგია მოდის მის გასაწონასწორობლად. ეს ფაქტი წონასწორობაა, ბუნებრივი საზოგადოება არ საჭიროებს მას.

ლათინური ამბობს: „მე გამოვიდა წინაპართაგან, რომ იყო დრო, როდესაც ადამიანები ბუნებრივნი იყვნენ და არ არსებობდა არავითარი რელიგია, როდესაც ადამიანები ბუნებრივნი იყვნენ, მათ არ აწუხებდათ არც ჯოჯობეთი და არც ზეცა, როდესაც ადამიანები ბუნებრივნი იყვნენ, ისინი არ ფიქრობდნენ მორალურ მცნებებზე, როდესაც ადამიანები ბუნებრივნი იყვნენ, არ არსებობდა კოდექსები და კანონები“. ლათინური ამბობს, რომ ამ კანონების გამო გაჩნდა დანაშაული და მორალის და ძალზე

დიდი კულტურის გამო გაჩნდა უზნეობა, ჩინეთში კი ძალიან დიდი კულტურა შექმნა, არც ერთ ქვეყანაში არ ყოფილა შექმნილი ასეთი დიდი კულტურა.

კონფუციმ სამი ათას სამასი წელი / შექმნა — ადამიანის გაკულტურების უწყვეტილი მეცნიერება, მაშინ ცხოვრობდა ცხოვრობდა და მოველინა გასაწონასწორობლად, იმიტომ რომ ეს კონფუცი მოკლავდა საზოგადოებას — სამი ათას სამასი — ეს მეტიმეტად ბევრია, ადამიანი თუ ამდენად კულტურულა გახდა, მაშინ უბრალოდ იგი გაქრება. ეს უკვე არ იქნება ადამიანი, მაგრამ ლათინური შემოვარდა და მთელი ეს კანონები ცეცხლში მოიხრია, ერთადერთი, რასაც იგი ამბობს — ოქროს კანონი — ეს არის ყოველგვარი კანონის უარყოფა — ეს არის რელიგია, ლათინური კონფუციის კულტურის გასაწონასწორობლად.

რელიგია აუცილებელია, როგორც წამალი, იგი სახარგებლოა. თუ ავად ხართ, წამალი გჭირდებათ — მით მეტი წამლობა, რაც მეტად ხართ ავად, საზოგადოება ავად ხდება, როცა ბუნებრიობა იკარგება; როცა ბუნებრიობა დავიწყებას ეძლევა, ადამიანი ავად ხდება, მაგრამ ტილოპასთან ყველაფერი ბუნებრივია და თავისუფალი. გახსოვდეთ: თავისუფლება და ხალაღე მუდამ ბუნებრიობასთანაა, საჭიროა ამის კარგად დანახვა, რადგან თუ მეტიმეტად ცდილობთ ბუნებრიობას, თვით ეს მცდელობა იქცევა არაბუნებრივ მოვლენად, ამ ხილდან ჩნდება ყველა ახირებულობა. მე შევხვედრებარ შრავალ ახირებულ ადამიანს, რომლებიც ბუნებრივი მოძღვრებიდან აკეთებდნენ რაღაცას სრულიად არაბუნებრივს, მაგალითად, კარგია კვება არაორგანული საკვებით, არაფერი არ არის ამაში ცუდი, მაგრამ თუ ძალიან სწყურხართ ამაზე, თუ გამუდმებით ფიქრობთ არაორგანულ საკვებზე და იმაზე, რომ არაფერი ჰამოთ ორგანული, მაშინ თქვენ გადაამტავლეთ, ეს ახირებაა.

მე ვიცნობ ადამიანებს, რომელთაც სჯერათ ბუნებრივი თერაპიის, მათ სჯერათ ნატუროთერაპიის და ისინი იმდენად არაბუნებრივნი გახდნენ ამ თავიანთი ნატუროთერაპიით, რომ დაუჭერბელიც კია, როგორ შეძლეს ამ დონეზე გადაქანება, მაგრამ ეს ხდება. თუ ეს გონების დაძაბულობად იქცევა, მაშინ ეს არაბუნებრიობაში გადადის, ეს ხიტყვა (ხილადე) მუდმივად უნდა გახსოვდეთ, სხვანაირად თქვენ იქცევით შერევილებად, მანიკებად, მაშინ თქვენ იქერთ მხოლოდ მოძღვრების ნაწილს და თქვენი მცდელობა იმდენად გაცხარდება, რომ ბუნებრივიც კი არაბუნებრივად იქცევა.

ტილოპა აშვებული და ბუნებრივია, ეს არ-

ის მთელი მისი მოძღვრება, მას არ შეუძლია გათხრათ, რომ არ უნდა გახდეთ და არ უნდა აიღოთ, მაგრამ იგი მაინც გეუბნებათ ამახ, ე. ი. იგი კიდევ გულისხმობს რაღაცას.

საჭირო არაა გაკეთება, არც მიღება, საჭიროა დარჩენა ბუნებრივად...

აქ იმალება მნიშვნელობა: დარჩენა ბუნებრივად, თუ ბდება, რომ ბუნებრივად დარჩენილნი გახდეთ — მშვენიერი! თუ ბუნებრიობაში ვილაპისაგან დებულობთ რაღაცას, ნორმალურია. მაგრამ ნუ შექმნით კულტს ამისგან... ნუ შექმნით მოუსვენრობას.

... რადგან მაშამუღრა უოველგვარი ადებ-მიცემობის მიღმაა, ღაო მი გახწავლით მიღებას, მაგრამ ტილოპა გახწავლით რაღაცას, რომელიც ორივეზე, ერთად ადებულ ადებ-მიცემაზე მაღლაა, ტილოპა ნამდვილად ერთ-ერთი უველაზე დიდი მასწავლებელია.

როდესაც რაღაცას უარყოფთ, არაბუნებრივი ხდებით, ამის გაგება შესაძლებელია. გრძნობთ შინაგან წყრომას და მორალურ მოძღვრებების გამო და იმ სიძნელების გამო, რაც ჩნდება — კონფლიქტები, ძალადობა — ვერ დებულობთ მას, ძნელია წყრომასთან ერთად ცხოვრება, რადგან მაშინ შეუძლებელია ცხოვრება სხვასთან. ეს პრობლემაა ქმნის და მაშინ აუცილებლად მორალის მასწავლებლები გაჩნდებიან დასახმარებლად — ისინი ამბობენ: „დათრგუნე წყრომა, გადააგდე იგი, ნუ მხვავობ, მოიშორე თავიდან!“ და თქვენც იწვებთ ამის უარყოფას.

იმ მომენტში, როდესაც უარყოფთ, იწვებთ არაბუნებრივ მდგომარეობაში გადასვლას, რაც არ უნდა გაგაჩნდეთ, უველაფერი ბუნებამ მოგცათ და ვინ ხართ თქვენ, რომ უარყოფთ ბუნების ნაბოძარს? გონების ერთი ნაწილი თამაშობს მასწავლებლის როლს გონების მეორე ნაწილთან — მაგრამ ორივე ნაწილი ერთი და იმავე მთლიანი გონების ნაწილებია. თქვენ შეგიძლიათ ამ თამაშის გაგრძელება, თქვენ შეგიძლიათ თამაშით გაწყვუდეთ. მაგრამ ეს ამაო თამაშია — იმ ნაწილს, რომელიც წყრომას გრძნობს, არავითარი ხაქმე არა აქვს გონების იმ ნაწილთან, რომელიც ცდილობს ამ წყრომის დათრგუნვას, რადგან მოვა მომენტი და წყრომა არ შეგვიკითხებათ, ამოიფრქვეს თუ არა — იგი ამოიფრქვევა. ამრიგად, გონების იმ ნაწილს, რომელიც წყრომაა, რომელიც ხეჭხია, რომელიც სიხარბია, სრულადაც არ ეშინია გონების იმ ნაწილის, რომელიც ცდილობს მასწავლებლობას, თქვენ აგრძელებთ ბრძოლას, აგრძელებთ საკუთარი თავის მიღობს საგნებში გაფლანგვას და რჩებით უოველთვის გათიშულები, უოველთვის მოკონფლიქტენი, უოველთვის ფრაგმენტულები.

უარყოფთ რა — თქვენ ხდებით არაბუნებრივი, ნუ უარყოფთ რა თქმა უნდა, მაშინვე ჩნდება მიღება: თუ არ უარყოფთ, ე. ი. დებულობთ, ეს ძალზე ფაქიზია, თქვენ შეუძლებელი, ტილოპა ამბობს, როდესაც კი არხებობს უარყოფა, უარყოფის უარყოფა ამბობთ: „მე ვდებულობ“, სადღაც თქვენს სიღრმეში თქვენ უკვე უარყავით, და თუ არა, მაშინ რატომღა ამბობთ, „მე ვდებულობ?“ რა საჭიროება არხებობს ამის აღნიშვნისათვის, რომ დებულობთ? მიღებას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა არხებობს უარყოფა, სხვანაირად მას არ აქვს მნიშვნელობა.

ადამიანები მოდიან ჩემთან და მეუბნებიან: „დიახ, ჩვენ ვდებულობთ თქვენ“. მე ვუუბრებ მათ სხვებს, ვხედავ იმას, რასაც ისინი მეუბნებიან, ისე, რომ თავად არ უწყვიან, მათ უკვე უარმყვეს, ისინი აიძულებენ თავიანთ გონებას — მიმიღოს, მაგრამ მათი გონების ნაწილი არ მდებულობს, მაშინაც კი, როდესაც ისინი ამბობენ: „დიახ!“ არხებობს „არა!“ თვითონ ეს „დიახ“ შეიცავს თავისთავში „არას“, ეს „დიახ“ მხოლოდ გარესამოსია, დეკორაცია, ამის შიგნით კი მე ვუუბრებ „არას“, მიღების მოწინააღმდეგეს, მოდავეს და ჯერაც ცოცხალს, ისინი კი ამბობენ: „ჩვენ ვდებულობთ!“ — მათ უკვე არ მიმიღეს.

თუ არ არხებობს უარყოფა, ისე როგორ შეგიძლიათ მიმიღოთ, როგორ შეგიძლიათ თქვათ: „მე ვდებულობ?“ თუ არ არხებობს არავითარი ბრძოლა, ისე როგორ შეგიძლიათ თქვათ: „მე ვნებდები?“ თუ ამას დინახავთ და გაიგებთ, მაშინ მოხდება ისეთი მიღება, რომელიც მაღლაა უოველგვარ მიღება-უარყოფაზე, მაშინ მიეცემით მთლიანად. ეს აქნება მინდობა, მიღება უოველგვარი ბრძოლისა და კიბიტუალაციის მიღმა — მაშინ ეს მოხდება მთლიანად, ტოტალურად... რადგან მაშამუღრა უოველგვარ ადებ-მიცემობის მიღმაა,

და მაშინ თქვენ რჩებით მხოლოდ ბუნებრივი — არც მიმდებენი, არც უარყოფენი, არც მებრძოლნი, არც დაწებებულნი, არც მოხდა არც არას მთქმენი — მხოლოდ იმის მიმხალმებენი და ნების დაშრბველნი, რაც ხდება, მაშინ თქვენ არ გაქვთ თქვენი არჩევანი. რაც არ უნდა ხდებოდეს, თქვენ მხოლოდ აღნიშნავთ იმას, რაც ხდება, თქვენ არ ცდილობთ შეცვალოთ რაშიც, არ იწყებთ თავს იმაზე, რომ გააუმჯობესოთ თქვენი თავი: უბრალოდ, რჩებით იმავე, რაც ხართ, ეს ძნელად მინახება გონებისათვის, რადგან გონება — ეს დიადი მაკეთილშობილებელია.

იგი უოველთვის ამბობს: „შენ შეგიძლია მეთის მიღწევა, შენ შეგიძლია გახდე დიდი“.

საქაროა მოიხსნა აქა-იქ და ხაჭაღლით ოქროდ იქცევით; გაუკეთებელი, ტრანსფორმირდით, შეტვალეთ, გაბდაქმენი შენი თავი! გონება იმერებს კიდევ და კიდევ: „შესაძლებელია შეტი, შენ შეტი შეგიძლია, ნუ იქცევო ისე, ახე მოიქეცი!“ ახე ჩნდება უარყოფა და, როცა უარყოფთ თქვენსავე ნაწილს, უბედურებაზე ცვივდებით, რადგან ეს ნაწილი თქვენი ორგანული ნაწილია, შეუძლებელია მოიკვეთოთ იგი. შესაძლებელია მოიკვეთოთ სხეულის ნაწილები, მაგრამ შეუძლებელია მოკვეთა არსებიდან, რადგან არსება მთლიანობაში რჩება, როგორ შეიძლება მოიკვეთოთ არსების ნაწილი? არ არსებობს ასეთი საშუალება, ასეთი მანვილი.

თუ თქვენი თავლები აღსდგინენ თქვენ წინააღმდეგ, შეგიძლიათ ამოიღოთ ისინი; თუ დანაშაულს თქვენი მარჯვენა ჩადის, თქვენ შეგიძლიათ მოიკვეთოთ იგი; თუ ფეხებს მიძუაწვხართ ცოდვასთან, შეგიძლიათ მოიპრათ ისინი — იმატომ რომ თქვენ არა ხართ თქვენს სხეული, იგი თვითონვეა დანაწევრებული, თქვენ შეგიძლიათ ჩებოთ იგი — მაგრამ ცნობიერებას როგორ დარჩებათ და დაჭრით? როგორ შეძლებთ და როგორღა დაჭრით თქვენს სანუკვარ ბუნებრიობას?

იგი არ არის მატერიალური, იგი სიცარიელეს მგავს და სიცარიელეს როგორღა დაჭრით? თქვენი მახვილი გაივლის მასში და იგი იგივე დარჩება — განუყოფელი; თუ ძალაჲნ ეცდებით, თქვენი მახვილი გატყდება, სიცარიელე კი გაუთიშველი დარჩება, შეუძლებელია მისი განგმირვა.

თქვენს სანუკვარ არსებას გააჩნია სიცარიელის ბუნება; იგი არის არა — ში, იგი არ არის ნავთიერი; ის არის, მაგრამ არაა მატერიალური.

შეუძლებელია გაქვეითოთ იგი, არ არსებობს არავითარი სამაგისტრო საშუალება, ნუ უარყოფთ — მაგრამ გონება დაუყოვნებლივ იტყვის: „კარგი, მაშინ ჩვენ ვდებულობთ“, გონება არასოდეს არ დაგტოვებთ განმარტებით თქვენსავე თავთან. გონება თან გდევთ ჩრდილივით, ხადაც არ უნდა წახვიდეთ, გონება გეტყვით: „კარგი, შე შენთან ვარ, შე დაგებმარები, ნუ უარყოფ — რა თქმა უნდა, ეს სწორია! ტილობა მართალია, მიიღე!“ — და თუ უსმენთ ამ გონებას და გაქრათ მისი, თქვენ იმავე ნაფანგში იმყოფებით, მიღება და უარყოფა ეს ერთი და იმავე მონეტის ორი მხარეა, ტილობა იმბობს, რადგან მამაშუდრა უკველგვერ აღებ-მიცემობის მიღება,

ნუ უარყოფთ და ნუ მიიღებთ, სინამდვილეში გასაყეთებელი არაფერია, და არ ვთხოვენ არაფრის გაკეთებას, იყავით მხოლოდ ბუნებრივი და ლაღნი, იყავით თქვენსავე თავთან და დაე მონდეს უფლაფერია; ხაჭაღლით თა-

ვიხით მრუნავს, თქვენი დახმარების გარეშე: მდინარეები ზღვაში იქცევიან, მოძრაობენ ვარსკვლავები, დილით მზე ამოდის, წყლისადის დროები იცვლებიან ერთმანეთის მიყოლებით. ისრდებიან ზეები — უვავილოდ და ქრებიან. მთელი სამყარო მოძრაობს უწყვეტად — ნუთუ თქვენ არ შეგიძლიათ დაიხლოდეთ და ბუნებრივი, იმოდროთ მთელ სამყაროსთან ერთად? აი, ამას ვუწოდებ ხანიახს.

აღამიანები მოდიან და ამბობენ: „მოგვეცით რამე განსაზღვრული დისციპლინა, თქვენ ვაძლევთ მხოლოდ ხანიახს და არახოდეს არ ლაპარაკობთ დისციპლინაზე. რას მოელოთ ჩვენგან?“ — არაფერს არ მოველო, შე მსურს, რომ იყოთ ლაღნი და ბუნებრივი, უბრალოდ იყავით თქვენსავე თავთან და ნება დართეთ ხატუნებს, მოვლენებს. — რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა შეგემთხვეოდ, ნუ შეიზღუდებით: კარგია თუ ცუდი, უბედურება თუ ბედნიერება, სიცოცხლე თუ სიკვდილი, რაც არ უნდა ხდებოდეს, — დაე მოხდეს, ზელს ნუ შეუშლით ამის მოხდენას, ნუ გადაუდებებით გზაზე, მოდუნდით, უკველივე არსებული ახე კარგად აგრძელებს თავის გზას, ახე ხრულყოფილად, თქვენ რატომღა შეგაწუხათ თქვენივე თავში?

არ არის საჭირო გაკეთილშობილება,
 არ არის საჭირო გარდაქმნა;
 უბრალოდ, დარჩით ლაღნი და ბუნებრივი,
 გაკეთილშობილება თავისით მოხდება,
 ეს მდგომარეობა თვითონვე მოიტანს
 გარდაქმნას,
 უთქვენოდ, თავისთავად...

თუ ამას ცდილობთ, თქვენ იმგვანებით ძაღლს რომელიც ცდადობს საკუთარს კუდის დაჭერას. წამთრის დილას, როდესაც მზე ამოვიდა, შეგიძლიათ დაინახოთ ამ საქმით ვართული მრავალი ძაღლი, ისინი ჩუმად სხედან და ტკბებიან; უცებ შედავენ თავიანთსავე კუდს — ეს მაყდუნებელია, რა იციან ხაბრალოებმა, რომ ეს მათივე კუდია, თქვენი მდგომარეობაც ახეთივეა, თქვენც იმავე ნავით მიცურავთ; ცდიუნება ძაღვად ცხოველდება, კუდი კი ისეთი გემრიელი საჭმელი ჩანს — ძაღლი იწყებს მცდელობას, ჭერ ნედა, ჩუმად, კუდი ჭერ უძრავია, მაგრამ უბედურება მერე იწყება, კუდი უკვე გაჩნის, იგი არ ჩერდება, იწყება გაშმაგებული მოდგაწერობა; მერე კი ძაღლი დაიკვდება: „რას უიქრობს ეს კუდი თავის თავზე? ეს უკვე გამოწვევაა, ძაღლი ხტება, მაგრამ რაც უფრო მეტს ხტება, მით უფრო მეტს ხტება კუდი, ძაღლი შეიძლება გაყოფდეს.

ახევე მოხდის ღვთაებრივის უველა მძივნებლს, ამინი დახდევინ საკუთარ კუდებს, ხაქ-

თუ ამ ხანუკვარ ხავანეში რჩებით ლაღნი და ბუნებრივნი, თანდათან დაინახავთ, რომ ყველა ელემენტი თავიანთ საკუთარ ბუნებაში ჰქრება, ხბეული ხუთი ელემენტისაგან შედგება: მიწა თანდათან დაშინდება, მდერი მდერში წავა, ცეცხლი ცეცხლში, ეს ხდება თქვენი ხიკვდილისას — თითოეული ელემენტი თავის სტიქიაში წავა, დაბრმები ნიშნავს ყველაფრის ელემენტურ ბუნებას — ყველაფერი თავის ხაუფდელში მივა, თქვენ თუ თქვენს ხავანეში მიხვალთ, ყველაფერი თავისაში წავა, დაინადგურებს ხრული აუზდვრელობა.

ცხოვრებისა და ხიკვდილის ობგვარობა არხებობს, ერთი — ცხოვრება იმგვარად, როგორც თვითღული ცხოვრობს. შერეულობა ყველაფერთან და შინაგანი შეცის ხრული დავიწყება, მეორე — არხებობთ შეგნით, ნებას რთავთ სტიქიურ ძალებს წარისმართონ თავიანთი გზით, როდესაც ხბეულს შია, იგი მოძრაობს, ეძებს საკმელებს; ნათლდებულები ადაშიანს რჩება თავის შინაგან ხავანეში, ხბეული გრძნობს შიმშილს — იგი აცნობიერებს, ხბეული აწყებს მოძრაობას შიმშილის დახაკმაყოფილებლად — იგი აკვირდება; ხბეული ინტლებს, კმაყოფილია — იბი კვლავ აცნობიერებს, მოწმე აგრძელებს დაკვირვებას, იგი უკვე არ არის მოქმედი და არ ჩადის არაფერს, იგი არაა მოდვარე; ხბეულს ხწყურია — იგი აკვირდება; ხბეული დგახს, მოძრაობს, ეს სტიქიურა ძალები აკეთებენ თავიანთ ხამუშაოს, ხუ ამბობთ „მე ხწყურია“, თქვენ არ ხწყურით! თქვენ შეერთით ამაში, ეს ხბეულს ხწყურია და ხბეული მოფულის თავის ხამურუნავებს. იგი წავა, იაქტიურებს წყურვილის დახაკმაყოფილებლად.

თუ შეგნით რჩებით, დაინახავთ, რომ ყველაფერი თავისით ხდება, უთქვენოდ, თვით ხებაც კი ხამულაობენ წყაროს — ეგოს და გონებას გარეშე, ფებსები გაიზრდებიან, ახინი დაძებნიან წყალს; მოგვარ წულის მოხანახაფ იხინი გაავლიან ახობით ფუტს; ეს ერთერთა ყველაზე გახაკობარი ფაქტი იყო ხობტანიკოსთათვის, რადგან მათთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება მოხდეს, რომ ხე აქ დგახს, ახობით ფუტის დაშორებით კი ხადლაც ჩრდილოეთით წყაროა, ხადლან აცის ხემ, რომ ფებსებო უნდა გაიზარდონ ჩრდილოეთით? წყარომდე ახობით ფუტია და ვარაუდიც კი შეუძლებელია, ხეს არც გონება გააჩნია, არც ეგო, მაგსამ ამ სტიქიური ძალების ხამულაობით ხე მანც ვრდის ფებსებს ჩრდილოეთით და ერთხელაც ახინი შიადწვდენ წყაროს.

აფრთხილს ქუნტლებში, იზრდებიან ძალიან შადლა ხეება, იხინი უნდა გაიზარდონ, რადგან ტუე იმდენად დაბურულია, რომ თუ არ გაიზარდა, ხე ვერ გამოვებს ხაარხებო მუნსა და

მაერს, ამიტომ იხინი იზრდებიან შადლა და შადლა; თვით ხეს შეუძლია ნახოს ხაარხებო წყარო და თქვენ რადაზე დარდობთ?

ამიტომ ამბობს იესო: „შეხედეთ მარდვრის შროშანებს, ისინი არ შრომობენ, ისინი არ აკეთებენ არაფერს, მაგრამ არხებობენ“

როდესაც შინაგან ხავანეში დაეგნენ, თქვენი სტიქიურა ძალები იწყებენ ფუტს ხრებას თავიანთ კრისტალურ ხიწმინდეში, რაიმეში შეურეგლად, ხბეულს ხწყურია და ხბეული იწყებს მოძრაობას, დააკვირდით, ეს ისეთი შშვნიერი მოვლენაა, როდესაც ხბეული ეძებს, ეს ერთერთი ყველაზე ხაკობარი შეგრძნება; იმის დაკვირვება, თუ როგორ მოძრაობს ხაკუთარი ხბეული თავისთავად და როგორ ხამულაობს წყალსა და საკმელებს; აღძვრება ხიყვარულის წყურვილი და ხბეული მოძრაობს, თქვენ აგრძელებთ ქდომას თქვენს ხავანეში და უცებ ხედავთ, რომ მოქმედება არ გეკუთვნით თქვენ, თქვენ მხოლოდ მოწმე ხართ, მხოლოდ უთვალთვალდებთ.

როდესაც ამას შიადწვდით, შიადწვით მიუწვდომელს, გაიგეთ რა ეს, თქვენ უკვე გაიგეთ ყველაფერი.

როცა რჩებით არშობილის სასუფეველში, მთელი ხილვადი დაბრმებში დნება — და „მეს“ ნება და სიამაყე არარაში ინთქმება.

როდესაც დაინახავთ, რომ ყველაფერი თავისით ხდება, მაშინ რისგან ააშენებთ თქვენს ეგოს და მის სიამაყეს?

როგორ იტყვიოთ „მე“, როდესაც შიმშილი თავისი გზით მიდის, აკმაყოფილებს თავის თავს და სიმამლრედ იქცევა?

როცა სიციცხლე თავისი გზით მიდის აღწევს სიკვდილს და მოსვენებას? ვინ ხართ თქვენ, რომ თქვათ: „მე ვარ?!“ „მეს“ ნება და „მეს“ სიამაყე... ყველაფერი დნება.

მაშინ თქვენ არ ჩადიხართ არაფერს, მაშინ აღარც გსურთ არაფერი, მხოლოდ ზიხართ თქვენს სანუკვარ სავანეში;

ბალახიც თავისით იზრდება, ყველაფერი თავისით ხდება.

ძნელია ამის გაგება, რადგან აღზრდადნი ხართ და განპარობებულნი, რომ უნდა იმოდვინოთ, რომ ხაკობარი ხედაშივი ხიფხილდე, მოძრაობა და ხრძილია, თქვენ აღიზარდეთ გარემოში, რომელიც ამბობს, რომ უნდა იბრძოლოთ არხებობისათვის და ხხვანაირად დაიღუპე-

ხით, სხვანაირად ვერ მიადგინოთ ვერაფერს; თქვენმა აღზრდამ ამბიციის შხამამდრ მიგიყვანათ. დახვედრეთში არსებობს უაზრო ნიტყვა „ნების ძალა“. ეს აბსურდია, არ არსებობს არაფერი ამის მსგავსი — ეს ფანტაზიაა, სიზმარი, არ არის საჭირო არავითარი ნება, საგნები ხდებიან თავისთავად, ეს მათი ბუნებაა.

ახეთი რამ მოხდა: ლინ-ძის მახწავლებელი მოუკვდა, იგი საქვეყნოდ ცნობილი ადამიანი იყო, მაგრამ ლინ-ძი კიდევ უფრო ცნობილი იყო, ვიდრე მისი მახწავლებელი, რადგან მახწავლებელი უთქმელი ადამიანი გახლდათ და მხოლოდ ლინ-ძის გამო გახდა საქვეყნოდ ცნობილი. მახწავლებელი მოკვდა და შეიყარა ათასობით ადამიანი, რათა გამოეხატათ მისდამი პატივისცემა, რათა გამოეტხოვებოდნენ მას. მათ დაინახეს, რომ ლინ-ძი ტიროდა, იგი ცრემლებად იღვრებოდა როგორც პატარა ბავშვი, რომელსაც დედა მოუკვდა. ადამიანებს ვერ დაეძვრებინათ, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ ლინ-ძი ხელდასხმული იყო. იგი კი ტიროდა პატარა ბავშვით, ტიროდა, ეს ბუნებრივია ჩვეულებრივი, უშუალო ადამიანისათვის, მაგრამ, როდესაც ეს მღვიძარე ადამიანია, რომელიც სხვებს ახწავლის, რომ ხანუკვარი ხუნება უკვდავია, მარადიული, მაშინ ეს რატომ?

რამდენიმე ახლობელი მივიდა ლინ-ძისთან და უთხრეს: „ეს ცუდია, და რას იფიქრებენ თქვენზე ადამიანები? ისინი უკვე აჩურჩულდნენ, ისინი ფიქრობენ, რომ შეცდნენ, როცა ღმერთისაჩრებული ეგონე, მთელი შენი პრეტენზი შეიღება, შეწყვიტე ტირილი და ხერხოლად, შენნაირი ადამიანი არ უნდა ტიროდეს“.

ლან-ძიმ თქვა: „მე რა შემიძლია. ცრემლები დიან, ეს მათი დმარებია და ვინ ვარ მე, რომ შევამერო ისინი? მე არ უარყოფ, მე ვდებულობ, მე ვრჩება შიგნით, ახლა ცრემლები დიან, ვერაფერს გააწუბ, თუ ჩემი პრეტენზია ბევრზე მეტია, დაე ახე იყოს, თუ ადამიანები ფიქრობენ, რომ ნათელდებული არა ვარ, ეს მათი საქმეა, მაგრამ მე რა შემიძლია? მოკმედი დიდი ხანია დავტოვე, მოკმედი უკვე არ არის, ეს უბრალოდ ხდება. ეს თვალები ტირიან თავისთავად, რადგან მეტად ვეღარ იხილავენ მახწავლებელს — იგი კი ხაკვები იყო მათთვის, ისინი ცხოვრობდნენ ამ ხაკვებით, მე კარგად ვიცი, რომ სული მარადიულია, რომ არასდროს არავინ მოშკვდარა, მაგრამ როგორ ვახწავლო ეს თვალებს? რა ვუთხრა მათ? ისინი ვერ მოიხმენენ, მათ არ გააჩნიათ ყურები, როგორ აუწყებნა მათ, რომ სიცოცხლე მარადიულია? და ვინ ვარ მე? ეს მათი საქმეა, თუ ტირილი უნდათ, ისინი ტირიან“.

ლალ და ბუნებრივ მდგომარეობაში დარჩენა ნიშნავს — მოვლენები ხდებიან თავისთავად.

არ არის მოკმედი, თუ არ უარყოფთ და არ დებულობთ, „მეს“ ნება იხსნება, თვით ნების ძალის გაგება ხდება უაზრო და ცარიელი, იგი უბრალოდ დაიკარგება და სრულად არარაში გაქრება.

ძნელია გაუგებრობის დამიანს, არ შეედიან არავითარი შეხვედრები, რას იფიქრებთ ლინ-ძიზე? იგი ამბობს, „მე ვიცი — მაგრამ თვალები ტირიან, დაე იტირონ, დაე მოდუნდნენ, ისინი მეტად ვერ ნახავენ ამ ადამიანს, ამ სხეულს მალე დაწვავენ, ისინი კი აკვებებოდნენ ამით, მათ არ იციან სხვა სილამაზე ამ ადამიანის გარდა, ისინი დიდხანს იკვებებოდნენ ამ ადამიანის ფორმით და სხეულით, ახლა კი, რა თქმა უნდა, თვითონ მიწა ჩაიწვან მათ ფეხქვეშ, ისინი ტირიან“. ბუნებრივი ადამიანი მხოლოდ წის შიგნით და ნებას რთავს უველადურის მოხდენას, იგი არ „ჩადის“.

ტილომა ამბობს, რომ მხოლოდ ახე მოხდება მამამუდრა — საბოლოო, აბსოლუტურად საბოლოო ორგანიზმი ყოველივე არსებულთან.

მაშინ თქვენ უკვე არ ხართ ცალკეული არსება, მაშინ თქვენი შინაგანი ზეცა ერთიანდება გარეგან ზეცასთან, არ არსებობს ორი ზეცა — ზეცა ერთი.

უდიდესი შეცნობა

უმალლესი შეცნობა
აღმატება ყოველივე პშას და იშას.
უმალლესი მოკმედეა
არის დიდი შემოკმედეა მიკვრძობის გარეშე.

უმალღები მიდწევა არის იმანენტურობის გაყნობიერება, იმედის გარეშე, დახაწყინში იოგი გრძნობს, რომ მისი გონება ინგრევა და მოდგაფუნობს ჩანჩქერით. შუა გზაზე მგავს განგს — მიედინება ნელა და მშვიდად, ბოლოს კი არის უნაპირო ოკეანე, სადაც ერთმანეთს ედნობა შვილისა და დედის ნათელი.

ჩვენ უველანი თავისუფლები დავიბადეთ და ვკვდებით, როგორც მონები. სიცოცხლის დახაწყინი არის თავისუფალი და ბუნებრივი, მაგრამ შემდეგ ერევა საზოგადოება, ანდება წესი, მოჩალი, დისციპლინა და მაშინ ქრება ხალადე, ბუნებრიობა, უშუალოება, ჩვენ ვაქსოვთ რაღაც ქავშანს ჩვენ გარშემო; ჩვენ ვხდებით უფრო და უფრო შებოქილები, ჩვენ უკვე დავპარგეთ შინაგანი ერთიანობა და სირბილე. ხაკუთარა არსების გარშემო იქმნება რაღაც დამცველი ციხე-სიმაგრე, რათა არ დავიჭ-

რათ, რათა შევქმნათ უშიშროება და ახე იკარგება უოფნის თავისუფლება; ვიწუებთ სხვათა თვალეში უურებს, მათი კვერის დაკრა, მათი უკმაყოფილება, მათი გაკიცხვა ან აღიარება, იწუებს მნიშვნელობის შეძენას და ეს მნიშვნელობა დღითი დღე იმატებს.

ეს „სხვები“ ხდება კრისტერიუმი და ჩვენ ვიწუებთ სხვათა მიხედვას, მათ მიყოლას.

ხავში ძალზე რბილია, შეხამლებელია მისი ნებისმიერად ფორმირება და საზოგადოება იწუებს მის ფორმირებას; მახწავლებლები, სკოლა — თანდათან იგი იქცევა პიროვნებად და არა არსებად. იგი სწავლობს ყველა წიხს და ხდება ან კონფორმისტი, რაც მონობას ნიშნავს, ან ბუნტარი, რაც ახვევე წარმოადგენს მონობის სხვა ფორმას.

თუ კონფორმისტი გამოდის — ორთოდოქსალი და შეზღუდული — ეს მონობის ერთი ფორმაა; შესაძლებელია შეეწინააღმდეგოს ამას, გახედვს მიპი, გადავარდეს მეორე უკიდურესობაში, მაგრამ ებეც მონობის ფორმაა, იმიტომ, რომ წინააღმდეგობა დამოკიდებულია ამაზე, რასაც თქვენ ეწინააღმდეგებით. შესაძლებელია ქვეყნის დანალიერში ვადაკარგვა, მაგრამ სულის ხილრმეში თქვენ რჩებით იმავე კანონების წინააღმდეგ ბეზადოლად, რომელ კანონებსაც ქვეყნად ებრძოდით. ერთნი მისდევენ მათ, თქვენ კი ეწინააღმდეგებით, მაგრამ ყურადღებას ფოკუსში ერთი და იგივე კანონები იშუოფებიან, რევოლუციონერები და რეაქციონერები ერთ ნავში სხედან.

რელიგიური ადამიანი არც რევოლუციონერია, არც რეაქციონერი, რელიგიური ადამიანი თავისუფალი და ბუნებრივია, იგი არც „მომხრება“, არც „წინააღმდეგა“. იგი უბრალოდ, თავის თავად რჩება, იგი არ მისდევს კანონებს, არც უარყოფს მათ, უბრალოდ, კანონები არ არსებობენ მისთვის, რელიგიური ადამიანი თავისუფალია თავის არსებობაში, მას არ გააჩნია გამჭდარი ჩვევები და პირობითობანი, იგი არ არის განათლებული ადამიანი. ეს არ ნიშნავს, რომ ის გაუთლებელი და პრიმიტიულია, პირიქით იგი წარმოადგენს ცივილიზაციის და კულტურის უმაღლეს განვითარებებს, მაგრამ არ არის კულტურის მემორებელი, აგი გაცნობიერებაში გაიზარდა და მას არ სჭირდება კანონები, იგი ამაღლდა კანონებზე.

იგი წრფელია არა იმიტომ, რომ სიმართლის დაპარაკი კანონია — ბუნებრივი და თავისუფალი, იგი უბრალოდ წრფელია, ეს მისი ბუნებაა.

იგი მოწყალეა არა კანონის გამო „იყავ მოწყალე!“ არა, იგი მხოლოდ აღიქვამს მის ორგანოვ მოფენილ მოწყალეებას, არაფრის ჩადენა არ არის საჭირო ამისათვის მისი მშრიდან, ეს მხოლოდ ამის შედეგია, რომ იგი გაცნობიერებაში გაიზარდა, იგი არ არის საზოგადოების მომხრე,

არც წინააღმდეგი. იგი საზოგადოების გარეთ, მის მიღმა იშუოფება; იგი დაუბრუნდა ურმობას, გახდა აბსოლუტურად უცნობი ხაშყარს ხავში, ხავში ახალ განვითარებაში იგი აღმდგა.

ყველა ხავში იხადება ბუნებრივი და ლალი, შემდეგ მის ცხოვრებაში იქრება საზოგადოება, რაც განსაზღვრული მიზნით შედგენილია, არაფერი ამაში არ არის ცუდი, რადგან ხავში თუ დამოუკიდებლად მიუშვით, იგი არახოდეს არ გაიზრდება (გონებით), არახოდეს რელიგიურა არ განდება, იგი იქცევა ცხოველად, საზოგადოების ჩარევა უცილებელია, ოღონდ საჭიროა გვახსოვდეს, რომ საზოგადოება მხოლოდ გადასახველელი საფეხურია, იგი უნდა გაიაროს, მაგრამ მასში არ უნდა ჩასახლდეთ, საჭიროა გახსოვდეთ, რომ საზოგადოებას ჯერ უნდა დაემორჩილო, შემდეგ კი უნდა ამაღლდეთ მასზე, კანონება ჯერ უნდა შეიხწავლოთ, შემდეგ კი დაივიწყოთ. კანონები ჩვენს ცხოვრებაში სხვათა არსებობის გამო შემოდიან.

ხავში მართა დედის მუცელში, იქ მას არავითარი კანონები არ სჭირდება, კანონები ჩნდებიან მასში, როდესაც სხვები იჭრებიან ჩვენს ცხოვრებაში. კანონები ჩნდებიან ურთიერთობებთან ერთად, თქვენ მართა არა მართ, იმიტომ საჭიროა სხვაზეც იფიქროთ, საჭიროა სხვებიც მიიღოთ მზედველობაში; დედის მუცელში ბავი უი მართა, არც მორალი, არც დისციპლინა, საჭირო არ არის არაფერი, მაგრამ როგორც კი იგი იხადება, მისი პირველი ჩახუნთვაც საზოგადოებრივი მოვლენა ხდება, თუ არ კივის, ექიმმა უნდა აკივლოს, სხვანაირად იგი მოკვდება, კავალმა სასუნთქი ვზეები უნდა გაუხსნას, კივილი წმინდს ყელს, და მას აიძულებენ იკივლოს, პირველი ჩახუნთვაც კი საზოგადოებრივი მოვლენაა. ამას სხვები ესწრებიან — იწუება ფორმირება.

ამაში არაფერია ცუდი! მაგრამ ეს უნდა მდებნოდეს ისე, რომ ხავში არც ერთი წუთით არ შეწყვიტოს გაცნობიერება, არ გაივიდეს გამოშუშავებულ მოდელთან, სულის ხილრმეში იგი თავისუფალი უნდა რჩებოდეს, უნდა იყოდეს, რომ კანონებს უნდა მისდიოს, მაგრამ კანონი ჯერაც არ არის ცხოვრება, რომ საჭიროა ზრდა, კარგი საზოგადოება არის ის საზოგადოება, რომელიც ასე ახწავლის: „ეს კანონები კარგია, მაგრამ არსებობს სხვაც, ეს კანონები არ არის აბსოლუტური, შენ არ გაბოვენ, რომ მათ უნდა მისდიო ყოველთვის, მოვა დღე, როცა უნდა ამაღლდე ამ კანონებზე“. საზოგადოება კარგია, თუ თავის წივრებს ტრანსცენდენტლობას ახწავლის, მხოლოდ ასეთი საზოგადოება არის რელიგიური; თუ იგი არ არის ტრანსცენდენტური, მაშინ იგი მხოლოდ სექულარიზებული, პოლიტიკური საზოგადოებაა, რომელშიც არ არსებობს რელიგია.

სხვებს უნდა უხმინოთ განსჯავებულ დონე-
 მდე. შემდეგ კი ხაჭირთა მოუხმინოთ თქვენსავე
 თავს; დახასრულთან მისვლა ხაჭირთა დახაწყისი
 მდგომარეობით; სიკვდილის წინ კვლავ ხავშები
 უნდა იყოთ, უმანკო ხავშები, ხუნებრივი და
 თავისუფალნი, რადგან სიკვდილით თქვენ კვლავ
 თქვენს მარტოობას უბრუნდებით, როგორც დე-
 დის შუცელში უოფნისას, სიკვდილით ისევ მარ-
 ტოობის სფეროს უბრუნდებით. იქ არ არსებ-
 ბობს ხაზოგადობა. თქვენი ცხოვრების განსა-
 ვლობაში გიხდებოდით არც თუ ხშირ მომენტე-
 ბთან შეხვედრა, როდესაც ოჯახს გადააწყდებ-
 ბოდით უდაბნოში ბეტიალისას, როდესაც, უბ-
 რალოდ, თავლებს ხუჭავდით და გადიოდით ხა-
 ზოგადობიდან, მიდიოდით თქვენსავე თავში, თქ-
 ვენს მარტოობასა და ხაჩუმეში. სწორედ ეს არის
 შედითაცია. ხაზოგადობა არსებობს, მაგრამ და-
 ხუჭეთ თავლები და დაივიწყეთ იგი, განმარტოვ-
 დით, იქ არ არის კანონი, ხაჭირთ არ არის ხაჩო-
 თი, ხაჭირთ არ არის ენა, სიტყვები, შიგნით თქ-
 ვენ შეგიძლიათ იყოთ თავისუფალნი და ხუნებ-
 რივი.

შეესისხლბორცეთ ამ თავისუფლებას და ხუნ-
 ნებრიობას, მაშინაც, როცა ხაჭირთა გარეგანი
 დიხცილია, აუცილებელია შიგნით მაინც და-
 რჩეთ ველურებად. თუ ამის შეძლებთ და შიგნით
 ველურება დარჩებით, ამავე დროს იმასაც შეა-
 ხსრულდებთ, რასაც თქვენთან ხაზოგადობა მოით-
 ხოვს, მაშინ ჩქარა მიადწევთ მომენტს, როდესაც
 უბრალოდ ამაღლდით ხაზოგადობაზე. ახლა ერთ
 ისტორიას მოგიყვებით და შერე კი ისევ ხუტრან
 დავუბრუნდეთ.

ეს სუფიხტური არაკია: ერთი მოხუცი და უმა-
 წვილი მოგზაურობდნენ, თან ხახეღარი ახლდათ,
 ერთხელ ქალაქში შევიდნენ და, როცა ხავშებმა
 დაინახეს, სიცილი დააყარეს: „შეხედეთ ამ ხუნ-
 ლელებს, ამხელა ქანიანი ვიქნ თან ახლავთ და
 თვითონ კი ფეხით მოკლიანებენ, ცოტა ჰკუბ
 რომ ჰქონოდათ, მოხუცი ხომ ვირზე შექდებოდა?

მოხუცი და ქაბუკი შეფიქრიანდნენ: „როგორ
 მოვიქცეთ? ქობია დავუჭეროთ ხავშებს, თორემ
 უკვლანა დაგვცინებენ!“ და მოხუცი შექდა ვი-
 რზე, უმაწვილმა კი ფეხით მისდია. მალე ალა-
 მიანთა სხვა ჯგუფს ჩაუარეს, რომლებიც მათ
 დანახვისთანავე აუყანდნენ: „შეხედეთ, მოხუცი
 ვირზე წიხ და ეს საყოდავი ხავში კი ფეხით
 მოდის, ეს უხამარტლობაა! ხეტი ვირზე უნდა იქ-
 დეს. დაე მოხუცმა მისდოს ფეხით“. ასეც მო-
 ექცნენ. ახლა სხვა ადამიანები შეხვდნენ: „შეხე-
 დეთ ამ ხუნლებებს. ბიჭი კი რა უზრდელია! მო-
 ხუცი ალბათ მამამისია ან მანწავლებელი და
 იგი ფეხით მოდის, ნეტა სადაური წენია?“

როგორ მოქცეულიყვნენ? დარჩა ერთი გამო-
 სავალი, ისინი ორივენი შექდნენ ვირზე, შემო-
 ხვდნენ ადამიანები და თქვეს: „შეხედეთ ამ უგუ-

ლოებს, ვირი ძლივსლაა ცოცხალი, ეხენი კი...
 აქობებდა ვირი თვითონვე მოეკიდებინათ ზურ-
 გზე“.

მგზავრები კვლავ დათათბირდნენ, ისინი უკ-
 ვე მდინარეზე გადებულ ბილით მივიდნენ და
 გადაწყვიტეს: ქობია ესე მოვიქცეთ, როგორც ამ
 ქალაქშია მიღებული, ვირზე ვერ ვცე-
 დებით. მათ ნახეს ხაჩირთა ქობი, აუჭრეს ვირს
 ფეხები და წამოიკიდეს, ვირი ცდილობდა გან-
 თავისუფლებას, მას არ აწუშებდა, რას იტყო-
 დნენ ქალაქელები, მაგრამ ძალით თავისი ქნა და
 ვირი იძულებული იყო დამორჩილებოდა, შუა
 ბილზე ადამიანები შემოხვდნენ და კვლავ ალა-
 პარაკდნენ: „იხი უტვიროები! გინახავთ ასეთი შეტე-
 რები, ვირზე თვითონ უნდა იხვდნენ, ამათ კი თავ-
 ვად შეუსვიათ“. ვარშემორტყმულ ხალხს თან-
 დათან ემატებოდნენ ადამიანები, ვირი გაღიზი-
 ანდა, ატლინკავდა, გაიქარ-გამოიქარა, გადავარ-
 და მდინარეში და დაიხრჩო. მოხუცმა და ბიჭმა
 გამოათრინეს ვირი, დახვდნენ მკვდარ ვირთან და
 მოხუცმა დაიწყო ლაპარაკი: „ახლა მომისმე-
 ნე...“

ეს არაჩვეულებრივი არაკია — მოხუცი მან-
 წავლებელი სუფია იყო — ნათელდებულნი, უმა-
 წვილი კი მისი მოწაფე. მანწავლებელმა ბიჭს
 გაკვეთილი უჩვენა: სუფიები ამქობინებენ სი-
 ტუაციების ჩვენებას, ისინი თვლიან, რომ სანამ
 სიტუაცია არ გარინილა, შეუძლებელია მოვლე-
 ნის ღრმად გაგება. ეს იყო სიტუაცია მოწაფისა-
 თვის, ახლა მოხუცმა აჩვენა დაიწყო: „დაიშახო-
 ვრე, თუ სხვათა მოხმენას მიჰყვები, ისევე დაი-
 კუბები, როგორც ეს ვირი, ნუ გაწუხებს. რას
 იტყვიან სხვებში, რადგან ისინი ბევრი არიან, თი-
 თოეფლს კი თავისი აზრი აქვს და, თუ მათ მოწ-
 ხმენ და დაუჭირებ — დაიღუპები როგორც ვი-
 რი დაიღუპა“.

ნუ მოუსმენთ ნურავის, დარჩით თქვენსავე
 თავში, იყავით გულგრილნი, იარეთ თქვენივე
 გზით, თუ უველას მოუსმენთ, უველა მოხსურ-
 ვებს თქვენს გავზავნას სხვადასხვა მიმართულებ-
 ბით და ვერასოდეს ვერ შეძლებთ ნიაღვრით
 თქვენს სანუქვარ ცენტრს.

უველანი გახდნენ ექსცენტრულები. ეს კარ-
 გი სიტუაცია — „გადაადგილებული ცენტრით“,
 ასე გიყვებს ეძახიან. მაგრამ უველა ადამიანი ექს-
 ცენტრულია, უველა დაშორდა ცენტრს და შთე-
 ლი მსოფლიო გაბიძგებთ და გეხმარებათ ცენტრ-
 რიდან ამოვარდნაში, დედა გავზავნით ჩრდილო-
 ეთში, მამა სამხრეთში; ბიძა აკეთებს ერთს, მამა
 მეორეს; ცოლი, რა თქმა უნდა, სულ სხვაა, უვე-
 ლანი ცდილობენ გაიძულონ და თანდათან მოდის
 მომენტი, როდესაც თქვენ უკვე არ იცით, სად
 იმყოფებით, თქვენ რჩებით გზაჯვარედინზე იმ
 დროს, როდესაც გეჭარბიან ჩრდილოეთისკენ, ხა-
 მხრეთში, სამხრეთიდან აღმოსავლეთში, აღმოსა-

ვლენიდან დასავლეთში, არსებითად კი არნად, არაფერში; დროთა განმავლობაში ეს იქცევა თქვენს მდგომარეობად და თქვენ კარგავთ ცენტრს. ასეთია მდგომარეობა და, თუ გაგრძელდებით სხვათა მოსმენას და არ დაუგდებთ ყურს თქვენსადვე შინაგან „შეს“ უკვლავური ქველდებუ- რად დარჩება; შედიტაციის აზრი მდგომარეობს ამაში — შეიქმნას ცენტრი, თუ ვიყოთ ექსცენ- ტრულები, დავბრუნდეთ ჩვენს ცენტრში. უსმი- ნეთ თქვენს შინაგან ხმას, იგრძენით იგი და მის- დიეთ ამ შეგრძნებას.

გავა დრო და თქვენ დასცინებთ სხვათა შეზღ- დულდებებს, ან გულგრილი დარჩებით მათ მი- შართ; როგორც კი ცენტრი მოიპოვეთ, თქვენ გა- ხდით მძლავრი, უკვე ვერაფერს აგათამაშებთ, ვე- რაფერს გაიძულდებთ; უბრალოდ უკვე ვერაფერს გა- ხედავს. თქვენს თავში დამკვიდრებულნი ძალად იქცეით და მათ, ვინც თქვენთან მოდის თავიან- თი წარმოდგენებით, უბრალოდ ავიწყდებით ეს პრეტენზიები თქვენს სიბნელოებს. თუ ვინმე მოდის თქვენთან იმ მიზნით, რომ გაიძულდეთ, თავს მოგახვიოთ რამდენიმე ავიწყდება მისი მი- ზანი. პირობით, იგი გრძნობს რომ მოინუსხა თქვე- ნთან.

აი როგორ შეიძლება, რომ ერთი მარტობელა დაშინანი გაბდეს იმდენად ძლიერი, რომ მთელი ნაწილადობა, მთელი ისტორია უძღურია თუნ- დაც ერთი დამუშოვით გადაადგილოს იგი. ასეთია ბუნება, კრიტიკის არსებობა, შეგიძლიათ მოკლათ კრიტიკა, მაგრამ შეუძლებელია შეგარუოთ იგი;

ცენტრის განმტკიცება—ეს არის მთავარი პი- რობა თავისუფლების და ბუნებრიობისათვის, სხვაანაირად ნებისმიერია დაანგრევს თქვენს თავისუფლებას, თქვენს ბუნებრიობას; აი რატომ არ რთავენ ხეშტებს ნებას იყოს თავისუფალნი და ბუნებრივნი; ისინი ამისთვის ჯერ არ მომწიფებუ- ლან. თუ მიუშვით, ისინი ამაოდ დაწვავენ თავი- ანთ სიცოცხლეს. ამიტომ ვამბობ, რომ ნაწო- ლადობა ასრულებს აუცილებელ ხაზუშაოს. იგი აცავს მათ, ხასიათი იქცევა ციტადელად, ეს აუცილებელია მათთვის, ისინი ძალზე სუსტები არიან. უკვლავურს შეუძლია დაამსხვრეოს ისი- ნი. ასეთ სიმრავლეში, ასეთ ქაოსში, მათთვის შე- უძლებელია გზის მოძებნა — ამიტომ ისინი შე- იარაღებულნი უნდა იყონ ხასიათით. მაგრამ თუ ხასიათის ეს ქაშაანი მთელ სიცოცხლედ გე- ქცეათ, მაშინ თქვენ დაიკარგეთ. ცუდია თუ ცი- ხესიმაგრედ იქცეით, საჭიროა დარჩეთ მასპინ- ძლად, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია გა- მოვიდეს თავისი სიმეგრადან. სხვა შემთხვევაში ეს დაცვა კი არ არის, ეს ციხეა. საჭიროა შეი- ნარჩუნოთ თქვენი ხასიათი და მისგან გამოსვლის უნარი, უნდა შეგეძლოს თქვენი პრინციპების ჯერადზე გადადგმა, უნდა შეგეძლოს ამაღლ ბე- ტუაყიანნი ახლებურად რეაგირება, თუ ამის უნა-

რი არ გაქვთ, ე. ი. თქვენ იქცეით რაღაც მყოფი არსებად, არ შეგიძლიათ იყოთ თავისუფალი, თქვენ დაიკარგეთ თავისუფლება, მოქნილობა.

მოქნილობა ახალგაზრდაობაა, უბრალოდ სიბერე; სიკვდილი — ეს არის აბსოლუტური უძრაობა, სიცოცხლე — აბსოლუტური უაქტიურობაა.

დაიმახსოვრეთ ეს და შეეცადეთ გაიგოთ ტოლო- ბა .აი მისი საბოლოო სიტყვები:

უმაღლესი შეცნობა აღემატება ყოველივე ამას და იმას,
 უმაღლესი მოქმედება —
 არის დიადი შემოქმედება მიყვარძობის გარეშე
 უმაღლესი აღსრულება —
 იმანენტურობის შეცნობა იმედის გარეშე.
 ძალზე მნიშვნელოვანი სიტყვებია:
 დიადი შეცნობა
 აღემატება ყოველივე ამას და იმას.

ცოდნა ყოველთვის გულისხმობს ამას ან იმას, შეცნობა კი არც ესაა და არც სხვა. ცოდნა მუ- დამ ორმაგია: კარგია ადამიანში იცის, რა არის კარგი, ცუდია კაცმა იცის ცუდი, მაგრამ ორივე არის მხოლოდ ნახევარი. კარგი ადამიანი არ არის მთლიანი — მან არ იცის რა არის ცუდი- მისი კარგობა სიღარიბეა, მას არ შეუძლია გან- გვრატოს ცუდი. ცუდი ადამიანიც ნახევარია, მი- სი სიკვდილ სიღარიბეა; მას აქვია ის სიმდიდრე, რასაც სიყარგე მიხსცემდა; სიცოცხლე კი შეი- ცავს და მოიცავს ერთსაც და მეორესაც. ადამი- ანი, რომელმაც ნამდვილად შეიცნო, არც კარგია, არც ცუდი; მან შეიცნო ერთიც და მეორეც; იგი ამაღლდა თავის შეცნობით ამაზეც და იმა- ზეც, ბრძენი არც კარგი ადამიანია, არც ცუდი, მას ვერ შეზღუდავთ ამ კატეგორიებით. მას ვერ გაწომაყთ, ვერ აწონით, იგი ობიექტირდება შე- საფასებლად, იგი მოუხვედრებელია და რასაც არ უნდა დაპარაკობდნენ მასზე, ეს არახოდებს არ იქნება სრული და მთლიანი. ბრძენს შეიძლება მყავდეს მეგობრები და ისინი თვლიან მას ღმირ- თად, რადგან ისინი ხედავენ მასში მხოლოდ კარგს. მაგრამ ბრძენს შეიძლება მყავდეს მოწი- ნააღმდეგე და მტერი, ისინი ჩათვლიან მას ეშმა- კის განსახიერებად, რადგან მათ მხოლოდ ცუდი იციან მასში; მაგრამ იმისთვის, ვინც იცნობს მას, ბრძენი არ წარმოადგენს არც ერთსა და არც მეო- რეს, ან იგი წარმოადგენს ერთსაც და მეორე- საც, რადგან ეს ერთი და იგივეა.

თუ ერთდროულად შეეცავთ ერთსაც და მეო- რესაც, კეთილსაც და ბოროტსაც, მაშინ თქვენ არ ხართ არც ერთი ამათგანი, რადგან ისინი აბა- თილებენ, უარყოფენ ერთმანეთს და რჩება სი- ცარიელი.

ეს კონცეფცია ძნელად გახადებია დახვეწილი გონებისათვის, რადგან დახვეწილი გონებამ ხრულად გათიშა ერთმანეთისაგან ღმერთი და ეშმაკი, ყველაფერი ცუდი არის ეშმაკისგული, ყველაფერი კარგი კი ღმერთიდან მოდის — მათი ტერიტორიები მკვეთრადაა გამოჩნული; ქოქოხეთი და სამოთხე მკაცრად არის განსაზღვრული. ამ რატომ არის, რომ ქრისტიანი წმინდანები რამდენადმე ფერმკრთალები ჩანან ტანტრის ბრძენკაცისაგან განსხვავებით. ისინი კეთილნი არიან და მარტივნი, მაგრამ მათ არ იციან სიცოცხლის მეორე ნახევარი და ამიტომ მუდამ ეშინიათ ამ მეორე ნახევრის. ისინი მუდამ ცახცახებენ ამის შიშით, ქრისტიანი წმინდანი გამოუდგებით ხთხოვს ღმერთს დაიცვას ბოროტებისაგან, ბოროტება კი მუდამ აქვეა, კუთხეში, იგი ვაურბის ამახ, იგი ბოჭავს აზრებს, წმინდანი ცახცახებს ბოროტის შიშით.

ტილოპამ არც შიში იცის; არც ცახცახი; იგი არასდროს არ შესთხოვს ღმერთს დაიცვას. იგი ისედაც დაცულია, რითია დაცული? შეცნობა — აი მისი ციტადელი.

მან ყველაფერი გამოცადა, მან გამოიარა ბოროტების უღრმესი სიშორეები. მან გამოცადა ღვთაებრივი და ახლა იცის, რომ ეს მხოლოდ ერთი და იგივეს ორი ასპექტია. ახლა მას უკვე არ აღეგუებს არც კეთილი, არც ბოროტი, ახლა იგი ცხოვრობს ბუნებრივი, თავისუფალი და მარტივი სიცოცხლით, მას არ გააჩნია წინასწარ გადაწყვეტილი იდეები, შეუძლებელია წინასწარ ამოიცნოს იგი. შეუძლებელია წინასწარ განკვირვოს ტილოპას მოქმედებანი; შესაძლებელია წინასწარ ამოიცნოს ავგუსტინეს და სხვა წმინდანთა საქციელები, მაგრამ ვერახედვს ვერ ამოიცნობს როგორ მოიქცევიან ტანტრის ბრძენკაცები. ეს შეუძლებელია, რადგან ისინი უპასუხებენ თითოეულ მომენტს და არავინ, თვითონაც კი, არ უწყვიან როგორი იქნება ეს პასუხი. ამაშია მთელი სიღამაზე, რადგან როდესაც წინასწარვე იცი შენი მომავალი, შენ უკვე არა ხარ თავისუფალი ადამიანი, მაშინ განსაზღვრული წესების მიხედვით მოქმედებ, შენი ხასიათი წინასწარ არის ფორმირებული. მაშინ არის ვაქცია და არა პასუხი.

შეუძლებელია განისაზღვროს როგორ მოიქცევა ტილოპა როშელიმე სიტუაციაში, ყველაფერი დამოკიდებულია მოვლენის ინტენსიურ მთლიანობაზე. რაც გამოიწვევს პასუხს. მას არ გააჩნია არც სიმპატია, არც ანტიპატია, იგი იმოქმედებს, ეს არ იქნება რეაგირება, როშელიც წარსულიდან მოდის, ეს არ იქნება რეაგირება, როშელიც შეთანხმებული იქნება თავის ადვალტთან და ხამოთხელო გეგმებთან, არა, იგი იმოქმედებს ახლა და აქ, მისი პასუხი მთლიანია და შეუძლებელია ვინმემ გაითვალისწინოს იგი.

შეცნობა აღემატება ორმაგობას. ამბობენ, რომ ერთხელ, როდესაც ტილოპა გამოქვაბულში ცხოვრობდა, მასთან ვიღაცა მლოცველი მივიდა, ტილოპა ამ დროს ჭამდა ადამიანის თავის ქალიდან. რომელიც ჭამის მოვალეობას უწყევდა მას. მოხულელი შეშინდა — რა უცნაურია, იგი მოვიდა ბრძენთან. ეს ბრძენი კი კუთხეში უფრო მკაცრად — ტილოპა მაგნიზად შეიქცეოდა თავის ქალიდან, მის გვერდით ქოფაკი იქდა და ისიც თქველიფდა იმვე ქალიდან. ტილოპამ მიიწვია ახლად მოხუდი „მოდი“, — მიმართა მან ახალ-მოხუდს. — „სწორედ რომ დროზე მოხვედა, სულ ეს არის, რაც გააჩნია, ამის მეტი არაფერი არ გვაქვს. იქნებ ხვალ ვინმემ მოიტანოს რამე, ახლა კი ესაა. მოდი, შემოგვიერთდი“.

მოხუტიალემ ზიზღი იგრძნო — საკმედი ადამიანის თავის ქალაში და კიდევ ძალღი მან თქვა: „მე არ მსიამოვნებს“. ტილოპამ უპასუხა: „შეშინ დიქარგე აქედან და რაც შეიძლება წაქარა. შენ არაფერი გეხატქება ტილოპასთან: რატომ გეზიზღება ადამიანის თავის ქალა? რამდენი წელია შენ ატარებ შენსა და რა არის ცუდი ამაში, რომ მე ვჭამ აქედან? ეს ერთ-ერთი უწმინდესი საგანია, რაც რამ არსებობს, რატომ არ გეზიზღება შენი საკუთარი კოლოფი? მთელი შენი გონება, ამაღლებული აზრები, მოჩალი, შენი სიკეთე და სიწმინდე, ყველაფერი შენს ქალაშია მოთავსებული. მე მხოლოდ საკმედს ვჭამ ქალადან, შენს ქალაში კი ქოქოხეთიც არის და სამოთხეც და ყველა შენი ღმერთიც, თუ ისინი უკვე არ გატალახიანდნენ, მაშინ ისეც უნდა გეზიზღებოდეს, შენ თვითონაც შენსვე ქალაში იშვოფები და რატომღა განიცდი ზიზღვს?“.

მოხუდმა სცადა თავი აერიდებინა პასუხისათვის და მიეცა რაციონალური განმარტება, მან თქვა: „მე გეზიზღება არა თავის ქალა, არამედ ეს ძალღი“.

ტილოპამ გაიცინა და თქვა: „შენ თვითონაც იყავი ძალღი შენს წინა ცხოვრებაში, ყველაზე გაიარა ყველა ხაფებური და რა არის ცუდი ძალღში? რით განსხვავდები ამ ძალღისაგან? — იგივე სიძუნწე, იგივე შიში, ავბორცობა, იგივე ბრახი, როგორ აუენებ შენს თავს ძალღა?“.

ძნელია გაუგოს ტილოპას, რადგან მისთვის არ აქვს მნიშვნელობა სიღამაზე და სიმარჩინეს, სიწმინდეს და ტალახს, სიკეთეს და ბოროტებას, მან შეიცნო მთლიანობა.

ცოდნა ნაწილობრივია — შეცნობა მთლიანია. როდესაც მთლიანობას უყურებ, ქრება ყოველგვარი განსხვავება; რა არის სიღამაზე და რა არის სიმარჩინე? რა არის კარგი და რა არის ცუდი?

უოველგვარი განსხვავება ქრება, თუ არწივის ფრენის სიმაღლიდან იხედები, საზღვრები იკარგებიან — ეს იმას მგავს, თვითმფრინავში რომ წიხარ და იქიდან ჩამოსცქერი დედამიწას. მაშინ ვეღარ განასხვავებ — სად არის პაკისტანი და სად ინდოეთი, სადაა გერმანია და სადაა ანგლია. გაქრა უოველგვარი საზღვრები, მთელი დედამიწა გახდა ერთიანი.

ხოლო, თუ ავიწევთ უფრო მაღლა, კოსმოსში, თუ მთვარიდან გადმოვიხედავთ, დედამიწა მოგვეჩვენება ისეთი პატარა — უკვე სად არის რუსეთი და სად ამერიკა? ვინ არის კომუნისტი და ვინაა კაპიტალისტი? ვინ არის ინდუსი და ვინ მუსულმანი? რაც მაღლა მიიწევ, მით ნაკლებია განსხვავება, მაგრამ უველანერ უმაღლესია შეცნობა — არაფერი არ არის მასზე მაღლა.

როცა იუპიტერი ამ უდაბლესი მწვერვალდიდან, უველაფერი მოჩანს უკვე სხვანაირი. საგნებმ დნებიან და გადადიან ერთმანეთში, საზღვრები ქრება... უნაპიროს ოკეანე უმიწეზოდ, უსაწყისოდ... მარადიულობა.

უმაღლესი შეცნობა აღემატება უოველივე ამას და იმას.

უმაღლესი მოქმედება — შეიცავს, უოველგვარ ნიჭიერების მიეკრძოების გარეშე. ტილოპა ქადაგებს თავისუფლებას და ბუნებრიობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს გაუთავებელ ძილს და უსაქმოდ ყოფილს, პირაქით, როდესაც ღაღნი და ბუნებრივნი ხართ, შემოქმედებითი ძალები იღვიძებენ, ახლა თქვენ ხდებით არაჩვეულებრივად ნიჭიერი და გამოგონებელი. გაქრა მოღვაწეობა და არა მოქმედება; თქვენ იქნებით ხაოცრად მოხერხებულნი და აქტიური, თქვენ აკეთებთ უამრავ რამეს — არა შეპყრობილობით, არამედ ამატომ, რომ თქვენნიდან ენერჯია გადმოდის და ეს ენერჯია არის მოძრაობა, შემოქმედებითი.

ადვილად კმნის ახ, ვინც თავისუფალი და ბუნებრივია. უველაფერი, რასაც იგი კმნის, იქცევა შემოქმედებით მოვლენად; უველაფერი, რასაც იგი მოპკიდებს ხელს, გახდება ხელმოვლების ნაწარმოები; უველაფერი, რასაც იგი ღაპარაკობს ხდება კოეზია. თვით მისი მოძრაობებიც კი ენთეტურიია; ხუდას სიარულიც კი შემოქმედებაა, თავისი სიარულითაც კი იგი კმნის რიტმს, უბრალო მოძრაობითაც კი იგი კმნის განსაზღვრულ გარემოს, განსაზღვრულ ატმოსფეროს მის გარშემო; თუ ხუდას ხელი ახწია, დაუყოვნებლივ, მის გარშემო კლიმატი შეიცვლება. იგი არ ჩადის არაფერს სპეციალურად, უველაფერი ეს თავისთავად ხდება, იგი არ არის მოქმედი, იგი არ ჩადის მოქმედებას.

მშვიდი, თავის თავშივე დავანებული, აუმღვრველი, გაგრთიანებული —

ავსებულია უსასრულო ენერჯიით, რომელიც უოველი მიმართულებით იღვრება. მისი არსებობის უოველი გატყეობა არის შემოქმედების მომენტი — კოსმიური კმნადობის დღესასწაული

უარქუნსული

ეს უნდა დაიმახსოვრებოდეს ყველამ, რადგან ბევრი გებულობს არა-სწორად, შეხამლებულია იფიქროთ: „ხაკირო არ უოფილა მოქმედება“. მოქმედებას სრულიად სხვა ბარისი გაჩინია! მხოლოდ მოღვაწეობა არის პათოლოგიური.

წადით გაუების ხახლში და დაინახავთ მოღვაწეობით ატანილ ადამიანებს, თითოეული გაუი დაკავებულია რაღაცით, რადგან ეს თავდავიწყების ერთ-ერთი საშუალებაა, შეიძლება ნახოთ ადამიანი, რომელიც 300-ჯერ იხანს ხელს დღეში, იმიტომ, რომ იგი ხისუფთავის ხეყვარულითაა ატანილი; თუ ამის ნება არ შეეცოთ, იგი ვერ აიტანს თავის თავს, ეს აღემატება მის ძალას, ეს მისთვის ერთადერთი გამოხავაღია.

პოლიტიკოსები სიმდიდრეს და ძალაუფლებას მოწუწურებულნი ხაღბია, შეუძლებელია მათი გაჩერება, იმიტომ რომ, თუ გაჩერეთ, მათ უკვე არ ეცოდინებათ რა უნდა გააკეთონ. ისინი დარჩებიან თავის თავთან, ეს მათთვის შეუძლებელია.

შეგობარმა მიაშბო, როგორ მოუწია მას და მის ცოდნს ბავშვის ხახლში დატოვება. მათ მშვენიერი ბავშვი ჰყავთ და უველა ბავშვით ონავარი. მშობლები დაპატარებს, წახვლა უცილებელი იყო და მათ ჩაკეტეს ბავშვი ოთახში ისეთი პირობით: „თუ კარგად მოიქცევი და არაფერს გააფუჭებ, ჩვენ გაჩუქებთ უველაფერს. რაც კი მოგინდება, ჩვენ მაღე მოვალთ, ერთ საათში“. ბავშვისთვის, რა თქმა უნდა, ძალიან მაკდუნებელი იყო ეს წინადადება, იგი მიიღებდა, რასაც კი მოისურვებდა. ამიტომ იგი მართლა ძალიან კარგად იქცეოდა. არ აკეთებდა არაფერს, მხოლოდ იდგა ოთახის კუთხეში, რადგან: „რაც არ უნდა გააკეთო, შეიძლება აღმოჩნდეს... ვინ იცის, რას გაუგებ უფროსებს — რა არის კარგი და რა არის ცუდი, ისინი მუდმივად ცვლიან გადაწყვეტილებებს“. და იგი იდგა თვალდახუკული ისე, თითქოს შედიტირებდა.

როცა მშობლები მოვიდნენ და კარი გაიღო, ბავშვი კუთხეში იდგა გაუნძრევლად. როცა თვალები გაახილა, უფროსებმა პკითხეს — „ახა, გვითხარი, კარგად თუ იქცეოდი?“ მან უპასუხა: „იმდენად კარგად, რომ ჩემი თავი მე თვითონ შემეცაღა“.

მოდვაწობით დაკავებულ ადამიანებს ეშინი-
ათ თავისივე თავის. მოდვაწობა თავისებურა
თავშეხაფარია, მასში შეხადლებელია თავდავიწ-
ეება, იგი იბრუებს, იგი პათოლოგიურია და
ამიტომ ხაჭირთა მასზე უარის თქმა, ეს აუად-
მყოფობაა. მოქმედება მშვენიერია; ხაჭირო არ
არის მოქმედების შეწყვეტა.

რა არის მოქმედება? ეს პასუხია, თქვენ მოქ-
მედებით, როცა აუცილებელია მოქმედება და
ესვენებით, როდესაც ხაჭირო არ არის მოქმედე-
ბა. ახლა თქვენ აკეთებთ იმას, რაც აუცილებელი
არაა და როცა მოდუნება ღინდათ, ეს არ შეგი-
ძლიათ. ტოტალური მოქმედების ადამიანი მოქ-
მედებს, როცა სიტუაცია შეიცვლება, იგი ღუნ-
დება და სიამოვნებით ეძლევა მოხვედრებს, აი მე
ვლამარაკობ თქვენთან. ლამარაკი შეიძლება იუ-
ოს მოდვაწობაც და მოქმედებაც.

არაან ადამიანები, რომლებიც ლამარაკობენ
უოველთვის, გაუთავებლად და უაროდ თუნდაც
პირი მოკუშული მქონდეთ, შეგნით არაფერი იც-
ვლება. ისინი კვლავ აგრძელებენ ლაყბობას. მათი
გაჩერება შეუძლებელია. ეს არის მოდვაწო-
ბა — ციებცხელებისანი ატანილობა.

აი მე აქ ვარ და ვლამარაკობ თქვენთან, მე
თვითონ არ ვიცი, რას ვიტყვი; ხანამ წინადადე-
ბა არ წარმოთქმულა, მე თვითონ არ ვიცი, რა
გამოვა. მარტო თქვენ კი არა, მე თვითონაც მსშე-
ნელი ვარ; მხოლოდ იმის შერე, როდესაც უკვე
წარმოვთქვი, მხოლოდ იმის შერე ვიცი, რაც წა-
რმოვთქვი, არც თქვენ, არც მე არ შეგვიძლია წი-
ნასწარ ვიყოდეთ, რას ვიტყვით. აი მომდევნო
წინადადებაც — იგი თქვენი სიტუაციით არის
განპირობებული.

რასაც არ უნდა ვლამარაკობდე, მე ერთი არ
ვაგებ მასზე პასუხს, ნახევრად თქვენც ხართ მას-
ზე პასუხისმგებელი. ნახევარი-ნახევარზე არც
შეტი, არც ნაკლები, თქვენ ქმნით სიტუაციას და
მე ვმოქმედებ. თუ შეიცვლება ჩემი მსშენელი,
შეიცვლება ჩემი ლამარაკიც. იგი დამოკიდებუ-
ლია თქვენზე, რადგან წინასწარ არ არის ფორ-
მულირებული.

მე თვითონ არ ვიცი, რა მოხდება. ამიტომ არის
ეს ჩემთვისაც მშვენიერი. ეს მოქმედებაა, პასუ-
ხი. როდესაც თქვენ წახვალთ, მე დავჭლები ჩემს
ოთახში და არც ერთი აწრი არ გაცურდება ჩემს
შინაგან ცაში. უველაფერი თქვენზეა დამოკიდე-
ბული.

ზოგჯერ ხდება, ჩემთან მოდიან და ამბობენ:
„ჩვენ კითხვა მოვითანეთ, გვინდოდა რაღაცა
გვეკითხა. თქვენ კი უკვე გავციტ პასუხი“. ეს
ხდება ყოველდღე; თქვენ რაღაც კითხვა გჩინ-
დებთ და თქვენს ირგვლივ აღიძვრება განსაზ-
ღვრული კლიმატი (ველი). თქვენ მოდიხართ ამ
კითხვით გავსილნი. როგორ უნდა მოვიქცე ამ
დროს? — უნდა გიპასუხოთ. თქვენი კითხვა

ქმნის სიტუაციას და მე მიხდება პასუხის გაცემა.
აი რატომ არის ზოგიერთი თქვენი კითხვა ასე
ადვილად გადახაწვეტი. თუ ზოგიერთი კითხვა
გადაუწვეტიელია, მიზეზი თქვენივეა. თქვენ შე-
გეძლოთ ისინი დაგვიწვებოდათ. დიდხანს ფიქრობ-
დით ამ კითხვებზე, მაგრამ როდესაც ოთახში შე-
მოხვედით, უკვე დაგვიწვებოდათ. თქვენ გქონ-
დათ უამრავი შეკითხვა და გეგონებოდათ, რომ
მელი მათგანი დაგვხვებოდა ჩემთვის. პასუხი აუცი-
ლებლად გაჩნდება თუ დარწმუნებული ხართ
თქვენს შეკითხვაში.

მე არაფერს არ ვმოქმედებ ჩემი შხრიდან. ეს
ხდება უბრალოდ, თავისით. თქვენ შეკითხვას
იძლევით და მე მხოლოდ მიუყვები მას. მე იძუ-
ლებული ვარ ასე მოვიქცე, რადგან წინასწარ არა-
ფერი მაქვს მომზადებული. თუ ჩემი საუბარი
წინასწარაა მომზადებული, მაშინ თქვენი წაკით-
ხვა ამაოა, შედეგები; მაშინ, როგორც არ უნდა
იყოს ეს თქვენი შეკითხვები, ამას არ აქვს მნი-
შენელობა. მე უკვე მოვამზადე რაღაცა და მხო-
ლოდ ამას მოგიყვებით. თქვენ იქნება სულაც არ
იყოთ აქ, ეს არ იქნება მნიშვნელოვანი.

ინდოეთის რადიო ხშირად მთხოვდა გამოვსუ-
ლიყავი, მაგრამ ცოცხალი უპიროვნო აუდიტო-
რის გარეშე. ეს ძალიან ძნელი იყო ჩემთვის;
უნდა შეხაუბრა, მაგრამ ვის წინ? მე ვპასუხობდი:
„ეს არ არის საჩემო საქმე, იცნ დიდხ დამხვდაა!
მე არ ვიცი როგორ მოვიქცე, როცა არაფერს იქ-
ნება ჩემ წინ“. ამიტომ გადაწყდა მოეწყობო ისე,
რომ რადიოს თანამშრომლები გაწვედნენ აუდიტო-
რის მადგვრობას. მაშინ მე ვუთხარე: „რახან
ახეა. მაშინ თქვენ არ უნდა მომცეთ სალამარაკ-
ო თემა. თემა უნდა მომეწოდოს თვით ამ აუ-
დიტორიამ, სხვანაირად უველაფერი უარყო იქ-
ნება, რადგან თქვენს მიერ მოცემული თემა არ
აინტერესებთ ამ ადამიანებს. ეს იქნება შეჯდარი
აუდიტორია“.

თქვენი დასწრება ქმნის კითხვას. თქვენ ქმნით
გარემოს და პასუხი გიბრუნდებათ. ეს პიროვნ-
ული მოვლენაა, მე მომიხდა იქ სიარულის შე-
წყვეტა. მე ვუთხარე: „ეს შეუძლებელია. ეს არ
არის საჩემო საქმე. მე არ შემიძლია ვილამარაკ-
ო მანქანებთან, რადგან ისინი არ ქმნიან გარე-
მოს, სადაც ნავარდი შემოდება. მე შემიძლია
ლამარაკი მხოლოდ ადამიანებთან“.

აი რატომ არის, რომ არასდროს არ დამიწე-
რია არც ერთი წიგნი. ეს შეუძლებელია, ხანამ
არ მეცოდინება, ვინ წაიკითხავს ამ წიგნს. ხანამ
ეს ადამიანი არ შექმნის სიტუაციას. მანამდე არ
შემიძლია წერა — აბა ვისთვის? მე ვწერ მხო-
ლოდ წერილებს, რადგან მაშინ ვიცი, რომ ვი-
ლაციისთვის ვწერ. დაე, ამერიკაში ცხოვრობდეს,
ამას არა აქვს მნიშვნელობა როდესაც მისთვის
ვწერ — ეს პიროვნულად მოვლენაა: აი ის, იგი

აქა, ჩემ წინ. იგი შეხმარება წერაში. ეს დიალოგია.

ეს არის მოქმედება, მოქმედების ბუნება. როგორც კი თქვენ წახვალთ და მარტო დავრჩებით. მაშინვე დუმილი მომიცავს, შეწყდება სიტყვათა ნაკადი — ისინი შეტად არ შვირდება. ეს ასეც უნდა იყოს! როდესაც დადიხართ, თქვენ ხარტუბლობით ფუნებით. მაგრამ როდესაც სჯამზე ხიხართ. რატომღა ამოდრავებთ მათ? დიალოგს სიტყვები სჭირდება; ჩნდება სიტუაცია, აუცილებელია მოქმედება — დაე მთლიანობამ გადაწყვიტოს ეს; საჭირო არ არის თქვენი გადაწყვეტილება, თქვენ არ უნდა იყოთ გადაწყვეტი. მაშინ არ არსებობს კარმა, მაშინ თქვენ მოძრაობთ მომენტუალად მომენტუალად ისე, რომ არ კარგავთ სინედელებს. ყოველ მომენტში წარსული კვდება თავისთავად. იხადება მომავალი და თქვენ მასში ყრმასავით უმანკო შედიხართ.

უშაღლესი მოქმედება

შეიცავს ყოველგვარ ნიჰიერებას — მიკერძობების გარეშე. მოქმედებები ხდება, მაგრამ უკვე არ არის მიკერძობება, არ არის იმის გრძნობა, რომ „ეს მე გავაკეთე“. მე არ ვგრძნობ, რომ ეს მე ვთქვი. მე მხოლოდ იმას ვგრძნობ, რომ ეს ითქვა, მოხდა. მთლიანობამ მოახდინა ეს; მთლიანობა — ეს არა ვარ მე, არც შენ; მთლიანობა არის ესეც და ისიც და ყველაფერი; ან მთლიანობა არ არის არც ეს და არც ის, არც არაფერი. მთლიანობა არის ყველაფერი და იგი წყვეტს. თქვენ არ ჩადიხართ მოქმედებებს. ბევრი რამ ხორციელდება თქვენით. (თქვენი საშუალებით), მაგრამ თქვენ არ ხართ მოქმედი. ბევრი რამე იქმნება თქვენით, მაგრამ თქვენ არა ხართ შემოქმედი. მთელი არის შემოქმედი, თქვენ კი შუამავალი, მთლიანობის იარაღი ხართ.

ღრუ ბამბუკი —

მთლიანობა მიეამბორება მას ხატებით და თითებით;

ბამბუკი იქცევა ფლიტად, იგი ამღერდება. სადაც მოვიდა ეს ხიმღერა? ცარიელი ბამბუკიდან, რომელსაც თქვენ „ფლიტა“ შეარქვით? არა. იქნებ მთლიანობას მოწყდა ბატებიდან? არა. ხაიდან გაჩნდა იგი? ყველაფერი მონაწილეობს ამაში: ღრუ ბამბუკიც და მთლიანობის ბატებიც, მომღერალიც და მსმენელიც — ყველაფერი მონაწილეობს ამაში. ყველაზე მეტივეს შეუძლია ბევრი რამის შეცვლა.

მოათავსეთ ვარდი ოთახის კუთხეში. ოთახი უკვე არ არის ძველი, წინანდელი, რადგან ვარდის ყვავილს გააჩნია თავისი არსებობა, თავისი აურა, იგი გავლენას მოახდენს თქვენს ცნობიერებაზე, იმაზე, რასაც მე ვლაპარაკობ — ცვლილება იქნება ტოტალური. მრავალი რამ ხდება, მაგრამ არ არის მოქმედი.

...საზრიანობა მიკერძობების გარეშე...

და თუ თქვენ არა ხართ მოქმედი (მოქმედების ჩამდენი), მაშინ როგორღა ექნება ადგილი მიკერძობებას? როგორც კი რაღაცას მოემოქმედებთ, თქვენ უკვე მიკერძობებული ხართ თქვენს მოქმედებასთან, თქვენ ამბობთ: „ეს მე გავაკეთე“. თქვენ გხურთ, რომ ყველაზე გაიგოს, რომ ეს თქვენ ჩადინეთ, თქვენ ახვ მოქმედებთ. თქვენი ეგო წარმოადგენს ბარბარულს უშაღლესი შეცნობისათვის. დააგდეთ მოქმედი. დაე თავისთავადვე ხდებოდნენ მოვლენები. ის რას გულისხმობს ტილოპა სილაღესა და თავისუფლებაში.

უშაღლესი მიღწევა —

იმანენტურობის მიღწევა, იმედის გარეშე. ეს ძალიან ღრმა, ძალიან ფაქიზი და ძალიან ძნელი რამ არის. რა არის უშაღლესი მიღწევა? ტილოპა ამბობს — ეს არის უცვლელიობის (მუდმივობის) გაცნობიერება იმედის გარეშე. ეს არის ის, რაც არის შიგნით — შინაგანი სამყარო — უშვიკვლო, აბსოლუტური, იმედის გარეშე. რატომ ხმარობს იგი ამ სიტყვას — „იმედი“

იმიტომ რომ იმედთან ერთად ჩნდება მომავალი.

იმედთან ერთად ჩნდება სურვილები. იმედს მოაქვს სწრაფვა გაუმჯობესებისაკენ; იმედთან ერთად მოდის სიხარბე. იმედს მოაქვს უკმაყოფილება —

და ბუნებრივია ამას მოსდევს იმედგაცრუება. ტილოპა არ აძლევს რეკომენდაციას უიმედობას, რადგან უიმედობასაც იმედი აჩენს. იგი უბრალოდ ამბობს, რომ ხატიროა „იმედის არქონა“. — არც იმედი, არც უიმედობა, იმიტომ რომ ორივე მოდის იმედისაგან. დასავლეთისთვის ეს იქცა გადაუჭრელ პრობლემადა, რადგან ბუდაც იგივეს ამბობს, დასავლეთელი მოაზროვნეები ხუდისტებს პენსიისტიებად ავლნიან და, რა თქმა უნდა, ეს არ არის სწორი. ისინი არ არიან არც პენსიისტიები, არც ოპტიმისტები და სწორედ ამას გულისხმობს „იმედის გარეშე ყოფნა“. იმას, ვინც იმედოვნებს, ჩვენ ვუწოდებთ ოპტიმისტს. ჩვენ ვამბობთ, რომ იგი შავ ღრუბლებშიც კი ამჩნევს ნათელ მხარეს, იგი უკვე განთიადს ხედავს უკუნ ღამეში, იგი ოპტიმისტია. მაგრამ არსებობს სრულიად საპირისპირო — პენსიისტი — ყველაზე ნათელ მოვლენაშიც კი იგი ბნელს, ბოროტს ხედავს. შენ თუ გინდა მომავალ განთიადზე ელაპარაკე, მოკამკამე დილაზე, იგი გაბახუბებს, რომ ყოველ დილას აუცილებლად ახამარებს უკუნ ღამე. მაგრამ აუცილებელია გაიგოთ, რომ, თუშცა, პენსიისტი და ოპტიმისტი სრულიად საპირისპირონი არიან, ისინი არსებითად ერთს წარმოადგენენ. ისინი კონცენტრირებულნი არიან სხვადასხვაზე, მაგრამ მათი გონება ერთგვარია, სულერთია, დილას

ხედავთ უკუნ ღამეში თუ უველაზე კეთილ მოვ-
ლენებშიც კი მხოლოდ ბნელს უუურებთ, ეს
სულერთია, იმიტომ რომ თქვენ ორივე შემთხ-
ვევაში მხოლოდ ნახევარს უუურებთ. თქვენ შე-
გაქვთ განსხვავება, თქვენ ირჩევთ და ვერ
უუურებთ მთლიანობას.

ბუდა, ტილოპა და მეც თვითონ — ჩვენ არც
ოპტიმიზტები ვართ, არც პესიმიზტები, ჩვენ
მხოლოდ იმედი დავტოვეთ. იმედთან ერთად
მოდის ორივე — ოპტიმიზმიც და პესიმიზმიც.
ჩვენ უბრალოდ, როგორც მონეტას, ისე ვიხე-
რით იმედს და მასთან ერთად მიდის ორივე
მხარე — ორივე ასპექტი. ეს სრულიად სხვა
განზომილებაა, განსაგებად არც თუ ადვილი.

ტილოპა ხედავს საგანთა ასეთობას (მთლიან-
ობას), მას არ გააჩნია არჩევანი.

- იგი ერთდროულად ჰვრეტს დილასაც,
- სალამოსაც;
- იგი ხედავს ეკალსაც, ვარდსაც;
- იგი ერთდროულად ხედავს დაბადებას და
- სიკვდილს.
- მას არ გააჩნია თავისი არჩევანი.
- იგი არ არის ოპტიმიზტი, არც პესიმიზტი,
- იგი ცხოვრობს იმედის გარეშე.

მშვენიერია სიცოცხლე ასეთ განზომილებაში:
ცხოვრება იმედის გარეშე. თვითონ ეს ტერმინი
„იმედის გარეშე“ იწვევს თქვენში პესიმიზმს,
მაგრამ ეს გამოწვეულია ენის მიერ. ეს კი, რა-
ზედაც ტილოპა ლაპარაკობს — აღემატება ენას.
იგი ამბობს „უმაღლესი აღსრულება — უცვლელ-
ობის შეცნობა იმედის გარეშე“, უბრალოდ
გააცნობიერეთ თქვენი თავი ისეთი, როგორც
ხართ თქვენს მთლიანობაში, უბრალოდ, თქვენ
ხართ ასეთნი! არ არსებობს გაუმჯობესების,
შეცვლის, განვითარების, წრდის აუცილებლობა,
ეს არაა აუცილებელი.

შეუძლებელია ამას რამე მოუხერხოთ
ასეთია ამის რეალობა.

როგორც კი ღრმად შეაღწიეთ ამასი, ასეთო-
ბაში, უფროად გაქრებიან ეკლები და უვაილენ-
ბი, დღეები და ღამეები, გაქრება სიცოცხლე
და სიკვდილი, წაფხული და წაშთარი, არ დარ-
ჩება არაფერი რადგან გაქრა მიყრდნობა. ახლა
არაფერს არ ეტმასნებით. იმის მიღებით კი,
რაც თქვენ ხართ, საგანთა ასეთობის მიღებით,
გაქრება პრობლემა, არაფერია გადასაწყვეტი
— უბრალოდ თქვენ, ასეთი ხართ. მაშინ მოდის
წიმი, ეს არ არის იმედოვნების წიმი, ეს არის
მოუვაილედ ამოვსებული ენერჯის წიმი, თქვენ
უვაილოდ და არა რაიმესათვის მომავალში,
არამედ იმიტომ, რომ შეუძლებელია არ უვაი-
ლოდ.

როდესაც შეიცნობთ ყოფნას, მის ხიწმინდეს
მის ასეთობას, ზდება უვაილობა, ადამიანი უვა-
ვილობს და შეიშობს უოველგვარი ბილული მი-
წევის გარეშე. რატომ ვარ მე ბედნიერი? რა
მაქვს ისეთი, რაც თქვენ არ გააჩნიათ? რატომ
ვარ ჩუმი და მშვიდი? მივალწევ რაიმეს ისეთს,
რისი დაუფლებაც აუცილებელია თქვენთვის? არა
მე მხოლოდ მოვდუნდი მოცემულობაში (ყოფ-
ნის ასეთობაში). როგორც არ უნდა ვყოფილი-
ყავი — კარგი თუ ცუდი, მორალური თუ ამო-
რალური — ასეთი, როგორც ვარ — მე მხო-
ლოდ მოვდუნდი მოცემულ უოფიერებაში, და-
ვტოვე გაუმჯობესების უველა ცდები და დავტო-
ვე მომავალი, დავტოვე იმედი და მის დავტოვე-
ბასთან ერთად გაქრა უველაფერი. მე — თვითონ
ვარ თავისუფალი და ბედნიერი უოველგვარი მი-
წეების გარეშე; უბრალოდ მშვიდი, იმიტომ
რომ ახლა ვარსებობ იმედის გარეშე და იდე-
ლება შეუძლებელია ამგარ არსებობაში, როგორ
შეიძლება საკუთარი არსებობის აფორიაქება,
თუ არ არსებობს იმედი?

გაიხსენეთ: უოველგვარ მცდელობას მიშყავ-
ხართ მომენტამდე, როდესაც თქვენ დავტოვებთ
მას და შეწვევით უოველგვარ მცდელობას, და
უოველნაირი ძიება მიგიყვანთ იქამდე, რომ მხო-
ლოდ მხრებს აჩერავთ, დაქდებით ხის ქვეშ და
დამშვიდდებით.

თითოეული ბეტიალი მთავრდება უოფიერების
სანუკვარ მოცემულობაში, რაც თქვენ მუდამ გა-
გაჩნიათ. ამიტომ ხაჭირთა მხოლოდ ერთი —
ისწავლოთ მისი გაცნობიერება.

რითი ხართ თქვენ ცუდები? მე ვხვდები ათა-
ხობით ადამიანს; მაგრამ არ მინახავს ვინმე რომ-
მელიც იქნებოდა ნამდვილად ცუდი. ამას თქვენ
თვითონვე ქმნით. თქვენი შთაგონებით ქმნით
ავადმყოფობას, ბოროტებას, პრობლემებს, შემ-
დეგ კი სდევნით მათ — როგორ უნდა გადა-
წყვიტოთ ისინი? თავიდან თქვენ ქმნით, შემდეგ
სდევნით. რატომღა უნდა შექმნათ ისინი?

დატოვეთ იმედი, სურვილები და უბრალოდ
შეხედეთ იმას, რაც თქვენ უკვე ხართ; უბრა-
ლოდ დახუკეთ თვალები და დაინახეთ —
თქვენ ხართ ეს შესაძლებელია ერთ გაელ-
ვებაში. ამისათვის დიდი დრო არ არის აუცილე-
ბელი. თუ ფიქრობთ, რომ ამისათვის დროა ხა-
ჭირთ, თანდათანობით წადა, ეს თქვენი გონების
ბრალია. მაშინ დრო დაგვირდებათ ამისათვის,
სხვანაირად კი დრო არ არის აუცილებელი.

„უმაღლესი მიღწევა — იმანიენტურობის გა-
ცნობიერება“. ის, რასაც უნდა მიაღწიოთ, თან
გახლავთ, ეს თქვენი თვისებაა. ამასია იმანიენტუ-
რობის მნიშვნელობა; უველაფერი ის, რასაც უნ-
და მიაღწიოთ, უკვე არის თქვენში. თქვენ დაბა-
დებიდანვე ხართ სრულქმნილება. სხვანაირად
არც შეიძლება იყოს თქვენ ხომ სრულქმნილე-

ბის შეილება ხართ. ამას გულისხმობდა იესო, როდესაც ამბობდა „შე და მამარემი ვართ ერთი“. რას გვეუბნება იგი? იგი ამბობს, რომ შეუძლებელია გამოეყოთ მთლიანობას, რადგან მთლიანობისგან გამოხვედით!

ამოიღეთ წყალი ზღვიდან და გახიჩკეთ. მისი გემო ერთნაირი იქნება უველგან. ზღვის მთელი კიბიური შემადგენლობა მოცემულია ზღვის წყლის ერთ პანაწინა წვეთში. თუ ეს წვეთი მოსვით, თქვენ მთელი ზღვა შეიცანით — წარსული, მომავალი, აწმყო — რადგანაც ეს წვეთი ზღვაა — მხოლოდ მინიატურული. თქვენ კი წარმოადგენთ მინიატურულ მთლიანობას.

როდესაც თქვენსავე თავში ჩაიძირებით და უველაფერს შეიცნობთ, უვერად სიცილი წაგსკდებათ, რას ეძებდით? მაძიებელი ეძებდა საკუთარ თავს; თვითონ მგზავრივე იყო მიზანი და ეს არის უდიდესი მიღწევა: შეიცანით თქვენივე თავი, შეიცანით თქვენი აბსოლუტური სრულქმნილება — იმედის გარეშე. იმიტომ, რომ თუ იმედი არსებობს, იგი ხელს შეგიშლით, იგი მოუსვენრობად იქცევა, თქვენ კვლავ დაიწვებით ფიქრს — „შესაძლებელია რაღაც უფრო დიდი“ იმედი ყოველთვის ბადებს ოცნებებს „შესაძლებელია მეტი, რა თქმა უნდა, ის, რაც არის კარგია, მაგრამ...“

ჩემთან მოდიან და ამბობენ: „მედიტაცია ძალიან კარგად მიდის. რა თქმა უნდა, ეს სასარგებლოა, მაგრამ გვახსოვლეთ კიდევ რაიმე, ჩვენ გვინდა უფრო მეტი“. ზოგჯერ მოდიან ასეთი სიტყვებით: „უველაფერი მშვენიერია.“ „შემდეგ ამატებენ: „მაგრამ რა იქნება შემდეგში?“ ეს იმედი ჩაერია. უველაფერი კარგია, რატომღა გაფიქრებთ შემდეგში? როცა უველაფერი ცუდად იყო, კითხულობდით: „რა იქნება მომავალში?“ ახლა უველაფერი კარგადაა და ისევ კითხულობთ: „რა იქნება შემდეგში?“ დატოვეთ ეს, ეს არის იმედი!

რამდენიმე დღის წინ მოვიდნენ ასეთი შეკითხვით: „ახლა უველაფერი მშვენიერად მიდის, მაგრამ ვინ იცის რა იქნება მომავალში? რატომღა ებლაუტებით მომავალს, როდესაც უველაფერი კარგად მიდის? ნუთუ არ შეგიძლიათ იცხოვროთ პრობლემების გარეშე? ახლა უველაფერი კარგადაა, მაგრამ გაწუხებთ, ხვალაც თუ იქნება კარგად უველაფერი. თუ დღეს უველაფერი კარგადაა, საიდან გამოდის ხვალინდელი? განა დღევანდელი არ შობს ხვალინდელს? მაგრამ თქვენმა წუხილმა შესაძლებელია დაარღვიოს დღევანდელი და მაშინ, როდესაც მოვა ეს „ხვალ“, შეიძლება თქვენი ვარაუდი მართლა ახდეს და მაშინ იტყვიან: „აი, ამისი მეშინოდა. აი, ამაზე ვფიქრობდი და ხომ მოხდა ესეც“. უველაფერიც ეს მოხდა თქვენს გამო, ეს არ უნდა

მოხდეს არცო; მომავლის გარეშე რომ გეცხოვრათ ეს არ მოხდებოდა.

ეს გონების თვითგამანადგურებელი ტენდენციაა, თვითმკვლელობის ტენდენციაა. გონებას ყოველთვის შეუძლია თქვას: „შე გაფრთხილდები. შე გეუბნებოდი, შენ კი არ დატყვევდები, უველაფერს გაიფიქრებთ: „კი, ასეა, ზღვაა უველაფერად, შენ კი არ მოვუხმინე.“ მაგრამ ეს მოხდა სწორედ იმიტომ, რომ გონება გაფრთხილებდათ.

ბევრი რამ ხდება... თუ ასტროლოგებს მიაკითხავთ და პირომანტებს, ისინი რაღაცას გეტყვიან და, როდესაც ეს მოხდება, თქვენ დაიჭრებით, რომ მათ გიწინასწარმეტყველებს. უველაფერი კი პირიქით ხდება: იმის გამო, რომ მათ გიწინასწარმეტყველებს და თქვენმა გონებამ კი მიიღო, სწორედ ამიტომ მოხდა ეს. თუ გეტყვიან, რომ მომავალ თავში 18 მარტს მოკვდებით, ასეთი შესაძლებლობა რეალურია. ამიტომ კი არა, რომ მან იცის თქვენი მომავალი, იმიტომ რომ მან გიწინასწარმეტყველა ეს და 18 მარტს დაიპურობს თქვენს გონებას, ახლა ამ აზრის გარეშე ვერ დაიძინებთ, ვერ იფიქრებთ, ვერ შეუვარებთ, მთელი 24 საათი მხოლოდ ეს „18 მარტს შე მოკვდები“. ეს იქცევა აუტომატურად, გახიჩკრებად. ეს მიმდინარეობა იქცევა განუწყვეტელ ნაკადად და რაც ახლოა 18 მარტიან, მით უფრო დაჩქარდება ეს პროცესი, 18 მარტს კი შედეგება ამის თვითგანხორციელება...

ერთხელ ერთმა პირომანტმა იწინასწარმეტყველა თავისი საკუთარი სიკვდილი. მან ბევრადამიანს უწინასწარმეტყველა სიკვდილი და ბევრსაც აუხდა, ამიტომ იგი დაწმუნებული იყო თავის წინასწარმეტყველებაში. აბა სხვანაირად როგორღა ახსნიდით? იგი მოხუცი იყო და ვიღაც შეგობართაგანმა ურჩია ეწინასწარმეტყველა თავისი საკუთარი აღსახრული და მანაც შეისწავლა თავისი ხელი, სქემები და ასეთი ხისულელები, მთელი ეს აბსურდი; მან დაადგინა, რომ მოკვდებოდა ამა და ამ რიცხვში დილის 8 სათზე. მან დაიწყო მის ლოდინი 8 საათიდან იგი მზად იყო. დაქდა საათის ახლოს და ყოველ მომენტში სიკვდილი ახლოვდებოდა წამითაწამით. იგი მოიწვიდა ახლო და ახლო და აი დარჩა ბოლო, უკანასკნელი წუთი—ერთი წუთიც და გახდება 8. მაგრამ ის ჭერაც ცოცხალი იყო. — როგორ ეს რა უნდა იყოს? წამები გარბოდნენ და იმ მომენტში, როდესაც ისრებმა აჩვენეს 8 — იგი გადაეშვა ფანჯრიდან. სხვანაირად როგორ? იგი მოკვდა თავისი წინასწარმეტყველებით.

გონებას გააჩნია თვითდამანგრეველი მექანიზმი, ფრთხილად იუავით. თქვენ ბედნიერი ხართ, გონება ამბობს: „შენ ბედნიერი ხარ — მშვენიერია, მაგრამ ხვალაც ხომ მოდის? ხვალაც ბედნიერი იქნები?“ და გონებამ დაანგრია მოცემული მომენტი. მან შემოიყვანა მომავალი, ახლა

ხვალინდელი გამოვა გონების ამ მდგომარეობი-
დან და არა იმ ნეტარებიდან, რომელშიც იყავით.
ნუ იმედოვნებთ, ნუ გაქვთ რამის იმედი — და-
ტოვებთ უოველგვარი იმედი, იყავით აქ, ახლა,
ამ მომენტში, ამ მომენტთან, ამ მომენტის' გუ-
ლისათვის. ის კი, რაც უნდა მოხდეს, ამ მომენ-
ტიდან მოხდება, რა საჭიროა წუხილი? თუ ეს
მომენტი მშვენიერია, განა მომდევნო იქნება სა-
შინელი? ხაიდან მოვა იგი? ეს იზრდება, იგი
გახდება კიდევ უფრო მშვენიერი — სხვანაირად
არ არის; არ არის საჭირო ამაზე ფიქრი.

როდესაც მიადწევთ ამას, თქვენ დარჩებით
თქვენს თანდაყოლილ სრულქმნილებასთან. გა-
იგეთ, შე მიხდება სიტყვებით ლაპარაკი და არ-
ხეობს საშიშროება, რომ არახწორად გაიგებთ
როდესაც ვამბობ „დარჩით თქვენს შინაგან
სრულყოფილებასთან“ — იქნებ შეგაწუხოთ
ამან, რადგან ზოგჯერ გეჩვენებათ, რომ სრულ-
ლიადაც არა ხართ სრულყოფილები — მაშინ
დარჩით თქვენს არასრულყოფილებაში, არა-
სრულყოფილებაც სრულყოფილებაა! არაფერი
ცუდი არ არის ამაში. იყავით მასში, ნუ მიდი-
ხართ მოცემული მომენტიდან, მთელი არხეობ-
ბა არხეობს ახლა და აქ. ყველაფერი, რაც
უნდა მოხდეს, მოხდება აქ და ახლა. ასე რომ,
რაც უნდა იყოს, თუნდაც გრძნობდეთ, რომ არა
ხართ სრულყოფილი — მშვენიერია, იყავით
არასრულყოფილი ეს ის არის — რაც ხართ
თქვენ, ეს არის თქვენი მოცემულობა. სექსუა-
ლურ ხურვილს გრძნობთ — მშვენიერია, იგრ-
ძენით! თქვენ ასეთი ხართ, ღმერთმა გაგაჩინათ
ასეთი, ნაღვლიანი ხართ — შესანიშნავია, იყა-
ვით ნაღვლიანი, მაგრამ ნუ გაეჭყვევით ამ მო-
მენტს.

შეიზარდეთ ამ აწმყოში და თანდათან იგრძ-
ნობთ, რომ არასრულქმნილება გალღვა სრულ-
ქმნილებაში, ხეკსი გადავიდა შინაგან ექსტაზში,
წყრომა გაიხსნა თანაგრძნობაში.

თუ შეგიძლიათ იყოთ აწმყო მომენტში —
თქვენს არხებაში, მაშინ აღარ არხეობდენ პრობ-
ლემები. ეს არის უშაღღესი მიდწევა. მას არ
ქაჩნია იმედი, არ ხკირდება იგი, ვინაიდან იმ-
დენად სრულყოფილია, რომ იმედი არ არის
აუცილებელი. იმედი — ეს ნიშნავს ცუდ მდგო-
მარეობას, იმედი გულისხმობს, რომ თქვეში რა-
ღაც ვერ არის კარგად, ამიტომ გაქვთ საპირის-
პიროს იმედი. თქვენ უბედური ხართ იმედი გა-
ქვთ, რომ ოდესმე ბედნიერი იქნებით. თვითონ
ეს თქვენი იმედოვნება ამბობს იმას, რომ უბე-
დური ხართ. გრძნობთ, რომ უღამაზო ხართ და
იმედოვნებთ, რომ უოველთვის არ იქნებით ასეთი
— თქვენი იმედი არის თქვენი არახასიაშოვნო
გარეგნობის მარვენებელი. მიჩვენეთ თქვენი იმე-
დები და შე გეტყვით ვინც ხართ თქვენი იმე-
დები აუცილებლად გაშიშვლებენ. მიჩვენებენ ვინა

ხართ თქვენ. დატოვებთ იმედი და მხოლოდ იყა-
ვით. თუ იცდებით ამას, თუ გახინჯავთ ამ უბრა-
ლოდ უოფას, აი რა მოხდება!

დასაწყისში იოგი გრძნობს, რომ მისი გონება
ინგრევა და ჩანჩქერივით დგაფუნობს:
შუაგზაზე ჰგავს გასწვრივ მიწისებობა მშვილად
და ნელი:

ბოლოს იგი ხდება უნაპირო ოკეანე —
სადაც ერთმანეთს ერწყმის დედისა და
შვილის ნათელი.

თუ ხართ აქ და ახლა — მაშინ მოხდება პირ-
ველი სატორი, ნათელღებულობის პირველი გა-
მოკლავება და აი რა ხდება შიგნით: „დასაწყის-
ში იოგი გრძნობს, რომ მისი გონება ინგრევა
და დგაფუნობს ჩანჩქერივით...“ ეს იმიტომ, რომ
გონებამ გალღობა დაიწყო. ამჟამად იგი ჰგავს
გაყინულ მდინარეს, მაგრამ თუ ნამდვილად იმ-
ყოფებით ახლა და აქ, მაშინ თქვენი გონება
ღნობას დაიწყებს. თქვენ მზის ენერჯია მიმარ-
თებთ მისკენ. ახლა და აქ უოფნა წარმოშობს
დიდ ენერჯიას; თუ არც წარსულში და არც მო-
მავალში არ ტრიალებთ, მაშინ თქვენ ეუფლებით
მძლავრ ენერჯიას და ეს ენერჯია იქნება გონე-
ბის გაღნობის დასაწყისი.

ენერჯია — ეს არის ცეცხლი, ენერჯია — ეს
არის მზე, როდესაც არხად არ მიდიხართ, აბ-
სოლუტურად უძრავნი, ახლა და აქ, თქვენ ეზრ-
დებით თქვენსავე თავს (კონცენტრირდებით
მასზე). მაშინ ენერჯია არ იპარება, რადგან ენე-
რჯიას სურვილები და ამედები აპარებენ. იქნებ
კარგავთ ენერჯიას მომავლის გამო, შემდგომ
როტივაციის გამო: „გააკეთებთ რამე, იყავი რა-
მე, მოიპოვე რამე, რატომღა კარგავ დროს? მი-
დი! იმოძრავე! აკეთე!“ მაგრამ თუ ახლა და აქ
იმყოფებით, მაშინ ენერჯია როგორღა წავა? ახ-
ლა ენერჯია თქვენვე გიბრუნდებათ, იგი იქცევა
ცეცხლოვან სფეროდ და მაშინ გონების შეინ-
ვარი გაღნობას იწყებს.

დასაწყისში იოგი გრძნობს, რომ მისი გონება
ინგრევა და დგაფუნობს ჩანჩქერივით.
ყველაფერი ეცემა, მთელი გონება ინგრევა, იშ-
ლება — შესაძლებელია კიდევაც შეშინდეთ.
პირველი სატორის მოახლოებისას აუცილებელია
გურუბთან სიახლოვე, თორემ ვინღა გეტყვით!
„ნუ გეშინია! ეს მშვენიერია, ჩავარდი!“

ეს სიტყვა „ჩავარდი“ შიშს იწვევს, რადგან
ეს ნიშნავს უფსკრულში ჩავარდნას, სიიდაგის
გამოცლას ფეხქვეშ. შეუცნობში გადახვლას. ჩა-
ვარდნას სიკვდილის შეგრძნება ახლავს — ში-
ში. კლდეზე თუ ახუტხართ როდესმე, მწვევრა
ღზე, თუ გადმარგიხდით იქიდან ძირს, უფს-
კრულში, ეს თავბრუსხვევას, კანკალს, შიშს იწ-
ვევს; უფსკრული ჰგავს სიკვდილს. ფიქრიც კი

მასში ჩავარდნაზე მიზს იწვევს. როდესაც გონება დნობას იწყებს, ყველაფერი ინგრევა, ყველაფერი — ხიუვარული, ეგო, სიძუნწე, სიბრაზე, სიძულვილი — ყველაფერი, რასაც თქვენ წარმოადგენდით აქამდე, ყველაფერი უცრად ინგრევა, იშლება, თქვენ იქცევით ქაოსად: არავითარი დისციპლინა, არავითარი წესრიგი. აქამდე თქვენ იტყვიან თქვენს თავს დისციპლინის, კონტროლის საშუალებით. ახლებულავედით თქვენს თავს, ახლა კი, როდესაც გახდით განბოკილები და ბუნებრივი, ყველაფერი ინგრევა, ბევრი რამ, რასაც თრგუნავდით, ამოვა ზედაპირზე, ქაოსად იქცა ირგვლივ ყველაფერი, თქვენ დაემსგავსეთ შეშლილს.

პირველი საფეხურის გავლა ძალიან ძნელია, რადგან ისპობა და ნადგურდება ყველაფერი, რასაც საზოგადოება გაიძულებდათ, ყველაფერი, რაც აქამდე შეაგროვეთ და შეახუხულავეთ: რაც კი რამ იხსრავლეთ და რასაც კი შეეთვისეთ, ყველა თქვენი ჩვევები, ყველა თქვენი გზები და მიმართულებები. თქვენი პიროვნება, (გაიგივება), ყველაფერი ორთქლდება, თქვენ უკვე არ იცით, ვინ ხართ. აქამდე იცოდით, ვინც იყავით — საბედლი, ოჯახი, თქვენი პოსტი საზოგადოებაში, პრესტიჟი, სიამაჟე და მრავალი ახეთი რამე. აქამდე თქვენ ეს გეგონათ თქვენი თავი, ახლა უცრად გადნა ეს ყველაფერი, გაქრა ამასთან იგივეობა. ადრე ბევრი რამ იცოდით, ახლა კი უკველგვარი ცოდნის ვაჭრზე დასრბით.

ახე მოუვიდა ხოკრატეს, თავისი პირველი სატორის დროს თქვა მან: „ახლა მე ვიცი მხოლოდ ერთი — მე არაფერი არ ვიცი. ახლა მე ვფლობ მხოლოდ ერთადერთ ცოდნას — მე ვიცი, რომ მხოლოდ სრულ უმეტრებას წარმოვადგენ“. ეს არის პირველი სატორი.

სუფიებს სპეციალური ტერმინი აქვთ იმ ადამიანებისათვის, ვინც ამ მდგომარეობაში არიან. ჩინი „მახტს“, შეშლილს უწოდებენ ამ ადამიანებს. ასეთი ადამიანი გიუფრებთ, მაგრამ არ გხედავთ; იგი უაროდ დაუიალობს, იგი ლაპარაკობს დაუკავშირებლად. იგი იტყვის სიტყვებს, შემდეგ გარუბდება — მერე კიდევ წარმოთქვამს სიტყვას წინასთან დაუკავშირებელს; წარმოთქვამს წინადადებას, მერე მეორეს ასევე წინასთან დაუკავშირებელს — არ არსებობს არავითარი თანამიმდევრობა და სიმწყობრე. იგი თავისთავს ეწინააღმდეგება. ასეთ მომენტში აწყობილებელია სკოლა სადაც თქვენზე იზრუნებენ. სწორედ ამისათვის გაჩნდნენ აშრაშები — არ შეიძლება ასეთი ადამიანის დატოვება საზოგადოებაში, მას შეშლილად მათყლიან და ხატუვით ან ციხეში მოათავებებენ. გახინჯავენ, უმკურნალებენ. შეეცდებიან მის უკან დაბრუნებას, იგი კი იზრდება ამ დროს მან დაამხმ-

რია საზოგადოების ყველა ბორკილი, იგი იქცა ქაოსად.

ამ რატომ ვახსავლი ქაოტურ მედიტაციებს. ისინი დაგებმარებიან შეხვიდეთ პირველი სატორის მდგომარეობაში. შეუძლებელია თავიდანვე მდგომარე (გაუნძრეველი) მედიტაციით დაიწყოთ, შესაძლებელია თავის მდგომარეობაში თქვენ არ შეგიძლიათ ჩუმად დაუდეთ ეს შეუძლებელია. ეს შესაძლებელია მეორე სატორის დროს. პირველი სატორისას კი დინამიური და ქაოტურები უნდა იყოთ. საჭიროა ნება მისცეთ ენერჯიას, რათა ყველა თქვენი ბორკილი დაღეწოს, რათა უკველგვარ მცდელობისაგან დაიცალოთ. თქვენ პირველად ხდებით აუტსაიდერი (გარეშე), თქვენ უკვე აღარ ხართ საზოგადოების წევრი; ახლა საჭიროა ხკოლა, სადაც იზრუნებენ თქვენზე. საჭიროა გურუ, რომელიც გატყავით; „ნუ გეშინია, ჩავარდი, მშვიდად ჩაიძირე, ნება მიეცი ამას, დაე მოხდეს. ნუ მოეჭიდები ნურაფერს; ეს მოჭიდება მხოლოდ წამით დაგაუფრებს, ჩაიძირე!“ რაც ჩქარა ჩავარდებით, მით ჩქარა გადაივლის სიგიჟე, სიგიჟე დიდხანს გახტანს თუკი აუფრებს.

მთელი მსოფლიოს საგიჟეები სავსეა ადამიანებით, რომლებიც სრულიადაც არ წარმოადგენენ გიჟებს, რომელთაც სჭირდებათ გურუ და არა ფსიქიატრი. მათ თავიანთ პირველ სატორს მოაღწიეს, ფსიქიატრები კი უკან, ნორმაში დაბრუნებას აძალებენ. ისინი უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან თქვენზე, მათ ზრდა დაიწყეს, მაგრამ მათი ზრდა იმდენად არაჩვეულებრივია — ეს ასეც უნდა იყოს, როდესაც იწყება პირველი სატორი — რომ მათ სიგიჟე დახწამეს. ისინი ცდილობენ ამის დაფარვას და ცდილობენ ძველს მოეჭიდონ, რაც უფრო გააგრძელებენ ისინი ამ მოჭიდებას, მით შეტბანს გაგრძელება მათი სიგიჟე.

არც თუ დიდი ხნის წინათ, ზოგიერთი ფსიქონალიტიკოსი — ნაწილობრივ რ. დ. ლაინგი და სხვები მივიდნენ დაკვნამდე, რომ ზოგიერთი გიჟი ნორმის ქვევით კი არ დაეშვა, პირიქით, ისინი ამაღლდნენ ნორმაზე. დახვედრეთში მხოლოდ რამდენიმე ადამიანი მივიდა აქამდე, აღმოსავლეთში კი ეს უკველთვის იცოდნენ. აღმოსავლეთი არახდროს არ თრგუნავდა გიჟებს. აღმოსავლეთში გიჟს ხელავე მიიყვანენ სკოლაში, სადაც მრავალი ადამიანი მუშაობს. სადაც იმყოფება ცოცხალი გურუ. პირველ რიგში მისთვის საჭიროა სატორიში შევიდეს.

აღმოსავლეთში ყველგან პატივისცემით ეპყრობიან შეშლილებს; დასავლეთში კი ხდევნიან მათ, ძალით უკეთებენ ელექტრო თუ ინსულინის შოკებს და კიდევ ბევრ რამეს — ოუნდაც ეს ტყინის განადგურებას იწვევებს. აკეთებენ ოპერაციებს, რის შედეგადაც ვიგი უბრუნდება

ნორმას, მაგრამ ის უკვე უყუერი ხდება, გამო-
თავანებული. ისინი უკვე არ არიან გიჟები,
უკვე ვერაფერს მიაყენებენ ზიანს და საზოგადო-
ების ურუშარ და ნაღვლიან წევრობად იქცნენ
— ეს თქვენ მოკალით ისინი, მაგრამ თქვენ არ
იცოდით, რომ მათ უკვე მიაღწიეს იმ მომენტს,
როდესაც შესაძლებელია გიჟი შეადამიანად გა-
დაიქცეს. ქაოსის გავლა აუცილებელია.

აშრამში მოსიყვარულე გურუს და მოსიყვა-
რულე ადამიანების გარემოცვაში ადვილია ამ
ქაოსის გავლა. ამას უველა სათუთად ეპყრობა,
ეხმარება, მაშინ ეს პროცესი უმტკივნეულოდ
გადადის მცირე სატორიში. ასეც უნდა მოხდეს,
რადგან ყოველგვარი თქვენი წესრიგი თავსმო-
ხვეულია; იგი არ არის კრეშმარტი. ყოველგვა-
რი დისციპლინა გაიძულებით თქვენ, ეს არ არის
თქვენი შინაგანი დისციპლინა, ხანამ შინაგან
დისციპლინას მიაღწევდეთ, საჭიროა გარეგანი
მოიშორეთ; ხანამ ახალი წესრიგი დაიბადებო-
დეს, მანამდე საჭიროა, რომ ძველი მოკვდეს —
მათ შორის უფსკრული გაჩნდება. ეს უფსკრუ-
ლი წარმოადგენს სიგიჟეს.

გერჩენებით, რომ ვარდებით, ინთქმებით.
როგორც წყაღვიარდნილი უძირობაში.

ეს მომენტი თუ გავლილი იქნა, თუ პირვე-
ლი სატორი კარგად განიცადეთ, გზის შუაში,
გაჩნდება ახალი წესრიგი, იგი უკვე შიგნიდან
მოდის, თქვენი შინაგანი არსებობიდან, იგი არ
მოუცია საზოგადოებას, — არ მოუწვდია სხვას.
ეს უკვე არ არის ციხე. ჩნდება ახალი წესრი-
გი, თვისობრივად თავისუფალი. დისციპლინა
ხდება ბუნებრივი. იგი თქვენი საკუთარია, არა-
ვინ არ გაიძულებით მოიქცეთ ასე, თქვენ უბ-
რალოდ აკეთებთ იმას, რაც საჭიროა...

შუაგზაზე მგავს განგს,

მიედიდება მშვიდად და ნელა.

მოდგაფუნე, მოღრიალე ჩანჩქერი გაქრა. ქა-
ოსი უკვე არ არის. ეს არის მეორე სატორი.
თქვენ დაემსგავსეთ განგს — მშვიდად, ნელა,
უხმაუროდ მიმდინარეს. თქვენ გამოიყურებით,
როგორც ნეფე, მშვიდი, მოხდენილი, რაღაც
ახალი მოხდენილობა გამოსკვივის თქვენგან —
გრაცია, ელემენტურობა, ეს მეორე სატორი
არის დატერილი ბუდას ყველა ქანდაკებაში;
შესაძრე საფეხურის გადმოცემა შეუძლებელია.
შესაძლებელია გადმოიციეს მხოლოდ პირველი
და მეორე.

ნახეთ ბუდას ყველა ქანდაკება და ჯანისტე-
ბის ტერტანკარა, მათი ელემენტურობა, გრაცია.
მათი ფორმების თითქმის შეუშინველი, ქალუ-
რი ოვალობა. მათში არ არის ვაჟკაცურობა,
პირიქით, ეს სიმრგვალე და სილბილე მათ ქა-
ლური სინაზის გამომეტყველებას აძლევს. ეს
მოწმობს მათ სიმშვიდეს, აუჩქარებლობას. მა-
თში არ არსებობს არავითარი აგრესიულობა.

ძენის ოსტატები — ბოდჰიდჰარმა, რინჯი —
ყველა ისინი გამოხატულნი არიან პირველი სა-

ტორის მდგომარეობაში, აი რატომ არიან ისი-
ნი ამდენად ველურები, ისინი გააფთრებულ
ლომებს ჰგვანან, რომლებიც მზად არიან გეც-
ნენ. ჩახედეთ მათ თვალგზში, ისინი მგვანან
ცეცხლისმფრქვეველ ვულკანებს, ისინი შეგაძ-
რწუნებენ.

ტყუილად არ გამოუხატავს თავისი განვიანთ
პირველ საფეხურზე. მდინარე მდინარეებში იციან,
რომ პირველი სატორი ძნელია და თუ ბოდჰი-
დჰარმა ნახეთ ამ მდგომარეობაში, როდესაც
თქვენც შეგემთხვევათ იგივე, თქვენ უკვე არ
შეგეშინდებათ, რადგან თვით ბოდჰიდჰარმაც
გაიარა იგი. მაგრამ თუ მუდამ ბუდას და ტერ-
ტანკარას უყურებდით, მათ სიმშვიდეს, მათ აუშ-
დვრეველ დინებას და ქალურ გრაციას, მაშინ
თქვენი მძვინვარება, როდესაც იგი თქვენც გე-
წვევათ, როდესაც თქვენც მძვინვარე ლომს
დაემსგავსებით ან მოგრუბუნე ჩანჩქერს, მაშინ
ეს შეგაშინებთ.

აი რატომ ქარბობს ძენში მძვინვარების მდგო-
მარეობა, რა თქმა უნდა, არის ბუდას მდგომარე-
ობაც, მაგრამ ეს უკვე შემდგომი საფეხურია.
ამან შესაძლებელია პრობლემა შექმნას. რო-
დესაც სიმშვიდე მოგიცავთ, პრობლემები უკვე
არ იარსებებენ. ინდოეთში ეს მეორე მდგომარეობა
მეტისმეტად შეაფასეს და ამან წინააღ-
მდეგობა შექმნა. ამიტომ საჭიროა წინასწარვე
ვიცოდეთ რა და როგორ.

ბუდა — ეს უკვე სრულქმნილი არსებაა,
თქვენც შეგიძლიათ ბუდა გახდეთ, მაგრამ შუა-
ლედში, რომელიც ბუდასთან გაშორებთ, სა-
ჭიროა რაღაცა მოხდეს და ეს რაღაცა არის
სრული უგონობა.

რა მოხდება, როდესაც მიიღებთ ამ უგონო-
ბას, როდესაც ნებას დართავთ მას? — იგი
თანდათან უკან დაიხევს, ძველი, საზოგადოების
მიერ თავსმოხვეული წესრიგი გაქრება, აოსთ-
ქლდება; გაქრება ძველი ცოდნა, ყველაფერი,
რაც წინათ იცოდით ხალხთა წიგნებზე — ყვე-
ლაფერი ეს გაქრება, არსებობს ერთი გამოსა-
ხულება — ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნა-
ხატი — ძენის ერთი ბერი წვავს წიგნებს —
ეს ხდება პირველ მდგომარეობაში. იგი წვავს
ყველა წიგნს, ყოველგვარ ცოდნას: ყველაფერი,
რასაც გასწავლიდნენ, ახლა ეს ყველაფერი ნა-
გავია, ჯართი. ახლა ჩნდება თქვენივე საკუთარ-
ი სიბრძნე. უკვე აღარ არის საჭირო ვრწმე-
ხგან იხეხხოთ იგი, მაგრამ ამისათვის საჭიროა
დრო, თესლი რომ გაღვივდეს. ამისათვის დროა
საჭირო.

თუ ქაოსის გავლა შეძელით, მაშინ მეორე
მდგომარეობა ადვილად მოყვება ამას. ავტომა-
ტურად, თავისუფლად, თქვენ ახლა სიჩუმეში
ჩაიძირეთ. ყველაფერი დამშვიდება განგის მსგა-
ვსად. რომელმაც გაიყა მთების მერე, მთებში
იგი მძვინვარებდა ლომიქო. ეხეთქებოდა კლდე-
ებზე და უფსკრულებს ახლა მას ლატოვა ჩიუ-

ბა, ახლა რელიეფი შეიცვალა და იგი უკვე მდორედ მიედინება დაბლობზე, ძნელიც კია გაიგოს მიედინება თუ არა. იგი მიედინება მსუბუქად, თითქოს დინების გარეშე.

ამე მიიღწევა თანშობილი შინაგანი სრულყოფილება იმედის გარეშე — მიზანსწრაფვის გარეშე. მიედინებით აუნჩირებლად

ყოველწამიერად, ყოველწუთიერად მინეტარებთ.

ახლა მიიღვრებით, როგორც განგი მიიღვრება მშვიდად, ნელა. ამ მეორე მდგომარეობას აბსოლუტებს აბსოლუტური სიმშვიდე, სიჩუმე, განების სიკმადე, მოსვენება, შინ ყოფნის შეგრძნება.

და შემდეგ:

ბოლოს იგი ხდება უნაპირო ოკეანე სადაც დედისა და შვილის ნათელი ერწყმის ერთმანეთს.

შემდეგ უცრად, ამ მშვიდი ცურვით იგი ოკეანეს აღწევს და უერთდება ოკეანეს. ახლა ეს გახდა ერთი — იგი და ოკეანე — უნაპირო სივრცე, ყოველგვარი საზღვრების გარეშე. ეს უკვე არ არის მდინარე. ეს უკვე არ არის ცაღკეული ერთეული, ახლა უკვე არ არის ეგო. თვით მეორე სტადიაშიც კი არის ძალიან, ძალიან უაქიზი ეგო. ენდუხებს ორი საბუნწოდება გააჩნიათ: ერთი — ამაჰკარი — ეგო, „შევარ“ ეს არის ის, რაც თქვენ გააჩნიათ; მეორე — ახშიტა „არსობა“, „არა—ეგო“, ახლა თქვენ უკვე არ იძახით: „შე ვარ“ — ეს „შე“ უკვე არ არის, ახლა დარჩა მხოლოდ „ყოფნა“, „არსობა“ (ქართულად შესაძლებელია ამის ასეთნაირად გამოხატვა: „ვარსობ“) ამას ჰქვია ახშიტა. ეს არის ძალიან უაქიზი ეგო, ვერაფერ ამას ვერ იგრძნობს. ის პასიურია, აბსოლუტურად უაგრებიო. იგი არხად კვალს არ დატოვებს, მაგრამ იგი მაინც არსებობს. გრძნობ, რომ არსებობს.

აი, რატომ ჰქვია ამას მეორე სატორი: რა თქმა უნდა, განგი ძალზე მშვიდად და ჩუმად მიედინება, მაგრამ იგი მაინც არსებობს; ეს არის ახშიტა „ვარსობ“, „შე“ უკვე გაქრა, გაქრა მასთან დაკავშირებული ყველა სიჭრეტე, უკვე არ არის აგრესიული. მძვინვარე „შე“, მაგრამ დარჩა „ყოფნა“, „არსობა“, იშიტომ რომ მდინარეს გააჩნია ნაპირები, საზღვრები. იგი ჭერაც ცალკეულია, ჭერაც ინდივიდუალური. ეგოსთან ერთად ქრება პიროვნება, მაგრამ რჩება ინდივიდუალობა. პიროვნება — ეს არის ინდივიდუალობის გარეგანი გამოხატულება ინდივიდუალობა პიროვნების შინაგან მხარეს წარმოადგენს. პიროვნება — ეს არის სხვებისთვის,

იგი ვიტრინაა, გამოფენა. ეს არის — ეგო და იგი გაქრა. მაგრამ „ვარსობ“ მხოლოდ შინაგანი შეგრძნებაა, იგი არ გამოიხატება განსახილველად, ამას ვერაფერ ამჩნევს. იგი უკვე არ ერევა სხვის ცხოვრებაში, არ პუფს ცხვირს სხვათა საქმეებში. იგი უბრალოდ მოძრაობს, მაგრამ იგი ჭერაც აქ არის, რადგან განგი არსებობს როგორც ინდივიდუალობა.

შემდეგ ქრება ინდივიდუალობაც. ეს მესამე სიტუცია — ატმა. ატმაჰკარი — ეს ეგოა, „შე“. „ვარ“ მხოლოდ ჩრდილია ამ „შე“-სი. მთელი უურადდება თავმოყრილია „შე“-ზე. შემდეგ მეორე მდგომარეობა ახშიტა: „შე“ გაქრა, ახლა „ვარსობ“ — ეს იქცა მთლიანობად, იგი უკვე არ არის ჩრდილი. შემდეგ მესამე, ატმა — აქ უკვე არ არის არც „ვარსობ“, აქ ებიც გაქრა.

ეს არის ის, რასაც ტილოპა უწოდებს არა ეგოს. თქვენ ხართ, მაგრამ ყოველგვარი საზღვრების გარეშე. მდინარე ჩაიქცა ოკეანეში; მდინარე გადაიქცა ოკეანედ, იგი გაერთდა მასთან. უკვე არ არის ინდივიდუალობა; არ არის საზღვრები, ახლა არსებობა არსებობს როგორც არ-არსებობა — იგი გადაიქცა ზეცად, უსაზღვრო სილაფვარდედ.

ეგო ჰგავს შავ ღრუბლებს ცაზე, ახშიტა ჰგავს თეთრ ღრუბლებს ცაზე. ატმა კი ჰგავს უღრუბლო ზეცას, როდესაც რჩება უპირო ზეცა, მხოლოდ სილაფვარდე.

ბოლოს იგი ხდება უნაპირო ოკეანე სადაც შეეღისა და დედის ნათელი ერწყმის ერთმანეთს.

იქ უბრუნდებით თქვენს პირველ წყაროს — დედას. წრესრბოლა დამთარვდა. თქვენ უკვე შინ ხართ, ეს არის შენდობა, გახსნა პირველწყაროში. განგი დაბრუნდა (განგატორიში?) მდინარე დაუბრუნდა თავის პირველ წყაროს: ციკლი დამთავრდა, ახლა თქვენ ხართ, მაგრამ სრულიად განსხვავებული ყოფნით. ახლა უფრო მართებული იქნება იმის თქმა, რომ თქვენ არა ხართ.

ეს არის ყველაზე პარადოქსული მდგომარეობა, შეუძლებელია ამის თქვენთვის გადმოცემა, საჭიროა იგემოთ იგი. ეს არის ის, რასაც ტილოპა უწოდებს — შამაშუდრას — დიადი ორგანიზმი, საბოლოო და უმაღლესი. თქვენ დაბრუნდით იქ, საიდანაც მოხვედით. მოგწაურობა დამთავრებულია და არა მარტო მოგწაურობა. გაქრა მოგწაურობი, დამთარვდა არა მარტო მოგწაურობა, ახლა მიზანიც აღსრულებულია.

ახლა არაფერი არ არსებობს და ყველაფერი არის. გაიგეთ ეს განსხვავება — მაგდა არსებობს, სახლი არსებობს, მაგრამ ღმერთი — არის, რადგან მაგდის არსებობა შესაძლებელია შეწყდეს, სახლი შეიძლება არყოფნაში წა-

ვიდეს, ღმერთი კი შეუძლებელია წავიდეს არ-
უფნაში. ეს არის წმინდა „არსობა“. ეს არის
მაჰაშუდრა.

უველაფერი გაქრა, რაც კი რამ არსებობს.
დარჩა მხოლოდ „არსობა“. გაქრა სხეული, რა-
შეღიყ არსებობდა; გაქრა გონება, იგი არსე-
ბობდა; გაქრა გზა, იგი არსებობდა; გაქრა მი-
ზანი. უველაფერი გაქრა, რაც კი რამ არსებო-
ბდა. არის მხოლოდ „არსობის“ ხიწმინდე... ცა-
რიელი ხარკე, უღრუბლო ცა, ცარიელი უფნა.
ეს არის ის, რასაც ტილოპა მაჰაშუდრას უწო-
დებს. ეს არის უშაღლები, საბოლოო, არ არის
არაფერი ამის შემდეგ.

ღაიმახსოვრეთ ეს ხაში სტადია. თქვენ მოგი-
ნდებათ გაიაროთ ისინი: ქაოსი — უველაფერი
აუიარავდა, თქვენ უკვე არ იგივდებით არაფერ-
თან, უველაფერი ეცემა — თქვენ გიყი ხართ,
დააკვირდით ამას, ნება დართეთ ამას, გაიარეთ
ამაში, ნუ გეშინიათ და მითუმეტეს როცა მე
თქვენთან ვარ, არაფერი არ არის სახიფათო. მე
ვიცი, ეს მდგომარეობა გაივლის; მე ვიცი და
გარწმუნებთ, რომ ეს აუცილებლად გაივლის
და ხანამ ამას არ გაუვლია, მანამდე არ მოგი-
ცავთ არც ლოცვა, არც სიხადავე, არც ბუდას
სიჩუმე.

დაე მოვიდეს ეს სიგიჟე, რა თქმა უნდა, უვე-
ლაფერი ეს ემგვანება კოშმარს, მაგრამ დაე გე-
წვიოთ იგი. ამ კოშმართან ერთად გაქრება თქვე-
ნი წარსული. ეს იქნება უღიადესი განწმენდა,
კათარსისი, მთელი თქვენი წარსული გაივლის
ამ ცეცხლში და იგი იქცევა წმინდა ოქროდ.

შემდეგ მოვა მეორე სტადია. პირველი უნდა
გაიაროთ, არ უნდა შეგეშინდეთ მისი, არ უნდა
გაქცეთ. მეორე მდგომარეობაც შეიცავს გარ-
კვეულ ხაფრთხეს, სრულიად განსხვავებულს
პირველისაგან, სრულიად არახაშინელს, პირვე-
ლი მდგომარეობა უნდა გაგველოთ, უნდა გცო-
დნოდათ, რომ იგი გაივლიდა. საჭირო იყო მხო-
ლოდ რწმენა და დრო. მეორე მდგომარეობა
შეიცავს სრულიად სხვა ხაფრთხეს, თქვენ მოი-
ნდომებთ მის გაზანგრძლივებას, რადგან იგი
ამდენად მშვენიერია, მოგინდებათ სამუდამოდ
უფნა ამაში.

როდესაც შინაგანი მდინარე მიედინება მშვი-
დად და ნელა, გაჩნდება სურვილი დიდხანს
დარჩეთ მის ნაპირზე. უკვე არ გინდათ წახვი-
დეთ სადმე, ეს თავისებურ, დიდ საშიშროებას
წარმოადგენს.

გურუში უნდა დაგამშვიდოთ პირველ სტადი-
აში და გურუში უნდა იწრუნოს იმაზე, რომ მე-
ორე სტადიაში დიდხანს არ შეუვინდეთ. თუ
ეჭვიდებით ამ მდგომარეობას, მაშინ თქვენ არა-
ხოდებს არ შეგემთხვევათ მაჰაშუდრა. ბევრი აუ-
ოვნებს ამ მდგომარეობაში, ბევრი ებღაუჭება
მას, რადგან იგი ასეთი მშვენიერია — თქვენ
შეგივარდებათ იგი, საჭიროა სიფხიზლე —

იგი განვლილი უნდა იქნას. არ მოეჭიდოთ ამას.
თუ შეძლებთ დააკვირდით თქვენს შიშს პი-
რველ სტადიაში და თქვენს სიძუნწეს, სინა-
ნულს მეორის მიმართ. ^{გახსოვდეთ,} რომ შიში
და სინანული (სიძუნწე) — ეს ერთი და იმავე

მომენტის ორივე მხარეა. ^{შეიძლება} შეიძლება
მომენტის ორივე მხარეა. შეიძლება შეიძლება
ეჭვით რაღაცას, მაგთქმ ^{შეიძლება} შეიძლება დააკვი-
რდით შიშს, დააკვირდით სიძუნწეს და ნება
მიეცით დინებას გაგრძელდეს. ნუ შეაჩერებთ
მას, სხვანაირად თქვენ შეტბორდებით. განგი
შეჩერდება და იგი მდინარიდან გადაიქცევა გუ-
ბურად, ტბად და ის ტბა რამდენად მშვენიერ-
იც არ უნდა იყოს, მაინც მოკვდება. იგი გაივ-
სება შლამით, იგი გაშრება და უველაფერი
დაიქარება, რასაც მიადწიეთ.

გააგრძელეთ მოძრაობა. მოძრაობა მარადიუ-
ლია, უოველთვის გახსოვდეთ ეს — ეს არის
მარადიული მოგზაურობა, უოველთვის შეიძ-
ლება შეტს მიადწიოთ, ნება დართეთ ამას. ნუ
გეჭნებათ ამის იმედი, ნუ მოითხოვთ ამას, მხო-
ლოდ ნება-დართეთ ამის მოხდენას. რადგან მე-
რე, როდესაც განგი ოკეანეში ჩაიქცევა, დგება
მესამე, საბოლოო ხაშიში მომენტი — ხლა
თქვენ კარგავთ თქვენსავე თავს.

ეს არის უღიადესი სიკვდილი. ეს ემგვანება
აღსახრულს. თვით განგიც კი შედრება, ათრ-
თოლდება. ხანამ ჩაიქცეოდეს. თვით განგიც
კი მოიხედავს და გაიხსენებს თავის მშვენიერ
დღეებს ველზე, მყინვართა და ჩანჩქერთა
მოგრუბუნე დღეებს. საბოლოო მომენტში, ოკ-
ეანეში ჩაქცევის წინ, განგიც აუოვნებს, მას
სურს უკან მოიხედოს, გაიხსენოს თავისი ტკბი-
ლი დღეები, უფრთხილდით ამას, ნულარ აუოვ-
ნებთ.

როცა მიუახლოვდებით ოკეანეს, გაიხსენით,
გამქრით მახში, მხოლოდ ამ ბოლო მომენტში
უნდა გამოეთხოვოთ გურუს, არა უადრეს ამა-
ზე. გამოეთხოვეთ გურუს და იქცით ოკეანედ.
ამ მომენტამდე კი აუცილებელია იმის ხელი,
ვინც იცის.

ვინც ეწინააღმდეგება გურუსთან ახლო ურ-
თიერთობას, ეს წინააღმდეგობად იქცევა ხანია-
ხას მიღებისათვის. თქვენ გირჩევნიათ ამ კვე-
შირის გარეშე დარჩენა. გირჩევნიათ შეიცნოთ
ყოველგვარი ვალდებულების აღების გარეშე მა-
გრამ ამრიგად შეუძლებელია სწავლა, თქვენ გა-
შირის გარეშე დარჩენა. გირჩევნიათ შეიცნოთ
თქვენი გურუს სათაყვანო არსებაში; საჭიროა
დაუქავშირდეთ. ამის გარეშე შეუძლებელია
წრდა.

ამის გარეშე შესაძლებელია ცოტ-ცოტა უვე-
ლაფერი შეისწავლოთ, შესაძლებელია განხა-
ღვრული ცოდნის დაგროვება — მაგრამ ეს არ
გიშველით. პირიქით, ეს ხარირად იქცევა, სა-
ჭიროა ღრმა, სრული მიცემა, მინდობა, რადგან
ბევრი რამ მოგიწევთ თუ გარეთ იმყოფებით.

შეშთხვევით სტუშარივით სწავლობთ. ახე ცოტა
 რამ თუა შესაძლებელი. რა მოგივიათ, როდესაც
 მოხდება ბირველი ხატორი? რა მოგივიათ, რო-
 დესაც დაკარგავთ განსჯას? თუ სრულეებით
 დაუკავშირდით გურუს, მაშინ არაფერს არ
 კარგავთ. რადგან თქვენ არაფერია გაგანნიათ
 დახაკარჯი. თუ მიენდეთ, მხოლოდ მოიგებთ.
 თქვენ არ კარგავთ არაფერს; არაფერია დახაკარ-
 ჯი, ხახიფათო. მაგრამ ყველას ხურს აუოს ძა-
 ლიან კვიანი, ყველას ხურს დაუკავშირებლად
 იხწავლობს, მაგრამ ეს ქერაც არ მომხდარა, რა-
 დგან ეს შეუძლებელია.

თუ მართლა გულწრფელად ეძებთ,
 მაშინ ნახეთ ვინმე
 ვისთანაც ღრმად დაკავშირებულნი შეძლებთ
 შეცნობას,
 ვისთან ერთადაც შეიძლება შეცნობა
 გადავიარდნა.
 ამის გარეშე მრავალი ცხოვრება
 იბორიალებთ სიბნელეში
 და კიდევ მრავალს იბორიალებთ...
 ამის გარეშე შეუძლებელია შეცნობა.
 მოიკრიბეთ მამაცობა და გადაეშვით.





პერმანენულიანი

თარგმან რუსულად ლვინიზაჰიშ.

ვეზიანი და სიდიადე რიპარდ ვაზნიერისა

Il y a là mes blâmes, mes éloges et tout ce que j'ai dit.

Maurice Barres¹

ბანჯელნი და დიადი, როგორც თვით XIX საუკუნე, რომლის ხრულყოფილ განსახიერებებსაც იგი წარმოადგენს, — ისეთი მიდგას თვალწინ რიპარდ ვაზნიერის სულიერი ხატი. მე მას ვხედავ იმ საუკუნის ყველა დამახასიათებელი ნიშან-თვისებით სახედარულს, ყველა მისი მისწრაფებით მხრებდამიძიმებულს და თითქმის ვერც კი განმისხვავებია მისი შემოქმედებისადმი — ამ ერთ-ერთი ყველაზე სადაოდ დიდებულნი, მხატვრული სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე მრავალმნიშვნელოვანი და მომზიბლავი ფენომენისადმი სიყვარული იმ საუკუნის სიყვარულიანაგან, რომლის უდიდეს ნაწილსაც იგი თავისი ცხოვრებით ავსებს, დაუღვრემელი და უარობი, მოწამებრივი, ბოხოქარი და უარყოფილი, ბოლოს კი მსოფლიო დიდების შარავანდედით დაჯივრავინებული ცხოვრებით. ჩვენ, თანამედროვეთ, ისეთი ამოცანებით დატვირთულთ, მწელად რომ მოეპოვება ბადალი სიახლითა და სიბრთულით, არც დრო გვაქვს ხაიზინო და არც ხაღისი, კუთვნილი მივაგოთ იმ ეპოქას, წარსულს რომ ხარდება (ჩვენ მას ბიურგერულს ვუწოდებთ); ჩვენი დამოკიდებულება მე-19 საუკუნისადმი ისეთივეა, როგორც შვილებისა მამისადმი: კრიტიკული, როგორც ეს უნდა

აქოს კიდევ. ჩვენ მხრებს ვიხეჩავთ მის რწმენაზეც. — რწმენაზე იდეებისადმი, და ურწმუნობაზეც. — მის მელანქოლიურ რელატივიზმზე. მისი ლიბერალური ერთგულება გონებისა და პროგრესისადმი ლიბილისმომგვრელი გვეჩვენება, მისი მატერიალიზმი — ფრიად კომპაქტური, სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნისადმი მისეული მონისტური სწრაფვა — მეტისმეტად შედაპირული, და მაინც, მის მეცნიერულ სიამაყეს აწონასწორებს და გადასძლევს კიდევ კენიზიზმი, ღამისა და სიკვდილისადმი მისეული ლტოლვით, რაც ოდესმე ალბათ მის ყველაზე ნიშანდობლივ თვისებად უნდა ჩაითვალოს. ამას კი ერწყმის მიდრეკილება და მისწრაფება მასშტაბურობისაკენ, დადი ქმნილებებისაკენ, მონუმენტურობისა და გრანდიოზულ-მასიურობისაკენ, რაც, ჩვენდა გასაოცრად, სიმცირისა და შედმიწვევითი სიუსტიხისადმი, სულიერი დეტალებისადმი ტრფიალთანაა შეთავსებული. დიად, სიდიადე, მაგრამ პირქუში, წამებული, სკეპტიკური და, ამავე დროს, ქეშმარიტების სიმწარით, ქეშმარიტების წვდომის ფანატიზმით გამსჭვალული სიდიადე, რომელსაც წარმოვალნი მწვენიერებით წაშიერტობთაში ხანმოკლე, რწმენას მოკლებული ბედნიერების მიგნება ძალუძს, — აი, ასეთი სიდიადე წარმოადგენს ამ საუკუნის არსსა და ბეჭედს; მის სკულპტურულ ხატად ყველაზე მეტად წნეობრივი ტვირთის ქვეშ ატლანტურად კუნთებდაძაბული ფიგურა გამოდგება. მიქელანჯელოს ქანთაღებებს რომ მოგვაგონებს

¹ აქ არის მსჯავრი, ჩემგან გამოტანილი, ხოტბა, ჩემგან აღვლენილი და ყოველივე ის რაც გამომითქვამს.
მორის ბარესი (ფრანგ.)

რა გოლიათურ უღელს იდგამდნენ მაშინ მხრე-
 ბზე, ეპიკურ უღელს, ამ დიადი სიტყვის უკი-
 დურესი მნიშვნელობით, — და ამასთან დაკავ-
 შირებით მხოლოდ ბალზაკი და ტოლსტოი კი
 არ უნდა გავიხსენოთ, არამედ ვაგნერიც, როცა
 მან თავის მეგობარს, ლისტს (1851 წელი იდგა)
 საზეიმო წერილში „ნიბელუნგების“ გეგმა გა-
 დაუშალა, ლისტმა ვაიმარიდან ასე წააქეზა:
 „ხელი მოკიდე საქმეს და არაფერს არ გაუ-
 წიო ანგარიში, ისე იმუშავე შენს ქმნილებაზე,
 რომელსაც, ყოველ შემთხვევაში, ავიყვ
 მონა შეიძლება წაუუენო, რაც სევილიის ტაძ-
 რის კაპიტულშია წაუუენა არქიტექტორს კათედ-
 რალის მშენებლობისას: „ისეთს ტაძარს ავი-
 შენეთ, რომ მომავალმა თაობებმა თქვან, კაპი-
 ტული შეშლილა — ასეთი არაჩვეულებრივი რამ
 რომ აუგიაო“. ტაძარი კი მაინც დგას!“ — ამ
 ეს არის მე-11 საუკუნე!

იმპრესიონისტული მხატვრობის ჯადოსნური
 ბალი საფრანგეთში, ინგლისური, ფრანგული,
 რუსული რომანი, გერმანული სტუდენტებისმეტყვე-
 ლო შეცნობებიანი, გერმანული მუსიკა, — არა,
 ეს არ ყოფილა ურიგო საუკუნე, უკან რომ
 მოვიხედავთ, მთელი ტყეა დიდი ადამიანებისა,
 და მხოლოდ რეტროსპექტივა, დისტანცია იძ-
 ლევა სწორედ იმის საშუალებას, გვაროვნული
 მსგავსება დავინახოთ უველა მათგანში, ის სე-
 რთო ბეჭედი, რომელიც, მიუხედავად მთელი
 წათი ყოფისა და უნარის განსხვავებულობისა,
 ეპოქას დაუსვამს მათთვის. ავიღოთ თუნდაც
 ზოლა და ვაგნერი, „Rougon-Macquart“ და „ნი-
 ბელუნგის ბეჭედი“ — ორმოცდაათი წლის წინ
 ძნელად თუ ვინმეს მოუვიდოდა აზრად ამ ორი
 შემოქმედის, ამ ორი ნაწარმოების ერთად მსე-
 ნება. ისინი კი მაინც გვერდიგვერდ დგამან.
 მხოლოდ დღეს გვხვდება თვალში სულისმიერი,
 ზრახვათა, საშუალებათა ნათესაობა, მათ მხო-
 ლოდ პატივმოყვარული მასშტაბურობა, გრძ-
 ნდიოზულობისა და მასიურობისაკენ მიწრა-
 ფება როდი აკავშირებთ ერთმანეთთან, და არც
 მხოლოდ ტექნიკურა მხარე, მომერული ლაი-
 ტმოტივი: მათ უპირველეს ყოვლისა ნატურა-
 ლიზმი აერთიანებთ, რომელიც, სიმბოლურობა-
 მდე ამბობებული, მითიურში გადაიწრდება;
 აბა, ვინ შეუძლია უარყოს ზოლას ეპოსში
 სიმბოლიზში და მითიურისკენ ლტოლვა, რაც
 მის მხატვრულ ხანებებს სინამდვილეზე აამაღ-
 ლებს? ვანა მეორე ამპერიის ასტარტა, ნანად
 წოდებული, სიმბოლო და მითოსი არ არის?
 საიდან მოდის ეს სახელი? ეს არის უძველესი
 ბგერები, კაცობრიობის უადრესი, გრძნობას-
 ზიერი ხუტბუტი: ნანა, ეს ხაბილონელი იშტ-
 არის მეტსახელია, „ცოდა კი ეს ზოლამ? მაგ-
 რამ, მით უფრო უცნაური და ნიშანდობლივია,
 თუ მან ეს არ იცოდა.

ტოლსტოისაც სჩვევია ნატურალისტური

მასშტაბურობა, დემოკრატიული მასობრიობა,
 მასთანაც გვხვდება ლაიტმოტივი, საკუთარი ციტა-
 ტები, მუარი შესიტყვებანი, მის პერსონაჟებს
 რომ ახასიათებენ, ტოლსტოის მშობრად საუვე-
 დურობენ იმ უღმობლობის გამო, რომელიც
 მის თნრობას ახლავს, საუვედურობენ გამეორე-
 ბის, ჩაგონების, მისი გადაწყვეტილების გამო,
 არ დაინდოს მკითხველი, საუვედურობენ საუ-
 მომანებრებელი სიმძლავროს გამო; ვაგნერზე
 კი ნიცშე ამბობს, რომ იგი, უდავოდ, უველაზე
 მოურიდებელია გენიოსებს შორის, რომ იგი
 თითქოს მსმენელს იპურობს ერთი და იგივეს იმ-
 დენქერ გამეორებით, ვადრე მსმენელი, არა-
 ქათგამოცლილი, ხაბოლოოდ არ ერწმუნება მას.
 ეხეც ანათესავებთ მათ, მაგრამ უფრო ღრმა
 ნათესაობა სოციალურ-ეთიკურ ელემენტში
 ძევს, რაც მათ აერთიანებთ, და არცთუ ისე
 მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ვაგნერს
 ხელოვნება საიდუმლო მსახურებად, საზოგადო-
 ების წყლულთა უებარ მალამოდ მიაჩნდა,
 ხოლო ტოლსტოიმ სიკვდილის წინ ზურგი აქცია
 მას, როგორც ფუჭ ფუფუნებას. თუმცა
 როგორც ფუფუნება, ვაგნერმაც უარყო იგი.
 ხელოვნების განმწმენდ და მაკურთხებელ
 ძალაში იგი გაბრწინილი საზოგადოების
 განწმენდასა და კურთხევას ხედავს, ის კათარ-
 ზისის ადამიანია, სიწმინდის კომაგია, რომელსაც
 ესთეტიკასთან ზიარებით სურს გაათავისუფლოს
 საზოგადოება ფუფუნების, ფულის ბატონობის,
 უსულგულობისაგან; თავისი სოციალური ეთი-
 კით იგი ძალზე ახლოსაა რუს ეპიკოსთან. მათ-
 თვის საერთოა ისიც, რომ ორივეს ცხოვრებაში
 ლამობდნენ დაენახათ გარდატეხა, რომელმაც
 თითქოს დაამხვტრია მათი ხასიათი, მათი მსო-
 ფლმზედველობა, რასაც ერთგვარი ზნეობრივი
 კოლაპსის მნიშვნელობა ჰქონდა, — სინამდვი-
 ლეში ორივეს ცხოვრების ვნა სრულყოფილი
 თანმიმდევრობისა და ერთიანობის განსახიერე-
 ბაა. ვინც თვლის, რომ ღრმად მოხუცებული
 ტოლსტოი ერთგვარმა რელიგიურმა ექსტაზმა
 შეიპყრო, ის ვერ ხედავს, რომ მისი ცხოვრე-
 ბის ბოლო სტადია მისსავე განვლილ ცხოვრე-
 ბაშია ახახული; მას ავიწყდება ან ვერ შეუნი-
 შნავს, რომ ისეთ მხატვრულ სახეებში, როგო-
 რიცაა პიერ ბეზუზოვი „ომსა და მშვიდობაში“,
 ან ლევინი „ანა კარენინაში“, — მოხუცი ტოლს-
 ტოის სულიერი ხატია აღბეჭდილი. და როცა
 ნიცშე ისე წარმოგვიდგენს, თითქოს ვაგნერი
 სიკვდილის წინ, დამარცხებული, ერთბაშად
 დაეცა მუხლებზე ქრისტიანული ჭვარის წინა-
 შე, მას ავიწყდება, ან სურს დაგვაავიწყოს, რომ
 „ტანპოიზერის“ განცდათა საშუაროში უკვე
 ირეკლება „პარნიფალიზ“ განცდები, რომ ეს
 უკანასკნელი ვაგნერის მთელი ცხოვრების უად-
 რებად რომანტიკულ-ქრისტიანული შემოქმედე-
 ბის შექამებას წარმოადგენს და დიადი თანმიმდევ-

ვრულობით განახრულებს მას. ვაგნერის უკანასკნელი ნაწარმოები უველაზე თეატრალურიც არის მის კმნილებებს შორის და უფრო ლოგიკური შემოქმედებითი გზის დახანელება გავვიჩინებოდა. გრძნობადობითა და სიმბოლური ფორმულებით აღბეჭდილი ხელოვნება (რამეთუ ლაიტმოტივი ფორმულაა, უფრო მეტიც, — საჭურჭლე, რომელიც თითქმის რელიგიურ ავტორიტეტზე აცხადებს უფლებას) უთუოდ ეკლესიისთვის დამახანიათებელი ხანეიმო მხანურებისაკენ გვაბრუნებს და, ვგონებს, თეატრის ფარული მიხწრაფება, უკიდურესი პატივმოყვრული მოთხოვნალება სწორედ რიტუალია, ხანიდანაც მომდინარეობს იგი, როგორც წარმართული, ასევე ქრისტიანული. თეატრალური ხელოვნება — უკვე თავისთავად მოიცავს ბაროკოს, კათოლიციზმს, ეკლესიას; და ხელოვანს, რომელსაც, ვაგნერივით, სიმბოლოებით მოქმედება და საჭურჭლის შეაღმართვა სჩვევია, საბოლოოდ მოძღვრის მოძმედ, იქნებ თვით მოძღვრადაც უნდა ეგრძნო იავი.

ხშირად დავფიქრებულვარ იმაზე, რაც ვაგნერსა და იბსენს ერთმანეთთან აკავშირებს, და გამჭირვებია განსხვავების პოვნა ეპოქალური ნათესაობასა და უფრო ახლობლურ დამოკიდებულებას შორის. ვიდრე თანამედროვეობა წარმოშობს. შეუძლებელი იყო იბსენის ბიურგერული დრამის დიალოგში არ ამოშეცნო შემოქმედების, დატყვევების ისეთი ხერხი თუ საშუალება, რომელიც ვაგნერის ბგერათა სამუაროდან არ იქნებოდა ჩემთვის ნაცნობი, არ აღმოშეჩინა მათ შორის ძმური სიანლოვე, რაც უბრალოდ მათ სიდიადეში, მაგრამ, უმეტესად, ამ სიდიადის ხანიათში მდგომარეობს. რამდენი რამაა საერთო მათ გაუგონარ ხისრულეში, სფერულ სრულყოფილებაში, მათი ბუმბერაზული შემოქმედების მთლიანობაში, რომელიც ახალგაზრდობაში სოციალურ-რევოლუციურია, მოზუცებულობაში კი — მისტიკურ-სადღესასწაულო შექთამოსილი? „როცა ჩვენ, მკვდრები, ვიღვიძებთ“ შემწარავი ჩურჩლით წარმოთქმული აღხარებაა შემოქმედისა, რომელიც ინანიებს; გვიანი, ძალზე გვიანი ვანდობა სიყვარულში „სიცოცხლისადმი“ — „პარსიფალი“ კი — ხსნის ორატორია, — როგორ მივეჩვიე მათ ერთიანობაში ხედვას და აღქმას; ეს ორი გამოსათხოვარი დრამა და უკანასკნელი სიტყვები ხამუდამოდ დადუმების წინ მხცოვანობის წმინდა კმნილებებია, რომელთაც დიდებულ-სკლეროზული დაღლილობის, უკვე შექანიზებული ხერხების, ნაგვაანევი ვანწოვადების, წარსულის კვრეტის, თვითციტირების, კვანძების ვახსნის ბეჭედი აწის.

განა ის, რასაც „Fin de siecle“-ს2. უწო-

დებდნენ, მცირე ეპოქის უბადრუკი სატარული თამაში არ იყო საუკუნის იმ კვშმარობ მუხლმოდრეკის ღირს გამომძნოლთან შედარებით, ამ ორი ქადოქრის მსკოვანობისდროინდელ კმნილებებში რომ ვახსნა? რივენი ხომ ჩრდილოელი ქადოქრები იყვნენ, ცბიერი, თვალთმაქცი მოზუცებულები, ჩაგონების კოველგვარ ხელრწენაში დაონტატებულნი, რასაც ისინი აღწევდნენ როგორც გრძნობით, ისე დახვეწილი სატანური არტისტიზმით. უდიდესი შემოქმედების ძალით, უმცირეს დეტალთა კულტით, კოველგვარი ორაზროვნებითა და სიმბოლოთა ძერწვის ხერხით, გამონაგონის განდიდებით, ინტელექტის პოეტაზებით — მუხიკოსები, როგორც ეს ჩრდილოელებისათვის თავისთავად იგულისხმება; და არა მარტო ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც შეგნებულად შეისწავლა მუხიკა, რადგან იგი მას სჭირდებოდა, როგორც დამპყრობს, არამედ მეორეც, იბსენიც, თუმცა ის ფარული მუხიკოსი გახლდათ, სულიერი, რომლის მუსიკა სიტყვებს მიღმა იყო დამალული.

მაგრამ ის, რის ძალითაც ისინი ტყუპებით მგვანან ერთმანეთს, არის სუბლიმაციის პროცესი, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, პროცესი, თითოეული მათგანის ხელში რომ განიცადა ხელოვნების იმ ფორმებმა, რაც სულიერად არცთუ ხანარბიელო მდგომარეობაში დაუხვდათ. ხელოვნების ეს ფორმა ვაგნერიხათვის ოპერა იყო, იბსენისათვის — დრამა. გოეთე ამბობს: „კოველივე სრულყოფილი უნდა გასცდეს საკუთარ ფარგლებს და რაღაც სხვად, უბადლოდ იქცეს. ზოგიერთი ბგერით, რომლებსაც ბულბული გამოსცემს, ის ქერ კიდევ ჩიტია, მაგრამ შემდეგ ამადღება თავის კლასზე, თითქოს სურს უველა ფრთოსანს უჩვენოს, რას მქვია გალობა“. ზუხტად ასევე სრულუვეს ვაგნერმა და იბსენმა ოპერა და სამოქალაქო დრამა; მათ ისინი რაღაც სხვად აქციეს, სრულიად შეუდარებელ საფეხურზე აიყვანეს, და იმ გამომძნოლს, იმ ნაშთს, გოეთეს მაგალითში ბულბულზე რომა ნათქვამი, მათთანაც ვაოულობთ: დროდადრო, თვით მისი შემოქმედების მწვერვალამდე, „პარსიფალამდე“. ვაგნერთან ქერ კიდევ გამომსკვივის ოპერა; დროდადრო იბსენთან დრამის დიუმასეული ტექნიკა იჩენს სოღმე თავს, მაგრამ ორივე შემოქმედი იმ გაგებით, რომ მოცემული არანახულ სიმაღლეზე აბყავთ და მისგან ახალს, აქამდე წარმოუდგენელ თვისობრიობას კმნიან.

მაინც რით აღწევდა სულიერად ვაგნერის შემოქმედება ასეთ სიმაღლეზე მთელ ადრინ-

² საუკუნის დასასრული (ფრანგ.)

დელ მუსიკალურ დრამასთან შედარებით? ამ
 ამაღლებას ახდენს ორი ძალის ურთიერთ-
 ქმედება, ორი ძალისა და ორი გენიალური
 ნიჭისა, რომლებიც თითქოს ერთმანეთისადმი
 მტრულად დაპირისპირებულად უნდა მოგვე-
 ჩვენოს და რომელთა კონტრადიქტორულ
 არსს სწორედ დღეს კვლავ და კვლავ
 დაუზარებლად აღვნიშნავთ: ეს ძალებია ფსი-
 ქოლოგია და მითოსი. მათ ერთიანობას, ჩვე-
 ულებრივ, უარყოფენ, ფსიქოლოგიას მეთისმე-
 ტად რაციონალურად მიიჩნევენ ხაიმისოდ,
 რომ მასში არ შეიძლება დღეს გადაულახავი
 დაბრკოლების დანახვა გზად მითიური ქვეყ-
 ნისაკენ. მას უპირისპირებენ მითიურს, ისევე
 როგორც მუსიკალურს, თუმცა სწორედ ფსი-
 ქოლოგიის, მითოსისა და მუსიკის ეს კომპლექ-
 სი გვევლინება ორგანულ სინამდვილედ ორი
 უდიდესი შემოქმედის — ნიცშესა და ვაგნე-
 რის ნააზრევში.

როგორც ფსიქოლოგზე, ვაგნერზე მთელი
 წიგნი დაიწერებოდა, კერძოდ, როგორც მუ-
 სიკოსის, ასევე პოეტის ფსიქოლოგიურ ხელო-
 ვნებაზე. რამდენადაც შესაძლებელია მასში ამ
 ორი საწყისის ერთმანეთისაგან გამოყოფა. მო-
 გონების მოტივის ტექნიკა, რომელიც აქა-იქ
 ძველ ოპერაშიც გამოიყენებოდა, თანდათანო-
 ბით ღრმავარდნის ვირტუოზულ სისტემად
 ვითარდება და მუსიკას მინიშნების, ჩაღრმავე-
 ბის, ურთიერთკავშირის ფსიქოლოგიურ იარა-
 ღად აქცევს, რასაც აქამდე ამ წოდებით არხად
 არ მქონია ადვილი. „სიყვარულის ნექტარის“
 ნაივურ-ემოციური ქადონსური მოტივის გააზრ-
 ება უკვე ჩასახული ვნებისაგან თავის დაღწე-
 ვის ერთგვარ საშუალებად (სინამდვილეში,
 რასაც შევვარებულები სვამენ, უბრალო წყა-
 ლიც შეიძლება უყოფილიყო და მხოლოდ
 მათი რწმენა, რომ სიკვდილი შეხვევს, სული-
 ერად ათავისუფლებს მათ იშვამინდელს ზნე-
 ობრივი კანონისაგან) — დიდი ფსიქოლოგის
 პოეტური იდეაა. რამდენად სცილდება ვაგნე-
 რის პოეტური საწყისი ლაბრეტოსათვის იმთა-
 ვთვე დამახასიათებელ დონეს, — და, სა-
 ხელდობრ, არა იმდენად ენობრივი, რამდე-
 ნადაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით
 „რა ჯოჯობეთურ ცეცხლში ვტრიალებ“, ამ-
 ხობს მოლანდიელი მეორე მოქმედებაში, სე-
 ნტასთან მშვენიერ დუეტში —

რა ჯოჯობეთურ ცეცხლში ვტრიალებ,
 ხუთე ეს არის მართლა ტრფიალი?
 ო, არა! სული ზეცისკენ ილტვის. —
 ექითვენ მიხმობს თვის ბედისწერა,
 რომ ანგელოზმა იქ ამხნას წყვილა.
 (თარგმანი ნანა ლენინგუაძისა).

ეს ხასიშდერო ლექსია, მაგრამ ჯერ არახოდებს

ასე რთული, სულიერად ასეთი ჩახლართული
 რამ არავის უმდერია და არც უყოფილა სასი-
 მდეროდ გამოზნული. დაწყევლილ კაცს ერთი
 ნახვით შეუყვარდება ქალიშვილი, მაგრამ ეს
 გრძნობს, რომ მისი სიყვარული სინამდ-
 ვილეში ქალს კი არ ეკუთვნის, არამედ საკუ-
 თარი ხსნის, გადარჩენისკენაა მიმართული.
 ქალი მის წინაშე დგას, როგორც მთელი
 ხმული ხსნა, ისე, რომ მას არ ძალუძს და არც
 სურს განახსვავოს საკუთარი სულის ხსნაზე
 ოცნება ქალზე ოცნებისაგან. მის იმედს ამ
 ქალის სახე მიუღია. და მას აღარ ძალუძს ისუ-
 რვოს, რომ ეს სახე სხვაგვარი იყოს, ე. ი.
 ის ამ ქალწულში თავის ხსნას ეტრფის. რა
 ჯვარედინი გაორდება, როგორც წვდომა გრძნო-
 ბის ურთულესი ხვეულებისა! ეს ანალიზია —
 და ეს სიტყვა კიდევ უფრო თანამედროვე, თა-
 მამი გაგებით მოგვეძალება, როცა გაბუკ ზიგ-
 ფრიდში ტრფობის გაზაფხულისებრ ჩახახვასა
 და გაფურჩქვნას ვავიხსენებთ, რასაც ასე
 ცხოველმყოფლად გადმოგვცემს ვაგნერი სიტ-
 ყუიერა და მუსიკალური მინიშნებების მეშვე-
 ობით. აქ საქმე გვაქვს წინათგრძნობით აღხავ-
 ხე, არაცნობიერიდან მომდინარე კომპლექს-
 თან, რომელიც დედახთანაა დაკავშირებული,
 სქესობრივ ლტოლვასა და შიშთან — მე ვგუ-
 ლისხმობ იმ ზღაპრულ შიშს, რომლის შეცნო-
 ბაც სურს ზიგფრიდს, — ეს არის ის კომპლექ-
 სი, რომელსაც ფსიქოლოგი ვაგნერი სრულიად
 უჩვეულო, ინტუიციურ შეხებაში მოხუავს
 მე-18 საუკუნის მეორე ტიპიურ შვილთან,
 ფსიქონალიტიკოს ზიგმუნდ ფროიდთან. რო-
 გორ შეუმჩნევლად გადადის ცაცხვის ძირში
 წამოწოლილი ზიგფრიდის ზმანებებში დედა-
 ზე ფაქრი ეროტიკაში, როგორ ცდილობს მი-
 მე შეაცნობინოს თავის აღსაზრდელს შიში,
 ცეცხლში მძინარე ბრუნშილდეს უცნაურად
 სახეცვლილი მოტივი კი ორკესტრში თავის
 საქმეს აკეთებს, — ეს ფროიდი, ეს სწორედ
 ანალიზია და სხვა არაფერი; ისიც ვავიხსენოს,
 რომ ფროიდთანაც, რომელიც სულის სიღრ-
 მების კვლევის საქმეში მნიშვნელოვანწილად
 ნიცშეს თანაზიარია, ფსიქოლოგიური ინტერესი
 მჭიდროდაა დაკავშირებული მითიურის, და-
 ხაბამით ადამიანურის, წინარეკულტურულისა-
 დში ინტერესთან.

„სიყვარული თავინი ქეშმარიტი სისრუ-
 ლით, — ამბობს ვაგნერი, — მხოლოდ სქესის
 ფარგლებშია შესაძლებელი: ადამიანებს ერთ-
 მანეთის ქეშმარიტი სიყვარული ძალუძთ მხო-
 ლოდ როგორც ქალსა და მამაკაცს, ხოლო უვე-
 ლა სხვაგვარი სიყვარული — მისგან წარმო-
 შობილი, მისგან მომდინარე, მისკენაა მიმარ-
 თული ან ხელოვნურად იმეორებს მას. შემ-
 ცდარია ის, ვისაც ეს სიყვარული (სექსუალუ-
 რი სიყვარული) საზოგადოდ სიყვარულის მხო-

ლოდ ერთ-ერთ გამოვლინებად მიაჩნია, რომლის გვერდით თითქოს სხვა და უფრო ამაღლებული გამოვლინებანი არსებობენ". — უოველგვარი სიყვარულის ასეთი დაუვანა სექსუალურ სიყვარულზე უდაოდ ანალიტიკური ხასიათისაა. მასში თავს იჩენს იგივე ფსიქოლოგიური ნატურალიზმი, რომელიც შოპენბაუერის „ნების შუაგულის“ მეტაფიზიკურ ფორმულაში და ფროიდის კულტურისა და სუბლიმაციის თეორიებში გამოსჭვივის. ეს არის კემშარიტი მე-18 საუკუნე.

დედის ეროტიული კომპლექსი, სხვათა შორის, „პარსიფალშიც“ გვხვდება, მეორე აქტის ცდუნების სცენაში. — ეს კუნძრის იერსახეა, უძლიერესი, მხატვრული თვალსაზრისით უაღრესად გაბედული, როგორც კი ვაგნერს ოდესმე შეუქმნია: ჩანს, იგი თვითონაც გრძნობდა მის განსაკუთრებულობას. ჩანაფიქრი იმლტლვას აღძრავს ამ უჩვეულო წამოწყებითა და „არამედ ვნების პარასკევთან დაკავშირებული განცდებიდან, მაგრამ მალე იდეური და მხატვრული ხორცშესხმის მთელი ინტერესი უფრო და უფრო მეტად იურის თავს კუნძრის გარშემო, და ანაზღეული აზრი გრაალის შმაგი მაუწყებლისა და მაცდური დიაცის ერთ სახეში გაერთიანებისა, ანუ გაორებული სულიერი არსებობის შესახებ, გადამწყვეტ მიგნებად და ცდუნებად იქცევა. რომელიც უიდუმალეს თავითვე კუნძრიდან კი არ მომდინარეობსაღმბი. „ეს აზრი რომ მომივიდა, — წერს იგი, — თითქმის უველაფერი განათდა ამ ამბავთან დაკავშირებით“. და სხვა დროს: „სულ უფრო და უფრო მეტი სიცხობველითა და მომაჭადოვებლობით მესახება ეს უცნაური არსება, ხაოცარი დემონური ძალის დიაცა (გრაალის მაუწყებელი). თუ ამ იდეის ხორცშესხმა შევძელი, რაღაცას ძალზე ორიგინალურს შევქმნი“. — ორიგინალურს, — ეს საოცრად უპრეტენზიო, თავმდაბლური ხიტყვაა საიმისოდ. რაც სინამდვილეში განხორციელდა. ვაგნერის გმირ ქალებს, საზოგადოდ, ერთგვარი კეთილშობილური ისტერია ახასიათებთ. მათში არის რაღაც სომამხულის, მონუსხულის და მათეღმბილველის, რაც მათ რომანტიკულ მეროიკას თავისებური შშფოთვარე თანამედროვეობით მსკვალავს. მაგრამ კუნძრის, ამ ქოქობეთის

ვარდის სახე, სწორედ რომ მითიური პათოლოგიის გამოვლინებაა; თავისი მტანჯველი გარეობა და შინაგანი წინააღმდეგობრიობით, როგორც *instrumentum diaboli* და ხსნიხათვის მლოცველი მონანიე, იგი კლინიკური თვალსაჩინოებითა და დამატრელებლურად დახატული, ნატურალისტური ხითამამით საზარელი სულიერი სნების შეცნობახა და წარმოსახვაში, რაც მე უოველთვის ცოდნისა და ოსტატობის ზღვრიად მიმაჩნდა. „პარსიფალის“ მხატვრულ სახეებს შორის მარტო მას როდი ახასიათებს ეს სულიერი უკიდურესობა. როცა ამ უკანასკნელი და უმაღლესი ქმნილების ესკიზში კლინგზორზე ვკითხულობთ, რომ იგი ფარული ცოდვის დემონია, — უძლურების მძვინვარება ცოდვის წინააღმდეგ; ჩვენ თითქოს ქრისტიანული შემეცნების სამყაროში გადავდივართ, იდუმალი და ჯოჯობეთური სულიერი განცდების, — დოსტოევსკის სამყაროში.

ვაგნერი, როგორც მითის ოსტატი, როგორც მითის აღმომჩენი ოპერისათვის, მითით ოპერის გამათავისუფლებელი — ეს მისი მეორე მხარეა; და მართლაც, მას არ მოეპოვება ბადალი ამ ხატებისა და იდეების სამყაროსთან სულიერ ნათესაობაში, მითის გამოხმობისა და სელაბალი გაცოცხლების ძალაში; მან იპოვა თავისი თავი. როცა იპოვა გზა ისტორიული ოპერიდან მითოსისაკენ: მას რომ ვუხმენთ, მზად ვართ ვირწმუნოთ, თითქოს მუსიკა სხვა არაფრისთვის არ იუოს შექმნილი და არ შეიძლება რაიმე სხვა ამოცანა დაიხახოს, თუ არა მითის მსახურება. იქნება მითი მასთან წმინდა სფეროდან უმანკობის გადასარჩენად მოვლენილი მაცნე. რომელიც, ხავალადოდ, რავი რწმენა მერყევია, იძულებულია ისევ იქ დაბრუნდეს, ხაიდანაც წამოხულა, თუ ხამყარობ დახახამხა და დახახრულზე მღერალი. მოამბე სიბრძნე, კოსმოგონური ზღაპრისეული ფილოსოფია — მისი სული, არსი, მისი ელერადობა უოველთვის სიზუსტითა და სულიერი ნათესაობახთვის დამახახიათებელი გუმანიტაა აღბეჭდილი, მისი ენა თანდაყოლილი ბუნებრიობითაა ამეტყველებული, რაც უმაგალითოა ზელოვნებაში. ეს არის ენა „ოდინდელი“. თუკისი ორაზროვნებით მომცველი „უოვლისა, რაიც იყო“ და „უოვლისა, რაიც იქნება“ და განწყობილების მითოლოგიური შეკუმშვა, როგორიცაა, მაგალითად, ნორნების სცენა

3. სატანას იარილი (ლათ.).

„ღმერთების დამნობის“ დასაწყისში, ერდას სამი ქალიშვილი სამყაროს ბედზე საზეიმო ბჭობას რომ მომხდელია, ან თვით ერდას გამოჩენა „რაინის ოქროსა“ და „ზეგფრიდში“ — უოველივე ეს უბადლოა, უმძლავრესი მუსიკალური აქტენტები, ზეგფრიდის ცხედარს რომ მოიცალებენ, უკვე იმ ურმაზე კი აღარ მოგვიტოვებენ, შიშის შესაცნობად რომ გაიჭრა ტყედი; ისინი ჩვენს გრძნობას ამცნობენ იმის შესახებ, რაც ფარდასავით ჩამოწოლილი ნისლის მიღმა ხდება: იქ მზეკაბუკი წევს ქალამბარზე, ღამის წყვედიადით მოკვდინებული; და გრძნობას სიტყვიერი მინიშნებაც წამოეშველება. „ველური ტაბის მძვინვარება“ გადმის თავდაპირველად, შემდეგ კი: „აი, ეს არის წვეული ტახი“, — ამბობს გაუნტერა და მაგენზე უთითებს — „მან დაფლითა კეთილშობილი რაინდი“. ერთბაშად ნათდება პერსპექტივა და ადამიანური ხილვების უპირველეს და უადრეს ხატებთან გვაბრუნებს. თამუზს და ადონისს, ტაბისგან განგმირულთ, ხეულდაფლეთილ ოსირისსა და დიონისოს, რომლებიც შენდგომში ჭვარცმულად უნდა მოგვევლინონ, რომაული ოროლით ფერდგანგმირული, რითაც შევიცნობთ მას. — რაც უოფილა და მარად არის, განწირულთა მთელ სამყაროს, ზამთრის სუსხით მოწყულულ მშვენიერებას — უოველივეს სწვდება ეს მითიური მზერა და ნურავინ იტყვის, თითქოს „ზეგფრიდის“ შემქმნელმა „პარსიფალით“ თავის თავს უღაჯატა.

ვაგნერის მომაჯადოებელი შემოქმედებით გატაცება მთელი ჩემი ცხოვრების თანამგზავრად იქცა მას შემდეგ, რაც იგი პირველად აღმოვაჩინე და მისი დაუფლება, მისი შემეცნებითი წვდომა დავიწყე. ვერასოდეს დავივიწყებ იმას, რასაც, მასზე დაწაფებული და მისი შეგირდი, მას ვუმადლი, ვერ დავივიწყებ ღრმა, განმარტოებული ბედნიერების საათებს თეატრის მრავალრიცხოვან მაუურებელს შორის, საათებს, რომლებიც თრთოლვითა და ნეტარებით აღავსებდნენ ნერვებსა და გონებას, იმ გულშიჩამწყდომ და დაბდმნიშვნელობებთან ზიარებას, მხოლოდ ამ ბედლოვნებას რომ ძალუძს. არასოდეს არ მოდუნებულა ჩემი ცნობისწადილი მის მიმართ; არ მომბეზრებია მისთვის უურახგდება, მისით ტკბობა, მასზე დაკვირვება — და უნდა ვადიარო, ერთგვარად უნდობლობის გრძნობით;

მაგრამ ჩემი ეჭვები, შინაგანი დავა და წინამდებლობა ისევე ვერაფერს აკლებდნენ მას, როგორც ვაგნერის ნიცშესეული უკვდავ კრიტიკა, რომელიც უოველთვის ამოტრიალებულ პანეგირიკად განდიდების თავისებურებად მიმაჩნდა. ეს იყო სიუვარულენი-ქმნელობა, თვითგვემა. ვაგნერის ხელოვნება ნიცშეს ცხოვრების უდიდესი სასიუვარულო ვნება იყო. მას იგი ისევე უყვარდა, როგორც ბოდლერს, „ბოროტების უვავილების“ ავტორს, რომელზეც უვებთან, რომ უკვე აგონიაში ჩავარდნილს, დაშლადაცემულსა და თითქმის აზრდაკარგულს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, სიხარულისაგან ელიმებოდა, ვაგნერს რომ უხსენებდნენ. — il a souri d' allegresse. ასევე შეირხეოდა ხოლმე გონებაზე ბინდგადაკრული ნიცშე ამ სახელის ხსენებაზე და წარმოთქვამდა: „მე იგი ძლიერ მიუვარდა“. მას იგი ძლიერ სძულდა სულიერი, კულტურულ-მორალური მოსაზრებების საფუძველზე, რომელთა განსჯა აქ არ ეგების. მაგრამ უცნაური იქნება, თუ მხოლოდ მე აღმოვაჩინე, რომ ნიცშეს პოლემიკა ვაგნერის წინააღმდეგ უმაღლ მისით აღტაცებას აღვივებს, ვიდრე რაიმეს აკლებს მას.

რაც იმთავითვე მიუღებელი იყო ჩემთვის, ან, უფრო სწორად, არ მალეღვებდა. ეს იყო ვაგნერის თეორია, — ძალზე მიჭირდა ჩემი თავის დარწმუნება, რომ ვინმეს, საერთოდ, მისი ხერხიშულად აღქმა შეეძლო.

რას შეუბნება მუსიკის, სიტყვის, მხატვრობისა და ეესტის ეს შეჯამება, რაც ერთად ერთ ქეშმარიტ ხელოვნებად, უოველგვარი შემოქმედებითი მისწრაფების განხორციელებად გვისახავს თავს? ხელოვნების თეორია, რომლის მიხედვით თითქოს „ტახსო“ „ზეგფრიდს“ ჩამოუვარდება? ძალზე თამამად მეჩვენებოდა მოსაზრება, რომ ხელოვნების ცალკეული სახეობანი, თავდაპირველი ერთიანი თეატრალური ხელოვნების დაშლის შედეგად წარმოქმნილი, თავისდა საბედნიეროდ და სამსახურად ისევე მასში უნდა შერწყმულ-შენივთებულიყვნენ. ხელოვნება განუყოფელი და სრულყოფილი უოველგვარ გამოვლინებაში; სრულყოფის მიზნით მის სახეობათა შეჯამება შედეგითა; ასეთი აზრები მე-19 საუკუნის მექანისტური აზროვნების ნიშუშია და ვაგნერის ძლევაშოსილი შემოქმედება მისი თეორიის

ა ანკად ელიმებოდა (ფრანგ.).

დადასტურება კი არაა, არამედ მხოლოდ საკუთარი ძალითა. იგი ცოცხალია და დიდხანს იცოცხლებს. მაგრამ ხელოვნება, რომელიც თავისივე ცალკეულ სახეებზე დღეგრძელი იქნება. ისევე ააღებებს ადამიანებს, როგორც აუღებებია მარად. ხავშეური ხარხაროსობა იქნებოდა იმის დაჭერება. თითქოს ხელოვნების შემოქმედების ძალა და ინტენსიობა გრძნობად აღქმაზე მისი მოჭარბებული აგრესიის პირდაპირპროპორციული იყოს.

ვაგნერი, როგორც მგზნებარე თეატრალი, შეიძლება ითქვას, თეატრომანი, ამ მოსაზრებისკენ იხრებოდა, რადგან მას ხელოვნების უპირველეს მოთხოვნილებად შეგრძნებებისთვის უკველგვარი ხათქმელის უველაზე უშუალო და უველაზე ამომწურავი გაზიარება მიაჩნდა. და საინტერესო სანახავია, რა დაემართა დრამას ამ უღმობელი მოთხოვნის წყალობით უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებში — „ნიბელუნგის ბექედიში“. რაზეც მისი ზრახვები და მცდელობა იყო მიმართული და რის ძირითად პრინციპად სწორედ სრული გრძნობადი აღქმა ესახებოდა. ჩვენ ვიცით ამ ნაწარმოების წარმოშობის ისტორია. ვაგნერი, რომელიც დრამატული ესკიზის „ნიგფრიდის სიკვდილის“ ხორცშესხმით იყო დაკავებული, როგორც თავად მოგვითხრობს, ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ მსმენელს უნდა ეგულსხმებინა ბევრი რამ, რომ დრამის დახაწყის წინ უსწრებოდა ამდენი ნოქმედება, რომლის ამხავი თვით ნაწარმოების კომპოზიციაში უნდა ყოფილიყო ჩართული. მისი მოთხოვნილება, გრძნობად სახეებად ექცია წინარე ამხავი, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ უკან დაბრუნდა: ჯერ „ურმა ზიგფრიდი“ შექმნა, შემდეგ „ვალკირია“, შემდეგ კი „რაინის ოქრო“; და იქამდე არ მოისვენა, ვიდრე უკველივე — პირველხანასანიდან, ამბის დასაბამიდან, „რაინის ოქროს“ უვერტიურის ბას-ფაგოტის პირველი Es—უღერადობიდან რომლითაც საზეიმოდ და თითქმის უხმოდ იწყება თხრობა, — სცენურ სინამდვილედ არ აქცია და ოთხ საღამოში არ წარმოადგინა. დაიბადა დიდებული ქმნილება, და გასაგებია ის აღტაცება, რომელმაც მოიცვა შემოქმედი, როცა შემოქმედების ესოდენ ახალი და ღრმააზროვანი შესაძლებლობებით მდიდარი ბუშბერაული ჩანაფიქრი ხორცშესხმული იხილა. მაგრამ რა იყო ეს კერძოდ, რაც შეიქმნა? ესთეტიკას არაერთხელ უარუყვია მრავალნაწილიანი დრამა, როგორც ფორმა. ამისი ერთ-ერთი მაგალითი იყო გრილპარცერი. მისი აზრით, ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება მთელს ეპიკურობას ანიჭებს, რაც, მართალია, დიდებულიებასაც სძენს მას. მაგრამ სწორედ ეს განხაზღვრავს „ბექედის“ შემოქმედებას. მისი ხიდადის ხას-

ათს, და უნდა ვაღიაროთ. რომ ვაგნერის, ეს უდიდესი ქმნილება თავის განხაკუთრებულ დიდებულებას სწორედ ეპიკურ ხელოსანად უმადლოდებს, რომლის სფეროშიც აღმოცენდა თვით ამხავი „ბექედი“ სცენური ეპოსია. რომელიც წარმოიშვა უარყოფითი დაუყოფნის შედეგად წინაშე ამხისადმი სცენის მოქმედებებზე იგულისხმება, უარყოფითი დამოკიდებულებისა, რომელსაც, როგორც ვიცით, ანტიკური და ფრანგული ტრადიციები არ იზიარებდნენ. იბსენი ანალიტიკური ტექნიკით და წინარეამბის განვითარების ჩვეული ოსტატობით გაცილებით ახლოსა კლასიკურ დრამასთან. და გარკვეული იუმორია იმაში, რომ ვაგნერი სწორედ საკუთარი გრძნობადობის თეორემამ მიიყვანა ასეთი უჩვეულო გზით ეპოსთან.

საუურადღებოა მისი დამოკიდებულება ხელოვნების ცალკეული სახეებისადმი, რომლებიდანაც მან „ხელოვნების“ მთლიანი ქმნილება შექმნა; მასში არის რაღაც თავისებური დილეტანტობა, როგორც ამბობს ნიცშე ვაგნერის თაუვანისცემით აღსავსე ნაწარმოებში — „მეოთხე არადროული შეხედულება“ — მის ბავშვობასა და ურმობაზე: „მისი ურმობა მრავალმხრივი დილეტანტის ურმობაა, რომელსაც არაფერი სასიკეთო არ ეტყობა. მემკვიდრეობა და ოჯახური ტრადიციები მას არ ზღუდავს მკაცრად ხელოვნების რომელიმე სფეროთი. მხატვრობა, პოეზია, საზიობა, მუსიკა მისთვის ისევე ახლობელი იყო, როგორც მომავალი სწავლულისათვის საჭირო განათლება; ვინც მას ზერელედ შეხედავდა, შეიძლებოდა ეფიქრა, რომ იგი დილეტანტად იყო დაბადებული“ — მართლაც. არა მარტო ზერელედ, არამედ აღტაცებითა და თაუვანისცემით დაკვირვების შემთხვევაშიც, შეიძლება ითქვას (თუმცა ადვილი შესაძლებელია, არასწორად გაგვიგონ), რომ ვაგნერის ხელოვნება დილეტანტიზმია, რომელიც უდიდესი ნებისყოფისა და გონების წყალობით მონუმენტურობამდე და გენიალურობამდე აყვანილი. ხელოვნების სახეობათა გაერთიანების იდეა, თავისთავად, ცოტა არ იყოს, დილეტანტურია და ის უდიდესი ძალა რომ არა, რომელიც უკველივეს თავის სასწაულმოქმედ გენიას უმორჩილებს, დილეტანტობაშივე ჩაეფლობოდა. მისი დამოკიდებულება ხელოვნების დარგებისადმი ერთგვარ ექვს აღძრავს ჩვენში; რაც არ უნდა უცნაურად ძდერდეს ეს, იგი თითქოს არ სწყალობს მუშებს. იტალია, სახვითი ხელოვნება მას სრულიად არ აუღებებს, იგი სწერს ვეშენდონკს რომში: „უუურეთ და დატკბით ჩემ მაგივრადაც; მე მჭირდება. რომ ვინმემ გააკეთოს ეს ჩემს მაგივრად... ჩემი საქმე განხაკუთრებულადაა: ეს მე არაერთხელ მიგრძვინია, იტალიაში კი საბოლოოდ დავრწმუნდი ამაში. მნიშვნელოვანი

შემოქმედება ერთხანს დაატყვევებს ხოლმე ჩემს თვალს, მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდება... ჩანს, ზედვითო შეგრძნება ჩემთვის არ არის საკმარისი სამყაროს აღსაქმელად“.

სავსებით გასაგებია ის ზომ უურიტ ადიკვამს უოველივეს — მუსიკოსი და პოეტი, მაგრამ მაინც უცნაურია, რომ შეუძლია პაროზიდან იმავე ადრესატს მიხეროს: „ო, რა თავდავიწყებაა რაფაელი და მხატვრობა! რა მშვენიერია, რა საყვარელი და დამამშვიდებელი მხოლოდ მე ვერ ამაღელვებს ეს ვერახოდებს! მე ისევ ის ვანდალი ვარ, რომელმაც პარიზში ერთი წლის უოტნის მანძილზე ლუკარის ნახვა ვერ მოახერხა! განა ეს უველაფერზე არ მიტყვევებს??“ — უველაფერზე ვერა, ზოგ რამეზე, და განსაკუთრებით ნიშანდობლივზე. კი. მხატვრობა დიდი ბელოვნებაა, ისევე დიდი, როგორც ბელოვნების ერთიანი ნაწარმოები. იგი ამ ერთიან ბელოვნებამდეც არსებობს თავისთავად და მის შემდეგაც აგრძელებს არსებობას; მაგრამ ვაგნერს იგი არ აღელვებს. და ის რომ ასე დიდი არ იყოს, ალბათ მხატვრობის არსის ეს უგულებელყოფა ასერივად არ ვაგვანაწყენებდა! სახვითი ბელოვნება არაფერს ეუბნება მას — არც თავისი წარსულითა და არც ცხოველყოფელი თანამედროვეობით. იმ დიდ ბელოვნებას, მისი შემოქმედების მხარდაშეარ რომ იზრდება, — ფრანგულ იმპრესიონისტულ მხატვრობას — თითქოს ვერც ამჩნევს. იგი მას არ ებება. ვაგნერის ურთიერთობა ამ მხატვრობასთან მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ რენუარი მის პორტრეტს ხატავს — ეს პორტრეტი სულაც არ ახდენს თავისი ობიექტის მერონიზირებას და არცთუ ძლიერ მოეწონება მას. აშკარაა, რომ ვაგნერის დამოკიდებულება პოეზიისადმი სრულიად სხვაა, ვიდრე სახვითი ბელოვნებისადმი. პოეზია განსაკუთრებით კი შექსპერი, უხანჯლოდ ბევრს აძლევდა მას მთელი ცხოვრების მანძილზე, თუმცა თავისი თეორია, რომლითაც იგი საკუთარ ტალანტს განადიდებდა, თითქმის სიბრალულით აღაპარაკებდა ე. წ. „ლიტერატურისმიერ პოეტებზე“, მაგრამ განა აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა, თუ თვით მან პოეზიაში უდიდესი წვლილი შეიტანა, გაამდიდრა იგი თავისი ნაწარმოებებით — თუმცა, ცხადია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი საკითხავად განკუთვნილი „მხატვრული სიტყვის ნიმუშებს“ კი არ წამოადგენენ, არამედ „მუსიკიდან არჩიან მონაბერნი“, ხატით, ყვებით, მუსიკით შევსებას საჭიროებენ და მხოლოდ მათთან ურთიერთქმედებაში იქცევიან სრულყოფილ პოეზიად. წმინდა ენობრივი თვალსაზრისით, მათ ერთგვარი მაღალფარდოვნება და ღვლარტნილობა ახასიათებთ, ზოგჯერ ბავშვობადაც, ერთგვარი დიდებულები და თვითმპყრო-

ბელური არაკომპეტენტურობა, — აბსოლუტური გენიალობის, ძალის, სიმკვრივის, პირველქმნილი მშვენიერების ბუდობებით, რომლებიც უოველგვარ ექვს ფანტავს, მაგრამ ამასთანავე არ აქარწყლებენ იმის შეგრძნებას, რომ საქმე გვაქვს ქმნილებებთან, რომლებიც დიდი ევროპული ლიტერატურისა და პოეზიის კულტურის ფარგლებში კი არ თავსდებიან, არამედ მათგან განზე მდგომნი, თეატრალური გამომსახველობის ხორცშესხმაზე მიუთითებენ, რაც, სხვათა შორის, სიტყვასაც საჭიროებს. ამ თამამ დიდებულურ ბელოვნებაში ჩაწნული ენობრივი გენიალობის ძარღვებზე საუბრისას, უპირველეს უოვლისა, ვგულისხმობ „ნიბელუნგის ბეკედსა“ და „ლოენგრინს“, რომლებიც, როგორც მხატვრული სიტყვის ნიმუშები უწმინდესი, უკეთილშობილესი და უმშვენიერესია მათ შორის, რაც კი ვაგნერს შეუქმნია ვაგნერის გენია ბელოვნებათა დრამატულ სინთეზს წარმოადგენს და იგი მთლიანობაში, სწორედ სინთეზის სახით ამართლებს ქვეშარტი და კანონიერი ქმნილების ცნებას. შემადგენელ ნაწილებს, თვით მუსიკასაც, როგორც ახეთს, რამდენადაც იგი ერთიან მიზანს არ ემსახურება, ერთგვარი დაუოკებელი არამართლშომიერება ახასიათებს, რაც მხოლოდ მთლიანის სიღიარეში ქარწყლდება. ვაგნერის დამოკიდებულება ენისადმი რომ სხვაა, ვიდრე ჩვენი დიდი პოეტებისა და მწერლებისა, იგი რომ მოკლებულია იმ სიმკაცრესა და სინატიფეს, რაც წარმართველია იქ, სადაც ენა უდიდესი სიმდიდრეა, ბელოვნების გამომსახველ საშუალებად ბოძებული, — ეს მისი „შემთხვევათა გამო“ შექმნილი ლექსებიდან ჩანს, ლუდვიგ მეორე ბავარიელისადმი მიძღვნილი ამ დაშაქურლ-რომანტიკული ოდებიდან და პოემებიდან, მეგობრებისა და მფარველებისადმი მიმართული ხაფხახიანი დარდიმანდული შაირებიდან. გოეთეს მიერ „შემთხვევათა გამო“ ექსპრომტად თქმული უოველი ლექსი ოქროს წონაა, მაღალი ლიტერატურაა ამ სიტყვიერ ფილისტერობასა და გალექსილ ოხუნჯობებთან შედარებით, რომლებიც მის თაყვანისმცემლებში მხოლოდ ნაძალადევ დიმილს თუ იწვევენ. სამაგიეროდ მათ შეუძლიათ დაეწაფონ ვაგნერის პროზაულ თხზულებებს, ამ ესთეტიკურ, კულტურულ-კრიტიკულ მანიფესტებსა და თვით-განმარტებებს, — ბელოვანის ჩანაწერებს, რომლებიც გასაოცარი გონიერებითა და აზროვნების ძლიერი ნებითაა აღბეჭდილი, თუმცა ენობრივად და იდეალურად, ცხადია, ვერ შეედრებიან შილერის ნაშრომებს ბელოვნების ფილოსოფიაში, თუნდაც მის უკვდავ ესეს — „ნაიფური და სანტიმენტალური პოეზიის შეხახებ“. ისინი ძნელად იკითხება. ერთხა და იმავე დროს ერთგვარი ბუნდოვანება და სიმკვეთრე,

ისევ და ისევ დაუოკებელი დილექტანტიზმი ახასიათებთ; ისინი, კაცმა რომ თქვას, არ მიკუთვნებიან დიდი გერმანული და ევროპული ესეისტის საშუაროს. არ არიან დაბადებით მწერლები — ლაწერილნი, არამედ „აზრობის“ აუცილებლობით შექმნილნი. ვაგნერის უოველი ცალკეული გამოვლინება აუცილებლობით იყო გამოწვეული. სვებედნიერი, მოწოდებული, სრულყოფილი, კანონზომიერი და დიადი კი იგი მხოლოდ მთლიანობაშია.

იქნებ მისი მუსიკოსობაც აუცილებლობა იყო. გრანდიოზული მთლიანობის შესაქმნელად და საკუთარი ნების ფასად? ნიცშე ერთგან შენიშნავს, რომ ეგრეთ წოდებული ნიჭი შეიძლება არც იყოს გენიოსისათვის უმთავრესი. „რა ნაკლებადაა აქვს ნიჭი, მაგალითად, რიხარდ ვაგნერს“, — წამოიძახებს ის. „განა გინახავთ მუსიკოსი, ასე ღარიბი რომ უოფილიყოს ოცდარვა წლის ახაკში?“ ვაგნერის მუსიკა მართლაც შეშინებული, უბადრუკი და დამოუკიდებლობას მოკლებული ნაბიჯებით იწყება, და ამ პირველ ნაბიჯებსაც გაცილებით გვიან დგამს თავის ცხოვრებაში, ვიდრე სხვა დიდი მუსიკოსი. იგი თვითონ ამბობს: „მახსენდება, ოცდაათი წლისა, ჯერ კიდევ იჭვინეულად დავეკითხებოდი ხოლმე თავს, გამაჩნდა თუ არა ნამდვილად დიდი ხელოვანის ინდივიდუალობისათვის აუცილებელი მონაცემები; ჩემს ნამუშევრებში ჯერ ისევ გავლენა და მიმზადველობა იგრძნობოდა და მხოლოდ დიდი რიდით თუ გავხედავდი იმის წარმოდგენას, რომ ოდესმე სრულიად ორიგინალური შემოქმედი დავდებოდი“. ეს უკან მოხედვა უკვე ოსტატობის პერიოდს ეკუთვნის, კერძოდ, 1882 წელს. მაგრამ სულ ხამიოდე წლით ადრე, ორმოცდაექვსი წლისა, როცა „ტრიხტანზე“ მუშაობა თითქოს ვერ მიდიოდა წინ, ლუცერნიდან იგი წერს ლისტს: „ძალია არ შემწევს საიშინოდ, რომ დაგარწმუნო, რა უბადრუკად ვგრძნობ თავს, როგორც მუსიკოსი; გულწრფელად ვამბობ, სრულ უნიჭობად მიმაჩნია საკუთარი თავი. უნდა მნახო, როგორ ვწივარ ხოლმე თავჩაქინდრული და ვფიქრობ, „ხომ უნდა აეწყოს საქმე“ — შემდეგ ფორტპიანოსთან მივალ, რამდენიმე უბადრუკ აკორდს დავაბრაზუნებ და მაშინვე გულგატეხილი ვანებებ თავს. რას განვიცდი მაშინ? — რა გულწრფელად ვარ დარწმუნებული: ლი საკუთარ მუსიკალურ არარაობაში და ამ დროს შენგან, რამდენსაც უოველი ფორიდან ნაკადებად, წყარობად და ჩანჩქერებად გადმოსჩქვებს მუსიკა, — სწორედ შენგან მესმის ის სიტყვები, რაც თქვი. მიჭირს იმის დაჭერება, რომ ეს სრული ირონია არ არის... ძვირფასო, ეს მეტად რთული ამბავია, და დამიჭერე. არაფრად არ ვღირვარ“, — ეს აშკარა დეპრესიის სრულიად უსაფუძვლო, და ლიხტიც ხაკადრი-

სად პახუბობს. იგი მას „საკუთარი თავის მართ უგუნურ უსამართლობას“ ჩაუვედურობს. თუმცა უოველი ხელოვანისათვის ნაცნობია ასეთი უეცარი ხიზნულობის გრძნობა: თანამედროვეთა თუ წინაპართა ოსტატობის წინაშე: ეს იმითაა გამოწვეული, რომ ხელოვანის უოველგვარი შრომა ახალი და თავის მხრივ უკვე ძალზე ოსტატური მისადაგება პირადის და ინდივიდუალურად განსაზღვრულია ხაზოდოდ ხელოვანებისადმი და თითოეულმა, უკვე აღიარებული, წარმატებული ცდების შემდეგაც კი სხვის ოსტატობასთან შედარებისას შეიძლება ჰკითხოს თავს: „განა შესაძლებელია საერთოდ ჩემი პირადი ინტერპრეტაცია ერთბაშად ჩააყენო დანარჩენი ნაწარმოებების ჩიგში?“ — და მაინც ესოდენი დეპრესიული თვითგანქიქება, სრული სასოწარკვეთა მუსიკის პირისპირ იმისათვის, ვინც „ტრიხტანის“ მესამე მოქმედებაზე გადასულა, საკვირველი და ფსიქოლოგიურად უჩვეულოა. მართლაც ვაგნერის ის დიქტატორული თავდაჭერება ბოლო წლებში, როცა „ბაიროითის ფურცლებში“ საკუთარი ხელოვნების განსაზღვრებად ბევრს რაიმე მშვენიერს — მენდელსონს, შუმანს, ბრამსს აქილოებდა და შეაჩვენებდა, — ეს თვითრწმენა ხელოვნების წინაშე მისი ადრინდელი უზომო კმუნვისა და გულგატეხილობის ფასადაა გამოხყიდული! რა იყო ამ შეტევების მიზეზი? ცხადია, მხოლოდ ის, რომ თვით ის ასეთ წუთებში შეცდომას უშვებდა, როცა თავისი მუსიკალური შემოქმედების გამოცალკევებით უმაღლეს ხელოვნებას უპირისპირდებოდა, მაშინ, როცა მისი შემოქმედება მხოლოდ მისივე პოეზიის subspecies შეიძლება განვიხილოთ, ან პირიქით. — და ძირითადად, ეს შეცდომა იმ გააფთრებული წინააღმდეგობის თავიდათავი, რომლის გადალახვაც მის მუსიკას უხდებოდა. ჩვენ, ვინც ამ მანგების ჯადოსნურ საშუაროს, მის ინტელექტუალურ მაგიას ამოდენა ნეტარებასა და იღუმალ მხარეთა მოხილვას ვუმაღლით, რომლებშიც ესოდენ გაცუებას იწვევს არნახული შემოქმედებითი ძალისხმევა, გვიჭირს ამ წინააღმდეგობის, ამ ზიზლის გაგება: ჩვენი აზრით, გამოსტუმბი, ვაგნერის მუსიკის მიმართ რომ გამოიყენებოდა, ისეთი შეფასებანი, როგორცაა „ცივი“, „ალგებრული“, „უფორმო“, — სრულ გაუგებრობასა და განუსჯილობას იმყარება, რაც სულის გაუხეშებასა და აღქმა-გაგების უუნარობაზე მიტყველებს. და უნდა ვიფიქროთ, ასეთი განსჯა მხოლოდ ხავსებით არამუსიკალური და ფილისტერული, ღვთისა და მუსიკისაგან მიტოვებული სფეროებიდან იყო შესაძლებელი. მაგრამ ეს ახე არ არის ბევრ-

S. თვალსაზრისით (ლათ.)

რი მათგანი, ვინც ახე სჯიდა და სხვაგვარად არ შეეძლო, უბრალო ობივატელი როდი იყო, ესენი იყვნენ ბელოვნების წამრომადგენლები, მუსიკოსები და მუსიკის მოყვარულნი, ადამიანები, რომელთაც აღელვებდათ მუსიკის ხედი და სამართლიანად ღებდნენ თავს მუსიკისა და არამუსიკის გარჩევაზე — და, მათი აზრით, ეს არ იყო მუსიკა. მათმა აზრმა სრული კრაზი განიცადა, საუკუნო მარცხი იგემა. მაგრამ თუ ეს აზრი მცდარია, განა ეს მიუტევებელიცაა? ვაგნერის მუსიკა ისევე ნაკლებადაა მუსიკა, როგორც ის დრამატული საფუძველი, მას რომ პოეტად აქცევს, ნაკლებადაა ლიტერატურა. ეს არის ფსიქოლოგია, სიმბოლო, მითოსი, ემფატიკა — უველაფერი, მაგრამ არა მუსიკა წმინდა და სრულფასოვანი გაგებით, როგორც ეს ბელოვნების იმ შეშფოთებულ მსაჭულებს ესმოდათ. ტექსტებს, რომელთაც მუსიკა ებვევა გარს და ღრამად გარდაქმნის, ლიტერატურას ვერ დავარკმევთ. მაგრამ მუსიკას — კი, ეს მუსიკა, თითქოს გეიწერივით რომ ამოსჩქეფს მითოსის წინარეკულტურული სიღრმეებიდან (და თითქოს კი არა, ნამდვილად), ამასთან ჰეშმარითად დაფიქრებული, გათვლილი, მაღალინტელექტუალური, ჰკუა-გონებით გამსჭვალული, — ისევეა ლიტერატურულად მოაზრებული, როგორც მისი ტექსტებია მოაზრებული მუსიკალურად. თავის თავდაპირველ ელემენტებად დაშლილი, ეს მუსიკა მითიურ ფილოსოფიამთა უაღრესად რელიეფურ განსახიერებას უნდა წარმოადგენდეს. სიყვარულით სიკვდილის დაუოკებელ ქრომატიკას ლიტერატურული იდეა უდევს საფუძვლად. ამას არ ჩამოუვარდება რაინის სტრულა, შვიდი მარტივი აკორდის გრავინვა, ვალჰალას რომ ქმნის. ერთმა ცნობილმა დირიჟორმა, რომელმაც სწორედ „ტრისტანს“ უდირიჟორა, სახლში რომ ვბრუნდებოდით, მითხრა: „ეს უკვე სრულებით აღარ არის მუსიკა“. მან ეს თქვა იმ ზემოქმედების თვალსაზრისით, რომელმაც ორივე შეგვძრა, მაგრამ ის, რასაც დღეს ჩვენ აღტაცებული ბო-თი ვებებებით, განა შეიძლება თავიდან მრისხანე „არა“-თი არ უოფილიყო დაგმობილი? ისეთი მუსიკა, როგორიცაა ზიგფრიდის სვლა რაინ-ზე, ან დაღუპულის დატირება, ქმნილებები, რომლებიც აუწერელი ნეტარებით ატკბობენ ჩვენს ყურსა და გონებას, — არასოდეს არავის მოუხმენია, ეს იყო გაუგონარი მუსიკა, ამ სიტყვის უველაზე უგვანო გაგებით. მიჯრით მიწუობილი სიმბოლური მოტივ-ციტატები, კლდიდან მოგლექილი ლოდებივით რომ ჩაწოლილან სტიქიური მუსიკალური მდინარების შმაგ ნაკადულში, — უოველივე ამის ისეთივე გაგებით აღქმა, როგორც ბაზის, მოცარ-

ტის და ხეთმოვენის მუსიკისა, გადაკარბებული მოთხოვნა იქნებოდა. გადაკარბებული მოთხოვნა იყო, მუსიკა ეწოდებინათ Es—dur—სამხმოვანებისათვის, „რაინს“ რომ იწევს, და ეს არც იყო მუსიკა, ეს იყო/კულტიური აზრი, აზრი უოველის დასწრებით, ეს იყო თვითნებურ-დილექტანტიზმის უველები მუსიკისა მითიური რღებს წარმოადგენად, ფსიქოანალიზი გვარწმუნებს, რომ სიყვარული ერთთავად გრძნობათა გაუკუღმართებისაგან შედგება, და მიუხედავად ამისა, ის სიყვარულად რჩება, სამყაროს ღვთაებრივ ფენომენად. აი ასევე რიპარდ ვაგნერის გენიაც ერთთავად დილექტანტიზმებისაგან შედგება.

მაგრამ რა დილექტანტიზმებისაგან იგი ისეთი მუსიკოსია, არამუსიკალურ ადამიანებსაც რომ მუსიკისათვის განაწყობს. ბელოვნების ეწოთერაკოსებისა და არისტოკრატების აზრით, ეს შეიძლება ხაძრახისაც იყოს, მაგრამ თუ არამუსიკალურებს შორის ისეთი ადამიანები და პოეტები იქნებიან, როგორიც ბოდლერიცაა? ბოდლერისაძვის ვაგნერთან შებვედრა იგივე იყო, რაც მუსიკასთან შებვედრა. იგი არამუსიკალური იყო, თვითონ სწერდა ვაგნერს, რომ არაფერი არ გაეგებოდა მუსიკისა, დავებერისა და ბეთმოვენის რამდენიმე მელოდიური ნაწარმოების გარდა არაფერს ეცნობდა და უეცრად ასეთი აღტაცება, რომელმაც მასში პატივმოყვარეობა აღძრა, მუსიკად ექცია ენა და ამით გატოლებოდა ვაგნერს, რასაც მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა ფრანგული ლირიკისათვის. ასეთი თვალახელილები და ახლად მოქცეულების უფლება შეიძლება მისცეს თავს არაქეშმარტმა, მოყვარულთა მუსიკამ: არა ერთ მკაცრ მსაჭულს შესურდება ასეთი ნადავლი, და არა მარტო ეს, ამ ეწოთერულ მუსიკაში იმდენია გენიალური და დიდებული, რომ სახაცილოდ აქცევენ ასეთ განსხვავებებს. გედის მოტივი „ლოენგრინსა“, და „პარსიფალში“, ზაფხულის მთვარიანი ღამის პანგი „მაისტერზინგერების“ მეორე მოქმედების დასასრულს და კლინტეტი მესამე მოქმედებაში; პარტია „ტრისტან და იზოლდას“ მეორე მოქმედებაში და ტრისტანის ხილვა — ზღვაზე მორონინე სატრფო; ვნების პარასკევის მუსიკა „პარსიფალში“ და ძალოვანი აკორდები მესამე მოქმედების სურათებს შორის; ზიგფრიდისა და ბრუნშილდეს ხაუცხოო დუეტა „ღმერთების დაშხმობის“ დასაწყისში, ხალხური სიმღერის ინტონაციით — „შენს სიყვარულს თუ მანუქებ“, და დამატევევებელი „დიდება შენდა, ბრუნშილდე, მოელვარე ვარსკვლავო!“; რამდენიმე პარტია „ვენერას მღვიმედან“, „ტრისტანის“ პერიოდში რომ დაამუშავა, — ასეთი მიგნებების წინაშე თვით აბსოლუტური მუსიკაც კი შურისგან გაფითრდება და აღტაც-

ცებისაგან გაწითლდება. მაგრამ მე ხომ სრულად შემთხვევით და ნებისმიერად დავასახელებ სწორედ ეს ადგილები. ასეთივე წარმატებით შემძლო სხვა ადგილები დამესახელებინა, ან გამეხსენებინა ის საოცარი ხელოვნება, მუსიკალურ განვითარებაში უკვე მოცემული მოტივის მიმოხრით, სახეცვლითა და ფერიცვლილით რომ აღწევს ვაგნერი, როგორც ემართება ეს, მაგალითად „მაისტერზინგერების“ მესამე მოქმედების შესავალში ჰანს ჰაქსის მეჩქმის სიმღერას, რომელიც მეორე მოქმედების იუმორისტული განწყობილებიდან ხელოსნის მდარე სიმღერის სახით იყო ჩვენთვის ცნობილი. ახლა კი, ამ შესავალში ხელახლა აღდგომილი, უბედლო პოეზიის შუქითაა გაცისკროვებული. ან თუნდაც ის რიტმული და ბგერითი ფერიცვლება და გარდასახვა გაეხსენოთ, უჭერტიურის პირველივე აკორდებიდან ნაცნობი, ეგერეთლოდებული რწმენის მოტივი რომ განიცდის არაერთხელ „პარსიფალში“, პირველად კი — გურნემანცის ვრცელ მონათხრობში. ძნელია უოველივე ამაზე ლაპარაკი, როცა მათ გამოსახმობად მხოლოდ სიტყვაა ჩვენს ხელთ რატომ ცოცხლდება ვაგნერის მუსიკაზე საუბრისას ჩემს ხმენაში სწორედ ისეთი დეტალი, უბრალო არახეცა, როგორცაა ტექნიკურად თითქოს ადვილად აღსაწერი, ნამდვილად კი აუწერელი ბუკის ხშიანობა, ასე პარმონიულად რომ ამზადებს ზიგფრიდის დატირებაში მისი მშობლების სიუვარულის მოტივს? ასეთ წუთებში გიჭირს გარჩევა, ვაგნერის განსაკუთრებული და პირადი მისი ხელოვნებაა ეს, ასე რომ გვატყბობს და გვაღელვებს, თუ თვით მუსიკა. ერთი სიტყვით, ეს ღვთაებრივია — და სულაც არ გეთაკილება ეს სიტყვა, ასეთი ქალური და აღტაცების გამომსახველი, მხოლოდ მუსიკას რომ ძალუძს წარმოათქმევინოს ჩვენს ბაგეებს. —

ვაგნერის მუსიკის საერთო ხულიერი ხასიათი ერთგვარი პენსიონტური სიმძიმით, ნელი მჭმუნვარებითაა გამსჭვალული, ბნელი ქაოსიდან ამოკრილი მისი ტებილი რიტმი თითქოს ხილაშიაში ეძიებს ხსნას, ეს არის დამძიმებული სულის მუსიკა, რომელიც ცეკვის ენაზე კი არ ესაუბრება კუნთებს, არამედ ტანჭვითა და ვაებით ჭიუტად მიიკვლევს გზას წინ; იგი ზუსტად დაახასიათა ერთხელ ლენბახმა თავის მოსწრებული სიტყვით ვაგნერთან საუბარში: „თქვენი მუსიკა — ეს ხომ საზიდრით ხახუფვლის მოხილვას უდრის“. მაგრამ ამით ყველაფერი როდია ნათქვამი. მისმა ხულიერმა სიმძიმელმა არ უნდა დაგვაიწყოს ის ხითაშიაში, სიაშიაუე და სიმხნევე, რისი გამოხატვაც მას ასევე ძალუძს, თუნდაც სარაინდო თემებში, ლოენგრინის, შტოლცინგისა

და პარსიფალის მოტივებში. არ უნდა დაგვაიწყოს რაინის ქალწულთა ტერცეტების ბუნებითი სიანცე და ელფური მომზიბვლელობა. პაროდული მახვილსიტყვაობა და შეხისხლბორცებული სილღე „მაისტერზინგერების“ შესავალში, არც გერმანული ხალხური ცეკვის უფინა მესამე მოქმედებში — ვაგნერს უოველივე ხელეწიფებას [იხ. კ. ხუშტიანი] დახასიათებაში, და, თუ შევძლებთ, ჩავწვდეთ მის მუსიკას, როგორც დახასიათების საშუალებას, ეს ნიშნავს, რომ შევძლებთ მისით უსაზღვროდ ტკბობას. ეს არის გამომსახველობითი ხელოვნება, გროტესკულიც, იგი დისტანციანაა გათვალისწინებული, როგორც ამას თეატრი მოითხოვს. მაგრამ დეტალებიც კი მდიდარი ფანტაზიით, მოვლენათა ქვრეტის დაუდეგარი ნიჭით, მიტყველებისა და რეტორიკულიციის ზუსტი მისადაგებებით გამოირჩევა, რაც ასერიგად გამოკეთილი აქამდე არსად არ შეგვხვდარს იგი ცალკეულ ფიგურებში უმაღლეს მწვერვალს აღწევს; მაგალითად, მოლიანდიელის მუსიკალურ-პოეტურ სახეში, ზღვის უდაბურებად რომ აწევს მხრებზე წუევლა, უკიდგანო ზღვაზე მის სასოწარკვეთილ ბეტიალში... ხტიკიური მოულოდნელობებითა და ვერაგული მომზიბვლელობით აღსავსე ლოგეს სახეში, ზიგფრიდის ჭუჭა-მამოზილის მანჭვა-გრეხაში, ბექმესერის სულიელურ ბორცტებასა და სიგუქში. დიონისური მხახიობი, მისი ხელოვნება, მისი ხელოვნების უოველი წახნაგი ცხადდება ჩვენ თვალწინ გარდასახვისა და ხორცშესხმის ამ უოვლისშემძლეობასა და უოვლისმომცველობაში; ის მხოლოდ ნილაბს როდი იცვლის, ის ერწყმის ბუნებას, მისი ხმა გვეხმის ქარიშხალსა და ჭექა-ქუხილში, ფოთლების შრიალსა და ტალღების ელვარებაში, ცეცხლის ბრიალსა და ცისარტყელაში. აღბერების უჩინ-მარინის ქუდი უმთავრესი სიმბოლოა შენიღბვის ამ გენიისა, უოვლისშემძლე იმიტაციისა, რაც ერთნაირი ბუნებრიობით გადმოგვცემს გომბეშოს უბადრუკ სიცოცხლეს, მისი გაბერილი სხეულის ბტუნვა-ხოხვას და ღრუბლების ბინადარ არხების უდარდელ ნავარდს. ეს უოვლისშემძლე დახასიათება იძლევა სწორედ ხულიერად ისეთი სხვადასხვაგვაროვანი ნაწარმოებების შექმნის შესაძლებლობას, როგორცაა ლუთერისებურად უხეში, გერმანული „მაისტერზინგერები“ და „ტრისტანის“ სიკვდილნ მოწუურბული, სიკვდილით მთვრალი ხამყარო. მისი გენია უოველ ნაწარმოებს გამომყოფს დანარჩენებისაგან, პირველქმნილი ბგერიდან გამომყავს თითოეული მათგანი, რაც მას უველა დანარჩენისაგან განასხვავებს ისე, რომ მთელი შემოქმედების ფარგლებში (მისი შემოქმედება კი მისი პირადი კოსმოსია) უოველი ცალკეული ნაწარმოები ასეთივე დასრუ-

ღებულ თანავარსკვლავედს კმნის. მათ შორის არსებობს მუსიკალური შეხებანი და კავშირები, რომლებშიც მთელის ორგანული ერთიანობა აისახება. „პარსიფალიში“ აქა-იქ „მაისტერ-ზინგერების“ გამოძახილი გაისმის; „მოლანდიელის“ მუსიკაში „ლოენგრინის“ ანტიციპაციების მოხელთებაა შესაძლებელი, მის ტექსტში კი ისეთი ალუზიებია „პარსიფალის“ გნის რელიგიურ ექსტაზზე, როგორცაა სიტყვები:

„ის სიტყვები და ფიცი იარებს
მიამებს, როგორც ბალზამი წმინდა“.

ქრისტიანულ „ლოენგრინში“ ორტრულას სახეში განპიროვნებული წარმართული გადმონათობები უკვე ნიბელუნგების უღერადობას გამოსცემენ. საერთოდ კი უოველი ნაწარმოები იმგვარადაა გაშიჯნული დანარჩენებისაგან, რომ სტილის საიდუმლოება, როგორც ხელოვნების ბირთვისა, თითქმის თვით ხელვნიებისა, თვალსაჩინოდ და საგრძნობლად წარმოგვიდგება: ეს არის პირადულისა და ნივთიერის შერწყმის საიდუმლოება. ვაგნერის უოველ ნაწარმოებში სრულიად თავისთავადია, უოველი ტაქტი მათში მხოლოდ მისგან შეიძლება იყოს შეთხზული, მისი პირადი ფორმულისა და ხელწერის მაჩვენებელია (რაც შეუძლებელია სხვაში აგვერიოს); და ამავე დროს უოველი მათგანი განსაკუთრებული სტილისტური სამყაროა, ნივთიერი შეგრძნების პროდუქტი, პირად თვითნებობას რომ აწონასწორებს და ერთიანად განწავდება მასში. ამ თვალსაზრისით ალბათ უძლიერესი სასწაულია საშოცდაათი წლის კომპოზიტორის ნაწარმოები („პარსიფალი“, რომელსაც შორეული, შემადარწუნებელი და წმინდა მხარეების შეცნობასა და ამიტველინაში ბადალი არ გააჩნია — თუმცა „ტრისტან და იზოლდა“ უკიდურესია ვაგნერის ნაწარმოებებს შორის და სულიერ-სტილისტურა მისადაგების უჩვეულო უნარზე მოწმობს, რომელიც მისთვის აქამდე ჩვეულ უოველგვარ ოსტატობას აჭარბებს; ამ ნაწარმოების უმდიდრეს ბგერათა სამყაროს სულ ახალი და ახალი მდელვარებითა და ცნობისმრყვარეობით ვეძღვევით მოჭადოებულნი.

„სამაგელი ამბავი ჩემს თავსი“ — იწერება ვაგნერის 1858 წლის მაისში ლუცერნიდან, „ტრისტანის“ შესაძვე მოქმედებაზე მუშაობაში ჩაფლულნი, ახალი ხაზრუნავი რომ გაუჩნდა ამფორტასის დიდი ბნის განჭვრეტილ და ჩაჭკრებულ სახესთან დაკავშირებით. „სამაგელი ამბავი“ ღვთის გულისხათვის, წარმოიდგინეთ, რა ხდება! უცრად საშინელი ხიცბადით დაინახებ, რომ ამფორტასი ჩემი ტრისტანია, შესაძვე მოქმედების ტრისტანი, ოღონდ

წარმოუდგენლად გაძლიერებული“. ეს „გაძლიერება“ მისი შემოქმედების ხიცოცხლისა და წრდის უნებური კანონია, თვითგანეთარებაზე დაშვარებული. ამფორტასის ტანჯვასა და ცოდვების მონანიებას იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ძერწავდა. ჯერ კიდევ უტანლოზე-რში“ გაისმის ეს აქცენტებზე „უჩინო მოქმედა ცოდვათა ტვირთი“; „ტრისტანში“ ისინი თითქოს გულისგანმგმირავი გამოსახვის უკიდურეს ფორმად ქცეულან, მაგარმ „პარსიფალიში“, როგორც თვით ავტორი აღიარებს შეძრწმუნებული. ისინი კიდევ უფრო გადააჭარბებენ საკუთარ თავს, „წარმოუდგენლად გაძლიერდებიან“. აქცენტები აქ უკანასკნელი სიმის სიმძაფრმდია აუვანილი. და ავტორი შეუცნობლად სულ უფრო და უფრო ძლიერ და ღრმა იმპულსებსა და სიტუაციებს აგნებს მათთვის. თემები, ცაქეული ნაწარმოებები, დასრულებული და სფეროსავით სრულყოფილი მთელი იმ შემოქმედების ერთიანობის საფეხურებსა და ერთმანეთის მჭობნ გარდასახვებს წარმოადგენენ, შემოქმედებისა, რომელიც „ვითარდება“. მაგარმ, გარკვეული აზრით თავიდანვე მთლიანი იყო. აქედან გამომდინარეობს გადახლართული და ერთმანეთში გარდაშავალი კონცეფციები, რის შედეგადაც ამგვარი ხასიათის, ასეთი სულიერი უაღიბის მქონე მხატვარი არახრდებს არ არის დაკავებული მხოლოდ იმ ნაწარმოებით, მხოლოდ იმ ამოცანით, რომელზედაც იგი ამჟამად მუშაობს, არამედ ამავე დროს უოველივე დანარჩენი ტვირთად აწევს მის მხრებსა და შემოქმედებით პროცესს. რადაც გეგმაზოშიერების, ცხოვრების გეგმის მსგავსი (და მსგავსზე მეტაც) გამოიკვეთა 1888 წელს, როცა ვაგნერმა „მაისტერ-ზინგერებზე“ მუშაობისას ბიბრიხიდან ბიულოვისხადში მიწერილ წერილში აშკარად იწინასწარმეტყველა; რომ „პარსიფალი“ მისი ბოლო ნაწარმოები იქნებოდა, იწინასწარმეტყველა ზუსტად ოცი წლით ადრე, ვიდრე ამ განზრახვას აღასრულებდა. იქამდე კი, ვიდრე დასახული შემოქმედებითი გეგმის ცარიელი ადგილები ამოვისებოდეს, წინ „ზიგფრიდია“, რომელსაც „ტრისტანი“ და „მაისტერ-ზინგერები“ აედევნებიან და კიდევ მთელი „ღმერთების დამბობა“. „ბეჭედს“ „ტრისტანზე“ მუშაობის მთელ მანძილზე ეწიდება, მასში კი თავიდანვე „პარსიფალია“ ჩახახული. ეს ფიქრი თან სდევს ღუთერისეული ხიჯანხალით აღხავს „მაისტერ-ზინგერებზე“ მუშაობის დროსაც, და ფაქტიურად, 1846 წლიდან, „ტანპოიზერის“, ღრეზდენული პრეშიერის დღიდან ელის თავის რიგს. 1848 წელს ეკუთვნის პროზოული რეკიზი, რომელშიც ნიბელუნგებს მითი დრავა მადია თავმოყრილი. „ზიგფრიდის“ სიკვლი-

ლის" ჩანაწერი, რომელიც „ღმერთების დამ-
ბობად“ უნდა იქცეს. მათ შორის კი, 1845-
1847 წლებში იქმნება „ლონგრინი“, იკვეთება
„მაისტერწინგერების“ მოქმედება, რომელიც
სატირის თამაშითა და მუმორით ერთგვარ კო-
ნტრასტს ქმნის „ტანპოიწერთან“. ამ ორმო-
ციან წლებში, რომლის შუახანებში მას მშ-
წელი შეუსრულდა, ფაქტიურად მთელი მისი
ცხოვრების შემოქმედებითი გეგმა ისახება,
— „მოლანდიელიდან“ „პარსიფალამდე“, —
რომელსაც ერთდროული, ერთმანეთში გადა-
წნული მუშაობით აბორციელებდა იგი მომდევ-
ნო ოთხი ათწლეულის მანძილზე, 1881 წლი-
მდე. მის შემოქმედებას არ გააჩნია ზუსტი
ქრონოლოგია. თუმცა იგი დროში იქმნება
მიუხედავად ამისა, ინთავითვე მთლიანი სახით
არსებობს. უკანასკნელი ნაწარმოები, რომე-
ლიც მან დიდი ხნით ადრევე განსაზღვრა, რო-
გორც უკანასკნელი, მის წლის ასაკში შექმნი-
ლი, ამავე დროს ხსნა მისთვის იმდენად, რამ-
დენადაც იგი ასრულებს. სრულყოფს და აბ-
ვირგვინებს მის შემოქმედებას და იმას იქით
ალარაფერი აღარ დგას; მსცავანი ხელოვანის
მუშაობა ამ ნაწარმოებზე, რომელმაც მთელი
სასიცოცხლო ძალები ამოწურა, მთლიანად ამ
ნაწარმოებს ეკუთვნის. — გასრულდა იგი,
ბუმბერაზული შემოქმედება, და გულს, რო-
მელმაც სამოცდაათი წლის უკიდურეს, არა-
ადამიანურ დაძაბულობას გაუძლო, უფლებს
აქვს უკანასკნელად გაიბრძოლოს და დაცხრეს
და ეს შემოქმედებითი ტვირთი დასწოლია
მხრებს, არაფრით კრისტეფორეს მხრებს რომ
არ მოგვაგონებს, ორგანიზმს, რომელიც იმდენ-
ად ხუბტია გარეგნულადაც და სუბიექტური
მდგომარეობითაც, რომ ვერავინ ვერ იფიქრე-
ბდა, თუ იგი ამდენ ხანს გაატანდა და ამ მძი-
მე ქვარს საბოლოო მიზნამდე მიიტანდა. ეს
არის ნატურა, რომელიც ყოველ წუთს გამო-
ფიტვის პირობასა და მხოლოდ გამონაკლის შემ-
თხვევებში თუ უგრძობნია თავი კარგად. უაბზო-
ბით, შელანქოლიძის, ჯიქოლოძის გატანჯული
ეს ადამიანი მშ წლის ასაკში ისეთ მდგომარეო-
ბაშია, რომ ხშირად ილაჩგაწყვეტილი ჩაქვდა
ხოლმე და 15 წუთს ტირის. არ სჯერა, რომ
მოესწრება „ტანპოიწერის“ დასრულებას, ოც-
დათექვსმეტი წლისას კადნიერებად ეჩვენება
„ნიბელუნგებისთვის“ ხელის მოკიდება, ორმო-
ცი წლისა კი „ყოველდღე სიკვდილზე ფიქ-
რობს“ — ის, ვინც თითქმის სამოცდაათი
წლისა „პარსიფალს“ დაწერს.

მას ნერვიული ხენი ტანჯავს. ერთ-ერთი ისე-
თი ორგანულად უჩინარი სატკივარი, რომელიც
წლების მანძილზე ღრღნის თავის მსხვერპლს
და აუტანელს ხდის მის ცხოვრებას. თუმცა არც
სიკვდილით იმუქრება. ხავსებით სამართლიანად
უპირს მსხვერპლს იმის დაქერება, რომ ავად-

მყოფობა ბოლოს არ მოუდებს. და ვაგნერის
წერილებიდან არაერთი ადგილი მოწმობს,
რომ იგი დარწმუნებულია თავის ახლო აღსას-
რულში. „ჩემი ნერვები“. — წერს იგი ოცდა-
ცხრამეტი წლისა თავის დას „საბოლოოდ
შერყეულია: შეიძლება რაღაც ხასიკეთო გარე-
განმა ცვლილებამ შედგენოს, გადასწიოს
რამდენიმე წლით სწავლას, მხოლოდ
თვით სიკვდილის შეჩერება თუ შეიძლება ცო-
ტა ხანს, ჩემს კვდომას კი ვეღარაფერი შეაჩე-
რებს“. და იმავე წელს: „ძალიან მაწუხებს ნერ-
ვები და რადიკალური განკურნების არაერთი
უშედეგო ცდის შემდეგ საბოლოოდ დავკარგე
გამოჯანსაღების იმედი... ჩემი საშუალოა ერ-
თადერთი, რაც ძალას მმატებს. მაგრამ ჩემი
ტვინის ნერვები ისეა ვანადგურებული, ვერა-
სოდეს დღეში ორ საათზე მეტს ვერ ვმუშაობ,
და ეს ორი საათიც მხოლოდ მაშინ შემერგება,
თუ მუშაობის შემდეგ კიდევ ორ საათს დავიბ-
ვენებ და ცოტას მაინც წავიძინებ“. — ყოვე-
ლდღე ორ-ორი საათი, და ამ მცირედი დღიუ-
რი შრომით, ყოველ შემთხვევაში, პერსოდუ-
ლად მაინც, იქმნება მთელი სიცოცხლის გა-
განტური შრომა, იქმნება ძალების სწრაფ გა-
მოცლასთან კიდელში გაუგონარი ამტანობის
წყალობით, რომელიც კიდევ ცოტა ხნით გა-
მოაცოცხლებს ხოლმე სწრაფად მიღეულ ენერ-
გიას და იმას, რასაც მორალურად მოთმინებ
ეწოდება. „ვეშმარტი მოთმინება დიდ მოქ-
ნილობას მოწმობს“ აღნიშნავს ნოვალისა შო-
პენჰაუერი კი მოთმინებას ნამდვილ შამაცობას
უწოდებს. ამტანობის, მოთმინებისა და შამა-
ცობის ხწორედ ამ ფიზიკურ-მორალურმა ერ-
თობლიობამ შეაძლებინა ამ ადამიანს თავისი
ვალის შესრულება; და გაგვიკვირდებოდა სხვა
ხელოვანის დახახელება, რომლის ცხოვრება-
ზეც ახე კარგად დავაკვირდებოდით გენიოსის
თავისებურ ვიტალურ კონსტიტუციას, მაგრამ
ბელობისა და ძალის, სიხუხტისა და გამძლეო-
ბის ამ შეხამებას — წინააღმდეგობრიობისა
და თვითგადაღაბვის შერწყმას, რაც დიდ ქმნი-
ლებათა საწინდარია, და განსაგებია, რომ დროთა
განმავლობაში რაღაც ჩიუტი ამოცანისადმი გა-
ნუწყვეტლივი მორჩილების გრძნობას წარმო-
შობს. დიახ, ძნელია არ ვირწმუნოთ ხორცშეხ-
მისაკენ მიმსწრაფი შემოქმედების საკუთარი
მეტაფიზიკური ნება. რომლისთვისაც შემოქმე-
დის სიცოცხლე მხოლოდ იარაღია. ნებაყოფ-
ლობითი თუ უნებლიე მსხვერპლი. „ნამდვი-
ლად, უბადრუკად გრძნობ თავს. მაგრამ მაინც
გრძნობ“. საუვედურიანი და უღმობელი თვით-
განქიქების ეს წამოძახილი ვაგნერის წერილე-
ბში არაერთგან გვხვდება. იგი შეუსდომლად
ამყარებს მიწვეობრივ კავშირს თავის სატკივა-
რსა და შემოქმედებით ყოფას შორის, ხელო-
ვნებასაც და შემოქმედებასაც ერთნაირ ხატანქ-

ველად აღიქვამს — და ხოლო გაქცევას ცდილობს. ცდილობს მიაშვიტოს ბერხით, — ცივი წყლით მკურნალობის გზით. „ერთი წლის წინათ“, წერს იგი, „წუალსამკურნალო დაწესებულებაში ვიყავი, იმ მიზნით, რომ სრულიად ქანხალი გრძნობადი აღქმის ადამიანი გავმხდარიყავი. ჩემი ნატურა აქვს გამოქანმრთდებოდა, რაც შეხატებლობას მოჰქცეოდა. ხაზოლოდ გავსწორებოდა ჩემი ცხოვრების სატანჯველს — ხელოვნებას; ეს იყო უკანასკნელი, ხასოწარკვეთილი გაბრძოლება ბედნიერების, სიცოცხლის ნამდვილი, კეთილშობილური ხალისის მოხაპოვებლად. რაც მხოლოდ მათი ხვედრია, ვისაც შეგნებულა აქვს თავისი ქაშჩრთელობა“.

რა ბავშვურად ბუნდოვანი და გულისშემძვრელი აღსარებაა! ცივი წყლით სურს განიკურნოს ხელოვნებისაგან, ანუ იმ კონსტიტუციისაგან, რომლის ძალითაც ის ხელოვანია! მისი დამოკიდებულება ხელოვნებისადმი, თავისი ბედისწერისადმი ძნელად გასაგები სირთულისაა. უადრესად წინააღმდეგობრივი და დაბლართულია და დროდადრო, ამ ლაგაკურქსელში გაბმულივით ფართხალებს. „და ახეთ საქმეს მოვკიდო კიდევ ხელი?“ — წამოიძახებს ორმოცდაექვსი წლის კომპოზიტორი, რაცა აღეფეხებულა გადმოშლის „...პარსიფალის“ გეგმის ხულიერ და ხიმბოლურ ხატებს. „და თან მუსიკაც დაწერო ამისათვის? უმორჩილეს მადლობას მოგახსენებთ! დე იმან გააკეთოს, ვისაც საამისო სურვილი აქვს; მე კი, უმჭობესია, დავებნა ამ საქმეს!“ — უური მიუგდეთ, როგორი ქალური კეკლეუცობა გამოსჭვივის ამ სიტყვებში, ისინი აღსავსეა კმინის მრთოლვარე უინით, იცის, რომ სხვა გზა არა აქვს და მისი უარი მის გულისთქმას სრულებით ვერ ფარავს. წერილებში არაერთგზის წერს, რომ მისი ოცნებაა თავი დაიხსნას ხელოვნებისაგან, მოიპოვოს ცხოვრების უფლება, ნაცვლად შემოქმედის ვალისა, იყოს ბედნიერი: „ბედნიერების“, „კეთილშობილი ბედნიერების“, „ცხოვრებით კეთილშობილი ტუბობის“ ცნება მასთან უპირისპირდება ხელოვანის ყოფას. ხელოვნების გაგებას, როგორც ყოველგვარი უშუალო ტუბობის მაგიერ საშუალებას. ოცდაცხრამეტი წლის ასაკში ლისტს სწერს: „დღითი დღე ვუაბლოვდები აღსახრულს: აწმწმრლად უღირსი ცხოვრებით ვცხოვრობი ცხოვრების ჭეშმარიტი სიამენი ჩემთვის სრულიად უცხოა: ჩემთვის ცხოვრებით, სიუპარსული (ეს სიტყვა მისი ხაზგასმულია) ტუბობა, მხოლოდ ჩემს წარმოსახვაში ცოცხლობს, და არა ჩემს გამოცდილებაში. ამიტომაც გული ტვიწნი მაქვს შეგრილი და ჩემი ცხოვრებაც მხოლოდ ხელოვნურია: მხოლოდ „ხელოვანად“ შემიძლია ვიცოცხლო, ამან შეთან-

თქა ჩემი „ადამიანობა“. — უნდა ვაღიაროთ, რომ არავის ასეთი მძაფრი სიტყვებითა და ხასოწარკვეთილი გულანდობლობით არ დაუხასიოთებია ხელოვნება, როგორც ჩვენს მიწის, *Paradis artificiel* და ხელოვნური ყოფის წინააღმდეგ უწყინებელი ოქარი შეტევის დროს, თავისუფლად უფლებს თავში, ლისტს სწერს: „მინდა ხელახლა მოვიწინათლო: ბომ ვერ გამიწევდი ნათლიობას? და მერე — ორივენი ხასწრაფოდ გავეცალოთ აქაურობას და სახეტიალოდ გავიჭრათ!... წამოდი ჩემთან ერთად სახეტიალოდ: და მერე თუნდაც ჩავიბრჩოთ თავაწყვეტილ მხიარულებაში, უფსკრულში გადავეშვათ და დავიმსხვრეთ!“ — ტანპოიწერი გაახსენდება, ვოლფრამისთვის რომ შემოუბდვია ხელები და ვენერას ქვანულისაკენ ეწვია. — აქ ხომ ამქვეყნიურ სიამეთა მოკლებულ ფანტაზიას ქვეყანა, „ცხოვრება“ — ვენერას მღვიმედ უსაბება, ბოქმეური „le m'en fichisme“? კერად და თავაწყვეტილ ღრეობაში ჩაძირვად, მოკლედ: ყოველივე იმის საუფლოდ, რისა „უღირსი“ მაგივრობაც უნდა გაუწიოს მას ხელოვნებაში.

მაგრამ ხელოვნებაზე ასეთ შეხედულებას ერწყმის, ამ უფრო სწორად, მასთან უცნაურადაა გადაწული სხვა წარმოდგენაც, სახელდობრ, ხელოვნება გამათავისუფლებელი, დაშამშვიდებელი საშუალებაა, წმინდა ჭვრეტისა და უვნებელობის მდგომარეობა, — ასე აწავლავს ფილოსოფიამ ხელოვნების ხედვა, და ისიც, სულიერი გულითადობითა და ხელოვნების შვილიხათვის დაშახასიათებელი ცოდნის წადილით, მიბყვება მას. დიან, ის იდეალისტია! ცხოვრების აწრი თვით ცხოვრებაში კი არაა, არამედ რაღაც უფრო ამალღებულში, ამოცანაში, ქმნაში, და „ასე მარად და მარად აუცილებლობისათვის ბრძოლაში“. როგორც მისთვის: „ხშირად, ხანგრძლივი დროის მანძილზე, იძულებული ვარ მხოლოდ იმაზე ვიწრუნო, თუ როგორ მოვიპოვო ცოტა ხნით გარეგანი სიმშვიდე და საარსებო საშუალება და ამისათვის, საკუთარი შეხედულებისა და ნების წინააღმდეგ, მათ, რომელთა მეშვეობითაც თავი უნდა გავიტანო, სრულიად სხვაგვარად უნდა მოვეჩვენო, ვიდრე ხინამდვილეში ვარ. — ეს ხომ უბრალოდ, აღმაშფოთებელია... ყველა ეს საწრუნავი სრულიად ბუნებრივი და მისხდებია მათთვის, ვისთვისაც ცხოვრება თვითმიზანია და ვისთვისაც წრუნვა აუცილებლის მოხაპოვებლად სწორედ სახელღებელია იმ მოჩვენებითი სიამისა, რასაც მოპოვებული ანიჭებს: ამიტომაც ვერავის გაუგია, რატომ აღ-

6. ხელოვნური სიმოთხე (ფრანგ.).
7. ავღებულობა, დაუღვერობა (ფრანგ.).

რავს უოველივე ეს ჩემნაირ ადამიანში ასეთ ზიზღს, მაშინ როცა იგი საუოველთაო ბედრი და ცხოვრების პირობაა. ვილაციისთვის რომ ცხოვრება თვითმიზანი არ არის, არამედ გარდუვალი საშუალება უფრო მაღალი მიზნის მიხედვით, განა ამას გაიგებს სხვა მთელი სიღრმითა და სინათლით? (წერილი მატრილდე ვენენდონკისადმი ვენეციიდან, 1858 წლის ოქტომბერი). — მართლაც, სამარცხვინო და უაღრესად დამამცირებელია, ასე იბრძოლო ცხოვრებისათვის და იძულებული იყო მოწყალება ითხოვო, როცა საქმე ებება არა თვით ცხოვრებას, არამედ უფრო მაღალ, ცხოვრებაზე მაღლა და ცხოვრების მიღმა მდგომ მიზანს: ხელოვნებას, ქმნას, რისთვისაც უნდა მოიპოვო სიმშვიდე და მოსვენება და რაც თავად სიმშვიდისა და მოსვენების შუქით გაციხკროვნებული წარმოგვიდგება. ხოლო როცა დიდი დამაბულობის ფასად მოპოვებულია თავისუფლება უმთავრესი მიზნის — შრომისათვის, რაც საკმაოდ პრეტენზიულ პირობებს საჭიროებს, — მხოლოდ მაშინ იწყება ჭეშმარიტი და მაღალი ნებაყოფლობითი ბეგარა, შემოქმედებითი შრომა, ბრძოლა ხელოვნებაში, რომლის არსის შესახებ წარმოდგენაც ცხოვრებისათვის მდებარე ბრძოლის დროს ფილოსოფიური ილუზიებით იკვებებოდა, რამეთუ იგი სრულებითაც არ არის მზსნელი შემეცნება და წმინდა „წარმოდგენა“, არამედ ნების უმაღლესი ძალაა, ჭეშმარიტი და ნამდვილი „იქსიონის ბორბალი“.

სიწმინდე და სიმშვიდე — მის მკერდში სიცოცხლის წყურვილთან ერთად ცოცხლობს ეს ნატვრა, და როგორც კი ის უშუალო სიამისაკენ მის ამაო სწრაფვას წინ გადაეღობება, ხელოვნება მას წარმოუდგება დაბრკოლებად ხსნის გზაზე და ეს კიდევ ერთი ახალი სირთულეა ხელოვნებისადმი მის დამოკიდებულებაში — ეს არის ტოლსტოისებური დაგმობა ხელოვნებისა, საკუთარი ბუნებითი უნარის უღმობელი უარყოფა „სულისა“ გამო, რაც აქ ნათესაურად მეორდება, ომ, ეს ხელოვნება არა სწორი იყო ბუდა, როცა ხსნისაკენ მიმავალი ყველაზე მცდარი გზა უწოდა მას სწორედ ამაზე ესაუბრება მ. ვენენდონკს ვენეციიდან 1858 წელს მოწერილ ვრცელ და ბოლოქარ წერილში, რომელშიც მეგობარს ბუდისტური დრამის — „გამარჯვებულების“ ბეგმას გადმოუშლის. ბუდისტური დრამა, იი, რა აფერხებს საქმეს, მის წინაშე *contradictio in adjecto* — ეს მისთვის ცხადი შეიქმნა, როცა იმ სიძნელეთა პირისპირ აღ-

მოჩნდა, რაც სრულიად გათავისუფლებულია უოველგვარ ვნებაზე ამაღლებული ადამიანის, კერძოდ, ბუდას დრამატულ და განსაკუთრებით კი მუსიკალურ ხორცშესხმა ხელავს თან ის სისუფთავეს და სიწმინდე, რაც შემეცნების დაუოკებია, ხელოვნებისათვის სკვდარია წმინდანობა და დრამა შეუქმნებელია ეს ცხადზე ცხადია. მაგრამ *ქმნისა* [ქმნისა] წარობი გადმოგვცემენ, შეკიამუნი-ბუდა უკანასკნელი პრობლემის პირისპირ აღმოჩენილა, უკანასკნელ კონფლიქტში გაბვეულა: თავისი აქამომდელი პრინციპების წინააღმდეგ, იგი მიუდის გადაწყვეტილებამდე. წმიდათა საკრებულოში მიიღოს ჩანდალა გოგონა სავტრი, მადლობა ღმერთს, ამ ამბოს წყალობით იგი შეიძლება იქცეს ხელოვნების ობიექტად. ვაგნერი გაბარებულია — მაგრამ იმავე წამს სინდისის ქენჯნას განაცდევინებს ხელოვნებისა და ცხოვრების მჭიდრო კავშირის, ხელოვნების მაცდუნებელი ძალის შეგნება. განა არ დაიჭირა საკუთარი თავი იმაში, რომ დრამას უფრო ესწრაფვის, ვიდრე წმიდანობას? ხელოვნების გარეშე მას შეეძლო გამხდარიყო წმინდანი, ხელოვნებასთან ერთად კი — ვერახოდეს, რაც არ უნდა უმაღლეს შემეცნებას, რაც არ უნდა უღრმეს წვდომას ეზიაროს იგი, — ისინი ისევ და ისევ პოეტს, ხელოვანს სრულქმნიან მასში: წარმტაცი თვალნათლივობით წარმოუდგებიან მომზიბლავ ნატვრად, რომელთა მხატვრულ ხორცშესხმაზე უარს ვერ იტყვის, უფრო მეტიც: ეს სატანური ანტიანობია ნეტარებასაც კი ანიჭებს! ის ზიზღისმომგვრელია, მაგრამ მომაჯადოებლად საინტერესო, — მაშინვე ფსიქოლოგიურ-რომანტიკული ოპერის შექმნის სურვილს უღვივებს, რასაც ვაგნერი საკმაოდ მკაფიოდ მოხაზავს კიდევ ფრანუ ვენენდონკისათვის გაგზავნილ წერილში, ეს წერილი ოპერის ესკიზია, გოეთე ასკვნის: „არაფერი ისე არ გვაშორებს სამყაროსაგან, როგორც ხელოვნება, და არაფერი ისე არ გვაკავშირებს მასთან, როგორც ხელოვნება“, იი, რა მეტაფორმოზა განიცადა აღუშფოთებელი მადლიერებით აღხავსე ამ მტკიცებამ რომანტიკოსის თავში!

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს ხელოვნება, რაც არ უნდა მოჩვენებითი იყოს ის ბედნიერება, რომელსაც იგი ჭეშმარიტი გრძობითი ბედნიერებისა და ამავე ღრმს ხსნის ნაცვლად გვანიჭებს, — მისი შემოქმედება, იმ მოქნილი ძალის წყალობით, რომლითაც გულში თავადაა აღტაცებული, შეუჩერებლად მიიწევს წინ: პარტიტურები ერთმანეთზე ხვავდება, იი, ესაა მთავარი, ამ ადამიანმა ისევ ნაკლებად იცის, როგორ უნდა იცხოვროს სწორად, როგორც თითოეულმა ჩვენგანმა: ცხო-

მ წინააღმდეგობა მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის (ლათ.)

ვრება აცხროვრებს მას, და სძალიავს იმას, რაც მისგან სჭირდება, — მის შემოქმედებას, და სულაც არ აწუხებს ის, თუ როგორ ფართბალებს მსხვერპლი, თავისივე აზრების ქსელში გახლართული: „ჩემო ბავშვო! ეს „ტრისტანი“ რაღაც საშიშროებას აქნება! მაინც ეს უკანასკნელი მოქმედება ვშიშობ, რაერას აქრძალიავენ — თუ ცუდო შესრულება მთლიანად პარადიად არ აქცევს მას: — შხოლოდ საშუალო შესრულებას შეუძლია ჩემი გადაჩენის სრულყოფილი შესრულება ადამიანებს ნამდვილად კუთიდან შეშლის, — სხვაგვარად მერეს ვერ წარმოგიდგენია, აი, სადამდე მივიდა საქმე! ლმერათო ჩემო! — მერე და რა ვატაცებით ვმუშაობდი სწორედ ახლა! მშვიდობით! ამ ბარათს ვეწენდონებს სწერს, არაბუდისტურ ბარათს, რომლიდანაც ფანტასტიურ-შემინებული ხარხარი ისმის ამ ნეტარი ბიწიერების გამო, რასაც იგი ზორცხ ასხამს. კარგი გუნება-განწყობის, ურყევა სასიცოცხლო ძალების უზარმაზარი მარაგი ამაღლება ამ დონდლო, მედანიკლით შეპყრობილ კაცში, რომლის ავადმყოფობა ჭანჭრთქობის ერთგვარი არაბიურგერული ნაირსაბეობაა მხოლოდ. რა მაცოცხლებელი ჭადო უნდა ბქონოდა ამ ადამიანს, რომელთან პირად ურთიერთობასაც ნიცში ბოლომდე თავისი ცხოვრების უდიდეს ბედნიერებად თვლიდა! მას გააჩნდა უპირველეს ყოვლისა დაუფახებელი უნარი, გვერდზე გადაედო მათობა და ბინალობას მისცემოდა! მთელი დღის დაძაბული შრომის შემდეგ კარი გაედო ადამიანური მხიარულებისთვის, როგორც ეს ხევეოდა ბიროითში, თავის მსახიობებთან, ერთბა და იმავეს რომ მოუწოდებდა ხოლმე: „ახლა კი — არც ერთი სერიოზული სიტყვა!“ მას შეხანიშნავად ესმოდა ხცენის ამ ერთგული მსახურებისა, რომლებიც თავისი ნაწარმოებების განსახორციელებლად სჭირდებოდა; შეხანიშნავად ესმოდა თვით სიხსლითა და სორცით კვატრალს, კენპახის ეტლის ღირსეულ გამწევს, მიუხედავად მათ შორის არსებული დიდი ინტელექტუალური სხვაობისა, მისი თავმჯაბაბლი მეტობარი, მანჭაიშელი მეკელი, ბიროითის პირველი აქციონერი, მშვენივრად, მოგვითხრობს ამაზე. „ძალიან ხშირად, — წერს ის, — ვაგნერისა და მისი მსახიობების ძირად ურთიერთობაში დიდი სიანცე სუფევდა. უკანასკნელი რეპერტიციის დროს, რომელიც რონადის თანხლებით მიმდინარეობდა ხახტუმრო „ზონებს“ დარბაზში, მეტიხმეტი მხიარულებისაგან იგი ნამდვილად ყირაზე დადგა“. — ეს ისევ ტრადსტრის ვვაგონებს — მხედველობაში შაქვს სცენა, როცა ღრმად მოხუცებული წინასწარმეტყველი, მუმუნვარე ქრისტაანი, წმინდა ვიტალოური იდტყინებრისაგან თავის სიმამრს ბერსს

მხარზე შეაბტება. იგი ხელოვანია, ისევე, როგორც ტენორები და თეატრის „ტოროლები“, „მეტრონს“ რომ უწოდებენ მას—ე. ი. ბუნებრივ მხარული და სხვათა გამხიარულების მოსურნე ადამიანი, გასართობებისა და დღესახწაულების მოთვე — რითაც იგი, თავისი ჭანჭრთქობისა და სხვათაგან, სრულიად განსხვავდება კლასიკურიდან, რომელიც ენწრაფვის კეშმარიტებას, ხწვდება და განხჯის მას, ადამიანისგან, რომელიც სერიოზულად ეკიდება უველაფერს, როგორც ნიცში. უნდა ვაღიაროთ, რომ ხელოვანი, ხელოვნების რაც უნდა მაღალ სფეროებში იყოს მისი სამყოფელი, არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად სერიოზული ადამიანი, რომ მისთვის შთაბეჭდილება, სიამოვნების მინიჭებაა მთავარი, რომ ტრაგედია და ფარსი ერთი და იგივე ფესვებიდან აღმოცენდებიან. საქმარისია განათების შეცვლა, რომ ერთი მეორედ იქცეს; ფარსი შეფარული ტრაგედიაა, ტრაგედია კი, საბოლოო ჯამში, დახვეწილი ოხუნჯობა. ხელოვანის სერიოზულობა — ფრიად დამაფიქრებელი თემაა. ის შეიძლება საძრახისადაც მოგვეჩვენოს, რამდენადაც ექვის ქვეშ აუენებს ხელოვანი ადამიანის ინტელექტუალურ, კეშმარიტებისადმი მისი დამოკიდებულების სერიოზულობას; მისი მხატვრული სერიოზულობა კი ცნობილი „სერიოზული თამაში“, რომელიც ადამიანური ხულის სიდიადის უწმინდესი, უსათუთესი ფორმია, ექვს არ იწვევს, მაგრამ რა უნდა ვიფიქროთ მის მეორე სახეობაზე, მაგალითად, კეშმარიტების მაძიებლის, მქადაგებლისა და მოაზროვნის, რიბარდ ვაგნერის სერიოზულობაზე? ის ასკეტურქრისტაიანული იდეები და შეხედულებანი, მოხუცებულობაში რომ ქადაგებდა, ზიარებაზე დამყარებული წმინდანობის ფილოსოფია, ყოველგვარ „ზორციელ სიამეზე“ უარის თქმით რომ მიიღწევა — ეს აზრები და შეხედულებანი, რომელთა გამოხატულებასაც წარმოადგენს „პარსიფალი“, და თვით „პარსიფალიც“, — უდავოდ, ძირფხვიანად უარყოფენ, ზაზს უხვამენ და გმობენ ახალგაზრდა ვაგნერის გრძნობადი აღქმით გამსჭვალული ამ რევოლუციონერობას, რაც „ვიგფრიდის“ ატმოსფეროსა და იდეურ შინაარსს შეადგენს. ეს უკვე აღარ არსებობს, მისი არსებობა აღარ უნდა ყოფილიყო შეხედლებელი. ხელოვანი რომ მთელი ინტელექტუალური სერიოზულობით მოკიდებოდა ამ ახალ, ნაგვიანევ და აღბათ საბოლოო კეშმარიტებებს, მაშინ ადრეული ნაწარმოებები უნდა უარყო, გაენადგურებინა როგორც მცდარი, ცოდვიანი და გამბრწველი და შემოქმედი ხელითვე ცეცხლისთვის მიეცა ხინი, რათა კაცობრიობას აღარახოდეს აღარ განეცადა მათი დამაბრკალებელი შემოქმედება ხსნიხკენ მიშავალ გზაზე. მაგრამ ის ამაზე არც

ფიქრობს. აწრადაც არ მოხდის ასეთი რამ ვინ გაანადგურებდა ასეთ მშვენიერ ქმნილებებს? უკველივე ერთმანეთის გვერდით აგრძელებს თანაარსებობას და უწინდებურად სრულდება, რადგან ხელოვანი პატრიუს სცემს თავის ბიოგრაფიას. იგი მიმყვება ასაკის შესაბამის ფიზიოლოგიურ განწყობილებებს და ხორცს ასხამს მათ ნაწარმოებებში, რომლებიც ინტელექტუალურად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. მაგრამ უკველი მათგანი მშვენიერი და შენარჩუნების ღირსია. ახალ „კემპარიტებთან“ წვდომა ხელოვანისათვის მხოლოდ და მხოლოდ ახალ იმპულსებსა და გამოსახვის ახალ შესაძლებლობებს ნიშნავს. მას ზუსტად იმდენად სწამს მათი, ზუსტად იმდენად დებულობს მათ სერიოზულად, რამდენადაც ისინი უმალდები გამომსახველობისა და უღრმესი შთაბეჭდილების მისაღწევად ესაპირებოდა. ისე რომ, იგი ძალზე სერიოზულად ეკიდება მათ. ცრემლები ხომოგვრამდე სერიოზულად, მაგრამ არა მთლიანად, და ე. ი. ხუ ლ ა ც არა. მისი ხელოვნებისმიერი სერიოზულობა „სერიოზულად თამაში“, და ეს აბსოლუტური ხასიათისაა. მისი გონისმიერი სერიოზულობა კი არ არის აბსოლუტური, რადგან ეს სერიოზულობა თამაშის მიზანს ემსახურება. სწორედ ამიტომ არ იხევის უკან ხელოვანი, იმ ზომამდე გააქილიკოს თავისი ზეიმურობა მეგობრების წრეში, რომ ნიცშეს გაუგზავნოს „პარსიფალი“ ასეთი წარწერით: „რიმარდ ვაგნერი, კონსისტორიის წევრი“. მაგრამ ნიცშე არ იყო ხელოვანი-მეგობარი: ამგვარი უწყინარი წამისყოფა ვერ შეძლებდა შეერიგებინა მისი მომაკვდინებელ-ნადვლიანი, აბსოლუტური სერიოზულობა ნაწარმოების კათოლიციზმის ნიღაბს ამოფარებულ ქრისტიანულობასთან, რასაც მან უწოდა უაღრესად კადნიერი გამოწვევა მუსიკის მიმართ. როცა ვაგნერი ბავშვური გააფთრებით მოისვრიდა ხოლმე როიალიდან ბრამსის პარტიტურას, ხელოვანისათვის დამახასიათებელი ეჭვიანობისა და ერთმმართველობის სურვილის ასეთი გამოვლინება ნიცშეს უაღრესად ტკენდა გულს და ამბობდა: „ამ წუთში ვაგნერი არ იყო დიადი!“ როცა ვაგნერი სულის მოსათქმელად ტრივილობას მიეცემოდა, თავს ისუღელებდა და საქსონურ ანტედოტებს მყვებოდა, ნიცშე წითლდებოდა. — ჩვენთვის გასაგებია მისი სირცხვილი, რომელსაც დონის ასეთი სწრაფი ცვლა იწვევდა. თუმცა რაღაც გვიკარნახებს. — შეიძლება ეს ჩვენი ხელოვანობის ბრალიც იყოს. — არცთუ ისე კარგად გავიგოთ ეს გრძნობა.

არტურ შოპენმაუერის ფილოსოფიასთან ზიარება ღიადი მოვლენაა ვაგნერის ცხოვრებაში: ვერც ერთი ამასზე აღრინდელი სულიერი შეხვედრა. თუნდაც შეხვედრა ფიზიკურაზიონ, ვერ შეედრება მას ვერც პირადული და ვერც ის.

ტორიული მნიშვნელობით, ეს შეხვედრა უღრიდა უდიდეს ნუგეშს. უღრმეს თვითდაშვიდრებას, სულიერ ხსნას მისთვის, ვისთვისაც იგი იყო „განკუთვნილი“. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და ვდავოდ მხოლოდ მან მიანიკვა ვაგნერის მუსიკას გამათავისუფლებელი ძალგულოვნება. ვაგნერს შეეძლო მანქანად სწამდა ნამდვილი მეგობრების ურთიერთობის უღრმესი ზღუდეები, რომლებიც ხულებს ერთმანეთისაგან განაცალკევებენ. მის თვალში, მისი გამოცდილების თანახმად, გადაულახავს ხდიდა მარტოობას, სრულ ურთიერთგაგებას კი — შეუძლებელს. აქ კი მას უგზდნენ და თვითონაც სრულად უგებდა: „ჩემი მეგობარი შოპენმაუერი“. — „ცოთ მოვლენილი საჩუქარს ჩემს სიმარტოვეში“ — „მაგრამ რე მუავს მეგობარი“, წერს ის. „რომელიც სულ უფრო და უფრო მეტად მიყვარდება. ეს არის ჩემი ძველი. შესახედავად ასეთი პირქუში და მაინც ასეთი მოხიყვარულე შოპენმაუერი! ჩემი გრძნობებით უშორეს და უღრმეს სივრცეებს მიახლებული, ამ წიგნს რომ გადავშლი, რა განუმეორებელ შვეებას მგვრის, როცა უცებ კვლავ ვპოულობ საკუთარ თავს, ახე სრულად და შეუფიოდ ასახულს რომ ვხედავ მას, ოღონდ სრულიად სხვა ენაზე, რომელიც ახე სწრაფად აქცევს ტანჯვას შეშეცნების საგნად... ეს სრულიად საოცარი ურთიერთშემოქმედებაა და რეტარების მომგვრელი გაზიარება: და ეს შემოქმედება მარად ახალია, რადგან იგი სულ უფრო და უფრო ძლიერდება... რა კარგია, რომ მოხუცმა არაფერი არ იცის იმის შესახებ, თუ რა არის იგი ჩემთვის, რბ ვარ მემ ჩემი თავისთვის მისი წაალობით“.

ასეთი ურთიერთშეცნობის ბედნიერება შემოქმედი ადამიანებისათვის მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა „სანი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ: წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კატასტროფად აქცევა. დაშლუპველ იდეად — „მე თუ ის“. ამგვარ ურთიერთკავშირში კი ორ სხვადასხვა კატეგორიას — ხანესა და აზრს შორის, მოხსნილია უკველგვარი ეჭვი, რასაც მომიჯნავეობა, სულიერი წუობის აღმტურება იწვევს ხოლმე. აქ აღარ მოქმედებს გამინათქვამი: „Pereant qui ante nos nostra dixerunt“⁹, და აღარც გონდესეული კითხვა ხელოვანის თაობაზე: „ცხოვრობთ კი, თუ სხვებიც ცხოვრობენ?“ პირიქით, ხხვაც ხომ ცხოვრობს, ესაა შველა გასაპირში, კურთხეული, მოულოდნელი დადასტურება და განმარტება საკუთარი უოფისა. აღბნო არასოდეს ხუღთა მატიანეში შეტარებულში, ტანჯული ადა

⁹ და დააღუბონ ჩვენი სიტყვების ჩვენი ეადრეს წარბოვანქმედნი (ეფა. 5).

მიანის მოთხოვნები, ხულიერა მხარდაჭერის, გამართლებებისა და დამოძღვრის ზელოვანისეული წადილი აზრის შეშვეობით იხე საოცრად არ დაკმაყოფილებულა, როგორც ეს წილად ხვდა ვაგნერს შოპენმაურთან ზიარების შედეგად.

„სამყარო ვითარება ნება და წარმოდგენა“ — რამდენ მოგონებას აღძრავს ხაკუთარ უმწიფელურ ხულიერ თავდავიწყებაზე, მელანქოლიითა და მადლიერებით გამსჭვალულ აღქმის ბედნიერებაზე — აზრი ვაგნერის შემოქმედების დაკავშირების შესახებ სამყაროს გამაკრიტიკებელ და სამყაროს მომწიფებელ ამ წიგნთან, შემეცნების ამ პოემასთან, ინსტინქტისა და ხულის, ნებისა და კვრეტის ზელოვანისეულ მეტაფიზიკასთან, აზრის ამ გახაოცარ ეთიკურ-პესი-მისტურ-მუსიკალურ კმნილებასთან, ესოდენ ღრმა, ეპოქალურ და ადამიანურ ნათესაობას რომ ამელავნებს „ტრისტანის“ პარტიტურასთან! უნებურად გვახსენდება ძველი სიტყვები, რომლებითაც ვაბუკი რომანში თავისა ბიურგერული გმირის შოპენმაურთან შეხვედრით გამოწვეულ განცდას აღწერს: „აქამდე განუცდელი, დიადი მადლიერების გრძნობამ აღავსო იგი. შეუდარებელ კმაყოფილებას განიცდიდა, როცა ხედავდა, როგორ იმორჩილებდა ეს მძლავრი გონი ცხოვრებას, ამ ძლიერ, ავბედით, დამცინავ ცხოვრებას, რათა ეძლია და ვანება-ქა იგი... ეს იყო კმაყოფილება ტანჯული ადამიანისა, რომელიც სინდისდამძიმებული ნიადაგ მორცხვად მალავდა თავის განცდებს შეუბრალებელი და ცივი ცხოვრებისაგან. და უცებ, დიადი და ბრძენი ადამიანისაგან საფუძვლიან და ხაზვიამ უფლებას ღებულობს, იტანჯოს ამ სამყაროში — ამ საუკეთესო სამყაროში, როგორც კი ძალგვიძს წარმოვიდგინოთ, რომლის შესახებაც მას შემპარავად და გებლიანად არწმუნებდნენ, ეს უველაზე უარესია მათ შორის, როგორც წარმოდგენაც კი შეიძლება“. კვლავ ამოტრავტავდება იხინი, მადლიერებისა და ხობების ძველი სიტყვები, რომლებიც მარად მითროლვარე ხულის ნეტარებისადმი, ხანმოკლე, ღრმა ძილიდან ამ ღამით გამოღვიძების, გამოფხიზლებისადმი მიმართული, ანაზღუდი და ნეტარი შიში რომ ახლავს თან, გულში კი ჩავარდნილა მეტაფიზიკის მარცვალი, რომელიც მე-ს ილუზიად გვისახავს, სიკვდილს — მისი არასრულყოფილებისაგან გათავისუფლება, სამყაროს — ნების პროდუქტად და მის მარადიულ ხაკუთარებად, ვიდრე იგი თვითშემეცნების შედეგად არ უარყოფს თავისთავს და ილუზიიდან სიმშვიდისაკენ არ გაიკვლევს გზას. ეს დამატება, ნების ფილოსოფიაზე დართული მოძღვრება სიბრძნისა და გადარჩენის შესახებ, რომელსაც, თავისი კონცეფციიდან გამომდინა-

რე, ცოტა რამ თუ აქვს ხაერთო სიმშვიდის სიბრძნისა და განსვენებასთან — კონცეფციიდან, რომლის შექმნა მხოლოდ თავისი დაუოკებელი ბუნებით გატანჯულ, ძლიერ ნებისა და ვნებების ადამიანს შეეძლო, რომელშიც, მართალია, განწმენდისაკენ, მუშაობდა, შემეცნებისაკენ ლტოლვა [წიგნი] [წიგნი] იყო, როგორც გაუცნობიერებელი გულისტკმა — ეს არის სამყაროს ეროტიული კონცეფცია, რომელიც დაჟინებით აცხადებს სქესს ნების შუაგულად და ესთეტური მდგომარეობა ესმის, როგორც წმინდა და უანგარო კვრეტა, როგორც ერთადერთი და დროებითი ხაშუალება მტანჯველ ვნებათაგან თავდასაღწევად. ეს ფილოსოფია ნების, უნის ნაყოფია შეგნების წინააღმდეგ ნების ინტელექტუალური უარყოფა. და ვაგნერმა, ფილოსოფოსის ღრმად, ძმურად ნათესაურმა ნატურამ, განიცადა და უდიდესი მადლიერებით აიტაცა იგი, როგორც ხაკუთარი, სრულიად მისი ბუნების გამოხატულება. მის ნატურასაც ხომ ძლევა მოსილებიანა და ტკობის ხობოქარი და მტანჯველი ნება, ზნეობრივი განწმენდისაკენ და ხსნისაკენ ლტოლვა, ვნებები და სიმშვიდის წყურველი შეადგენდა; და აზროვნებას სისტემა, რომელიც მეტად თავისებური ნაერთია პაციფიზმისა და პეროიკისაკენ სწრაფვისა, რომელიც „ბედნიერებას“ ქიმერად აცხადებს და გვიძულებს გავიგოთ, რომ უმაღლესი, რასაც უველაზე მეტად უნდა ვებწრაფოდეთ, ეს ცხოვრების პეროიკული გზაა — რა ნეტარებად უნდა მოვლენოდა იგი ისეთ ნატურას, როგორც ვაგნერი იყო, რომელიც მისთვის შექმნილ, ხაკუთარი თავის ანარეკლს ხედავდა მასში!

ვაგნერის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ოფიციალურ ნაწარმოებებში არც თუ იშვიათად შევხვდებით სავსებით ხერიოზულ მტკიცებას იშის თაობაზე, რომ „ტრისტანი“ თავისუფალია შოპენმაურის ფილოსოფიის გავლენისაგან. ეს გაგების საოცარ უუნარობაზე მეტყველებს. ამ ამაღლებულ-ავადყოფური, მომქანცველი და მომაქადოებელი, რომანტიკის უველაზე დამღუპველ და უწმინდეს მისტერიებთან ნაზიარები ნაწარმოების ქარქირომანტიკული; წყვედიადის განმადიდებელ ხულში მართლაც არიფერი არ არის სპეციფიკურად შოპენმაურისეული. „ტრისტანის“ გრძნობად-ზეგრძნობადი ინტუიციები უფრო შორიდან იღებენ ხათავებს: მგზნებარე ხულის, კლექით შეპყრობილი ნოვალისიდან, რომელიც წერს: „კავშირი, რის წინაშე სიკვდილიც უძლურია, არის ქორწინება, რომელიც გვიბოძებს მეგობარს დამისათვის. ხიკვდილში სიუვარული უტკბესია; შევტარებულისათვის სიკვდილი ქორწინების ღამეა, ტკბილი მისტერიების იდუმალება“, ნოვალისიდან, რო-

მელიც „ქიშნებში ლამისადმი“ ჩივის: „ნუთუ მარადის უნდა დაგვიბრუნდეს დღე? ნუთუ არა აქვს ბოლო ძალას ამა ქვეყნისა? ნუთუ არა დებს ფარული მხვერპლი სიყვარულისა მარადიულ ცეცხლში არ დაიფერფლება?“ ტრისტანი და იზოლდა ერთმანეთს „ღამეს შეწირულებს“ უწოდებენ — ზუსტად ასეა ნოვალისთან: „ღამეს შეწირული“, და სულის ისტორიის თვალსაზრისით. „ტრისტანის“, წარმოშობის მისი გრძნობითი და იდეური საფუძვლისათვის, კიდევ უფრო უცნაური და ნიშანდობლივია მისი დამოკიდებულება ერთ სახელგატეხილ წიგნთან, ფრიდრიხ შლეგელის „ლუსინდასთან“, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ უკვდავნი ვართ, ვით სიყვარული. მე აღარ ძალმიძს ვთქვა, ჩემი სიყვარული თუ შენი სიყვარული, ისინი ერთგვარი და სავსებით ერთიანია და მასში იმდენივე სიყვარულია, რამდენიც ხაპასუხო ლტოლვა. ეს არის ქორწინება, ჩვენი ხულების მარადიული ერთიანობა და კავშირი, არა იმიხათვის მხოლოდ, რასაც ამ სოფელს ან იმ სოფელს ვუწოდებთ, არამედ ჭეშმარიტი, განუყოფელი, უსახელო, უხასრულო სოფლისათვის, მთელი ჩვენი მარადიული ყოფისა და ცხოვრებისათვის“, — ეს არის სიკვდილისა და სიყვარულის სასმელის აწრობრივი ხატი: „ამიტომ მეც, თუ მომეჩვენებოდა, რომ საამისო დრო დადგა, ისეთივე ხალისითა და სიმსუბუქით გამოვცლიდი ყავის სასმელიან ფინჯანს, როგორც შამპანურის უკანასკნელ სასმისს, ერთად რომ შევსვით, ჩემი სიტყვებით: „მაშ შევსვით ჩვენი სიცოცხლის ნაშთი“ აქ გამოხატულია სიტყვარულში სიკვდილის იდეაც: „მე ვიცო, არც შენ ინდომებდი ჩემს მერე სიცოცხლეს, ხამარში ჩაპყვებოდი გასწრებულ მუხლს და მისი სიყვარულითა და სურვილით აბრიალებულ უფსკრულში გადაეშვებოდი, რომელშიც ინდოელ ქალებს ფანტიკური კანონი უბიძგებს და ამით კეთილი ნების უსათუთეს წმიდათაწმიდას უხეში წინასწარდასახულობითა და ძალადობით ბილწავს და ანგრევს“. აქ ნახსენებია „ვენებიანობის ენთუზიაზმი“, რაც ამავე დროს წმინდა ვაგნერისეული ფორმულირებაა. აქ პროზადაა გამოცემული ეროტიულ-კვიეტისტური ხოტბა და ჭებათა ჭება ძილის, სამოთხის სიმშვიდის, წმინდა სიჩუმისა და უმოქმედობისადმი, რაც „ტრისტანში“ საყვირის იავნანისებურ მოტივად და ვოლინოებს შორის განაწილებულ სიმღერად იქცა, და როცა მე, ახალგაზრდამ, ლუსინდასა და იულიუსის სასიყვარულო დიალოგში ხაზი გავუხვი ექსტაზით აღსავსე რეპლიკას: „ო, მარადიულო კმუნვაჲ! მაგრამ ბოლოს და ბოლოს დღის უნაყოფო კმუნვა, მოჩვენებითი ბრწყინვალება გაუფერულდება და ჩაქრება, და სიყვარულის დიდი ღამე ჩამოწვება თავისი მარადიული სიმშვიდით“ — და კიდევ მივაწერე: „ტრისტანი“ — ეს, არც მეტი, არც ნაკლები, მიგნება იყო ლიტერატურის ისტორიაში. დღესაც არ ვიცი, შეუმჩნევია თუ არა ოდესმე ვინმეს ეს სიტყვაბიტყვითი ხახუნობა, ეს განმეორება, როგორც გაუსწორებელი რემინისცენცია, ისევე, როგორც უცნობია ჩემთვის, იცინ თუ არა ფილოლოგებმა, რომ ნაცემს წიგნის სათაური — „მზიარული შეცნიერება“ — შლეგელის „ლუსინდადან“ მოდის.

„ტრისტანი“ მისთვის დამანახიათებელი ღამის კულტით, დღის შეჩვენებით, რომანტიზმით აღბეჭდილი და რომანტიკულ მსოფლმხედველობასა და მსოფლშეგრძნებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ნაწარმოებია, რომელიც შოპენშაუერის ნათლიობას თითქოს არც ხაჭიროებს. ღამე რომანტიკის სამშობლო და საუფლოა, მისი აღმოჩენაა, რომლის ჭეშმარიტებას იგი მუდამ უპირისპირებდა დღის ელფარებას, გრძნობათა საუფლოს — გონების საუფლოს, არ დამავიწყდება, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, როცა პირველად მოვინახულე ლინდერჰოფი, ავადმყოფი და ხრლამაზის ტრფიალი მეფე ლუდვიგის სახალღე, და პალატების პროპორციებში ღამის იგივე აღმატებულობის გამოხატვა აღმოვაჩინე, მთის დიდებულ განმარტობაში მდებარე მომცრო სახალღის საცხოვრებელი და დღისით საწყოფი ოთახები პატარა და შედარებით უსახური, ჩვეულებრივი ოთახებია. მხოლოდ ერთი დარბაზია აქ შედარებით დიდი ზომისა, ოქროსა და აბრეშუშში ჩაბმული, მდიდრულად გაწყობილი; ეს განლაგთ საძინებელი ოთახი ბალდახინით დამშვენებული საუცხოო საწოლით, ოქროს სახანთლები რომ უდგას აქეთ-იქით — ნამდვილი სახალღის საწერიმო დარბაზი, ღამისათვის განკუთვნილი. დღე-ღამის „უფრო ღამაში ნახევრის“, ღამის ამგვარი ხაზგასმული დომინირება ჭეშმარიტი და არქირომანტიულია; მასში რომანტიკა უკავშირდება მოვარის კულტის ყველა დედობრივ-მითიურ გამოვლინებას, მოვარისა, რომელსაც კაცობრიობის გარიერაჲდან მოყოლებული, მზის კულტს, მამრისა და მამრული ხაწყისის რელიგიას უპირისპირდება; და საშყროს ამ უოვლისმომცველ მიმართულებათა ქხელშია ჩართული ვაგნერის „ტრისტანი“.

მაგრამ თუ ვაგნერის მკვლევარები აცხადებენ, რომ „ტრისტან და იზოლდა“ სასიყვარულო დრამაა, რომელიც, როგორც ასეთი, ცხოვრების ნების უმალღეს დამკვიდრებას შეიცავს და ამიტომ არაფერი აქვს ხაერთო შოპენშაუერთან; თუ ისინი დაივიწყებენ, რომ ღამე, რომელსაც აქ უმღერიან, სიყვარულის ღამეა, „როცა სიყვარულის ნეტარება გვატკბობს“, და გუნდაც შეიქცავეთ თითქოს რომელიღაც — ისეთივე სახეობის

რედუ საპირისპიროა იმ მოძღვრებისა, ნების
რომ უარყოფს. და სწორედ ამიტომ ნაწარმოები
სრულიად თავისუფალია შოპენჰაუერის მეტა-
ფიზიკისაგან. — მაშინ ფსიქოლოგიური ფილოსოფიის
გასაოცარ უკონტროლებლობასთან გვაქვს საქმე. ნების
უარყოფა შოპენჰაუერის ფილოსოფიის მორა-
ღურ-ინტელექტუალური შემადგენელია, რომე-
ლიც არსებითად ნაკლებად გადამწყვეტია. იგი
აქ მეორადია. შოპენჰაუერის სისტემა ნების ფი-
ლოსოფიაა, რომელიც თავისი არხით ეროტიუ-
ლია, და სწორედ იმიტომ, რამდენადაც იგი ამ-
ტყარია: „ტრისტანი“ აღსავსეა, გაშვებულია ამ
ფილოსოფიით. ჩირაღდან, რომლის ჩაქრობა
მისტერიის მეორე მოქმედების დასაწყისში ორ-
კენტში სიკვდილის მოტივითაა აქცენტირე-
ბული: შეუვარებულთა თავდაჯერებულნი შეძა-
ნილი — „მაშინაც კი მე ვარ ხამყარო“, რომე-
ლისაც თან ახლავს სევდიანი ნატურის მოტივი,
ფსიქოლოგიურ-მეტაფიზიკური მუსიკალური
ფონის სიღრმედან რომ ამოიზრდება. — ჯან-
დნ შოპენჰაუერი არ არის? „ტრისტანში“ ვაგ-
ნერი მითის არანაკლებ პოეტიუბას ახდენს,
ვიდრე „ბექედში“: სატრფიალო დრამაშიც ხამ-
ყაროს წარმოქმნის მითთან გვაქვს საქმე. „ხში-
რად“. — წერს იგი 1888 წელს პარიზიდან მთ-
ლიდრე ვენედიონეს. — „გმუნვით გავტკერი
ნორვანის მხარეს. მაგრამ ნორვანა სწრაფად იხევ
ტრისტანად იქცევა; თქვენ იცნობთ ხამყაროს
წარმოშობის ბუდისტურ თეორიას, ღრუბლის
ერთი ფთილა ამღვრევს კამყამა ცახ“, — და იგი
წერს ქრომატულად აღმავალ ოთხ ბგერას, რომ-
მლებითაც იწყება და რომლებზეც წყდება მისი
Opus metaphisicum, gls-a-ais-hi — „იგი ძლი-
ერდება, მუქდება და ბოლოს მთელი ხამყარო
კვლავ გაუშვებრვალე მყვრივ მასად აღიმართება
ჩემ წინ“. ეს გახლავთ აზრის სიმბოლური გა-
შობატვა ბგერაში, რასაც, ჩვეულებრივ, „ხევ
დიანი ნატურის მოტივს“ უწოდებდნენ და რაც
„ტრისტანის“ კოსმოგონიაში უკველა ხავნის
დანახამს ნიშნავს. იხევე, როგორც „ბექედში“
— რანის მოტივის Es-Dur. ეს გახლავთ
შოპენჰაუერის „ნება“ და იგი ხორცშესხმულია
იმაში, რასაც შოპენჰაუერი „ნების შუაგულს“
უწოდებს, სიყვარულის უნში. და ტკბილ მტან-
ჭველ-შემოქმედებითი საწყისის ეს გაიგივება
სექსუალურ ლტოლვასთან, საწყისისა, რომელიც
თავდაპირველად ცის უდაბურ სიკამყამეს ამღვ-
რევდა, მდენად შოპენჰაუერისეულია, რომ ამის
უარყოფა ვაგნერის მიმდევართა მიერ ახირე-
ბულ ჩიფტობას იშვავსება.

„როგორ შეიძლება იყენ მოვმკვდარიუა-
ვით“, კითხულობს ტრისტანი ვაგნერის თავდა-
პირველ ექიში, რომელიც პოემის ჯერ გაუ-
დექსავ წინაფარმას წარმოადგენს, „რა შეიძ-
ლება შოპენჰაუერის შემადგენელი, რაც სიყვარული არ
აქნებოდა? ჯანა ჩვენ მთლიანად სიყვარული

არა ვართ მხოლოდ? ჯანა შეიძლება ჩვენი სიყ-
ვარული დასრულდეს? ჯანა მე შევძლებდი არ
მყვარებოდა ოდესმე სიყვარული? და თუ მე
სიკვდილს ვისურვებდი, ნუთუ შეიძლება
სიყვარულიც, რომელიც მთელი ჩვენი არსებო-
ბაა? ამ ნაწყვეტში უმკველია ნებისა და სიყ-
ვარულის პოეტური გაიგივება, ეს უკანასკნელი
სიკვდილის ნების მაგიერია, რომელიც სიკვდი-
ლით კი არ წყდება, არამედ თავისუფლდება
ინდივიდუალის პირობითი ბორკილებისაგან.
ხვათა შორის, ძალზე საინტერესოა, როგორ
ინარჩუნებს დრამაში სიყვარულის მითი სული-
ერებას და უკველგვარი ისტორიულ-რელიგიუ-
რი შემღვრევა-გამრუდებისაგან დაცულია. იხე-
თი გამოთქმები, როგორცაა: „დე, დაიბრუნე
იგი ჯოჯობეთში, ან ამაღლდეს ცად“, რომელიც
ჯერ კიდევ ესკიზივად გვხვდება, შემდგომი და-
მუშავებისას ამოვარდნილია. ეს, უდავოდ, ისტო-
რიულის შეგნებული გაუფერულებაა, მაგრამ
მხოლოდ სულიერ-ფილოსოფიურ ანექტში და
ისევ მისდა სასარგებლოდ. ეს გაუფერულება
გასაოცრად ეხამება კეიზაიის, ხალხურობის,
კულტურის ინტენსიურ ფერწერას, სტილის-
ტურ სპეციფიკას, რომელიც შეგრძნებისა და
ოსტატობის დაუჭერებელი სიჭუსტით ხახათ-
დება — არსად ვაგნერის მიმიკრიის ხელოვნება
ახე ხაიდუშლოდ არ შეიმობს, როგორც „ტრისტ-
ანის“ სტილისტიკაში, რაც ენობრივი სფეროთი
კი არ შემოიფარგლება, რანდული ეპიკისათვის
დამახასიათებელი ფრთიანი გამოთქმებით კი არ
ამოიწურება, არამედ რაღაც ინტუიტურ-
გენიალური ძალა შესწევს, სიტყვიერ-ბგერით
კომპლექსში მოაქციოს კელტური, ანგლო-ნორ-
მანულ-ფრანგული ატმოსფერო და მთლიანად
გამსჭვალოს მისით, — გამსჭვალოს იგი წვდო-
მით, რომელიც ვაგნერის ნების, თუ რა ძლიე-
რად აქვს ვაგნერის ხულს გადგმული ფესვები
ევროპის იმ სფეროში, რომელიც ეროვნულ
სახელმწიფოებრიობას უსწრებდა წინ. მსმ-
ლნი ამრობრივ-სპეკულატორი თვალხაზრი-
სით ხდება აქ ეროტიული მითისათვის ისტო-
რიული საშოსის ჩამოცილება და მისი თავისუ-
ფალი გადამიანურება. მისი გულისათვის და
მის სამხანუში იგი წეცას და ჯოჯობეთს გამო-
რიცხავს. აქ არ არის ქრისტიალობა, რომელიც
ისტორიული გარემოს მიხედვით უნდა იყოს
მოცემული. საერთოდ არ არის რელიგია. არ
არის ღმერთი, — არავინ არ ახსენებს, არავინ
არ ვედრის მას. არის მხოლოდ და მხოლოდ
ეროტიული ფილოსოფია, ათეისტური მეტაფი-
ზიკა, კოსმოგონიური მითოსი, რომელიც სევ-
დიანი ნატურის მოტივი ძერწავს ხამყაროს.

ვაგნერის უნარი, ჯანსაღ ფორმებად გარდა-
ქმნას თავისი ავადმყოფური ბუნება, ავადმყოფუ-
რად გამოსატოს თავისი მეროკიულობა, მხო-
ლოდ ერთ-ერთი მაგალითი მისი წინააღმდეგო-

ბრივი და ქვარდინი ბუნებისა, მისი ორ-და მრავალმნიშვნელობისა, რაც უკვე ერთი შეხედვით ისეთ წინააღმდეგობრივ ხაწყისთა ერთიანობაში გაცხადდა. როგორცაა მითიური და ფსიქოლოგიური ხაწყისები. რომანტიულის ცნება ყველაზე გამოსადეგია საიმისოდ, რომ მისი არსი ერთ მნიშვნელზე დაიყვანოს; მაგრამ განა სწორედ ეს ცნება არ არის იმდენად რთული და ფერმრავალი, რომ იგი განსაზღვრაზე უარის თქმას უფრო უდრის, ვიდრე განსაზღვრას?

მხოლოდ რომანტიკული ხული აერთიანებს საშუალებათა და შემოქმედების ხერხთა ხალხურობას და უკიდურეს სინატიფეს, დახვეწილ „მწაკვრობას“ (თუ ე. თ. ა. მოფმანის საუვარელ სიტყვას გამოვიყენებთ), მხოლოდ მას ძალუძს იმ „ორმაგი ხედვის“ შექმნა, რომელზეც ნიციშე ლაპარაკობს ვაგნერთან დაკავშირებით და რომელიც ერთნაირად მოქმედებს თვით ყველაზე უხეში და ყველაზე ფაქიზი ბუნების ადამიანებზე — ცხადია, გაუცნობიერებლად, ხაყულიცის აზრის დაშვება აქ ბანალობა იქნებოდა. — რის შედეგადაც ისეთ ქმნილებებს, როგორცაა „ლოენგრინი“, „ბოროტების ყვავილთა“, ავტორის მსგავსი ხულები შეუძლიათ აღანთონ და თან ხალხურობის უპრეტენზიო ამაღლებას ემსახურონ, კუნდრისებურად ორმაგი ცხოვრებით იცხოვრონ — ხაყირაო ოპერებად და მრავალნაცადი, ტანჯული და უფაქიზესი ხულების ტრფიალის საგნად, რომანტიულისათვის — განსაკუთრებით კი, როცა ის მუსიკისთანაა დაკავშირებული, რომლისკენაც იგი მთელი თავისი არსით მიისწრაფვის და რომლის გარეშეც ვერ შეიხამდა ხორცს — უცხოა განკერძოებულობა, „დისტანციის პათოსი“, იგი არავის არ უცხადებს: „ეს არ არის შენთვის“; თავისი არსის ერთი რომელიღაც კუთხით იგი თვით ყველაზე უკანასკნელი ადამიანისთვისაც მისაწვდომია, და ნურავინ იტყვის, თითქოს ეს ყოველგვარი დიდი ხელოვნების თვისება იყოს, ბავშვურისა და ამაღლებულის შეერთება დიდ ხელოვნებას სხვა შემთხვევაშიც მოუხერხებია; მაგრამ მიამიტურ-წლაპრულის შეერთება გაქნალობასთან, ოსტატობა, მაღალ ხულიერებას გრძნობადი თრობის ორგიაში შეახსახ ხორცი და „საყოველთაოდ“ აქციოს იგი, უნარი საიდუმლო წიარებისა და გარდასახვათა მღერ ქადოქრობაში განვიოს ღრმად გროტესკული, თამამ ეროტიული ოპერაში ერთად შეანივთოს ხელოვნება და რელიგია და შუაგულ ევროპაში ხელოვანთა ამგვარი წმინდა უწმინდურება თეატრალურ ლურდად და ხახწაულმოქმედებათა მღვიმედ დასახოს გვიანი დეკადენტური სამყაროს რელიგიური ეინის დასაკმაყოფილებლად. — ყოველივე ეს მხოლოდ რომანტიკულია, კლასი-

კურ-პუმანური, კრეშმარიტად კეთილშობილური ხელოვნების წიაღში ასეთი რამ წარმოუდგენელია. „პარსიფალის“ მოქმედ პირობა სია — რა უჩვეულო საზოგადოებაა! უკიდურეს და საძრახის უცნაურობათა რარიტი დახვედბა! ხაყუთარი ხელით დასაკურისებულ ქადოქარი: ხასოწარკვეთილი ორხაზი... მაცდუნებლისა და მონანიე მაგ... მღვიმელიც კატალეტურ მღვიმარეობაში არსებობის ერთი ფორმიდან მეორეში გადადის: ხაყვარულით სწეული უწენაეხი კურუბი, რომელიც უზნიწჩ ყრმისაგან ელოდება ხსნას, თვით ეს ურმა კინეტარი შეშლილი, ხულ სხვაგვარადაა გააზრებული, ვიდრე ის მკვირცხლი კაბუკი, ბრუნბილდე რომ გამოაღვიძა, და ამ ერთგვარად უცნაური თავიხებურების კიდევ ერთ ნაირსახებობად წარმოგვიდგება — ყოველივე ეს ახიმ ფორანიმის ცნობილ ეტლში თავშეპრილ შემწარავ დომხაღს მოგვაგონებს: სკაბრეზულ ქადოქარბომა ქალს, დათვისტუაოსან ცხედარს, დიაცისსახა გოლემს და ფელდმარშალ კორნელიუს ნეპოსს, რომელიც საზრჩობელას ქვეშ გაზრდილი მანდრაგორის ფესვია, ეს შედარება მკრხელურად მოგვეჩვენება, და მინც „პარსიფალის“ ხაწეიმო ხახაოები რომანტიკული ექსტრემიზმის გემოვნების იმავე წილადან წარმოსდგებიან, საიდანაც არნიმის გროტესკული პერსონაჟები: ნოველის ფორმაში მოქცეული, ყოველივე ეს ხაცნაურად უფრო ადვილი იქნებოდა; მხოლოდ მუსიკის ძალა ანიტებს მათ მითიურობასა და წმინდანობას, რაც ბურუსში ხვევს ამ ნათებაობას, და მისი პათეტიური ხულის წყალობით ყოველივე ამ შემწარავ-სახუმარო სიანცის სახით კი არ წარმოგვიდგება, როგორც მწერად-რომანტიკოსებთან, არამედ მაღალრელიგიურ, წმინდა ქმედებად.

გალიზიანება, რომელიც ხელოვნებისა და არტისტულობის ცისარტყელას ფერებად მოლივლივე პრობლემა იწვევს, მელანქოლიური აღქმა ირონიისა, ქმნილების არსი და მისი ხე-მოქმედება რამ წარმოშობს, ტიპიურია ხიკაბუკისთვის, და ამასთან დაკავშირებით მაგონდება კაბუკობისდროინდელი ზოგიერთი გამონათქვამი, რომლებიც დამახასიათებელი იყვნენ ნიციშეს „ტოკის ქარცეცხლში“ გამკვლილი ჩემო ტრფიალისათვის ვაგნერისადმი. „შეცნობის იმ ზიზლით“ ნაკარხანვეი გამონათქვამები, რომლებსაც, როგორც სრუბაუკისთვის ყველაზე მეტად ნიშანდობლივს, მას დავებსხე ნიციშე იცხადებს, რომ ის ტრისტანის პარტიტურას ძალიან ურთხილად ეკიდება. „ვის, ვის ეყრფა გამბედაობა“, — წამოიძახებს ის, — „დაახახელოს კრეშმარიტი ხიტყვა „ტრისტანის“ მუსიკის ცეცხლისათვის?“ ამ შეკრთვის შინაბერული კომიზში დღეს ჩემთვის გაცილებით უფრო

საცნაურია, ვიდრე ოცდახუთი წლის ახალგაზრდა, რა არის აქ გახაზული მგრძობელობა, უხალგაო, სპირიტუალური, მისტურად ხორცშესხმული და უკიდურესი ნატურალიზმით გამოხატული, უკვლად დაუოკებელი მგრძობელობა, — აი, ის „სიტყვა“, და უნებურად ვეკითხებით თავს, საიდან მოდის ნიუშესთან, ამ „თავისუფალ, ძალზე თავისუფალ ჯონთან“, ეხოდენი წიწვი ხეჭუაღურობისადმი, რაც მის კითხვაში ასეთი უხალგაო და ბუნების ზერხითაა მინიშნებული? განა ეს არ არის გამოვარდნა იმ როლიდან, რომელიც მან იკისრა, როგორც მორალისაგან ცხოვრების დამცველმა? განა ეს თავგამოდებულ მორალისტს, პასტორის შვილს არ ამუღავნებს მასში? „ტრისტანის“ მიმართ ის მისტოკოსთა ფორმულას — „ქოქოხეთის ნეტარებას“ იყენებს, კეთილად, და საკმარისია „ტრისტანის“ მისტოკო გოეთეს „ნეტარი ლტოლვისა“ და მისი „უმაღლესი შერწყმის“ მისტოკოს შევადაროთ, რათა დავრწმუნდეთ, თუ რა ცოტა რამა აქვს ვაგნერს საერთო გოეთეს სფეროსთან, მაგრამ, თუ რა ტანჯული გახდა დასავლეთის სულიერი მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე გოეთეს ეპოქასთან შედარებით, საამისოდ, საბოლოო ქამში, თვით ნიუშე ნაკლები მაგალითი როდია, ვიდრე ვაგნერი, ვაგნერისებურ ნარკოტიკულ და ამავე დროს აღმავლნებელ შემოქმედებას ახდენს ჩვენზე ზღვა, თუმცა, მის პირისპირ არავის არ მოუვა აწრად, მხედების უხალგაოების მისცეს თავი, რაც დიდ სტიქიას წელეწიფება, მას დიდი ხელოვნების ძალად უნდა შესწევდეს, და ბოდიერი, როცა იგი, პოზიტიური წინაპრობისაგან თავისუფალი, მიაბიტი აღტაცებით ლაპარაკობს „ნეტარებისა და შემეცნებისაგან მოგვრილ იმ ექსტაზზე“, რომელსაც მას „ლონგრინის“ შესავალი განაცხადებებს, როცა „ოპიუმის წმინდების“ და „მთაწვეთულ სფეროებში მოხეტიალე უჩვეულო აღტაცება“ ახადებს, იგი აშკარად შეტ ხახი-ცოცხლო ენერჯიასა და აწრის თავისუფლებას ავლენს, ვიდრე ნიუშე თავისი იქვენული „სიფრთხილით“. ოღონდ, მართალია, ძალაში რჩება მისი სიტყვა ვაგნეროშანიზე, როგორც „მგრძნელობის მსუბუქ ეპიდემიაზე, რომელმაც არ უწყის თავისი ბუნება“, და იქნებ, ხწორედ „საკუთარი ბუნების ეს შეუცნობლობა“, ვაგნერის რომანტიულ კოპულარობაზე გაფიქრებისთანავე გამაღიზიანებლად რომ მოქმედებს გარკვეულობის მოთხოვნილებაზე; შეიძლება ეს იყოს მისი პოზიტივისა: „უჩუბებისა შორს გვიდროს იაფი“.

ვაგნერის დრამატურგული ნიჭი, ერთ მხატვრულ ხანში შეანჯთობ ხალხური და ხული-

ერი ხაწყისები, უველაზე საუკეთესოდ მისი რევოლუციური ეპოქის ჯიშში. ნიუშეცაღშია გაცხადებული. იმ „სუნთქვისშემგვრული“ აღტაცებაში, რომელიც ბაროკოს თეატრის ნიუშეაღმა დირექტორმა ერთ მშვენიერ დღეს მარკონტების თეატრის წარმოდგენაში შექმნილი — ამის შესახებ იგი მოგვითხრობს „მისი“ სიტყვებში „მხაზობებსა და მომღერლებზე“, — პრაქტიკული განხორციელება კაცა და მყოფი გამოიღო „ბეჭდის“ ინსტრუმენტში, რომელიც თავისი კეთილსაიმედო ჯიშით ადგილურ ხანაღბო ხანაზობად იქცა. ვინ ვერ დაინახავს ამ ზიჯურიდის ხაოცარ მხგავსებას ბაროკების მუდმივ თანამგზავრ პატარა კომპლიან კაცთან? მაგრამ, ამავე დროს, იგი მნათობის შვილიცაა და ჩრდილოეთის მზის მითოსის განსაზიერება, რაც მას სულაც არ უშლის ბელს, წარმოგვიდგებს მესამე ხანით — როგორც ძალზე თანამედროვე, მეცხრამეტე საუკუნის კუთვნილება, თავისუფალი ადამიანი, ძველი ხალოცაფების დამანგრეველი და გაზრწნილი საზოგადოების განმანებლებელი ბაკუნინი, როგორც მას ყოველთვის უბრალოდ უწოდებს ბერნარდ შოუ თავისი მხარული რაციონალიზმით. დიახ, იგი არის მასხარა, სინათლის ღმერთი და ანარქისტო სოციალ-რევოლუციონერი ერთხა და იმავე დროს, თეატრი მეტს ვერც მოიხზავს; და შერწყმის ეს ხელოვნება მხოლოდ თვით ვაგნერისავე ბუნების გამოხატულებაა, მისი მრავალმხრივი, მრავალპლანიაანი ბუნებისა. ის არც პოეტია და არც მუსიკოსი, არამედ რაღაც მესამე, რომელშიც ორივე ეს თვისება აქამდე არნახულა ხანითაა შერწყმული, კერძოდ, ის არის თეატრის დიონისო, რომელსაც უდიდესი მოვლენებისათვის პოეტური ხაფუძვლის შექმნა და ერთგვარი რაციონალიზაცია ეხერხება. მაგრამ რადგანაც ის, რაც არ უნდა იყოს, პოეტია, — არა თანამედროვე, კულტურული და ლიტერატურული გაგებით, არა თავისი გონითა და შეგნებათ, არამედ გაცოლებით უფრო სათუთი და ღრმა შრეებით: ხალხის ხულია, მისგან და მისი შეშვეობით რომ მღერის; იგი მხოლოდ მისი ხაყვირი და იარაღია, მხოლოდ „მუცელმოგვია ღვთისა“, თუ ნიუშეს მოხწრებულ სიტყვას გავიმეორებთ. უკველ შემთხვევაში, ეს არის მისი პოეტური შემოქმედების ხწორი და ორთოდოქსული გაგება, და ერთგვარა მძლავრი მოუხეშობაც, რომელიც კულტურული და ლიტერატურული თვალზარისით მას ახახითებს, თითქოს ამგვარი გაგების დამადატურებელია. მაგრამ, ამასთან ერთად, მას შეეძლო წერილში დაეწერა: „ნუ დავაშკირობო რეფლექსიის ძალას, გაუაწრებლად შექმნილი ხელოვნების ნაწარმოებს იმ პარამოდებს უკუთვინის, რომელთაც ძალზე შორსსაა გვიმბან; განთლე-

ბის ავადების ხანის ნაწარმოები შეუძლებელია შეიქმნას სხვაგვარად. თუ არა გონებით", ეს კარგი აღიარებაა ამ თეორიისათვის, რომელიც მისი შემოქმედების წმინდა მითიურ წარმოდგენას უკერძო მხარს; და პართლაც, უოველივე იმის გვერდით, რასაც შთაგონებისა და ბრძანებარა აღტაცების ბეჭედი აწის, მის შემოქმედებაში იმდენია ღრმად და გონებაშეხვედრად გაწერებული, მინიშნებებით მდიდარი, საზრიანად ჩაქსოვილი, ტიტანებისა და ღმერთების შრომის გვერდით იმდენია კეკელიანურად და რუდუნებით ნაღოლიავეები, რომ შეუძლებელია დაქერვა, თითქოს უოველივე ეს ტრანსსა და ბრძა მიღწევებში იყოს შექმნილი. განსაკუთრებული გონება, რომელიც იგი თავის კრიტიკულ ნაწიერებში ამდევნებს, წმინდა გონს კი არ ემსახურება, ან „კეშმარიტებას“. აბსტრაქტულ შემეცნებას, არამედ მის შემოქმედებას, რომელიც იგი განმარტავს, ამართლებს, რომელიც უნდა გაუკავლოს გზა შიგნით თუ გარეთ, — მაგრამ მიუხედავად უოველისა, ეს გონება უცილობელი ფაქტია. თითქოს შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ შემოქმედების პროცესში იგი სრულიად გამოთიშულია და ხალხის ხულის ჩურჩულს უაშობს გზას, მაგრამ ჩვენს აღიარს, რომ ეს ასე არ შეიძლებოდა უოფილესა, მისი ცხოვრების ცოტად თუ ბევრად აუთენტური გადმოცემები ვიდასტურებენ, რომელთა თანახმად შთაგონებას ხშირად მოთმინება ენაცვლებოდა: როგორც თვითონ ამბობდა, ყველაზე საუკეთესო, რაც კი შეუქმნია, მხოლოდ რეფლექსიის ნაყოფი უოფილა; მასვე მიაწერენ ისეთ გამონათქვამებსაც, როგორცაა: „ომ, როგორ არ ვეცადე და როგორ არ უოფიქრე, ვიდრე ხოლოს და ხოლოს იმას არ მივადწიე, რაც მჭირდებოდა“.

მოკლედ, მისი პოეზია და მთელი შედევრება იმ პერიოდებსაც ეხმინება, „რომლებიც შორს არიან ჩვენგან“, და ამავე დროს, იმ პერიოდებს ეკუთვნის, როცა თავის ტვინში ხანგრძლივი განვითარების შედეგად თანამედროვე ინტელექტუალურ დონეს მიადწია; და ამას შეესაბამება დემონიზმისა და ბიურგერობის განუყოფელი ერთიანობა, რაც მის არსს შეადგენს, — მსგავსად შოპენჰაუერისა, რომელიც სწორედ ამ მხრივ, როგორც ეპოქალურად, ასევე ინდივიდუალურად, განსაკუთრებით ენათესავება მას. მისი ბუნებას არაბიურგერული ექსტრემიზმი, მუსიკას რომ ცდილობს მიაწეროს — „სწორედ ის მაქცევს იმ ადაშიანად, რომელიც შეძახილებით გამოხატავს თავს“, ამბობს ის, „და ძაბილის ნიშანი ფაქტიურად ერთადერთი დასაკმაყოფილებელი სასვენი ნიშანია ჩემთვის, როცა ხგერათს სამყაროს ვტოვებ!“ — გამოიხატება მისი უოველგვარი მდგომარეობის აღფრ-

თოვანებულ ხასიათში, განსაკუთრებით დეარსიული მდგომარეობისა; ის შედევრდება გარდნულად მის ბედში (რადგან ბედის მხოლოდ ხასიათის გამოვლინებაა), სამყაროსთან მის განხეთქილებაში, მის ტანჯულ დევნილ, შფოთიან ცხოვრებაში, აქეთ-იქეთ უწყვეტ ნაპირებს, როგორც გამოთქვამს უწყვეტ ღირიკაში თავის ტანჯვითა მაუწყებლის ზიგმუნდის პირით: „შე მიწიდავენ მამაკაცები, მიწიდავენ დიაცები; რამდენსაც არ შევხვედრივარ, სადაც არ მიწაზავს ისინი, მეგობრის შექმნა მსურდა თუ შეუღლისა — მუდამ შერისხული ვიყავი, ავი ბედი დამტრიალებდა თავს, რასაც კი კითხვს ვურჩევდი ვინმეს, — სხვას ბოროტად ეჩვენებოდა; რაც მე ბოროტად მიჩნდა, სხვანი სიკეთედ მიჩნევდნენ, მტრობა მხვედებოდა ყველგან, სადაც კი მივიდოდი; რისზეა მატყდებოდა თავს, ხართაც კი გავწევდი; ნეტარება მწყუროდა, და მხოლოდ ტანჯვას ვიშვიდი“. უოველი სიტყვა გამოცდილებითაა ნაკარნახევი, ერთი სიტყვაც არ არის აქ, რომ მის საკუთარ ცხოვრებას არ ესადაგებოდეს, და ეს მშვენიერი მწკარები იგივეს დადიებენ, რასაც პროზად სწერდა მათილდე ვეინდონკს: — „რაკი საზოგადოებას, ზუსტად თუ ვიტყვი, არ სურს ჩემი მიღება“, ან მათილდეს შეუღლის: „— შე ისე მიმძიმს ამქვეყნად მოწყობა, რომ ეს ათას შეცდომისთანაა ხოლმე დაკავშირებული, ხუჯ რადაც მტინჯავს... ამიტომაც ჩვენ, საზოგადოება და მე, არი ჩიუტივით შუბლებით ვერკინებით ერთმანეთს, და მათგან აღხათ, რომელიცა უფრო სუსტი თავი აქვს, ის დამარცხდება — ამისი ბრალი თუა, რომ ხშირად ნერვული თავის ტკივილები მაწუხებს“, — ეს ხასლოწარკვეთილი საზუმარო კილოც მისი პორტრეტის ერთ-ერთი შტრიხია, ერთხელ, ორმოცდარვა წლის ასაკში — ის დამარცხებს „თავაწყვეტილ მხიარულებასზე“, რომლითაც ვიშარის მთელი საზოგადოება გაუხარებია, და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ მისთვის ხერტოდ არ შეიძლება ხეროზულობა, თორემ მაშინვე მოეშვება და მოდუნდება. „ეს ჩემი ტემპერამენტის ცუდი თვისებაა, რომელიც ხულ უფრო და უფრო ძლიერად მრევს ხელს; ჭერ კიდევ ვუშაჯავდები, რაც ძალი და დონე შემწევს; რადგან ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ოდესმე ცრემლებად უნდა დავიღვარო“. რა თავშეუვალებელი სისუსტეა! კაპელმანსტერ კრაისლერი სერბური ექსტენტრულობა! თავისი ბუნების მგზნებარე აღმაფრენა-დანარცხებანი. მისი შმაგი და ტრაგიკული პათოსი — პირქუში, განწირული, მიშვიდება და ხსნას მოწყურებულ ხასიათად გარდასახული, ყველაზე შთამბეჭდავად მან „მოლანდიელში“ დახატა, საოცარი სიყოცხლე და ფერადოვნება შიანიკა ამ ხაზებს:

ესაა დიდ ინტერვალებზე ატებული მო-
ღონიერების სახილველო პარტიკა, რითაც თავის-
თავად, განსაკუთრებული დამახასიათებლობით
შეიღწევს დაუოკებელი მღვდვარების ეს შთა-
ხვედლები.

არა, ეს არ არის ბიურგერი რაიმე წესრიგია-
ნობის ან შემგუბლობის გაცებით, და შინც
მას ბიურგერობის ატმოსფერო აკრავს გარს,
თავისა დროის ატმოსფერო, იგივე, რაც შოპენ-
შაუერს, კაპიტალიზმის ფილოსოფოსს: მორა-
ლისტური კესიონიზმი, დაცემის განწყობილება,
რასაც თან ახლავს მუსიკა, რაც გეშმარიატ მე-
ცობრამეტე საუკუნეს შეადგენს და რაც მონუ-
მენტურობასთან, დიდ მახატებებთანაა შეხამე-
ბული, თითქმის ეს სადიადე მორალის განწყო-
ფელი ნაწილი იყოს. მის გარშემო, კიდევ ვამ-
ბობ, ბიურგერული ატმოსფერო გაშეფებუ-
ლი, და არა მხოლოდ ამ წიგნად, არამედ გა-
ცილებით უფრო პირადული მნიშვნელობით.
ვერ ვიტყვი დაგინებით, რომ ეს, 1848 წლის
რევოლუციონერი, საშუალო კლასის ინტერე-
სებისათვის იბრძოდა და, ამდენად, პოლიტიკუ-
რი ბიურგერი იყო; მაგრამ ეს თავისებურად იყო
რევოლუციონერი, როგორც ხელოვანი, თავისი
ხელოვნების, რევოლუციური ხელოვნების ინ-
ტერესებისათვის მებრძოლი, ხელოვნებისა, რო-
მლისთვისაც იგი, არსებული წყობის დამწო-
ხით, იღუბრ მოგებას, შემოქმედების პირობე-
ბის გაუმჯობესებას მოელოდა. მაგრამ მისი პი-
როვნების უფრო ინტიმური შტრიხები, მოელი
მისი გენიალობისა და შეპყრობილობის მიუხე-
დავად, ბიურგერულ ხასიათს ამდევნებენ, მა-
გალითად: როცა ციურიხის ახლოს მწვანე ბო-
რცაზე, თავშესაფარში გადახვლის შემდეგ,
კმაყოფილების გრძნობით სწერს ლისტს: „ყვე-
ლაფერი ჩემი სურვილისა და საჭიროებისამებრ,
ხანგრძლივი სარგებლობისთვისაა მოწყობილი
და დალაგებული; ყველაფერი ისე დგას, რო-
გორც უნდა იდგას. ჩემს საშუალო ოთახში
შენთვის პარტიკულ ცნობილი კამანტორი-
სა და ელემენტური სიმფონიკის სუ-
ფიზს; საშუალო მაგიდა დიდ ფანჯარასთან
დგას...“ გარემოს პედანტური წესრიგი და ბი-
ურგერული ელემენტობა, რაც მას მუშაობისა-
თვის ესაჭიროება, იმ გააზრებულობისა და
ბრძნული გულმოდგინების ელემენტს ესადა-
გება, რომელმაც არაა მოკლებული მისი დე-
მონური შემოქმედება და რომელიც შეადგენს
სწორედ მის ბიურგერულ წილს: მოგვიანებით
შექმნილი მისი ავტობიოგრაფია, „გერმანულ
ოქტავად“ რომ წარმოგვიდგება, დიურერის ქუ-
დით, საჯრებით გაშართლებული იყო თავისი შინა-
განი და მუწუნსრავი ხასიათით, და უხამართლო-
ბა ეჭმებოდა. მთელი იმ ცეცხლოვან-ყულკანუ-
რი ზტიქის ბიძა ამ კმნილებაში არ შეკვინიშ-

ნა ძველგერმანული, ძველი ოსტატებისეული
ელემენტები — გულწრფელი მოთმინება, ზე-
ლოსნური გულმოდგინება და დაკვირვებულო-
ბა, რაც აგრეთვე მასშია და არსებობია მის-
თვის. ოტო ვენდონკს იგი სწერს: „მოკლედ
შეგატყობინებთ ჩემი საშუალო მღვდვარობას.
როცა მას შევუდექი, მღვდვარეობის კმნიდით,
რომ ძალზე სწრაფად დავასრულებდი... მაგრამ
ერთი მხრივ ისე ვიყავი უოველგვარი საფიქრა-
ლითა და საწრუნავით დაკავებული, რომ ხში-
რად დიდი ხნით არ შემეძლო ხოლმე მუშაო-
ბა; მეორე მხრივ კი ჩქარა ისე მტკიცედ და
ურყევად გავიმსჯალე თავისებური დამოკიდე-
ბულებით ჩემი ახლანდელი საშუაობის მი-
მართ (რომლებსაც ვერაფრით ვერ ვასრულებ
სახელდახელოდ, არამედ მხოლოდ იმდენად
შემიძლია განვიცადო მათგან კმაყოფილება,
რამდენადაც უოველი უმცირესი დეტალი აღბ-
ლიანი მიგნების ნაყოფია და ხათანადოდ დამუ-
შავებული), რომ იძულებული ვიყავი უარი
მეთქვა იმ ნაჩქარევ, ესკიზურ შესრულებებზე,
რომელიც შესაძლებელი იქნებოდა ამ მოკლედ
დროში“. ეს ის „ერთგულება და კეთილსინდი-
სიერებაა“, რომელიც შოპენშაუერმა თავისი
დიდვაჭარი წინაპრებისაგან მიიღო შემკვიდე-
რეობად და, როგორც თვითონ განმარტავს,
ინტელექტუალურ სფეროში გადაიტანა. ეს გახ-
ლავთ ის საფუძვლიანობა, ის ბიურგერული
აკურატულობა მუშაობაში, რაც აირეკლება
ვაჭნერის პარტიტურებში, რომლებიც არამც
და არამც არაა ნაჩქარევად გადატანილი ქალა-
ლზე, არამედ უაღრესად ფაქიზად და სუფ-
თადაა შესრულებული, — კერძოდ, მისი ყვე-
ლაზე განყენებული ნაწარმოების. „ტრიხატ-
ნის“ პარტიტურაშიც კი, რომელიც მკაფიო,
დახვეწილი კალიგრაფიის ნიმუშად გამოდგება.
მაგრამ, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ
ვაჭნერის ტრფიალი ბიურგერული სიკობტა-
ვის მიმართ თანდათან გადაგვარებისაკენ იხრება
და ისეთ ხასიათს იღებს, რომელმაც აღარაფე-
რი აქვს ხერხო გერმანულ მეთექვსმეტე საუ-
კუნესთან, ოსტატის ღირსებასა და დიურერის
ქუდთან, არამედ მეცობრამეტე საუკუნის ცუდი
ინტერნაციონალიზმის გამოვლინებაა — ერთი
სიტყვით: ბურჟუას ხასიათისა, მის პიროვნებაში
— როგორც ადამიანსა და ხელოვანში — აუ-
ცილებლად შევიცნობთ არა მარტო ძველბიურ-
გერულ, არამედ თანამედროვე ბურჟუაზიულ
ხუნებას — ესაა მიდრეკილება სიუზვისა და ბი-
მდიდრისაკენ, დიდებულებისაკენ, ზავრდისა
და აბრეშუშისაკენ, გრიუნდერობის ეპოქის
ბრწყინვალეებისაკენ, რაც პირველ რიგში მისი
პირადი ცხოვრების შტრიხია, მაგრამ ღრმად
იჭრება სულიერ და შემოქმედებით სფეროებ-
ში. ბოლოს და ბოლოს, ვაჭნერის ხელოვნება

და შაპარტის თაბუღლი (ფარშავანის ფრთხილ). ფარჩა—ოქროსი ჩახმულ ბურჯუაზიულ საღონებს რომ ამშვენებდა, ერთი და იგივე დროისა და ესთეტიკის ნაყოფია, და ცნობილია ვაგნერის განწმენვა, შაპარტისათვის შეეკრთა დეკორაციები. ქალბატონ ჩიტერს იგი ხწერს: „ეს ერთი ხანია კვლავ მდიდრულ მოწყობილობას ვეტანები (ვიხაც შეუძლია წარმოადგინოს, თუ რა უნდა შემოცვალოს ამ სიმდიდრემ, მიხვდება, რომ ძალზე მცირედით ვკმაყოფილდები): დილით ამ ფუფუნებაში ჩავტყდები ხოლმე და ვმუშაობ; ეს უველიაზე აუცილებელია, ხოლო დილა მუშაობის გარეშე იგივეა, რაც ქაქონეთში გატარებული დღე“... — კაცმა არ იცის, რა უფრო ბიურგერულია ამაში: ფუფუნებისადმი ტრფიალი თუ ის, რომ მუშაობის გარეშე გატარებული დილა ახე აუტანელი ჩანს. მაგრამ ახლა ხწორედ იმ ზღვარს ვუახლოვდებით, როცა ბურჯაზიული მიდრეკილება შემწარავ-არტისტულად შეშლილ, საძრახის სახეს იძენს, გულშიჩამწვდომი და მოკრძალებული ინტერების აღმძვრელი ავადმყოფურობის იერი ედება, რასაც ხიტუვა „ბურგერული“ უკვე სრულდებით აღარ შეეფერება. — ესაა ხტიმულაციის შეტად თავისებურა სფერო, რომელსაც ვაგნერი ლისტისადმი მიწერილ ბარათში ხაქმოდ ქარაგმულად და თავშეკავებული ხიტუვებით აღწერს: „ნამდვილი ხახოწარკვეთილება-შემიპყრობს ხოლმე უკველთვის, როცა ზღაბლა შევებმები ზელოვნებას; ხოლო რაკი ახეა და კვლავ უარი უნდა ვთქვა სინამდვილეზე, — კვლავ გადავეშვა შემოქმედებითი ფანტაზიის ტალღებში, რათა წარმოსახვით ხამყაროში ვპოვო კმაყოფილება. — ჩემს ფანტაზიას რაღაც დაბმარება მაინც ესაჭიროება, ჩემს წარმოსახვას კი — ხაყრდენი. ამ დროს არ შემიძლია ძაღლურად ცხოვრება, არ შემიძლია თავაზე ძილი და რაშის უღურწვა; უველაფერი როგორღაც უნდა შეაღერებოდეს, რომ ჩემმა გონმა ქაქონეთური შრომის ფახად არარსებული ხამყაროს შექმნა შეხძლოს... ახლა, როცა კვლავ მოვკიდე ბელი „ნიბელუნგების“ გეგმას და მისი დასრულება გადავწყვიტე, ბევრ რამეს უნდა შეეწყო ბელი, რათა აუცილებელი შემოქმედებით-ნეტარი განწყობილება შემქმნოდა: უკეთესი ცხოვრების ხაშუალება უნდა მომცემოდა, ვიდრე ბოლო ხანებში“ თუ როგორ „ეტანება იგი სიმდიდრეს“, რა ხააღერსო ხაშუალებებს საჭიროებს დასახმარებლად მისი წარმოსახვის ძალა. — კარგადაა ცნობილი, ესაა ხუხუბურის ბუმბულის ხარჩულიანი აბრეშუშის ხალათები, რომლებშიაც ის გაეზვივა ხოლმე, არშეიბითა და ვარდების გარღობდებით დამშვენებული ატლახის ხაბნები, რომლებშიც ხძინავს. — აი, იმ მფლანგველური ფუფუნების

ზედშესახება ნიშნები, რომელთა გულისთვის კინკამდე ეფლობა ვალებში, კრელი ატლახის ხამონელი — აი, ის ფუფუნება, რომელშიც იგი დილაობით ხამუშაოდ ქდება და იგივეს ქაქონეთურ შრომას ეწევა. მასში განწყობილს, „შემოქმედებით-ნეტარი განწყობილება“ ეფულება, რათა ძველი ჩრდნლოური — შეროიკა, ხუნების ამადლებული ხინსრლიკა შექმნას, რომელიც შეახხას ოქროსფერობიან გვირ-ურმას, რომელიც გავარვარებულ გრდემლთან გამარქვების მახვილს გედავს — ეს ხურათები გარმანელ კაბუკთა გულებს ვაშაოცური სიქველისა და სიამაყის გრძნობით ალაგვებს.

ეს კონტრასტი არაფერს არ ამტკიცებს, შილდერის დამძალ ვაშლებს მის ხამუშაო მაგიაში, რომელთაგან გოეთემ კინკამ გრძნობა დაკარგა, არავინ არ აღიქვამს შილდერის კრემმარტოდ დიადი შემოქმედების ხაწინააღმდეგო არგუმენტად, ვაგნერის ხამუშაო პირობები, შემთხვევით, უფრო ძვირი ქდება, და კაცმა რომ თქვას, შემოქმედებითი მუშაობისათვის ბელის შემწყობი სხვა ჩაცმულობის მოფიქრებაც შეიძლება მაგალითად. მონაზვნის, ან ქარისკაცის კობტუმებისა, რომლებიც ბელოვნების მკაცრი მსახურებისათვის გაცილებით უფრო შეხაფერიხი იქნებოდა, ვიდრე ატლახის ხალათები. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ხაქმე გვაქვს ბელოვანისათვის ჩვეულ ხამაგელ, მაგრამ ამავე დროს უწყინარ პათოლოგიასთან, რომელიც მხოლოდ ფილისტერებში იწვევს შემოკოთებას. მაგრამ, ცხადია, მათ შორის ვერც განხვავებას ვერ უარყვოფთ. შილდერის შემოქმედებაში დამძალი ვაშლების კვალს ვერ ვიპოვით, თუმცა მათი ბრწინის სუნი მუშაობისას ხტიმულს ამღევდა მან. მაგრამ ვის შეუძლია იმის უარყოფა, რომ ატლახის ბრწყინვალეობა როგორღაც იგრძნობა ვაგნერის შემოქმედებაში? ერთი კი უდავოა: შილდერის იდეალისტური ნება გაცილებით უფრო ერთიანად და მიწანწრაფულად გაცხადდა მისი ბელოვნების შემოქმედებაში, იმაში, თუ როგორ იპყრობს იგი კაცობრიობას, ვიდრე ვაგნერის ეთიკური მრწამსი აისახა მის ნაწარმოებთა შემოქმედების ხახიათში. მისი შეხედულებანი, როგორც კულტურის რეფორმატორისა, მიმართული იყო ბელოვნების ფუფუნებისთან გაიგივების, ბელოვნებაში ფუფუნების წინააღმდეგ, იგი ქადაგებდა ოპერის განწმენდას, გასულიერებას, ოპერის ცნება კი მისთვის ბელოვნების ცნებას უდრიდა, რომანის იგი ზიზღით „დიდებული ფუფუნების წიადში ნეტარად მომღიმარ, იტალიის ვნებიან შეიღბს“ უწოდებდა, იტალიურ საოპერო მუხიკას ხაერთოდ — „გარყვნილ ქალს“, ფრანგულს — „კვიად მომღიმარ ტურფ, აბ“. მაგრამ განა ბელოვნების შორალით განპირობებული ეს ზიზღი და ხიძულვილი სრული შეხახამისობით გამოიხატა მისივე ბელოვნების

არსსა და საშუალებებში, იმაში, რისი მეშვეობითაც დაიპყრო და დაიმორჩილა მან ევროპისა და მთელი მსოფლიოს ბიურგერული საზოგადოება? განა უოველივე ის ნეტარებით აღმავსებელი, ღონეშიბდილი, გრძობად-მტანჯველი, ბანჯივით გამაბრუებელი, პანოზურ-მოაღერსე, მკვრივად და უხვად დაგვირისტებული, ერთი სიტყვით, ის უდიდესი ბრწყინვალეობა, რაც მის მუსიკაშია. — განა სწორედ უოველივე ამის წყალობით არ იხიდავდა ასე დაუოკებლად ბურჟუაზიულ საზოგადოებას? აიხენდორფი თავის სიმღერაში უჩინალი ბიჭების შეხაბებ, რომელთაგან ერთ-ერთი თავის ცხოვრებას თავაწყვეტილ მხიარულებაში ფლანგავს. ცდუნების ძალის დასაბასიათებლად ლაპარაკობს „მოაღერსე ტაღლებზე“, „ტაღლების ნაირფერად მოღივლივე წიაღზე“, ეს მშვენიერია: მხოლოდ რომანტიკოსი თუ შეძლებდა ასე შთაბეჭდავად დაეხასიათებინა ცოდვა, და ვაგნერი გაუტოლდა მას ამ მხრივ თავის „ტანმოიწერსა“ და „პარსიფალში.“ მაგრამ განა მისი ორკესტრის ისეთივე „ნაირფერად მოღივლივე წიაღი“ არ არის, რომლიდანაც აიხენდორფის ურმანავით „მოქანცული და მოხუცებული“ ვიღვიძებთ? თუკი ამ კითხვას რაიმეთი მაინც ვეთანხმებით, მაშინ იმ მოყვლენასთან გვაქვს საქმე, რასაც „ტრაგიკულ ანტირომის“ უწოდებენ, ვაგნერის ბუნების ერთ-ერთ იმ კონტრასტთან, იმ გადაბლაართულ წინააღმდეგობასთან, რომელთაც ვუდგავართ კვალში. ასეთ წინააღმდეგობებს მრავლად შევხვდებით: ნოლო, რაც მათი საქმალ წილი შეხედულებისა და შემოქმედების ურთიერთმიმართებას ებება, ძალზე მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ მისი არტისტიზმის სრულ და სპატიო სიწმინდესა და იდეალურობას, და დავრცვათ იგი უოველგვარი გაუგებრობისაგან, რაც ვაგნერის წარმატების მასიური ხასიათიდან, მანებზე მისი მომაჯადოებელი შემოქმედებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. უოველგვარი კრიტიკა, ნიკშებულის კი, ცდილობს ხელოვნების კმნაღების შემოქმედება ხელოვანის შეგნებულ და წინასწარ გათვალისწინებულ განზრახვას მიაწეროს და ერთგვარი ანგარიშიანობა და გვანახოს მასში — ეს ძალზე გაუაღბებული, სავსებით მცდარი შეხედულებაა; თითქოს უოველი ხელოვანი იმას არ კმნიდეს, რაც თავად არის, რაც თავად მას უჩინს კეთილად და მშვენიერად, — თითქოს არსებობდეს ხელოვნება, რომლის შემოქმედება თვით შემოქმედს დაცივად მიანიდეს და, უპირველეს უოველისა, თვით მიხვან არ იყოს განცდილი! იქნებ სიტყვა „უდაწაშაულობა“ ყველაზე ნაკლებად შესაფერისი იყოს ხელოვნებისათვის, — მაგრამ ხელოვანი უდაწაშაულობა, ისეთი წარმოუდგენელი წარმატება, როგორც ვაგნერის მუსიკალურმა თეატრმა „მიადწია“, დიდ ხელოვნებას საერთოდ არახოდეს არ რგებია წილად. ლუდაშიწა, იხტატის სიკვდილი-

დან ორმოცდაათი წლის შემდეგ, უოველ ხაღმოს ამ მუსიკის მანგებშია გახვეული. მანებზე შემძვრელი შემოქმედების მქონე ეს თეატრალური ხელოვნება შეიცავს მსოფლიო დაპყრობის იმპერიალისტურ ელემენტებს, მძლავრი აღგზნების, დესპოტურ, დამბაგუგაურ, გამჭვირებულ მომენტებს, რომლებმაც შეიძლება გვაფიქრებინონ, რომ მათ ჰეშმაროტ წყაროს პატივმოუვარეობა, ძალაუფლებისაკენ კეიბრული სწრაფვის უსაზღვრო ნება წარმოადგენს. მაგრამ სინამდვილე სულ სხვაგვარად გამოიყურება. „მხოლოდ ამას გეტყვით“, წერს ვაგნერი პარიზიდან გულისსწორს, „ერთადერთი ჩემი სიწმინდის გრძობა მაძლევს ამ ძალას, მე ვგრძნობ ჩემს სიწმინდეს; გულის სიღრმეში მწამს, რომ უოველთვის სხვისთვის ვიღწოდი, და არახოდეს ჩემთვის; ჩემი განუწყვეტელი ვნებებია ამისი მოწმე“ თუ ეს სიმართლე არ არის, იმდენად დამაჩრებელი მაინცაა, რომ სკეპტიკოსებს ისე დაჩენიათ, გაჩუმიდნენ მისთვის უცხოა უოველგვარი პატივმოუვარეობა. „დიდება, სახელი და ხაღბის გამგებლობა“ — არწმუნებს იგი ლისტს, — „ჩემთვის არაფერს ნიშნავს“. არც ხაღბის გამგებლობა? — შეიძლება ძველ ოსტატთა ხაღბურობის იმ შერბილებული ფორმით, ასეთი უბრალოებითა და გულისათვი ზარ-ზეიმით რომ არის გამოხატული „მაისტერზინგერების“; როგორც იდეალი, სანეტარო ოცნება, ხელოვანისა და ხელოვნების რომანტიკულ-დემოკრატიული მრწამსი, დიას, მანს ზაქის ხაღბურობა, რომლის წინაშე მთელი „სკოლა“ უძლურია, რადგან ხაღბი მას ხელისგულზე ატარებს, — ხანუკვარი ოცნებაა. „მაისტერზინგერების“ შეინიშნება ერთგვარი გათამაშება ხაღბთან, როგორც ხელოვნების უმაღლეს მსაქულთან, რაც ხელოვნების ვაგნერისეული დემოკრატიულ-რევოლუციური გაგებისთვისაა დამახასიათებელი; დამახასიათებელია ხელოვნების მისეული კონცეფციისათვის, როგორც თავისუფალი მოწოდებისა ხაღბის გრძობისადმი, — ესეც ძალზე ეწინააღმდეგება სასახლის ხელოვნების უწინდელ კლასიკურ, კეთილშობილურ ცნებას, რაც ვოლტერმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა: *Quand la populace se mêle de raisonner, tout est perdu*¹⁰. და მიუხედავად ამისა, როცა ეს ხელოვანი პლუტარქებს კითხულობს, კარლ მოორისაგან განსხვავებით, იგი ერთგვარ ზიზღს გრძნობს „დიდი ადამიანებისადმი“ და არაფრის გულისათვის არ ისურვებდა, მათი მსგავსი უოფილიყო. „სადაგული, პატარა, მოძალადე ბუნების არსებანი, გაუმაძღრები, — რამეთუ მოკლებულნი არიან უო-

10. როცა ბრბო იწყებს მსჯელობას, ყველაფერი დაღუბულია (ფრანგ.).

ველგვარ შინაარსს და ამიტომ მხოლოდ გარედან ნათქავედ მუდამ უველაფერს. თავი დასაყრდენად ამ დიდი ადამიანებითი მე შოპენშაუერის სიტყვების მოწიარე ვარ: აღტაცების ღირსია არა ის, ვინც დაიპყრობს სამყაროს, არამედ ის, ვინც დასძლევს მას. მძლევრთმა მაშოროს ეს „მძლავრი“ ადამიანები, ეს ნაპოლეონები და მისთათანი“. მაგრამ რომელია ის თვითონ, სამყაროს დაიპყრობი თუ სამყაროს მძლეველი? რომელ მათგანს გულისხმობს სამყაროს ეროტიკის თემით აქცენტირებული მისი ფორმულა — „მაშინაც მე ვარ სამყარო“?

მისთვის პატივისმყოფარეობის შეწამების ცდა, საზოგადოდ გავრცელებული რომელიმე თვალსაზრისით, თუნდაც იმის გამოა უსაფუძვლო, რომ თავდაპირველად იგი თხზავდა უოველგვარი იმედისა და პერსპექტივის გარეშე, მოვლენა რაიმე შემოქმედება — მაშინდელი პირობები და გარემოებანი არ იძლეოდა ამის საშუალებას; თხზავდა საკუთარი ფანტაზიით შექმნილ სივრცეებში, წარმოსახვითი იდეალური სცენისათვის. რომლის ბორცვებსმაზე მაშინ ჯერ კიდევ ფიქრის შედგენი იყო. მართლაც არც კვიანურ ანგარიშსა და არც რეალურ შესაძლებლობათა პატივმოუვარულ გამოყენებაზე არ არის ლაპარაკი ისეთ სიტყვებში, როგორსაც ის სწერს, მაგალითად, ოტო ვეზენდორფს: „ჩემთვის ნათელია: მხოლოდ მაშინ ვარ მთლიანად ის, რაც ვარ, როცა ვქმნი. ჩემი ნაწარმოებების შესრულება უფრო ნათელი დროის ხვედრი იქნება, დროისა, რომელიც ჯერ ჩემი ტანჯვით უნდა მოვამზადო! — ჩემი უახლოესი მეგობრებიც კი — ბელოვნების წარმომადგენლები, ჩემს ბოლო ნამუშევრებს გაოცებაში მომყავს: ვერც ერთი მათგანი, რომელიც უფრო ახლოს დგას ჩვენი ბელოვნების სცენურ ცხოვრებასთან, სანუგეშოს ოითქმის ვერაფერს ხედავს. მხოლოდ თანაგრძნობასა და ხედავს ვიწვევ მათში. და ეს სწორიცაა, ვერაფერი მათსავით ვერ მარწმუნებს იმ აზრში, თუ რა საოცრად გავუხზარე უველაფერს, რაც ჩემ გარშემო“ — არასოდეს გენიის სიმართლავე, ცხოვრებისაგან მისი განდგომილობა ახეთი სულისშემძვრელი სიტყვებით არ გამოხატულა. მაგრამ ნეტავ ჩვენ, მეცბრაშეძვე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულებსა და მეოცე საუკუნის პირველი მესამედის ადამიანები, მსოფლიო ომისა და გვიანდელი, დაშლის პირას მიაღწი კაპიტალიზმის მოშხრენი, — ჩვენ, რომელთა დროში ვაგნერის ბელოვნებას მსოფლიოს უდიდესი თეატრები დაუპყრია და ცივილიზებული სამყაროს ნებისმიერ წერტილში ხრულყოფილი შესრულებით შეიმობს, — ნეტავ ჩვენ წარმოვადგენთ იმ „უფრო ნათელ დროს“, რომელიც მას „თავისი ტანჯვით უნდა მოემზადებინა“? განა 1880—1888 წლების კაცობრიობა გამოდგება ხაიმისოდ, რომ ის უზარმაზა-

რი წარმატება, რომელსაც იგი ვაგნერის ბელოვნებას მიაგებს. ამ ბელოვნების სიწმინდისა და სიდიადის თავდებად მივიღოთ?

მოვეშვათ კითხვებს, ვნახოთ, როგორ ვლინდება ამ ბელოვნების ხიდადე იმში, რომ იგი ცდილობს მხარი აუბას ვეველგვარს. შეეგუოს მას, მაგრამ ვერ მოუხერხებებს შექმნას მცირე კომიკური ოპერა. ხატორის სცენა „ტანბოიზერისათვის“ მაყურებლისა და თავის თავშესაქცევად, გულწრფელად ეხწრაფვის სიმსუბუქესა და ილაღეს; და უოველივე აქედან „მაისტერზინგერები“ იხადება; არც მცირეპერსონაჟიანი. მელოდიური და ლირიულ-მღერადი ადვილად დახადგმელი მოიტალიურ ნაწარმოები უნდა გაუძნელდეს ოითქოს; და მისი ბელიდან გამოდის „ტრისტანი“ — ვერ იქმ იმაზე მცირეს, რაც ზარ; თავს ვერ შეიცვლი; აკეთებ იმას, რაც შენშია და ბელოვნებაც სიმართლვა — სიმართლე ბელოვანის შესახებ

ამრიგად, ვაგნერის ბელოვნების შემოქმედების გრანდიოზული ძალა შემოქმედის პიროვნებისა და ამ ძალის წარმავლობის კვალობაზე, უადრესად სულიერი და ამაღლებული ფენომენია; და ეს, უპირველეს უოველისა, თავისი დონის წყალობით, რომელსაც არაფერი ისე არ სძულს, როგორც ეფექტი, როგორც მოქმედება მისი უფროსი გარეშე“ და კიდევ იმის გამო, რომ მასში უოველივე იმპერიალისტური, დემოგოგური, მახების დამშორბილებელი, უპირველეს უოველისა, ხრულიად, შეპრაქტიკულად და იდეალურად უნდა გავიგოთ, მხოლოდ არსებული პირობების რევოლუციურ გარდაქმნას უნდა დავეუკავ-ზიროთ — და ეს ბელოვნებისეული უდანაშაულობა განსაკუარებით იქ იჩენს თავს. სადაც მრავალწახნაგოვნად ინსტრუმენტირებული ადამაფროვანებელი ნება ეროვნულ მოწყობებაში გამოიხატება; გერმანული სულის შეიმიისა და განდადების სახით, როგორც ეს ხდება თუნდაც „ლოენგრინში“ მეფე მაინრიხის „გერმანული მახვილის“ მეშვეობით, ან „მაისტერზინგერებში“ მანს ზაქსის ადალი სიტყვებით. სავსებით დაუშვებელია ვაგნერის ნაციონალისტური ეესტებისა და მიმართვების დღევანდელი მნიშვნელობით გაგება — იმ მნიშვნელობით, რომელიც მათ დღეს მიეცემოდა. ეს მათ გაყალბებასა და ბოროტად გამოყენებას, მათი რომანტიკული სიწმინდის შებლაღვას ნიშნავს.

ეროვნული იდეა მაშინ, როცა იგი ვაგნერმა შეიტანა თავის შემოქმედებაში, როგორც ღრმად შთაშბეჭდავი ელემენტო, ე ი ვიდრე ეს იდეა განბორცოვლდებოდა, თავისი განვითარების გეროიკულ, ისტორიულ, კანონიერ სტადიაში იმყოფებოდა, იგი მაშინ კეთილი, ცხოვრებისეული და დროული იყო, ეს იყო პოეზია და გონი.

რასაც სამომავლო ღირებულება აქონდა. და დე-
მაგოგიაა, როცა დღეს აწკარებს „გერმანულ
მახვილზე“, ანუ „მაისტერზინგერების“ დედა-
არსის გამოგონებულ ფინანსურ სტრატეგიას „თუნ-
დაც დაემხოს რომის წმინდა იმპერია, ჩვენთან
იქნება უწმინდესი გერმანული ხელისუფლება“, —
ტენდენციურად აგუგუნებენ პარტერში ბასის-
ტები. რათა მუსიკალურთან ერთად პატრი-
ოტული შემოქმედებაც მოახდინონ მსმენელზე.
სწორედ ეს სტრიქონები, რომლებიც იმთავით-
ვე გამოიკვეთა და უველაზე უადრეს, 1846 წლის
მარტინბადის ბელნაწერს აგვირგვინებს, — სწო-
რედ იხინი ამტკიცებენ ვაგნერის ნაციონალიზ-
მის კრემპარტ ხულიერებასა და პოლიტიკისაგან
განზე დგომას; მტკიცებენ სრულიად ანარ-
ქისტულ გულგრილობაზე სახელმწიფოებრიო-
ბის მიმართ, ოღონდ მხოლოდ ხულიერად გერ-
მანული. „გერმანული ხელისუფლება“ დარჩეს,
სხვა საქმეა, რომ ამ დროს მას მხედველობაში
აქონდა არა ხაერთოდ გერმანული ხელისუფლება,
არამედ თავისი მუსიკალური დრამა, რომელიც
არცთუ წმინდა გერმანულია და რომელმაც
ვებერის, შარუნერისა და ლორცინგის გარდა,
სპონტინი და დიდი ოპერაც გაითავისა. გულის
სიღრმეში შეიძლება იგი იმახვე ფიქრობდა, რის-
თვისაც ბიორნე საყვედურობდა უდიდეს არა-
პატრიოტს, გოეთეს: „რა უნდათ გერმანელებს?
მათ ხომ მე ვუყვარ“.

როგორც პოლიტიკოსი ჩიბარდ ვაგნერი მთე-
ლი თავისი სიცოცხლის მანძილზე, უფრო სო-
ციალისტი და უტოპისტი იყო კულტურის დარ-
გში, უკლამო, ფუფუნებისა და წყევლი ოქრო-
საგან. თავისუფალი, სიყვარულზე დაფუძნებული
საზოგადოების მონატრული, რომელიც იდეალურ-
ად პუბლიკა იქნებოდა მისი ხელისუფლებისათვის,
ვიდრე მძლავრი სახელმწიფოსათვის მებრძოლი
პატრიოტი. ხულით და გულით იგი ღარიბთა
მხარეზე იყო, მდიდრების წინააღმდეგ. თავის
მონაწილეობას 1845 წლის რევოლუციურ გამო-
ხვლებში, რაც მას თორმეტწლიანი მტანჯველი
ლტოლვილობის ფასად დაუჯდა. მოგვიანებით
— როცა „საძრახ“ ოპტიმიზმს განერიდა და
უცილობელი ფაქტი, ბისმარკის იმპერიის არსე-
ბობა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, თავისი
ოცნებების განხორციელებას გაუტოლა, — შე-
ძლებისდაგვარად ამცირებდა და უარყოფდა. მან
გერმანული ბიურგერობის გზა განვლო: რევო-
ლუციიდან — იმედის გაცრუებამდე, პესიზმამდე
და ხელისუფლების დამცველობის ქვეშ — შე-
გუბულ შინაგან ცხოვრებამდე. და მაინც მის
წაწერებში გარკვეული აზრით ერთ მეტად არა-
გერმანულ გამოხატვას ვაწყდებით: „ვინც პო-
ლიტიკისაგან თავს იჭრენს, ის თავს იტყუებს!“
ახეთა ცოცხალი და რადიკალური გონის პატ-
რონს, როგორც ვაგნერი იყო, ცხადია, არ შე-

იძლებოდა შეგნებული არ აქონოდა მუსიკური
პრობლემის ერთიანობა, გონისა და პოლიტიკის
განუყოფილობა. იგი არ იზიარებდა გერმანული
ბიურგერობის ილუზიას, თითქოს შესაძლებელია
იყო აპოლიტიკური და კულტურული ადამიანი
— სწორედ ეს შეცდომა იყო გერმანიის მთელი
უბედურების სათავე. მისი დამატებითი მხ-
მულის მიმართ, იმპერიის დამცველობის
ბაიროთში დამკვიდრებამდე, ეს არის დამოკი-
დებულება განმარტოებული, გაუზიარებელი,
განდევნილი ადამიანისა, აღსავსე კრიტიკითა და
ცინიზმით. „ო, რა ენთუზიაზმით აღმავსებს გერ-
მანული ერის გერმანული კავშირი!“ იწერება
1838 წელს ლუცერნიდან. „ოღონდ კი, ღმერთ-
მა დაგვიფაროს და მკრებელმა ლუი ნაპოლეონ-
მა ხელი არ დააკაროს ჩემს სანუკვარ გერმანულ
კავშირს: ძალზე დამაღონებდა, ის რომ რაღაც
სხვად იქცეს!“ გერმანიის მონატრებას, ლტოლ-
ვილობის დროს რომ სტანჯავდა, სამშობლოში
დაბრუნების შემდეგ სინამდვილით გამოწვეული
მწარე იმედგაცრუება ცვლის. „რა უბადრუკი
ქვეყანაა“, წამოიძახებს ის, „და სწორია ვინმე
რუფე, როცა ამბობს: „გერმანული ყოვლად მდა-
ხალი არსებაა“ — უნდა გავითვალისწინოთ, ეს
გავეებული გამოხატვამები გამოწვეულია მხო-
ლოდ იმით, რომ გერმანული საზოგადოება არ
იყო მზად მისი შემოქმედების მიხედვით; ეს გა-
ვება უაღრესად ბავშვური, პირადული ხასიათისაა.
გერმანია იმდენადაა ავიც თუ კარგიც, რამდენა-
დაც იგი აღიარებს ან უარყოფს მას. მაგრამ ჭერ
კიდევ 1878 წელს, ერთ-ერთ სალონში ნათქვამ
ქათინაურზე, რომ გერმანული პუბლიკა არავის
შეხვედრია ისე, როგორც მას, ვაგნერმა მწარე
იუმორით უპასუხა: „ო, რა თქმა უნდა! თვით
ხულითანმა და ეგვიპტის ქედვიმამ მოაწერეს თა-
მასუქებზე ხელი“.

ხელივანის გულის ღირხებაა ის გარემოება,
რომ იგი, ნიცშესაგან განსხვავებით, ბისმარკის
ომების შემდეგ აღორძინებულ იმპერიაში თავი-
სი გერმანული ბურჟუაზიის აღსრულებას ხედავ-
და; რომ „იმპერია“, რომლის შესარქვენებლად
ნიცშე საქმამო ხიშტაურის სიტყვებს ვერ პოუ-
ლობდა, — იგი მზად იყო და შეეძლო მიენნია
წამდვილ და კრემპარტ ნიადაგად თავისი შემოქ-
მედების განსაზღვრულად. გერმანული იმპერიის
აღორძინებამ მცირე გერმანიის ფარგლებში, ამ
გრანდოზულმა ისტორიულმა წარმატებამ, გა-
წუმტკიცა ვაგნერს, მისი მეგობრის მეგობის ხე-
ტავების მიხედვით, გერმანული კულტურისა და
ხელივანების განვითარების რწმენა, ანუ რწმენა
მისი ხელივანების ნაწარმოების, ხუბლიმირებუ-
ლი ოპერის შემოქმედების შესაძლებლობისა.
ამ რწმენის ნაყოფია „საიმპერატორო მარში“,
ახევრე ლექსი გერმანული არმიისადმი, პაროზის
მიხედვითთან რომ იდგა, ლექსი, რომელიც

ამტკიცებს, რომ მუსხიის გარეშე ვაგნერი პოეტი არ არის; წარმოუდგენლად უგემოვნო ხატია, 1871 წლის აგონიაში მყოფი პარიზისადმი, „კაპიტულაცია“, რომელიც თავიდან ფეხებამდე ამხელს მას. ამ რწმენიდან დაიხადა, უპირველეს ყოვლისა, მისი მანიფესტი, „ნიბელუნგის ბეჭდის“ საზეიმო წარმოდგენის შესახებ — რომელსაც ერთადერთი გამოხმაურება მოხუცა — ისევ მანბაიმელი როიალებით მოვაკრე შეკვლისაგან. წინააღმდეგობა ვაგნერის ხურვილებსა და მოთხოვნების მიმართ, შიშის, მის მომხრედ ეცნოთ თავი, ისევ დიდი იყო; მაგრამ იმპერიის დაარსების დროს ემთხვევა ვაგნერის პირველი გაერთიანების დაარსებაც და ფესტივალისათვის აქციების გამოშვება; დაიწყო ჩანაფიქრის განხორციელება, გაცხადება, რასაც, როგორც ყოველთვის, მრავალი კომპრომისი ახლდა. ვაგნერი საკმაოდ პოლიტიკოსი იყო სამისხოდ, რომ თავისი საქმე ბისმარკის იმპერიასთან დაეკავშირებინა; იგი შედავდა უმაგალითო წარმატებას, რომელსაც თავისივე შედ დაუმატა, და მისი ხელოვნების ევროპული ბეჭემონია ბისმარკის პოლიტიკური ბეჭემონიის კულტურულ კუთვნილებად იქცა. დიდ საბელმწიფო მოღვაწეს, რომლის კმნილებასთანაც მან თავისი შემოქმედება შეაუღლა, ამ უკანასკნელისა არაფერი გაეგებოდა, არასოდეს არ დაინტერესებულა და ვაგნერს შერეკილად თვლიდა. მაგრამ მოხუცმა კაიზერმა, რომელსაც ასევე არაფერი გაეგებოდა, ხაიორითში რომ ჩავიდა, ბრძანა: „არ მეგონა, თუ თქვენსას მიადწევადიო? ვაგნერის ხელოვნება ნაციონალურ საქმედ გამოცხადდა, იმპერიის ოფიციალურ კუთვნილებად იქცა და გარკვეულწილად ინარჩუნებდა კავშირს ამ შავ-თეთრ-წითელ იმპერიასთან, თუმცა თავისი არსითა და თვით მისთვის დამახასიათებელი გერმანული სულის თავისებურებით ცოტა რამ თუ მქონდა ხაერთო ძალაუფლებისა და ამის განმხაბიერებელ რომელიმე საბელმწიფოსთან.

როცა ლაპარაკია ვაგნერის ბუნების წინააღმდეგობრიობაზე, მასში წინააღმდეგობათა რთულ გადახლართვაზე, გვერდს ვერ ავუვლით იმ გრანდიოზულ შესაშვებას, გერმანული და საყოველთაო ფენომენის იმ შენივთებას, რაც ამ ბუნების განუყოფელი ნაწილია, მის აბსოლუტურ განუმეორებლობას შეადგენს და უამრავ ფიქრს აღგვიძრავს. ყოველთვის იყო და დღესაც არის მაღალი რანგის გერმანული ხელოვნება — განსაკუთრებით ლიტერატურის სფერო მაქვს მხედველობაში, — რომელიც მთლიანად ჩვენეულ მშობლიურ გერმანიას ეკუთვნის, იმდენად თავისებური და ღრმად გერმანულია, რომ მას ხწორედ მშობლივად ამ „მშობლიურის“ ხფეროში ძალუძს მოახდინოს შემოქმედება და აღძრას მოწინება, — თანაც ძალზე კეთილშობილურად.

და ევროპულ, მსოფლიო მასშტაბს ამ მხრივ მოკლებულია, ეს მისი ბედია, ისევე როგორც სხვა რამ, და მის ღირებულებას ხულაც არ ამტკიცებს. გაცილებით უმაღლესად წაწარმოები კი, საყოველთაო მოხმარების დემოკრატიული „საქონელი“, ადვილად გადალახავს ხოლმე ყოველგვარ საზღვრებს და უფროსად ხასიათის წყალობით ყველგან [] [] [] კულტურის კარგად განსაგებია; მაგრამ ისეთ წაწარმოებებსაც, რომლებიც თავისი რანგით და ღირსებით იმ უაღრესად მშობლიურ ხელოვნებას არაფრით არ ჩამოუვარდებიან, ხცხიათ ხოლმე დემოკრატიულ-ევროპული მირონის წვეთი, რომლის წყალობითაც მათთვის მთელი მსოფლიოსაკენ ხსნილია გზა და საყოველთაო გაგებაც უზრუნველყოფილია.

ვაგნერის ხელოვნებაც ამ ხასიათისაა, ოღონდ აქ იმ მირონის ერთ წვეთზე კი აღარაა ლაპარაკი, არამედ იგი გაუღენთილია მირონით, მისი გერმანულობა ღრმა, მძლავრი და უცილობელია. დრამის დაბადება მუსიკიდან, როგორც ეს, ხულ ცოტა, ერთხელ, ვაგნერის შემოქმედების ხიმახლეზე, წმინდა და მომაჯადოებელი ფორმით, „ტრისტან და იზოლდაში“ აღხრულდა, მხოლოდ გერმანული ცხოვრების წილში შეიძლება და მომხდარიყო, და გერმანული, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, შეიძლება ეწოდოს მის ხოცარ სიღრმეს, მის მიდრეკილებას მითოურისაკენ, მის მიწიდეულობას მეტაფიზიკურისაკენ, პირველ რიგში საკუთარი დირსების ღრმად გააზრებულ გრძნობას, — ხელოვნების უმაღლეს და საზეიმო გაგებას, უფრო ზუსტად, თეატრის გაგებას, რომლითაც იგი აღხავს და რომელსაც იგი გამოსცემს. ყოველივე ამასთან ერთად, იგი მთელი მსოფლიოსათვის მისაწვდომია, მთელი მსოფლიოს გულისთქმას ქახუბობს, როგორც ეს არასოდეს არ ხედომია წილად მაღალი რანგის გერმანულ ხელოვნებას, და მისი შემოქმედის ხანუკავარი აზრების სფეროში ვიშყოფებით, როცა ემპირიული მოვლენიდან მის „ნებაზე“, მის ხასიათზე გამოგვაქვს დასკვნა. ერთხელ უკვე ვახსენე ერთი არაგერმანელი, შვედი ავტორის, ვილჰელმ პეტერსონ-ბერგის წიგნი „რიმარდ ვაგნერი როგორც კულტურული მოვლენა“, რომელიც ამ ხაკითზე განსაკუთრებული გონიერებით მხჭელობს, ავტორი აქ ლაპარაკობს ვაგნერის ნაციონალიზმზე, მისი ხელოვნების ეროვნულ-გერმანულ ხასიათზე, და შენიშნავს, რომ გერმანული ხალხური მუსიკა ერთადერთი მიმართულებაა, რომელიც არ შედის მის ხინთეზში, დაბახათების მიწნით, ვაგნერი, მართალია, ზოგჯერ მიმართავს გერმანულ ხალხურ ხელოვას, როგორც, მაგალითად, „მახიტრზის-გერებსა“ და „ზიგფრიდში“, მაგრამ ეს არ შეადგენს მისი მუსიკალური შემოქმედების სფეროს.

ველსა და ამოსავალს. არასოდეს არ წარმოადგენს იმ ენგაღს, საიდანაც იგი ხოლონურად გადმოსჩქვებს, როგორც ეს შეუძინის ბერტიხა და ბრამსის შემოქმედებაშია. საჭიროა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ხალხური ხელოვნება და ნაციონალური ხელოვნება; პირველი შეიძინათა მიმართული, მეორე — გარეთ. ვაგნერის მუსიკა უფრო ნაციონალურია, ვიდრე ხალხური; მასში არის ბევრი მომენტი, რასაც, ნამეტნავად უცხოელნი, გერმანულად აღიქვამენ, მაგრამ ამასთან ერთად მას — ასე ამბობს შვედი — უეჭველი კოსმოპოლიტიზმის ბეჭედიც აწის.

აქ, როგორც მე ვფიქრობ, უდიდესი სიფაქიწითაა ამოცნობილი და გაანალიზებული ის თავიებულება, რომელიც ვაგნერის გერმანულ ხუნებას ახლავს. დიახ, ვაგნერის შემოქმედება გერმანულია, ეროვნულია, თანაც — სამაგალითოდ, შეიძლება ძალზე სამაგალითოდაც. რამეთუ გარდა იმისა, რომ ეს შემოქმედება გერმანული ხულის ეულკანური გაცხადებაა, იგი მისი სცენური ხორცშესხმაა, თანაც ისეთი ხორცშესხმა, რომლის ინტელექტუალიზმი და პლაკატური შემოქმედება გროტესკულობას, პაროდულობას აღწევს და თიქოს საიმისოდაა განსაზღვრული, რომ ცნობის-მოყვარეობით ატანილ მსოფლიოს კუბლიკას ასეთი წამოძახილი გამოსტაცოს: „Ahl! Ga c'est bien allemand par exemple!“ მაშასადამე, ეს გერმანული ხული, რაც უნდა ნამდვილი და მძლავრი იყოს იგი, ვაგნერთან წარმოდგენილია თანამედროვე დამხმარეული და დაშლილი, დეკორატიული, ანალიზური, ინტელექტუალური ხებით, და სწორედ ამაშია მისი მომადლოებელი ძალა, კოსმოპოლიტური, პლანეტარული შემოქმედების მისი თანდაყოლილი უნარი. ვაგნერის შემოქმედება გერმანული ხულის ყველაზე სენსაციური თვითასახვა და თვითკრიტიკაა, როგორც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, მას ძალუძს თვით ყველაზე რეგვენ უცხოელსაც კი ინტერესი აღუძრას გერმანულისადმი, და ცხოველი გატაცება ამ შემოქმედებით ამავე დროს მუდამ ცხოველი გატაცება თვით გერმანულით, რომელსაც იგი კრიტიკულ-დეკორატიულად განადიდებს. ამაში მდგომარეობს მისი ნაციონალიზმი, მაგრამ ეს ნაციონალიზმი იმდენადაა გაუღმთილი ევროპული არტისტიზმით, რომ უოველგვარი გამართებებისათვის, გერმანულად თუ ვიტყვი — გაუხამსებებისათვის, იგი ხელშეუვალია.

„თქვენ წილად გხვდათ ემხანურათ იმის საქნეს, ვინც მომავალში ყველაზე სახელგანთქმული იქნება ოსტატთა შორის“. ამ ფრაზას წერს შარლ ბოდლერი 1848 წელს ვაგნერის თავჯანის მცემელ ერთ ახალგაზრდა გერმანულ მუსკალურ

კრიტიკოსს. ეს ხაოცრად გამჭრიახი წინახარმეტყველება მგზნებარე სიყვარულის, სულთა ნათესაობის ნაყოფია, და ნიცშეს კრიტიკის განიხას მოწმობს ის ფაქტი, რომ მან ამოიყნო ეს ნათესაობა, თუმცა არაფერი იყო და მის გამოხატულებაზე. „თუ თავის დროზე ბოდლერი დელაქრუას პირველი წინახარმეტყველი და მაუწყებელი იყო“, ამბობს იგი თავის გამოკვლევაში ვაგნერის შესახებ, „დღეს შეიძლება იგი პარიზის პირველი „ვაგნერიაული“ გამხდარიყო. ბოდლერში ბევრი რამაა ვაგნერისეული“. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოხდება მას თვალში წერილი, რომელშიც ვაგნერი მადლობას უბღის ფრანგ პოეტს თავჯანისცემისთვის, და ამის გამო ნიცშე აღტაცებას ვერ ფარავს. დიახ, ბოდლერი, ყველაზე აღრიწდელი მოტრფილე დელაქრუასი, ფერწერის ამ ვაგნერისა, მართლაც პარიზის პირველი ვაგნერიაული იყო და, საერთოდ, ერთ-ერთი უპირველესი და ყველაზე გეშმარიტი, თავდავიწყებაშიდგ გატაცებული და ხელოვნების თვალსაზრისით გაკვეთლ-გაცნობიერებული ვაგნერიაული, მისი 1861 წლის წერილი „ტანპოიერის“ გამო პირველი გადაწყვეტი და ახალი ერის მაუწყებელი სიტყვა იყო ვაგნერზე და დღემდე ინარჩუნებს თავის უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას. თვითაღმოჩენის ის ბედნიერება სხვა შემოქმედის მისწრაფებებში, რაც მას ვაგნერის მუსიკამ მიანიჭა, ამის გარდა კიდევ მხოლოდ ერთხელ განიცადა, როცა ედგარ ალან პოს ლიტერატურულ სამყაროს ეზიარა. ორივე — ვაგნერი და პო — ბოდლერის ღმერთები არიან — ასეთი უცნაური დაწუვილება გერმანულ ყურს ეუცხოება. ეს მეზობლობა ვაგნერის შემოქმედებას ერთბაშად სხვა შუქზე წარმოგვიდგენს, გვიხსნის მის ხულიერ ურთიერთკავშირებს, რომელთა შეცნობა მის პატრიოტ ინტერპრეტატორებს ჩვენთვის არ უხვავლებიათ. მისი სახელის გაგონებაზე ჩვენ თვალწინ იშლება ხატოვანი და ფანტასტიური, სიკვდილსა და სილამაზეზე შეყვარებული, დასავლეთ ევროპული აყვავების ხანისა და გვიანრომანტიკული სამყარო პესიმისმის, იშვიათ თრიაქთან წილნაუარი, უფაქიწესი გრძნობებისა, რომელიც ჩამირული იყო ფიქრებში ესთეტიკურ შთაბეჭდილებათა შინაგან ერთიანობაზე, მოფმან-კრაისლერის ოცნებებში ფერთა, ბგერათა და არომატების ურთიერთკავშირის ერთად შერწყმული გრძნობების მისტიკური მეტამორფოზის შესახებ... ამ სამყაროში უნდა დავინახოთ და გავიხივრძეგანოთ ვაგნერი: ყველაზე სახელოვანი მოძმე და ამხანაგი ყველა ამ ცხოვრებისაგან ტანჯული, თანაგრძნობის ერთგული, ექსტაზს მოწყურებული

1 ეს კი გეშმარიტად გერმანულია! (ფრანგ.)

სიმბოლისტის და art suggestif¹²-ის თა-
ყვანისმცემლისა, რომლებიც მიხვრათოდნენ
„d'aller au delà; plus outre que l'humani-
tite:“¹³ როგორც თქვა შორის ბარესმა, უკანას-
კნელმა ამ წყლით მონათლულთა შორის, ვენე-
ციაზე და ტრისტანის ქალაქზე შეყვარებულმა,
სისხლის, ვნებისა და სიკვდილის მგოსანმა. რო-
მელიც თავისი ცხოვრების დაიხზე ნაციონალის-
ტი იყო, სიციცხლის დასაწყისიდან მის ბოლომდე
კი — ვაგნერიანელი.

რას მოასწავებს

ეს ტალღები აწვირთებულნი

ეს მშვენიერი,

მოაღერსე უცხო სურნელი?

რა ახმაურებთ,

ნეტავ უალუზე რისთვის დგებიან,

თვისკენ მიხმობენ,

მაცდუნებენ, თავს მევლებიან...

ღამის მივენდო

მეც ამ ძაბილს, ამ ნეტარებას. —

ეს ბარმონია

თუ განკურნავს ალბათ მტკივან სულს.

ბორგავს და ღელავს

მასთან ერთად სამყარო მთელი,

თავდავიწყებას,

ნეტარებას აწ მასში ველი!

(თარგმანი ნანა ღვინეფაძისა).

ასეთია უადრესი და უმაღლესი სიტყვა ამ სა-
მყაროში, მისი დაგვირგვინება, მისი ზეიმი, მისი
სულით აღბეჭდილი და გაუღწეოთილი, რომლის
ევროპული, მიხტიურ-გრძობიერი არტისტიზმის
სტილიზაცია მოაბდინეს ვაგნერმა და აღრეულმა
ნიცშემ, როცა მას გერმანულ-განმანათლებლური
იერი მიანიჭეს და დაუკავშირეს იგი ტრაგედიას,
რომლის მწვერვალები მათთვის არიან ევროპიდე-
შექსპერი და ბეთჰოვენი, ნიცშე, რომელსაც აღი-
ზიანებდა გერმანული ბუნდოვანება ფსიქოლო-
გიის საკითხებში, მოგვიანებით ხინანულით გა-
დასინჯავს ამ გაგებას — საგანგებოდ უხვამს
ხაზს ვაგნერის ევროპულ არტისტულობას და
დასცინის მის გერმანულ ოსტატობას. — არც-
თუ მართებულად, ვაგნერის შემოქმედებაში ნამ-
დვილად მძლავრი და კემშარიტი გერმანული
სულია, და თუ რომანტიკულმა საწყისმა გერმა-

ნული გამოხატულებითა და საქმის ერთგული ოს-
ტატობით თავის მწვერვალს მიაღწია და მსოფ-
ლიო წარმატება მოიპოვა. — ეს მისი არსით
იყო წინასწარგანსაზღვრული.

დაბოლოს, რამდენიმე სიტყვა ვაგნერზე, რო-
გორც მოაზროვნეზე, მის დაშორებულებზე
წარსულისა და მომავლის შესახებ. მისი შემოქმედებაში ამ
მხრივაც ერთგვარი გაღრმობაა. მისი წინა-
აღმდეგობათა გადაჭვარდინება შეიმჩნევა, რაც
გერმანულისა და ევროპულის დაპირისპირებას
შეესაბამება. ვაგნერის ხასიათში არის რეაქ-
ციული შტრიხები, რაც წარსულისაკენ ღტო-
ლვასა და განვლილის ბნელ კულტში გამოიხა-
ტება; ამ აზრით შეიძლება იქნეს გაგებულნი მის-
ტიურისა და მითიურ-ლეგენდარულიზმადმი
ტრფიალი. „მაისტერზინგერების“ პროტესტან-
ტული ნაციონალიზმი, ასევე კათოლიზირების
ცდა „პარსიფალში“, მიდრეკილება შუასაუკუ-
ნეებისაკენ, რაინდობისა და დიდებულთა წრისა-
კენ, სახწაულებისა და რელიგიური გულმოდგი-
ნებისაკენ, მაგრამ ნოვატორობის, ცვალებადო-
ბის, გათვისუფლებისაკენ მიმართული ამ ხელო-
ვნების კემშარიტი და ღრმა არხის შეგრძნება
გამორიცხავს მისი მეტყველებისა და გამოხატვის
მანერის სიტყვახიტყვით გაგებას და არა ისე,
რაც ის არის; ეს არის ხელოვანის იდიომატუ-
რი მეტყველება, ქარაგმული მანერა, რომლის
მეშვეობითაც უოველ ნაბიჯზე სულ სხვა, რევო-
ლუციური იდეები იგულისხმება. მთელი თავისი
სიმძიმისა და სიკვდილთან წილნაყრობის
მიუხედავად — სიციცხლით აღსავსე და ბობო-
ქარ-პროგრესული ეს შემოქმედი გონი, თავისუ-
ფალი სიყვარულის შვილის, სამყაროს დამაქცე-
ველის მომდერალი, ეს გაბედული მუსიკალური
ნოვატორი, რომელიც „ტრისტანში“ უკვე ცალი
ფეხით დგას ატონალობის ნიადაგზე და რომელ-
საც დღეს უთუოდ კულტურის ბოლშევიკად მო-
ნათლავდნენ, ეს ხალხის შვილი, რომელიც მოე-
ლი თავისი სიციცხლის მანძილზე გულწრფე-
ლად უარუოდ დაღაუფლებას, ფულს, ძალადო-
ბასა და ომს, და თავისი საზეიმო თეატრი, რა-
დაც არ უნდა მოექცია იგი ეპოქას, ჩაფიქრებული
მქონდა როგორც უკლახო ხაზოგადოების თეატ-
რი — ეს ხელოვანი არ შეიძლება დაისაკუროს
უკუქცევის სულმა, ღვთისმოსავი თუ ხასტიკი
წარსულისაკენ რომ იმზირება. — არამედ მხო-
ლოდ იმან, ვისი ნებაც მომავლისკენ იქნება მი-
მართული.

12. შოთაგონებაზე დამყარებული ხელოვნება
(ფრანგ.).
13. მოხვედრილიყვენენ გაღმა ნაპირზე, ადამი-
ანურის საზღვრების მიღმა (ფრანგ.).

მაგრამ ფუჟი ხაქმეა დიდი ადამიანების მარადისობიდან დღევანდელობაში გამოხმობა, რათა მათი პოტენციური აზრი შევიტოთ თანამედროვე ცხოვრების პრობლემებზე. რომლებიც მათ წინაშე არ მდგარა და უცხოა მათი გონისათვის. როგორი აზრისა იქნებოდა რიპარდ ვაგნერი ჩვენი ხაკითხების, ხაზრუნავისა და ამოცანების შესახებ ეს „იქნებოდა“ — უშინაარსო და შორვენებითი; ახე მსჯელობა შეუძლებელია. აზრები მხოლოდ მეორადია. უკვე იმ დროისთვისაც.

როცა ისინი გამოითქვა: და მით უმეტეს — შემდგომი რაც რჩება — ეს არის ადამიანი და მისი ბრძოლის ნაყოფი. მისი შემოქმედება. დაჯამებულია იმით, რომ პატრივი მავაგრო ვაგნერის შემოქმედებას, როგორც ~~შეუქმედელი~~ და დახატულივერობული ცხოვრების ~~და~~ მარა-ვაღმნიშვნელოვან ფენომენს. რომელიც ყოველ დროში ზელოვნებისა და შემეცნებისათვის უძლიერისი ბიძგის მიმცემი იქნება.



გერმანულიდან
თარგმნა ლამარა ნაროშვილმა

თანამედროვე ლირიკის პრობლემები

ჩემი ბატონო და ძალბატონო.

კვირა დილას, ან ზოგჯერ წუთ კვირასაც, როცა თქვენს გაზეთებს გადაშლით, დამატებაში თვალში მოგხვდებათ, უშეტესად მარჯვნივ, შემოთ ან ქვემოთ განხვავებული შრიფტით დაბეჭდილი ტექსტი. ეს ლექსია. უშეტესად პატარა, მისი თემა, ჩვეულებრივ, წელიწადის დროა, თუ შემოდგომაა, მაშინ აქ ნოემბრის ნისლებია; თუ გაზაფხულია — ზაფხუანები, სითბოს და სინათლის მომტანნი, თუ ზაფხულია — უაუარობით აბრდგვიანებული მინდორი. აქვე შეხვდებით რელიგიური დღესასწაულებისადმი მიძღვნილ გარიტმულ რატუალებსა და ლებინდებს, მოკლედ, იმის მიხედვით, თუ რა რეგულარულად შეორდება ეს კვირიდან კვირაში, წლიდან წლამდე, პუნქტუალურად და ჩაუგდებლად, უნდა ვიფიქროთ, რომ უოველ დროს ადამიანების ერთი ნაწილი ჩვენს სამშობლოში ზის და ლექსებს წერს, რომლებსაც შემდეგ გაზეთებში აგზავნიან. ეტყობა, რედაქციაც დარწმუნებულია, რომ მკობველი ელოდება ასეთ ლექსებს, თორემ გაზეთის ამ ადგილს სხვაგვარად გამოიყენებდა. ამ ლექსების ავტორთა გვარები უშეტესად ნაკლებ ცნობილია და ასევე მალე ქრებიან. ერთბედა პროფესორმა რობერტ კურციუსმა, რომელსაც წერილში ერთი ჩემი სტუდენტი ვუქაპასუხად მომწერა: „აბ, ეს უმწველესები, გაზაფხულზე მგალობელი ჩიტებივით გალობენ, ზაფხულში კი უვალა დუმს. „წელიწადის დროსადმი, ან რაღაც შემთხვევის გამო დაწერილ ლექსებზე ჩვენ არ შევჩერდებით. თუშცა უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ მათ შორისაც შეხვდებით რიგიან ლექსს, მაგრამ არც შემთხვევით დავიწყვე ხალხარი სწორედ ასეთ ლექსებზე, რადგან

ამ მოვლენის უკან ხაერთო კოლექტიური მარწამსი დგას, ხაზოგადობის უშეტეს ნაწილს ასე მოაჩნია: ვთქვათ, ლამაზი მინდორია, მზე ჩადის, დგას ახალგაზრდა კაცი, ან ქალიშვილი — მულანქოლიურ გუნებაზე... და იბადება ლექსი. არა, ლექსი ასე არ იბადება, ლექსი ხაერთოდ იშვიითად ჩნდება — ლექსი უნდა გააკეთოს, თუ გარიტმულ ტექსტს განწყობილებას, ჩამოაცობებს და ამის შემდეგ კიდევ რაღაც დაგრჩება, აი ის შესაძლოა იყოს ლექსი.

ჩემს თემას სრულიად შეგნებულად ვუწოდებ „ლირიკის პრობლემები“ და არა პოეზიის პრობლემები. ლირიკის ცნებასთან ამ ბოლო ათეულ წლებში გარკვეული წარმოდგენებია დაკავშირებული. მათი ხახიათის გამოსაკვეთად ერთ შემთხვევას გავიხსენებ: ერთი ჩემი მეგობარი ქალი, ცნობილი პოლიტიკური უურნალისტი, ამას წინათ მწერდა: „ლექსებს ხაერთოდ არაფრად ვაგდებ, მათ უშეტეს, ლირიკას“. მაშასადამე, მან განასხვავა ორი ტიპი, მე ვიცოდი, რომ ეს ქალბატონი კარგი მუსიკოსიც იყო და ძირითადად კლასიკურ მუსიკას უკრავდა. პასუხად მივწერე: „ძალიან კარგად მესმის თქვენი მე, მაგალითად, ტოსკა გაცილებით მეტს მეუბნება, ვიდრე ფუგის ხელოვნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთ მხარეზე დგას ემოციური, განწყობილებისეული, თემატურ-მელოდიური, ხოლო მეორე მხარეზე — ხელოვნების პროდუქტი, ახალი ლექსი, ლირიკა ხელოვნების პროდუქტია. ეს სიტყვა აერთიანებს ცნობიერ წარმოდგენას, კრიტიკულ კონტროლს, და კიდევ ერთ ხაშიშ გამოსქმას ვიხმარ, „არტიტიზმს“. ლექსის წერის დროს ჩვენ ვაკვირდებით არა მარტო ლექსს, არამედ ხაყუთარ

თავსაც. ლექსის ქმნის პროცესი თვითონაა თქმა, რახაკვირველია, არა ერთადერთი, მაგრამ იგი გარკვეულწილად უვლენან იტრინობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პოლ ვალერი, რომლის შემოქმედებაში პოეტური და ინტროსპექტული-კრიტიკული საქმიანობის ერთდროულობა უკიდურეს ხამანა აღწევს, სადაც ორივე მთლიანად მსხველავს ერთმანეთს. აგი წერს: „რატომ არ შეიძლება ბელოვინების ნაწარმოების შექმნის პროცესი თავის შირივ არ აღვიკვათ ბელოვინების ნაწარმოებად?“

აქ უშუალოდ მივადექით თანამედროვე ლირიკული „შეს“ რადიკალურ თავისებურებას. თანამედროვე ლიტერატურაში არაერთ მაგალითს ვხვდებით, როცა ერთ ავტორში ლირიკოსი და ესეისტი ერთნაირად ძლიერია. უფრო მეტიც, ისინი თითქოს აპირობებენ კიდევ ერთმანეთს. ვალერიის გარდა დავასახელებ ელიოტს, მალარმეს, ხოდლერს, ვერა პაუნდს, ედგარ პოს, ასევე სიურრეალისტებს. ყველა მათ ლექსის წერის პროცესი ისევე აინტერესებთ როგორც თავად ლექსი (Opus). ერთ-ერთი მათგანი წერს: „უნდა ვაღიარო, რომ ქმნის პროცესი ფაქტობით უფრო მაინტერესებს, ვიდრე ნაწარმოება“ ეს, ვთხოვთ მიაქციოთ ყურადღება. პირწმინდად თანამედროვე თვისებია. პლატენსა და მოორიკესთან არსად შემსვედრია, რომ ისინი ამ ორმაც ბედვას იცნობდნენ ან იყენებდნენ. მსგავს რამეს ვერ შეხვდებით ვერც შტორმთან, დემელთან, სვინბორნსა თუ კიტსთან. თანამედროვე ლირიკოსები კი ღამის კომპოზიციას, ფილოსოფიასა და შემოქმედების სისტემატიზაციას გვაფასობენ. აქვე მინდა კიდევ ერთ ნიშანდობლივ თავისებურებაზე შევჩერდე. ბოლო საუკუნის არც ერთი დიდი რომანისტი არ უოფილა, ამავე დროს, ლირიკოსიც. რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივადებთ „ვერტერის“ და „არჩევთი ნათესაობის“ ავტორს, არც ტოლსტოის, ფლობერს, ბალზაკს, დოსტოევსკის, ჰამსუნს და იოზეფ კონრადს არ დაუწერიათ მართლა კარგი ლექსი. უახლოეს თანამედროვე მწერალთა შორის ჭეშმს ჯოისმა სცადა ეს, მაგრამ აი რას წერს ტორტონ ფილდესი: „ვინც მისი პროზის უეუღარებელ რიტმულ შრავალფეროვნებას იცნობს, გულს დასწყვეტენ მისი უღიმღამო ლექსები“. მაშასადამე, აქ პრიციპული ტიპოლოგიური სხვაობა უნდა გვეკონდეს. სახელდობრ, თუ რომანისტი ლექსს დასწერს, ეს ძირითადად ხალადა, ანუ სიურრეტიანი ლექსი იქნება. რომანისტს თავისი ლექსებისთვისაც სჭირდება მასალა, თემები, სიტყვა, როგორც ასეთი, მისთვის ჭერ არაფერს ნიშნავს. იგი იძებნ მოტივებს. მისთვის სიტყვა, წინანდელ ლირიკოსთაგან განსხვავებით, უშუალოდ სულის მოძრაობის გამოძახილი როდია, არამედ იგი სიტყვის მეშვეობით აღწერს.

ახალმა ლირიკამ საფრანგეთში აიღვა ფენი. დღემდე მის მამამთავრად მალარმე ითვლებოდა. ამ ბოლო ხანებში კი, გამოქვეყნებულ მასალაებში, წინა პლანზე ედგარ დე ვერვალეა, რომელიც 1936 წელს გარდაიცვალა და რომელიც ვალერიის მთარგმნელადაც ცნობილი. „ქმედებები“ ავტორს დღეს იქ ახალი პოეტური ნაწარმოები დადთვლიან. შემდეგ კი — ხოდლერის „ქმედებები“ გარდაიცვალა 1887 წ. და მაშასადამე, ორივე მალარმეს წინათობას ეკუთვნის და არ შეიძლება მასზე გავლენა არ მოეხდინათ. მბზრამ მალარმე პირველია, ვინ თავისი ლექსების დიფინიციონა და თეორია მოგვცა, და ამით კომპოზიციის ფენომენოლოგიას დაუდო სათავე. თქვენთვის სხვა სახელებიც ცნობილია: ვერლენი, რემბო, შემდეგ ვალერი, აპოლინერი, სიურრეალისტები ბრეტონის და ლუი არაგონის თავკაცობით. ეს არის ლირიკის რენესანსის გულიანგული, რომელმაც ძლიერი იმპულსი მისცა როგორც ჯერმანიას, ისე ანგლო-ამერიკულ სამყაროს. ამ დიდი ფრანგების თანამედროვენი — სვინბორნი (1908 წელს გარდაიცვალა) და უილიამ შორისი (1906 წ. გარდაიცვალა) იდეალიზტური რომანტიზმის წარმომადგენლებად ითვლებიან. ანგლო-ატლანტურ სამყაროში ახალი სტილი იწყება ელიოტით, ბენრი მილერითა და ვერა პაუნდით. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამერიკაში დღევანდელი ახალი სტილი ძლიერ აღმავლობას განიცდის. დავასახელებ კიდევ რამდენიმე გვარს: ჰ. ვ. დე მილოში, წარმოშობით ლიტველი, გარდაიცვალა 1940 წ. პარიზში; სენ-უონ პერსი, ფრანგი, ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს; რუხი მიაკოვსკი და ჩეხოსლოვაკელი ვაცლავ ნეშვალი — ორივე, ხანამ ბოლშევიკები გახდებოდნენ და მამა-მარჩენალ სტალინს ოდების წერას დაუწყებდნენ. გერმანელ პოეტებს შორის დავასახელებ, ვინც ყველაზე დიდა: გეორგს, რილკეს, შოფმანსტალს, მათი საუკეთესო ლექსები წმინდა გამოშახველობაა, ცნობიერი, არტისტული დანაწევრება მოცემული ფორმის შიგნით. მაგრამ ამ პოეტების შინაგანი სამყარო, სუბიექტური და ემოციური, ჭერ ისევ ეროვნულ-რელიგიური წარმოდგენების შუაგულში ტრიალებს, სადაც ჭერ არ დარღვეულა ურთიერთკავშირები, სამყაროს და ადამიანის მთლიანობა, წარმოდგენები, რასაც დღევანდელი ლირიკა თითქმის აღარ იცნობს.

შემდეგ მოვიდნენ ავანგარდისტები — მაიმი, ტრაკლი, ვერფელი. ექსპრესიონისტული ლირიკის დასაწყისად ითვლება აღფრედ ლიხტენშტაინის ლექსის — „მწუხრი“ — „სიმპლიციისიმუსში“ დაბეჭდვის თარიღი — 1911 წელი. ახვეთიაკობ ვან მოდისის ლექსი „სამყაროს დახარული“, რომელიც ამავე წელსაა გამოქვეყნებული. თანამედროვე ბელოვინებს სათავე დაუდო მარინეტის მიერ შექმნილმა ფუტურისმის მანიფესტაციამ.

ხელოვნება, რომელიც 1909 წლის 20 თებერვალს პარიზის „ფიგაროში“ დაიბეჭდა.

— „ჩვენ დავესწრებით კენტავრის დაბადებას“. წერდა იგი, და კიდევ: „მოდრიკაღე ავტომობილი უფრო ღამია, ვიდრე ნიკე სამოთხე კიდე“. ასეთები იყვნენ ავანგარდისტები, მათთან ერთად დამთავრდა კიდევაც ეს მიმდინარეობა.

ამ ბოლო ხანს ჩვენში შეინიშნება საგამომცემლო და ხარედაქციო ცდები ლირიკაში დაამკვიდრონ ახალი მოდერნიზმი, გამოაცოცხლონ და დაიშვი, სადაც, მაგალითად, ლექსის დახაწვისში თქვესმეტქერ მაინც ბეორდება ხიტუვა „ქმედითი“ (wirksam). მაგრამ მას არაფერი მოჰყვება შთამბეჭდავი, კიბებების და ინდამანეზების ბოლო ბგერებთან კომბინირებული, იგი აღბათ რადაც დიდსა და გლობალურს გულისხმობს. მაგრამ ვერაფერს ახალს ვერ ეტყვის დღევანდელ ადამიანს, მით უმეტეს, იმას, ვინც ორმოცი წელია ლირიკას თავის ადევნებს. ეს უფრო ავგუსტ შტრაჰის ბეთოდის გადამღერებაა. ხაფრანგეთშიც გაჩნდა მსაგავები მიმართულება. იქ მას „ლიტერიზმი“ ჰქვია. ამ ლიტერატურული მიმდინარეობის მოთავე მას ასე განმარტავს: ხიტუვა ყოველგვარი ექსტრა-პოეტური ღირებულებებისაგან უნდა გაიწმინდოს და ახოების თავისუფალმა განლაგებამ იხეთი მუსიკალური ერთიანობა შექმნას, რომ ხროტინი, ექო, ენის წკლაბუნნი, ხველება და ხმამაღალი სიცოილი გადმოსცეს. რა გამოვა, აქედან, დღეს არავინ იცის, ისე როგორ რამ მართლა სახაცილოდ ვღერს. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ამ კიდევ ერთხელ შეცვლილი ხიტუვის გრძნობიდან, გამდაურებული თვითანაღლინიდან და ენის კრიტიკის ორიგინალური თეორიიდან, ახალი ლირიკული დიქცია გაჩნდეს, თუ იგი იმ პრინციპზე ზღუდნი მოხვდება, ვინც მას თავისი შინაგანი სიდიადით შეავსებს, ხრწყინვალე კმნილებებსაც მოგვცემს. ქერქერობით კი უნდა ვადიაროთ, რომ დასავლეთ-ევროპულ ლექსს ფორმა მკრავს (Formgedanke) რომლის საფუძველი ხიტუვაა და არა ქოშინი ან ხველება.

ვინაც აინტერესებს თანამედროვე პოეზიის ექსპერიმენტული, მაგრამ ამავდროს ღრმად სერიოზული ნაწილი, მას ვურჩევდი წაიკითხოს უფრნალი „Das Loif“, რომლის ხუთი ნომერი უკვე გამოვიდა, ასევე, აღენ ბოხკეს შესანიშნავი წიგნი — „სიურრეალიზმი“, ორივე კუბლიკაცია კარლ-შენსელის გამომცემლობაში დაიბეჭდა, ბერლინიში.

თანამედროვე ლექსის დახახიათებისას ზემოთ შე მოვიშველიე გამოთქმა არტისტიზმი და ვთქვა, რომ ეს ცნება ჩვენში ცხარე კამათს იწ-

ვევს. მართლაც გერმანიაში იგი ბევრს აღიზიანებს, საშუალო ესთეტიში ამ ხიტუვას უკავშირდება ზედაპირულობა. თავშემაქცობა, მხუბუქი მუშა, თამაში, სადაც ტრანსცენდენტული ნახახიც არ არის. ხინამდვილში კი იგი უკრავსად ღრმად სერიოზული ცნებაა, ჯანდასჯელური არტისტულობა არის ზელოვნების შინაარსის ხაყოველთაო კრიზისის პირობებში, თავისი თავი გაჩივადოს შინაარსად და ამ ახალი განცდის საფუძველზე ახალი სტილი შექმნას ეს არის ცდა, ღირებულებათა მიმართ ხაყოველთაო ნიბილიზმის პირობებში, ახალი ტრანსცენდენტციის დამკვიდრებისა; ეხაა შემოკმედებითი სინარული ტრანსცენდენტია, ასე დანახული ეს ცნება მოიცავს ექსპრესიონიზმის, აბსტრაქტულის, ანტიმუშანისტურის, ათეისტურის, აბტიინტორიულის, კრიკლიციზმის, „სულგამოფიტული ადამიანის“ პრკობღებათა მთელ წრეს — ერთი ხიტუვით, მხატვრული ხამუაროს მთელ პრობლემატაკას.

ჩვენს ცნობიერებაში ეს ცნება ნიცშემ შემოიტანა; თავის მზრვი, იგი ხაფრანგეთს დაებნება, დეულიკატესები ზელოვნების ხუთივე გრძნობისა, თითები ნიუანსებისათვის, ფსიქოლოგიური შემგრძნობელობა. Mise in scene-ის, სერიოზულობა, პარიზულ par excellence-ის ეს სერიოზულობა, და ზელოვნება, როგორც ცხოვრების უმთავრესი ამოცანა, ზელოვნება, როგორც ცხოვრების შეტაფიზიკური საქმიანობა — აი, ყველაფერ ამას იგი არტისტულობას უწოდებს.

ხინათლუ, აღმაფრენა, მხიარულება — ეს მისი ლიგურული ცნებებია — ირგვლივ მზლოდ ზვირთები და თამაში; და ბოლოს: უნდა გემღერა, ო, ხულო ჩემო, — ეს ყველა მისი ამოცანილია ნიცასა და პორტოფინოში და მათ ორი იდუმალი ხიტუვა დახტირიალებს: „ილუზიის ოლიმპი“, ოლიმპი, ოღებლაც დიდი დმერთების საუფლო, სადაც ზევნი ორი ათახი წელი მეფობდა, და მოიკუბი გარდაუვალობის საქვს მართავდნენ, ახლა კი: — ილუზიისა? ეს ხომ შემობრუნებაა! არავითარი ესთეტიზმი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნე გამსჭვალა, პატერიის, რახკინისა და უფრო გემიალურად — უაილდის მთელი შემოკმედება, არა, ეს ხუდ ხზვა რამეა, არსებობს მზლოდ ერთი ანტიკური ფღერადობის ხიტუვა, რომელიც მას სრულად გამოხატავს — ბედისწერა! ეს ნიშნავს საკუთარი არსების ხიტუვებით დაგღეჭას, თვითგამოხატვის, თვითამოკუალიბებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას, დამაბრმავებელ ქაშკაშს, ბრწყინვას თავზუნელაღებულად, ნიფათისა და შედგვის სრულ არაფრად ჩაგდებას — ეს ხრულიად ახალი არსებობაა, მისი ჩანახიბი უკვე ულობერშია, რომელმაც აქროპოლისის

ხვედრების ბილვიხას გუშანით იჭრძნო. რომ წი-
ნადადებთა, ხიტყვათა, ხმოვანთა წყობით წარუ-
ვალი ხილამაზის შექმნა შეიძლება: აგრეთვე, ნო-
ვალისში. ვისთვისაც ხელოვნება პროგრესული
ანთროპოლოგიაა წარმოადგინეთ, თვით მიღერ-
შიც, რომლის შემოქმედებაშიც ესთეტიკური
ილუზიის ფრიად უცნაურ წამოწვევას შეხვდებით.
თანაც, ეს ილუზია არა მარტო არის, არამედ მას,
სურს კიდევ, რომ იყოს. თუ ვინმეს კიდევ ეძა-
რება ეჭვი იმაში, რომ განვითარებამ აქ თავის
დახასრულს მიაღწია. გაიხეხოს ხიტყვები „ვილ-
ბელმ შაისტერის მოგზაურობის წლებიდან“:
„თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალზე
პოეზია თითქოს გარემომარტულია. რაც უფრო
შეტად უკუიკცევა შიგნით, მით უფრო შეტად
ადგას იგი დაღმავალ გზას“. მაშ, ეს უველაფე-
რი იყო. ინტეგრაციის აუცილებელი ეამი კი
მხოლოდ ახლა დადგა.

ეს ცალკე თემა და ჩემს წიგნებში მე არაერ-
თხელ შევეცადე ამ პრობლემის გაშუქებას.
დღეს ლექსით შემოვიფარგლები. რადგან ლექს-
ში არსებობის მთელი ეს ბრძოლა ხელისგული-
ვით მოჩანს. თანამედროვე ლექსის უკან დროის,
ხელოვნების, ჩვენი უოფიერების წინაგანი ხა-
ფუძვლების პრობლემები დგას. თანაც, გაცილე-
ბით უფრო ინტენსიურად და რადიკალურად ვა-
დრე რომანში, ან, მით უმეტეს, რომელიმე პიესა-
შია. ლექსი უოველთვის დახმული კითხვაა
„მეს“ადმი, პახუბში ყველა ხფინქსი და sahs-
სურათ-ხატია ერთად არეული. მაგრამ ამჯერად
უველაფერ დრმაზროვანს თავს ავარიდებ და
ემპირიულ დონეზე შევჩერდები. მაშ, ვხვამ „კი-
თხვას“: რა განსაკუთრებულ თემებს ვხვდებით
დღევანდელ ლირიკაში? გეკითხებით, ხატონებო:
ხიტყვა, ფორმა, რითმა, გრძელი ან მოკლე ლექ-
სი, ვისადმია ლექსი მიმართული, მნიშვნელობის
სიბრტყე, თემათა შერჩევა, შეტაფორება —
იცი თუ არა, ხაიდანაა უველა ეს აქ ჩამოთვლი-
ლი ცნება? ამერიკული ანკეტიდან, რომელიც
ამერიკელ ლირიკოსებს შეავხებინეს, ამერიკაში
ლირიკის განავითარებლად ასეთ ანკეტებსაც მი-
მართავენ. ფრიად ხაინტერესოა. . პახუბებიდან
ჩანს, რომ აქ ლირიკოსებს იგივე ფიქრები აწუ-
ხებთ, რაც ჩვენ აქ. მაგალითად, ლექსი გრძელი
გლობია თუ მოკლე, ეს კითხვა თავის დროზე ედ-
გარ კომაც წამოჭრა, შემდეგ მას ელიოტიც მიუ-
ხარუნდება. მე პირადად იგი უალტრესად პირად ხა-
კითხად მიმართია, უველაზე შეტად დამაინტერესა
კითხვამ — ვის მიმართავს ლექსი. უნდა ვაღა-
როთ, რომ ეს კითხვა თანამედროვე პოეზიის
უველაზე კრიზისულ პუნქტს უმჩინებს. რიხარდ
ვილბურნი მახზე ერთ შეტად ხაუურადღებო პა-
სუბს იძლევა: ლექსი. — წერს იგი, — მუწისად-
შია მიმართული. ბოლო მუწა ხწარედ იმიხათვის

არსებობს, რომ ხაბურველში გაახვიონ ასეთი
ფაქტი: ლექსი არავის არ მიმართავს. აქედან
სრულიად ნათელია, რომ ლირიკა იქცეოლო-
ლოგიური ხასიათისაა, იგი მართლაც მარტო/რე-
ტული ხელოვნებაა. მაგრამ მე არ წინდა დღეს
იმაზე გეხაუბროთ, რასაც წიგნებში უკუხატავთ,
მსურს რაღაც ხელშესახები შემოქმედებით კო-
ნაც. გამორიცხული არ არის, რომ პრინციპულის
ნაცვლად ხანალური შემჩრეს ხელში. მაგრამ გა-
გონილი გეკნებათ, ვინც უოველთვის ფხკერზე
ეშვება, შეიძლება ხამუდამოდ აქ დარჩეს, გაჩ-
და ამისა. ფლობერისგანაც გეცოადინებათ, რომ
ხელოვნებაში არაფერია გარეგნული, თქვენ შეი-
ძლება შეითხოთ, რა არის თანამედროვე ლექსი?
როგორ გამოიყურება იგი? მე შეგძლებ მხოლოდ
უარყოფითი დეფინიციით გიპახუბოთ: კერძოდ,
როგორი არ არის თანამედროვე ლექსი.

მე დაგისახელებთ ოთხ სიმბატომს, რომელთა
მეშვეობით მომავალში თავად შეძლებთ გაჩ-
ჩიოთ. 1950 წელს დაწერილი ლექსი შეესახა-
მება თუ არა თავის დროს. მაგალითებს ცნობილი
ანთოლოგიებიდან მოვიტან.

აი, ეს ოთხი სიმბატომიც:
პირველია ლექსის ხაგანი. ლექსის ხათაურია
„ნაწვერალი.

პირველი სტროფი:
„ტრიალი მინდორი ჩემი ფანჯრის წინ
გუშინ იქ მძიმე თავთავებს
ზაფხულის სიო არწევდა
დღეს ბელურები ნარჩენებს კენკავენ“...*

ასე გრძელდება სამი სტროფი, მეოთხე და
ბოლო სტროფში ხდება შემობრუნება „მე“-
სკენ. იგი ასე იწყება:
„ჩემი ცხოვრების ხატად შევიცან“...
და ასე შემდეგ.

მაშახადამე, ჩვენ წინაშეა ორი ობიექტი პი-
რველია უსულო ბუნება, რომელსაც პოეტი აღ-
წერს. ბოლოს კი — მიმართვა ავტორისადმი,
რითაც ლექსი უფრო წინაგანი ხდება, ან უოველ
შემთხვევაში, გგონია, რომ ასეთია. მაშახადამე,
ეს არის ლექსი, სადაც პოეზიის ხაგანი და პოე-
ტის „მე“, გარეგნული აქსესუარები და წინა-
განი მიმართება ერთმანეთსაა დაშორებულნი და
დაპირისპირებულნი. დღეს ხაკუთარი ლირიკული
სუბსტანციის დოკუმენტირება პრიმიტიულად გა-
მოიყურება. მაშინაც კი, თუ პოეტი მარინეტის
ცნობილ ფრაზას détruire le je dans la litté-
rature (ლიტერატურაში „მე“-ს მსხვრევა) არ გაი-
ზიარებს, ამ მეთოდით წერა მაინც მოძველებუ-
ლი იქნება. აქვე უნდა დავძინოთ, რომ გერმანულ
პოეზიაში შეხანიშნავი ლექსები არსებობს. რა-
მლებიც ამ მოდელის მიხედვითაა შექმნილი. მა-
გალითად, აიხენდორფის „მთვარიანი ღამე“, მა-
გრამ ეს ასი წლის უკან იყო.

მეორე სიმბატომია — „როგორც („ვით“).
გთხოვთ დააკვირდეთ, რა ბშირად გვხვდება ლე-
ქსში ხიტყვა „როგორც“ („ვით“) ან „იხე თით-
ქოს, ვით“... ეს დამბმარე კონსტრუქციებია: უმე-

* ბჭარული მთარგმნელია.

ტესად, უქმი ხვდა. „ჩემი სიმღერა მიგორავს როგორც შინს ოქრო“; „მზე ხაილენძის ხახურავზე ვით ბრინჯაოს ჭედურობა“. „ჩემი სიმღერა მართის როგორც მოთოკილი ზვირთი“; „სიუჟარული გაშლილა შროშანივით“. სიტყვას — „როგორც“ („ვით“) ბზარი შეიქვს მთლიან ზილვაში. იგი ადარებს, მობყავს ხვა საფანი, რომელიც თავიდან არ არის უშუალოდ მოცემული. მაგრამ აქაც უნდა ვაღიარო, რომ არსებობს დიდებული ლექსები „როგორც“ („ვით“) სიტყვებით. რილკე იყო ამ საქმის დიდოსტატი. მის ერთ უღამაზეს ლექსში — „ამლანის არქაული ტოკსი“ — ოთხ სტროფში სამჯერ გვხვდება „როგორც“ („ვით“), თანაც ჭეშმარიტად ხანაღური „როგორც“: „შანდალივით“, „როგორც ნადირის ბეწვი“, როგორც ვარსკვლავი“ ხოლო მის ლექსში — „ცისფერი მორტენზია“ — ოთხ სტროფში ოთხჯერ გვხვდება „როგორც“. მათ შორის: „როგორც ბავშვის წინსაფარში“, როგორც ძველ ცისფერ ხაფოსტო ქალაქებში“ კეთილი, რილკეს შეეძლო ეს, მაგრამ გაითვალისწინეთ ეს პრინციპი, რომ „როგორც“ არის მუდამ რაღაც თბრობითის, ფელეტონურის შემოქმედა ლირიკაში. ენის დინამიკის შენელება, შემოქმედებითი ტრანსფორმაციის სისუსტე.

მისამდე უფრო უწყინარია, დააკვირდით, რა ხშირად გვხვდება ლექსებში ფერები: წითელი, მეწამული, მალისფერი, ვერცხლისფერი-მოვერცხლისფროს ვარიაციებით, ყავისფერი, ნარინჯისფერი, ნაცრისფერი, ოქროსფერი. პოეტი დარწმუნებულია, რომ ამ ფერებით ლექსში განსაკუთრებული სიმდიდრე და ფანტაზია შემოაქვს. მაგრამ იგი ვერ ამჩნევს, რომ ეს ფერები წმინდად სიტყვის კლიშეებს წარმოადგენს და უფრო უპრიანი იქნება ისინი ოპტიკოსს ან თვალის ექიმს დავუტოვოთ. მაგრამ ერთ ფერს, უნდა ვაღიარო, ვერ შეველევი — ესაა ცისფერი. ქვეშოთ მას ღაუფობრუნდება.

მომთხმამ არამჭკვენიური, კიური ტონი, თუ ლექსში მაშინვე აჩუბრუბდება ნაკადული. განხლებს ქნარი, ლამაზი ღამე და სიჩუმი. ვარსკვლავთ გამარჯვება, ახალი ღმერთის დაბადება და ხვა მსგავსი გრძობები — ეს უმეტესად იაფი სტეკულაყია — გამიწნული მკითხველის ხანტიმენტალობასა და გულგზალობაზე. ეს სერაფიმული ტონი არ არის მიწიერის დაძლევა, მისგან გაქცევა მხოლოდ. დიდი პოეტი დიდი რეალობტიყაა, სინამდვილესთან ახლოს მდგომი; იგი იტვირთება ამ სინამდვილით, მიწიერით, წიფობელაა ოქმულების მიხედვით, დედამიწიდან ვარსნილი, ათენის მწერი. იგი ეშოტრუფლსა და სერაფიმულს უფიდეისი სიფრთხილით გადაანაწილებს მკაცრად რეალური მომაცემების ფონზე. გთხოვთ, დააკვირდეთ სიტყვას „stillein“ — კლდეზე ასვლა, ე. ა. შავანს ზეასვლა უნდა და ვერც კი აღიბ.

მაშ. თუ თქვენ მომავალში ლექსს წააწყდებით, მიდეთ, გეთაყვა, ფანქარი, როგორც კოსმოსრუის ამოხსნისას, და დააკვირდით: რას ეძღვნება „როგორც“ (ვით)-ს. ფერთა სკალას, სერაფიმულ კლდოს, და თქვენ არ გაგვიჭირდებათ თვითონ შეაფასოთ ლექსი.

ქვე მინდა შევნიშნო, რომ ლირიკაში საშუალოდ დონე დაუშვებელი და აუტანელია, მისი ველი ვიწროა. მისი შესარული ხამუილებებია

ძლიერ სუბტილური, ხოლო მისი ხუბსტანცია, სუბსტანციათა Ensrea lissimum ამიტომ მისი მამტაბებიც ექსტრემული უნდა იყოს. ხაშუალო დონის რომანი შესაძლოა არ იყოს ისე აუტანელი, შეიძლება კიდევ რაღაც გავსწავლოს ან გაფვიტავოს. რაც შეეხება ლირიკას, იგი უნდა იყოს ექსტრემული, ან ხაერთოდ არ იყოს, ეს მისი არტია.

მის ნიჟა რამეც ახასიათებს. პოეტების ტრაგიკული გამოცდილება, არავის და მათ შორის არც ჩვენი დროის დიდ ლირიკოსებს არ დაუტოვებიათ ექვს-რვაზე მეტი სრულყოფილი ლექსი. დანარჩენი შესაძლოა საინტერესოც იყოს ბიოგრაფიული ან პოეტის შემოქმედების განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ ხოლომდე სრულქმნილი, შინაგანად გასხივოსნებული, გაუხუნარი მიმზიდველობის ლექსი იშვიათია. მაშახადაძე, ამ ექვსიოდე ლექსის გულისხმთვის ღირს ოცდაათი, ორმოცდაათი წლის ასკეტიზმი, ბრძოლა და ტანჯვა.

შევეცდები ლექსის წარმოქმნის პროცესი უფრო უშუალოდ დაგიხასიათოთ. რა ხდება ავტორის არხებაში, რა მდგომარეობაა? მდგომარეობა ახეთია: პოეტს აძვს, პარველ ჩივში, შეუცუნობელი შემოქმედებითი იმპულსი, ფსიქიკური მატერია.

მეორე — სიტყვები, რომლებიც ხელთ აქვს და რომლებიც მის სრულ განკარგულებაშია, თავისთავად იგულისხმება რომ მან იცის, თუ როგორ გამოიყენოს, ამოქმედოს ისინი. პოეტი იცნობს თავის სიტყვებს, რადგანაც არსებობს რაღაცა, რასაც შეიძლება ასე ვთქვათ, სიტყვათა ავტორისეული შეკავშირება ვუწოდოთ, შეიძლება პოეტი ამ დღეს რომელიმე სიტყვას წააწყდა, რომელმაც დააინტერესა, ააღელვა, იგი ანაზღად იგრძნობს, რომ მას ლაიტმოტივად გამოიყენებს.

მესამეც, ის, რომ მას არიადნეს ძაფი აქვს, რომელმაც ხიბლარული ფაძებულონიდან გამოიყვანს. ეს რწმენა შეურყეველია, რადგან ახლა ვველაზე დიდ საიდუმლოს გაგანდობთ: ლექსი უკვე მზადაა, ვიდრე მის დაწერას დაფიყობდეთ, უბრალოდ, პოეტმა ჭერ მისი ტექსტი არ იცის, და როცა ლექსი მზადაა, იგი ხწორედ ისე ძღერს, როგორც უნდა ეღერდებ. მორჩა და გათავდა, რა თქმა უნდა, შეიძლება ეს მთელი კვირაც გაგრძელდეს, წლებიც, მაგრამ ვიდრე ლექსი არ დასრულდება, ხელიდან ვერ გაუშვებთ. ცალკეულ სიტყვას, სტრიქონს, ხინჯავთ, ამოწმებთ, შეიძლება მეორე სტროფი ცალკე ამოიღოთ, დააკვირდეთ. შესაძე სტროფს კიდევ ერთხელ კრიტიკული თვალთ შეავლოთ, სწორად წიხ თუ არა, არის თუ არა აგი missing link-ი. მეორეხა და მეოთხეს შორის კიდევ ერთხელ თავიდან ხოლომდე შინაგანი თვლით გადანედოთ — იგი თვალსაზრისით შეგადითთა იმ თავისუფლებობა, აუცალებლობასთან რომაა შეკრული და რის შეხამებაც შეიძლება ვერადა. შეიძლება ახეც ვთქვათ:


ლექსი უფრო მეტად მოქმედებს, რაზეც პოეტობის მოცულობის მიხედვით; მას არ მკაცრს მესაქვს. მაგრამ იგი პირდაპირ წახედვითში მიცურავს. ახლახან „Lori“-ში წავიკითხე ერთი აბაღაზრ-და მწერლის (ვისაც არ ვიცნობ და ამიტომ არ ვიცი, წერს თუ არა იგი ლირიკულ ნაწარმოებებს) ვინმე აღრებტ უაბრის საინტერესო აზრი, რომელიც სწორედ ამ საკითხს ეხება. იგი წერს: „კითხვა, ვინ დაწერა ლექსი, ნებისმიერ შემთხვევაში უაზროა. რაიმეზე დაუყვანადი X-ი ლექსის ავტორობასთან მუდამ წილნაყარია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველ ლექსს თან სდევს თავისი მომწეროსული კითხვა, ყოველი ლექსი დაწერილობა რამდენიმე, მაშასადამე, ერთი უცნობი ავტორის მიერ“..

ეს უკეთესად იმდენად უცნაურია, რომ შევადგინო სხვა სიტყვებითაც გამოვხატო. თქვენში რაღაც ძალა ამოხეობავს ან ძალიან ფრთხილად ამოატივტივებს რამდენიმე სტროფს. რაღაც სხვა ძალა ამ სტროფებს მაშინვე ხელში ჩაიგდებს. დასაკვირვებელ აპარატში, მიკროსკოპში ჩადებს, გამოსცდის, გასინჯავს, ფერს შეურტებს, პათოლოგიურ აღვლევებს ეძებს. შესაძლოა პირველი ყოველგვარი გულუბრუნად იყოს, მეორე უკვე სხვა: რაფინირებული, და სექტიკური. თუ პირველი ხუბოქტურია, მეორეს ობიექტური სამყარო შემოაქვს. ეს არის ფორმალური ინტელექტუალური პრინციპი.

არაფერს მოგვცემს ფორმაზე ღრმაზროვანი და გრძლად დაპარაკი ფორმა იზოლირებულად აღებული მეტად რთული ცნებია. მაგრამ ლექსი რომ ფორმაა, ლექსის შინაარსი — მწუხარება, შემფოთება, ლტოლვა და ა. შ. უვლას შეიძლება მკონდეს. ეს რომ ადამიანურია, ჩვენი ავლადილებაა. მეტ-ნაკლებად მრავალფეროვანი და დახვეწილი. მაგრამ ლირიკა მხოლოდ მაშინ არის, თუ მას ისეთ ფორმას მოუძებნით, რომელიც ამ შინაარს ავტონომურს გახდის, მისგან სიტყვებით მომაჯადოებელ მიმზიდველობას შექმნის. იზოლირებული ფორმა, ანუ ფორმა თავისთავად საერთოდ არ არსებობს. იგი ყოფიერებაა, შემოქმედის ეგზისტენციალური ამოცანა, მისი მიზანია, როგორც ჩანს, შტაიგერის ნათქვამიც — „ფორმა უმალღებო შინაარსია“ — ანუ უნდა ვავიჯოთ.

ავტორს თუნდაც ასეთი — მაგალითი: ყოველ ჩვენთაგანს გაუხეირონია ხალხი ან პარკში, შემოდგამა, კამკამა შეცა ლეგა ღრუბლები, სევდამორეული მდებარეობა; გამოთხოვების დღეა, შელაქოლ-ურ აღნებაზე დგებით, ფაქტს ეძლევიით; დიდებულთა! მაგრამ ეს ქერ კიდევ ლექსი არ არის. მაგრამ აი მოდის შტეფან გორგე და უკეთესად ისე ხედავს, როგორც თქვენ, მაგრამ მას გადნობიერებული აქვს თავისი გრძნობები, აკვირდება შთა და წერს:

წამო მკვდრადშერაცხულ პარკში და შეხედე: შორს მომღიმარე ნაპირთა ციხემა — წმინდა ღრუბელთა მოულოდნელმა ცისფერმა გაანათა ტბები და აფერადებულ ბოლოებს.



მან იცის თავისი სიტყვები, იცის, როგორ გამოიყენოს ისინი, როგორ შევსდეს სიტყვების კმინის ფორმებს, ეძებს რაიმე სიტყვას, სტროფებს. მეტყველ სტროფებს, და აი იშვა ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უღამაზესი შემოდგომის ლექსი — ხულ სამი ოთხსტრიქონიანი სტროფი, რომელმაც თავისი ფორმით მოაქადოვა ჩვენი საუკუნე.

იქნებ თქვენ შორის ვინმეს მოეჩვენოს, რომ ძალზე უხვად ვიყენებ სიტყვას „მოქადოება“, „მოხიბვლა“. ჩემი აზრით, ისეთი ცნებები, როგორცაა მომაჯადოებელი, საინტერესო, ამაღლებებელი, საერთოდ ძალზე მწირად გამოიყენება გერმანულ ენოტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში. ჩვენში ყველაფერი მაშინვე ღრმაზროვანი, ბუნდოვანი, ყოვლისგამსსვეალავი უნდა იყოს, ე. ი. ღრმად უნდა იდოს დედასიღრმეში, რაც გერმანელთა უსაყვარლესი ადგილსამყოფელია.

მე კი მჯერა, რომ ის შინაგანი გარდასახვა, რაც ხელოვნებას და ლექსს ხელეწიფება, კომპარატი გარდასახვა, ფერისცვალებაა და მათი შემოქმედება შემდგომ თაობებზე ვრცელდება პირველყოვლისა და უფრო ნაყოფიერად სწორედ მიმზიდველისა და ამაღლებებელის მეშვეობით, ვიდრე, ვთქვათ, სიტყვით შეკრულისა და დამშვიდებულის (als, uas, dem Gefassten und Gestillten) მეოხებით.

რამდენიმე სიტყვით შევეებები ჩემს ერთ-ერთ ბოლო თემასაც: მე ვთქვი, რომ ავტორშია შეუცნობელი შემოქმედებითი იმპულსი, ფსიქიკური მატერია, სხვაგვარად საგანი, რომელიც ლექსად უნდა გარდაიქმნას. ამის თაობაზეც უაღრესად საინტერესო მოსაზრებები აქვთ ფრანგული სკოლის წარმომადგენლებს, ასევე ედგარ პოს, მაგალითად, ერთნი ამბობენ, საგანი მხოლოდ საშუალებაა მიზნისათვის, მიზანი კი ლექსია. მეორენი ამტკიცებენ, ლექსს მხოლოდ საკუთარი თავი უნდა მკონდეს მხედველობაში. მესამეთა აზრით, ლექსი არაფერს არ გამოხატავს, ლექსი — არის მოფმანსტალთან, რომელიც, თავის ბოლო პერსონაში მაინც, სრულიად შეგნებულად მიუბრუნდა ერისა და კულტურის ცნებებს, უაღრესად რადიკალურ მოსაზრებას შევხვდი. „პოეზიიდან ცხოვრებისაკენ არ არის პირდაპირი გზა, და არც ცხოვრებიდან პოეზიისკენ“. ეს კი იმას ნიშნავს რომ პოეზია, მაშასადამე, ლექსი, ავტონომიურია, დამოუკიდებლად არსებობს. ამას ადასტურებს მისი გამონათქვამი: „სიტყვები უკეთესად არიან“. ასევე მაღარმეს ვანთქმული მაქსიმალექსი არ იზადება გრძნობებიდან, არამედ სიტყვებიდან“ ხაინტერესოა ელიოტის მოსაზრებაც.

რომ თვით წინდა პოეტიაშიც რაღაც ოდენობით უნდა შეინარჩუნო პრასნიწმინდე. საგანსაც თავისთავადი მნიშვნელობა ენიჭება, თუ ლექსი პოეტიად აღიქმება. მე ვიტყვადი, რომ უოველი ლექსის უკან თვით პოეტი დგას. მისი არსება, ცხოვრება. შინაგანი განწყობილება, საგნებიც მხოლოდ იმითომ ჩნდება ლექსში. რომ მანამდე ისინი მისი საგნები იყვნენ. მაშასადამე, უცხოლობლოდ რჩება ელიოტიანული პრასნიწმინდე: პრინციპულად მიმართია, რომ ლირიკის არაქვს სხვა საგანი გარდა თვით ლირიკოსისა.

ახლა მისამდე სპეციალურ თემაზე გადავდივარ. მინდა თქვენს შეკითხვას დავასწრო: რა ვუყოთ სიტყვას? ლირიკის თეორეტიკოსები და ლირიკოსები რომ მუდამ სიტყვაზე ლამაზობენ. სიტყვები ჩვენს გვაქვს. თქვენ რა, განსაკუთრებული სიტყვები გაქვთ? მაშ, რაშია საქმე? ძალზე ძნელი კითხვაა. მაგრამ შევეცადები გიპასუხოთ. რასაკვირველია, ჩემს პირად, სრულიად განსაკუთრებულ გამოცდილებას, განცდას დავეუბნობი.

ფერი და ბერა ბუნებაში არსებობს. სიტყვა კი — არა. გოეთესთან ვკითხულობთ: „ფერების გამწავებელთაგან ზოგჯერ შესანიშნავი მხატვრები დამდგარან“. აქვე უნდა ითქვას, რომ სიტყვასთან მიმართება პირველია. ამ დამოკიდებულების ხწავლა შეუძლებელია. შეიძლება ეკვილიბრისტიკა შევიხწავლოთ, თოქზე ცეკმა, ლურსმნებზე ხიარული, მაგრამ სიტყვა თავის ადგილზე ლამაზად დასვათ. ეს თქვენ ან შეგიძლიათ, ან არა. სიტყვა ხულის ფალოსია, შუაგულში ფისვადგმული, თანაც ეროვნულში ფისვადგმული. ხურათები, ქანდაკებები, სონატები, ხიმფონები — ინტერნაციონალურია, ლექსი — არასოდეს. ლექსი შეიძლება განვმარტოთ, როგორც უთარგმნელი სამ. ცნობიერება სიტყვებსაა შეზღუდული. ცნობიერება სიტყვებში ტრანსცენდირდება. დავიწყება — რას ნიშნავს ეს ასოები? არაფერს და გაუგებარს. მაგრამ მათთან ცნობიერება გარკვეული მიმართულებითაა დაკავშირებული, იგი ამ ასოებში ხშიანობს, ეს ასოები, ერთმანეთის გვერდით დასმული, აკუსტიკურად და ემოციურად ჩვენს ცნობიერებას ეხიტვებიან. ამიტომ oublier არასოდეს არ არის დავიწყება, ან nevermor თავისი ორი ჩაკეტული მარცვლით და მერე ბნელი მედინი moreთი, რომელიც ჩვენში აღვიძებს Moor-ს (გერმანულად გაობს ნიშნავს, ლ. ნ.) და la mort-ს არ არის nimmermehr nevermor უფრო ლამაზია. (სიტყვებს უფრო მეტი მოაქვთ, ვიდრე ამბავი, ან შინაარსი. ისინი ერთი მხრივ, სულია, მაგრამ, მეორე მხრივ, მათ აქვთ ბუნების საგანთა არსებობა და ორატორიულობა.)

ჩემი ნათქვამი რომ უფრო გასაგები გახდეს, დავუბრუნდები ჩემი შემოქმედების სხვა პერიოდს, თავს ნებას მივცემ, წაგიკითხოთ, რას ვწერდი 1998 წელს ლირიკული „მე“-ს სიტყვასთან დამოკიდებულების შესახებ:

„წევამი ცხოვრობენ ქვედა ზოლოდოგიური სისტემის ორგანიზმები, დაფარული წვრილი ბეწ-

ვით. ეს ბეწვები ანიმალური გრძობადი ორგანოა. ცალკე სენსუალურ ენერჯიებად დიფერენცირებული. შეხების ხერხით ორგანოა ზღვის გარემოს, ან დამოკიდებულება. წამოვიდგინოთ ახლა ასეთი ბეწვით დაფარული ორგანიზმი, თანაც, არამარტო ტანის ბეწვით დაფარული, არამედ მთელი ორგანიზმი მინერალური-ანეცოფიკურია. გრძობადობის ბეწვით დაფარული: იგი ეხება სიტყვას. განსაკუთრებით არსებით სახელს, ნაკლებად — შედსართავს და ოდნავ — ვერბალურ ფიგურას. იგი ეხება შეფრს, მის დაბეჭდილ ხატს, შავ ასოებს, მას და მხოლოდ მას“.

აქ შევწყვეტ დროებით ძველი ნაწერის კითხვას და კვლავ შევტრდები ბეწვის საცეცხე. ისინი რაღაცას იზიდავენ შეხებით, სახელდობრ, სიტყვებს. ეს სიტყვები კი მაშინვე ერთ შეფრად გადადნება — სტილისტურ ფიგურად. აქ მთავრის შუქი აღარ იღვრება ბუჩქსა და მდღელოზე როგორც ორასი წლის უკან; უფრადდება მიაქციეთ, ეს შავი ასო უკვე ხელოვნების პროდუქტია. მაშასადამე, ჩვენ ბუნებისა და ხულის შუაფენაში ვიჭვრიტებით, ვამჩნევთ იმას, რაც ხულის ანაბეჭდს ატარებს და ტექნიკამ მოგვაწოდა.

ეს საცეცხე უოველთვის როდია აქტიური, ისინი თავიანთ უამს ელოდებიან, ლირიკული „ნე“ გარღვეული „მე“, „მე გიხოსი“, მწერებას და ლტოლვას ნაწიარები. იგი მუდამ თავის უამს ელოდება, როცა სულ მცირე ბნით გათბება. ელოდება თავის სახბრეთულ კომბლექსებს, რომლებიც თავიანთი აღტკინების, სახელდობრ კი, თავდავიწყების ძალით, გაარღვევენ ურთიერთკავშირებს, ანუ დამსხვრევენ სინამდვილეს. — და გაჩნდება თავისუფლება ლექსის ხათვის — სიტყვების მეშვეობით

„და, აი, დადგა ის უამსი — ახლა მისმინეთ. „ზოგჯერ იგი არც ისე შორია, არა ერთი, არა. მედ უამრავი წიგნის კითხვისას, როცა ხდება ეპოქების, მახალებისა და ასპექტების არცა თუ შერევა, ვრცელი ტიპოლოგიური შრეების გადახსნა; აქაა უველაფრისაგან განდგომა და მერე მოვარდნილი ლექსის დასაწყისი; აქაა დადღირლობა, მძიმე დამტებისგან გამოყოფილი, სტრუქტურის მორჩილება, ბშირად სანარკებლო და შემოქმედებისათვის ატკილებელი. და აი უკვე გვიანლოვდებიან სიტყვები, სიტყვების კორიანტელი, ჭრ სიტყვადეს მოკლებული. მაგრამ საცეცხე უკვე იზიდავს მათ თავისკენ. შესაძლოა ციხფერთან მიაბლოება, რა ბედნიერებაა! რა წმინდა განცდაა! წარმოიდგინეთ უველა ცარიელი, გულგამოცლილი აკორდი, შთავონებადაცული პრემბულები ამ ერთადერთი კოდორიტისათვის, და, აი, შენს ხელთაა ბუგენვილის უვაკილებზე მოკამკამე ზანზიბარას ზეცა და ხირტების უფრები (ხმელთაშუა ზღვაში, ლ. ნ.) შენს გულში, გაცოცხლებული სიტყვის ქადოქრობით, ასეთია მარადიული მშვენიერი სიტყვის ძალია შემთხვევით რომდი ვთქვი — ციხფერი, იგი სახბრეთული სიტყვაა. „ღირგურიული კომბლექსის“ ნაწილია, ზესიმძლავრის „გზნება“ „ურთიერკავშირთა გარღვევის“ მთავარი იარაღია, რომლის შემდგობაც იწყება თვითაალება, „მომაკვდინებელი

შუქურა“. რომლისკენაც შორეული საზღვარები დაიძვრებოდა, რათა „მკრთალ მიწებშია“ ეწოდებოდა. უფროდები, შეგალითები, ანუ სახელები, დაკლავიანი ზემო მიერ შექმნილი, მაგრამ მოახლოებისას — გახვედრებულნი, ახტარტა, პერაკლიტი. — უფრო ესენი ზემო უბის წიგნაკის ჩანაწერებია, მაგრამ როცა მათი უბი ახლოვდება, იგი უბისა ტყუილი „Auletien“-ებისა, თავიანთ ფოთებს. ნავებს, გვირგვინებს ძირს აწყობენ, დაბლა დებენ, როგორც ანათემას და ლექსის ელემენტებს.

სიტყვები, სიტყვები — არსებითი სახელების ფრთხილად გაშლილად ანუ არა, ათასწლეულები ჩამოიშლება მათი ფრთხილად, ანდა აიღეთ ქარიხების ტყე, აზიადულ ზეებს შორის ნაწი, პატარა უფროდები და შემდეგ ნარგისით მოფენილი მინდვრები, უფრო უფროდების გვირგვინი კვამლი და ბოლი, შეთისხილის ზემო უფროდის ქარი და მარმარილოს კიბეზე ადის შორეთს ჩაწული აღსრულება — აიღეთ თუნდაც შეთისხილი, ან თეოგონიები, — ათასწლეულები დასცვივა მათ ფრთხილად, ბოტანიკური და გეოგრაფიული სახელები, ხალხები და ქვეყნები, უფრო ისტორიულად და სისტემატურად ასე დაკარგული საზღვარები იქ, მათი უფროდები, მათი სიწმინდე, იგრძნობს სულის მთელ თავქარიანობას, სევადასა და უიმედობას განივი კრილის შრებში“.

ჩემს ამ ამონაწერს 1925 წლიდან შემდეგ სიტყვებით დავასრულებ.

„მნელად ასახსნელი ძალა სიტყვისა, რომელიც კრავს და ათავისუფლებს, უცნაური ძალა რჩეული უბის, საიდანაც არაბს ფორმათქმნელი ძალა სურათ-ხატებს გადასაფრქვევს, სტროფების ტრანსცენდენტური რეალობა ხვდება კვდომითა და კვდავდაბადებით. მასში აელვარდება ინდივიდუალურის წარმავლობისა და კომპლექსიური უოფერების ანტითეზა. მის წიაღშია ღამის ზღვები და სიმაღლეები, რაც შემოქმედებას სტიგიურ სიწმინდეს გადააქცევს: „არახოდეს და მარად“.

სიტყვაზე მერს არაფერს ვიტყვი, არ ვიცი, შევძელი თუ არა თქვენთვის ამბხსა, რომ აქ სრულად განსაკუთრებულ ფენომენთან ვაქვს საქმე. ჩვენ უნდა შევფრთხილეთ იმ აზრს, რომ სიტყვებს დაფარული არსებობა აქვს, რომელიც განწყობილების შეხებაშიადა გრძნობასავით მოქმედებს და გვაჩილდობებს უნარიანებს გრძნობა სხვებზეც გადავითაროთ. მე ეს უკანახკნელი მისტერიად მესახება, რომლის წინაშეც ჩვენი მუდამ უზარუნელი, ანალიზზე მომართული და მხოლოდ ხანდახან ტრანსით გარღვეული ცნობიერება თავის საზღვრებს გრძნობს.

ერთი წამით გონების თვალის გადავავლოთ ჩემს ნათქვამს. ლირიკის სფეროდან ხამ განსაკუთრებულ თემას შევებე პირველი: როგორც არ არის თანამედროვე ლექსი, მეორე — ლექსის წარმოშობის პროცესი, და მესამე — შევეცადე გამოვხატა ჩემი დამოკიდებულება სიტყვასთან. ჩვენს სფეროში კიდევ ბევრია ასეთი სპეციალური თემა, ძალზე ბევრი, ერთ-ერთია, მაგალითად, რითმის მსახურება, ხაფა, მორავიუბი, ვირგილიუბი არ აცნობდენ რითმას. ვაღტერ ფრან დერ ფოგელვანდერ და ტრუბადურები მას უკვე იუბუნებდნენ. ვინაც რითმის ინტონაცია აინტერუბებს.

საქვრადებო მახალს ნახავს კურციუსის წიგნში: „უფროდული ლიტერატურა და ლათინური შუასაუკუნეები“. გოეთესთან ერთ განსაკუთრებულ შენიშვნას წავაწყდი: „მას მერს, რაც კლოფშტოკმა რითმისგან გადათავისუფლდა... დღეს ჩვენ ვიტყვით, რომ თავისუფალი რიტმები, რომლებიც კლოფშტოკმა და მოლოდერლინმა მოგვიტანეს, საშუალოდ [სიტყვები] შედგენილ უფრო აუტანელია, ვიდრე [სიტყვები] რიტმის მიერ შემთხვევაში მაწესრიგებელი პრინციპი მაინცა და ლექსის შინაწყობის მაკონტროლებელი, ვერღენი და რილე — ორივე პრინციპულად რითმას იუენებდა და კიდევ ერთხელ ამ უკანახკნელთ შეძლეს მთელი მისი მომავალი ებელი ძალა აეღვარებინათ, რითმის რაფინირებულობა და საკრალურობა აემეტუველებინათ. მათ შემდეგ რითმას თითქოს ამოწურა თავისი თავი. უშუალოდ ლექსებიდან ვიცით, რა რითმას რა საბასუბო რითმა მომყვება მომდევნო სტრიქონში, ზოგი პოეტი ცდილობს საკუთარი სახელების და უცხო სიტყვების გამოყენებით გამოცვლოს რითმა, მაგრამ თავის უწინდელ მდგომარეობას მაინც ვერ უბრუნებენ. კურციუსის აზრით, ლიტერატურაში ეს პირველი შემთხვევა არაა, „პროვანსალებმა რითმა გადახარჯეს, იშვიათი რითმების ვირტუოზულ დახვეწებაში ქრება მუსიკა და რეაგება აზრი“. ლირიკოსი რითმას, აღბათ მაინც აღიქვამს როგორც პრინციპს, რომელიც მისგან კი არ მოდის, არამედ უშუალოდ ენისაგან, იგი პოეტის უკრალდების განსაკუთრებული საგანია და იგი ზოგჯერ დიდხანს უოყმანობს ხოლმე, ვიდრე რომელიმეზე შეტერდებოდეს.

ამერიკული ანკეტა რომ ვახსენე, იქ ერთი კითხვა რითმას ეხებოდა.

ერთ-ერთმა პოეტმა მასზე ასეთი პასუხი გასცა: „რითმა, როგორც ავტომატური სტრუქტურული საშუალება, გარკვეულწილად მაინტერესებს და მიწიდავს კიდევ, თუ მას ავტომატურად გამოვყენებთ. მაგრამ იგი მაშინ მიყვარს, როცა აჩარვგულარულია, ცოცხალია და უფრო არ ხედება“.

ასეთია ლირიკის სფეროს ზოგიერთი სპეციალური თემა. ახლა მივუბრუნდეთ ამ საგანთა პირდაპირ მიწებს — ლირიკულ „მეს“, en face-ში და უფრო მკვეთრ შექვე შევხედოთ, ვინ არის ლირიკოსი ფსიქოლოგიურად, სოციოლოგიურად, როგორც ფენომენი? პირველი, გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, იგი სულაც არ არის მეოცნებე. ოცნება სხვათა საქმეა, იგი იუენებს ოცნებას, მან სიტყვაში უნდა გადაიტანოს იგი. კაცმა რომ თქვას, იგი სულაც არ არის სულის ადამიანი, ესთეტი, უბრალოდ მისი ხელობა ხელკვანება, იგი აკეთებს შელოვნებას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას სჭირდება ტვინი, ეშვიანი ტვინი, რომელიც უოველ ამბობს, საკუთარსაც კი, გააუბტვრებს, იგი ობივატელია, რომელსაც თან ხდევს უცნაური, ხანახევროდ უფროსაწმინდა და ხანახევროდ აპატისგან გარეწილი დაუოკებლობა. ხაზოგადობაში სრულიად არახანტერესოა, ტორკვატო ტახო ფერაროში — ამის დრო წავიდა აღარხადაა ლეონორები, დაუნის გვირგვინები, შუბლს რომ ამკობდნენ. მაგრამ ჩვენი დროის ლირიკოსებიც აღარ არიან ცხს მოიურნიზე ტიტანები; იბინი უმეტესად წუნა-

რი, შინაგანად მართლაც უშფოთველები არიან. და არც უველაფერს აკეთებენ ერთი მონდომებით. რომელიმე თემა ჯერ დიდხანს უნდა ატარო შენში, წლებით, დუმილი უნდა შეგეძლოს. ვალერი ოცი წელი დუმდა, რილკეს თოთხმეტი წელიწადი სტრიკონი არ დაუწერია. მერე ანაზღად გაჩნდნენ ფინური ელეგიები. გაიხსნენთ პარალელი მუსიკიდან: ჯერ იყო Wesendonk-Lied „ოცნებები“, წლების მერე კი დაიწერა ტრისტანის მეორე აქტი. რადგან თქვენ წინაშე ვდგავარ და ამაზე ვლაპარაკობ, გავიხსენებ ერთ პირად გამოცდილებასაც. ჩემს კრებულში — „სტატიკური ლექსები“ — ერთი პატარა ორსტროფიანი ლექსია, ამ ორ სტროფს შორის ოცი წელი დევს. პირველი სტროფი რომ დავეწერე, მომეწონა, მაგრამ მეორე არა და არ გამომდიოდა. მხალხოდ ორი ათეული წლის სხვადასხვა ვარიანტის გაჩენისა და უკუგდების შემდეგ დაიწერა მეორე სტროფი. ესაა ჩემი ლექსი — „ღაშის ტალღა“. ასე დიდხანს უნდა ატარო რადაცა შენში და ერთ პატარა ლექსს ზოგჯერ დროის ასეთი ვრცელი რკალი მოიცავს. მაშ, ვინ არის ლირიკოსი? შერეკილი, ერთოთახიანი ბინის ბინადარი, იგი ზეღს იღებს ცხოვრებაზე, რათა იცხოვროს, მნიშვნელობა არა აქვს, სხვები მის ლექსს არმომხდარის მონაქორად და ოსტატობას ენოიზმად თუ მონათლავენ. კაცმა ხიშართლემ რომ თქვას, იგი გამოცხადებაა და როცა ეს გამოცხადება კვდება, მას ჯვრიდან ჩამოხსნიან — უნდა ვადაროთ კი, რომ ჯვარზე თავისი წებით გაეკრა — რამ აიძულა? რადაცა ზომ უნდა აეძულებინა?

ახელი ტიპი უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, თქვენს უურადლებას შემდეგზე შევაჩერებ. ერთი წუთით გავაცნობიეროთ, რამხელა განსხვავებაა მოაზროვნება და პოეტს, სწავლულსა და ზელოვანს შორის, რომლებსაც ხაზოგადობა რატომღაც ერთ ქვაბში მოაქცევს ზოგჯერ. თითქოს მათ შორის დიდი იდენტობა არსებობდეს. არაფერიც! ზელოვანი მთლიანად ხაყუთარი თავის ანაბარაა, ახლა ვთქვათ; რომელიმე დოცენტს იკვლევს ევროპაში ორი ათასი წლის წინ გამოქვეყნებულ სპილენძის შენადნობს. მის განკარგულებაშია ანალიზები, რომლებიც 1884-დან 1938 წლამდე ჩატარებიათ. ახელი ცდების რიგშია ოთხი ათას შეიდასოცდაცხრა, ამას დაუმატეთ ცნობილ სპეციალისტთა მდიდარი ლიტერატურა, რასაც იგი დაეუბრუნება და უველაფერი ერთად ხაზითას ჯერადამდე გამოდის. ნიბლიოთეკის ხაერთაშორისო სამსახურის ხაშუალებით იგი ინფორმირებულია, თუ, მაგალითად, რას ფიქრობენ ამჟამად კემბრიჯში Fahlerzmetalle-ზე. უოველ ხამ თვეში ერთხელ გამოშავალ ხაერთაშორისო ხაუნევერსიტეტო კურსებში წაიკითხავს, როგორ და რანაირად მუშაობენ სხვა ქვეყნებში ამავდ თემაზე. შეხედულებათა გაცვლა, მიმოწერა, — იგი მოპოვებული მახალების ხაფუძველზე რწმუნდება თავის ხიშართლესი და დაქერბული — კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწევს წინ. იგი არა, ხოლეს არ არის მარტო და ზედის ანაბარა. ხრულაოდ სხვა ვარემოში მოღვაწეობს ზელოვანის იგი ხრულიად მარტოა, მისი ზვედრია დუმილი და იგი თვითონ აკებს ხაყუთარი თავის წინაშე პახუბს, იწყებს თავის ხაქმეს და თვითონვე ამთარებს. შინაგან ხმას მიხეუება, რომელიც მის გარდა არავის ესმის. მან არ იცის, ხარდას მთლიან

ეს ხმა. ან რისი თქმა ხურს: იგი ხრულიად მარტო მუშაობს, განხაყუთრებით ლირიკოსი მუშაობს მარტო, რადგან უოველ ათწლეულში რალიან ცოტა დიდი ლირიკოსი ცხოვრობს, თანაც, სხვადასხვა ერსა და უფლტურაში გახნეულნი, სხვადასხვა ენაზე წერენ, და უშეტებად არც იცნობენ ერთმანეთს — ესენი „Pharasa“-ებია, შუქურები, როგორც მათ ჯერანგში უწოდებენ. თავად კი ხიხნეულში სხვაგვარად მუშაობენ „მე“ ეუბნება ხაყუთარ თავს: დღეს ახეთი ვარ, ახეთი განწყობილება მაქვს, ჩემს განკარგულებაშია ჩემი ენა, ვთქვათ, გერმანული ენა, ხაუყუნებრივი ტრადიციების შქონე, წინამორბედი ლირიკოსების მიერ დახვეწილი, აზრით და განწყობილებით დაყურბული, უცნაურად დამუბტული სიტყვებით, მაგრამ ასევე ვარგონული გამოთქმებით, არგოტიზმებით, რაც ორი მსოფლიო ომის შედეგად ჩვენს ცნობიერებაშია ჩაქედლილი; ამას ემატება უცხო სიტყვები, ციტატები, სპორტული ტერმინოლოგია, ანტიკური რემინისცენციები — ეს უველაფერი ჩემი ავლა-დიდებაა. მე — დღევანდელი დღის წარმომადგენელი, ვინც გაზეთებიდან გაცილებით მეტს სწავლობს, ვიდრე ფილოსოფიიდან, ვიხთვისაც ერთი კლასიკური შლაგერი მეტ ხაუყუნებებს გადმოუშლის, ვიდრე Motte, ვისაც ხაგანთა გარკვეული ფიზიკური პროცესებისა უფრო სჭერა, ვიდრე Nain ან Lourdes-ისა, რომელმაც ხაყუთარი გამოცდილებით იცის, რომ როგორც დაიგებ, ისე დაიძინებ და საბანაყ არავინ დაგაფარებს, აი, ეს „მე“ მუშაობს ერთგვარ სახწაულზე; პატარა სტროფზე, მუშაობს ორი პოლუსის „მესა“ და მისი ენის მარაგის შეკავშირებაზე, ელიბსზე, რომლის მრუდეები ჯერ განელტვიან ერთმანეთს, შემდეგ კი მშვიდად ჩეშვებთან ერთმანეთში.

მაგრამ ეს უველაფერი ჯერ მხოლოდ გარენულია, ჩვენ გვებანდება ახალი კითხვები: რადგან ამის უკან? რა რეალობები და ზერუალბები იმალება ამ ლირიკულ „მე“ ში? აქ კი ჩვენ პრობლემებს ვაწყდებით. ლირიკული „მე“ კიდელისკენ შურგით დგას. თავდასაცავად, აჭრების მოსაგერიებლად იგი ხაშუალო — დამინიზაგან იცავს თავს, რომელიც თავს ესხმის, ფტეხს, თქვენ ავად ხართ, ეუბნება მან ეს ხაშუალო, თქვენი შინაგანი სამყარო დაავადებულია, თქვენ გონებრივად დაქვეითებული ხართ და ხაერთო, დაც ხაიდან გაჩნდით?

ბოლო აწლეულის უველა დიდი პოეტი ბურუაზიული წრიდან მოდის — პახუბობს ლირიკული „მე“. მათ შორის არც ერთი არ უოფილა პათოლოგიური, კრიმინალური ან სიცოცხლე თვითმკვლელობით (თავსრულებინოს, ფრანგ Poetes meudits გამოვრიცხავ, მაგრამ თქვენი „ქანმრთელი“ და „ავადმურთი“ უფრო ზოოლოგიური ცნებებია, უფრო ვეტეკიმების სტერაა, მათ ხაერთოდ ცნობიერების მდგომარეობა არ აინტერესებთ, დადლილამბის სხვადასხვა ხახეობები, არამოტივირებული გუნება-განწყობის შეცვლა, ანაზღად მწვანე ფერის ძლიერი მონატრება, მელოდებიო გაბრუება, უძილობა, მაღალი გრძნობები უველა ეს კრიზისი ცნობიერების, გვიანდელი მეოთხეული პერიოდის უველა სტიგმატიზებაში, ტანჯვათ აბტექტილი შინაგანი ხაშუარო მათი უურადლების მთლიან რტება, კეთილი — მიუტეებს წივა ფტეხს, მაგრამ რასაც თქვე

ნი ბროვა მისთვის, სტერილური ცერებრალიზ-
შია — ცარიული ფორმალისშია, დეჰუმანიზაცია.
ეს არ არის ის, რასაც ადამიანი მარადიულს
უწოდებს. მხოლოდ დარღვევებია, გადაბრუნია
ძვლის ტვინში გაუფრთხილდით მიწისქვეშა
წულვებს, გაწმინდეთ კალმანის ტბები როგორ
თქვა რასკინმა? „უველა ხელოვნება მიწის ხე-
ლით დაშუშავებას ეფუძნება“.

ჩემდათავად, — ამობს ლირიკული „მე“ —
უკეთესს შემთხვევაში სამოცდაათ წელს თუ
სივალდებო, მთლიანად მხოლოდ საკუთარი თავის
ანახარა ვარ. არაფერი გამოჩნია შუა ფენისა.
ვერც დავთესავ. პატარა ქალაქში ვცხოვრობ, ნე-
ონის შუქი მანათლისებს, საკუთარ თავს მივეტაბ-
ვდ, მაშასადამე, ადამიანს, მის დღევანდელ უამ-
სა ვარ გამოხმული.

როგორ, — აღშფოთებულია შუა ფენა, —
თქვენ არა გაქვთ ხურვილი საკუთარ თავზე მალ-
და დადგეთ? თქვენ რაკაცობრიობისათვის არ
იღწვიეთ? ვის სჭირდება ადამიანის ტრანსცენდენ-
ცია ქვემოთკენ? თქვენ დასცინით ადამიანის წო-
გად ხატს. რა გაუთავებელი დაპარაკია სიტყვა-
ზე? ეს მასალის მრავალბრუნა, ხულის ჩამოქვეითე-
ბაა არაორგანულ დონეზე, მეოთხე ეპოქაა,
თვითმკვლელური ფაზაა — ხაქმე ეხება ფფროს
მალალი სამყაროს არსებობა-არარსებობას.

შევე შევთ მალალ სამყაროს, — პასუხობს ლირი-
კული „მე“, დავრჩეთ ემპირიულღებო, აღებათ
ქსენიით სიტყვა „მოიარა“. ესაა ჩემთვის მოწო-
მილი წილი, ეს პარკვა; იგი შეუბნება: — აი ეს
დრო შენია, შემოუარე მის ხაზღვრებს, გამოს-
ცადე მისი ხაზმედლობა, სამყარო, მოგადი წუ
გაჭიბაცებს, ხურც უფიერვერკებს გამოჩნავ მა-
ლალი სამყაროს არსებობის გაგრძელებისათვის
— შენ მალალი ხარ, რადგან მე პედლაპარაკები.
რა თქმა უნდა, შენ არ გაქვს უფლება, ხნვა ხა-
მეფოებში შეიჭრა. მოიარები ხევრია. მე ხხვებს-
საც ველაპარაკები. თითოეულის ნებაა, როგორ
გაიგებს ჩემს ენას — მაგრამ ეს შენთვის მოწო-
მილი წილია, ემიე შენი სიტყვები, მონიშნე შენი
მორფოლოგია. გამოხატე შენი თავი, მწვიდად
იტვირთე ნაწილობრივი ფუნქცია, მაგრამ მას
მთელი სერიოზულობით მოეკიდე. მე ჩაგხურ-
ჩულვებ, მახიური ყოველასმომცველობა არქაული
ოცნებაა, სიზმარაა და მას დღევანდელ უამსან
არაფერი აკავშირებს.

ომ, ეს თქვენა მოიარა იგი დასავლეთის წენო-
ბრივი ნორმების ჩამოყალიბებამდეც იყო. —
ცხარობს შუა ფენა, — ხერხოდაც, ეს პარკები
ძალზე მოხერხებული ფანდია, იმიტომაც ეპიდე-
ბით, რომ თავად არაფერი შეგვიძლიათ უნარი
არ გაქვთ, ადამიანის ღრმა და კუშმარიტი ხანე
შექმნათ. თქვენი იზოლირებული ხელოვნებით
მხოლოდ კარკატურებსა და ხულისური სამყაროს
ნანგრევებს ქმნით. ჩვენ მოველით თქვენგან
თვალსაჩინო, მთლიანკობმოსურ, ფიზიონომუსა
და სიმბოლურ შემეცნებას.

კარგი, — პასუხობს ლირიკული „მე“, — მე
ტიცნობ თქვენი ლატერატურული კითხვის ხა-
ლაშობებს; უველაფერი აბსტრაქტული არაადამია-
ნურია. დიან, თქვენ ამბიულეთ თვალთ, ნათლად
დაშანახეთ, რომ ჩვენ კი არ ვაგდებთ საფრთხე-
ში ან ვანგრევთ ამ შუა ფენას, არამედ სწორედ
ეს შუა ფენა გვემუქრება აქეთ და ამით ემუქრე-
ბა ხწორედ იმას, რისი შენარჩუნებაც თავად
ხწადია: გვემუქრება ჩვენ, ვიხაც კიდევ რაღაც
შერჩენია ადამიანური, აბსოლუტისა ხერხა და

მასში ცოცხლობს. ამ შუა ფენის ანალიტიკოსებს
ჩვენთვის ამის წარმოდგენა სურათ მათ —
ჩვენ დაავადებულ...
შინაფრენიის კლინიკური ნიშნები, ტანის-
ხარები, მანკები, ნანევარეზობისთვის გახ-
ლავართ, ეს შუა ფენა აჩვენებს სალანძღავ
სიტყვას არ იშურებს ჩვენთვის

ამიტომ თქვენის ნებარეობით, მოდით დავა-
კვირდეთ მას, უველაფერი სწავლე უკეთ რომ
იცის. გუშინდელიც და ხვალისდელიც — ამ
ეკრთიწოდებულ ორგანულ, ბუნებრივ, მიწიერ
საშუალო ფენას, ღვთით ულამაზეს საშუალო
ფენას — მოდით, დავდგეთ ერთხელ მის ადგილ-
ზე. ეს შუა ფენა დასავლეთია, მას აღარ სურს
თავი დაიცვას, მაგრამ შიშს კი ვერ შეეღევა. სა-
უზმედ ცოტადენი მიდგომის გველის ხორცი?
ქქონდეს, ვახშამად კი — ოკეანოსის (ზღვის დმე-
რთის, ღ. 5.) რამდენიმე ნაქერი — უსაზღვრო-
ება, არ გაქონდეს შიში, ეს ნიშნავს არარელიგი-
ურობასა და ანტიბუმანურობას. პოდა, შიში მი-
ერსკება მათ დრო-უამის ვაზე და ჩვენც თან
მივერეკებიან. ძალიან ჭი უჩქარებათ: გომბეშოს
ტესტით იწებენ, რვა დღის შემდეგ გული არ
ფთმენს, ზუსტად უნდა იცოდნენ, დაფხმამიშდ-
ნენ თუ არა, მეორე თვეში კი ადრეული დია-
გნოზით აღგენენ, ბიჭი ეყოლებათ თუ გოგო.
თვადრში ისეთ წარმოდგენას მოიხსოვენ, სადაც
პირველ სცენაში სტუმარი შემოდის და მასპინ-
ძლის ქალიშვილის დანახვაზე გულურა ემართება.
მეორე სცენაში ერთ-ერთ სტუმართაგანს მაგი-
დასთან თავზე შემწვარი ხორცი უნდა დაეცეს.
რადგან მსახური წაბორძიკდება. ასეთია მათი
მხსნელი, მიწიერი იუმორი, შინ, შემდეგ ისევ გა-
იხხენებენ თავიანთ შიშებს და დასაწყნარებლად
ფენოდორებს დალევენ. ამ საშუალო ადამიანს ნე-
ბავს დავვიწვოს, რაზე ვწეროთ და ვიფიქროთ,
რა კუთხით და როგორ, თან ცდილობს, დაგვი-
ხმაროს კიდევ, გვათავაზობენ ფსიქოთერაპიას,
ფსიქოსომატიკას, რომლებიც გამოგვაჩანსადე-
ბენ, გარესამყაროსთან, ზესენელთან და კვებკენ-
ლთან მარმონიაში მოგვიყვანენ, მოგვდგებიან
ასოციაციების ცდებით, მედიტაციის მეთოდებ-
ით, აქტიური მიწარებით, კოლექტიური თუ ინდი-
ვიდუალური ვარჯიშებით. გაგვიქრობენ კომპლ-
ექსს და საბოლოოდ ნევროტიკულ პიროვნებად
ჩამოგვაუალიბებენ, თანაც, საავადმყოფოს ხარ-
ჯზე, თუ ამგვარი „განკურნების“ ნებას დართავთ,
შესაძლოა ორმოციოდე დღე ივარგოთ საფიქრო
წარმოდებაში. მაშ, ასეთია შუა ფენა, კაუზალურ-
ანალიტიკური ან ფინალურ-ხინთეტიკური, არა,
მისგან არავითარ დარიგებას არ მივიღებ. ჩემი
„შუა“ უკონტაქტია. ადამიანს ან დღეს ისეთი-
ვე „შუა“ აქვს, როგორც ყოველთვის ქქონდა
ადამიანი დღეცაუ ღრმა. ან იგი არახოდებს
არ უოფილა ასეთი, მისთვის კანონზომიერია გა-
რდახახვის ნიჭი. როგორ დალუპვის ნიჭიც, ანდა
მას ხერხოდ არ გამოჩნია არავითარი კანონი.
იგი მოწოდებულია რაღაც გამოხატოს, რასაც
მიუხედავად უველაფრისა და ნებისმიერი საშიშ-
როებისა, იუცილებლად გამოხატავს, ან მას ხაე-

1. Midgoardschlange — მით. მსოფლიო
ოკეანეში მობინადრე გველი, რომელიც დედა-
მიწის გარს ეკვრის.

როდესაც არავითარი მოწოდება არა აქვს. ცალკე უფრო კულტურის ათასწლოვანი მათებები ჩერ კიდევ არ შეადგენს მთლიანი ანთროპოლოგიური კანონის მარჯვენა: ისინი გაცილებით ვრცელია და გაცილებით მეტიც. ამ კანონს ექვემდებარებოდა და ექვემდებარება სხვა კულტურის წრეებიც: ანტიკუმიტი-ტარული, წინამორბოთისტური, ეგვიპტური, მი-ნოსური. ამ კანონის გამგებლობაში აბალ-ახალი კულტურები გაჩნდება, და ჩნდება კიდევ: ტექ-ნიკური, რობოტების კულტურები, საფარების კულტურები, სხვათა შორის ამ „შუას“ შიში გან-საკუთრებული ნახიათისაა. ორიოდე დღის წინ ერთ გაზეთში, რომელსაც ბევრი შეითხველი მყავს, დიდი ასობით დაბეჭდილი განცხადება წავიკითხე: „ცხოვრების დიდი შიში“, რომელსაც წარმატებით ეურნავს დოქტ. შიფერის სიცოცხ-ლის ელექსირი. ბოთლის ღირებულებაა მ.ბ.ნ. მარ-ტა.

ლირიკული „მე“ განაგრძობს: ასეთი მდგომარეობა სრულიად პარადოქსული მერვენება! ეს შუა ფენა მეცნიერებაში ყველაფერს იტანს. ბე-ლოვნებაში არაფერს. იტანს კიბერნეტიკას. ახალ მეცნიერებას, რომელმაც რობოტი წარმოშვა. თუ გიფიქრიათ იმაზე, რომ იმას, რასაც კაცობ-რიობა დღეს კიდევ ფიქრს უწოდებს; რისი ფიქ-რიც შეუძლია, მაშინა ნაკლებად როდი ახერხებს და წოგჭერ სჯახის კიდევ? ვენტილები უფროს უხვია, გარანტიაც მეტია, ვიდრე ჩვენი მორღ-ვეული ფიზიკურა სხეული. ეს მანქანები ასობს ბგერებად გადაამუშავენ, თუ საჭიროა; რვასა-ათიან მესხიერებას იტყვენ, ავადმყოფ ნაწილებს ადვილად ამოაპირიან და ახლით შეცვლიან. ასე რომ აზრი რობოტებში გადადის. მაგრამ რა ვუ-ყოთ იმას, რაც რჩება? შეიძლება ითქვას, რომ ის, რასაც კაცობრიობა ბოლო საუკუნეებში აზროვნებას უწოდებს, სრულებითაც არ არის აზროვნება, არამედ სრულიად სხვა რამ. — ამ-ჟამად, ყოველ შემთხვევაში აზროვნება კიბერ-ნეტიკამ იტვირთა. იგი მონტაჟისა და აპარატუ-რის მეშვეობით ადამიანს პირდება, რომ დაუ-ბარუნებს დაკარგულ ანიმიზმს, მაგიურის ნიქს, რომ აუხელს ბუნების დასანახ თვალს და გრძნო-ბადობის დაკარგულ უნარს..... მოდა, დასტიან ამ რობოტების გარშემო ტრიბლიდიური ბოც-ვერები, საშოცდექსი ქრომოსომი, პირადად ჭერ უნაყოფო, მაგრამ თუ ქრომოსომთა რიცხვ-მა ოთხმოცდარვა მიაღწია, მაშინ, საქმე კვლავ კარგად წავა — Goesta Haegquist და პროფ. A. Bane სტოკჰოლმში ახალ სენსონს მსინან: კოლიათურ აღნაგობას, უნარმანარ კა-დურებს და ტიტანურ გენიტალებს პირდებიან მსურველებს — სადაცაა ცხოველთა ახალი სამ. უაროს გაჩენის მოწმენი გავხდებით. ასეთ სიტუ-აციასში მხატვრებმა ოქროს ფონზე მადონები ხა-ტონ, ბოდო პოეტებმა პაულ გერმარტის ექსტა-ზით წერონ? ეს რომ ახსურდია!

აღბათ, იკითხავთ: კი მაგრამ, რა საერთო აქვს ყველაფერ ამას ლირიკასთან? ძალიან ბევრი, ბევრი კი არა, ყველაფერი. ლირიკოსს არასოდეს მოკარბდება ცოდნა და არც შრომა. იგი ყველა-ფერთან ახლოს ღუნდა იდგეს, ერკვეოდეს, ხაით მიდის დღეს ქვეყანა. აი დღეს, ამ შუა დღეს დე-დამიწაზე რომელმა საათმა ჩამოაქრა. ხარს ახ-ლო მანძილიდან უნდა ებრძოლო, ამბობენ დიდი

მეტადორები. მაშინ შეხადლო შენთან გამარჯვე-ბა მოვიდეს, ლექსში არაფერი: შემთხვევითი აი, რას წერდა ვალერი მოლტოვი: „ამ უჩორ-ცო გმირისათვის შემთხვევითობა კემშარტი-მტერი იყო“ ეს სიტყვაზე ლირიკოსთა ციხე-დაგება. მან უნდა შეერას თავისი ლექსი ყოველ-გვარი გარეშე შემოჭრებისაგან შემთხვევითობე-ბისაგან. შეერას ენობრებად და საქმისგან ტრონ-ტონი თვითონ გაწმინდებულ — მწიქსტუბი უნდა მქონდეს. — ჩემი გენიოსობა ჩემს ნესტოებშია. — უთქვამს ნიცშეს. — ნესტოები ყველაფერ. ყვე-ლი სტარტზე, ინტელექტუალურ სარბიელზე, იქ, სადაც მატერიალური და იდეალური დიალექტიკა ერთმანეთს განელტვიან. როგორც ზღვის ორი ურჩხული და ერთმანეთს სახეში აფურთხებენ. შხამსა და გაისტს. წიგნებსა და გაფიცვებს — იქ, სადაც Schiaparelli-ს, უახლოები ქმნი-ლება მოდაში კურსის შეცვლაზე მიგვანიშნებს ნაცრისფერი ტილოს მოდელით, და ანანახისებრ ყვითელი ქსოვილით. ყველაფრიდან მოდის ფე-რები, შეუმჩნეველი ნიუანსები, შექარდილები, ყველაფრიდან მოდის ლექსი.

ყოველივე აქედან იხადება ლექსი. რომელიც შეხადლოა ერთ ასეთ დაფლეთილ ეამს შეაერ-თებს: ახსოვლურა ლექსი, ლექსი რწმენის გარეშე, იმედდაკარგული, ლექსი არავისადმი მი-მართული. ლექსი — სიტყვები, რომლებსაც თქვენ მომარადობლად დაამონტაჟებთ. და კი-დეც ერთხელ ვიშეორებ, ვინც ამ უორმულირე-ბის უკან მხოლოდ ნიპილიზმსა და უხამსობას დაინახავს, მას მხედველობიდან ეპარება, რომ მიშწიდედობასა და სიტყვის უკან საკმაო ბუნ-დოვანება და ვოფიერების უფსკრულები ძევს, რათა ღრმეაზროვნების ყველაზე დიდი მოტრფი-აღეც დააკმაყოფილოს. მან არ იცის, რომ ურ-ველ ფორმაში, რომელიც გვხიბლავს, ვნების, ბუნების და ტრაგიკული გამოცდილების დიდი წილი ურევია. რა აქმა უნდა, თუ გეყოთ გაბე-დულება, თქვენ სტოვებთ რელიგიას, სტოვებთ კოდექტივს და უკიდევანო ველზე გადინართ. მაგრამ რა აზრი აქვს ამ გაუთავებელ დაპარაკს საფუძვლების კრიზისზე, ან კულტურის სფეროს კატასტროფაზე, რაც ასე უსიამოვნოდ ხვედება ყოველ ჩვენთაგანს, თუკი არ ვინდათ იმის დი-ნახვა, რაზეა დაპარაკი და არც გადაწყვეტი ნა-ნიჯის გადადგმა გსურთ?

მაგრამ გადაწყვეტილების მიღება მაინც მო-გიწევთ.

ის, რაც საკუთარ კანონსა და შინაგან წესრიგს აღარ მიძევება, კარგავს ფორმის ენერჯისა და იფიტება. ჩვენი წესრიგი სულია, მისი კა-ნონია — გამომხატვა, ფორმა, სტილი. ყველაფერი დანარჩენი ქრობაა, სიკვდილია, ახსტრაქტულია, ატონურია, თუ სიურრეალისტურია, — ეს ფორ-მის კანონია. გამომხატვის ბედისწერაა, რომელ-საც ვერსად გაიტყვევი. ეს არ არის ლირიკული „მე“-ს პირადი შეხედულება ან მობი, ამის შესა-ხებ ყველა ამბობს, — „სიტყვა უფრო მეტს იწო-ნის, ვიდრე გამარჯვება!“ დიან, ეს ლექსიც, რწმე-ნის, იმედის გარეშე, ეს ლექსიც, არავისადმი მი-მართული — ტრანსცენდენტურია! იგი, ერთი ფრანგი მოაზროვნის სიტყვები რომ გავიხსენოთ: „თანააღსრულება ადამიანს მიწდობილი, მაგრამ მანზე აღმატებული ხდომილებისა (Werden).“
მე ვიცი, რომ თანამედროვე ლირიკოსთა რი-გებიდანაც ხმები გაიხმის, რომლებიც უკან და-

ბრუნებისკენ მოგვიწოდებენ, მაგალითად ელიოტი, თავის Mercur-ში დაბეჭდილ ერთ წერილში იგი იმ შეხედულებას ადგას, რომ ეს ზველა უნდა შეჩერდეს, საბედლოდ, თვითცნობიერების წინსვლა, ენის მკვლევარების ეს უაღრესად გაღრმავება და ენაზე გადამტეხული უპრადაღების გამაზვიანება. მაგრამ ელიოტი ასევე ებრაეობს ტელევიზიას, ვიდეორობს, იგი ორივე შემთხვევაში არ არის მართალი. ჩემი აზრით, იგი პრინციპულად ცდება. დარწმუნებული ვარ, რომ ის მოვლენები, რაზეც ჩვენ ლაპარაკი გვაქონდა, შეუქცევადია და ჭერ მხოლოდ განვითარების საწყის ეტაპზეა. თავს ნებას მივცემ მცირე ხნით სხვა სფეროში გადავიდეთ. რომელიც ჩვენს თემაზე ახალი კუთხით გააშუქებს. ეს გენეტიკაა, ადამიანთა წარმოშობის მეცნიერება. ადამიანის წარმოშობისა და სახეობაზე აუარებელი თეორიები არსებობს, მათი ვარიანტები და ლაბილური ინტერპრეტაციები ძალზე სკეპტიკურად განვაწყობს, მაგრამ დღევანდელი ამოხსნა ეტიკური ემპირია იმ თვალსაზრისით; რომ: ადამიანი რაღაც განვითარების შედეგი კი არ არის, არამედ თავიდანვე იყო და რომ იგი შემოქმედების ახალ სიტუაციას წარმოადგენს, ამ სიტუაციის არსი ცნობიერება და სული. გელენის, კარტმანის Carrel-ის ნაშრომებში ეს აზრი სისტემატაა ჩამოყალიბებული. ადამიანი (ახე მიაჩნია გელენს) ჭერ კიდევ მეტად ჩამოუყალიბებელი ცხოველია. შთაბეჭდილებებისათვის გადახსნილი, განვითარების უნარიანი, თავისი გვარის მოწოდების დასაწყისში მდგარი. სხეულის აგებულების თვალსაზრისით თითქმის უვლადური დამთავრებულია, ახლა ჭერი იმატერიალურზეა. იგი თაობიდან თაობას გადაეცემა, ინახება. ქმნადობის პლასტიკურობა ახალ განზომილებაში გადადის, ხულის ემანსიპაცია გზას მიიკვლევს უცნობ სფეროებში, რომლებიც ახლად იხსნება. „შუას“ დაკარგვაზე არ არის ლაპარაკი, იგი ამოუწურავია თავისი შესაძლებლობით. მაღალ განვითარებულ კულტურებში ჭერ მისი მხოლოდ მინიშნებებია აღზედილი. მაგრამ ამ „შუას“ მიმართულება სრულიად გარკვეულია, იგი მიდის ცნობიერებისა და სულის სფეროების მიმართულებით და არა ინსტიქტის Trieb იმპულსში გრძნობიერების Gefühlswarme მოვლილი ბოტანიკურ-ზოოლოგიური შინაგანი იდილიისაკენ. იგი ესწრაფვის მკაცრ ცნებათა ქაჭვს, ანიმალურის ინტელექტუალურ კონსტრუქციებში გადასვლას, შინაგანი მიხტიციუმიდან ნათელი, მიწიერი ფორმებისკენ შემობრუნებას. ესაა ცნობიერება და გამოხატვაზე ორიენტირებული მიმართულება, ერთი სიტყვით, ეს არის გზა აბსტრაქციისკენ. უფრო შორს ამჟამად ვერ გავიხედავთ. მაგრამ ადამიანი აღბათ დღევანდელი კულტურმედიანკლიკების შეხედულებებისამებრ არ დაახრულებს თავის გზას. თუ იგი თავისი არსის შესაბამისად იცხოვრებს. მაშინ შემოქმედებითი

კანონების შესაბამისად უნდა მოიქცეს, რომელიც ატომისა და ურანზე მაღლა დგას. აზრის ასეთი განვითარების შედეგად არც ევროპელი დაიღუპება. მან იტანჯა, ატი სტრუქტურისა და თავისი ნაწილობრივი ნგრევისგან მალევე მოულოდნელი მაფორმებელი ფუნქციური ტრანსფორმაციის იმიტომ კი არა, თითქოს ტრანსფორმაციები ბედს, არამედ იმიტომ, რომ ლირიკული „შე“ ინტერესით ეწაფება ამ თეორიას, ეს უკანასკნელი ემთხვევა მის ხუბსტანციებს, მის წამიერ მოიროს ხუბსტანციებს; მათ კი, — რადგან მისთვის აღარ არსებობს მეტა, და არც გეთხამენის ბაღი, და არც ბმერთა ტაძრის ბარელიეფები (ანკორაში მდებარეობს მის განედში, — იგი უფრო შორს მიშუავთ — წარმოსახვით ოლიმპოში: უველგან, სადაც არიან ადამიანები, ცხოვრობენ ღმერთებიც. ლირიკული „შე“-ს კიდევ რამდენიმე გამოსათხოვარ სხივს შევხებით და საქმეს მოვითავებ. ერთი სხივი დროის განსაჯარს ეცემა. აზროვნება ეპოქათა განსაჯარზე უკვე კულტურის მეცნიერების კლიშეა. ნუ იტყვიან ამოკალიფსურიო, ასეა „სამ მოხუც მამაკაცში“, ნუ იტყვიან ამოკალიფსურიო: „ზღვის შვიდთავა ცხოველი, და დედამიწის ორრქიანი ცხოველი მუდამ იყო აქ“. აბსოლუტურ ლექსს არ სჭირდება არავითარი ეპოქათა ზღურბლი, მას შეუძლია დროის გარეშე ოპერირება, როგორც ამას თანამედროვე ფიზიკის ფორმულები კარგა ხანია აკეთებენ. ამასთან მას მიაჩნია, რომ პლანეტარულ-ჟალბ ოქრომკედს. რასაც ტექნიკა დედამიწას აფენს, ეგზისტენციური მნიშვნელობა არ გააჩნია. ტექნიკა უოველთვის იყო, ადამიანთა უმეტესობას კი ამის შესახებ უბრალოდ ცოდნა არ გააჩნდა. ბოლოს და ბოლოს, კვისარი ექვს დღეში ჩადიოდა რომიდან კიოლნში საძილედ ხაკაციით. ბოლო Coruna შუქურა, ორი ათასი წლის წინათ აგებული, დღესაც ამაყად გადაჰყურებს ბისკაის ყურეს, როცა რომში იმპერატორი რუკანს გადაატრიალებდა, ორმოცი კილომეტრით დაშორებული ლიგურის ზღვიდან საბანაო აუზში წყალი მოსჩქეფდა. დღეს მსგავსი რამით ვერ დავიტრახებთ. პირველი ნავი (მთლიანი მორისგან გამოთლილი), რომლითაც ადამიანმა მშრალად გადასურა წყალი, გაცილებით უფრო ხენსაციურია კულტურისა და ხალხის ინტორიაში, ვიდრე უველა წყალქვეშა ნავი ერთად აღებული. ბოლო წამმა, როცა ხულის შებერვით ისარმა ნადირი მოკლა და, მაშასადამე, ხაკირო აღარ იყო მასზე ხელდახელ მისვლი, აღბათ, დროს გაცილებით უფრო წინ უბიძგა, ვიდრე უველა იზოტოპმა. ამდენად რა დასაჭერია, რომ ჩვენი ხიცოცხლის გრძნობა დღეს უფრო უნივერსალური იყო, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის ქალაქებში, როცა ხაბერძნეთი ათე-

ნიდან ანდოეთამდე იყო გადაჭიმული. ან იმ დროს, როცა გენუელებმა და ესპანელებმა პირველად გადასერეს ატლანტის ოკეანე.

და მაინც, ლირიკული „მე“ ზოგჯერ ექსტრა-ვაგანტურ შთაბეჭდილებას ახდენს. ამაში იგი საკუთარ თავს მხოლოდ ძალზე ფრთხილად უტყუდება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ფილოსოფოსიც დღეს არსებითად ლექსს წერდეს. იგი გრძნობს, რომ დისკურსიული, სინტემატიკური აზროვნება დამთავრდა, რომ ცნობიერება დღეს მხოლოდ იმას იტანს. რასაც ფრაგმენტულად მოიაზრებს. კემაროიტებაზე დაწერილ ბუთასგვერდიან წიგნს რა ზუსტი მიგნებებიც არ უნდა მქონდეს, მას ხამსტროფიანი ლექსი დაიტევს. ფილოსოფოსები მიწის ფარულ ბიძგებს გრძნობენ, მაგრამ მათი დამოკიდებულება სიტუაციასადმი შეფერხებულია და არც არასოდეს უოფილა ცოცხალი, ამიტომაც გახდნენ ფილოსოფოსები, მაგრამ ბულისგულში ლექსის წერა სურს.

თანამედროვე ლექსს, რომლის მონოლოგიური ხასიათიც სრულიად ცხადია. უველაფერზე სურს წეროს. მონოლოგიური ხელაგნება, რომელიც გამომყვამა ინტელაგითურ სიყარიღებს, რომელიც უოველ დიალოგს დაჰყურებს და კომპლექსებს, აქვს კი ენას ხერხოდ დიალოგიური ხასიათი მეტაფიზიკური თვალსაზრისით. ამჟამებს კი ხერხოდ კიდევ კავშირებს, შერჩა დაძლევისა და გარდასახვის უნარი, თუ მხოლოდღა საქმიანი მოლაპარაკებისთვისაა ვარჯისი და მხოლოდ სიმბოლოა ტრაგიკული დაღუპვისა? ლაპარაკი, დისკუსიები — ეს უველაფერი მხოლოდ ჩემია. პირად გაღიზიანებათა არაფრისმოქმედი გამოხატვაა. სიღრმეში კი სულ სხვა რაღაცაა დედაც, რამაც შეგქმნა. და რასაც ვერ ვხედავთ. მთელი კაცობრიობა საზრდოობს რამდენიმე ასეთი საკუთარ თავთან შეხვედრისაგან. მაგრამ ვინ ხდება საკუთარ თავს? მხოლოდ ძალზე ცოტა, და მაშინაც სრულიად მარტო.

მე დასასრულს ვუახლოვდები. ვშიშობ, რომ ახალი ბევრა ვერაფერი გითხარით... ერთი კი შემიძლია გითხრათ, რაც ალბათ, როგორც პოეტს, ეობდა რომ არ შეთქვა. მაგრამ სრული წარმოდგენის შესაქმნელად მისი უთქმელობა არ იქნება. საბედლოდ, რომ თანამედროვე ლექსი არ არის სცენიდან წახაქიბი, როგორც ლექსის, ასევე მსმენელის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ლექსი თვითონ უნდა წაიკეთხოს. მკითხველი თავიდანვე სხვა პოზიციას იკერს ლექსის მიმართ. თუ იგი დაინახავს, რამხელაა ლექსი, როგორაა აგებული სტროფები... კატიკური სურათი. ჩემი შეხედულებით. აძლიერებს აღქმის უნარს. თანამედროვე ლექსი მოითხოვს იყოს ქალღმერთი დაბეჭდილი, მოითხოვს კითხვას. შევ

ნაბეჭდ ახლებს. იგი უფრო პლასტიკური ხდება. მის გარეგნულ სტრუქტურას დავინახავთ და უფრო გავიხადვისებთ. თუ მას ჩემად, ძველით წავიკითხავთ. ერთ ფრანგ ტელისტ დავიშორებ, რომელიც ამას წინათ ფრანგულ პოეზიაზე წერდა: „მე ვერ მოვიძიე სხვაუფროსი უფროების დასაბახიათებლად. გარდა ენების წყობის უველანი ძნელი კოეტები არიან“.

ჩემს მოხსენებაში შეხადლოა შედმეტად რადიკალიზატურად. მკვეთრად ვილაპარაკე ზოგიერთ ვითარებაზე. შეხადლოა შედმეტად მკაცრადაც. ეს განზრახ ჩავიძინე. ვფიქრობ. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ხერხოდ არ არსებობს ასეთი ხფერო, რომლის გარშემოც იმდენი გაუგებრობა ხუფევდეს. რამდენიც ლირიკაზე. დაეკვირვებულვარ. ცნობილი კრიტიკოსები ერთ წერილში საინტერესოდ და მრავლისმზრავად რომ გაანალიზებენ რომელიმე მართლა დიდ ლირიკოსს, მეორეში ასეთივე დიდ ადგილს და უფრადდებს უთმობენ ხაშუალო ეპიკოსს. შთაბეჭდილება გექმნება. თითქოს Ming — დინასტიის ფაიჭურს ვერ არჩევდნენ უბრალო, გამძლე კურკლისაგან, რომელსაც მრავალშვილიან ოჯახებში იყენებენ. ამის მიზეზი გარეთ არ არის ხადიებელი, იგი შინაგანი მამუბახის უქონლობაზე მეტუველებს. ასეთი კრიტიკოსი ისევ იმ წარმოდგენას ადგას, რომ ლექსმა გრძნობა უნდა გამოხატოს და სიტხი გამოახსივოს. — თითქოს აზრი თავად გრძნობა არ იყოს. თითქოს ფორმა არ იყოს განუმეორებლად სიტხი. ეს კრიტიკოსი კვლავ ღრმად იჭრება ძველ ადამიანში თავისი ინტერპრეტაციებითა და ორაზროვნებით. წმინდა ლექსის ნარჯზე. კოეტისათვის უოველი ახალი ლექსი მუდამ ნიშნავდა ლომის მითოკვას, ხოლო კრიტიკოსისათვის — ლომისათვის თვალის გახწორებას. თუცა მაინც სახედართან შეხვედრა ურჩევია. ხფ კრიტიკოსსაც ვერ გაამტყუნებ ხოლომდე. უნდა ვაღიარო, ლექსი მეტად რთული წარმონაქმნია.

შეხადლოა ჩემი სიტუება ცოტა მკაცრად და მკესიმალისტურადაც. გაიხმა, თუ აქ ჩემ წინ ერთ-ერთ მერხზე ახალგაზრდა ადამიანი ზის. რომელმაც ლექსების წერა დაიწყო. წარმომიდგენია, ჩემი სიტუები მის ლირიკულ ზაფხულის დამეს როგორ დასუსტვას. მას მინდა ვუთხრა, რომ ეს არც მქონდა განზრახული. ძალიან ცოტანი იწყებენ სრულყოფილად და მე შესურს მას ჩემი პირადი ცხოვრებიდან ერთი მანუბეშებელი ამბიო დავემშვიდობო. თვრამეტი წლის ვიყავი. როცა აქ, მარბურგში, ფილოსოფიას ვხწავლობდი, და პროფესორ ერნსტ ელსტერის. მაინებ პირველი დიდი გამომცემლის, ლექციებს ვისმენდი. ლექციების თემა იყო კოეტისა და ლიტერატურულ-ინტორიული კვლევის ჭეხილი.

ეს იყო უაღრესად საინტერესო და მაშინდელი
 მაშტაბების მიხედვით სრულიად ახალი სულის-
 კვეთების ლექსები. დღეს ლიტერატურათმცოდ-
 ნეობის მეთოდები უფრო სუბლიმურია, უაღრეს-
 სად სუბლიმურიც, კერძოდ კი, პროზასთან მი-
 შართებაში სტილის ანალიზისა და ენის განმარ-
 ტების საკითხებში. განსაკუთრებით თუ მას პი-
 რადად თქვენს თავზე გამოხედოთ. როგორც მე-
 რსთ-ერთი ბონელის სადოქტორო ნაშრომში ტე-
 ში აღრეული პროზის ანალიზს გვეცანი. უნდა
 გამოვჩვენოთ, პირდაპირ ვივისექციისხვით მო-
 ქმედებს. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს ახალგაზრ-
 და ლირიკოსს. მე ამ უნივერსიტეტში ვსწავლობ-
 დი, ვცხოვრობდი, ვიღებდები ქ. 10-ში, ბერ-
 ლინ-ლიხტფელდში გამოდიოდა უფრო ახალი ხათა-
 ურით Romanzeitung-ი, მას ჰქონდა რუბრიკა,
 სადაც ანონიმურად გაგზავნილ ლექსებზე რეკლ-
 მებიც წერდნენ. იქ გაგზავნილი მაშინ ლექსებს
 და რამდენიმე კვირა გულის ფანჯალით ველო-
 დი განაჩენს, აი რა მივიღე ხოლმე: „გ. ბ. ჩანა-
 ფიქრი კარგი გაქვთ, მაგრამ გამოხატვა სუბტი-
 თუ გქვიათ სურვილი, კიდევ გამოგვიგზავნეთ“.
 მას შერე ბევრმა წლებმა ჩაიარა. და აი, ხედავთ
 რამდენიმე ათეული წლის შრომის შემდეგ ეტ-
 რეთწოდებულ გამოხატველ (Ausdrucksdichte)

პოეტობას მიაბრუნებს. ჩემი შთანაფიქრი კი ამ
 მნის განმავლობაში ნრავალგზის დახსენათდა, რო-
 გორც პირქუში. ნიკმა შედგენდა მუშაობაში
 ფრთები გაშალოს, მაგრამ შეიძლება გათავდეს
 კიდევ. ჩემი პირადი გამოცდილება გუნდში გვიან
 მოსვლა, საკუთარი თავის ტექნიკური კვალი-
 ანებული აღიარება, დაგვიანებული ფესტივალე-
 ბი. მაშინადაბე, თქვენც მშვიდად განაგრძეთ.
 წერა. თუ გწამთ, რომ იმ ექვს ლექსთან, რომე-
 ლთი შესახებადაც ზემოთ ვილაპარაკე, ახალი,
 გაუკვალავი გზით მიხვალთ. აიღეთ შუბი იქ, სა-
 დაც ჩვენ წამსვლელეებმა დავდეთ — ფლობე-
 რის ეს ცნობილი სურათხატი რომ გამოვიყენოთ.
 თქვენი ზვედრი იქნება გარეგანი წარუმატებ-
 ლობა, შინაგანი ნგრეები — ეს არ აცდებათ.
 დაგიდგებათ დღეები, როცა თქვენს თავს ძლივ-
 ხლა იცნობთ, ღამეები, როცა წინ აღარაფერი
 ჩანს, მაგრამ იარეთ იმ გზით და თან წაიღეთ
 როგორც გამოიზოვება და გულწრფელი ჩრევა
 ზეგელის დიდებული, კეშმარიტად ევროპელის
 მიერ ასე წლის წინ ნათქვამი და ჩვენი საუკუ-
 ნის შუაგულისთვის შედგამოკრილი: „სულის
 სიციცხლე ის სიციცხლე კი არ არის, სიკვ-
 დილს რომ უფროთის და გაჩანაგებისაგან თავს
 ინახავს, არამედ ის, რომელიც მას აიტანს და
 მასში თავს შემოინახავს“.





გერმანულიდან
თარგმნა რუსუდან ბაძაშვილმა

ნოვალისი

ჩიან ერთგვარად მშვიდი ბავშვები დიდი, სხივმო-სილი თვალებით, რომელთა მზერას ძნელად თუ გაუძლებ. მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს როდი უწინააწარმეტყველებენ და ისე ექცევიან, როგორც გამორჩეულ უცხოელს. — უფრო მოწიწებით, ვიდრე თანაგრძობით.

ამგვარი ბავშვი გახლდათ ნოვალისი.* უმრავლესობა მას მხოლოდ საბელითა და ორი-ხაზი საგალბლით იცნობს. განათლებულ წრეებშიც ძნელად თუ სცნობენ; ამის დასტურია ის გარემოება, რომ მისი ნაწარმოებების წინამდებარე გამოცემა ნაბევარი საუკუნის განმავლობაში პირველი გახლავთ.

ფრიად სიმპათიური და შთაბეჭდავია ამ პოეტის გამოჩენა, რომლის სიმღერები და პოეტური სახელი ღერმანელ ხალხში კვლავაც მშვენიერ მუსიკად ჟღერს. თუმცა ადრე გარდაცვლილის შემოქმედება თავის დროზე ვიწრო ლიტერატურულ წრეს არ გასცდენია. ნოვალისი გარდაიცვალა ოცდარვა წლისა და ადრეული რომანტიზმის საუკეთესო მარცვლები საფლავში ჩაიტანა. თაყვანისმცემელთა ხსოვნაში იგი მარად ცოცხლობს სათაყვანო, დაუხარ-

ჯავი სიუმაწვილით, მშვენიერი, მრავალთავან შეყვარებული. უბადლო, რომლის არასრულ შემოქმედებას იდუმალი სიუვარულის ხურნელი მოყენია. რაც ძნელად თუ შეიმჩნევა სხვათა პოეტურ კმნილებებში.

ის იყო ერთ-ერთი გენიალური დამაარსებელი პირველი „რომანტიკული სკოლისა“.² რომელიც, სამწუხაროდ, თავისი არასრულყოფილი უვავილობის შემდეგ მრავალმხრივ შეიცვალა. ამასთან ერთად დაკარგა პოპულარობა და დაფიწუებას მიეცა. სამაგიეროდ გერმანული ლიტერატურის ისტორიას ნაკლებად თუ ახსოვს პერიოდი, ესოდენ ხაინტერესო და დამატყვევებელი როგორცაა ადრეული რომანტიზმის ეპოქა. ამ ეპოქის ზვედრი მარტივად, რამდენიმე სიტყვით შეიძლება გამოიხატოს: ეს არის მოკლე ისტორია უმაწვილ პოეტთა ერთი წრისა, რომლებიც იმდროინდელ მიმდინარეობაში, სადაც ფილოსოფია ბძლავრობდა, პოეტურად დაიდუმნენ. ტრაგიკული კი ამ სკოლის წილზედარში ის არის, რომ მისი უდიდესი იმედი, მისი პირველი რანგის განსაკუთრებული პოეტი უმაწვილსკობაში გარდაიცვალა. ეს უმაწვილკაცი ნოვალისი გახლდათ.

უფრო ხაინტერესო და კმედიითი ლიტერატურული აზილგაზრდობა გერმანიას არასოდეს მყოლია. ეს იყო დრო, როდესაც ვილჰელმ

* ნოვალისი — პირველად დაიბეჭდა „Allgemeine Schweizer Zeitung“-ის საკვირაო დამატებაში (N: 36, 1900). — (კომენტარები რ. ყარალაშვილისა).

1 — მხედველობაშია ნოვალისის ნაწარმოებთა გამოცემა.

Novalis, Schriften. Hg. v. E. Heilborn, Berlin 1901.

² ლაპარაკია იენის რომანტიკულ სკოლაზე.

შლეგელმა თავის ორგანიზაციას ჩაუყარა სა-
ფუძველი. როდესაც მისი გენიალური ძმა ფრი-
დრიხი, რომელსაც ხაკუთარი თავის ფლოზაც
კი უპირდა, ბერლინში შეუპოვარ, შრომისმო-
ყვარე შლაიერმახერს ტოდს არ უდებდა, როცა
ფიცმა და მოუსვენარმა ტიქმა შერყვი ვაკენ-
როდერი მოაწიდა და პოეტად აქცია. შლაიერ-
მახერი თავის ეპოქაღურ „ხაუბრებს“ დაატა-
რებდა კეთილშობილ შთაგონებაში; უფროსი
შლეგელი ფილიგრანზე აშლაშინებდა თავის
ისტატურ კრიტიკას და ძლიერი ნების კარო-
ლინასთან ერთად ის-ის იყო იწერებდა შექსპი-
რის შემდგომში ხაქვეყნოდ ცნობილ თარგმანს;
ფრიდრიხ შლეგელმა წინააღმდეგობრივად გეგმი-
ბისა და ექსტანის პარობებში დაწერა მრავალ-
ჯის გაკიცხული „ლუციანდე“; გოეთემაც უუ-
რადღებინა შწერა რა ძმას შიამპრო; ხოლო
ნოვალისმა არაჩვეულებრივად სწრაფი განვითარ-
ების შემდეგ შთაგონებული შწერა უშაღღესი
გვირგვინებისაკენ მიმართა; ფიბტეს გვირდით
სამოღვაწეო ასპარეზზე ახლებურად და თვალსა-
ჩანოდ გამოჩნდა ღრმა ხულიერების შედინგი.
დატყვისა („შლაიერმახერის ცხოვრება“) და
მაშინ („რომანტიკული ხკოლა გერმანიაში“)
გარდა არც ერთი ლიტერატურის ისტორიკოსი
არ ჩასწვდომია ამ დროის სისავსება და თა-
გისებურ მომხიბვლელობას. ათეულა წლებს
განმავლობაში „რომანტიკული“ ეტიკეტის ქვეშ
უოველგვარი კრიტიკის გარეშე ლიტერატურის
შთელ გროვას მოუყარეს თავი და მოეშორეს.
და მაინც, სიტყვა „რომანტიკული“ უვარ-
ჯისობა და არასრულფასოვანი ცოდნა დიტყე-
ნა თუ მაშინ დასახელებული შესანიშნავი
ნაწარმოებებისა იმ დროისათვის იყო არაერთ-
ადერთი და არცთუ უპირველესი შწერი თითქ-
მის სრული მივიწყებისათვის, რაკულთა შორის
ნოვალისის ნაწარმოებებაც მოხვდა. ნოვალისი
მნელად აკითხება, უველაზე უფრო ძნელად,
ვადრე ახალი დროის რომელიმე გერმანელი
მწერალა. რაც მიხვან დაგვჩა, ეს არის თითქ-
მის მხოლოდ ფრაგმენტები, რომლებშიც პოეტ-

მა გონების კვრტით ნამდვილი შემოქმედები-
საკენ მიმავალი გჯის ძებნა დაიწყო მხოლოდ.
მაუხედავად ამისა, ნოვალისის ნაწერებს კითხ-
ვა უწომოდ სახარგებლო და შინაშენლოვანია
კარგი მკითხველისათვის. ისინი ადამიანში აღ-
ვიძებენ შემოქმედებითი ურთიერების
გრძნობას, რომლის, უკმარობისა და უნაქველდობისა
ნიცდიდა ნოვალისის დრო და ხკოლა და რო-
მელიც შემდეგ უკიდურესად განვითარდა. ტი-
ვილიან, სიცოცხლით აღსავსე შეგრძნებებზე
დაკვარებიდან გასაგები ხდება: კიდევ ერთი
ნაბიჯი კიდევ ათი წელი სიცოცხლე და ჩვენ
ერთი უკვდავი პოეტით შერთი გვიყოლებოდა. აბ-
ლა კი ფრაგმენტებით უნდა დავეყაროფილდეთ,
რომელთა კითხვის დროსაც ადამიანს ყოველ-
თვის უშაწვილის ნაადრევად შიტაცებული, ლამა-
ში, მომღიშარი ხახე დაუდგება თვადწინ ტი-
ვილიანი მოწინების გრძნობით. შედმეტი იმა-
ზე ჩივილი, რომ ჩვენ, სინამდვილეში, მწერლის
არც ერთი დასრულებული ნაწარმოები არ
გაგვჩინია. ის აღბათ, ღირსების მხრივ, შეუ-
დარბელი იქნებოდა. ტიქმა მაგ., თავის აღ-
რულ პერიოდში ჩვეული დახვეწილობით და-
წერა რამდენიმე რომანტიკული შლაპარი, მაგ-
რამ ნოვალისის ერთი სტრიქონიც კი, რო-
მელიც, ფრაგმენტულობის გამო, ნაკლებად
გვაკმაყოფილებს, შეიცავს უშაღღესი პოეზიის
გაცილებით მეტ რადონწრობას. მისი ნამუშევ-
რის ცალკეულ მონაკვეთებში, აგრეთვე სიმღე-
რებში ვხვდებით სათნოებისა და ხულიერების
ენთუთქმელ ხურწელებს; ეს მისი სიტყვები გვა-
ლდევენ ალერსის მხგავსად; მათი კითხვისას
სუნთქვა გვიკვრის, რამეთუ ამ წეციურ მწვე-
ნიერებაში ჩაძირვა გწყურია. მის აწრებს უხვად
დაშკრავს იხალგაწრდული, მომწუსხველი და
ამავე დროს ხიუვარულის ღირსი პიროვნების
თბილი სურწელება. მართალია, ის ხშირად
გვევლინება თითქმის უგრძნობელად და ხამყ-
როხადში უურგშეკვეულად, მაგრამ მიუხედა-
ვად ამისა, ის არ იყო ასკეტი და ხულთამ-
მნილველი. და მაინც მისი პიროვნება
იყო რაღაც გახარჯარი და აუხწნელი ისევე,
როგორც თავად მისი სიცოცხლე და აღსასრუ-
ლი, რომლის მოკლე აღწერა შემონახულია და
კვლავაც გვხიბლავს თავისებური ამაღლვებლო-
ბით.

უკანასკნელ დღეებში ნოვალისა, ავადმყო-
ფობის მიუხედავად, სიცოცხლითა და ინტე-
რებსით იყო აღსავსე; იგი ბევრს დადიოდა,
მასლაათობდა, შუშაობდა. ერთ დღესაც კი,
როცა ფორტეპიანოს დაკვრას შიამურადა, ჩა-
მოქდა, ხახეზე დამშორებულ ჩახთვლიმა და
მოკვდა. განა არა? ეს ხათნო, არაჩვეულებრი-
ვად ღრმა დ სიცოცხლით ხავსე ხუნება თით-
ქოს ტივილისა და გამოშვიდობების გარეშე
ჩიხვენა მსუბუქი მანგების თანხლებით ამავე

3 — ლაპარაკია „რენის წრის“ სახელით
ცნობილ რომანტიკოსთა ლიტერატურული სა-
ზოგადოების შექმნაზე, რომელშიც ძმებ შლე-
გელთან ერთად შედიოდნენ კაროლინი შლე-
გელი, ნოვალისი, ტიკი, ვ. გ. ვაკენროდერი,
ფილოსოფოსები: ფ. შლაიერმახერი და ფ. ვ.
შელინგი.
4 — ლაპარაკია ფრ. შლეგერის რომანზე
„Lucinde“ (1799), რომლის პერსონაჟებშიც —
მწერალ იულიუსსა და მის შეყვარებულ ლუ-
ციანდაში — თინამედროგენი თვით აგტორს და
მასთან ერთად პირველი ქმრისაგან გაქცეულ
დოროთეა ფაიტს შეიცნობდნენ (D. Veit;
1763—1839).

მუხიკის ტაქტიკაში, ამოუტყმელი სიმდერების სამყაროში თავისი მონატრებული სამშობლოს ცნობის მთებზეა. მოკვდავთათვის ამოუცნობია ნოვალისის ღიმილი, მისი ნათელთვალეზიანი მზარულეზა, რომლის მიღმა მძიმე სევდა იდუმალოდ აწვებოდა ხეუღესა და სულს. ასეთად ხატავენ მას მეგობრები, ასეთად მოეკვლინა იგი ჩვენს შინაგან თვალს თავისი ნაწარმოებებით; გამხდარი, მიმწიდეველი ხატო თვალში მოსახვედრი ღირსეულობით, უკველგვარი მდებელი საქციელისაგან თავისუფალი და ამავე ღრის უკველგვარი პათოსის გარეშე. როცა მასზე ვფიქრობ, ვხედავ მის გულითად, ხერხოვულ სახეს, ამკვეცნიური უკანახკნელი მუხიკის მანგებისაკენ გადახრულ, გულის მომწუსხველი ამოხუნთქვით დადუმებულ ჰაეროვნებას, და ვხედავ ღიმილს, რომელიც ნათელი სიღბო და უიდუმალები მიხდება მისი შეწყვეტილი შემოქმედებისა და სიცოცხლისა.

ნოვალისის ნაწერებში, როგორცდაც ისინი ჩვენ წინაშე წარმოადგენილი, უკველივე ამკარად ორ ნაწილად იყოფა — ფილოსოფიასად და პოეზიად, და მაინც, ჩემი ღრმა რწმენით, უსამართლობაა, როცა მისტიკასა და ნატურფილოსოფიას („საინელმ მოწაფენი“ და „მიმნები“) ფილოსოფიად აღიკვამენ. ის, როგორც განწყობა, როგორც პოეზია გაცილებით უსხეულია, და რამდენიმე აფორიზმი ხაშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სიცოცხლის ხოლო პერსონაში პოეტი თავისი ცნობიერებით ახლოს იყო მიზანთან. მისი პოეტური ფრაგმენტების გვერდით ჩნდება ასევე ცნობილი პოეტური შემკვადრეობა თავზარდამცემი განხვითა და აღხავს ხელოვნებით. მასში ცოცხლობდა იმდენად დადებული პოეტური ხული, რომ მისი ნადვანი გვევლინება როგორც მხოლოდ დაგუბება და ფორმები ერთი გახაოცარი ხულიერი სიკარბისა, და არა როგორც ქმნა, გამოგონება, შენება. ასევე ამოუცნობია მისი შემოქმედების ეხოდენ ბევრი, რაფინირებული ლიტერატურული წვრდამანის გვერდით სრულიად არალიტერატურული ხისავსე, ხიწმინდე და ხავშეურობა უშუალოდით აღხავსე ქმნილებებისა. საერთოდ, აღხათ არც ერთ გერმანელს არა მქონია პოეზიით ეხოდენ აღხავსე გული, და სწორედ ეს ერთი დაეცა თავისი დროის

ღონეშიხდილი ხულის სამხვერკლოზე, ის წლები სწორედ ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის დაბადების პერიოდია, განხაკუთრებით ლუდვიგ ტიკი გვევლინება თანამედროვე ნაწარმოებთა პირველ მწერლად ეხოდენ მოძრავი, ბეჯითი, გულუბვი ხულები გერმანიას არც ერთ წინანდელ საუკუნეში ნაწარმოებია. „თენოიშის“ დაარსებებისა და ბერლინის სალონის გაჩენით იწყება ჩვენში ლიტერატურა, როგორც ხაგანი თავისთავად, ხოლო მწერლობა გვევლინება პროფესიად, ამ დროიდან მოყოლებული გვევლინება რომანისტიები, ესურნალისტიები, მოლაყბენი, ფელეტონისტიები და ე. წ. ხეციფიურლიტერატურული ხულები თუ ხულის მხგავსნი, რომანტიკის უკველაზე ნაწი კოკორი კი პირველი დაეცა მხხვერკლად ამ ლიტერატურის შექმნისათვის; ნოვალისის მშვენიერი მცდელობები ოციანი და ოცდაათიანი წლების მოდურა რომანტიკობების მიერ დაუდევრად იქნენ გამოყენებულნი, თუმცა ამ ქაროში, ჩვენ, რა თქმა უნდა, წმინდა ბუნების აღმზიანებას გამოვყოფთ, როგორცაა, მაგ. აიხენდორფი.

ღღეს უკვე დაუვავილებულ რომანტიკის უურს ძველებურად როდიდა მიაყრობენ, აღარ მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა რომანტიკის, როგორც რეაქციული ელემენტის წინააღმდეგ. ხოლო როცა ჩვენი თანამედროვე სამშობლოს ნობელგურ მონატრებას „ახალი ხელოვნების მიხედვით“ განვიხილავთ, სწორედ ახალგაზრდულ ლიტერატურულ წრეებში ვხვდებით განწყობილებებსა და მისწრაფებებს, რომლებიც თავისი თვალშიხაკები გარკვეულობით 1800-იანი წლების ამ ანთებულ პოეტურ ახალგაზრდებს მოგვაგონებს.

ახლა ხოლოს და ხოლოს ხელთა გვაქვს ნოვალისის კიდევ ერთი გამოცემა, მხოლოდ იღბადღეს უნდა მივაწეროთ, რომ ჩვენი „ნეორომანტიკოსები“ თავისი სიმძლავრითა და პოეტურ ღირსებით ამ კარგა ხნის დავიწყებულ გარდაცვლილის ნადვანს უტოლდებიან. ჩვენთვის ხისურველია იმგვარი ნაწარმოებები რომლებსაც შეუძლიათ ამ დიდი, გრძნობით აღხავსე ბავშვური თვალების მხერას გაუძლონი და ვისურვებდით, ბევრმა მკითხველმა მართლა ჩამოიხსნას მოდური კითხვის მთელი ტექნიკა თუ გარეგნულობა და ამ იდუმალებით აღხავსე სიღრმეში ჩავყინთვა გაბედოს. იგი ისევ ტკბილი და ტკივილიანი აღმოჩნდება, როგორც მელოდია სიმდერისა, ხიყრმეში რომ მოგისმენია, ანდა ხურნელება მამიხეული ხადის უვავილისა, ხაღდობაში რომ გიუვარდა და წლების მანძილზე დაგვიწყნია.

ნ — ესურნალი, იენის რომანტიკოსთა ბექდვითი ორგანო 1798—1800 წლებში.
 ნ — ბერლინში გადასვლის შემდეგ ფრ. შლეგელი კონტაქტებს ამყარებს რ. ლევისისა (1771—1833) და კ. ჰერცის (1763—1839) ლიტ. სალონებთან.

